



Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha
5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)
<http://ciml.250x.com>



GEORGIA

Georgian Section
www.joseph-stalin.net

SHMG Press – 2012

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

კმარაძი

ზედგები
ღირებულების
თეორიები

(კაკიბაღის* მეოთხე ტომი)

ნაწილი III



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კვ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკვ ცენტრალურ
კომიტეტთან არსებული მარქსნიჭ-ლენინიზმის
ინსტიტუტის ფილიალი

კ.მარქსი

—

ფელეტი
ღირებულებების
თეორიები

(„კაკიტილის“ მეოთხე ტომი)

ნაწილი III



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი—1976

3K 13+33+33.02+33(09)

3J13+33+33(09)

à 35

M $\frac{0111 - 026}{M 601 (08) - 75}$ 1 - 7E

კ. მ ა რ ქ ს ი

ზედმევი ლირებულების
თეორიები

(„კაპიტალის“ IV ტომი)

ნაწილი მესამე (თავები XIX—XXIV)

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საპარტვილო
ფილიალისათვის

კ. მარქსის „ზემეტი ღირებულების თეორიების“ („კაპიტალის“ IV ტომის) წინამდებარე მესამე ნაწილი გერმანულიდან თარგმნა პავლე იაშვილმა იმავე პუბლიკაციების საფუძველზე, რაც მითითებული გვაქვს პირველი ნაწილის ქართული გამოცემისათვის წამდგარებულ ცნობაში.

მესამე ნაწილის ქართული თარგმანის რედაქცია შესრულა ვალერიან მელქაძემ.

[თ ა ვ ი მ ა ც ხ რ ა მ ე ბ ე]

თ. რ. მალთუსი¹

[1] მალთუსი ერთიმეორეში ურემს კატეგორიებს
საქონელი და კაპიტალი]

[XIII—753] აქ განსახილველია მალთუსის შემდეგი თხზულებანი:

1) «The Measure of Value Stated and Illustrated». London, 1823.

2) «Definitions in Political Economy» etc. London, 1827 (ეს თხზულება უნდა ინახოს აგრეთვე ჯონ კეიზნოვის გამოცემაში, ლონდონი, 1853 წ., კეიზნოვის «საწინააღმდეგო მოსაზრებებითა და დამატებითი შენიშვნებით»)

3) «Principles of Political Economy» etc. 2nd edition. London, 1836 (პირველი გამოცემა გამოვიდა 1820 წელს ან დაახლოებით ამ დროს, — უნდა ინახოს).

4) მხედველობაში მისაღებია კიდევ შემდეგი თხზულება ერთი მალთუსიანელისა² (ე. ი. იმ მალთუსიანურ შეხედულებათა მიმდევრისა, რომლებიც მიმართული იყო რიკარდოელთა წინააღმდეგ): «Outlines of Political Economy» etc. London, 1832.

ჯერ კიდევ თავის თხზულებაში «Observations on the Effects of the Corn Laws» (1814 წელი) მალთუსი ა. სმიტის შესახებ ამბობდა:

«დ-რი სმიტი აზრის ამ მსვლელობამდე [ე. ი. მტყიცებამდე, რომ მარცვლეულის ნამდვილი ფასი შედამ უცვლელი რჩება], ალბათ, იმან მიიყვანა, რომ იგი ჩვეულები-სამებრ შრომას (სახელდობრ, შრომის ღირებულებას) განიხილავს როგორც ღირებულების სტანდარტულ საზომს, მარცვლეულს კი — როგორც შრომის საზომს... ახლა პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთ ყველაზე უდავო დებულებად ითვლება ის, რომ არც შრომა, არც რომელიმე სხვა საქონელი არ შეიძლება იყოს ნამდვილი საცვლელი ღირებულების ზუსტი საზომი. და ეს, მართლაც, უკვე თვით საცვლელი ღირებულების განსაზღვრიდან გამომდინარეობს» [გვ. 11—12].

მაგრამ თავის 1820 წლის თხზულებაში — «Principles of Political Economy» — მალთუსმა, რიკარდოს წინააღმდეგ გამოსვლაში, გამოიყენა ეს სმიტიესული «ღირებულების სტანდარტული საზომი», რომელსაც თვით სმიტი არასოდეს არ იყენებს იქ, სადაც იგი ნამდვილად ავითარებს მეცნიერებას³. ზემოთ ციტირებულ შრომაში პუ რ ი ს კ ა ნ ო ნ ე ბ ი ს შესახებ მალთუსი თვით იცავდა ღირებულების მეორე სმიტიესულ განსაზღვრას — მის განსაზღვრას კაპიტალისა (დაგროვილი შრომის) და შრომის (უშუალო შრომის) იმ რაოდენობით, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ საგნის საწარმოებლად.

საერთოდ არ შეიძლება არ ვალიაოთ, რომ როგორც მალთუსის «Principles», ისე ზემოდასახელებული ორი თხზულება, რომელთაც ეს «Principles» ცალკეულ პუნქტებში უფრო დაწვრილებით უნდა განევითარებინათ, თავიანთ წარმოშობას მეტწილად უნდა უმადლოდნენ იმას, რომ მალთუსს შურდა რიკარდოს წიგნის⁴ წარმატება და ცდილობდა ხელახლა წამოწეულიყო პირველ ადგილზე, რომელიც მალთუსმა, როგორც მოხერხებულმა პლაგიატორმა, თაღითური გზით ჩაიგდო ხელში რიკარდოს წიგნის გამოსვლამდე. გარდა ამისა, რიკარდოს წიგნში ღირებულების განსაზღვრა, თუმცა ჯერ კიდევ აბსტრაქტული, მიმართული იყო ლენდლორდებისა და მათი მუქთახორა ამალის ინტერესების წინააღმდეგ, რომელთაც მალთუსი უფრო უშუალოდ იცავდა, ვიდრე სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს. ამასთან არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ მალთუსს თეორიის დარგში კუუსისათვის ძალის დატანების გარკვეული ინტერესი ჰქონდა. მაგრამ ყველა მისი გამოსვლა რიკარდოს წინააღმდეგ — თვით ხასიათიც ამ გამოსვლებისა — შესაძლებელი იყო მხოლოდ იმიტომ, რომ რიკარდო გაიხლართა ყოველგვარ არათანამიმდევრულობაში.

თავის გამოსვლებში რიკარდოს წინააღმდეგ მალთუსმა ამოსავალ წერტილებად გამოიყენა, ერთი მხრივ, ზედმეტი ღირებულების წარმოშობის საკითხი⁵, მეორე მხრივ კი — ის განმარტება, რაც რიკარდომ მისცა ხარჯთფასების⁶ გათანაბრებას კაპიტალის გამოყენების სხვადასხვა სფეროში, განხილულს თვით ღირებულების კანონის მოდიფიკაციის სახით, და მოგებისა და ზედმეტი ღირებულების ის არევა (მათი პირდაპირი გაიგივება), რომელიც რიკარდოს მთელ წიგნს წითელ ზოლად გასდევს. მალთუსი ვერ ახერხებს ამ წინააღმდეგობების და quidproquo-ს⁷ გარკვევას, არამედ გადმოაქვს ისინი რიკარდოდან, რათა ამ არევ-დარევაზე დაყრდნობით უკუავდოს ღირებულების რიკარდოსეული ძირითადი

³ — ცნებათა არევა (სიტყვასიტყვით: ერთის მიღება მეორის ნაცვლად; ერთი მეორის ადგილას). რ ე დ.

კანონი და ა. შ. და თავის მფარველებს მათთვის სასიამოვნო დასკვნები შიაწოდოს.

მალთუსის დამსახურება მის ზემოაღნიშნულ სამ თხზულებაში არა მხოლოდ ისაა, რომ იგი ყურადღებას ამახვილებს არათანაბარ გაცვლაზე კაპიტალსა და დაქირავებულ შრომას შორის, მაშინ როდესაც რიკარდო არსებითად ვერ იძლევა იმის ახსნას, თუ როგორ გამომდინარეობს საქონელთა გაცვლიდან, რაც ღირებულების კანონის თანახმად, მათში მოთავსებული სამუშაო დროის მიხედვით ხდება, არათანაბარი გაცვლა კაპიტალსა და ცოცხალ შრომას შორის, დაგროვილი შრომის გარკვეულ რაოდენობასა და უშუალო შრომის გარკვეულ რაოდენობას შორის, ე. ი. არსებითად გაურკვეველს ტოვებს ზედმეტი ღირებულების წარმოშობას (იმიტომ, რომ რიკარდოს მიხედვით, კაპიტალი იცვლება უშუალოდ შრომაზე და არა სამუშაო ძალაზე). (754) მალთუსის მერმინდელ შვირთხოდენ მიმდევართაგან ერთ-ერთი, კ ე ი ზ ნ ო ვ ი, გრძნობს ამას და ამიტომ მალთუსის ზემოდასახელებული თხზულების «Definition» etc. წინასიტყვაობაში ამბობს:

«საქონელთა გაცვლა და მათი განაწილება» (ხელფასი, რენტა, მოგება) «უნდა განიხილებოდეს ერთიმეორისაგან განცალკევებით... განაწილების კანონები მთლიანად როდია დამოკიდებული იმ კანონებზე, რომლებიც ვაცელს ეკუთვნიან» (წინასიტყვაობა, გვ. VI, VII).

მოცემულ შემთხვევაში ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ხელფასისა და მოგების თანაფარდობა, — გაცვლა კაპიტალისა და დაქირავებული შრომისა, დაგროვილი შრომისა და უშუალო შრომისა, — არ ემთხვევა უშუალოდ საქონელთა გაცვლის კანონს.

თუ განვიხილავთ ფულის ან საქონლის — როგორც კაპიტალის — ღირებულების გამოყენებას, ე. ი. განვიხილავთ არა მათს ღირებულებას, არამედ მათი ღირებულების კაპიტალისტურ გამოყენებას, ნათელი გახდება, რომ ზედმეტი ღირებულება სხვა არაფერია, თუ არა გადანამეტი იმ შრომისა, რომელიც კაპიტალისტის განკარგულებაშია კაპიტალის — საქონლის ან ფულის სახით, — შრომის იმ რაოდენობასთან შედარებით, რასაც თვით ეს საქონელი შეიცავს, სხვა არაფერია, თუ არა ფასგადაუხდელი შრომა. გარდა შრომის იმ რაოდენობისა, რასაც თვით საქონელი შეიცავს (რაც იმ შრომის ჯამს უდრის, რომელსაც შეიცავენ საქონელში მოთავსებული წარმოების ელემენტები, პლუს ამ ელემენტებისადმი მიმატებული უშუალო შრომა), საქონელი ყიდულობს კიდევ შრომის ნამეტსაც, რასაც საქონელი არ შეიცავდა. ეს გადანამეტი შეადგენს ზედმეტ ღირებულებას; მის სიდიდეზეა დამოკიდებული კაპიტალის ღირებულების გადიდების მასშტაბი.

153

ს. ბელთუცია (ს. ბ.)

- 1) საქართველოს ისტორიის კურსი
- 2) საქართველოს ისტორიის კურსი (1852)
- 3) საქართველოს ისტორიის კურსი (1852)
- 4) საქართველოს ისტორიის კურსი (1852)
- 5) საქართველოს ისტორიის კურსი (1852)
- 6) საქართველოს ისტორიის კურსი (1852)
- 7) საქართველოს ისტორიის კურსი (1852)
- 8) საქართველოს ისტორიის კურსი (1852)
- 9) საქართველოს ისტორიის კურსი (1852)
- 10) საქართველოს ისტორიის კურსი (1852)
- 11) საქართველოს ისტორიის კურსი (1852)
- 12) საქართველოს ისტორიის კურსი (1852)
- 13) საქართველოს ისტორიის კურსი (1852)
- 14) საქართველოს ისტორიის კურსი (1852)
- 15) საქართველოს ისტორიის კურსი (1852)
- 16) საქართველოს ისტორიის კურსი (1852)
- 17) საქართველოს ისტორიის კურსი (1852)
- 18) საქართველოს ისტორიის კურსი (1852)
- 19) საქართველოს ისტორიის კურსი (1852)
- 20) საქართველოს ისტორიის კურსი (1852)

ს. ბელთუციის ძეგლები ლაგებულებს თეორიების ბელთუცია ტექსტის შესახებ
 ნაწილის პირველი გვერდი
 (753-ე გვერდი 1861-1863 წლების ბელთუციის XIII გვერდი)

და ეს ჭარბი რაოდენობა ცოცხალი შრომისა, რომელზეც საქონელი იცვლება, შეადგენს მოგების წყაროს. მოგება (უფრო ზუსტად — ზედმეტი ღირებულება) წარმოიშობა არა გასაგნობრივებულ შრომიდან, რომელიც თითქოს თავის ეკვივალენტზე — ცოცხალი შრომის თანაბარ რაოდენობაზე — იცვლება, არამედ ცოცხალი შრომის იმ ნაწილიდან, რომელსაც ამ გაცვლაში მიითვისებენ მასში ეკვივალენტის გადაუხდელად, ფასგადაუხდელი შრომიდან, რასაც კაპიტალი ისაკუთრებს აქტში, რომელსაც გაცვლის მოჩვენებითი გარეგნობა აქვს. მაშასადამე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ პროცესის შუალედურ რგოლებს, — მალთუსს კი მით უფრო მეტი საფუძველი აქვს მხედველობიდან გაუშვას ისინი, რადგან რიკარდო ამ შუალედურ რგოლებს ანალიზს არ უკეთებს, — თუ განვიხილავთ პროცესის მხოლოდ ფაქტიურ შინაარსს და შედეგს, მაშინ ღირებულების გადიდება, მოგება, ფულის ან საქონლის გადაქცევა კაპიტალად მიიღება არა იქიდან, რომ საქონელთა გაცვლა ზდება ღირებულების კანონის შესაბამისად, ე. ი. იმ სამუშაო დროის პროპორციულად, რაც საქონელი ღირს, არამედ, პირიქით, იქიდან, რომ ადგილი აქვს საქონელთა ან ფულის (განივთებული შრომის) გაცვლას ცოცხალი შრომის უფრო მეტ რაოდენობაზე, ვიდრე ის რაოდენობაა, რასაც ისინი შეიცავენ, ან რაც მათზე დაიხარჯა.

მალთუსის ერთადერთი დამსახურება მის ზემოხსენებულ თხზულებებში არის ყურადღების გამახვილება ამ პუნქტზე, რომელიც რიკარდოს მსჯელობაში მით უფრო ნაკლები სიცხადით მოჩანს, ვინაიდან რიკარდო ყოველთვის გულისხმობს კაპიტალისტსა და მუშას შორის გასანაწილებელ მზა პროდუქტს, და იგი არ აშუქებს იმ გაცვლას — იმ შუალედურ პროცესს, — რომელიც ამ გაყოფას იწვევს. ეს დამსახურება შემდეგ არარად იქცევა იმის გამო, რომ ფულის ან საქონლის — როგორც კაპიტალის დირებულების გამოყენებას, მაშასადამე, მათს დირებულებასაც კაპიტალის სპეციფიკური ფუნქციის სახით, მალთუსი ურევს საქონლის — როგორც ასეთის — ღირებულებაში. ამიტომ, როგორც დავინახავთ, იგი შემდგომ გადმოცემაში უბრუნდება მონეტარული სისტემის — profit upon expropriation⁷-ის — უაზრო წარმოდგენებს და საერთოდ ყველაზე უნუგეშო დაბნეულობაში იხლართება. ამრიგად, ნაცვლად იმისა, რომ რიკარდოზე უფრო შორს წავიდეს, მალთუსი თავის გადმოცემაში ცდილობს პოლიტიკური ეკონომია უკან დასწიოს არა მარტო რიკარდოსთან შედარებით, არამედ სმიტთან და ფიზიოკრატებთან შედარებითაც კი.

ერთსა და იმავე ქვეყანაში და ერთსა და იმავე დროს იმ საქონელთა საცვლელი ღირებულება, რომლებიც მხოლოდ შრომასა და მოგებაზე დაიყვანება, ზუსტად გაიზო-

მება შრომის იმ რაოდენობით, რომელიც იმის შედეგად მიიღება, რომ მათს წარმოებაზე ნამდვილად დახარჯული დაგროვილი და უშუალო შრომა მიემატება შრომით გამოხატულ ყველა აუანსზე მიღებულ მოგებათა ცვალებად ჯამს. მაგრამ ეს აუცილებლად იგივე იქნება, რაც იმ შრომის რაოდენობა, რომელიც მოცემული საქონლის განკარგულებაშია» (*The Measure of Value Stated and Illustrated*, London, 1823, გვ. 15—16).

«შრომა, რომელიც საქონლის განკარგულებაშია, ღირებულების სტანდარტული საზომია» (იქვე, გვ. 61).

«ასადა» (მალთუსის საკუთარ ნაწარმოებამდე «*The Measure of Value*» etc.) არ შევხედრივარ ისეთ ფორმულირებას, რომ შრომის ის რაოდენობა, რომლის განმკარგულებელიც ჩვეულებრივ რომელიმე საქონელია, უნდა წარმოადგენდეს და ზომავდეს ამ საქონლის წარმოებაზე დახარჯული შრომის რაოდენობას მოგებასთან ერთად» («*Definitions in Political Economy*» London, 1827, გვ. 196).

ბ-ნ მალთუსს სურს ერთბაშად შეიტანოს ღირებულების განსაზღვრაში „მოგება“, რათა ეს უკანასკნელი უშუალოდ გამომდინარეობდეს ამ განსაზღვრიდან, რასაც რიკარდოს მსჯელობაში ვერ ვხედავთ. აქედან ჩანს, რომ მალთუსი გრძნობს, რაშია სიძნელე.

გარდა ყოველივე ამისა, მის მსჯელობაში მეტად უაზროა ის, რომ იგი აიგივებს საქონლის ღირებულებას და კაპიტალის სახით საქონლის ღირებულებას გამოყენებას. როცა საქონელი ან ფული (მოკლედ, გასაგნობრივებული შრომა) კაპიტალის სახით ცოცხალ შრომაზე გაიცვლება, ყოველთვის ადგილი აქვს გაცვლას [755] შრომის უფრო მეტ რაოდენობაზე, იმ რაოდენობასთან შედარებით, რასაც საქონელი შეიცავს; და თუ შევადარებთ, ერთი მხრივ, საქონელს ამ გაცვლამდე, მეორე მხრივ კი — პროდუქტს, რომელიც ცოცხალ შრომაზე საქონლის გაცვლის შედეგად მიიღება, აღმოჩნდება, რომ საქონელი გაიცვალა თავის საკუთარ ღირებულებაზე (ეკვივალენტზე) პლუს მისი საკუთარი ღირებულების გადანამეტი, ზედმეტი ღირებულება. მაგრამ უაზრობა იქნებოდა ამ საფუძვლით იმის თქმა, რომ საქონლის ღირებულება უდრის მის ღირებულებას პლუს ამ ღირებულების გადანამეტი. ამიტომ, თუ საქონელი გაიცვლება სხვა საქონელზე საქონლის სახით და არა ცოცხალ შრომაზე გაცვლილი კაპიტალის სახით, მაშინ იგი გაიცვლება, — რამდენადაც აქ ადგილი აქვს ეკვივალენტზე გაცვლას, — გასაგნობრივებული შრომის იმავე რაოდენობაზე, რა რაოდენობასაც თვით ეს საქონელი შეიცავს.

ამრიგად, საყურადღებოა მხოლოდ ის, რომ მალთუსის თანახმად მოგება უშუალოდ მზა სახით არის მოცემული უკვე საქონლის ღირებულებაში და რომ მალთუსისათვის ცხადია ერთი რამ — რომ საქონელი მუდამ განაგებს შრომის უფრო მეტ რაოდენობას, ვიდრე თვით მასშია მოთავსებული.

«სწორედ იმიტომ, რომ შრომა, რომელიც ამა თუ იმ საქონლის განკარგულებაშია, უდრის ამ საქონლის წარმოებაზე ნამდვილად დახარჯულ შრომას, პლუს მოგება, სწორედ ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ჩავთვალოთ იგი» (შრომა) «ღირებულების საზომად. მაშასადამე, თუ ჩავთვლით, რომ საქონლის ჩვეულებრივი ღირებულება განისაზღვრება მისი ბაზარზე გატანის ბუნებრივი და აუცილებელი პირობებით, მაშინ უეჭველია, რომ შრომა, რომელიც ჩვეულებრივ საქონლის განკარგულებაშია, ამ პირობების ერთადერთი საზომია» (Definitions in Political Economy, London, 1827, გვ. 214).

წყარობების ელემენტარული ხარჯები. — ეს არის ზუსტად ეკვივალენტური გამოხატულება ბაზარზე საქონლის გატანის პირობებისათვის» («Definitions in Political Economy, edited by Cazenove, London, 1853, გვ. 14).

«ბაზარზე საქონლის გატანის პირობების საზომი — ეს არის შრომის ის რაოდენობა, რომელზეც საქონელი გაიცელება, როცა იგი თავის ბუნებრივ და ჩვეულებრივ მდგომარეობაში იმყოფება» (იქვე).

«საქონლის განკარგულებაში მყოფი შრომის რაოდენობა ზუსტად შრომის ის რაოდენობაა, რაც მის წარმოებაზე დაიხარჯა, პლუს აენახებული კაპიტალის მოგება; ამიტომ იგი ნამდვილად წარმოადგენს და ზომავს ბაზარზე საქონლის გატანის იმ ბუნებრივ და აუცილებელ პირობებს, წარმოების იმ ელემენტარულ ხარჯებს, რომლებიც მის ღირებულებას განსაზღვრავენ» (იქვე, გვ. 125).

«თუმცა ამა თუ იმ საქონლის მოთხოვნა არ შეესაბამება სხვა რომელიმე საქონლის იმ რაოდენობას, რომელიც პირველი საქონლის მყიდველს სურს და შეუძლია მასში გაიღოს, მაგრამ იგი ნამდვილად შეესაბამება შრომის იმ რაოდენობას, რასაც მყიდველი ამ საქონელში იძლევა, და ეს შემდეგი მიზეზის გამო: შრომის რაოდენობა, რაც ჩვეულებრივ საქონლის განკარგულებაშია, ზუსტად მის ნამდვილ მოთხოვნას წარმოადგენს, რადგან იგი ზუსტად შრომისა და მოგების ის ერთობლივი რაოდენობაა, რომელიც საჭიროა ბაზარზე ამ საქონლის გასატანად, მაშინ, როდესაც შრომის ფაქტიური რაოდენობა, რომელიც ამა თუ იმ მომენტში საქონლის განკარგულებაში იქნება, თუ იგი ჩვეულებრივ რაოდენობას გადაუხვევს, წარმოადგენს მოთხოვნის სიჭარბეს ან ნაკლებობას, რაც გამოწვეულია წარმავალი მიზეზებით» (იქვე, გვ. 135).

მალთუსი მართალია ამაშიც. ბაზარზე საქონლის გატანის პირობები, ე. ი. კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე საქონლის წარმოების ანუ, უფრო ზუსტად, კვლავწარმოების პირობები იმაში მდგომარეობს, რომ საქონელი ან მისი ღირებულება (ფული, რაღაც საქონელი გადაიქცევა) მისი წარმოების ან კვლავწარმოების პროცესში შრომის უფრო მეტ რაოდენობაზე გაიცელება, ვიდრე მასშია მოთავსებული; ვინაიდან საქონელი იწარმოება მხოლოდ მოგების რეალიზაციის მიზნით.

მაგალითად, ჩითის ფაბრიკანტმა ვაყიდა თავისი ჩითი. ბაზარზე ამ ჩითის გატანის პირობები ისაა, რომ ჩითის კვლავწარმოების პროცესში ფაბრიკანტი ფულს — ჩითის საცვლელ ღირებულებას — გაცვლის შრომის უფრო მეტ რაოდენობაზე, ვიდრე ის რაოდენობაა, რასაც ჩითი შეი-

ცავს, ან რაც წარმოდგენილია ფულით. ეს იმიტომ, რომ ჩითის ფაბრიკანტი ჩითს აწარმოებს როგორც კაპიტალისტი. მისი სურვილია აწარმოოს არა ჩითი, არამედ მოგება. ჩითის წარმოება მხოლოდ საშუალებაა მოგების საწარმოებლად. მაგრამ რა გამომდინარეობს აქედან? წარმოებული ჩითი შეიცავს უფრო მეტ სამუშაო დროს; უფრო მეტ შრომას, ვიდრე ავანსებული ჩითი. ეს ზედმეტი სამუშაო დრო — ზედმეტი ღირებულება — წარმოდგენილია აგრეთვე ზედმეტი პროდუქტით, ჩითის უფრო მეტი რაოდენობით იმ რაოდენობასთან შედარებით, რომელიც შრომაზე გაიცვალა. ამრიგად, პროდუქტის ნაწილი არ წარმოადგენს იმ ჩითის ანაზღაურებას, რომელიც შრომაზე გაიცვალა, არამედ იგი ფაბრიკანტის კუთვნილ ზედმეტ პროდუქტს შეადგენს. სხვა სიტყვებით, თუ პროდუქტს მთლიანად განვიხილავთ, ჩითის ყოველი არშინი შეიცავს გარკვეულ ნაწილს (ან ყოველი არშინის ღირებულება შეიცავს გარკვეულ ნაწილს), რომელშიც არავითარი ეკვივალენტი არაა გადახდილი და რომელიც ფასგადაუხდელ შრომას წარმოადგენს. მაშასადამე, თუ ფაბრიკანტი არშინ ჩითს მისი ღირებულების მიხედვით ყიდის, ე. ი. ცვლის იმავე სამუშაო დროის შემცველ ფულზე ან საქონელზე, მაშინ იგი ანაზღაურებს ფულის გარკვეულ თანხას ან ღებულობს საქონლის გარკვეულ რაოდენობას, რაც მას არაფერი არ უღირს, ვინაიდან იგი ჩითს ყიდის არა იმ სამუშაო დროის შესაბამისად, რომელიც მან აანაზღაურა, არამედ იმ სამუშაო დროის შესაბამისად, რომელსაც ეს ჩითი შეიცავს და რომლის ნაწილიც [756] ფაბრიკანტს არ აუნაზღაურებია. ჩითი შეიცავს სამუშაო დროს, რომელიც უღირს, მაგალითად, 12 შილინგს. აქედან ფაბრიკანტმა გადაიხადა 8 შილინგი. იგი საქონელს ყიდის 12 შილინგად, თუ მას მისი ღირებულების მიხედვით ყიდის, — და, მაშასადამე, იგებს 4 შილინგს.

[2] «ბასსვისებით მიღებული მოგების» ვულგარული კონცეფციის მალთუსისეული გადმოცემა. ზედმეტი ღირებულების მალთუსისეული გაგების უაზრობა]

რაც შეეხება მყიდველს, იგი იხდის, ვარაუდის თანახმად, ყველა გარემოებაში მხოლოდ ჩითის ღირებულებას, ე. ი. იძლევა ფულის ისეთ თანხას, რომელიც იმდენსავე სამუშაო დღეს შეიცავს, რამდენიც ჩითშია მოთავსებული. აქ შესაძლებელია სამი შემთხვევა. 1) მყიდველი არის კაპიტალისტი. ფული (ე. ი. საქონლის ღირებულება), რასაც იგი ჩითში იხდის, შეიცავს აგრეთვე ფასგადაუხდელი შრომის გარკვეულ ნაწილს. მაშასადამე, თუ ერთი ფასგადაუხდელ შრომას ყიდის, მეორე ფასგადაუხდელი შრომით ყიდულობს. თითოეული მათგანი ახდენს ფასგადაუხ-

დელი შრომის რეალიზაციას, ერთი — როგორც გამყიდველი, მეორე — როგორც მყიდველი. 2) ან მყიდველი არის დამოუკიდებელი მწარმოებელი. ამ შემთხვევაში იგი ლებულობს ეკვივალენტს ეკვივალენტში. არის ფასგადახდილი შრომა, რომელსაც გამყიდველი მიჰყიდის მას საქონლის სახით, თუ არ არის იგი ფასგადახდილი — ეს მყიდველს სრულიად არ ეხება. იგი ლებულობს იმდენ ვასაგნობრივებულ შრომას, რამდენსაც თვითონ იძლევა. 3) ანდა, ბოლოს, მყიდველი არის დაქირავებული მუშა. ამ შემთხვევაშიც — თუ ივლისსხმება, რომ პროდუქტები მათი ღირებულების მიხედვით იყიდება, — იგი, როგორც ყოველი სხვა მყიდველი, თავის ფულში ლებულობს ეკვივალენტს საქონლის სახით. იგი ლებულობს საქონლის სახით იმდენსავე ვასაგნობრივებულ შრომას, რამდენსაც ფულის სახით გასცემს. მაგრამ იმ ფულში, რომელიც მის ხელფასს შეადგენს, მან გაიღო უფრო მეტი შრომა, ვიდრე ეს ფული შეიცავს. მან ანაზღაურა ფულში მოთავსებული შრომა და, გარდა ამისა, დახარჯა ზედმეტი შრომა, რომელსაც იგი უსასყიდლოდ იძლევა. მაშასადამე, მან გადაიხადა ფულში მის ღირებულებაზე მეტი, ე. ი. ღირებულებაზე მეტს იხდის აგრეთვე ფულის ეკვივალენტში — ჩათვლით და ი. შ. მაშასადამე, მისთვის როგორც მყიდველისთვის ხარჯები უფრო მეტია, ვიდრე ყოველი საქონლის მყიდველისათვის, თუმცა საქონლის სახით თავის ფულში იგი ლებულობს ეკვივალენტს. მაგრამ ამ ფულის სახით მას არ მიუღია თავისი შრომის ეკვივალენტი. პირიქით, შრომის სახით მან უფრო მეტი გასცა, ვიდრე მხოლოდ ეკვივალენტი. ამრიგად, მუშა ერთადერთი მყიდველია, რომელიც ყველა საქონელში მათს ღირებულებაზე უფრო მეტს იხდის, იმ შემთხვევაშიც კი, როცა იგი საქონელს მისი ღირებულების მიხედვით ყიდულობს, იმიტომ რომ მან იყიდა საყოველთაო ეკვივალენტი, ფული, შრომის ისეთი რაოდენობით, რომელიც ფულის ღირებულებას აღემატება. მისთვის, ვინც საქონელს მუშას მიჰყიდის, არავითარი მოგება აქედან არ რჩება. მუშა მას უხდის იმდენს, რამდენსაც ყოველი სხვა მყიდველი, — იგი იხდის შრომით შექმნილ ღირებულებას. კაპიტალისტი, რომელიც უკანვე მიჰყიდის მუშას ამ უკანასკნელის მიერ წარმოებულ საქონელს, ინაღლებს, მართალია, ასეთი გაყიდვისას მოგებას, მაგრამ ეს მხოლოდ ისეთივე მოგებაა, რომელსაც იგი ყოველი სხვა მყიდველისათვის თავისი საქონლის მიყიდვის დროს ინაღლებს. ასეთი კაპიტალისტის მოგება — თავისი მუშისათვის საქონლის მიყიდვისას — გამომდინარეობს არა იქიდან, რომ იგი მუშას საქონელს მის ღირებულებაზე უფრო მეტად ღასად მიჰყიდის, არამედ იქიდან, რომ მან სინამდვილეში მანამდე, წარმოების პროცესში, იყიდა ეს საქონელი მუშისაგან მის ღირებულებაზე უფრო დაბალ ღასად.

და აი ბ-ნი მალთუსი, რომელმაც საქონლის ღირებულების გამოყენება კაპიტალის სახით საქონლის ღირებულებად გადააქცია, ყველა მყიდველს სრულიად თანამიმდევრულად დაქირავებულ მუშებად აქცევს, ე. ი. მალთუსი აიძულებს ყველა მყიდველს გაუცვალონ კაპიტალისტს არა საქონელი, არამედ უშუალო შრომა და მისცენ კაპიტალისტს სანაცვლოდ უფრო მეტი შრომა. ვიდრე საქონელშია მოთავსებული, მაშინ როდესაც სინამდვილეში კაპიტალისტის მოგება, პირიქით, იქიდან მიიღება, რომ იგი ყიდის მთელ შრომას, რასაც საქონელი შეიცავს. მაშინ როცა მან საქონელში მოთავსებული შრომის მხოლოდ ნაწილი აანაზღაურა. მაშასადამე, თუ რიკარდოსთვის სინდელეს ის გარემოება წარმოშობს, რომ საქონელთა გაცვლის კანონი ვერ ხსნის უშუალოდ გაცვლას კაპიტალსა და დაქირავებულ შრომას შორის, არამედ, პირიქით, გარეგნულად ეწინააღმდეგება მას, სამაგიეროდ მალთუსი ამ სინდელეს იმით წყვეტს, რომ საქონელთა ყიდვას (გაცვლას) იგი კაპიტალსა და დაქირავებულ შრომას შორის გაცვლად აქცევს. მალთუსს არ ესმის განსხვავება საქონელში განხორციელებული შრომის მთელ ჯამსა და ამ საქონელში მოთავსებული ფასგადახდილი შრომის ჯამს შორის. სწორედ ეს განსხვავება ქმნის მოგების წყაროს. მაგრამ შემდეგში მალთუსს მოგება აუცილებლად იქიდან გამოჰყავს, რომ გამყიდველი საქონელს ყიდის არა მარტო იმაზე მეტ ფასად, რაც იგი მას უღირს (ამას აკეთებს კაპიტალისტი), არამედ იმაზე მეტ ფასადაც, რაც იგი ღირს, ე. ი. მალთუსი უბრუნდება ვულგარულ შეხედულებას მოგებაზე როგორც «გასხვისებით მიღებულ მოგებაზე», შეხედულებას, რომელსაც ზედმეტი ღირებულება იქიდან გამოჰყავს, რომ გამყიდველი საქონელს ყიდის მის ღირებულებაზე მეტ ფასად (ე. ი. სამუშაო ღირის უფრო მეტ რაოდენობად, ვიდრე იგი მის საქონელშია მოთავსებული). ამრიგად, იმას, რასაც ადამიანი იღებს როგორც გამყიდველი ერთი საქონლისა, იგი კარგავს როგორც მყიდველი მეორე საქონლისა, და სრულიად გაუგებარია, თუ როგორ შეიძლება, რომ ფასების ასეთი საყოველთაო ნომინალური გაღივებით ვინმემ რაიმე რეალური «მოგება» მიიღოს. [757] განსაკუთრებით გაუგებარია, როგორ შეუძლია საზოგადოებას en masse* ამით გამდიდრდეს, როგორ შეიძლება ამან გამოიწვიოს ნამდვილი ზედმეტი ღირებულების ან ნამდვილი ზედმეტი პროდუქტის წარმოქმნა. შეუსაბამო, უაზრო წარმოდგენაა.

როგორც დავინახეთ*, ა. სმიტი გულუბრყვილოდ გამოთქვამს ერთიმეორის საწინააღმდეგო ელემენტებს, და ამრიგად მისი მოძღვრება

* — მთლიანად. რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, ნაწ. I, თავები მესამე და მეოთხე. რ ე დ.

დიაშეტრალურად საპირისპირო შეხედულებათა წყარო, ამოსავალი წერტილი ხდება. ბ-ნი მალთუსი ეყრდნობა სმიტის დებულებებს და აკეთებს არეულ-დარეულ, მაგრამ გაღაუწყვეტელი სიძნელის სწორ ალლოსა და შეგნებაზე დაფუძნებულ ცდას — რიკარდოს თეორიას ახალი თეორია დაუპირისპიროს და „პირველი ადგილი“ დაიმკვიდროს. გადასვლა ამ ცდიდან უაზრო ვულგარულ შეხედულებაზე შემდეგნაირად ხდება:

თუ განვიხილავთ საქონლის ღირებულების კაპიტალისტურ გამოყენებას, ე. ი. თუ განვიხილავთ საქონლის გაცვლას ცოცხალ მწარმოებლურ შრომაზე, საქონლის განკარგულებაში აღმოჩნდება, გარდა იმ სამუშაო დროისა, რასაც თვით იგი შეიცავს, — იმ ეკვივალენტის სახით, რომელსაც მუშა აკვლავწარმოებს, — აგრეთვე ზედმეტი სამუშაო დროც, რომელიც მოგების წყაროს შეადგენს. თუ ჩვენ ახლა საქონლის ღირებულების ამ გამოყენებას მის ღირებულებაზე გადავიტანთ, მაშინ ყოველი მყიდველი საქონლის მიმართ ისეთსავე დამოკიდებულებას უნდა იჩენდეს, როგორსაც იჩენს მუშა, ე. ი. ყიდვისას, გარდა საქონელში მოთავსებული შრომის რაოდენობისა, უნდა იძლეოდეს კიდევ შრომის გარკვეულ დამატებითს რაოდენობას. რადგან დანარჩენი მყიდველები, გარდა მუშებისა, არ იჩენენ საქონლის მიმართ ისეთსავე დამოკიდებულებას, როგორც მუშები (იქაც კი, სადაც მუშა გამოდის უბრალოდ როგორც საქონლის მყიდველი, არაპირდაპირ შენარჩუნებულია, როგორც დავინახეთ, წინანდელი ძირეული განსხვავება), ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ თუმცა ისინი უშუალოდ არც იძლევიან შრომის იმაზე მეტ რაოდენობას, რასაც საქონელი შეიცავს, მაგრამ, რაც იგივეა, ისინი იძლევიან შრომის უფრო მეტი რაოდენობის შემცველ ღირებულებას. ამ „შრომის უფრო მეტი რაოდენობის“ მემკვიდრით, «ანუ, რაც იგივეა, შრომის უფრო მეტი რაოდენობის შემცველი ღირებულების მემკვიდრით» ზორციელდება კიდევ ზემოაღნიშნული გადასვლა. ამრიგად, საქმის ვითარება არსებითად შემდეგია: საქონლის ღირებულებას შეიცავს ის ღირებულება, რომელსაც ამ საქონელში მყიდველი იხდის, ეს ღირებულება კი უდრის საქონლის (ღირებულების) ეკვივალენტს პლუს ის, რაც ამ ღირებულებას აღემატება, ზედმეტი ღირებულება. მაშასადამე, გამოდის ვულგარული შეხედულება: მოგება იქიდან წარმოდგება, რომ საქონელს უფრო ძვირად ყიდიან, ვიდრე ყიდულობენო. მყიდველი საქონელს ყიდულობს შრომის ან გასაგნობრივებელი შრომის უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე იგი გამყიდველს უღირს.

მაგრამ თუ მყიდველი თავად არის კაპიტალისტი, საქონლის გამყიდველი, და ის ფული, რომლითაც იგი ყიდულობს, მხოლოდ მის მიერ გაყი-
2. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

დულ საქონელს წარმოადგენს, მაშინ საქმე მხოლოდ იმით თავდება, რომ ორივენი ერთმანეთს საქონელს ძლიერ ძვირად მიჰყიდიან და ამრიგად ერთიმეორეს მოატყუებენ, და თანაც მოატყუებენ თანაბრად, თუ ორივენი მხოლოდ მოგების საერთო ნორმის რეალიზებას მოახდენენ. ამრიგად, საიდან უნდა გაჩნდნენ ისეთი მყიდველები, რომლებიც კაპიტალისტს უხდიან შრომის იმ რაოდენობას, რომელიც უდრის მის საქონელში მოთავსებულ შრომას პლუს კაპიტალისტის მოგება? ავიღოთ მაგალითი. გამყიდველს საქონელი უჯდება 10 შილინგი. გამყიდველი ყიდის მას 12 შილინგად. ამით მის განკარგულებაშია არა მარტო 10 შილინგის შესატყვისი შრომა, არამედ აგრეთვე ორი შილინგით უფრო მეტი. მაგრამ მყიდველიც ასევე 10 შილინგად ღირებულ თავის საქონელს 12 შილინგად ყიდის. ამრიგად, თითოეული კარგავს როგორც მყიდველი იმას, რაც მოიგო როგორც გამყიდველმა. ერთადერთ გამონაკლისს შეადგენს მუშათა კლასი. ვინაიდან, რამდენადაც პროდუქტის ფასი მის ხარჯთფასს აღემატება, მუშებს შეუძლიათ გამოისყიდონ მხოლოდ ნაწილი პროდუქტისა, და ამრიგად პროდუქტის მეორე ნაწილი (ან ამ მეორე ნაწილის ფასი) ქმნის კაპიტალისტის მოგებას. მაგრამ რადგან მოგება სწორედ იქიდან მიიღება, რომ მუშებს შეუძლიათ პროდუქტის მხოლოდ ნაწილი გამოისყიდონ, ამიტომ კაპიტალისტს (კაპიტალისტების კლასს) არასოდეს არ ძალუძს თავისი მოგების რეალიზება [მარტოოდენ] მუშების მოთხოვნის შესვევით, არასოდეს არ შეუძლია მისი რეალიზება მთელი პროდუქტის ხელფასზე გაცვლის გზით, არამედ, პირიქით, მის რეალიზაციას მხოლოდ იმით ახდენს, რომ მუშების მთელი ხელფასი პროდუქტის მხოლოდ ნაწილზე გაიცვლება. მაშასადამე, გარდა თვით მუშებისა, საჭიროა კიდევ სხვა მოთხოვნა და სხვა მყიდველები, — სხვანაირად ვერავითარი მოგება ვერ წარმოიქმნებოდა. საიდან ჩნდება ეს მყიდველები? თუ ისინი თვითონ არიან კაპიტალისტები, თვითონ არიან გამყიდველები, მაშინ ადგილი აქვს კაპიტალისტთა კლასის ზემოაღნიშნულ თვითმოტყუებას, რამდენადაც უკანასკნელნი თავიანთი საქონლის ფასს ნომინალურად ერთიმეორეს უღიდებენ და თითოეული მათგანი როგორც გამყიდველი იგებს იმას, რასაც იგი კარგავს როგორც მყიდველი. მაშასადამე, საქირთა მყიდველები, რომლებიც არ არიან გამყიდველები, რათა კაპიტალისტს შეეძლოს თავისი მოგების რეალიზება, საქონლის გაყიდვა «მისი ღირებულების მიხედვით». აქედან წარმოდგება ის, რომ აუცილებლად საჭირონი არიან ლენდლორდები, პენსიონერები, სინეკურათა მქონენი, ხუცები და ა.შ., მათი ლაქიებისა და მუქთამჭამელების ჩათვლით. თუ როგორ ებატრონებიან ეს «მყიდველები» [758] ყიდვის საშუალებებს, თუ როგორ უნდა წაართვან მათ ჯერ

კაპიტალისტს (უეკვივალენტოდ) მისი პროდუქტის ნაწილი, რათა ასე წართმეულით უკანვე იყიდონ ამ რაოდენობის ეკვივალენტზე უფრო ნაკლები, — ამის ახსნა-განმარტებას ბ-ნი მალთუსი არ იძლევა. ყოველ შემთხვევაში აქედან გამომდინარეობს მისი არგუმენტაცია არამწარმოებელი კლასების რაც შეიძლება მეტი გადიდების დასაცავად, რათა საქონელთა გამყიდველები პოულობდნენ ბაზარს, მოთხოვნას თავიანთი მიწოდებისათვის. და ამრიგად გამოდის შემდეგ, რომ მოსახლეობის პამფლეტის⁸ ავტორი წარმოების პირობად ქადაგებს უსაქმურთა მიერ წლიური პროდუქტის რაც შეიძლება მეტი ნაწილის მუდმივ ჭარბმოხმარებას და მითვისებას. ამ არგუმენტაციას, რომელიც მისი თეორიიდან აუცილებლად გამომდინარეობს, ემატება შემდეგი არგუმენტის სახით მითითება იმის შესახებ, რომ კაპიტალი გამოხატავს მის წრადებას აბსტრაქტული სიმდიდრისადმი, ღირებულებების გადიდებისადმი, — მისწრაფებას, რომელიც შეიძლება რეალიზებულ იქნეს მხოლოდ იმის მეოხებით, რომ არსებობს კლასი მყიდველებისა, რომლებიც ხარჯვისადმი, მოხმარებისადმი, მფლანგველობისადმი მისწრაფების გამოხატველნი არიან, — ე. ი. სწორედ იმის მეოხებით, რომ არსებობენ არამწარმოებელი კლასები, რომლებიც მყიდველებად გამოდიან და არ არიან გამყიდველები.

**[3] ღაგა მალთუსისა და რიკარდოს მიმდევართა შორის
XIX საუკუნის ღი-იან ფლეგზში. საერთო ნიშნები მათს
ღამოკიდებულებაში გზუშათა კლასის მიმართ]**

ამ ნადაგზე 20-იან წლებში (1820 — 1830 წლების პერიოდი საერთოდ დიდი მეტაფიზიკური ეპოქაა ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის ისტორიაში) ცხარე კამათი ატყდა მალთუსისა და რიკარდოს მიმდევართა შორის. უკანასკნელნი, ისევე როგორც მალთუსიანელები, საჭიროდ თვლიან, რომ მუშა არ ისაკუთრებდეს თვითონ თავის პროდუქტს და რომ ამ პროდუქტის ნაწილი წილად ხვდებოდეს კაპიტალისტს, რაც მისთვის, მუშისათვის, წარმოების სტიმული იქნება და ამ გზით უზრუნველყოფილი გახდება სიმდიდრის ზრდა. მაგრამ რიკარდოელები ბრაზობენ მალთუსიანელთა იმ შეხედულებების გამო, რომ ლენდლორდებმა, სახელმწიფო და საეკლესიო სინეკურათა მფლობელებმა და შინამსახურთა ხროვამ ჭერ უნდა ხელში ჩაიგდონ ყოველგვარი ეკვივალენტის გარეშე კაპიტალისტის პროდუქტის ნაწილი (სავსებით ისევე, როგორც კაპიტალისტი ექცევა მუშებს), რათა შემდეგ კაპიტალისტებისაგან მათი საკუთარი საქონელი იყიდონ და მათ მოგება მისცენ. მაგრამ რიკარდოელები იმავეს ამტკიცებენ მუშების შესახებ. იმისათვის, რომ დაგრო-

ვება იზრდებოდეს, მასთან ერთად კი შრომის მოთხოვნაც, მუშა — რიკარდოელთა მოძღვრების თანახმად — თავისი საკუთარი პროდუქტის რაც შეიძლება მეტ რაოდენობას უნდა უსასყიდლოდ უთმობდეს კაპიტალისტს, რათა ეს უკანასკნელი ამ გზით გადიდებულ წმინდა შემოსავალს კვლავ კაპიტალად აქცევდეს. ზუსტად ასევე ასაბუთებს მალთუსიანელიც. მრეწველ კაპიტალისტებს, მალთუსიანელის აზრით, საჭიროა უსასყიდლოდ ჩამოერთვას რაც შეიძლება მეტი რენტის, გადასახადებისა და სხვ. სახით, რათა მათ შეძლონ ის, რაც რჩებათ, ძალით თავსმოხვეულ «გაყოფის მონაწილეებს» მიჰყილონ და თვითონ მოგება მიიღონ. მუშამ არ უნდა მიითვისოს თავისი საკუთარი პროდუქტი, რათა არ დაკარგოს შრომის სტიმული, გაიძახიან რიკარდოელები მალთუსიანელებთან ერთად. მრეწველი კაპიტალისტი [ამტკიცებენ მალთუსიანელები] თავისი პროდუქტის ნაწილს უნდა უთმობდეს მხოლოდ მომხმარებელ კლასებს — «fruges consumere noti»*, რათა ამ უკანასკნელებმა ხელახლა გაუცვალონ მრეწველ კაპიტალისტს თავისთვის ხელსაყრელ პირობებში ის, რაც კაპიტალისტმა მათ დაუთმო. წინააღმდეგ შემთხვევაში კაპიტალისტი დაკარგავდა წარმოების სტიმულს, რომელიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალისტი დებულობს მაღალ მოგებას, თავის საქონელს ყიდის ღირებულებაზე გაცილებით უფრო მაღალ ფასად. შემდეგში ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით ამ კამიჭურ პოლემიკას.

[4] სპიტის ღირებულების თეორიის ცალმხრივი ინტერპრეტაცია მალთუსის მიერ. რიკარდოს წინააღმდეგ პოლემიკაში მალთუსი იყენებს სპიტის მცდელობას ღირებულებას

გადავიდეთ ახლა უწინარეს ყოვლისა იმის დამტკიცებაზე, რომ მალთუსი სრულიად ტრივიალურ წარმოდგენამდე მიდის:

«რაცინდ დიდიც არ უნდა იყოს იმ შუალედური გაცვლითი აქტების რიცხვი, რომლებშიც უნდა გაიაროს საქონელმა სულ ერთია, ვაგზაუნთან მწარმოებლები თავიანთ საქონელს ჩინეთში თუ გაყიდიან მას წარმოების ადგილზე, — საკითხი იმის შესახებ, აჩბს თუ არა საქმარისი საქონელში გადახდილი ფასი, დამოკიდებულია მხოლოდ იმაზე, შექმნილია თუ არა მწარმოებლებს თავიანთი კაპიტალის ანაზღაურება ჩვეულებრივი მოგების მიღებით, რათა თავიანთი საქმე წარმატებით განაგრძონ. მაგრამ რა არის მათი კაპიტალები? როგორცა. სპიტო აღნიშნავს, ეს არის იარაღები, რომელთა მეშვეობით მუშაობა წარმოებს, მასალები, რომლებიც გადაშუქავენას განიცდიან, და საშუალებანი, რომლებიც აუცილებელია შრომის რაოდენობაზე განკარგულებისათვის».

* «დაბადებულთ ნაყოფის სავემებლად» (პორაციუსი. «ეპისტოლენი») რ ე ლ.

(და ეს, ფიქრობს მალთუსი, არის საქონლის წარმოებაზე დახარჯული მთელი შრომა. მოგება არის გ ა დ ა ნ ა მ ე ტ ი ი მ შრომისა, რომელიც აღნიშნული წესით დაიხარჯა საქონლის წარმოებაზე. მაშასადამე, სინამდვილეში ეს საქონლის წარმოების ხარჯების წანამატია მხოლოდ.) და რათა არავითარი ეჭვი არ დარჩეს მისი აზრის შესახებ, მალთუსს მოწონებით მოჰყავს თავისი საკუთარი შეხედულების დასადასტურებლად პოლკოვნიკ ტორენსის სიტყვები მისი წიგნიდან «On the Production of Wealth» თავი VI, გვ. 349:

«ნამდვილი მოთხოვნა — ეს არის უნარი და მიღრევილება მომხმარებელთა» [მყიდველებსა და გამყიდველებს შორის დაპირისპირებულობა აქ გადაიქცევა მომხმარებლებსა და მწარმოებლებს შორის დაპირისპირებულობად]. [759] «უშუალო გაცვლით ან მოსაშუალო ვაჭრობის გზით მისცენ საქონელში კაპიტალის ყველა შემადგენელი ნაწილის სახით თანხა, რომელიც გარკვეული ზომით აღემატება იმას, რაც ამ საქონლის წარმოება ღირდა» («Definitions in Political Economy», edited by Czenove, გვ. 70—71).

თვით ბ-ნი კეიზნოვი კი, გამომცემელი, აპოლოგეტი და კომენტატორი მალთუსის თხზულებისა «Definitions», ამბობს:

«მოგება არ არის დამოკიდებული იმ თანაფარდობაზე, რის მიხედვითაც საქონელი ერთიმეორეზე გაიცელებიან».

{საქმე ისაა, რომ თუ განხილული იქნებოდა მხოლოდ საქონელგაცვლა კაპიტალისტებს შორის, მაშინ, რამდენადაც აქ არ ხდება გაცვლა კაპიტალისტებსა და მუშებს შორის, რომლებსაც, გარდა შრომისა, არ ავითარი სხვა საქონელი გასაცვლელად არ გააჩნიათ, მალთუსის თეორია წარმოგვიდგებოდა როგორც აბსურდული თეზისი ფასის უბრალო ურთიერთი წანამატის შესახებ, მათი საქონლის ფასის ნომინალური წანამატის შესახებ. ამიტომ საჭირო ხდება საქონელთა გაცვლის მხედველობის გარეშე დატოვება და ლაპარაკი ფულის გაცვლაზე ისეთი ადამიანების მხრივ, რომლებიც არ ავითარი საქონელს არ აწარმოებენ},

«რადგან გაცვლის ერთი და იგივე თანაფარდობა შეიძლება არსებობდეს მოგების ყოველი სიმაღლის დროს; მაგრამ იგი დამოკიდებულია იმ თანაფარდობაზე, რომელიც შეიქმნა საქონლის ფასი იმყოფება ხელფასთან, ან წარმოების ხარჯების დასაფარავლად საჭირო ფულის თანხასთან; თანაფარდობაზე, რომელიც ყველა შემთხვევაში იმით განისაზღვრება. თუ რამდენად აღემატება მსხვერპლი, გაღებული მყიდველის მიერ (ანდა შრომის რაოდენობა, გაცემული მის მიერ) საქონლის შესაქმნად, იმ მსხვერპლს, რაც მწარმოებელმა უნდა გაიღოს, რათა საქონელი ბაზარზე გაიტანოს» (იქვე, გვ. 46).

ამ მშვენიერი შედეგების მისაღწევად მალთუსს მეტად დიდი თეორიული მანიპულაციების ჩატარება მოუხდა. უწინარეს ყოვლისა, როცა ა. სმიტის მოძღვრების ერთ მხარეს იზიარებდა, რომლის თანახმად საქონლის ღირებულება უდრის შრომის რაოდენობას, რომელიც საქონლის განკარგულებაშია ანდა რომლის განკარგულებაშიც თვითონ საქონელია (ანდა რომელიც მასზე გაიცვლება), საჭირო იყო თავიდან მოშორება იმ საწინააღმდეგო მოსაზრებებისა, რომლებიც თვით ა. სმიტმა და მერმინდელმა ეკონომისტებმა. მათ შორის მალთუსმაც, წამოაყენეს იმ დებულების წინააღმდეგ, რომ საქონლის ღირებულება — ღირებულება — შეიძლება იყოს ღირებულების საზომი.

მალთუსის თხზულება «The Measure of Value Stated and Illustrated», London, 1823, ნამდვილი ნიმუშია კუუსუსტობისა, რომელიც კაზუსტიკით აბრუებს თავის თავს და ცნებათა თავის შინაგან არეუ-ღარევაში მიხვეულ-მოხვეული გზით მიდის; მისი ძნელი და უმწეო გადმოცემა გულუბრყვილო და არაკომპეტენტურ მკითხველზე ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ თუ მკითხველისათვის ძნელია ამ არეუ-ღარევაში გარკვეულობის შეტანა, ამ სიძნელის მიზეზი უნდა იყოს არა წინააღმდეგობა არეუ-ღარევისა და გარკვეულობას შორის, არამედ არასაკმაო გაგება მკითხველის მხრივ.

უწინარეს ყოვლისა მალთუსმა ის უნდა გააკეთოს, რომ წაშალოს დავიდ რიკარდოს მიერ გავლებული გამიჯვნა „შრომის ღირებულებასა“ და „შრომის რაოდენობასა“ შორის და ერთ, მცდარ მხარეზე დაიყვანოს [ღირებულების სხვადასხვა განსაზღვრათა] ის გადახლართვა, რასაც ადგილი ჰქონდა სმიტის შეხედულებათა სისტემაში.

«ყოველი მოცემული შრომის რაოდენობას უნდა ჰქონდეს ისეთივე ღირებულება, რაც აქვს ხელფასს, რომლის განკარგულებაშიც არის ეს ღირებულება, ან რომელზეც იგი ფაქტიურად გაიცვლება», («The Measure of Value Stated and Illustrated», London, 1823, გვ. 5).

ამ ფრაზის მიზანია იგივეობის ნიშანი დასვას შრომის რაოდენობასა და შრომის ღირებულებას შორის.

თავისთავად ეს ფრაზა გამოხატავს უბრალო ტავტოლოგიას, უაზრო ტრუიზმს. რადგან ხელფასი, ანუ ის, „რაზეც იგი“ (შრომის მოცემული რაოდენობა) „გაიცვლება“, შეადგენს შრომის ამ რაოდენობის ღირებულებას, ამიტომ ტავტოლოგიაა შემდეგი მტკიცება: შრომის გარკვეული რაოდენობის ღირებულება უდრის იმ ხელფასს, ანუ ფულის ან საქონელთა იმ მასას, რომელზეც ეს შრომა გაიცვლება. სხვა სიტყვებით, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ შრომის გარკვეული რაოდენობის საცვლელი ღირებულება უდრის შრომის ამ რაოდენო-

ბის საცვლელ ღირებულებას, რასაც სხვანაირად ხელფასს უწოდებენ. მაგრამ {თუ აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ხელფასზე უშუალოდ გაცივლება არა შრომა, არამედ სამუშაო ძალა, და რომ სწორედ ეს არევა ზღის შესაძლებელს უაზრო კონსტრუქციას} აღნიშნული ტაქტოლოგიიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ შრომის გარკვეული რაოდენობა უდრის შრომის იმ რაოდენობას, რომელსაც შეიცავს ხელფასი, ან ფული ანდა ხელფასის შემადგენელი საქონელი. თუ მუშა 12 საათს მუშაობს და ხელფასის სახით 6 საათის პროდუქტს იღებს, მაშინ 6-საათიანი შრომის პროდუქტი შეადგენს ღირებულებას, რომელიც მას 12 საათის შრომაში ეძლევა (ვინაიდან იგი შეადგენს ხელფასს, 12 საათის შრომაზე გასაცვლელ საქონელს). აქედან არ გამომდინარეობს, რომ 6 საათის შრომა უდრის 12 საათს, ანდა რომ საქონელი, რომლითაც წარმოდგენილია 6 საათი, უდრის საქონელს, რომლითაც წარმოდგენილია 12 საათი; არ გამომდინარეობს, რომ ხელფასის ღირებულება უდრის იმ პროდუქტის ღირებულებას, რომლითაც გამოხატულია [ამ ხელფასზე გაცვლილი] შრომა. აქედან გამომდინარეობს მხოლოდ ის, რომ შრომის ღირებულება (რადგან იგი იზომება სამუშაო ძალის ღირებულებით და არა მის მიერ შესრულებული შრომით), [760] შრომის გარკვეული რაოდენობის ღირებულება შეიცავს უფრო ნაკლებ შრომას, ვიდრე იგი ყიდულობს; რომ ამიტომ იმ საქონლის ღირებულება, რომლითაც გამოხატულია ნაყიდი შრომა, მეტად განსხვავდება იმ საქონელთა ღირებულებისაგან, რომლებითაც ნაყიდი იყო შრომის მოცემული რაოდენობა, ანდა რომელთა განკარგულებაშიც ეს შრომაა.

დასკვნა, რომელსაც ბ-ნი მალთუსი აკეთებს, პირდაპირ საწინააღმდეგოა. რადგან შრომის მოცემული რაოდენობის ღირებულება მის ღირებულებას უდრის, აქედან, მალთუსის აზრით, გამომდინარეობს, რომ ის ღირებულება, რომლითაც შრომის ეს რაოდენობაა გამოხატული, ხელფასის ღირებულებას უდრის. შემდეგ, მალთუსის მიხედვით, აქედან გამომდინარეობს, რომ უშუალო შრომა (ე. ი. წარმოების საშუალებათა გამოკლების შემდეგ დარჩენილი შრომა), რომელიც შთანთქმულია რომელიმე საქონლის მიერ და მოთავსებულია მასში, არ ქმნის იმაზე მეტ ღირებულებას, რაც გადახდილი იყო ამ შრომაში; ეს უქანასკნელი მხოლოდ აკვლავწარმოებს ხელფასის ღირებულებას. უკვე აქედან თავისთავად გამომდინარეობს, რომ მოგების ახსნა შეუძლებელია, თუ საქონლის ღირებულება მასში მოთავსებული შრომით განისაზღვრება; რომ, პირიქით, მოგება უნდა გამოვიყვანოთ მაშინ რაიმე სხვა. წყაროდან, — თუ ამასთან საერთოდ იმ ვარაუდიდან გამოვალთ, რომ საქონლის ღირებულება უნდა შეიცავდეს მოგებას, რომლის რეალიზებასაც ეს საქონე-

ლი ახდენს. ვინაიდან საქონლის წარმოებაზე დახარჯული შრომა შედგება 1) შრომისაგან, რომელსაც შეიცავს გაცვეთილი და ამიტომ პროდუქტის ღირებულებაში ხელახლა მოვლენილი მანქანა და ა. შ., 2) შრომისაგან, რომელსაც გამოყენებული ნედლეული შეიცავს. ორივე ეს ელემენტი, როცა ისინი ახალი საქონლის წარმოების ელემენტებად იქცევიან, არ აღიღებენ, რა თქმა უნდა, ამის გამო იმ შრომის რაოდენობას, რომელსაც ისინი ახალი საქონლის წარმოებამდე შეიცავდნენ. მაშასადამე, რჩება 3) ხელფასში მოთავსებული შრომა, რომელიც გაცვლილი იყო ცოცხალ შრომაზე. მაგრამ ეს უკანასკნელი, მალთუსის მიხედვით, არ აღემატება იმ გასაგნობრივებულ შრომას, რომელზეც იგი იცვლება. მაშასადამე, საქონელი არ შეიცავს ფასგადაუხდელი შრომის არავითარ ნაწილს, არამედ იგი შეიცავს მხოლოდ შრომას, რომელიც ეკვივალენტს ანაზღაურებს. აქედან გამომდინარეობს, რომ, თუ საქონლის ღირებულება განსაზღვრული იქნებოდა მასში მოთავსებული შრომით, საქონელი ვერავითარ მოგებას ვერ მოგვეცემა. და თუ იგი მოგებას იძლევა, ეს არის, მალთუსის მიხედვით, საქონლის ფასის გადანამეტი მასში მოთავსებულ შრომაზე. გამოდის შემდეგი: იმისათვის, რომ საქონელი მისი ღირებულების მიხედვით (რომელიც მოგებას შეიცავს) გაიყიდოს, საქონლის განკარგულებაში უნდა იყოს შრომის ისეთი რაოდენობა, რომელიც უდრის ამ საქონლის წარმოებაზე დახარჯულ შრომას, პლუს შრომის გადანამეტი, რომელიც საქონლის გაყიდვისას რეალოზებულ მოგებას წარმოადგენს.

[5] შრომის უცვლელი ღირებულების სიბიძისეული დეგულების ინტერპრეტაცია მალთუსის მიერ]

შემდეგ, იმის დასასაბუთებლად, რომ ღირებულების საზომია არა შრომის რაოდენობა, რაც წარმოებისათვის არის საჭირო, არამედ შრომა როგორც საქონელი, მალთუსი ამტკიცებს, რომ «შრომის ღირებულება მუდმივია» («The Measure of Value» etc., გვ. 29, შენიშვნა).

{ამაში ორიგინალური არაფერია, ეს არის გადმოცემა და შემდგომი განვითარება ა. ს მიტის შემდეგი დებულებისა მისი წიგნის «ხალხთა სიმდიდრის» (ფრანგ. თარგმანი გარნიესი, ტომი I, გვ. 65—66) მე-5 თავიდან:

«ყველა დროსა და ყველა ადგილას შრომის თანაბარ რაოდენობებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი ღირებულება ამ შრომის შემსრულებელი ჰუმანათვის. თავისი წანმრთელობის, ძალისა და სიმხნეის ჩვეულებრივ მდგომარეობაში და იმ დახელოვნებისა და მოხერხებულობის ხარისხის დროს, რაც მუშას შეუძლია ჰქონდეს, მან ყოველთვის უნდა გაიღოს

თავისი მოცალობის, თავისი თავისუფლების, თავისი ბედნიერების ერთი და იგივე ნაწილი. ფასი, რასაც იგი იხდის, ყოველთვის უცვლელი რჩება, სულ ერთია როგორც არ უნდა იყოს საქონელთა ის რაოდენობა, რასაც იგი თავისი შრომის გასამრჩელოდ იღებს. მართალია, ამ ფასით მას შეუძლია ამ საქონელთა ზოგჯერ მეტი რაოდენობა იყიდოს, ზოგჯერ კი ნაკლები, მაგრამ იცვლება აქ ამ საქონელთა ღირებულება და არა ღირებულება იმ შრომისა, რომელიც მათ ყიდულობს. ყველა დროსა და ყველა ადგილას ძვირია ის, რაც ძნელად იშოვება, ან რის შექმნაც მეტი შრომა ღირს, და იაფია ის, რაც ადვილად იშოვება, ან რის მიღებაც შრომის მცირე დახარჯვით შეიძლება. ამრიგად, შრომა, რომლის საკუთარი ღირებულებაც არასოდეს არ იცვლება, ერთადერთი ნამდვილი და საბოლოო საზომია, რომელიც ყველა დროში და ყველგან შეიძლება გამოდგეს ყველა საქონლის ღირებულების შესაფასებლად და შესადარებლად.*

{შემდეგ, მალთუსის ის აღმოჩენა, რომლითაც ის თავს იწონებს და რომლის შესახებაც ამტკიცებს, რომ იგი მან პირველმა აღმოაჩინა (სახელდობრ, დებულება იმის შესახებ, რომ ღირებულება უდრის საქონელში მოთავსებულ შრომის რაოდენობას პლუს შრომის რაოდენობა, რომელიც მოგებას წარმოადგენს), ეს აღმოჩენა, ჩანს, ასევე უბრალოდ ერთად შეერთებულა სმიტის ორი შემდეგო ფრაზისა (მალთუსი მუდამ პლაგატიორი რჩება):

«ფასის ყველა სხედასხვა შემადგენელი ნაწილის ნამდვილი ღირებულება იზომება შრომის იმ რაოდენობით, რომელიც თითოეულ მათგანს შეუძლია იყიდოს, ან თავის განკარგულებაში იქონიოს. შრომა ზომავს ფასის არა მარტო იმ ნაწილის ღირებულებას, რომელიც შრომაზე დაიყვანება, არამედ მისი იმ ნაწილის ღირებულებასაც, რომელიც რენტაზე დაიყვანება, და იმ ნაწილსაც, რომელიც მოგებაზე დაიყვანება (წიგნი I, თავი მე-6, გარნიეს თარგმანი, ტ. I: გვ. 100).»

[761] ამის შესაბამისად მალთუსი ამბობს:

«თუ შრომის მოთხოვნა იზრდება, მუშის უფრო მაღალი ხელფასი გამოწვეულია არა შრომის ღირებულების გადიდებით, არამედ იმ პროდუქტის ღირებულების შემცირებით, რომელზეც შრომა იცვლება. შრომის სიჭარბის შემთხვევაში კი მუშის დაბალი ხელფასი გამოწვეულია პროდუქტის ღირებულების გადიდებით და არა შრომის ღირებულების შემცირებით» («The Measure of Value» etc., გვ. 35; იხ. აგრეთვე გვ. 33—34).

ბეილი ძლიერ მოხერხებულად დასცინის იმ დებულების მალთუსისეულ დასაბუთებას, რომ შრომის ღირებულებამუდმივია (მალთუსის, და არა სმიტის, შემდგომ არგუმენტაციას; ასევე საერთოდ დებულებას შრომის უცვლელი ღირებულების შესახებ):

«ამნირადვე შეიძლებაოდა ყოველი საგნის შესახებ იმის დამტკიცება, რომ მას აქვს უცვლელი ღირებულება, — მაგალითად, 11 არშინი მაუდის შესახებ. ვინაიდან, 10 არშინ მაუდში 5 გირე, სტერლინგს ვაძლევთ ჩვენ თუ 10 გირე. სტერლინგს, მოცემული თანხა თავისი ღირებულებით ყოველთვის იქნება იმ მაუდის ტოლი, რომელშიც ამ თანხას ვიხდით, ანდა, სხვა სიტყვებით, მაუდის მიმართ მას ექნება უცვლელი ღირებულება. მაგრამ ის, რასაც უცვლელი ღირებულების მქონე ნივთში ვიძლევით, თითო უნდა»

იყოს უცვლელი; მაშასადამე, 10 არშინ მაუღს უნდა ჰქონდეს უცვლელი ღირებულება... თუ ჩვენ ვამბობთ, რომ ხელფასს აქვს უცვლელი ღირებულება, იმიტომ რომ იგი, თუმცა კი იცვლება აიდიდის მხრივ, მაგრამ მის განკარგულებაშია შრომის ერთი და იგივე რაოდენობა, მაშინ ასეთი მტკიცება უფრო დასაბუთებული როდია, ვიდრე მტკიცება იმისა, რომ ქულისათვის გაღებულ თ ა ნ ხ ა ს უცვლელი ღირებულება აქვს, იმიტომ რომ ეს თანხა, თუმცა იგი ხან მეტია, ხან ნაკლები, ყოველთვის ყიდულობს ქედს» («A Critical Dissertation on the Nature, Measures, and Causes of Value» etc., London, 1825, გვ. 145—147).

იმავე თხზულებაში ბეილი ძლიერ გესლიანად დასცინის შეუსაბამო, დრმაზროვნების პრეტენზიის მქონე ცხრილებს, რომლებითაც მალთუსი ღირებულების თავისი საზომის „ილუსტრაციას“ იძლევა.

თავის თხზულებაში «Definitions in Political Economy» (London, 1827), სადაც მალთუსი თავის გულისწყრომას ამჟღავნებს ბეილის საჩუბების გამო, იგი, სხვათა შორის, ცდილობს შემდეგნაირად დაამტკიცოს შ რ ო მ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს უ ც ვ ლ ე ლ ო ბ ა :

«ფასი საქონელთა მნიშვნელოვანი ჯგუფისა, როგორცაა, მაგალითად, ნედლი პროდუქტები, საზოგადოების პროგრესთან ერთად მატულობს შრომასთან შედარებით, მაშინ როდესაც მ რ ე ვ ე ლ ო ბ ი ს პროდუქტების ფასი კლებულობს. ამიტომ ჰუმანიტებისგან შორს არ იქნება იმის მტკიცება, რომ საშუალოდ საქონელთა ის მასა, რომელიც ერთსა და იმავე ქვეყანაში შრომის მოცემული რაოდენობის განკარგულებაშია, არ შეიძლება რამდენიმე საუკუნის მანძილზე არსებითად იცვლებოდეს» («Definitions» etc., London, 1827, გვ. 206).

ისევე შშვენიერად, როგორც მალთუსი «შრომის ღირებულების უცვლელობას» ამტკიცებს, იგი ამტკიცებს აგრეთვე იმასაც, რომ ხელფასის ფულადი გამოხატულების გადიდება უნდა გამოიწვიოს საქონელთა ფულადი ფასების საერთო გადიდება:

«როცა ფულით გამოხატული ხელფასის საერთო გადიდება ხდება, ფულის ღირებულება შესაბამისად მცირდება; ხოლო, როცა ფულის ღირებულება მცირდება, ... ყოველთვის იზარდება საქონელთა ფასები» (იქვე, გვ. 34).

თუ ფულის ღირებულება შრომასთან შედარებით შემცირდა, მაშინ საჭიროა სწორედ იმის დამტკიცება, რომ გაიზარდა ყველა საქონლის ღირებულება ფულთან შედარებით, ანდა რომ შემცირდა ფულის ღირებულება, გამოხატული არა შრომით, არამედ სხვა საქონლით. მალთუსის ამტკიცება კი ისაა, რომ იგი წინასწარ იღებს ამას წინამძღვრის სახით.

(6) შრომითი ღირებულების თეორიის წინააღმდეგ თავის ბრძოლაში მალთუსი იყენებს რიკარდოსულ ღირებულებას ღირებულების კანონის მოდიფიკაციითა შესახებ

თავის პოლემიკაში ღირებულების რიკარდოსული განსაზღვრის წინააღმდეგ მალთუსი მთლიანად იყენებს პირველად თვით რიკარდოს მიერ წამოყენებულ დებულებებს საქონელთა საცვლელი ღირებულების იმ ცვლილებათა შესახებ, რომლებიც დამოკიდებული არაა ამ საქონელთა წარმოებაზე დახარჯული შრომის რაოდენობაზე და რომლებიც წარმოდგებიან მიმოქცევის პროცესის თვალსაზრისით კაპიტალის სხვადასხვა შედგენილობიდან, — საბრუნავი და ძირითადი კაპიტალის სხვადასხვა შეფარდებიდან, გამოყენებული ძირითადი კაპიტალის ხანგამძლეობის განსხვავებიდან, საბრუნავი კაპიტალის გადაბრუნების პერიოდთა სხვაობიდან. მოკლედ, თავის პოლემიკას რიკარდოს წინააღმდეგ მალთუსი იღებს ხარჯთფასისა და ღირებულების ერთმანეთში არევიდან, რამდენადაც წარმოების ცალკეულ სფეროებში გამოყენებული შრომის რაოდენობისაგან დამოუკიდებელი ხარჯთფასების გათანაბრებებს რიკარდო განიხილავს როგორც თვით ღირებულების მოდიფიკაციებს და ამით მთელ პრინციპს უკუაგდებს. მალთუსი ხელს სჭიდებს სამუშაო დროით ღირებულების განსაზღვრის წინააღმდეგ თვით რიკარდოს მიერ წამოყენებულ და პირველად მის მიერ აღმოჩენილ ამ წინააღმდეგობებს არა იმისათვის, რომ გადაჭრას ისინი, არამედ იმისათვის, რათა უკან დაუბრუნდეს სრულიად უაზრო წარმოდგენებს და ერთიმეორის საწინააღმდეგო მოვლენების გამომთქმავ, მათი სიტყვიერი გადმოცემა, წინააღმდეგობათა გადაწყვეტად მოგვაჩვენოს. რიკარდოს სკოლის დაშლის განხილვისას ჩვენ დავინახავთ, რომ ასეთსავე მეთოდს იყენებენ [ჯემს] მილი და მაკკულოხი, რომლებიც ცდილობენ წმინდა სიტყვიერი ვარჯიში უაზრო სქოლასტიკურ განსაზღვრათა და განსხვავებათა მეოხებით უმუშაოდ შეუთანხმონ საყოველთაო კანონს მისი საწინააღმდეგო მოვლენები, რათა თავიანთ მსჯელობაში შექმნან ამ წინააღმდეგობათა დაძლევის გარეგნობა, სინამდვილეში კი ასეთი ცდების შედეგად ხსენებული ავტორები კარგავენ თვით საყოველთაო საფუძველს.

მოვიყვანოთ მალთუსის შრომიდან ის ადგილები, სადაც იგი რიკარდოს წინააღმდეგ იყენებს იმ მასალას, რომელიც ღირებულების წინააღმდეგ თვით რიკარდომ წამოაყენა:

«სმითი შენიშნავს, რომ ხორბალი მწიფდება ერთ წელიწადში, მაშინ როდესაც პირუტყვის საკლავად გასუქებას 4—5 წელიწადი სჭირდება; ამიტომ, თუ ჩვენ გვაქვს თანაბარი საცვლელი ღირებულების მქონე ხორბლისა და ხორცის გარკვეული რაოდენობანი, უპველია, რომ ვინსხეაება იმ მოგების ქაში, რაც 3 ან 4 დამატებითი წლის

მანძილზე მიიღება ხორცის წარმოებაში დახარჯულ კაპიტალზე თხუთმეტი პროცენტის გაანგარიშებით, — რომ ეს განსხვავება, ყველა სხვა მოსაზრების გარეშე, ანაზღაურებს ხორცის ღირებულებაში იმ გარემოებას, რომ ხორცი შრომის ვაცილებით ნაკლებ რაოდენობას შეიცავს [762]. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია გვქონდეს თანაბარი ღირებულების მქონე ორი საქონელი, მაშინ როდესაც დაგროვილი და უშუალო შრომა ერთ-ერთ მათგანში ორმოცი თუ ორმოცდაათი პროცენტით ნაკლებია, ვიდრე მეორეში. ეს ჩვეულებრივი მოვლენა ყოველი მოცემული ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვან საქონელთა უღირესი რაოდენობის მიმართ; და თუ მოგება 15-დან 25%-მდე დაეცემოდა, მაშინ ხორცის ღირებულება ხორბალთან შედარებით 20%-ზე უფრო მეტით დაეცემოდა» [«The Measure of Value» etc., გვ. 10—11].

და რადგან კაპიტალი საქონელთაგან შედგება და მასში შემავალ ან მის შემადგენელ საქონელთა მნიშვნელოვან ნაწილს აქვს ისეთი ფასი (მაშასადამე, საცკლელო ღირებულება ჩვეულებრივი აზრით), რომელიც შედგება არა მარტო დაგროვილი და უშუალო შრომისაგან, არამედ აგრეთვე — რამდენადაც ჩვენ მხოლოდ მოცემულ ცალკეულ საქონელს განვიხილავთ — ღირებულების წმინდა ნომინალური წანამატისაგან, რომელიც ვაპირობებულა საშუალო მოგების მიმატებით, ამიტომ მალთუ-სი ამბობს:

«შრომა — არ არის კაპიტალის წარმოებაზე დახარჯული ერთადერთი ელემენტი» («Definitions», edited by Cazenove, გვ. 29).

«არ არის წარმოების ხარჯები?... ეს არის შრომის ის რაოდენობა მისი ნატურალური ფორმით, რომელიც საჭიროა საქონლის საწარმოებლად და მისი წარმოების დროს გამოყენებული იარაღებისა და მასალების მისაღებად პლუს შრომის ის დამატებითი რაოდენობა, რომელიც შეესაბამება ავანსებული კაპიტალის მოგებას მისი ავანსად გაღების მთელი დროის განმავლობაში» (იქვე, გვ. 74—75).

«იმავე მიზეზით სრულიად არ არის მართალი ბ-ნი მილი, როცა იგი კაპიტალს დაგროვილ შრომას უწოდებს. კაპიტალისთვის შეიძლება, მართლაც, გვეწოდებინა დაგროვილი შრომა პლუს მოგება, მაგრამ იგი უდავოდ არ შეიძლება განისაზღვროს როგორც მარტოდენ დაგროვილი შრომა, თუკი ჩვენ მხოლოდ არ ვადა-ეწვევართ მოგებას შრომა უწოდოთ» (იქვე, გვ. 60—61).

«სადავებით მდარია იმის ლაპარაკი, რომ საქონელთა ღირებულებას არეგულირებს ან განსაზღვრავს მათი წარმოებისათვის საჭირო შრომის რაოდენობა. სრულიად მართებულა იქნება ვთქვათ, რომ საქონელთა ღირებულებას არეგულირებს მხო საწარმოებლად აუცილებელი შრომისა და მოგების რაოდენობა» (იქვე, გვ. 129).

ამის შესახებ კეიზნოვი ლაპარაკობს შენიშვნაში 130-ე გვერდზე:

«გამოთქმის შრომა და მოგება» წინააღმდეგ ის ვთქვამა ითქვას, რომ ეს არ არის კორელაციური ცნებები, რადგან შრომა არის ფაქტორი, მოგება კი — შედეგი, პირველი არის მიზეზი, მეორე კი — შედეგი. ამიტომ ბ-ნი მასიენორმა ეს გამოთქმა შე-

ეცელა გამოთქმით „შ რ ო მ ა დ ა ლ ა თ მ ე ნ ა“ (სახელდობრ, სენიორის თანახმად: ღვინე თავის შემოსავალს კაპიტალად აქცევს, იგი თ მ ო ბ ს ი მ ს ი ა მ ო ე ნ ე ბ ა ს, რასაც ამ კაპიტალის დახარჯვით მიიღებდა)... მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მოგების მიზეზია არა დათმენა, არამედ კაპიტალის მწარმოებლური გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა.

საუცხოო ახსნა-განმარტება! საქონლის ღირებულება შედგება მას-ში მოთავსებული შრომისაგან პლუს მოგება; შრომისაგან, რომელსაც საქონელი შეიცავს, და შრომისაგან, რომელსაც იგი არ შეიცავს, მაგრამ, რომელიც გადასახდელია საქონლის ყიდვისას.

მალთუსის შემდგომი პოლემიკა რიკარდოს წინააღმდეგ:

«რიკარდოს მტყიცება, რომ იმ ზომით, რა ზომითაც ხელფასის ღირებულება იზრდება, მცირდება მოგება. და პირაქით, სწორია მხოლოდ მაშინ, თუ ვეიარაუდებთ, რომ საქონელთ, რომელთა წარმოებაზე შრომის ერთი და იგივე რაოდენობაა დახარჯული, ყოველთვის თანაბარი ღირებულება აქვთ, — ვარაუდი, რომელიც საეჭვოა, რომ სწორი აღმოჩნდეს 500-დან ერთ შემთხვევაში, როგორც ეს აუცილებლად ხდება იმის გამო, რომ ცოფოლიზაციისა და ტექნიკის განვითარებასთან ერთად გამოყენებული ძირითადი კაპიტალის რაოდენობა მუდამ იზრდება, საბრუნავი კაპიტალის გადაბრუნების პერიოდები კი სულ უფრო განსხვავებული და არათანაბარი ხდება» («Definitions», London, 1827, გვ. 31—32) (იგივე ადგილი — კეიზნოვის გამოცემის 53—54 გვერდზე, სადაც მალთუსი სიტყვისიტყვით შემდეგს ამბობს: «საქმის ბუნებრივი ვითარება» ამახინჯებს ღირებულების რიკარდოსეულ საზომს, რადგან ეს ვითარება იწვევს იმას, რომ «ცივილიზაციისა და ტექნიკის განვითარებასთან ერთად გამოყენებული ძირითადი კაპიტალის რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება და საბრუნავი კაპიტალის გადაბრუნების პერიოდები სულ უფრო განსხვავებული და უთანაბრო ხდება».)

თეთი ბ-ნი რიკარდო აღიარებს მნიშვნელოვან გამოწვევებს თავისი წესიდან; მაგრამ თუ განვიხილავთ შემთხვევებს, რომლებიც მის გამოწვევებს ეკუთვნის, ე. ი. იმ შემთხვევებს, როცა გამოყენებული ძირითადი კაპიტალის რაოდენობანი არაერთნაირი და განსხვავებული ხანგრძლივობისა და როცა გამოყენებული საბრუნავი კაპიტალის გადაბრუნების პერიოდები სხვადასხვაა, ჩვენ დაეინახეთ, რომ ეს შემთხვევები ისე მრავალრიცხოვანია, რომ წესი შეიძლება ჩაითვალოს გამოწვევისად, გამოწვევისი კი — წესად» («Definitions», edited by Cazenove. გვ. 50).

**[7] ღირებულების ვულგარული განსაზღვრა მალთუსის მიერ.
 შეხედულება მოგებაზე როგორც საკონფლიქტო ღირებულები
 ზანაპატზე. მალთუსის აკლემიკა უფარდებითი ხელფასის
 რიკარდოსეული კონცეფციის წინააღმდეგ]**

წინათ ნათქვამის შესაბამისად მალთუსი იძლევა კიდევ ღირებულების ასეთ განსაზღვრასაც¹⁰:

«ღირებულება არის საქონლის შეფასება, დაფუძნებული მის ხარჯებზე მყიდველისათვის, ანუ იმ მსხვერპლზე, რომელიც უნდა გაიღოს მყიდველმა, რათა საქონელი შეიძინოს, და რომელიც იზომება შრომის იმ რაოდენობით, რამდენი იმისთვის, რომელიც მისთვის უნდა გაიღოს».

დენობით, რასაც იგი იძლევა ამ საქონლის სანაცვლოდ, ანუ, რაც იმავეს ნიშნავს, იმ შრომით, რომელიც საქონლის განკარგულებაშია» (იქვე, გვ. 8—9).

კეიზნოვი აღნიშნავს აგრეთვე მალთუსსა და რიკარდოს შორის არსებულ შემდეგ განსხვავებას:

[763] «ბ-ნ რიკარდოს ა. სმიტთან ერთად შრომა ხარჯების ქვეშარტ საზომად მიიჩნდა, მაგრამ ამ საზომს იგი იყენებდა მხოლოდ მწარმოებლის ხარჯების მიმართ... იგი შეიძლება თანაბრად იქნეს გამოყენებული როგორც საზომი ხარჯებისა მყიდველისათვის» (იქვე, გვ. 56—57).

სხვა სიტყვებით: საქონლის ღირებულება უდრის ფულის თანხას, რომელიც მყიდველმა უნდა გადაიხადოს, ფულის ეს თანხა კი ყველაზე უკეთ შეფასდება მარტივი შრომის იმ მასით, რომლის ყიდვაც ამ ფულით შეიძლება*. მაგრამ თუ რით განისაზღვრება ეს ფულის თანხა, ამაზე აქ, რა თქმა უნდა არაფერია ნათქვამი. ეს არის ვულგარული შეხედულება, რომელიც ადამიანებს ამ საგანზე აქვთ ყოველდღიურ ცხოვრებაში, — მაღალფარდოვნად გამოხატული მარტივი ტრივიულობა. სხვა სიტყვებით, ეს სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა ხარჯთ ფასისა და ღირებულების გაიგივებას, — არევის, რომელიც ა. სმიტისა და კიდევ უფრო მეტად რიკარდოს შეხედულებათა სისტემაში ეწინააღმდეგება მათს ნამდვილ ანალიზს, მაგრამ რომელსაც მალთუსი კანონად აღიარებს. ამით აქ მოცემულია ის წარმოდგენა ღირებულებაზე, რომელიც დამახასიათებელია კონკურენციის სამყაროს ფილისტერიისათვის, კონკურენციით რომ არის შეპყრობილი და მხოლოდ ამ კონკურენციით შექმნილ გარეგნობას რომ იცნობს. რით განისაზღვრება ხარჯთფასი? ავანსებული კაპიტალით პლუს მოგება. და რით განისაზღვრება მოგება? საიდან ჩნდება ფონდი მისთვის, საიდან ჩნდება ზედმეტი პროდუქტი, რომლითაც წარმოდგენილია ეს ზედმეტი ღირებულება? თუ ლაპარაკია მხოლოდ ფულადი ფასის ნომინალურ გადიდებაზე, მაშინ საქონელთა ღირებულების გადიდება ყველაზე იოლი საქმეა. და რით განისაზღვრება ავანსებული კაპიტალის ღირებულება? მასში მოთავსებული შრომის ღირებულებით, ამბობს მალთუსი. და რით განისაზღვრება ეს უქანასკნელი? იმ საქონელთა ღირებულებით, რომლებზეც ხელფასი იხარჯება. და ამ საქონელთა ღირებულება? შრომის ღირებულებით პლუს მოგება..

* მალთუსი წინასწარ გულისხმობს მოგების არსებობას, რათა შემდეგ მისი ღირებულებრივი მისი ვარეგანი საზომით ვაზომოს. იგი არ ეხება მოგების წარმოებისა და შინაგანი შესაძლებლობის საკითხს.

აი ასე ვტრიალებთ მანკიერ წრეში. დავუშვათ, რომ მუშას ნამდვილად უხდინან მისი შრომის ღირებულებას, ე. ი. საქონელი (ან ფულის თანხა), რაც მის ხელფასს შეადგენს, უღრის საქონელთა ღირებულებას (ფულის თანხას), რომლებშიც საგნობრივდება მისი შრომა, ასე რომ, როცა 100 ტალერ ხელფასს ღებულობს, იგი მიუმატებს ნედლეულს და ა. შ., — მოკლედ, ავანსებულ [მუდმივ] კაპიტალს, — ასევე მხოლოდ 100 ტალერ ღირებულებას. ასეთ შემთხვევაში მოგებას შეიძლება შეადგენდეს მხოლოდ საქონლის ნ ა მ დ ვ ი ლ ი ღირებულების ის წანამატი, რასაც გაყიდვისას გამყიდველი დაუმატებს. ამას აკეთებს ყველა გამყიდველი. მაშასადამე, რამდენადაც კაპიტალისტები ერთიმეორეს საქონელს უცვლიან, არც ერთი მათგანი არ ახდენს რაიმეს რეალიზაციას ასეთი წანამატის მეოხებით, და ამ გზით ყველაზე ნაკლებად იქმნება დამატებითი ფონდი, საიდანაც ისინი თავიანთი შემოსავლის მიღებას შეძლებდნენ. მხოლოდ ის კაპიტალისტები, რომელთა საქონელი მუშათა კლასის მოხმარებაში შედის, მიიღებენ ნამდვილ და არა წარმოსახვითს მოგებას, რადგან ისინი უკანვე მიჰყიდნიან ხოლმე მუშებს საქონელს უფრო ძვირად, ვიდრე იგი მათგან იყიდეს. საქონელს, რომელიც მათ მუშებისაგან 100 ტალერად იყიდეს, ისინი უკანვე მიჰყიდნიან მუშებს 110 ტალერად, ე. ი. ისინი მიჰყიდნიან მათ ხელახლა პროდუქტის მხოლოდ $10/11$ -ს, თავისთვის კი დაიტოვებენ $1/11$ -ს. მაგრამ ეს ნიშნავს მხოლოდ იმას რომ, მაგალითად, იმ 11 საათიდან, რომლის განმავლობაშიც მუშა მუშაობდა, მას უნაზღაურებენ მხოლოდ 10 საათს, მას აძლევენ მხოლოდ 10 საათის პროდუქტს, მაშინ როდესაც ერთი საათი, ანუ ერთი საათის პროდუქტი, კაპიტალისტს ხედება წილად უეკვივალენტოდ. და ეს ხომ, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ — მუშათა კლასთან ურთიერთობაში — მოგება იქიდან მიიღება, რომ მუშათა კლასი თავისი შრომის ნაწილს კაპიტალისტებს აძლევს მ უ ქ თ ა დ, რომ, მაშასადამე, „შრომის რ ა ო დ ე ნ ო ბ ა“ არ არის იგივე, რაც „შრომის ღირებულება“. ყველა სხვა კაპიტალისტი კი მოგებას მიიღებდა მხოლოდ წარმოდგენაში, რადგან მათ არ ექნებოდათ აღნიშნული გამოსავა ი.

რადგენ ნაკლებად გაიგო მალთუსმა რიკარდოს ამოსავალი დებულება, როგორ აბსოლუტურად არ ესმის მას ის, რომ მოგების მიღება შესაძლებელია არა ღირებულების წანამატის გზით, არამედ სხვა გზით, — ამას ნათლად გვიჩვენებს, სხვათა შორის, შემდეგი ადგილი:

შეიძლება ვაღიაროთ, რომ თავდაპირველად საქონელი, თუ მას ერთბაშად აშუადებდნენ და ერთბაშად უშვებდნენ მოხმარებაში, მხოლოდ შრომის შედეგი იყო და რომ ამიტომ მისი ფასი ამ შრომის რაოდენობით განისაზღვრებოდა; მაგრამ სრულიად შეუძლებელია იმის ფიქრი, რომ ასეთი საქონელი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ს ა ხ ი თ გ ა მ ო -

ყენებოდა სხვა საქონელთა წარმოებისას უიმისოდ, რომ კაპიტალისტს გარკვეული დროის განმავლობაში არ დაეკარგოდა მის მიერ აქანსებულ კაპიტალით სარგებლობის შესაძლებლობა და რომ მას ამისათვის მოგებების სახით ანაზღაურება არ მოეთხოვა. საზოგადოების განვითარების ადრინდელ საფეხურებზე, როცა საქონელთა საწარმოებლად ავანსებული კაპიტალი შედარებით ცოტა იყო, ეს ანაზღაურება მაღალი იყო და მოგების მაღალი ნორმის გამო მნიშვნელოვან გაელენას ახდენდა ასეთ საქონელთა ღირებულებაზე. საზოგადოების განვითარების მერმინდელ საფეხურებზე მოგება ძლიერ გაელენას ახდენს კაპიტალისა და საქონელთა ღირებულებაზე გამოყენებული ძირითადი კაპიტალის მნიშვნელოვნად გადიდებული რაოდენობის გამო და იმ ვადის გამო, რომლითაც საბრუნავი კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი ავანსად გაიყება, სანამ ეს კაპიტალი კაპიტალისტს მოგებიდან აუნაზღაურდება. ორივე შემთხვევაში იმ შეფარდებაზე, რომლითაც საქონელი ერთმანეთზე იცვლებიან, არსებით გაულენას ახდენს მოგების ცვალებადი ოდენობა» («Definitions», edited by, Cazenove, გვ. 60).

შეფარდებითო ხელფასის ცნების დადგენა რიკარდოს ერთ-ერთი უდიდესი დამსახურებაა. საქმის დედაარსი ის არის, რომ ღირებულება ხელფასისა (და ამიტომ მოგებისაც) მთლიანად დამოკიდებულია სამუშაო დროის იმ ნაწილის შეფარდებაზე, რომლის განმავლობაში მუშათა ცენტის (თავისი ხელფასის წარმოებისათვის ან კვლავწარმოებისათვის) მუშაობს, მისი სამუშაო დროის იმ ნაწილთან, რომელიც კაპიტალისტს ეკუთვნის. ეკონომიურად ეს მეტად მნიშვნელოვანია; არსებითად ეს მხოლოდ სხვა გამოხატულებაა ზედმეტი ღირებულების სწორი თეორიისათვის¹¹. შემდეგ, ეს მნიშვნელოვანია ორივე კლასის [764] სოციალური ურთიერთობის გასაგებად. მალთუსი გრძნობს აქ რაღაც ცუდს და სწორედ ეს აიძულებს მას გამოვიდეს თავისი საწინააღმდეგო მოსაზრებებით:

«ბ-ნ რიკარდომდე მე არ შევხვედრივარ არც ერთ ავტორს, რომელსაც ოდესმე ეხმაროს ტერმინი ხელფასი, ანუ რეალური ხელფასი ისეთი აზრით, რომელიც გარკვეულ პროპორციას გულისხმობს.»

(რიკარდო ლაპარაკობს ხელფასის ღირებულების გამოხატულებაზე, რაც, მართლაც, ვლინდება აგრეთვე როგორც პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც წილად ხვდება მუშას¹².)

«მოგება, მართლაც, გარკვეულ პროპორციას გულისხმობს; და მოგების ნორმა ყოველთვის გამოიხატება და პროცენტობით ავანსებულ კაპიტალის ღირებულების მიმართ.»

{თუ რას გულისხმობს მალთუსი სიტყვებით ავანსებულ იკაპიტალის ღირებულება, ამის თქმა შეუძლებელია, ხოლო თვით მისთვის შეუძლებელიც კი. მალთუსის თანახმად, საქონლის

ღირებულება უდრის საქონელში მოთავსებულ ავანსებულ კაპიტალს პლუს მოგება. მაგრამ, რადგან ავანსებული კაპიტალი გარდა უშუალო შრომისა, კიდევ საქონელთაგან შედგება, ამიტომ ავანსებული კაპიტალის ღირებულება უდრის მასში მოთავსებულ ავანსებულ კაპიტალს პლუს მოგება. ამრიგად, მოგება უდრის ავანსებული კაპიტალის მოგებას პლუს მოგების მოგება. და ასე *in infinitum**.)

«მაგრამ რაც შეეხება ხელფასს, მის გადიდებას თუ შემცირებას მუდამ განიხილავდნენ არა იმ პ რ ო კ ო რ ც ი ის მიხედვით, რომელშიც იგი შეიძლება იმყოფებოდეს მთელ პროდუქტთან, რომელიც შრომის გარკვეული რაოდენობის მეოხებით მიიღება, არამედ იმ გარკვეული პროდუქტის მეტი ან ნაკლები რაოდენობის მიხედვით, რომელსაც მუშა ღებულობს, ანდა იმის მიხედვით, იძლევა ეს პროდუქტი პირველი საქიროებისა და კეთილმოწყობილობის საგნების გაშვებლობის მეტ თუ ნაკლებ უფლებას» («Definitions», London, 1827, გვ. 29—30).

რადგან კაპიტალისტური წარმოების დროს უშუალო მიზანია ს ა ც ვ ლ ე ლ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა —საცვლელი ღირებულების გადიდება,— ამიტომ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, როგორ გაიზომოს იგი. რადგან ავანსებული კაპიტალის ღირებულება გამოიხატება ფულით (ნამდვილით თუ საანგარიშოთი), ამ გადიდების ხარისხი იზომება თვით კაპიტალის ფულადი სიდიდის მიმართ, და მასშტაბად აღებულია გარკვეული სიდიდის კაპიტალი (ფულის თანხა) — 100.

«კაპიტალის მოგებას», — ამბობს მალთუსი, — «შეადგენს განსხვავება ავანსებულ კაპიტალის ღირებულებასა და იმ ღირებულებას შორის, რაც საქონელს აქვს, როცა მას გაყიდა ან მოხმარენ» («Definitions», London, 1827, გვ. 240—241).

[8] შუასაბამოვა მწარმოებლურ შრომასა და დაბრკობაზე მალთუსის წიხაღულებასა და მის მოსახლეობის თეორიას შორის]

[ა] მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომა

შემოსავალი ის, რაც იხარჯება სიცოცხლის უშუალო შენარჩუნებისა და სიამოვნებათა მიღებას მიზნით, ხოლო კაპიტალი ის, რაც იხარჯება მოგების მიღების მიზნით» («Definitions», London, 1827, გვ. 86).

«მუშა და შინამსახური წარმოადგენენ ორ იარაღს, რომელთაც სრულიად სხვადასხვა მიზნებისათვის იყენებენ: პირველი უნდა გვეხმარებოდეს სიმდიდრის შექენაში, მეორე უნდა გვეხმარებოდეს მის მოხმარებაში» (იქვე, გვ. 94)¹³.

* — უსასრულოდ. რ ე დ.

2. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

კარგია მწარმოებელი მუშის შემდეგი განმარტება:

«მწარმოებელი მუშა ისეთი მუშაა, რომელიც უშუალოდ ადიდებს თავისი საქარმოს მებატრონის სიმდიდრეს» («Principles of Political Economy» [2nd edition], გვ. 47 [შენიშვნა].

ამას უნდა შედარდეს კიდევ შემდეგი ადგილი:

«ერთადერთი მწარმოებელი მოხმარება ამსიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ეს არის კაპიტალისტების მიერ სიმდიდრის მოხმარება და განადგურება კელაქწარმოების მიზნით... კაპიტალისტთან მომუშავე მუშა თავისი ხელფასის იმ ნაწილს, რასაც იგი არ შეინახავს, ხმარობს. რა თქმა უნდა, როგორც შემოსავალს თავისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად და სიამოვნებათა მისაღებად, და არა როგორც კაპიტალს წარმოების მიზნებისათვის. იგი მწარმოებელი მომხმარებელი იმ პირისათვის, რომელიც მის შრომას იყენებს; და სახელმწიფოსათვის, მაგრამ, სწორედ რომ ვთქვათ, არა თავისი თავისთვის» («Definitions», edited by Cazenove, გვ. 30).

[ბ] ღაგრომება

«ჩვენი დროის პოლიტიკური ეკონომიის არც ერთ მკვლევარს არ შეიძლება სიტყვა დაზოგვა ესმოდეს როგორც ფასეულობათა უბრალო ღაგრომება; და თუ არ ევლა პარაკებთ ამ შეზღუდულ და უნაყოფო ოპერაციასზე, ტერმინი «ღაგრომება» ეროვნული სიმდიდრის მიმართ შეიძლება იხმარებოდეს მხოლოდ იმ აზრით, რომელიც გამომდინარეობს იმის სხვადასხვა გამოყენებიდან, რაც იზოგება, იმ რეალური განსხვავების საფუძველზე, რაც ღანაზოგი საშუალებებით დაქირავეული შრომის სხვადასხვა სახეობას შორის არსებობს» («Principles of Political Economy» [2nd edition], გვ. 38—39).

კაპიტალის ღაგრომება არის შემოსავლის ნაწილის გამოყენება კაპიტალის სახით. ამიტომ კაპიტალი შეიძლება იზრდებოდეს არსებული ქონების, ანუ სიმდიდრის გაუდიდებლად» («Definitions», edited by Cazenove, გვ. 11).

«თუ უმთავრესად მრეწველობასა და ვაჭრობაზე დამოკიდებული ქვეყნის მუშათა კლასს შორის მნიშვნელოვნად ვრცელდება კეთილგონიერი ჩვეულებანი დაქორწინებასთან დაკავშირებით, ამან შეიძლება აენოს ასეთ ქვეყანას» («Principles of Political Economy» [2nd edition], გვ. 215).

და ამას ღაპარაკობს ჭარბმოსახლეობის წინააღმდეგ გამაფრთხილებელი ზომების მქადაგებელი!

«პირველი საჭიროების საგანთა ნაკლებობა — აი უმთავრესად რა აიძულებს მუშათა კლასს აწარმოოს ფუფუნების საგნები; თუ ეს სტიმული მოიხსნებოდა ან მნიშვნელოვნად შესუსტდებოდა, ისე რომ პირველი საჭიროების საგნების მიღება შესაძლებელი იქნებოდა ცოტადენი შრომის დახარჯვით, ჩვენ ყველა საფუძველი გვექნებოდა გვეოჭრა, რომ კომფორტის საგნების წარმოებას დაეთმობოდა არა მეტი, ირამედ ნაკლები დრო» («Principles of Political Economy» [2nd edition], გვ. 334).

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ჭარბმოსახლეობის თეორეტიკოსის შემდეგი დებულება:

«რადგან მოსახლეობის ბუნებიდან გამომდინარეობს, რომ მუშა მოსახლეობის ნა-მატი არ შეიძლება ბაზარზე გაიყოს. ვაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაბადებიდან 16—18 წელზე ადრე, მაშინ როდესაც შემოსავლის კაპიტალად გადაქცევა დანაზოგთა მეოხებით შეიძლება გაცილებით უფრო სწრაფად, ამიტომ ქვეყანა მუდამ ეწევა იმის რისკს, რომ შრომის შესანახი ფონდები უფრო სწრაფად გაიზრდებან, ვიდრე მოსახლეობა» (იქვე, გვ. 319—320).

[765] კეიზნოვი სწორად შენიშნავს:

«როცა კაპიტალი იმისთვის გამოიყენება, რომ მუშებს ავანსად მიეცეს მათი ხელფასი, ეს არაფერს არ უმატებს შრომის შესანახ ფონდებს. არამედ ეს არის უბრალოდ ამ ეკვე არსებული ფონდების გარკვეული ნაწილის გამოყენება წარმოების მიზნებისათვის» («Definitions in Political Economy», edited by Cazenove, გვ. 22, შენიშვნა).

[9] მუდმივი და ცვალებადი კაპიტალი [მათი მალთუსისეული გაგება]

«დაგროვილი შრომა» (არსებითად უნდა ეთქვას: მატერიალურული შრომა, გასაგნობრივებული შრომა) «არის იმ ნედლეულისა და იარაღების წარმოებაზე დახარჯული შრომა, რომლებიც სხვა საქონელთა წარმოებისას გამოიყენება» («Definitions in Political Economy», edited by Cazenove, გვ. 13).

«როცა საქონელთა წარმოებაზე დახარჯული შრომის შესახებ ვლაპარაკობთ, მათი წარმოებისათვის აუცილებელი კაპიტალის წარმოებაზე დახარჯული შრომისათვის უნდა გვეწოდებინა დაგროვილი შრომა — განსხვავებით უშუალო შრომისაგან, რომელსაც უკანასკნელი კაპიტალისტი იყენებს» [ე. ი. რომელიც საქონლის წარმოების უკანასკნელ სტადიაში გამოიყენება] (იქვე, გვ. 28—29).

რა თქმა უნდა, ამ განსხვავების მითითება მეტად არსებითია. მაგრამ მალთუსს იგი სრულიად უნაყოფო გამოუდის.

მალთუსი ცდილობს ზედმეტი ღირებულება ან, ყოველ შემთხვევაში, მისი ნორმა (რასაც იგი, სხვათა შორის, ყოველთვის ურევს მოგებასა და მოგების ნორმასი) გაიგოს როგორც შეფარდება ცვალებად კაპიტალთან, კაპიტალის იმ ნაწილთან, რომელიც უშუალო შრომაზე იხარჯება. მაგრამ მალთუსის ეს ცდა ბევრეურია, და იგი არც შეიძლება სხვანაირი ყოფილიყო ღირებულებაზე მისი შეხედულების პირობებში. თავის თხზულებაში «Principles of Political Economy» [2nd edition] იგი ამბობს:

დაეუშვათ. რომ კაპიტალი დაიხარჯა მხოლოდ ხელფასზე. 100 გირვ. სტერლ. დაიხარჯა უშუალო შრომაზე. თუ წლის ბოლოს მოგება შეადგენს 110, 120 ან 130 გირვ. სტერლინგს, ცხადია, რომ თითოეულ ამ შემთხვევაში მოგების განმსაზღვრელი იქნება ერთობლივი პროდუქტის ღირებულების იმ ნაწილის სიდიდე, რომელიც საჭიროა გამოყენებული შრომის ასანაზღაურებლად. თუ პროდუქტის ღირებულება ბაზარზე უდრის 110-ს, მუშების გასასტუმრებლად საჭირო ნაწილი იქნება პროდუქტის ღირებულების 10¹/₁₁, მოგება კი შეადგენს 10% -ს. თუ პროდუქტის ღირებულება არის 120, შრომის ასანაზღაურებლად საჭირო წილი იქნება 10¹/₁₂, მოგება კი შეადგენს 20%; თუ პროდუქტის ღირებულება არის 130, ავანსებული შრომის ასანაზღაურებლად საჭირო ნაწილი უდრის 10¹/₁₃-ს, მოგება კი შეადგენს 30%-ს. ახლა დაეუშვათ, რომ კაპიტალისტის მიერ ავანსებული კაპიტალი შედგება არა მარტო შრომისაგან. კაპიტალისტი თანაბარ სარგებლობას მოელის მის მიერ ავანსებული კაპიტალის ყველა ნაწილისაგან. ეთქვას, ავანსებული თანხის 1/4 იხარჯება შრომის (უშუალო შრომის) ანაზღაურებაზე; 3/4 შედგება დაგროვილი შრომისა და მოგებისაგან, ასევე მის იმ დანამატაგან, რაც გამოწვეულია რენტის, გადასახადებისა და სხვა გადასახდელთა არსებობით. ასეთ შემთხვევაში სრულიად მართებული იქნება იმის მტკიცება, რომ კაპიტალისტი სარგებობა იცვლება მისი პროდუქტის ამ 1/4-ის ღირებულების შეცვლასთან ერთად გამოყენებული შრომის რაოდენობასთან შედარებით. მაგალითად, ფერმერს ხარჯავს მიწათმოქმედებაში 2 000 გირვ. სტერლინგს, აქედან 1 500-ს თესლზე, ცხენების შენახვაზე. თავის ძირითადი კაპიტალის გაცევაზე, თავისი ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის სარგებელზე, რენტაზე, სამეთედოზე, გადასახადებზე და ა. შ. — და 500-ს უშუალო შრომაზე, მისი ამონაგები კი წლის ბოლოს შეადგენს 2 400 გირვ. სტერლინგს. ასეთი ფერმერის მოგება იქნება 400 2000 გირვ. სტერლინგზე, ე. ი. 20%. და ასევე ცხადია, რომ თუ ავიღებთ პროდუქტის ღირებულების 1/4-ს, ე. ი. 600 გირვ. სტერლინგს, და შევადარებთ მას თანხას, გადასახდელს ხელფასის სახით უშუალო შრომაში, შედეგად მივიღებთ მოგების იმავე ნორმას» (გვ. 267—268).

მალთუსი აქ ლორდ-დენდრიერიზში¹⁴ ვარდება. მას სურს (ბუნდოვანი ალლო უკარნახებს მას, რომ ზედმეტი ღირებულება, მასთანადამე, მოგებაც, გარკვეულ შეფარდებაშია ცვალებად, ხელფასზე დახარჯულ კაპიტალთან) დამტკიცოს, რომ „მოგება განისაზღვრება ერთობლივი პროდუქტის ღირებულების იმ ნაწილის სიდიდით, რომელიც საჭიროა გამოყენებული შრომის ასანაზღაურებლად“. დასაწყისში იგი სწორად მსჯელობს იმდენად, რამდენადაც გულისხმობს, რომ მთელი კაპიტალი შედგება ცვალებადი კაპიტალისაგან, ხელფასზე დახარჯული კაპიტალი-საგან. ამ შემთხვევაში მოგება და ზედმეტი ღირებულება, მართლაც, იდენტურია. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მალთუსი კმაყოფილდება სრულიად უაზრო შენიშვნით. თუ დახარჯული კაპიტალი უდრის 100-ს, მოგება კი — 10% -ს, პროდუქტის ღირებულება უდრის 110-ს, მოგება შეადგენს

დახარჯული კაპიტალის $\frac{1}{10}$ -ს (მაშასადამე, 10%-ს მის მიმართ) და ერთობლივი პროდუქტის ღირებულების $\frac{1}{11}$ -ს, რაშიც მალთუსმა უყვე თვით მოგების ღირებულებაც შეიტანა. ამრიგად, მოგება შეადგენს ერთობლივი პროდუქტის ღირებულების $\frac{1}{11}$ -ს, ავანსებული კაპიტალი კი შეადგენს ამ ღირებულების $\frac{10}{11}$ -ს. ის ვარემოება, რომ მოგების 10% შეიძლება ერთობლივი პროდუქტის ღირებულების მიმართ ისე გამოიხატოს, რომ ერთობლივი პროდუქტის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც მოგებისაგან არ შედგება, უდრის ერთობლივი პროდუქტის $\frac{10}{11}$ -ს, ანდა რომ პროდუქტი, რომელსაც 100 ვირგ. სტერლ. ღირებულება აქვს და რომელშიც მოგების 10% შედის, შეიცავს იმ ხარჯებს თავისი ღირებულების $\frac{10}{11}$ -ის ოდენობით, რომლებზეც მიღებულია სწორედ ეს მოგება, — ეს ბრწყინვალე მათემატიკური მსჯელობა ისე ართობს მალთუსს, რომ იგი ასეთსავე გამოანგარიშებას იმეორებს იმ მაგალითების შემთხვევაშიც, სადაც მოგება შეადგენს 20, 30 და ა. შ. პროცენტს. აქამდე ჩვენ უწინდებურად მხოლოდ ტავტოლოგია გვაქვს. მოგება — ეს არის პროცენტული შეფარდება დახარჯულ კაპიტალთან; ერთობლივი პროდუქტის ღირებულება შეიცავს მოგების ღირებულებას, დახარჯული [766] კაპიტალი კი არის ერთობლივი პროდუქტის ღირებულება მინუს მოგების ღირებულება. მაშასადამე, $110 - 10 = 100$. 100 კი შეადგენს $\frac{10}{11}$ -ს 110-დან. მაგრამ განვაგრძოთ.

ავილოთ კაპიტალი, რომელიც შედგება არა მარტო ცვალებადი, არამედ აგრეთვე მუდმივი კაპიტალისაგანაც. „კაპიტალისტი თანაბარ სარგებლობას მოელის მის მიერ ავანსებული კაპიტალის ყველა ნაწილისაგან“. მართალია, ეს ეწინააღმდეგება ახლახან წამოყენებულ მტკიცებას, რომ მოგება (უნდა თქმულიყო: ზედმეტი ღირებულება) განისაზღვრება ხელფასზე დახარჯულ კაპიტალთან შეფარდებით. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას? მალთუსი ისეთი ადამიანი როდია, რომელიც კაპიტალისტის „მოლოდინს“ ან წარმოდგენებს შეეწინააღმდეგებოდა. მაგრამ აქ იგი რეკორდს ამყარებს. ავილოთ 2 000 ვირგ. სტერლ. კაპიტალი, ამასთან მისი $\frac{3}{4}$, ანუ 1 500 ვირგ. სტერლ., შეადგენს მუდმივ კაპიტალს, $\frac{1}{4}$ კი, ანუ 500 ვირგ. სტერლ., — ცვალებად კაპიტალს. მოგება = 20%. მაშინ მოგება შეადგენს 400, პროდუქტის ღირებულება კი $2\ 000 + 400 = 2\ 400$ ვირგ. სტერლინგს¹⁵. ავილოთ [განაგრძობს მალთუსი] ერთობლივი პროდუქტის $\frac{1}{4}$. ამ მეოთხედის ღირებულება უდრის 600 ვირგ. სტერლინგს. დახარჯული კაპიტალის ერთი მეოთხედი უდრის 500 ვირგ. სტერლინგს, ე. ი. მთელი ავანსებული კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც ხელფასზე დაიხარჯა, 100 ვირგ. სტერლინგი კი შეადგენს მოგების ერთ მე-

ოთხედს და უდრის ერთობლივი მოგების იმ ნაწილს, რომელიც უწევს კაპიტალისტის მიერ გადახდილი ხელფასის მთელ ჯამს. და ეს, მალთუსის აზრით, უნდა ამტკიცებდეს, რომ „კაპიტალისტის მოგება იცვლება მისი პროდუქტის ამ $\frac{1}{4}$ -ის ღირებულების შეცვლასთან ერთად გამოყენებული შრომის რაოდენობასთან შედარებით“. სინამდვილეში ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ გარკვეული პროცენტული ნორმის მოგება, მაგალითად, 20%, მოცემულ კაპიტალზე, ვთქვათ, 4 000 გირვ. სტერლინგზე, შეადგენს 20% მოგებას ამ კაპიტალის ყოველ ცალკეულ ნაწილზე, რაც ტაგტოლოგიას წარმოადგენს. მაგრამ ეს აბსოლუტურად არ არის იმის დამამტკიცებელი, რომ არსებობს რაღაც გარკვეული, განსაკუთრებული, სპეციფიკური შეფარდება ამ მოგებისა კაპიტალის იმ ნაწილთან. რომელიც ხელფასზე იხარჯება. თუ ავიღებთ ერთობლივი პროდუქტის $\frac{1}{4}$ -ის ნაცვლად, როგორც ეს ბ-ნმა მალთუსმა გააკეთა, $\frac{1}{24}$ -ს, ე. ი. 100 გირ. სტერლინგს (2 400 გირვ. სტერლინგიდან), ეს 100 გირვ. სტერლინგიც შეიცავს აგრეთვე 20% მოგებას, სხვა სიტყვებით: ამ თანხის $\frac{1}{6}$ შეადგენს მოგებას. კაპიტალი ამ შემთხვევაში იქნებოდა 83 $\frac{1}{3}$ გირვ. სტერლ., მოგება კი — 16 $\frac{2}{3}$ გირვ. სტერლინგი. და თუ ეს 83 $\frac{1}{3}$ გირვ. სტერლ. იქნებოდა, მაგალითად, წარმოებაში გამოყენებული ცხენის ღირებულების ტოლი, მაშინ მალთუსის მიხედვით, დამტკიცებული იქნებოდა, რომ მოგება იცვლება ცხენის ღირებულების ცვლილებასთან ერთად. ანუ ერთობლივი პროდუქტის ისეთ ნაწილთან ერთად, რომელიც 28 $\frac{1}{5}$ -ჯერ ნაკლებია მთელზე.

ასეთ უბადრუტობას ამჟღავნებს მალთუსი იქ, სადაც იგი საკუთარ ფეხზე დგება და არ შეუძლია პლაგიატი ჩაიდინოს არც ტაუნსენდის, არც ანდერსენის და არც კიდევ სხვა ვინმეს მიმართ. არსებითად საყურადღებოა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რაც ამ სუბიექტისთვისაა დამახასიათებელი) მისი ბუნდოვანი მიხვედრა იმისა, რომ ზედმეტი ღირებულების გამომანგარიშება უნდა ხდებოდეს კაპიტალის იმ ნაწილის მიხედვით, რომელიც ხელფასზე იხარჯება.

ჩრცა მოგების ნორმა მოცემულია, ერთობლივი მოგება, მოგების მასა დამოკიდებულია ავანსებული კაპიტალის სიდიდეზე, დაგროვება კი ამ შემთხვევაში განისაზღვრება ამ მასის იმ ნაწილით, რომელიც ხელახლა გადაიქცევა კაპიტალად. მაგრამ ეს ნაწილი, რადგან იგი უდრის ერთობლივ მოგებას მინუს კაპიტალისტის მიერ მოხმარებული შემოსავალი, დამოკიდებული იქნება არა მარტო ამ მასის ღირებულებაზე, არამედ იმ საქონელთა სიაფეზეც, რომელთა ყიდვაც კაპიტალისტს ამით შეუძლია, — ნაწილობრივ მის მოხმარებაში, მის შემოსავალში შემავალ საქონელთა სიაფეზე, ნაწილობრივ მუდმივ კაპიტალში შე-

მავალ საქონელთა სითავებზე. რადგან მოგების ნორმა აქ ნაგულისხმევია როგორც მოცემული, ასევე მოცემულად იგულისხმება ხელფასიც.)

[10] მალთუსისეული ღირებულების თეორია [დამატებითი შენიშვნები]

მალთუსის თანახმად, შრომის ღირებულება არასოდეს არ იცვლება (ეს ვადმოსულის ა. სმიტიდან), იცვლება მხოლოდ იმ საქონლის ღირებულება, რომელსაც მე შრომაში ვღებულობ*. ვთქვათ, ერთ შემთხვევაში ხელფასი შეადგენს 2 შილინგს სამუშაო დღეში, მეორე შემთხვევაში — 1 შილინგს. პირველ შემთხვევაში იმავე სამუშაო დროში კაპიტალისტი ორჯერ მეტ შილინგს იძლევა, ვიდრე მეორეში. მაგრამ მეორე შემთხვევაში იმავე პროდუქტისათვის მუშა იძლევა ორჯერ მეტ შრომას, ვიდრე პირველ შემთხვევაში, იმიტომ, რომ მეორე შემთხვევაში იგი ერთ შილინგად მთელ სამუშაო დღეს მუშაობს, პირველში კი — მხოლოდ ნახევარ სამუშაო დღეს. ბ-ნი მალთუსი მხოლოდ იმას ხედავს, რომ კაპიტალისტი ერთსა და იმავე შრომაში ხან მეტ შილინგს იძლევა, ხან კი ნაკლებს. იგი ვერ ხედავს, რომ მუშაც სასებთით ამის შესაბამისად გარკვეულ პროდუქტში ხან მეტ შრომას გაიღებს, ხან ნაკლებს.

«მისეც მეტი პროდუქტი შრომის გარკვეულ რაოდენობაში ანა მიიღო მეტი შრომა პროდუქტის გარკვეულ რაოდენობაში. — მისი» (მალთუსის) «თელსაზრისით ერთი და იგივეა. ნამდვილად კი ყოველი ადამიანი იფიქრებდა, რომ ეს სწორედ საპირისპირო რამაა» («Observations on certain Verbal Disputes in Political Economy, particularly relating to Value, and to Demand and Supply». London, 1821, გვ. 52).

ამავე თხზულებაში («Observations on certain Verbal Disputes» etc. London, 1821) მეტად მართებულად არის აღნიშნული, რომ შრომა როგორც საზომი ღირებულებებისა — იმ აზრით, როგორითაც მას აქ მალთუსი იღებს, ეყრდნობა რა ა. სმიტის ერთ-ერთ კონცეფციას, — სასებთით ისევე შეიძლებოდა გამომდგარიყო ღირებულებების საზომად, როგორც ყოველი სხვა საქონელი, და რომ იგი, შრომა, არ იქნებოდა ამ აზრით ისეთი კარგი საზომი, როგორიც სინამდვილეში ფულია. აქ შეიძლებოდა საერთოდ ლაპარაკი ყოფილიყო მხოლოდ ღირებულებათა საზომზე იმ აზრით, რა აზრითაც ღირებულებების საზომს ფული წარმოადგენს.

* იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 24--25. რ. ე. დ.

[767] საერთოდ საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ღირებულებათა საზომი ფულის აზრით არასოდეს არ არის ხოლმე ის, რის მეოხებითაც სხვადასხვა საქონელი ერთიმეორის თანაზომადი ხდება, — იხ. ჩემი თხზულების პირველი ნაწილი, გვ. 45¹⁶:

„პირიქით, მხოლოდ საქონელთა — როგორც გასაგნობრივებული სამეშაო დროის — თანაზომადობა ხდის ოქროს ფულად“.

როგორც ღირებულებანი, საქონელნი წარმოადგენენ რაღაც ერთიანს. ისინი მხოლოდ ერთი და იმავე ერთიანი სუბსტანციის — საზოგადოებრივი შრომის გამოხატულებებია. ღირებულების საზომი (ფული) უკვე გულისხმობს მათ როგორც ღირებულებებს და მიმართებაშია მხოლოდ ამ ღირებულების გამოხატვასა და სიდიდესთან. საქონელთა ღირებულებების საზომი ყოველთვის მიმართებაშია ღირებულებათა გარდაქმნასთან, უკვე გულისხმობს ღირებულებას.

ის ადგილი „Observations“-ში, რომელიც ნაგულისხმევი იყო ზემოთ, გვაუწყებს:

«ბ-ნი მალთუსი ამბობს: «ერთსა და იმავე ადგილას და ერთსა და იმავე დროს დღიური შრომის სხვადასხვა რაოდენობანი, რომლებიც სხვადასხვა საქონლის განკარგულებაშია, ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს ამ საქონელთა შეფარდებითს ღირებულებებს, და პირიქით»¹⁷. თუ ეს სწორია შრომის მიმართ, ასევე ზუსტად სწორი უნდა იყოს პირველი სხვა საგნის მიმართაც» («Observations on certain Verbal Disputes», გვ. 49). «ფული ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე ადგილას ძლიერ კარგად მოქმედებს ღირებულებათა საზომის სახით... მაგრამ ეს» (ე. ი. მალთუსის დებულება), «ჩანს, არ არის სწორი შრომის მიმართ. შრომა არ არის საზომი თვით ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე ადგილასაც კი. ავიღოთ პურის ისეთი რაოდენობა, რომელიც ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე ადგილას უდრის ღირებულების მიხედვით გარკვეულ ბრილიანტს; იქნება თუ არა პურისა და ბრილიანტის განკარგულებაში, თუ მათ ხელთან შრომაში მათი ნატურალური ფორმით, შრომის თანაბარი რაოდენობა? შეიძლება გვითხრან: არ იქნება, მაგრამ ბრილიანტი ყიდულობს ფულს, რომელსაც თავის განკარგულებაში ექნება შრომის იმდენივე რაოდენობა... ღირებულების განსაზღვრის ასეთი მეთოდი უსარგებლოა, რადგან მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი შესწორებული იქნება სხვა მეთოდით, რომელიც მან ეთიომდა შეცვალა. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ დავასკვნათ, რომ პურისა და ბრილიანტის განკარგულებაში შრომის თანაბარი რაოდენობა იმიტომეა, რომ მათ თანაბარი ღირებულება აქვთ ფულის სახით. ჩვენ კი გვთავაზობენ ის დავასკვნა გავაკეთოთ, რომ ორ ნივთს თანაბარი ღირებულება იმიტომ აქვს, რომ მათს განკარგულებაშია შრომის თანაბარი რაოდენობანი» (იქვე, გვ. 49—50).

[11] **ჭარბწარმოება, «არამწარმოებალი მომხმარებლები»
და ა. შ. [მალთუსი იცავს «არამწარმოებალ მომხმარებელთა»
მფლანგველობას როგორც საშუალებას ჭარბწარმოების
წინააღმდეგ]**

მალთუსის ღირებულების თეორიიდან გამომდინარეობს მთელი მისი მოძღვრება მუდმივად მზარდი არამწარმოებლური მოხმარების აუცილებლობაზე, რასაც ასე მომაბეზრებლად გადმოგვეცემა ჭარბმოსახლეობის თეორიის ეს მქადაგებელი (ჭარბმოსახლეობისა, რომელიც საარსებო საშუალებათა ნაკლებობიდან გამომდინარეობს). საქონლის ღირებულება უდრის ავანსებული მასალების, მანქანებისა და ა. შ. ღირებულებას პლუს მასში მოთავსებული უშუალო შრომის რაოდენობა, რაც, მალთუსის თანახმად, უდრის საქონელში მოთავსებული ხელფასის ღირებულებას პლუს ყველა ამ ავანსის წანამატი მოგების საერთო ნორმის დონის შესაბამისად. საქონლის ფასში შეტანილი ეს ნომინალური წანამატი შეადგენს სწორედ, მალთუსის მიხედვით, მოგებას და იგი საქონლის მიწოდების, ე. ი. კვლავწარმოების პირობაა. ყველა ეს ელემენტი შეადგენს ფასს მყიდველისათვის განსხვავებით ფასის ავანსმწარმოებლისათვის, ფასი მყიდველისათვის კი არის სწორედ საქონლის ნამდვილი ღირებულება. ახლა ისმება საკითხი, როგორ ხდება ამ ფასის რეალიზაცია? ვინ უნდა იხილდეს მას? და რომელი ფონდიდან უნდა იქნეს იგი გადახდილი?

მალთუსის შეხედულებათა განხილვისას უნდა განვსხვავოთ შემდეგი (ამ განსხვავებას თვითონ მალთუსი არ აკეთებს). კაპიტალისტების ერთი ნაწილი აწარმოებს ისეთ საქონელს, რომელიც უშუალოდ შედის მუშის მოხმარებაში; მეორე ნაწილი აწარმოებს ისეთ საქონელს, რომელიც ამ მოხმარებაში შედის ან მხოლოდ არაკაპიტალიზაციის (რამდენადაც ეს საქონელი, როგორც ნედლეული, მანქანები და ა. შ., შედის პირველი საჭიროების საგანთა წარმოებისათვის აუცილებელ კაპიტალში), ანდა სრულიად არ შედის მუშის მოხმარებაში ი, რადგან იგი მხოლოდ არამუშების შემოსავალში შედის.

ამრიგად, განვიხილოთ პირველ ყოვლისა ის კაპიტალისტები, რომლებიც აწარმოებენ მუშების მოხმარებაში შემავალ საგნებს. ეს კაპიტალისტები არა მარტო ყიდულობენ მუშების შრომას, არამედ მიჰყიდიან კიდევც მუშებს ამ უკანასკნელთა მიერ წარმოებულ პროდუქტს. თუ მუშის მიერ მიმატებული შრომის რაოდენობა 100 ტალერი ღირს, კაპიტალისტი უხდის მუშას 100 ტალერს. და ეს [მალთუსის თანახმად] ერთადერთი ღირებულებაა, რომელსაც კაპიტალისტის მიერ ნაყიდი შრომა უმატებს ნედლეულს და ა. შ. ამრიგად, მუშა ღებულობს თავისი შრომის ღირებულე-

ბას და სანაცვლოდ კაპიტალისტს აძლევს მხოლოდ ამ ღირებულების ეკვივალენტს. მაგრამ თუმცა ნომინალურად მუშა ღებულობს ამ ღირებულებას, სინამდვილეში იგი ღებულობს საქონელთა უფრო ნაკლებ რაოდენობას, ვიდრე მან აწარმოვა. სინამდვილეში იგი უკანვე ღებულობს პროდუქტში გასაგნობრივებული თავისი შრომის მხოლოდ ნაწილს. სახელობრ, წარმოვიდგინოთ სიმარტივისათვის, როგორც ამას ხშირად აკეთებს მალ-თუსი, რომ კაპიტალი შედგება მხოლოდ ხელფასზე დახარჯული კაპიტა-ლისაგან. თუ 100 ტალერი ავანსად მიეცა მუშას, რათა საქონელი აწარ-მოოს, და ეს 100 ტალერი წარმოადგენს ნაყიდი შრომის ღირებუ-ლებას და ერთადერთ ღირებულებას, რასაც ეს შრომა პროდუქტს უმატებს, მაშინ კაპიტალისტი, მიუხედავად ამისა, ამ საქონელს ყიდის 110 ტალერად, და მუშას 100 ტალერით შეუძლია გამოისყიდოს მხოლოდ პროდუქტის $\frac{10}{11}$; პროდუქტის $\frac{1}{11}$ — ღირებულება 10 ტალერის ოდენობით ანუ მასა ზედმეტი პროდუქტისა, რომლითაც წარმოდგენილია ეს ზედმეტი ღირებულება 10 ტალერის ოდენობით — წილად ხვდება კაპიტალისტს. თუ კაპიტალისტი საქონელს 120 ტალერად ყიდის, მუშა ღებულობს პროდუქტისა და მისი ღირებულების მხოლოდ $\frac{10}{12}$ -ს, კაპიტალისტი კი — $\frac{2}{12}$ -ს. თუ კაპიტალისტი საქონელს 130 ტალერად (30%) ყიდის, მუშა ღებულობს პროდუქტის მხოლოდ $\frac{10}{13}$ -ს, კაპიტა-ლისტი კი — $\frac{3}{13}$ -ს. თუ კაპიტალისტი ყიდის 50%-ის წანამატით, ე. ი. 150 ტალერად, მუშა ღებულობს პროდუქტის $\frac{2}{3}$ -ს, [768] კაპიტალისტი კი — $\frac{1}{3}$ -ს. რაც უფრო მაღალია ფასი, რომლის კვალობაზეც კაპიტა-ლისტი თავის საქონელს ყიდის, მით უფრო ნაკლებია მუშის წილი, მით უფრო მეტია კაპიტალისტის საკუთარი წილი პროდუქტის ღირებუ-ლებაში, მაშასადამე პროდუქტის რაოდენობაშიც, პროდუქტის ღირე-ბულების ანუ თვით პროდუქტის მით უფრო ნაკლები ნაწილი შეუძლია მუშას გამოისყიდოს თავისი შრომის ღირებულებით. საქმე სრულიად არ იცვლება იმ შემთხვევაში, თუ ცვალებადი კაპიტალის გარდა ავანსად გაიცემა აგრეთვე მუდმივი კაპიტალიც, მაგალითად, გარდა ხელფასისა-თვის გაღებული 100 ტალერისა ავანსად გაიცემა კიდევ 100 ტალერი ნედ-ლეულისათვის და ა. შ. ამ შემთხვევაში, როცა მოგების ნორმა 10 პოცენ-ტია, კაპიტალისტი საქონელს ყიდის არა 210 ტალერად, არამედ 220-ად (საიდანაც მუდმივი კაპიტალი შეადგენს 100 ტალერს, [უშუალო] შრო-მის პროდუქტი კი — 120 ტალერს).

{ს ი ს მ ო ნ დ ის «Nouveaux Principes» etc. პირველად გამოქვეყნ-და 1819 წელს*.)

* იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 57—58. რ ე ბ.

მოცემულ შემთხვევაში **A** კატეგორიის კაპიტალისტებთან, რომლებიც მუშების მოხმარებაში უშუალოდ შემაჯავალ საგნებს, ე. ი. პირველი საჭიროების საგნებს, აწარმოებენ, ჩვენ გვაქვს, მაშასადამე, ისეთი საქმის ვითარება, როცა საქონლის ფასში ნომინალური წანამატის შეტანის გზით—ავანსებული კაპიტალის ფასისადმი მოვების ნორმალური ნამატის შეტანის გზით, მართლა იქმნება ზედმეტი ფონდი კაპიტალისტიკისათვის, რადგან ამ შემოვლილი გზით კაპიტალისტი უბრუნებს მუშას ამ უკანასკნელის მიერ შექმნილი პროდუქტის მხოლოდ ნაწილს, მეორე ნაწილს კი თვითონ მითვისებს. მაგრამ ასეთი შედეგი მიიღება არა იმის გამო, რომ კაპიტალისტი მუშას მიჰყიდის მთელ პროდუქტს გადიდებულ ფასში, არამედ იმის გამო, რომ სწორედ პროდუქტის ღირებულების გადიდების შედეგად კარგავს მუშა მთელი პროდუქტის გამოსყიდვის შესაძლებლობას და მას ამ პროდუქტის მხოლოდ ნაწილი შეუძლია გამოისყიდოს. აქედან გასაგებია, რომ მუშის მოთხოვნა არასოდეს არ შეიძლება საკმარისი იყოს იმისათვის, რომ რეალიზაცია უყოს საყიდელი ფასის გადანამეტს წარმოების ხარჯებზე [cost price]¹⁸, — ე. ი. მოგებას და საქონლის «ღირებულებას». პირიქით, მოგების ფონდი მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ მუშას არ შეუძლია თავისი ხელფასით გამოისყიდოს მთელი თავის პროდუქტი, ე. ი. იმიტომ, რომ მისი მოთხოვნა არ შეესაბამება მოწოდებას. ამრიგად, **A** კატეგორიის კაპიტალისტის განკარგულებაშია გარკვეული ღირებულების (მოცემულ შემთხვევაში 20 ტალერის) საქონლის გარკვეული რაოდენობა, რომელიც მას არ სჭირდება კაპიტალის ასანაზღაურებლად და რომელიც მას შეუძლია ნაწილობრივ დახარჯოს როგორც შემოსავალი. ნაწილობრივ კი დაგროვებისათვის გამოიყენოს. ნოტაბენე: თუ რა ოდენობით რჩება კაპიტალისტის ხელში ასეთი ფონდი, ეს დამოკიდებულია წარმოების ხარჯების ღირებულებებზე წანამატზე, რომელიც მან გააკეთა და რომელიც განსაზღვრავს პროპორციას, რომლითაც ერთობლივი პროდუქტი ნაწილდება კაპიტალისტსა და მუშას შორის.

გადავიდეთ ახლა **B** კატეგორიის კაპიტალისტებზე, რომელიც **A** კატეგორიის კაპიტალისტებს აწვდის ნედლეულს, მანქანებს და ა. შ. — მოკლედ, მუდმივ კაპიტალს. **B** კატეგორიას შეუძლია თავისი საქონელი მიჰყიდოს მხოლოდ **A** კატეგორიას, რადგან იგი ვერ მიჰყიდის თავის საკუთარ პროდუქტებს ვერც მუშებს, რომლებიც ვერაფრად ვერ გამოიყენებენ კაპიტალს (ნედლეულს, მანქანებს და ა. შ.), ვერც კაპიტალისტებს, რომლებიც აწარმოებენ ფუფუნების საგნებს (ე. ი. ყოველივე იმას, რაც არ წარმოადგენს პირველი საჭიროების საგნებს, არ შედის მუშათა კლასის ჩვეულებრივ მოხმარებაში), ვერც ისეთ კაპიტა-

ლისტებს, რომლებიც ფუფუნების საგნების საწარმოებლად საჭირო მუდმივ კაპიტალს აწარმოებენ.

ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ A კატეგორიის მიერ ავანსებულ კაპიტალში არის 100 ტალერი მუდმივი კაპიტალისათვის. ამ მუდმივი კაპიტალის ფაბრიკანტმა, თუ მოგების ნორმა 10%-ს უდრის, იგი აწარმოვა ისეთ პირობებში, როცა წარმოების ხარჯები შეადგენდა $90^{10}/_{11}$ ტალერს, ყიდის კი 100 ტალერად ($90^{10}/_{11} : 9^{1}/_{11} = 100 : 10$). მაშასადამე, იგი თავის მოგებას ღებულობს A კატეგორიის ხარჯზე. და ამიტომ იგი ღებულობს A კატეგორიის პროდუქტიდან, რომელიც 220 ტალერად იყიდება, თავის 100 ტალერს, და არა მხოლოდ $90^{10}/_{11}$, რითაც იგი, ვთქვათ, უშუალო შრომას ყიდულობს. B თავის მოგებას სრულიადაც არ ღებულობს თავისი მუშებისაგან, რომელთა $90^{10}/_{11}$ ტალერად ღირებული პროდუქტიც მას არ შეუძლია უკანვე მიჰყიდოს მათ 100 ტალერად, რადგან ისინი საერთოდ მისგან არაფერს ყიდულობენ. მიუხედავად ამისა, B კატეგორიის მუშების მდგომარეობა ისეთივეა, როგორც A კატეგორიის მუშებისა. $90^{10}/_{11}$ ტალერით ისინი საქონლის ისეთ რაოდენობას ღებულობენ, რომელსაც $90^{10}/_{11}$ ტალერი ღირებულება აქვს მხოლოდ ნომინალურად, რადგან A-ს პროდუქტის ყოველი ნაწილის ფასი თანაბრად არის გაღიღებული, ანდა მისი ღირებულების ყოველი ნაწილი წარმოადგენს, მოგების წანამატის შესაბამისად, პროდუქტის შემცირებულ ნაწილს.

{ მაგრამ ფასების ასეთი ხელოვნურად აწევა შეიძლება გავრძელდეს მხოლოდ გარკვეულ პუნქტამდე, რადგან მუშა უნდა ღებულობდეს საკმაო საქონელს, რათა შეეძლოს არსებობა და თავისი სამუშაო ძალის კვლავ-წარმოება. თუ კაპიტალისტი A 100 პროცენტს წაუმატებდა და საქონელს, რომელიც მას 200 ტალერი უჯდება, 400 ტალერად გაყიდდა, მუშას შეეძლო პროდუქტის მხოლოდ $\frac{1}{4}$ გამოესყიდა (თუ იგი 100 ტალერს ღებულობს). და თუ მუშას არსებობისათვის პროდუქტის ნახევარი დასჭირდებოდა, კაპიტალისტი უნდა გადაეხადა მისთვის 200 ტალერი. ამრიგად, კაპიტალისტი დაიტოვებდა მხოლოდ 100 ტალერს (100 ტალერი შეადგენს მუდმივ კაპიტალს და 200 ტალერი — ხელფასს). მაშასადამე, აქ იგივე გამოვიდა, რაც იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალისტი საქონელს, რომელიც მას 200 ტალერი უჯდება, 300 ტალერად გაყიდდა და მუშას ხელფასად 100 ტალერს გადაუხდიდა. }

თავის მოგების ფონდს B კატეგორიის კაპიტალისტი ღებულობს არა (უშუალოდ) თავისი მუშების მეოხებით, არამედ იმით, რომ თავის საქონელს მიჰყიდის A კატეგორიის კაპიტალისტს. A-ს პროდუქტი B კატეგორიის კაპიტალისტისათვის არა მარტო მისი მოგების რეალიზაციის საშუალებაა, არამედ იგი მოგების მის საკუთარ ფონდსაც შეადგენს.

ამასთან ნათელია, რომ A კაპიტალისტს არ შეუძლია მუშების წყალობით მიღებული მოგების რეალიზაცია მოახდინოს იმით, რომ თავის საქონელს B კაპიტალისტს მიჰყიდის, და რომ B კაპიტალისტს, ისევე როგორც A კაპიტალისტის საკუთარ მუშებსაც, არ შეუძლია წამოაყენოს მისი პროდუქტის საკმაო მოთხოვნა (რათა უზრუნველყოს ამ პროდუქტის გასაღება მისი ღირებულების მიხედვით). აქ, პირიქით, ძალაში შედის უკვე უკუქმედება. [769] რაც უფრო მეტს წაუმატებს მოგებას A კაპიტალისტი, მით უფრო მეტი იქნება, მუშების საზიანოდ, ერთობლივი პროდუქტის ის ნაწილი, რომელსაც იგი მიითვისებს და რომელიც B კაპიტალისტს არა აქვს.

B კაპიტალისტი იმავე ოდენობით აკეთებს წანამატს, რა ოდენობითაც A კაპიტალისტი. B კაპიტალისტი თავის მუშებს უხდის უწინდებურად $90^{10}/_{11}$ ტალერს, თუმცა მუშები ამ ფულით ნაკლებ საქონელს ღებულობენ. მაგრამ თუ A 10-ის ნაცვლად 20%-ს ღებულობს, B-ც აგრეთვე იღებს 20%-ს ნაცვლად 10-ისა და თავის საქონელს ყიდის $109^{1}/_{11}$ ტალერად ნაცვლად 100-ისა. ამით დანახარჯთა ეს ნაწილი იზრდება A-თვის.

A და B შეიძლება სრულიად საფუძვლიანად განვიხილოთ როგორც ერთი კატეგორია (B ეკუთვნის A-ს ხარჯებს, და რაც უფრო მეტს უხდის A კაპიტალისტი ერთობლივი პროდუქტიდან B კაპიტალისტს, მით უფრო ნაკლები რჩება თვით მას). $290^{10}/_{11}$ ტალერი კაპიტალიდან B-ს აქვს $90^{10}/_{11}$ და A-ს—200. ორივენი ერთად ხარჯავენ $290^{10}/_{11}$ ტალერს და ღებულობენ $29^{1}/_{11}$ ტალერ მოგებას. B-ს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია გამოისყიდოს A-საგან იმაზე მეტი, რის მიღებაც მას 100 ტალერით შეუძლია; ამასთან ამ თანხაში შედის მისი მოგება $9^{1}/_{11}$ ტალერის ოდენობით. ორივეს ერთად, როგორც ითქვა, $29^{1}/_{11}$ ტალერი შემოსავალი აქვს.

რაც შეეხება ახლა C და D კატეგორიის კაპიტალისტებს, სადაც C აღნიშნავს კაპიტალისტებს, რომლებიც ფუფუნების საგნების საწარმოებლად საჭირო მუდმივ კაპიტალს აწარმოებენ, D კი — კაპიტალისტებს, რომლებიც უშუალოდ აწარმოებენ ფუფუნების საგნებს; აქ უწინარეს ყოვლისა ცხადია, რომ უშუალო მოთხოვნას C-თვის ქმნის მხოლოდ D. D კატეგორიის კაპიტალისტი C კაპიტალისტის საქონელთა მიყიდველია. C კაპიტალისტს კი მოგების რეალიზაცია შეუძლია მხოლოდ იმ გზით, რომ თავის საქონელს მიჰყიდის D კაპიტალისტს გაღილებულ ფასში, რომელიც შეიცავს წარმოების ხარჯების ნომინალურ წანამატს. D კაპიტალისტმა უნდა გადაუხადოს C კაპიტალისტს მეტი, ვიდრე საჭიროა იმისათვის, რომ C-მ აანაზღაუროს თავისი საქონლის [ხარჯთფასის] ყველა შემადგენელი ნაწილი. D კაპიტალისტი თავის მხრივ წაუმატებს მოგებას ნაწილობრივ მუდმივ კაპიტალს, რომელიც მისთვის C კაპიტა-

ლისტმა აწარმოვა, ნაწილობრივ კი იმ კაპიტალს, რომელიც ავენსად დახარჯა ხელფასზე უშუალოდ თვით D-მ. მოგებით, რასაც C ღებულობს D-საგან, მას შეუძლია იყიდოს D-ს საქონელთა ნაწილი, თუმცა მას ამ წესით არ შეუძლია დახარჯოს მთელი თავისი მოგება, რადგან მასაც სჭირდება აგრეთვე პირველი საქროების საგნები თავისთვის და არა მარტო მუშებისათვის, რომლებისთვისაც მან უნდა გაცვალოს D-სთან რეალიზებული კაპიტალი. ჯერ ერთი, C-ს საქონლის რეალიზაცია დამოკიდებულია უშუალოდ D კაპიტალისტისათვის მის მიყიდვაზე; მეორე, თუ ეს გაყიდვა განხორციელებულია, მაშინ C კაპიტალისტის მოგების მიერ შექმნილ მოთხოვნას ისევე არ შეუძლია მოახდინოს იმ საქონლის მთელი ღირებულების რეალიზაცია, რომელსაც D კაპიტალისტი ყიდის, როგორც B კაპიტალისტის მოთხოვნას არ შეუძლია A-ს საქონელთა მთელი ღირებულების რეალიზაცია მოახდინოს. მთელი ის მოგება, რაც C კაპიტალისტმა მიიღო, მიღებულია D კაპიტალისტისაგან, და თუ C თავის მხრივ ამ მოგებას D-ს საქონელზე ხარჯავს და არა სხვა საქონელზე, მაინც მისი მოთხოვნა არასოდეს არ შეიძლება აღემატებოდეს D-საგან მიღებულ მოგებას. C კაპიტალისტის მოგება მუდამ უნდა იყოს გაცილებით ნაკლები, ვიდრე D-ს კაპიტალი, გაცილებით ნაკლები, ვიდრე მთელი მისი მოთხოვნა, და იგი არასოდეს არ ქმნის მოგების წყაროს D-სთვის (სულ დიდდი, რასაც აქ ადგილი აქვს, ეს არის მხოლოდ ის, რომ D რამდენადმე ატყუებს C-ს, როცა ფასს წაუმატებს იმ საქონელს, რომელსაც უკანვე მიჰყიდის მას), — რადგან მოგება, რასაც C კაპიტალისტი ღებულობს, უშუალოდ D კაპიტალისტის ჯიბიდან მომდინარეობს.

ცხადია, შემდეგ, რომ თუ კაპიტალისტები ყოველი კატეგორიის შიგნით, იქნება ეს კატეგორია C თუ კატეგორია D, ერთიმეორეს თავიანთ საქონელს მიჰყიდიან, ვერც ერთი მათგანი ვერაფერს გამოიჩემა და ვერავითარი მოგების რეალიზაციას ვერ მოახდენს. III კაპიტალისტი მიჰყიდის II კაპიტალისტს 110 ტალერად საქონელს, რომელიც მხოლოდ 100 ტალერი ღირს, მაგრამ ამასვე აკეთებს II-იც III-ის მიმართ. გაცვლის შემდეგ, ისევე როგორც გაცვლამდე, თითოეულს აქვს საქონლის ისეთი რაოდენობა, რომლის წარმოების ხარჯებიც 100 ტალერს შეადგენს. თითოეული ღებულობს 110 ტალერში მხოლოდ ისეთ საქონელს, რომელიც 100 ტალერი ღდება. წანამატი არ ანიჭებს მას სხვის საქონელზე მეტ ბატონობას, ვიდრე ეს წანამატი სხვას ანიჭებს მის საქონელზე ბატონობას. ხოლო რაც შეეხება ღირებულებას, სრულიად ერთნაირ შედეგს მივიღებდით იმ შემთხვევაშიც, თუ თითოეული, III და II, თავისი საქონლის გაუცვლელად, თავისთავს იმით ასიამოვნებდა, რომ თავის საქონელს უწოდებდა არა 100 ტალერის, არამედ 110 ტალერის სახელს.

შემდეგ ნათელია, რომ [მალთუსის თანახმად] ნომინალური ზედმეტი ღირებულება D კატეგორიაში (რადგან C კატეგორიას შეიცავს D კატეგორია) არ წარმოადგენს ნამდვილ ზედმეტ პროდუქტს. ის გარემოება, რომ მუშა იმ წანამატის გამო, რასაც A კაპიტალისტი აკეთებს, 100 ტალერში პირველი საჭიროების საგანთა შემცირებულ რაოდენობას ღებულობს, უშუალოდ შეიძლება უმნიშვნელო იყოს D კაპიტალისტისთვის. D კაპიტალისტმა უწინდებურად 100 ტალერი უნდა დახარჯოს მუშების გარკვეული რიცხვის დასაქირავებლად. იგი უხდის მუშებს მათი შრომის ღირებულებას, და გარდა ამისა, ისინი [მალთუსის თანახმად] არაფერს არ უმატებენ პროდუქტს, ისინი აძლევენ თავიანთ დამქირავებელს მარტოდენ მათ მიერ მიღებული ხელფასის ეკვივალენტს. რაც ამ ეკვივალენტს აღემატება, მისი მიღება D კაპიტალისტს შეუძლია მხოლოდ მესამე პირთათვის საქონლის მიყიდვით, რამდენადაც იგი მათ თავის საქონელს ხარჯთფასზე უფრო მაღალ ფასად მიჰყიდის.

სინამდვილეში [ფუფუნების საგნების, მაგალითად] სარკეების ფაბრიკანტს თავის პროდუქტში ისეთივე ზედმეტი ღირებულება და ისეთივე ზედმეტი პროდუქტი აქვს, როგორც ფერმერსაც. ვინაიდან პროდუქტი შეიცავს ფასგადაუხდელ შრომას (ზედმეტ ღირებულებას), და ეს ფასგადაუხდელი შრომა ისევეა წარმოდგენილი პროდუქტში, როგორც ფასგადახდილი შრომა. ფასგადაუხდელი შრომა წარმოდგენილია ზედმეტ პროდუქტში. სარკეთა ნაწილი არაფერი უღირს ფაბრიკანტს, თუმცა მას აქვს ღირებულება, რადგან იგიც ისევე შეიცავს შრომას, როგორც სარკეთა ის ნაწილი, რომელიც ავანსებულ კაპიტალს ანაზღაურებს. ეს ზედმეტი ღირებულება ზედმეტ პროდუქტში არსებობს სარკეების გ ა ყ ი დ ვ ა მ დ ე და პირველად მხოლოდ ამ გაყიდვის შედეგად როდი იქმნება. პირიქით, მუშა რომ თავისი უშუალო შრომით მხოლოდ ეკვივალენტს იძლეოდეს იმ დაგროვილი შრომისათვის, რასაც იგი ხელფასის სახით ღებულობს, მაშინ არ იარსებებდა არც [770] ზედმეტი პროდუქტი, არც მისი შესაბამისი ზედმეტი ღირებულება. მაგრამ მალთუსის მიხედვით, რომელიც ამტკიცებს მუშა კაპიტალისტს მხოლოდ ხელფასის ეკვივალენტს უბრუნებსო, საქმის ვითარება სხვაგვარია.

ცხადია, რომ D კატეგორიას (C-ს ჩათვლით) არ შეუძლია ზედმეტი ფონდი შექმნას თავისთვის იმავე გზით, რა გზითაც ამას A კატეგორია აკეთებს, სახელდობრ, იმით, რომ თავის საქონელს უკანვე მიჰყიდის მუშებს უფრო ძვირად, ვიდრე მან იგი მათგან იყიდა, და ასე მიითვისებს, დახარჯული კაპიტალის ანაზღაურების შემდეგ, ერთობლივი პროდუქტის ნაწილს. ეს იმიტომ რომ მუშები არ არიან D კატეგორიის საქონლის მყიდველები. მისი ზედმეტი ფონდი ვერ შეიქმნება იმ გზითაც, რომ D კატე-

გორის კაპიტალისტები თავიანთ საქონელს ერთიმეორეს მიჰყიდიან, სხვა სიტყვებით, ისეთი გაცვლის გზით, რომელიც ამავე კატეგორიის შიგნით ხდება. მაშასადამე, ამის განხორციელება შეიძლება მხოლოდ იმ გზით, რომ D კატეგორია თავის პროდუქტს მიჰყიდის A და B კატეგორიებს. რადგან D კატეგორიის კაპიტალისტები 100 ტალერად ღირებულ საქონელს 110 ტალერად ყიდიან, A კატეგორიის კაპიტალისტს შეუძლია 100 ტალერით იყიდოს მათი პროდუქტის მხოლოდ $\frac{10}{11}$, $\frac{1}{11}$ -ს კი ისინი თავისთვის იტოვებენ და თავიანთი საკუთარი საქონლის ეს ნაწილი მათ შეუძლიათ თვითონ მოიხმარონ ანდა გაცვალონ თავიანთი საკუთარი D კატეგორიის სხვა საქონელზე.

ყველა სხვა კაპიტალისტის მიმართ, რომლებიც უშუალოდ არ აწარმოებენ პირველი საჭიროების საგნებს და რომლებიც, მაშასადამე, უკანვე არ მიჰყიდიან მუშებს თავიანთი საქონლის ყველაზე დიდ ან მნიშვნელოვან ნაწილს, საქმის ვითარება [მალთუსის თვალსაზრისით] ასეთია:

-დავუშვათ, მათი მუდმივი კაპიტალი უდრის 100 ტალერს. თუ შემდეგ კაპიტალისტი 100 ტალერს იხდის ხელფასის სახით, იგი მუშებს უხდის მათი შრომის ღირებულებას. 100 ტალერ ღირებულებას მუშები უმატებენ კიდევ 100 ტალერს, და ამრიგად პროდუქტის ერთობლივი ღირებულება (ხარჯთფასი) შეადგენს 200 ტალერს. საიდანღა ჩნდება მოგება? კაპიტალისტი ყიდის 200 ტალერად ღირებულ საქონელს 220 ტალერად, ანუ მოგების საშუალო ნორმა უდრის 10%-ს. თუ იგი საქონელს მართლა 220 ტალერად ყიდის, ცხადია, რომ ამ საქონლის კვლავწარმოებისათვის საკმარისია 200 ტალერი: 100 ტალერი — ნედლეულისათვის და ა. შ., 100 — ხელფასისათვის; 20 ტალერს კი კაპიტალისტი ჩაიჯიბავს და მას შეუძლია იგი დახარჯოს როგორც შემოსავალი ან კაპიტალის დაგროვებისათვის გამოიყენოს.

მაგრამ ვის უნდა მიჰყიდოს მან საქონელი 10%-ით უფრო ძვირად მისი „წარმოების ღირებულებაზე“, რომელიც, მალთუსის აზრით, განსხვავდება „გასაყიდი ღირებულებისაგან“, ანუ ნამდვილი ღირებულებისაგან, ასე რომ სინამდვილეში მოგება უდრის სხვაობას გასაყიდი ღირებულებასა და წარმოების ღირებულებას შორის, ანუ უდრის გასაყიდი ღირებულებას მინუს წარმოების ღირებულება? ურთიერთგაცვლის ან ერთიმეორისათვის მიყიდვის გზით ეს კაპიტალისტები ვერავითარ მოგების რეალიზაციას ვერ მოახდენენ. თუ A B-ს მიჰყიდის 200 ტალერად ღირებულ საქონელს 220 ტალერად, სამაგიეროდ B სწორედ ასეთსავე ოინს ჩაიდენს A-ს მიმართ. იმის გამო, რომ საქონელი ერთი ხელიდან მეორეში გადადის, არ იცვლება არც მისი ღირებულება, არც მისი რაოდენობა. საქონლის ის რაოდენობა, რაც უწინ A-ს ხელში იყო, ახლა B-ს ხელშია,

და პირიქით. ის გარემოება, რომ 110 ახლა იმას ნიშნავს, რასაც უწინ 100 ნიშნავდა, სრულიად არ ცვლის საქმის ვითარებას. არც A-ს და არც B-ს მიუდევლობითი უნარი სრულებით არ შეცვლილა.

მაგრამ ამ კაპიტალისტებს, ვარაუდის თანახმად, არ შეუძლიათ თავიანთი საქონელი მუშებს მიჰყიდონ.

მაშასადამე, მათ თავიანთი საქონელი უნდა მიჰყიდონ იმ კაპიტალისტებს, რომლებიც პირველი საქიროების საგნებს აწარმოებენ. ამ უკანასკნელთ მუშებთან გაცვლის მეოხებით მართლაც ნამდვილი ზედმეტი ფონდი მოეპოვებათ. ნომინალური ზედმეტი ღირებულების შექმნამ მათ ნამდვილად მისცა ზედმეტი პროდუქტი. და ეს არის ერთადერთი ზედმეტი ფონდი, რომელიც დღემდე არსებობს. სხვა კაპიტალისტებისათვის ზედმეტი ფონდი უნდა შეიქმნას იმით, რომ ისინი ზედმეტი ფონდის ამ მფლობელებს თავიანთ საქონელს მიჰყიდიან წარმოების ღირებულებაზე მაღალ ფასად.

რაც შეეხება კაპიტალისტებს, რომლებიც პირველი საქიროების საგნების საწარმოებლად საქირო მუდმივ კაპიტალს აწარმოებენ, ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ პირველი საქიროების საგნების მწარმოებელი აუცილებლად უნდა ყიდულობდეს მათგან. მათ შეძენაზე დახარჯული თანხა შედის მის წარმოების ხარჯებში. რაც უფრო დიდია მისი მოგება, მით უფრო ძვირი უჯდება მას მისი ავანსები, რომელთაც წაემატება მოგების იგივე ნორმა. თუ პირველი საქიროების საგნების მწარმოებელი 10-ის ნაცვლად 20%-ს წანამატით ყიდის, მაშინ მისი მუდმივი კაპიტალის მწარმოებელიც ასევე 10-ის ნაცვლად 20%-ს წაუმატებს. და იგი ითხოვს $9\frac{1}{11}$ -თვის უკვე არა 100-ს, არამედ $109\frac{1}{11}$ -ს, ანუ, დამრგვალებული რიცხვით, 110-ს, ასე რომ პროდუქტის [წარმოების] ღირებულება შეადგენს ახლა 210-ს, ამ თანხის 20% კი უდრის 42-ს, მაშასადამე, მთელი პროდუქტის [გასაყიდი] ღირებულება ახლა უდრის 252-ს. ამ თანხიდან მუშა ღებულობს 100-ს. კაპიტალისტი ღებულობს ახლა მოგების სახით ერთობლივი პროდუქტის $\frac{1}{11}$ -ზე მეტს; უწინ, როცა იგი ამ პროდუქტს 220-ად ყიდდა, ღებულობდა მხოლოდ $\frac{1}{11}$ -ს. პროდუქტის მასა იგივე დარჩა, მაგრამ კაპიტალისტის ხვედრი ნაწილი გადიდდა ღირებულებისა და რაოდენობის მიხედვით.

რაც შეეხება სხვა კაპიტალისტებს, რომლებიც არ აწარმოებენ არც პირველი საქიროების საგნებს, არც ამ პირველი საქიროების საგნების წარმოებაში შემავალ კაპიტალს, მათ [შეუძლიათ]* მოგება მიიღონ მხო-

* აქ ხელნაწერში ამოგლეჯილია გვერდის მარცხენა ნაწილი, სადაც მოთავსებული იყო ტექსტის რამდენიმე სტრიქონის საწყისი სიტყვები. ეს სიტყვები, რომლებიც აკლდა, აღდგენილია რედაქციის მიერ და მოცემულია კვადრატულ ფრჩხილებში. რ ე დ.

4. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორია.

ლოდ იმ გზით, რომ თავიანთ საქონელს მიჰყიდიან კაპიტალისტების ორ პირველ კატეგორიას. თუ ეს ორი პირველი კატეგორია 20%-ს იღებს, ზემოაღნიშნული კაპიტალისტებიც [ამდენსვე] მიიღებენ.

მაგრამ [გაცვლა] კაპიტალისტების პირველი კატეგორიისა [მუშებთან] ძლიერ განსხვავდება კაპიტალისტების ორივე კატეგორიას შორის გაცვლისაგან. პირველმა კატეგორიამ მუშებთან [გაცვლის საშუალებით] შექმნა პირველი საჭიროების საგნების ნამდვილი ზედმეტი ფონდი, ზედმეტი პროდუქტი, [რომელიც] კაპიტალის [ნამატის სახით], მათს განკარგულებაშია, ასე რომ მათ შეუძლიათ ეს ფონდი ნაწილობრივ დაგროვებისათვის გამოიყენონ, ნაწილობრივ კი [დახარჯონ] [როგორც შემოსავალი], საკუთარი პირველი საჭიროების საგნების საყიდლად იქნება ეს თუ ფუფუნების საგნების საყიდლად. აქ ზედმეტი ღირებულება ნამდვილად [წარმოადგენს] [XIV—771] ზედმეტ შრომას და ზედმეტ პროდუქტს, თუმცა [მალთუსის თანახმად] ამ შედეგის მიღწევა ხდება უხეშად, შემოვლითი გზით, საქონლის ფასში შეტანილი წანამატის საშუალებით. დაფუშვით, რომ პირველი საჭიროების საგნების მწარმოებელი მუშების პროდუქტის ღირებულება ნამდვილად უდრის მხოლოდ 100 ტალერს. მაგრამ, რადგან ხელფასის გასასტუმრებლად საკმარისია პროდუქტის $10/11$ კაპიტალისტს შეუძლია სულ დახარჯოს მხოლოდ $90^{10}/11$ ტალერი, რაშიაც იგი $9^{1}/11$ ტალერ მოგებას ღებულობს. თუ იგი წარმოიდგენს, რომ შრომის ღირებულება და შრომის რაოდენობა იდენტურია, და მუშებს გადაუხდის 100 ტალერს, საქონელს კი მათ 110-ად მიჰყიდის, მაშინ იგი უწინდებურად პროდუქტის $1/11$ მიიღებს. ის გარემოება, რომ პროდუქტის ეს $1/11$ ახლა ღირს 10 ტალერი ნაცვლად $9^{1}/11$ -ისა, არ არის კაპიტალისტისთვის ხელსაყრელი, რადგან ახლა მან $90^{10}/11$ ტალერი კაპიტალის ნაცვლად ავანსად გაიღო 100 ტალერი კაპიტალი.

მაგრამ რაც შეეხება კაპიტალისტების სხვა კატეგორიებს, მათ [მალთუსის მიხედვით] არავითარი რეალური ზედმეტი პროდუქტი არა აქვთ, არა აქვთ ისეთი რამ, რითაც წარმოდგენილი იქნებოდა ზედმეტი სამუშაო დრო. შრომის პროდუქტს, 100 ტალერი რომ ღირს, ისინი ყიდნიან 110 ტალერად და მხოლოდ საქონლის ფასში შეტანილი ამ წანამატის მეხებით ეს კაპიტალი უნდა გადაიქცეს კაპიტლად პლუს შემოსავალი.

როგორია ახლა საქმის ვითარება, ჩვენი ლორდ დენდრიერის* თვალსაზრისით, კაპიტალისტების ამ ორ კატეგორიას შორის?

ახლად მიმატებული შრომის პროდუქტს¹⁹, 100 ტალერი რომ ღირს, პირველი საჭიროების საგანთა მწარმოებლები 110 ტალერად ყიდნიან (რადგან მათ ხელფასის სახით გადაიხადეს არა $90^{10}/_{11}$ ტალერი, არამედ 100 ტალერი). მაგრამ ისინი ზედმეტი პროდუქტის ერთადერთი მფლობელები არიან. თუ სხვა კაპიტალისტები მათ 100 ტალერად ღირებულ პროდუქტს ასევე 110 ტალერად მიჰყიდიან, ისინი, ეს სხვა კაპიტალისტები, ნამდვილად აინაზღაურებენ თავიანთ კაპიტალს მოგებით. რატომ? იმიტომ, რომ 100 ტალერი ღირებულების მქონე პირველი საჭიროების საგნები მათთვის საკმარისია, რათა ანგარიში გაუსწორონ მუშებს, — მაშასადამე, 10 ტალერს ისინი თავისთვის იტოვებენ. ანდა, უფრო ზუსტად, იმიტომ, რომ ისინი სინამდვილეში ღებულობენ 100 ტალერად ღირებულ პირველი საჭიროების საგნებს, მაშინ როდესაც ამ საგნების $10/_{11}$ საკმარისია იმისათვის, რომ მათ თავიანთ მუშებს ხელფასი გაუსტუმრონ, რადგან ისინი მაშინ ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, როგორშიც A და B კატეგორიათა კაპიტალისტები იმყოფებან. უკანასკნელნი, პირიქით, სამაგიეროდ ღებულობენ პროდუქტის მხოლოდ ისეთ რაოდენობას, რომლითაც წარმოდგენილია 100 ტალერი ღირებულება. პროდუქტი რომ ნამინალურად 110 ტალერი ღირს, ეს მათ გროშსაც არ აძლევს, რადგან არც რაოდენობრივად, როგორც სახმარი ღირებულება, იგი არ წარმოადგენს იმაზე უფრო მეტ მასას, რასაც 100 ტალერში მოთავსებული სამუშაო დრო იძლევა, არც [ღირებულების მიხედვით] მათ არ შეუძლიათ აანაზღაურონ ამ პროდუქტით, ვარდა 100 ტალერი კაპიტალისა, კიდევ 10 ტალერი კაპიტალი. ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი მხრივ ადგილი ექნებოდა ხელახლა გაყიდვას.

თუმცა როგორც ერთი, ისე მეორე კატეგორიის კაპიტალისტებმა, ერთიმეორეს უნდა მიჰყიდიან 110-ად ის, რაც 100 ღირს, მაგრამ ამ გაცვლისას მხოლოდ მეორე კატეგორიის ხელში აქვს 100-ს ნამდვილად 110-ის მნიშვნელობა. პირველი კატეგორიის კაპიტალისტებმა 110 ღირებულებაში სინამდვილეში მიიღეს მხოლოდ 100 ღირებულება. და თავიანთ ზედმეტ პროდუქტს ამ პირველი კატეგორიის კაპიტალისტები უფრო მაღალ ფასში ყიდიან მხოლოდ იმიტომ, რომ მათს შემოსავალში. შემაჯავლ [ფუფუნების] საგნებში ამ უკანასკნელთა ღირებულებაზე უფრო მეტს იხდიან. მაგრამ სინამდვილეში მეორე კატეგორიის კაპიტალისტების მიერ რეალიზებული ზედმეტი ღირებულება შემოსავალზე უფრო მაღალია მათი წილით იმ ზედმეტ პროდუქტში, რომელიც რეალიზებულია პირველი კატეგორიის მიერ, რადგან თვით ისინი არავითარ ზედმეტ პროდუქტს არ ქმნიან.

ფუფუნების საგნების ამ გაძვირებასთან დაკავშირებით მალთუსი მეტად დროულად იხსენებს, რომ კაპიტალისტური წარმოების უახლოესი მიზანია არა მფლანგველობა, არამედ დაგროვება. მაშასადამე, A კაპიტალისტების კატეგორია მისთვის ასეთი არახელსაყრელი ვაჭრობის შედეგად, — როცა იგი ხელახლა კარგავს იმ ნაყოფის გარკვეულ ნაწილს, რაც მან მუშებს წაართვა, — შეამცირებს თავის მოთხოვნას ფუფუნების საგნებზე. მაგრამ თუ იგი ამას იზამს და მეტის დაგროვებას დაიწყებს, შემცირდება გადახდისუნარიანი მოთხოვნა მის მიერ წარმოებულ პირველი საჭიროების საგნებზე, ამ უკანასკნელთათვის შემცირდება ბაზარი, რომელსაც სრული მოცულობით ვერ შექმნის მუშებისა და მუდმივი კაპიტალის მწარმოებელთა მოთხოვნა. ამის გამო შემცირდებოდა პირველი საჭიროების საგანთა ფასი, მაშინ როდესაც A კაპიტალისტების კატეგორია მხოლოდ ამ ფასის გადიდების მეოხებით, მასში ნომინალურ წანამატის შეტანის მეოხებით და ამ წანამატის სიდიდის პროპორციულად გამოსწოვს მუშებს თავის ზედმეტ პროდუქტს. თუ პირველი საჭიროების საგანთა ფასი შემცირდებოდა 120-დან 110-მდე, მაშინ ამ კატეგორიის ზედმეტი პროდუქტი და მისი ზედმეტი ღირებულება შემცირდებოდა $\frac{2}{12}$ -დან $\frac{1}{11}$ -მდე. ამასთანავე კიდევ უფრო მეტად შემცირდებოდა აგრეთვე ბაზარიც ფუფუნების საგნების მწარმოებელთათვის, შემცირდებოდა ამ საგნების მოთხოვნა.

კაპიტალისტების პირველი კატეგორია ყოველს მეორე კატეგორიასთან ვაცვლისას ნამდვილ ზედმეტ პროდუქტს მას შემდეგ, რაც ამ კატეგორიის კაპიტალი უკვე ანაზღაურებულია. პირიქით, მეორე კატეგორია ყიდის მხოლოდ თავის კაპიტალს, რათა ამ გაყიდვით რეკი კაპიტალიდან გადაქციოს კაპიტალად პლუს შემოსავალი. ამრიგად, მთელი წარმოება (განსაკუთრებით კი მისი ნაწილი) თავის მსგელობას ინარჩუნებს პირველი საჭიროების საგანთა გაძვირების მეოხებით და ამ გაძვირებას, თავის მხრივ, უნდა შეესაბამებოდეს ფუფუნების საგნების ისეთი ფასი, რომელიც ამ საგანთა ნამდვილი მასის უკუპროპორციული იქნებოდა. მეორე კატეგორიის კაპიტალისტები, როცა ისინი 110-ად ყიდონ იმას, რაც 100 ღირს, ასევე ვერავითარ მოგებას ვერ ღებულობენ ამ ვაცვლაში, რადგან სინამდვილეში ისინი უკან ღებულობენ ისეთ 110-ს, რომელიც აგრეთვე მხოლოდ 100 ღირს. მაგრამ ეს 100 (პირველი საჭიროების საგანთა სახით) ანაზღაურებს კაპიტალს პლუს მოგება, მაშინ როდესაც ის 100 [ფუფუნების საგნების სახით] მხოლოდ სახელწოდებით არის 110. გამოდის, მაშასადამე, რომ ამ ვაცვლისას პირველი კატეგორიის კაპიტალისტები ღებულობენ 100-ად ღირებულ ფუფუნების საგნებს. ისინი 110-ით ყიდულობენ 100-ად ღირებულ ფუფუნების საგნებს.

მაგრამ კაპიტალისტების მეორე კატეგორიისათვის ამ 110-ს აქვს 110-ის ღირებულება, იმიტომ რომ ეს კატეგორია იხდის 100-ს შრომაში (ინაზღაურებს თავის კაპიტალს) და ნამეტის სახით იტოვებს 10-ს.

[772] ძნელი გასაგებია, თუ საერთოდ როგორ შეიძლება მოგება იქიდან გამომდინარეობდეს, რომ გამცვლელი მხარეები ერთიმეორეს მიჰყიდნიან თავიანთ საქონელს თანაბარი წანამატით და თანაბრად მოატყუებენ ერთიმეორეს.

ეს სიძნელე მოიხსნებოდა იმ შემთხვევაში, თუ გარდა კაპიტალისტთა ერთი კატეგორიის გაცვლისა მათ მუშებთან და კაპიტალისტების სხვადასხვა კატეგორიათა გაცვლისა ერთმანეთს შორის, სცენაზე გამოვიდოდა კიდევ მ ყ ი დ ვ ე ლ თ ა მ ე ს ა მ ე კ ა ტ ე გ ო რ ი ა — თავისებური *deus ex machina** — რომელიც საქონელში იხდის მისი ნომინალური ღირებულების შესატყვის ფასს, მაგრამ თავის მხრივ არავის არავითარ საქონელს არ მიჰყიდის, არ იმეორებს თავის მხრივ ამ თამაშს, ე. ი. ისეთი კატეგორია, რომელიც ასრულებს პროცესს ფ—ს, მაგრამ არა ფ—ს—ფ, რომელიც ყიდულობს არა იმ მიზნით, რომ თავისი კაპიტალი აინაზღაუროს მოგებით, არამედ იმ მიზნით, რომ საქონელი მოიხმაროს, კატეგორია, რომელიც ყიდულობს, მაგრამ არ ყიდის. ამ შემთხვევაში კაპიტალისტები მოგების რეალიზაციას მოახდენენ არა საქონელთა გაცვლით ერთმანეთს შორის, არამედ 1) მუშებთან გაცვლით, მიჰყიდნიან რა მათ უკან ერთობლივი პროდუქტის ნაწილს იმ ფულში, რითაც მათგან იყიდეს ერთობლივი პროდუქტი (მუდმივი კაპიტალის გამოკლების შემდეგ; 2) პირველი საჭიროების საგანთა და ფუფუნების საგანთა იმ ნაწილის მეოხებით, რომელსაც მესამე კატეგორიის მყიდველებს მიჰყიდნიან. რადგან მყიდველთა ეს კატეგორია იხდის 110-ს 100-ში და უკან აღარ მიჰყიდის 100-ს 110-ად, ამით კაპიტალისტები ნამდვილად, და არა მხოლოდ ნომინალურად, მოახდენდნენ 10% მოგების რეალიზაციას. მოგების მიღება მოხდებოდა ორი წესით: იმით, რომ ერთობლივი პროდუქტიდან რაც შეიძლება ნაკლები მიეყიდებოდა უკანვე მუშებს და რაც შეიძლება მეტი მიეყიდებოდა მესამე კატეგორიას, რომელიც ყიდულობს, ნაღდი ფულით იხდის, მაგრამ თვითონ არაფერს ყიდის, ყიდულობს, რათა მოიხმაროს.

მაგრამ ისეთი მყიდველები, რომლებიც ამასთანავე ვაჭყიდველები არ არიან, უნდა იყვნენ ისეთი მომხმარებელნი, რომლებიც ამასთანავე

* — სიტყვისიტყვით: „ღმერთი მანქანიდან“ (ანტიკურ თეატრში ღმერთების გამო-მხატველი მსახიობები სცენაზე გამოდიოდნენ განსაკუთრებული მექანიზმების დახმარებით); ვაღატანით აზრით — პიროვნება, რომელიც მოულოდნელად გამოჩნდება და მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს მონახავს. რ ე დ.

არ არიან მწარმოებლები, — ისინი უნდა იყვნენ არამწარმოებელი მომხმარებლები, და სწორედ არამწარმოებელ მომხმარებელთა ამ კატეგორიის მეშვეობით მალთუსი წყვეტს კოლიზიას. მაგრამ ეს არამწარმოებელი მომხმარებლები უნდა იყვნენ ამასთანავე გადახდისუნარიანი მომხმარებლები. ისინი უნდა ქმნიდნენ ნამდვილ მოთხოვნას, და თანაც ღირებულების ჯამები, რაც მათ აქვთ და რასაც ისინი ყოველწლიურად ხარჯავენ, საკმარისი უნდა იყოს არა მარტო იმ საქონელთა წარმოების ღირებულების გადასახდელად, რომელთაც ისინი ყიდულობენ და მოახმარენ, არამედ, გარდა ამისა, იმისთვისაც, რომ გადაიხადონ მოგების ნომინალური წანამატი, ზედმეტი ღირებულება, სხვაობა გასაყიდ ღირებულებასა და წარმოების ღირებულებას შორის. ეს კატეგორია იქნება წარმომადგენელი საზოგადოებაში მოხმარებისა მოხმარებისთვის, როგორც კაპიტალისტების კლასი არის წარმომადგენელი წარმოებისა წარმოებისთვის: ერთნი გამოდიან როგორც წარმომადგენელი «მფლანგველობის ვნებისა», მეორენი კი — როგორც წარმომადგენელი «დაგროვების ვნებისა» («Principles of Political Economy» [2nd edition], გვ. 326). კაპიტალისტების მისწრაფებას დაგროვებისადმი ასულდგმულებს ის, რომ მათი მოგება მუდამ აღემატება მათს ხარჯებს, და მოგება ხომ დაგროვების სტიმულია. მიუხედავად მათი ამ მისწრაფებისა დაგროვებისადმი, საქმე ჭარბწარმოებამდე არ მიდის ანდა ჭარბწარმოების წარმოქმნა მეტად გაძნელებულია, რადგან არამწარმოებელი მომხმარებელი არა მარტო ქმნიან უდიდეს გადასაგდებ არხს ბაზარზე გადასროლილი პროდუქტებისათვის, არამედ თავის მხრივაც არ გაიტანენ ბაზარზე არავითარ პროდუქტებს; ასე რომ რაგინდ ბევრნიც არ უნდა იყვნენ არამწარმოებელი მომხმარებლები, ისინი კაპიტალისტების კონკურენტები არ არიან, არამედ, პირიქით, ყველანი არიან წარმომადგენელი მხოლოდ მოთხოვნისა მიწოდების გარეშე და ამიტომ აწონასწორებენ მიწოდების გადამეტებას მოთხოვნასთან შედარებით, რასაც ადგილი აქვს კაპიტალისტების მხრივ.

მაგრამ საიდან ჩნდება ამ კლასის ყოველწლიური გადახდის საშუალებანი? ეს უწინარეს ყოვლისა მიწის მესაქუთრენი არიან, რომლებიც ისაკუთრებენ, რენტის სახით, წლიური პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს და ფულს, რომელიც მათ კაპიტალისტებს ამ გზით წართვეს, ხარჯავენ კაპიტალისტების მიერ წარმოებულ საქონელთა მოხმარებაზე, კაპიტალისტები კი ამ საქონელთა ყიდვისას მათ ატყუებენ. თვით ეს მიწის მესაკუთრენი არ უნდა აწარმოებდნენ და, როგორც წესი, არ აწარმოებენ. არსებითა ის, რომ, რამდენადაც ისინი ფულს ხარჯავენ

შრომის საყიდლად, მათ ჰყავთ არა მწარმოებელი მუშები, არამედ მხოლოდ ამაღლა, რომელიც ემსახურება მათ სიმდიდრის მოხმარებაში, შ ი ნ ა მ ს ა ხ უ რ ნ ი, რომლებიც ხელს უწყობენ პირველი საჭიროების საგანთა ფასების მაღალ დონეზე შენარჩუნებას, რადგან ისინი მხოლოდ ყიდულობენ პირველი საჭიროების ამ საგნებს, მაგრამ თვითონ არ უწყობენ ხელს იმას, რომ ამ ან სხვა რომელიმე საქონელთა მიწოდება შეატულობდეს. მაგრამ მიწის რენტის ეს მიმღებნი არა კმარან იმისათვის, რომ «საკმარისი მოთხოვნა» შეიქმნას. აუცილებელია ხელოვნური საშუალებების მოშველიება. ეს საშუალებებია: დიდი გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი, სახელმწიფო და საეკლესიო სინეკურათა მფლობელების დიდი რაოდენობით არსებობა, შრავალრიცხოვანი არმიების შენახვა, დიდი პენსიების გადახდა, სამეათედოები ხუცეების სასარგებლოდ, მნიშვნელოვანი სახელმწიფო ვალი და — დროდადრო — ძვირადღირებული ომები. ასეთია «სამკურნალო საშუალებანი» მალთუსის მიხედვით («Principles of Political Economy» [2nd edition], გვ. 408 და შემდგომი).

ამრიგად, მყიდველთა მესამე კატეგორია, რომელიც მალთუსმა მოიშველია როგორც „სამკურნალო საშუალება“, ყიდულობს, მაგრამ არ ყიდის, მოიხმარს, მაგრამ არ აწარმოებს; იგი იმთავითვე ღებულობს წლიური პროდუქტის ღირებულების მნიშვნელოვან ნაწილს, ა რ ა ფ ე რ ს ა რ ო ხ დ ი ს მ ა ს შ ი, და იმით ამდიდრებს მწარმოებლებს, რომ ეს უკანასკნელნი იძულებული არიან მყიდველთა ამ კატეგორიას მუქთად მისცენ ფული თავიანთი საქონლის საყიდლად, ხოლო შემდეგ [773] ამ ფულს უკანვე იბრუნებენ იმით, რომ მიჰყიდიან მას თავიანთ საქონელს მის ღირებულებაზე უფრო მეტ ფასში, ანდა იმით, რომ ამ კატეგორიისაგან უკან იბრუნებენ უფრო მეტ ღირებულებას ფულის სახით, ვიდრე მას საქონლის სახით აწვდიან. და ეს მეორდება წლიდან წლამდე.

[12] სოციალური არსი მალთუსის კოლემიკისა რიკარდოს წინააღმდეგ. ბურჟუაზიული წარმოების წინააღმდეგობათა შესახებ სიმონდის შეხედულებათა დამახინჯება მალთუსის მიერ. საყოველთაო ჰარბწარმოების შესაძლებლობის თეზისის მალთუსისეული ინტერპრეტაციის აპოლოგიატური სარჩული]

მალთუსის დასკვნები სავსებით სწორად არის გამოტანილი ღირებულების მისი ძირითადი თეორიიდან; მაგრამ ეს თეორია თავის მხრივ შესანიშნავად იყო შეგუებული მის მიზანთან — ინგლისში არსებული მდგომარეობის, ე.ი. ისეთი მოვლენების აპოლოგიასთან, როგორიცაა: ლენდ-

ლორდიზმი, «სახელმწიფო და ეკლესია», პენსიათა მიმღებნი, გადასახადების ამკრებნი, საეკლესიო სამეათედო, სახელმწიფო ვალი, ბირჟის მაკლერები, ეკლესიის დარაჯები, ხუცეები და ლაქიები («ეროვნული ხარჯები»), რომელთაც რიკარდოს მიმდევრები ებრძოდნენ როგორც ბურჟუაზიული წარმოების მძიმე ტვირთს, როგორც მის უსარგებლო და მოძველებულ ხორცმეტებს. რიკარდო იცავდა ბურჟუაზიულ წარმოებას *quand même**, რამდენადაც ეს წარმოება საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალების მაქსიმალურად დაუბრკოლებელ გაშლას მოასწავებს, და ამასთან არ ზრუნავდა წარმოების მატარებელთა ბედზე, სულ ერთია კაპიტალისტები იქნებოდნენ ისინი თუ მუშები. იგი აღიარებდა განვითარების ამ საფეხურის ისტორიულ მართლზომიერებას და აუცილებლობას. რამდენადაც მას აკლია ისტორიული ალლო წარსულის მიმართ, იმდენად იგი ცხოვრობს თავისი დროის ისტორიულ ფოკუსში. მალთუსაც სურს აგრეთვე კაპიტალისტური წარმოების რაც შეიძლება თავისუფალი განვითარება, რამდენადაც სწორედ მის მთავარ მატარებელთა, მშრომელი კლასების, სილატაკე ამ განვითარების პირობას წარმოადგენს; მაგრამ ამავე დროს ეს განვითარება, მალთუსის აზრით, უნდა ეგუებოდეს არისტოკრატისა და სახელმწიფოსა და ეკლესიაში მის განშტოებათა «მოხმარების მოთხოვნილებებს», ამასთანავე უნდა წარმოადგენდეს მატერიალურ საფუძველს ისეთი ინტერესების წარმომადგენელთა მიერ წამოყენებულ მოძველებულ პრეტენზიებისათვის, რომლებიც მემკვიდრეობითაა მიღებული ფეოდალიზმიდან და აბსოლუტური მონარქიიდან. მალთუსისათვის მისაღებია ბურჟუაზიული წარმოება, რამდენადაც ეს უკანასკნელი არ არის რევოლუციური, რამდენადაც იგი ქმნის არა ისტორიული განვითარების მომენტს, არამედ მხოლოდ უფრო ფართო და უფრო მოხერხებულ მატერიალურ საფუძველს «ძველი» საზოგადოებისათვის.

ამრიგად, ერთი მხრივ, ჩვენ გვყავს მუშათა კლასი, რომელიც მოსახლეობის კანონის ძალით ყოველთვის აღმოჩნდება ხოლმე მოჭარბებული შედარებით მისთვის განკუთვნილ საარსებო საშუალებებთან, —ჭარბ-მოსახლეობა ნაკლწარმოების შედეგად; შემდეგ, ჩვენ გვყავს კაპიტალისტების კლასი, რომელსაც მოსახლეობის ამ კანონის მეოხებით ყოველთვის შეუძლია უკანვე მიჰყიდოს მუშებს მათი საკუთარი პროდუქტი ისეთ ფასებში, რომ მუშები იქიდან მხოლოდ იმდენს ღებულობენ, რამდენიც საჭიროა, რათა მათ სული არ განუტეონ; და ბოლოს, გვყავს საზოგადო-

* — რაღაც არ უნდა დაჭლომდა, მიუხედავად ყველაფრისა. რ ე დ.

ების დიდი ნაწილი, რომელსაც შეადგენენ პარაზიტები, ფუფუნებაში მყოფი მუქთამჭამლები, ნაწილობრივ ბატონები, ნაწილობრივ მსახურნი, რომლებიც — ნაწილობრივ რენტის ტიტულით, ნაწილობრივ პოლიტიკური ტიტულით — უსასყიდლოდ ართმევენ კაპიტალისტების კლასს. სიმდიდრის მნიშვნელოვან ნაწილს, მაგრამ იმ ფულით, რომელიც კაპიტალისტებს წაართვის, ამავე კაპიტალისტებისაგან ყიდულობენ საქონელს. მის ღირებულებაზე უფრო მაღალ ფასში. კაპიტალისტების კლასს წარმოების სტიმულს აძლევს დაგროვებისადმი მისწრაფება, არამწარმოებელი ჯგუფები კი არიან ეკონომიურად წარმომადგენელნი მხოლოდ მოხმარებისადმი მისწრაფებისა, წარმომადგენელნი მფლანგველობისა. და თანაც ეს განიხილება როგორც ერთადერთი საშუალება იმ ჭარბწარმოების თავიდან აცილებისა, რომელიც ჭარბმოსახლეობის პარალელურად არსებობს — ჭარბმოსახლეობისა სწორედ წარმოებასთან შედარებით. როგორც ერთის, ისე მეორის საუკეთესო სამკურნალო საშუალებად გამოცხადებულია წარმოების გარეშე მდგომი კლასების გადაჭარბებული მოხმარება. დისპროპორცია მუშათა მოსახლეობასა და წარმოებას შორის ისპობა იმით, რომ პროდუქტის ნაწილს ჭამენ უსაქმურები, რომლებიც არაერთაზრ მონაწილეობას არ ლებულობენ წარმოებაში. კაპიტალისტების მიერ გამოწვეული ჭარბწარმოების დისპროპორცია ისპობა დამატებობელი სიმდიდრის წარმომადგენელთა ჭარბმოხმარებით.

ჩვენ დავინახეთ, როგორ ბავშვურად სუსტი, ტრივიალური და უმინაარსოა მალთუსი იქ, სადაც იგი ა. სმიტის შეხედულებათა სუსტ მხარეს ეყრდნობა და ცდილობს კონტრთეორია აავოს იმ თეორიის საწინააღმდეგოდ, რომელიც რიკარდომ აავო ა. სმიტის შეხედულებათა ძლიერ მხარეზე დაყრდნობით. საეჭვოა, რომ შევხვდეთ უძლურების იმაზე უფრო კომიკურ ჭაპანწყვეტას, ვიდრე მალთუსის თხზულებაა ღირებულების შესახებ. მაგრამ როგორც კი იგი პრაქტიკულ დასკვნებზე გადადის და ამით კვლავ შედის იმ სფეროში, რომელშიც იგი იღვწოდა როგორც ერთგვარი ეკონომიური აბრაჰამ ა სანტა კლარა²⁰, მთლიანად თავის სტიქიაში აღმოჩნდება ხოლმე. მაგრამ იგი აქაც ერთგული რჩება პლაგიატორის თანდაყოლილი თვისებისა. ვინ დაიჯერებდა ერთი შეხედვით, რომ მალთუსის «Principles of Political Economy» — ეს მხოლოდ მალთუსიანიზებული თარგმანია სისმონდის წიგნისა «Nouveaux Principes d'économie politique»? და მაინც ეს ასეა. სისმონდის წიგნი გამოვიდა 1819 წელს. ერთი წლის შემდეგ გამოქვეყნდა ამ წიგნის მალთუსისეული ინგლისური კარიკატურა. როგორც უწინ ტაუნსენდისა და ანდერსონის შეხედულებებში, ისე ახლა სისმონდის თხზულებაში მალთუსმა კვლავ მონახა თეორიული დასაყრდენი წერტილი ერთ-ერთი თავისი გაბერილი-

ეკონომიური პამფლეტისათვის, თანაც ამასთან ერთად მას გამოადგა აგრეთვე რიკარდოს «Principles»-დან ამოღებული ახალი თეორიებიც.

[774] თუ მალთუსი რიკარდოს წინააღმდეგ გამოსვლის დროს კაპიტალისტური წარმოების იმ ტენდენციას ებრძოდა, რომელიც რევოლუციურია ძველი საზოგადოების მიმართ, სისმონდისაგან მან შეუცდომელი ხეცური ინსტინქტით მხოლოდ ის გადმოიღო, რაც რეაქციულია კაპიტალისტური წარმოების მიმართ, თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების მიმართ.

მე აქ სისმონდის გამოვრიცხავ ჩემი ისტორიული მიმოხილვიდან, იმიტომ, რომ მისი შეხედულებების კრიტიკა იმ ნაწილს მიეკუთვნება, რომელზეც მუშაობის დაწყება მე შემძლია მხოლოდ ამ ჩემი თხზულების შემდეგ, იგი მიეკუთვნება კაპიტალის რეალური მოძრაობის განხილვას (კონკურენცია და კრედიტი).

მალთუსის მიერ სისმონდის შეხედულებათა შეგუება თავის მიზნებთან, უკვე მისი «Principles of Political Economy»-ის ერთი თავიდან ჩანს. ამ თავის სათაურია:

«განაწილების საშუალებებთან მწარმოებლური ძალების შეერთების აუცილებლობა სიმდიდრის განუწყვეტელი ზრდის უზრუნველსაყოფად» [2 nd edition] გვ. 361).

[იქ ნათქვამია:]

«მარტოდენ მწარმოებლური ძალები ჭერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ სათანადო როდენობის სიმდიდრის შექმნას. საჭიროა კიდევ რაღაც ამ ძალების მთლიანად ამოკმედებისათვის. ეს სხვა რაღაც არის ნამდვილი და შეუფერხებელი მოთხოვნა ყოველივე იმისა, რაც იწარმოება. და, როგორც ჩანს, ამ მიზნის მიღწევას ყველაზე უფრო ხელს უწყობს პროდუქტების ისეთი განაწილება და ამ პროდუქტების ისეთი შეგუება იმათ მოთხოვნილებებთან, ვინც ისინი უნდა მოიხმაროს, რომლის დროსაც პროდუქტთა მთელი მასის საცლელი ღირებულება გამუდმებით დიდდება» («Principles of Political Economy». 2nd edition, გვ. 361).

შემდეგ ასევე სისმონდისებურად არის დაწერილი და რიკარდოს წინააღმდეგ მიმართული შემდეგი ადგილი:

«ქვეყნის სიმდიდრე დამოკიდებულია, ერთი მხრივ, მისი შრომით მიღებული პროდუქტების რაოდენობაზე, მეორე მხრივ კი, არსებული მოსახლეობის მოთხოვნილებებსა და მყიდველობით უნართან ამ რაოდენობის ისეთ შეგუებაზე, რამაც, როგორც განაგარიშებათა საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, უნდა მიანიჭოს პროდუქტთა ამ რაოდენობას ღირებულება. არ არსებობს იმაზე უფრო უტყუარი დებულება, ვიდრე ის, რომ სიმდიდრე არ განისაზღვრება მარტოდენ ერთ-ერთი ფაქტორით» (ციტრ. თხზ., გვ. 301). «მაგრამ, შესაძლოა, ყველაზე მჭიდროდ სიმდიდრე და ღირებულება დაკავშირებულია ერთმანეთთან იმ გარემოებით, რომ ღირებულება აუცილებელია სიმდიდრის საწარმოებლად» (იქვე).

ეს სპეციალურად მიმართულია რიკარდოს წინააღმდეგ, მისი თხზულებების მე-20 თავის წინააღმდეგ, რომელიც დასათაურებულია «ლირიკული და სიმდიდრე, მათი განმასხვავებელი ნიშნები». რიკარდო იქ კერძოდ შემდეგს ამბობს:

«ამრიგად, ღირებულება არსებითად განსხვავდება სიმდიდრისაგან, რადგან იგი დამოკიდებულია არა სიუხვეზე, არამედ წარმოების სიმწვლეზე ან სიაღველეზე» (Ricardo, Principles, 3rd edition, გვ. 320).

{სხვათა შორის, ღირებულება შეიძლება დიდდებოდეს აგრეთვე „წარმოების სიაღველის“ გადიდების დროსაც. დავუშვათ, რომ რომელიმე ქვეყანაში მოსახლეობა იზრდება 1 მილიონი კაციდან 6 მილიონამდე. ერთი მილიონი მუშაობდა 12 საათს დღეში. 6 მილიონმა ისე განავითარა მწარმოებლური ძალები, რომ თითოეული 6 საათში აწარმოებს იმდენს, რამდენიც წინათ 12 საათის განმავლობაში იწარმოებოდა. ამ შემთხვევაში, რიკარდოს საკუთარი შეხედულების თანახმად, სიმდიდრე გაიზრდებოდა ექვსჯერ, ღირებულება კი — სამჯერ.}

«სიმდიდრე არ არის დამოკიდებული ღირებულებაზე. ადამიანი მიიღარია ან ღირბი პირველი საქიროებისა და ფუფუნების იმ საგნების სიუხვის მიხედვით, რომლებიც მის განჯარგულებაშია... ღირებულებისა და სიმდიდრის, ანუ კეთილდღეობის, ცნებათა ერთმანეთში არევის უნდა მიეწეროს იმის მტკიცება, რომ სიმდიდრე შეიძლება გადიდდეს საქონელთა, ე.ი. პირველი საქიროების, კომფორტისა და განცხრომის საგანთა რაოდენობის შემცირების გზით. ღირებულება რომ სიმდიდრის საზომი იყოს, მაშინ ამის უარყოფა არ შეიძლებოდა, რადგან საქონელთა ღირებულება იზრდება მათი იშვიათობის გამო; მაგრამ... თუ სიმდიდრე პირველი საქიროებისა და ფუფუნების საგნებისაგან შედგება, იგი არ შეიძლება გადიდდეს მათი რაოდენობის შემცირებით» (იქვე, გვ. 323—324).

სხვა სიტყვებით, რიკარდო აქ ამბობს: სიმდიდრე შედგება მხოლოდ სახმარი ღირებულებებისაგან. ბურჟუაზიულ წარმოებას იგი აქცევს უბრალოდ წარმოებად სახმარი ღირებულებისათვის: მეტად კარგი წარმოდგენაა ისეთ წარმოების წესზე, სადაც საცვლედი ღირებულება ბატონობს. ბურჟუაზიული სიმდიდრის სპეციფიკურ ფორმას რიკარდო განიხილავს როგორც მხოლოდ ფორმალურ რამეს, რაც ამ სიმდიდრის შინაარსს არ ეხება. ამიტომაც იგი უარყოფს ბურჟუაზიული წარმოების იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც მძაფრად მკლავნდებიან კრიზისებში. აქედან წარმოდგება მისი სრულიად მცდარი გაგება ფულისა. იმავე მიზეზით კაპიტალის წარმოების პროცესის განხილვისას იგი სრულიად არ იღებს მხედველობაში მიმოქცევის პროცესს, რამდენადაც ეს უკანასკნელი შეიცავს საქონელთა მეტამორფოზს, კაპიტალის ფულად გადაქცევის აუცილებლობას. ყოველ შემთხვევაში არავის არ

გაურკვევია რიკარდოზე უკეთესად და უფრო ცხადად, რომ ბურჟუაზიული წარმოება არ არის სიმდიდრის წარმოება მწარმოებელთათვის (როგორც იგი ხშირად უწოდებს მუშებს)²¹, რომ, მამასადამე, ბურჟუაზიული სიმდიდრის წარმოება სრულიადაც არ არის წარმოება «სიუხვისა», პირველი საჭიროებისა და ფუფუნების საგნებისა იმ ადამიანებისათვის, რომლებიც მათ აწარმოებენ, — ნამდვილად კი საქმის ვითარება უნდა ყოფილიყო სწორედ ასეთი, თუ წარმოება იქნებოდა მხოლოდ საშუალება მწარმოებელთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ისეთი წარმოება, სადაც გაბატონებული იქნებოდა მხოლოდ სახმარი ღირებულება. მაგრამ იგივე რიკარდო ამბობს:

«ჩვენ რომ ბ-ნ ოუენის ერთ-ერთ პარალელოგრამაში²² ეცხოვრობდეთ და ყველა ჩვენ პროდუქტით ერთობლივ ვსარგებლობდეთ, არაინ არ დაზარალდებოდა ამ პროდუქტების სიუხვით; მაგრამ სანამ საზოგადოება მოწყობილია ისე, როგორც იგი ამჟამად არის მოწყობილი, სიუხვე მწარმოებელთათვის ხშირად იქნება საზიანო, ნაკლებობა კი — სასარგებლო» («On Protection to Agriculture», 4th edition, London, 1822, გვ. 21).

[775] რიკარდო ბურჟუაზიულ, უფრო ზუსტად — კაპიტალისტურ წარმოებას განიხილავს როგორც წარმოების აბსოლუტურ ფორმას. ეს ნიშნავს, რომ, მისი აზრით, კაპიტალისტური წარმოების წარმოებითი ურთიერთობის გარკვეული ფორმები არსად არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს წარმოების — როგორც ასეთის — მიზანს, ანდა ბორჯადეს ამ მიზანს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ შეიქმნას სიუხვე, რაც შეიცავს როგორც სახმარ ღირებულებათა რაოდენობას, ისე მათს მრავალნაირობასაც, და ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს ადამიანის — როგორც მწარმოებლის — მაღალ განვითარებას, მისი მწარმოებლური უნარის ყოველმხრივ განვითარებას. და აქ რიკარდო სასაცილოდ ეწინააღმდეგება თავის თავს. როცა ღირებულებასა და სიმდიდრეზე ვლაპარაკობთ, რიკარდოს განმარტებათა თანახმად, ჩვენ მხედველობაში უნდა გექონდეს საზოგადოება მთლიანად. ხოლო როცა კაპიტალსა და შრომაზე ვლაპარაკობთ, რიკარდოს რაღაც თავისთავად ვასაგებად მიაჩნია ის, რომ «მთლიანი შემოსავალი» მხოლოდ იმისთვის არსებობს, რათა «წმინდა შემოსავალი» შექმნას. ბურჟუაზიულ წარმოებაში რიკარდო ფაქტიურად იმით არის სწორედ მოხიბლული, რომ ამ წარმოების გარკვეული ფორმები — წარმოების უფრო ადრინდელ ფორმებთან შედარებით გასაქანს აძლევენ მწარმოებლური ძალების თავისუფალ განვითარებას. იმ შემთხვევაში, როცა ეს ფორმები ამის გაკეთებას ვეღარ ახერხებენ ანდა როცა თავს იჩენენ ის წინააღმდეგობანი, რომელთა ფარგლებშიც ისინი ამას აკეთე-

ბენ, რიკარდო უარყოფს წინააღმდეგობებს, ანუ, უფრო სწორად, იგი თვით გამოხატავს სხვა ფორმით წინააღმდეგობას, როცა *ultima Thule**-ს სახით წარმოგვიდგენს ს ი მ დ ი დ რ ე ს რ ო გ ო რ ც ა ს ე თ ს, სახმარ ღირებულებათა მასას თავისთავად, მწარმოებელთა მხედველობაში მიუღებლად.

ს ი ს მ ო ნ დ ი ღ რ მ ა დ გ რ ძ ნ ო ბ ს, რომ კაპიტალისტური წარმოება თავის თავს ეწინააღმდეგება, რომ მისი ფორმები — მისი წარმოებითი ურთიერთობანი — ერთი მხრივ, სტიმულს აძლევენ მწარმოებლური ძალისა და სიმდიდრის შეუკავებელ განვითარებას, მაგრამ, რომ, მეორე მხრივ, ეს ურთიერთობანი შეზღუდულია გარკვეული პირობებით და რომ მათთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი სახმარი და საცვლელი ღირებულებისა, საქონლის და ფულისა, ყიდვის და ჭაყიდვისა, წარმოების და მოხმარებისა, კაპიტალის და დაქირავებული შრომისა და ა. შ. მით უფრო დიდ მასშტაბს ღებულობენ, რაც უფრო ვითარდება მწარმოებლური ძალა. რასაც სისმონდი განსაკუთრებით გრძნობს — ეს არის ძირითადი წინააღმდეგობა: ერთი მხრივ, შეუზღუდველი განვითარება მწარმოებლური ძალისა და გადიდება სიმდიდრისა, რომელიც ამასთანავე საქონელთაგან შედგება და ფულად უნდა გადაიქცეს; მეორე მხრივ, როგორც საფუძველი ამისა, მწარმოებელთა მასის შეზღუდვა პირველი საჭიროების საგნებით. ამიტომ სისმონდისათვის კრიზისები შემთხვევითი მოვლენები კი არ არის, როგორც ეს რიკარდოსათვისაა, არამედ არსებითი გამოვლენანია იმანენტური წინააღმდეგობებისა, რომლებიც მძაფრი ფორმით იჩენენ ხოლმე თავს, ფართო სფეროს მოიცავენ და გარკვეული პერიოდების შემდეგ მეორდებიან. და აი იგი მუდამ შერყეობს: რა უნდა ალაგმოს სახელმწიფომ — მწარმოებლური ძალები, რათა ისინი წარმოებით ურთიერთობათა შესაბამისი გახადოს, თუ წარმოებითი ურთიერთობანი, რათა ისინი მწარმოებლური ძალების შესაბამისი გახადოს? ამასთან იგი ხშირად წარსულში ეძიებს ხსნას; იგი ხდება «*laudator temporis acti*»** ანდა ცდილობს წინააღმდეგობანი აგრეთვე იმით დასძლიოს, რომ სხვაგვარად მოაწესრიგოს თანაფარდობა შემოსავალსა და კაპიტალს შორის, განაწილებასა და წარმოებას შორის, და ვერ გაუგია, რომ განაწილების ურთიერთობანი — ეს არის მხოლოდ წარმოების ურთიერთობანი *sub alia specie****. იგი მოხ-

* — რაღაც უკანასკნელი, უკიდურესი წერტილი, უკიდურესი ზღვარი, საბოლოო მიზანი (სიტყვასიტყვით: უკიდურესი ფულა — კუნძულოვანი ქვეყანა, რომელიც, ძველი აღაშენების წარმოდგენით, ევროპის უკიდურეს ჩრდილოეთში იმყოფებოდა). რ ე დ.

** — წარსული დროის მაქებარი» (პორაქუსი, «პოეზიის მეცნიერება»).

*** — სხვა თვალთახედვით. რ ე დ.

დენილად აკრიტიკებს ბურჟუაზიული წარმოების წინააღმდეგობებს, მაგრამ მას ისინი არ ესმის, და ამიტომ არ ესმის მათი გადაწყვეტის პროცესიც. მაგრამ სინამდვილეში მისი შეხედულებების საფუძველია ბუნდოვანი მიხვედრა იმისა, რომ კაპიტალისტური საზოგადოების წიაღში განვითარებულ მწარმოებლურ ძალებს, სიმდიდრის შექმნის მატერიალურ და სოციალურ პირობებს, უნდა შეესაბამებოდეს ამ სიმდიდრის მითვისების ახალი ფორმები; რომ ბურჟუაზიული ფორმები მხოლოდ წარმატალი და წინააღმდეგობებით აღსავსე ფორმებია, რომლებშიც სიმდიდრე ყოველთვის მხოლოდ წინააღმდეგობრივ არსებობას ღებულობს, გვევლინება რა ყველგან ამასთანავე როგორც თავისი საკუთარი დაპირისპირებულობა. ეს ისეთი სიმდიდრეა, რომლის წანაძღვარია მუდამ სიღატაკე და რომელიც ვითარდება მხოლოდ იმით, რომ ავითარებს სიღატაკეს.

ჩვენ დავინახეთ, როგორი წარმტაცი ფორმით ითვისებს მალთუსი სისმონდის შეხედულებებს. გადაჭარბებული და კიდევ უფრო საზიზღარი სახით მალთუსის თეორია მოცემულია თომას ჩალმერსის (თეოლოგიის პროფესორის) თხზულებაში «On Political Economy in connexion with the Moral State and Moral Prospects of Society» 2nd edition, London, 1832). აქ ჩვენ არა მარტო თეორიული თვალსაზრისით წარმოგვიდგება კიდევ უფრო ძლიერად ხუტური ელემენტი, არამედ პრაქტიკულ ასპექტშიც კიდევ უფრო ძლიერად იგრძნობა «დაწესებული ეკლესიის»²² წევრი, რომელიც «ეკონომიურად» იცავს მის «ამქვეყნიურ კეთილდღეობას» და განწესებათა მთელ სისტემას, რომლებთანაც ერთად ეს ეკლესია დგას და ეცემა.

აი მალთუსის ის ღებულებანი მუშების შესახებ, რომლებიც ზემოთ იგულისხმებოდა:

«მწარმოებლური შრომით დასაქმებული მუშების მოხმარება და მოთხოვნა სრულიად არაა საკმარისი იმისათვის, რომ კაპიტალის დაგროვებისა და გამოყენების სტიმული შეიქმნას» («Principles of Political Economy» [2nd edition], გვ. 315).

არც ერთი ფერმერი არ გაირჩება მეთაულურება გაუწიოს ათი დამატებითი მუშის შრომას მხოლოდ იმიტომ, რომ მთელი მისი პროდუქტი გაიყიდება მაშინ ბაზარზე სწორედ იმდენად აწეულ ფასებში, რამდენიც მან დამატებითი მუშებისათვის გადაიხადა. იმ საქონლის მოთხოვნისა და მიწოდების წინა თანაფარდობაში, რომელზეც ლაპარაკია, ანუ მის ფასში, უნდა მომხდარიყო — ჩერ კიდევ მანამდე, სანამ ახალი მუშები დამატებით მოთხოვნას შექმნიდნენ და ამ მოთხოვნისაგან დამოუკიდებლად — რაღაც ისეთი, რაც გამართლებდა დამატებითი მუშების გამოყენებას და ამ საქონლის წარმოებას» (იქვე, გვ. 312).

«თეთი მწარმოებელი მუშის მიერ შექმნილი მოთხოვნა, არასდროს არ შეიძლება სემარისი მოთხოვნა იყოს, [776], ვინაიდან იგი არ ვრცელდება პროდუქტის

მთელ იმ რაოდენობაზე, რასაც მუშა აწარმოებს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ არ იქნებოდა მოგება, მაშასადამე, არ იქნებოდა მუშის შრომის გამოყენების მოტივიც. თვით არსებობა მოგებისა, რასაც რომელიმე საქონელი იძლევა, გულისხმობს მოთხოვნას, რომელიც ამ საქონლის შემქმნელი მუშების მიერ წამოყენებული მოთხოვნის ფარგლებს სცილდება» (გვ. 405, შენიშვნა).

«რადგან მუშათა კლასის მოხმარების ძლიერმა გადიდებამ მნიშვნელოვნად უნდა გააძლიეროს წარმოების ხარჯები, ამიტომ მან უნდა შეამციროს მოგება და შეასუსტოს ან მოსპოს დაგროვების მოტივი» (იქვე, გვ. 405).

«პირველი საჭიროების საგნების ნაკლებობა — იმის, რაც აიძულებს უმთავრესად მუშათა კლასს აწარმოოს ფუფუნების საგნები; თუ ეს სტიმული მოიხსნებოდა ან მნიშვნელოვნად შესუსტებოდა, ისე რომ პირველი საჭიროების საგნების მიღება შესაძლებელი იქნებოდა მეტად მცირე შრომის დახარჯვით, მაშინ ყველა საფუძველი გვექნებოდა გვეფიქრა, რომ კომფორტის საგნების წარმოებას მეტი დრო კი არ დაეთმობოდა, არამედ ნაკლები» (იქვე, გვ. 334).

მალთუსი არ არის იმით დაინტერესებული რომ ბურჟუაზიული წარმოების წინააღმდეგობანი დაფაროს; პირიქით, მას აინტერესებს ამ წინააღმდეგობათა წინ წამოწევა, — ერთი მხრივ, რათა მუშათა კლასის სილატაკის აუცილებლობა დაამტკიცოს (ეს სილატაკე მართლაც აუცილებელია ამ წარმოების წესისათვის); მეორე მხრივ, რათა კაპიტალისტებს დაუმტკიცოს, რომ ჩასუქებული სამღველოება და მოხელეები აუცილებელნი არიან კაპიტალისტების მიერ გასაყიდ პროდუქტებზე საკმაო მოთხოვნის შესაქმნელად. ამიტომაც მალთუსი ამტკიცებს, რომ «სიმდიდრის უწყვეტი გადიდებისათვის» საკმარისი არაა არც მოსახლეობის ზრდა, არც კაპიტალის დაგროვება (იქვე, გვ. 319—320), არც ნიადაგის ნაყოფიერება (გვ. 331 და შემდგომი), არც «შრომის დამზოგავი გამოგონებანი», არც «საგარეო ბაზრების» გაფართოება (გვ. 352, 359).

«როგორც მუშები, ისე კაპიტალიც შეიძლება აღმოჩნდეს მოჭრბებული მათი მომგებიანი გამოყენების შესაძლებლობასთან შედარებით» (იქვე, გვ. 414).

ამიტომ, რიკარდოს მიმდევართა საპირისპიროდ, მალთუსი ხაზგასმით აღნიშნავს საყოველთაო ჭარბწარმოების შესაძლებლობას (იქვე, გვ. 326 და სხვა ადგილასაც).

ამასთან დაკავშირებით იგი აყენებს შემდეგ მთავარ დებულებებს:

«მოთხოვნა ყოველთვის განისაზღვრება ღირებულებით, მიწოდება კი — რაოდენობით» («Principles of Political Economy» [2nd edition], გვ. 316).

«საქონელი გაიცლება არა მარტო საქონელზე, არამედ აგრეთვე მწარმოებელურ შრომაზე და პირად მომსახურებაზე, ხოლო ამასთან შედარებით, აგრეთვე ფულთან შედარებითაც, შეიძლება ადგილი ჰქონდეს საქონლით ბაზრის საყოველთაო პირთამდე აესებას» (იქვე).

«მიწოდება ყოველთვის უნდა იყოს რ ა ო დ ე ნ ო ბ ის პროპორციული, მოთხოვნა კი — ლ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ის პროპორციული» («Definitions in Political Economy», edited by Cazenove, გვ. 65).

«ცხადია», — ამბობს ჯემს მილი, — «რომ ყოველივე ის, რაც ადამიანმა აწარმოვა და არ სურს თავისი საკუთარი მოხმარებისათვის დაიტოვოს, შეადგენს მარაგს, რომელიც მას შეუძლია სხვა საქონელზე გადაცელოს. ამიტომ მისი სურვილი ყიდვისა და საშუალებანი საქონელთა ყიდვისათვის — სხვა სიტყვებით, მისი მოთხოვნა — ზუსტად უდრის მის მიერ წარმოებულ იმ საქონელთა რაოდენობას, რომელთა მოხმარებაც თვით მის ფიქრად არა აქვს»*. «სახეებით ნათელია» [ვლადევა მალთუსი ჯემს მილს], «რომ ჩხვა საქონელთა ყიდვის მისი საშუალებანი პროპორციულია არა მის საკუთარ საქონელთა რ ა ო დ ე ნ ო ბ ის ა, რომლებიც მან აწარმოვა და რომელთა გასაღებაც მას სურს, არამედ მათი სა ც ვ ლ ე ლ ი ლ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ის ა; და თუ მხოლოდ საქონლის საცვლელი ღირებულება შემთხვევით არ აღმოჩნდება მისი რაოდენობის პროპორციული, შეუძლებელია სწორი იყოს იმის მტკიცება, რომ თითქმის ყოველი ინდივიდის მოთხოვნა და მიწოდება ყოველთვის ერთიმეორის ტოლი იყოს» (იქვე, გვ. 64—65).

ყოველი ინდივიდის მოთხოვნა მისი მიწოდების ტოლი რომ იყოს ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, ეს იმის დამამტკიცებელი იქნებოდა, რომ ყოველ ინდივიდს მუდამ შეუძლია თავისი საქონელი ისეთ ფასში გაყიდოს, რომელიც უდრის წარმოების ხარჯებს, სამართლიანი მოგების ჩათვლით. მაშინ ბაზრის ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ე ვ ი პირთამდე ავსებაც კი შეუძლებელი იქნებოდა. ეს არგუმენტი ძლიერ ბევრ რამეს ამტკიცებს... მიწოდება უნდა იყოს ყოველთვის რ ა ო დ ე ნ ო ბ ის პროპორციული, მოთხოვნა კი — ლ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ის პროპორციული» («Definitions in Political Economy», London, 1827, გვ. 48. შენიშვნა).

«მილს აქ მისი» (მყიდველის) «მოთხოვნა ესმის როგორც ყიდვის საშუალებანი. მაგრამ სხვა საქონელთა ყიდვის ეს საშუალებანი პროპორციულია არა მის საკუთარ საქონელთა რ ა ო დ ე ნ ო ბ ის ა, რომლებიც მან აწარმოვა და რომელთა გასაღებაც მას სურს, არამედ მათი სა ც ვ ლ ე ლ ი ლ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ის ა; და თუ მხოლოდ საქონლის საცვლელი ღირებულება შემთხვევით არ აღმოჩნდება მისი რაოდენობის პროპორციული, შეუძლებელია სწორი იყოს იმის მტკიცება, რომ ყოველი ინდივიდის მოთხოვნა და მიწოდება ყოველთვის ერთიმეორის ტოლია» (იქვე, გვ. 48—49).

«მედარია ტორენის მტკიცება, რომ «მიწოდების ზრდა ნამდვილი მოთხოვნის გადიდების ერთადერთი მიზეზია»*. ეს რომ ასე იყოს, მაშინ რა ძნელი იქნებოდა კაცობრიობისათვის კვლავ წელში გამართვა საქმლისა და ტანსაცმლის რაოდენობის დროებითი შემცირებისას. მაგრამ, როცა საქმლისა და ტანსაცმლის რაოდენობა მცირდება, იზრდება მათი ღირებულება; საქმლისა და ტანსაცმლის დარჩენილი რაოდენობის ფულადი ფასი ჭარბეული დროის განმავლობაში უფრო მეტად გაიზრდება, ვიდრე მათი რაოდენობა მცირდება, მაშინ როდესაც შრომის ფულადი ფასი შეიძლება უცვლელი დარჩეს. ამის აუცილებელი შედეგი ისაა, რომ შესაძლებელია უწინდელთან შედარებით მწარმოებლური შრომის უფრო მეტი რაოდენობის მოძრაობაში მოყვანა» (გვ. 59—60).

«რომელიმე ერის ყველა საქონლის ფასი შეიძლება დაეცეს ფულთან ან შრომასთან შედარებით» (გვ. 64 და შემდ.). «ამრიგად, შესაძლებელია საქონლით ბაზრის საყოველთაო პირთამდე ავსება» (იქვე). «საქონელთა ყველა ფასი შეიძლება წარმოების ხარჯებზე დაბლა დაეცეს» (იქვე).

* შეად. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 116. რედ.

* შეად. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 88. რედ.

* * *

[777] აღსანიშნავია კიდევ ის, რასაც მალთუსი მიმოქცევის პროცესზე ლაპარაკობს:

«თუ ჩვენ გამოყენებული ძირითადი კაპიტალის ღირებულებას ავანსებული კაპიტალის ნაწილად ვთვლით, წლის ბოლოს ძირითადი კაპიტალის დარჩენილი ღირებულება უნდა ჩავთვალოთ წლიური მოგების ნაწილად... სინამდვილეში მის» (კაპიტალისტის) «მიერ ყოველწლიურად ავანსებულ კაპიტალს შეადგენს მხოლოდ მისი საბრუნავი კაპიტალი, მისი ძირითადი კაპიტალის გაცვეთა ძირითადი კაპიტალის სარგებელთან ერთად და მისი საბრუნავი კაპიტალის იმ ნაწილის სარგებელი, რომელიც იმ ფულისაგან შედგება, რომელიც მის წლიურ გადასახდელთა დაფარვას ხმარდება ელდების დადგომის კვალობაზე» («Principles of Political Economy» [2nd edition], გვ. 269).

მე ვამტკიცებ, რომ ამორტიზაციის ფონდი, ე. ი. ძირითადი კაპიტალის გაცვეთის ანაზღაურებისათვის განკუთვნილი ფონდი, ამასთანავე დაგროვების ფონდიცაა.

[18] «არამწარმოებელ მომხმარებელთა» მალთუსისეული კონცეფციის კრიტიკა რიკარდოს მიმდევართა მიერ

მე მინდა კიდევ მოვიყვანო რამდენიმე ამონაწერი ერთ-ერთი რიკარდოელის იმ თხზულებიდან, რომელიც მიმართულია მალთუსის თეორიის წინააღმდეგ, რაც შეეხება იმავე თხზულებაში მოთავსებულ გამოცდებს, კაპიტალისტური თვალსაზრისით, მალთუსისეულ არამწარმოებელ მომხმარებელთა წინააღმდეგ საერთოდ და კერძოდ ლენდლორდების წინააღმდეგ, მე სხვა ადგილას დავამტკიცებ, რომ მუშების თვალსაზრისით მათ საესეებით ძალა აქვთ კაპიტალისტების წინააღმდეგაც (ეს განეკუთვნება განყოფილებას «კაპიტალისა და დაქირავებული შრომის ურთიერთობის აპოლოგეტიკური განხილვის» შესახებ²⁴).

[რიკარდოს ანონიმური მიმდევარი წერს:

«გამომდინარე იქიდან, რომ კაპიტალის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში იზრდება, თუ უზრუნველყოფილია მოგების წინანდელი ან უფრო მაღალი ნორმა, და რომ მართოდ გადიდება კაპიტალისა თავისთავად ვერ უზრუნველყოფს მოგების ასეთ ნორმას, არამედ საპირისპირო მიმართულებით მოქმედებს,—ბნ მალთუსს და მათ, ვინც მასავით მსჯელობს, სურთ ისეთი წყარო გამოიხონ, რომელიც არ იქნებოდა დამოკიდებული თვით წარმოებაზე, რომელიც იმის გარეშე იქნებოდა,— წყარო, რომლის პროგნოზი უნდა ფეხდაფეხ გაყვებოდა კაპიტალის პროგრესულ ზრდას და რომლიდანაც შესაძლებელი იქნებოდა საჭირო სიდიდის მოგების ნორმის მუდმივად დამატებით რაოდენობათა მიღება» («An Inquiry into these Principles, respecting the Nature of Demand and the Necessity of Consumption, lately advocated by Mr. Malthus» etc. London, 1821, გვ. 33—34).

5. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

ასეთ წყაროს წარმოადგენენ, მალთუსის მიხედვით, «არამწარმოებელი მომხმარებლები» (იქვე, გვ. 35).

ბ-ნი მალთუსი ზოგჯერ ისე ლაპარაკობს, თითქოს ორი სხვადასხვა ფონდი არსებობდეს, კაპიტალი და შემოსავალი, მიწოდება და მოთხოვნა, წარმოება და მოხმარება, რომლებიც იმას უნდა ცდილობდნენ, რომ ერთიმეორეს ფეხდაფეხ მისდიონ და ერთიმეორეს არ გაუსწრონ. თითქოს გარდა წარმოებულ საქონელთა მთელი მასისა საჭირო იყოს კიდევ სხვა მასა, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, ციდან ეარდება ამ წარმოებულ საქონელთა საყიდლად... მოხმარების ისეთი ფონდი, რომელსაც ბ-ნი მალთუსი მოითხოვს, შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ წარმოების ხარჯზე» (გვ. 49—50).

«მისი» (მალთუსის) «მსჯელობა მუდამ საგონებელში გვაგდებს იმის შესახებ, უნდა გავაფართოვოთ წარმოება თუ უნდა შევზღუდოთ იგი. როცა ადამიანს მოთხოვნა არასაკმარისად მიაჩნია, ნუთუ ბ-ნი მალთუსი ამ ადამიანს ურჩევს ფული მისცეს სხვა ვინმეს, რათა ამ სხვამ მისი საქონელი იყიდოს? ალბათ, არა» (გვ. 55). რა თქმა უნდა, კი!

«როცა საქონელს ყიდიო, თქვენ მიზნად ისახავთ გარკვეული ფულადი თანხა მიიღოთ, არაერთი აზრი არ ექნება იმას, თუ თქვენ მუქთად მისცემთ ამ ფულად თანხას ვინმეს იმ ანგარიშით, რომ იგი უკანვე დაგიბრუნებთ ამ ფულს, როცა ამით თქვენს საქონელს იყიდის. ასევე თავისუფლად შეგეძლოთ თქვენ ერთბაშად დაგეწვათ თქვენი საქონელი და მაშინ იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდით» (გვ. 63).

მალთუსის მიმართ ანონიმური ავტორი მართალია. მაგრამ იქიდან, რომ «წარმოებულ საქონელთა მთელი მასა» ერთი და იგივე ფონდია—წარმოების ფონდი და მოხმარების ფონდი, მიწოდების ფონდი და მოთხოვნის ფონდი, კაპიტალის ფონდი და შემოსავლის ფონდი, —სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ სულ ერთია, როგორ ნაწილდება მთელი ერთობლივი ფონდი ამ სხვადასხვა კატეგორიას შორის.

ანონიმურ ავტორს არ ესმის, რას გულისხმობს მალთუსი, როცა ლაპარაკობს, რომ მუშების «მოთხოვნა» «არასაკმარისია» კაპიტალისტიებისათვის.

«რაც შეეხება მოთხოვნას შრომის მხრივ, ეს არის შრომის გაცემა საქონელზე. ანუ... გაცემა მომავალი დამატებითი ღირებულებისა, შრომის ღირებულებას რომ ემატება, არსებულ. შუა პროდუქტებზე... ეს არის ნამდვილი მოთხოვნა, რომლის გადიდება არსებითი მნიშვნელობა აქვს მწარმოებლისათვის» და ა.შ. (ციტირ. თხზ., გვ. 57).

მალთუსს მხედველობაში აქვს არა შრომის მიწოდება (რასაც ავტორი უწოდებს «მოთხოვნას შრომის მხრივ»), არამედ ისეთი საქონლის მოთხოვნა, რომლის წამოყენება მუშას შეუძლია მის მიერ მიღებული ხელფასის მეშვეობით; ეს ის ფულაა, რომლითაც მუშა, მყიდველის სახით, საქონლის ბაზარზე გამოდის. და ამ მოთხოვნის შესახებ მალთუსი მართებულად უენიშნავს, რომ იგი არასოდეს არაა

საკმარისი საქონელთა მიწოდებისათვის კაპიტალისტის მხრივ. წინააღმდეგ შემთხვევაში მუშას შეეძლო თავისი ხელფასით მთელი თავისი პროდუქტი გამოესყიდა.

[775] იგივე ავტორი ამბობს:

«გადიდებული მოთხოვნა [სამუშაოს მიღებისა] მათი» (მუშების) მხრივ ნიშნავს იმას, რომ ისინი მზად არიან აიღონ თავისთვის პროდუქტის ნაქლებად მნიშვნელოვანი ნაწილი და დაუტოვონ მისი უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი იმათთვის მათ, მუშებს, ქირაობს; და თუ ამბობენ, ეს მოხმარებას ამცირებს და ამით ბაზრის პირთაშორე ავსებას აღივსებს, მე შემიძლია მხოლოდ ვუბნახო, რომ ასეთ შემთხვევაში ბაზრის პირთაშორე ავსება მაღალი მოცულების სინონიმი» (ციტირ. თხზულება, გვ. 59).

ავტორის მიხედვით, ეს შენიშვნა უნდა იყოს დაცინვა, მაგრამ ფაქტიურად იგი შეიცავს «ბაზრის პირთაშორე ავსების» ძირითად საიდუმლოებას.

მალთუსის «Essay on Rent»-ის²⁵ შესახებ ჩვენი ავტორი ლაპარაკობს:

«თავისი «Essay on Rent» — ის გამოქვეყნებით ბ-ნ მალთუსს, ალბათ, ნაწილობრივ განზრახვა ჰქონდა გამოსულიყო წინააღმდეგ ლოზუნგისა «ძირს ლენდლორდები», რომელიც მაშინ წითელი ასოებით იყო დაწერილი კელლებზე», დავცა ეს კლასი და დამტკიცებინა, რომ ლენდლორდები არა ჰყვანან მონოპოლიტებს. მიწის რენტის გაუქმება რომ არ შეიძლება, მისი ზრდა რომ ბუნებრივი მოვლენაა, რომელიც თან ახლავს, როგორც წესი, სიმდიდრისა და მოსახლეობის ზრდას, — ეს მან ცხადყო; მაგრამ ზალხის მოწოდება «ძირს ლენდლორდები» სრულიადაც არ ნიშნავდა აუცილებლად, რომ არ უნდა არსებობდეს ისეთი რამ, როგორც რენტა; არამედ, პირიქით, იგი მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ რენტა თანაბრად უნდა ნაწილდებოდეს მთელ მოსახლეობას შორის, ეგრეთ წოდებული «საპენსის გეგმის»²⁶ შესაბამისად. როცა ბ-ნი მალთუსი იმაზე გადადის, რომ დაცვას მიწის მესაკუთრენი მონოპოლისტების საძლეელი სახელწოდებისაგან და ადამ სმიტის იმ შენიშვნისაგან, რომ «მათ უყვართ მოიპონ იქ, სადაც არასოდეს არ დაუთესიათ», ჩანს, იგი მხოლოდ — ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ის ა თ ე ის ი ბ რ ძ ე ის... მის უველა ამ არგუმენტში ძლიერ ბევრი რამა აღეოკატისეული» (ციტირ. თხზ., გვ. 108—109).

[14] მალთუსის თხზულებათა რეაქციული როლი და მათი კლასიკური ხასიათი. «მალალი» და «დაბალი» კლასების არსებობის მალთუსისეული აპოლოგიატიკა]

მალთუსის წიგნი «On Population» იყო პამფლეტი საფრანგეთის რევოლუციისა და მისი იმ თანადროული იდეების წინააღმდეგ, რომლებიც შეეხებოდა რეფორმებს ინგლისში (გოდინი და სხვ.). იგი წარმოადგენდა მუშათა კლასის სილატაქის აპოლოგიას. თეორია იყო პლაგიატი ტაუნსენდისა და სხვების ნაშრომებიდან.

მისი «Essay on Rent» წარმოადგენდა პამფლეტს სამრეწველო კაპიტალის წინააღმდეგ ლენდლორდების დასაცავად. თ ე ო რ ი ა იყო პლაგიატი ანდერსონის ნაწარმოებებიდან.

მისი «Principles of Political Economy» იყო პამფლეტი კაპიტალისტების ინტერესების დასაცავად მუშების წინააღმდეგ და არისტოკრატის, ეკლესიის, გადასახადების შთანთქმელთა, ყოველგვარი მოქმედებებისა და ა. შ. ინტერესების დასაცავად კაპიტალისტების წინააღმდეგ. თ ე ო რ ი ა ნახსენები იყო ა. სმიტისაგან. იქ, სადაც თეორია საკუთარი გამოგონებაა, იგი სავალალოა. თეორიის შემდგომი გადმოცემისას საფუძველს წარმოადგენს სისმონდი. [XIV—778]

* * *

[VIII—345] {თავის თხზულებაში «Essay sur la Population» (5th. edition, traduction de P. Prévost. Genève, 1836. Troisième édition. Tome IV, გვ. 104—105) მ ა ლ თ უ ს ი მისთვის ჩვეული «ღრმა ფილოსოფიით» შემდეგ შენიშვნას აკეთებს იმ რაღაც გეგმის წინააღმდეგ, რომელიც თვალისწინებდა ინგლისელი კოტერებისათვის * ძროხების საჩუქრად მიცემას.

«ღრმინაედენ, რომ კ ო ტ ე რ ე ბ ი, რომელთაც ძროხები ჰყავთ, უფრო შრომის-მოყვარენი არიან და უფრო წესიერ ცხოვრებას ეწევიან, ვიდრე ისინი, ვისაც ძროხები არა ჰყავთ... უმრავლესობაში იმათგან, რომელთაც ამჟამად ძროხები ჰყავთ, ეს უკანასკნელნი თვითნაირი შრომით მიღებული სახსრებით იყიდეს. ამიტომ უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ შრომაში მისცა მათ ძროხები, ვიდრე თქმა იმისა, თითქოს ძროხებმა მისცეს მათ შრომის გეგმა.»

პოდა, სწორია, რომ მეტიჩრებს ბურჟუებს შორის მათმა გულმოდგინებამ შრომაში (სხვისი შრომის ექსპლოატაციასთან ერთად) მისცა ძროხები, ისევე როგორც მათ შეილებს ძროხები აჩვევენ უსაქმურობას. თუ მათს ძროხებს წაართმევდნენ — არა რძის მოცემის უნარს, არამედ ფასგადაუხდელ სხვის შრომაზე განკარგულების უნარს, ეს მეტად სასარგებლო იქნებოდა ამ მეტიჩართათვის შრომისადმი გემოვნების შესაწარმუნებლად.

იგივე «ღრმა ფილოსოფოსი» შენიშნავს:

* — მოკამაგირეთათვის, რომლებიც მიწის მესაკუთრისაგან ან მოიჯარე ფერმერისაგან, ვისთვისაც ისინი მუშაობდნენ, ლებულობდნენ პატარა სახლს (კოტეჯს) სოფელში და მას გვერდით მიწის ნაკვეთს. რ ი თ.

«ეხადია, რომ ადამიანები ყველანი არ შეიძლება სა-
შუალო კლასებს ეკუთვნოდნენ. აუცილებელია მაღალი და დაბალი
კლასები» (რასაკვირველია, თუ არ იქნებოდნენ უკიდურესნი, არ იქნებოდნენ საშუალო-
ნიც), «და ისინი, გარდა ამისა, ძლიერ სასარგებლონი არიან. თუ საზოგადოებაში არავის
არ ექნებოდა ამაღლების იმედი და არ შეეშინდებოდა დაქვეითების და თუ შრომის ანაზ-
ღაურება არ მოჰყვებოდა, სიზარმაცეს კი — სასჯელი, მაშინ ეერსად ვერ დავინახავდით
იმ გულმოდგინებას, იმ თავგამოდებას, რითაც ყოველი ადამიანი ცდილობს თავისი მდგო-
მარეობა გაუმჯობესოს, რაც საზოგადოებრივი [346] კეთილდღეობის უმნიშვნელოვანეს
მამოძრავებელ ძალას შეადგენს» (იქვე, გვ. 112).

დაბალი კლასები უნდა არსებობდნენ იმისათვის, რომ მაღალ კლასებს
დაქვეითების ეშინოდეთ, მაღალი კლასები კი — იმისათვის, რომ დაბალ
კლასებს ამაღლების იმედი ჰქონდეთ. იმისათვის, რომ სიზარმაცეს სას-
ჯელი მოსდევდეს, მუშა უნდა იყოს ღარიბი, რანტიე და მალთუსისათვის
ესოდენ საყვარელი მიწის მესაკუთრე კი მდიდრები უნდა იყვნენ. და რო-
გორ ესმის მალთუსს შრომის ანაზღაურება? როგორც შემდეგ დავინა-
ხავთ*, მალთუსს მხედველობაში აქვს ის, რომ მუშა თავისი შრომის ნა-
წილს უეკვივალენტოდ უნდა იძლეოდეს. შესანიშნავი სტიმულია, სტი-
მულს რომ „ანაზღაურება“ წარმოადგენდეს და არა შიმშილი. საუკეთე-
სო შემთხვევაში ყველაფერი იმით თავდება, რომ ამა თუ იმ მუშას შეიძ-
ლება იმის იმედი ჰქონდეს, რომ ისიც ოდესმე ექსპლოატაციას გაუწევს
მუშებს.

«რაც უფრო ერცელდება მონობლია», — ამბობს რუსო, — «მით უფრო მიიმეა
ჩაჭვი ექსპლოატირებულთათვის»²⁷.

სხვაგვარად ფიქრობს «ღრმა მოაზროვნე» მალთუსი. საუკეთესო
შემთხვევაში მას იმის იმედი აქვს, რომ საშუალო კლასის რიცხვი გაიზრ-
დება, პროლეტარიატი კი (მომუშავე პროლეტარიატი) შეადგენს მთელი
მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც შეფარდებით სულ უფრო მცირ-
დება (თუმცა იგი აბსოლუტურად იზრდება). თვით მალთუსს მიაჩნია,
რომ ეს მისი იმედი ცოტად თუ ბევრად უტოპიურია. ასეთიც არის სინამდ-
ვილეში ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარების მსვლე-
ლობა.

«ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ», — ამბობს მალთუსი, — «რომ ოდესმე მომავალში
ის მეთოდები, რომლებიც ამცირებენ შრომას და რომლებმაც ესოდენ სწრაფი განვითა-
რება განიცადეს, საბოლოოდ დაკმაყოფილებენ ყველაზე მდიდარი საზოგადოების ყვე-
ლა მოთხოვნილებას ადამიანის შრომის უფრო ნაკლები რაოდენობით, ვიდრე ამ მიზნი-
სათვის ამაჰმად არის საჭირო; და თუ მაშინ მუშავერ განთავისუფლ-

* იხ. ამ ტომის შესაბამე ნაწილში გვერდები 30, 35, 41—44 და სხვ. რედ.

ღებამ იმ მძიმე ტვირთის ნაწილისაგან. რომელიც მას
 «ამჟამად აწიეს» (იგი უწინდებურად იძულებული იქნება შრომაში იმდენივე
 ოფლი ღებოს, რაქდენსაც უწინ ღვრიდა, და შეფარდებით უფრო მეტი სხეებისათვის და
 უფრო ნაკლები თავისთვის), ყოველ შემთხვევაში იმათი რიცხვი, ვისაც საზო-
 გალობა ასეთ მძიმე ტვირთს აკისრებს, შემცირდებოდა» (იქვე, გვ. 113.) [VIII—346]

[15] **მალთუსის ეკონომიური თეორიის პრინციპების
 გადმოცემა ანონიმურ თხზულებაში
 «OUTLINES OF POLITICAL ECONOMY»]**

[XIV—778] თხზულებას, რომელიც მალთუსის პრინციპებს გადმო-
 ვცემს, წარმოადგენენ ანონიმური «*Outlines of Political Economy;
 being a plain and short view of the Laws relating to the Production,
 Distribution, and Consumption of Wealth*». London, 1832.

ამ თხზულების ავტორი* იმთავითვე მიგვითითებს იმ პრაქტიკულ
 მოტივზე, რომლის ძალითაც მალთუსიანელები ილაშქრებენ სამუშაო
 ღრითი ღირებულების განსაზღვრის წინააღმდეგ:

«მოძღვრება, რომ შრომა სიმდიდრის ერთადერთი წყაროა, არის, უნდა ვიფიქროთ,
 იმდენადვე საშიში. რამდენადაც მცდარი, რადგან იგი დამღუპველად აძლევს დასაყრდენს
 იმას, ვინც ამტკიცებს, რომ მთელი საკუთრება ეკუთვნის მშრომელ კლასებს და რომ
 წილი, რასაც სხვები ღებულობენ, თითქოს მძარცველური და თაღლითური გზით წაართვის
 მუშებს» (დასახელ. თხზ. გვ. 22, შენიშვნა).

ანონიმური ავტორის შემდგომ ფრაზაში უფრო მკაფიოდ მოჩანს,
 ვიდრე მალთუსის მსჯელობაში, რომ მას არეული აქვს ერთმანეთში სა-
 ქონლის ღირებულება და კაპიტალის სახით საქონლის ან ფულის
 გამოყენება. უკანასკნელი აზრით ზედმეტი ღირებულების წარ-
 მოშობა გამოხატულია სწორად:

«კაპიტალის ღირებულება, ე. ი. შრომის რაოდენობა, რაც კაპიტალი
 ღირს, ანუ რაც მის განკარგულებაშია, ყოველთვის უფრო მეტია შრომის იმ რაოდენო-
 ბაზე, რაც მასზე დაიარაჟა, და ეს სხვაობა ქმნის მოგებას, ანუ ანაზღაურებას, რასაც
 კაპიტალის მფლობელი ღებულობს» (იქვე, გვ. 32).

სწორია აგრეთვე შემდეგი, მალთუსისაგან ნასესხები, მოსაზრებაც
 იმის შესახებ, თუ რატომ უნდა მიეკუთვნოს მოგება კაპიტალისტური
 წარმოების პირობებში წარმოებების ხარჯებს:

«გამოყენებული კაპიტალის მოგება» {«ამ მოგების მიუღებლად კი არ იქნებოდა
 საქმის სტიმული საქონლის საწარმოებლად»} «მიწოდების არსებითი პირობაა, და ასეთი
 პირობის სახით იგი შეადგენს წარმოების ხარჯების ერთ-ერთ შემადგენელ
 ნაწილს» (იქვე, გვ. 33).

* — ზონ კეიზნოვი. რ. გ. წ.

შემდგომი ნაწყვეტი შეიცავს, ერთი მხრივ, სწორ აზრს იმის შესახებ, რომ კაპიტალის მოგება გამომდინარეობს უშუალოდ შრომაზე კაპიტალის გაცვლიდან, მეორე მხრივ კი — აქ გადმოცემულია მალთუსისეული მოძღვრება მოგებაზე, თითქოს ეს უკანასკნელი გაყიდვისას იქმნება:

«ადამიანის მოგება დამოკიდებულია არა იმაზე, რომ მის განკარგულებაშია სხვა ადამიანთა შრომის პროდუქტი, არამედ იმაზე, რომ მის განკარგულებაშია თვით შრომა» (აქ დასახულია სწორი გამიჯვნა საქონელზე საქონლის გაცვლასა და შრომაზე კაპიტალის სახით საქონლის გაცვლას შორის). «თუ ადამიანს შეუძლია თავისი საქონელი» [779] (ფულის ღირებულების შემცირებისას) უფრო მაღალ ფასში გაყიდოს, იმდროს, როდესაც მისი მუშებმა სხელ ფასი უცვლელი რჩება, მაშინ იგი, უეჭველია, ფასის აწევით მოიგებს, მიუხედავად იმისა, იზრდება სხვა საქონელთა ფასები თუ არა. უფრო მცირე ნაწილი იმისა, რასაც იგი აწარმოებს, საკმარისი იქნება ახლა იმისათვის, რათა მოძრაობაში მოიყვანოს ეს შრომა, და ამიტომ უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი თვით მისთვის რჩება» (იქვე, გვ. 49—50).

იგივე ხდება იმ შემთხვევაშიც, როცა, მაგალითად, ახალი მანქანების შემოღების, ქიმიური პროცესებისა და სხვ. გამოკაპიტალისტი საქონელს აწარმოებს წინანდელზე უფრო დაბალი ღირებულებით, ყიდის კი მას წინანდელი ღირებულების კვალობაზე ან, ყოველ შემთხვევაში, მის ამჟამად შემცირებულ ინდივიდუალურ ღირებულებაზე მაღლა. ამ შემთხვევაში მუშა, მართალია, არ მუშაობს უშუალოდ ნაკლებ დროს თავისთვის და მეტს კაპიტალისტისთვის. მაგრამ ახლა ნაკლებ მნიშვნელოვანი ნაწილი იმისა, რასაც იგი აწარმოებს, საკმარისია იმისათვის, რომ კვლავწარმოებისას «ეს შრომა მოძრაობაში მოიყვანოს». მაშასადამე, ფაქტიურად მუშა მის მიერ მიღებული გასაგნობრივებული შრომის სანაცვლოდ თავისი უშუალო შრომის უფრო მეტ ნაწილს იხდის წინანდელთან შედარებით. იგი ღებულობს, მაგალითად, უწინდებურად 10 გირვ. სტერლინგს. მაგრამ ეს 10 გირვ. სტერლინგი, — თუმცა იგი საზოგადოების მიმართ შრომის იმავე რაოდენობას წარმოადგენს, — აქ პროდუქტია არა სამუშაოდ როის იმავე რაოდენობისა, როგორც ეს უწინ იყო, არამედ, შეიძლება, ერთი საათით ნაკლებისა. მაშასადამე, მუშა ფაქტიურად უფრო დიდხანს მუშაობს კაპიტალისტისთვის და უფრო ცოტა ხანს თავისთვის. შედეგი იგივეა, რაც იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მუშა ახლა 8 გირვ. სტერლინგს მიიღებდა; მაგრამ ეს 8 გირვ. სტერლინგი მისი შრომის გადიდებული ნაყოფიერების გამო ახლა სახმარ ღირებულებათა იმავე მასას გამოხატავს, რაც უწინ 10 გირვ. სტერლინგით გამოიხატებოდა.

მოთხოვნისა და მიწოდების იგივეობაზე [ჯემს] მილის ზემოაღნიშნულ მსჯელობათა შესახებ* ანონიმური ავტორი შენიშნავს:

«მიწოდება თითოეული ადამიანისა დამოკიდებულია იმ რაოდენობაზე, რაც მას ბაზარზე გააქვს; მისი მოთხოვნა სხვა საგნებზე დამოკიდებულია მისი მიწოდების ღირებულებაზე. მიწოდება არის გარკვეული რამ, იგი დამოკიდებულია თვით მასზე; მოთხოვნა არის რაღაც გაურკვეველი, იგი დამოკიდებულია სხვებზე. მიწოდება შეიძლება უცვლელი რჩებოდეს, მაშინ როდესაც მოთხოვნა იცვლება. ასი კვარტერი მარცვლელი, რაც რომელიმე პირს ბაზარზე გააქვს, შეიძლება დროის ერთ პერიოდში ღირდეს 30 შილინგი კვარტერი, მეორე პერიოდში კი — 60 შილინგი. რაოდენობა, ანუ მიწოდება, ორივე შემთხვევაში ერთნაირია. მაგრამ მოთხოვნა მოცემული პირისა, ანუ მისი უნარი სხვა საგნების ყიდვისა, უკანასკნელ შემთხვევაში ორჯერ მეტია, ეიღრე პირველში» (იქვე, გვ. 111—112).

შრომისა და მანქანების ურთიერთობის შესახებ ანონიმური ავტორი ლაპარაკობს შემდეგს:

«როცა წარმოებულ საქონელთა რაოდენობა შრომის უფრო რაციონალური დანაწილების შედეგად დიდდება, მაშინ საჭირო არაა წინანდელზე უფრო მეტი მოთხოვნა ადრე გამოყენებული მთელი შრომის შესანახად.»

(როგორ? თუ შრომა უფრო რაციონალურად არის დანაწილებული, მაშინ შრომის იმავე რაოდენობის დახარჯვით მეტი საქონელი იქნება წარმოებული; ამიტომ მიწოდება გაიზრდება, და განა მისი შთანთქმისათვის საჭირო არ იქნება მოთხოვნის გადიდება? განა ა. სმიტი მართალი არაა, როცა ამბობს, შრომის დანაწილება ბაზრის გაფართოებაზეა დამოკიდებული? სინამდვილეში, რაც შეეხება გარედან მოთხოვნის [გადიდების აუცილებლობას], ამ მხრივ აქ არ არის არავითარი განსხვავება [იმასა, რასაც ადგილი აქვს შრომის უფრო რაციონალური დანაწილების შემოღებისას, და იმას შორის, რაც მანქანების შემოღებისას არის], — მხოლოდ მანქანების შემოღებისას [მოთხოვნის გადიდება აუცილებელია] უფრო დიდი მოცულობით. მაგრამ «შრომის უფრო რაციონალურმა დანაწილებამ» შეიძლება მოითხოვოს მუშების იგივე ან მეტი რიცხვიც კი წინანდელთან შედარებით, მაშინ როდესაც მანქანების შემოღებამ ყველა გარემოებაში უნდა შეამციროს კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც უმუშალო შრომაზე იხარჯება, —

«ნამდვილად კი მანქანების შემოღების დროს მუშების ნაწილი უმცირესად დაკარგავს სამუშაოს, თუ არ მოხდება მოთხოვნის გადიდება ანდა ხელფასის ან მოგების დაცემა.»

დაუშვათ, რომ გვაქვს საქონელი, რომელიც ღირს 1 200 გირე. სტერლინგი; აქედან 1 000 გირე. სტერლ. შეადგენს 100 მუშის ხელფასს (10 გირე. სტერლ. ყოველ

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 661—663; 675—677 და ნაწილი III, გვ. 65 და 116—120. რ ე დ.

მუშაზე), 200 გირვ. სტერლინგი კი შეადგენს მოგებას, როცა ნორმა 20%-ია. წარმოიდგინოთ ახლა, რომ ამავე საქონლის წარმოება შეიძლება 50 მუშის შრომით, ეს მუშები კი იყენებენ მანქანას, რომელიც ღირს სხვა 50 მუშის შრომა და სათანადო მდგომარეობაში შენახვისათვის საქირობს 10 მუშის შრომას; წარმოებელი შეძლებს მაშინ მის მიერ წარმოებული საქონლის ფასი შეამციროს 800 გირვ. სტერლინგამდე და მაინც უწინდებურად იმავე ანაზღაურებას მიიღებს თავისი კაპიტალის გამოყენებისათვის.

50 მუშის ხელფასი შეადგენს 500 გირვ. სტერლ.

10 მუშის ხელფასი სათანადო მდგომარეობაში მანქანის შესანახად.... 100 გირვ.

სტერლ.

მოგება 20%-ის რაოდენობით:

500 გირვ. სტერლ. საბრუნავი
კაპიტალისა და
500 გირვ. სტერლ. ძირითადი
კაპიტალისა

}200 გირვ. სტერლ.

ს უ ლ : 800 გირვ. სტერლ. »

{«10 მუშის ხელფასი სათანადო მდგომარეობაში მანქანის შესანახად» აქ წარმოადგენს წლიურ გაცვეთას. წინააღმდეგ შემთხვევაში გაანგარიშება არაა სწორი, რადგან შეკეთების შრომა ემატება მანქანის წარმოების თავდაპირველ ხარჯებს.) წინათ მეწარმეს ყოველწლიურად უნდა დაეხარჯა 1 000 გირვ. სტერლ., მაგრამ სამაგიეროდ პროდუქტიც მაშინ 1 200 გირვ. სტერლ. ღირდა. ახლა მან ერთხელ და სამუდამოდ მანქანაზე დახარჯა 500 გირვ. სტერლინგი; მაშასადამე, ამ თანხის დახარჯვა სხვა რაიმე წესით მას უკვე აღარ დასჭირდება. მან უნდა დახარჯოს ყოველწლიურად 100 გირვ. სტერლინგი «მანქანის სათანადო მდგომარეობაში შესანახად» და 500 გირვ. სტერლინგი ხელფასზე (ვინაიდან ამ მავალითში ნედლეული არ არის). მან უნდა დახარჯოს ყოველწლიურად მხოლოდ 600 გირვ. სტერლინგი, მაგრამ თავის ერთობლივ კაპიტალზე იგი უწინდებურად ლებულობს 200 გირვ. სტერლ. მოგებას. მოგების მასა და ნორმა წინანდელი დარჩა. მაგრამ მისი წლიური პროდუქტი შეადგენს ახლა მხოლოდ 800 გირვ. სტერლინგს.}

«იმ ადამიანებს, რომლებსაც წინათ საქონე ღირს 1 200 გირვ. სტერლინგი უნდა დაეხარჯათ, შეუძლიათ ახლა 400 გირვ. სტერლინგის ეკონომია გასწიონ და ეს თანხა დახარჯონ სხვა რამეზე ანდა იმავე საქონლის უფრო მეტი რაოდენობის საყიდლად. თუ ეს 400 გირვ. სტერლინგი დაიხარჯება [780] უშუალო შრომის პროდუქტზე, იგი 33,4 მუშაზე მეტს ეერ მისცემს სამუშაოს, მაშინ როდესაც იმ მუშების რიცხვი, რომელთაც მანქანის შემოღების შედეგად სამუშაო დაკარგეს, იქნება 40. ვინაიდან

33,4 მუშის ხელფასი — 10 გირვ. სტერლ. თითოეულზე შეადგენს 334 გირვ.

სტერლ.

მოგება 20% ნორმის დროს 66 გირვ. სტერლ.

ს უ ლ : 400 გირვ. სტერლ. »

{ სხვა სიტყვებით ეს ნიშნავს შემდეგს: თუ 400 გირვ. სტერლ. იხარჯება საქონელზე, რომელიც უშუალო შრომის პროდუქტია, და თუ ხელფასი 10 გირვ. სტერლინგს შეადგენს ერთ მუშაზე, მაშინ 400 გირვ. სტერლინგად ღირებული საქონელი უნდა იყოს 40-ზე ნაკლები მუშის შრომის პროდუქტი. ეს საქონელი რომ 40 მუშის პროდუქტი იყოს, მაშინ იგი მხოლოდ ფასგადაუხდელობის შემცველი იქნებოდა. შრომის ღირებულება (ანუ ხელფასში გასაგნობრივებული რაოდენობა შრომისა) იქნებოდა პროდუქტის ღირებულების (საქონელში გასაგნობრივებული შრომის რაოდენობის) ტოლი. მაგრამ 400 გირვ. სტერლინგის საქონელი შეიცავს ფასგადაუხდელობის შრომას, რომელიც სწორედ მოგებას შეადგენს. მაშასადამე, ეს საქონელი უნდა იყოს 40-ზე ნაკლები მუშის შრომის პროდუქტი. თუ მოგება უდრის 20%-ს, მაშინ პროდუქტის მხოლოდ $\frac{5}{6}$ შეიძლება შედგებოდეს ფასგადახდილი შრომისაგან, ე. ი. დაახლოებით 334 გირვ. სტერლ., რაც შეესაბამება 33,4 მუშას — 10 გირვ. სტერლ. თითოეულს. მეექვსედი ნაწილი, ე. ი. დაახლოებით 66 გირვ. სტერლ., წარმოადგენს ფასგადაუხდელობის შრომას. სავსებით ამავე წესით რიკარდომ დაამტკიცა, რომ მანქანები, მაშინაც კი, როცა მათი ფულადი ფასი ისევე მაღალია, როგორც იმ უშუალო შრომის ფასი, რომლის მაგივრობასაც ისინი ეწევიან, არასოდეს არ შეიძლება იყოს შრომის ისეთივე რაოდენობის პროდუქტი*.)

«თუ იგია» (ე. ი. აღნიშნული 400 გირვ. სტერლინგი) «დაიხარჯებოდა იმავე საქონლის უფრო მეტი რაოდენობის საყიდლად ანდა სხვა რომელიმე საქონლის საყიდლად, რომლის დასაშვადებლად გამოყენებულ იქნა ძირითადი კაპიტალი იმავე სახისა და იმავე რაოდენობით, მაშინ ეს თანხა სამუშაოს მისცემდა მხოლოდ 30 მუშას. ვინაიდან

25 მუშის ხელფასი — თითოეულზე 10 გირვ.

სტერლინგი — შეადგენს 250 გირვ. სტერლ.

5 მუშის ხელფასი სათანადო მდგომარეობაში მანქანის შესანახად 50 გირვ. სტერლ.

250 გირვ. სტერლ. საბრუნავი კაპიტალის

და 250 გირვ. სტერლ. ძირითადი

კაპიტალის მოგება 100 გირვ. სტერლ.

სულ: 400 გირვ. სტერლ.»

{საქმე ისაა, რომ მანქანების გამოყენების შემთხვევაში 800 გირვ. სტერლინგად ღირებული საქონლის წარმოება საჭიროებს ისეთ დანახარჯს მანქანაზე, რომელიც 500 გირვ. სტერლინგს შეადგენს; მაშასადამე, 400 გირვ. სტერლინგად ღირებული საქონლის საწარმოებლად გა-

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 738—739. რ ე დ.

წეული დანახარჯი მანქანისათვის მხოლოდ 250 გირვ. სტერლინგი იქნება. შემდეგ 500 გირვ. სტერლინგად ღირებული მანქანის მომსახურებისათვის საჭიროა 50 მუშა; მაშასადამე 250 გირვ. სტერლინგად ღირებულ მანქანას დასჭირდება 25 მუშა (250 გირვ სტერლ.). შემდეგ, «მანქანის შენახვა სათანადო მდგომარეობაში» — 500 გირვ. სტერლინგად ღირებული მანქანის კვლავწარმოება — მოითხოვს 10 მუშას; მაშასადამე, 250 გირვ. სტერლინგად ღირებული მანქანის კვლავწარმოებისათვის საჭიროა 5 მუშა (50 გირვ. სტერლ.). ამრიგად, ჩვენ ვღებულობთ 250 გირვ. სტერლ. ძირითად და 250 გირვ. საბრუნავ კაპიტალს — სულ 500 გირვ. სტერლინგს. ამ კაპიტალის მოგება, როცა მისი ნორმა 20%-ია, შეადგენს 100 გირვ. სტერლინგს. ამგვარად, პროდუქტი შეიცავს 300 გირვ. სტერლ. ხელფასს და 100 გირვ. სტერლ. მოგებას — სულ 400 გირვ. სტერლინგს. ამასთან დასაქმებულია 30 მუშა. აქ ყველა შემთხვევაში იგულისხმება, რომ კაპიტალისტი (მწარმოებელი) ან სესხულობს კაპიტალს იმ დანაზოგიდან (400 გირვ. სტერლ.), რომელიც მომხმარებლებს შენახული აქვთ ბანკირთან, ანდა თვითონ აქვს კაპიტალი გარდა იმ 400-გირვ. სტერლინგისა, რაც მომხმარებელთა შემოსავლიდან დანაზოგთანხას უდრის. ვინაიდან, როცა 400 გირვ. სტერლ. კაპიტალი აქვს, მას არ შეუძლია 250 გირვ. სტერლინგი დახარჯოს მანქანაზე და 300 გირვ. სტერლინგი ხელფასზე.}

«როცა მთელი თანხა 1200 გირვ. სტერლინგის რაოდენობით უშუალო შრომის პროდუქტზე იხარჯებოდა, პროდუქტის ღირებულება იყოფოდა 1 000 გირვ. სტერლ. ხელფასად და 200 გირვ. სტერლ. მოგებად» (მუშების რიცხვი — 100, ხელფასი — 1 000 გირვ. სტერლ.). «როცა იგივე თანხა იხარჯებოდა ნაწილობრივ ერთი, ნაწილობრივ მეორე წესით, პროდუქტის ღირებულება იყოფოდა 934 გირვ. სტერლ. ხელფასად და 266 გირვ. სტერლ. მოგებად» (სახელდობრ, 60 მუშა საწარმოში, სადაც მანქანები გამოიყენებოდა, უმანქანებოდ მომუშავე 33,4 მუშა, ე. ი. მუშების საერთო რიცხვი უდრის 93,4-ს და ისინი საბოლოო ანგარიშით ღებულობენ 934 გირვ. სტერლინგს). «ბოლოს, შესამე ვარაუდის დროს, როცა მთელი თანხა დახარჯულია მანქანისა და შრომის ერთობლივ პროდუქტზე, პროდუქტის ღირებულება ნაწილდება 900 გირვ. სტერლ. ხელფასად» (რადგან ამ შემთხვევაში მუშების რიცხვი უდრის 90-ს) «და 300 გირვ. სტერლ. მოგებად» (იქვე. გვ. 114—117).

[781] «კაპიტალისტს არ შეუძლია მანქანის შემოღების შემდეგ იმდენი შრომის გამოყენება, რამდენსაც უწინ იყენებდა, თუ მეტი კაპიტალი არ დააგროვავ. მაგრამ შემოსავალი, რომელსაც მოცემული საგნის მომხმარებლები ინახავენ მას შემდეგ, რაც საგნის ფასი დაეცა, შექმნის, ამ ან სხვა რომელიმე საგნის მათ მიერ მოხმარების ზრდის გამო, მოთხოვნას იმ შრომის ნაწილზე, რომელიც მანქანამ განდევნა, თუმცა იგი ვერ შექმნის მოთხოვნას მთელ ამ შრომაზე» (იქვე, გვ. 119).

«ბ-ნი მაკ-კულოხი ფიქრობს, რომ მანქანების შემოღება წარმოების ერთ დარგში აუცილებლად ქმნის დათხოვნილ მუშებზე იმავე ან კი-

დევ უფრო დიდ მოთხოვნას წარმოების რომელიმე სხვა დარგში. ამის დასამტკიცებლად იგი ვარაუდობს, რომ ის ყოველწლიური ანარიცხები, რომლებიც აუცილებელია მანქანის ღირებულების ასანაზღაურებლად იმ დროისათვის, როცა იგი სრულიად გაცვეთილი იქნება, ქმნის შრომის სულ უფრო მზარდ მოთხოვნას²⁸. მაგრამ რადგან ეს ყოველწლიური ანარიცხები საერთო ანგარიშით შეიძლება გარკვეული ვადის დასასრულს უდრიდეს მანქანის მხოლოდ თავდაპირველ ღირებულებას მის სარგებელთან ერთად მანქანის მოქმედების მთელ პერიოდში, ამიტომ ადვილი როდია იმის გაგება, თუ როგორ შეუძლიათ მათ ოდესმე შექმნან ისეთი მოთხოვნა შრომაზე, რომელიც აღემატება იმ მოთხოვნას, რასაც ადგილი ექნებოდა მანქანის გამოუყენებლობის შემთხვევაში» (იქვე, გვ. 119—120).

ამორტიზაციის ფონდი, რა თქმა უნდა, თვითონ თავის მხრივ შეიძლება გამოდგეს დაგროვებისათვის დროის იმ მონაკვეთში, როცა მანქანის გაცვეთა მხოლოდ იანგარიშება, თუმცა ფაქტიურად მას ადგილი არა აქვს. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ამ გზით შექმნილი ეს შრომის მოთხოვნა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე იგი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ხელფასზე დაიხარჯებოდა მანქანებში დაბანდებული მთელი კაპიტალი და არა მხოლოდ ის ყოველწლიური ანარიცხი, რომელიც აუცილებელია მანქანების ყოველწლიური გაცვეთის ასანაზღაურებლად. მაკ პეტერი*, როგორც ყოველთვის, რეგენია. ეს ადგილი მხოლოდ იმიტომ იმსახურებს ყურადღებას, რომ აქ გამოთქმულია აზრი, რომ ამორტიზაციის ფონდი თვით არის დაგროვების ფონდი.

* — დაცინვით მაკ-კულოხის ნაცვლად (გერმანულად «dummer Peter» ნიშნავს «სულელი», «რეგენი»). რ ე დ.

ქოპი მეთვე

რიკარდოს სკოლის დაშლა

1) რ. ტორენსი

[ა) სმიტი და რიკარდო მოგების საშუალო ნორმისა და ღირებულების კანონის თანაფარდობის შესახებ]

[782] R. Torrens. An Essay on Production of Wealth. London, 1821.

კონკურენციაზე — წარმოების გარეგან გამოვლენაზე — დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ტოლდღი კაპიტალები საშუალოდ თანაბარ მოგებას იძლევიან, ანუ რომ მოგების მოცემული საშუალო ნორმის პირობებში მოგების მასა დამოკიდებულია ავანსებული კაპიტალის სიდიდეზე (და მხოლოდ ამას ნიშნავს კიდევ მოგების საშუალო ნორმა).

ა. ს მ ი ტ მ ა მოახდინა ამ ფაქტის ფიქსაცია. მასში არავითარ მტანჯველ ეჭვს არ იწვევდა ამ ფაქტის კავშირი მის მიერ წამოყენებულ ღირებულების თეორიასთან; ეს საკითხი მას მით უფრო ნაკლებად აწუხებდა, რომ თავის, ასე ვთქვათ, ღირებულების ეზოთერიულ თეორიასთან ერთად მან წამოაყენა კიდევ სხვა განსხვავებული თეორიები და თავისი სურვილისამებრ შეეძლო რომელიმე მათგანი გამოეყენებინა. ერთადერთი მოსაზრება, რაც მას აღნიშნულმა ვითარებამ ჩააგონა, მან გამოთქვა პოლემიკაში იმ შეხედულების წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს მოგება წარმოგვიდგინოს ზედამხედველობისათვის გაწეული შრომის ანაზღაურებად. ეს იმიტომ, რომ ყველა სხვა გარემოების გარდა, ზედამხედველობისათვის გაწეული შრომა არ იზრდება იმავე ზომით, როგორც იზრდება წარმოების მასშტაბი, თანაც კიდევ ავანსებული კაპიტალის ღირებულება (მაგალითად, ნედლეულის სიძვირის გამო) შეიძლება იზრდებოდეს

წარმოების მასშტაბის გაუდიდებლად⁹. იმანენტური კანონი ს ა შ უ ა-
 ლ ო მ ო გ ე ბ ი ს ა და თვით მისი სიდიდის განსაზღვრისათვის სმიტს
 არ გააჩნია. სმიტი მხოლოდ იმას ამბობს, რომ კონკურენცია ამცირებს
 ამ x-ს.

რ ი კ ა რ დ ო ყველგან (თუ არ ჩავთვლით მცირეოდენ და მხოლოდ
 შემთხვევითი ხასიათის ცალკეულ შენიშვნებს) უშუალოდ აიგივებს მო-
 გებას ზედმეტ ღირებულებასთან. ამიტომ რიკარდოს მიხედვით საქო-
 ნელი იყიდება მ ო გ ე ბ ი თ არა იმიტომ, რომ იგი თავის ღირებულე-
 ბაზე მ ა ლ ა ლ ფასად იყიდება, არამედ იმიტომ, რომ იგი თ ა ვ ი ს ი
 ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მიხედვით იყიდება. მაგრამ ღირებულების გან-
 ხილვისას (მისი «Principles» 1-ლ თავში) რიკარდო პირველია იმათგან,
 ვინც საერთოდ ჩაუფიქრდა საქონელთა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს გა ნ-
 ს ა ზ დ ვ რ ი ს კავშირს იმ მოვლენასთან, რომ ტოლდირი კაპიტალები
 თანაბარ მოგებას იძლევიან. ეს შესაძლებელია საქონელთათვის მხოლოდ
 იმდენად, რამდენადაც ტოლდირი კაპიტალების მიერ წარმოებული სა-
 ქონელნი მართალია ა რ ი ყ ი დ ე ბ ა ე რ თ ნ ა ი რ ფ ა ს ე ბ შ ი
 (თუმცაღა, შეიძლება ითქვას, რომ საბოლოო ანგარიშით გამოდის ერთ-
 ნაირი ფასი, თუ ჩვენ ძირითადი კაპიტალის მოუხმარებელი ნაწილის
 ღირებულებას მოვემატებთ პროდუქტის ღირებულებას), მაგრამ, მიუ-
 ხედავად ამისა ისინი იძლევიან ე რ თ ნ ა ი რ ზ ე დ მ ე ტ ღ ი რ ე ბ უ-
 ლ ე ბ ა ს, ფასის. ერთნაირ გადანამეტს ავანსებული კაპიტალის ფასზე.
 და აი რიკარდომ პირველმა მიაქცია ყურადღება იმას, რომ ერთნაირი
 სიდიდის კაპიტალებს სრულიადაც არა აქვთ ერთნაირი ორგანული შედ-
 გენილობა. ამ შედგენილობის განსხვავება მან იმ სახით მიიღო, რა სა-
 ხითაც იგი ა. სმიტთან ნახა, — საბრუნავი და ძირითადი კაპიტალის გან-
 სხვავებული თანაფარდობის სახით, — ე. ი. იგი იცნობს მხოლოდ მიმო-
 ქცევის პროცესიდან გამომდინარე განსხვავებებს.

რიკარდო სულაც არ ლაპარაკობს პირდაპირ იმაზე, რომ ღირებულე-
 ბის კანონს *prima facie** ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ არაერთნაირი
 ორგანული შედგენილობის კაპიტალები, რომელთაც, მაშასადამე, მოძ-
 რაობაში მოჰყავთ უშუალო შრომის არაერთნაირი რაოდენობანი, ერთი
 და იმავე ღირებულების საქონელს აწარმოებენ და იძლევიან ერთსა და
 იმავე ზედმეტ ღირებულებას (რომელსაც იგი მოგებასთან აიგივებს).
 პირიქით, როცა ღირებულების გამოკვლევას იწყებს, იგი უკვე გულისხ-
 მობს კაპიტალისა და მოგების საერთო ნორმის არსებობას. რიკარდო თა-

* პირველი შეხედვით. რ ე ლ.

ვიდანვე აიგივებს ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ე ბ ს ა და ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ს და ვერ ხედავს, რომ ეს წანამძღვარი თავიდანვე ეწინააღმდეგება *prima facie* ღირებულების კანონს. მხოლოდ ამ წანამძღვრის საფუძველზე, რომელიც მთავარ წინააღმდეგობას და ძირითად სიძინელეს შეიცავს, მიდის იგი იმ კერძო შემთხვევის განხილვამდე, რომ ადგილი აქვს ხ ე ლ ფ ა ს ი ს ც ვ ლ ი ლ ე ბ ა ს, მის მატებას თუ შემცირებას. იმისათვის, რომ ამ ვითარებაში მოგების ნორმა ერთნაირი დარჩეს, ხელფასის მატება ან შემცირება, რასაც მოგების დაცემა ან გადიდება შეესაბამება, არაერთნაირად უნდა მოქმედებდეს სხვადასხვა ორგანული შედგენილობის კაპიტალებზე. თუ ხელფასი იზრდება, მოგება კი, მაშასადამე, მცირდება, მაშინ ეცემა იმ საქონელთა ფასები, რომელთა წარმოებისათვის საჭიროა შეფარდებით უფრო დიდი ძირითადი კაპიტალი. საპირისპირო შემთხვევაში ადგილი აქვს საპირისპირო მოვლენას. გამოდის, რომ საქონელთა «ს ა ც ვ ლ ე ლ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი» არ განისაზღვრება ამ შემთხვევაში თითოეული ამ საქონლის წარმოებისათვის საჭირო სამუშაო ღრით. სხვა სიტყვებით: ეს კატეგორია მოგების ერთნაირი ნორმისა, რომელსაც სხვადასხვა ორგანული შედგენილობის კაპიტალები ღებულობენ (მაგრამ რიკარდო ამ დასკვნამდე მიდის მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში და მხოლოდ ასეთი შემოვლილი გზით), ე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ბ ა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ს კ ა ნ ო ნ ს, ანუ, როგორც რიკარდო ამბობს, ქმნის გამონაკლისს ამ კანონიდან, რის გამოც მალთუსი სამართლიანად შენიშნავს, რომ მრეწველობის განვითარებასთან [783] ერთად რიკარდოსეული წესი იქცევა გამონაკლისად, გამონაკლისი კი — წესად*. თვით წინააღმდეგობა არ არის რიკარდოს კონცეფციაში ნათლად გამოხატული — სახელთობრ შემდეგი ფორმით: თუმცა ერთი საქონელი უფრო მეტ ფასგადაუხდელ შრომას შეიცავს, ვიდრე მეორე, — ვინაიდან მუშების ექსპლოატაციის ერთნაირი ნორმის პირობებში ფასგადაუხდელი შრომის რაოდენობა დამოკიდებულია ფასგადახდილი შრომის რაოდენობაზე, ე.ი. გამოყენებული უმუშალო შრომის რაოდენობაზე, — საქონელნი მიუხედავად ამისა იძლევიან ერთნაირ ღირებულებებს, ანუ ფასგადაუხდელი შრომის ერთნაირ გადანამეტს ფასგადახდილზე. პირიქით, რიკარდოს კონცეფციაში წინააღმდეგობას ვხვდებით მხოლოდ კერძო ფორმით: გარკვეულ შემთხვევებში ხ ე ლ ფ ა ს ი — ხელფასის ცვლილება — გავლენას ახდენს საქონელთა ხარჯთფასებზე (რიკარდო ამბობს: მათს საცვლელ ღირებულებაზე).

* იხ. ის რომი, ნაწ. III, გვ. 28—29. რ ე დ.

სავსებით ასევე კაპიტალის ბრუნვის პერიოდების განსხვავებანი, — რომელთა გამოც კაპიტალი უფრო ხანგრძლივი ვადის განმავლობაში რჩება ან წარმოების პროცესში (თუმცაღა არა შრომის პროცესში)³⁰ ან მიმოქცევის პროცესში, და იგი თავისი ბრუნვისათვის მოითხოვს არა მეტ შრომას, არამედ მეტ დროს, — ეს განსხვავებანი არ ახდენენ გავლენას მოგებათა ტოლობაზე. ეს კი კვლავ ეწინააღმდეგება ღირებულების კანონს, — რიკარდოს თანახმად, ეს კვლავ **გ ა მ ო ნ ა კ ლ ი ს ი ა** ღირებულების კანონიდან.

ამრიგად, რიკარდომ მეტად ცალმხრივად წარმოგვიდგინა საქმის ვითარება. მას რომ იგი ზოგადი ფორმით გამოეხატა, იგი მიიღებდა აგრეთვე საკითხის ზოგად გადაწყვეტასაც.

მაგრამ მას რჩება დიდი დამსახურება: რიკარდო გრძნობს, რომ არსებობს განსხვავებანი ღირებულებებსა და ხარჯთფასებს შორის, და მან ჩამოაყალიბა გარკვეული შემთხვევებისათვის, — თუმცაღა მხოლოდ კანონიდან **გ ა მ ო ნ ა კ ლ ი ს ე ბ ი ს** სახით, — ის წინააღმდეგობა, რომ არაერთნაირი ორგანული შედგენილობის კაპიტალები, ე. ი. საბოლოო ანგარიშით ყოველთვის კაპიტალები, რომელნიც ცოცხალი შრომის არაერთნაირ რაოდენობებს უწევენ ექსპლოატაციას, იძლევიან ერთნაირ ზედმეტ ღირებულებებს (მოგებებს), და, — თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ძირითადი კაპიტალის ნაწილი შედის შრომის პროცესში, ღირებულების შექმნის პროცესში შეუსვლელად, — ერთნაირ ღირებულებებს, ერთნაირი ღირებულების საქონელთ (უფრო ზუსტად, ერთნაირი **ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ე ბ ი ს** შემცველ საქონელთ, მაგრამ რიკარდო ურევს ამ კატეგორიებს ერთიმეორეში).

[ბ) ტორენსის დაბნეულობა ურომით ღირებულების
ბანსაზღვრისა და მოგების წყაროს საკითხში. იგი
უბრუნდება ნაწილობრივ ა. სმიტს და «ბასსვირსებით
მიღებული მოგების» კონცეფციას]

როგორც ზემოთ დავინახეთ*, მ ა ლ თ უ ს ი იყენებს ამას [დავიდ რიკარდოს მიერ აღმოჩენილ წინააღმდეგობას ღირებულების კანონსა და არაერთნაირი შედგენილობის კაპიტალების ერთნაირ მოგებას შორის] ღირებულების რიკარდოსეული კანონის უარსაყოფად.

ტ ო რ ე ნ ს ი უკვე თავისი თხზულების დასაწყისშივე რიკარდოს ამ აღმოჩენას ამოსავალ საწყისად მიიჩნევს, — მაგრამ არა იმისათვის,

* იხ. ეს ტომი, ნაწ. III, გვ. 6 და 27—29. რ. ე. ლ.

რომ ეს პრობლემა გადაწყვეტოს, არამედ იმისათვის, რომ თვით ეს „მოვლენა“ წარმოგვიდგინოს როგორც მოვლენის კანონი:

«დავუშვათ, რომ გამოყენებულია მოქმედების სხვადასხვა ხანგრძლივობის კაპიტალები. ვთქვათ, მაგალითად, მუდის ფაბრიკანტი და აბრეშუმის ფაბრიკანტი იყენებენ 2000 გირვ. სტერ. კაპიტალს თითოეული, ამასთან პირველი ხარჯავს 1 500 გირვ. სტერლინგს ხანგრძლივ მანქანებზე და 500 გირვ. სტერლინგს ხელფასსა და მასალაზე, მაშინ როდესაც მეორე ხარჯავს ხანგრძლივ მანქანებზე მხოლოდ 500 გირვ. სტერლინგს, ხელფასსა და მასალაზე კი — 1 500 გირვ. სტერლინგს. დავუშვათ, რომ ყოველწლიურად იხარჯება ამ ძირითადი კაპიტალის $\frac{1}{10}$ და რომ მოგების ნორმა შეადგენს 10%. რადგან ასეთ შემთხვევაში 2 000 გირვ. სტერლ. კაპიტალმა, რათა მუდის ფაბრიკანტს 10% შოგება მოუტანოს, უნდა მისცეს მას ამონაგები 2 200 გირვ. სტერლინგის ოდენობით და რადგან ძირითადი კაპიტალის ღირებულება წარმოების პროცესის შედეგად 1 500-დან 1 350 გირვ. სტერლინგამდე შემცირდა, ამიტომ მუდის ფაბრიკანტის მიერ წარმოებული საქონელი უნდა გაიყიდოს 850 გირვ. სტერლინგად. და სწორედ ამგვარადვე, რადგან აბრეშუმის ფაბრიკანტის ძირითადი კაპიტალი წარმოების პროცესის შედეგად $\frac{1}{10}$ -ით. ანუ 500-დან 450 გირ. სტერლინგამდე, შემცირდა, ამიტომ წარმოებული აბრეშუმი, რათა მან აბრეშუმის ფაბრიკანტს მოუტანოს ჩვეულებრივი მოგების ნორმა მთელ მის 2 000 გირვ. სტერლ. კაპიტალზე, უნდა გაიყიდოს 1 750 გირვ. სტერლინგად... როცა ერთნაირი სიდიდის, მაგრამ განსხვავებული ხანგრძლივობის კაპიტალები გამოიყენება, მაშინ წარმოების ერთ დარგში წარმოებული საქონელი ამ დარგში დაარჩენილ კაპიტალთან ერთად საცელები ღირებულების მიხედვით წარმოების შემოღებულ დარგში წარმოებული პროდუქტებისა და დარჩენილი კაპიტალის ტოლი იქნება» (Torrens. An Essay on the Production of Wealth. London, 1821, გვ. 28—29).

მოვლენა, კონკურენციის სფეროში რომ მქლავნდება, აქ მხოლოდ აღნიშნულია, რეგისტრირებულია. ასევე აქ უბრალოდ იგულისხმება «ჩვეულებრივი მოგების ნორმა», მაგრამ ახსნილი არაა, საიდან მიიღება იგი, და ბუნდოვანი წარმოდგენაც კი არაა იმის შესახებ, რომ ეს ახსნა-განმარტებას საჭიროებს.

«ტოლდიდ კაპიტალებს, ანუ, სხვა სიტყვებით, დაგროვილი შრომის თანაბარ რაოდენობებს, ხშირად მოძრაობაში მოჰყავთ უშუალო შრომის სხვადასხვა რაოდენობანი, მაგრამ ეს სრულიად აკცელის საქმის ვითარებას» (გვ. 29—30).

— სახელდობრ, ვერ ცვლის იმ მდგომარეობას, რომ პროდუქტის ღირებულება კლუს მოუხმარებლად დარჩენილი კაპიტალი იძლევიან თანაბარ ღირებულებებს — ანუ, რაც იგივეა, თანაბარ მოგებებს.

ტორენსის ამ დებულების დამსახურება ისკი არ არის, რომ იგი აქაც კვლავ მხოლოდ აღნუსხავს მოვლენას და არ იძლევა მის ახსნას, არამედ ის, რომ კაპიტალებს შორის არსებულ განსხვავებას იგი იმ აზრით განმარტავს, რომ ერთნაირი სიდიდის კაპიტალებს მოძრაობაში მოჰყავთ ცოცხალი შრომის არაერთნაირი რაოდენობანი, თუმცა იგი საქმეს იმით ნ. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

აფუჭებს, რომ ამას წარმოგვიდგენს როგორც «განსაკუთრებულ» შემთხვევას. თუ ღირებულება უდრის საქონლის წარმოებაზე დახარჯულ და საქონელში გასაგნობრივებულ შრომას, მაშინ ცხადია, რომ საქონლის გაყიდვისას მისი ღირებულების მიხედვით — საქონელში მოთავსებული ზედმეტი ღირებულება შეიძლება უდრიდეს მხოლოდ ამ საქონელში მოთავსებულ ფასგადაუხდელ შრომას, ანუ ზედმეტ შრომას. მაგრამ ამ ზედმეტი შრომის რაოდენობა — მუშების ექსპლოატაციის ერთი და იმავე ნორმის დროს — არ შეიძლება ერთნაირი იყოს იმ კაპიტალებისათვის, რომელთაც «მოდრობაში მოჰყავთ უშუალო შრომის სხვადასხვა რაოდენობანი», სულ ერთია, გაპირობებულია ეს განსხვავება წარმოების უშუალო პროცესით თუ მიმოქცევის პერიოდით. ამრიგად, ტორენსის დამსახურება ისაა, რომ მას ჩამოყალიბებული აქვს ეს წინააღმდეგობა. რა დასკვნას აკეთებს იგი აქედან? იმ დასკვნას, რომ აქ [784] კაპიტალისტური წარმოების დროს ხდება გადატრიალება ღირებულების კანონში, ე. ი. რომ ღირებულების კანონი, კაპიტალისტური წარმოებიდან განყენებული სახით, ეწინააღმდეგება კაპიტალისტური წარმოების მოვლენებს. და რას აყენებს ტორენსი ამ კანონის ადგილას? აბსოლუტურად არაფერს, ვარდა ასახსნელი მოვლენის უხეში, უაზრო სიტყვიერი გამოხატვისა.

«საზოგადოების განვითარების აღრიხდელ პერიოდში»

(ე. ი. სწორედ იმ პერიოდში, როცა საერთოდ საცვლელი ღირებულება — პროდუქტი საქონლის სახით — ოდნავ არის განვითარებული და ამიტომ არ არის განვითარებული ღირებულების კანონიც)

«საქონელთა შეფარდებითს ღირებულებას განსაზღვრავს მათს წარმოებაზე დახარჯული შრომის — დაგროვილი და უშუალო შრომის — ერთობლივი რაოდენობა. მაგრამ იმ დროიდან დაწყებული, როცა კაპიტალის დაგროვება წარმოიშობა და კაპიტალისტების კლასისა და მუშათა კლასს შორის განსხვავება მყარდება, როცა ის, ვინც მეწარმედ გამოდის წარმოების რომელიმე დარგში, თვითონ კი არ ასრულებს საშუალოს თავის საწარმოში, არამედ სხვებს აძლევს აფანსად არსებობის საშუალებებსა და მასალას, — ამ დროიდან დაწყებული საქონელთა საცვლელ ღირებულებას განსაზღვრავს წარმოებაში დახარჯული კაპიტალის, ანუ დაგროვილი შრომის რაოდენობა» (ციტირებ. თხზ., გვ. 33—34). «თუ ორი კაპიტალი თანაბარია. მაშინ მათი პრო-

ნაბარი იყოს» (გვ. 39). «ამრიგად, კაპიტალისტებისა და მუშების აღნიშნული განცალკევების შემდეგ საცელელი ღირებულების განსაზღვრას იწყებს კაპიტალის სიდიდე, დაგროვილი შრომის რაოდენობა და არა — როგორც ეს ამ განცალკევებამდე იყო — საქონლის წარმოებაზე დახარჯული დაგროვილი და უშუალო შრომის ჯამი» (გვ. 39—40).

აქ ჩვენ წინაშე კვლავ სხვა არაფერია, გარდა იმ მოვლენის აღნუსხვისა, რომ ტოლდღი კაპიტალები ტოლდღ მთვლებს იძლევიან, ანდა რომ საქონლის ხარჯთფასი უდრის ავანსებული კაპიტალის ფასს პლუს საშუალო მოგება, და გარდა იმ მინიშნებისა, რომ ეს მოვლენა, რამდენადაც «ტოლდღ კაპიტალებს მოძრაობაში მოჰყავთ უშუალო შრომის სხვადასხვა რაოდენობანი», *prima facie* შეუთავსებელია იმ დებულებასთან, რომ საქონლის ღირებულება განისაზღვრება მასში მოთავსებული სამუშაო დროით. ტორენსის შენიშვნა, რომ კაპიტალისტური წარმოების ეს მოვლენა პირველად მხოლოდ მაშინ მქდავენდება, როცა არსებობს კაპიტალი, არსებობენ კაპიტალისტებისა და მუშათა კლასები, როცა შრომის ობიექტური პირობები განცალკევებულია როგორც დამოუკიდებელი რამ, როგორც კაპიტალი, — ეს შენიშვნა ტავტოლოგიაა.

მაგრამ თუ როგორ იწყებს საქონლის წარმოებისათვის [აუცილებელი ფაქტორების] გამოცალკევება — კაპიტალისტებისა და მუშების, კაპიტალისა და დაქირავებული შრომის გამოცალკევება — საქონლის ღირებულების კანონის დამხობას, ეს ტორენსს უბრალოდ „გამოჰყავს“ მოვლენიდან, რომელიც მას ვერ გაუგია.

რიკარდო ცდილობდა დაემტკიცებინა რომ კაპიტალისა და დაქირავებული შრომის გათიშვა — გარკვეული გამოწკლისების გარდა — არაფერს არ ცვლის საქონელთა ღირებულების განსაზღვრაში. რიკარდოსეულ გამოწკლისებზე დაყრდნობით ტორენსი უარყოფს თვით კანონს. იგი უკან უბრუნდება ა. სმიტს, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია რიკარდოს არგუმენტაცია და რომლის მიხედვითაც, მართალია, «საზოგადოების განვითარების აღრინდელ პერიოდში», როცა ადამიანები ჯერ კიდევ უპირისპირდებიან ერთმანეთს მხოლოდ როგორც საქონელმფლობელნი და საქონელგამცვლელნი, საქონლის ღირებულება განისაზღვრება მასში მოქცეული სამუშაო დროით, მაგრამ ამას ადგილი არა აქვს იმ დროს, როცა კაპიტალი და მიწის საკუთრება წარმოიშვა. ეს კი ნიშნავს (როგორც უკვე პირველ ნაწილში აღვნიშნეთ²¹), რომ კანონი, რომელიც ძალაშია საქონელთათვის როგორც საქონელთათვის, ძალას კარგავს, როგორც კი ისინი გამოდიან კაპიტალის სახით ანდა კაპიტალის პროდუქტების სახით, როგორც კი ხდება საერთოდ საქონლიდან კაპიტალზე გადასვლა. მეორე მხრივ, პროდუქტი საქონლის ფორმას იღებს ყოველ-

მხრივ მხოლოდ იმის შედეგად, რომ მთელი პროდუქტი უნდა გადაიქცეს საცვლელ ღირებულებად, მისი წარმოების ყველა შემადგენელი ელემენტი კი თვით შედის მასში საქონლის სახით, — ე. ი. პროდუქტი საქონელი ხდება ყოველმხრივ მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან ერთად და ამ წარმოების საფუძველზე. მაშასადამე, გამოდის, რომ საქონლის კანონი უნდა არსებობდეს ისეთ წარმოებაში, რომელიც არ აწარმოებს საქონელს (ანდა მხოლოდ ნაწილობრივ აწარმოებს საქონელს), და არ უნდა არსებობდეს ისეთი წარმოების საფუძველზე, რომლის ბაზისსაც წარმოადგენს პროდუქტის არსებობა საქონლის სახით. თვით კანონი, ისევე როგორც საქონელიც პროდუქტის საყოველთაო ფორმის სახით, გამოყვანილია კაპიტალისტური წარმოების პირობებიდან, აქ კი გამოდის, რომ ეს კანონი სწორედ კაპიტალისტური წარმოებისათვის კარგავს ძალას.

თანაც ლაპარაკი ღირებულებების განსაზღვრაზე «კაპიტალისა და შრომის» გათიშვის გავლენის შესახებ, — თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ტავტოლოგიას, რომ, ვიდრე კაპიტალი არ არსებობს, მას არ შეუძლია ფასები განსაზღვროს, — კვლავ სავსებით ზერელე გადმოცემა იმ ფაქტისა, რომელიც კაპიტალისტური წარმოების ზედაპირზე მქლავდება. სანამ თითოეული თვითონ მუშაობს თავისი იარაღების საშუალებით და თვითონ ყიდის მის მიერ წარმოებულ პროდუქტს {თუმცა სინამდვილეში მთელი საზოგადოების მასშტაბით [785] პროდუქტის გაყიდვის აუცილებლობა არასოდეს არ ემთხვევა თავისი საკუთარი შრომის პირობების მეოხებით შესრულებულ წარმოებას}, მის ხარჯებს განეკუთვნება როგორც იარაღის ხარჯები, ისე შრომაც, რომელსაც იგი თვითონ ასრულებს. კაპიტალისტის ხარჯებს კი შეადგენს ავანსებული კაპიტალი, ღირებულების ის ჯამი, რასაც იგი წარმოებაზე ხარჯავს, და არა შრომაც, რომელსაც იგი არ ასრულებს და რომელიც მას მხოლოდ ის უღირს, რაც მან მასში გადაიხადა. კაპიტალისტების თვალსაზრისით ეს ძალიან კარგი საფუძველია იმისათვის, რომ ზედმეტი ღირებულება (მთელი საზოგადოების მასშტაბით) გამოიანგარიშონ და გაინაწილონ ერთმანეთს შორის არა იმ უშუალო შრომის რაოდენობის მიხედვით, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს მოცემულ კაპიტალს, არამედ კაპიტალისტების მიერ ავანსად გაღებული კაპიტალის სიდიდის მიხედვით. მაგრამ ეს სრულიადაც არ იძლევა საფუძველს იმის ასახსნელად, თუ საიდან მიიღება ეს ამგვარი წესით გასანაწილებელი და განაწილებული ზედმეტი ღირებულება.

ტორენსი ჯერ კიდევ იმდენად იცავს რიკარდოსეულ თეორიას, რომ მისი აზრით საქონლის ღირებულება განისაზღვრება შრომის რაოდენობით,

მაგრამ იგი ამტკიცებს, რომ მხოლოდ საქონელთა წარმოებაზე დახარჯული «დაგროვილი შრომის რაოდენობა» არის ის, რაც განსაზღვრავს მათს ღირებულებას. მაგრამ აქ ტორენსი სავსებით დაიბნა.

ასე, მაგალითად, მაუდის ღირებულება განისაზღვრება საქსოვ დაზგაში, მატყლში და ა. შ. და ხელფასში დაგროვილი შრომით. ყოველივე ეს შეადგენს იმ დაგროვილი შრომის შემადგენელ ელემენტებს, რომელიც საჭიროა მაუდის საწარმოებლად. «დაგროვილი შრომა» აქ სხვა არაფერია, თუ არა გასაგნობრივებულ შრომა, გასაგნობრივებული სამუშაო დრო. მაგრამ როცა მაუდი მზადაა, როცა მისი წარმოება დამთავრებულია, მაშინ მაუდის წარმოებაზე დახარჯული უშუალო შრომაც აგრეთვე გადაქცეულია დაგროვილ, ანუ გასაგნობრივებულ შრომად. რატომაა, რომ საქსოვი დაზგისა და მატყლის ღირებულება უნდა განისაზღვრებოდეს მათში მოთავსებული გასაგნობრივებული შრომით (რომელიც სხვა არაფერია, თუ არა უშუალო შრომა, გასაგნობრივებული რომელიმე საგანში, რომელიმე პროდუქტში, რომელიმე სასარგებლო ნივთში), მაუდის ღირებულება კი — არ უნდა განისაზღვრებოდეს? თუ მაუდი თავის მხრივ შემადგენელ ელემენტად შედის ახალ წარმოებაში, მაგალითად, სამღებროში ან სამკერვალო სახელოსნოში, მაშინ იგი წარმოადგენს «დაგროვილ შრომას», და სერთუკის ღირებულება განისაზღვრება მუშების ხელფასის, მათი იარაღებისა და მაუდის ღირებულებით, მაუდისა, რომლის ღირებულებაც თვით არის განსაზღვრული მასში «დაგროვილი» შრომით. თუ მე განვიხილავ საქონელს როგორც კაპიტალს, ე. ი. მოცემულ შემთხვევაში ამასთანავე როგორც წარმოების პირობას, მაშინ მისი ღირებულება დაიყვანება უშუალო შრომაზე, რომელსაც ეწოდება «დაგროვილი შრომა», რადგან იგი გასაგნობრივებული ფორმით არსებობს. პირიქით, თუ განვიხილავთ ამავე საქონელს როგორც საქონელს, როგორც წარმოების პროცესის პროდუქტს და შედეგს, მაშინ მისი ღირებულება განისაზღვრება არა იმ შრომით, რომელიც თვით მასშია დაგროვილი, არამედ შრომით, რომელიც მისი წარმოების პირობებშია დაგროვილი.

მართლაც, შვენიერი გამოუვალი წრეა — შეეცადო საქონლის ღირებულება განსაზღვრო კაპიტალის ღირებულებით, რადგან კაპიტალის ღირებულება უდრის იმ საქონელთა ღირებულებას, რომელთაგანაც იგი შედგება. ამ ყმაწვილკაცის წინააღმდეგ მართალია ჟემსმილი, როცა ამბობს:

«კაპიტალი საქონელია, და თქმა იმისა, რომ საქონელთა ღირებულება კაპიტალის ღირებულებით განისაზღვრება, ნიშნავს იმის თქმას, რომ საქონლის ღირებულება საქონლის ღირებულებით განისაზღვრება»²²

აქ უნდა აღინიშნოს კიდევ შემდეგი. რადგან [ტორენსის მიხედვით] საქონლის ღირებულება განისაზღვრება იმ კაპიტალის ღირებულებით, რომელიც მას აწარმოებს, ანუ, სხვა სიტყვებით, იმ შრომის მასით, რომელიც ამ კაპიტალშია დაგროვილი და გასაგნობრივებული, ამიტომ შესაძლებელია მხოლოდ ორი შემთხვევა.

[ტორენსის მიხედვით] საქონელი შეიცავს, ჯერ ერთი, მოხმარებული ძირითადი კაპიტალის ღირებულებას. მეორე, ნედლეულის ღირებულებას, სხვა სიტყვებით, შეიცავს შრომის იმ რაოდენობას, რომელიც მოთავსებულია [მოხმარებულ] ძირითად კაპიტალსა და ნედლეულში; მესამე, იგი შეიცავს კიდევ შრომის იმ რაოდენობას, რომელიც გასაგნობრივებულია ხელფასის სახით მოქმედ ფულში ან საქონელში.

მამ, ასე აქ შესაძლოა მხოლოდ ორი შემთხვევა.

ძირითად კაპიტალსა და ნედლეულში მოთავსებული «დაგროვილი» შრომის რაოდენობა წარმოების პროცესის შემდეგ იგივე რჩება, როგორც იგი ამ პროცესამდე იყო. რაც შეეხება ავანსებული «დაგროვილი შრომის» მესამე ნაწილს, მუშა ანაზღაურებს მას თავისი უშუალო შრომით, — ე. ი. ამ შემთხვევაში ნედლეულისადმი და ა. შ. მიმატებული უშუალო შრომა» წარმოადგენს საქონელში, პროდუქტში, სწორედ იმდენსავე დაგროვილ შრომას, რამდენიც იგი მოთავსებული იყო ხელფასში. ანდა იგი წარმოადგენს შრომის უფრო მეტ რაოდენობას. თუ იგი შრომის უფრო მეტ რაოდენობას წარმოადგენს, მაშინ საქონელი უფრო მეტ დაგროვილ შრომას შეიცავს, ვიდრე ავანსებული კაპიტალი. მაშინ მოგება გამომდინარეობს სწორედ იქიდან, რომ საქონელში მოთავსებული დაგროვილი შრომა სჭარბობს იმ დაგროვილ შრომას, რომელსაც ავანსებული კაპიტალი შეიცავს. და მაშინ საქონლის ღირებულება [786] უწინდებურად განისაზღვრება მასში მოთავსებული შრომის რაოდენობით (დაგროვილი შრომისა პლუს უშუალო შრომა, ამასთან უკანასკნელი არსებობს ახლა საქონელში აგრეთვე როგორც დაგროვილი და არა როგორც უშუალო შრომა. უშუალოა იგი წარმოების პროცესში, დაგროვილი კი — პროდუქტში).

ანდა [ე. ი. პირველ შემთხვევაში] უშუალო შრომა წარმოადგენს მხოლოდ შრომის იმ რაოდენობას, რომელიც ხელფასის სახით არის ავანსებული, იგი მხოლოდ ამ რაოდენობის ეკვივალენტია. (იგი რომ ამაზე ნაკლები იყოს, მაშინ საჭირო იქნებოდა აგვეხსნა არა ის, თუ რატომ ღებულობს კაპიტალისტი მოგებას, არამედ ის, თუ როგორ ხდება, რომ კაპიტალისტი ზარალს არ ნახულობს.) საიდან მიიღება მოგება მოცემულ შემთხვევაში? საიდან გამომდინარეობს ზედმეტი ღირებულება, საქონ-

ლის ღირებულების გადანამეტი მისი წარმოების შემადგენელი ელემენტების ღირებულებაზე, ანუ ავანსებული კაპიტალის ღირებულებაზე? არა თვით წარმოების პროცესიდან (ასე რომ მისი ამ გადანამეტის რეალიზაცია მოხდებოდა მხოლოდ გაცვლაში, ანუ მიმოქცევის პროცესში), არამედ გაცვლიდან, მიმოქცევის პროცესიდან. ამით ჩვენ ვუბრუნდებით მალთუსს და უხეშ მერკანტილისტურ შეხედულებას «გასხვისებით მიღებული მოგების» შესახებ. ამ დასკვნამდე თანამიმდევრულად მიდის აგრეთვე ბ-ნი ტორენსი, თუმცა იგი კვლავ იმდენად არათანამიმდევრულია, რომ ამ ნომინალურ ღირებულებას არ ხსნის რაიმე აუხსნელით, ციდან ჩამოვარდნილი ფონდით, — სახელდობრ, ფონდით, რომელიც შეადგენს არა მარტო საქონლის ეკვივალენტს, არამედ ამ ეკვივალენტის გადანამეტსაც და რომელიც შედგება ისეთი მყიდველის სახსრებისაგან, რომელსაც ყოველთვის შეუძლია შეიძინოს საქონელი მის ღირებულებაზე მაღალ ფასად და არ გაყიდოს თვითონ საქონელი მის ღირებულებაზე მაღალ ფასად, რაც მთელ საქმის ვითარებას ნულამდე დაიყვანდა. ტორენსი არაა ისე თანამიმდევრული, როგორც მალთუსი, და იგი არც მიმართავს ამგვარ ფიქციას; პირიქით, იგი ამტკიცებს, რომ «ნამდვილი მოთხოვნა», ე. ი. ღირებულების ჯამი, რასაც პროდუქტში იხდიან, გამომდინარეობს მხოლოდ მიწოდებიდან და, მაშასადამე, იგიც საქონელია; ამასთან აბსოლუტურად გაუგებარია, როგორ შეუძლია ორივე მხარეს, რომელნიც გამყიდველის როლშიც გამოდიან და მყიდველის როლშიც, თანაბრად ერთიმეორის მოტყუება.

«რომელიმე საქონლის ნამდვილი მოთხოვნა მულამ განისაზღვრება და მედამ გაიზომება, ყოველი მოცემული მოგების ნორმის დროს, კაპიტალის შემადგენელი ელემენტების, ანუ საქონლის წარმოებისათვის აუცილებელი ნივთების იმ რაოდენობით, რომლის მიწოდებაც ამ საქონელში გასაცვლელად მომხმარებლებს შეუძლიათ და სურთ» (ტორენსი, ციტირ. თხზულ., გვ. 344).

«მიწოდების ზრდა ნამდვილი მოთხოვნის გადიდების ერთადერთი მიზეზია» (იქვე, გვ. 348).

მალთუსი, რომელსაც ციტატის სახით მოჰყავს ეს დებულება ტორენსის წიგნიდან, უსაფუძვლოდ როდი აცხადებს პროტესტს ასეთი შეხედულების წინააღმდეგ («Definitions in Political Economy», London, 1827, გვ. 59)*.

და ტორენსი ნამდვილად ზემოაღნიშნულ უაზრო დასკვნამდე რომ მიდის, ამას გვიჩვენებს მისი შემდეგი გამოხატვაში წარმოების ხარჯების შესახებ და ა. შ.:

* იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 64. რ ე დ.

«საბაზრო ფასი» (მალთუსის მიხედვით — «ლირებულება მყიდველისათვის») ჟოველთის შეიცავს მოცემული დროისათვის ჩვეულებრივ მოგების ნორმას. ბუნებრივი ფასი, რომელიც შედგება წარმოების ხარჯებისაგან, ანუ, სხვა სიტყვებით, საქონლის წარმოების ანუ დამზადების დროს და ხარჯული კაპიტალისაგან. არ შეიძლება შეიცავდეს მოგების ნორმას» (ტორენსი, ციტირ. თხზ., გვ. 51).

თუ ფერმერი, რომელმაც 100 კვარტერი მარცვლეული დახარჯა, უკან ღებულობს ამონაგების სახით 120 კვარტერს, მაშინ მოგებას შეადგენს 20 კვარტერი მარცვლეული და აბსურდი იქნებოდა ამ გადანამეტისათვის, ანუ ამ მოგებისათვის დანახარჯთა ნაწილი გეწოდებინა... საესებით ასევე ფაბრიკანტი წარმოების პროცესის შედეგად მზა ნაწარმის ისეთ რაოდენობას ღებულობს, რომლის საცვლელი ღირებულებაც აღემატება მის მიერ დახარჯულ მასალათა და ა. შ. ღირებულებას» (გვ. 51—53).

«ნამდვილი მოთხოვნა იმაში მდგომარეობს, რომ მომხმარებლებს შესწევთ უნარი და მიდრეკილება აქეთ, უშუალო თუ მეშვეობითი გაცვლის წესით, გაიღონ საქონელში კაპიტალის ყველა შემადგენელი ნაწილის რაღაც უფრო მეტი რაოდენობა. ვიდრე მისი წარმოება ღირს» (გვ. 349).

120 კვარტერი მარცვლეული უეჭველად უფრო მეტია 100 კვარტერზე. მაგრამ თუ განვიხილავთ, როგორც მოცემულ შემთხვევაშია, მხოლოდ სახმარ ღირებულებას და იმ პროცესს, რომელსაც იგი გაივლის, ე.ი. არსებითად, ვეგეტაციურ ან ფიზიოლოგიურ [787] პროცესს, მაშინ სწორი არ იქნებოდა იმის მტკიცება, — თუ თვით 20 კვარტერის შესახებ არა, მათი წარმომქმნელი ელემენტების შესახებ მაინც, — რომ ისინი არ შედიან წარმოების პროცესში. სხვანაირად ხომ მათი იქიდან მიღება არ შეიძლებოდა. გარდა 100 კვარტერი მარცვლეულისა — თესლისა³⁵, — პროცესში, რომელიც 100 კვარტერ მარცვლეულს 120 კვარტერად აქცევს, შედის კიდევ სასუქის მიერ მიწოდებული ქიმიური შემადგენელი ნაწილები, მარილები, რომელთაც მიწა შეიცავს, ასევე წყალი, ჰაერი, სინათლე. გარდაქმნა და ათვისება ამ ელემენტებისა, პირობებისა — ბუნების დანახარჯებისა, რომლებიც 100 კვარტერ მარცვლეულს 120 კვარტერად გადააქცევენ, — თვით წარმოების პროცესში ხდება, და ამ 20 კვარტერის ელემენტები შედის, როგორც ფიზიოლოგიური «დანახარჯი», თვით ამ პროცესში, რომლის შედეგსაც 100 კვარტერის 120 კვარტერად გადაქცევა წარმოადგენს.

თუ ამ 20 კვარტერს მხოლოდ სახმარ ღირებულების თვალსაზრისით განვიხილავთ, იგი არ წარმოადგენს უბრალოდ მოგებას. აქ ჩვენ ვვაქვს მხოლოდ ის, რომ ორგანულმა ნაწილმა მოახდინა არაორგანული ელემენტების ასიმილაცია და ისინი ორგანულ ნივთიერებად გადააქცია. იმ ნივთიერების მიუმატებლად, რომელიც ფიზიოლოგიურ დანახარჯს წარმოადგენს, ვერასდროს და ვერავითარ პირობებში ვერ მივიღებდით 100 კვარტერიდან 120 კვარტერს. მაშასადამე, არსებითად შეიძლება ითქვას, —

თუნდაც მარტოოდენ სახმარი ღირებულების თვალსაზრისით, მარცვლეულის როგორც მარცვლეულის თვალსაზრისით, — რომ მასში შევიდა როგორც «დ ა ნ ა ხ ა რ ჯ ი» არაორგანული ფორმითის, რაც ო რ გ ა ნ უ ლ ი ფორმით გვევლინება როგორც არსებული შედეგი, იმ 20 კვარტერი მარცვლეულის სახით, რომელიც წარმოადგენს მოწეული მარცვლეულის გადანამეტს დათესილზე.

მაგრამ განხილვის ამ წესს თავისთავად ისევე არაფერი აქვს საერთო მოგების საკითხთან, როგორც იმას, თუ ჩვენ, მაგალითად, ვიტყვით, რომ მავთული, რომელიც შრომის პროცესში ათასჯერ უფრო გრძელი გახდა, ვიდრე ლითონის ის ნაჭერი, რომლისაგანაც იგი გაკეთებულია, წარმოადგენს ათასჯერად მ ო გ ე ბ ა ს, რადგან მისი სიგრძე, ათასჯერ გადიდა. მავთულის შემთხვევაში გადიდა სიგრძე, მარცვლეულის შემთხვევაში გადიდა კვარტერების რიცხვი. მაგრამ არც სიგრძის ნამეტი, არც რიცხვის ნამეტი არ ქმნიან მ ო გ ე ბ ა ს, რომელიც მიმართებაშია მხოლოდ საცვლელ ღირებულებასთან, თუმცადა ეს საცვლელი ღირებულება წარმოდგენილია ზედმეტ პროდუქტში.

რაც შეეხება საცვლელ ღირებულებას, არა გვგონია საჭირო იყოს კიდევ იმის განმარტება, რომ 90 კვარტერი მარცვლეულის ღირებულება შეიძლება უდრიდეს (ან მეტიც კი იყოს) 100 კვარტერის ღირებულებაზე, 100 კვარტერის ღირებულება მეტი იყოს, ვიდრე 120 კვარტერისა და 120 კვარტერის ღირებულება უფრო მეტი, ვიდრე 500 კვარტერისა.

მაშასადამე, ტორენსი აკეთებს დასკვნას მოგების შესახებ ისეთი მაგალითის საფუძველზე, რომელსაც ა რ ა ფ ე რ ი ა ქ ვ ს ს ა ე რ თ ო მოგებასთან, პროდუქტის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს გადანამეტთან ავანსებული კაპიტალის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ზ ე. და ფიზიოლოგიურადაც კი — სახმარი ღირებულების თვალსაზრისით — მისი მაგალითი მცდარია, რადგან სინამდვილეში ის 20 კვარტერი მარცვლეული, რომელიც მასთან ზედმეტი პროდუქტის სახით გამოდის, ასე თუ ისე, თუმცა სხვა ფორმით, უკვე არსებობს თვით წარმოების პროცესში.

სხვათა შორის, ბოლოს და ბოლოს ტორენსის მსჯელობაში პირდაპირ გამოსჭვივის ძველი გენიალური წარმოდგენა მოგებაზე როგორც «გა-სხვისებით მიღებულ მოგებაზე».

[გ] ტორენსი და წარმოების ხარჯების ცნება]

ტორენსის დამსახურება ისაა, რომ მან საერთოდ აღძრა სადავო საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის წ ა რ მ ო ე ბ ი ს ხ ა რ ჯ ე ბ ი. რიკარდო მულამ ურევს საქონლის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს წ ა რ მ ო ე ბ ი ს,

ხ ა რ ჯ ე ბ შ ი (რამდენადაც ეს უკანასკნელი ხარჯთფასს უდრის) და აქედან წარმოდგება მისი განცვიფრება იმის გამო, რომ ს ე ი, თუმცა იგი ფასს წარმოების ხარჯებით განსაზღვრავს, ამ განსაზღვრიდან სხვა დასკვნებს აკეთებს*. მალთუსი, როგორც რიკარდოც, ამტკიცებს, რომ საქონლის ფასი განისაზღვრება წარმოების ხარჯებით, და, რიკარდოს მსგავსად, მოგება შეიქვეს წარმოების ხარჯებში. მიუხედავად ამისა, ღირებულებას იგი სრულიად სხვაგვარად განსაზღვრავს — არა შრომის რაოდენობით, რომელსაც საქონელი შეიცავს, არამედ შრომის იმ რაოდენობით, რომელიც საქონელს შეუძლია თავის განკარგულებაში ჰქონდეს.

წ ა რ მ ო ე ბ ი ს ხ ა რ ჯ ე ბ ი ს ცნების ორაზროვნობა გამომდინარეობს თვით კაპიტალისტური წარმოების ბუნებიდან.

ჯ ე რ ე რ თ ი. კაპიტალისტისათვის მის მიერ წარმოებული საქონლის ხ ა რ ჯ ე ბ ი, ბუნებრივია, ის არის, რაც კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ს საქონელი უ ღ ი რ ს. ა ვ ა ნ ს ე ბ უ ლ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ღირებულების გარდა, საქონელი მას არა უღირს რა, ე.ი. არავითარი სხვა ღირებულება კაპიტალისტს საქონელზე არ დაუხარჯავს. თუ იგი საქონლის საწარმოებლად 100 გირვ. სტერლინგს ხარჯავს ნედლეულზე, შრომის იარაღებზე, ხელფასზე და ა. შ., მაშინ მას საქონელი უღირს 100 გირვ. სტერლინგი — არც მეტი და არც ნაკლები. გარდა შრომისა, რომელსაც ეს დანახარჯები შეიცავს, — ე. ი. გარდა და გ რ ო ვ ი ლ ი შ რ ო მ ი ს ა რომელიც ავანსებულ კაპიტალშია მოთავსებული და საქონლის წარმოებისათვის ავანსებულ საქონელთა ღირებულებას განსაზღვრავს, — კაპიტალისტს საქონელი არავითარი სხვა შრომა არ უღირს. ის, რაც მას უ შ უ ა ლ ო შ რ ო მ ა უღირს, არის ხელფასი, რომელსაც კაპიტალისტი ამ შრომაში იხდის. გარდა ხელფასისა, უშუალო შრომა კაპიტალისტს არაფერი არ უღირს, ხოლო უშუალო შრომის გარდა, კაპიტალისტმა ავანსად გაიღო საერთოდ მხოლოდ მუდმივი კაპიტალის ღირებულება.

[788] ამ აზრით ესმის წარმოების ხარჯები ტორენსს, და ამავე აზრით ესმის ისინი ყოველ კაპიტალისტს, როცა იგი მოგებას ანგარიშობს, სულ ერთია — როგორიც არ უნდა იყოს ამ მოგების ნორმა.

აქ წარმოების ხარჯები უდრის კაპიტალისტის და ნ ა ხ ა რ ჯ ს, უდრის ავანსებული კაპიტალის ღირებულებას, ე. ი. შრომის იმ რაოდენობას, რომელსაც შეიცავს წარმოების პროცესისათვის ავანსებული საქონელი. და ყოველ ეკონომისტს, ასევე რიკარდოსაც, სჭირდება წარმოების ხარჯების ეს განსაზღვრა ა ვ ა ნ ს ე ბ უ ლ და ნ ა ხ ა რ ჯ თ ა, გა წ ე უ ლ ი ხ ა რ ჯ ე ბ ი ს და ა. შ. აზრით. ეს არის ის, რასაც მალ-

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 629. რედ.

თუხი უწოდებს ფასს მწარმოებლისათვის განსხვავებით ფასისაგან მყიდველისათვის. ავანსებულ დანახარჯთა ამ განსაზღვრას შეესაბამება ზედმეტი ღირებულების გარდაქმნა მოგების ფორმად.

მეორე. წარმოების ხარჯები მათი პირველი განსაზღვრით არის ფასი, რომელსაც კაპიტალისტი იხდის წარმოების პროცესში საქონლის დამზადებისათვის, მაშასადამე, ის, რაც მას, კაპიტალისტს, საქონელი უღირს. მაგრამ ის, რაც საქონლის წარმოება კაპიტალისტს უღირს, და ის, რაც თვით საქონლის წარმოება ღირს, ორი სრულიად განსხვავებული რამაა. შრომა (გასაგნობრივებული და უშუალო), რომელშიც კაპიტალისტი ფასს იხდის საქონლის წარმოებისას, და შრომა, რომელიც აუცილებელია საქონლის საწარმოებლად, სრულიად განსხვავდება ერთიმეორისაგან თავისი სიდიდით. სხვაობა მათ შორის ქმნის კიდევ სხვაობას ავანსებულ და მიღებულ ღირებულებას შორის, კაპიტალისტისათვის საქონლის საყიდელ ფასსა და საქონლის გასაყიდ ფასს შორის (თუ საქონელი მისი ღირებულების მიხედვით იყიდება). ეს განსხვავება რომ არ არსებობდეს, მაშინ ფული ან საქონელი ვერასოდეს ვერ გადაიქცეოდა კაპიტალად. ზედმეტ ღირებულებასთან ერთად გაქრებოდა მოგების წყარო. თვით საქონლის წარმოების ხარჯებს შეადგენს მის წარმოებაში მოხმარებული კაპიტალის ღირებულება, ე. ი. გასაგნობრივებული შრომის ის რაოდენობა, რომელიც საქონელში შედის, პლუს უშუალო შრომის ის რაოდენობა, რომელიც დახარჯულია საქონლის წარმოებაზე. საქონლის წარმოებაზე მოხმარებული შრომის — «გასაგნობრივებულის» და «უშუალოსი» — საერთო ჯამი შეადგენს თვით საქონლის წარმოების ხარჯებს. საქონელი შეიძლება დამზადებულ იქნეს მხოლოდ გასაგნობრივებული და უშუალო შრომის ამ რაოდენობის მწარმოებლური მოხმარების საშუალებით. ეს არის სწორედ აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ საქონელი გამოვიდეს წარმოების პროცესიდან როგორც პროდუქტი, როგორც საქონელი და როგორც სახმარი ღირებულება. და როგორც არ უნდა შეიცვალოს მოგება და ხელფასი, საქონლის წარმოების ეს იმანენტური ხარჯები იგივე რჩება სანამ შრომის რეალური პროცესის ტექნოლოგიური პირობები უცვლელი რჩება, ანუ, რაც იგივეა, სანამ რაიმე ცვლილება არ მოხდება შრომის მწარმოებლური ძალის განვითარების მოცემულ დონეში. ამ აზრით საქონლის წარმოების ხარჯები უდრის საქონლის ღირებულებას. საქონელზე დახარჯული ცოცხალი შრომა და კაპიტალისტის მიერ ფასგადახდილი ცოცხალი შრომა

სულ სხვადასხვა რამაა. ამიტომ იმთავითვე საქონლის წარმოების ხარჯები კაპიტალისტისათვის (კაპიტალის მიერ გაწეული ხარჯები) განსხვავდება თვით საქონლის წარმოების ხარჯებისაგან, მისი ღირებულებისაგან. ვადანამეტი ღირებულებისა (ე. ი. იმისა, რაც თვით საქონელი ღირს) ავანსებული კაპიტალის ღირებულებაზე (ე. ი. იმაზე, რაც საქონელი კაპიტალისტს უღირს) ქმნის მოგებას, რომელიც, მაშასადამე, გამომდინარეობს არა იქიდან, რომ საქონელი იყიდება თავის ღირებულებაზე უფრო მაღალ ფასად, არამედ იქიდან, რომ იგი იყიდება კაპიტალისტის მიერ ფასგადახდილ დანახარჯთა ღირებულებაზე უფრო მაღალ ფასად.

ეს განსაზღვრა წარმოების ხარჯებისა, საქონლის წარმოების იმანენტური ხარჯებისა, რომლებიც საქონლის ღირებულებას უდრის, ე. ი. უდრის საქონლის წარმოებისათვის საჭირო (გასაგნობრივებული და უშუალო) სამუშაო დროის საერთო ჯამს, გამოხატავს საქონლის წარმოების ძირითად პირობას და უცვლელი რჩება, სანამ უცვლელი რჩება შრომის მწარმოებლური ძალა.

მესამე. მე უკვე ცხადვეყვი წინათ*, რომ ყოველ ცალკეულ დარგში ან ყოველ ცალკეულ წარმოებაში კაპიტალისტი ყიდის საქონელს, რომელიც განსაკუთრებული დარგის ან განსაკუთრებული წარმოების, ანდა წარმოების განსაკუთრებული სფეროს პროდუქტს წარმოადგენს, არა იმ ღირებულების მიხედვით, რომელსაც თვით ეს საქონელი შეიცავს, რომ, მაშასადამე, იმ მოგების მასა, რასაც კაპიტალისტი იღებს, არ უდრის ზედმეტი ღირებულების, ზედმეტი შრომის, ანუ კაპიტალისტის მიერ გასაყიდ საქონელში გასაგნობრივებული შრომის მასას. პირიქით, კაპიტალისტს შეუძლია საშუალოდ მხოლოდ იმდენი ზედმეტი ღირებულების რეალიზება მოახდინოს თავის საქონელში, რამდენიც წილად უწევს ამ საქონელს როგორც საზოგადოებრივი კაპიტალის გარკვეული ნაწილის პროდუქტს. თუ საზოგადოებრივი კაპიტალი უდრის 1000-ს, ხოლო კაპიტალი რომელიმე ცალკეულ [789] წარმოებაში უდრის 100-ს, და თუ საერთო ჯამი ზედმეტი ღირებულებისა (მაშასადამე, ზედმეტი პროდუქტისა, რომელშიც გასაგნობრივებულია ეს ზედმეტი ღირებულება) უდრის 200-ს და, მაშასადამე, შეადგენს 20%-ს, მაშინ ამ ცალკეულ წარმოებაში დაბანდებული კაპიტალი 100 თავის საქონელს გაყიდის 120-ად, როგორც არ უნდა იყოს ამ საქონლის ღირებულება, — უდრის იგი 120-ს,

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 23—27, 33, 76—83, 227—306. რ. ე. დ.

უფრო მეტია ამ ჯამზე, თუ მასზე უფრო ნაკლებია, ე. ი. იმისდა მიუხედავად, შეადგენს ფასგადაუხდელი შრომა, რომელსაც მოცემული საქონელი შეიცავს, მასზე ავანსებული შრომის $\frac{1}{5}$ -ს თუ არ შეადგენს.

ეს არის ხარჯთფასი, და როცა ლაპარაკია წარმოებების ხარჯებზე სიტყვის ნამდვილი (ეკონომიური, კაპიტალისტური) მნიშვნელობით, მაშინ ეს არის ავანსებული კაპიტალის ღირებულება პლუს საშუალო მოგების ღირებულება.

ცხადია, რომ როგორც არ უნდა ვადაიხაროს ცალკეული საქონლის ხარჯთფასი მისი ღირებულებიდან, იგი განისაზღვრება საზოგადოებრივი კაპიტალის ერთობლივი პროდუქტის ღირებულებით. ცალკეული კაპიტალები, მათ ხვედრ მოგებათა გათანაბრების მეოხებით, ერთიმეორის მიმართ წარმოადგენენ ერთობლივი საზოგადოებრივი კაპიტალის გარკვეულ ნაწილებს და როგორც ასეთი გარკვეული ნაწილები, ისინი ღებულობენ დივიდენდებს ზედმეტი ღირებულების (ზედმეტი პროდუქტის), ანუ ზედმეტი შრომის, ე. ი. ფასგადაუხდელი შრომის საერთო ფონდიდან. ეს არაფერს არ ცვლის საქონლის ღირებულებაში, არაფერს არ ცვლის იმაში, რომ იმისდა მიუხედავად, ამ საქონლის ხარჯთფასი მის ღირებულებას უდრის თუ იგი უფრო მეტი ან უფრო ნაკლებია ამ უკანასკნელზე, მისი წარმოება შეუძლებელია უმისოდ, თუ არ იწარმოება მისი ღირებულება, ე. ი. თუ არ დაიხარჯება მასზე მისი წარმოებისათვის აუცილებელი გასაგნობრივებული და უშუალო შრომის მთელი რაოდენობა. ეს რაოდენობა შრომისა, არა მარტო ფასგადახდილისა, არამედ ფასგადაუხდელისაც, უნდა დაიხარჯოს საქონელზე, და კაპიტალისა და შრომის საერთო დამოკიდებულებაში არაფერი არ იცვლება იმის გამო, რომ წარმოების ზოგიერთ დარგებში ფასგადაუხდელი შრომის ნაწილს მიითვისებენ «თანამომე-კაპიტალისტები»³⁴ და არა ის კაპიტალისტი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს შრომა წარმოების ამ განსაკუთრებულ დარგში. ცხადია შემდეგ, რომ, როგორც არ უნდა იყოს შეფარდება საქონლის ღირებულებასა და მის ხარჯთფასს შორის, უკანასკნელი ყოველთვის შეიცვლება, გადიდდება ან შემცირდება ღირებულების ცვლილებისა მიხედვით, ე. ი. საქონლის წარმოებისათვის აუცილებელი შრომის რაოდენობის ცვლილების მიხედვით. გარდა ამისა, ცხადია: მოგების ნაწილი ყოველთვის უნდა წარმოადგენდეს თვით ამ საქონელში გასაგნობრივებულ ზედმეტ ღირებულებას, ფასგადაუხდელ შრომას, რადგან კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე ყოველისაქონელი შეიცავს მასზე დახარჯულ უფრო მეტ შრომას, ვიდრე აანაზღაურა კაპიტალისტმა, რომელმაც ეს შრომა მოძრაობაში მოიყვანა. მოგების გარკვეულ ნაწილს შეიძლება შეადგენდეს

შრომა, რომელიც არ დახარჯულა იმ საქონელზე, რომლის მომწოდებელიც მრეწველობის ვარკვეული დარგია ანდა რომელიც მოცემულ სფეროში იწარმოება; მაგრამ მაშინ არსებობს რომელიმე წარმოების რომელიმე სხვა სფეროში დამზადებული სხვა საქონელი, რომლის ხარჯთფასი მის ღირებულებაზე დაბლა ეცემა, ანდა რომლის ხარჯთფასშიც ნაანგარიშევი და ანაზღაურებულია ფასგადაუხდელი შრომის უფრო ნაკლები რაოდენობა, ვიდრე მასშია მოთავსებული.

ამიტომ ნათელია, რომ, თუმცა საქონელთა უმრავლესობის ხარჯთფასები მათი ღირებულებიდან იხრებიან, ე. ი. თუმცა მათი «წარმოების ხარჯები» უნდა იხრებოდნენ მათში მოთავსებული ერთობლივი შრომიდან, მაგრამ მაინც ეს წარმოების ხარჯები და ეს ხარჯთფასები არა მარტო განისაზღვრებიან საქონელთა ღირებულებებით და შეესაბამებიან ღირებულების კანონს (და არ ეწინააღმდეგებიან მას), არამედ, უფრო მეტიც, მხოლოდ ღირებულებისა და მისი კანონის საფუძველზე შეიძლება გაგებულ იქნეს თვით არსებობა წარმოების ხარჯებისა და ხარჯთფასებისა, მაშინ როდესაც ამ წანამძღვრის გარეშე იგი უაზრობად იქცევა.

ამასთან ერთად გასაგები ხდება. თუ რატომაა, რომ ის ეკონომისტიები, რომლებიც, ერთი მხრივ, ხედავენ ფაქტიურ მოვლენას, რასაც ადგილი აქვს კონკურენციის სფეროში, მაგრამ, მეორე მხრივ, ვერ გაუგიათ ღირებულების კანონსა და ხარჯთფასის კანონს შორის მოსაშუალებ პრაციებს, მიმართავენ ფიქციას, რომ საქონლის ღირებულებას განსაზღვრავს კაპიტალი და არა შრომა, ანუ, უფრო ზუსტად, ღირებულება საქრთოდ არ არსებობს.

[790] მოგება შედის საქონლის წარმოების ხარჯებში; ა. სმიტს იგი სამართლიანად შეაქვს, როგორც შემადგენელი ნაწილი, საქონლის «ბუნებრივ ფასში», იმიტომ, რომ კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე საქონელი—საბოლოო ანგარიშით, როგორც წესი—არ გაიტანება ბაზარზე, თუ იგი არ იძლევა ხარჯთფასს, რომელიც უდრის ავანსებული კაპიტალის ღირებულებას პლუს საშუალო მოგება. ანდა, როგორც ამას მალთუსი გამოთქვამს, — თუმცა მას არ ესმის მოგების წარმოშობა, მისი ნამდვილი მიზეზი, — იმიტომ რომ მოგება, მაშასადამე, ხარჯთფასიც, რომელიც ამ მოგებას შეიცავს, პირობაა საქონლის მოწოდებისა (კაპიტალისტური წარმოების ბაზარზე). რათა საქონელი იწარმოებოდეს, რათა იგი ბაზარზე გადიოდეს, იგი უნდა აძლევდეს გამყიდველს, სულ ცოტა, ამ საბაზრო ფასს, ამ ხარჯთფასს, იმის მიუხედავად, იქნება საქონლის საკუთარი ღირებულება ამ ხარჯთფასზე უფრო მეტი თუ უფრო ნაკლები. კაპიტალისტისათვის სულ ერთია, შეიცავს მისი საქონელი უფრო მეტ ფასგადაუხდელ შრომას, ვიდრე სხვა საქონელი,

თუ უფრო ნაკლებს, რაკი ამ საქონლის ფასში ფასგადაუხდელი შრომის, ანუ ზედმეტი პროდუქტის, — რომელშიც ეს ფასგადაუხდელი შრომა ფიქსირებული, — საერთო ფონდიდან შედის იმდენივე, რამდენსაც ამ საერთო ფონდიდან ლეზულობს იმავე სიდიდის ყოველი სხვა კაპიტალი. ამ მხრივ კაპიტალი სტები «კომუნისტები» არიან. კონკურენციაში თითოეული, ბუნებრივია, ესწრაფვის საშუალო მოგებაზე უფრო მეტი მიიღოს, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მეორე საშუალო მოგებაზე უფრო ნაკლებს ლეზულობს. სწორედ ამ ბრძოლის მეოხებით მყარდება საშუალო მოგება.

ავანსებული კაპიტალის (სულ ერთია — ნასესხებია იგი თუ არა) სარგებლის ფორმით მოგებაში რეალიზებული ზედმეტი ღირებულების ნაწილი კაპიტალისტს წარმოუდგება აგრეთვე როგორც დანახარჯი, როგორც წარმოების ხარჯების მუხლი, რაც მას აქვს როგორც კაპიტალისტს, მსგავსად იმისა, როგორც საერთოდ მოგება კაპიტალისტური წარმოების მიზანია. სარგებელში კი (განსაკუთრებით სესხად აღებული კაპიტალის დროს) ეს გვევლინება აგრეთვე როგორც მისი, კაპიტალისტის, საწარმოო საქმიანობის ფაქტიური წანამძღვარი.

ეს გვიჩვენებს ამასთანავე, თუ როგორია საქმის ვითარება წარმოების ფორმებსა და განაწილების ფორმებს შორის არსებული განსხვავების მიმართ. მოგება, განაწილების ფორმა, წარმოადგენს აქ ამასთანავე წარმოების ფორმას, წარმოების პირობას, წარმოების პროცესის აუცილებელ შემადგენელ ელემენტს. როგორი უქკუონი არიან, მაშასადამე, — ამ საკითხს შემდგომ უნდა დავუბრუნდეთ, — ჯონ სტ. მილი და სხვები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ წარმოების ბურჟუაზიული ფორმები აბსოლუტურია, განაწილების ბურჟუაზიული ფორმები კი — შეფარდებითი, ისტორიული და ამიტომ წარმავალნი. განაწილების ფორმა არის მხოლოდ წარმოების ფორმა *sub alia specie**. ის *differentia specifica*** — მაშასადამე, სპეციფიკური შეზღუდულობაც, — რომელიც ბურჟუაზიული განაწილების ზღუდეს შეადგენს, შედის თვით წარმოებაში როგორც მისი მომცველი და მასზე გაბატონებული განსაზღვრულობა. მაგრამ ის გარემოება, რომ თავისი საკუთარი იმანენტური კანონების გამო ბურჟუაზიული წარმოება იძულებულია, ერთი მხრივ, ისე განავითაროს მწარმოებლური ძალები, თითქოს იგი არ წარმოადგენდეს წარმოებას შეზღუდულ

* — სხვა თვალსაზრისით. რ ე დ.

** — სპეციფიკური განმასხვავებელი ნიშანი. რ ე დ.

საზოგადოებრივ საფუძველზე, მეორე მხრივ, მას შეუძლია განავითაროს ისინი მიინც მხოლოდ ამ შეზღუდულობის ფარგლებში, — ეს გარემოება არის ყველაზე ღრმა და ყველაზე იდუმალი მიზეზი კრიზისებისა, რომლებშიც თავს იჩენენ ხოლმე ბურჟუაზიული წარმოების წინააღმდეგობები, რომელთა ჩარჩოებშიც ეს წარმოება მოძრაობს და რომლებიც თვით უხეში, ზერელე შეხედულებითაც კი ახასიათებენ ამ წარმოებას როგორც ისტორიულად წარმავალ ფორმას.

ამას, შემდეგ, მაგალითად, სისმონდი თუმცა უხეშად, მაგრამ, ამავე დროს საკმაოდ მართებულად განიხილავს როგორც წინააღმდეგობას წარმოებისათვის წარმოებასა და ისეთ განაწილებას შორის, რომელიც eo ipso* გამოირიცხავს მწარმოებლობის აბსოლუტურ განვითარებას.

2) ჯეიმს მილი [რიკარდოსაული სისტემის წინააღმდეგობათა გადაწყვეტის წარუმატებელი ცდაები]

[791] J a m e s M i l l. Elements of Political Economy. London, 1821 (მეორე გამოცემა — London, 1824).

მილი იყო პირველი, ვინც რიკარდოს თეორია გადმოგვცა სისტემატური ფორმით, თუმცა მხოლოდ საკმაოდ აბსტრაქტული მოხაზულობით. იგი ესწრაფვის ფორმალურად ლოგიკურ თანმიმდევრობას. «ამიტომ» სწორედ მილით იწყება რიკარდოს სკოლის დაშლა. მასწავლებლის [რიკარდოს] შეხედულებათა სისტემაში ახალ და მნიშვნელოვან წინააღმდეგობათა შუაგულ «ნაკელში» იმყოფება და იგი დიდი ვაი-ვაგლახით გამოიყვანება წინააღმდეგობრივი მოვლენებიდან. თვით წინააღმდეგობანი, რომლებიც საფუძვლად უდევს მის თეორიას, მოწმობენ იმ სასიცოცხლო ფუნდამენტის სიმდიდრეს, საიდანაც, თავის დაღწევის ცდასთან ერთად, ვითარდება თეორია. სხვაგვარადაა საქმე მოსწავლესთან [მილთან]. ის ნედლი მასალა, რაზეც იგი მუშაობს, არის არა თვით სინამდვილე, არამედ ის ახალი თეორიული ფორმა, რაც ამ სინამდვილეს მასწავლებელმა მისცა სუბლიმაციის გზით. ნაწილობრივ ახალი თეორიის მოწინააღმდეგეთა მოსაზრებანი, ნაწილობრივ ამ თეორიის ხშირად პარადოქსალური დამოკიდებულება სინამდვილისადმი უბიძგებენ მას იმის ცდისაკენ, რომ პირველნი უარყოს, ხოლო უკანასკნელნი თავიდან მოიშოროს წმინდა სიტ-

* ამით, სწორედ ამის გამო [ე. ი. იმის გამო რომ წარმოება წარიმართება წარმოების გულისათვის და არა მწარმოებელი მუშების გულისათვის]. რ ე დ.

ყ ვ ი ე რ ი « ხ ს ნ ა - გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ბ ი თ ». ამ ცდის დროს იგი თვით იხლართება წინააღმდეგობებში და თავისი ცდით — გადაწყვიტოს ეს წინააღმდეგობანი, დასაბამს აძლევს ამასთანავე ი მ თ ე ო რ ი ის დ ა შ ლ ა ს, რომელსაც იგი დოგმატიკურად იცავს. მილს სურს, ერთი მხრივ, წარმოგვიდგინოს ბურჟუაზიული წარმოება როგორც წარმოების აბსოლუტური ფორმა და ცდილობს ამიტომ დაამტკიცოს, რომ მისი ნამდვილი წინააღმდეგობანი მხოლოდ მოჩვენებითი წინააღმდეგობანია. მეორე მხრივ, იგი ცდილობს დაგვისახოს რიკარდოს თეორია როგორც ამ წარმოების წესის აბსოლუტური თეორიული ფორმა, და ამავე დროს უკუავდოს ფორმალური მოსაზრებებით თეორიული წინააღმდეგობანი, რომლებიც ნაწილობრივ სხვებმა შენიშნეს, ნაწილობრივ კი თვით მასვე ეცემოდნენ თვალში. მაგრამ მილის შეხედულებებში ჩვენ ჯერ კიდევ ვპოულობთ რამდენადმე რიკარდოს თვალსაზრისის შემდგომ განვითარებასაც იმ ფარგლებს იქით, რომლებშიც მას თვით რიკარდო გადმოგვცემდა. მილი ჯერ კიდევ იცავს იმ ისტორიულ ინტერესებს, რომელთაც რიკარდოც იცავდა, — ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ს მ ი წ ი ს ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ, — და იგი უფრო გადაჭრით აკეთებს პრაქტიკულ დასკვნებს თეორიიდან — მაგალითად, მიწის რენტის თეორიიდან — მიწის კერძო საკუთრების არსებობის წინააღმდეგ, საკუთრებისა, რომელიც მას უნდოდა მეტ-ნაკლებად პირდაპირ სახელმწიფო საკუთრებად გადაექცია. უკანასკნელ დასკვნაზე და მილის შეხედულებათა ამ მხარეზე ჩვენ აქ არ შევიჩერდებით.

[ა] ზედმეტი ღირებულებისა და მოგების ერთმანეთში არევა. სქოლასტიკა მოგების ნორმის გათანაბრების საკითხში. წინააღმდეგობათა ერთიანობის დაყვანა მათს უშუალო იგივეობაზე]

განსხვავება ზ ე დ მ ე ტ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს ა და მ ო გ ე ბ ა ს შორის ისევე ნაკლებად აღინიშნება რიკარდოს მოწაფეებთან, როგორც თვით რიკარდოსთან. თვით რიკარდო ამ განსხვავებას ამჩნევს მხოლოდ იმ განსხვავებულ გავლენაში, რაც ხელფასის ცვლილებას შეუძლია მოახდინოს სხვადასხვა ორგანული შედგენილობის კაპიტალებზე (ამ უკანასკნელს კი რიკარდო მხედველობაში იღებს მხოლოდ მიმოქცევის პროცესთან დაკავშირებით). არც თვით რიკარდოს, არც მის მოწაფეებს აზრად არ მოსდით ის, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ ჩვენ განვიხილავთ არა კაპიტალებს სხვადასხვა დარგებში, არამედ თ ი თ ო ე უ ლ

7. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

კაპიტალს ცალკე, — რამდენადაც ეს კაპიტალი არ შედგება მარტოოდენ ცვალებადი კაპიტალისაგან, არ წარმოადგენს მხოლოდ ხელფასზე დახარჯულ კაპიტალს, — მოგების ნორმა და ზედმეტი ღირებულების ნორმა სხვადასხვაა, და, მაშასადამე, მოგება უნდა წარმოადგენდეს ზედმეტი ღირებულების გარკვეულ შემდგომ განვითარებულ, სპეციფიკურად მოდიფიცირებულ ფორმას. განსხვავებას ზედმეტ ღირებულებასა და მოგებას შორის ისინი ამჩნევენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ლაპარაკია თანაბარ მოგებაზე — მოგების საშუალო ნორმაზე წარმოების სხვადასხვა სფეროს კაპიტალებისათვის და მათში ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის სხვადასხვა თანაფარდობაზე. მილი ამ მხრივ მხოლოდ იმეორებს და იმის პოპულარიზაციას ეწევა, რაც რიკარდოს მოცემული აქვს 1-ლ თავში «ღირებულების შესახებ». ერთადერთი ახალი ეჭვი, რაც მას ამ საკითხთან დაკავშირებით აღეძვრის, შემდეგია.

მილი ამჩნევს, რომ «დრო როგორც ასეთი» (მაშასადამე, არა სამუშაო დრო, არამედ უბრალოდ დრო) არაფერს არ აწარმოებს, მაშასადამე, არ აწარმოებს «ღირებულებასაც». როგორ შეეთანხმება, ასეთ შემთხვევაში, ღირებულების კანონს ის ფაქტი, რომ გარკვეული კაპიტალი, რომელსაც, როგორც რიკარდო ამბობს, ბრუნვისათვის უფრო ხანგრძლივი დრო სჭირდება, იმავე მოგებას იძლევა, რასაც იძლევა ის კაპიტალიც, რომელიც უფრო მეტ უშუალო შრომას იყენებს, მაგრამ უფრო სწრაფად ბრუნავს? ჩვენ ვხედავთ, რომ მილი აქ იღებს მხოლოდ სრულიად ცალკეულ შემთხვევას, რომლის განზოგადებული სახით ფორმულირებაც ასე შეიძლებოდა: როგორ ეთანხმება ხარჯთფასი და მის მიერ ნავარაუდები [792] მოგების საშუალო ნორმა (მაშასადამე, შრომის მეტად არათანაბარ რაოდენობათა შემცველი საქონლების ღირებულებათა ტოლობა) იმ გარემოებას, რომ მოგება სხვა არაფერია, თუ არა საქონელში მოთავსებული სამუშაო დროის ნაწილი, სახელდობრ მისი ის ნაწილი, რომელსაც კაპიტალისტი ითვისებს უეკვივალენტოდ? ამის საპირისპიროდ, მოგების საშუალო ნორმისა და ხარჯთფასის განხილვისას ისეთ სხვადასხვა თვალსაზრისს აყენებენ, რომელნიც სრულიად უცხოა ღირებულების განსაზღვრისათვის და სრულიად გარეგნულია მის მიმართ, — მაგალითად, ის თვალსაზრისი, რომ თუ რომელიმე კაპიტალისტის კაპიტალს უფრო ხანგრძლივ ბრუნვათა შესრულება ხვდება, რადგან ეს კაპიტალი, როგორც ამას ადგილი აქვს, მაგალითად, მეღვინეობაში, იძულებულია უფრო მეტ ხანს დაჰყოფს წარმოების პროცესში (ანდა, სხვა შემთხვევებში, უფრო მეტ ხანს დარჩეს მიმოქცევის პროცესში), მაშინ კაპიტალისტმა კომპენსაცია უნდა მიიღოს იმ დროისათვის, რომლის განმავლობაშიც მას არ შეუძლია გაადიდოს თავისი კაპიტალის ღირებულება.

მაგრამ როგორ შეუძლია იმ დროს, რომლის განმავლობაშიც ღირებულების გადიდება არ ხდება, ღირებულება შექმნას?

მილის დებულება «დ რ ო ს» შესახებ ასეთია:

«დროს არაფრის გაყვება არ შეუძლია... როგორღა შეუძლია ასეთ შემთხვევაში მას ღირებულების გადიდება? დრო მხოლოდ აბსტრაქტული ტერმინია. ის არის სიტყვა, ბგერა. და ერთი და იგივე ლოგიკური აბსურდი გამოდის, ვილაპარაკებთ აბსტრაქტულ ერთეულზე როგორც ღირებულის საზომზე თუ დროზე როგორც ღირებულების შემქმნელზე» («Elements of Political Economy». Second edition, გვ. 99)³⁶.

სინამდვილეში წარმოების სხვადასხვა სფეროში კაპიტალების კომპენსაციისათვის საფუძველების განსაზღვრისას საქმე ეხება არა ზედმეტი ღირებულების წარმოებას, არამედ მის განაწილებას კაპიტალისტთა სხვადასხვა კატეგორიებს შორის. ამიტომ აქ მნიშვნელობა ენიჭება ისეთ თვალსაზრისს, რომელსაც აბსოლუტურად არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ღირებულების — როგორც ასეთის — განსაზღვრასთან. ამასთან საფუძველი კომპენსაციისათვის არის ყოველგვარი ის, რაც კაპიტალს წარმოების რომელიმე განსაკუთრებულ სფეროში აიძულებს უარი თქვას იმ პირობებზე, რა პირობებშიც მას შეეძლო სხვა სფეროებში უფრო მეტი ზედმეტი ღირებულება ეწარმოებინა. ასე, მაგალითად, როცა გამოიყენება მეტი ძირითადი კაპიტალი და ნაკლები საბრუნავი; როცა მუდმივი კაპიტალი უფრო მეტი გამოიყენება, ვიდრე ცვალებადი; როცა კაპიტალი იძულებულია მეტ ხანს დარჩეს მიმოქცევის პროცესში; როცა, ბოლოს, იგი იძულებულია მეტ ხანს დარჩეს წარმოების პროცესში, შრომის პროცესის გაუვლელად, რასაც ადგილი აქვს იქ, სადაც წარმოების პროცესი თავისი ტექნოლოგიური ბუნების მიხედვით შეწყვეტებს მოითხოვს, რათა შესაქმნელმა პროდუქტმა ბუნების ძალების გავლენა განიცადოს (მაგალითად, ღვინომ სარდაფში). ყველა ამ შემთხვევაში, — უკანასკნელი მათგანი არის ის, რომელსაც მილი გამოყოფს, წარმოდგენია რა, მამასადამე, სიძნელე, რაც მას შეხვდა, მეტად ვიწროდ და მხოლოდ როგორც ცალკეული რამ, — ადგილი აქვს კომპენსაციას. სხვა სფეროებში წარმოებული ზედმეტი ღირებულებიდან გარკვეული ნაწილი გადაიტანება ამ კაპიტალებზე, რომლებიც ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში იმყოფებიან შრომის უშუალო ექსპლოატაციისათვის, მხოლოდ მათი სიდიდის შესაბამისად (ამ გათანაბრებას, რომლის დროსაც ყოველი ცალკეული კაპიტალი გვევლინება მხოლოდ როგორც საზოგადოებრივი კაპიტალის გარკვეული ნაწილი, ახორციელებს კონკურენცია). ეს მოვლენა მეტად მარტივია გასაგებად, რაკი გაგებულია შეფარდება ზედმეტ ღირე-

ბულებასა და მოგებას შორის და, შემდეგ, გაგებულია მოგებათა გათანაბრება მოგების საერთო ნორმად. მაგრამ თუ გვსურს იგი გავიგოთ, ყოველგვარი მოსაშუალოების გარეშე, პირდაპირ ღირებულების კანონიდან, ე. ი. თუ გვსურს ცალკეული კაპიტალის მიერ ცალკეულ დარგში მიღებული მოგება ავხსნათ იმ ზედმეტი ღირებულებიდან (ანუ ფ ა ს - გ ა დ ა უ ხ დ ე ლ ი შ რ ო მ ი დ ა ნ), რომელიც მოთავსებულია ამ კაპიტალის მიერ წარმოებულ საქონელში (მაშასადამე, ავხსნათ იგი საერთოდ თვით ამ საქონელში უშუალოდ გასაგნობრივებული შრომიდან), მაშინ ეს ისეთი პრობლემაა, რომელიც გაცილებით უფრო გადაუწყვეტელია, ვიდრე წრის კვადრატურა, რომლის მონახვაც ალგებრულად შეიძლება. ეს არის უბრალოდ ცდა იმისა, რომ არსებულად წარმოიდგინო ის, რაც არ არის. მაგრამ სწორედ ამ უ შ უ ა ლ ო ფორმით ცდილობს მილი გადაწყვიტოს პრობლემა. მაშასადამე, საკითხის გადაწყვეტა არსებითად აქ შეუძლებელია, შესაძლებელია მხოლოდ სიძნელის სოფისტური თავიდან მოშორება სიტყვების თამაშით, ე. ი. მხოლოდ ს ქ ო - ლ ა ს ტ ი კ ა. ამას იწყებს მილი. ისეთ უ ს ი ნ დ ი ს ო უ ხ ა მ ს თ ა ნ კ ი, როგორც მ ა კ - კ უ ლ ო ხ ი ა, ეს მანერა უსირცხვილობის ფორმას იღებს.

საკითხის გადაწყვეტა, რომელსაც მილი გვთავაზობს, შეიძლება ყველაზე უკეთ ბ ე ი ლ ი ს შემდეგი სიტყვებით დავახსიანოთ:

«ბ-ნმა მიღმა თავისებურად სცადა დ რ ო ის მ ო ქ მ ე დ ე ბ ა დაეყვანა შ რ ო მ ის დ ა ხ ა რ ჭ ე ა ზ ე. «თუ», ამბობს იგი («Elements», second edition, 1824, გვ. 97), «ღირებულება ღვინისა, რომელიც სარდაფში ინახება, ამის გამო წლის განმავლობაში $\frac{1}{10}$ -ით იზრდება, მაშინ მართებული იქნებოდა გ ვ ე ე ა რ ა უ დ ნ ა, რომ მასზე დაიხარჯა $\frac{1}{10}$ -ით მეტი შრომა»... მართებული იქნებოდა ჩაგვეთვალა, რომ რომელიმე ფაქტს ადგილი ჰქონდა [793] მხოლოდ მაშინ, როცა მას ნამდვილად ჰქონდა ადგილი. მოყვანილ მაგალითში, ნაგულისხმევის თანახმად, არც ერთი ადამიანი არ არსება არ მიახლოვებია ღვინოს, არ დაუხარჯავს მასზე არც ერთი წამი, არ შეუძს რულებია კუნთების არაერთიარო მოძრაობა» («A Critical Dissertation on the Nature, Measures, and Causes of Value» etc. London, 1825 გვ. 219—220).

წინააღმდეგობა საერთო კანონსა და უფრო განვითარებულ კონკრეტულ ურთიერთობებს შორის აქ სურთ გადაწყვიტონ არა შუალედი რგოლების მონახვის გზით, არამედ აბსტრაქტულთან კონკრეტულის პირდაპირი შეფარდებისა და უშუალო შეგუების გზით. და ამის მიღწევა სურთ ს ი ტ ყ ვ ი ე რ ი ფ ი ქ ც ი ი ს მეოხებით *vera rerum vocabulas**-ს

* — ნიუთონის სწორ სახელწოდებათა. რ ე ღ.

შეცვლის გზით. (ჩვენ აქ გვაქვს, მართლაც, «ყამათი სიტყვების გარშემო»³⁶, მაგრამ იგი წარმოადგენს კამათს «სიტყვების გარშემო» იმიტომ, რომ რეალური წინააღმდეგობანი, რომელთაც ვერ მიიღეს რეალური გადაწყვეტა, აქ ცდილობენ ფრაზების საშუალებით გადაწყვიტონ.) ის გარემოება, რომ ამ მანერამ, რომელიც მილის მსჯელობაში ჯერ კიდევ მხოლოდ ჩანასახის სახით გვევლინება, გაცილებით უფრო მეტად დაანგრია რიკარდოს თეორიის მთელი საფუძველი, ვიდრე მოწინააღმდეგეთა ყველა იერიში, მაკ-კულონის შეხედულებათა განხილვისას გამომჟღავნდება.

მილი ამ მეთოდს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავს, როცა აბსოლუტურად სხვა გამოსავალს ვერ ნახულობს. მაგრამ მისი ძირითადი მეთოდი სხვაგვარია, სადაც ეკონომიური ურთიერთობა, — მაშასადამე, მისი გამომხატველი კატეგორიებიც, — დაპირისპირებულობებს შეიცავს, წინააღმდეგობას და სახელდობრ წინააღმდეგობათა ერთიანობას წარმოადგენს, მილი ხაზგასმით აღნიშნავს დაპირისპირებულობათა ერთიანობის მომენტს და უარყოფს დაპირისპირებულობებს. დაპირისპირებულობათა ერთიანობას იგი ამ დაპირისპირებულობათა უშუალო იგივეობად გადააქცევს.

მაგალითად, საქონელი შეიცავს სახმარი და საცვლელი ღირებულებების დაპირისპირებულობას. ეს დაპირისპირებულობა ვითარდება შემდგომ, ვლინდება, თავს იჩენს როგორც საქონლის გაორება საქონლად და ფულად. მისი ეს გაორება გვევლინება როგორც პროცესი საქონლის მეტამორფოზში, სადაც გაყიდვა და ყიდვა ერთი პროცესის სხვადასხვა მომენტებია, მაგრამ ამ პროცესის თითოეული აქტი ამასთანავე შეიცავს თავის დაპირისპირებულობას. ამ თხზულების პირველ ნაწილში მე აღვნიშნავდი, თუ როგორ იშორებს თავიდან მილი დაპირისპირებულობას იმით, რომ ფიქსაციას უკეთებს მხოლოდ ყიდვისა და გაყიდვის ერთიანობას, მაშასადამე, იგი მიმოქცევას გაცვლით ვაჭრობად გადააქცევს, გაცვლით ვაჭრობაში კი კვლავ კონტრაბანდული გზით შეაქვს მიმოქცევიდან აღებული კატეგორიები³⁷. იხილე აგრეთვე ის, რაც მე იქ ნათქვამი მაქვს მისი ფულის თეორიის შესახებ, სადაც იგი საქმისადმი ანალოგიურ მიდგომას იყენებს³⁸.

ჯემს მილს მოცემული აქვს უფარგის დაყოფა: «წარმოების შესახებ», «განაწილების შესახებ», «გაცვლის შესახებ», «მოხმარების შესახებ».

[ბ] მილის უნაყოფო ცდები კაპიტალსა და ურომას უორის გაცვლის უმთანხმებისა ღირებულების კანონთან. იგი ნაწილობრივ უკან უბრუნდება მოთხოვნისა და მოწოდების თეორიას]

ხელფასის შესახებ მილი წერს:

«ნაცლად იმისა, რომ დაულოდონ, ვიდრე პროდუქტები წარმოებული იქნება და მათი ღირებულებას რეალიზება მოხდება, მუშებისათვის უფრო მოხერხებულად მიიჩნის

გადაუხადონ მათ მათი წილი ავანსით (à l'avance). ხელფასი ის ფორმაა, რომელიც შესაფერისად მიიჩნის მუშების მიერ მათი წილის მიღებისათვის. მას შემდეგ, რაც პროდუქტების ის ნაწილი, რომელიც მუშას ურგება, მის მიერ მთლიანად მიღებულია ხელფასის ფორმით, ეს პროდუქტები მხოლოდ კაპიტალისტს ეკუთვნის, რადგან მან ფაქტიურად მუშის წილი იყიდა და მასში მუშას ავანსით გადაუხადა» («Elements d'économie politique», პარიზის ფრანგული თარგმანი, პარიზი, 1823, გვ. 33—34).

მილისათვის უაღრესად დამახასიათებელია, რომ, მსგავსად იმისა როგორც ფული წარმოადგენს მისთვის მხოლოდ მოხერხებულობისათვის გამოგონილ ხრიკს, ასევე თვით კაპიტალისტური ურთიერთობაც, მისი აზრით, მოგონილია მოხერხებულობისათვის. ეს სპეციფიკური საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობანი გამოგონილია «მოხერხებულობის» გულისათვის. საქონელი და ფული გადაიქცევა კაპიტალად იმის შედეგად, რომ მუშამ შეწყვიტა მონაწილეობის მიღება გაცვლაში როგორც საქონელმწარმოებელმა და საქონელმფლობელმა და, პირიქით, იძულებულია საქონლის ნაცვლად თვით თავისი შრომა (უშუალოდ თავისი სამუშაო ძალა), როგორც საქონელი, მიჰყიდოს შრომის ობიექტური პირობების მფლობელს. მუშის ეს გათიშვა შრომის ობიექტური პირობებისაგან კაპიტალისა და დაქირავებული შრომის ურთიერთობის წანამძღვარია, სავსებით ისევე როგორც იგი წანამძღვარია ფულის (ან საქონლის, რომელიც ფულის წარმომადგენელია) კაპიტალად გადაქცევისათვის. მილი გულისხმობს ამ ჩამოშორებას, ამ გათიშვას, იგი გულისხმობს კაპიტალისტისა და დაქირავებულს მუშის ურთიერთობას, რათა შემდეგ მოხერხებულობის საქმედ წარმოიდგინოს ის, რომ მუშა ყიდის არა პროდუქტს, არა საქონელს, არამედ თავის წილს პროდუქტში (რომლის წარმოებასაც იგი სრულიადაც არ განსაზღვრავს და რაც მისგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს) მანამდე, სანამ მუშა ამ პროდუქტს აწარმოებდეს [794] — ანუ უფრო ზუსტად, რომ მუშის წილს პროდუქტში კაპიტალისტი გადაიხდის, ფულად გადააქცევს მანამდე, სანამ იგი გაყიდდეს, გასაღებდეს პროდუქტს, რომელშიც მუშას წილი აქვს.

ხელფასის ასეთი გავებით მილს სურს გვერდი აუაროს სპეციფიკურ სიძნელეს, რომელიც დაკავშირებულია განსახილველი ურთიერთობის სპეციფიკურ ფორმასთან. რიკარდოს სისტემისათვის, რომლის თანახმადც მუშა ყიდის პირდაპირ თავის შრომას (და არა თავის სამუშაო ძალას), სიძნელე შემდეგშია: საქონლის ღირებულება განისაზღვრება იმ სამუშაო დროით, რაც ამ საქონლის წარმოება ღირს. რით აიხსნება ის, რომ ღირებულების ეს კანონი არ ხორციელდება ყველაზე დიდ გაცვლაში, რომელიც კაპიტალისტური წარმოების საფუძველს შეადგენს —

გაცვლაში კაპიტალისტსა და დაქირავებულ მუშას შორის? რატომაა, რომ გასაგნობრივებული შრომის ის რაოდენობა, რასაც მუშა ხელფასის სახით იღებს, არ უდრის უშუალო შრომის იმ რაოდენობას, რასაც იგი ხელფასის სანაცვლოდ ასრულებს? ამ სიძნელის თავიდან მოშორების მიზნით მილი დაქირავებულ მუშას გადააქცევს საქონელმფლობელად, რომელმაც კაპიტალისტს უნდა მიჰყიდოს თ ა ვ ი ს ი პ რ ო დ უ ქ ტ ი, თ ა ვ ი ს ი ს ა ქ ო ნ ე ლ ი, — რადგან მისი წილი პროდუქტში, საქონელში არის მისი პროდუქტი, მისი ს ა ქ ო ნ ე ლ ი, ღირებულება, რომელსაც იგი განსაკუთრებული საქონლის ფორმით აწარმოებს. სიძნელე მიღს გადაწყვეტილად მიაჩნია იმით, რომ გარიგებას კაპიტალისტსა და დაქირავებულ მუშას შორის, რომელიც გასაგნობრივებული და უშუალო შრომის დაპირისპირებულობას შეიცავს, იგი წარმოგვიდგენს როგორც გარიგებას გასაგნობრივებული შრომის მფლობელებს შორის, საქონელმფლობელებს შორის.

თუმცა მიღმა ამ ფანდის გამო თავისთვის შეუძლებელი გახდა კაპიტალისტსა და დაქირავებულ მუშას შორის მიმდინარე პროცესის სპეციფიკური ბუნების, *differentia specifica*-ს* გაგება, მაგრამ მან სრულიადაც არ შეამცირა თავისთვის სიძნელე, არამედ გააღიდა იგი, რადგან შედეგის თავისებურება ახლა უკვე შეუძლებელია გავიგოთ იმ საქონლის თავისებურებიდან, რომელსაც ყიდის მუშა (და რომელსაც ის სპეციფიკური თვისება აქვს, რომ თვით მისი სახმარი ღირებულება საცვლელი ღირებულების შემქმნელი ელემენტი, რის გამოც ამ საქონლის მოხმარება უფრო მეტ საცვლელ ღირებულებას ქმნის, ვიდრე თვით მასში იყო მოთავსებული).

მიღის მიხედვით მუშა ისეთივე გამყიდველია საქონლისა, როგორც ყოველი სხვა საქონელმფლობელი. იგი აწარმოებს, მაგალითად, 6 არშინ ტილოს. ამ 6 არშინიდან 2 წარმოადგენს ღირებულებას, რომელიც უდრის მის მიერ მიმატებულ შრომას. მუშა, მამსადამე არის გამყიდველი, იგი კაპიტალისტს 2 არშინ ტილოს მიჰყიდის. რატომ არ უნდა მიღოს მუშამ კაპიტალისტისაგან 2 არშინი ტილოს ღირებულება მთლიანად, როგორც 2 არშინი ტილოს ყოველი სხვა გამყიდველი ღებულობს, რაკი მუშა ახლა ისეთივე გამყიდველია ტილოსი, როგორც ტილოს ყოველი სხვა მფლობელი? პირიქით, წინააღმდეგობა ღირებულების კანონის მიმართ ახლა უფრო მკვეთრად იჩენს თავს. მუშა არ ყიდის არავითარ

* — სპეციფიკური განმასხვავებელი ნიშნის. რ ე დ.

სპეციფიკურ, ყველა სხვა საქონლისაგან განსხვავებულ საქონელს. იგი ყიდის პროდუქტში გასაგნობრივებულ შრომას, ე. ი. ისეთ საქონელს, რომელიც, როგორც საქონელი, არ განსხვავდება რაიმე სპეციფიკურ ნიშნით ყოველი სხვა საქონლისაგან. და თუ, მაგალითად, არშინი ტილოს ფასი, — ე. ი. ფულის რაოდენობა, რომელიც შეიცავს ერთ არშინ ტილოში მოთავსებულ სამუშაო დროს, — უდრის 2 შილინგს, მაშინ რატომ იღებს მუშა 1 შილინგს 2-ის ნაცვლად? ხოლო თუ ის 2 შილინგს იღებს, მაშინ კაპიტალისტი ვერ მიიღებს ზედმეტ ღირებულებას და რიკარდოს მთელი სისტემა დაინგრეოდა. ჩვენ უკან დავიხევდით და დავუბრუნდებოდით «გასხვისებით მიღებულ მოგებას». ექვსი არშინი ტილო კაპიტალისტისათვის ეღირებოდა იმდენი, რამდენიც მათი ნამდვილი ღირებულებაა, ე. ი. 12 შილინგი. მაგრამ კაპიტალისტი გაყიდდა მას 13 შილინგად.

ანდა საქმის ვითარება იქნებოდა ისეთი, რომ ტილო, როგორც ყველა სხვა საქონელი, გაიყიდებოდა თავისი ღირებულების მიხედვით, როცა მას კაპიტალისტი ყიდის, მაგრამ იგი გაიყიდებოდა თავის ღირებულებაზე უფრო და ბალ ფასად, როცა მას მუშა ყიდის. ამრიგად, ღირებულების კანონი დაირღვეოდა მუშასა და კაპიტალისტს შორის გარიგებით. და სწორედ ამის თავიდან ასაცილებლად მიმართავს მილი თავის ფიქციას. მას სურს ურთიერთობა მუშასა და კაპიტალისტს შორის გადააქციოს ჩვეულებრივ ურთიერთობად საქონლის გამყიდველებსა და მყიდველებს შორის. მაშინ რატომ არ უნდა განსაზღვრავდეს აქ საქონელთა ღირებულების ჩვეულებრივი კანონი ამ გარიგებას? მაგრამ, გვეუბნებიან, მუშას «ვ ა ნ ს ა დ» გადაუხდიანო. მაშასადამე, აქ ჩვენ მაინც არ გვაქვს საქონლის ყიდვა-გაყიდვის ჩვეულებრივი ურთიერთობა. რას უნდა ნიშნავდეს აქ ეს «ავანსირება»? მუშამ, რომელსაც უხდიან, მაგალითად, ყოველკვირეულად, «ვ ა ნ ს ა დ გ ა ი ლ ო» თავისი შრომა და შექმნა კვირეული პროდუქტის მისი კუთვნილი წილი, — გაასაგნობრივა თავისი შრომა პროდუქტში, — (მილის ვარაუდისა და პრაქტიკის თანახმად) მანამდე, ვიდრე იგი კაპიტალისტისაგან ამ წილის «საფასურს» მიიღებდა. კაპიტალისტმა «ავანსად გაიღო» ნედლეული და შრომის იარაღები, მუშამ კი — «შრომა», და როცა კვირის ბოლოს ხელფასის გასტუმრება ხდება, მუშა მიჰყიდის კაპიტალისტს საქონელს, თავის საქონელს — თავის წილს ერთობლივ საქონელში. მაგრამ გვეტყყვის მილი, კაპიტალისტი უხდის მუშას, ე. ი. გადააქცევს მისთვის ვერცხლად, ფულად 2 არშინ [795] ტილოს ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე იგი ფულად აქცევდეს, გაყიდდეს 6 არშინ ტილოს! და თუ კაპიტალისტი შეკვეთით მუშაობდა, თუ მან საქონელი ჯერ კიდევ მანამდე გაყიდა,

ვიდრე მან იგი აწარმოვა? და უფრო ზოგადი ფორმით: რა კავშირი აქვს მუშას — ამ შემთხვევაში 2 არშინი ტილოს გამყიდველს — იმასთან, რომ კაპიტალისტი მისგან ყიდულობს ამ 2 არშინ ტილოს იმისათვის, რომ იგი ხელახლა გაყიდოს, და არა იმისათვის, რომ იგი მოიხმაროს? რა საქმე აქვს გამყიდველს მყიდველის მოტივებთან. და როგორ შეიძლება თანაც კიდევ, რომ მყიდველის მოტივებმა გამოიწვიონ ღირებულების კანონის მოდიფიკაცია? თუ თანამიმდევრობას დავიცავდით, მაშინ უნდა გვეღიარებინა, რომ ყოველ გამყიდველს თავისი საქონელი მის ღირებულებაზე უფრო დაბალ ფასად უნდა გაეყიდა, ვინაიდან იგი გამყიდველს პროდუქტს აძლევს ღირებულების სახმარი ფორმით, მაშინ როდესაც მყიდველი მას აძლევს ღირებულებას ფულის ფორმით, პროდუქტის ვერცხლად ქცეულ ფორმას. ამ შემთხვევაში ტილოს ფაბრიკანტს ღირებულებაზე ნაკლები უნდა გადაეხადა აგრეთვე სელის ნართით მოვაჭრისათვის, მანქანების ფაბრიკანტისათვის, ნახშირის მწარმოებლისათვის და ა. შ. ეს იმიტომ, რომ ამ უკანასკნელებმა ტილოს ფაბრიკანტს უნდა მიჰყიდონ საქონელი, რომელიც მან მომავალში უნდა გადააქციოს ფულად, მაშინ როდესაც იგი მათ «ავანსად» უხდის თავისი საქონლის შემადგენელი ნაწილების ღირებულებას არა მარტო ამ საქონლის გაყიდვამდე, არამედ მის წარმოებამდე. მუშა აწვდის ტილოს ფაბრიკანტს ტილოს, საქონელს მისი მზა, გასაყიდად გამოსადეგი ფორმით; პირიქით, აღნიშნული საქონელგამყიდველები კი მას აწვდიან მანქანებს, ნედლეულს და ა. შ., რომელთაც ჭერ ვარკვეული პროცესი უნდა გაიარონ იმისათვის, რომ თავიანთი გასაყიდად გამოსადეგი ფორმა მიიღონ. ისეთი აბსოლუტური რიკარდოელისთვის, როგორც მილია, რომლის მიხედვითაც ყიდვა და გაყიდვა, მიწოდება და მოთხოვნა უბრალოდ იდენტური მოვლენებია, ფული კი მარტოდენ ფორმალობაა, ყველაზე შესანიშნავია ის წარმოდგენა, თითქოს საქონლის გადაქცევა ფულად — და სწორედ ეს ხორციელდება, როცა კაპიტალისტს 2 არშინ ტილოს მიჰყიდიან, — გულისხმობდეს, რომ გამყიდველი იძულებულია თავისი საქონელი მის ღირებულებაზე უფრო დაბალ ფასად გაყიდოს, მყიდველი კი თავისი ფულით ყიდულობს ამ ფულში მოქცეულ ღირებულებაზე უფრო მეტ ღირებულებას.

ამრიგად, მილს მთელი საქმე დაჰყავს აბსურდულ მტკიცებამდე, რომ ამ გარიგებაში მყიდველი იმისთვის ყიდულობს, რომ ხელახლა გაყიდოს. მოგებით, მაშასადამე, გამყიდველი იძულებულია თავისი საქონელი მის ღირებულებაზე უფრო დაბალ ფასად გაყიდოს; ამით კი ღირებულების მთელი თეორია ინგრევა. რიკარდოს ერთ-ერთი წინააღმდეგობის გადაწყვეტის ეს მეორე ცდა მილის მხრივ სინამდვილეში სპობს რიკარდოს სისტემის მთელ საფუძველს და, განსაკუთრებით, მის იმ უპირატე-

სობას, რომ იგი კაპიტალისა და დაქირავებული შრომის ურთიერთობას განიხილავს როგორც უშუალო გაცვლას დაგროვილსა და უშუალო შრომას შორის, ე. ი. ამ ურთიერთობას განიხილავს მის სპეციფიკურ განსაზღვრულობაში.

ამ სიძნელისგან თავის დაღწევისათვის მილი უფრო შორს უნდა წასულიყო და ეთქვა, რომ აქ საქმის ვითარება საქონელთა ყიდვისა და გაყიდვის უბრალო აქტით არ შემოიფარგლება. ურთიერთობა მუშასა და კაპიტალისტს შორის მას უნდა წარმოედგინა მეტწილად როგორც ურთიერთობა ფულის გამსესხებელი ან დისკონტური ოპერაციების მწარმოებელი კაპიტალისტისა (ფულის მქონე კაპიტალისტისა) სამრეწველო კაპიტალისტთან, რამდენადაც აქ საქმე ეხება გადახდას, იმას, რომ ფულად გადაიქცევა მუშის შრომის შედეგი, რომელიც უდრის მის წილს ერთობლივ პროდუქტში. ეს არ იქნებოდა ურიგო ახსნა: თუ ვიგულისხმებდით სარგებელმომტან კაპიტალს, — კაპიტალის განსაკუთრებულ ფორმას, — რათა აგვეხსნა მოგების მწარმოებელი კაპიტალი (კაპიტალის საერთო ფორმა); თუ ზედმეტი ღირებულების მეორად ფორმას (რომელიც უკვე გულისხმობს კაპიტალს) დავსახავდით როგორც ზედმეტი ღირებულების წარმოშობის მიზეზს. გარდა ამისა, მილს მოუხდებოდა მაშინ თანამიმდევრობის დაცვა და ხელფასისა და მისი ღონის შესახებ რიკარდოს მიერ განვითარებული ყველა გარკვეული კანონის ნაცვლად ხელფასის გამოყვანა, პირიქით, სარგებლის ნორმიდან; ამასთან კვლავ შეუძლებელი იქნებოდა ნამდვილად გვეთქვა, თუ რით უნდა განისაზღვრებოდეს სარგებლის ნორმა, რადგან იგი, რიკარდოს მიმდევართა და ყველა სხვა მოხსენიების ღირსი ეკონომისტის თანახმად, მოგების ნორმით განისაზღვრება.

ფრაზა მუშის «წ ი ლ ი ს» შესახებ მის საკუთარ პროდუქტში ემყარება არსებითად შემდეგს: თუ განვიხილავთ არა ცალკეულ გარიგებას კაპიტალისტსა და მუშას შორის, არამედ მათ შორის გაცვლას კვლავ-მწარმოების საერთო მსგელობაში და თუ ყურადღებას მივაქცევთ ამ პროცესის ნამდვილ შინაარსს და არა მისი გამოვლენის ფორმას, მაშინ სინამდვილეში აღმოჩნდება, რომ ის, რასაც კაპიტალისტი მუშას უხდის (ასევე კაპიტალის ის ნაწილიც, რომელიც მუშას უპირისპირდება როგორც მუდმივი კაპიტალი), სხვა არაფერია, თუ არა თვით მუშის პროდუქტის ნაწილი, თანაც არა ის ნაწილი პროდუქტისა, რომელიც ჭერ კიდევ ფულად უნდა გადაიქცეს, არამედ ის, რომელიც უკვე გაყიდულია, უკვე გადაქცეულია ფულად, რადგან ხელფასის გადახდა ხდება ფულით და არა *in naturalibus**. მონობის და ა. შ. ღროს, სადაც არ არის მცდარი

* — ნატურით. რ ე დ.

გარეგნობა, რასაც წარმოშობს პროდუქტის იმ ნაწილის გარდაქმნა ფულად, რომელიც ხელფასზე იხარჯება, ნათლად ჩანს, რომ ის, რასაც მონა შრომის საფასურად იღებს, სინამდვილეში არ არის «ავანსი», რომელსაც მას მონათმფლობელი აძლევს, არამედ მონის გასაგნობრივებული შრომის მხოლოდ ის ნაწილია, რომელიც უკან მოედინება მასთან საარსებო საშუალებათა ფორმით. ასევეა კაპიტალისტთანაც. მის «ავანსს» მხოლოდ მოჩვენებითი ხასიათი აქვს. ის, რასაც იგი მუშას ავანსად აძლევს ხელფასის სახით, ანუ, უფრო ზუსტად, ის, რასაც მას [796] უხდის, — რადგან სამუშაოს იგი მხოლოდ მისი შესრულების შემდეგ ანაზღაურებს, — არის მუშის მიერ წარმოებული და უკვე ფულად გადაქცეული პროდუქტის ნაწილი. ნაწილი მუშის პროდუქტისა, რომელიც კაპიტალისტმა მიითვისა, მუშას წაართვა, მოედინება მუშასთან ხელფასის სახით, — როგორც ავანსი, თუ გნებავთ, ახალი პროდუქტისათვის.

მილს სრულიად არ შეშვენივს (ასეთი რამ უფრო შეეფერება მაკ-კულახს, სეის ანდა ბასტიას) ის, რომ იგი ებღაუჭება კაპიტალისტსა და მუშას შორის დადებული ვარიეტების ამ გარეგნულ ფორმას თვით ამ ვარიეტების ასახსნელად. კაპიტალისტს არ გააჩნია არაფერი, რაც მას შეეძლო ავანსად მიეცა მუშისათვის, გარდა იმისა, რაც მან მუშას აღრე წაართვა, რაც მან ავანსად მიიღო სხვა ადამიანთა შრომის შედეგად. თვით მალთუსიც კი ამბობს, რომ ის, რასაც კაპიტალისტი ავანსად ვასცემს, შედგება არა «მაულისა» და «სხვა საგნებისაგან», არამედ «შრომისაგან»³⁹, ე. ი. სწორედ იმისაგან, რასაც კაპიტალისტი არ ასრულებს. კაპიტალისტი ავანსად აძლევს მუშას მუშის საკუთარ შრომას.

მაგრამ მთელი ეს ფრაზებით ვარჯიში სრულიად არ შევლის მილს, სახელდობრ საშუალებას არ აძლევს მას გვერდი აუაროს იმ საკითხის გადაწყვეტას, თუ როგორ ეთანხმება ვაცელა დაგროვილ და უშუალო შრომას შორის (ასე ესმის რიკარდოს და მის შემდგომ მილსა და სხვებს კაპიტალსა და შრომას შორის ვაცელის პროცესი) ღირებულების კანონს, რომელსაც იგი პირდაპირ ეწინააღმდეგება. ეს ფრაზეოლოგია რომ სრულიად ვერ შევლის მილს, ნათლად ჩანს შემდეგი მისი დებულებებიდან:

«რ ა პ რ ო პ ო რ ც ი ი თ ნაწილდება პროდუქტები მუშასა და კაპიტალისტ შორის, ანუ რა პროპორცია არეგულირებს ხელფასის დონეს?» (Mill. *Eléments d'économie politique*. Traduits par Parisot, გვ. 34). მუშისა და კაპიტალისტის წილის განსაზღვრა არის საგანი სავაჭრო ვარიეტებისა, ვ ა ქ რ ო ბ ის ა მათ შორის. ყოველ თავისუფალ სავაჭრო ვარიეტებას არეგულირებს კონკურენცია, და ვაჭრობის პირობები იცვლება მ ო თ ხ ო ვ ნ ა ს ა და შ ი წ ო დ ე ბ ა ს შ ო რ ის თ ა ნ ა ფ ა რ დ ო ბ ის ც ე ლ ი ლების მიხედვით» (იქვე, გვ. 34—35).

მუშას უხლიან მის «წილს» პროდუქტში. ეს ნათქვამი იყო მილის მიერ იმისათვის, რომ გადაეყვია მუშა, მის ურთიერთობაში კაპიტალთან, ს ა ქ ო ნ ლ ის (პროდუქტის) ჩვეულებრივ გამყიდველად და მიეჩქმალა ამ ურთიერთობის სპეციფიკური ხასიათი. მუშის წილი პროდუქტში არის, უნდა ვიფიქროთ, მ ის ი პროდუქტი, ე. ი. პროდუქტის ის ნაწილი, რომელშიც განსახიერებელია მუშის ახლად მიმატებული შრომა. ვანა ასე არ არის? გამოდის, რომ არაა ასე. პირიქით, როცა ჩვენ ახლა ვკითხულობთ, როგორია მუშის «წილი» პროდუქტში, ე. ი. როგორია მ ის ი პროდუქტი (რადგან პროდუქტის ის ნაწილი, რაც მუშას ეკუთვნის, არის სწორედ მ ის ი პროდუქტი, რომელსაც ის ყიდის), ჩვენ გვესმის, რომ მ ის ი პროდუქტი და მისი პ რ ო დ უ ქ ტ ი — ორი სრულიად სხვადასხვა რამეა. ჩვენ ჭერ კიდევ უნდა დავადგინოთ, რა არის მუშის პროდუქტი (ე. ი. წილი პროდუქტში, — მაშასადამე, ის ნაწილი პროდუქტისა, რომელიც მას ეკუთვნის). «მისი პროდუქტი» იყო, მაშასადამე, უბრალო ფრაზა, რადგან ღირებულების ის ნაწილი, რომელსაც მუშა იღებს კაპიტალისტისაგან, განისაზღვრება არა მისი საკუთარი პროდუქციით. ამრიგად, მიღმა სიმძნელე მხოლოდ გადასწია ერთი ნაბიჯით. მისი გადაწყვეტის საქმეში იგი არ ვასცილებია იმ ადგილს, სადაც ის გამოკვლევის დასაწყისში იმყოფებოდა.

აქ ჩვენ გვაქვს *quidproquo**. თუ გაცვლას კაპიტალსა და დაქირავებულ შრომას შორის ჩავთვლით უწყვეტ აქტად, — რასაც იგი სინამდვილეში წარმოადგენს ყველასათვის, ვინც არ კმაყოფილდება კაპიტალისტური წარმოების ცალკეული აქტის, ცალკეული მომენტის ფიქსირებით, იზოლირებით, — მაშინ მუშა ღებულობს თავისი პროდუქტის ღირებულების იმ ნაწილს, რომელიც მან აანაზღაურა, და მიუმატებს მას ღირებულების იმ ნაწილს, რაც მან მუქთად მისცა კაპიტალისტს. ეს მეორდება მუდამ. მაშასადამე, სინამდვილეში მუშა მუდამ ღებულობს თავისი საკუთარი პროდუქტის ღირებულების ნაწილს, მის მიერ შექმნილი ღირებულების ნაწილს ან წილს. თუ რამდენად დიდი ან მცირეა მისი ხელფასი, ეს არ განისაზღვრება მისი წილით პროდუქტში, არამედ, პირიქით, მისი წილი პროდუქტში განისაზღვრება მისი ხელფასის სიდიდით. ფაქტიურად მუშა იღებს პროდუქტის ღირებულების წილს. მაგრამ ის წილი, რასაც იგი იღებს, განისაზღვრება შრომის ღირებულებით და არა პირიქით, შრომის ღირებულება — წილით პროდუქტში. შრომის ღირებულება, ე. ი. სამუშაო დრო, რასაც მუშა თავისი თავის კვლავ-

* — ცნებათა არევა (სიტყვასიტყვით: ერთის მიღება მეორის ნაცვლად; ერთი მეორის ადგილას). რ ე დ.

წარმოებისათვის საჭიროებს, ფიქსირებული სიდიდეა; იგი ფიქსირებულია იმით, რომ მან თავისი სამუშაო ძალა კაპიტალისტს მიჰყიდა. ფაქტიურად ამით ფიქსირდება აგრეთვე მისი წილიც პროდუქტში. მაგრამ არა პირიქით, არა ისე, რომ ჯერ ფიქსირდება მისი წილი პროდუქტში და უკვე ამ წილით განისაზღვრება მისი ხელფასის სიდიდე ან ღირებულება. სწორედ ეს არის რიკარდოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ყველაზე ხშირად ხაზგასმული დებულება, ვინაიდან სხვანაირად შრომის ფასი იქნებოდა მის მიერ წარმოებული საქონლის ფასის განსაზღვრელი, მაშინ როდესაც რიკარდოს მიხედვით შრომის ფასი განსაზღვრავს მხოლოდ მთლიან შრომას.

როგორღა ადგენს ახლა მილი იმ პროდუქტის «წილს», რასაც მუშაობის? იგი განსაზღვრავს მას მოთხოვნითა და მიწოდებით, მუშებსა და კაპიტალისტებს შორის კონკურენციით. მილის მიერ აქ მოცემული ფორმულირება ძალაშია ყველა საქონლის მიმართ:

«განსაზღვრა მუშისა და კაპიტალისტის» (გამყიდველისა და მყიდველის) «წილისა» (წყაიოთხე: საქონლის ღირებულებაში) «არის მათ შორის სავაჭრო გარიგების, ვაჭრობის საგანი [797]. ყოველ თავისუფალ სავაჭრო გარიგებას არეგულირებს კონკურენცია, და ვაჭრობის პირობები იცვლება მოთხოვნასა და მიწოდებას შორის თანაფარდობის ცვლილების მიხედვით» [ციტირებ. თხზ., გვ. 34—35].

ამრიგად, აი ძალის თავი სადა მარხია! და ამას ამბობს მილი, რომელიც, როგორც თავგამოდებული რიკარდოელი, ამტკიცებს, რომ მოთხოვნასა და მიწოდებას შეუძლიათ, მართალია, განსაზღვრონ საბაზრო ფასის რყევა საქონლის ღირებულებაზე უფრო მაღლა ან უფრო დაბლა, მაგრამ მათ არ შეუძლიათ განსაზღვრონ თვით ეს ღირებულება; რომ მოთხოვნა და მიწოდება, ეს არის უაზრო სიტყვები, თუ მათ ღირებულების განსაზღვრისათვის გამოვიყენებთ, რადგან თვით მათი განსაზღვრა უკვე გულისხმობს ღირებულების განსაზღვრას! ახლა კი მილი აკეთებს იმას, — რასაც სეი უკვე რიკარდოს უსაყვედურებდა⁴⁵, — შრომის ღირებულების, ე. ი. ერთ-ერთი საქონლის ღირებულებაზე ის განსაზღვრისათვის იგი მიმართავს ამ ღირებულების განსაზღვრას მოთხოვნითა და მიწოდებით!

მაგრამ უფრო მეტი.

მილი არ ლაპარაკობს, — და, არსებითად, მოცემულ შემთხვევაში ამას მნიშვნელობა არა აქვს, — ამ ორი მხარიდან რომელი წარმოადგენს მიწოდებას და რომელი — მოთხოვნას. მაგრამ რადგან კაპიტალისტი იძლევა ფულს, მუშა კი, პირიქით, სთავაზობს რაღაცას ფულის სანაცვლოდ, ამიტომ ვიგულისხმობთ მოთხოვნა კაპიტალისტის მხარეზე, მიწოდება კი — მუშის მხარეზე. მაგრამ რას «ყიდის» მაშინ მუშა? რას სთა-

ვაზობს იგი? თავის «წილს» პროდუქტში, რომელიც ჯერ არ არსებობს? მაგრამ მისი წილი მომავალ პროდუქტში ხომ ჯერ კიდევ უნდა განისაზღვროს კონკურენციით მუშასა და კაპიტალისტს შორის, «მოთხოვნისა და მიწოდების» ურთიერთობით! ერთი მხარე ურთიერთობისა, მიწოდება, არ შეიძლება შედგებოდეს რაიმე ისეთისაგან, რაც თვით არის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ბრძოლის შედეგი. ამრიგად, რას სთავაზობს მუშა გასაყიდად? თავის შ რ ო მ ა ს? მაგრამ ასეთ შემთხვევაში მილი კვლავ აწყდება თავდაპირველ სიძნელეს, რომლის გვერდის ავლაც მას სურდა, გ ა ც ვ ლ ა ს და გ რ ო ვ ი ლ ს ა და უ შ უ ა ლ ო შ რ ო მ ა ს შ ო რ ი ს. და როცა ის ამბობს, რომ აქ არ ხდება ეკვივალენტების გაცვლა, ანდა რომ გასაყიდი საქონლის, შრომის, ღირებულება განიზომება არა თვით «სამუშაო ღრით», არამედ განისაზღვრება კონკურენციით, მოთხოვნით და მიწოდებით, მაშინ იგი აღიარებს, რომ რიკარდოს თეორია კრახს განიცდის, რომ რიკარდოს მოწინააღმდეგენი მართალნი არიან, როცა ამტკიცებენ, რომ საქონლის ღირებულების განსაზღვრა სამუშაო ღრით მცდარია, რადგან უმნიშვნელოვანესი საქონლის, თვით შრომის, ღირებულება ეწინააღმდეგება საქონელთა ღირებულების ამ კანონს. შემდეგში ჩვენ დავინახავთ, რომ უ ე ი კ ვ ი ლ დ ი ა მ ა ს პ ი რ დ ა პ ი რ ა მ ბ ო ბ ს*.

მიღს შეუძლია, როგორც მას სურს ისე დაიძვრინოს თავი. იგი ვერ ნახულობს გამოსავალს აღნიშნული დილემიდან. საუკეთესო შემთხვევაში, თუ მის საკუთარ გამოთქმის წყეს ვიხმართ, მუშების კონკურენცია იწვევს იმას, რომ შ რ ო მ ი ს გ ა რ კ ვ ე უ ლ მ ა ს ა ს ისინი სთავაზობენ კაპიტალისტებს ისეთ ფასში, რომელიც, მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის შესაბამისად, უდრის იმ პროდუქტის უფრო დიდ ან უფრო მცირე ნაწილს, რომელსაც ისინი აწარმოებენ შრომის ამ მასის დახმარებით. მაგრამ ის გარემოება, რომ ეს ფ ა ს ი, ეს ფ უ ლ ი ს თ ა ნ ხ ა, რასაც ისინი თავიანთ შრომაში ღებულობენ, უდრის დასამზადებელი პროდუქტის ღირებულების უფრო დიდ ან უფრო მცირე ნაწილს, არავითარ შემთხვევაში არ უშლის ხელს იმთავითვე იმას, რომ ც ო ც ხ ა ლ ი შ რ ო მ ი ს (უშუალო შრომის) გ ა რ კ ვ ე უ ლ ი მ ა ს ა იცვლება აქ ფ უ ლ ი ს (დაგროვილი შრომის, თანაც საცვლელი ღირებულების ფორმით არსებული შრომის) უფრო დიდ ან უფრო მცირე მასაზე. ეს გარემოება, მაშასადამე, ხელს არ უშლის იმას, რომ აქ ერთიმეორეზე იცვლება არათანაბარი რაოდენობანი, რომ დაგროვილი შრომის უფრო მცირე რაოდენობა უშუალო შრომის უფრო მეტ რაოდენობაზე იცვლე-

*იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 533, და ნაწილი III, გვ. 225. რ ე დ.

ბა. სწორედ ეს იყო კიდევ ის მოვლენა, რომელიც უნდა აეხსნა მილს, და რომლის თავიდან მოშორებაც მას უნდოდა თავისი ახსნა-განმარტებით, რათა თავიდან აეცილებინა ღირებულების კანონის დარღვევა. ეს მოვლენა სრულებითაც არ იცვლის თავის ბუნებას და სრულიადაც არ იღებს ახსნას იმის გამო, რომ წარმოების პროცესის დასასრულს ის თანაფარდობა, რომლითაც მუშამ თავისი უშუალო შრომა ფულზე გაცვალა, აიხსნება იმ პროპორციის სახით, რომელიც არსებობს მუშისთვის გადახდილ ღირებულებასა და მუშის მიერ შექმნილი პროდუქტის ღირებულებას შორის. თავდაპირველი უთანაბრო გაცვლა კაპიტალსა და შრომას შორის აქ მხოლოდ სხვა ფორმით გამოვლინდება.

თუ როგორ დაეინებით ცდილობს მილი გვერდი აუაროს პირდაპირ გაცვლას შრომასა და კაპიტალს შორის, რასაც რიკარდო ჯერ კიდევ სრულიად მოურიდებლად იღებს ამოსავალ პუნქტად, ამას გვიჩვენებს აგრეთვე მისი გადასვლა შემდგომ გადმოცემაზე, სახელობრ, მილი ამბობს:

[798] წარმოვიდგინოთ, რომ არსებობს კაპიტალისტების გარკვეული რიცხვი და მუშების გარკვეული რიცხვი. პროპორცია, რომლის მიხედვითაც ისინი პროდუქტს იყოფენ, ეტევათ, რაიმე წესით განსაზღვრულია. თუ მუშების რიცხვი გაიზარდა კაპიტალების მასის გაუღრდებლად, მაშინ მუშების დამატებით ნაწილ უნდა შეეცადოს წინათ დასაქმებულ ნაწილს განდევნას. ამის მიღწევა მის შეუძლია მხოლოდ იმით, რომ კაპიტალისტს მიწოდებს თავის შრომას და მისგან მიიღებს დაბალ გასამრჯელს. ხელფასი ღონე ამ შემთხვევაში აუცილებლად მცირდება... საპირისპირო შემთხვევაში ადგილი აქვს პირველ მოვლენას... თუ თანაფარდობა კაპიტალის მასასა და მოსახლეობას შორის უცვლელი რჩება, მაშინ უცვლელი რჩება აგრეთვე ხელფასიც (ციტირ. თხზ., გვ. 35 და შემდგომი).

მილს უნდა განესაზღვრა სწორედ ის «პროპორცია, რომლითაც ისინი» (კაპიტალისტები და მუშები) «პროდუქტს იყოფენ». მილი ცდილობს ეს პროპორცია კონკურენციით განსაზღვროს და ამისათვის იგი ვარაუდობს, რომ ეს პროპორცია «რაიმე წესით განსაზღვრულია». რათა განსაზღვროს მუშის «წილი» კონკურენციით, მილი ვარაუდობს, რომ იგი «რაიმე წესით» განსაზღვრულია კონკურენციამდე. ეს ცოტაა. რათა გვიჩვენოს, თუ როგორ ცვლის კონკურენცია პროდუქტის «რაიმე წესით» განსაზღვრულ განაწილებას, იგი გულისხმობს, რომ მუშები, როცა მათი რიცხვი კაპიტალების მასაზე უფრო სწრაფად იზრდება, «მიაწოდებენ კაპიტალისტებს თავიანთ შრომას, რისთვისაც მიიღებენ უფრო დაბალ გასამრჯელს. ამრიგად, აქ მილი პირდაპირ ამბობს, რომ მუშების მიწოდებას შეადგენს «შრომა» და რომ ამ შრომას ისინი მიაწოდებენ

«გ ა ს ა მ რ ჯ ე ლ ო ს თ ვ ი ს», ე. ი. ფულისთვის, «დაგროვილი შრომის» გარკვეული ჯამისათვის. რათა გვერდი აუაროს პირდაპირ გაცვლას შრომასა და კაპიტალს შორის, შ რ ო მ ი ს პირდაპირ გ ა ყ ი დ ვ ა ს, იგი მიმართავს «პროდუქტის განაწილების» თეორიას. ხოლო რათა ის პროპორცია ახსნას, რომლითაც პროდუქტი ნაწილდება, იგი გულისხმობს შრომის უ შ უ ა ლ ო გ ა ყ ი დ ვ ა ს ფულზე, ასე რომ ეს თავდაპირველი გაცვლა კაპიტალსა და შრომას შორის შემდგომში გ ა მ ო ი ხ ა ტ ე ბ ა მუშის წილით მის პროდუქტში და არა პროდუქტში მისი წილი განსაზღვრავს აღნიშნულ თავდაპირველ გაცვლას. და, ბოლოს, როცა მუშების რიცხვი და კაპიტალების მასა არ იცვლება, უ ც ვ ლ ე ლ ი რჩება «ხელფასის დონეც». მაგრამ როგორია ხელფასის ეს დონე, როცა მოთხოვნა და მიწოდება ერთიმეორეს შეესაბამება? სწორედ ამის ახსნაა საქირო. აქ ვერაფერს აგვიხსნის იმაზე მითითება, რომ ხელფასის დონე ი ც ვ ლ ე ბ ა, როცა ირდევდა აღნიშნული წონასწორობა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. მილის ტაქტოლოგიური ხვეულები მხოლოდ იმის დამამტკიცებელია, რომ იგი აქ გრძნობს რიკარდოს თეორიაში რაღაც დაბრკოლებას, რომელსაც ის იმით სძლევს, რომ საერთოდ თეორიის გარეშე აღმოჩნდება.

* * *

მ ა ლ თ უ ს ი ს, ტ ო რ ე ნ ს ი ს ა და ს ხ ვ ე ბ ი ს წ ი ნ ა - ა ღ მ დ ე გ. საქონელთა ღირებულების კაპიტალის ღირებულებით განსაზღვრის წინააღმდეგ მილი სწორად შენიშნავს:

«კ ა პ ი ტ ა ლ ი ა რ ი ს ს ა ქ ო ნ ე ლ ი და თქმა იმისა, რომ საქონლის ღირებულება განისაზღვრება კაპიტალის ღირებულებით, ნიშნავს იმის თქმას, რომ საქონლის ღირებულება განისაზღვრება საქონლის ღირებულებით, რომ საქონელთა ღირებულება თვით მათი ღირებულებით განისაზღვრება» («Elements of Political Economy», პირველი გამოცემა, ლონდონი, 1821, გვ. 74).

* * *

{ მილი არ ჩქმალავს დაპირისპირებულობას კაპიტალსა და შრომას შორის. საჭიროა მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა დიდი იყოს, — რათა მნიშვნელოვანი იყოს საზოგადოებრივი კლასი, რომელიც უშუალო შრომაზე დამოკიდებული არ არის; ამისათვის, მაშასადამე, ხელფასი უნდა იყოს შეფარდებით მცირე. საჭიროა მუშების მასა არ იყოს თავისი დროის ბატონი, არამედ თავის მოთხოვნილებათა მონა იყოს, — რათა ადამი-

ნურ (საზოგადოებრივ) ნიჭს შეეძლოს თავისუფლად განვითარდეს იმ კლასებში, რომლებსთვისაც ეს მუშათა კლასი მხოლოდ ფუნდამენტს შეადგენს. მუშათა კლასი წარმოადგენს განუვითარებლობას, — რათა სხვა კლასები ადამიანთა განვითარებას წარმოადგენდნენ. ეს, მართლაც, ის დაპირისპირებულობაა, რომელშიც ვითარდება ბურჟუაზიული [799] საზოგადოება და ვითარდებოდა ყველა წინანდელი საზოგადოება, დაპირისპირებულობა, გამოცხადებული ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ კ ა ნ ო ნ ა დ, ე. ი. ეს არის არსებული მდგომარეობა, გამოცხადებული აბსოლუტურად გონივრულ მდგომარეობად.

«ს რ უ ლ ყ ო ფ ი ს ა და მ ი ა ნ უ რ ი უ ნ ა რ ი, ანუ მეცნიერებისა და ბედნიერების ერთი საფეხურიდან მეორეზე, უფრო მაღალზე, მუდმივად გადასვლის უნარი, ჩანს, დამოკიდებულია მეტწილად იმ ადამიანთა კლასზე, რომლებიც თ ა ე ი ა ნ თ ი დ რ ო ი ს ბ ა ტ ო ნ ე ბ ი არიან, ე. ი. რომლებიც საკმაოდ მდიდრები არიან იმისათვის, რათა განთავისუფლებულნი იყენენ ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფილი ცხოვრების საშუალებათა მოპოვებისათვის ყოველგვარი ზრუნვისაგან. ამ კლასის ადამიანთა მეოხებით ხდება მეცნიერების ასპარეზის განვითარება და გაფართოება; ისინი ავრცელებენ სინათლეს; მათი შეილები იღებენ საუკეთესო აღზრდას და ემზადებიან საზოგადოების უმნიშვნელოვანესი და ყველაზე დელიკატური ფუნქციების შესასრულებლად; ისინი ხდებიან კანონმდებელნი, მოსამართლენი, ადმინისტრატორები, მასწავლებლები, გამომგონებელნი სხვადასხვა ხელოვნების სფეროში, ხელმძღვანელები ყველა დიდი და სასარგებლო სამუშაოსი, რომელთა შემწეობითაც ფართოდება ადამიანთა მოღვაწის ბატონობა ბუნების ძალებზე» («Elémens d'economie politique». Traduits par Parisot. Paris, 1823, გვ. 65).

«ყ ა პ ი ტ ა ლ ე ბ ი ს შ ე მ ო ს ა ე ა ლ ი უ ნ და იყოს საკმაოდ დიდი, რათა საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს შეეძლოს იმ უპირატესობით სარგებლობა, რასაც მოცალე ბ ა იძლევა» (იქვე, გვ. 67):



კიდევ ზემოთ ნათქვამის შესახებ.

მილისათვის, როგორც რიკარდოელისთვის, განსხვავება შრომასა და კაპიტალს შორის არის მხოლოდ განსხვავება შრომის ს ხ ე ა დ ა ს ხ ე ა ფ ო რ მ ა ს შ ო რ ი ს:

«შრომა და კაპიტალი ნიშნავს: პირველი—უ შ უ ა ლ ო შ რ ო მ ა ს, მეორე — და გ რ ო ვ ი ლ შ რ ო მ ა ს, («Elements of Political Economy» პირველი ინგლისური გამოცემა, ლონდონი, 1821, გვ. 75).

მეორე ადგილას კი იგი ამბობს:

«ამ ო რ ი ს ა ხ ი ს შ რ ო მ ი ს შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ მათი ანაზღაურება ყოველთვის ერთი და იმავე ნორმის მიხედვით როდი ხდება» («Elémens d'economie politiques. Traduits par Parisot. Paris, 1823, გვ. 100).

მ. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

ამრიგად, აქ ის ეხება საქმის დედაარსს. ვინაიდან ის, რითაც უშუალო შრომა ნაზღაურდება, ყოველთვის არის დაგროვილი შრომა, კაპიტალი, ამიტომ არა ერთნაირი ნორმის მიხედვით ანაზღაურება ნიშნავს აქ მხოლოდ იმას, რომ უშუალო შრომის უფრო მეტი რაოდენობა იცვლება დაგროვილი შრომის უფრო ნაკლებ რაოდენობაზე, თანაც «ყოველთვის», რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში დაგროვილი შრომა ვერ გაცივლებოდა უშუალო შრომაზე «კაპიტალის» სახით და არათუ ვერ მოიტანდა, როგორც ეს მილს სურს, საქმარისადმიდ შემოსავალს, არამედ საერთოდ ვერ მოიტანდა ვერავითარ შემოსავალს. აქ, მაშასადამე, აღიარებულია, — რამდენადაც მილი, ისევე როგორც რიკარდო, კაპიტალის გაცვლას შრომაზე განიხილავს როგორც დაგროვილი შრომის პირდაპირ გაცვლას უშუალო შრომაზე, — რომ ეს ორი სახის შრომა ერთიმეორეზე იცვლება არათანაბარი პროპორციით და ამ გაცვლისას ირდგვევა ღირებულების კანონი, რომელიც გულისხმობს შრომის თანაბარ რაოდენობათა ერთიმეორეზე გაცვლას.

[ბ] მილს არ ეხმის სამრეწველო მოგების მარამშლირიბელი რელი

მილი გვთავაზობს რაღაც ძირითად კანონად იმას, რასაც რიკარდო გულისხმობს თავისი რენტის თეორიის ასაგებად*:

«მოგების ნორმა მიწათმოქმედებაში არეგულირებს სხვა მოგებათა ნორმას» («Elements of Political Economy». Second edition. London, 1824, გვ. 78).

ეს დებულება საფუძველშივე მცდარია, რადგან კაპიტალისტური წარმოება იწყება მრეწველობაში და არა მიწათმოქმედებაში, და ამ უკანასკნელს ეუფლება მხოლოდ თანდათანობით, ასე რომ მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან ერთად ხდება სამიწათმოქმედო მოგების გათანაბრება სამრეწველო მოგებასთან და მხოლოდ ასეთი გათანაბრების შედეგად იწყებს სამიწათმოქმედო მოგება სამრეწველო მოგებაზე ზეგაველენის მოხდენას. მაშასადამე, ზემოაღნიშნული დებულება, ჯერ ერთი, ისტორიულად მცდარია. მეორე კი, რაკი ასეთი გათანაბრება არსებობს, ე. ი. თუ ნაგულისხმევია მიწათმოქმედების განვითარების ისეთი მდგომარეობა, როცა კაპიტალი მოგების ნორმის მიხედვით მრეწველობიდან მიწათმოქმედებაში გადაისროლება და vice versa**.

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 626—627. რ ე დ.

** — პირიქით. რ ი თ.

მაშინ ასევე არ იქნებოდა სწორი იმის თქმა, რომ ამ მომენტიდან ს ა მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ო მ ო გ ე ბ ა მარეგულირებელი ვახდებოდა, ნაცვლად იმის თქმისა, რომ აქ ადგილი აქვს ურთიერთქმედებას მოგებათა შორის. თუმცაღა რენტის ასახსნელად რიკარდო თვითონაც ვარაუდობს საპირისპირო მოვლენას. ხორბლის ფასი იზრდება; ამის შედეგად მ ო გ ე ბ ა ე ც ე მ ა — არა მიწათმოქმედებაში (ვიდრე არ არის ახალი მიწოდება უარესი მიწებიდან ანდა კაპიტალის მეორე, ნაკლები მწარმოებლობის დოზებიდან), — ვინაიდან ხორბლეულის ფასის გადიდება მოიჭარეს გადამეტებით უნაზღაურებს ხელფასის გადიდებას, რასაც ხსენებული ფასის გადიდება განაპირობებს, — არამედ მრეწველობაში, სადაც ადგილი არა აქვს ასეთ კომპენსაციას ან ზეკომპენსაციას. ამით ეცემა ს ა მ რ ე წ ე ლ ო მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა და ამიტომ კაპიტალი, რომელიც ამ უფრო დაბალ მოგების ნორმას იძლევა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიწის უარეს ნაკვეთებზე. მოგების წინანდელი ნორმის დროს ამას ადგილი არ ექნებოდა. და მხოლოდ იმის გამო, რომ სამრეწველო მოგების შემცირება უკუგავლენას ახდენს უარესი მიწის ნაკვეთებიდან მიღებულ სამიწათმოქმედო მოგებაზე, ეს უკანასკნელი ეცემა საერთოდ, [800] და მისი ნაწილი უკეთეს მიწის ნაკვეთებზე გამოეყოფა მოგებას და მიიღებს რენტის ფორმას. ასეთია ამ პროცესის რიკარდოსეული გაგება, რომლის მიხედვითაც, მაშასადამე, სამრეწველო მოგება სამიწათმოქმედო მოგებას არეგულირებს.

თუ ახლა, მიწათმოქმედებაში მომზდარ გაუმჯობესებათა გამო, მოგება იქ კვლავ მოიმატებდა, მაშინ მოიმატებდა აგრეთვე სამრეწველო მოგებაც. მაგრამ ეს სრულიადაც არ გამოირიცხავს იმას, რომ, მსგავსად იმისა, როგორც ს ა მ რ ე წ ე ლ ო მ ო გ ე ბ ი ს შ ე მ ც ი რ ე ბ ა თავდაპირველად განაპირობებს სამიწათმოქმედო მოგების შემცირებას, ისევე მისი მ ო მ ა ტ ე ბ ა ც გამოიწვევს სამიწათმოქმედო მოგების მომატებას. ეს ხდება ყოველთვის, როცა სამრეწველო მოგება მატულობს ი მ ი ს გ ა ნ დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ. ი ც ვ ლ ე ბ ა თ უ არ ა ფ ა ს ე ბ ი ხ ო რ ბ ლ ე უ ლ ის ა და სოფლის მეურნეობაში წარმოებული სხვა პირველი საქირების საგნებისა, რომლებიც მუშების ხელფასში შედიან, ე. ი. როცა სამრეწველო მოგება მატულობს იმ საქონელთა ღირებულების დაცემის გამო, რომელნიც მუდმივ კაპიტალს შეადგენენ, და ა. შ. პირიქით, სამრეწველო მოგება რომ სამიწათმოქმედო მოგებას არ არეგულირებდეს, მაშინ აბსოლუტურად შეუძლებელი იქნებოდა რენტის ასხნა. მ ო გ ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ო ნ ო რ მ ა მოცემულია მრეწველობაში იმის მეოხებით, რომ ადგილი აქვს კაპიტალის მოგებათა გათანაბრებას და ამის გამო ღირებულე-

ბათა გადაქცევას ხარჯთფასებად. ეს ხარჯთფასი — ავანსებულ-ლი კაპიტალის ღირებულება პლუს საშუალო მოგება — შეადგენს იმ წანამძღვარს, რომელსაც მიწათმოქმედება მრეწველობისაგან იღებს, რადგან მიწათმოქმედებაში, მიწის საკუთრების გამო, აღნიშნულ გათანაბრებას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს. თუ შემდეგ მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულება უფრო მაღალია, ვიდრე ხარჯთფასი იქნებოდა, რომელსაც განსაზღვრავს საშუალო მოგება მრეწველობაში, მაშინ ამ ღირებულების გადანამეტი ხარჯთფასზე შეადგენს აბსოლუტურ რენტას. მაგრამ იმისათვის, რომ ხარჯთფასზე ღირებულების ამ გადანამეტის გაზომვა შეიძლებოდეს, ხარჯთფასი უნდა იყოს prius*, ე. ი. იგი მიწათმოქმედებას თავს უნდა მოახვიოს მრეწველობამ როგორც კანონი.



აღსანიშნავია მილის შემდეგი დებულება:

ეს, რაც მწარმოებელურად მოიხმარება, ყოველთვის არის კაპიტალი. ეს არის მწარმოებლური მოხმარების განსაკუთრებულად ღირსშესანიშნავი თვისება. ყოველივე ის, რაც მწარმოებლურად მოიხმარება, არის კაპიტალი, და იგი კაპიტალია სწორედ ასეთი მოხმარების მეოხებით» («Elementens d'economie politique», Traduits par Parisot. Paris, 1823, გვ. 241—242).

[ლ] მოთხოვნა, მიწოდება, ჭარბჭარბობა [მოთხოვნისა და მიწოდების უშუალო იგივეობის მითაფიზიკური კონცეფცია]

«მოთხოვნა ნიშნავს ყიდვის სურვილს და ყიდვის საშუალებებს... ეკვივალენტური საგანი» (ყიდვის საშუალებანი), „რომელიც ადამიანს მოაქვს, არის მოთხოვნის იარაღი. მისი მოთხოვნის გაფართოება იზომება ამ საგნის ღირებულებით. მოთხოვნა და ეკვივალენტური საგანი ტერმინებია, რომელთაც შეუძლიათ ერთიმეორე შეევალონ... მისი» (ადამიანის) «საქონლის ყიდვის სურვილი და ამ ყიდვის საშუალებანი — სხვა სიტყვებით, მისი მოთხოვნა — ზუსტად უდრის მის მიერ წარმოებული პროდუქტების რაოდენობას, რომელთა მოხმარებასაც თვითონ იგი არ აპირებს» (იქვე, გვ. 252—253).

ჩვენ აქ ვხედავთ, როგორ ასაბუთებენ მოთხოვნისა და მიწოდების უშუალო იგივეობას (მაშასადამე, ბაზრის საყოველთაო პირთამდე გავსების შეუძლებლობასაც). მოთხოვნა იმყოფებაო პროდუქტში, ამასთან ამ

* — პირველადი, წინამავალი. რ ე დ.

მოთხოვნის სიდიდე იზომება ამ პროდუქტის ღირებულებით. ეს იგივე აბსტრაქტული «დამტკიცების წესია», რომლითაც მილი ამტკიცებს, რომ ყიდვა და გაყიდვა მხოლოდ იდენტურნი არიან და არა ერთმანეთისაგან განსხვავებულნი; ეს იგივე ტავტოლოგიური ფრაზებია, რომელთა მეოხებითაც იგი ამტკიცებს. რომ ფასები დამოკიდებულია მიმოქცევაში მყოფი ფულის მასაზე; ამავე მანერას იყენებს იგი იმის დასამტკიცებლად, რომ მიწოდება და მოთხოვნა (რომლებიც მყიდველებსა და გამყიდველებს შორის ურთიერთობის განვითარების მხოლოდ შემდგომ ფორმას წარმოადგენენ) აუცილებლად უნდა ფარავდნენ ერთიმეორეს. ეს ყველაფერი იგივე ლოგიკაა. თუ რომელიმე მიმართება დაპირისპირებულობებს შეიცავს, მაშინ იგი არა მარტო დაპირისპირებულობაა, არამედ დაპირისპირებულობათა ერთიანობაც. მაშასადამე, დაასკვნის მილი, ეს არის ერთიანობა და პირისპირებულობის გარეშე. ასეთია მილის ლოგიკა, რომლის მეოხებითაც იგი თავიდან იშორებს «წინააღმდეგობებს».

ავილოთ უწინარეს ყოვლისა ამოსავალ პუნქტად მიწოდება. ის, რასაც მე ვაწოდებ, არის საჭიროები, სახმარი და საცვლელი ღირებულების ერთიანობა — მაგალითად, რკინის გარკვეული რაოდენობა, რომელიც უდრის 3 გირ. სტერლინგს (ეს ფული კი უდრის სამუშაო დროის გარკვეულ რაოდენობას). ვთქვათ, მე ვარ რკინის ფაბრიკანტი. მე ვაწოდებ გარკვეულ სახმარ ღირებულებას, რკინას, და ვაწოდებ გარკვეულ ღირებულებას, სახელდობრ ღირებულებას, გამოხატულს რკინის ფასით, 3 გირვ. სტერლინგით. მაგრამ აქ არის შემდეგი პატარა განსხვავება. რკინის გარკვეული რაოდენობა მე ნამდვილად გავიტანე ბაზარზე. პირიქით, რკინის ღირებულება არსებობს მხოლოდ როგორც მისი ფასი, რკინა კი ჯერ კიდევ უნდა შეიძინოს რკინის მყიდველმა, რომელიც ჩემთვის რკინის მოთხოვნის წარმომადგენელია. რკინის გამყიდველის მოთხოვნა არის მოთხოვნა საცვლელი ღირებულებებისა, რომელიც, მართალია, მოთავსებულია რკინაში, მაგრამ ჯერ რეალიზებული არაა. ერთი და იგივე საცვლელი ღირებულება შეიძლება გამოიხატოს რკინის მეტად სხვადასხვა რაოდენობით. ამრიგად, მიწოდება სახმარი ღირებულებისა და მიწოდება ღირებულებისა, რომელიც ჯერ რეალიზებულ უნდა იქნეს, სრულიად არ არის ერთი და იგივე, რადგან საცვლელი ღირებულების ერთსა და იმავე სიდიდეს შეიძლება გამოხატავდნენ სახმარი ღირებულების სრულიად სხვადასხვა რაოდენობანი.

[801] ერთი და იგივე ღირებულება 3 გირვ. სტერ. ოდენობისა შეიძლება გამოიხატებოდეს 1, 3 ან 10 ტონით. ამრიგად, რკინის (სახმარი ღირ-

რებულების) რაოდენობა, რომელსაც მე ვაწოდებ, და ჩემ მიერ მიწოდებული ღირებულების რაოდენობა სრულიადაც არ არიან ერთიმეორის პროპორციულნი, რადგან სახმარი ღირებულების რაოდენობა შეიძლება რჩებოდეს უცვლელი, რაგინდ მნიშვნელოვნადაც არ უნდა იცვლებოდეს ღირებულების რაოდენობა. რაგინდ დიდი ან მცირე არ უნდა იყოს ჩემ მიერ მიწოდებული რკინის რაოდენობა, მე ყოველთვის მინდა, ჩვენი ვარაუდის თანახმად, მოვახდინო რეალიზაცია რკინის ღირებულებისა, რომელიც არ არის დამოკიდებული ამ მის საკუთარ რაოდენობაზე და საერთოდ მის ყოფიერებაზე სახმარი ღირებულების სახით. მაშასადამე, მიწოდებული (მაგრამ ჯერ კიდევ არა რეალიზებული) ღირებულება და მიწოდებული რკინის რაოდენობა, რომელიც რეალიზებულია, სრულიადაც არ არიან ერთიმეორის პროპორციულნი, ამიტომ არ არსებობს არავითარი საფუძველი იმისათვის, რომ ამა თუ იმ საქონლის მისი ღირებულების მიხედვით გაყიდვის უნარი რაიმე შეფარდებაში იყოს ჩემ მიერ მიწოდებულ საქონლის მასასთან. მყიდველისათვის ჩემი საქონელი არსებობს, უწინარეს ყოვლისა, როგორც სახმარი ღირებულება. მყიდველი ყიდულობს მას როგორც სახმარ ღირებულებას. მაგრამ რაც მას ესაჭიროება, ეს არის რკინის გარკვეული რაოდენობა. მისი მოთხოვნილება რკინაზე ისევე არ განისაზღვრება ჩემ მიერ წარმოებული რკინის რაოდენობით, როგორც თვით ჩემი რკინის ღირებულება არ არის ამ რაოდენობის პროპორციული.

რატომ უნდა, მას, ვინც ყიდულობს, ხელთა აქვს საქონლის გადაქმნილი ფორმა, ფული, საქონელი საცვლელი ღირებულების ფორმით, და შეუძლია გამოვიდეს მყიდველის სახით მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ან სხვები გამოდიოდნენ უწი იმ საქონლის მყიდველებად, რომელიც ახლა ფულის ფორმით არსებობს. მაგრამ ეს სრულიადაც არ არის იმის საფუძველი, რომ მან თავისი ფული კვლავ აქციოს ჩემ საქონლად ანდა რომ მისი მოთხოვნილება ჩემ საქონელზე განისაზღვრება იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც მე იგი ვაწარმოვე. რამდენადაც იგი ჩემი საქონლის მომთხოვნელია, მას შეუძლია მოითხოვოს იგი ან იმაზე ნაკლები რაოდენობით, ვიდრე მე ვაწოდებ, ანდა მისი მთელი რაოდენობა, მაგრამ მის ღირებულებაზე უფრო დაბალ ფასად. მისი მოთხოვნა ისევე შეიძლება არ შეეფერებოდეს ჩემს მიწოდებას, როგორც არაიდენტურია ამა თუ იმ სახმარი ღირებულების ჩემ მიერ მიწოდებული რაოდენობა და ის ღირებულება, რომლის კვალობაზეც მე მას ვაწოდებ.

მაგრამ მოთხოვნისა და მიწოდების მთელი გამოკვლევა აქ მოსატანი არაა.

რამდენადაც მე ვაწოდებ რკინას, მე ვაყენებ არა რკინის, არამედ ფულის მოთხოვნას. მე ვაწოდებ რაიმე განსაკუთრებულ სახმარ ღირებუ-

ლებას და მოვითხოვ მის ღირებულებას. მაშასადამე, ჩემი მიწოდება და მოთხოვნა ისევე სხვადასხვაა, როგორც სახმარი ღირებულება და საცვლელი ღირებულება. რამდენადაც თვით რკინის სახით მე ვაწოდებ გარკვეულ ღირებულებას, მე ვაყენებ ამ ღირებულებას რეალიზაციის მოთხოვნას. მაშასადამე, ჩემი მიწოდება და მოთხოვნა ისევე სხვადასხვაა, როგორც იდეალური და რეალური. შემდეგ, რაოდენობა, რომელსაც მე ვაწოდებ, და მისი ღირებულება სრულიადაც არ არიან ერთიმეორის პროპორციულნი. მაგრამ ჩემ მიერ მიწოდებული ამა თუ იმ სახმარი ღირებულების რაოდენობის მოთხოვნა განისაზღვრება არა იმ ღირებულებით, რომლის რეალიზებაც მე მინდა, არამედ იმ რაოდენობით, რომლის შექმნასაც, გარკვეული ფასის კვალობაზე, მყიდველი საჭიროებს.

მოვიყვანოთ კიდევ მილის შემდეგ დებულებებს:

«ცხადია, რომ ყოველი ადამიანი მიწოდების შემადგენელი პროდუქტების საერთო მასას უმატებს ყოველივე იმის ერთობლიობას, რაც მან აწარმოვა და რის მოხმარებასაც თვითონ იგი არ აპირებს. რა ფორმითაც არ უნდა მოხდეს რომელიმე ადამიანის ხელში წლიური პროდუქტის ესა თუ ის ნაწილი, თუ მას განზრახული აქვს თვითონ მისგან არაფერი არ მოიხმაროს, მაშინ იგი მოისურვებს განთავისუფლდეს პროდუქტის მთელი ამ ნაწილისგან; ეს ნაწილი კი მთლიანად მოხმარდება მიწოდების გადიდებას. ხოლო თუ იგი თვითონ მოიხმარს პროდუქტის ამ რაოდენობის ნაწილს, მაშინ იგი მოისურვებს განთავისუფლდეს მთელი ნაშთისაგან, და მთელი ნაშთი მიემატება მიწოდებას» (იქვე, გვ. 253).

სხვა სიტყვებით, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ბაზარზე გადასროლილი ყველა საქონელი შეადგენს მიწოდებას.

«მაშასადამე, რადგან ყოველი ადამიანის მოთხოვნა უდრის წლიური პროდუქტის იმ ნაწილს, ანდა, სხვანაირად რომ ვთქვათ. სიმდიდრის იმ ნაწილს, რომლისაგან განთავისუფლებაც მას სურს».

{შედეგ! მისი მოთხოვნა უდრის პროდუქტის იმ ნაწილის ღირებულებას (როგორც კი იგი რეალიზებული იქნება), რომლისაგანაც მას სურს განთავისუფლდეს; ის, რისგან განთავისუფლებაც მას სურს, არის სახმარი ღირებულების გარკვეული რაოდენობა; ის, რის მიღებაც მას სურს, არის ამ სახმარი ღირებულების ღირებულება. ეს ორი რამ სრულიად არაა იდენტური},

«და რადგან ყოველი ადამიანის მიწოდება ზუსტად იგივეა».

{სრულიადაც არა; მისი მოთხოვნა არა ის, რისგანაც მას სურს განთავისუფლდეს, ე. ი. არა პროდუქტი, არამედ ამ პროდუქტის ღირებულება;

პირიქით, მისი მოთხოვნა *realiter** არის ეს პროდუქტი, მაშინ როდესაც ამ პროდუქტის ღირებულების მიწოდება ხდება მხოლოდ *idealiter***),

«ამიტომ ყოველი ინდივიდუუმის მიწოდება და მოთხოვნა აუცილებლად თანაბარია» (გვ. 253—254).

{ე. ი. მის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულება და ის ღირებულება, რასაც იგი ამ საქონელში მოითხოვს, მაგრამ არა აქვს, თანაბარნი არიან. თუ იგი საქონელს მისი ღირებულების მიხედვით ყიდის, მაშინ მიწოდებული ღირებულება (საქონლის ფორმით) და მიღებული ღირებულება (ფულის ფორმით) თანაბარია. მაგრამ იქიდან, რომ ადამიანს სურს საქონელი მისი ღირებულების მიხედვით გაყიდოს, არ გამომდინარებობს, რომ ეს მართლა ასე ხდება. საქონლის გარკვეული რაოდენობა მიწოდებულია მის მიერ, იმყოფება ბაზარზე. იგი ეძებს ღირებულებას ამ მიწოდებული საქონლისათვის.}

«მიწოდება და მოთხოვნა თავისებურ [802] თანაფარდობაშია ერთიმეორესთან. ყოველი მიწოდებული, ბაზარზე გატანილი, გასაყიდი საქონელი ყოველთვის ერთსა და იმავე დროს მოთხოვნის ობიექტია, საქონელი კი, რომელიც მოთხოვნის ობიექტია, ყოველთვის შეადგენს იმავე დროს მიწოდების შემადგენელი პროდუქტების საერთო მასის ნაწილს. ყოველი საქონელი მუდამ ერთსა და იმავე დროს მოთხოვნისა და მიწოდების საგანია. როცა ორ ადამიანს შორის გაცვლა იმგვარად კი არ ხდება, რომ ერთი მათგანი მოდიოდეს მხოლოდ მიწოდების შესაქმნელად, ხოლო მეორე მხოლოდ მოთხოვნის შესაქმნელად; მისი მიწოდების ობიექტია, საგანშია უნდა მისცეს მას მისი მოთხოვნის საგანი, და, მაშასადამე, მისი მოთხოვნა და მისი მიწოდება საესებით ერთიმეორის თანაბარია. მაგრამ თუ ყოველი ინდივიდუუმის მოთხოვნა და მიწოდება ყოველთვის ერთიმეორის თანაბარია, მაშინ იგივე იქმნის ერის ყველა ინდივიდუუმის, ერთად აღებული, მიწოდებისა და მოთხოვნის შესახებაც. ამიტომ რაგინდ დიდიც არ უნდა იყოს წლიური პროდუქტის ჯამი, იგი ვერასოდეს ვერ გადაამეტებს წლიური მოთხოვნის ჯამს. წლიური პროდუქტის მთელი ერთობლიობა დაიყოფა იმდენ ნაწილად, რამდენსაც შეადგენს იმ ინდივიდუუმთა რიცხვი, რომელთა შორისაც წლიური პროდუქტი ნაწილდება. მოთხოვნის მთელი ერთობლიობა უდრის იმის ჯამს, რასაც ყველა ამ ნაწილიდან მათი მფლობელები არ იტოვებენ თავისი საკუთარი მოხმარებისათვის. მაგრამ ყველა ამ ნაწილის ერთობლიობა უდრის სწორედ მთელ წლიურ პროდუქტს» (იქვე, გვ. 254—255).

რაკი მიღმა ივარაუდა, რომ თითოეული ინდივიდუუმის მიწოდება და მოთხოვნა ერთიმეორის თანაბარია, მთელი მისი ვრცელი ორგანო-როვანი მსჯელობა იმის შესახებ, რომ მაშინ ერთიმეორის თანაბარია აგრეთვე ყველა ინდივიდუუმის მიწოდება და მოთხოვნა, სრულიად ზედმეტია.

*—რეალურად. რ ე დ.

**—იდეალურად. რ ე დ.



თუ როგორ ესმოდათ შილი მის. თანამედროვე რიკარდოელებს, ეს ნათლად ჩანს შემდეგიდან:

«აქ, მაშასადამე» {ეს ნათქვამია შრომის ღირებულების იმ განსაზღვრასთან დაკავშირებით, რომელსაც შილი იძლევა}, ჩვენ გვაქვს, ერთი ისეთი შემთხვევა მაინც, როცა ფასი (შრომის ფასი) მუდამ განისაზღვრება მიწოდებისა და მოთხოვნის თანფარდობით» (პ რ ე ე თაის «Reflexions sur la systém de Ricardo»-ში, რომელიც დართულიაქვს მაკ-კულოხის წიგნს «Discours sur l'économie politique», traduit de l'anglois par G—me Prevost, Geneve-Paris, 1825, გვ. 187).

აქ მოხსენიებულ «Discours»-ში მაკ-კულოხი ლაპარაკობს, რომ მილის მიზანია —

«განახორციელოს პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების ლოგიკური დედუქცია» (გვ. 88). «მილი იყვლევს თითქმის ყველა საკითხს, რომლებიც დისკუსიის საგანს შეადგენენ. იგი ახერხებს ცხადყოფს და გაამარტივოს ყველაზე რთული და ყველაზე ძნელი საკითხები და ბუნებრივ წესრიგში მოიყვანოს მეცნიერების სხვადასხვა პრინციპები» (იქვე).

მილის ლოგიკიდან შეიძლება ის დასკვნა გავაკეთოთ, რომ რიკარდოს წიგნის სრულიად არალოგიკურ სტრუქტურას, რომელიც ჩვენ ზემოთ განვიხილეთ*, იგი ძირითადად გულუბრყვილოდ ხელუხლებლად ტოვებს როგორც «ბუნებრივ წესრიგს»..

[10] პრემო [რიკარდოსა და ჯემს მილის ზომიერთი დასკვნის] უარყოფა. ცდები იმის დამტკიცებისა, რომ მოგების განუწყვეტელი შემცირება არ არის ბარდშემალი

რაც შეეხება ზემოთ ციტირებულ პ რ ე ე თს, რომელმაც თავის «Reflexions sur le systéme de Ricardo»-ს საფუძვლად დაუდო რიკარდოს სისტემის მილისეული გადმოცემა, ზოგიერთი მისი კრიტიკული შენიშვნა დამყარებულია რიკარდოს შებედილებათა წმინდა მოწაფურ გაუგებლობაზე.

მაგრამ რენტის შესახებ აღსანიშნავია შემდეგი:

«შეიძლება ექვს ქვეშ დაეყენოთ უ ც უ დ ე ს ი მიწების გავლენა ფასების განსაზღვრაზე, თუ, როგორც ჩერ არს, მხედველობაში მივიღებთ მათს შეეფარდებიან მოცულობას» (პ რ ე ე თა, ციტირ. თხზ., გვ. 177).

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II — განსაკუთრებით გვ. 213—220. რ ე დ.

პრევეს მოჰყავს მ ი ლ ი დ ა ნ შემდეგი ადგილი, რომელიც მნიშვნელოვანია აგრეთვე ჩემი ანალიზისთვისაც, რადგან მილს აქ თვითონ წარმოუდგენია ისეთი შემთხვევა, როცა დ ი ფ ე რ ე ნ ც ი უ ლ ი რ ე ნ ტ ა წარმოიქმნება იმის მეოხებით, რომ ახალი მოთხოვნის — დამატებითი მოთხოვნის — დაკმაყოფილება ხდება არა უცუდედ, არამედ უკეთეს მიწაზე გადასვლით, ე. ი. აღმავალი ხაზით მიმდინარე მოძრაობით.

მატონი მილი იყენებს ასეთ შედარებას: «ეიგულისხმობს, რომ ყველა დამუშავებული ნაკვეთი ამა თუ იმ ქვეყანაში — ერთნაირი ხარისხისაა და მათზე გამოყენებულ კაპიტალზე ისინი იძლევიან პროდუქტის თანაბარ რაოდენობას, გარდა ერთადერთი აკრისა, რომელიც იძლევა ექვსჯერ მეტ პროდუქტს, ვიდრე ყოველი სხვა აკრია (Mill. Elements of Political Economy, 2nd edition, გვ. 71). უეჭველია, რომ, როგორც ამას ბ-ნი მილი ამტკიცებს, ამ უკანასკნელი აკრის მოიჭარეს არ შეეძლო თავისი საიჭარო შემოსავლის გადიდება» (ე. ი. არ შეეძლო სხვა მოიჭარეებზე უფრო დიდი მოგების მიღება; აზრი პრევეს გამოთქმული აქვს ძლიერ ცუდად⁴¹) და რომ პროდუქტის ხუთი მეექვსედით მიწის შესაყუთრის კუთვნილება იქნებოდა».

{აქ, მაშასადამე, ჩვენ გვაქვს დიფერენციული რენტა მოგების ნორმის შეუმცირებლად და მიწათმოქმედების პროდუქტის ფასის გაუდიდებლად. ეს მით უფრო ხშირად უნდა ხდებოდეს, რომ [803] ქვეყნის სამრეწველო განვითარებასთან, მიმოსვლის საშუალებათა განვითარებასთან და მოსახლეობის ზრდასთან ერთად მუდამ უნდა უ მ ჯ ო ბ ე ს დ ე ბ ო დ ე ს მიწის ნაკვეთების ა დ გ ი ლ მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ა, როგორც არ უნდა იყოს ბუნებრივი ნაყოფიერება, ადგილმდებარეობა კი (შეფარდებით უკეთესი) ისე მოქმედებს, როგორც ბუნებრივი ნაყოფიერება.}

მაგრამ თუ გონებაბახვილ ავტორს აზრად მოუვიდოდა ასეთივე ეარაუდის დაშვება საპირისპირო შემთხვევისათვის, იგი დარწმუნდებოდა, რომ შედეგი იქნებოდა სხვა. მართლაც, დაუშვათ, რომ ყველა მიწის ნაკვეთი ერთნაირი ხარისხისაა, გარდა უცუდე სი მიწის ერთი აკრისა. ეთქვით, ამ ერთადერთ აკრზე დახარჯული კაპიტალის მოგება შეადგენს ყოველ სხვა აკრზე მიღებული მოგების მხოლოდ ერთ მეექვსედ ნაწილს. შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ რამდენიმე მილიონი აკრიდან მიღებული მოგება ამის შედეგად ჩვეულებრივი მოგების ერთ მეექვსედ ნაწილამდე დაიწვეს? მოსალოდნელია, რომ ეს ერთადერთი აკრი ეერაეითარ გავლენას ფასებზე ვერ მოახდენს, რადგან ბაზარზე გასატან ყოველგვარ პროდუქტებზე (განსაკუთრებით, ხორბლულზე) ესოდენ მ ი ნ ი მ ა ლ უ რ ი რაოდენობის კონკურენცია შესამჩნევ გაელენას ვერ მოახდენდა. ამიტომაც ვამბობთ ჩვენ, რომ რიგარდოს მტკიცებაში უცუდე სი მიწების გაელენის შესახებ უნდა შეტანილ იქნეს შესწორება სხვადასხვა ნაყოფიერების მქონე მიწების შეფარდებითი მოცულობის შესახებ (პ რ ე ე ო, ციტირებ. თხზ., გვ. 177—178).



{ს ე ი ს თავის შენიშვნები რიგარდოს წიგნის თარგმანზე, რომელიც კონსტანსიომ შეასრულა, აქვს მხოლოდ ერთი სწორი შენიშვნა ს ა გ ა რ ე ო ვ ა კ რ ო ბ ი ს⁴² შესახებ. მოგების მიღება შეიძლება აგრეთვე

მოტყუების გზითაც, იმით, რომ ერთი იძენს იმას, რასაც მეორე კარგავს. ერთი ქვეყნის შიგნით ადგილი აქვს დანაკარგისა და მოგების გათანაბრებას. მაგრამ ასე არ ხდება სხვადასხვა ქვეყნებს შორის ურთიერთობაში. რიკარდოს თეორიის თვალსაზრისითაც კი, — რასაც სეი ვერ ამჩნევს, — ერთი ქვეყნის სამი სამუშაო დღე შეიძლება გაიცვალოს მეორე ქვეყნის ერთ სამუშაო დღეზე. ღირებულების კანონი აქ არსებითს მოდიფიკაციას განიცდის. ანდა სხვადასხვა ქვეყნის სამუშაო დღეები შეიძლება ერთიმეორესთან ისეთ მიმართებაში იყვნენ, როგორ მიმართებაშიც არის ერთი ქვეყნის შიგნით კვალიფიციური, რთული შრომა არაკვალიფიციური, მარტივ შრომასთან. ამ შემთხვევაში უფრო მდიდარი ქვეყანა ექსპლოატაციას უწევს უფრო ღარიბს მაშინაც კი, როცა უკანასკნელი გაცვლის მეოხებით მოგებას იღებს, როგორც ეს ჯონ სტ. მილმა გვიჩვენა თავის ნაშრომში «Some Unsettled Questions of Political Economy»⁴³. }

* * *

[სამიწათმოქმედო და სამრეწველო მოგებათა თანაფარდობის საკითხის შესახებ პრეგო ამბობს:]

«ჩვენ ვალიარებთ, რომ საერთოდ სამიწათმოქმედო მოგების ნორმა განსაზღვრავს სამრეწველო მოგების ნორმას. მაგრამ ამავე დროს ჩვენ უნდა შევნიშნოთ, რომ უკანასკნელი აუცილებლად უკუგავლენას ახდენს პირველზე. თუ ხორბლეულის ფასმა გარკვეულ სიმაღლეს მიაღწია, მაშინ სამრეწველო კაპიტალი მიედიწება მიწათმოქმედებაში და აუცილებლად დასწევს სამიწათმოქმედო მოგებას» (პრეგო, ციტირ. თხზ., გვ. 179).

კრიტიკული მოსაზრება სწორია, მაგრამ ფორმულირებულია მეტად ვიწროდ. იხილე ზემოთ*.

რიკარდოელები ამტკიცებენ, რომ მოგება შეიძლება ეცემოდეს მხოლოდ ხელფასის ზრდის შედეგად, რადგან მოსაზღვრების ზრდასთან ერთად პირველი საჭიროების საგანთა ფასები იზრდება, ეს კი კაპიტალის დაგროვების შედეგია, რამდენადაც ამ დაგროვების მიხედვით უცუდესი მიწების დამუშავება იწყება. მაგრამ თვით რიკარდო აღიარებს, რომ მოგება შეიძლება ეცემოდეს აგრეთვე მაშინაც, როცა კაპიტალი მოსაზღვრებაზე უფრო სწრაფად იზრდება, ე. ი. როცა ხელფასის ზრდას იწვევს კაპიტალების კონკურსიცაა ერთმანეთს შორის. ეს არის ა. სმიტის თვალსაზრისი. პრეგო ამბობს:

* იხ. ეს ტომო, ნაწილი III, გვ. 114—115 რ. ე. დ.

«თუ მზარდი მოთხოვნა კაპიტალების მხრივ აღიღებს მუშების ფასს, ე. ი. ხ ე ლ- ფ ა ს ს, მაშინ ვანა სწორი არ იქნებოდა იმის მტყიცება, რომ ამავე კაპიტალების მზარდ მიწოდებას შეუძლია დასწოის კაპიტალების ფასი, ე. ი. მ ო გ ე ბ ა?» (ციტირ. თხზ., გვ. 188).

გამომდინარე რიკარდოს მცდარი თვალსაზრისიდან, — რომლის თანახმადაც მოგების შემცირება შეიძლება აიხსნას მხოლოდ ზედმეტი ღირებულების შემცირებით, მაშასადამე, ზედმეტი შრომის შემცირებით, მაშასადამე, მუშების მიერ მოხმარებული პ ი რ ვ ე ლ ი ს ა ჭ ი- რ ო ე ბ ი ს ს ა გ ნ ე ბ ი ს გ ა ძ ვ ი რ ე ბ ი თ, მაშასადამე, შრომის ღირებულების გადიდებით, თუმცა მუშის რეალური ანაზღაურება, გადიდების ნაცვლად, შეიძლება ამასთან მცირდებოდეს, — ამ საფუძვლიდან გამოსული, პ რ ე ვ ო ც დილოზს დაამტკიცოს, რომ მოგების განუწყვეტელი შემცირება არ არის გარდუვალი.

ჭ ე რ ე რ თ ი, ის ამბობს:

«ყვევების მდგომარეობა იმით იწყება, რომ მოგება იზრდება»

(სახელობრ, სამიწათმოქმედო მოგება: ყვევების მდგომარეობის დაწყებასთან ერთად იზრდება მოსახლეობა, იზრდება, მაშასადამე, მიწათმოქმედების პროდუქტების მოთხოვნა, იზრდება, მაშასადამე, ფერ-მერთა ზემოგება).

«და თანაც დიდი ხნით უფრო ადრე, ვიდრე ახალი მიწების დამუშავება დაიწყებოდეს, ასე რომ, როცა ეს ახალი მიწები რენტაზე გავლენის მოხდენას იწყებენ მოგების შემცირების გზით, მოგება, მართალია იგი ერთბაშად მცირდება, მაგრამ მაინც ისეთივე მაღალი რჩება, როგორც იგი ამ ყვევებამდე იყო. რატომაა, რომ ამა თუ იმ მომენტში ვალდიან უარესი ხარისხის მიწის დამუშავებაზე ამის გაკეთება შეიძლება მხოლოდ ისეთი მოგების მიღების მოლოდინში, რომელიც ს უ ლ მ ც ი რ ე ჩ ე ე უ ლ ე ბ რ ი ე ს უ დ რ ი ს. და რა გარემოებას შეუძლია შექმნას მოგების ეს ნორმა უარესი ხარისხის მიწებზე? მოსახლეობის ზრდას [804]... არსებულ საარსებო საშუალებებზე ზეგავლენის მოხდენით გაზრდილი მოსახლეობა იწყებს სურსათ-სანოვავის (ვანსაკუთრებით ხორბლეულის) ფასების გადიდებას, რის შედეგადაც სამიწათმოქმედო კაპიტალები მაღალ მოგებას ღებულობენ. სხვა კაპიტალები მიეღინებიათ მიწათმოქმედებაში; მაგრამ რადგან მიწის ფართობი შეზღუდულია, ამ კონკურენციას აქვს საზღვარი, და საბოლოოდ გამოდის, რომ უარესი მიწების დამუშავებისას აქ მაინც ცილვე ადგილი აქვს უ ფ რ ო მ ა ღ ა- ლ ი მ ო გ ე ბ ი ს მ ი ლ ე ბ ა ს, ვ ი დ რ ე ვ ა ჭ ი რ ო ბ ა ს ა და მ რ ე ე ვ ე ლ ო ბ ა შ ი. ამ დროიდან მოყოლებული (თუ ვიგულისხმებთ, რომ ეს უარესი მიწები საკმა- რისად დიდია თავისი მოცულობით) სამიწათმოქმედო მოგებანი აუცილებლად უნდა განი- საზღვრებოდეს უპანასკნელად მიწაში დაბანდებული კაპიტალების მოგებით. თუ ამოვალთ მოგების ნორმადან, რომელიც არსებობდა სიმდიდრის ზრდის დასაწყისში (მოგებად და რენტად მოგების დაყოფის დასაწყისში), მაშინ აღმოჩნდება, რომ მოგებებს არა აქვთ შემცირების ტენდენცია. ისინი იზრდებიან მოსახლეობის ზრდასთან ერთად, ვიდრე სა- მიწათმოქმედო მოგებანი არ გაზრდილან იმდენად, რომ (ახალი, უარესი მიწების დამუ-

შავების შედეგად) შესაძლებელია მათი მნიშვნელოვნად შემცირება, არ დაიწვევენ რა არასოდეს თავიანთ თავდაპირველ ნორმაზე დაბლა, ანუ (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ) იმ საშუალო ნორმაზე დაბლა, რომელიც სხვადასხვა გარემოებით განისაზღვრება» ((ციტირ. თხზ., გვ. 190—192).

პრევოს აშკარად არასწორად ესმის რიკარდოს თვალსაზრისი. პრევოს ისე გამოუდის, რომ აყვავების შედეგად იზრდება მოსახლეობა, ეს კი აღიღებს მიწათმოქმედების პროდუქტთა ფასს, რის გამოც მატულობს სამიწათმოქმედო მოგება (თუმცა გაუგებარია, — თუ სამიწათმოქმედო მოგებათა ეს მომატება მუდმივ ხასიათს ატარებს, — რატომ არ შეიძლება იჯარის ვადის გასვლის შემდეგ გადიდებულიყო რენტა და ეს სამიწათმოქმედო ზემოგებანი მითვისებული ყოფილიყო რენტის ფორმით უარესი მიწების დამუშავების დაწყებამდეც კი). მაგრამ მიწათმოქმედების პროდუქტის ფასის იგივე ზრდა, რასაც თან ახლავს სამიწათმოქმედო მოგებათა ზრდა, აღიღებს ხელფასს მრეწველობის ყველა დარგში და ამიტომ იწვევს სამრეწველო მოგებათა დაცემას. ამ გზით მრეწველობაში წარმოიქმნება მოგების ახალი ნორმა. და თუ უარესი ხარისხის მიწები მიწათმოქმედების პროდუქტთა არსებული საბაზრო ფასის დროს თუნდაც მხოლოდ მოგების ამ შემცირებულ ნორმას იძლევიან, მაშინ კაპიტალებს შეუძლიათ უარესი ხარისხის მიწებს მიაშურონ. მათ იქ იზიდავს მაღალი სამიწათმოქმედო მოგება და ხორბლის მაღალი საბაზრო ფასი. მათ ჯერ კიდევ, ვიდრე მიწათმოქმედებაში კაპიტალების საკმაო რაოდენობა არ გადასულა, შეუძლიათ, როგორც პრევო ამბობს, უფრო მაღალი მოგების მოტანაც კი, ვიდრე შემცირებული სამრეწველო მოგებაა. მაგრამ როგორც კი დამატებითი მიწოდება საკმარისი ხდება, საბაზრო ფასი ეცემა და უარეს მიწებზე მხოლოდ ჩვეულებრივ სამრეწველო მოგებას იძლევა. ეს, რასაც პროდუქტი უკეთეს მიწებზე იძლევა ამის გარდა, გადაიქცევა რენტად. ასეთია რიკარდოს წარმოდგენა, რომლის საფუძველსაც პრევო იღებს და რომლიდანაც იგი ამოდის თავის მსჯელობაში. ხორბლეული ახლა უფრო ძვირია, ვიდრე სამიწათმოქმედო მოგების გადიდებამდე იყო. მაგრამ ის ზემოგება, რასაც იგი მოიჯარეს იძლევა, გადაიქცა რენტად. ამ გზით სამრეწველო მოგების უფრო დაბალი ნორმის დონემდე, რომელიც მიწათმოქმედების პროდუქტის გაძვირების გამო დაეცა, ეცემა აგრეთვე უკეთესი მიწების მოგებაც. გაუგებარია, რატომ არ უნდა დაეცეს ამის შედეგად მოგება თავის «თავდაპირველ ნორმაზე» უფრო დაბლა, თუკი რაიმე სხვა შექმნილი ვითარება სახეს არ შეუცვლის ამ პროცესს. რა თქმა უნდა, სხვა ვითარება შეიძლება შეიქმნას. ყველა ვითარებაში, ნაგულისხმევის თანახმად, სამიწათმოქმედო მოგება პირველი საჭიროების საგნების გაძვირების შემ-

დღე სამრეწველო მოგებაზე უფრო მაღლა აიწვეს. მაგრამ თუ ამასთან მუშების მიერ მოხმარებულ პირველი საჭიროების საგანთა ის ნაწილი, რომელსაც მრეწველობა აწარმოებს, მწარმოებლური ძალის განვითარების მეოხებით გაიაფდებოდა იმდენად, რომ მუშების ხელფასი (მაშინაც კი, თუ იგი ანაზღაურებული იქნებოდა მისი საშუალო ღირებულების მიხედვით) გადიდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაძვირებასთან დაკავშირებით არა იმ ზომით, რა ზომითაც იგი უნდა გადიდებულიყო ამ პარალიზების გამომწვევებზე გარემოებათა გარეშე, და თუ, შემდეგ მწარმოებლური ძალის იმავე განვითარების მეოხებით დაეცემოდა მომპოვებელი მრეწველობის მიერ მიწოდებული პროდუქტების ფასიც, და ასევე დაეცემოდა იმ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ფასიც, რომელიც კვების პროდუქტებში არ შედის (თუმცა ასეთი ვარაუდი ნაკლებსარწმუნოა), მაშინ სამრეწველო მოგება შეიძლება არ დაეცემოდა, თუმცა იგი სამიწათმოქმედო მოგებაზე უფრო დაბალი იქნებოდა. სამიწათმოქმედო მოგების დაცემა კაპიტალის მიწათმოქმედებაში გადაადგილებისა და რენტის [805] წარმოქმნის შედეგად მხოლოდ აღადგენდა მაშინ მოგების წინანდელ ნორმას.

[მ ე ო რ ე,] პრვეო ცდილობს გამოიყენოს კიდევ სხვა არგუმენტაციაც:

„უარესი ხარისხის მიწების... დამუშავება იწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი იძლევიან იმავე მოგებას, რასაც იძლევა სამრეწველო კაპიტალი, ანდა უფრო მაღალ მოგებას. ამ შემთხვევაში ხორბლეულის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ფასი, მიუხედავად ახალი მიწების დამუშავებისა. ხშირად მიიწვდებიან მალაჩი რჩება. ეს მალაჩი ფასები შევიწროებულ მდგომარეობაში აყენებს მუშა მოსახლეობას, რადგან ხელფასის გადიდება ვერ მისდევს იმ საგნების ფასის გადიდებას, რომელთაც დაჭირავებული მუშები ხმარობენ. სოფლის მეურნეობის პროდუქტების მალაჩი ფასები მეტ-ნაკლებად მძიმე ტვირთად აწეება მთელ მოსახლეობას, რადგან თითქმის ყველა საქონელზე ახდენს გავლენას ხელფასის გადიდება და პირველი საჭიროების საგნების ფასის გადიდება. ეს საყოველთაო შევიწროებული მდგომარეობა, დაკავშირებული სიკვდილიანობის გადიდებასთან, რაც მეტად მრავალრიცხოვანი მოსახლეობის შედეგია, იწვევს დაჭირავებულ მუშების რიცხვის შემცირებას და ამის გამო — ხელფასის გადიდებას და სამიწათმოქმედო მოგების დაცემას. ამ მომენტიდან შემდგომი განვითარება ხდება წინანდელის საპირისპირო მიმართულებით. კაპიტალზე ტოვებენ უარეს მიწებს და უზრუნველნიან უკან მრეწველობას. მაგრამ მოსახლეობის კანონი მალე კვლავ თავის გავლენას ახდენს: როგორც კი სიღატაკე შეწყდება, მუშების რიცხვი იზრდება, მათი ხელფასი კლებულობს, და ამის გამო მოგება მატულობს. ასეთი რჩევა ამა თუ იმ მიმართულებით ერთიმეორეს უნდა ენაცვლებოდეს და არ უნდა შეეხოს საშუალო მოგებას, რომელიც უცვლელი რჩება. მოგება შეიძლება მატულობდეს ან კლებულობდეს სხვა მიზეზებით ანდა თვით ამ მიზეზით, შეიძლება მორიგეობით იცვლებოდეს ხან ერთი და ხან მეორე მიმართულებით, მაგრამ ისე, რომ მის გადიდებას ან შემცირებას ვერ მივიწვრდით ახალი მიწების დამუშავების აუცილებლობას. მოსახლეობა ის რეგულატორია, რომელიც ბუნებრივ წესრიგს აღადგენს და მოგებას გარკვეულ ფარგლებში აჩერებს» (ციტირ. თხზ., გვ. 194—196).

გადმოცემის აბნეული ფორმის მიუხედავად, ეს სწორია «მოსახლეობის კანონის» თვალსაზრისით. მხოლოდ ეს არ ეთანხმება იმის ვარაუდს, რომ სამიწათმოქმედო მოგება იზრდება მანამდე, სანამ არ შეიქმნება მოსახლეობის ზრდის შესაბამისი დამატებითი მიწოდება. თუ აქ ადგილი აქვს მიწათმოქმედების პროდუქტის ფასის მუდმივ გადიდებას, მაშინ აქედან გამომდინარეობს არა შემცირება მოსახლეობისა, არამედ მოგების ნორმის საერთო დაცემა, რასაც თან მოსდევს დაგროვების შემცირება და მხოლოდ ამის შედეგად მოსახლეობის შემცირება. მოსახლეობა, რიკარდოს შეხედულებათა შესაბამისად, გაიზრდებოდა უფრო ნელა. პრევოს მსჯელობას კი საფუძვლად უდევს აზრთა ასეთი მსვლელობა: აღნიშნული პროცესი ხელფასს მის საშუალო დონეზე დაბლა დასწევდა. ხელფასის ამ დაცემასთან და მუშების სიღატაკესთან ერთად იწყება ხორბლეულის ფასების დაცემა, ხოლო აქედან — კვლავ მოგების გადიდება.

მაგრამ ამ უკანასკნელ აზრთა მსვლელობას ისეთი გამოკვლევის მიმართულებით მიეყვანათ, რომელიც აქ უადგილოა, რადგან აქ ჩვენ ვგულისხმობთ, რომ შრომის ღირებულება ყოველთვის მთლიანად ნაზღაურდება, ე. ი. რომ მუშა იღებს მისი კვლავწარმოებისათვის აუცილებელ საარსებო საშუალებებს.

პრევოს ეს მსჯელობა მნიშვნელოვანია, რადგან იგი გვიჩვენებს, რომ რიკარდოს შეხედულებას, — მის მიერ მიღებულ ვალთუხის შეხედულებასთან ერთად, — თუმცა შეუძლია მოგების ნორმის რყევა აგვისხნას, მაგრამ არ შეუძლია ახსნას მისი მუდმივი დაცემა, რომელსაც არ ენაცვლებოდეს მისი გადიდების პერიოდები: ხორბლეულის ფასების გარკვეული სიმაღლისა და მოგებათა გარკვეული დაცემის დროს ხელფასი ხომ თავის დონეზე უფრო დაბლა დაიწევდა, და ეს გამოიწვევდა მოსახლეობის ნაძალადევ შემცირებას, მაშასადამე, ხორბლეულის ფასებისა და საერთოდ პირველი საქიროების სავანთა ფასების დაწვეასაც, რასაც უნდა მოჰყოლოდა კვლავ მოგების გადიდება.

8) პოლემიკური თხზულებანი

[806] 1820 და 1830 წლების პერიოდი მეტაფიზიკურად ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის ისტორიაში. ჩვენ თვალწინ ვადაიშლება სურათი რიკარდოს თეორიის დასაცავად და მის წინააღმდეგ ბრძოლისა მთელი რიგი ანონიმური პოლემიკური თხზულებები. მათგან უმნიშვნელოვანესი დასახელებულია აქ, განსაკუთრებით კი მხოლოდ იმ პუნქტების შესახებ, რომლებიც ჩვენს თემას.

ეხება. მაგრამ ამასთანავე თვით ამ პოლემიკური თხზულებებისათვისაც დამახასიათებელია ის, რომ ისინი ყველანი ფაქტიურად მხოლოდ ღირებულების ცნების განსაზღვრისა და კაპიტალთან მისი მიმართების ირგვლივ ტრიალებენ.

a) «OBSERVATIONS ON CERTAIN VERBAL DISPUTES...»

[სკავპტიციზმი პოლიტიკურ ეკონომიაში; თეორიული კამათის შეცვლა სიტყვების გარშემო კამათით]

«Observations on certain verbal Disputes in Political Economy, particularly relating to Value, and to Demand and Supply». London, 1821.

ეს თხზულება არაა მოკლებული გარკვეულ სიმახვილეს. დამახასიათებელია მისი სათაური — «Verbal Disputes».

ნაწილობრივ თხზულება მიმართულია სმიტის, მალთუსის წინააღმდეგ, მაგრამ ასევე რიკარდოს წინააღმდეგაც.

ამ თხზულების ძირითადი აზრი იმის მტკიცებაა, რომ

«კამათი... მომდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ იქიდან, რომ სხვადასხვა პიროვნება სიტყვებს სხვადასხვა აზრით ხმარობს, ე. ი. იქიდან, რომ მოკამათენი, მსგავსად რაინდებისა ზღაპარში, სხვადასხვა მხრიდან განიხილავენ ფარს» (გვ. 59—60).

ამგვარი სკავპტიციზმი ყოველთვის არის ამა თუ იმ თეორიის დაშლის მათწყებელი, უშუალო წინამორბედი უფიქრელი და უნამუსო ეკლექტიზმისა, რომელიც მომარჯვებულია საოჯახო გამოყენებისათვის.

რიკარდოს ღირებულების თეორიის შესახებ ანონიმური ავტორი უწინარეს ყოვლისა შემდეგს ამბობს:

«აშკარა სიძნელეს შეიცავს იმის წარმოდგენა, რომ როცა ვლაპარაკობთ ღირებულებაზე, ანუ ნამდვილ ფასზე ნომინალური ფასის საპირისპიროდ, მხედველობაში გვაქვს შრომა; იმითომ რომ ჩვენ ხშირად გვიხდება ლაპარაკი თვით შრომის ღირებულებაზე, ანუ ფასზე. თუ შრომა, ნივთის ნამდვილი ფასის სახით, ჩვენ გვესმის როგორც ის შრომა, რომელიც ამ ნივთს აწარმოებს, მაშინ წარმოიქმნება კიდევ მეორე სიძნელეც: ვინაიდან ხშირად გვიხდება ლაპარაკი მიწის ღირებულებაზე, ანუ ფასზე, მაშინ როდესაც მიწა არ არის შრომის მიერ წარმოებული. მაშასადამე, ეს განსაზღვრა გამოსაყენებელია მხოლოდ საჭიროდ თა მიმართ» (ციტირ. თხზ., გვ. 8).

რაც შეეხება შრომას, რიკარდოს წინააღმდეგ წამოყენებული მოსაზრება სწორია იმდენად, რამდენადაც რიკარდოს მიხედვით კაპიტალი

* — კამათი სიტყვების გარშემო. რ. ე. ლ.

ყიდულობს შრომას უშუალოდ, ე. ი. რამდენადაც რიკარდო ლაპარაკობს უშუალოდ შრომის ღირებულებაზე, მაშინ როდესაც სინამდვილეში ის, რის ღრობებით მოხმარებასაც ყიდულობენ და ყიდიან, არის სამუშაო ძალა, რომელიც თვითონ არის გარკვეული პროდუქტი. ნაცვლად პრობლემის გადაწყვეტისა, ანონიმური ავტორი აქ მხოლოდ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პრობლემა გადაუწყვეტელია.

საცხებით სწორია ისიც, რომ «ღირებულება, ანუ ფასი, მიწისა», რომელიც არ არის შრომის პროდუქტი, გარეგნულად უშუალოდ ეწინააღმდეგება ღირებულების ცნებას და არ შეიძლება ამ ცნებიდან მისი უშუალოდ გამოყვანა. ამ ფრაზას — როგორც რიკარდოს წინააღმდეგ წამოყენებულ მოსაზრებას — მით უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს, რომ ანონიმური ავტორი არ ილაშქრებს რიკარდოს რენტის თეორიის წინააღმდეგ, რომლითაც რიკარდო სწორედ იმის ახსნას იძლევა, თუ როგორ წარმოიქმნება კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე მიწის ნომინალური ღირებულება, და გვიჩვენებს, რომ იგი არ ეწინააღმდეგება ღირებულების განსაზღვრას. მიწის ღირებულება სხვა არაფერია, თუ არა კაპიტალიზებულ მიწის რენტაში გადახდილი ფასი. აქ, მაშასადამე, ივარაუდება გაცილებით უფრო განვითარებული ურთიერთობანი, ვიდრე *prima facie** საქონლისა და მისი ღირებულების უბრალო განხილვიდან გამომდინარე ურთიერთობაა, — მსგავსად იმისა, როგორც ფიქციური კაპიტალი⁴⁴, რომელიც საბირჟო თამაშის ობიექტია და ფაქტიურად სხვა არაფერია, თუ არა გაყიდვა და ყიდვა გარკვეული უფლებებისა ყოველწლიურად გადასახადთა ნაწილების მიმართ, არ შეიძლება გამოყვანილ იქნეს მწარმოებლური კაპიტალის მარტივი ცნებიდან.

მეორე საწინააღმდეგო მოსაზრება, — რომ რიკარდო ღირებულებას, რომელიც რაღაც შეფარდებითია, რაღაც აბსოლუტურად აქცევს, — სხვა, მოგვიანებით გამოსულ პოლემიკურ თხზულებაში (რომლის ავტორიც სამუელ ბეილია) ასრულებს რიკარდოს მთელ სისტემაზე თავდასხმის ამოსავალი პუნქტის როლს. ბეილის თხზულების განხილვისას ჩვენ აგრეთვე იმასაც აღვნიშნავთ, რაც «*Observations on certain Verbal Disputes*»-ში ამ თემას შეეხება.

ერთ გვერდით გამოთქმულ შენიშვნაში ჩვენ ვნახულობთ, — თუმცა ეს ავტორს შეეცნობილი არა აქვს — (ავტორს, პირიქით, სურს ამით დამტკიცოს ის, რაც მას ნათქვამი აქვს შემდგომ, ჩემ მიერ ხაზგასმულ ფრაზაში, სახელდობრ, რომ შრომის მიწოდება თვით უქმნის დაბრკო-

* — პირველი შეხედვით; აქ: პირველი შეხედვისთანავე. ერთბაშად. ი. ე. დ.

9. J. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

ლებას შრომის მაღალი ფასის მისი «ბუნებრივი ფასის» ღონემდე დაწევის ტენდენციის განხორციელებას), — გონებამახვილურ სიტყვებს იმ წყაროს შესახებ, საიდანაც წარმოიშობა შრომის ანაზღაურებისათვის განკუთვნილი კაპიტალი:

შრომის გადიდებული მიწოდება არის გადიდებული მიწოდება იმისა, რითაც შრომას ყიდულობენ. ამიტომ, თუ ჩვენ ვამბობთ, ბ-ნ რიკარდოსთან ერთად, რომ შრომის ფასს აქვს მუდამ იმის ღონემდე დაწევის ტენდენცია, რასაც იგი შრომის ბუნებრივ ფასს უწოდებს, ჩვენ მხოლოდ უნდა გაეხსენოთ, რომ შრომის გადიდებული მიწოდება, რომელმაც ეს ტენდენცია უნდა განახორციელოს, თვით არის ერთ-ერთი მიზეზი წინააღმდეგმოქმედი ძალისა, რომელიც ხელს უშლის ამ ტენდენციის მოქმედებას» (ციტირ. თხზ., გვ. 72—73).

თუ ამოსავალ პუნქტად არ ავიღებთ შრომის საშუალო ფასს, ე. ი. შრომის ღირებულებას, თეორიის არავითარი შემდგომი განვითარება არ იქნება შესაძლებელი, სწორედ ისევე როგორც იგი შესაძლებელი არ იქნება იმ შემთხვევაში, თუ არ ამოვალთ საერთოდ საქონელთა ღირებულებიდან. მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება გავიგოთ ფასების ცვალებადობის ნამდვილი მოვლენები.

[807] «არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს იგი» (რიკარდო) ამბობს, რომ ორი სხვადასხვა საქონლის ორი ცალკეული ეგზემპლარი, მაგალითად, ქუდი და წყვილი ფეხსაცმელი, იცვლება ერთი მეორეზე იმ შემთხვევაში, თუ სწორედ ეს ორი ცალკეული ეგზემპლარი წარმოებული იყო შრომის თანაბარი რაოდენობით. ესაქონელი აქ უნდა გვესმოდეს როგორც «საქონლის სახეობა» და არა როგორც ცალკეული ინდივიდუალური ქუდი, წყვილი ფეხსაცმელი და ა. შ. მთელი შრომა, რომელიც ინგლისში ყველა ქუდს აწარმოებს, უნდა ამ მიზნით განვიხილოთ როგორც ყველა ამ ქუდზე განაწილებული. ეს, მე მგონია, არ იყო საკმაო სიხადით გამოხატული დასაწყისში და რიკარდოს მოძღვრების ზოგად დებულებებში». მაგალითად, რიკარდო ლაპარაკობს მანქანის წარმოებაზე დახარჯული მანქანათმშენებლის შრომის ნაწილზე, რომელსაც, ვთქვათ, წყვილი წინდა შეიცავს. «მაგრამ მთელი შრომა, რომელიც ყოველ ცალკეულ წყვილ წინდას აწარმოებს, თუ ჩვენ ცალკეულ წყვილზე ვლაპარაკობთ, შეიცავს მანქანათმშენებლის მთელ შრომას და არა მის ნაწილს; ვინაიდან ერთი მანქანა აწარმოებს მრავალ წყვილ წინდას, და ამ წყვილებიდან არც ერთის წარმოება არ შეიძლება მანქანის რომელიმე ნაწილის გარეშე» (ციტირ. თხზ., გვ. 53—54).

უკანასკნელი ფრაზა დამყარებულია გაუგებრობაზე. მთელი მანქანა შედის შრომის პროცესში, მაგრამ მისი მხოლოდ ნაწილი შედის ღირებულების შექმნის პროცესში.

სხვა მხრივ ანონიმური ავტორის დასახელებული შენიშვნა ზოგიერთ სისწორეს შეიცავს.

ჩვენი ამოსავალი პუნქტია საქონელი — პროდუქტის ეს სპეციფიკური საზოგადოებრივი ფორმა — როგორც კაპიტალისტური წარ-

მოებებს საფუძველი და წანამძღვარი. ჩვენ ვიღებთ ცალკეულ პროდუქტებს და ანალიზს ვუქეთებთ იმ ფორმაგანსაზღვრულობებს, რომლებიც მათ გააჩნიათ როგორც საქონელთ, ე. ი. რომლებიც მათ საქონლის დაღს ასვამენ. კაპიტალისტურ წარმოებამდე — წინანდელი წარმოების წესების დროს — პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილი არ შედის მიმოქცევაში, არ გაიტანება ბაზარზე, არ იწარმოება როგორც საქონელი, არ იქცევა საქონლად. მეორე მხრივ, ამ დროს წარმოებაში შემავალი პროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის საქონელი და არ შედის პროცესში საქონლის სახით. პროდუქტების გადაქცევა საქონლად მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ხდება, ვრცელდება მხოლოდ პროდუქციის ნაშთებზე და ა. შ. და წარმოების ცალკეულ სფეროებზე (გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქტებზე) და ა. შ. პროდუქტები მთელი თავიანთი მოცულობით არ შედიან პროცესში როგორც ვაჭრობის საგნები და მთელი მათი მასა არ გამოდის ამ პროცესიდან ვაჭრობის საგნების სახით. მიუხედავად ამისა, პროდუქტის განვითარება საქონლად საქონელმიმოქცევა და, მაშასადამე, ფულის მიმოქცევა გარკვეულ ფარგლებში, მაშასადამე, რამდენადმე განვითარებული ვაჭრობაც — წარმოადგენენ კაპიტალის წარმოქმნისა და კაპიტალისტური წარმოების წ ა ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ს, ა მ ო ს ა ვ ა ლ პ უ ნ ქ ტ ს. სწორედ ასეთ წანამძღვრად განვიხილავთ საქონელს, როდესაც ვიღებთ მას ამოსავალ პუნქტად როგორც კაპიტალისტური წარმოების უმარტივეს ელემენტს. მაგრამ, მეორე მხრივ, კაპიტალისტური წარმოების პროდუქტს, შედეგს წარმოადგენს საქონელი. ის, რაც კაპიტალისტური წარმოების ელემენტად გვევლინება, შემდეგში მის საკუთარ პროდუქტად წარმოგვიდგება. მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე იქცევა საქონელი პროდუქტის საყოველთაო ფორმად და რაც უფრო ვითარდება ეს წარმოება, მით უფრო მეტი ოდენობით შედიან პროდუქტები კაპიტალისტური წარმოების პროცესში როგორც შემადგენელი ნაწილები, ასევე საქონლის ფორმით. საქონელი, როგორც იგი კაპიტალისტური წარმოებიდან გამოდის, განსხვავდება იმ საქონლისაგან, რომელიც განიხილება როგორც კაპიტალისტური წარმოების ელემენტი. ჩვენ წინ არის უკვე არა ცალკეული საქონელი, არა ცალკეული პროდუქტი. ცალკეული საქონელი, ცალკეული პროდუქტი არა მხოლოდ რეალურად, პროდუქტის სახით, არამედ საქონლის სახითაც გვევლინება როგორც ნ ა წ ი ლ ი ერთობლივი პროდუქტისა, როგორც არა მარტო რეალური, არამედ აგრეთვე როგორც იდეალური ნაწილი. ყოველი ცალკეული საქონელი გამოდის როგორც კაპიტალის გარკვეული ნაწილის და ამ კაპიტალის მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულების მატარებელი.

ერთობლივი პროდუქტის, მაგალითად 1 200 არშინი ჩითის, ღირებულება შეიცავს ავანსებული კაპიტალის ღირებულებას პლუს კაპიტალის-ტის მიერ მითვისებული ზედმეტი შრომა — მაგალითად, 120 გირ. სტერ. ღირებულება (თუ 100 გირ. სტერლ. შეადგენს ავანსებულ კაპიტალს, ზედმეტი შრომა კი უდრის 20 გირ. სტერლინგს). ყოველი არშინი ჩითი უდრის $\frac{120}{1\ 200}$ გირ. სტერლ., ე. ი. $\frac{1}{10}$ გირ. სტერ., ანუ 2 შილინგს. პრო-

ცესის შედეგად გვევლინება არა ცალკეული საქონელი, არამედ იმ საქონელთა მთელი მასა, რომლებშიც კვლავწარმოებულია ერთობლივი კაპიტალის ღირებულება პლუს ზედმეტი ღირებულება. ცალკეული პროდუქტის ღირებულებას განსაზღვრავს მთელი წარმოებული ღირებულება, გაყოფილი პროდუქტების რიცხვზე, და ერთობლივი ღირებულების მხოლოდ ასეთი შესაბამისი ნაწილის სახით იქცევა ცალკეული პროდუქტი საქონლად. ახლა უკვე არა ცალკეულ განსაკუთრებულ საქონელზე დახარჯული შრომა, რომლის გამოანგარიშებაც უმრავლეს შემთხვევებში სრულიად შეუძლებელი იქნებოდა და რომელიც რაოდენობის მიხედვით ერთ საქონელში შეიძლება უფრო მეტი იყოს, ვიდრე მეორეში, არამედ ერთობლივი შრომა, სათანადო ნაწილი ამ ერთობლივ შრომისა, საშუალო რომელიც მიიღება ერთობლივი ღირებულების გაყოფით პროდუქტების რიცხვზე, განსაზღვრავს ცალკეული პროდუქტის ღირებულებას და ახდენს მის ფორმირებას საქონლის სახით. ამიტომ ერთობლივი კაპიტალისა და სათანადო ზედმეტი ღირებულებების ანაზღაურებისათვის საჭიროა აგრეთვე, რომ ყოველი საქონელი საქონელთა ერთობლივი მასიდან გაიყიდოს თავისი აღნიშნული წესით განსაზღვრული ღირებულების მიხედვით. თუ 1 200 არშინიდან მხოლოდ 800 გაიყიდება, მაშინ კაპიტალი ვერ ანაზღაურდებოდა და მით უმეტეს მოგება ვერ მიიღებოდა. მაგრამ ცალკეული არშინიც აგრეთვე თავის ღირებულებაზე უფრო დაბალ ფასად გაიყიდებოდა, რადგან მისი ღირებულება განისაზღვრება არა იზოლირებულად, არამედ როგორც ერთობლივი პროდუქტის წევრადი ნაწილი.

[808] ათუ თქვენ შრომას საქონელს უწოდებთ, იგი არ ჰგავს ისეთ საქონელს, რომელიც ჯერ გაცეცის მიზნით იწარმოება, შემდეგ კი გაიტანება ბაზარზე, სადაც იგი უნდა გაიყვალოს მოცემულ მომენტში ბაზარზე მყოფ სხვადასხვა საქონელზე თითოეული მათგანის შეფარდებითი რაოდენობის შესაბამისად; შრომა ს რ უ ლ დ ე ბ ი მ მომენტში, როცა იგი ბაზარზე გაიტანება, — კიდევ მეტი, იგი გაიტანება ბაზარზე უფრო ადრე, ვიდრე იგი შესრულდებოდეს» (ციტირ. თხზ. გვ. 75—76).

სინამდვილეში ბაზარზე ვადის არა შრომა, არამედ მუშა. და კაპიტალისტს მუშა მიჰყიდის არა თავის შრომას, არამედ თავისი თავის როგორც

სამუშაო ძალის [working power] დროებით გამოყენებას. სწორედ ეს არის გარიგების უშუალო საგანი კაპიტალისტსა და მუშას შორის დადებულ ხელშეკრულებაში, ყიდვასა და გაყიდვაში, რის შესახებაც ისინი ერთმანეთს უთანხმდებიან.

სანარდო ხელფასის დროს მუშას ცალობით უხდიან საფასურს და არა იმ დროის მიხედვით, რომლის განმავლობაშიც სამუშაო ძალა კაპიტალისტის განკარგულებაშია. ეს მხოლოდ ამ დროის განსაზღვრის სხვა წესია. დრო იზომება პროდუქტით, ამასთან პროდუქტის გარკვეული რაოდენობა ითვლება საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროის გამოხატულებად. ლონდონის მრეწველობის ბევრ დარგში, სადაც სანარდო ხელფასია გაბატონებული, ანაზღაურება წარმოებს მხოლოდ ამ წესით, [საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროის] საათების საფუძველზე, მაგრამ ხშირად ატყდება ხოლმე დაფა იმის გამო, წარმოადგენს თუ არა შრომის ესა თუ ის პროდუქტი «საათს».

მუშების ანაზღაურების ცალკეული ფორმებისაგან დამოუკიდებლად, არა მარტო სანარდო ანაზღაურების დროს, არამედ საერთოდაც, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ძალის გაყიდვა ხდება გარკვეული პირობით მის მოხმარებამდე, იგი ნ ა ზ ლ ა უ რ დ ე ბ ა შრომის შესრულების შემდეგ, ყოველი დღის თუ ყოველი კვირის და ა. შ. დასასრულს. ფული ხდება აქ გა და ხ დ ის ს ა შ უ ა ლ ე ბ ა, მას შემდეგ, რაც იგი მანამდე იდეალურად ყიდვის საშუალებას წარმოადგენდა, ვინაიდან საქონლის ნომინალური გადასვლა მყიდველის განკარგულებაში განსხვავდება მისი რეალური გადასვლისაგან. საქონლის — სამუშაო ძალის — გაყიდვა, სახმარი ღირებულების იურიდიული გადაცემა და მისი ნამდვილი გადაცემა არ ემთხვევა აქ ერთიმეორეს დროის მიხედვით. ამიტომ ფასის რეალიზაცია ხდება საქონლის გაყიდვაზე უფრო გვიან (იხ. ჩემი თხზულების პ ი რ გ ე ლ ი ნ ა წ ი ლ ი, გვ. 122)⁴⁵. აქ მკლავდება აგრეთვე, რომ ავანსს გაიღებს არა კაპიტალისტი, არამედ მუშა, — მსგავსად იმისა როგორც სახლის გაქირავებისას სახმარ ღირებულებას ავანსად აძლევს არა დამქირავებელი, არამედ გამქირავებელი. მუშა, მართალია, ანაზღაურებას იღებს (ანდა, ყოველ შემთხვევაში, შეუძლია მიიღოს იგი, თუ საქონელი წინასწარი დაკვეთით არ მზადდება და ა. შ.) ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე მის მიერ წარმოებული საქონელი გაიყიდებოდეს. მაგრამ მ ი ს ი საქონელი, მისი სამუშაო ძალა საწარმოო მოხმარებაში შედის, იგი გადადის მყიდველის, კაპიტალისტის, ხელში მანამდე, ვიდრე იგი, მუშა, ანაზღაურებას მიიღებდეს. და საქმე ეხება არა იმას, თუ რა განზრახვა აქვს საქონლის მყიდველს, ყიდულობს იგი მას იმისათვის, რომ დაიტოვოს

იგი თავისთვის სახმარი ღირებულების სახით, თუ იმისათვის, რომ კვლავ გაყიდოს იგი. საქმე ეხება პირდაპირ გარიგებას პირველ მიყიდველსა და გამყიდველს შორის.

[რიკარდო ამბობს თავის «Principles»-ში:]

საზოგადოების განვითარების სხვადასხვა სტადიაზე კაპიტალის, ანუ შრომის გამოსაყენებლად საქირო საშუალებათა, დაგროვება მჭირთუ ნაკლები სისწრაფით ხდება და ყველა შემთხვევაში დამოყიდებელი უნდა იყოს შრომის მწარმოებელი ძალებზე. შრომის მწარმოებლური ძალები საერთოდ ყველაზე დიდია მაშინ, როცა უხვად არის ნაყოფიერი მიწა» (Ricardo. On the Principles of Political Economy. Third edition. London, 1821, გვ. 92).

რიკარდოს ამ დებულების გამო ანონიმური ავტორი შენიშნავს:

«თუ პირველ წინადადებაში შრომის მწარმოებლური ძალები აღნიშნავენ რომელიმე პროდუქტის იმ ნაწილის სიმცირეს, რაც წილად ხვდება იმათ, ვინც თავისი ფიზიკური შრომით ეს პროდუქტი აწარმოებენ, მაშინ ეს წინადადება თითქმის ტავტოლოგიაა, რადგან პროდუქტის დარჩენილი ნაწილი კმნის იმ ფონდს, რომლიდანაც შეიძლება კაპიტალის დაგროვება, თუ ეს მის მფლობელს ნებაქვს».

(ამრიგად, თავისთავად გასაგებად არის მიჩნეული, რომ, კაპიტალისტის თვალსაზრისით, შრომის მწარმოებლური ძალები აღნიშნავენ რომელიმე პროდუქტის იმ ნაწილის სიმცირეს, რაც წილად ხვდება იმათ, ვინც თავისი ფიზიკური შრომით ეს პროდუქტი აწარმოებენ. ეს ადგილი ჩინებულია.)

«მაგრამ ამას ყოველთვის არა აქვს ადგილი იქ, სადაც მიწა ყველაზე უფრო ნაყოფიერია».

(ეს საწინააღმდეგო მოსაზრება სულელურია. რიკარდო გულისხმობს კაპიტალისტურ წარმოებას. იგი არ იკვლევს საკითხს იმის შესახებ, უფრო ადვილად ვითარდება თუ არა ეს წარმოება ნაყოფიერი ან შეფარდებით ნაკლებნაყოფიერი მიწის პირობებში. იქ, სადაც ის არსებობს, იგი ყველაზე მწარმოებლობისაა იმ ადგილებში, სადაც მიწა ყველაზე ნაყოფიერია. როგორც საზოგადოებრივი, ისე აგრეთვე ბუნებრივი მწარმოებლური ძალები შრომისა, ე.ი. ის ძალები, რომელთაც შრომა მზამზარეულად პოულობს მის გარემომცველ ბუნებაში, გვევლინებიან კაპიტალის მწარმოებლური ძალის სახით. თვით რიკარდო ზემოდასახელებულ ადგილას აიგივებს — და ეს სწორია — შრომის მწარმოებლურ ძალებს შრომასთან, რომელიც აწარმოებს კაპიტალს, აწარმოებს იმ სიმდიდრეს, რომელიც შრომის განმკარგულებელია და არა იმ სიმდიდრეს, რომელიც შრომას ეკუთვნის. მისი გამოთქმა «კაპიტალი, ანუ

შრომის გამოსაყენებლად საჭირო საშუალება-ნი», არსებითად ერთადერთია, სადაც იგი იგებს კაპიტალის ნამდვილ ბუნებას. თვით იგი იმდენად შეპყრობილია [809] კაპიტალისტური თვალსაზრისით, რომ ეს დამახინჯება, ეს quidproquo* წარმოუდგება ისეთ რამედ, რაც თავისთავად ვასაგებია. შრომის თბიქტური პირობები, — თანაც თვით ამ შრომის მიერ შექმნილი, — ნედლეული და შრომის იარაღები, — არ წარმოადგენენ ისეთ საშუალებებს, რომელთაც შრომა იყენებს თავის საშუალებათა სახით; არამედ პირიქით, ისინი თვითონ იყენებენ შრომას. შრომა კი არ იყენებს მათ, არამედ ისინი იყენებენ შრომას. შრომა არის ამ ნივთებისათვის ის საშუალება, რომლის მეოხებითაც ხდება მათი დაგროვება კაპიტალის სახით, და არა ის საშუალება, რომელიც მოუპოვებდა მუშას პროდუქტებს, სიმდიდრეს.)

«ასეთია საქმის ვითარება ჩრდილოეთ ამერიკაში, მაგრამ ეს არის ხელოვნური მდგომარეობა».

(ე. ი. კაპიტალისტური მდგომარეობა).

«ასეთი როდია საქმის ვითარება მექსიკასა და ახალ ჰოლანდიაში**. შრომის მწარმოებლური ძალები სხვა აზრით, მართლაც, ყველაზე მეტია იქ, სადაც ბევრი ნაყოფიერი მიწა არსებობს, — ამ შემთხვევაში ლაპარაკია ადამიანის უნარზე, თუ მას ეს სურს, მოიპოვოს ნედლი პროდუქტის დიდი რაოდენობა, დიდი მის მიერ შესრულებულ შრომასთან შედარებით. სინამდვილეში ეს არის ბუნების ნაბოძები, რომ აღაძვინებს შეუძლიათ მოიპოვონ უფრო მეტი კვების პროდუქტები, ვიდრე ის მიწისუფლია, რომელიც აუცილებელია არსებული მოსახლეობის შესანახად».

(ეს არის ფიზიოკრატიების მოძღვრების საფუძველი. ზედმეტი ღირებულების ფიზიკურ საფუძველს წარმოადგენს ეს «ბუნების ნაბოძები», ყველაზე თვალნათლივ რომ ვლინდება სამიწათმოქმედო შრომაში, რომელიც თავდაპირველად ყველა მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. სამრეწველო შრომაში ეს ისე ნათელი როდია, რადგან მისი პროდუქტი ჯერ უნდა გაიყიდოს როგორც საქონელი. ფიზიოკრატიები, რომლებიც პირველნი იძლევიან ზედმეტი ღირებულების ანალიზს, განიხილავენ მას მის ნატურალურ ფორმაში.)

«მაგრამ ზედმეტი პროდუქტი» (გამოთქმა, რომელსაც ბ-ნი რიკარდო ხმარობს 93-ე გვერდზე) ჩვეულებრივ აღნიშნავს რომელიმე ნივთის მთელი ფასის გადასაშვებს მის იმ ნაწილზე, რომელიც წილად ხვდება ამ ნივთის დამამზადებელ მუშებს».

*—ცნებათა არევა (სიტყვასიტყვით: ერთის მიღება მეორის ნაცვლად). ერთი მეორის იდგილას). რედ.

**—აესტრალიის ძველი სახელწოდება. რედ.

(ბრიყვი ვერ ხედავს, რომ იქ, სადაც მიწა ნაყოფიერია და სადაც, მაშასადამე, პროდუქტის ფასის იმ ნაწილით, თუნდაც ეს უკანასკნელი მცირე იყოს. რაც მუშას უწევს, შეიძლება პირველი საჭიროების საგანთა საკმარისი რაოდენობის ყიდვა, — კაპიტალისტის წილ ყველაზე დიდია), —

«ურთიერთობა, რომელიც მყარდება ადამიანთა შეთანხმებით და რომელიც არ არის ბუნების მიერ დაწესებული» («Observations on certain Verbal Disputes», გვ. 74—75).

თუ უკანასკნელ, დასკვნითს ფრაზას რაიმე აზრი აქვს, იგი იმაში მდგომარეობს, რომ «ზედმეტი პროდუქტი» კაპიტალისტური ვაგებით მკვეთრად უნდა განვასხვაოთ შრომის ნაყოფიერებისაგან როგორც ასეთისაგან. ეს უკანასკნელი კაპიტალისტს მხოლოდ იმდენად აინტერესებს, რამდენადაც იგი რეალურად ხდება მისთვის როგორც მოგება. ამავთა კაპიტალისტური წარმოების შეზღუდულობა, ზღვარი.

«როცა რომელიმე საგნის მოთხოვნა აღემატება იმას, რაც მიწოდების მოცემული მდგომარეობის პირობებში ნამდვილ მოთხოვნას წარმოადგენს, და როცა ამიტომ ფასი გადიდება, მაშინ ან მიწოდების მოცულობა შეიძლება გადიდდეს წარმოების ხარჯთა წინანდელი ნორმის შენარჩუნების დროს. — ამ შემთხვევაში მიწოდების მოცულობა გადიდება მანამდე, ვიდრე მოცემული საგანი არ გაიცილება სხვა საგნებზე იმავე შეფარდებით, რა შეფარდებაც წინათ არსებობდა. ან, მეორე, მიწოდების გადიდება მისი წინანდელი მოცულობის გადამეტებით შეეძლება, და მაშინ გადიდებული ფასი ისევე დაკლებას კი არ დაიწყებს, არამედ განაგრძობს, როგორც სმიტი ამბობს, უფრო მაღალი მიწის რენტის ან უფრო მაღალი მოგების ან უფრო მაღალი ხელფასის (ანდა ყველა სამივეს) მოცემას იმ განსაკუთრებული სახის მიწასა, კაპიტალსა და შრომაზე, რომლებიც გამოყენებულ იქნენ მოცემული საგნის წარმოების დროს. ანდა, მესამე, მიწოდების შესაძლებელი გადიდება მოითხოვს შესაბამისად უფრო მეტ მიწას ან კაპიტალს ან შრომას ანდა ყველა ამ სამივე ფაქტორს, ვიდრე საჭირო იყო საქონლის წინანდელი რაოდენობის პერიოდული წარმოებისათვის» (ეს გამოთქმად უნდა აღინიშნოს). ამ შემთხვევაში მიწოდების გადიდება არ მოხდება მანამდე, სანამ მოთხოვნა საკმაოდ ძლიერი არ ვახდება იმისათვის, რომ 1) აანზღაუროს ამ გადიდებული ფასით წარმოშობილი დამატებითი მიწოდება, 2) გაანაღდოს ამავე გადიდებული ფასის მიხედვით მიწოდების წინანდელი რაოდენობა. ეინაიდან საქონელში მაღალი ფასის მისაღებად საქონლის დამატებითი რაოდენობის მწარმოებელს არ ექნება უფრო მეტი შესაძლებლობა, ვიდრე იმას, ეინც საქონლის წინანდელი რაოდენობა აწარმოვა... ამრიგად, ამ დარგში მიიღება ზემოთქმული... ზემოთქმული ან მიიღებს მხოლოდ ზოგიერთი განსაკუთრებული მწარმოებელი... ანდა, თუ დამატებითი პროდუქტის გამოყოფა დანარჩენისაგან შეუძლებელია, ზემოთქმული ყველა მიიღებს მონაწილეობას... ადამიანები თანახმანი იქნებიან რაღაც გილონ იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღონ ისეთ დარგში, სადაც ასეთი ზემოთქმული მიღება შეიძლება... ის, რასაც ისინი ამ მიზნით გაიღებენ, არის რენტა (ციტირ. თხზ., გვ. 79—81).

აქ უნდა აღინიშნოს მხოლოდ ის, რომ ამ თხზულებაში რენტა პირველად განიხილება როგორც კონსოლიდებული ზემოთქმული ზოგადი ფორმა.

[810] «გამოთქმა «შემოსავლის გადაქცევა კაპიტალად» წარმოადგენს ს ი ტ ყ ვ ე-ბ ი ს გარშემო კამათის კიდევ ერთ წყაროს. ერთ ადამიანს უნდა ამით თქვას, რომ კაპიტალისტი მოგების ნაწილს, რომელიც მან თავისი კაპიტალის გამოყენების შედეგად მიიღო, ხარკავს თავისი კაპიტალის გასაღიძვლებლად, ნაცელად იმისა, რომ იგი პირადი მოხმარებისათვის დახარკოს, როგორც მას ამის გაკეთება შეეძლო წინააღმდეგ შემთხვევაში. მეორეს უნდა ამით თქვას, რომ ვიღაც ხარკავს როგორც კაპიტალს ისეთ რამეს, რაც მას არასოდეს არ მიუღია მოგების სახით თავისი საკუთარი კაპიტალიდან და რაც მას რენტის, ხელფასის, ჯამაგირის და ა. შ. სახით ერგო» (ციტირ. თხზ., გვ. 83—84).

ეს უკანასკნელი ფრაზები — «ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს გარშემო კამათის-კიდევ ერთი წყარო», «ერთ ადამიანს უნდა ამით თქვას», «მეორეს უნდა-ამით თქვას» — გვიჩვენებს ამ ჭკუის დამჩემებელი თხუპნიას მანერას..

b) «AN INQUIRY INTO THOSE PRINCIPLES...»

ქანონიშური ავტორის ბურჟუაზიული შეზღუდულობა

რიკარდოსიშული დაბრკობების თემორისი გაუშვება.

გაუშვებლობა კაპიტალისტიური წარმოების წინააღმდეგობათა, რომელნიც კრიზისიგებს წარმოშობენ

«An Inquiry into those Principles, respecting the Nature of Demand and the Necessity of Consumption, Lately advocated by Mr. Malthus» etc. London, 1821.

რიკარდიანული მიმართულების თხზულება. ცუდად როდი ილაშქრებს მალთუსის წინააღმდეგ. გვიჩვენებს ამ გაუბატონთა უსასრულო შეზღუდულობას. აქ მყდავნდება, თუ რად გადაიქცევა მათი შორსმჭვრეტელობა, როცა ისინი მიწის საკუთრების ნაცელად კაპიტალს განიხილავენ. მიუხედავად ამისა ეს არის ზემოთხსენებული ათწლეულის ერთ-ერთი საუკეთესო პოლემიკური ნაწარმოები.

«თუ დანების წარმოებაში გამოყენებული კაპიტალი 1% -ით დიდდება და თუ ამას შეუძლია მათი წარმოება მხოლოდ იმავე პროპორციით გადიდოს, მაშინ, თუ დავუშვებთ, რომ ს ხ ვ ა ნ ი ე თ ე ბ ი ს წარმოება არ გაზრდილა, დანების მწარმოებელნი უ ფ რ ი ნ ა კ ლ ე ბ ი ო დ ე ნ ო ბ ი თ გააღიძვებენ საერთოდ ნიეთებზე განჯარგულების შესაძლებლობას; მაგრამ სწორედ ნიეთებზე განჯარგულების ასეთი შესაძლებლობა, და არა დანების რაოდენობის გადიდება, ქმნის მეწარმის მოგებას, ანუ მისი სიმდიდრის გადიდებას. მაგრამ თუ ასეთივე გადიდება 1% -ით ე რ თ ს ა და ი მ ა ე ე ღ რ ო ს მ ო ხ დ ე ბ ო ღ ა ყ ვ ე ღ ა ს ხ ვ ა დ ა რ გ ი ს კ ა პ ი ტ ა ლ ე ბ შ ი და თუ ეს პროდუქტის ზუსტად ისეთისავე გადიდებას გამოიწვევდა, ამას სხვა შედეგი მოჰყვებოდა, იმიტომ რომ შეჯარდება, რომლითაც ერთი პროდუქტი მეორეზე იცვლება, უცვლელი დარჩებოდა და ამიტომ თითოეული პროდუქტის გარკვეული ნაწილი შესაძლებლობას მისცემდა მწარმოებელს სხვა ნიეთთა იმდენივე რაოდენობა უოფილიყო მის განჯარგულებაში, რამდენიც უწინ იყო» (დასახელებ. თხზ., გვ. 9).

უწინარეს ყოვლისა, თუ, როგორც ეს ნავარაუდევია, წარმოების გადიდებას (და წარმოებაში გამოყენებული კაპიტალის გადიდებას) ადგილი აქვს მხოლოდ დანების წარმოებაში, მაშინ ამ მწარმოებლის შემოსავალი უფრო «ნაკლები» იქნება, ვიდრე იქნება, არამედ საერთოდ არ გადიდება, და დანების მწარმოებელს აბსოლუტური ზარალი ექნება. დანების მფლობელს მაშინ მხოლოდ სამი გამოსავალი ექნება: ან იგი იძულებული იქნება თავისი გადიდებული პროდუქტი გადაცვალოს სავსებით ისევე, როგორც იგი ამ პროდუქტის უფრო მცირე რაოდენობას გადაცვლიდა; მაშინ მისი გადიდებული წარმოება მას პირდაპირ ზარალს მოუტანს. ან იგი უნდა შეეცადოს ახალი მომხმარებლების მოძიებას; ამასთან თუ იგი შემოფარგლულია მომხმარებელთა წინანდელი წრით, მაშინ ამის მიღწევა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ იგი მყიდველებს ჩამოაშორებს წარმოების სხვა დარგს და თავის ზარალს ამ უკანასკნელს დააკისრებს; ანდა მან უნდა გააფართოოს თავისი ბაზარი მის წინანდელ საზღვრებს იქით, — მაგრამ არც ერთი და არც მეორე ამ ოპერაციებიდან არ არის დამოკიდებული არც მის კეთილ სურვილზე, არც მარტოდენ დანათა გადიდებული რაოდენობის არსებობაზე. ან კიდევ, ბოლოს, მან თავისი პროდუქციის ნაშეტი უნდა გადაიტანოს მომდევნო წელზე და შესაბამისად შეამციროს თავისი მიწოდება ამ შემდგომი წლისათვის, რაც აგრეთვე ზარალს გამოიწვევს, თუ წინანდელი კაპიტალისადმი მის დამატებას შეადგენდა არა მარტო ხელფასი, არამედ დამატებითი ძირითადი კაპიტალიც.

შემდეგ, თუ ყველა სხვა კაპიტალის დაგროვება იმავე მოცულობით ხდებოდა, აქედან სრულიდაც არ გამომდინარეობს, რომ მათი წარმოება იმავე ოდენობით გადიდდება. მაგრამ თუნდაც რომ ეს ასე იყოს, აქედან ვერ დავასკვნით, რომ მათ ერთი პროცენტით მეტი დანა ესაჭიროებათ, ვინაიდან მათი მხრივ დანების მოთხოვნა არავითარ კავშირში არ იმყოფება არც მათი საკუთარი პროდუქტის გადიდებასთან, არც დანების ყიდვის მათს გადიდებულ უნართან. გამოდის მხოლოდ და მხოლოდ ტაქტოლოგია: თუ წარმოების ყოველ ცალკეულ დარგში გამოყენებული კაპიტალის გადიდების პროპორციულად იზრდება საზოგადოების მოთხოვნილებანი და ყოველი ცალკეული საქონლის მოთხოვნა, მაშინ ერთი საქონლის რაოდენობის გადიდება უზრუნველყოფს ბაზარს სხვა საქონელთა გადიდებული მიწოდებისათვის.

ამრიგად, აქ ივარაუდება: 1) კაპიტალისტური წარმოება, რომლის დროსაც წარმოება ყოველ ცალკეულ დარგში — და მისი გადიდება — რეგულირდება არა უშუალოდ საზოგადოების მოთხოვნილებებით და მიმდინარეობს არა [811] საზოგადოების კონტ-

როლქვეშ, არამედ რეგულირდება იმ მწარმოებლური ძალებით, რომლებიც ყოველი ცალკეული კაპიტალისტის განკარგულებაშია საზოგადოების მოთხოვნილებათა მიუხედავად; და 2) ივარაუდება, ზემო აღნიშნულის მიუხედავად, რომ, წარმოება მაინც ისე პ რ ო ჰ ო რ ც ი უ ლ ა დ წარიმართება, თითქოს წარმოების სხვადასხვა დარგში კაპიტალს უშუალოდ იყენებდეს საზოგადოება თავის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

ასეთი ვარაუდისას, რომელიც არის *contradictio in adjecto**, ე. ი. იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალისტური წარმოება აბსოლუტურად სოციალისტური იქნებოდა, არავითარ ჭარბწარმოებას სინამდვილეში ადგილი არ ექნებოდა.

თანაც, წარმოების სხვადასხვა დარგში, სადაც კაპიტალის ერთნაირი დაგროვება ხდება (ეს კი კვლავ — სრულიად უვარგისი ვარაუდია, თითქოს კაპიტალის დაგროვება სხვადასხვა დარგში ერთი და იმავე შეფარდებით ხორციელდებოდეს), პროდუქტის მასა, რომელიც გამოყენებული კაპიტალის ამ გადიდებას შეეფერება, მეტად სხვადასხვაა, რადგან მწარმოებლური ძალა სხვადასხვა დარგში, ანუ წარმოებულ სახმარ ღირებულებათა მასა გამოყენებულ შრომასთან შეფარდებით ძლიერ განსხვავებულია. აქაც და იქაც ერთი და იგივე ღირებულება იწარმოება, მაგრამ საქონელთა რაოდენობა, რომლითაც ეს ღირებულება არის წარმოდგენილი, მეტად სხვადასხვაა. თუ A დარგში ღირებულება გადიოდა 1%-ით, მაშინ როდესაც საქონელთა მასა 20%-ით გაიზარდა, მაშინ აბსოლუტურად გაუგებარია, ასეთ შემთხვევაში საქონელთა ამ მასას როგორ შეუძლია პოვოს ბაზარი B დარგში, სადაც ღირებულება ასევე 1%-ით გადიოდა, მაგრამ საქონელთა მასა მხოლოდ 5%-ით გაიზარდა. აქ მხედველობიდან გამორჩენილია განსხვავება სახმარ ღირებულებასა და საცვლელ ღირებულებას შორის.

სეის დიდი აღმოჩენა, რომ «საქონელს მხოლოდ საქონლით ყიდულობენ»¹⁶, მარტო იმას ნიშნავს, რომ ფული თვით არის საქონლის გარდაქმნილი ფორმა. ეს სრულიადაც არ ამტკიცებს იმას, რომ რადგან მე შემიძლია მხოლოდ საქონლით ყიდვა, ამიტომ მე შემიძლია ჩემი საქონლით ყიდვა, რომ ჩემი მყიდველობითი უნარი შეესაბამება ჩემ მიერ წარმოებულ საქონელთა რაოდენობას. ერთი და იგივე ღირებუ-

* — სიტყვისიტყვით: «წინააღმდეგობა ეპითეტში», ანუ «წინააღმდეგობა განსაზღვრაში», ე. ი. ისეთი ტიპის აბსურდული წინააღმდეგობა, როგორც შემდეგ გამოთქმებშია «მრგვალი კვადრატია», «ხის რქანა». რ ე დ.

ლ ე ბ ა შეიძლება წარმოდგენილი იყოს საქონლის მეტად სხვადასხვა რაოდენობით. მაგრამ სასმარ ღირებულებას — მოხმარებას — საქმე აქვს არა ღირებულებასთან, არამედ პროდუქტის რაოდენობასთან. აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ უნდა ვიყილო მე ექვსი დანა იმ საფუძვლით, რომ მე შემიძლია მათი მიღება ისევე იაფად, როგორც წინათ ერთი დანის მიღება შეიძლებოდა. თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ მუშეები ყიდნან არა საქონელს, არამედ შრომას, არსებობს უამრავი ადამიანი, რომლებიც საქონელს არ აწარმოებენ, მაგრამ ფულზე ყიდულობენ. საქონლის მყიდველი და გამყიდველი არ არიან ერთი და იგივენი. მიწის მესაკუთრე, ფულის მქონე კაპიტალისტი და ა. შ. სხვა მწარმოებელთა საქონელს ღებულობენ ფულის სახით. ისინი წარმოადგენენ მყიდველებს, მაგრამ არ არიან «საქონლის» გამყიდველები. ადგილი აქვს არა მარტო ყიდვასა და გაყიდვას მრეწველ კაპიტალისტებს შორის, არამედ აგრეთვე მათ მიერ თავიანთი საქონლის მიყიდვას მუშეებისათვის, ასევე შემოსავალთა მფლობელებისათვის, რომლებიც არ არიან საქონელთა ფაბრიკანტები. ბოლოს, მათი ყიდვა და გაყიდვა, რასაც ისინი კაპიტალისტების სახით ასრულებენ, მეტად განსხვავდება მათი ყიდვისაგან, რასაც ისინი თავიანთი შემოსავლის დახარჯვისას ასრულებენ.

«ბ-ნ რიკარდოს (გამოცემა მეორე, გვ. 359). მოჰყავს სმიტის შეხედულება მოგების დაცემის მიზეზზე და დასძინს: «მაგრამ ბ-ნმა სემი სავსებით დამაჩერებლად გვიჩვენა, რომ არ არის კაპიტალის ისეთი რაოდენობა, რომლის გამოყენებაც ამა თუ იმ ქვეყანაში არ შეიძლებოდეს, რადგან მოთხოვნა ზღვარდება ულია მხოლოდ წარმოებით».

(როგორი სიბრძნეა! რა თქმა უნდა, მოთხოვნა ზღვარდება ულია წარმოებით. არ შეიძლება არსებობდეს მოთხოვნა იმაზე, რის წარმოებაც დაკვეთით არ შეიძლება ან რასაც მოთხოვნა ვერ პოულობს მზა სახით ბაზარზე. მაგრამ იქიდან, რომ მოთხოვნა ზღვარდება ულია წარმოებით, სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ წარმოება ზღვარდება ული არის ან იყო მოთხოვნით და რომ მას არ შეუძლია გადააჭარბოს მოთხოვნას, განსაკუთრებით არსებული საბაზრო ფასის პირობებში ჩამოყალიბებულ მოთხოვნას. ასეთია სეისეული აზრის სიმახვილე).

«ქვეყანაში არ შეიძლება დაგროვდეს კაპიტალის ისეთი რაოდენობა, რომლის მწარმოებლურად გამოყენებაც არ შეიძლებოდეს» (ეს ნიშნავს, ვფიქრობ «მე—უმატებს თავის მხრივ ფრჩხილებში ანონიმური ავტორი, — გამოყენებას «მოგებით მფლობელისათვის»), «თუ პირველი საჭიროების საგნების ფასების გადიდების გამო ძალიან მწიფენლოვნად არ გადიდდება ხელფასი, რის შედეგადაც კაპიტალის მოგებისათვის ისე ცოტა დარჩება, რომ დაგროვების სტიმული გაქრება» (იქვე, გვ. 360).

«რეკარდო აიგივეებს აქ კაპიტალის «მწარმოებლურ» გამოყენებას «მოგებიან» გამოყენებასთან, მაშინ როდესაც კაპიტალისტური წარმოების განსხვავება აბსოლუტური წარმოებისაგან და მისი ზღვარდებულობა სწორედ ის არის, რომ კაპიტალისტური წარმოების დროს «მწარმოებლურია» ის, რაც «მოგებიანია». «მწარმოებლურად» რომ აწარმოო, უნდა აწარმოო ისე, რომ მწარმოებელთა მასა გამორიცხული იყოს პროდუქტის მოთხოვნის ნაწილიდან; უნდა აწარმოო იმ კლასთან [812] ანტაგონიზმის პირობებში, რომლის მოხმარებაც ვერასგზით ვერ შეედრება მის წარმოებას, — რადგან, სწორედ მისი წარმოების გადანამეტი მის მოხმარებაზე შეადგენს კაპიტალის მოგებას. მეორე მხრივ, უნდა იწარმოებოდეს ისეთი კლასებისათვის, რომლებიც მოიხმარენ, მაგრამ არ აწარმოებენ. საჭიროა არა მარტო მოეცეს ზედმეტ პროდუქტს ისეთი ფორმა, რომელშიც იგი მოთხოვნის საგანი ხდება ამ კლასებისათვის; თვით კაპიტალისტმა, თუ მას დაგროვება სურს, არ უნდა წამოაყენოს მოთხოვნა თავის პროდუქტებზე, რამდენადაც ისინი შედიან შემოსავალში, იმ მოცულობით, რითაც იგი მათ აწარმოებს. სხვანაირად მას არ შეუძლია დააგროვოს. ამიტომ მალთუხი კაპიტალისტს უპირისპირებს ისეთ კლასებს, რომელთა მიზანს შეადგენს არა დაგროვება, არამედ დახარჯვა. და მაშინ როდესაც ერთი მხრივ ნავარაუდევია ყველა ეს წინააღმდეგობა, მეორე მხრივ ივარაუდება, რომ წარმოება ხორციელდება ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, თითქოს ეს წინააღმდეგობანი არ არსებობდეს. ყრიდვა და გაყიდვა გამოყოფილია ერთიმეორისაგან, საქონელი გამოყოფილია ფულისაგან, სახმარი ღირებულება გამოყოფილია საცვლელი ღირებულებისაგან. პირიქით, ივარაუდება, რომ ამ გამოყოფას ადგილი არა აქვს, არამედ წარმოებს გაცვლითი ვაჭრობა. მოხმარება და წარმოება გამოყოფილია ერთიმეორისაგან, არსებობენ მწარმოებელნი, რომლებიც არ მოიხმარენ, და მოხმარებელნი, რომლებიც არ აწარმოებენ. იგულისხმება, პირიქით, რომ მოხმარება და წარმოება იდენტურია. კაპიტალისტი აწარმოებს უშუალოდ იმისათვის, რათა თავისი მოგება გააადიდოს, აწარმოებს საცვლელი ღირებულების გულისათვის და არა მოხმარებისათვის. იგულისხმება, პირიქით, რომ იგი აწარმოებს უშუალოდ — და მხოლოდ — მოხმარებისათვის. თუ ვიგულისხმებთ, რომ ბურჟუაზიულ წარმოებაში არსებული წინააღმდეგობანი, — რომლებიც, მართალია, წონასწორდებიან, მაგრამ ისე, რომ ეს გაწონასწორების პროცესი გვევლინება ამასთანავე როგორც კრიზისი, როგორც ძალდატანებითი შეერთება განცალკევებული, ერთიმეორისადმი განურჩევლად დაპირისპირებული და, მიუხედავად ამისა, ურთიერთდაკავშირებული მომენტებისა, — არ არსებობენ, მაშინ, რა თქმა უნდა, ისინი ვერც გამოვლინდ-

ზიან. ყოველ დარგში ყოველი ცალკეული კაპიტალისტი ახორციელებს წარმოებას თავისი კაპიტალის შესაბამისად, იგი არ უწყევს ანგარიშს საზოგადოების მოთხოვნილებებს, განსაკუთრებით არ უწყევს ანგარიშს კონკურენციით გაპირობებულ მიწოდებას სხვა კაპიტალისტების მხრივ; იმავე დარგში. იგულისხმება, პირიქით, რომ იგი აწარმოებს ისე, თითქოს საზოგადოების შეკვეთით აწარმოებდეს. საგარეო ვაჭრობა რომ არ ასე ბობდეს, მაშინ ფუფუნების საგნები, გვეუბნებიან, შეიძლებოდა გვეწარმოებინა, ყოველგვარი წარმოების ხარჯების პირობებში, ქვეყნის შიგნით. ამ შემთხვევაში, პირველი საჭიროების საგნების წარმოების გარდა, შრომა მართლაც მეტად დაბალი ნაყოფიერების იქნებოდა. ამიტომ კაპიტალის დაგროვებაც არ იქნებოდა დიდი. ამ პირობებში ყოველ ქვეყანას შეეძლო აქ დაგროვილი მთელი კაპიტალის გამოყენება, რადგან, ნაგულისხმევის თანახმად, ამ ქვეყანაში მხოლოდ ცოტა კაპიტალი დაგროვებოდა.)

«რიკარდოს მეორე ფრაზა ზღუდავს პირველს (თუ არ ვიტყვით, რომ ეწინააღმდეგება მას), თუ გამოთქმა «რომლის გამოყენებაც არ შეიძლებოდა» ნიშნავს პირველ ფრაზაში. «რომლის გამოყენებაც მწარმოებელურად», ან, უფრო ზუსტად, «მოგებით» არ შეიძლება. და თუ ეს გამოთქმა უბრალოდ ნიშნავს რომლის გამოყენებაც არ შეიძლებოდა, მაშინ ეს მტკიცება უმიზნოა, იმიტომ რომ არც ადამ სმიტს, არც სხვა ვინმეს, ვფიქრობ, სადავოდ არ გაუხდია ის, რომ კაპიტალი შეიძლება «გამოყენებულ» იქნეს იმ შემთხვევაში, თუ მისი მფლობელისათვის სულ ერთია, რა მოგება მოაქვს მას» («An Inquiry into those Principles...», გვ. 18—19).

სინამდვილეში რიკარდო ლაპარაკობს, რომ მთელი კაპიტალი ამა თუ იმ ქვეყანაში, რა ოდენობითაც არ უნდა იყოს იგი დაგროვილი, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოგებით, მაგრამ, მეორე მხრივ, თვით ფაქტი კაპიტალის დაგროვებისა ხელს უშლის მის «მოგებით» გამოყენებას, რადგან დაგროვებამ უნდა გამოიწვიოს მოგების, მაშასადამე, აგრეთვე დაგროვების ნორმის შემცირება.

«[სამუშაოს მიღებაზე] გადიდებული მოთხოვნა* მათი» (მუშების) «მხრივ ნიშნავს მათს შზადყოფნას მიიღონ თავისთვის პროდუქტის ნაკლებმნიშვნელოვანი ნაწილი და დაუტოვონ მისი უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი იმათ, ვინც მათ, მუშებს, ჭირაობს; და როცა ლაპარაკობენ, ეს მოხმარებას ამცირებს და ამით ბაზრის პირთამდე აესებას აღიდაბსო, მე შემიძლია მხოლოდ ის ვუპასუხო, რომ ასეთ შემთხვევაში ბაზრის პირთამდე აესება, როგორც ირევევა, მაღალი მოგების სინონიმია» (ციტირ. თხზ., გვ. 59).

ასეთია, მართლაც, ბაზრის პირთამდე აესების იდეალური საფუძველი.

* — იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 66. რ ე დ.

«მუშებს — როგორც მომხმარებლებს — აყვავების პერიოდებში არა აქვთ არა-
 ვითარი სარგებლობა მანქანებისაგან (წინაღმდეგ ბ-ნი სეის მტკიცებისა, «Traité
 d'économie politique», მეოთხე გამოცემა, ტომი I, გვ. 60), გარდა იმ შემთხვევებისა,
 როდესაც მანქანით უფრო იაფად დამზადებული საგანი ეკუთვნის ისეთი ნივთების რიცხვს,
 რომლებიც გაიაფების მეოხებით შეიძლება უფრო ხელმისაწვდომი გახდნენ მუშების
 მოხმარებისათვის. საღებუ მანქანებს, ქარის წისქვილებს შეუძლიათ ამ მხრივ დიდი მნიშვნე-
 ლობა ჰქონდეთ მუშებისათვის, მაგრამ გამოგონება ძვირფასი ავეჯისათვის ფანერის
 გამოპჭრელი მანქანისა, არაა სასურველი ბლოკების ან დაზვის დამამზადებელი მანქა-
 ნისა ცოტათი აუმჯობესებს მათს მდგომარეობას» (ციტირ. თხზ., გვ. 74—75).

«შრომის დეტალურად განვითარებული დანაწილების დროს მუშების გაწაფულობა
 შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ განსაკუთრებულ სფეროში, რომელშიც ისინი დასპე-
 ციალდნენ; თ ე ი თ მ უ შ ე ბ ი თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ი შ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი ა. ასეთი ვითა-
 რების დროს არის ხოლმე ხანგრძლივი პერიოდები უმუშევრობისა, ე. ი. დაკარგული
 შრომისა, — სიმდიდრის ზრდის ფასების გადაჭრისა. სრულიად უსარგებლოა თითოეუ-
 ლი იმის გამოკრება, რომ ნივთებს აქვთ თავიანთი დონის მონახვის ტენდენცია. საკ-
 მარისია ჩვენს ირგვლივ მიმოვიხედოთ და დავინახეთ, რომ ნივთებს [813] დიდი ხნის
 განმავლობაში არ შეუძლიათ თავიანთი დონის პოვნა და რომ, როცა ისინი მას
 პოულობენ, ეს დონე გაცილებით უფრო დაბალი აღმოჩნდება ხოლმე, ვიდრე იგი პრო-
 ცესის დასაწყისში იყო» (ციტირ. თხზ., გვ. 72).

ეს რიკარდოელი, რიკარდოს მაგალითის მიხედვით, სწორად აღიარებს
 იმ კრიზისებს, რომლებიც ვაჭრობის მსვლელობაში უეცარი ცვლილე-
 ბების შედეგად იჩენენ ხოლმე თავს⁴⁷. ეს მოხდა ინგლისში 1815 წლის
 ომის შემდეგ. და სწორედ ასევე ყველა მერმინდელი ეკონომისტი აღიარებდა
 ყოველთვის კრიზისების ერთადერთ შესაძლებელ მიზეზად იმას,
 რაც ყოველი მოცემული კრიზისის ყველაზე ხელშეშელობისა ხება იყო.

კრიზისის მიზეზად მას მიაჩნია აგრეთვე საკრედიტო სისტემა (გვ.
 81 და შემდგომი). (თითქოს თვით საკრედიტო სისტემა არ წარმოეშვას
 კაპიტალის «მწარმოებლურად», ე. ი. «მოგებით» გამოყენების სიძნელეს).
 ინგლისელები იძულებული არიან, მაგალითად, თავიანთი საკუთარი კა-
 პიტალი საზღვარგარეთ გაასესხონ, რათა შექმნან თავისთვის ბაზარი.
 ჭარბწარმოებაში, საკრედიტო სისტემაში და ა. შ. კაპიტალისტური წარ-
 მოება ცდილობს თავისი საკუთარი ზღუდე გაარღვიოს და თავისი ზომის
 გადაჭარბებით აწარმოოს. ერთი მხრივ, მას აქვს ასეთი მისწრაფება. მე-
 ორე მხრივ იგი იტანს მხოლოდ ისეთ წარმოებას, რომელიც არსებული
 კაპიტალის მოგებიან გამოყენებას შეესაბამება. აქედან—კრიზისები,
 რომელნიც ამასთანავე მუდამ ერეკებიან კაპიტალისტურ წარმოებას
 საკუთარ საზღვრებს იქით და აიძულებენ ზღაპრული სისწრაფით იმის
 მიღწევას, — მწარმოებლური ძალების განვითარების მხრივ, — რასაც
 იგი თავისი საზღვრების შიგნით მხოლოდ ძლიერ ნელა განახორციელებ-
 და.

სეიზე ანონიმური ავტორი მეტად მართებულად მსჯელობს. ეს უნდა მოვიყვანოთ სეის შეხედულებათა განხილვისას (იხ. რვეული VII, გვ. 134⁴⁸.)

«იგი» (მუშა) «თანხმა თავისი დროის ნაწილი კაპიტალისტი სათავისი მუშაოს, ანუ, რაც იმავეს ნიშნავს, თანხმა კაპიტალისტი კუთვნილებად ჩათვალს ნაწილი ერთობლივი პროდუქტისა, როცა ეს უკანასკნელი დამზადებული და გაცდილია; მუშა იძულებულია ამას დათანხმდეს, სხვანაირად კაპიტალისტი მას არ მიაწვდის თავის დახმარებას»

(ე. ი. თავის კაპიტალს. ძალიან კარგია, რომ ანონიმური ავტორის აზრით «ერთსა და იმავეს ნიშნავს», ფლობს კაპიტალისტი ერთობლივ პროდუქტს და მის ნაწილს უხდის მუშას ხელფასის სახით — თუ მუშა თავისი პროდუქტის ნაწილს უტოვებს, აძლევს კაპიტალისტს).

მაგრამ, რადგან კაპიტალისტისათვის მამოძრავებელი სტიმული მოგება არის და რადგან უპირატესობანი, რასაც კაპიტალი იძლევა, ყოველთვის რამდენადმე დამოუკიდებელია როგორც დანაზოგის შექმნის სურვილზე, ასევე ამ დანაზოგის შექმნის შესაძლებლობაზე, ამიტომ კაპიტალისტი მზად იქნება მიწოდოს მუშას ამ თავისი დახმარების დამატებითი რაოდენობა; და რადგან იგი უფრო ნაკლებ ადამიანებს ნახავს, რომელთაც კაპიტალის დახმარების ეს დამატებითი რაოდენობა ესაჭიროებათ. ვიდრე იმათი რიცხვი იყო, ვინც მის თავდაპირველ რაოდენობას საჭიროებდა, ამიტომ კაპიტალისტს იმის მოლოდინი ექნება, რომ მას მოგების უფრო მეტი ნაწილი ერგება, და იძულებული იქნება იმას დათანხმდეს, რომ მუშას ერთგვარი საჩუქარი (!!!) შესთავაზოს იმით, რომ დაეთმობს მას მისი, კაპიტალისტის, მიერ მიწოდებული დახმარებით შექმნილი სასარგებლო შედეგის ნაწილს; წინააღმდეგ შემთხვევაში კაპიტალისტი ვერ შეიძლება დანაჩენ ნაწილს. ამრიგად, კონკურენცია ამცირებს მოგებას» (ციტირ. თხზ., გვ. 102—103).

ეს შესანიშნავია! თუ კაპიტალი შრომის მწარმოებლური ძალის განვითარების გამო ისე სწრაფად გროვდება, რომ შრომის მოთხოვნა ხელფასს ადიდებს, მუშა ნაკლებ დროს ანდომებს კაპიტალისტისათვის მუქათად მუშაობას და რამდენადმე მონაწილეობს თავისი უფრო მწარმოებლური შრომით შექმნილ სასარგებლო შედეგში, — მაშინ კაპიტალისტი მას სთავაზობს «საჩუქარს».

იგივე ავტორი დაწერილებით ამტკიცებს, რომ მალალი ხელფასი ცუდი სტიმულია მუშებისათვის, თუმცა როცა ლაპარაკი ჩამოვარდება მიწის მესაკუთრეებზე, მას მიაჩნია, რომ დაბალი მოგება გულს უტეხს კაპიტალისტებს (იხ. რვეული XII, გვ. 13⁴⁹.)

«ა. სმიტი ფიქრობდა, რომ საერთოდ კაპიტალის დაგროვება ან გადიდება ამცირებდა მოგების საერთო ნორმას იმავე კანონის ძალით, რომელიც იწვევს წარმოების ერთ რომელიმე ცალკეულ დარგში, კაპიტალის გადიდების ნიადაგზე ამ დარგში მოგების შემცირებას»

რებას, მაგრამ სინამდვილეში კაპიტალის ასეთი გაღივება ცალკეულ დარგში ნიშნავს მის გაღივებას უფრო მეტი პროპორციით, ვიდრე იგი იმავდროულად დიდდება სხვა დარგებში» (ციტირ. თხზ., გვ. 9).

ს ე ი ს წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ. (იხ. რეუელი XII, გვ. 12⁸⁰.)

«შეიძლება ითქვას, რომ უშუალო ბაზარი ან მოქმედების უშუალო საზღვარი კაპიტალისათვის აის შრომა. კაპიტალის მასა, რომელიც მოცემულ დროსა და მოცემულ ქვეყანაში ან მთელ მსოფლიოში შეიძლება დაბანდდეს ისე, რომ შოკეცეს მოგების გარკვეულ ნორმაზე არანაკლები, დამოკიდებულია, როგორც ჩანს, უმთავრესად შრომის იმ რაოდენობაზე, რომლის შესრულების სტიმულიც, ამ კაპიტალის დახარჯვის შედეგად, შეიძლება მიეცეს მოცემულ მომენტში არსებულ ადამიანთა რიცხვს» (ციტირ. თხზ., გვ. 20).

[814] «მოგება დამოკიდებულია არა ფასზე, არამედ ფასზე შედარებით ხარკებთან» (ციტირ. თხზ., გვ. 28).

«ბ-ნ სეის»⁵¹ დებულება სრულიადეკარ ამტკიცებს, რომ კაპიტალი ბაზარს უქმნის თავის თავს; იგი ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ კაპიტალი და შრომა უქმნიან ბაზარს ერთმეორეს» (ციტირ. თხზ., გვ. 111).

ე) თომას დე კვინსი [უშნარობა მისი დასძლიოს რიკარდოს თვალსაზრისის ნამდვილი ნაკლოვანებანი]

[De Quincey, Thomas.] «Dialogues of Three Templars on Political Economy, chiefly in relation to the Principles of Mr. Ricardo» («London Magazine», vol. IX, 1824).

რიკარდოს წინააღმდეგ წამოყენებული ყველა კრიტიკული მოსაზრების უარყოფის ცდა. შემდეგი ერთი ფრაზიდან ჩანს, რა იცის ავტორმა საქმის არსების შესახებ:

«პოლიტიკური ეკონომიის ყველა სიძნელე შეიძლება დაყვანილ იქნეს საკითხზე: რა არის საცელელი ღირებულების საფუძველი» (დასახელ. თხზ., გვ. 347).

ამ თხზულებაში ხშირად საკმაოდ მწვავედ არის ცხადყოფილი რიკარდოს თვალსაზრისის ნაკლოვანება, თუმცა ეს გაკეთებულია უფრო დიალექტიკური სიღრმისაფექტაციით, ვიდრე ნამდვილი დიალექტიკური სიღრმით. ნამდვილი სიძნელენი, რომლებიც გამომდინარეობენ არა ღირებულების განსაზღვრიდან, არამედ იქიდან, რომ რიკარდომ არასაკმარისად განავითარა ამ საფუძველზე შემდგომი განსაზღვრებანი და ცდილობდა ნაძალადევად და უშუალოდ შეეგუებინა ღირებულების მარტივ ურთიერთობასთან უფრო კონკრეტული ურთიერთობანი, — სრულიადეკარაა გადაწყვეტილი და როგორც ჯერ არს შეგარძნობილიც კი არაა. მაგრამ ეს თხზულება დამახასიათებელია იმ პერიოდისათვის, როცა იგი გამოვიდა. ჩანს, რომ იმ დროს პოლიტიკურ ეკონომიაში ჯერ კიდევ სერიოზულად ეპყრობოდნენ თანამიმდევრობას და აზროვნებას.

10. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

(უფრო სუსტია იმავე ავტორის მერმინდელი ნაწარმოები: «The Logic of Political Economy», Edinburgh, 1844.)

დე კვინსი მკვეთრ ფორმულირებას აძლევს რიკარდოს. შეხედულება-თა განსხვავებას ადრინდელი შეხედულებებისაგან და არ ცდილობს სიტყვიერი ინტერპრეტაციის მეშვეობით პრობლემებისათვის დამახასიათებელი ყოველივე სპეციფიკურის შესუსტებას ან უკუგდებას და ამ გზით მის შენარჩუნებას მხოლოდ ფრაზის სახით, — ეს კეთდებოდა შემდეგში და ამან ფართოდ გაუღო კარები უდარდელ და უპრინციპო ეკლექტიზმს.

რიკარდოს დოქტრინის ერთი პუნქტი, რასაც დე კვინსი განსაკუთრებით უსვამს ხაზს და რაც აქ უნდა აღინიშნოს, რადგან იგი გარკვეულროლს ასრულებს აქ განსახილველ პოლემიკაში რიკარდოს წინააღმდეგ, ესაა დებულება იმის შესახებ, რომ ერთი საქონლის უნარი — იყოს ყველა სხვა საქონლის განმკარგულებელი (მისი მყიდველობითი ძალა, სინამდვილეში რომელიმე სხვა საქონელში რეალიზებული მისი ღირებულება). სრულიად განსხვავებულია მისი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი - ს ა გ ა ნ .

«სრულიად მცდარია ის დასკვნა, რომ რეალური ღირებულება დიდია, რადგან დიდია ის რაოდენობა, რომელსაც იგი ყიდულობს, ან მცირეა, რადგან მცირეა ის რაოდენობა, რომელსაც იგი ყიდულობს... თუ საქონელი A ათრეკევებს თავის ღირებულებას, მაშინ ამ საფუძვლიან მის განკარგულებაში არ იქნება, წინანდელთან შედარებით, ორმაგი რაოდენობა B საქონლისა. ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს. მაგრამ შეიძლება მოხდეს ისეც. რომ მის განკარგულებაში იქნება 500-ჯერ უფრო დიდი ან 500-ჯერ უფრო მცირე რაოდენობა. ვერაიენ ვერ უარყოფს, რომ A საქონლის განკარგულებაში იქნება, მისი საკუთარი ღირებულების გაორკეცებისას, ორმაგი რაოდენობა ყველა იმ საგნისა, რომელთა ღირებულებაც უცვლელი დარჩა... მაგრამ საკითხი ისაა, იქნება თუ არა A საქონლის განკარგულებაში ყოველთვის და ყველგან, მისი საკუთარი ღირებულების გაორკეცებისას, ორმაგი რაოდენობა» («Dialogues of Three Templars», გვ. 552—554, სხვადასხვა ადგილას).

d) სამშეოლ ბიილი

[a] «OBSERVATIONS ON CERTAIN VERBAL DISPUTES...»

ავტორისა და ბიილის ზრეალე რელატივიზმი ღირებულების კატეგორიის გაგებაში. ეკვივალენტის პრობლემა. შრომითი ღირებულების თეორიის — როგორც პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლის — უარყოფა]

[B a i l e y, S a m u e l.] A Critical Dissertation on the Nature, Measures, and Causes of Value; chiefly in reference to the Writings of Mr. Ricardo and his Followers. By the Author of Essays on the Formation and Publication of Opinions. London, 1825.

ეს არის მთავარი თხზულება რიკარდოს წინააღმდეგ (იგი მიმართულია მალთუსის წინააღმდეგაც). ცდილობს უკუაგდოს დოქტრინის საფუძველი — ღირებულება. მის პოზიტიურ დებულებებს არავითარი ფასი არა აქვთ, გარდა «ღირებულების საზომის» განსაზღვრისა, ანუ, უფრო ზუსტად, ფულის, როგორც ღირებულების საზომის, ფუნქციის განსაზღვრისა. (შეად. აგრეთვე იმავე ავტორის «A Letter to a Political Economist; occasioned by an article in the «Westminster Review» on the subject of Value». London, 1826).

რადგან აღნიშნული თხზულება, როგორც უკვე ზემოთ ითქვა*, თავისი ძირითადი აზრის მიხედვით უკავშირდება თხზულებას «Observations on certain Verbal Disputes in Political Economy», ამიტომ აქ უნდა დავუბრუნდეთ ამ «Observations» და მოვიყვანოთ იქიდან სათანადო ადგილები.

«Observations»-ის ავტორი რიკარდოს იმას უსაყვედურებს, რომ იგი ღირებულება, რაც საქონელთა შეფარდებითი თვისებაა მათს ერთიმეორისადმი მიმართებაში, რაღაც აბსოლუტურ მოვლენად აქცევს.

ამ მხრივ რიკარდოს მხოლოდ ის უნდა ვუსაყვედუროთ, რომ იგი ზუსტად ვერ გამოყოფს ერთიმეორისაგან სხვადასხვა მომენტებს ღირებულების ცნების განვითარებაში; არა აქვს ერთიმეორისაგან გამოყოფილი საცვლელი ღირებულება, როგორც ის წარმოგვიდგება, ვლინდება საქონელთა გაცვლის პროცესში, და საქონლის როგორც ღირებულების ყოფიერება განსხვავებით მისი — როგორც ნივთის, პროდუქტის, სახმარი ღირებულების — ყოფიერებისაგან.

[815] «Observations»-ში ნათქვამია:

«თუ აბსოლუტური რაოდენობა შრომისა, რომელიც აწარმოებს საქონელთა მეტ ნაწილს ან ყველა საქონელს გარდა ერთისა, დიდდება, მაშინ შეიძლება თუ არა ვთქვათ; რომ ამ ერთი საქონლის ღირებულება უცვლელი რჩება? იგი ხომ უნდა გაიყვანოს ყოველი სხვა საქონლის უფრო ნაკლებ რაოდენობაზე. თუ სინამდვილეში იმას ამტკიცებენ. რომ ღირებულების გადიდება ან შემცირება უნდა გვესმოდეს; როგორც გადიდება ან შემცირება შრომის იმ რაოდენობისა, რამაც მოცემული საქონელი აწარმოვა, მაშინ ის დასკვნები, რომელთა წინააღმდეგაც მე ეს-ეს არის ჩემს მოსაზრებას ვამოეთქვამდი, შეიძლებოდა რამდენადმე სწორი ყოფილიყო. მაგრამ თქმა იმისა, როგორც ამას რიკარდო აკეთებს, რომ შრომის შედარებითი რაოდენობანი, რომლებმაც ორი საქონელი აწარმოეს, მიზეზია იმ შეფარდებისა, რომლითაც ორი საქონელი ერთიმეორეზე იცვლება, ე. ი. მიზეზი როგორც ერთის, ისე მეორის საცვლელი ღირებულებისა. — ეს სრულიად სხვა რამეა, ვიდრე იმის თქმა, რომ ყოველი საქონლის საცვლელი

* იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 129. რ ე დ.

ლი ღირებულება აღნიშნავს შრომის იმ რაოდენობას, რომელმაც იგი აწარმოვა. რაოდენობას, რომელიც აღებულია ყველა სხვა საქონელთან ან სხვა საქონელთან არსებობასთან ყოველგვარი მიმართების გარეშე» («Observations on certain Verbal Disputes», გვ. 13).

ამართლაც, ბ-ნი რიკარდო გვეუბნება. რომ «გამოკვლევა, რომელზეც იგი მკითხველის ყურადღებას ამახვილებს, შეეხება საქონელთა შეფარდებითი და არა აბსოლუტური ღირებულების ცვლილებათა* ვაღვენას». თითქოს იგი აქ ფიქრობს რომ არსებობს ისეთი ნივთი როგორც საცვლელი ღირებულება, რომელიც არ არის შეფარდებითი» (იქვე, გვ. 9—10).

ის ფაქტი, რომ რიკარდომ გადაუხვია ტერმინ «ღირებულებისა თავდაპირველ გამოყენებას და ღირებულება აქცია რაღაც აბსოლუტურ მოვლენად რელატიურის ნაცვლად. კიდევ უფრო ნათლად ჩანს მისი წიგნის თავში «ღირებულება და სიმდიდრე, მათი განმასხვავებელი თვისებები». იქ მოცემული საღისეუნიო საკითხი საკამათო გახდა აგრეთვე სხვა ეკონომისტებისთვისაც და წარმოადგენს უსარგებლო დავას სიტყვების გარშემო» (იქვე, გვ. 15—16).

ვიდრე ამ ადამიანზე ვილაპარაკებდეთ, კიდევ ერთი შენიშვნა რიკარდოს შესახებ. ზემოხსენებულ თავში «ღირებულება და სიმდიდრე» რიკარდო ამტკიცებს, რომ საზოგადოებრივი სიმდიდრე არ არის დამოკიდებული წარმოებულ საქონელთა ღირებულებაზე, თუმცა უკანასკნელ გარემოებას გადაშვევტი მნიშვნელობა აქვს ყოველი ინდივიდუალური მწარმოებლისათვის. მით უფრო უნდა გაეგო მას, რომ წარმოების ისეთი ფორმა, რომელიც მიმართულია მხოლოდ ზედმეტი ღირებულების წარმოებისაკენ, ე. ი. რომელიც დამყარებულია მწარმოებელთა მასის შეფარდებით სიღატაკეზე, არასგზით არ შეიძლება იყოს სიმდიდრის წარმოების აბსოლუტური ფორმა, როგორადაც იგი მას მუდამ ვვისახავს.

ახლა კი გადავიდეთ «სიტყვების გარშემო კამათის» ტკუის დამჩემებელი მოწინააღმდეგის «Observations»-ზე**.

თუ ყველა საქონლის ღირებულება, გარდა ერთისა, იზრდება, რადგან მათი დამზადება მეტი სამუშაო დრო ღირს, ვიდრე წინათ ღირდა, მაშინ ის საქონელი, რომლის სამუშაო დროს ცვლილება არ განუცდია, გაიცვლება ყველა სხვა საქონლის უფრო მეტი რაოდენობაზე. მისი საცვლელი ღირებულება, რამდენადაც მისი რეალიზება სხვა საქონელში ხდება, ე. ი. ყველა სხვა საქონლის სახმარღირებულებებში გამოხატული მისი საცვლელი ღირებულება შემცირდა. «შეიძლება თუ არა, მიუხედავად ამისა, იმის თქმა, რომ მისი საცვლელი ღირებულება უცვლელი დარჩა?» ეს მხოლოდ დაყენებაა

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 223. რ ე დ.

** — «შენიშვნებზე» (ირონიული გადაკერით ნათქვამი ამ ავტორის თხზულების სათაურის შესახებ. «Observations on certain Verbal Disputes»), რ ე დ.

საკითხისა, რომლის შესახებაც ლაპარაკია, აქ არაა მოცემული ამ კითხვაზე არც დადებითი, არც უარყოფითი პასუხი. იგივე შედეგი გვექნებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ ერთი საქონლის წარმოებისათვის საჭირო სამუშაო დრო შემცირდებოდა, ყველა სხვა საქონლის სამუშაო დრო კი უცვლელი დარჩებოდა: ამ ერთი საქონლის გარკვეული რაოდენობა ყველა სხვა საქონლის უფრო მცირე რაოდენობაზე გაიცვლებოდა. ორივე შემთხვევაში ჩვენ აქ გვაქვს ერთი და იგივე მოვლენა, თუმცა მას აშკარად საპირისპირო მიზეზები განაპირობებენ. პირიქით, თუ A საქონლის საწარმოებლად საჭირო სამუშაო დრო უცვლელი დარჩებოდა, მაშინ როდესაც ყველა სხვა საქონლის სამუშაო დრო შემცირდებოდა, მაშინ A საქონელი გაიცვლებოდა ყველა სხვა საქონლის უფრო მეტ რაოდენობაზე. იგივე მოხდებოდა საპირისპირო მიზეზის გამო, თუ A საქონლის წარმოებისათვის საჭირო სამუშაო დრო გადიდდებოდა, ყველა სხვა საქონლის სამუშაო დრო კი უცვლელი დარჩებოდა. მაშასადამე, პირველ შემთხვევაში A საქონელი გაიცვლება ყველა სხვა საქონლის უფრო ნაკლებ რაოდენობაზე, და თანაც ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ორი საპირისპირო მიზეზის გამო. მეორე შემთხვევაში იგი გაიცვლება ყველა სხვა საქონლის უფრო მეტ რაოდენობაზე, და ამას კვლავ შეიძლება ადგილი ექნეს ორი საპირისპირო მიზეზის გამო. მაგრამ, *nota bene**, საქონელი A ყოველთვის გაიცვლება, ნაგულისხმევის თანახმად, თ ა ვ ი ს ი ლ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ, მაშასადამე, ე კ ვ ი ვ ა ლ ე ნ ტ ზ ე. ყოველთვის საქონელი A თავისი ღირებულების რეალიზებას ახდენს იმ სხვა სახმარ ღირებულებათა გარკვეულ რაოდენობაში, რომლებზეც ის გაიცვლება, სულ ერთია როგორც არ უნდა იცვლებოდეს ამ სახმარ ღირებულებათა რაოდენობა.

აქედან მთელი სიცხადით გამომდინარეობს, რომ ის რაოდენობრივი შეფარდება, რომლითაც საქონელი იცვლება იმ ერთმეორეზე როგორც სახმარი ღირებულებანი, არის, მართალია, მათი ღირებულების გამოხატულება, მათი რეალუზებულო ღირებულება, მაგრამ არა თვით მათი ღირებულება, ვინაიდან ერთი და იგივე ღირებულებით შეფარდება სახმარ ღირებულებათა სრულიად სხვადასხვა რაოდენობით გამოიხატება. ყოფიერება საქონლისა როგორც ღირებულებისა არ არის გამოხატული მისი საკუთარი სახმარი ღირებულებით — მისი — როგორც სახმარი ღირებულების — ყოფიერებით. საქონლის ღირებულება ვლინდება მისი გამოხატულებით სხვა სახმარ ღირებულებებში, ე. ი. იმ შეფარდებით, რომლითაც ეს სხვა სახმარი ღირებულებანი მოცე-

* — დაიხსომე. რ ე ლ.

მულ საქონელზე გაიცვლებიან. თუ 1 უნცია ოქრო = 1 ტონა რკინას, ე. ი. თუ ოქროს მცირე რაოდენობა რკინის დიდ რაოდენობაზე გაიცვლება, მაშინ განა ამის გამო უნცია ოქროს ღირებულება, რკინით გამოხატული, მეტია რკინის ღირებულებაზე, რომელიც გამოხატულია ოქროთი? საქონელთა გაცვლა ერთიმეორეზე მათში მოთავსებული შრომის შესაბამისად ნიშნავს იმას, რომ ისინი არიან ტოლნი, არსებითად ერთი და იგივენი, რამდენადაც შრომის ერთსა და იმავე რაოდენობას გამოხატავენ. მაშასადამე, ეს ნიშნავს ამასთანავე, რომ ყოველი საქონელი, ცალკე განხილული, არის რაღაც [816] **გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი** მისი საკუთარი სახმარი ღირებულებისაგან, მისი — როგორც სახმარი ღირებულების — ყოფიერებისაგან.

ერთი და იმავე საქონლის **ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა**, მისი სიდიდის შეუცვლელად, შეიძლება გამოიხატოს სახმარ ღირებულებათა უსასრულოდ **ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა** რაოდენობით, იმისდა მიხედვით, თუ რომელი საქონლის სახმარი ღირებულებით გამოვხატავთ მას. ეს არ ცვლის ღირებულებას, თუმცა ცვლის მის გამოხატულებას. სავსებით ასევე სხვადასხვა სახმარ ღირებულებათა ყველა ის სხვადასხვა რაოდენობაც, რომლებთაც საქონლის ღირებულების გამოხატვა შეიძლება, ეკვივალენტებია და ერთიმეორეს შეეფარდებიან არა მხოლოდ როგორც ღირებულებანი, არამედ როგორც ტოლდიდი ღირებულებანი, ასე რომ როცა სახმარ ღირებულებათა ეს მეტად განსხვავებული რაოდენობანი ერთმანეთს ენაცვლებიან, ღირებულება ისევე უცვლელი რჩება, თითქოს მას გამოხატულება არ მიეღოს სრულიად განსხვავებულ სახმარ ღირებულებებში.

თუ საქონელთა ერთიმეორეზე გაცვლა იმ შეფარდებით ხდება, რითაც ისინი სამუშაო დროის თანაბარ რაოდენობებს გამოხატავენ, მაშინ მათი ყოფიერება გასაგნობრივებული სამუშაო დროს სახით, მათი ყოფიერება განივთებული სამუშაო დროის სახით, არის ის, რაც მათ **ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ს**, ის, რაც მათს **ე ლ ე მ ე ნ ტ ს** შეადგენს. როგორც ასეთი პროდუქტები შრომისა, საქონელნი **თ ვ ი ს ე ბ რ ი ვ ა დ** ერთი და იგივენი არიან და ერთიმეორისაგან განსხვავდებიან მხოლოდ **რ ა ო დ ე ნ ო ბ რ ი ვ ა დ**, იმისდა მიხედვით, გამოხატავენ თუ არა ისინი უფრო მეტი ან უფრო ნაკლები რაოდენობით **ე რ თ ს ა და ი მ ა ვ ე ს**, — სახელდობრ, სამუშაო დროს. **ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი** არიან ისინი როგორც გამოხატულებანი ამ იდენტური ელემენტისა, ტოლდიდი ღირებულებებს კი, — **ე კ ვ ი ვ ა ლ ე ნ ტ ე ბ ს** ისინი წარმოადგენენ იმდენად, რამდენადაც ისინი სამუშაო დროის თანაბარ რაოდენობებს გამოხა-

ტავენ. იმისათვის, რომ სიდიდეთა სახით მათი ერთმანეთთან შედარება შესაძლებელი იყოს, ისინი უკვე უნდა იყვნენ ერთსახელოანი სიდიდენი, თვისებრივად ერთი და იგივენი.

სწორედ როგორც ამ ერთიანი საწყისის გამოხატულებანი ეს სხვადასხვა ნივთები წარმოადგენენ ღირებულებებს, და ერთიმეორეს შეეფარდებიან როგორც ღირებულებანი, ამით კი მოცემულია განსხვავებაც მათი ღირებულებების სიდიდეში, მოცემულია მათი ღირებულების იმანენტური საზომი. და მხოლოდ ამიტომ ერთი საქონლის ღირებულება შეიძლება წარმოადგენილ, გამოხატულ იქნეს სხვა საქონელთა სახმარ ღირებულებებში როგორც ამ საქონლის ღირებულების ეკვივალენტებში. ამრიგად, თვით ცალკეული საქონელიც როგორც ღირებულება, როგორც ყოფიერება ამ ერთიანი საწყისისა, განსხვავებულია თავის თავისაგან როგორც სახმარი ღირებულებისაგან, როგორც ნივთისაგან, — მისი ღირებულების სხვა საქონელში გამოხატვისაგან სრულიად დამოუკიდებლად. როგორც ყოფიერება სამუშაო დროისა საქონელი არის ღირებულება საერთოდ, როგორც ყოფიერება რაოდენობრივად განსაზღვრული სამუშაო დროისა ის არის განსაზღვრული სიდიდე ღირებულებისა.

ჩვენი ჭკუის დამჩემებელი მითხვენელისათვის დამახასიათებელია ასეთი გამოთქმები: «თუ ჩვენ ეს ასე და ასე გვესმის, მაშინ ჩვენ ეს არ გვესმის ასე და ასე» და vice versa*. ჩვენს «გაგებას» საერთო არაფერი აქვს იმ ნივთის არსებით ნიშნებთან, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ. როცა ჩვენ რომელიმე ნივთის საცვლელ ღირებულებაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ეს გვესმის უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, როგორც ის შეფარდებითი რაოდენობა — ნივთის სხვა საქონლისა, რომლებიც შეიძლება გაიცვალოს პირველ საქონელზე. მაგრამ თუ ვითარებას უფრო ახლოს დავაკვირდებით, დავინახავთ შემდეგს: იმისათვის, რომ შეფარდება, რომლითაც მოცემული ნივთი უნდა გაიცვალოს სხვა ნივთთა ურთივე რაოდენობაზე, რომელთაც მასთან საერთო არაფერი აქვთ, — და კიდევ რომ არსებობდეს მათ შორის ბუნებრივი ან სხვა მსგავსება, იგი გაცვლისას მხედველობაში არ მიიღება, — ეს შეფარდება მტკიცედ განსაზღვრული შეფარდება რომ იყოს. ამისათვის ყველა ეს განსხვავებული, სხვადასხვაგვარი ნივთი განიხილება როგორც ერთი და იმავე, ყვე-

* — პირიქით. რ. ე. დ.

ლა მათთვის საერთო ერთიანი ელემენტის შესაბამისი გამოხატულებანი, ელემენტისა, რომელიც სრულიად განსხვავებულია მათი ბუნებრივი არსებობისაგან ან გარეგნული სახისაგან. შემდეგ, ჩვენ დავინახათ კიდევ, რომ თუ ჩვენს «ვაგებას» რაიმე აზრი აქვს, მაშინ რომელიმე საქონლის ღირებულება არის არა მხოლოდ რაღაც ისეთი, რაც მას აახლოვებს სხვა საქონელთან და განასხვავებს მას სხვა საქონელთანგან, არამედ რომ ის არის აგრეთვე ისეთი თვისებაც, რითაც იგი განსხვავდება იმ თავისი საკუთარი არსებობისაგან, რაც მას გააჩნია როგორც ნივთს, როგორც სახმარ ღირებულებას.

«A საგნის ღირებულების გადიდება ნიშნავს მხოლოდ B, C და ა.შ. საგნებით გაზომილ ღირებულებას. ე. ი. საგნების B, C და ა. შ. საცუელ ღირებულებას». (ციტირ. თხზ., გვ. 16).

რათა შესაძლებელი იყოს A საგნის, მაგალითად წიგნის, ღირებულების გაზომვა B საგნით, ნახშირით, და C საგნით, ღვინით, A, B, C როგორც ღირებულებანი რაღაცით უნდა განსხვავდებოდნენ მათ—როგორც წიგნის, ნახშირის და ღვინის—არსებობისაგან. რათა შესაძლებელი იყოს A-ს ღირებულების გაზომვა B-თი, A-ს უნდა ჰქონდეს ღირებულება, რომელიც არ არის დამოკიდებული ამ ღირებულების გაზომვაზე B-თი, და ორივე უნდა იყოს [თვისებრივად] ტოლი მესამე ნივთისა, რომელიც მათში გამოიხატება..

სრულიად მკდარია იმის თქმა, რომ ამის შედეგად საქონლის ღირებულება რაღაც შეფარდებითიდან რაღაც აბსოლუტურ მოვლენად გადაიქცევა. პირიქით. სახმარი ღირებულების სახით საქონელი წარმოგვიდგება როგორც დამოუკიდებელი რაშ. ღირებულების სახით, პირიქით, იგი წარმოგვიდგება როგორც მხოლოდ რაღაც და დგენილი², რომელიც განისაზღვრება მარტოდენ მისი მიმართებით საზოგადოებრივად აუცილებელ, ერთნაირ, მარტივ სამუშაო დროსთან. ეს იმდენად შეფარდებითია, რომ მისი კვლავწარმოებისათვის საჭირო სამუშაო დროის შეცვლისას იცვლება მისი ღირებულებაც, თუმცა საქონელში მოთავსებული სამუშაო დრო უცვლელი დარჩა.

[817] თუ როგორ ღრმა ფეტიშიზმში ჩაეფლო ჩვენი ჰქუის დამჩემებელი მითითენელი და თუ როგორ გადააქცევს იგი რელატიურს რაღაც პოზიტიურ რამედ, ამას ყველაზე ნათლად გვიჩვენებს შემდეგი ფრაზა:

«ღირებულება არის ნიეტების თვისება. სიმდიდრე — ადამიანთა თვისება. ამ აზრით ღირებულება აუცილებლად გულისხმობს ვაცელას, სიმდიდრე — არა» (ციტირ. თხზ., გვ. 16).

სიმდიდრე აქ სახმარი ღირებულებებია. რა თქმა უნდა, სიმდიდრეს ისინი წარმოადგენენ ადამიანების მიმართ, ანუ ადამიანებისათვის, მაგრამ ესა თუ ის ნივთი სახმარი ღირებულებაა და ამიტომ სიმდიდრის ელემენტიც ადამიანთათვის სწორედ თავისი საკუთარი თვისებებით მის მეოხებით. ყურძენს რომ ის თვისებები წავართვათ, რაც მას ყურძნად ხდის, მაშინ გაქრება ის სახმარი ღირებულება, რაც მას როგორც ყურძენს ადამიანებისათვის აქვს; და იგი უკვე აღარ იქნება როგორც ყურძენი სიმდიდრის ელემენტი. სიმდიდრე როგორც სახმარ ღირებულებათა იდენტური — ეს ნივთთა ის თვისებებებია, რომლებითაც ადამიანები სარგებლობენ და რომლებიც გამოხატავენ მიმართებას მათი მოთხოვნილებებისადმი. ჩვენი ავტორის აზრით კი, პირიქით, «ღირებულება» წარმოადგენს «ნივთების თვისებებს»!

როგორც ღირებულებანი საქონელნი არიან საზოგადოებრივი სიდიდენი, — მაშასადამე, რაღაც აბსოლუტურად განსხვავებული მათი — როგორც «ნივთების» — «თვისებებისაგან». ღირებულებათა სახით ისინი წარმოადგენენ მხოლოდ ადამიანთა ურთიერთობას მათს წარმოებით საქმიანობაში. ღირებულება, მართლაც, «გულისხმობს გაცვლას», მაგრამ ეს გაცვლა არის ნივთების გაცვლა ადამიანებს შორის, გაცვლა, რომელსაც აბსოლუტურად არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ნივთებთან როგორც ასეთებთან. ნივთი ინარჩუნებს იმავე «თვისებებს», იმისდა მიუხედავად, A-ს ხელში იმყოფება იგი თუ B-ს ხელში. «ღირებულების» ცნება, მართლაც, პროდუქტების «გაცვლას» გულისხმობს. განსაზოგადოებული შრომის პირობებში ადამიანთა ურთიერთობანი მათს საზოგადოებრივ წარმოებაში არ არიან წარმოდგენილი როგორც «ნივთა» «ღირებულებანი». გაცვლა პროდუქტებისა საქონელთა სახით არის შრომის გაცვლისა და ყოველი ადამიანის შრომის სხვების შრომასთან მიმართების გარკვეული მეთოდი, გარკვეული წესი საზოგადოებრივი შრომისა, ანუ საზოგადოებრივი წარმოებისა.

ჩემი თხზულების³³ პირველ ნაწილში მე ცხადყავი, თუ როგორ ხასიათდება კერძო გაცვლაზე დამყარებული შრომა იმით, რომ შრომის საზოგადოებრივი ხასიათი «წარმოვიდგება» დამახინჯებული სახით როგორც საგნების «თვისება», რომ საზოგადოებრივი ურთიერთობა გვეჩვენება როგორც ურთიერთობა ნივთებისა ერთმანეთს შორის (როგორც პროდუქტთა, სახმარ ღირებულებათა, საქონელთა ურთიერთობა). ეს მოჩვენებითი გარეგნობა ჩვენს ფეტიშისტს მიუღია რაღაც სინამდვილედ და მართლა ფიქრობს, რომ ნივთების საცვლელი ღირებულება განისაზღვრება მათი — როგორც ნივთების — თვისებებით და საერთოდ იგი მათი ბუნებრივი თვისებაა. დღემდე ჯერ არც ერთ ბუნების-

შეტყველს არ აღმოუჩენია, რომ ბუნებრივი თვისებების მეოხებით ხდებთან ბურნუთი და სურათები გარკვეული პროპორციით ერთიმეორის «ეკვივალენტები».

ამრიგად, სწორედ მას, დიდად ბრძენ ჩერჩეტს ღირებულება გადაუქცევია აბსოლუტურ რალაცად, «ნივთების თვისებად», ნაცვლად იმისა რომ მათში დაენახა რალაც შეფარდებითი მიმართება ნივთებისა საზოგადოებრივი შრომისადმი, კერძო გაცვლაზე დამყარებული საზოგადოებრივი შრომისადმი, რომლის სფეროშიც ნივთები განსაზღვრულია არა როგორც თავისთავადი რამ, არამედ როგორც მარტოოდენ გამოხატულებანი საზოგადოებრივი წარმოებისა.

მაგრამ ის გარემოება, რომ «ღირებულება» არ არის რალაც აბსოლუტური, რომ იგი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც დამოუკიდებლად არსებული რამ, სრულიად განსხვავდება იმისაგან, რომ საქონელმა აუცილებლად უნდა მისცეს თავის საცვლელ ღირებულებას თ ვ ი თ მ ყ ო ფ ი, თავისი სახმარი ღირებულებისაგან, ანუ რეალური პროდუქტის სახით თავისი ყოფიერებისაგან განსხვავებული და ამ ყოფიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული გამოხატულება, ე. ი., რომ საქონელმიმოქცევა აუცილებლად უნდა მივიდეს ფულის წარმოქმნამდე. საქონელმა თავის ღირებულებას უნდა მისცეს ეს გამოხატულება ფულში, უწინარეს ყოვლისა ფასში, რომელშიც ყველა საქონელი წარმოდგენილია როგორც ერთი და იმავე შრომის მატერიალიზაცია, როგორც ერთი და იმავე სუბსტანციის მარტოოდენ რაოდენობრივად განსხვავებული გამოხატულებანი. საქონლის საცვლელი ღირებულების მიერ დამოუკიდებლობის შექმნა ფულში: თვით არის პროდუქტი გაცვლის პროცესისა, შედეგი სახმარი ღირებულებისა და საცვლელი ღირებულების იმ წინააღმდეგობათა განვითარებისა, რომელთაც საქონელი შეიცავს და არა ნაკლებად მასში შთავსებული იმ წინააღმდეგობისა, რომ კერძო ინდივიდის განსაზღვრული, განსაკუთრებული შრომა აუცილებლად უნდა გამოვლინდეს როგორც თავის თავის დაპირისპირებულობა, როგორც ერთნაირი, აუცილებელი, საყოველთაო და ამ ფორმით საზოგადოებრივი შრომა. ის, რომ საქონელი გამოიხატება ფულით, შეიცავს არა მარტო იმას, რომ საქონელთა ღირებულების სხვადასხვა რაოდენობანი იზომება ერთი განსაკუთრებული საქონლის სახმარ ღირებულებაში მათი ღირებულების გამოხატვით, არამედ ამასთან ერთად იმასაც, რომ ისინი ყველანი თავიანთ თავს გამოხატავენ ისეთი ფორმით, რა ფორმითაც ისინი არსებობენ როგორც საზოგადოებრივი შრომის განსახიერება და ამიტომ შესაძლებელია მათი გაცვლა ყოველ სხვა საქონელზე, შესაძლებე-

ღლია სურვილისამებრ ყოველ სახმარ ღირებულებად მათი გადაქცევა. ამიტომ მათი გამოხატვა ფულის სახით — ფასში — ჯერ ვლინდება მხოლოდ იდეალურად, რეალიზება კი ამ გამოხატვისა ხდება მარტოოდენ ნამდვილი გაყიდვის გზით.

რიკარდოს შეცდომა ისაა, რომ იგი მხოლოდ ღირებულებების სიდიდეს განიხილავს. ამიტომ იგი ყურადღებას აქცევს მხოლოდ შრომის იმ [818] შეფარდებითს რაოდენობას, რომელსაც სხვადასხვა საქონელი გამოხატავს, რომელსაც ისინი როგორც ღირებულებანი შეიცავენ განსახიერებელი სახით. მაგრამ საქონელში განხორციელებული შრომა უნდა გამოიხატოს როგორც საზოგადოებრივი შრომა, როგორც გასხვისებული ინდივიდუალური შრომა. ფასში ეს გამოხატულია იდეალურად. რეალიზება კი მისი მხოლოდ გაყიდვით ხდება. ყველა საქონელში მოთავსებული ცალკეულ ინდივიდთა შრომის ეს გადაქცევა ერთნაირ საზოგადოებრივ შრომად, რომელიც ამიტომ შეიძლება გამოიხატოს ყველა სახმარ ღირებულებაში, შეიძლება გაიცვალოს ყველა სახმარ ღირებულებაზე, ეს თვისებრივი მხარე საქმისა, რომელსაც შეიცავს საცვლელი ღირებულების გამოხატვა ფულში, რიკარდოს არ განუვითარებია. ამ გარემოებას — საქონელში მოთავსებული შრომის ერთნაირ საზოგადოებრივ შრომად, ფულის სახით წარმოდგენის აუცილებლობას რიკარდო მხედველობიდან უშვებს.

კაპიტალის განვითარება, თავის მხრივ, უკვე ფულის ხმობს საქონლის საცვლელი ღირებულების სრულ განვითარებას და ამიტომ მის დამოუკიდებელ არსებობას ფულის სახით. კაპიტალის წარმოებისა და მიმოქცევის პროცესში ამოსავალი პუნქტია ღირებულება როგორც თავისუფალი ფორმა; ეს ღირებულება ინახება, დიდდება, თავის თავდაპირველ სიდიდესთან შედარების მეშვეობით თავის გადიდებას ზომავს ყველა გარდაქმნისას, რასაც განიცდიან საქონელნი, რომლებშიც ის არის წარმოდგენილი, და, — თუ არაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ თვით იგი წარმოდგება ხოლმე სხვადასხვა სახმარი ღირებულების სახით, — იგი იცვლის საქონელთ, რომელნიც მის სხეულებრივ გარსს წარმოადგენენ. წარმოებისადმი წამძღვარებული ღირებულების მიმართება წარმოების შედეგად მიღებულ ღირებულებასთან, — წარმოებისადმი წამძღვარებული ღირებულების სახით კი კაპიტალი არის კაპიტალი მოგების საპირისპიროდ, — ქმნის კაპიტალისტური წარმოების მთელი პროცესის ყოველსიმომცველ და განმსაზღვრელ მომენტს. აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტო ღირებულების დამოუკიდებელ გამოხატულებასთან, როგორც ამას ადგილი აქვს ფულში, არამედ მოძრაობის პროცესში

მყოფ ღირებულებასთან, ღირებულებასთან, რომელიც თავის თავს ინახავს ისეთ პროცესში, სადაც სახმარი ღირებულებანი უაღრესად სხვადასხვა ფორმას გაივლიან. ამრიგად, ღირებულების მიერ მოპოვებული დამოუკიდებლობა კაპიტალში უფრო მეტად ვლინდება, ვიდრე ფულში.

ნათქვამის საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ «სიტყვების გარშემო კამათის» მოწინააღმდეგის — იმ ჩვენი ქუთის დამჩემებლის სიბრძნის შესახებ, რომელიც საცვლელი ღირებულების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებას განიხილავს როგორც უწინაარსო ფრაზას, როგორც გამოთქმის მანერას, სქოლასტიკურ გამოწვინებას.

«სიტყვა «ღირებულება». ანუ valeur ფრანგულად, იხმარება არა მარტო აბსოლუტური აზრით. ნაცვლად იმისა, რომ იხმარებოდეს შეფარდებითი აზრით, როგორც ნივთთა თვისება, არამედ ზოგიერთი ავტორის მიერ იგი რაღაც გაზომვადი საქონლის აზრითაც კი იხმარება. «ღირებულების ფლობა», «ღირებულების ნაწილის გადატანა» (ესოდენ მნიშვნელოვანი მომენტი ძირითადი კაპიტალისათვის), «ღირებულებათა ჯამი, ანუ ერთობლიობა» და ა. შ. მე არ ვიცი, რას ნიშნავს ყოველივე ეს» (ციტირ. თხზ., გვ. 57).

ის გარემოება, რომ დამოუკიდებლად ქცეულ ღირებულებას შეუძლია ფულში კვლავ პოვოს მხოლოდ შეფარდებითი გამოხატულება, რადგან თვით ფული საქონელია, და, მაშასადამე, მისი ღირებულება ცვალებადია, სრულიადაც არ ცვლის საქმეს, არამედ ისეთი არასრულყოფილობაა, რომელიც გამომდინარეობს საქონლის ბუნებიდან და იქიდან, რომ საქონლის საცვლელ ღირებულებას აუცილებლად უნდა მიეცეს მისი სახმარი ღირებულებისაგან განსხვავებული გამოხატულება. თავისი «მე არ ვიცი» ჩვენმა ავტორმა მთელი სისრულით დაგვანახა. ამას გვიჩვენებს მთელი ხასიათი მისი კრიტიკისა, რომელსაც სურს ყუბედობით დააღწიოს თავი იმ სიძნელეებს, რომელთაც თვით ნივთთა წინააღმდეგობრივი განსაზღვრებანი შეიცავენ, და ამ წინააღმდეგობებს აცხადებს რეფლექსიის პროდუქტებად ანდა დავად სიტყვიერ განსაზღვრათა შესახებ.

«გამოთქმა «ორი ნივთის შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ღირებულება» შეიძლება ორ რამეს ნიშნავდეს: ან იმ შეფარდებას, რომლითაც ორი ნივთი იცვლება თუ გაიცვლება ერთი მეორეზე. ანდა მესამე ნივთის შეფარდებითს რაოდენობებს, რომლებზეც თითოეული მათგანი იცვლება თუ გაიცვლება» (ციტირ. თხზ., გვ. 53).

თქმა არ უნდა, ჩინებული განსაზღვრა! თუ ვ გირვანქა ყავა იცვლება დღეს ან გაიცვლება ხვალ 1 გირვანქა ჩაიზე, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ აქ ადგილი აქვს ეკვივალენტების გაცვლას. ამ საფუძველით ყოველ საქონელს შეეძლო გაცვლილიყო ყოველთვის მხოლოდ თავისი ღირებულების მიხედვით, რადგან მისი ღირებულება იქნებოდა სხვა საქონლის ნებისმიერი რაოდენობა, რომელზეც იგი შემთხვევით იყო გაცვლილი. მაგრამ ჩვეულებრივ ეს როდი «აქვთ მხედველობაში».

როცა ამბობენ, რომ 3 გირვანქა ყავა გაიცვალა მთის ეკვივალენტზე — ჩაის სახით. იგულისხმება, რომ გაცვლის შემდეგ, როგორც გაცვლამდეც, გაცვლის თითოეულ მონაწილეს ხელთა აქვს ერთნაირი ღირებულებების საქონელი. ღირებულებას განსაზღვრავს არა შეფარდება, რომლითაც ორი საქონელი ერთიმეორეზე იცვლება, არამედ საქონელთა ღირებულება განსაზღვრავს იმ შეფარდებას, რომლითაც ისინი ერთმანეთზე იცვლებიან. თუ ღირებულება სხვა არაფერია, თუ არა საქონლის ის რაოდენობა, რომელზეც საქონელი A შემთხვევით იცვლება, მაშინ როგორ გამოვხატოთ A საქონლის ღირებულება B, C და ა. შ. საქონლებში? ამ შემთხვევაში ხომ [819], რაკი არ არის იმანენტური საზომი ორივესთვის, A საქონლის ღირებულება ვერ გამოიხატებოდა B საქონელში მანამდე, ვიდრე A საქონელი არ გაიცვლებოდა B-ზე.

შეფარდებითი ღირებულება ნიშნავს, ჯერ ერთი, ღირებულებების სიდიდეს საერთოდ ღირებულებების მყოფობის თვისებრივი განსაზღვრისაგან განსხვავებით. ამიტომ ეს უკანასკნელიც არ არის რაღაც აბსოლუტური რამ. მეორე, შეფარდებითი ღირებულება ნიშნავს ერთი საქონლის ღირებულებას, გამოხატულს სხვა საქონლის სახმარ ღირებულებაში. ეს არის მხოლოდ შეფარდებითი გამოხატულება მისი ღირებულებისა, — სახელდობრ, მის შეფარდებაში იმ საქონელთან, რომელშიც ის გამოხატულია. ერთი გირვანქა ყავის ღირებულება მხოლოდ შეფარდებით არის გამოხატული ჩაიში. იმისათვის, რომ იგი აბსოლუტურად გამოვხატოთ — შეფარდებითი ფორმითაც კი, ე. ი. მისი შეფარდებით არა სამუშაო დროსთან, არამედ სხვა საქონელთან, — საჭირო იქნებოდა მისი გამოხატვა ყველა სხვა საქონელთან განტოლებათა უსასრულო მწკრივით. ეს იქნებოდა მისი შეფარდებითი ღირებულების აბსოლუტური გამოხატვა [შეფარდებითი ფორმით]. ღირებულების აბსოლუტური გამოხატვა იქნებოდა მისი გამოხატვა სამუშაო დროით, და ამ აბსოლუტური გამოხატვის მეშვეობით იგი გამოხატული იქნებოდა რაღაც შეფარდებითის სახით, მაგრამ იმ აბსოლუტური მიმართების ფარგლებში, რომლის ძალითაც ის არის ღირებულება.

* * *

გადავიდეთ ახლა ბეილზე.

მისი თხზულების დადებითი დამსახურება მხოლოდ ერთია — სახელდობრ ის, რომ იგი პირველია, რომელიც უფრო სწორად განსაზღვრავს

ღირებულებების საზომს, მაშასადამე, სინამდვილეში ფულის ერთ-ერთ ფუნქციას, ანუ ფულს განსაკუთრებულ ფორმაგანსაზღვრულობაში. საქონელთა ღირებულებების გასაზომად — ღირებულების გარეგანი საზომისათვის — არაა აუცილებელი, რომ იმ საქონლის ღირებულება, რომელშიც სხვა საქონლის ღირებულება იზომება, უცვლელი იყოს (პირიქით, როგორც მე პირველ ნაწილში⁵⁴ დავამტკიცე, მას უნდა ჰქონდეს ცვლილების უნარი, რადგან თვით ღირებულებათა საზომი საქონელია და საქონელი უნდა იყოს, ვინაიდან სხვაგვარად მას არ ექნებოდა სხვა საქონელთაგან საერთო იმანენტური საზომი). თუ, მაგალითად, ფულის ღირებულება იცვლება, იგი თანაბრად იცვლება ყველა სხვა საქონლის მიმართ. ამიტომ საქონელთა შეფარდებითი ღირებულებანი გამოიხატება ფულში ისევე სწორად, თითქოს ფული უცვლელი დარჩენილიყოს.

ამით თავიდან იქნა მოშორებული «ღირებულებათა უცვლელი საზომის» გამონახვის პრობლემა. მაგრამ თვით ეს პრობლემა (ისტორიის სხვადასხვა პერიოდში საქონელთა ღირებულებების შედარებისადმი ინტერესი არსებითად არ არის ეკონომიური ინტერესი თავისთავად, არამედ აკადემიური ინტერესია*) წარმოიშვა გაუგებრობიდან და მასში გაცილებით უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი საკითხი იმალებოდა. «ღირებულებათა უცვლელი საზომი» ნიშნავდა უწინარეს ყოვლისა ღირებულებათა ისეთ საზომს, რომელსაც თვით უნდა ჰქონოდა უცვლელი ღირებულება, ე. ი. რადგანაც თვით ღირებულება საქონლის განსაზღვრა არის, «ღირებულებათა უცვლელი საზომი» ნიშნავდა საქონელს უცვლელი ღირებულებით. თუ, მაგალითად, ოქრო და ვერცხლი ან მარცვლეული ანდა ასევე შრომა, ასეთი საქონელი იქნებოდნენ, მაშინ მათთან შედარების საშუალებით, იმ შეფარდების მეოხებით, რომლითაც სხვა საქონელთა გაცვლა ხდება მათზე, შეიძლებოდა ამ სხვა საქონელთა ღირებულების ცვლილების ზუსტად გაზომვა მათი ფასით, რომელიც გამოხატული იქნებოდა ოქროთი, ვერცხლით, მარცვლეულით ანდა მათი შეფარდებით ხელფასთან. მაშასადამე, ამნაირად დასმულ პრობლემაში თავიდანვე ივარაუდება, რომ «ღირებულებათა საზომში» ლაპარაკია მხოლოდ ისეთ საქონელზე, რომელშიც ყველა სხვა საქონელი გამოხატავს თავის ღირებულებას, — იქნება — ეს საქონელი, რომელშიც ისინი ღირებულებას ნამდვილად გამოხატავენ, ე. ი. ფული, ფულის სახით მოქმედი საქონელი, თუ ისეთი საქონელი, რომელიც ფავისი უცვლელი ღირებულების მეოხებით იქნებოდა ის ფული, რომლის მეშვეობითაც

* — იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 184. რეკ.

თეორეტიკოსი გამოთვლას აწარმოებს. მაგრამ ცხადია, რომ ყველა-
გარემოებაში აქ საქმე ეხება მხოლოდ ისეთ ფულს, რომელიც ღირებუ-
ლების საზომია და — თეორიულად ან პრაქტიკულად — თვითონ არ
განიცდის ღირებულების ცვლილებებს.

მაგრამ რათა ყველა საქონელმა თავისი საცვლელი ღირებულება,
როგორც დამოუკიდებელი რამ, გამოხატოს ფულში, მესამე საქონელში,
განსაკუთრებულ საქონელში, — ამისათვის უკვე ნაფარადგვია ს ა ქ ო -
ნ ე ლ თ ა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი. ლაპარაკია კიდევ მხოლოდ იმაზე,
რომ შესაძლებელი იყოს მათი ერთიმეორესთან შედარება რაოდენობ-
რივად. რათა საქონელთა ღირებულებებმა და ამ ღირებულებათა გან-
სხვავებებმა ამგვარი გამოხატულება მიიღონ, ამისთვის წანამძღვრის
სახით უკვე მოცემულია ის ე რ თ ი ა ნ ი ს ა წ ყ ი ს ი, რომელიც ყველა
საქონელს ერთსა და იმავედ ხდის, თვისებრივად აერთიანებს მათ რო-
გორც ღირებულებას. თუ, მაგალითად, ყველა საქონელი თავის ღირე-
ბულებას ოქროში გამოხატავს, მაშინ ეს გამოხატვა ოქროში, მათი ფასი
ოქროში, მათი განტოლება ოქროსთან არის ის განტოლება, რომლიდა-
ნაც შეიძლება აეხსნათ, გამოვიანგარიშოთ მათი ღირებულებითი შეფარ-
დება ერთიმეორესთან, რადგან ისინი გამოხატული არიან ახლა როგორც:
ო ქ რ ო ს ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ნ ი და ამ წესით საქო-
ნელნი წარმოდგენილნი არიან თავიანთ ფასებში როგორც [820] ერთ-
სახელიანი და შესადარი სიდიდენი.

მაგრამ რათა საქონელთა ამგვარად გამოხატვა შესაძლებელი იყოს,
ისინი უკვე უნდა იყვნენ ი დ ე ნ ტ უ რ ნ ი რ ო გ ო რ ც ღ ი რ ე -
ბ უ ლ ე ბ ა ნ ი. პრობლემა, როგორ გამოეხატოთ ყოველი საქონლის-
ღირებულება ოქროში, გადაუწყვეტელი იქნებოდა, თუ საქონელი და
ოქრო ანდა ნებისმიერი ორი საქონელი ვერ გამოიხატებოდა ერთიმეო-
რეში როგორც ღირებულებანი, როგორც ერთი და იმავე ერთიანი საწყი-
სის წარმომადგენენი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უკვე თვით პრობლემა
შეიცავს ამ წანამძღვარს. საქონელნი უკვე ნაფარადგვია როგორც ღირე-
ბულებანი, როგორც თავიანთი სახმარი ღირებულებებისაგან განსხვავე-
ბული ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი მანამდე, ვიდრე ლაპარაკი შეიძლებოდეს.
ამ ღირებულების გამოხატვაზე რომელიმე სხვა განსაკუთრებულ სა-
ქონელში. იმისათვის, რომ სხვადასხვა სახმარი ღირებულების ორი რაოდ-
ენობა ერთიმეორეს გაუთანაბრდეს როგორც ეკვივალენტები, უკვე
ნაგულისხმევია, რომ რომელიდაც მესამეში ისინი თ ა ნ ა ბ ა რ ნ ი,
თ ვ ი ს ე ბ რ ი ვ ა დ ერთნაირი არიან და ამ თვისებრივად ერთნაირის-
მხოლოდ სხვადასხვა რაოდენობრივ გამოხატულებას წარმოადგენენ.

ამრიგად, «ლირებულების უცვლელი მასშტაბის» პრობლემა სინამდვილეში იყო მხოლოდ მცდარი გამოთქმა თვით ღირებულების, მისი ბუნების ძიებისათვის, ღირებულების ისეთი განსაზღვრის ძიებისათვის, რომელიც თვით არ იქნებოდა, თავის მხრივ, ღირებულება და მაშასადამე, არც დაექვემდებარებოდა ცვლილებებს როგორც ღირებულება. ღირებულების ასეთი განსაზღვრა იყო სამუშაოდრო — სანოგადოებრივი შრომა. როგორც იგი სპეციფიკურად წარმოდგენილია საქონელწარმოებაში. შრომის ამა თუ იმ რაოდენობას არა აქვს ღირებულება, ის არ არის საქონელი, არამედ არის ის, რაც საქონელთა ღირებულებებზედ აქცევს, ის ერთიანობა მათში, რის გამოხატვითაც საქონელნი თვისებრივად ერთნაირი არიან და მხოლოდ რაოდენობრივად განსხვავდებიან. ესენია საქონელნი როგორც საზოგადოებრივი სამუშაოდროის გარკვეულ რაოდენობათა გამოხატულებანი.

ვთქვათ, ოქროს აქვს უცვლელი ღირებულება. თუ ამ შემთხვევაში ყველა საქონლის ღირებულება გამოხატული იქნებოდა ოქროთი, მაშინ მე შემეძლო საქონელთა ღირებულების ცვლილებანი გამეზომა ოქროთი გამოხატული ფასების მიხედვით. მაგრამ იმისათვის, რომ საქონელთა ღირებულებანი ფულში გამოვხატოთ, საქონელი და ოქრო უნდა იყვნენ იდენტურნი როგორც ღირებულებანი. ოქრო და საქონელი შეიძლება გავიგივოთ ერთიმეორესთან მხოლოდ როგორც გარკვეული რაოდენობრივი გამოხატულებანი ამ ღირებულებისა, როგორც გარკვეული სიდიდენი ღირებულებისა. ოქროს უცვლელი ღირებულება და დაწარჩენ საქონელთა ცვალებადი ღირებულება ხელს ვერ შეუშლიდა იმას, რომ, როგორც ღირებულება, ისინი ყოფილიყვნენ ერთი და იგივე, ერთი და იმავე სუბსტანციისაგან შედგენილნი. ვიდრე ოქროს უცვლელი ღირებულება თუნდაც ერთი ნაბიჯით წაგვეწედა წინ, ჯერ საქონელთა ღირებულება უნდა გამოგვეხატა, შეგვეფასებინა ოქროთი, — ე. ი. წარმოგვედგინა ოქრო და საქონელი როგორც გამოხატულებანი ერთი და იმავე ერთიანი საწყისისა, როგორც ეკვივალენტები.

{რათა შესაძლებელი იყოს საქონელთა გაზომვა მათში მოთავსებული შრომის რაოდენობით, — შრომის რაოდენობის საზომს კი წარმოადგენს დრო, — სხვადასხვა საქონელში მოთავსებული შრომის სხვადასხვაგვარი სახეობანი უნდა დაყვანილ იქნენ ერთნაირ მარტივ შრომაზე, საშუალო შრომაზე, ჩვეულებრივ, არაკვალიფიციურ შრომაზე. მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი სხვადასხვა საქონელში მოთავსებული შრომის რაოდენობის გაზომვა დროით, ერთნაირი საზომით. ეს შრომა უნდა იყოს თვისებ-

რიკარდო ერთნაირი, რათა მისი განსხვავებანი მარტოოდენ რაოდენობრივ განსხვავებებზე დაიყვანებოდეს, მხოლოდ სიდიდის განსხვავებას წარმოადგენდეს. მაგრამ ეს დაყვანა მარტივ საშუალო შრომაზე არ არის ამ შრომის თვისებების ერთადერთი განსაზღვრა, რაზეც, როგორც ერთიან საწყისზე, საქონელთა ღირებულებანი დაიყვანება. ის გარემოება, რომ რომელიმე საქონელში მოთავსებული შრომის რაოდენობა არის მისი წარმოებისათვის საზოგადოებრივად აუცილებელი რაოდენობა, რომ, მაშასადამე, სამუშაო დრო არის აუცილებელი ისამუშაოდრო, — ეს ისეთი განსაზღვრაა, რომელიც მხოლოდ ღირებულებების სიდიდეს ეხება. მაგრამ ღირებულებათა ერთიანი საწყისის შემქმნელი შრომა არ არის მხოლოდ ერთნაირი, მარტივი, საშუალო შრომა. შრომა არის კერძო ინდივიდუუმის შრომა, წარმოდგენილი გარკვეულ პროდუქტში. მაგრამ როგორც ღირებულება პროდუქტი უნდა იყოს საზოგადოებრივი შრომის განსახიერება და როგორც ასეთს მას უნდა შესწევდეს იმის უნარი, რომ უშუალოდ გადაიქცეს ერთი სახმარი ღირებულებიდან ნებისმიერ სხვა სახმარ ღირებულებად (ის გარკვეული სახმარი ღირებულება, რომლითაც შრომა უშუალოდ გამოიხატება, უნდა წარმოადგენდეს ამ შრომისათვის რაღაც ინდიფერენტულს, ისე რომ პროდუქტის გადაყვანა სახმარი ღირებულების ერთი ფორმიდან მეორეში შესაძლებელი იყოს). მაშასადამე, კერძო შრომა უნდა გამოვლინდეს უშუალოდ როგორც თავისი თავის დაპირისპირებულობა, როგორც საზოგადოებრივი შრომა; ეს გარდაქმნილი შრომა, როგორც კერძო შრომის უშუალო დაპირისპირებულობა, არის აბსტრაქტულად საყოველთაო შრომა, რომელიც გამოხატავს კიდევ თავის თავს რომელიმე საყოველთაო ეკვივალენტში. მხოლოდ თავისი გასხვისების [Veräußerung] მეშვეობით გამოიხატება ინდივიდუალური შრომა ნამდვილად როგორც თავისი თავის დაპირისპირებულობა. მაგრამ საქონელს უნდა ჰქონდეს ეს საყოველთაო გამოხატულება, ვიდრე მისი გასხვისება მოხდებოდეს. ინდივიდუალური შრომის საყოველთაო შრომის სახით გამოხატვის ეს აუცილებლობა არის საქონლის ფულში გამოხატვის აუცილებლობა. რამდენადაც ეს ფული წარმოადგენს საქონლის ღირებულების საზომს და მის გამოხატულებას ფასით, საქონელი ღებულობს ამ გამოხატულებას. მაგრამ მხოლოდ ფულად თავისი ნამდვილი გადაქცევით, გაყიდვით ღებულობს საქონელი თავის ადეკვატურ გამოხატულებას როგორც საცვლელი ღირებულება. პირველი გადაქცევა არის მხოლოდ თეორიული, მეორე კი — ნამდვილი პროცესი.

11. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

[821] ამრიგად, როცა ვლადპარაკობთ ფულის როგორც საქონლის ყოფიერებაზე, უნდა აღინიშნოს არა მარტო ის, რომ ყველა საქონელი ფულში თავის თავს აძლევს თავისი ღირებულების სიდიდის გარკვეულ სახეობას, — რამდენადაც ისინი ყველანი თავიანთ ღირებულებას ერთი და იმავე საქონლის სახმარ ღირებულებაში გამოხატავენ, — არამედ ისიც, რომ ისინი ყველანი წარმოდგენილი არიან როგორც საზოგადოებრივი, აბსტრაქტულად საყოველთაო შრომის ყოფიერება. ეს არის ის ფორმა, რომელშიც მათ ყველას ერთი და იგივე სახე აქვთ, ყველანი საზოგადოებრივი შრომის უშუალო განსახიერებათა სახით გვევლინებიან; და როგორც ამ თვისების მქონენი ისინი ყველანი მოქმედებენ როგორც საზოგადოებრივი შრომის ყოფიერება, შეუძლიათ უშუალოდ — თავიანთი ღირებულების პროპორციულად — გაცვლილიყვნენ ყველა სხვა საქონელზე; ამავე დროს იმის ხელში, ვისი საქონელიც ფულად არის გადაქცეული, საქონელი არის არა ყოფიერება საცვლელი ღირებულებისა რომელიმე განსაკუთრებულ სახმარ ღირებულებაში, არამედ ყოფიერება სახმარი ღირებულებისა (მაგალითად, ოქროსი) როგორც მარტოდენ საცვლელი ღირებულების მატარებლისა. საქონელი შეიძლება გაიყიდოს თავის ღირებულებაზე უფრო დაბალ ან მაღალ ფასად. ეს ეხება მხოლოდ მისი ღირებულების სიდიდეს. მაგრამ ყოველთვის, როცა საქონელი გაყიდულია, გადაქცეულია ფულად, მის საცვლელ ღირებულებას აქვს თავისთავადი, მისი სახმარი ღირებულებისაგან განსხვავებული ყოფიერება. საქონელი ახლა არსებობს მხოლოდ როგორც საზოგადოებრივი სამუშაო დროის გარკვეული რაოდენობა, და იგი ამტკიცებს ამას იმით, რომ მას შეუძლია უშუალოდ გაიცვალოს ყოველ საქონელზე, გადაიქცეს ყოველგვარ სახმარ ღირებულებად (თავისი რაოდენობის შესაბამისად). ფულის განხილვისას ამ პუნქტის მხედველობიდან გაშვება ისევე არ შეიძლება, როგორც არ შეიძლება მხედველობიდან გაფუშვით ის ფორმალური გარდაქმნა, რასაც ვანიცდის საქონელში მოთავსებული შრომა როგორც საქონლის ღირებულების ელემენტი. მაგრამ ფულში, — ამ აბსოლუტურ გაცვლადობაში, რაც გააჩნია საქონელს როგორც ფულს, მის აბსოლუტურ ქმედითობაში საცვლელი ღირებულების სახით, რასაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ღირებულების სიდიდესთან და რაც წარმოადგენს არარაოდენობრივ, არამედ თვისებრივ განსაზღვრას, — მეღაღნდება, რომ თვით საქონლის მიერ შესრულებული პროცესის შედეგად მისი საცვლელი ღირებულება განცალკევდება რაღაც დამოუკიდებელის სახით და რეალურად ღებულობს გამოხატულებას თავისუფალი ფორმით საქონლის სახმარი ღირებულების

გვერდით, მსგავსად იმისა როგორც იდეალურად ამას ადგილი აქვს უკვე საქონლის ფასში.

ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ «Observations on certain Verbal Disputes»-ს ავტორს, ისევე როგორც ბეილის, ვერაფერი გაუგია ღირებულებისა და ფულის არსებისა, რაკი მათ ღირებულების განცალკევება რაღაც დამოუკიდებელის სახით ეკონომისტების რაღაც სქოლასტიკურ გამონაგონად მიაჩნიათ. ღირებულების ეს განცალკევება რაღაც დამოუკიდებელის სახით კიდევ უფრო მეტად მეღვენდება კაპიტალში, რომელსაც გარკვეული აზრით შეიძლება ეწოდოს მოძრაობის პროცესში მყოფი ღირებულება, — მაშასადამე, რადგან ღირებულებას მხოლოდ ფულში გააჩნია დამოუკიდებელი არსებობა, — შეიძლება ეწოდოს მოძრაობის პროცესში მყოფი ფული, რომელიც გაივლის მთელ რიგ პროცესებს, ამ პროცესების მეშვეობით შეინახება, გამოდის თავისი თავიდან და უბრუნდება თავის თავს გადიდებული რაოდენობით. ის, რომ სინამდვილის პარადოქსი გამოიხატება აგრეთვე სიტყვიერ პარადოქსებშიც, რომლებიც ეწინააღმდეგება ჩვეულებრივ ადამიანურ განსჯას, ეწინააღმდეგება იმას, რაც მხედველობაში აქვთ ვულგარულ ეკონომისტებს და რის შესახებაც, მათი აზრით, ისინი ლაპარაკობენ, — ეს თავისთავად გასაგებია. წინააღმდეგობანი, რომელნიც იქიდან გამომდინარეობენ, რომ საქონელწარმოების საფუძველზე კერძო შრომა საყოველთაო საზოგადოებრივი შრომის სახით გამოიხატება, რომ ადამიანთა ურთიერთობანი წარმოგვიდგება როგორც ნივთთა ურთიერთობანი და როგორც ნივთები, — ეს წინააღმდეგობანი არსებობენ თვით საგანში და არა საგნის სიტყვიერ გამოხატულებაში. }

ხშირად ისე ჩანს, რომ რიკარდო ფიქრობს, — და იგი მართლაც ზოგჯერ ასეც ლაპარაკობს, — თითქოს შრომის რაოდენობა არის «ღირებულებათა უცვლელი საზომის» მცდარი ან მცდარად გაგებული პრობლემის გადაწყვეტა, მსგავსად იმისა, როგორც მარცვლელი, ფული, ხელფასი და ა. შ. წინათ განიხილებოდა და წამოყენებული იყო ხოლმე ამგვარი პრიმიტიული საშუალების სახით ამ პრობლემის გადასაწყვეტად. ეს მცდარი გარეგნობა რიკარდოს შეხედულებათა სისტემაში იქიდან წარმოდგება, რომ მისთვის გადაწყვეტი ამოცანაა ღირებულების სიდიდის განსაზღვრა. აი რატომ ვერ გაიგო მან ის სპეციფიკური ფორმა, რომელშიც შრომა ღირებულების ელემენტია, განსაკუთრებით კი ვერ გაიგო აუცილებლობა იმისა, რომ ცალკეული შრომა წარმოდგენილი იყოს როგორც აბსტრაქტულად საყოველთაო და, ამ ფორმით, როგორც საზოგადოებრივი შრომა. ამიტომ რიკარდომ ვერ გაიგო ფუ-

ლის წარმოქმნის კავშირი ღირებულების რაობასთან და სამუშაო ღრით ამ ღირებულების განსაზღვრასთან.

ბეილის თხზულებას გარკვეული დამსახურება აქვს იმდენად, რამდენადაც მან თავისი კრიტიკული მოსაზრებით გამოამყლავნა არევა «ღირებულების საზომისა». რომელიც გამოხატულია ფულში როგორც საქონელში სხვა საქონელთა გვერდით, ღირებულების იმანენტურ საზომთან და სუბსტანციასთან. მაგრამ მას რომ თვითონ გაეანალიზებინა ფული როგორც «ღირებულების საზომი». არა მარტო როგორც რაოდენობრივი საზომი, არამედ როგორც საქონელთა თვისებრივი გარდაქმნაც, იგი თვითონ მივიდოდა ღირებულების სწორ ანალიზამდე. ნაცვლად ამისა ბეილი ვერ მიდის იმ გარეგნული «ღირებულების საზომის» ზერელე განხილვაზე უფრო შორს, რომელიც უკვე გულისხმობს ღირებულებას, და რჩება ყოველგვარ ჭეშმარიტ აზრს მოკლებულ მსჯელობათა სფეროში.

[822] მაგრამ რიკარდოს მსჯელობაში მაინც შეიძლება მოინახოს ცალკეული ადგილები, სადაც ის პირდაპირ აღნიშნავს, რომ საქონლებში მოთავსებული შრომის რაოდენობა მხოლოდ იმიტომ არის მათი ღირებულების ს ი დ ი დ ე თ ა, მათი ღირებულების ს ი დ ი დ ი ს გ ა ნ ს ხ ე ა ვ ე ბ ა თ ა ი მ ა ნ ე ნ ტ უ რ ი სა ზ ო მ ი, რომ შრომა არის ის, რაშიაც სხვადასხვა საქონელი ე რ თ ნ ა ი რ ი ა, მათი ერთიანობა, მათი სუბსტანცია, მათი ღირებულების შინაგანი საფუძველი. რიკარდომ მხოლოდ უგულებელყო იმის გამოკვლევა, თუ რომელი გარკვეული ფორმით წარმოგვიდგება შრომა ასეთად.

«თუ ჩვენ მივიღებთ შ რ ო მ ა ს საქონელთა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ს ა ფ უ ჯ ე ლ ად, მათი წარმოებისათვის აუცილებელი შ რ ო მ ი ს შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ს რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ს კ ი ს ა ზ ო მ ა დ, რომელიც განსაზღვრავს ერთიმეორეზე გასაცვლელ საქონელთა შეესაბამის რაოდენობებს, აქედან ჯერ კიდევ არ გამოდინარეობს, რომ ჩვენ უარეყოფთ საქონელთა ფაქტიურ, ანუ საბაზრო, ფასის შემთხვევითსა და დროებითს გადახრებს ამ მათი პირველადი და ბუნებრივი ფასიდან» (Ricardo, Principles. 3rd edition. London, 1821, გვ. 80).

«გაზომო... [ამბობს დესტიუტ დე ტრასი]... ნიშნავს ნახო, რამდენი მ ა ე ვ ს ა ხ ი ს ე რ თ ე უ ლ ს შეიცავენ ისინი» (გასაზომი ნივთები). ფრანცი იქნებოდა ღირებულების საზომი არა ყოველი ნივთისათვის, არამედ მხოლოდ ი მ ა ე ვ ლ ი თ ო ნ ი ს ამა თუ იმ რაოდენობისათვის, რომლიდანაც გაკე რებულია ფრანკები, თუკი შეუძლებელი მქნებოდა ფრანკებისა და გასაზომი საგნის დაყვანა რ ო მ ე ლ ი მ ე ს ხ ე ა ს ა ზ ო მ - ზ ე, რ ო მ ე ლ ი ც ს ა ე რ თ ო ა ო რ ი ე ვ ს თ ვ ი ს. ასეთი დაყვანის შესაძლებლობა, ჩემი აზრით, არსებობს, რადგან ორივე ისინი შ რ ო მ ი ს შ ე დ ე გ ი ა, და იმიტომ შრომა» (ცინაიდან შრომა არის მათი causa efficiens*) «ის ს ა ე რ თ ო ს ა ზ ო მ ი ა, რომლის საშუალებითაც შეიძლება განისაზღვროს მათი როგორც ნ ა მ დ ვ ი ლ ი; ისე აგრეთვე შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა» (Ricard. Principles. 3rd edition. London, 1821, გვ. 333—334).

* — მოქმედი მიზეზი. რ ე დ.

ყველა საქონელი შეიძლება დაყვანილ იქნეს შრომაზე, როგორც მათს ერთიანობაზე. რასაც რიკარდო არ იკვლევს, ეს არის ის სპეციფიკური ფორმა, რომელშიც ვლინდება შრომა როგორც საქონელთა ერთიანობა. ამიტომაც რიკარდოს არ ესმის ფული. ამიტომ გვევლინება მასთან საქონელთა გადაქცევა ფულად როგორც მხოლოდ ფორმალური რამ, რომელიც ღრმად ვერ სწვდება კაპიტალისტური წარმოების შინაგან რაობას. მაგრამ იგი ერთ რამეს გვეუბნება: სწორედ იმიტომ, რომ შრომა საქონელთა ერთიანობაა, მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა საქონელი მხოლოდ გამოხატულებაა ამ ერთიანობისა, შრომისა, მხოლოდ ამიტომ არის შრომა მათი საწომი. იგი მხოლოდ იმიტომაც მათი საწომი, რომ ის არის საქონელთა — როგორც ღირებულებათა — სუბსტანცია. რიკარდო ჯეროვნად ვერ განასხვავებს შრომას, რამდენადაც იგი წარმოდგენილია სახმარ ღირებულებებში, შრომისაგან, რამდენადაც იგი წარმოდგენილია საცვლელ ღირებულებაში. შრომა როგორც ღირებულების საფუძველი არ არის განსაკუთრებული შრომა, არ არის ამა თუ იმ განსაკუთრებული თვისების საქონელი. რიკარდოს ყველგან ერთმანეთში აქვს არეული შრომა, რამდენადაც იგი წარმოდგენილია სახმარ ღირებულებაში, და შრომა, რამდენადაც იგი წარმოდგენილია საცვლელ ღირებულებაში. ცხადია, შრომის უკანასკნელი ფორმა არის მხოლოდ აბსტრაქტული სახით აღებული პირველი ფორმა.

ნამდვილ ღირებულებად რიკარდოს მიაჩნია ზემოდასახელებულ ნაწყვეტში საქონელი როგორც განსახიერება განსაზღვრული სამუშაო დროისა. შეფარდებით ღირებულებად იგი თვლის საქონელში მოთავსებული სამუშაო დროის გამოხატულებას სხვა საქონელთა სახმარ ღირებულებებში.

ახლა დავებრუნდეთ ბეილიის.

ბეილი ჩასჭიდებია იმ ფორმას, რომლითაც საქონლის საცვლელი ღირებულება საქონლის სახით გამოიხატება, ვლინდება. ზოგადი ფორმით იგი წარმოგვიდგება იმით, რომ გამოიხატება ისეთი მესამე საქონლის სახმარ ღირებულებაში, რომელშიც აგრეთვე ყველა სხვა საქონელი გამოხატავს თავის ღირებულებას და რომელიც წარმოადგენს ფულს, — ე. ი. გამოიხატება საქონლის ფულად ფასში. განსაკუთრებულ ფორმაში იგი თავის თავს ავლენს მაშინ, როცა რომელიმე საქონლის საცვლელ ღირებულებას მე გამოვხატავ სხვა რომელიმე საქონლის სახმარ ღირებულებით, ე. ი. როგორც მარცვლელულობით, ტილოთი და ა. შ. გამოხატულ ფასს. ფაქტიურად საქონლის საცვლელი ღირებულება ვლინდება, გამოხატავს

თავის თავს სხვა საქონელთათვის მუდამ მხოლოდ იმ რაოდენობრივი შეფარდებათ, რომლითაც მათი გაცვლა ხდება. ცალკეულ საქონელს როგორც ასეთს არ შეუძლია გამოხატოს საყოველთაო სამუშაო დრო, ანდა მას შეუძლია გამოხატოს იგი მხოლოდ მოცემული საქონლის ისეთ საქონელთან განტოლების სახით, რომელიც ფულის როლს ასრულებს, — ე. ი. მოცემული საქონლის ფულადი ფასის სახით. მაგრამ მაშინ A საქონლის ღირებულება მუდამ წარმოდგენილია D-ს სახმარი ღირებულების გარკვეულ რაოდენობაში, ფულის სახით მოქმედი საქონლის სახმარ ღირებულებაში.

ასეთია უმუშალო გამოვლენა. და სწორედ ამას ჩასჭიდებია ბეილიც. ის ყველაზე ზედაპირული ფორმა, რომელშიც ვლინდება საცვლელი ღირებულება როგორც რაოდენობრივი შეფარდება, რომლითაც საქონელთა ერთიმეორეზე გაცვლა ხდება, არის სწორედ, ბეილის აზრით, მათი ღირებულება. ზედაპირიდან შემდგომი სვლა სიღრმეში ნებადართული არ არის. ბეილი ივიწყებს იმ მარტივ მოსაზრებასაც კი, რომ თუ y არშინი ტილო = x გირვანქა ნამჭას, ეს ტოლობა არაერთნაირი ნივთებისა, ტილოსი და ნამჭისა, ხდის მათ ერთნაირ სიღიდებად. ეს მათი ყოფიერება რალაც ერთნაირის სახით ხომ უნდა განსხვავდებოდეს [823] მათი ყოფიერებისაგან ნამჭისა და ტილოს სახით. ისინი გათანაბრებული არიან ერთიმეორესთან არა როგორც ნამჭა და ტილო, არამედ როგორც ეკვივალენტები. ამიტომ განტოლების ერთი მხარე უნდა გამოხატავდეს იმავე ღირებულებას, რასაც გამოხატავს მეორე მხარე. მაშასადამე, ნამჭისა და ტილოს ღირებულება არ უნდა იყოს არც ნამჭა, არც ტილო, არამედ უნდა იყოს რალაც საერთო ორივესთვის და ამასთანავე განსხვავებულა მათგან როგორც ნამჭისა და ტილოსაგან. რა არის ეს? ამაზე ბეილი არავითარ პასუხს არ იძლევა. ამის ნაცვლად იგი გაკვირით იხსენიებს პოლიტიკური ეკონომიის ყველა კატეგორიას, რათა მუდამ იმეოროს მონოტონურად ერთი და იგივე დებულება: ღირებულება არის საქონელთა გაცვლითი ურთიერთობა და ამიტომ იგი არ არის ამ ურთიერთობისაგან განსხვავებული რამ.

«თუ რომელიმე საგნის ღირებულება მისი მყიდველობითი უნარია, მაშინ უნდა არსებობდეს რაიმე საყიდლოდ, მაშასადამე, ღირებულება არ აღნიშნავს არავითარ დადებით ან საქონლისათვის შინაგანად დამახასიათებელ რაიმეს, არამედ აღნიშნავს მხოლოდ იმ მიმართებას, რომელშიც ერთიმეორესთან იმყოფება ორი საგანი როგორც გასაცვლელი» («A Critical Dissertation», გვ. 4—5).

ეს ფრაზა შეიცავს არსებითად ბეილის მთელ სიბრძნეს. «თუ ღირებულება არის მხოლოდ მყიდველობითი უნარია» (შესანიშნავი განსაზღვრაა, რამდენადაც «ყიდვა» გულისხმობს არა

მარტო ღირებულებას, არამედ ღირებულების ფულში გამოხატეასაც), «მაშინ იგი აღნიშნავს» და ა. შ. მაგრამ ვაუწყმინდოთ ჭერ ბეილის ეს ფრაზა იმისაგან, რაც მასში უაზროდ არის შეტანილი კონტრაბანდის გზით. «ყიდვა» ნიშნავს ფულის გადაქცევას საქონლად. მაშასადამე, უპირველეს ყოვლისა მოვიშოროთ თავიდან გამოთქმა «ყიდვა». წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მოგვიხდება ღირებულების ახსნა ღირებულებით. «ყიდვის» ნაცვლად ჩვენ უნდა ვთქვათ «გაცვლა სხვა საგნებზე». რომ ამასთან «უნდა არსებობდეს რაიმე საყიდლად», სრულიად ზედმეტი შენიშვნაა. «საგანს» რომ მისი მწარმოებლები ხმარობდნენ როგორც სახმარ ღირებულებას, ის რომ მხოლოდ სხვა საგნების მითვისების საშუალება არ იყოს, «ს ა ქ ო ნ ე ლ ი» რომ არ იყოს, მაშინ, რა თქმა უნდა, ღირებულებაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა.

ჭერ ბეილი ლაპარაკობს «საგანზე». მაგრამ შემდეგ მიმართება «რომელშიც ერთიმეორესთან იმყოფებიან საგნები», გადაიქცევა მის სისტემაში «მიმართებად, რომელშიც ისინი იმყოფებიან ერთიმეორესთან როგორც გასაცვლელი საქონელი». საგნები ხომ, რომლებზეც ლაპარაკია, იმყოფებიან ერთიმეორესთან მხოლოდ გაცვლის მიმართებაში, ანუ გასაცვლელი საგნების მიმართებაში. სწორედ ამის გამო არიან ისინი «ს ა ქ ო ნ ე ლ ი», რაც რაღაც სხვას ნიშნავს, ვიდრე «საგნები». პირიქით, «გასაცვლელი საგნების მიმართება» არის ან უაზრობა, რადგან «არა გასაცვლელი საგნები» არ არიან საქონელი, ანდა ბ-ნი ბეილი ეწინააღმდეგება თავის თავს. საგნები უნდა იცვლებოდნენ ერთიმეორეზე არა ყოველი შეფარდებით, არამედ უნდა იცვლებოდნენ როგორც საქონელი, ე. ი. ერთიმეორეს უნდა შეეფარდებოდნენ როგორც გასაცვლელი საგნები, ე. ი. როგორც ისეთი საგნები, რომელთაგანაც თითოეულს აქვს ღირებულება და რომელიც უნდა გაცივალონ ერთმანეთზე თ ა ვ ი ა ნ თ ო ე კ ვ ი ვ ა ლ ე ნ ტ ო ბ ი ს საფუძველზე. ამით ბეილი აღიარებდა, რომ ის შეფარდება, რომლითაც საქონელთა გაცვლა ხდება, ე. ი. უნარი ყოველი საქონლისა — იყიდოს სხვა საქონელი, განისაზღვრება მისი ღირებულებით, და არა ეს ღირებულება განისაზღვრება აღნიშნული უნარით, რომელიც მხოლოდ შედეგია ღირებულებისა.

ამრიგად, თუ ჩვენ ჩამოვაშორებთ ბეილის ზემომოყვანილ ფრაზას ყოველივეს, რაც მცდარი, კონტრაბანდული და უაზროა, მაშინ იგი მიიღებს ასეთ სახეს.

მაგრამ, შედეგ! ჩვენ გვერდი უნდა აუვაროთ კიდევ მეორე ხაფანგს და უაზრობას. ჩვენ გვაქვს ორგვარი გამოთქმა: «საგნის უნარი გაცვლისა» და ა. შ. (რადგან სიტყვა «ყიდვა» არაკანონზომიერი და უაზროა ფულის ცნების გარეშე) და «შ ე ფ ა რ დ ე ბ ა», რომლითაც ერთი საგან-

ნი გაიცვლება სხვებზე». თუ «უნარი» უნდა ნიშნავდეს «შეფარდების-გან» განსხვავებულ რამეს, მაშინ არ შეიძლება ვამტყიცოთ, რომ «უნარი-გაცვლისა» არის «მხოლოდ შეფარდება» და ა. შ. თუ ორივე გამოთქმა უნდა ნიშნავდეს ერთსა და იმავეს. მაშინ ერთისა და იმავეს აღნიშნავს ორი სხვადასხვა გამოთქმით, რომელთაც ერთიმეორესთან საერთო არაფერი აქვთ, შეუძლია მხოლოდ აბნეულობა წარმოშვას. ერთი ნივთის შეფარდება მეორესთან არის ამ ორი ნივთის შეფარდება ერთიმეორესთან, და მის შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ იგი ეკუთვნის რომელიმე მათგანს». ნივთის უნარი არის, პირიქით, რალაც შინაგანად დამახასიათებელი ნივთისათვის, თუმცა ეს მისთვის შინაგანად დამახასიათებელი თვისება შეიძლება ვლინდებოდეს მხოლოდ [824] სხვა ნივთებთან მიმართებაში. ასე, მაგალითად, მიზიდვის უნარი არის უნარი თვით ნივთისა, თუმცა ეს უნარი «ფარული» რჩება, ვიდრე არ არსებობენ ისეთი ნივთები, რომელთა მიზიდვაც შეიძლებოდა. ბელირი აქ ცდილობს «საგნის» ღირებულება დასახოს როგორც საგნისათვის დამახასიათებელი რამ და მიუხედავად ამისა არსებული მხოლოდ როგორც «მიმართება». ამიტომ ის ჭერ ხმარობს სიტყვას «უნარი», შემდეგ კი — სიტყვას «მიმართება».

ამრიგად, ბელის აზრის ზუსტი გამოხატვა იქნებოდა:

«თუ რომელიმე საგნის ღირებულება ის შეფარდებაა, რომლითაც ეს საგანი სხვა საგნებზე იცვლება, მაშინ, მაშასადამე» (ე. ი. ნაჰარაუდუვი «თუ»-ს გამო), «ღირებულება სხვას არაფერს აღნიშნავს, თუ არა შეფარდებას, რომელშიც ერთიმეორესთან იმყოფება ორი გასაცვლელი საგანი».

ამ ტაქტოლოგიის უარყოფას არავინ არ დაიწყებს. მაგრამ აქედან ის გამოდინარეობს, რომ საგნის «ღირებულება» «არაფერს არ აღნიშნავს». ავიღოთ, მაგალითად, განტოლება I გირვანქა ყავა = 4 გირვანქა ბამბას. როგორი იქნება ასეთ შემთხვევაში I გირვანქა ყავის ღირებულება? 4 გირვანქა ბამბა. 4 გირვანქა ბამბის ღირებულება? 1 გირვანქა ყავა. დარადგან 1 გირვანქა ყავის ღირებულება არის 4 გირვანქა ბამბა, ხოლო, მეორე მხრივ, 4 გირვანქა ბამბის ღირებულება = 1 გირვანქა ყავას, ამიტომ ცხადია, რომ 1 გირვანქა ყავის ღირებულება = 1 გირვანქა ყავას (ვინაიდან 4 გირვანქა ბამბა = 1 გირვანქა ყავას). $A = B$ -ს, $B = A$ -ს; აქედან $A = A$ -ს. ამ ახსნიდან გამოდის, მაშასადამე, რომ რომელიმე სახმარი ღირებულებების ღირებულება უდრის იმავე სახმარი ღირებულებების მოცემულ რაოდენობას. ამრიგად, I გირვანქა ყავის ღირებულება სხვა არაფერია, თუ არა 1 გირვანქა ყავა. თუ I გირვანქა ყავა = 4 გირვანქა ბამბას, ცხადია, რომ 1 გირვანქა ყავა > 3 გირვანქა ბამბაზე და 1 გირვანქა ყავა <

5 გირვანქა ბამბაზე. ის ფაქტი, რომ 1 გირვანქა ყავა > 3 გირვანქა ბამბაზე და < 5 გირვანქა ბამბაზე, გამოხატავს ასევე შ ე ფ ა რ დ ე ბ ა ს ყავასა და ბამბას შორის, სავსებით ისევე როგორც ეს გამოიხატება განტოლებით $1 \text{ გირვანქა ყავა} = 4 \text{ გირვანქა ბამბას}$. ნიშანი = უფრო მეტად როდი გამოხატავს შეფარდებას, ვიდრე ნიშანი > ან ნიშანი <, მაგრამ იგი გამოხატავს ს ხ ე ა შეფარდებას. რატომ, რომ შეფარდება ტოლობის ნიშნით, ნიშნით =, გამოხატავს ყავის ღირებულებას ბამბაში და ბამბის ღირებულებას ყავაში? თუ ეს ტოლობის ნიშანი მარტივად იქიდან მიიღება, რომ საერთოდ ადგილი აქვს ამ რაოდენობათა ერთიმეორეზე გაცვლას? გამოხატავს თუ არა ნიშანი = მხოლოდ გაცვლის ფაქტს? არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ თუ ყავა იცვლება რაიმე შეფარდებით ბამბაზე, მაშინ ისინი გაცვლილი არიან ერთიმეორეზე, და თუ მართოდ გაცვლის ფაქტი ადასტურებს საქონელთ შორის შ ე ფ ა რ დ ე ბ ა ს, მაშინ ყავის ღირებულება ასევე კარგადაა წარმოდგენილი ბამბაში, სულ ერთია — 2, 3, 4 თუ 5 გირვანქა ბამბაზე გაიცვლება იგი. მაგრამ რას ნიშნავს ასეთ შემთხვევაში სიტყვა შ ე ფ ა რ დ ე ბ ა? ყავა არ შეიცავს სრულიად არაფერს «შინაგანად დამახასიათებელს, დადებითს», რასაც შეეძლო განესაზღვრა, თუ რა შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ გაიცვლება ყავა ბამბაზე. შეფარდება, რომელზეც ბეილი ლაპარაკობს, არ არის ისეთი შეფარდება, რომელიც განისაზღვრება რაიმე ყავისათვის შინაგანად დამახასიათებელი და ნამდვილ გაცვლისაგან განსხვავებული თვისებით. რას ნიშნავს მაშინ აქ სიტყვა შეფარდება? რა არის ის შეფარდება, რომელიც მხედველობაში აქვს ბეილის? ბამბის რაოდენობა, რომელზეც იცვლება ყავის მოცემული რაოდენობა. არსებითად რომ ვთქვათ, ბეილის არ ექნებოდა უფლება ელაპარაკა ისეთ შეფარდებაზე. რომლითაც ყავის გაცვლა ხდება, არამედ ლაპარაკი შეეძლო მხოლოდ იმ შეფარდებაზე, რომლითაც ყავა ა ხ ლ ა გ ა ი ც ვ ა ლ ა ანდა გ ა ც ვ ლ ი ლ ი ი ყ ო. ვინაიდან თუ შეფარდების განსაზღვრა წინ უძღოდა გაცვლას, მაშინ «გაცვლა» განისაზღვრებოდა «შეფარდებით» და არა შეფარდება — გაცვლით. მაშასადამე, ჩვენ უნდა უკუვავდეთ აგრეთვე შ ე ფ ა რ დ ე ბ ა ც, როგორც ისეთი რამ, რაც ყავისა და ბამბის ფ ა რ გ ლ ე ბ ს ს ც ი ლ დ ე ბ ა, მათგან გამოცალკევებულია.

[ამრიგად, ბეილის ზემომოყვანილი ფრაზა ასეთ სახეს იღებს:]

«თუ რომელიმე საგნის ღირებულება არის სხვა საგნის ის რაოდენობა, რომელიც მასზე გაიცვლება, მაშინ ღირებულება, მაშასადამე, სხვას არაფერს აღნიშნავს, თუ არა სხვა საგნის იმ რაოდენობას, რომელიც მასზე გაიცვლება».

როგორც საქონელს, ამა თუ იმ საქონელს შეუძლია თავისი ღირებულება გამოხატოს მხოლოდ სხვა საქონელში, რადგან მისთვის, როგორც [ცალკე აღებული] საქონლისათვის, საყოველთაო საბუთაო დრო არ არ-

სებობს. [და აი ბეილი ფიქრობს, რომ] თუ ერთი საქონლის ღირებულება სხვა საქონლის ღირებულებაში გამოიხატება, მაშინ პირველი საქონლის ღირებულება სხვა არაფერია, თუ არა ეს მისი განტოლება სხვა საქონელთან. ეს დიდი სიბრძნე (ბეილს ფორმულირებით ეს ტ ა ე ტ ო ლ ო გ ი ა ა, რადგან იგი [არსებითად] ამბობს: თუ საქონლის ღირებულება სხვა არაფერია, თუ არა მისი საცვლელი შეფარდება სხვა საქონელთან, მაშინ ეს ღირებულება სხვა არაფერია, თუ არა ეს შეფარდება) ბეილისათვის ის რაშია, რომლითაც იგი დაუღალავად დაჯირითობს და ამით მკითხველს განუზომლად ღლის.

თავის ფილოსოფიურ სიღრმეს ბეილი გვიჩვენებს შემდეგ მსჯელობაში:

«ისევე როგორც ჩვენ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ რომელიმე საგნის დაშორების მანძილზე, თუ არ ვიგულისხმებთ მეორე საგანს, რომელიც თანაც იგივე ამ მიმართებაში იმყოფება, ასევე ჩვენ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ საქონლის ღირებულებაზე სხვანაირად, თუ არა რომელიმე სხვა საქონელთან დაკავშირებით, [825] რომელთანაც მისი შეფარდება ხდება. ნივთს არ შეიძლება ღირებულება ჰქონდეს სხვა ნივთთან მიმართების გარეშე» (და განა საზოგადოებრივი შრომა, რომელთანაც საქონლის ღირებულება გარკვეულ მიმართებაში იმყოფება, არ არის სხვა ნივთი?), «ისევე როგორც ნივთს თავის თავად არ შეიძლება ჰქონდეს დაშორების მანძილი სხვა ნივთთან მიმართების გარეშე» (ციტირ. თხზ., გვ. 5).

თუ ერთი ნივთი გარკვეული მანძილით არის დაშორებული მეორე ნივთისაგან, «მაშინ ეს მანძილი, მართლაც, მიმართებაა ამ ორ ნივთს შორის, მაგრამ ამავე დროს მანძილი ამ ორ ნივთს შორის არსებული მიმართებისაგან განსხვავებული რამ არის. ეს არის სივრცის ერთ-ერთი განზომილება, გარკვეული სიგრძე, რომელსაც შეუძლია გამოხატოს მანძილი ორ სხვა ნივთს შორის ისეთივე წარმატებით, როგორც იმ ორ ნივთს შორის, რომლებიც ჩვენ მაგალითისათვის ავიღეთ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია. როცა ჩვენ ვლაპარაკობთ მანძილზე როგორც ორ ნივთს შორის მიმართებაზე, ჩვენ ვგულისხმობთ თვით ნივთებისათვის რაღაც «შინაგანად დამახასიათებელს», რაღაც მათს «თვისებას», რომელიც მათ ერთიმეორისაგან დაშორებით ყოფნის შესაძლებლობას აძლევს. როგორია მანძილი A ბგერასა და მაგიდას შორის? ეს კითხვა უაზროა. როცა ვლაპარაკობთ მანძილზე ორ ნივთს შორის, ჩვენ ვლაპარაკობთ სივრცეში მათი მდებარეობის განსხვავებაზე. ამრიგად, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ორივე იმყოფება სივრცეში, ორივენი წერტილებია სივრცეში, ე. ი. ჩვენ ვაერთიანებთ მათ ერთ კატეგორიად როგორც სივრცეში არსებულ საგნებს, და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენ ისინი

გავაერთიანეთ sub specie spatii*, ჩვენ განვასხვავებთ მათ როგორც სივრცის სხვადასხვა წერტილებს. მათი ესა თუ ის ადგილმდებარეობა სივრცეში არის მათი ერთიანობა**.

მაგრამ როგორია ეს ერთიანობა ერთმანეთზე გასაცვლელი საგნებისა? ეს გაცვლა არ არის ის მიმართება, რომელშიაც ისინი იმყოფებიან ერთი-მეორესთან როგორც ბუნებრივი საგნები. ეს არც ის მიმართებაა, რაც მათ, როგორც ბუნების საგნებს, ადამიანის მოთხოვნილებებთან აქვთ, რადგან სარგებლიანობის ხარისხი როდი განსაზღვრავს იმ პროპორციებს, რომელთა მიხედვითაც მათი ერთმანეთზე გაცვლა ხდება. მაშ რაშია ასეთ შემთხვევაში მათი იგივეობა, რაც მათთვის შესაძლებელს ხდის ერთიმეორეზე გაცვლას გარკვეული პროპორციით? რა ნიშნის მიხედვით ხდება იმისი გაცვლის უნარი მქონენი?

ფაქტიურად ყოველივე ამაში ბილი მხოლოდ მიმდევარია «Observations on certain Verbal Disputes» ავტორისა.

«იგი» (ღირებულება) «არ შეიძლება შეიცვალოს ერთი შესადარი საგნისათვის, თუ არ შეიცვალა მეორისთვის» (ციტირ. თხზ., გვ. 5).

* — სივრცის თვალსაზრისით. რ ე ღ.

** — [XV—887] ჭბილის უხაშობის შესახებ საჭიროა შეენიშნოთ კიდევ შემდეგი:

როცა ის ლაპარაკობს, რომ A საგანი იმყოფება ამა თუ იმ მანძილის დაშორებით B საგნისაგან, იგი მათ არ აღარებს ერთმანეთს, არ აერთიანებს ერთ კატეგორიად, არამედ განასხვავებს სივრცეში. მათ ერთი და იგივე სივრცე არ უკავიათო. მიუხედავად ამისა [არსებითად] იგი ამბობს ორივეს შესახებ, რომ ისინი სივრცის ერთიანობაში არიან და რომ მათ განსხვავებენ როგორც სივრცეში მყოფ საგნებს. ამრიგად, იგი წინასწარ აერთიანებს მათ კატეგორიად, მაშინ მათ ერთსა და იმავე ერთიან საწყისს. აქ კი სწორედ ლაპარაკია ერთ ერთიან კატეგორიაში მათ მოქცევაზე.

თუ ვამბობ, რომ A სამკუთხედის ფართი უდრის B პარალელოგრამის ფართს, ეს არა მარტო იმას ნიშნავს, რომ სამკუთხედის ფართი გამოხატულია პარალელოგრამით, პარალელოგრამის ფართი კი — სამკუთხედით. ეს ნიშნავს აგრეთვე იმასაც, რომ თუ სამკუთხედის სიმაღლე უდრის h-ს, მისი ფუძე კი უდრის b-ს, მაშინ $A = \frac{h \cdot b}{2}$, ე. ი. თვისება, თვით მისთვის დამახასიათებელი, სავსებით ისევე როგორც B პარალელოგრამისათვის დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ ისიც უდრის $\frac{h \cdot b}{2}$ -ს. ფართის სახით A

სამკუთხედი და B პარალელოგრამი აღებულია აქ როგორც ერთი და იგივე, როგორც ეკვივალენტები, თუმცა ისინი როგორც სამკუთხედი და პარალელოგრამი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. რათა ამ განსხვავებული საგნების ერთმანეთთან გათანაბრება შესაძლებელი იყოს, თითოეული მათგანი, მეორისაგან დამოუკიდებლად, უნდა გამოხატავდეს ერთსა და იმავე ერთიან საწყისს. გეომეტრია შორის ვერ წაიღოდა, თუ იგი, ბნ ბილის პოლიტიკური ეკონომიის მსგავსად, დეკამყოფილდებოდა იმის მტკიცებით, რომ სამკუთხედისა და პარალელოგრამის ტოლობა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ სამკუთხედი გამოხატულია პარალელოგრამით, პარალელოგრამი კი — სამკუთხედით.} [XV—887]

ესეც კვლავ მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ერთი საქონლის ღირებულების გამოხატვა მეორე საქონელში შეიძლება იცვლებოდეს მხოლოდ როგორც ა ს ე თ ი გ ა მ ო ხ ა ტ ვ ა; ეს გამოხატვა კი, როგორც ასეთი, გულისხმობს არა ერთ, არამედ ორ საქონელს.

ბ-ნი ბეილი ფიქრობს, რომ თუ ლაპარაკი იქნებოდა მხოლოდ ორ საქონელზე — მათს ურთიერთგაცვლაზე, — მაშინ ადამიანები თვითონ დაინახავდნენ ღირებულების წმინდა შეფარდებით ხასიათს ბეილისეული გაგებით. რეგენი! თითქოს ერთიმეორეზე გასაცვლელი ორი საქონლის, ორი პროდუქტის შემთხვევაში, რომლებიც ერთმანეთთან მიმართებაში არიან როგორც საქონელი, საჭირო არ იქნებოდა სწორედ ისევე გვეთქვა. რით არიან ისინი იდენტურნი, როგორც ათასი ასეთი პროდუქტის შემთხვევაშიც. თანაც იქ, სადაც მხოლოდ ორი პროდუქტი არსებობს, პროდუქტი ვერასდროს ვერ განვითარდებოდა საქონლად. მაშასადამე, ვერასდროს ვერ განვითარდებოდა საქონლის საცვლელი ღირებულებაც. შრომისათვის, რომელსაც პროდუქტი I შეიცავს, არ იქნებოდა აუცილებელი საზოგადოებრივი შრომის სახით გამოხატულიყო. რადგან პროდუქტი იწარმოება არა როგორც მოხმარების უშუალო საგანი მწარმოებელთათვის, არამედ როგორც მხოლოდ მატარებელი ღირებულებისა, ასე ვთქვათ, როგორც თამასუქი საზოგადოებრივი შრომის ყველა გამოხატულების გარკვეულ რაოდენობაზე, ამიტომ ყველა პროდუქტი იძულებულია, როგორც ღირებულება, თავის თავს მისცეს ყოფიერების ფორმა, რომელიც განსხვავდება მათივე სახმარი ღირებულების ყოფიერებისაგან. და სწორედ ეს განვითარება პროდუქტში მოთავსებული შრომისა როგორც საზოგადოებრივი შრომისა, განვითარება პროდუქტთა ღირებულებისა განაპირობებს ფულის წარმოქმნას, იმის აუცილებლობას, რომ სხვადასხვა საქონელი გამოიხატებოდეს ერთიმეორის მიმართ როგორც ფული, ე. ი. როგორც დამოუკიდებელი ფორმა საცვლელი ღირებულების არსებობისა, — ეს კი შესაძლებელია საქონელთათვის მხოლოდ იმის მეოხებით, რომ ისინი საქონელთა საერთო მასიდან გამოყოფენ ერთ საქონელს, თავიანთ ღირებულებებს ყველანი ამ გამოყოფილი საქონლის სახმარი ღირებულებით ზომავენ და ამიტომ ამ განსაკუთრებულ საქონელში მოთავსებულ შრომას. გადააქცევენ უშუალოდ საყოველთაო, საზოგადოებრივ შრომად.

ბ-ნი ბეილი თავისი უცნაური აზროვნების წესის მიხედვით მხოლოდ მოვლენათა ზედაპირს ებლაუქება და საწინააღმდეგოდ დასკვნას აკეთებს: მხოლოდ იმიტომ, რომ საქონელთა გარდა არსებობს. ფულით, რომელიც გვიქმნის ჩვევას განვიხილოთ საქონელთა ღირებულება არა

მათს შეფარდებაში ერთიმეორესთან, არამედ როგორც შეფარდება რალაც მესამესთან, როგორც რალაც [826] მესამე მიმართება, განსხვავებული ერთიმეორესთან საქონელთა უშუალო მიმართებისაგან, — მხოლოდ ამიტომ წარმოიქმნება ღირებულებების ცნება, რომელიც ღირებულებას გადააქცევს წმინდა რაოდენობრივი შეფარდებიდან, რომლის მიხედვითაც საქონელთა ერთიმეორეზე გაცვლა ხორციელდება ამ მიმართებისაგან დამოუკიდებელ რაიმედ (რაც, მისი აზრით, საქონელთა ღირებულებას გადააქცევს აბსოლუტურ რალაცად, რალაც სქოლასტიკურ რაობად, რომელიც საქონელთაგან განცალკევებით არსებობს). ბეილის მიხედვით — ეს არის არა განსაზღვრა პროდუქტისა როგორც ღირებულებისა, რაც ფულის წარმოქმნას იწვევს და ფულში გამოიხატება, არამედ ეს არის არსებობა ფულისა, რაც ღირებულების ცნების ფიქციას წარმოშობს. ისტორიულად სავსებით სწორია, რომ ღირებულების გამოკვლევა პირველ ხანებში ემყარება საქონელთა ღირებულების გამოხატვას გამოვლენის ფორმაში, ფულში, და რომ ამიტომ გამოკვლევა ღირებულების განსაზღვრისა წარმოვედგება (მცდარად) როგორც ძიება «უცვლელი ღირებულების» მქონე საქონლისა, ანდა საქონლისა როგორც «ღირებულებათა უცვლელი საზომისა». და აი ბ-ნი ბეილი, რომელიც ამტკიცებს, ფული როგორც ღირებულებათა გარეგანი საზომი — და გამოხატულება ღირებულებისა — ასრულებს თავის ამოცანას, თუმცა მას ცვალებადი ღირებულება აქვს, ფიქრობს, რომ ამით მან თავიდან მოიშორა ღირებულების ცნების საკითხი — ცნებისა, რომლის არსებაზე გავლენას არ ახდენს საქონელთა ღირებულების სიდიდის ცვალებადობა, — და რომ არსებითად მას უკვე აღარ სჭირდება საერთოდ ღირებულების სახით რაიმეს გააზრება. რადგან საქონლის ღირებულების გამოხატვა ფულში — მესამე, განსაკუთრებულ საქონელში — არ გამოარჩევას ამ მესამე საქონლის ღირებულების ცვლილებას, რადგან «ღირებულების უცვლელი საზომის» პრობლემა მოხსნილია, ამიტომ თვით ღირებულების კატეგორიის პრობლემაც მოხსნილია. ამ ცარიელ ყბედობას ბეილი დიდი თვითკმაყოფილებით გადმოგვემსასობით გვერდებზე.

ქვემოდასახელებული ადგილები, სადაც მუდამ ერთი და იგივე მეორდება, ნაწილობრივ სიტყვისიტყვით გადმოწერილი აქვს ავტორს წიგნიდან «Observations on certain Verbal Disputes».

«დაეუშვათ, რომ არსებობს მხოლოდ ორი საქონელი და რომ მათი გაცვლა ხდება მათში მოთავსებული შრომის რაოდენობის პროპორციულად. თუ A საქონელი... შემდგომში თავისი წარმოებისათვის შრომის ორჯერ მეტ რაოდენობას მოითხოვდა, მაშინ როდესაც B საქონელის წარმოებლად უწინდებურად საჭირო იქნებოდა შრომის მხო-

ლოდ იგივე რაოდენობა, მაშინ A შეიძენდა ორჯერ უფრო მეტ ღირებულებას, ვიდრე B... მაგრამ თუმცა B წარმოებული იქნებოდა წინანდებულად შრომის იმავე რაოდენობით, მისი ღირებულება არ დარჩებოდა წინანდელი, რადგან იგი გაიცვლებოდა A საქონლის მხოლოდ ნახევარ რაოდენობაზე, იმ ერთადერთი ს ა ქ ო ნ ლ ის ა, რომელთანაც, ნაგულისხმევის თანახმად, მისი შედარება შესაძლებელი იქნებოდა» (ციტირ. თხზ., გვ. 6).

ეს მ უ ლ დ მ ი ე ვ ი შ ე პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ა ს ხ ვ ა ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა ნ » (ნაცვლად იმისა, რომ განვიხილოთ ღირებულება რ ო გ ო რ ც მ ხ ო ლ ო დ შ ე ფ ა რ დ ე ბ ა ო რ ს ა ქ ო ნ ე ლ ს შ ო რ ი ს) «ან ფ უ ლ თ ა ნ, რასაც ადგილი აქვს ყოველთვის, როცა ჩვენ ო რ რ ო მ ე ლ ი მ ე ს ა ქ ო ნ ე ლ ს შ ო რ ი ს შ ე ფ ა რ დ ე ბ ა ზ ე ე ლ ა პ ა რ ა კ ო ბ თ, იწვევს სწორედ იმას, რომ წ ა რ მ ო ი ქ მ ნ ე ბ ა წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ზ ე რ ო გ ო რ ც შ ი ნ ა გ ა ნ ს ა დ ა ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ რ ა ი მ ე ზ ე » (გვ. 8).

მე ვამტკიცებ, რომ თუ ყველა საქონელი წარმოებული იქნებოდა სრულიად თანაბარ პირობებში, როგორც, მაგალითად, მარტოოდენ შრომით, მაშინ რომელიმე საქონელი, რომელიც ყოველთვის შრომის თანაბარ რაოდენობას მოითხოვდა, არ დარჩებოდა უ ც ვ ლ ე ლ ი თ ა ე ი ს ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მ ი ხ ე დ ე ი თ » (ე. ი. უცვლელი თავისი ღირებულების სხვა საქონელში გაშოხატვის მიხედვით. ეს არის ტაქტოლოგია), «როცა ყოველი სხვა საქონლის ღირებულება ცვლილებას განიცდიდა» (ციტირ. თხზ., გვ. 20—21).

«ღირებულება არ არის რაღაც წინაგანი და აბსოლუტური» (ციტირ. თხზ., გვ. 23).

შეუძლებელია ა ღ ი ნ ი შ ნ ო ს ა ნ გ ა მ ო ი ხ ა ტ ო ს საქონლის ღირებულება სხვანაირად, თუ არა რ ო მ ე ლ ი მ ე ს ხ ვ ა ს ა ქ ო ნ ლ ის გ ა რ კ ვ ე უ ლ ი რ ა ო დ ე ნ ო ბ ი თ » (ციტირ. თხზ., გვ. 26).

(ეს ისევე შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია «ა ღ ნ ი შ ე ნ ა» ან «გ ა მ ო ხ ა ტ ე ა» აზრისა სხვანაირად, თუ არა მარცვალთა გარკვეული რაოდენობით. აქედან ბეილი იმ დასკვნას აკეთებს, რომ აზრი—ეს არის მარცვლები.)

«ნაცვლად იმისა, რომ ღირებულება განიხილონ როგორც შ ე ფ ა რ დ ე ბ ა ო რ ნ ი ე თ ს შ ო რ ი ს, ისინი» (რიყარდო და მისი მიმდევრები) «განიხილავენ მას როგორც შრომის გარკვეული რაოდენობით წარმოებულ შედეგს» (ციტირ. თხზ., გვ. 30).

«რადგან A და B საქონელთა ღირებულებანი, თანახმად მათი მოძღვრებისა, ერთიმეორეს შეეფარდებიან როგორც რაოდენობანი შრომისა, რომელმაც ისინი აწარმოვა, ანუ... განსაზღვრებიან შრომის იმ რაოდენობით, რომლითაც ისინი იწარმოებიან, ამიტომ, როგორც ჩინს, მათ ის დასკვნა ვააყეთეს, რომ ღირებულება A საქონლისა, რომელიც აღებულია სხვა საქონელთან შეფარდების გარეშე, უდრის შრომის რაოდენობას, რომლითაც ეს საქონელი წარმოებულია. ამ უკანასკნელ მტკიცებაში, უეჭველია, არავითარი აზრი არაა» (ციტირ. თხზ., გვ. 31—32).

რიყარდო და მისი მიმდევრები «ლაბარაკობენ ღირებულებაზე როგორც თავისებურ საყოველთაო და დამოუკიდებელ თვისებებზე» (გვ. 35).

«საქონლის ღირებულება აუცილებლად უნდა იყოს მისი ღირებულება რაიმეში» (იქვე).

ჩვენ ვხედავთ, რატომაა ბეილისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი შემოსავლეროს ღირებულება **ორი საქონლით**, განიხილოს ღირებულება როგორც **ორი საქონლის** შეფარდება. მაგრამ აქ წარმოიქმნება სიძნელე:

«რადგან ყოველი საქონლის ღირებულება ნიშნავს მის საცვლელ შეფარდებას რომელიმე სხვა საქონელთან».

(რას ნიშნავს აქ «საცვლელი [827] შეფარდება»? რატომ არა მისი **გაცვლა**»? მაგრამ ამასთან გაცვლაში უნდა გამოიხატოს **გარკვეული** შეფარდება და არა **მარტოოდენ გაცვლის ფაქტით** ამიტომ ღირებულება = საცვლელ შეფარდებას),

«ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ამ ღირებულებაზე როგორც ფულში, მარცვლელში, მაუღში გამოხატულ ღირებულებაზე იმ საქონლის მიხედვით, რომელთანაც მოცემული საქონლის შედარება ხდება, და ამიტომ არსებობს **ათასობით სხვადასხვა სახის ღირებულება**, იმდენი სახის ღირებულება, რამდენიც საქონელია და ისინი ყველანი ერთნაირად ნამდვილი და ერთნაირად ნომინალური არიან» (ციტირ. თხზ., გვ. 39).

აი რა ყოფილა. **ღირებულება** = ფასს. მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის. და არ არსებობს არავითარი «შინაგანი» განსხვავება ფულად ფასსა და ფასის ყველა სხვა გამოსახულებას შორის, თუმცა სინამდვილეში საქონლის **ნომინალური ღირებულება**ს, საყოველთაო ღირებულებას ასახავს სწორედ ფულადი ფასი და არა მაუღით და ა. შ. გამოხატული ფასი.

მაგრამ თუმცა საქონელს აქვს ათასი სხვადასხვა სახის ღირებულება, ანუ ათასი სხვადასხვა ფასი, იმდენი სახის ღირებულება, რამდენიც საქონელი არსებობს, ყველა ეს ათასობით გამოხატულება ყოველთვის გამოხატავს ერთსა და იმავე ღირებულებას. ეს არის საუკეთესო დამტკიცება იმისა, რომ ყველა ეს სხვადასხვა გამოხატულებანი ეკვივალენტები **არა** მარტო შეუძლიათ ერთიმეორის შეცვლა გამოხატვაში, არამედ ენაცვლებიან კიდევ ერთმანეთს თვით გაცვლაში. ერთი და იგივე შეფარდება საქონლისა, რომლის ფასზეც ლაპარაკია, გამოიხატება უამრავ სხვადასხვა «საცვლელ შეფარდებაში» ყველა სხვადასხვა საქონელთან, და მიუხედავად ამისა აქ მუდამ ერთი და იგივე შეფარდება გამოიხატება. მაშასადამე, ეს შეფარდება, თავისი თავის ტოლი რომ რჩება, განსხვავებულია ათასი თავისი სხვადასხვა გამოხატულებიდან, ანუ ღირებულება განსხვავებულია ფასისაგან, ფასები კი მხოლოდ ღირებულების გამოხატულებანია: ფულადი ფასი ღირებულების საყოველთაო გამოხა-

ტულებაა, ყოველი სხვა ფასი კი—ესა თუ ის განსაკუთრებულ-
ლი გამოხატულება. მაგრამ ბეილი ამ უბრალო დასკვნამდეც კი ვერ მიდის.
რიკარდო კი არ არის აქ ფიქციის მიძღვევარი, არამედ ბეილია ფეტიშის-
ტი, რადგან მას ესმის ღირებულებ., თუმცაღა არა როგორც თვისება
(იზოლირებულად განხილული) ცალკეუ ი ნივთისა, მაგრამ მაინც რო-
გორც ნივთთა ურთიერთობა ერთმანეთს შორის, მაშინ როდესაც ღირებულება არის მხოლოდ ადამიანთა შორის ურთიერ-
თობა, საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც გამოიხატება ნივთებ-
ში; მიიღებს ნივთობრივ გამოხატულებას — ის არის ურთიერთობა ადამიანებისა მათს ერთობლივ საწარმოო საქმიანობაში.

[β] დაგნეშლობა შრომის ღირებულებისა და კაპიტალისტის მოგების
საკითხში. ბილი მთმანეთში ურავს ღირებულების იმანენტურ
საზომს და ღირებულების გამოხატულებას საკონელები ან ფულში]

[შრომის ღირებულებაზე ბეილი ლაპარაკობს:]

«ბ-ნი რიკარდო საქმოდ მახეილგონიერად უვლის გვერდს იმ სიძნელეს, რაც პირ-
ველი შეხედვით დარღვევას უქადის მის თეორიას, რომლის თანახმადაც ღირებულება
დამოკიდებულია წარმოებაში გამოყენებული შრომის რაოდენობაზე. თუ ამ პრინციპს
შეცდომად გავატარებთ, მაშინ მისგან ის გამომდინარეობს, რომ შრომის ღირებუ-
ლება დამოკიდებულია მისი წარმოების პროცესში
დახარჯული შრომის რაოდენობაზე, — რაც, ცხადია, უაზრობაა.
ამიტომ ბ-ნი რიკარდო მოხერხებული მანერით აყვებებს იმას, რომ შრომის ღირებუ-
ლება დამოკიდებული გახადოს ხელფასის წარმოების ა-
თვის საჭირო შრომის რაოდენობაზე, ანუ, თუ მისი საკუთარი სიტყვებით
ვიტყვი, იგი ამტკიცებს, რომ შრომის ღირებულება უნდა განისაზღვროს
შრომის რაოდენობით, რომელიც საჭიროა ხელფასის საწარმოებლად; ამაში კი ის გუ-
ლისხმობს შრომის რაოდენობას, რაც საჭიროა იმ ფულისა თუ საქონლის საწარმოებლად,
რომელთაც მუშა ღებულა. სწორედ ასევე კარგად შეიძლება გვეთქვა, რომ მაუ-
დის ღირებულება უნდა განისაზღვროდეს არა შრომის იმ რაოდენობით, რაც მის წარ-
მოებაზე დაიხარჯა, არამედ იმ რაოდენობით, რაც იმ ვერცხლის წარმოებაზე დაიხარჯა,
რომელზეც მაუდი გაიცვლება» (ციტირ. თხზ., გვ. 50—51).

ეს სწორია რიკარდოს იმ მცდარი წარმოდგენის მიმართ, რომ კაპიტალ-
ლი იცვლება უშუალოდ შრომაზე და არა სამუშაო ძალაზე. ეს იგივე კრი-
ტიკული მოსაზრებაა, რაც უკვე წინათ ვგსმენია სხვა ფორმით*. მეტი
არაფერი. სამუშაო ძალის მიმართ ბეილის ანალოგია მაუდის ღირებუ-
ლების განსაზღვრასთან არ ვარგა. ცოცხალ სამუშაო ძალასთან მას უნდა
შეედარებინა არა მაუდი, არამედ რომელიმე ორგანული პროდუქტი,

* იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 129. რ ე დ.

მაგალითად, ცხერის ხორცი გარდა იმ შრომისა, რაც პირუტყვის მოვლას სჭირდება, და იმ შრომისა, რაც ამ პირუტყვის საარსებო საშუალებათა წარმოება ღირს, მისი წარმოებისათვის აუცილებელ შრომაში არასოდეს არ იგულისხმება ის «შრომა», რომელსაც თვით პირუტყვი ხარჯავს მოხმარების აქტზე, ჭამის, სმის აქტზე, — ერთი სიტყვით, ამ პროდუქტების, ანუ საარსებო საშუალებათა შეთვისებაზე. სავსებით ასეთივე მდგომარეობაა სამუშაო ძალის მიმართაც. რა არის ის შრომა, რაც სამუშაო ძალის წარმოება ღირს? თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ შრომას, რაც სამუშაო ძალის განათლება, ა ლ ზ რ დ ა, მოწაფეობა ღირს, — ხოლო როცა ლაპარაკია არაკვალიფიციურ შრომაზე, ყოველივე ეს თითქმის ანგარიშში არ მიიღება, — მაშინ სამუშაო ძალის კვლავწარმოება არავითარი სხვა შრომა არ ღირს, გარდა იმ შრომისა, რომელიც საქირთა მუშის მიერ მოხმარებულ საარსებო საშუალებათა კვლავწარმოებისათვის. ამ საარსებო საშუალებათა შეთვისება არ არის «შ რ ო მ ა», [828] სწორედ ისევე როგორც მაუღში მოთავსებული შრომა, გარდა მქსოველის შრომისა და იმ შრომისა, რომელიც მოთავსებულია მატყლში, საღებავებში და ა. შ., არ შედგება აგრეთვე თვით მატყლის ქიმიური ან ფიზიკური მოქმედებისაგან, რის მეოხებითაც იგი ნთქავს საღებავ ნივთიერებებს და ა. შ., როგორც მუშა ან პირუტყვი ნთქავენ კვების პროდუქტებს.

ბეილი ცდილობს შემდეგ, უკუაგდოს რიკარდოს კანონი, რომ შრომის ღირებულება და მოგება შ ე ბ რ უ ნ ე ბ უ ლ შეფარდებაში არიან ერთიმეორესთან. თანაც იგი ცდილობს ამ კანონის უკუგდებას სწორედ იმ ნაწილში, რაშიც იგი სწორია. საქმე ისაა, რომ ბეილი, ისევე როგორც რიკარდო, აიგივებს ზედმეტ ღირებულებას და მოგებას. იგი არ იხსენიებს ერთადერთ შესაძლებელ გამონაკლისს ამ კანონიდან, სახელდობრ იმ შემთხვევას, როცა სამუშაო დღე გრძელდება და მუშები და კაპიტალისტები ინაწილებენ ამ გაგრძელებული დღის პროდუქტს, თუმცა ამ შემთხვევაშიც კი, რამდენადაც სამუშაო ძალის ღირებულება [of the working power] მოიხმარება უფრო სწრაფად, ე. ი. ნაკლები წლების განმავლობაში, ზედმეტი ღირებულება იზრდება მუშის სიცოცხლის ხარჯზე და მისი სამუშაო ძალა უფასურდება შედარებით იმ ზედმეტ ღირებულებასთან, რომელსაც იგი კაპიტალისტს უქმნის.

ბეილის არგუმენტაცია მეტისმეტად ზერელე ხასიათისაა. ბეილისათვის ამოსავალი პუნქტია მისი ღირებულების ცნება. საქონლის ღირებულება, ბეილის მიხედვით, არის ამ საქონლის ღირებულების გამოხატულება სხვა სახმარ ღირებულებათა გარკვეულ რაოდენობაში (სხვა საქონელთა სახმარ ღირებულებაში). მაშასადამე, შრომის ღირებულება უდრის სხვა საქონელთა (სახმარ ღირებულებათა) იმ რაოდენობას, რომელ-

12. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

ზეც შრომა იცვლება. {ნამდვილი პრობლემა, თუ როგორაა შესაძლებელი, რომ საქონელ A-ს საცვლელი ღირებულება საქონელ B-ს სახმარ ღირებულებაში გამოიხატოს, მას აზრადაც არ მოსდის.} ამრიგად, სანამ მუშა საქონელთა იმავე რაოდენობას ღებულობს, შრომის ღირებულება უცვლელი რჩება, რადგან იგი უწინდებურად სხვა სასარგებლო ნივთების იმავე რაოდენობაში გამოიხატება. მოგება, პირიქით, გამოხატავს შეფარდებას კაპიტალთან ანდა ასევე შეფარდებას ერთობლივ პროდუქტთან. მაგრამ მუშების მიერ მისაღები პროდუქტებისა შეიძლება იგივე რჩებოდეს, თუმცა კაპიტალისტის ხვედრი პროპორციულად ერთობლივი პროდუქტისა იზრდება, კერძოდ შრომის ნაყოფიერების გადიდებისას. თუ როგორ გადადის ბეილი, კაპიტალზე მსჯელობისას, პროპორციაზე და რა სარგებლობა უნდა მოუტანოს ამ პროპორციულ კაპიტალისტს, თუკი მის მიერ მისაღები ღირებულება განისაზღვრება არა პროპორციით, არამედ ამ «ღირებულების გამოხატვით სხვა საქონელში», — ამის გაგება შეუძლებელია.

ეს არსებითად იგივე ფაქტია, რომელიც მოხსენიებული იყო მალთუ-სის შეხედულებათა განხილვისას*. ხელფასი უდრის სახმარ ღირებულებათა გარკვეულ რაოდენობას. მოგება, პირიქით, არის ღირებულების შეფარდება (რის თქმასაც ბეილი, თუმცა, იძულებულია თავი აარიდოს). თუ მე ხელფასს სახმარი ღირებულების მიხედვით გავზომავ, მოგებას კი საცვლელი ღირებულების მიხედვით, მაშინ სავესებით ნათელია, რომ მათ შორის არ არსებობს არც შებრუნებული შეფარდება, არც საერთოდ რაიმე შეფარდება, ვინაიდან მაშინ მე ერთმანეთთან უნდა შეემედარებინა არათანაზომადი სიდიდეები, საგნები, რომელთაც არ გააჩნიათ მათთვის საერთო ერთიანობა.

მაგრამ ის, რასაც ბეილი აქ ლაპარაკობს შრომის ღირებულებასზე, ძალაშია, მისი პრინციპის თანახმად, ყოველი სხვა საქონლის ღირებულებების მიმართაც. ყოველი მოცემული საქონლის ღირებულება სხვა არაფერია, თუ არა სხვა ნივთების გარკვეული რაოდენობა, რომელიც ამ საქონელზე იცვლება. თუ მე 1 გირვ. სტერლინგში 20 გირვ. ნართს ვიღებ, მაშინ 1 გირ. სტერლინგის ღირებულება, ბეილის მიხედვით, მუდამ ერთი და იგივე რჩება, ე. ი. მუდამ ნაზღაურდება, თუმცა ერთ შემთხვევაში 1 გირვანჭა ნართის საწარმოებლად აუცილებელი შრომა ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე მეორე შემთხვევაში. არც ერთი რიგითი ვაჭარი არ დაიჭვრება იმას, რომ თავის გირვანჭა სტერ-

* იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 32—33. რ ე ლ.

ლინგში ის ღებულობს ერთსა და იმავე ღირებულებას, თუ სიძვირის დროსაც და სიუხვის დროსაც მას ამ გირვანქა სტერლინგში ერთ კვარტერ ხორბალს აძლევენ. აქ ქრება ყოველგვარი ცნება ღირებულებისა. და რჩება მხოლოდ ფაქტი, რომელიც აუხსნელია და რომლის ახსნაც შეუძლებელია. რჩება ფაქტი, რომ საქონელ A-ს გარკვეული რაოდენობა გაიცვალა საქონელ B-ს გარკვეულ რაოდენობაზე რაიმე პროპორციით. და როგორც არ უნდა იყოს ეს პროპორცია, იგი ყოველთვის გამოხატავს ეკვივალენტს. მაშინ ყოველგვარ აზრს კარგავს ბეილის თვით გამოთქმაც კი «საქონელ A-ს ღირებულება, გამოხატული საქონელ B-ში», თუ საქონელ A-ს ღირებულება საქონელ B-ში გამოიხატება, მაშინ იგულისხმება, რომ ერთი და იგივე ღირებულება ერთჯერ გამოიხატა საქონელ A-ში, მეორეჯერ კი საქონელ B-ში, ასე რომ A-ს ღირებულება, B-ში რომ გამოიხატა, იგივე რჩება, რაც უწინ იყო. მაგრამ, ბეილის თანახმად, არ არსებობს A-ს ისეთი ღირებულება, რომლის გამოხატვაც შეიძლებოდა B-ში, იმიტომ რომ არც A-ს, არც B-ს არა აქვთ ღირებულება ამ გამოხატვის გარეშე. A-ს ღირებულება, გამოხატული B-ში, უნდა იყოს, ბეილის მიხედვით, რაღაც სრულიად განსხვავებული A-ს ღირებულებისაგან, რომელიც გამოხატულია C-ში; პირველი ისევე უნდა განსხვავდებოდეს მეორისაგან, როგორც განსხვავდებიან ერთიმეორისაგან B და C. და ჩვენ გვეჩნებოდა აქ არა ერთი და იგივე ღირებულება, იდენტური ორივე გამოხატულებაში, არამედ A-ს ორი შეფარდება, რომელთაც არაფერია საერთო არა აქვთ ერთმანეთს შორის და რომელთა შესახებ უაზრო იქნებოდა მტკიცება, რომ ისინი ეკვივალენტური გამოხატულებებია.

[829] «შრომის ღირებულების გადიდება ან დაცემა ნიშნავს იმ საქონლის რაოდენობის მატებას ან შემცირებას, რომელსაც შრომაზე გაცვლისას იძლევიან» (ციტირ. თხზ., გვ. 62).

უაზრობაა! [ბეილის თვალსაზრისით] შეუძლებელია შრომის ან სხვა რომელიმე ნივთის ღირებულების გადიდება ან დაცემა. მე ვღებულობ 1 A-ში დღეს 3 B-ს, ხვალ 6 B-ს, ზეგ კი 2 B-ს. მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში A-ს ღირებულება [ბეილის მიხედვით] სხვა არაფერია, თუ არა B-ს ის რაოდენობა, რაც მიღებულია A-ზე გაცვლისას. წინათ იგი იყო 3 B, ახლა კი ის არის 6 B. როგორ შეუძლია ბეილის იმის თქმა, რომ A გადიდა ან შემცირდა? A-ს, გამოხატულს 3 B-ში, სხვა ღირებულება ჰქონდა, ვიდრე A-ს გამოხატულს 6 B-ში ან 2 B-ში. მაგრამ მაშინ ეს არ არის იგივე A, რომელიც ერთსა და იმავე დროს გაიცვალა 3 ან 2 თუ 6 B-ზე. ერთი და იგივე A ერთსა და იმავე დროს მუდამ გამოიხატებოდა B-ს ერთნაირ რაოდენობაში. მხოლოდ დროის სხვადასხვა

ხანგრძლივობის მხედველობაში მიღებისას შეიძლება გვეთქვას, რომ A-ს ღირებულება შეიცვალა. მაგრამ A შეიძლება გაიცვალოს მხოლოდ მის «თანამედროვე» საქონელზე, და მხოლოდ თვით ფაქტი გაცვლისა (და არა მარტოდენ შესაძლებლობა გაცვლისა) სხვა საქონელზე ხდის [ბეილის აზრით] A-ს ღირებულებად. მხოლოდ ფაქტიური «გაცვლითი შეფარდება» ქმნის მის ღირებულებას, ფაქტიურ «გაცვლითს შეფარდებას» კი შეიძლება, რა თქმა უნდა, ადგილი ჰქონდეს იმავე A-სთვის მხოლოდ ერთსა და იმავე დროს. ამიტომ საქონელთა ღირებულების შედარებას სხვადასხვა პერიოდში ბეილი აცხადებს უაზრობად⁵⁵. მაგრამ ამით მას უაზრობად უნდა გამოეცხადებინა აგრეთვე ღირებულების გადიდება ან დაცემა (რომელიც შეუძლებელია, თუ შეუძლებელია საქონლის ღირებულების შედარება დროის ერთ მონაკვეთში მის ღირებულებასთან დროის მეორე მონაკვეთში), — მაშასადამე, ასევე «შ რ ო მ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს გა დ ი დ ე ბ ა ა ნ და ც ე მ ა».

შრომა არის გასაცვლელი ნივთი, ე. ი. ისეთი ნივთი, რომელიც გაცვლისას სხვა ნივთების განმკარგულებელია; ტერმინი «მოგება» კი აღნიშნავს მხოლოდ საქონელთა წილს, ანუ პ რ ო ბ ო რ ც ი ა ს, და არა ს ა გ ა ნ ს, რ ო მ ე ლ ი ც შე ი ძ ლ ე ბ ა ს ხ ვ ა ს ა გ ნ ე ბ ზ ე გა ი ც ვ ა ლ ს. როცა ვკითხულობთ, გადიდა თუ არა ხელფასი, ჩვენ ვკითხულობთ, იცვლება თუ არა შრომის გარკვეული რაოდენობა სხვა ნივთების უფრო მეტ რაოდენობაზე წინანდელთან შედარებით» (ციტირ. თხზ., გვ. 62—63).

(მაშასადამე, როცა მარცვლეული ძვირდება, შრომის ღირებულება ეცემა, იმიტომ რომ მასზე ნაკლები მარცვლეული იცვლება; მეორე მხრივ, თუ იმავდროულად იაფდება მათი, მაშინ შრომის ღირებულება იმავდროულად დ ი დ ე ბ ა, იმიტომ რომ მასზე მეტი მათი იცვლება. ამრიგად, შრომის ღირებულება ერთსა და იმავე დროს დიდდება და ეცემა; და მისი ღირებულების ორივე გამოხატულება — მარცვლეულსა და მათდში — არაა იდენტური, არაა ეკვივალენტური, რადგან მისი გა დ ი დ ე ბ უ ლ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა რ შეიძლება მის შ ე მ ც ი რ ე ბ უ ლ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს უდრიდეს):

«მაგრამ, როცა ჩვენ ვკითხულობთ, გადიდა თუ არა მოგება, ჩვენ გვსურს პასუხი მივიღოთ კონკრეტულად, არის თუ არა კაპიტალისტის შემოსავალი უფრო მაღალ შეფარდებაში გამოყენებულ კაპიტალთან» (ციტირ. თხზ., გვ. 62—63).

«შრომის ღირებულება ღამოკიდებულია არა მხოლოდ და მხოლოდ ერთობლივი პროდუქტის იმ ნაწილზე, რაც მუშებს ეძლევათ მათს შრომაზე გაცვლისას, არამედ აგრეთვე შრომის ნაყოფიერებაზეც» (ციტირ. თხზ., გვ. 63—64).

«დებულება, რომ შრომის ღირებულების გადიდებისას მოგება უნდა ეცემოდეს, სწორია მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, როცა ეს გადიდება არაა გამოწვეული შრომის მწარმოებლური ძალის გადიდებით» (ციტირ. თხზ., გვ. 64).

«თუ შრომის მწარმოებლური ძალა იზრდება, ე. ი. თუ იგივე შრომა იმავე დროის განმავლობაში უფრო მეტ საქონელს აწარმოებს, მაშინ შრომის ღირებულება შეიძლება გადიდდეს მოგების შეუმცირებლად; მოგება შეიძლება გადიდდეს კიდევ (ციტირ. თხზ., გვ. 66).

(ამ შეხედულების თანახმად შეიძლება ასევე ვთქვათ სხვა საქონელზეც; რომ მისი ღირებულების გადიდებას არ მოსდევს იმ სხვა საქონლის ღირებულების დაცემა, რომელზეც იგი იცვლება, უფრო მეტიც, შეიძლება მოჰყვეს კიდევ ღირებულების გადიდება მეორე მხარეზე. დავუშვათ, მაგალითად, რომ იგივე შრომა, რომელიც უწინ აწარმოებდა 1 კვარტერ მარცვლეულს, ახლა აწარმოებს 3 კვარტერს. ეს 3 კვარტერი ახლა ღირს 1 გირ. სტერლინგი, იმდენივე, რამდენიც უწინ 1 კვარტერის წარმოება ღირდა. თუ ახლა 2 კვარტერი 1 გირ. სტერლინგზე იცვლება, მაშინ ფულის ღირებულება გადიდებულია, რადგან იგი ახლა გამონატულია 2 კვარტერში ერთის ნაცვლად. ამრიგად, მარცვლეულის მყიდველი თავის ფულზე უფრო მეტ ღირებულებას ღებულობს. მაგრამ მარცვლეულის გამყიდველი, რომელიც 1 გირ. სტერლინგად ყიდის იმას, რაც მას მხოლოდ $\frac{2}{3}$ გირ. სტერლინგი უღირდა, მოიგებს $\frac{1}{3}$ გირ. სტერლინგს. გამოდის, რომ მისი მარცვლეულის ღირებულება გადიდდა სწორედ იმ დროს, როცა მარცვლეულის ფულადი ფასი დაეცა).

[830] «როგორც არ უნდა იყოს 6 მუშის შრომის პროდუქტი, იქნება ის 100, 200 თუ 300 კვარტერი მარცვლეულის ტოლი, სულ ერთია, მანამდე, სანამ კაპიტალისტის წილი პროდუქტში ერთ მეოთხედს შეადგენს, ეს მეოთხედი ნაწილი, შრომაში გამოხატული, ყოველთვის ერთნაირი დარჩება».

(იგივე შეიძლება ითქვას პროდუქტის იმ $\frac{3}{4}$ -ზე, რომელიც მუშას ერგება, თუ მას შრომაში გამოეხატათ.)

«თუ პროდუქტი 100 კვარტერია იქნებოდა, მაშინ 75 კვარტერი მიეცემოდა 6 მუშას და ამიტომ 25 კვარტერი, კაპიტალისტს რომ ერგება, 2 მუშის შრომის განმკარგულებელი იქნებოდა».

(ის 75 კვარტერი კი, რაც მუშებს მიეცემოდა, იქნებოდა 6 მუშის შრომის განმკარგულებელი).

«თუ პროდუქტი 300 კვარტერი იქნებოდა, მაშინ 6 მუშა მიიღებდა 225 კვარტერს, 75 კვარტერი კი, რაც წილად უწევს კაპიტალისტს, უწინდებურად განმკარგულებელი იქნებოდა მხოლოდ 2 მუშის შრომისა — და არა უფრო მეტისა».

(სწორედ ასევე 6 მუშის კუთვნილი 225 კვარტერიც უწინდებურად განმკარგულებელი იქნებოდა მხოლოდ 6 მუშის შრომისა — არა უფრო მეტისა). (ასეთ შემთხვევაში რატომღა უკრძალავს ყოვლისშემძლე ბეილი რიკარდოს პროდუქტების წილი, რასაც მუშები ღებულობენ, იმგვარად-

ვე გამოხატოს შრომაში, როგორც პროდუქტის ის წილიც, რომელსაც კაპიტალისტი ღებულობს, და ერთმანეთს შეადაროს ამ წილთა ღირებულებანი, შრომაში გამოხატული?)

ასევე მატება კაპიტალისტის კუთვნილი პროპორციის იგივე იქნებოდა, რაც ზრდა მთავრების ღირებულებებისა, რომელიც შრომაშია გამოხატული

(როგორ შეუძლია ბეილის ილაპარაკოს მოგებების ღირებულებაზე და მისი ღირებულების ზრდაზე, თუ «მოგება აღნიშნავს... არა საგანს, რომელიც შეიძლება სხვა საგნებზე გაიყვალოს» (იხ. ზემოთ), და, მაშასადამე, არ აღნიშნავს «ღირებულებას»? მეორე მხრივ კი, ვანა შესაძლებელია კაპიტალისტის კუთვნილი პროპორციის გადიდება მუშის კუთვნილი პროპორციის შეუმცირებლად?).

ანუ, სხვა სიტყვებით, გადიდება მოგების იმ უნარისა, — რომ მის განკარგულებაში იყოს შრომა (ციტირ. თხზ., გვ. 69).

და ვანა ეს გადიდება კაპიტალისტის უნარისა — მიითვისოს სხვისი შრომა არ ემთხვევა ზუსტად მუშის იმ უნარის შემცირებას, რომ თავისი საკუთარი შრომა მიითვისოს?)

თუ მოგებისა და შრომის ღირებულების ერთდროული ზრდის თეორიის წინააღმდეგ წამოაყენებდნენ იმ მოსაზრებას, რომ წარმოებულ საჭონელი ერთადერთი წყაროა, საიდანაც კაპიტალისტს და მუშას შეუძლიათ თავიანთი ანაზღაურება მიიღონ, და რომ აქედან აუცილებლად გამომდინარეობს, ის რომ ერთი მოიგებს იმას, რასაც მეორე დაკარგავს, — მაშინ პასუხი ამ საწინააღმდეგო მოსაზრებაზე ნათელია. როცა პროდუქტის რაოდენობა უცვლელი რჩება, ეს საწინააღმდეგო მოსაზრება უდავოდ მართებულია; მაგრამ ასევე უდავოა, ისიც, რომ პროდუქტის ორმაგად გადიდებისას პროდუქტის პროციები, რაც წილად ხვდება როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს, შეიძლება დიდდებადეს, მაშინაც კი, თუ ერთი მხარის პროცია მცირდება, მეორე მხარის პროცია კი დიდდება.

(ეს სწორედ ის არის, რასაც რიკარდო ამბობს. ორივე მხარის პროპორციები, არ შეიძლება ერთდროულად დიდდებოდეს, ხოლო თუ პროდუქტის წილი, რაც ორივე მხარეს მოუწევს, ერთსა და იმავე დროს დიდდება, მაშინ შეუძლებელია მათი გადიდება ორივე მხარისათვის ერთნაირი პროპორციით, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში წილი და პროპორცია ერთი და იგივენი იქნებოდნენ. ერთი მხარის პროპორცია შეიძლება გადიდდეს მხოლოდ მეორე მხარის პროპორციის შემცირების გზით⁶⁶. მაგრამ როცა ბეილი პროდუქტის პროციას, რომელიც წილად ხვდება მუშას, «ხელფასის ღირებულება» უწოდებს, კაპიტალისტის პროპორცია კი — «მოგების» ღირებულებას; როცა ერთსა და იმავე საჭონელს მისთვის ორი ღირებულება აქვს, —

ერთი მუშის ხელში, ხოლო მეორე კაპიტალისტის ხელში. — ეს მისი საკუთარი უაზრობაა.)

«როცა პროლეტის რაოდენობა უცვლელი რჩება, ეს საწინააღმდეგო მოსაზრება უდავოდ მართებულია; მაგრამ ასევე უდავოა ისიც, რომ პროლეტის ორმაგად ვადიდებისას პროლეტის წილი, რაც მოუწევს როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს, შეიძლება დიდებოდეს მაშინაც კი, თუ ერთი მხარის პროპორცია მცირდება, მეორე მხარის პროპორცია კი დიდდება». მაგრამ სწორედ პროლეტის წილი, რომელიც მუშის ხვედრია, ქმნის მისი შრომის ღირებულებების გადიდებას.

(იმითომ, რომ აქ ჩვენ ღირებულება გვესმის როგორც საგანთა გარკვეული რაოდენობა).

«მაშინ როდესაც სწორედ კაპიტალისტის წილხვედრი პროპორციის ზრდა ქმნის მისი მოგების გადიდებას».

(იმითომ, რომ აქ ჩვენ ღირებულება გვესმის როგორც იგივე საგნები, რომელთა შეფასებაც ხდება არა მათი რაოდენობის მიხედვით, არამედ მათზე დახარჯული შრომის მიხედვით).

«აქედან»

(სახელდობრ, უაზრო ორმაგი საზომიდან: ერთგერ — საგნები, მეორეგერ — ამავე საგნების ღირებულება)

«მთელი სიცხადით ვამომდინარეობს, რომ ორივეს ერთდროული გადიდების ვარაუდი არაერთარ შემთხვევაში არ არის შეუსაბამო» (ციტირ. თხზ., გვ. 70).

რიკარდოს წინააღმდეგ მიმართული ეს უაზრო მსჯელობა სრულიად ვერ აღწევს მიზანს [831], რადგან რიკარდო მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ორივე წილის ღირებულება უნდა დიდებოდეს და ეცემოდეს ერთმეორესთან საწინააღმდეგო შეფარდებით. ბეილის ყველაფერი დაჰყავს მხოლოდ იმაზე, რომ იგი იმეორებს: ღირებულება არის საგანთა ის რაოდენობა, რომელიც იცვლება მოცემულ საგანზე. მოგებების განხილვისას იგი უნდა აღმოჩენილიყო მძიმე მდგომარეობაში, რადგან აქ ხდება კაპიტალის ღირებულების შედარება პროლეტის ღირებულებასთან. ამითმაც იგი ხსნას იმაში ეჭებს, რომ ღირებულებას განიხილავს როგორც საგნის ღირებულებას, გაზომილს შრომით (მალოუსის მსგავსად).

«ღირებულება არის თანფარდობა თანადროულ საქონელთ შორის, რადგან შესაძლებელია მხოლოდ ასეთ საქონელთა გაცვლა ერთმეორეზე; და როცა ჩვენ საქონლის ღირებულებას დროის ერთ მონაკვეთში ვადარებთ მის ღირებულებას დროის მეორე მონაკვეთში, ეს მხოლოდ შედარებაა იმ შეფარდებისა, რომელშიც საქონელი იმყოფებოდა რომელიმე სხვა საქონელთან დროის სხვადასხვა მომენტში» (ციტირ. თხზ., გვ. 72).

ამიტომ, როგორც ითქვა, ღირებულების არც გადიდება ხდება და არც დაცემა, რადგან ეს ყოველთვის ნიშნავს საქონლის ღირებულების შედარებას დროის ერთ მონაკვეთში მის ღირებულებასთან დროის მეორე მონაკვეთში. ასევე საქონელი არ შეიძლება გაიყიდოს თავის ღირებულებაზე არც უფრო დაბლა, არც უფრო მაღლა, ვინაიდან მისი ღირებულება არის ის, რადაც იგი იყიდება. ღირებულება და საბაზრო ფასი იდენტურია. არსებითად, ლაპარაკი კი არ შეიძლება «თ ა ნ ა დ რ ო უ ლ» საქონელთა შესახებ, ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ღირებულებათა შესახებ, არამედ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ წ ა რ ს უ ლ ღირებულებებზე. რა არის ერთი კვარტერი ხორბლის ღირებულება? ერთი გირვანქა სტერლინგი, რადაც ის გაიყიდა გუშინ. ვინაიდან მისი ღირებულება არის მხოლოდ ის, რაც მიღებულია მასზე გაცვლით, და ვიდრე იგი გაცვლილი არ არის, მისი «შეფარდება ფულთან» არის მხოლოდ წარმოსახვითი შეფარდება. მაგრამ როგორც კი გაცვლა მოხდა, ჩვენ ერთი კვარტერი ხორბლის ნაცვლად გვაქვს ერთი გირვანქა სტერლინგი, და უკვე აღარ შეიძლება ლაპარაკი ამ კვარტერი ხორბლის ღირებულებაზე. როცა სხვადასხვა პერიოდში ღირებულებათა შედარებაზე ლაპარაკობს, ბეილის მხედველობაში აქვს მხოლოდ მეცნიერული გამოკვლევები საქონელთა სხვადასხვა ღირებულებაზე, მაგალითად, XVIII და XVI საუკუნეებში, სადაც სიძნელე იქიდან წარმოდგება, რომ ღირებულების ერთი და იგივე გამოხატულება, თვით ფულის ღირებულების ცვლილებათა გამო, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ღირებულებას ნიშნავს. სიძნელეს წარმოადგენს აქ ფულადი ფასების დაყვანა ღირებულებებზე. მაგრამ რა რეგენია ეს ბეილი! განა კაპიტალის მიმოქცევის პროცესში ან კვლავწარმოების პროცესში შედარება ღირებულებისა ერთ პერიოდში ღირებულებასთან მეორე პერიოდში არ არის მუდმივი ოპერაცია, რომელზეც დამყარებულია თვით წარმოება?

ბ-ნ ბეილის აბსოლუტურად არ ესმის, რას ნიშნავს გამოთქმები: «საქონელთა ღირებულების განსაზღვრა სამუშაო დროით» და «საქონელთა ღირებულების განსაზღვრა შრომის ღირებულებით». მას აბსოლუტურად არ ესმის განსხვავება ამ ორ განსაზღვრას შორის.

«ვთხოვთ ისე არ გამიგოთ, თითქოს მე ვამტკიცებდე, რომ საქონელთა ღირებულებანი ისე შეეფარდებათ ერთმანეთს, როგორც მათი წარმოებისთვის საჭირო შრომის რაოდენობანი, ანდა რომ საქონელთა ღირებულებანი ისევე შეეფარდებათ ერთმეორეს, როგორც შრომის ღირებულებანი. მე მხოლოდ იმას ვამტკიცებ, რომ თუ პირველი სწორია, მაშინ უკანასკნელი არ შეიძლება შედარი იყოს» (ციტირ. თხზ., გვ. 92).

ბეილი არ განასხვავებს ერთიმეორისაგან საქონელთა ღირებულების განსაზღვრას რომელიმე საქონლის ღირებულებით (ხოლო თუ საქონელნი განისაზღვრებიან «შრომის ღირებულებით», ისინი განისაზღვრებიან სხვა საქონლით: შ რ ო მ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა გულისხმობს შრომას როგორც საქონელს) და ღირებულების განსაზღვრას ისეთი მესამით, რომელსაც არ გააჩნია ღირებულება და თვითონ არ წარმოადგენს საქონელს, არამედ ღირებულების სუბსტანციაა და პირველად ის აქცევს პროდუქტს საქონლად. ნამდვილად კი პირველ შემთხვევაში ლაპარაკია ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ამა თუ იმ ს ა ზ ო მ ზ ე, ე.ი. არსებითად ფ უ ლ ზ ე, ისეთ საქონელზე, რომელშიც სხვა საქონელნი თავიანთ ღირებულებას გამოხატავენ. რათა ეს შესაძლებელი იყოს, საქონელთა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი უკვე ნ ა გ უ ლ ი ს ხ მ ე ვ ი უნდა იყოს. როგორც გამოზომი საქონელი, ისე გასაზომი საქონელიც უკვე იდენტურნი უნდა იყვნენ რაღაც მ ე ს ა მ ე შ ი. მეორე შემთხვევაში, პირიქით, პირველად მყარდება თვით ეს ი დ ე ნ ტ უ რ ო ბ ა, რომელიც შემდეგ თავის გამოხატულებას პოულობს ფასში, ფულად ფასში ან რომელიმე სხვა ფასში.

ბეილი აიგივებს «ღირებულებათა უცვლელ საზომს» ღირებულებათა იმანენტური საზომის ძიებასთან, ე.ი. თვით ღირებულების ცნებასთან. ვიდრე ეს ორი რამ ერთიმეორეში არეულია, «ღირებულებათა უცვლელი საზომის» ძებნა გონების ინსტინქტივაც კი არ არის ნაკარნახევი. სწორედ ცვალებადობაა ღირებულების დამახასიათებელი ნიშანი. «უცვლელის» ძებნა გამოხატავს იმ აზრს, რომ ღირებულებათა იმანენტური საზომი არ შეიძლება თავის მხრივ იყოს საქონელი, ღირებულება, არამედ, პირიქით, უნდა იყოს რაღაც ისეთი, რომელიც წარმოქმნის ამ ღირებულებას და ა მ ი ტ ო მ ქ მ ნ ის აგრეთვე ღირებულების იმანენტურ საზომს. ბეილი ამტკიცებს, [832], რომ საქონელღირებულებას შეუძლია მიიღოს ფულადი გამოხატულება, რომ, — თუ ს ა ქ ო ნ ლ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი თ ი შ ე ფ ა რ დ ე ბ ა უ კ ვ ე მ ო ც ე მ უ ლ ი ა, — ყველა საქონელს შეუძლია გამოხატოს თავისი ღირებულება ერთ საქონელში, თუმცა ეს უკანასკნელი თავის ღირებულებას იცვლის. ყველა თავისი ცვლილების მიუხედავად ამ საქონლის ღირებულება მუდამ ერთი და იგივე რჩება სხვა საქონელთათვის ერთსა და იმავე დროს, რადგან იგი ერთდროულად იცვლება ყველას მიმართ. აქედან ბ ე ი ლ ი აკეთებს იმ დასკვნას, რომ საჭირო არ არის საქონელთა არავითარი ღირებულებითი შეფარდება და რომ ამიტომ არც მისი ძებნაა საჭირო. რადგან იგი მას ფულად გამოხატულებაში წარმოდგენილს პოულობს, მას აღარ სჭირდება „გაიფოს“, რის მეოხებით არის შესაძლებელი ეს გამო-

ხატულება, როგორ განისაზღვრება და რას გამოხატავს იგი არსებითად.

ზემონათქვამი შეეხება საერთოდ როგორც ბეილის, ისე მალთუსს, რამდენადაც ბეილი ფიქრობს, რომ ღირებულებათა საზომად შრომის რაოდენობას გავხდით თუ შრომის ღირებულებას — ორივე შემთხვევაში ერთსა და იმავე საკითხზე, ერთსა და იმავე პრობლემაზეა ლაპარაკი. ნამდვილად კი, უკანასკნელ შემთხვევაში ღირებულება იმ უკვე ნაგულისხმევია, და ლაპარაკია იმაზე, რომ გამოიძებნოს ამ უკვე ნაგულისხმევ ღირებულებათა საზომი, მათი გარეგნული საზომი, გამოხატულება მათი როგორც ღირებულებისა. პირველ შემთხვევაში გამოკვლევის საგანია თვით ღირებულების გენეზისი და ბუნება. მეორე შემთხვევაში გამოსაკვლევია საქონლის განვითარება ფულად, ანუ ის ფორმა, რომელსაც საცვლელი ღირებულება იძენს საქონელთა გაცვლის პროცესში. პირველ შემთხვევაში გამოკვლევის საგანს შეადგენს ღირებულება ამ გამოხატულებისაგან დამოუკიდებლად, ღირებულება, რომელიც, პირიქით, ამ გამოხატულების წანამძღვარია. სხვა რეგენებთან ერთად ბეილი ფიქრობს: განსაზღვრო საქონელთა ღირებულება — ნიშნავს მონახო ღირებულების ფულადი გამოხატულება, საქონელთა ღირებულების გარეგნული საზომი. მაგრამ სხვა რეგენები, რომლებიც გონების ინსტინქტით ხელმძღვანელობენ, ამბობენ, რომ ამ საზომს ასეთ შემთხვევაში უნდა ჰქონდეს უცვლელი ღირებულება, ე. ი. არსებითად თვით უნდა იმყოფებოდეს ღირებულების კატეგორიის გარეშე, მაშინ როდესაც ბეილი ლაპარაკობს, რომ აქ არაფერი მეტი არაა საჭირო მხედველობაში გვქონდეს, რადგან ღირებულებების გამოხატულება უკვე მოცემული გვაქვს მზა სახით პრაქტიკულად, და რომ ამ გამოხატულებას აქვს და შეუძლია ჰქონდეს ცვალებადი ღირებულება მისი ფუნქციის დაუზიანებლად.

[ასეთია საკითხის ზოგადი დაყენება. A] კერძოდ თვით ბეილიმ გვითხრა: 'ზემოთ, რომ 100 კვარტერი ხორბალი ან 200 კვარტერი ანდა 300 კვარტერი შეიძლება იყოს 6 მუშის შრომის პროდუქტი, ე. ი. შრომის ერთი და იმავე რაოდენობის პროდუქტი, მაშინ როდესაც «შრომის ღირებულება» ნიშნავს თვით ბეილის მიხედვით მხოლოდ იმ წილს, რასაც ეს 6 მუშა იღებს 100, 200 ან 300 კვარტერიდან. ეს წილი შეიძლება შეადგენდეს 50, 60 ან 70 კვარტერს ერთ მუშაზე⁸. ამრიგად, ბეილის საკუთარი მაგალითის თანახმად, შრომის რაოდენობა და შრომის იმავე რაოდენობის ღირებულება მეტად სხვადასხვა შინაარსის გამოთქმაა. და როგორ შეიძლება ერთი და იგივე იყოს ღირებულების გამოხატვა პირველ მათგანში

და მეორეში, რომელიც არსებითად განსხვავდება პირველისაგან? თუ იგივე შრომა, წინათ რომ 3 კვარტერ მარცვლეულს იძლეოდა, ახლა 1 კვარტერს იძლევა, მაშინ როდესაც იგივე შრომა, რომელიც წინათ 20 არშინ ტილოს (ანუ 3 კვარტერ მარცვლეულს) იძლეოდა, უწინდებურად იძლევა 20 არშინ ტილოს, მაშინ, ახლა სამუშაო დროით გაზომვისას, 1 კვარტერი მარცვლეული უდრის 20 არშინ ტილოს, ანუ 20 არშინი ტილო უდრის 1 კვარტერ მარცვლეულს, 3 კვარტერი მარცვლეული კი უდრის 60 არშინ ტილოს ნაცვლად 20-სა. მაშასადამე, კვარტერი მარცვლეულისა და არშინი ტილოს ღირებულებანი შეიცვლებოდნენ ერთი-მეორის მიმართ. მაგრამ ისინი სრულიადაც არ შეიცვლებოდნენ «შრომის ღირებულების» მიხედვით, რადგან 1 კვარტერი მარცვლეული და 20 არშინი ტილო უწინდებურად იგივე სახმარი ღირებულებებია. და სავსებით შესაძლებელია, რომ 1 კვარტერი მარცვლეული ახლა ახორციელებს განკარგულებას შრომის არა უფრო მეტ რაოდენობაზე, ვიდრე უწინ.

თუ ცალკეულ საქონელს ავიღებთ, მაშინ ბეილის მტკიცება მოკლებულია ყოველგვარ აზრს. თუ ერთი წყვილი ფეხსაცმლის წარმოებისათვის საჭირო სამუშაო დრო ათჯერ მცირდება, მაშინ ფეხსაცმლის ღირებულება შედარებით აგრეთვე ათჯერ შემცირდება ყველა სხვა საქონელში გამოსატვისას. თუ ამ საქონელთა წარმოებისათვის აუცილებელი შრომა წინანდელი დარჩა ანდა იმავე ზომით არ შემცირებულა. მიუხედავად ამისა შრომის ღირებულება — მაგალითად, დლიური ქირა — ფეხსაცმლის სარეწში და ასევე წარმოების ყველა სხვა დარგში, შეიძლება უცვლელი დარჩეს, შეიძლება გადიდდეს კიდევ. ცალკეული ფეხსაცმელი ახლა ნაკლებ შრომას შეიცავს, მაშასადამე, ნაკლებ ფასგადახდილ შრომასაც. მაგრამ როცა შრომის ღირებულება ზე ლაპარაკობენ, ამით არ უნდათ იმის თქმა, რომ ერთი საათის შრომაში, საერთოდ შრომის უფრო ნაკლებ რაოდენობაში ნაკლებს იხდიან, ვიდრე შრომის უფრო დიდ რაოდენობაში. ბეილის დებულებას შეიძლება გარკვეული აზრი ჰქონდა მხოლოდ კაპიტალის ერთობლივი პროდუქტის მიმართ. ვთქვათ, რომ 200 ფეხსაცმელი იმავე კაპიტალის (და იმავე შრომის) პროდუქტია, როგორც წინათ 100 ფეხსაცმელი იყო. ამ შემთხვევაში 200 ფეხსაცმლის ღირებულება იგივე იქნება, როგორც წინათ 100 ფეხსაცმლის ღირებულება იყო. და აქ შეიძლებოდა გვეთქვა, რომ 200 ფეხსაცმელი ისე შეეფარდება 1 000 არშინ ტილოს (ვთქვათ, ეს არის 200 ვირ. სტერ. კაპიტალის პროდუქტი), როგორც ორივე კაპიტალის მიერ მოძრაობაში მოყვანილი შრომის ღირებულება ნ. რა აზრით? იმ აზრით, ხომ არა, რა აზრითაც ეს შეიძლებოდა გვეთქვა აგრეთვე [833] ცალკეული ფეხსაცმლის შეფარდებაზე არშინ ტილოსთან?

შრომის ღირებულება არის საქონელში მოთავსებული სამუშაო დროის ის ნაწილი, რომელსაც თვით მუშა მითვისებს; ეს პროდუქტის ის ნაწილია, რომელშიც განსახიერებულა თვით მისი კუთვნილი სამუშაო დრო. ამიტომ თუ საქონლის მთელი ღირებულება ფასგადახდილ და ფასგადაუხდელ შრომად იყოფა და თუ ფასგადაუხდელი სამუშაო დროის შეფარდება ფასგადახდილთან ერთი და იგივეა, ე. ი. თუ ზედმეტი ღირებულება ყველა საქონელში ერთობლივი ღირებულებების ერთსა და იმავე ნაწილს შეადგენს, მაშინ ცხადია, რომ, რაკი საქონელნი ერთიმეორეს შეეფარდებიან როგორც მათში მოთავსებული ერთობლივი შრომის რაოდენობანი, ისინი ამასთანავე ერთიმეორეს უნდა შეეფარდებოდნენ როგორც ერთობლივი შრომის ამ რაოდენობათა ერთნაირი ნაწილები, — მაშასადამე, როგორც ფასგადახდილი სამუშაო დრო ერთ საქონელში შეეფარდება ფასგადახდილ სამუშაო დროს მეორე საქონელში.

ს:ს' = ესდ: ესდ', სადაც ესდ აღნიშნავს ერთობლივ სამუშაო დროს $\frac{ესდ}{x}$ = ფასგადახდილ სამუშაო დროს საქონელ ს'-ში, $\frac{ესდ}{x}$ კი = ფასგადა-

ხდილ სამუშაო დროს საქონელ ს'-ში, რადგან იგულისხმება, რომ ორივე საქონელში ფასგადახდილი სამუშაო დრო შეადგენს ერთობლივი სამუშაო დროის ერთსა და იმავე წილს.

ს : ს' = ესდ : ესდ' ;

$$ესდ : ესდ' = \frac{ესდ}{x} : \frac{ესდ'}{x} .$$

მაშასადამე,

$$ს : ს' = \frac{ესდ}{x} : \frac{ესდ'}{x} ,$$

ე. ი. საქონელნი შეეფარდებიან ერთმანეთს როგორც მათში მოთავსებული ფასგადახდილი სამუშაო დროის რაოდენობანი, ანუ როგორც მათში მოთავსებული შრომის ღირებულებანი.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში შრომის ღირებულება არ არის განსაზღვრული სიდიდე იმ აზრით, როგორც ეს ბელის სურს, არამედ თვითონ განისაზღვრება [საქონელში მოთავსებული] სამუშაო დროით.

შემდეგ, — თუ მხედველობაში არ მივიღებთ ღირებულებათა გარდაქმნას წარმოების ფასებად [Produktionspreise] და მხოლოდ ღირებულებებს განვიხილავთ, — კაპიტალები შედგება ცვალებადი და მუდ-

შივი კაპიტალის არაერთნაირი სიდიდის ნაწილებისაგან. ამიტომ სხვადასხვა საქონელში მოთავსებული ზედმეტი ღირებულებანი, რამდენადაც მხედველობაში ღირებულებანი გვაქვს, არ არიან ერთნაირი თავიანთი სიდიდით, ანუ ფასგადახდილი შრომა არ შეადგენს ერთობლივი ავანსებული შრომის ერთნაირ ნაწილს ყველა საქონლისათვის.

საერთოდ ხელფასი — ანუ შრომის ღირებულება — აქ იქნებოდა მაჩვენებელი საქონელთა ღირებულებისა არა როგორც ღირებულებისა, არა რამდენადაც ხელფასი ღირდება ან ეცემა, არამედ რამდენადაც რომელიმე საქონელში მოთავსებული ფასგადახდილი შრომის რაოდენობა, წარმოდგენილი ხელფასში, იქნებოდა მაჩვენებელი იმ შრომის ერთობლივი რაოდენობისა, რომელსაც შეიცავს მოცემული საქონელი სხვა საქონელთან შედარებით.

ერთი სიტყვით, მთელი საქმე ისაა, რომ რაჟი საქონელთა ღირებულებანი შეეფარდებიან ერთიმეორეს როგორც სდ: სდ' (ე. ი. როგორც მათში მოთავსებული შრომის რაოდენობანი), ამიტომ ისინი შეეფარდებიან ერთიმეორეს აგრეთვე როგორც $\frac{სდ}{x} : \frac{სდ'}{x}$ როგორც მათში მოთავსე-

ბული ფასგადახდილი სამუშაო დროის რაოდენობანი, თუ გადახდილი სამუშაო დროის შეფარდება გადაუხდელთან ყველა საქონელში ერთი და იგივეა, ე. ი. თუ გადახდილი სამუშაო დრო ყოველთვის უდრის ერთობლივ სამუშაო დროს, როგორც არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი, გაყოფილს x -ზე. მაგრამ ეს «თუ» არ შეესაბამება საქმის ნამდვილ მდგომარეობას. იმ ვარაუდის დროსაც კი, რომ მუშები წარმოების სხვადასხვა დარგში მუშაობენ ერთნაირი ზედმეტი სამუშაო დროის განმავლობაში, ფასგადახდილი სამუშაო დროის შეფარდება დახარჯულ სამუშაო დროსთან წარმოების სხვადასხვა დარგში სხვადასხვაა, რადგან სხვადასხვა დახარჯული უშუალო შრომაში შეფარდება დახარჯულ და გროვილ შრომა სთან. ავიღოთ, მაგალითად, კაპიტალები $50v + 50c$ და $10v + 90c$. ვთქვათ, ორივე შემთხვევაში ფასგადაუხდელი შრომა შეადგენს ფასგადახდილი უშუალო შრომის ერთ მეათედს. მაშინ პირველი კაპიტალისტის საქონელში მოთავსებული იქნებოდა ღირებულების 105 ერთეული, მეორის საქონელში კი 101. ფასგადახდილი სამუშაო დრო პირველ შემთხვევაში შეადგენს ავანსებული შრომის $\frac{1}{10}$ -ს, მეორეში კი — სულ მხოლოდ $\frac{1}{10}$ -ს.

[834] ბელი ამბობს:

«თუ საქონელი შეეფარდებიან ერთიმეორეს როგორც მათი მწარმოებელი შრომის რაოდენობანი, ისინი უნდა შეეფარდებოდნენ ერთიმეორეს აგრეთვე როგორც ამ შრომის ღირებულებანი, ვინაიდან საპირისპირო მდგომარეობა აუცილებლად იმის მომასწავ-

ვებელი იქნებოდა, რომ ორი საქონელი A და B შეიძლება თანაბარი იყოს ღირებულების მიხედვით, თუმცა დახარჯული შრომის რაოდენობა ერთში უფრო მეტი ან უფრო ნაკლებია, ვიდრე მეორეში; ანდა რომ საქონელი A და B შეიძლება იყვნენ არათანაბარი ღირებულების მიხედვით, თუმცა თითოეულ მათგანზე დახარჯული შრომა თანაბარია ღირებულების მიხედვით. მაგრამ ეს განსხვავება თანაბარი ღირებულების შრომით წარმოებული ორი საქონლის ღირებულებაში შეუთავსებელი იქნებოდა მოგებათა აღიარებულ ტოლობასთან, რასაც ბ-ნი რიკარდო სხვა ავტორებთან ერთად აღიარებს» (ციტირ. თხზ., გვ. 79—80).

უქანასქნელ ფრაზაში ბეილიმ შეუცნობლად მიაგნო სწორ მოსაზრებას რიკარდოს წინააღმდეგ, რომელიც უშუალოდ აიგივებს მოგებას ზედმეტ ღირებულებასთან, ღირებულებებს კი — ხარჯთფასებთან. ეს საწინააღმდეგო მოსაზრება, სწორად ფორმულირებული, არის შემდეგი: თუ საქონელთა გაყიდვა მათი ღირებულებების მიხედვით ხდება, მაშინ ისინი არათანაბარ მოგებებს იძლევიან, რადგან მაშინ მოგება უდრის იმ ზედმეტ ღირებულებას, რომელიც მოთავსებულია თვით მათში. და ეს საწინააღმდეგო მოსაზრება სწორია, მაგრამ ეს ლაპარაკობს არა ღირებულების თეორიის წინააღმდეგ, არამედ ამ თეორიის გამოყენებაში რიკარდოს მიერ დაშვებული შეცდომის წინააღმდეგ.

მაგრამ თუ რამდენად შორს დარჩა თვით ბეილი ზემოდასახელებულ ამონაწერში საკითხის სწორი გაგებისგან, ეს ჩანს შემდეგი ფრაზიდან:

«რიკარდოს აზრით, პირიქით, შრომის ღირებულება შეიძლება დიდებოდეს ან ეცემოდეს, ისე რომ გველენას არ ახდენდეს საქონლის ღირებულებაზე». ეს მტკიცება, აშკარაა, ძლიერ განსხვავდება ზემოთ ფორმულირებული მტკიცებისაგან, და მისი სისწორე სინამდვილეში დამოკიდებულია ზემოთ ფორმულირებულის მცდარობაზე, ანდა საპირისპირო მტკიცების სისწორეზე» და ა. შ. (ციტირ. თხზ., გვ. 81).

რეგვენი! თვითონ წინათ თქვა, რომ ერთი და იმავე შრომის შედეგი შეიძლება იყოს 100, 200 ან 300 კვარტერი მარცვლეული. ეს განსაზღვრავს კვარტერი მარცვლეულის შეფარდებას ყველა სხვა საქონელთან, როგორც არ უნდა იცვლებოდეს შრომის ღირებულება, ე. ი. რამდენიც უნდა ხვდებოდეს წილად თვითონ მუშას 100, 200 ან 300 კვარტერიდან. რეგვენი რამდენადმე მინც თანამიმდევრული იქნებოდა, მას რომ ეთქვა: შრომის ღირებულება შეიძლება იზრდებოდეს ან ეცემოდეს, და მიუხედავად ამისა საქონელთა ღირებულებანი ერთიმეორეს შეეფარდებიან როგორც შრომის ღირებულებანი, რადგან—მცდარი ვარაუდის თანახმად — ხელფასის გადიდება ან დაცემას საყოველთაო ხასიათი აქვს და ხელფასის ღირებულება მუდამ დახარჯული შრომის ერთობლივი რაოდენობის ერთსა და იმავე პროპორციულ ნაწილს შეადგენს.

[V] ღირებულებისა და ფასის არევა. გვილის სუბიექტივისტური
თვალსაზრისი. ხარჯთფასთა და ღირებულებათა შორის.
განსხვავების საკითხისათვის]

[ზეილი ამბობს:]

«საქონელთა ღირებულების გამოხატვის უნარს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს მათს ღირებულებათა მულტიპლიკაციასთან».

{რა თქმა უნდა, არა აქვს; მაგრამ მასზე დიდად არის დამოკიდებული ღირებულების შეცნობა ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე იგი ამა თუ იმ გამოხატულებას მიიღებდეს, — იმის ვაგება, თუ როგორ მოხვდებიან ერთმეორისაგან ესოდენ განსხვავებული სახმარი ღირებულებანი საერთო კატეგორიაში, როგორ ღებულობენ ღირებულებათა საერთო სახელწოდებას, ასე რომ შესაძლებელი ხდება ერთი ნივთის ღირებულების გამოხატვა მეორე ნივთში}, —

«არც მათს ერთმანეთთან შედარებაში, არც გამოყენებულ გაცულის საშუალებათა შედარებაში. ასევე არავითარი დამოკიდებულება ღირებულებათა მულტიპლიკაციასთან არა აქვს ღირებულების ამ გამოხატულებათა ერთმანეთთან შედარების უნარსაც».

{თუ სხვადასხვა საქონლის ღირებულებანი გამოხატულია ერთსა და იმავე მესამე საქონელში, როგორც უნდა იცვლებოდეს ამ უკანასკნელის ღირებულება, მაშინ, რა თქმა უნდა, ძალზე ადვილია ამ გამოხატულებათა ერთმანეთთან შედარება, რომელთაც უკვე გააჩნიათ საერთო სახელწოდება.}

«ღირს A 4 B თუ 6 B»

{სიძნელე იმაშია, რომ A გაუთანაბრდეს B-ს რომელიმე რაოდენობას, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საერთო ერთიანი საწყისი A-სა და B-სთვის, ე. ი. თუ A და B ერთი და იმავე ერთიანი საწყისის სხვადასხვა განსახიერებანია. თუ ყველა საქონელი უნდა გამოიხატოს ოქროში, ფულში, მაშინ სიძნელე იგივე რჩება. ამისათვის აუცილებელია, რომ არსებობდეს ერთიანი საწყისი ოქროსა და ყველა სხვა საქონლისათვის},

«და ღირს C 8 B თუ 12 B, — ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს A-სა და C ღირებულების B-ში გამოხატვის შესაძლებლობისათვის, და, რასაკვირველია, უმნიშვნელოა A-ს ღირებულებისა და C-ს ღირებულების ერთმანეთთან შედარების შესაძლებლობისთვის, რაკი ისინი გამოხატულია მესამე საქონელ B-ში» (ციტირ. თხზ., გვ. 104—105).

მაგრამ როგორ გამოვხატოთ A B-ში ან C-ში? საქონელნი A, B და C უნდა განვიხილოთ როგორც განსხვავებული რამ იმისაგან,

რასაც ისინი წარმოადგენენ ნივთების, პროდუქტების, სახმარ ღირებულეზათა სახით, რათა გამოეხატოთ «ისინი» ერთიმეორეში, ანუ, რაც იმავეს ნიშნავს, რათა მივიჩნიოთ ისინი ერთი და იმავე ერთიანი საწყისის ეკვივალენტურ გამოხატულებებად. $A=4B$ -ს. მაშასადამე, A -ს ღირებულება გამოხატულია $4B$ -ში, $4B$ -ს ღირებულება კი გამოხატულია A -ში, ანუ რომ განტოლების ორივე მხარე ერთსა და იმავეს გამოხატავს. ისინი ეკვივალენტებია. ისინი ღირებულების თანაბარი გამოხატულებანია. ასევე იქნებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი უთანაბრო გამოხატულებანი იქნებოდნენ, ე. ი. ჩვენ გვექნებოდა $A>4B$ ან $A<4B$. ყველა ამ შემთხვევაში რამდენადაც [835] ისინი ღირებულებანია, ისინი განსხვავდებიან ან თანატოლნი არიან მხოლოდ რაოდენობრივად, მაგრამ მულამ არიან ერთი და იმავე თვისების რაოდენობანი. სიძნელე იმაშია, რომ მოვნახოთ ეს თვისება.

ღირებულებათა გაზომვის პროცესის აუქალეული პირობაა გასაზომ საქონელთა ერთი საერთო სახელწოდების გამოხატვა.

ქსე მაგალითად, რათა შევიდაროთ სამკუთხედი და ყველა სხვა მრავალკუთხედი, საქორაა მხოლოდ მრავალკუთხედები გადავაქციოთ სამკუთხედებად, გამოეხატოთ ისინი სამკუთხედებში. მაგრამ ამისათვის საქორაა სამკუთხედები და მრავალკუთხედები განვიხილოთ ნამდვილად როგორც იგივეობანი, როგორც სხვადასხვა ფორმაგამოვლენანი ერთი და იმავე სივრცისა,

«რის გაკეთებაც ერთნაირი სიადვილით შეიძლება დროის ყველა მომენტში, ანდა, უფრო სწორად, რაც უკვე თვალწინ გვაქვს მზა სახით, რადგან პრაქტიკაში აღირიცხება სწორედ საქონელთა ფასები, ე. ი. მათი ღირებულებითი შეფარდება ფულთან» (ციტირ. თხზ., გვ. 112),

«ღირებულების განსაზღვრა იგივეა, რაც მისი გამოხატვა» (ციტირ. თხზ., გვ. 152).

აქ იგი, ეს ვაჟბატონი მთელი საგრძე სიგანით წარმოდგა ჩვენს წინაშე. ჩვენ მოცემული გვაქვს უკვე გაზომილი, ფასებში გამოხატული ღირებულებანი. ამიტომ [ამტკიცებს ბეილი] ჩვენ შეგვიძლია შევუფრთხვდეთ იმის არცოდნას, თუ რა არის ღირებულება. ღირებულებათა საზომის განვითარებას ფულად და, შემდეგ, ფულის განვითარებას ფასების მასშტაბად ბეილი ურევს თვით ღირებულების ცნების დადგენაში, ღირებულებისა, რომელიც საქონელთა იმანენტურ საზომად ვითარდება გაცვლის პროცესში. ბეილი მართალია იმ მხრივ, რომ ამ ფულს არ მოეთხოვება, უცვლელი ღირებულების მქონე საქონელი იყოს, მაგრამ აქედან იგი იმ დასკვნას აკეთებს, რომ აუცილებელი არ არის თვით საქონლისაგან დამოუკიდებელი, მისგან განსხვავებული განსაზღვრა ღირებულებისა.

თუკი საქონელთა ღირებულება მოცემულია როგორც მათთვის საერთო ერთიანი საწყისი, მაშინ საქონელთა შეფარდებითი ღირებულების გაზომვა ემთხვევა ამ ღირებულების გამოხატვას. მაგრამ ჩვენ ვერ მივიღებთ გამოხატულებას მანამდე, სანამ არ მოვნახვთ ისეთ ერთიან საწყისს, რომელიც განსხვავდება საქონელთა უშუალო ყოფიერებისაგან.

ეს ჩანს ბელის მიერ დასახელებული მაგალითიდანაც კი A და B საგნებს შორის მანძილის შესახებ*. რათა მათ შორის მანძილზე ვილაპარაკოთ, ჩვენ მიერ უკვე ნაგარაუდევია, რომ ორივე ისინი სივრცის წერტილებია (ანუ ხაზები). თუ მათ განვიხილავთ როგორც წერტილებს, თანაც ერთი და იმავე ხაზის წერტილებს, მათი მანძილი შეიძლება გამოიხატოს დიუიმებში ან ფუტებში და ა. შ. ერთიანობა ორივე A და B საქონელში — ეს არის, პირველი შეხედვით, მათი გაცვლისუნარიანობა. ისინი არიან «გაცვლისუნარიანი» საგნები. «გაცვლისუნარიანი» საგნების სახით ისინი არიან ერთი და იმავე სახელწოდების რაოდენობანი. მაგრამ ეს «მათი» არსებობა როგორც «გაცვლისუნარიანი» საგნებისა უნდა განსხვავდებოდეს სახმარ ღირებულებათა სახით მათი არსებობისაგან. რას ნიშნავს ეს?

ფული უკვე თვითონ არის ღირებულების გამოხატულება, გულისხმობს ღირებულებას. ფული როგორც ფასების მასშტაბი, თავის მხრივ, უკვე გულისხმობს საქონლის გადაქცევას (თეორიულს) ფულად. თუ საქონელთა ღირებულებანი წარმოდგენილია როგორც ფულადი ფასები, მე შემიძლია მათი შედარება; ფაქტიურად ისინი უკვე შედარებულია. მაგრამ იმისათვის, რათა ღირებულებანი ფასებად გამოვხატოთ, საქონელთა ღირებულება წინასწარ უნდა იყოს გამოხატული ფულის სახით. ფული მხოლოდ ის ფორმაა, რომლითაც საქონელთა ღირებულება გვევლინება მიმოქცევის პროცესში. მაგრამ როგორ შემიძლია მე გამოვხატო x ბამბა y ფულში? ეს კითხვა ნიშნავს შემდეგს: როგორ შემიძლია საერთოდ ერთი საქონელი მეორე საქონელში გამოვხატო, ანუ გამოვხატო საქონელნი როგორც ეკვივალენტები. პასუხს ამ კითხვაზე იძლევა მხოლოდ ღირებულების ანალიზი, ერთი საქონლის მეორეში გამოხატვისგან დამოუკიდებლად.

* შეეცდომა იქნებოდა გვეფიქრა..., თითქოს შესაძლებელი იყოს ღირებულებითი შეფარდების არსებობა სხვადასხვა პერიოდის საქონელთა შორის; ეს საგნის ბუნების მიხედვით შეუძლებელია; ხოლო თუ ასეთი შეფარდება შეუძლებელია, მაშინ შეუძლებელია მისი გაზომვაც (ციტირ. თხზ. გვ. 113).

* იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 170—171. რ ე დ.

13. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

ასეთივე უაზრობა გამოსკვივის აგრეთვე ზემოთქმულიდან*. უკვე ფულის — როგორც გადახდის საშუალების — მოქმედების დროს არსებობს «ღირებულებითი შეფარდება სხვადასხვა პერიოდის საქონელთა შორის». მთელი მიმოკვლევის პროცესი სხვადასხვა პერიოდის საქონელთა ღირებულების მუდმივი შედარებაა.

«თუ იგი» (ფული) «არ წარმოადგენს სხვადასხვა პერიოდის საქონელთა შედარების კარგ საშუალებას, ეს იმას ნიშნავს, რომ მას არ შესწევს უნარი შეასრულოს რაიმე ფუნქცია იქ, სადაც არ არსებობს არავითარი შესასრულებელი ფუნქცია» (ციტირ. თხზ., გვ. 118).

როგორც გადახდის საშუალება და განძი ფული მოწოდებულია იმისათვის, რომ შეასრულოს სხვადასხვა პერიოდის საქონელთა ღირებულების შედარების ეს ფუნქცია.

ფაქტიურად მთელი ამ სისულელის საიდუმლოება გამოსკვივის შემდგომი ფრაზაში, რომელიც პირდაპირ გადმოწერილია თხზულებიდან «Observations on certain Verbal Disputes»**. ეს მარწმუნებს იმაში, რომ ბეილიმ როგორც პლაგიატორმა, გამოიყენა «Observations», რომელსაც ის საგანგებოდ ჩქმალავს.

[836] «სიმდიდრე არის ადამიანთა თვისება, ღირებულება — საქონელთა თვისება. ადამიანი ან საზოგადოება მდიდარია, მარგალიტს ან ალმასს აქვს მაღალი ღირებულება» («A Critical Dissertation», გვ. 165).

მარგალიტი ან ალმასი ძვირფასია როგორც მარგალიტი ან ალმასი, ე. ი. მათი თვისებების გამო, ადამიანთათვის სახმარ ღირებულებათა სახით, — ე. ი. როგორც სიმდიდრე. მაგრამ მარგალიტი ან ალმასი არ შეიცავს არაფერ ისეთს, რაც განსაზღვრავდა საცვლელ შეფარდებას მათსა და სხვა [სახმარ ღირებულებებს] შორის.

ბეილი უცებ ღრმა ფილოსოფოსი ხდება:

«არსებობს განსხვავება შრომასა როგორც ღირებულების მიზეზსა და შრომასა. როგორც ღირებულების საზომს შორის, საერთოდ ღირებულების მიზეზსა და საზომს შორის» (გვ. 170 და შემდგომი).

სინამდვილეში არსებობს მეტად მნიშვნელოვანი განსხვავება (თანაც თვით ბეილის მიერ შეუშინველი) «ღირებულების საზომსა» (ფულისაზრით) და «ღირებულების მიზეზს» შორის. ღირებულების «მიზეზი» სახმარ ღირებულებებს ღირებულებად გადააქცევს. ღირებულების გარეგანი საზომი უკვე გულისხმობს ღირებულებების

* იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 190. და 183—184. რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 152—153. რ ე დ.

არსებობას. ოქრო, მაგალითად, შეიძლება იყოს ბამბის ღირებულების საზომი მხოლოდ იმ პირობით, რომ ოქროს და ბამბას, როგორც ღირებულებას, ვააჩნიათ ორივე მათგანისგან განსხვავებული ერთიანი ს ა წ ყ ი ს ი. ღირებულების «მიზეზი» არის ღირებულების სუბსტანცია და ამიტომ ღირებულების იმანენტური საზომიც.

«ყველა გარემოება..., რომელიც, არაპირდაპირ თუ უშუალოდ, განმსაზღვრელ ზეგავლენას ახდენს ადამიანთა ცნობიერებაზე საქონელთა ვაცვლასა, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ღირებულების მიზეზი» (გვ. 182—183).

ეს სინამდვილეში სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა შემდეგს: საქონლის ღირებულების, ანუ ორ საქონელს შორის ეკვივალენტობის მიზეზს წარმოადგენენ ის გარემოებანი, რომელნიც აიძულებენ გამყიდველს ანდა მყიდველსა და გამყიდველს მიიჩნიონ რაიმე საქონლის ღირებულებად, ანუ ეკვივალენტად. საქონლის ღირებულების განმსაზღვრელი «გარემოებანი» სრულიადაც არ არიან შეცნობილი იმის შედეგად, რომ მათ უწოდებენ ისეთ გარემოებებს, რომელნიც ზეგავლენას ახდენენ გამცვლელთა «ცნობიერებაზე» და რომელნიც, ასეთი გარემოებების სახით, არსებობენ აგრეთვე (შეიძლება, არც არსებობენ ანდა არსებობენ დამახინჯებული წარმოდგენის სახით) გამცვლელთა ცნობიერებაში.

იგივე (ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი, თუმცა მასზე ზემოქმედების მომხდენი) გარემოებანი, რომელნიც აიძულებენ მწარმოებლებს გაყიდონ თავიანთი პროდუქტები როგორც საქონელი, — გარემოებანი, რომელნიც განასხვავებენ საზოგადოებრივი წარმოების ერთ ფორმას მეორისაგან, — ანიჭებენ მათს პროდუქტებს (აგრეთვე მათი ცნობიერებისთვისაც) სახმარი ღირებულებისაგან დამოუკიდებელ საცვლელ ღირებულებას. ამ პროდუქტების მწარმოებელთა «ცნობიერებამ» შეიძლება სრულიად არ იცოდეს, რით განისაზღვრება სინამდვილეში მათი საქონლის ღირებულება, ანუ რა ხდის მათს პროდუქტებს ღირებულებად, — მისთვის, ცნობიერებისათვის, ეს შეიძლება არც კი არსებობდეს. პროდუქტების მწარმოებელნი ჩაყენებული არიან ისეთ პირობებში, რომელნიც განსაზღვრავენ მათს ცნობიერებას ისე, რომ მათთვის სავალდებულო არ არის ამის ცოდნა. ყოველ ადამიანს შეუძლია მოიხმაროს ფული როგორც ფული და არ იცოდეს, რა არის ფული. ეკონომიური კატეგორიები დამახინჯებულად აისახება ცნობიერებაში. ბეილის საკითხი ცნობიერების სფეროში იმიტომ გადააქვს, რომ თეორიის ნაწილში იგი ჩიხში მოექცა.

ნაცვლად იმისა, რომ თქვას, რას გულახმობს თვითონ «ღირებულებად» (ან «ღირებულების მიზეზად»), ბეილი გვეუბნება: ეს არის ის, რასაც მყიდველი და გამყიდველი წარმოადგენენ ვაცვლის აქტში.

სინამდვილეში კი ამ ვითომდა ფილოსოფიურ ფრაზას საფუძვლად უდევს შემდეგი:

1) საბაზრო ფასი განისაზღვრება სხვადასხვა გარემოებით, რომლებიც გამოიხატება მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობით და, როგორც ასეთი, ზეგავლენას ახდენენ ბაზარზე სავაჭრო გარიგების დამღებ ადამიანთა «ცნობიერებაზე». მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩენაა!

2) საქონლის ღირებულებათა ხარჯთფასებად გადაქცევის დროს მხედველობაში მიიღება «სხვადასხვა გარემოება», რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ცნობიერებაზე როგორც «კომპენსაციის საფუძვლები» ანდა წარმოუდგებიან მას ასეთებად. მაგრამ ყველა ეს კომპენსაციის საფუძველი ზეგავლენას ახდენს კაპიტალისტის — როგორც ასეთის — ცნობიერებაზე და გამომდინარეობს თვით კაპიტალისტური წარმოების ბუნებიდან და არა მყიდველისა და გამყიდველის სუბიექტური გაგებიდან. მყიდველისა და გამყიდველის თავებში ისინი, პირიქით, არსებობენ როგორც თავისთავად გასაგები «მარადიული ჭეშმარიტებანი».

ბელი, როგორც მისი წინამორბედნიც, ებლაუჭება ღირებულებათა და ხარჯთფასთა რიკარდოსეულ არევას, რათა დაამტკიცოს, რომ ღირებულება არ განისაზღვრება შრომით, რადგან ადგილი აქვს ხარჯთფასების გადახრას ღირებულებათაგან. ეს სავესებით სწორია [ხარჯთფასებთან ღირებულებათა] რიკარდოსეული გაიგივების წინააღმდეგ, მაგრამ არა თვით დებულების [ღირებულების შრომით განსაზღვრის] წინააღმდეგ.

ამასთან დაკავშირებით ბეილის ციტატის სახით მოჰყავს ჯერ ერთი ის, რაც თვით რიკარდოს აქვს ნათქვამი საქონელთა შეფარდებითი ღირებულებების [837] იმ ცვლილების შესახებ. რასაც ადგილი აქვს შრომის ღირებულების გადიდების შედეგად*. შემდეგ იგი იხსენიებს «დროის გავლენას» (განსხვავება წარმოების დროისა სამუშაო დროის გაუგრძელებლად); მას აქ მხედველობაში აქვს იგივე შემთხვევა, რომელმაც უკვე მიღის დაქვეებაც გამოიწვია**. ნამდვილ საერთო წინააღმდეგობას, რასაც შეიცავს თვით ფაქტი მოვების. საშუალო ნორმის არსებობისა, მიუხედავად კაპიტალის სხვადასხვა შედგენილობისა, მისი მიმოქცევის სხვადასხვა პერიოდისა და ა. შ., ბელი ვერ ამჩნევს. იგი იმეორებს მხოლოდ ამ წინააღმდეგობის გამოვლენის იმ ცალკეულ ფორმებს, რომელთაც უკვე მიაქციეს ყურადღება თვი-

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 231—261. რედ.

** იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 98—100. რედ.

თონ რიკარდომ და მომდევნო ავტორებმა. ამრიგად, აქ ბეილი გვევლინება მხოლოდ როგორც თუთიყუში, რომელიც სხვის სიტყვებს იმეორებს: კრიტიკას იგი ერთი ნაბიჯითაც ვერ სწევს წინ.

შემდეგ ბეილი აღნიშნავს: წარმოების ხარჯები «ღირებულების» მთავარი მიზეზია, მაშასადამე, ღირებულების მთავარი ელემენტიც. მაგრამ იგი სწორად შენიშნავს, — როგორც ამას უკვე რიკარდოს შემდეგდროინდელი სხვა ავტორები აკეთებდნენ, — რომ თვით წარმოების ხარჯების ცნებას სხვადასხვა აზრი აქვს. საბოლოო ანგარიშით თვითონ იგი ეთანხმება ტორენსს იმაში, რომ ღირებულებანი განისაზღვრება ავანსებული კაპიტალით, რაც სწორია ხარჯთფასებისათვის, მაგრამ უაზროა, თუ ეს გამოყვანილი არაა თვითონ ღირებულების განვითარებიდან, ე. ი. თუ ეს აქონლის ღირებულება გამოიყვანება უფრო განვითარებული ურთიერთობიდან, კაპიტალის ღირებულებიდან და არა პირიქით.

უკანასკნელი მისი კრიტიკული მოსაზრება ასეთია: საქონელთა ღირებულება არ შეიძლება გაიზომოს სამუშაო დროით, თუ სამუშაო დრო ერთ დარგში არ უდრის სამუშაო დროს მეორე დარგში, ასე რომ საქონელს, რომელშიც განსახიერებელია, მაგალითად, ინჟინრის 12 საათის შრომა, ორჯერ მეტი ღირებულება აქვს, ვიდრე საქონელს, რომელშიც განსახიერებელია სოფლის მუშის 12 საათის შრომა. ეს იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, მარტივი შრომის დღე არ არის ღირებულების საზომი, თუ არ არსებობს სხვა სამუშაო დღეები, რომლებიც მარტივი შრომის დღეებს შეეფარდებიან როგორც რთული შრომის დღეები. რიკარდომ დაამტკიცა, რომ ეს ფაქტი ხელს არ უშლის საქონელთა გაზომვას სამუშაო დროით, თუ მოცემულია შეფარდება მარტივსა და რთულ შრომას შორის⁵⁸. მართალია, მას მხედველობიდან გამორჩა იმის გადმოცემა, თუ როგორ ვითარდება და განისაზღვრება ეს შეფარდება. ეს შეეხება ხელფასის საკითხის გადმოცემას და დაიყვანება, საბოლოო ანგარიშით, თვით სამუშაო ძალთა ღირებულების განსხვავებაზე, ე. ი. მათი წარმოების ხარჯების განსხვავებაზე (ეს წარმოების ხარჯები კი სამუშაო დროით განისაზღვრება).

აი ადგილები, სადაც ბეილი გამოთქვამს იმას, რაც ზემოთ იყო შეჯამებული:

«ფაქტიურად არაფერ არ დაობს იმაზე, რომ წარმოების ხარჯები არის ძირითადი ვარემოება, რომელიც განსაზღვრავს იმ რაოდენობებს, რომელთა მიხედვითაც ამ კატეგორიის საქონელთა გაცემა ხდება» (იმ კატეგორიის საქონელთა, სადაც არ არსებობს მონოპოლია და სადაც მულამ შესაძლებელია პროდუქტის ზრდა წარმოების გაფართოების პირობებში); «მაგრამ ჩვენი საუკეთესო ეკონომისტები საესებით როდი

ეთანხმებიან ერთმეორეს იმაში, თუ როგორ უნდა გვესმოდეს ეს ტერმინი: ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ საქონლის წარმოების ხარჯებს შეადგენს მათს წარმოებაზე დახარჯული შრომის რაოდენობა: მეორენი კი ფიქრობენ, რომ ასე უნდა ეწოდოს ამას ზედახარჯულკაპიტალს» (ციტირ. თხზ., გვ. 200).

ის, რასაც მუშაეი უკაპიტალოდ აწარმოებს, უღირს მას მისი შრომა; ის, რასაც კაპიტალისტი აწარმოებს, უღირს მას მისი კაპიტალი» (გვ. 201).

(სწორედ ეს მოსაზრება განსაზღვრავს ტორენსის პოზიციას. კაპიტალისტს არაფერი არ უღირს ის შრომა, რომელსაც იგი იყენებს, მას უღირს მხოლოდ კაპიტალი, რასაც იგი ხელფასზე ხარჯავს.)

«საქონელთა ძირითადი მასის ღირებულება განისაზღვრება მათზე დახარჯული კაპიტალით» (გვ. 206).

საქონელთა ღირებულების მხოლოდ მათში მოთავსებული შრომის რაოდენობით განსაზღვრის წინააღმდეგ ბეილი აყენებს შემდეგ მოსაზრებას:

«ეს არ შეიძლება სწორი იყოს, თუ ჩვენ შემდეგი შინაარსის მაგალითს მოვხაებთ: 1) შემთხვევები, როცა ორი საქონელი იწარმოება შრომის ერთი და იმავე რაოდენობით და მიუხედავად ამისა ისინი ფულის სხვადასხვა რაოდენობაზე იყიდებიან; 2) შემთხვევები, როცა ორი საქონელი, რომელნიც წინათ ღირებულების მიხედვით თანაბარი იყვნენ. უთანაბრონი ხდებიან ღირებულების მხრივ. თუმცა თითოეულ მათგანზე დახარჯული შრომის რაოდენობა არ შეცვლილა» (გვ. 209).

«ეს არ არის დამაჯერებელი პასუხი» (პირველი სახის შემთხვევებზე), «თუ ჩვენ ბ-ნ რეარდოსთან ერთად ვიტყვით, რომ სხვადასხვა ხარისხის «შრომის შეფასება სწრაფად ღვინდება ბაზარზე ყველა პრაქტიკული მიზნისათვის საკმარისი სიზუსტით», ანდა თუ ჩვენ ბ-ნ მილთან ერთად განვაცხადებთ, რომ «შრომის თანაბარ რაოდენობათა შეფასებისას მხედველობაში მიიღება, რა თქმა უნდა, სიძნელისა და დახელოვნების ხარისხი». ამგვარი მაგალითები სრულად არღვევენ წესის საყოველთაო ხასიათს» (გვ. 210).

«არსებობს შრომის ერთი რაოდენობის მეორე რაოდენობასთან შედარების მხოლოდ ორი შესაძლებელი მეთოდი: ერთი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი შეედარდნენ დახარჯული ღრთის მიხედვით, მეორე კი მოითხოვს მათ შედარებას წარმოებულ შედეგის მიხედვით» (უკანასკნელს ადგილი აქვს სანარდო სამუშაოს დროს). «პირველი მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყოველი სახის შრომის მიმართ; მეორის გამოყენება კი შეიძლება მხოლოდ ერთგვაროვან საგნებზე დახარჯული შრომის შედარებისას, ამიტომ თუ ორი სხვადასხვაგვარი შრომის შეფასებისას დახარჯული დრო ვერ განსაზღვრავს შეფარდებას [839]⁵⁶ შრომის რაოდენობებს შორის, მაშინ ეს შეფარდება რჩება განუსაზღვრელი და ვერც განისაზღვრება» (გვ. 215).

«მეორე სახის შემთხვევათა გამო. ავიღოთ თანაბარი ღირებულების მქონე რომელიმე სახის ორი საქონელი, A და B, რომელთაგანაც პირველი წარმოებულია ძირითადი კაპიტალის მეოხებით, მეორე კი — შრომით მანქანების გამოყენებლად, და ვიგულისხმობთ, რომ ძირითად კაპიტალს ან შრომის რაოდენობას არავითარი ცვლილება არ განუცდია, შრომის ღირებულება კი გადიდდა. თვით ბ-ნ რეარდოს არგუმენტაციის თანახმად, ღირებულებითი შეფარდება A-სა და B-ს შორის მაშინვე შეიცვლებოდა, ე. ი. ისინი ღირებულების მიხედვით არათანაბარი გახდებოდნენ» (გვ. 215—216).

«ამ შემთხვევებს შეგვიძლია დავუმატოთ კიდევ დ რ ო ის გ ა ე ლ ე ნ ა ლირე-ბულეზზე. თუ ერთი საქონელი თავისი წარმოებისათვის უფრო მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე მეორე, მაშინ მისი ღირებულება იქნება მეტი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი კაპიტალისა და შრომის მეტ რაოდენობას არ მოო-თხოვს. ბ-ნი რიკარდო აღიარებს ამ მიზეზის გაულებას. ბ-ნი მილი, პირიქით, უარ-ყოფს მას» და ა. შ. (გვ. 217).

დასასრულ, ბეილი შენიშნავს კიდევ, და ეს არის ის ერთადერთი ახალი, რასაც იგი ამ მიმართულებით იძლევა:

«საქონელთა აღნიშნული სამი კატეგორია» (ეს, ე. ი. საქონელთა სამი კატეგორია, კვლავ ნახსენები აქვს «Observations on certain Verbal Disputes»-ის ავტორისაგან) (სახელდობრ: 1) აბსოლუტური მონოპოლიის პირობებში წარმოებული საქონელი, 2) შეზღუდული მონოპოლიის პირობებში წარმოებული საქონელი, როგორც, მაგალითად, მარცვლეული, და 3) სრულიად თავისუფალი კონკურენციის პირობებში წარმოებული საქონელი) აბსოლუტურად შეუძლებელია ერთმეორისაგან გამოყვით. ადგილი აქვს ყველა მათგანის არა მარტო განურჩევლად გაცეკვას ერთმეორეზე, არამედ ერთ მანეთში შეერევა საც წარმოების პროცესში. ამიტომ რომელიმე საქონლის ღირებულების ერთი ნაწილი შეიძლება გაპირობებული იყოს მონოპოლიით, მეორე ნაწილი კი იმ მიზეზებით, რომელნიც განსაზღვრავენ არამონოპოლიზებული პროდუქტების ღირებულებას. ასე, მაგალითად, რომელიმე მათგანი შეიძლება ყველაზე თავისუფალი კონკურენციის პირობებში მზადდებოდეს ისეთი ნედლეულისაგან, რომელიც მის მწარმოებელს სრული მონოპოლიის შემწეობით შეუძლია გაყიდოს მის ფაქტურ ხარკებზე ექვსჯერ უფრო ძვირად» (გვ. 223). «ამ შემთხვევაში ცხადია, რომ თუმატა სრული უფლებით შეიძლება ითქვას, საგნის ღირებულება განისაზღვრება კაპიტალის იმ რაოდენობით, რაც მის წარმოებაზე ფაბრიკანტმა დახარჯაო, მაგრამ ვერავითარი ანალიზი ვერ შეძლებდა ამ კაპიტალის ღირებულების დაყვანას შრომის რაოდენობაზე» (გვ. 223—224).

ეს შენიშვნა სწორია. მაგრამ მონოპოლია ჩვენ აქ არ გვაინტერესებს, რადგან ჩვენ აქ საქმე გვაქვს ორ კატეგორიასთან: ღირებულება სან და ხარჯთ ფასთან. ცხადია, რომ ღირებულებათა გადაქცევას ხარჯთფასებად ორმაგი მოქმედება აქვს. ჯერ ერთი, ავანსებულ კაპიტალზე დარიცხული მოგება შეიძლება იყოს იმ ზედმეტ ღირებულებაზე მეტი ან ნაკლები, რომელსაც შეიცავს თვით საქონელი, ე. ი. იგი შეიძლება წარმოადგენდეს უფრო მეტ ან უფრო ნაკლებ ფასგადაუხდელ შრომას, ვიდრე საქონელშია. მოთავსებულთ. იგივე ითქმის კაპიტალის ცვალებად ნაწილზე და საქონელში მის კვლავწარმოებაზე. მაგრამ გარდა ამისა სავსებით ასევე ხარჯთფასიც მუდმივი კაპიტალისა — ან იმ საქონელთა, რომელნიც ნედლეულის, დამხმარე მასალათა და შრომის იარაღების სახით, საერთოდ შრომის პირობების სახით, ახლად წარმოებული საქონლის ღირებულებაში შედიან, — შეიძლება იყოს მათს ღირებულებაზე უფრო მაღალი ან დაბალი. ამრიგად, ახლად წარმოებული საქონლის ღირებულებაში შედის ღირე-

ბულეზიდან გადახრილი ფასის ისეთი ნაწილი, რომელიც არ არის დამოკიდებული ახლად მიმატებული შრომის რაოდენობაზე, ე. ი. იმ შრომის რაოდენობაზე, რომლის მეშვეობითაც ეს გარკვეული ხარჯთფასების მქონე წარმოების პირობები, ახალ პროდუქტად გადაიქცევიან. საერთოდ ცხადია, რომ ის, რაც სწორია ს ა ქ ო ნ ლ ი ს — როგორც ასეთის, როგორც წარმოების პროცესის შედეგის — ხარჯთფასსა და ღირებულებას შორის არსებული სხვაობის მიმართ, სწორია სავსებით ასევე ს ა ქ ო ნ ლ ი ს მიმართაც, რამდენადაც იგი მუდმივი კაპიტალის ფორმით წარმოების პროცესში შედის როგორც ინგრედიენტი, როგორც წანამძღვარი. ცვალებადი კაპიტალი, როგორც არ უნდა იყოს მასთან დაკავშირებული სხვაობა საქონლის ღირებულებასა და ხარჯთფასს შორის, ნაზღაურდება შრომის გარკვეული რაოდენობით, რომელიც ქმნის ახალი საქონლის ღირებულების შემადგენელ ნაწილს, სულ ერთია, მთლიანადაა გამოხატული ეს ღირებულება ამ საქონლის ფასში თუ მისი ფასი ღირებულებაზე უფრო მაღალი ან დაბალია. პირიქით, ეს სხვაობა ხარჯთფასსა და ღირებულებას შორის გადაიტანება ახალი საქონლის ღირებულებაში როგორც უკვე წამძღვარებული ელემენტი, თუ ლაპარაკია ღირებულების ისეთ შემადგენელ ელემენტზე, რომელიც ახალი საქონლის ფასში შედის მიუხედავად ამ საქონლის საკუთარი წარმოების პროცესისა.

ამრიგად, სხვაობას საქონლის ხარჯთფასსა და ღირებულებას შორის წარმოშობს ორი რამ: სხვაობა იმ საქონელთა ხარჯთფასსა და ღირებულებას შორის, რომელნიც ქმნიან ახალი საქონლის წარმოების პროცესის წანამძღვარს, და სხვაობა წარმოების ხარჯებისადმი ნამდვილად მიმატებულ ზედმეტ ღირებულებასა და იმ მოგებას შორის, რომელიც იანგარიშება [ავანსებულ კაპიტალზე]. მაგრამ ყოველი საქონელი, რომელიც რომელიმე სხვა საქონელში შედის მუდმივი კაპიტალის სახით, თვითონ გამოდის სხვა წარმოების პროცესიდან როგორც შედეგი, როგორც პროდუქტი. და ასე გვევლინება საქონელი შენაცვლებით ხან როგორც წანამძღვარი სხვა საქონელთა წარმოებისათვის, ხან კი როგორც შედეგი ისეთი წარმოების პროცესისა, რომელშიც სხვა საქონელთა არსებობა წანამძღვარია მისი საკუთარი წარმოებისათვის. მიწათმოქმედებაში (მე-საქონლეობაში) ერთი და იგივე საქონელი გვევლინება ხან როგორც პროდუქტი, ხან როგორც წარმოების პირობა.

ეს დიდი მნიშვნელობის მქონე გადახრა ხარჯთფასებისა ღირებულებათაგან — რასაც კაპიტალისტური წარმოება განაპირობებს — არცვლის იმ მდგომარეობას, რომ ხარჯთფასები უწინდებურად ღირებულებებით განისაზღვრება.

4) მაკ-კულოხი

[ა] რიკარდოს სისტემის ვულგარიზაცია და სრული დაშლა მისი მოჩვენებითი თანამიმდევრული განვითარების საბაზით. კაპიტალისტური წარმოების ცინიკური აკოლოგებიტა.

უსინდისო ეკლექტიზმი]

[840] მაკ-კულოხი არის რიკარდოს ეკონომიური თეორიის ველგარიზატორი და ამასთან ერთად ამ თეორიის დაშლის ყველაზე უბადრუკი ნიმუში.

ველგარიზატორი არა მარტო რიკარდოსი, არამედ აგრეთვე ჯემს მილისაც.

საერთოდ ყოველმხრივ ველგარული ეკონომისტია, აპოლოგეტი არსებულისა. ერთადერთი, რაც მას კომიზმამდე აშინებს, ეს არის მოგების დაცემის ტენდენცია; მუშების მდგომარეობით იგი სავესებით კმაყოფილია, საერთოდ კმაყოფილია ბურჟუაზიული ეკონომიკის წინააღმდეგობებით, რომლებიც მძიმე ტვირთად აწევს მუშათა კლასს. აქ ყველაფერი ამწვანებული და აყვავებულია. აქ მან ისიც კი იცის, რომ

«მანქანების შემოღება წარმოების ერთ დარგში აუცილებლად იწვევს ასეთსავე ანდა კიდევ უფრო მეტ მოთხოვნას სამუშაოდან განათავისუფლებულ მუშებზე წარმოების რომელიმე სხვა დარგში»¹⁰.

ამ საკითხში მაკ-კულოხი სცილდება რიკარდოს ხაზს ისევე როგორც თავის შემდგომ თხზულებებში იგი [რიკარდოსაგან განსხვავებით] მეტად ტკბილმოუბარი ხდება მიწის მესაკუთრეთა მიმართ. მაგრამ მთელი მისი ნაზი ზრუნვის საგანს შეადგენენ საწყალი კაპიტალისტები იმის გამო, რომ მოგების ნორმას დაცემის ტენდენცია აქვს.

ყოველი შეცნირების სხვა წარმომადგენელთაგან განსხვავებით მ-ნი მაკ-კულოხი, როგორც ჩანს, არ ეძებს და მახასიათებელ განსხვავებებს, არამედ მხოლოდ მსგავსებათა ძებნაში; და ამ პრინციპის დაცემის იგი ერთიმეორეში ურევს მატერიალურ საგნებს არამატერიალურში, მწარმოებლურ შრომას არამწარმოებლურში, კაპიტალს შემოსავალში, მუშების კვების საგნებს თვით მუშებში, წარმოებას მოხმარებაში და შრომას მოგებაში» (Malthus, Definitions in Political Economy, London, 1827, გვ. 69—70).

მ-ნი მაკ-კულოხი თავის ნაწარმოებში «Principles of Political Economy» (London, 1825) განსხვავებს ერთიმეორისაგან ნამდვილ და შეფარდებობითს, ანუ საცულებელ, ღირებულებას. პირველი, ამბობს იგი 211 და 225 გვერდებზე, «დამოკიდებულია საქონლის მითვისებისათვის ან წარმოებისათვის დახარჯული შრომის რაოდენობაზე, მეორე კი — შრომის ან რომელიმე სხვა საქონლის იმ რაოდენობაზე, რომელზეც საქონელი გაიყვანება», და ორივე ეს ღირებულება, ამბობს იგი (გვ. 215) იდენტურია ჩვე-

ულერბივი ვითარებისას, ე. ი. იმ შემთხვევაში, როცა საქონელთა მიწოდება ბაზარზე ზუსტად შეესაბამება ნამდვილ მოთხოვნას მათზე. მაგრამ თუ ისინი იდენტურნი არიან, მაშინ იდენტური უნდა იყოს შრომის ის ორი რაოდენობა, რომელთა შესახებაც ის ლაპარაკობს; მაგრამ 221 გვერდზე იგი გვამცნობს, რომ ისინი არ არიან იდენტურნი, ვინაიდან ერთი შეიცავს მოგებას, მაშინ როდესაც მეორე მას გამოირიცხავს» ([Cazenove.] *Outlines of Political Economy*, etc. London, 1832, გვ. 25).

სახელდობრ, მაკ-კულოხი ამბობს ამ თავის «Principles of Political Economy»-ში, გვ. 221:

«ფაქტიურად ის» (საქონელი) «მუდამ გაიცვლება უფრო მეტ რაოდენობაზე» (შრომისა, ვიდრე ის შრომაა, რომლითაც წარმოებულ იქნა საქონელი); «და სწორედ ეს ნაჭარბი ქმნის კიდევ მოგებას».

აქ ჩვენ წინაშეა ამ შოტლანდიელი არქიმარალატნის საუცხოო ნიმუში.

მალთუსის, ბეილისა და სხვების პოლემიკური შენიშვნები აიძულებენ მას განასხვავოს ერთიმეორისაგან ნამდვილი ღირებულება და საცვლელი ღირებულება, ანუ შეფარდებითი, ღირებულება. მაგრამ ამ განსხვავებას იგი არსებითად ისევე ახსიათებს, როგორც მას რიკარდოსთან ნახულობს. ნამდვილი ღირებულება არის საქონელი მისი წარმოებისათვის აუცილებელი შრომის თვალსაზრისით; შეფარდებითი ღირებულება არის პროპორცია სხვადასხვა საქონლისა, რომელთა წარმოებაც შესაძლებელია ერთსა და იმავე დროს დრომეწივე ამიტომ ეჭვივალენტები არიან, რის გამოც ამ საქონელთაგან ერთის ღირებულება შეიძლება გამოიხატოს მეორე საქონლის სახმარი ღირებულების იმ რაოდენობაში, რომელიც იგივე სამუშაო დრო ღირს. საქონლის შეფარდებითი ღირებულება, რიკარდოს თვალსაზრისით, არის მხოლოდ მისი ნამდვილი ღირებულების სხვა გამოხატულება და ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ საქონელთა გაცვლა ხდება მათში მოთავსებული სამუშაო დროს შესაბამისად, ანუ რომ თითოეულმა თვალსაზრისით მოთავსებული სამუშაო დროს შესაბამისად, ანუ რომ ერთნაირია. ამიტომ, თუ საქონლის საბაზრო ფასი მის საცვლელ ღირებულებას უდრის (როგორც ეს ხდება ხოლმე, როცა მიწოდება და მოთხოვნა ერთიმეორეს ფარავენ), მაშინ ნაყიდი საქონელი იმდენსავე შრომას შეიცავს, რამდენსაც გაყიდული საქონელი. საქონელი სადღებო მხოლოდ თავისი საცვლელი ღირებულებით, ანუ მისი გაყიდვა ხდება მხოლოდ მისი საცვლელი ღირებულების მიხედვით, თუ მისი სანაცვლოდ ღებულობენ შრომის იმავე რაოდენობას, რამდენიც მასში ვასცეს.

ყოველივე ამას კულოხი, მართლაც, ადასტურებს სწორად, იგი თუ-
თიყუთივით იმეორებს სხეების ნათქვამს. მხოლოდ იგი აქ უფრო შორს
მიდის, რამდენადაც საცვლელი ღირებულების მალთუსისეული განსაზღ-
ვრა—დაქირავებული შრომის ის რაოდენობა, რომელიც საქონლის გან-
კარგულებაშია — უკვე გამჭდარია მის შინაგან არსებაში. ამიტომ იგი
განსაზღვრავს შეფარდებითს ღირებულებას როგორც «შრომის ან რო-
მელიმე სხვა საქონლის იმ რაოდენობას, რომელზეც საქონელი იცვლება».
შეფარდებითი ღირებულების განხილვისას რიკარდო მუდამ ლაპარაკობს
მხოლოდ საქონელზე შრომის გამოკლებით, რადგან საქონელთა გაცვლი-
ტას მოგების რეალიზება ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ საქონელსა და
შრომას შორის გაცვლისას ადგილი აქვს შრომის თანაბარ რაოდე-
ნობათა გაცვლას. უკვე თავისი თხზულების დასაწყისშივე რიკარდო გან-
საკუთრებით ხაზს უსვამს იმას, რომ საქონლის ღირებულების განსა-
ზღვრა [841] მასში მოთავსებული სამუშაო დროით *toti coelo** გან-
სხვავდება ამ ღირებულების შრომის იმ რაოდენობით განსაზღვრისაგან,
რომლის ყიდვაც საქონელს შეუძლია¹. ამით რიკარდო, ერთი მხრივ,
განსახვავებს შრომის იმ რაოდენობას, რომელსაც საქონელი შეიცავს,
შრომის იმ რაოდენობისაგან, რომელიც საქონლის განკარგულებაშია;
მეორე მხრივ, რიკარდო საქონლის შეფარდებითი ღირებულებიდან
გამორიცხავს საქონლის გაცვლას შრომაზე. ვინაიდან ერთი საქონლის
მეორეზე გაცვლისას ადგილი აქვს შრომის თანაბარ რაოდენობათა გაცვ-
ლას, ხოლო როცა საქონელი თვით შრომაზე იცვლება, ერთიმეორეზე
იცვლება შრომის არათანაბარი რაოდენობანი, და კაპიტალისტური წარ-
მოება დამყარებულია ამ გაცვლის უთანაბრობაზე. რიკარდო არ განმარ-
ტავს, თუ როგორ ეთანხმება ეს გამონაკლისი ღირებულების
ცნებას. აქედან წარმოდგება რიკარდოს შემდეგდროინდელი ეკონომის-
ტების დავა. მაგრამ სწორი ალლო კარნახობს მას ამ გამონაკლისს.
(სინამდვილეში ეს სრულიად არ არის გამონაკლისი, მაგრამ გამონაკლი-
სია მისი გაგებით). ამრიგად, კულოხი რიკარდოზე უფრო შორს მი-
დის, იგი, როგორც ეს შეიძლება პირველი შეხედვით მოგვეჩვენოს, რი-
კარდოზე უფრო თანამიმდევრულია.

მას არავითარი ბზარი არა აქვს. ყველაფერი ერთი ნაჭრისაგანაა. სა-
ქონელი საქონელზე იცვლება თუ შრომაზე — სულ ერთია. ეს გაცვლითი
ურთიერთობა თანაბრად საქონლის შეფარდებითი ღირებუ-
ლებებია. და თუ ვასაცვლელ საქონელთა გაყიდვა მათი ღირებულების
მიხედვით ხდება (ე. ი. თუ მოთხოვნა და მიწოდება ერთიმეორეს ფარა-

* — სრულიად. პრინციპულად. რ ე დ.

ვენ), მაშინ ეს შეფარდებითი ღირებულება მუდამ ნ ა მ დ ვ ი ლ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს გამოხატულებაა, ე. ი. ვაცვლის ორივე პოლუსზე ჩვენ გვაქვს შრომის თანაბარი რაოდენობანი. მაშასადამე, «საქმის ჩვეულებრივი მდგომარეობისას» საქონელი იცვლება აგრეთვე მხოლოდ დაქირავებული შრომის ისეთ რაოდენობაზე, რომელიც უდრის ამ საქონელში მოთავსებული შრომის რაოდენობას. მუშა ხელფასის სახით ღებულობს იმდენსავე მატერიალიზებულ შრომას, რამდენსაც იგი კაპიტალისტს უბრუნებს სანაცვლოდ უშუალო შრომის სახით. ამით ქრება ზედმეტი ღირებულების წყარო და ისპობა რიკარდოს მთელი თეორია.

ამრიგად, ბ-ნი კულოხი ჯერ უკუაგდებს რიკარდოს თეორიას ვითომდა სრულ თანამიმდევრობამდე მისი დაყვანის მოჩვენებითი საბაბით.

და შემდეგ რას აკეთებს იგი? შემდეგ იგი უსირცხვილოდ გადადის რიკარდოდან მალთუსზე, რომლის მოძღვრების თანახმად საქონლის ღირებულება განისაზღვრება შრომის იმ რაოდენობით, რომელსაც საქონელი ყიდულობს და რომელიც ყოველთვის საქონელში მოთავსებულ შრომის რაოდენობაზე მეტი უნდა იყოს. განსხვავება მაკ-კულოხსა და მალთუსს შორის ისაა, რომ მალთუსმა ეს გამოთქვა სწორედ ისე, როგორც იგი სინამდვილეშია, ე. ი. როგორც რიკარდოს ღებულების ანტი-ე-ზ ა, მაკ-კულოხი კი ღებულობს ამ ანტითეზას მას შემდეგ, რაც მან მიიღო რიკარდოს ფორმულირება იმ მოჩვენებითი თანამიმდევრობით (ე. ი. ჰუანაკლებობის თანამიმდევრობით), რომელიც აზრს უკარგავს რიკარდოს თეორიას. ამიტომ რიკარდოს მოძღვრების შინაგანი ბირთვი — თუ როგორ ხდება მოგების რეალიზაცია ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ საქონელთა ვაცვლის საფუძველზე — კულოხს არ ესმის, და იგი მისთვის არც არსებობს. რადგან საცვლელი ღირებულება, — რომელიც, კულოხის მიხედვით, «ბაზრის ჩვეულებრივი მდგომარეობისას» უდრის ღირებულებას, მაგრამ «ფაქტიურად» მუდამ აღემატება მას, რადგან ამ გადანამეტზე დამყარებულია მოგება (მშვენიერი დაპირისპირებაა და გვარიანი ანალიზი, რომელიც ემყარება სიტყვას «ფაქტიურად»), — არის ის «რაოდენობა შრომისა ან რომელიმე სხვა საქონლისა», რომელზეც საქონელი იცვლება, ამიტომ «ყოველ სხვა საქონელზე» შეიძლება ითქვას ის, რაც «შრომაზე» ითქმის. სხვა სიტყვებით, საქონლის ვაცვლა ხდება არა მარტო უშუალო შრომის უფრო მეტ რაოდენობაზე, ვიდრე შრომის ის რაოდენობაა, რომელსაც საქონელი შეიცავს, არამედ სხვა საქონელში მატერიალიზებული შრომის უფრო მეტ რაოდენობაზეც, ვიდრე შრომის ის რაოდენობაა, რომელსაც თვით გასაცვლელი საქონელი შეიცავს, — ე. ი. მოგება არის «გასხვისებით მიღებული მოგება», და ამით ჩვენ კვლავ მერკანტილისტებთან მივედით. მალთუსი

პირდაპირ აკეთებს ამ დასკვნას. კულოხის მსჯელობაში იგი გვევლინება როგორც თავისთავად გასაგები რამ, მხოლოდ იმ პრეტენზიით, რომ ეს არის რიკარდოს სისტემის განვითარება.

და ეს რიკარდოს სისტემის სრული დაშლა, რაც ამ სისტემას სრულ ვალიდატიად აქცევს. — დაშლა, რომელიც ამასთან თავს იწონებს იმით, რომ იგი თითქოსდა თანამიმდევრული განვითარებაა რიკარდოს სისტემისა, — ბრბომ, განსაკუთრებით კონტინენტის ბრბომ (მათ რიცხვში, რა თქმა უნდა, ბ-ნმა რომერმაც) მიიღო როგორც ძალიან შორს წასული, უკიდურესობამდე მიყვანილი დასკვნა რიკარდოს სისტემიდან, დაუჭერა რა, ამრიგად, ბ-ნ კულოხს ის, რომ თითქოს მის მიერ ათვისებული რიკარდოსეული მანერა «ცხვირის მოხოცვისა და ფურთხებისა»⁸², რომლითაც იგი თავის უმწეო, უაზრო და უსინდისო ეკლექტიზმს ფარავს, მართლაცდა ამ სისტემის თანამიმდევრულად გატარების შეცნეირული ცდაა!

მაკუკულოხი უბრალოდ ადამიანია, რომელმაც მოინდომა რიკარდოს ეკონომიური თეორიის წყალობით გამდიდრება, რაც მან შეძლო კიდევ გასაოცარი მოხერხებით. სავსებით ამგვარადვე სეი მდიდრდებოდა სმიტის თეორიის წყალობით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სეის, ყოველ შემთხვევაში, ის დამსახურება აქვს, რომ სმიტის თეორია გარკვეულ ფორმალურ წესრიგში მოიყვანა და ალაგ-ალაგ, თუ არ ჩავთვლით გაუგებლობის შემთხვევებს, თავის თავს ნებას აძლევდა აგრეთვე ზოგიერთი თეორიული დაეპყვებაც გამოეთქვა. რადგან კულოხმა პირველმა მიიღო პროფესორის კათედრა ლონდონში რიკარდოს ეკონომიური თეორიის წყალობით, ამიტომ იგი თავდაპირველად უნდა გამოსულიყო რიკარდოს პოზიციებიდან და, კერძოდ, მონაწილეობა მიეღო აგრეთვე მიწის მესაყუთრეთა წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაშიც. როგორც კი მან ფეხი მოიკიდა და რიკარდოს მხრებზე მდგომმა [842] გარკვეულ მდგომარეობას მიაღწია. მისი მთავარი მისწრაფება ის იყო, რომ პოლიტიკურ ეკონომიაში, განსაკუთრებით რიკარდოსეულში, ლექციები წაეკითხა ვიგიზმის ფარგლებში და ჩამოეშორებინა მისგან ვიგებისათვის ყველა არასასიამოვნო დასკვნა. მისი უკანასკნელი თხზულებები ფულის, გადასახადების შესახებ და ა. შ. მხოლოდ დასაცავი სიტყვებია ყოველ მოცემულ მომენტში ხელისუფლების სათავეში მყოფი ვიგების კაბინეტის სასარგებლოდ. ამ გზით ამ ადამიანმა შემოსავლიან ადგილს მიაღწია. მისი სტატისტიკური შრომები იყო იაფი წარმატებისათვის და მყიდველთა მიზიდვისათვის გამიზნული ნაჩქარევად შეთთხნილი თხზულებები. თეორიის უაზრო მოსპობა და მისი უაზრო ვულგარიზაცია მქლავნდება

აქ აგრეთვე თვით ვაუბატონშიც როგორც «a vulgarian»*—რის შესახებაც კიდევ ვიტყვით ზოგ რაიმეს შემდეგში, ვიდრე ჩვენ ამ სპეკულაციის მიმდევარ შოტლანდიელს დავემშვიდობებით.

1828 წელს მაკ-კულოხმა გამოსცა სმიტის «Wealth of Nations», და ამ გამოცემის მეოთხე ტომი შეიცავს მის საკუთარ «შენიშვნებსა და მსჯელობებს», სადაც იგი, ტომის შესავსებად, ნაწილობრივ ხელახლა ბეჭდავს მის მიერ უკვე წინათ გამოქვეყნებულ უხეირო სტატიებს, რომელთაც აბსოლუტურად არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ საქმესთან, როგორც, მაგალითად, სტატიას «მაიორატის» შესახებ და ა. შ., ნაწილობრივ თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს თავის ლექციებს პოლიტიკური ეკონომიის ისტორიაში, ანუ, როგორც თვითონ ამბობს, «ბევრ რამეს სესხულობს იქიდან», ნაწილობრივ კი ცდილობს შეითვისოს თავის ყაიდაზე ის ახალი, რაც დროის ამ მონაკვეთში შექმნეს მიღმა და აგრეთვე რიკარდოს მოწინააღმდეგეებმა.

თავის «Principles of Political Economy»-ში⁶⁸ ბ-ნი მაკ-კულოხი იმასდა აკეთებს, რომ გადმოიწერს თავის «შენიშვნებს და მსჯელობებს», რომლებიც მან თვითონ უკვე გადმოიწერა თავისი წინანდელი «გაფანტული ნაწარმოებებიდან». მხოლოდ «Principles»-ში საქმე კიდევ უარესდება, ვინაიდან «შენიშვნებში» უფრო ადვილია არათანამიმდევრულობათა დაშვება, ვიდრე საგნის თითქოსდა მეთოდურ გადმოცემაში. ასე, მაგალითად, ზემომოყვანილი დებულებანი მაკ-კულოხის «Principles»-დან, ნაწილობრივ «შენიშვნებიდან და მსჯელობებიდან» სიტყვასიტყვით ამოღებული, ამ «შენიშვნებში» სმიტის შესახებ მაინც რამდენადმე ნაკლებ არათანამიმდევრულად გამოიყურება, ვიდრე «Principles»-ში. {მისი «Principles», გარდა ამისა, შეიცავენ მილიდან ნასესხებ ადგილებს, შევსებულთ ყველაზე უაზრო ილუსტრაციებით, და გადაბეჭდილ სტატიებს ხორბლით ვაჭრობისა და სხვ. შესახებ, რომლებიც მას, შეიძლება, უკვე ოცი სხვადასხვა სათაურით სიტყვასიტყვით სულ ახლად და ახლად დაუბეჭდია სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში, ხშირად ე რ თ ს ა და ი მ ა ვ ე ე უ რ ნ ა ლ შ ი ც კ ი ს ხ ვ ა და ს ხ ვ ა დ რ ო ს . }

ა. სმიტის დასახელებულ IV ტომში (ლონდონი, 1828 წ.), რომელიც მან გამოსცა, მაკი ამბობს (იგი სიტყვასიტყვით იმეორებს იმავეს თავის «Principles of Political Economy»-ში, მაგრამ იმ განსხვავებათა გარეშე, რომლებიც მას ჯერ კიდევ საჭიროდ მიაჩნდა თავის «შენიშვნებში»):

* — ეულგარულ ადამიანში, უგვანოში. რ ე დ.

«აუცილებლად უნდა განვასხვაოთ ერთიმეორისაგან საქონელთა ან პროდუქტთა საცვლელი ღირებულება და ნამდვილი ღირებულება — ანუ ხარჯთ ღირებულება. პირველი, ანუ საქონლის ან პროდუქტის საცვლელი ღირებულება, უნდა გვესმოდეს როგორც მისი შესაძლებლობა, ანუ უნარი, სხვა საქონელზე ან შრომაზე გაცვლისა, მეორე კი, ანუ საქონლის ნამდვილი ღირებულება, ანუ ხარჯთ ღირებულება, უნდა გვესმოდეს როგორც ის რაოდენობა შრომისა, რომელიც საჭიროა მისი წარმოებისათვის ან მითვისებისათვის, ანდა, უფრო ზუსტად, ის რაოდენობა შრომისა, რომელიც საჭირო იქნებოდა ერთგვაროვანი საქონლის წარმოებისათვის ან მითვისებისათვის გამოყველთვის მომენტში» (ციტირ. თხზ., გვ. 85—86).

შრომის ვარკვეული რაოდენობით წარმოებული საქონელი» (როცა საქონელთა მიწოდება ნამდვილ მოთხოვნას უდრის) «სისტემატურად გაიცილება ყოველ სხვა საგანზე, ანუ იყიდის ყოველ სხვა საქონელს, წარმოებულს შრომის იმავე რაოდენობით. მაგრამ იგი არასდროს არ გაიცილება ზუსტად შრომის იმავე რაოდენობაზე, ანუ ვერ იყიდის ზუსტად შრომის იმავე რაოდენობას, რომელმაც იგი აწარმოა; მაგრამ თუმცა იგი ამას არ ვააკეთებს, იგი მაინც ყოველთვის გაიცილება შრომის იმავე რაოდენობაზე ან იყიდის შრომის იმავე რაოდენობას, როგორც ყოველი სხვა საქონელიც, რომელიც წარმოებულია თანაბარ პირობებში, ანდა შრომის იმავე რაოდენობით, როგორც თვით ეს საქონელი აწარმოეს» (იქვე, გვ. 96—97).

«ფაქტიურად» (ამ ფრაზას მაკ-კულოხი სიტყვასიტყვით იმეორებს «Principles»-ში, რადგან ეს «ფაქტიურად» შეადგენს ფაქტიურად მთელ მის არგუმენტაციას) «იგი» (საქონელი) ყოველთვის გაიცილება უფრო მეტ რაოდენობაზე [ე. ი. მის წარმოებაზე დახარკული შრომის უფრო მეტ რაოდენობაზე] და სწორედ ეს გადამატიებს ქმნის კიდევ მოგებას. კაპიტალისთვის არ ექნებოდა არავითარი მოტივი (თითქოს საქონელთა გაცვლისა და მათი ღირებულების გამოყველვისას) ლაპარაკი იყოს მყიდველის «მოტივებზე» გაეცალა უკვე შესრულებული შრომის [843] ვარკვეული რაოდენობის პროდუქტი შეესაბამებელი შრომის იმავე რაოდენობის პროდუქტზე. ეს იგივე იქნებოდა, რაც «გასესხება» [გააცვლა] იქნებოდა «გასესხება»; «სესხისთვის რაიმე სარგებლის მიუღებლად» (იქვე, გვ. 96).

დავიწყით ბოლოდან.

კაპიტალისტი რომ უკან არ იღებდეს უფრო მეტ შრომას, ვიდრე მან აუასად გაიღო ხელფასის სახით, მაშინ იგი «გასესხებდა» «მოგების» მიუღებლად. მთელი პრობლემა ისაა, რომ ავხსნათ, როგორ არის შესაძლებელი მოგება, თუ საქონელთა (შრომის ან სხვა საქონლის) გაცვლა ხდება მათი ღირებულების მიხედვით. მაკ-კულოხის ახსნა-განმარტება კი გვეუბნება, რომ მოგება შეუძლებელი იქნებოდა, ეკვივალენტების გაცვლა რომ ხდებოდა. ჭერ იგულისხმება, რომ კაპიტალისტი და მუშა «ახორციელებენ გაცვლას». შემდეგ მოგების ასახსნელად ივარაუდება, რომ იხინი «არ» ახორციელებენ გაცვლას, არამედ ერთი მათგანი გაასესხებებს (ე. ი. იძლევა საქონელს), მეორე კი ისესხებს, ე. ი. ფასს იხდის. მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქონელი მთილო. ანდა მოგების ასახსნელად ნათქვამია, რომ კაპიტალისტი «ვერავითარ სარგებელს» ვერ მიიღებდა.

თუ მოგება არ ექნებოდა. ამასთან თვით საკითხი დასმულია არასწორად. საქონელი, რომლითაც კაპიტალისტი ხელფასს გასცემს, და საქონელი, რომელსაც იგი უკან ლებულობს როგორც შრომის შედეგს, სხვადასხვა სახეობის ღირებულებას იძლევა. მაშასადამე, იგი არ ლებულობს უკან იმას, რაც ავანსად გაიღო, სავსებით ისევე როგორც იგი არ ლებულობს იმავე საქონელს, როცა ერთ საქონელს მეორეზე ცვლის. ყიდულობს იგი მეორე საქონელს თუ ყიდულობს სპეციფიკურ [საქონელს—] შრომას, რომელიც მისთვის ამ მეორე საქონელს აწარმოებს, — ეს ერთი და იგივეა. ნაცვლად იმ სახმარი ღირებულებისა, რომელსაც იგი გასცემს, ლებულობს მეორე სახმარ ღირებულებას, როგორც ეს ხდება ყოველი საქონელგაცვლისას. თუკი, პირიქით, მხედველობაში გვექნება მხოლოდ საქონლის ღირებულება, მაშინ იმაში, რომ «უკვე შესრულებული შრომის გარკვეული რაოდენობა» გაიცვლება «შესასრულებელი შრომის იმავე რაოდენობაზე» (თუმცა სინამდვილეში კაპიტალისტი ფასს იხდის მხოლოდ მას შემდეგ, რაც შრომა უკვე შესრულებულია), უკვე არავითარი წინააღმდეგობა არ არის, ისე როგორც წინააღმდეგობა არ არის იმაშიც, რომ შესრულებული შრომის გარკვეული რაოდენობა გაიცვლება შესრულებული შრომის იმავე რაოდენობაზე. უკანასკნელი უაზრო ტავტოლოგიაა. პირველი ვარაუდობს, რომ «შესასრულებელი შრომა» გასაგნობრივებულია სხვა სახმარ ღირებულებაში, ვიდრე შესრულებული შრომა. ამ შემთხვევაში, მაშასადამე, არის განსხვავება [გაცვლის ობიექტებს შორის] და არსებობს თვით მიმართებიდან გამომდინარე მოტივიც გაცვლისა, მაშინ როდესაც მეორე შემთხვევაში ასეთი მოტივი არ არის, რადგან აქ A-ზე გაიცვლება მხოლოდ A, რამდენადაც ამ გაცვლისას ლაპარაკია [მხოლოდ] შრომის რაოდენობაზე. ამიტომ ბ-ნი მაკი მიმართავს მოტივის. კაპიტალისტის მოტივია — მიიღოს უკან უფრო მეტი «შრომის რაოდენობა», ვიდრე გასცეს, მოგება ახსნილია იმით, რომ კაპიტალისტს აქვს მოტივი — მიიღოს «მოგება». მაგრამ სავსებით ასევე შეიძლება გვეთქვა ვაჭრის მიერ საქონლის გაყიდვისას, საქონელთა ყოველი გაყიდვისას, რომლის მიზანია არა მოხმარება, არამედ მოგება: გამყიდველს არა აქვს მოტივი შესრულებული შრომის გარკვეული რაოდენობა გადაცვალოს შესრულებული შრომის იმავე რაოდენობაზე. მისი მოტივია — მიიღოს სანაცვლოდ მეტი შესრულებული შრომა, ვიდრე იგი გასცემს. ამიტომ მან უნდა მიიღოს მეტი შესრულებული შრომა ფულის ან საქონლის ფორმით, ვიდრე იგი გასცემს საქონლის ან ფულის სახით. მაშასადამე, მან უნდა იყიდოს უფრო იაფად, ვიდრე ყიდის, და გაყიდოს უფრო ძვირად, ვიდრე იყიდა. ამრიგად, ჩვენ ვვაქვს აქ «გასხვების მიღებულის მოგება», რო-

მელიც აიხსნება არა იმით, რომ იგი შეესაბამება ღირებულების კანონს, არამედ იმით, რომ მყიდველსა და გამყიდველს არა აქვთ «მოტივი» იყიდონ ან გაყიდონ ღირებულების კანონის თანახმად. ასეთია მაკის პირველი «დიდი» აღმოჩენა; იგი ცუდად როდი გამოიყურება რიკარდოს სისტემის ფარგლებში, სისტემისა, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს, თუ როგორ იკაფავს გზას ღირებულების კანონი მყიდველთა და გამყიდველთა «მოტივების» მიუხედავად.

[844] დანარჩენში მაკის გადმოცემა «შენიშვნებში» განსხვავდება მისი გადმოცემისაგან «Principles»-ში მხოლოდ შემდეგით:

«Principles»-ში იგი განასხვავებს ერთიმეორისაგან «ნამდვილ ღირებულებას» და «შეფარდებითს ღირებულებას» და ამბობს, რომ «ჩვეულებრივ პირობებში» ისინი ერთიმეორის თანაბარნი არიან, მაგრამ რომ «ფაქტიურად» ისინი არ შეიძლება თანაბარნი იყვნენ, თუ მიღებულ უნდა იქნეს მოგება. ამრიგად, იგი მხოლოდ იმას ამბობს, რომ «ფაქტი» ეწინააღმდეგება «პრინციპს».

«შენიშვნებში» იგი განასხვავებს სამგვარ ღირებულებას: საქონლის «ნამდვილ ღირებულებას», «შეფარდებითს ღირებულებას» მისი სხვა საქონელზე გაცვლისას და საქონლის «შეფარდებითს ღირებულებას» შრომაზე გაცვლისას. საქონლის «შეფარდებითი ღირებულება» მისი სხვა საქონელზე გაცვლისას არის მისი ნამდვილი ღირებულება, გამოხატული სხვა საქონელში, ანუ «ეკვივალენტში». პირიქით, მისი შეფარდებითი ღირებულება შრომაზე გაცვლისას არის მისი ნამდვილი ღირებულება, გამოხატული სხვა ნამდვილ ღირებულებაში, რომელიც თვით მასზე მეტია, — ე. ი. მისი ღირებულება არის გაცვლა უფრო დიდ ღირებულებაზე, გაცვლა არაეკვივალენტზე. თუ ადგილი ექნებოდა საქონლის გაცვლას ეკვივალენტზე შრომაში, მაშინ მოგება არ იქნებოდა. საქონლის ღირებულება შრომაზე გაცვლისას არის უფრო დიდი ღირებულება.

პ რ ა ბ ლ ე მ ა: ღირებულების რიკარდოსეული განსაზღვრა ეწინააღმდეგება საქონლის გაცვლას შრომაზე.

მ ა კ ი ს გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა: საქონლის შრომაზე გაცვლისას ღირებულების კანონი არ არსებობს, არსებობს მისი დაპირისპირებულობა. სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა მოგების ახსნა. [ამავე დროს] მისთვის, რიკარდოელისთვის, მოგება უნდა აიხსნას ღირებულების კანონით

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა: ღირებულების კანონი (ამ შემთხვევაში) არის მოგება. «ფაქტიურად» მაკი მხოლოდ იმას გამოთქვამს, რასაც რიკარდოს თეორიის მოწინააღმდეგენი ამბობენ, — სახელდობრ, რომ თუ ღირებულების კანონი იბატონებდა კაპიტალსა და შრომას შორის გაცვლისას,

14. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

მაშინ არ იარსებებდა არავითარი მოგება. ისინი ამბობენ, რომ ამის გამო ღირებულების რიკარდოსეული კანონი მცდარია. იგი ამბობს, რომ არ არსებობს კანონი ამ შემთხვევისათვის, რომელიც მან ამ კანონიდან უნდა ახსნას, და რომ ამ შემთხვევაში «ღირებულება» აღამიანებს «ესმით» როგორც სხვა რაიმე.

აქედან ცხადია, რომ მაკ-კულოხს სრულიად არ გაეგება რიკარდოსეული კანონი. წინააღმდეგ შემთხვევაში მას უნდა ეთქვა ასე: მოგება საქონელთა გაცვლისას, როცა მათი გაცვლა მათში მოთავსებული სამუშაო ღრის შესაბამისად ხდება. აიხსნება იმით, რომ ყველა საქონელი შეიცავს «ფასგადაუხდელ» შრომას. მაშასადამე, კაპიტალისა და შრომის უთანაბრო გაცვლა გვიხსნის ჩვენ საქონელთა გაცვლას მათი ღირებულების მიხედვით და მოგებას, რომლის რეალიზებაც ამ საქონელგაცვლაში ხდება. ამის ნაცვლად მაკ-კულოხი გვეუბნება: საქონელი, რომელიც სამუშაო ღრის თანაბარ რაოდენობას შეიცავენ, ახორციელებენ განკარგულებას შრომის თანაბარ განაწილებზე, რომელიც არაა მათში მოთავსებული. ამ წესით ფიქრობს იგი შეარიგოს რიკარდოსეული და მალთუსისეული დებულებანი, შეარიგოს იმით, რომ შემოაქვს საქონელთა ღირებულების სამუშაო ღრით განსაზღვრის გაიგივება შრომაზე განკარგულების უნარით საქონელთა ღირებულების განსაზღვრასთან. მაგრამ რას ნიშნავს ეს: საქონლებს, რომელიც სამუშაო ღრის თანაბარ რაოდენობას შეიცავენ, თავიანთ განკარგულებაში აქვთ თანაბარი მეტი შრომა გარდა იმ შრომისა, რომელიც მათშია მოთავსებული? ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ საქონელს, რომელიც გარკვეულ სამუშაო ღრის შეიცავს, თავის განკარგულებაში აქვს ზედმეტი შრომის გარკვეული რაოდენობა, გარდა მასში მოთავსებული შრომისა. უკვე მალთუსისეული ფორმულის სიტყვიერი გამოხატულება გულისხმობს, რომ ეს შეეხება არა მარტო საქონელ A-ს, რომელიც შეიცავს X სამუშაო ღრის, არამედ საქონელ B-საც, რომელიც ასევე X სამუშაო ღრის შეიცავს.

მაშასადამე, მაკი წინააღმდეგობას ასე წყვეტს: თუ ძალაში იქნებოდა ღირებულების რიკარდოსეული კანონი, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა მოგება, და, მაშასადამე, შეუძლებელი იქნებოდა კაპიტალისტური წარმოება. სწორედ ეს არის ის, რასაც რიკარდოს მოწინააღმდეგენი ამტკიცებდნენ. და ეს არის ის, რითაც მათ მაკი პასუხს აძლევს, რითაც მათ უკუაგდებს. ამასთან იგი სრულიად ვერ ამჩნევს საცვლელი ღირებულების შრომაზე [გაცვლილისას], წარმოქმნილი ვითარების ისეთი ახსნა განმარტების სიმშვენიერეს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ღირებულება არის გაცვლა რაიმე არაღირებულ ებაზე.

(ბ) შრომის ცნების დამახინჯება ბუნების პროცესებზე მისი გავრცელებით. საცვლელი ღირებულებისა და სახმარი ღირებულების გაიზივება. აკოლოგიტიკური ბაზება მოგებისა როგორც «დაბროვილი შრომის ხელფასისა»]

[845] მას შემდეგ, რაც ბ-ნმა მაკმა ამგვარად უარყო რიკარდოსეული პოლიტიკური ეკონომიის საფუძველი, იგი კიდევ უფრო შორს მიდის და ანგრევს თვით ამ საფუძვლის საფუძველს.

პირველ სიძნელეს რიკარდოს სისტემაში წარმოდგენდა გაცვლა კაპიტალსა და შრომას შორის «ღირებულების კანონის» თანახმად.

მეორე სიძნელე ის იყო, რომ ტოლდიდი კაპიტალები, როგორც უნდა იყოს მათი ორგანული შედგენილობა, თანაბარ მოგებას — ან მოგების საერთო ნორმას იძლევიან. სინამდვილეში ეს არის შეუცნობელი პრობლემა იმის გამოკვლევისა, თუ როგორ ხდება ღირებულებათა გადაქცევა ხარჯთფასებად.

სიძნელე წარმოდგებოდა იქიდან, რომ არაერთნაირი შედგენილობის ტოლდიდი კაპიტალებს, სულ ერთია — იწვევს ამას არაერთნაირი თანაფარდობა მუდმივსა და ცვალებად კაპიტალს შორის, ძირითადად და საბრუნავ კაპიტალს შორის თუ მიმოქცევის დროის სხვადასხვაობა, — მოძრაობაში მოჰყავთ უშუალო შრომის უთანაბრო მასები, მაშასადამე, ფასგადაუხდელი შრომის უთანაბრო მასებიც და, მაშასადამე, არ შეუძლიათ მიითვისონ წარმოების პროცესში თანაბარი ზედმეტი ღირებულება, ანუ თანაბარი ზედმეტი პროდუქტი. მაშასადამე, მათ არ შეუძლიათ მიიღონ თანაბარი მოგება, თუ მოგება მხოლოდ ზედმეტი ღირებულებაა, გამონაგარიშებული მთელი ავანსებული კაპიტალის ღირებულებასთან შეფარდებით. მაგრამ თუ ზედმეტი ღირებულება სხვა რამაა, ვიდრე შრომა (ფასგადაუხდელი), მაშინ შრომა საერთოდ არ წარმოადგენს საჭიონელთა ღირებულების «საფუძველსა და საზომს»⁶⁴.

აქ წამოჭრილი სიძნელენი რიკარდომ თვითონ შენიშნა (თუმცა არა მათი ზოგადი ფორმით) და ჩათვალა ისინი გამონაკლისებად ღირებულების წესიდან [ე. ი. კანონიდან]. მალთუსმა ამ გამონაკლისებთან ერთად უკუაგდო წესიც, რადგან გამონაკლისები შეადგენდნენ წესს. ტორენსმა, ასევე რიკარდოს წინააღმდეგ პოლემიკაში, რამდენადმე, მაინც ჩამოაყალიბა პრობლემა, როცა თქვა, რომ ტოლდიდი კაპიტალებს მოძრაობაში მოჰყავთ შრომის არათა-

ნაბარი მასები, მაგრამ მიუხედავად ამისა აწარმოებენ თანაბარი «ღირებულებების» მქონე საქონელთ დარომამიტომ ღირებულება შრომით არ განისაზღვრება. ასეთივეა ბეილისა და სხვების მსჯელობა. მიღმა, თავის მხრივ, რიკარდოს მიერ დადასტურებული გამონაკლისები ჩათვალა გამონაკლისებად, ამასთან ამ გამონაკლისებს, გარდა ერთადერთი ფორმისა, მასში არავითარი დაეჭვება არ გამოუწვევიათ. კაპიტალების მოგებათა გათანაბრების საფუძველთაგან მიღმა ერთადერთი რამ მიიჩნია წესის საწინააღმდეგოდ. ეს შემთხვევა იყო შემდეგი: ზოგიერთი საქონელი შეჩერდება ხოლმე წარმოების პროცესში (მაგალითად, ლეინო სარდაფში) მასზე ყოველგვარი შრომის დაუხარჯავად: ეს ისეთი პერიოდია, რომლის განმავლობაშიც საქონელი ვარკვეული ბუნებრივი პროცესების ზემოქმედებას განიცდის. (ასეთად, მაგალითად, მუშაობის ხანგრძლივი შეწყვეტა— რასაც მილი არ აღნიშნავს — მიწათმოქმედებაში და აგრეთვე ტყავეულის წარმოებაში, იქ ვარკვეულ ახალ ქიმიურ საშუალებათა გამოყენების დაწყებამდე.) და მიუხედავად ამისა ეს დრო იანგარიშება როგორც მოგების მომტანი. დრო, რომლის განმავლობაშიც საქონელი არ ექვემდებარება შრომის პროცესს, იანგარიშება როგორც სამუშაო დრო. (ასევე ხდება საერთოდ იქ, სადაც ადგილი აქვს მიმოქცევის უფრო ხანგრძლივ პერიოდს.) მიღმა, ასე ვთქვათ, «თავი დაიძვრინა» ამ გასაჭირიდან იმით, რომ განაცხადა დრო, რომლის განმავლობაშიც ლეინო, მაგალითად, სარდაფში იხახება, შეიძლებოდა ვაგვეხილა როგორც ისეთი დრო, რომლის განმავლობაშიც იგი შრომას შეიწოვსო, თუმცა, ვარაუდის თანახმად, ეს ფაქტიურად არ ხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში [აღნიშნავს მილი] უნდა გვეთქვა, რომ «დრო» ქმნისო მოგებას, მაშინ როდესაც დრო როგორც ასეთი ეს «მხოლოდ კვამლი და ხმა»⁶⁵ არისო. მილის ამ აბღაუბდას უერთდება კულოხი, ანუ, უფრო ზუსტად, ალაღვენს მას, თავის ჩვეულებრივ მაღალფარდოვან პლაგიატორულ ყაიდაზე, ზოგადი ფორმით, რომლითაც ფარული უაზრობა ვარკვეანად მეღავნდება და ამით მაკიკმაყოფილებით ემშვიდობება რიკარდოსეული სისტემის, ისევე როგორც საერთოდ მთელი ეკონომიური აზროვნების უკანასკნელ ნაშთს.

ყველა ზემოდასახელებული სიძნელე უფრო ახლო განხილვისას დაიუვანება, თავის მხრივ, შემდეგ სიძნელეზე:

კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც საქონელთა ფორმით წარმოების პროცესში შედის როგორც მასალა ან იარაღი, არასოდეს არ მიუმატებს პროდუქტს უფრო მეტ ღირებულებას, ვიდრე ის ღირებულებაა, რაც

მას ამ წარმოების პროცესამდე ჰქონდა. ეს იმიტომ ხდება, რომ მას ღირებულება აქვს იმდენად, რამდენადაც იგი განივთებული შრომაა, და მასში მოთავსებული შრომა არასგზით არ იცვლება იმის გამო, რომ იგი წარმოების პროცესში შედის. იგი იმდენად არ არის დამოკიდებული წარმოების პროცესზე, რომელშიც შედის, ან იმდენად არის დამოკიდებული საზოგადოებრივად განსაზღვრულ შრომაზე, რომელიც საჭიროა მისი საკუთარი წარმოებისათვის, რომ მისი საკუთარი ღირებულება იცვლება, თუ მისი კვლავწარმოებისათვის საჭიროა უფრო მეტი ან ნაკლები სამუშაო დრო, ვიდრე მასშია მოთავსებული. ამიტომ, როგორც ღირებულება, კაპიტალის ეს ნაწილი შედის წარმოების პროცესში შეუცვლელად და გამოდის იქიდან ასევე შეუცვლელად. რამდენადაც იგი საერთოდ რეალურად შედის წარმოების პროცესში და იცვლება, ეს არის ცვლილება, რომელსაც მისი ს ა ხ მ ა რ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა განიცდის, რომელსაც განიცდის თვით იგი როგორც ს ა ხ მ ა რ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა. და ყველა ის ოპერაცია, რომელთაც ნედლეული განიცდის ანდა რომელთაც შრომის იარაღები ასრულებენ, მხოლოდ პროცესებია, რომელთაც ისინი განიცდიან ან ასრულებენ როგორც გარკვეული ნედლეული და როგორც გარკვეული იარაღები შრომისა (თითისტარი და ა. შ.); ეს არის მათი სახმარი ღირებულების პროცესები, რომელთაც როგორც ასეთებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ მათს საცვლელ ღირებულებასთან. ამ ცვლილების დროს საცვლელი ღირებულება [846] შენარჩუნდება. *Voilà tout.**

სხვანაირია საქმის ვითარება კაპიტალის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც იცვლება სამუშაო ძალაზე. სამუშაო ძალის სახმარი ღირებულება არის შრომა, საცვლელი ღირებულების შემქმნელი ელემენტირადგან შრომა, რომელსაც სამუშაო ძალა ასრულებს მისი საწარმოო მოხმარების დროს, უფრო მეტია იმ შრომაზე, რომელიც საჭიროა მისი საკუთარი კვლავწარმოებისათვის და რომელიც ხელფასის ეკვივალენტს იძლევა, ამიტომ ღირებულება, რომელსაც კაპიტალისტი მუშისაგან ღებულობს მისთვის გადასახდელი ხელფასის სანაცვლოდ, უფრო დიდია იმ ფასზე, რაც კაპიტალისტმა ამ შრომაში გადაიხადა. აქედან გამომდინარეობს, თუ ნაგულისხმევია შრომის ექსპლოატაციის ერთნაირი ნორმა, რომ ორი ტოლდინი კაპიტალიდან ის, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს უფრო ნაკლები ცოცხალი შრომა, — სულ ერთია, იწვევს ამას ის, რომ თავიდანვე მისი ცვალებადი ნაწილი უფრო მცირეა მუდმივ კაპიტალთან შედარებით, თუ უფრო [ხანგრძლივია] მისი მიმოქცევის დრო ან

* — ესაა და ეს. რ ე დ.

წარმოების დრო, რომლის განმავლობაშიც იგი არ გაიცვლება შრომაზე, არ შედის მასთან კონტაქტში. არ ნთქავს მას, — რომ ასეთი კაპიტალი ნაკლებ ზედმეტ ღირებულებას ქმნის და საერთოდ ნაკლები ღირებულების საქონელს ქმნის. როგორ შეიძლება, რომ ასეთ პირობებში შექმნილი ღირებულება ნი თანაბარნი იყვნენ, ზედმეტი ღირებულებანი კი შეესაბამებოდნენ ავანსებულ კაპიტალს? რიკარდოს არ შეეძლო ამაზე პასუხის გაცემა, რადგან ამგვარად დაყენებული საკითხი უაზროა, რადგან სინამდვილეში აქ არ იწარმოება არც თანაბარი ღირებულებანი, არც თანაბარი ზედმეტი ღირებულებანი. მაგრამ რიკარდომ ვერ გაიგო მოგების საერთო ნორმის გენეზისი, და ამიტომ ვერ გაიგო ღირებულებათა გადაქცევა მათგან სპეციფიკურად განსხვავებულ ხარჯთფასებად.

მაკი კი თავიდან იშორებს სიძნელეს მილის უაზრო «ფანდზე» დაყრდნობით. სიძნელეს თავიდან იშორებენ იმით, რომ ცარიელი ფრაზით თავს აღწევენ იმ დამახასიათებელ განსხვავებას, რომლიდანაც სიძნელე გამომდინარეობს. ეს დამახასიათებელი განსხვავება შემდეგია. სამუშაო ძალის სახმარი ღირებულება არის შრომა, ამიტომაც ქმნის იგი საცვლელ ღირებულებას. სხვა საქონელთა სახმარი ღირებულება არის სახმარი ღირებულება საცვლელი ღირებულებისაგან განსხვავებით, რის გამოც არც ერთი ცვლილება, რასაც ეს სახმარი ღირებულება განიცდის, გავლენას არ ახდენს მათს წინასწარ განსაზღვრულ საცვლელ ღირებულებაზე. სიძნელეს თავიდან იშორებენ იმით, რომ საქონელთა სახმარ ღირებულებებს უწოდებენ საცვლელ ღირებულებებს, ხოლო იმ ოპერაციებს, რომელთაც ეს საქონელნი ასრულებენ როგორც სახმარი ღირებულებანი, იმ სამსახურს, რასაც ისინი ეწევიან წარმოებაში როგორც სახმარი ღირებულებანი, უწოდებენ შრომას. ხომ ამგვარადვე ლაპარაკობენ ყოველდღიურ ცხოვრებაში მუშა პირუტყვისა და სამუშაო მანქანების შესახებ, ხოლო პოეტურ ენას დასაშვებად მიიჩნია ისეთი გამოთქმებიც, როგორიცაა: რკინა შრომობს გახურებისას, ანდა: რკინა შრომობს, როცა ის კენესის უროს დარტყმისას. იგი ხომ ყვირის კიდევ. და არაფერი იმაზე უფრო ადვილად. დასამტკიცებელი, რომ ყოველი «ოპერაცია» არის შრომა, ვინაიდან შრომა არის გარკვეული ოპერაცია. ასევე კარგად შეიძლება იმის დამტკიცება, რომ ყოველივე სხეულებრივს აქვს შეგრძნება, ვინაიდან ყოველივე შემგრძნობი სხეულებრივია.

«შრომა შეიძლება სრული უფლებით განსაზღვრულ იქნეს როგორც ყოველი ისეთი სახე მოქმედებისა, ანუ ოპერაციისა, — სულ ერთია, ასრულებენ მას ადამიანები, ცხოველები, მანქანები თუ ბუნების ძალები — რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ რაიმე სასურველი შედეგი გამოიწვიოს» (Mac Culloch. Notes and Supplemental Dissertations to Smith's Wealth of Nations, vol. IV, გვ. 75).

და ეს სრულიად არ შეეხება [მხოლოდ] შრომის იარაღებს, არსებითად ეს ამდენადვე შეეხება ნედლეულსაც. მატყლი განიცდის ფიზიკურ მოქმედებას, ანუ ფიზიკურ ოპერაციას, როცა ის საღებავ ნივთიერებას შეიწოვს. საერთოდ არავითარ ნივთზე არ შეიძლება მოახდინო ფიზიკური, მექანიკური, ქიმიური და ა. შ. ზემოქმედება «რაიმე სასურველი შედეგის გამოწვევის» მიზნით უიმისოდ, თუ თვითონ ნივთი არ ახდენს რეაგირებას. მაშასადამე, მისი დამუშავება არ შეიძლება, თუ თვითონ არ იმუშავა, არ იშრომა. და ამ გზით წარმოების პროცესში შემაგალი ყველა საქონელი ადიდებს თავის ღირებულებას არა მარტო იმიტომ, რომ მათი საკუთარი ღირებულება შეინახება, არამედ იმიტაც, რომ ისინი ქმნიან ახალ ღირებულებას იმის მეოხებით, რომ ისინი თვითონ «შრომობენ», მარტოდენ გასაგნობრივებულ შრომას როდი წარმოადგენენ. ამით, რა თქმა უნდა, თავიდან აცილებულია ყოველგვარი სიძნელე. არსებითად ეს მხოლოდ სეისეული «კაპიტალის მწარმოებლურ მომსახურებათა», «მიწის მწარმოებლურ მომსახურებათა» და ა. შ., ფრაზეოლოგიური განმეორებაა, გამოცვლილი სახელებია, რის წინააღმდეგ მუდამ კამათობს რიკარდო და რის წინააღმდეგაც მაკი, *mirabile dictu**, კამათობს იმავე «მსჯელობაში» ან «შენიშვნაში», რომელშიაც იგი მედიდურად გვთავაზობს აღმოჩენას, რაც მილისაგან ისესხა და თვითონ შეაფერადა. სეისთან პოლემიკაში მაკ-კულოხი სიამოვნებით მიმართავს თავის რიკარდიანულ რემინისცენციებს და იხსენებს, რომ ეს «მწარმოებლური მომსახურებანი» სინამდვილეში მხოლოდ ის თვისებებია, რომელთაც ნივთები როგორც სახმარი ღირებულებანი წარმოების პროცესში ამჟღავნებენ. მაგრამ, რა თქმა უნდა, როცა იგი ამ «მწარმოებლურ მომსახურებებს» ანიჭებს საკრამენტალურ სახელწოდებას «შრომა», ყოველივე ეს ერთბაშად იცვლება.

[847] მას შემდეგ, რაც მაკმა, საქონელი მოხერხებულად გადააქცია მუშებად, თავისთავად გასაგებია, რომ ეს «მუშები» ღებულობენ აგრეთვე ხელფასს და რომ მათ, გარდა მათი ღირებულებისა, რასაც ისინი «დაგროვილი შრომის» სახით ფლობენ, უნდა მიეცეთ კიდევ ხელფასიც მათი «ოპერაციებისა» თუ

* — იი, საკვირველება! რედ.

«მოქმედებისათვის». საქონელთა ამ ხელფასს [per]procura* ჩაიჭიბავენ კაპიტალისტები, ის არის «და გ რ ო ვ ი ლ ი შ რ ო მ ი ს ხ ე ლ ფ ა ს ი», alias** მოგება***. და ამით [მაკ-კულოხის აზრით] დამტკიცებულა, რომ თანაბარი მოგება თანაბარ კაპიტალებზე, იმისაგან დამოუკიდებლად — ბევრი ცოცხალი შრომა მოჰყავთ მათ მოძრაობაში თუ ცოტა, უშუალოდ გამომდინარეობს ღირებულების სამუშაო დროით განსაზღვრიდან.

ყველაზე საკვირველი, როგორც უკვე შევნიშნეთ, ისაა, რომ სწორედ იმ მომენტში, როცა მაკი მილის აზრებიდან გამოდის და სეის შეხედულებებს ისაკუთრებს, იმავე სეის წინააღმდეგ რიკარდოსეულ ფრაზებს ისვრის. თუ როგორ სიტყუასიტყუით ვადმოიწერს იგი სეისაგან, — მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ, სადაც სეი ლაპარაკობს მოქმედებაზე, მაკი ამ მოქმედებას უწოდებს შრომას, — ეს ყველაზე უკეთესად შეიძლება დავინახოთ რიკარდოდან ამოღებული შემდეგ ამონაწერებიდან, სადაც რიკარდო სეის ეკამათება:

«ბ-ნი სეი... დანაშაულად უთელს» (ა. სმიტს) «იმ შეცდომას, რომ «იგო მ ხ ო ლ ო დ ა დ ა მ ი ა ნ ი ს შ რ ო მ ა ს მ ი ა წ ე რ ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს შ ე ქ მ ნ ი ს უ ნ არ ს. უფრო ზუსტი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ღირებულება თავის არსებობას უნდა უმადლოდეს ადამიანის შრომის, ანუ უფრო ზუსტად. შრომისმოყვარეობის მოქმედებას ბუნების მიერ მოცემული ძალეების და კაპიტალის მოქმედებასთან ერთად. ამ პრინციპის უტოლინარობამ შეუშალა ხელი სმიტს შეექმნა სწორი თეორიის მიმდირის წარმებაზე მანქანების გავლენის შესახებ»⁶⁶. ადამ სმიტის შეხედულების საწინააღმდეგოდ, ბ-ნი სეი... ლაპარაკობს ღირებულებაზე, რომელიც საქონელს ბუნების ძალების მეოხებით ეძლევა» და ა. შ... «მაგრამ ეს ბუნების ძალები, თუმცა მნიშვნელოვნად აღიღებენ სახმარ ღირებულებას, ვერასდროს ვერ მიუმატებენ საქონელს საცვლელ ღირებულებას, რომლის შესახებაც ბ-ნი სეი ლაპარაკობს». (Ricardo. Principles of Political Economy. 3rd edition, გვ. 334—336). «მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ს ა და ბუნების ძალებს შეუძლიათ მეტად მნიშვნელოვნად გააღიდონ ქვეყნის სიმდიდრე, ... მაგრამ... ისინი ვერაფერს ვერ მიუმატებენ ამ სიმდიდრის ღირებულებას» (იქვე, გვ. 335, შენიშვნა):

რიკარდო, — როგორც ყველა ყურადღების ღირსი ეკონომისტი, მაშასადამე, ა. სმიტის მსგავსად (თუმცა ერთხელ როცა სმიტი იუმორის გუნებაზე იყო, მან ხარს მწარმოებელი მუშაკი უწოდა)**** — ღირებულების ერთადერთ წყაროდ ასახელებს შრომას, როგორც ადამიანურ, კიდევ მეტი, როგორც სოციალურად განსაზღვრულ ადამიანურ საქმიანობას. სხვა ეკონომისტებისაგან რიკარდო სწორედ

* — რწმუნებით, მინდობილობით. რ ე დ.

** — სხვანაირად რომ ეთქვით, რ ე დ.

*** — იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 222. რ ე დ.

**** იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 304, ქართ. გამოც. 1966. რ ე დ.

იმ თანამიმდევრობით განსხვავდება, რითაც იგი საქონელთა ღირებულებას განმარტავს როგორც მხოლოდ საზოგადოებრივად განსაზღვრულ შრომის «განსახიერებას». ყველა ამ ეკონომისტს ცოტად თუ ბევრად, — რიკარდოს სხვებზე მეტად, — ესმით, რომ ნივთთა ღირებულება უნდა განვიხილოთ მხოლოდ როგორც გამოხატულება, სპეციფიკური საზოგადოებრივი ფორმა ადამიანთა საწარმოო საქმიანობისა, როგორც: რაღაც *toto genere** განსხვავებული ნივთებისაგან და მათი — როგორც: ნივთების გამოყენებისაგან საწარმოო თუ არასაწარმოო მოხმარებაში. ღირებულება მათთვის არის მხოლოდ ნივთობრივად გამოხატული ურთიერთობა ადამიანთა მწარმოებლური საქმიანობისა, მათი სხვადასხვა სახის შრომისა, ერთიმეორესთან. რიკარდოს სეის წინააღმდეგ მოჰყავს დესტიუტ დეტრასის შემდეგი სიტყვები, რომლებიც, როგორც ის, გარკვევით აცხადებს, გამოხატავენ მის, რიკარდოს, აზრსაც.

«რადგან ექვს გარეშეა, რომ ჩვენი ფიზიკური და სულიერი უნარი ჩვენი ერთადერთი თავდაპირველი სიმდიდრეა. ამიტომ ამ უნარის» (ადამიანთა უნარის) «გამოყენება, «ამათუ იმსახის შრომა» (მასასადამე, შრომა როგორც რეალიზაცია ადამიანის ძალებისა), «არის ჩვენი ერთადერთი თავდაპირველი განძი — და მხოლოდ ეს გამოყენებაა მუდამ ის, რაც ქმნის ყველა იმ ნივთს, რომელთაც ჩვენ სიმდიდრეს ეუწოდებთ... ექვს გარეშეა აგრეთვე, რომ ყველა ეს ნივთი წარმოადგენს მხოლოდ მათ შემქმნელ შრომას, და თუ მათ ღირებულება ან არის სხვადასხვა ღირებულება კი გააჩნიათ, ამ უკანასკნელთა მიღება მათ მხოლოდ... იმ შრომიდან შეუძლიათ. რომლიდანაც ისინი წარმოდგებიან» (რიკარდო, ციტირ. თხზ., გვ. 334).

ამრიგად, ღირებულება აქვს საქონელს, საერთოდ ნივთს, მხოლოდ როგორც ადამიანის [848] შრომის გამოხატულებას — არამედნადაც იგი არის რაღაც თავისთავად როგორც ნივთი, არამედ რამდენადაც იგი საზოგადოებრივი შრომის განსახიერებაა.

და აი აღმოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც ვაბედეს იმის მტკიცება, თითქოს უბადრუტმა მაკმა რიკარდოს შეხედულებანი უკიდურეს მწვერვალზე აიყვანა; მან, ვინც იჩენს უაზრო მისწრაფებას — ეკლექტიურად, ერთმანეთში შერეულად «გამოიყენოს» რიკარდოსეული თეორია და მისი საპირისპირო კონცეფციები, ვინც აიგივებს სამთეორიოს პრინციპს და მთელი პოლიტიკური ეკონომიის პრინციპს, აიგივებს თვით შრომას როგორც ადამიანის მოქმედებას, თანაც: ადამიანის საზოგადოებრივად განსაზღვრულ მოქმედებას, იმ ფიზიკურ და ა. შ. მოქმედებასთან, რომელიც დამახასიათებელია საქონელთათვის.

* — სრულიად, პრინციპულად. რ ე დ.

როგორც სახმარღირებულ ებათათვის, როგორც ნივთებისათვის! ვინც თვით შრომის ცნებას კარგავს!

მილის «ხრიკით» გათავხედებული მაკ-კულოხი იწყებს სეის შეხედულებათა გადმოწერას, და ამასთანავე ეკამათება მას რიკარდოსეული ფრაზებით, და თანაც სვიდან სწორედ იმ ფრაზებს გადმოიწერს, რომელთაც რიკარდო მე-20 თავში — «ღირებულება და სიმდიდრე» — გადაჭრით უარყოფს როგორც მისი საკუთარი შეხედულებისა და სმიტის შეხედულებათა სრულიად საწინააღმდეგო ფრაზებს. (როშერი, რა თქმა უნდა, იმეორებს, რომ მაკი არის უკიდურესობამდე მიყვანილი რიკარდო⁶⁷.) მხოლოდ მაკი კიდევ უფრო უაზროა, ვიდრე სეი, რომელიც ცეცხლის, მანქანების და ა. შ. «მოქმედებას» არ უწოდებს შრომას. და უფრო არათანამიმდევრულია. იმ დროს როდესაც სეის მიხედვით «ღირებულება» იქმნება ქარით, ცეცხლით და ა. შ., მაკს მიაჩნია, რომ ღირებულების შემქმნელია მხოლოდ ის სახმარო ღირებულებანი, ის ნივთები, რომელთა მონოპოლიზებაც შესაძლებელია. თითქოს შესაძლებელი იყოს ქარის ან ორთქლის ანდა წყლის გამოყენება მამოძრავებელი ძალების სახით ქარის წისქვილის, ორთქლის მანქანის, წყლის ბორბლის უქონლად! თითქოს ადამიანებს, რომელთაც თავიანთ მფლობელობაში და მონოპოლიზებული აქვთ ის ნივთები, რომელთა ფლობაც აუცილებელია ბუნების ძალთა გამოსაყენებლად, მონოპოლიზებული არ ჰქონდეთ აგრეთვე ბუნების ეს ძალებიც! მე შეიძლება მქონდეს ნებისმიერი ოდენობის ჰაერი, წყალი და ა. შ. მაგრამ წარმოების ფაქტორებს ისინი წარმოადგენენ ჩემთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მე მაქვს ის საქონელი, ის ნივთები, რომელთა მოხმარებისას ისინი მოქმედებენ როგორც წარმოების ფაქტორები. ამ მხრივ მაკი, მასასადამე, სეიზე კიდევ უფრო დაბლა დგას.

ამრიგად, რიკარდოს შეხედულებათა ამ ვულგარიზაციაში ჩვენ ვხედავთ მისი თეორიის ყველაზე სრულ, უაღრესად უაზრო დაშლას.

«მაგრამ რამდენადაც ეს შედეგი» (რაიმეს მოქმედებით, ანუ ოპერაციით, გამოწვეული შედეგი) «შექმნილია ბუნების ისეთი ძალების შრომით, ან უ მოქმედებით, რომელთა არც მონოპოლიზება, არც მითვისება ინდივიდუალურმა მეტ-ნაკლებ რიცხვს სხვა ინდივიდუალმა გამოირიცხვით არ შეუძლია, იმდენად მას არ აკეთილარღირებულ ებათა არა აქვს. ის, რასაც ეს ბუნების ძალები ასრულებენ, ისინი ასრულებენ უსასყიდლოდ» (Mac Culloch. Notes and Supplemental Dissertations to Smith's Wealth of Nations, vol, IV, გვ. 75).

თითქოს ის, რასაც ბამბა, მატყლი, რკინა ან მანქანები ასრულებენ, ასევე «უსასყიდლოდ» არ სრულდებოდეს. მანქანას ღირებულება აქვს, მანქანის მოქმედება არ ნაზღაურდება. სახმარო ღირებულება რომელიც

გნებავთ საქონლისა არაფერი ღირს მას შემდეგ, რაც მისი საცვლელი ღირებულება გადახდილია.

«ადამიანი, რომელიც ვეშაპის ქონს ყიდის, არავითარ ფასს არ მოითხოვს მის ბუნებრივი თვისებებისათვის. ვეშაპის ქონის წარმოების ხარჯების შეფასებასას იგი ითვალსწინებს ამ ქონის მოპოვებისათვის გამოყენებული შრომის ღირებულებას და ეს არის სწორედ ვეშაპის ქონის ღირებულება» (Carey, Principles of Political Economy. Part the first. Philadelphia, 1837, გვ. 47).

სეის წინააღმდეგ პოლემიკაში რიკარდომ ხაზგასმით აღნიშნა სწორედ, რომ მანქანის მოქმედება, მაგალითად, არ ღირს ქარისა და წყლის მოქმედებაზე უფრო მეტი:

«მომსახურება, რასაც ჩვენთვის ბუნების ძალები და მანქანები ასრულებენ, სასარგებლოა ჩვენთვის... იმით, რომ ისინი აღიღებენ სახმარ ღირებულებას; მაგრამ რადგან ისინი თავიანთ სამუშაოს უსასყიდლოდ ასრულებენ, ამიტომ... დახმარება, რასაც ისინი გვიწევენ, არაფერს არ ბტებებს საცვლელ ღირებულებას» (რიკარდო, ციტირ. თხზ., გვ. 336—337).

მაშასადამე, მაკმა ვერ გაიგო რიკარდოს ყველაზე მარტივი დებულებებიც კი. მაგრამ ეშმაკი მაკი ასე ფიქრობს: თუ ბამბის, მანქანების და ა. შ. სახმარი ღირებულება არაფერი არ ღირს, თუ იგი არ ნაწლაურდება საგანგებოდ, გარდა მათი საცვლელი ღირებულებისა, მაშინ ამ სახმარ ღირებულებას, პირიქით, გაყიდვან ისინი, ვინც ბამბას, მანქანებს და ა. შ. იყენებს, — ისინი ყიდიან იმას, რაც მათ არაფერი არ უღირთ.

[849] ამ ვაჟბატონის მეტისმეტი ჭკუნაკლებობა შეიძლება იქიდან დადინახოთ, რომ სეის «პრინციპის» მიღების შემდეგ იგი დიდი მალაღფარდოვნებით გადმოგვეცემს მიწის რენტის თეორიას რიკარდოს შეხედულებათა მეტად დაწვრილებითი გადმოწერით.

რადგან მიწა არის ისეთი «ბუნების ძალა, ... რომელიც მონოპოლიზებული და მითვისებულია ინდივიდუუმთა უფრო მეტი ან უფრო მცირე რიცხვის მიერ სხვების გამორიცხვით», ამიტომ მის ბუნებრივ ვეგეტატიურ მოქმედებას, ან უ «შრომას», მის მწარმოებლურ ძალას, აქვს ღირებულება, და ამრიგად რენტა აიხსნება მიწის მწარმოებლური ძალით, როგორც ამას ფიზიოკრატები ფიქრობდნენ. ეს მაგალითი ნათლად ახასიათებს მაკის მანერას რიკარდოს შეხედულებათა ვულგარიზაციის საქმეში. ერთი მხრივ იგი გადმოიწერს რიკარდოს მსჯელობებს, რომელთაც აზრი აქვთ მხოლოდ რიკარდოსეულ წანამძღვართა საფუძველზე, მეორე მხრივ კი იგი მიიღებს სხვებისაგან (იტოვებს თავისთვის ამ მიღებულში მხოლოდ «სახელწოდებათა» და სხვა მცირე ცვლი-

ლებათა შეტანის უფლებას) ამ წანამძღვართა პირდაპირ უარყოფას. მას უნდა ეთქვა: «რენტა არის მიწის ხელფასი», რომელსაც მიწის მესაკუთრენი ჩაიჯიბავენ.

თუ კაპიტალისტი ერთნაირ თანხას ხარჯავს მუშებისათვის ხელფასის გადასახდელად. ცხენების შესანახად და მანქანების დასაქირავებლად და თუ ამ მუშებს, ცხენებსა და მანქანებს შეუძლიათ ერთი და იმავე ოდენობის სამუშაო შეასრულონ, მაშინ ამ სამუშაოს ღირებულება, სულ ერთია, მუშები ასრულებენ ამ სამუშაოს, ცხენები თუ მანქანები, აშკარაა, ერთი და იგივე იქნება» (Mac Culloch. Notes and Supplemental Dissertations to Smith's Wealth of Nations, vol. IV, გვ. 77).

სხვა სიტყვებით ეს ნიშნავს: პროდუქტის ღირებულება გარკვეულ დამოკიდებულებაშია დახარჯული კაპიტალის ღირებულებასთან. ეს ის პრობლემაა, რომელიც უნდა გადაწყდეს. მაკის თანახმად, პრობლემის ფორმულირება, «ცხადია», მისი გადაწყვეტაა. მაგრამ რადგანაც, მაგალითად, მანქანა უფრო მეტ სამუშაოს ასრულებს, ვიდრე მის მიერ გაძევებული მუშები, ამიტომ კიდევ უფრო «ცხადია», რომ მანქანების პროდუქტთა ღირებულება, დაცემის ნაცვლად, უნდა გადიდებულიყო იმ მუშების პროდუქტთა ღირებულებასთან შედარებით, რომლებიც «იმავე სამუშაოს ასრულებენ». რადგან მანქანა გამოიმუშავებს, შეიძლება, 10 000 ცალს იმ დროის განმავლობაში, რომელშიც მუშა ერთ ცალს დაამზადებს, და რადგან თითოეულ ცალს ერთი და იგივე ღირებულება აქვს, ამიტომ მანქანის პროდუქტი 10 000-ჯერ უფრო ძვირია, ვიდრე მუშის პროდუქტი.

სხვათა შორის, რადგან მაკი ისწრაფვის სეისაგან განსხვავდებოდეს, რამდენადაც იგი [სეისაგან განსხვავებით] ღირებულებების შექმნას მიაწერს არა ბუნების ძალების მოქმედებას, არამედ მონოპოლიზებული ძალების ან შრომით წარმოებული ძალების მოქმედებას, ამიტომ მას არ შეუძლია გადალახოს ენაშუქუკავებლობა და კვლავ ვარდება რიკარდიანულ ფრაზეოლოგიაში. ასე, მაგალითად, იგი წერს:

«ქარის შრომა ახორციელებს სასურველ ზემოქმედებას გემზე, იწვევს გარკვეულ ცვლილებას მისში. მაგრამ ამ ცვლილების ღირებულება არ ღიღდება ბუნების სათანადო ძალების მოქმედებით, ანუ შრომით, და სრულიად არ არის მასზე დამოკიდებული; იგი დამოკიდებულია კაპიტალის რაოდენობაზე — ანდა იმ წარსული შრომის პროდუქტზე, რომელმაც ხელი შეუწყო შედეგის წარმოებას, საესებით ისევე როგორც მარცვლეულის და ფქვილის ხარჯები დამოკიდებულია არა ქარის ან წყლის მოქმედებაზე, რომელთაც მოძრაობაში მოჰყავთ წისკვილი, არამედ ამ ოპერაციის დროს დახარჯული კაპიტალის რაოდენობაზე» (იქვე, გვ. 79).

აქ მოულოდნელად ვგებულობთ, რომ დაფქვა მხოლოდ იმდენად აღიღებს მარცვლელის ღირებულებას, რამდენადაც კაპიტალი, «წარსული შრომის პროდუქტი», «დახარჯულია» დაფქვის ოპერაციის დროს, — მაშასადამე, არა იმიტომ, რომ წისქვილის ქვა «შრომობს», არამედ იმიტომ, რომ წისქვილის ქვის «დახარჯვისთან» ერთად «იხარჯება» აგრეთვე მასში მოთავსებული ღირებულებაც, მასში განსახიერებული შრომა.

ამ შესანიშნავ მსჯელობათა შემდეგ მაკი ასე აჯამებს იმ დიდ სიბრძნეს, რომელიც მან მილისაგან და სეისაგან მიითვისა და რომლის მეოხებითაც იგი ღირებულების ცნებას შეათანხმებს ყველა მის საწინააღმდეგო მოვლენასთან:

«ღირებულებების საკითხის განხილვისას... სიტყვა შრომა ნიშნავს... ან ადამიანის უშუალო შრომას, ან ადამიანის მიერ წარმოებული კაპიტალის შრომას, ანდა ერთსაც და მეორესაც» (იქვე, გვ. 84).

ამრიგად, სიტყვა შრომა [850] უნდა გვესმოდეს როგორც ადამიანის შრომა, შემდეგ მისი დაგროვილი შრომა და, ბოლოს, სასარგებლო გამოყენება სახმარი ღირებულებებისა, ე. წ. მოხმარებაში (საწარმოო) გამოვლინებული მათი ფიზიკური და ა. შ. თვისებანი. ამ თვისებათა გარეშე სახმარი ღირებულება არაარობაა. სახმარი ღირებულება ელინდება ნამდვილად მხოლოდ მოხმარებაში. ამრიგად: შრომის პროდუქტების საცვლელი ღირებულება, გვეუბნებთან, უნდა გვესმოდეს როგორც ამ პროდუქტების სახმარი ღირებულება, რადგან ეს სახმარი ღირებულება მდგომარეობს მხოლოდ მის ნამდვილად გამოვლენაში — ანუ, როგორც ამას მაკი უწოდებს, მის «შრომაში» — მოხმარების დროს, საწარმოო მოხმარება იქნება ეს თუ არასაწარმოო. მაგრამ სახმარ ღირებულებათა «ოპერაციების», «მოქმედებათა» თუ «შრომის» სახეობანი, აგრეთვე მათი ბუნებრივი საზომებიც, ისევე განსხვავებულა, როგორც თვით ეს სახმარი ღირებულებანი. რა არის მათი ის ერთიანი საწყისი, ის საზომი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს შევადაროთ ისინი ერთმეორეს? [მაკ-კულოხის მიხედვით] მას ქმნის საერთო სიტყვა «შრომა», რომელსაც ხელში გვაჩერებს სახმარ ღირებულებათა ყველა ამ სრულიად სხვადასხვა გამოვლენების აღსანიშნავად მას შემდეგ, რაც თვით შრომა დაყვანილ იქნა სიტყვაზე «ოპერაცია» ან «მოქმედება». სახმარი ღირებულებისა და საცვლელი ღირებულების გაიგივებით მთავრდება, მაშასადამე, რიკარდოს შეხედულებათა ეს ვულგარიზაცია, რომელიც ჩვენ ამიტომ უნდა განვიხილოთ როგორც სკოლის როგორც ასეთის დაშლის უკანასკნელი და ყველაზე ბინძური გამოხატულება.

ეკონომიკის მოგება არის მხოლოდ სხვა სახელწოდება დაგროვილი შრომის ხელფასის აღსანიშნავად» (MacCulloch. Principles of Political Economy, Edinburgh 1825, გვ. 291).—

ე. ი. სხვა სახელწოდება ხელფასისათვის, რომელსაც საქონელს უხდებიან იმ მომსახურებისათვის, რასაც იგი ასრულებს როგორც სახმარი ღირებულება წარმოების პროცესში.

«დაგროვილი შრომის ამ ხელფასს» აქვს, სხვათა შორის, ბ-ნ მაკკულოხთან კიდევ რაღაც განსაკუთრებული იდუმალი აზრიც. ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, რომ გარდა რიკარდოდან, მილიდან, მალთუსიდან და სეიდან გადმოწერილი ადგილებისა, რაც მაკის ნაწარმოებთა ძირითად ფონდს შეადგენს, თვით იგი მუდამ ხელახლა ბეჭდავს და ყიდის სხვადასხვა სახელწოდებით თავის «დაგროვილ შრომას», ამასთან იგი ყოველთვის «ბევრს სესხულობს» იქიდან, რისი საფასურიც მან უწინ მიიღო. ეს მანერა «დაგროვილი შრომის ხელფასის» მიღებისა დაწვრილებით იყო განხილული უკვე 1826 წელს ერთ სპეციალურ თხზულებაში, და რა არ გაუკეთებია კიდევ შემდეგ დაგროვილი შრომისათვის ხელფასის მიღების ამ სარბიელზე მაკკულოხს 1826 — 1862 წლების მანძილზე!⁶⁸ (თუკიდრედეს სახით რომერი ისაკუთრებს აგრეთვე ამ უბადრუკ ფრაზასაც «დაგროვილი შრომის ხელფასის» შესახებ.⁶⁹)

დასახელებულ თხზულებას ეწოდება: *Mordcai Mullion. Some Illustrations of Mr M'Culloch's Principles of Political Economy. Edinburgh, 1826*⁷⁰. აქ ნახვენებია, თუ როგორ გაითქვა სახელი ჩვენმა გაიძვერამ: ⁹/₁₀ მას გადმოწერილი აქვს ა. სმიტიდან, რიკარდოდან და სხვა ავტორებიდან; დანარჩენ ¹/₁₀-ს კი იგი განუწყვეტლივ გადმოიწერს თავისი საკუთარი დაგროვილი შრომიდან, «რომელსაც იგი ყველაზე უსირცხვილოდ და საზიზღრად სულ ახლად და ახლად იმეორებს» [გვ. 4]. მულიონი, მაგალითად, გვიჩვენებს, რომ მაკკულოხი არა მარტო ყიდის ერთსა და იმავე სტატიებს რიგრიგობით «Edinburgh Review»-ში⁷¹, «Scotsman»-ში⁷², «Encyclopaedia Britannica»-ში⁷³ როგორც ორიგინალურ «გამოკვლევებს», როგორც ახალ შრომებს, არამედ რომ იგი, მაგალითად, სხვადასხვა წელს გამოსულ ჟურნალში «Edinburgh Review» სიტყვასიტყვით ხელახლა ბეჭდავს ერთსა და იმავე სტატიებს, მხოლოდ სხვადასხვა ნაწილების ადგილშენაცვლებით და ახალი აბრებით. ამის გამო მულიონი შენიშნავს «ამ ყველაზე წარმოუდგენელ მკლბნელზე» [გვ. 31], «ყველა ეკონომისტიდან ამ უალრესად ეკონომიურზე» [გვ. 66]:

«ბ-ნ მაკ-კულოხის სტატიები ისე სრულიად არ წააგავან ციურ სხეულებს, მაგრამ ერთი მიმართებით ისინი ჰგვანან ამ ციურ მნათობებს — დროის გარკვეული მონაკვეთების შეზღვევ უკან ბრუნდებიან» (გვ. 21).

გასაკვირველი არაფერია იმაში, რომ მაკ-კულოხს სწამს «დაგროვილი შრომის ხელფასი»!

ბ-ნი მაკის რეპუტაცია ვეჩვენებს, რა ბევრი რამის მიღწევა შეუძლიათ თავისი უსირცხვილობით ამგვარ გაიძვერებს.

[850 ა] იმის შესახებ, თუ როგორ უწევს ექსპლოატაციას მაკ-კულოხი რიკარდოს ზოგიერთ დებულებას, რათა თავის თავს წონა შემატოს, — იხ. სხვათა შორის 1824 წლის მარტის «Edinburgh Review» (ამ ნაჯღაბს ეწოდება «მოსაზრებანი კაპიტალის დაგროვების შესახებ»), სადაც «დაგროვილი შრომის ხელფასის» ეს მეგობარი ნამდვილ იერემიადაში გარდება მოგების ნორმის დაცემის გამო.

«ავტორი... ასე გამოხატავს იმ შიშს, რომელსაც მასში მოგების დაცემა იწვევს:

«აყვავების მოჩვენებითი გარეგნობა, რაც ინგლისს ახასიათებს, მაცდუნებელია; სიღარიბის ეპიდემია შეუმჩნევლად მოედო უამრავ მოქალაქეს, და ქვეყნის სოფლიურისა და სიდიადის საფუძვლები შერყეულია... იქ, სადაც სარგებლის ნორმა დაბალია, როგორც ამას აღვილი აქვს ინგლისში, მოგების ნორმა დაბალია, და ერის აყვავებამ უკვე განვლო თავისი უმაღლესი წერტილი».

ამ მტკიცებებმა არ შეიძლება არ გააოცოს ყოველი ადამიანი, ვინც ინგლისის ბრწყინვალე მღვთმარებას იცნობს» (Prevost. Reflexions sur le systeme de Ricardo, გვ. 197).

ბ-ნი მაკი არ უნდა შეწუხებულყო იმის გამო, რომ «მიწა» უკეთეს «ხელფასს» დებულობს, ვიდრე «რკინა, აგური და ა. შ.». მიზეზი, უნდა ვიფიქროთ, ისაა, რომ მიწა უფრო ბეჯითად «შრომობს». [XIV—8500]

* * *

[XV—925] {ზოგჯერ ბრმა ლორიც კი პოულობს რკოს. რაღაც ამის მსგავსი მოუვიდა ერთხელ მაკ-კულოხსაც. მაგრამ აქაც კი, იმ სახით, რა სახითაც მას ეს ესმის, მხოლოდ მის არათანამიმდევრობას ვხედავთ, რადგან იგი არ განასხვავებს ზედმეტ ღირებულებას მოგებისაგან; გარდა ამისა, ეს კვლავ მისი ერთი უაზრო ეკლექტიკური პლაგიატავანია. ისეთი სუბიექტების თანახმად, როგორც ტორენსია, რომლებიც ღირებულებას კაპიტალით განსაზღვრავენ, და ასევე ბეილის თანახმად, მოგება უნდა განიხილებოდეს მის შეფარდებაში (აფანსებულ) კაპიტალთან. ეს სუბიექტები, რიკარდოსაგან განსხვავებით, არ აიგივებენ მოგებას ზედ-

მეტ ღირებულებასთან, — მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი საერთოდ ვერ გრძნობენ იმის მოთხოვნილებას, რომ მოგება ახსნან ღირებულების საფუძველზე: მათ ის ფორმა, რომლითაც ზედმეტი ღირებულება ზედაპირზე ვლინდება. — მოგება როგორც ზედმეტი ღირებულების შეფარდება ავანსებულ კაპიტალთან, — თავდაპირველ ფორმად მიაჩნიათ. სინამდვილეში ისინი მხოლოდ სიტყვებით გამოსახავენ იმ ფორმას, რომელიც მოვლენათა ზედაპირზე გვევლინება.

აი ეს ადგილები მავის წიგნიდან, რომელიც 1) რიკარდოელია და 2) გადმოიწერს უშუალოდ რიკარდოს მოწინააღმდეგეთაგან:

«რიკარდოს დებულება იმის შესახებ, რომ მოგების გადიდება შეიძლება გამოწვეული იყოს მხოლოდ ხელფასის დაცემით, მოგების დაცემა კი — მხოლოდ ხელფასის გადიდებით. სწორია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა უცვლელი რჩება შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში» (Mac Culoch. Principles of Political Economy. Edinburgh, 1825, გვ. 373), — ე. ი. წარმოების იმ დარგში, რომელიც მუდმივ კაპიტალს იძლევა.

«მოგება დამოკიდებულია იმ შეფარდებაზე, რომელშიც იგი იმყოფება მის მწარმოებელ კაპიტალთან, და არა იმ შეფარდებაზე, რომელშიც იგი იმყოფება ხელფასთან. თუ წარმოების ყველა დარგში შრომისნაყოფიერება საყოველთაოდ ორჯედდება და თუ ამის მეოხებით მიღებული პროდუქტის დამატებითი რაოდენობა კაპიტალისტსა და მუშებს შორის წინანდელი პროპორციით იყოფა, მაშინ შეფარდება კაპიტალისტს წილსა და მუშების წილს შორის უცვლელი დარჩება, თუმცა მოგების წილი გამოყენებული კაპიტალის მიმართ გადიდება» (იქვე, გვ. 373—374).

ამ შემთხვევაშიც კი, როგორც იგივე მაკი შენიშნავს, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ხელფასი შეფარდებით დაეცა პროდუქტთან შედარებით, რადგან მოგება გადიდა. (მაგრამ ამ შემთხვევაში სწორედ მოგების გადიდება იქნებოდა ხელფასის დაცემის მიზეზი.) მაგრამ ასეთი გამოანგარიშება ემყარება იმ მცდარ ხერხს, რომლითაც ანგარიშება ხელფასი როგორც წილი პროდუქტში, და ჩვენ უკვე დავინახეთ ზემოთ, თუ როგორ ცდილობს ბ-ნი ჯონ სტიუარტ მილი ამ სოფისტიკური გზით განაზოვადოს რიკარდოსეული კანონი⁷⁴.} [XV—925]

5. უაიკფილდი [«შრომის ღირებულების» და მიწის რენტის უხსახებ რიკარდოს თეორიის წინააღმდეგ ზოგიერთი კრიტიკული მოსაზრება]

[XIV—850] უიკფილდის ნამდვილი დამსახურება კაპიტალის გაგების საქმეში გაშუქებულია ზემოთ განყოფილებაში «ზედმეტი ღირებულების კაპიტალად გადაქცევის» შესახებ⁷⁵. აქ ჩვენ შევეხებით მხოლოდ იმას, რაც უშუალოდ «თემას» ეხება.

«თუ განვიხილავთ შრომის როგორც საქონელს, ზოლო კაპიტალს, შრომის პროდუქტს, როგორც სხვა საქონელს და თუ ამ ორი საქონლის ღირებულება რეგულირებული იქნებოდა შრომის თანაბარი რაოდენობით, მაშინ შრომის მოცემული რაოდენობა ყველა გარემოებაში გაიყვლებოდა კაპიტალის ისეთ რაოდენობაზე, რაც წარმოებული იყო შრომის იმავე რაოდენობით, წა რ ს უ ლ ი შ რ ო მ ა ყოველთვის გაიყვლებოდა ახლანდელი შრომის იმავე რაოდენობაზე. მაგრამ შრომის ღირებულება სხვა საქონლებთან შეფარდებით — ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც ხელფასი დამოკიდებულია კაპიტალისტსა და მუშას შორის პროდუქტის გაყოფაზე, — განისაზღვრება არა შრომის თანაბარი რაოდენობით, არამედ მიწოდებისა და მოთხოვნის თანაფარდობით» (უეიკფილდი, შენიშვნა მის მიერ გამოცემულ ა. სმიტის «ხალხთა სიმდიდრის» I ტომის 230 გვერდისადმი, ლონდონი, 1835).

ამრიგად, უეიკფილდის მიხედვით, მოგება აუხსნელი იქნებოდა, თუ შრომის ღირებულება ანაზღაურდებოდა.

მის მიერ გამოცემულ ა. სმიტის II ტომში უეიკფილდი შენიშნავს:

«ზედმეტი პროდუქტი» მუდამ კმნის რენტას. მაგრამ შეიძლება გადახდილ იქნეს ისეთი რენტაც, რომელიც არ შედგება ზედმეტი პროდუქტისაგან» (გვ. 216).

«თუ, როგორც ეს ირლანდიაშია, ხალხის ძირითადი მასა იქამდეა მიყვანილი, რომ იძულებულია ისაზრდოს მხოლოდ კარტოფილით, იცხოვროს ქონმახებში, ჩაიკვას ძონძეები და ასეთი ცხოვრების ნებართვისათვის უნდა გაიღოს ყველაფერი, რაც ამდამინებს ქონმახების, ძონძეებისა და კარტოფილის გარდა შეუძლიათ აწარმოონ, მაშინ შესაკუთრე იმ მიწისა, რომელზეც ისინი ცხოვრობენ, მით უფრო მეტს ღებულობს, რაც უფრო ნაკლებია ის, რითაც ეს ადამიანები კმაყოფილდებიან, მაშინაც კი, როცა კაპიტალისა და შრომის მთლიანი პროდუქტი ამასთან წინანდელი რჩება. იმას, რაც აცხადებდკრული მოიჯარენი გასცემენ, მითთვისებს მიწის მესაკუთრე. ამრიგად, მიწათმოქმედთა ცხოვრების დონის დაწევა ზედმეტი პროდუქტის კიდევ ერთი მიზეზია... როცა ხელფასი ეცემა, ეს ზედმეტი პროდუქტზე იავევ მოქმედებს, როგორც მიწათმოქმედთა ცხოვრების დონის დაწევა: ერთობლივი პროდუქტის საერთო რაოდენობის უცვლელობის დროს იზრდება მისი ზედმეტი ნაწილი, მწარმოებლები იღებენ უფრო ნაკლებს, მიწის მესაკუთრე კი — უფრო მეტს» (გვ. 220—221).

ამ შემთხვევაში მოგებას ეწოდება რენტა, საესებით ისევე, როგორც მას ეწოდება სარგებელი; როცა მუშაკი, როგორც ეს ხდება, მაგალითად, ინდოეთში, მუშაობს კაპიტალისტისაგან აღებული სესხის ასანაზღაურებლად (თუმცა იგი ნომინალურად არც არის კაპიტალისტზე დამოკიდებული) და ვალდებულია მთელი ზედმეტი პროდუქტი მას აძლიოს.

6) სტირლინგი კაპიტალისტის მოგების ვულგარული ახსნა მიწოდებისა და მოთხოვნის თანაფარდობით

«ყოველი საქონლის რაოდენობა უნდა რეგულირდებოდეს იმაგვარად, რომ ასეთი საქონლის მიწოდება უფრო მცირე შეფარდებაში იყოფებოდეს მის მოთხოვნასთან, ვიდრე შრომის მიწოდება შრომის მოთხოვნასთან. სხვაობა საქონლის ფასსა, ანუ

15. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

ღირებულებასა და ამ საქონელზე დახარჯული შრომის ფასსა, ანუ ღირებულებას შრომის ქმნის მოგებას, ანუ იმ ნამეტს, რომლის ახსნაც რეკარდოს თავისი თეორიის საფუძველზე არ შეუძლია» (Stirling, Patrick James. The Philosophie of Trade, etc. Edinburgh, 1846, გვ. 72—73).

[851] იგივე ავტორი გვეუბნება:

«თუ საქონელთა ღირებულებანი ერთიმეორეს მათი წარმოების ხარჯების შესაბამისად შეეფარდებიან, მაშინ ამას შეიძლება ეწოდოს ღირებულების დონე» (იქვე, გვ. 18).

მაშასადამე, შრომის მოთხოვნა და მიწოდება რომ ერთიმეორეს შესაბამებოდეს, მაშინ შრომა თავისი ღირებულებების მიხედვით გაიყიდებოდა (რასაც არ უნდა გულისხმობდეს სტირლინგი ამ ღირებულებაში). ხოლო თუ მოთხოვნა და მიწოდება საქონლისა, რომელზეც შრომა დახარჯული, ერთიმეორის შესაბამისი იქნებოდნენ, მაშინ საქონელი გაიყიდებოდა თავისი წარმოების ხარჯების მიხედვით, რაშიც სტირლინგი შრომის ღირებულებას გულისხმობს. საქონლის ფასი ამ შემთხვევაში უდრის მასზე დახარჯული შრომის ღირებულებას. შრომის ფასი კი შრომის საკუთარი ღირებულებების დონეზე იმყოფება. ამიტომ საქონლის ფასი უდრის მასზე დახარჯული შრომის ფასს. მაშასადამე, ამ შემთხვევაში არ იქნებოდა არავითარი მოგება, ანუ არავითარი გადანამეტი.

ამრიგად, სტირლინგი მოგებას, ანუ გადანამეტს, შემდეგნაირად განსაზღვრავს:

შრომის მიწოდება შრომის მოთხოვნასთან შეფარდებით უნდა იყოს უფრო მეტი, ვიდრე მიწოდება საქონლისა, რომელზეც დახარჯულია შრომა, ამ საქონლის მოთხოვნასთან შეფარდებით. საქმე იმგვარად უნდა მოეწყოს, რომ საქონელი უფრო ძვირად გაიყიდოს, ვიდრე მასში მოთავსებული შრომა ნაზღაურდება.

ამას ბ-ნი სტირლინგი უწოდებს გადანამეტის მოვლენის ახსნას, მაშინ როდესაც ეს მხოლოდ ახსნილი მოვლენის სხვაგვარი სახელწოდებაა. საქმის შინაარსის ახლო განხილვისას დავინახეთ, რომ აქ შესაძლებელია მხოლოდ სამი შემთხვევა: 1) შრომის ფასი იმყოფება «ღირებულების დონეზე», ე. ი. თანაფარდობა შრომის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ისეთია, რომ შრომის ფასი უდრის შრომის ღირებულებას. მაშინ საქონელი უნდა გაიყიდოს თავისი ღირებულებაზე უფრო მაღალ ფასად, ე. ი. უნდა მოეწყოს ისე, რომ საქონლის მიწოდება ჩამორჩებოდეს საქონლის მოთხოვნას. ეს არის წმინდა წყლის «გასხვისებით მიღებული მოგება», მხოლოდ იმ პირობის დამატებით, რომლის დროსაც იგი შესაძლებელია. 2) შრომის მოთხოვნა აღემატება მის მიწოდებას, და შრომის.

ფასი აღემატება მის ღირებულებას. მაშინ კაპიტალისტმა მუშას გადაუხადა მეტი, ვიდრე ამ მუშის მიერ წარმოებული საქონელი ღირს, და მყიდველმა უნდა გადაუხადოს კაპიტალისტს ორმაგი გადანამეტი: ჯერ ერთი, ის, რომელიც კაპიტალისტმა დასაწყისში გადაუხადა თავის მუშას, მეორე კი კაპიტალისტის ხვედრი მოგება. 3) შრომის ფასი უფრო დაბალია მის ღირებულებაზე, შრომის მიწოდება აღემატება შრომის მოთხოვნას. მაშინ გადანამეტი იქიდან მიიღება, რომ შრომა ნაზღაურდება თავის ღირებულებაზე უფრო დაბალ ფასად, ხოლო კვლავ გაიყიდება [საქონლის ფორმით] თავისი ღირებულების მიხედვით ან, ყოველ შემთხვევაში, თავის ფასზე მაღლა.

თუ სტირლინგის მსჯელობას ჩამოვაშორებთ მასში მოთავსებულ უაზრობას, მაშინ გადანამეტი მიიღება, სტირლინგის თანახმად, იქიდან, რომ შრომას ყიდულობს კაპიტალისტი — ღირებულებაზე უფრო დაბალ ფასად, ხოლო ხელახლა ყიდის მას, საქონლის ფორმით, თავის ფასზე უფრო მაღლა.

თუ ორ პირველ შემთხვევას ჩამოვაცილებთ მათს სასაცილო ფორმას, რომელიც გულისხმობს, რომ მწარმოებელმა ისე უნდა «მოაწყოს», რომ თავისი საქონელი გაყიდოს მის ღირებულებაზე უფრო მაღლა, ანუ «ღირებულების დონეზე» მაღლა, მაშინ აღნიშნულ შემთხვევებში საქმის ვითარება დაიყვანება მხოლოდ შემდეგზე: თუ რომელიმე საქონლის მოთხოვნა მის მიწოდებას აღემატება, მაშინ საბაზრო ფასი ღირებულებაზე უფრო მაღლა აიწევს. ეს, რასაკვირველია, არ არის რაიმე ახალი აღმოჩენა და მხოლოდ ისეთი «გადანამეტის» ახსნას იძლევა, რომელიც არასდროს არ წარმოადგენდა არავითარ სიძნელეს არც რიკარდოსთვის, არც სხვა ვინმესთვის. [XIV—851]

**7) ჯონ სტიუარტ მილი [ღირებულების თეორიიდან
გოგების ნორმასა და ხელფასის სიდიდის შორის
უკუპროპორციული შინაგნობის რიკარდოსეული
ღებულების უშუალოდ გამოშვანის უნაყოფო ცდა]**

[ა) ზედმეტი ღირებულების ნორმის არმავ გოგების
ნორმაში. «ბასხვიანებით მიღებული გოგების»
კონცეფციის ელემენტები. კაპიტალისტების «აპანსებულ
გოგებათა» არაშლი კონცეფცია]

[VII—319] ზემოცხიტირებულ პატარა თხზულებაში⁷⁷, რომელიც არსებითად პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე ბ-ნ ჯონ სტიუარტ მილის ყველა ორიგინალურ იდეას შეიცავს (მისი სქელტანიანი მოკლე კურსისხაგან⁷⁸ განსხვავებით), მეოთხე «ნარკვეეში», რომელიც დასა-

თაურებულთა «მოგებისა და სარგებლის შესახებ», ნათქვამია:

«იარაღები და ნედლეული, სხვა ნივთების მსგავსად, თავდაპირველად გარდა შრომისა არაფერი არ ღირდა... იარაღებისა და ნედლეულის წარმოებაზე დახარჯული შრომა იმ შრომასთან ერთად, რომელიც უფრო მოგვიანებით დიხარჯა, რათა იარაღების დახმარებით ნედლეული დამუშავებულიყო, იძლევა მზა საქონლის წარმოებაზე დახარჯული შრომის მთელ ჯამს... ამიტომ კაპიტალის ანაზღაურებას სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა დახარჯულ შრომასზე გაცემული ხელფასის ანაზღაურებას» (J. St. Mill. Essays on some Unsettled Questions of Political Economy, London, 1844. გვ. 94).

ეს უკვე თავისთავად არაა სწორი, ვინაიდან დახარჯული შრომა და გაცემული ხელფასი სრულიადაც არაა ერთი და იგივე. პირიქით, დახარჯული შრომა უდრის ხელფასისა და მოგების ჯამს. კაპიტალის ანაზღაურება ნიშნავს როგორც ფასგადახდილი შრომის (ხელფასის), ისე კაპიტალისტის მიერ ფასგადაუხდელი, მაგრამ მის მიერ გაყიდული შრომის (მოგების) ანაზღაურებას. ბ-ნი მილი აქ ერთმანეთში ურევს «დახარჯულ შრომას» და დახარჯული შრომის იმ ნაწილს, რომელშიც ფასს იხდის ამ შრომის გამოყენებელი კაპიტალისტი. ეს არევა თავისთავად არცთუ ისე ძალიან ლაპარაკობს იმის სასარგებლოდ, რომ მას ესმის რიკარდოსეული თეორია, რომლის სახელითაც იგი გამოდის.

მუდმივი კაპიტალის შესახებ საჭიროა კიდევ გავკრით აღინიშნოს შემდეგი: თუმცა მუდმივი კაპიტალის თითოეული ნაწილი დაყვანილია წარსულ შრომაზე და ამიტომ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ რომელიც დროის მონაკვეთში იგი წარმოადგენდა მოგებას ან ხელფასს ანდა ერთსაც და მეორესაც ერთად, მაგრამ როგორც კი ეს მუდმივი კაპიტალი წარმოიქმნა, მისი ერთი ნაწილთაგანი უკვე აღარ შეიძლება დაყვანილი იქნეს არც მოგებაზე, არც ხელფასზე (მაგალითად, თესლი და ა. შ.).

მილი არ განასხვავებს ზედმეტ ღირებულებას მოგებისაგან. ამიტომ იგი აცხადებს, რომ მოგების ნორმა (ეს სწორია უკვე მოგებად გადაქცეული ზედმეტი ღირებულებისათვის) უდრის პროდუქტის ფასის შეფარდებას ამ პროდუქტზე დახარჯულ წარმოების საშუალებათა (შრომის ჩათვლით) ფასთან (იხ. იქვე, გვ. 92—93). და ამავე დროს მილს სურს მოგების ნორმის კანონები გამოიყვანოს უშუალოდ რიკარდოსეული კანონიდან იმის შესახებ, რომ «მოგება დამოკიდებულია ხელფასზე, იგი დიდდება ხელფასის დაცემის დროს და ეცემა ხელფასის გადიდების დროს» [იქვე, გვ. 94], —ამ რიკარდოსეული დებულებიდან, სადაც რიკარდო ერთმანეთში ურევს ზედმეტ ღირებულებას და მოგებას.

თვით ბ-ნი მილისათვის არ არის მთლიანად ნათელი ის ს ა კ ი თ ნ ი ც კ ი, რომლის გადაწყვეტასაც იგი ცდილობს. ამიტომ ჩვენ მოკლედ ჩამოვყალიბოთ მ ის ი საკითხი, ვიდრე მ ის პასუხს მოვისმენდეთ. მოგების ნორმა არის ზედმეტი ღირებულების შეფარდება ავანსებული კაპიტალის (მუდმივი კაპიტალი და ცვალებადი კაპიტალი, ერთად აღებული) მ თ ე ლ ჯ ა მ თ ა ნ, მაშინ როდესაც თვით ზედმეტი ღირებულება არის გადანამეტი მუშის მიერ შესრულებული შრომის რაოდენობისა, შრომის იმ რაოდენობაზე, რომელიც მან მიიღო ავანსად ხელფასის სახით; ე. ი. ზედმეტი ღირებულება განიხილება მხოლოდ ცვალებადი, ანუ ხელფასზე დახარჯული, კაპიტალის და არა მთელი კაპიტალის მიმართ. ამიტომ ზედმეტი ღირებულების ნორმა და მოგების ნორმა ორი სხვადასხვა ნორმაა, თუმცა თვით მოგება არის მხოლოდ *sub certa specie** განიხილული ზედმეტი ღირებულება. ზედმეტი ღირებულების ნორმის შესახებ სწორია იმის მტკიცება, რომ იგი «დამოკიდებულია» მხოლოდ «ხელფასზე, დიდდება ხელფასის დაცემის დროს და ეცემა ხელფასის გადიდების დროს». (ზედმეტი ღირებულების ჯამის შესახებ ეს მტკიცება არ იქნებოდა სწორი, რადგან იგი ერთსა და იმავე დროს დამოკიდებულია არა მარტო იმ ნორმაზე, რომლითაც თითოეული მუშის ზედმეტი შრომის მითვისება ხდება, არამედ აგრეთვე იმავდროულად ექსპლოატირებული მუშების რიცხვზეც.) რადგან მოგების ნორმა არის ზედმეტი ღირებულების შეფარდება მთელი ავანსებული კაპიტალის ერთობლივ ღირებულებასთან, ამიტომ, მას, რა თქმა უნდა, ეხება და განსაზღვრავს ზედმეტი ღირებულების დაცემა ან გადიდება, ე. ი. ხელფასის გადიდება ან დაცემა; მაგრამ გარდა ამ განსაზღვრისა მოგების ნორმა შეიცავს კიდევ ისეთ განსაზღვრებებს, რომელნიც [320] ხელფასის გადიდებაზე თუ დაცემაზე არ არიან დამოკიდებული და არც შეიძლება ამაზე მათი [განსაზღვრათა] უშუალოდ დაყვანა.

ბ-ნ ჯონ სტიუარტ მილი, რომელსაც, ერთი მხრივ, უ შ უ ა ლ ო დ გაიგივებული აქვს რიკარდოსთან ერთად მოგება და ზედმეტი ღირებულება, მეორე მხრივ კი (პოლემიკაში რიკარდოს მოწინააღმდეგეთა წინააღმდეგ), მოგების ნორმა ესმის არა რიკარდოსეული აზრით, არამედ მისი ნამდვილი მნიშვნელობით, როგორც შეფარდება ზედმეტი ღირებულებისა მთელი ავანსებული კაპიტალის (ცვალებადის პლუს მუდმივი) ერთობლივ ღირებულებასთან, წვალობს იმის დასამტკიცებლად, რომ მოგების ნორმა უ შ უ ა ლ ო დ განისაზღვრება კანონით,

* — გარკვეული თვალსაზრისით. რ ე დ.

რომელიც ზედმეტ ღირებულებას განსაზღვრავს და გამოიხატება იმაში, რომ რაც უფრო ნაკლებია ის ნაწილი, რასაც მუშა მითთვისებს თავისი სამუშაო დღიდან, მით უფრო მეტია ის ნაწილი, რომელიც კაპიტალისტს ხვდება წილად, და vice versa*. ჩვენ განვიხილავთ ახლა მის ამ ტანჯვა-წამებას, რომელშიც ყველაზე უარესი ისაა, რომ თვით მისთვის ნათელი არაა, საკუთრივ რა პრობლემის გადაწყვეტა სურს. მას რომ პრობლემა სწორად ჩამოეყალიბებინა, მაშინ არ შეეძლო მოეცა მისი ამ გვარი მცდარი გადაწყვეტა.

ამრიგად, მილი ამბობს:

«თუმცა სწორია, რომ იარაღები, ნედლი მასალა და შენობები თვით არიან შრომის პროდუქტები..., მაგრამ მაინც არ შეიძლება მათი ღირებულების მთელი ჯამი დასაყვანად იმ მუშების ხელფასზე, რომლებმაც ისინი აწარმოეს». (ზემოთ იგი ამბობდა: კაპიტალის ანაზღაურება ხელფასის ანაზღაურებას ნიშნავს.) «სათვალაურო უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე ის მოგება, რაც კაპიტალისტებმა მიიღეს მათ მიერ გაცემულ ხელფასზე. შუა პროდუქტიდან კაპიტალისტმა, რომელიც ამ შუა პროდუქტს აწარმოებს, უნდა აანაზღაუროს არა მარტო ის ხელფასი, რომელიც თვით მან და შრომის იარაღების მწარმოებელმა კაპიტალისტმა გადაიხადეს, არამედ აგრეთვე იარაღების მწარმოებლის მოგებაც, რომელიც შუა პროდუქტის მწარმოებელმა გადაუხადა შრომის იარაღების მწარმოებელს თავისი საკუთარი კაპიტალიდან» (იქვე, გვ. 98). მაშასადამე, «მოგება» წარმოადგენს არა მარტო გადასახადებს, რომელიც დარჩა [შუა პროდუქტის მწარმოებელს] ხარჯების ანაზღაურების შემდეგ; იგი შედის აგრეთვე თვით ხარჯებშიც. [შუა პროდუქტის მწარმოებლის] კაპიტალი იხარჯება ნაწილობრივ ხელფასის გაცემაზე ან ანაზღაურებაზე, ნაწილობრივ კი იმ სხვა კაპიტალისტების მოგებათა გადახდაზე, რომელთა დახმარება აუცილებელი იყო წარმოების საშუალებათა მისაღებად» (გვ. 98—99). «ამიტომ ესა თუ ის საგანი შეიძლება იყოს პროდუქტი შრომის ისეთივე რაოდენობისა, როგორც წინათ, და მაინც მისი წარმოების ხარჯები მცირდება, თუ შესაძლებელი აღმოჩნდება იმ მოგების რომელიმე ნაწილის დაზოგვა, რომელიც უკანასკნელმა მწარმოებელმა უნდა გადაუხადოს წინა მწარმოებლებს... მიუხედავად ამისა სწორი რჩება იმის მტკიცება, რომ მოგების ნორმა იცვლება პირველ შემთხვევაში ხელფასის წარმოების ხარჯებთან» (გვ. 102—103).

ჩვენ აქ, რა თქმა უნდა, მუდამ იმ ვარაუდიდან ამოვდივართ, რომ საქონლის ფასი უდრის მის ღირებულებას. ამ საფუძველზე წარმართავს თავის გამოკვლევას თვით ბ-ნი მილიც.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მილის ზემოციტირებულ მსჯელობაში მოგებანი ძლიერ წააგავან «ვასხვისებით მიღებულ მოგებებს». მაგრამ ამაზე არ შეგჩერდებით. არაფერია იმაზე უფრო მცდარი, ვიდრე მტკიცება იმისა, რომ ესა თუ ის საგანი (თუ მისი გაყიდვა მისი

* — პირიქით. რ ე დ.

ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მიხედვით ხდება) შეიძლება «იყოს პროდუქტი შრომის ისეთივე რაოდენობისა, როგორც წინათ», «მისი წარმოების ხარჯები» კი ამასთანავე რაიმე გარემოების გამო შეიძლება «შემცირდეს». «ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ პირველად ჩემ მიერ დადგენილი აზრით, ე. ი. იმ აზრით, რომ მე საგნის [ნამდვილ] წარმოების ხარჯებს განვასხვავებ კაპიტალისტისათვის [ამ საგნის] წარმოების ხარჯებისგან, რადგან კაპიტალისტი ამ წარმოების ხარჯების ნაწილში ფასს არ იხდის». ამ შემთხვევაში ნამდვილად სწორია, რომ კაპიტალისტიც თავის მოგებას ისევე იღებს თავისი საკუთარი მუშების ფასგადაუხდელი ზედმეტი შრომის მეოხებით, როგორც მას შეუძლია ეს მოგება მიიღოს იმის მეოხებითაც, რომ იგი მთლიანად არ გადაუხდის იმ კაპიტალისტს, რომელიც მას საჭირო მუდმივ კაპიტალს აწვდის; ე. ი. არ უნაზღაურებს ამ კაპიტალისტს მის საქონელში მოთავსებული და ამ კაპიტალისტის მიერ ფასგადაუხდელი ზედმეტი შრომის ნაწილს (რაც სწორედ ამიტომ მის მოგებას ქმნის). ეს ყოველთვის იმას ნიშნავს, რომ იგი საქონელს მის ღირებულებაზე დაბლა ანაზღაურებს. მოგების ნორმა (ე. ი. ზედმეტი ღირებულების შეფარდება მთელი ავანსებული კაპიტალის ერთობლივ ღირებულებასთან) შეიძლება დიდდებოდეს როგორც იმის მეოხებით, რომ ავანსებული კაპიტალის იგივე რაოდენობა ობიექტურად უფრო იაფდება (მუდმივი კაპიტალის მწარმოებელ დარგებში შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად), ისე იმის მეოხებითაც, რომ ეს რაოდენობა სუბიექტურად უფრო იაფდება მყიდველისათვის, რომელიც კაპიტალის ამ რაოდენობას მის ღირებულებაზე უფრო დაბლა ანაზღაურებს. მ ყ . ი დ ვ ე ლ ი ს ა თ ვ ი ს იგი ყოველთვის არის ამ შემთხვევაში შრომის უფრო მცირე რაოდენობის შედეგი.)

[321] ზემოდასახელებულ ადგილას მილი უწინარეს ყოვლისა იმ აზრს გამოთქვამს, რომ იმ კაპიტალისტის მუდმივი კაპიტალი, რომელიც მზა საქონელს აწარმოებს, დაიყვანება არა მხოლოდ ხელფასზე, არამედ მოგებაზეც. ამასთან მილის აზრთა მსვლელობა ასეთია:

უკანასკნელი კაპიტალისტის მიერ ავანსებული მუდმივი კაპიტალი მართაოდენ ხელფასზე რომ დაიყვანებოდეს, მაშინ მოგება იქნებოდა გადანამეტი, რომელიც მას რჩება ყველა იმ ხელფასის ანაზღაურების შემდეგ, რომელთაგანაც შედგენილი იქნებოდა ავანსებული კაპიტალის მთელი ჯამი, {ხოლო მთელი (ანაზღაურებული) ხარჯები, რომლებიც ავანსებულია მზა პროდუქტის წარმოებაზე, ხელფასებზე დაიყვანებოდა}. მთელი ავანსებული კაპიტალის ღირებულება იქნებოდა პროდუქტში მოთავსებული ყველა ხელფასის ღირებულების ტოლი. მოგება შეადგენდა ამ ჯამის გადანამეტს. და რადგან მოგების ნორმა უდრის ამ გადა-

ნამეტის შეფარდებას მთელი ავანსებული კაპიტალის ღირებულებასთან, ამიტომ ეს ნორმა, აშკარაა, გადიდებოდა ან დაეცემოდა მთელი ავანსებული კაპიტალის ღირებულების მიხედვით, ე. ი. იმ: ხ ე ლ ფ ა ს-თ ა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მიხედვით, რომელთა ერთობლიობაც ავანსებულ კაპიტალს შეადგენს. (თვით ეს საბუთი არსებითად უაზროა, თუ განვიხილავთ მოგებისა და ხელფასის ს ა ე რ თ ო შეფარდებას. ბ-ნ მილისათვის საჭირო იყო მხოლოდ ის, რომ ერთობლივი პროდუქტიდან გამოეყო ერთ მხარეზე ის ნაწილი, რომელიც დაიყვანება მოგებაზე (სულ ერთია, ვის უხდიან ამ მოგებას: საქონლის წარმოებაში მონაწილე უკანასკნელ კაპიტალისტებს თუ წინა კაპიტალისტებს). მეორე მხარეზე კი — ის ნაწილი, რომელიც ხელფასზე დაიყვანება; მაშინ მოგებათა ჯამი უწინდებურად ხელფასთა ჯამის ღირებულებაზე გადანამეტის ტოლი იქნებოდა და რიკარდოსეულ «პირუკუ შეფარდებას» შეეძლო ძალა ჰქონოდა უშუალოდ მოგების ნორმისათვის. მაგრამ სწორი არ არის, რომ მთელი ავანსებული კაპიტალის ჯამი მოგებასა და ხელფასზე დაიყვანება. ჯ მაგრამ უკანასკნელი კაპიტალისტის მიერ ავანსებული კაპიტალი დაიყვანება არა მარტო ხელფასებზე, არამედ ავანსებულ მოგებებზეც. მაშასადამე, უკანასკნელი კაპიტალისტის მოგება არის არა მარტო ავანსებულ ხელფასთა გადანამეტი, არამედ ასევე ავანსებულ მოგებათა გადანამეტიც. ამრიგად, მ თ ვ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა. განისაზღვრება: არა მხოლოდ ხელფასზე გადანამეტით, არამედ უკანასკნელ კაპიტალისტთან დარჩენილი გადანამეტით იმ ხელფასთა და მოგებათა ჯამზე, რომელთა ერთობლიობაც, ნაგულისხმევის თანახმად, მთელ ავანსებულ კაპიტალს შეადგენს. მაშასადამე, ეს ნორმა შეიძლება, ცხადია, იცვლებოდეს არა მარტო ხელფასის გადიდებისა და დაცემის გამო, არამედ ასევე მოგების გადიდებისა ან დაცემის გამოც. და თუ ჩვენ უყურადღებოდ დაეტოვებდით მოგების ნორმის იმ ცვლილებას, რომელიც ხელფასთა გადიდებიდან ან დაცემიდან გამომდინარეობს; თუ ჩვენ ვიგულისხმებდით, — და ეს ხომ ხშირად ხდება პრაქტიკაში, — რომ ხელფასთა ღირებულება (ე. ი. მათი წარმოების ხარჯები, მათში მოთავსებული სამუშაო დრო) დარჩებოდა წინანდელი, არ შეიცვლებოდა, მაშინ, ბ-ნ მილის კვალდაკვალ, ჩვენ ამ გზით მივიდოდით შესანიშნავ კანონთან, რომ მოგების ნორმის გადიდება და დაცემა დამოკიდებულია მოგების გადიდებასა და დაცემაზე.

«სახნის წარმოების ხარჯები მცირდება; თუ შესაძლებელი აღმოჩნდება იმ მოგების რომელიმე ნაწილის დაზოგვა, რომელიც უკანასკნელმა მწარმოებელმა უნდა გადაუხადოს წინა მწარმოებლებს».

ეს, არსებითად, ძალიან სწორია. დავუშვათ, რომ წინა მწარმოებელთა მოგების არც ერთი ნაწილი არ იყო წანამატი, profit upon alienation*.

* — გასხვისებით მიღებული მოგება. რ ე დ.

როგორც ჟემს სტიუარტი ამბობს. მაშინ ყოველგვარი დაზოგვა «მოგების» ამა თუ იმ «ნაწილისა» {რამდენადაც ასეთი დაზოგვა არ მიიღწევა იმით, რომ შემდგომი მწარმოებელი ატყუებს წინა მწარმოებელს, ე. ი. არ უნაზღაურებს მას მის საქონელში მოთავსებულ მთელ ღირებულებას} არის შრომის იმ რაოდენობის დაზოგვა, რომელიც საჭიროა საქონლის საწარმოებლად. {ჩვენ აქ უყურადღებოდ ვტოვებთ იმ მოგებას, რომელიც გადაიხდება, მაგალითად, იმ დროისათვის, როცა კაპიტალი არ არის გამოყენებული წარმოების პერიოდში, და ა. შ.} თუ, ეთქვათ, წინათ-საჭირო იყო ორი დღე იმისათვის, რომ ნედლი მასალა, მაგალითად, ნახშირი, შახტიდან ფაბრიკაში მიეტანათ, ახლა კი ამისთვის საჭიროა მხოლოდ ერთი დღე, მაშინ ერთი სამუშაო დღის «ეკონომია» გაკეთებულია; მაგრამ ეს შეეხება როგორც ამ სამუშაო დღის იმ ნაწილს, რომელიც მოგებაზე დაიყვანება, ისე იმ ნაწილსაც, რომელიც ხელფასზე დაიყვანება.

მას შემდეგ, რაც მიღმა თავისთვის გაარკვია, რომ გადანამეტის ნორმა უკანასკნელი კაპიტალისტისათვის ან საერთოდ მოგების ნორმა დამოკიდებულია არა მარტო უშუალო შეფარდებაზე ხელფასსა და მოგებას შორის, არამედ უკანასკნელი მოგების ან ყოველი გარკვეული კაპიტალისტის მოგების შეფარდებაზეც მთელი ავანსებული კაპიტალის ღირებულებასთან, რომელიც უდრის (ხელფასზე დახარჯული) ცვალებადი კაპიტალის ჯამს პლუს მუდმივი კაპიტალი, რომ, სხვა სიტყვებით, [322] მოგების ნორმა განისაზღვრება არა მარტო მოგების შეფარდებით კაპიტალის იმ ნაწილთან, რომელიც ხელფასზე იხარჯება, ე. ი. არა მხოლოდ ხელფასის წარმოების ხარჯებით, ანუ ხელფასის ღირებულებით, — იგი განაგრძობს:

«მოუხედავად ამისა სწორი რჩება იმის მტკიცება, რომ მოგების ნორმა იცვლება პირველ შეფარდებით ხელფასის წარმოების ხარჯებთან».

თუმცა ეს სწორი არაა, «მოუხედავად ამისა სწორი რჩება»...

ილუსტრაცია, რომელსაც ამასთან დაკავშირებით მილი იძლევა, შეიძლება ჩაითვალოს ეკონომისტებისათვის დამახასიათებელი ილუსტრირების მანერის კლასიკურ მაგალითად, და ეს მით უფრო გასაოცარია, რომ ამ ილუსტრაციის ავტორმა ამასთანავე წიგნიც კი დაწერა ლოგიკაზე⁸⁰.

ეთქვათ, მაგალითად, რომ სოფლის მეურნეობის 60 მუშა, რომლებიც ხელფასის სახით 60 ევარტერ მარცვლეულს ღებულობენ, ხმარობს ძირითად კაპიტალს და თესლს, რომელთა ღირებულება უდრის აგრეთვე 60 ევარტერს, და რომ შათი ოპერაციების პროდუქტი უდრის 180 ევარტერს. თუ მოგების ნორმა 50%-ს შეადგენს, მაშინ 180 ევარ-

ტერი მარცვლეულის საწარმოებლად გამოყენებული თესლი და იარაღები უნდა იყოს 40 მუშის შრომის პროდუქტი, რადგან ამ 40 მუშის ხელფასი მათი დაქირავების მოგებასთან ერთად შეადგენს 60 კვარტრის. ამიტომ, თუ პროდუქტი 180 კვარტრით ირთავა და შედგება, მაშინ იგი საბოლოო ანგარიშით 100 მუშის შრომის შედეგს წარმოადგენს.

ეტყვით ახლა, რომ 100 მუშის იმავე შრომის პირობებში რაიმე გამოგონების მეოხებით მოიხსნა ყოველგვარი ძირითადი კაპიტალისა და თესლის გამოყენების საჭიროება. 180 კვარტრის მიღება წინათ შეიძლებოდა მხოლოდ 120 კვარტრის დახარჯვით, ახლა კი მისი მიღება შეიძლება მხოლოდ 100 კვარტრის დახარჯვით.

180 კვარტერი მარცვლეული უწინდებურად შრომის იმავე რაოდენობის, 100 მუშის შრომის შედეგია. ამიტომ ერთი კვარტერი მარცვლეული უწინდებურად $\frac{10}{18}$ მუშის წლიური შრომის პროდუქტს წარმოადგენს. იმიტომ რომ ერთი კვარტერი მარცვლეული, რაც ერთი მუშის ანაზღაურებაა, სინამდვილეში შრომის იმავე რაოდენობის პროდუქტია, რა რაოდენობისაა წინათ იყო. მაგრამ, მუხედვად ამისა, მისი წარმოების ხარჯები შემცირდა. ახლა ერთი კვარტერი მარცვლეული $\frac{10}{18}$ მუშის წლიური შრომის პროდუქტია და მეტი არაფერი, მაშინ როდესაც წინათ მისი წარმოებისათვის საჭირო იყო შრომის ამ რაოდენობის შეერთება [წინა კაპიტალისტის] მოგების ანაზღაურებელ დანახარჯთან, რაც შეადგენდა $\frac{1}{8}$ -ით მეტს. თუ ხელფასის წარმოების ხარჯები უწინდელი დარჩებოდა, მაშინ მოგება ვერ გადიდებოდა. თითოეული მუშა წინათ ღებულობდა 1 კვარტერ მარცვლეულს; მაგრამ 1 კვარტერი მარცვლეული უწინ იმავე წარმოების ხარჯების შედეგი იყო, რაც ახლა $1\frac{1}{8}$ კვარტერია. ამიტომ, იმისათვის, რათა თითოეულ მუშას წინანდელი წარმოების ხარჯები მიეღო, თითოეულს უნდა ჰქონოდა 1 კვარტერი მარცვლეული პლუს $\frac{1}{8}$ კვარტერი (ციტირ. თხზ., გვ. 99—103).

ამრიგად, თუ ვივლით ხმებით, რომ მუშას უხდინა იმავე პროდუქტით, რომელსაც იგი ზღარბობს, მაშინ ცხადია, რომ როცა ადგილი აქვს ამ პროდუქტის წარმოებისათვის საჭირო ხარჯების რაიმე დაზოგვას, მუშა კი უწინდებურად იმავე წარმოების ხარჯებს ღებულობს, რასაც უწინ ღებულობდა, მაშინ მას აუცილებლად წილად ხედება პროდუქტის უფრო მეტი რაოდენობა, კაპიტალის მწარმოებლური ძალის ზრდის შესაბამისად. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ კაპიტალისტის დანახარჯი ზუსტად იმავე შეფარდებაში იქნება მის მიერ მისაღებ პროდუქტთან, როგორც 'უწინ იყო, და მოგება არ გადიდდება. ამიტომ მოგების ნორმის ცვლილებანი და ხელფასის წარმოების ხარჯების ცვლილებანი ხელისხელაქიდებულნი მიდიან და ხელფასის წარმოების ხარჯების შესაბამისად, რიკარდოს ღებულება, რომ მოგება შეიძლება დიდებოდეს მხოლოდ ხელფასის იმედროულად დაცემისას, საესეებით სწორია, თუ დაბალ ხელფასში ვიგულისხმებთ არა მხოლოდ ისეთ ხელფასს, რომელიც შრომის უფრო ნაკლები რაოდენობის პროდუქტია, არამედ ისეთ ხელფასსაც, რომელიც წარმოებულთა უფრო ნაკლები ხარჯებით, ამ ხარჯებში აგრეთვე წინა კაპიტალისტების მოგების ჩათვლითა (იქვე, გვ. 104).

ამ საუცხოო ილუსტრაციის შესახებ შევნიშნავთ პირველ ყოვლისა შემდეგს: მასში ივარაუდება, რომ რაიმე გამოგონების მეოხებით მარცვლეული იწარმოება თესლის (ნედლეულის) გარეშე და ძირითადი კაპი-

ტალის გარეშე, მზადდება ნედლეულისა და შრომის იარაღების გარეშე, ე. ი. ჰაერიდან, წყლიდან და მიწიდან მარტოოდენ შიშველი ხელებით. [323] ამ უაზრო წანამძღვარში სხვა არაფერი იმალება, თუ არა იმის ვარაუდი, რომ პროდუქტი იწარმოება მ უ დ მ ი ვ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს გ ა რ ე შ ე, ე. ი. მხოლოდ ახლად მიმატებული შრომით. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დამტკიცებულია ის, რაც დასამტკიცებელი იყო, სახელდობრ, რომ მოგება და ზედმეტი ღირებულება იდენტურია, რომ, მაშასადამე, მოგების ნორმაც დამოკიდებულია მ ხ ო ლ ო დ ზ ე დ მ ე ტ ი შ რ ო მ ი ს შ ე ფ ა რ დ ე ბ ა ზ ე ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ შ რ ო მ ა ს თ ა ნ . ნამდვილად კი სიძნელე სწორედ იმის შედეგად წარმოიშვა, რომ, რამდენადაც ზედმეტი ღირებულება შეეფარდება [არა მარტო კაპიტალის ცვალებად ნაწილს, არამედ აგრეთვე] კაპიტალის მუდმივ ნაწილსაც, — და ამ შეფარდებას ვუწოდებთ ჩვენ სწორედ მოგების ნორმას, — ზედმეტი ღირებულების ნორმა და მოგების ნორმა ერთიმეორისაგან განსხვავდებიან. ამრიგად, თუ ვიგულისხმებთ, რომ მუდმივი კაპიტალი უდრის ნულს, მაშინ მუდმივი კაპიტალის არსებობის შედეგად წარმოქმნილი სიძნელე მოიხსნება იმით, რომ მხედველობის გარეშე რჩება ამ მუდმივი კაპიტალის არსებობა. სხვა სიტყვებით, სიძნელეს თავი დავაღწიეთ იმით, რომ ვ ი გ უ ლ ი ს ხ მ ე თ ი გ ი ა რ ა რ ს ე ბ უ ლ ა დ . **Probatum est** *.

ახლა ჩამოვყავალიბოთ სწორად პრობლემა, ანუ პრობლემის მილისეული ილუსტრაცია.

პირველ ვარაუდში ჩვენ გვაქვს:

მუდმივი კაპიტალი (ძირითადი კაპიტალი და თესლი)	ცვალებადი კაპიტალი (ხელფასზე დახარჯული კაპიტალი)	ერთობლივი პროდუქტი	მოგება
60 კვარტერი	60 კვარტერი (60 მუშა)	180 კვარტერი	60 კვარტერი

ამ მაგალითში ივარაუდება, რომ შრომა, რომელიც მუდმივ კაპიტალს მიემატა, უდრის 120 კვარტერს. და რადგან თითოეული კვარტერი ხელფასია ერთი სამუშაო დღისა (ან ერთი მუშის სამუშაო წლისა, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც 365 სამუშაო დღისაგან შემდგარი ერთი სამუშაო დღე), ამიტომ ერთობლივი პროდუქტის 180 კვარტერი შეიცავს [ახლად მიმატებული შრომის] მხოლოდ 60 სამუშაო დღეს, რომლიდანაც 30 ანაზღაურებს მუშების ხელფასს და 30 შეადგენს მოგებას. მაშასადამე, ჩვენ ვვარაუდობთ სინამდვილეში, რომ ერთი სამუშაო დღე საგნობ-

* — ეს ნაცადი ხერხია. რ ე დ .

რიცხვება ორ კვარტერში; ამიტომ 60 მუშა ასაგნობრივებს თავის 60 სამუშაო დღეს 120 კვარტერში; აქედან 60 შეადგენს მათ ხელფასს და 60 ქმნის მოგებას. სხვა სიტყვებით, მუშა სამუშაო დღის ნახევარს მუშაობს თავისთვის, ხელფასის ასანაზღაურებლად, და ნახევარს — კაპიტალისთვის, ქმნის რა ამით ზედმეტი ღირებულებას კაპიტალისთვის. ამიტომ ზედმეტი ღირებულების ნორმა შეადგენს აქ 100%-ს და არა 50%-ს. მაგრამ რადგან ცვალებადი კაპიტალი მთელი ავანსებული კაპიტალის მხოლოდ ნახევარს შეადგენს, ამიტომ მოგების ნორმა ვამოიხატება არა 60 კვარტერის შეფარდებით 60 კვარტერთან, არამედ 60 კვარტერის შეფარდებით 120 კვარტერთან; მაშასადამე, მოგების ნორმა უდრის არა 100%-ს, არამედ მხოლოდ 50%-ს. თუ კაპიტალის მუდმივი ნაწილი ნულის ტოლი იქნებოდა, მაშინ მთელი ავანსებული კაპიტალი იქნებოდა მხოლოდ 60 კვარტერი, მხოლოდ ხელფასისათვის ავანსებული და 30 სამუშაო დღის ტოლი კაპიტალი; მოგება და ზედმეტი ღირებულება, მაშასადამე, მათი ნორმებიც, იდენტური იქნებოდნენ. მოგება იქნებოდა მაშინ 100% და არა 50%. ორი კვარტერი მარცვლეული იქნებოდა ერთი სამუშაო დღის პროდუქტი, თუმცა მხოლოდ ერთი კვარტერი მარცვლეული შეადგენდა ერთი სამუშაო დღის ხელფასს და მხოლოდ 60 კვარტერი მარცვლეული — 60 სამუშაო დღის ხელფასს. სხვა სიტყვებით, მუშა მიიღებდა თავისი პროდუქტის მხოლოდ ნახევარს (50%), მაშინ როდესაც კაპიტალისტი მიიღებდა თავის დანახარჯზე ორჯერ მეტს, ე. ი. 100% მოგებას.

რა მდგომარეობაშია ახლა 60 კვარტერი მუდმივი კაპიტალი? ისიც ასევე 60 სამუშაო დღის პროდუქტია. თუ ვივლით იმეხებთ, რომ ამ მუდმივ კაპიტალში მისი წარმოების ელემენტები იმავე შეფარდებაში იმყოფებიან ერთიმეორესთან, როგორი შეფარდებაც ნაგულისხმევი იყო ზემოთ, ე. ი. რომ მისი $\frac{1}{3}$ შედგება მუდმივი კაპიტალისაგან, $\frac{2}{3}$ კი ახლადმიმატებული შრომისაგან, რომ, შემდეგ, ზედმეტი ღირებულებისა და მოგების ნორმები აქ კვლავ იგივეა, მაშინ ჩვენ მივიღებთ შემდეგ გაანგარიშებას:

მუდმივი კაპიტალი	ცვალებადი კაპიტალი	ერთობლივი პროდუქტი	მოგება
20 კვარტერი	20 კვარტერი (20 მუშის ხელფასი)	60 კვარტერი	20 კვარტერი

მოგების ნორმა აქ კვლავ შეადგენს 50%-ს, ზედმეტი ღირებულების ნორმა — 100%-ს. ერთობლივი პროდუქტი არის [324] 30 სამუშაო დღის პროდუქტი, მაგრამ აქედან 10 სამუშაო დღე (რაც 20 კვარტერს უდრის). წარმოადგენს წარსულ შრომას (მუდმივ კაპიტალს), 20 სამუშაო დღე კი —

20 მუშის ახლად მიმატებულ შრომას, რომელთაგანაც თითოეული მუშა ხელფასის სახით ღებულობს. თავისი პროდუქტის მხოლოდ ნახევარს. ორი კვარტერი უწინდებურად ერთი მუშის შრომის პროდუქტია, თუმცა ერთი კვარტერი უწინდებურად შეადგენს ერთი მუშის შრომის საფასურს და ერთი კვარტერი მოგებაა კაპიტალისტისა, რომელიც მუშის შრომის ნახევარს ისაკუთრებს.

ის 60 კვარტერი, რომელიც მზა პროდუქტის მწარმოებელი კაპიტალისტის ზედმეტი ღირებულება იყო, შეადგენდა მოგების ნორმას 50%-ის ოდენობით, რადგან ეს 60 კვარტერი ზედმეტი ღირებულება გამოიანგარიშებოდა არა მარტო ხელფასად ავანსებულ 60 კვარტერზე, არამედ ასევე თესლისა და ძირითადი კაპიტალისათვის ავანსებულ 60 კვარტერზეც, ე. ი. სულ 120 კვარტერზე.

ამრიგად, თუ მილი ანგარიშობს, რომ თესლისა და 60 კვარტერი საერთო ღირებულების მქონე ძირითადი კაპიტალის მწარმოებელი კაპიტალისტის მოგება ასევე 50%-ს უდრის, თუ იგი, შემდეგ, გულისხმობს, რომ მუდმივსა და ცვალებად კაპიტალს შორის აქ იგივე შეფარდება არსებობს, როგორც 180 კვარტერი მარცვლეულის წარმოებისას, მაშინ მას უნდა ეთქვას, რომ მუდმივი კაპიტალის მწარმოებელთა მოგება უდრის 20 კვარტერს. რადგან ხელფასი უდრის ერთ კვარტერს, ამიტომ 60 კვარტერი შეიცავს 30 სამუშაო დღეს, მსგავსად იმისა, როგორც 120 კვარტერი 60 სამუშაო დღეს შეიცავს.

მაგრამ რას ამბობს მილი?

«თუ მოგების ნორმა 50%-ს შეადგენს, მაშინ 180 კვარტერი ხორბლის საწყობებში ღებულებული თესლი და იარაღები უნდა იყოს 40 მუშის შრომის პროდუქტი, რადგან ამ 40 მუშის ხელფასი მათი დამკვირვებლის მოგებასთან ერთად შეადგენს 60 კვარტერს».

პირველ კაპიტალისტთან, რომელიც 60 მუშას ამუშავებდა და თითოეულ მათგანს დღეში ხელფასის სახით თითო კვარტერს აძლევდა (ამრიგად, ხელფასზე ეს კაპიტალისტი ხარჯავდა 60 კვარტერს), რომელიც, შემდეგ, 60 კვარტერს მუდმივ კაპიტალზე ხარჯავდა, 60 სამუშაო დღე საგნობრივდებოდა 120 კვარტერში, მაგრამ მუშები აქედან ხელფასის სახით მხოლოდ 60 კვარტერს ღებულობდნენ. სხვა სიტყვებით, ხელფასი შეადგენდა 60 მუშის შრომის პროდუქტის მხოლოდ ნახევარს. მაშასადამე, მუდმივი კაპიტალის 60 კვარტერი უდრიდა სულ მხოლოდ 30 მუშის შრომის პროდუქტს; თუ ამ 60 კვარტერის შემადგენლობაში მხოლოდ მოგება და ხელფასი იქნებოდა, მაშინ ხელფასი შეადგენდა 30 კვარტერს და მოგება — 30 კვარტერს; მაშასადამე, ხელფასი იქნებოდა 15 მუშის

შრომის ტოლი, ასევე მოგებაც. მაგრამ თუ მოგება მხოლოდ 50%-ს შეადგენს, ეს იმიტომაა, რომ, ვარაუდის თანახმად, იმ 30 დღიდან, რომელთაც მუდმივი კაპიტალის 60 კვარტერი შეიცავს, 10 დღე უწევს წარსულ შრომას (მუდმივ კაპიტალს) და მხოლოდ 10 დღე გამოხატავს ხელფასს. ამრიგად, 10 დღე მოთავსებულია მუდმივ კაპიტალში, ხოლო 20 ახლად მიმატებული სამუშაო დღეებია; აქედან მუშები მხოლოდ 10 დღეს მუშაობენ თავისთვის და 10-ს კაპიტალისთვის. მაგრამ ბ-ნი მილი ამტკიცებს, რომ ეს 60 კვარტერი 40 მუშის შრომის პროდუქტია, მაშინ როდესაც წინათ 120 კვარტერი იყო 60 მუშის შრომის პროდუქტი. უწინ ერთი კვარტერი შეიცავდა სამუშაო დღის ნახევარს (თუმცა ის შეადგენდა მთელი სამუშაო დღის საფასურს), ახლა კი სამუშაო დღის ნახევარის ტოლი იქნებოდა კვარტერის 3/4. ნამდვილად კი პროდუქტის 1/3-ს (60 კვარტერს), რომელიც დახარჯულია მუდმივ კაპიტალზე, ზუსტად ისეთივე ღირებულება აქვს, ე. ი. იმდენივე სამუშაო დღეს შეიცავს, რამდენსაც პროდუქტის ყოველი სხვა 1/3. თუ ბ-ნი მილი იმას მონიშნობდა, რომ მთელი მუდმივი კაპიტალი 60 კვარტერის სახით ხელფასსა და მოგებაზე დაეყვანა ეს ს რ უ ლ ე ბ ი თ ვერ შეცვლიდა სამუშაო დროის იმ რაოდენობას, რომელსაც ეს მუდმივი კაპიტალი შეიცავს. მასში მოთავსებული იქნებოდა უწინდებურად 30 სამუშაო დღე; მაგრამ მოგება და ზედმეტი ღირებულება ერთიმეორეს დაემთხვეოდნენ, რადგან აქ საჭირო არ იქნებოდა მუდმივი კაპიტალის ანაზღაურება. მაშასადამე, მოგება იქნებოდა 100% და არა 50%, როგორც ეს წინათ იყო. წინათ ზედმეტი ღირებულება შეადგენდა ასევე 100%-ს; მაგრამ მოგება შეადგენდა მაშინ მხოლოდ 50%-ს, —სწორედ იმის შედეგად, რომ მოგების გამოანგარიშებაში მუდმივი კაპიტალიც შედის.

ამრიგად, აქ ჩვენს წინაშეა ბ-ნი მილის ორმხრივად ყალბი მიდგომა საკითხისადმი.

რაც შეეხება პირველ 180 კვარტერს, იქ სიძნელე ის იყო, რომ ზედმეტი ღირებულება და მოგება არ ემთხვეოდნენ ერთიმეორეს, რადგან 60 კვარტერი ზედმეტი ღირებულება უნდა გამოანგარიშებულყო არა მარტო 60 კვარტერზე (ერთობლივი პროდუქტის იმ ნაწილზე, რომელიც ხელფასს უდრის), არამედ [325] 120 კვარტერზე, ე. ი. 60 კვარტერ მუდმივ კაპიტალზე პლუს 60 კვარტერი ხელფასი. ზედმეტი ღირებულება შეადგენდა ამიტომ 100%-ს, მოგება კი მხოლოდ 50%-ს. ბ-ნი მილი თავიდან იშორებს ამ სიძნელეს იმ 60 კვარტერისათვის, რომელთაგანაც მუდმივი კაპიტალი შედგება: იგი ვარაუდობს, რომ აქ მთელი პროდუქტი იყოფა კაპიტალისტსა და მუშებს შორის, ე. ი. რომ იმ მუდმივი კაპიტალის შექმნაში, რომელიც შედგება თესლისა და შრომის იარაღებისაგან, რო-

მელთა საერთო ღირებულება 60 კვარტერს უდრის, არაავითარი მუდმივი კაპიტალი არ მონაწილეობს. ის გარემოება, რომელიც უნდა ახსნილიყო I კაპიტალისათვის, წინასწარი ივარაუდება, რომ მოხსნილია II კაპიტალისათვის, და ამით ქრება თვით პრობლემა.

მეორე, მას შემდეგ, რაც მიღმა იგულისხმა, რომ იმ 60 კვარტერის ღირებულებაში, რომელიც მუდმივ კაპიტალს შეადგენს I-თვის, შედის მხოლოდ [უშუალო] შრომა, რომ იქ არ არის წარსული შრომა, არ არის მუდმივი კაპიტალი, რომ, მაშასადამე, მოგება და ზედმეტი ღირებულება — მაშასადამე, მოგების ნორმაც და ზედმეტი ღირებულების ნორმაც — ერთიმეორეს ემთხვევა, რომ მათ შორის არაავითარი განსხვავება არ არის, იგი შემდეგ, პირიქით, გულისხმობს, რომ მათ შორის ადგილი აქვს განსხვავებას, როგორც I შემთხვევაში, და ამიტომ მოგება, როგორც I შემთხვევაში, შეადგენს სულ მხოლოდ 50%-ს. I შემთხვევაში რომ პროდუქტის მესამედს მუდმივი კაპიტალი არ შეადგენდეს, მოგება დაემთხვეოდა ზედმეტ ღირებულებას. ერთობლივი პროდუქტი იქნებოდა მხოლოდ 120 კვარტერი, რაც 60 სამუშაო დღეს უდრის; აქედან 30-ს მიიღებდნენ მუშები (= 60 კვარტერს) და 30-ს კაპიტალები (= 60 კვარტერს). მოგების ნორმა იქნებოდა ზედმეტი ღირებულების ნორმის ტოლი — 100%. სინამდვილეში იგი შეადგენდა 50%-ს, იმიტომ რომ 60 კვარტერი ზედმეტი ღირებულება იანგარიშებოდა არა 60 კვარტერზე (ხელფასი), არამედ 120 კვარტერზე. (ხელფასი, თესლი და ძირითადი კაპიტალი). II შემთხვევაში მილი გულისხმობს, რომ წარმოებაში არაავითარი მუდმივი კაპიტალი არ მონაწილეობს. იგი გულისხმობს აგრეთვე, რომ ხელფასი აქ იგივეა, ე. ი. ერთი კვარტერი. და მიუხედავად ამისა იგი ფიქრობს, რომ მოგება და ზედმეტი ღირებულება აქ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, ე. ი. რომ მოგება შეადგენს მხოლოდ 50%-ს, თუმცა ზედმეტი ღირებულება 100%-ს აღწევს. ფაქტიურად მილი ვარაუდობს, რომ ის 60 კვარტერი, რომელიც ერთობლივი პროდუქტის ამ მესამედს შეადგენს, უფრო მეტ სამუშაო დროს შეიცავს, ვიდრე ერთობლივი პროდუქტის მეორე მესამედი; მისი ვარაუდით, ეს 60 კვარტერი 40 სამუშაო დღის პროდუქტია, მაშინ როდესაც დანარჩენი 120 კვარტერი მხოლოდ 60 სამუშაო დღის პროდუქტი იყო.

მაგრამ სინამდვილეში აქ გამოსჭვივის ძველი შეცდომა «გასხვისებით მიღებული მოგების» შესახებ, რომელსაც არაავითარი კავშირი არა აქვს პროდუქტში მოთავსებულ სამუშაო დროსთან ან ასევე ღირებულების რიკარდოსეულ განსაზღვრასთან. სახელდობრ, მილი ვარაუდობს, რომ ხელფასი, რასაც ერთი მუშა ღებულობს ერთი სამუშაო დღისათვის, უდრის მისი სამუშაო დღის პროდუქტს, ანუ იმდენ სამუშაო დროს შეი-

ცავს, რამდენსაც ის მუშაობს. თუ ხელფასის სახით გადაიხდება 40 კვარტერი და მოგება უდრის 20 კვარტერს, მაშინ ხელფასის სახით გადახდილი 40 კვარტერი შეიცავს 40 სამუშაო დღეს. 40 სამუშაო დღის ფასი უდრის 40 სამუშაო დღის პროდუქტს. თუ 60 კვარტერ ერთობლივ პროდუქტზე მოდის 50%, ანუ 20 კვარტერი მოგება, აქედან ის გამოძინარეობს, რომ 40 კვარტერი უდრის 40 მუშის შრომის პროდუქტს, რადგან ვარაუდის თანახმად 40 კვარტერი ქმნის ხელფასს და 1 მუშა დღეში ლებულობს 1 კვარტერს. საიდან მიიღება დანარჩენი 20 კვარტერი? აღნიშნული 40 მუშა მუშაობს 40 სამუშაო დღეს, რადგან ისინი ლებულობენ 40 კვარტერს. მაშასადამე, 1 კვარტერი წარმოადგენს 1 სამუშაო დღის პროდუქტს. ამიტომ 40 სამუშაო დღე აწარმოებს მხოლოდ 40 კვარტერს და არც ერთი ბუშელით მეტს. საიდან მიიღება 20 კვარტერი, რომელიც მოგებას ქმნის? მილის ამ მაგალითს საფუძვლად უდევს ძველი შეცდომა «გასხვისებით მიღებული მოგების» შესახებ, იმის შესახებ, რომ ადგილი აქვს პროდუქტის ფასის გადიდებას მისი ღირებულების საზღვარს იქით. მაგრამ აქ, სადაც ღირებულება წარმოდგენილია არა ფულში, არამედ თვით პროდუქტის სათანადო ნაწილში, ეს «გასხვისებით მიღებული მოგება» წარმოგვიდგება როგორც ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ უ ა ზ რ ო და შეუძლებელი რამ. ძნელი არაა იმის წარმოდგენა, რომ თუ 40 კვარტერი ხორბალი პროდუქტია 40 მუშის შრომისა, რომლებიდანაც თითოეული ხელფასში ერთ კვარტერს ლებულობს დღეში (ან წელიწადში), ე. ი. ეს 40 მუშა ხელფასის სახით მთელ თავის პროდუქტს ლებულობს, და თუ 1 კვარტერი ხორბალი, ფულით გამოხატული, 3 გირ. სტერლინგს უდრის, ხოლო 40 კვარტერი — 120 გირ. სტერლინგს, მაშინ კაპიტალისტი, რომელიც ამ 40 კვარტერს 180 გირ. სტერლინგად ყიდის, ლებულობს 60 გირ. სტერ. მოგებას, ე. ი. 50% მოგებას (60 გირ. სტერ. = 20 კვარტერ ხორბალს). მაგრამ თვით ეს წარმოდგენა სრულ აბსურდამდე მიდის, როცა ამტკიცებენ, რომ კაპიტალისტი იმ 40 კვარტერი ხორბლიდან, რომელიც მისმა 40 მუშამ აწარმოვა 40 სამუშაო დღის განმავლობაში და რაშიაც იგი ხელფასის სახით 40 კვარტერს იხდის, 60 კვარტერს ყიდის. მის ხელშია მხოლოდ 40 კვარტერი, ყ ი დ ი ს კ ი ი ვ ი 60 კვარტერს, ე. ი. 20 კვარტერით იმ რაოდენობაზე მეტს, რაც მას გასაყიდად აქვს.

[326] ამრიგად, პირველ რიგში მილი ცდილობს რიკარდოსეული კანონი (სახელდობრ, მცდარი რიკარდოსეული კანონი, რომელიც ერთმანეთში ურევს ზედმეტ ღირებულებასა და მოგებას) დაამტკიცოს შემდეგი ხელსაყრელი ვარაუდებით:

1) ივარაუდება, რომ კაპიტალისტი, რომელიც მუდმივ კაპიტალს აწარმოებს, თვითონ არავითარ მუდმივ კაპიტალს არ საჭიროებს; ამრიგად, ამ თავისი ვარაუდით მილი თავიდან იშორებს მთელ იმ სიძენეს, რასაც მუდმივი კაპიტალი წარმოშობს.

2) ივარაუდება, რომ მუდმივი კაპიტალის არარსებობის დროსაც ის განსხვავება ზედმეტ ღირებულებასა და მოგებას შორის, რომელსაც მუდმივი კაპიტალი გამოიწვევს, მაინც განაგრძობს არსებობას, თუმცა აქ არავითარი მუდმივი კაპიტალი არ არის.

3) ივარაუდება, რომ კაპიტალისტს, რომელიც 40 კვარტერ ხორბალს აწარმოებს, შეუძლია 60 კვარტერი ხორბალი გაყიდოს, რადგან მისი ერთობლივი პროდუქტი მუდმივი კაპიტალის სახით მიეყიდება სხვა კაპიტალისტს, რომლის მუდმივი კაპიტალიც უდრის 60 კვარტერს, და რადგან კაპიტალისტი №2 ამ 60 კვარტერზე 50% მოგებას ღებულობს.

უკანასკნელი უაზრობა დაყვანილია იმ წარმოდგენაზე «გასხვებისით მიღებული მოგების» შესახებ, რომელიც აქ ესოდენ აბსურდულ შეხედულებად მხოლოდ იმიტომ წარმოგვიდგება, რომ მოგება უნდა შექმნას არა ნომინალურმა ღირებულებამ, ფულში გამოხატულმა, არამედ თვით გაყიდული პროდუქტის ამა თუ იმ ნაწილმა. ამით, მაშასადამე, ბნემა მიღმა, რათა რიკარდო დაეცვა, უარყო მისი ძირითადი შეხედულება და რიკარდოზე, ა. სმიტზე და ფიზიოკრატებზე გაცილებით უფრო ჩამორჩენილი აღმოჩნდა.

მილის პირველი ცდა რიკარდოსეული მოძღვრების დასაცავად, მაშასადამე, ისაა, რომ იგი ამ მოძღვრებას იმთავითვე უყუარდებს, სახელდობრ უყუარდებს რიკარდოს იმ ძირითად პრინციპს, რომ მოგება არის მხოლოდ ნაწილი საქონლის ღირებულებისა, ე. ი. მხოლოდ ის ნაწილი საქონელში მოთავსებული სამუშაო დროისა, რომელსაც კაპიტალისტი თავის პროდუქტთან ერთად ყიდის, მაგრამ რომელშიც მას მუშისთვის ფასი არ გადაუხდია. მილის მიხედვით, კაპიტალისტი უნაზღაურებს მუშას მთელ მის სამუშაო ღირებულებას და მიუხედავად ამისა მაინც მოგებას ღებულობს.

ვნახოთ, როგორ მოქმედებს შემდეგ მილი.

იგი გულისხმობს, რომ რაიმე გამოგონების შედეგად მოიხსნება იმის აუცილებლობა, რომ მარცვლეულის წარმოებისას გამოყენებულ იქნეს თესლი და მიწათმოქმედების იარაღები; ე. ი. მისი ამ ვარაუდის თანახმად მოხსნილია მუდმივი კაპიტალის საჭიროება უკანასკნელი კაპიტალისტისათვის, როგორც ეს ნავარაუდები იყო მილის მიერ იმ პირველი 60 კვარტერის მწარმოებლისათვის, რაც თესლსა და ძირითად კაპიტალს უწევდა. ახლა მილს უნდა ემსჯელა შემდეგნაირად:

16. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

კაპიტალისტმა I არ უნდა გასწიოს ახლა ხარჯი 60 კვარტერი თესლისა. და ძირითადი კაპიტალისათვის, რადგან ჩვენ განვაცხადეთ, რომ მისი მუდმივი კაპიტალი უდრის ნულს. მან უნდა დახარჯოს, მაშასადამე მხოლოდ 60 კვარტერი ხელფასზე 60 მუშისათვის, რომლებიც 60 სამუშაო დღის განმავლობაში მუშაობენ. ამ 60 სამუშაო დღის პროდუქტი უდრის 120 კვარტერს. მუშები ღებულობენ მხოლოდ 60 კვარტერს. მაშასადამე, კაპიტალისტი ღებულობს 60 კვარტერ მოგებას, ე. ი. 100%-ს. მისი მოგების ნორმა უდრის ზუსტად ზედმეტი ღირებულების ნორმას, ე. ი. ზუსტად უდრის იმ სამუშაო დროის [შეფარდებას], რომლის განმავლობაშიც მუშები მუშაობდნენ არა თავისთვის, არამედ კაპიტალისტისათვის, [იმ სამუშაო დროსთან, რომლის განმავლობაშიც ისინი თავისთვის მუშაობდნენ]. მათ იმუშავეს 60 დღე. ისინი აწარმოებენ 120 კვარტერს და ღებულობენ 60 კვარტერს ხელფასის სახით. მაშასადამე, ისინი ღებულობენ ხელფასის სახით 30 სამუშაო დღის პროდუქტს, თუმცა მათ 60 დღე იმუშავეს. სამუშაო დღის ის რაოდენობა, რაც 2 კვარტერი ჯდება, უწინდებურად 1 სამუშაო დღეს უდრის. კაპიტალისტის მიერ ფ ა ს გ ა და ხ ე ლ ი სამუშაო დღე უწინდებურად უდრის 1 კვარტერს, ე. ი. ნამუშევარი სამუშაო დღის ნახევარს. პროდუქტი შემცირდა $\frac{1}{3}$ -ით, 180 კვარტერიდან 120-მდე; და მიუხედავად ამისა მოგების ნორმა გადიოდა 50%-ით, სახელდობრ 50%-დან 100%-მდე. რატომ? 180 კვარტერიდან $\frac{1}{3}$ ანაზღაურებდა მხოლოდ მუდმივ კაპიტალზე გაწეულ დანახარჯს და, მაშასადამე, არ შედიოდა არც მოგებაში, არც ხელფასში. მეორე მხრივ, ის 60 კვარტერი, რაც მუშებმა კაპიტალისტისათვის აწარმოეს (ის 30 სამუშაო დღე, რომლის განმავლობაშიც მუშებმა კაპიტალისტისთვის იმუშავეს), ი ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ო და ა არა 60 კვარტერზე, რომელიც ხელფასზე დაიხარჯა (არა 30 სამუშაო დღეზე, მუშებმა რომ თავისთვის იმუშავეს), არამედ 120 კვარტერზე (60 სამუშაო დღეზე), რომელიც ხელფასზე, თესლზე და ძირითად კაპიტალზე დაიხარჯა. ამიტომ, თუმცა 60 დღიდან მუშებმა 30 თავისთვის იმუშავეს და 30 კაპიტალისტისთვის და თუმცა კაპიტალისტის დანახარჯი ხელფასზე 60 კვარტერის რაოდენობით მას პროდუქტის სახით 120 კვარტერს აძლევდა, მისი მოგების ნორმა იყო არა 100%, არამედ მხოლოდ 50%, რადგან იანგარიშებოდა იგი ს ხ ვ ა გ ვ ა რ ა დ: ერთ შემთხვევაში 2×60 -ზე, მეორე შემთხვევაში კი 60-ზე. ზედმეტი ღირებულება [327] ორივე შემთხვევაში იყო ერთი და იგივე, მაგრამ მოგების ნორმა — სხვადასხვა.

მაგრამ როგორ უღდება ამ საკითხს მილი?

იგი არ ვარაუდობს, რომ კაპიტალისტი [რომელიც რაიმე გამოგონების დანერგვის შემდეგ არაფერს არ ხარჯავს მუდმივ კაპიტალზე] 60 კვარტერის დახარჯვისას ღებულობს 120 კვარტერს (60 სამუშაო დღიდან 30-ს ისაკუთრებს); მისი ვარაუდის თანახმად, კაპიტალისტი იყენებს ახლა 100 მუშას, რომლებიც მას 180 კვარტერს აძლევენ, ამასთან ყოველთვის იგულისხმება, რომ ერთი სამუშაო დღის ხელფასი 1 კვარტერს უდრის. მაშასადამე, გამოდის ასეთი ანგარიში:

დახარჯული კაპიტალი (მხოლოდ ცვალებადი, ე. ი. მხოლოდ ხელფასზე დახარჯული)	ერთობლივი პროდუქტი 180 კვარტერი	მოგება 80 კვარტერი
100 კვარტერი (გასამრჩელო ასი სამუშაო დღისათვის)		

ამრიგად, კაპიტალისტი ღებულობს ახლა 80% მოგებას. მოგება აქ უდრის ზედმეტ ღირებულებას. მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების ნორმაც ასევე უდრის მხოლოდ 80%-ს. წინათ იგი შეადგენდა 100%-ს, ე. ი. 20 პუნქტით მეტი იყო. აქ ჩვენ, მაშასადამე, ასეთი მოვლენა გვაქვს: მოგების ნორმა გაიზარდა 30 პუნქტით, ზედმეტი ღირებულების ნორმა კი შემცირდა 20 პუნქტით.

თუ კაპიტალისტი უწინდებურად ხელფასზე მხოლოდ 60 კვარტერს დახარჯავდა, მივიღებდით შემდეგ ანგარიშს:

100 კვარტერი იძლევა	80 კვარტერ ზედმეტ ღირებულებას
10 " "	8 " "
60 " "	48 " "

წინათ კი 60 კვარტერი იძლეოდა 60 კვარტერ ზედმეტ ღირებულებას (მაშასადამე, ადგილი აქვს 20%-ით დაცემას). ანუ, თუ სხვანაირად გამოხატავთ, უწინ

ერთობლივი პროდუქტი	ზედმეტი ღირებულება
60 კვარტერი იძლეოდა 120 კვარტერს	60 კვარტერი
10 " "	10 "
100 " "	100 "

ამრიგად, ზედმეტი ღირებულება შემცირდა (ორივე შემთხვევაში ჩვენ უნდა ვიანგარიშოთ 100 კვარტერზე) 100 კვარტერიდან 80 კვარტერამდე, ე. ი. 20%-ით.

$$(60:48=100:80; \quad 60:48=10:8; \quad 60:48=5:4. \\ 4 \times 60=240 \text{ და } 48 \times 5=240).$$

განვიხილოთ. შემდეგ, ერთ კვარტერში გასაგნობრივებული სამუშაო დრო, ანუ ერთი კვარტერის ღირებულება. წინათ 2 კვარტერი უდრიდა 1 სამუშაო დღეს, ანუ 1 კვარტერი უდრიდა სამუშაო დღის ნახევარს, ანუ ერთი მუშის ერთი დღის შრომის $\frac{9}{10}$ -ს. ახლა კი 180 კვარტერი 100 სამუშაო დღის პროდუქტია: მაშასადამე, 1 კვარტერი არის $\frac{100}{180}$ სამუშაო დღის, ე. ი. $\frac{10}{18}$ სამუშაო დღის პროდუქტი. სხვა სიტყვებით, პროდუქტი გაძვირდა $\frac{1}{18}$ სამუშაო დღით, ანუ შრომა გახდა ნაკლებნაყოფიერი, რადგან წინათ 1 კვარტერის საწარმოებლად მუშას სჭირდებოდა მხოლოდ $\frac{9}{18}$ სამუშაო დღე, ახლა კი მას სჭირდება $\frac{10}{18}$ სამუშაო დღე. მოგების ნორმა გადიდა მოუხედავად იმისა, რომ ზედმეტი ღირებულება დაეცა, შრომისნაყოფიერება კი ამის შესაბამისად შემცირდა, ე. ი. მოუხედავად იმისა. რომ ხელფასის ნამდვილი ღირებულება (წარმოების ხარჯები) გადიდა $\frac{1}{18}$ -ით, ე. ი. 11 $\frac{1}{9}\%$ -ით. წინათ 180 კვარტერი 90 სამუშაო დღის პროდუქტს შეადგენდა (1 კვარტერი იყო პროდუქტი $\frac{90}{180}$ სამუშაო დღისა, ე. ი. $\frac{9}{18}$. ანუ $\frac{1}{2}$ სამუშაო დღისა). ახლა ეს 180 კვარტერი შეადგენს 100 სამუშაო დღის პროდუქტს (1 კვარტერი არის პროდუქტი $\frac{100}{180}$, ე. ი. $\frac{10}{18}$ სამუშაო დღისა). ვიგულისხმობთ, რომ სამუშაო დღე უდრის 12 საათს, ანუ 60×12 წუთს, ე. ი. 720 წუთს. [328] მაშინ სამუშაო დღის $\frac{1}{18}$ ნაწილი უდრის $\frac{720}{18}$, ე. ი. 40 წუთს. ამ 720 წუთიდან მუშა კაპიტალისტს აძლევს პირველ შემთხვევაში 720 წუთის ნახევარს, ე. ი. 360 წუთს. მაშასადამე, 60 მუშა კაპიტალისტს აძლევს 360×60 წუთს. მეორე შემთხვევაში მუშა 720 წუთიდან კაპიტალისტს აძლევს $\frac{9}{18}$, ე. ი. სულ მხოლოდ 320 წუთს. მაგრამ პირველი კაპიტალისტი იყენებს 60 მუშას და, მაშასადამე, ისაკუთრებს 360×60 , ე. ი. 21 600 წუთს. მეორე კაპიტალისტი იყენებს 100 მუშას და, მაშასადამე, ისაკუთრებს 320×100 , ე. ი. 32 000 წუთს. მაშასადამე, მეორეს უფრო მეტი მოგება აქვს, ვიდრე პირველს, რადგან 100 მუშისგან დღეში 320 წუთის მითვისებით უფრო მეტი მიიღება, ვიდრე 60 მუშისაგან დღეში 360 წუთის მითვისებით. მაშასადამე, ეს ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე კაპიტალისტი იყენებს 40 მუშით მეტს; მაგრამ თითოეული მუშისაგან იგი იღებს შედარებით ნაკლებს, ვიდრე პირველი კაპიტალისტი. მეორე კაპიტალისტის მოგება უფრო მეტია მოუხედავად იმისა, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა და შრომის ნაყოფიერება აქ შემცირდა, რეალური ხელფასის წარმოების ხარჯები კი (ე. ი. ხელფასში მოთავსებული შრომის რაოდენობა) გადიდა. ბ-ნ მ-ი-ლ-ს-კ-ი ს-რ-უ-ლი-ა-დ-ს-ა-წ-ი-ნ-ა-ა-ღ-მ-დ-ე-გ-ო-ს-და-მ-ტ-კ-ი-ც-ე-ბ-ა-უ-ნ-დ-ო-ღ-ა-მ¹.

ვთქვათ, კაპიტალისტი № 1, რომელსაც არ ჰქონია ისეთი «აღმოჩენა», რაც თესლისა და ძირითადი კაპიტალის გარეშე. მარცვლეულის წარმოების შესაძლებლობას იძლევა, ასევე (კაპიტალისტი № 2-ის მსგავსად) 100 სამუშაო დღეს იყენებს, მაშინ როდესაც ზემოაღნიშნულ ანგარიშში იგი მხოლოდ 90 სამუშაო დღეს იყენებდა. მაშასადამე, მას უნდა გამოეყენებია 10 სამუშაო დღით მეტი; აქედან $3\frac{1}{3}$ თავის მუდმივ კაპიტალზე (თესლი და ძირითადი კაპიტალი) და $3\frac{1}{3}$ ხელფასზე. ამ 10 სამუშაო დღის პროდუქტი წარმოების განვითარების წინანდელი დონის პირობებში უდრის 20 კვარტერს; მაგრამ ესაა აქედან $6\frac{2}{3}$ კვარტერი ანაზღაურებს მუდმივ კაპიტალს, $12\frac{2}{3}$ კვარტერი კი $6\frac{2}{3}$ სამუშაო დღის პროდუქტს შეადგენს. მათგან $6\frac{2}{3}$ კვარტერი ქმნის ხელფასს და $6\frac{2}{3}$ კვარტერი — ზედმეტ ღირებულებას.

ამრიგად, ჩვენ გვეჩვენება შემდეგი ანგარიში:

მუდმივი კაპიტალი	ხელფასი	ერთობლივი პროდუქტი	ზედმეტი ღირებულება	ზედმეტი ღირებულებაის ნორმა
$66\frac{2}{3}$ კვარტერი ($31\frac{1}{3}$ სამუშაო დღე)	$66\frac{2}{3}$ კვარტერი (ხელფასი $66\frac{2}{3}$ სამუშაო დღისათვის)	200 კვარტერი (100 სამუშაო დღე)	$66\frac{2}{3}$ კვარტერი ($31\frac{1}{3}$ სამუშაო დღე)	100%

100 სამუშაო დღის ერთობლივი პროდუქტიდან №1 კაპიტალისტს მოგება ექნებოდა $33\frac{1}{3}$ სამუშაო დღე, ერთობლივი პროდუქტის 200 კვარტერიდან ექნებოდა $66\frac{2}{3}$ კვარტერი მოგება. ანდა, თუ მის მიერ დახარჯულ კაპიტალს კვარტერობით გამოვიანგარიშებთ, მაშინ უკვე $133\frac{1}{3}$ კვარტერზე ($66\frac{2}{3}$ სამუშაო დღის პროდუქტზე) №1 კაპიტალისტს ექნებოდა $66\frac{2}{3}$ კვარტერი მოგება. მაშინ როდესაც №2 კაპიტალისტი, 100 კვარტერის დახარჯვისას, 80 კვარტერ მოგებას მიიღებდა. ამრიგად, №2 კაპიტალისტის მოგება უფრო მეტია №1 კაპიტალისტის მოგებაზე. მაგრამ №1 კაპიტალისტი აწარმოებს 200 კვარტერს იმავე სამუშაო დროში, რომელშიაც №2 კაპიტალისტი აწარმოებს 180 კვარტერს. №1 კაპიტალისტის ერთი კვარტერი უდრის ნახევარ სამუშაო დღეს. №2 კაპიტალისტის ერთი კვარტერი უდრის $10\frac{1}{18}$ (ანუ $\frac{5}{9}$) სამუშაო დღეს, ე. ი. შეიცავს $\frac{1}{18}$ -ით მეტ სამუშაო დროს და, მაშასადამე, უფრო ძვირია. ამიტომ №1 კაპიტალისტს უნდა დაემარცხებინა №2 კაპიტალისტი. ეს უკანასკნელი იძულებული გახდებოდა უარი ეთქვა თავის გამოგონებაზე და შეჩვეოდა უწინდებურად თესლისა და ძირითადი კაპიტალის გამოყენებას მარცვლეულის საწარმოებლად.

№1 კაპიტალისტის მოგება 120 კვარტერზე შეადგენს 60 კვარტერს, ანუ 50%-ს (ისევე როგორც $133\frac{1}{3}$ კვარტერზე იგი შეადგენს $66\frac{2}{3}$ კვარტერს).

№2 კაპიტალისტის მოგება 100 კვარტერზე შეადგენს 80 კვარტერს, ანუ 80%-ს.

მოგება №2 : №1 = 80 : 50 = 8 : 5 = 1 : $\frac{5}{8}$.

პირიქით, ზედმეტი ღირებულება №2 : №1 = 80 : 100 = 8 : 10 = 1 :

$$:\frac{10}{8} = 1 : 1 \frac{2}{8} = 1 : 1 \frac{1}{4}.$$

№2-ის მოგების ნორმა 30%-ით მეტია, ვიდრე №1-ის მოგების ნორმა.

№2-ის ზედმეტი ღირებულება 20 პუნქტით ნაკლებია, ვიდრე №1-ის ზედმეტი ღირებულება.

№2 კაპიტალისტი იყენებს $66\frac{2}{3}$ %-ით მეტ მუშებს, მაშინ როდესაც №1 კაპიტალისტი ერთ სამუშაო დღეში თითოეული მუშისაგან მიითვისებს მხოლოდ $\frac{1}{8}$ -ით (ანუ $12\frac{1}{2}$ %-ით) მეტ შრომას.

[329] ამრიგად, ფაქტიურად ბ-ნმა მიღმა დაამტკიცა, რომ №1 კაპიტალისტი, რომელიც იყენებს სულ 90 სამუშაო დღეს, საიდანაც ერთი მესამედი მოთავსებულია მუდმივ კაპიტალში (თესლი, მანქანები და ა. შ.), და ქირაობს 60 მუშას, რომელთაც მხოლოდ 30 დღეს უნაზღაურებს, რომ ეს კაპიტალისტი აწარმოებს 1 კვარტერ ხორბალს ნახევარ (ანუ $\frac{1}{2}$) სამუშაო დღეში, 90 სამუშაო დღეში კი აწარმოებს 180 კვარტერს, საიდანაც 60 კვარტერი ფარავს მუდმივ კაპიტალში მოთავსებულ 30 სამუშაო დღეს, 60 კვარტერი — ხელფასს 60 სამუშაო დღისათვის (ანუ 30 სამუშაო დღის პროდუქტს). ამ №1 კაპიტალისტის ზედმეტი ღირებულება უდრის 100%-ს. მისი მოგება უდრის 50%-ს, რადგან 60 კვარტერი ზედმეტი ღირებულება იანგარიშება არა 60 კვარტერზე, არა კაპიტალის იმ ნაწილზე, რომელიც ხელფასზე იხარჯება, არამედ 120 კვარტერზე, ე. ი. ორჯერ უფრო დიდ კაპიტალზე (ცვალებადი პლუს მუდმივი კაპიტალი).

მიღმა დაამტკიცა, შემდეგ, რომ №2 კაპიტალისტი, რომელიც იყენებს 100 სამუშაო დღეს, საიდანაც იგი (თავისი გამოგონების მეოხებით) არაფერს არ ხარჯავს მუდმივ კაპიტალზე, აწარმოებს 180 კვარტერ პროდუქტს, ასე რომ ერთი კვარტერი უდრის სამუშაო დღის $\frac{10}{18}$ -ს, ანუ სამუშაო დღის $\frac{1}{18}$ -ით (40 წუთით) უფრო ძვირია, ვიდრე №1 კაპიტალისტთან. მისი მუშების შრომა $\frac{1}{18}$ -ით უფრო ნაკლებნაყოფიერია. მათი ხელფასი, რამდენადაც მუშა უწინდებურად გასამრჩელოს სახით ერთ სამუშაო დღეში 1 კვარტერს ღებულობს, გადიდა $\frac{1}{18}$ -ით მისი ნამდვილი ღირებულების მიხედვით, ე. ი. მისი წარმოებისათვის საჭირო სამუშაო

დროის მიხედვით. თუმცა ახლა ხელფასის წარმოების ხარჯები $\frac{1}{18}$ -ით გადიდება და №2 კაპიტალისტის ერთობლივი პროდუქტი დახარჯულ სამუშაო დროსთან შედარებით შემცირდა, თანაც მის მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულება მხოლოდ 80%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც №1 კაპიტალისტის ზედმეტი ღირებულება 100%-ს შეადგენდა, მაინც №2 კაპიტალისტის მოგების ნორმა შეადგენს 80%-ს, მაშინ როდესაც №1 კაპიტალისტის მოგების ნორმა 50% იყო. რატომ? იმიტომ, რომ, თუმცა ხელფასის წარმოების ხარჯები №2 კაპიტალისტთან გაიზარდა, იგი უფრო მეტ მუშებს იყენებს, და იმიტომ, რომ №2 კაპიტალისტის ზედმეტი ღირებულების ნორმა მოგების ნორმას უდრის, რადგან მის მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულება იანგარიშება მხოლოდ ხელფასზე დახარჯულ კაპიტალზე, მუდმივი კაპიტალი კი უდრის ნულს. მაგრამ მილს უნდოდა, სწორედ პირიქით, დემტკიცებინა, რომ მოგების ნორმის გადიდება მოხდა, რიკარდოსეული კანონის თანახმად, ხ ე ლ ფ ა ს ი ს წ ა რ მ ო ე ბ ი ს ხ ა რ ჯ ე ბ ი ს შ ე მ ც ი რ ე ბ ი ს შედეგად. ჩვენ დავინახეთ, რომ მოგების ნორმის გადიდებას ადგილი ჰქონდა მ ი უ ხ ე - დ ა ვ ა დ ხ ე ლ ფ ა ს ი ს წ ა რ მ ო ე ბ ი ს ხ ა რ ჯ ე ბ ი ს გა დ ი დ ე - ბ ი ს ა, რომ, მაშასადამე, რიკარდოსეული კანონი მცდარია, თუ მოგება და ზედმეტი ღირებულება უ შ უ ა ლ ო დ გაიგივებულია, მაგრამ მოგების ნორმა ვაგებულობა როგორც შეფარდება ზედმეტი ღირებულებისა, ანუ მთლიანი მოგებისა (რომელიც ზედმეტ ღირებულებას უდრის) მთელი ავანსებული კაპიტალის ერთობლივ ღირებულებასთან.

ბ-ნი მილი განაგრძობს:

«შედეგი 180 კვარტერის ოდენობით უწინ შეიძლება მიღებული ყოფილიყო მხოლოდ 120 კვარტერის დახარჯვით; ახლა მისი მიღება შეიძლება სულ მხოლოდ 100 კვარტერის დახარჯვით».

ბ-ნი მილს ავიწყდება, რომ პირველ შემთხვევაში 120 კვარტერის დახარჯი უდრის 60 სამუშაო დღის დანახარჯს, მეორე შემთხვევაში კი 100 კვარტერის დანახარჯი უდრის სამუშაო დღის $55\frac{5}{8}$ -ს (ე. ი. რომ პირველ შემთხვევაში 1 კვარტერი უდრის სამუშაო დღის $\frac{1}{18}$ -ს, მეორეში კი სამუშაო დღის $\frac{1}{18}$ -ს).

«180 კვარტერი მარცვლელი უწინდებურად შრომის იმავე რაოდენობის, 100 მუშის შრომის შედეგია».

ბოდიში! ეს 180 კვარტერი წინათ იყო 90 სამუშაო დღის შედეგი, ახლა კი იგი 100 სამუშაო დღის შედეგს წარმოადგენს.

«ერთი კვარტერი ხორბალი უწინდებურად $\frac{1}{18}$ მუშის წლიური შრომის პროდუქტია».

ბოდიში! წინათ იგი $\frac{9}{18}$ მუშის წლიური შრომის პროდუქტი იყო.

«ენაიდან ერთი კვარტერი მარცვლეული, რომელიც ერთი მუშის გასამარჯელოა, სინამდვილეში შრომის იმავე რაოდენობის პროდუქტია, როგორც უწინ იყო».

ბოდიში! ჯერ ერთი, ახლა 1 კვარტერი მარცვლეული «სინამდვილეში პროდუქტია» $\frac{10}{18}$ სამუშაო დღისა, მაშინ როდესაც უწინ იგი იყო $\frac{9}{18}$. სამუშაო დღის პროდუქტი; იგი ღირს, მაშასადამე $\frac{1}{18}$ სამუშაო დღით მეტი შრომა. მეორე, ერთი მუშის გასამარჯელო, იმისდა მიუხედავად, ღირს კვარტერი $\frac{9}{18}$ თუ $\frac{10}{18}$ სამუშაო დღე, არასდროს არ უნდა ავეუროთ მისი შრომის პროდუქტში; იგი ყოველთვის ამ პროდუქტის ნაწილია მხოლოდ.

«ახლა ერთი კვარტერი მარცვლეული $\frac{10}{18}$ მუშის წლიური შრომის პროდუქტია და მეტი არაა ვერც» (ეს სწორია), მაშინ როდესაც მის საწარმოებლად საჭირო იყო შრომის ამ რაოდენობის შეერთება [წინა კაპიტალისტის] მოგების ანაზღაურებელ დანახარჯთან, რაც $\frac{1}{18}$ -ით მეტს შეადგენს. [ციტირ. თხ., გვ. 100—103].

შედეგ! ჯერ ერთი. [330] ვიმეორებთ, არ არის სწორი, რომ ერთი კვარტერი წინათ $\frac{10}{18}$ სამუშაო დღე ღირდა; იგი ღირდა მხოლოდ $\frac{9}{18}$ სამუშაო დღე-კიდევ უფრო მცდარია (აბსოლუტურად მცდარობაში რაიმე გრადუსით რომ შესაძლებელი იყოს), რომ ამ $\frac{9}{18}$ სამუშაო დღეს ემატებოდა კიდევ მოგების ანაზღაურება, რაც $\frac{1}{18}$ -ით მეტი იყო. 90 სამუშაო დღის განმავლობაში (თუ ერთად ვიანგარიშებთ მუდმივსა და ცვალებად კაპიტალს) წარმოებულა 180 კვარტერი. 180 კვარტერი = 90 სამუშაო დღეს: 1 კვარტერი = $\frac{90}{180} = \frac{1}{2}$ სამუშაო დღეს. ამრიგად, არ გამოდის არავითარი «მიმატება» ამ $\frac{9}{18}$ -დღში, ანუ ამ ნახევარი სამუშაო დღისაღმდეგ, რაც ერთი კვარტერი ღირდა №1 შემთხვევაში.

მაგრამ აქ ჩვენ ვამჩნევთ, არსებითად, იმ შეცდომას, რომლის ირგვლივაც ფარულიდ მთელი ეს აბდაუბდა ტრიალებს. მიღმა თვითონვე დააჭერა თავისი თავი სისულელეში, როცა იგულისხმა, რომ თუ 120 კვარტერი ხორბალი პროდუქტია იმ 60 სამუშაო დღისა, რომლის პროდუქტი თანაბარ ნაწილებად იყოფი 60 მუშასა და კაპიტალისტს შორის, მაშინ ის 60 კვარტერი, მუდმივ კაპიტალს რომ შეადგენს, შეიძლება წარმოადგენდეს 40 სამუშაო დღეს. მაგრამ სინამდვილეში ეს 60 კვარტერი შეიძლება იყოს მხოლოდ 30 სამუშაო დღის პროდუქტი, იმისდა მიუხედავად, თუ როგორი პროპორციით იყოფენ მას ერთმანეთს შორის კაპიტალისტი და ამ 60 კვარტერის მწარმოებელი მუშები.

მაგრამ დავანებოთ თავი ამას. რათა ბოლომდე ავხსნათ მილის შეცდომა, ვიგულისხმოთ, რომ მოგებაზე დაიყვანება არა $\frac{1}{3}$ 60 კვარტერი.

მუდმივი კაპიტალიდან (ე. ი. არა 20 კვარტერი), არამედ მთელი ჯამი 60 კვარტერის რაოდენობით. ჩვენ ამ ვარაუდის დაშვება მით უფრო შეგვიძლია, რომ იგი ხელსაყრელია მილისათვის და არა ჩვენთვის, და რომ იგი ამარტივებს პრობლემას. ვარდა ამისა, უფრო ადვილია მიაწერო 60 კვარტერი ძირითადი კაპიტალის მწარმოებელ კაპიტალისტს ისეთი გამოგონება, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს ამუშაოს 30 მუშაუსასყიდლოდ, ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე (როგორც ამას მართლაც ადვილი აქვს საბატონო ბეგარის დროს), 30 სამუშაო დღე, რაც 60 კვარტერს ან მათს ღირებულებას აწარმოებს, — ვიდრე მიაწერო მილისეულ კაპიტალისტს ისეთი «გამოგონება», რომელიც შესაძლებლობას აძლევს მას აწარმოოს 180 კვარტერი მარცვლეული თესლისა და ძირითადი კაპიტალის გარეშე. ამრიგად, ვთქვათ, ზემოაღნიშნულ 60 კვარტერში მოთავსებულია მხოლოდ მოგება №2 კაპიტალისტისა, რომელიც მუდმივ კაპიტალს აწარმოებს №1 კაპიტალისტისათვის, და რომ №2 კაპიტალისტი იძულებულია 30 სამუშაო დღის პროდუქტი გაყიდოს ისე, რომ ერთი ფარტინგიც კი არ გადაუხადოს თავის 30 მუშას, რომლებიდანაც თითოეულმა თითო სამუშაო დღე იმუშავა. შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ ეს 60 კვარტერი, რომელიც მხოლოდ მოგებაზე დაიყვანება, შედის ხელფასის წარმოების ხარჯებში №1 კაპიტალისტთან და «უერთდება» იმ სამუშაო დროს, რაც მისმა მუშებმა იმუშავეს?

რა თქმა უნდა, №1 კაპიტალისტს და მუშებს არ შეეძლოთ 120 კვარტერის წარმოება (საერთოდ არც ერთი კვარტერის წარმოება არ შეეძლოთ) იმ 60 კვარტერის გარეშე, რომელიც მათს მუდმივ კაპიტალს ქმნის და მხოლოდ მოგებაზე დაიყვანება. ეს მათთვის წარმოების აუცილებელი პირობებია, თანაც წარმოების ისეთი პირობები, რომელთა ანაზღაურება აუცილებელია. მაგრამ ეს 60 კვარტერი მათ 180 კვარტერის საწარმოებლად ესაკირობოდათ. ამ 180 კვარტერიდან 60 ანაზღაურებს აღნიშნულ 60 კვარტერს. მუდმივი კაპიტალის ეს ანაზღაურება სრულიად არ ეხება მათს 120 კვარტერს, რომელიც მათი 60 სამუშაო დღის პროდუქტია. მათ რომ 120 კვარტერის წარმოება შეეძლოთ იმ 60 კვარტერის დაუხმარებლად, რომელიც მათს მუდმივ კაპიტალს შეადგენს, მაშინ მათი პროდუქტი, 60 სამუშაო დღის პროდუქტი, წინანდელი იქნებოდა; მაგრამ ერთობლივი პროდუქტი უფრო ნაკლები იქნებოდა სწორედ იმიტომ, რომ წინათ არსებული 60 კვარტერი არ იქნებოდა კვლავწარმოებული. კაპიტალისტის მოგების ნორმა უფრო დიდი იქნებოდა, რადგან მის წარმოების ხარჯებში არ შევიდოდა დანახარჯი; ხარჯები წარმოების იმ პირობებისათვის, რომელნიც მას შესაძლებლობას აძლევს 60 კვარტე-

რის რაოდენობით ზედმეტი ღირებულება მიიღოს. აბსოლუტური მოგება იქნებოდა იგივე, ე. ი. 60 კვარტერი. მაგრამ ამ 60 კვარტერისათვის მას მოუხდებოდა მხოლოდ 60 კვარტერის დახარჯვა, ახლა კი მან მათზე 120 კვარტერი დახარჯა. მუდმივ კაპიტალზე გაწეული ეს დანახარჯი შედის, მაშასადამე, კაპიტალისტის წარმოების ხარჯებში და არა ხელფასის წარმოების ხარჯებში.

ვთქვათ, რაიმე «გამოგონების» მეოხებით №3 კაპიტალისტს შეუძლია ასევე არ გადაუხადოს თავის მუშებს საფასური და ამით აწარმოოს 60 კვარტერი 15 სამუშაო დღეში [ნაცვლად 30-სა], ნაწილობრივ იმიტომ, რომ იგი იყენებს საუკეთესო მანქანებს და ა. შ. ეს №3 კაპიტალისტი ბაზრიდან განდევნიდა №2 კაპიტალისტს და №1 კაპიტალისტს თავის მუდმივ შვიდეულად გახდიდა. ახლა, მაშასადამე, №1 კაპიტალისტის დანახარჯი შემცირდებოდა [331] 60-დან 45 სამუშაო დღემდე. მუშებს უწინდებურად უნდა დაეხარჯათ 60 სამუშაო. დღე, რათა 60 კვარტერი [მუდმივი კაპიტალის] გამოყენებით მიეღოთ 180 კვარტერი პროდუქტი. და მათ დასჭირდებოდათ 30 სამუშაო დღე თავიანთი ხელფასის საწარმოებლად. მათთვის 1 კვარტერი უდრის სამუშაო დღის ნახევარს. მაგრამ ეს 180 კვარტერი კაპიტალისტს დაუჯდებოდა სულ მხოლოდ 45 სამუშაო დღის დახარჯვა ნაცვლად 60-ისა. მაგრამ რადგან უაზრობა იქნებოდა გვევარაუდნა, რომ მარცვლეული თესლის სახელწოდებით უფრო ნაკლები სამუშაო დრო ღირს, ვიდრე უბრალოდ მარცვლეულის სახელწოდებით, ამიტომ ჩვენ უნდა გვევარაუდნა, რომ პირველ 60 კვარტერში თესლი იმდენივე ღირს, რამდენიც უწინ ღირდა, მაგრამ საჭიროა ნაკლები თესლი; ანდა რომ გაიფხდა მუდმივი კაპიტალის ღირებულების ის შემადგენელი ნაწილი, რომელსაც 60 კვარტერი ძირითადი კაპიტალის სახით შეიცავს.

* * *

ჩამოვყალიბოთ ნათლად უწინარეს ყოვლისა ის, რაც აქამდე მილი-სეული «ილუსტრაციის» ანალიზის შედეგად მივიღეთ.

ჭ ე რ ე რ თ ი, გამოიჩვენა შემდეგი:

ნავულისხმევია, რომ 120 კვარტერი მარცვლეული წარმოებულა ყოველგვარი მუდმივი კაპიტალის გარეშე და უწინდებურად 60 სამუშაო დღის პროდუქტს წარმოადგენს, მაშინ როდესაც წინათ 180 კვარტერი, რომლიდანაც 60 კვარტერი მუდმივ კაპიტალს უდრის, 90 სამუშაო დღის პროდუქტი იყო. ამ შემთხვევაში ხელფასზე დახარჯული კაპიტალი 60 კვარტერის ოდენობით; რომელიც 30 სამუშაო დღეს უდრის, მაგრამ რომლის განკარგულებაშიც 60 სამუშაო დღეა, უწინდებურად მოგვეცემა

იმევე პროდუქტს, 120 კვარტერს. ამ პროდუქტის ღირებულებაჲც ასევე უცვლელი დარჩებოდა, სახელდობრ 1 კვარტერი ნახევარი სამუშაო დღის ტოლი იქნებოდა. მართალია, წინათ პროდუქტი შეადგენდა 180 კვარტერს, ახლანდელი 120 კვარტერის ნაცვლად; მაგრამ ეს განსხვავება 60 კვარტერის რაოდენობით. წარმოადგენს მხოლოდ მუდმივ კაპიტალში მოთავსებულ სამუშაო დროს. მაშასადამე, ხელფასის წარმოების ხარჯები და თვით ხელფასი — როგორც მისი სახმარი ღირებულება, ისე მისი საცვლელი ღირებულებაჲც — უცვლელი დარჩებოდა: 1 კვარტერი მარცვლელი, ნახევარი სამუშაო დღის ტოლი. ზედმეტი ღირებულებაჲც აგრეთვე უცვლელი რჩებოდა, სახელდობრ 60 კვარტერი 60 კვარტერზე, ანუ $1\frac{1}{2}$ სამუშაო დღე $1\frac{1}{2}$ სამუშაო დღეზე. ზედმეტი ღირებულების ნორმა ორივე შემთხვევაში უდრის 100%-ს. მიუხედავად ამისა, მოგების ნორმა შეადგენდა პირველ შემთხვევაში მხოლოდ 50%-ს, მაშინ როდესაც ახლა იგი შეადგენს 100%-ს. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ $60 : 60 = 100\%$, ხოლო $60 : 120 = 50\%$ -ს. მოგების ნორმის ეს გადიდება მიიღება აქ არა ხელფასის წარმოების ხარჯების ცვლილების გამო, არამედ უბრალოდ იქიდან, რომ მუდმივი კაპიტალი ნაგულისხმევეა როგორც ნულის ტოლი. დაახლოებით იგივე მდგომარეობაა მაშინაც, როცა მცირდება მუდმივი კაპიტალის ღირებულება და ამით მთელი აენსებელი კაპიტალის ერთობლივი ღირებულებაჲც, და როცა ამის შედეგად დიდდება ზედმეტი ღირებულების შეფარდება კაპიტალთან, ეს შეფარდება კი არის სწორედ მოგების ნორმა.

მოგების ნორმის სახით ზედმეტი ღირებულება გამოიანგარიშება არა მარტო კაპიტალის იმ ნაწილზე, რომელიც ნამდვილად დიდდება და ზედმეტ ღირებულებას ქმნის, ე. ი. არა მარტო ხელფასზე დახარჯული კაპიტალის ნაწილზე, არამედ აგრეთვე ნედლეულისა და მანქანების ნაწილზეც, რომელთა ღირებულება კვლავ გვეკლინება პროდუქტში; გარდა ამისა, იგი გამოიანგარიშება მთელი მანქანური მოწყობილობის ღირებულებაზე, არა მარტო ამ მოწყობილობის იმ ნაწილის ღირებულებაზე, რომელიც ნამდვილად შედის ღირებულების წარმოქმნის პროცესში და რომლის ვაცვეთაც ამიტომ უნდა ანაზღაურებულ იქნეს, არამედ იმ ნაწილის ღირებულებაზეც, რომელიც მხოლოდ შრომის პროცესში შედის.

მ ე ო რ ე :

მილის მეორე მაგალითში იგულისხმებოდა, რომ თუ №1 კაპიტალი 180 კვარტერ პროდუქტს იძლევა, რაც 90 სამუშაო დღეს უდრის (ანუ რომ 60 კვარტერი, ანუ 30 სამუშაო დღე, შეადგენს მუდმივ კაპიტალს, 60 კვარტერი უწევს ცვალებად კაპიტალს, ხელფასს 60 სამუშაო დღისათვის, საიდანაც მუშებს უნაზღაურდება 30 სამუშაო დღე, და 60 კვარ-

ტერი ქმნის ზედმეტ ღირებულებას), მაშინ №2 კაპიტალი იძლევა ასევე 180 კვარტერს. მაგრამ აქ ეს 180 კვარტერი უდრის 100 სამუშაო დღეს, ასე რომ 180 კვარტერიდან 100 უწევს ხელფასს, 80 კი — ზედმეტ ღირებულებას. მთელი ავანსებული კაპიტალი აქ დახარჯულია ხელფასზე. აქ მუდმივი კაპიტალი უდრის ნულს; ხელფასის ნამდვილი ღირებულება გადიდა, თუმცა სახმარი ღირებულება, რასაც მუშა ღებულობს, იგივე დარჩა, 1 კვარტერი; მაგრამ 1 კვარტერი ახლა უდრის სამუშაო დღის $10/18$ -ს, მაშინ როდესაც წინათ იგი უდრიდა სამუშაო დღის $9/18$ -ს. ზედმეტი ღირებულება შემცირდა 100%-დან 80%-მდე, ე. ი. $1/5$ -ით, ანუ 20%-ით. მოგების ნორმა გადიდა 50%-დან 80%-მდე, ე. ი. $3/5$ -ით, ანუ 60%-ით. ამრიგად, ამ შემთხვევაში ხელფასის წარმოების ნამდვილი ხარჯები არათუ არ დარჩენილა უცვლელი [როგორც შემთხვევაში რუბრიკით: «ჯ ე რ ე რ თ ი»], არამედ, მეტიც, გადიდა. შრომა გახდა ნაკლებნაყოფიერი, ამიტომ მუშის მიერ შესრულებული ზედმეტი შრომის რაოდენობა შემცირდა. და მიუხედავად ამისა მოგების ნორმა გადიდა. რატომ? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ აქ არ არის მუდმივი კაპიტალი, რის გამოც მოგების ნორმა უდრის ზედმეტი ღირებულების ნორმას. ყველა იმ შემთხვევაში, როცა კაპიტალი მარტოდენ ხელფასზე იხარჯება, — კაპიტალისტური წარმოების დროს კი მთელი კაპიტალის მხოლოდ და მხოლოდ ხელფასზე დახარჯვა თითქმის შეუძლებელია, — მოგების ნორმა მუდამ ზედმეტი ღირებულების ნორმაზე ნაკლები უნდა იყოს, და იგი ნაკლები უნდა იყოს იმის შესაბამისად, თუ რამდენად მთელი ავანსებული კაპიტალის ერთობლივი ღირებულება უფრო მეტია კაპიტალის იმ შემადგენელი ნაწილის ღირებულებაზე, რომელიც ხელფასზეა დახარჯული. მეორე, მოგების ნორმა გადიდა იმიტომ, რომ №2 კაპიტალისტი №1 კაპიტალისტთან შედარებით მნიშვნელოვნად უფრო მეტ მუშებს იყენებს, ვიდრე ამ მუშების ის რაოდენობაა, რომელსაც შეეძლო აენაზღაურებია ამ კაპიტალისტებიდან თითოეულის. მიერ გამოყენებული შრომის ნაყოფიერებაში არსებული განსხვავება.

მ ე ს ა მ ე: თუ მხედველობაში ვიჭონიებთ საქმის ერთ მხარეს, მაშინ აქ მოცემული შემთხვევები რუბრიკებით «ჯ ე რ ე რ თ ი» და «მ ე ო რ ე» ამომწურავად ამტკიცებენ იმ ღებულებას, რომ მოგების ნორმის ცვლილებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ხელფასის წარმოების ხარჯებისაგან სრულიად დამოუკიდებლად. ვინაიდან რუბრიკაში «ჯ ე რ ე რ თ ი» ნაჩვენებია იყო, რომ მოგების ნორმა შეიძლება დიდდებოდეს, მიუხედავად იმისა, რომ შრომის წარმოების ხარჯები უცვლელი რჩება. ხოლო რუბრიკაში «მ ე ო რ ე» ნაჩვენებია იყო, რომ №2 კაპიტალისთვის, შედარებით №1 კაპიტალთან, მოგების ნორმა დიდდება, მიუ-

ხელდაუდ იმისა, რომ შრომისნაყოფიერება ეცემა და, მაშასადამე, ხელფასის წარმოების ხარჯები იზრდება. მაშასადამე, ამავე [VIII—332] შემთხვევით დამტკიცებულია, რომ, თუ ჩვენ, პირიქით, №2 კაპიტალს №1 კაპიტალს შევადარებთ, მოგების ნორმა ეცემა, თუმცა ზედმეტი ღირებულების ნორმა იზრდება, შრომისნაყოფიერება დიდდება და, მაშასადამე, ხელფასის წარმოების ხარჯები ეცემა. ისინი შეადგენენ [კვარტერზე] №1-სათვის მხოლოდ $\frac{9}{18}$ სამუშაო დღეს, №2-სათვის კი — $\frac{10}{18}$ სამუშაო დღეს, და მაინც მოგების ნორმა №2-ისა 60%-ით უფრო მაღალია, ვიდრე №1-სა. ყ ვ ე ლ ა ა მ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ი ს ც ვ ლ ი ლ ე ბ ა ნ ი ა რ ა თ უ ა რ ვ ა ნ ი ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა ხ ე ლ ფ ა ს ი ს წ ა რ მ ო ე ბ ი ს ხ ა რ ჯ ე ბ ი ს [ს ა პ ი რ ი ს პ ი რ ო] ც ვ ლ ი ლ ე ბ ე ბ ი თ, ა რ ა მ ე დ ე ს ც ვ ლ ი ლ ე ბ ა ნ ი ი მ ა ვ ე მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ ხ დ ე ბ ა. მართალია, უნდა შევნიშნოთ, რომ აქედან არ გამომდინარეობს, რომ ერთი მოძრაობა მეორის მიზეზია (მაგალითად, მოგების ნორმა იმიტომ მცირდება, რომ მცირდება ხელფასის წარმოების ხარჯები, ანდა იგი იმიტომ იზრდება, რომ იზრდება ხელფასის წარმოების ხარჯები), არამედ გამომდინარეობს მხოლოდ ის, რომ სხვა გარემოებანი აბათილებენ ამ ცვლილებათა საპირისპირო მოქმედებას. მაგრამ ყოველ შემთხვევაში მცდარია რიკარდოსეული კანონი, რომ მოგების ნორმის ცვლილებანი ხელფასის ცვლილებათა საპირისპირო მიმართულებით ხდება, და რომ ერთი იზრდება იმიტომ, რომ მეორე მცირდება, და პირიქით. ეს კანონი სწორია მხოლოდ ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ნ ო რ მ ი ს ა თ ვ ი ს. მაგრამ მოგების ნორმის და ხელფასის ღირებულების ზრდა ან შემცირება არა საპირისპირო, არამედ ერთი და იმავე მიმართულებით, ასახავს (მართალია, არა ყოველთვის) ამ მოვლენათა გარკვეულ აუცილებელ ურთიერთკავშირსაც. იქ, სადაც შრომა ნაკლებნაყოფიერია, უფრო მეტი ხელშრომა გამოიყენება. ხოლო იქ, სადაც შრომა უფრო ნაყოფიერია, უფრო მეტი მუდმივი კაპიტალი გამოიყენება. ამიტომ აქ იმავე გარემოებებმა, რომლებიც ზედმეტი ღირებულების ნორმის გადიდებას თუ შემცირებას იწვევენ, უნდა გამოიწვიონ საპირისპირო ცვლილება მოგების ნორმაში, ე. ი. ზედმეტი ღირებულების ნორმის გადიდების შემთხვევაში, უნდა გამოიწვიონ მოგების ნორმის შემცირება და ა. შ.

(ბ) ახლენს თუ არა გავლენას მოგების ნორმაზე მუდმივი
კაპიტალის ელემენტების წარმოებისა და მათი
გადაამუშავების შეერთება ერთი კაპიტალისტის ხელში]

ახლა კი ჩამოვყალიბოთ ეს შემთხვევა იმ სახით, რა სახითაც, არსებითად, იგი წარმოდგენილი ჰქონდა თავისთვის მიღს, თუმცა სწორი ფორმულირება მისთვის არ მიუცია. ეს ამასთანავე აგვიხსნის კაპიტალისტის ავანსებულ მოგებაზე მისი ყბედობის ნამდვილ აზრს.

იმ სახით, როგორც მიღს აქვს მოცემული მაგალითი, იგი არ შეიძლება დარჩეს, როგორც «აღმოჩენასაც» და როგორც «შეერთებასაც»* არ უნდა მიმართოს მისმა ავტორმა, ვინაიდან ეს მაგალითი აბსოლუტურ წინააღმდეგობას და აბსოლუტურ უაზრობას შეიცავს, და მისი წანამძღვრები თვით სპობენ თავიანთ თავს.

მიღსის მიხედვით, 180 კვარტერი პროდუქტიდან 60 კვარტერი (თესილად ძირითადი კაპიტალი) უღრის 20 კვარტერ მოგებას და 40 კვარტერ ხელფასს 40 სამუშაო დღისათვის. ამრიგად, იმ შემთხვევაში, თუ 20 კვარტ. მოგება მოიხსნება, 40 სამუშაო დღე ხომ მაინც დარჩება. ამ ვარაუდის თანახმად, მუშები ლებულობენ, მაშასადამე, თავიანთ შრომაში მთელ პროდუქტს უკლებლივ, ასე რომ აბსოლუტურად გაუგებარია, საიდან მიიღება 20 კვარტერი მოგება და ამ კვარტერების ღირებულება. თუ იგულისხმება, რომ ისინი წარმოადგენენ უბრალო ფასის ნომინალურ წანამატს, ე. ი. თუ ისინი არ გამოხატავენ კაპიტალისტის მიერ მითვისებულ სამუშაო დროს, მაშინ მათი მოხსნა სავსებით ისევე მოგებებიანი უნდა იყოს, როგორც მაშინ, თუ ჩვენ 60 კვარტერში 20 კვარტერს ხელფასის სახით ვიანგარიშებდით ისეთი მუშებისათვის, რომელთაც არ უმუშავნიათ. შემდეგ: 60 კვარტერი აქ მუდმივი კაპიტალის ღირებულებების გამოხატულებაა მხოლოდ. მაგრამ იგი, მიღსის მიხედვით, 40 სამუშაო დღის პროდუქტია. მეორე მხრივ კი, ივარაუდება, რომ დანარჩენი 120 კვარტერი შეადგენს 60 სამუშაო დღის პროდუქტს. მაგრამ სამუშაო დღეები აქ უნდა გვესმოდეს როგორც ერთნაირი საშუალო შრომა. მაშასადამე, მთელი ეს ვარაუდი აბსურდია.

ამრიგად, პირველ ყოვლისა უნდა დავუშვათ, რომ 180 კვარტერ პროდუქტში მოთავსებულია მხოლოდ 90 სამუშაო დღე, 60 კვარტერში კი, მუდმივი კაპიტალის ღირებულებას რომ შეადგენს, მხოლოდ 30 სამუშაო დღე. ვარაუდი იმისა, რომ მოგება, რომელიც უღრის 20 კვარტერს, ანუ 10 სამუშაო დღეს, შეიძლება მოიხსნას, კვლავ უაზროა; ვინაიდან ეს იქ-

* იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 234: «... შრომის ამ რაოდენობის შეერთება მოგების ამნახლავებულ დანახარჯთან...». რ ე დ.

ნებოდა ვარაუდი იმისა, რომ ის 30 მუშა, რომლებიც გამოყენებული არიან მუდმივი კაპიტალის საწარმოებლად, თუმცა კაპიტალისტთან არმუშაობენ, მაგრამ, მეორე მხრივ, იმდენად თავაზიანი არიან, რომ ღებულობენ მხოლოდ ხელფასს, თავიანთი სამუშაო დროის $1/2$ -ს, მეორე ნახევარს კი თავიანთ საქონელში არ ანგარიშობენ; ერთი სიტყვით, თავიანთ სამუშაო დღეებს ისინი ყიდიან მათს ღირებულებაზე 50%-ით უფრო დაბლა. მაშასადამე, ეს ვარაუდიც უაზროა.

მაგრამ ვთქვათ, №1 კაპიტალისტი, ნაცვლად იმისა, რომ თავისი მუდმივი კაპიტალი №2 კაპიტალისტისაგან იყიდოს, რათა იგი შემდეგ გადაამუშაოს, თავის საკუთარ საწარმოში აერთებს მუდმივი კაპიტალის წარმოებას მის გადამუშავებასთან. მაშასადამე, იგი თვითონ აწვდის თავის თავს თესლს, მიწათმოქმედების იარაღებს და ა. შ. უქუყვადოთ აგრეთვე ის «გამოგონება», რომლის მეოხებითაც თესლი და ძირითადი კაპიტალი ზედმეტი ხდება. ამრიგად, ვიგულისხმობთ, რომ ჩვენი კაპიტალისტი 20 კვარტერს (რაც 10 სამუშაო დღეს უდრის) ხარჯავს მუდმივ კაპიტალზე, რომელიც საჭიროა მისი მუდმივი კაპიტალის საწარმოებლად, და 10 კვარტერს — ხელფასზე [ყოველი] ათი სამუშაო-დღისათვის, ხაინადაც 5 დღეს მუშები მუქთად მუშაობენ.

მაშინ ანგარიში გამოდის ასეთი:

მუდმივი კაპიტალი	ცვალებადი კაპიტალი 80 მუშისათვის	ზედმეტი ღირებულება	ერთობლივი პროდუქტი
20 კვარტერი (10 სამუშაო დღე)	$60 + 20 = 80$ კვარტერს (ხელფასი 80 სამუშაო დღისათვის) (=40 სამუშაო დღეს)	$60 + 20 = 80$ კვარტერს (=40 სამუშაო დღეს)	180 კვარტერი (=90 სამუშაო დღეს)

ხელფასის წარმოების ნამდვილი ხარჯები იგივე დარჩა; მაშასადამე, უცვლელი დარჩა შრომის ნაყოფიერებაც. ერთობლივი პროდუქტი იგივე დარჩა — 180 კვარტერი — და მას უწინდებურად იგივე ღირებულება აქვს — 180 კვარტერის ღირებულება. ზედმეტი ღირებულების ნორმა დარჩა იგივე, 80 კვარტერი 80 კვარტერზე. ზედმეტი ღირებულების აბსოლუტური ჯამი, ანუ ოდენობა, გაიზარდა 60-დან 80 კვარტერამდე, ე. ი. 20 კვარტერით. ავანსებული კაპიტალი შემცირდა 120-დან 100 კვარტერამდე. წინათ გვექონდა 120 კვარტერზე 60 კვარტერი, ე. ი. მოგების ნორმა გვექონდა 50%. ახლა გვაქვს 80 კვარტერი 100 კვარტერზე, ე. ი. მოგების ნორმა გვაქვს 80%. მთელი ავანსებული კაპიტალის ერთობლივი

ლირებულემა შემცირდა 120 კვარტერიდან 20 კვარტერამდე, მოგების ნორმა კი გაიზარდა 50%-დან 80%-მდე. მოგება თავისთავად, თუ ნორმას უყურადღებოდ დავტოვებთ, ახლა შეადგენს 80 კვარტერს, მაშინ როდესაც წინათ იგი შეადგენდა 60 კვარტერს; იგი, მაშასადამე, გაიზარდა 20 კვარტერით, ე. ი. იმავე ოდენობით, როგორც ზედმეტი ლირებულეების ჯამიც (არა ნორმა).

მაშასადამე, აქ არ მომხდარა არავითარი ცვლილება, არავითარი ვარიაცია რეალური ხელფასის წარმოების ხარჯებში. მოგების ნორმის ზრდა აქ მიიღება:

1) იქიდან, რომ თუმცა არა ზედმეტი ლირებულეების ნორმა, მაგრამ სამაგიეროდ ზედმეტი ლირებულეების აბსოლუტური ოდენობა გადიოდა 60-დან 80 კვარტერამდე, ე. ი. $\frac{1}{3}$ -ით; და გადიოდა იგი $\frac{1}{3}$ -ით, ანუ $33\frac{1}{3}\%$ -ით, იმიტომ რომ კაპიტალისტი ახლა წინანდელი 60 მუშის ნაცვლად იყენებს უშუალოდ თავის საკუთარ საწარმოში 80 მუშას, ე. ი. ექსპლოატაციას უწევს $\frac{1}{3}$ -ით, ანუ $33\frac{1}{3}\%$ -ით მეტ ცოცხალ შრომას, და თანაც ამ 80 მუშას იყენებს ზედმეტი ლირებულეების იმავე ნორმის პირობებში, რა ნორმაც უწინ იყო, რაც იგი მხოლოდ 60 მუშას იყენებდა.

2) მაშინ როდესაც ზედმეტი ლირებულეების აბსოლუტური სიდიდე (მაშასადამე, მთლიანი მოგება) ამრიგად გაიზარდა $33\frac{1}{3}\%$ -ით, 60 კვარტერიდან 80 კვარტერამდე, მოგების ნორმა გადიოდა 50%-დან 80%-მდე, 30 პუნქტით, ე. ი. $\frac{2}{3}$ -ით (ვინაიდან 50-ის $\frac{1}{3}$ შეადგენს 10-ს, ხოლო 50-ის $\frac{2}{3}$ შეადგენს 30-ს), ანუ 60%-ით. საქმე ისაა, რომ დახარჯული კაპიტალის ლირებულემა შემცირდა 120 კვარტერიდან 100-მდე, თუმცა ლირებულემა კაპიტალის იმ შემადგენელი ნაწილისა, რომელიც დახარჯულია ხელფასზე, გაიზარდა 60-დან 80 კვარტერამდე (30-დან 40 სამუშაო დღემდე). კაპიტალის ეს ნაწილი გადიოდა 10 სამუშაო დღით (= 20 კვარტერს). პირიქით, კაპიტალის მუდმივი ნაწილი შემცირდა 60-დან 20 კვარტერამდე, ანუ 30 სამუშაო დღიდან 10-მდე, ე. ი. 20 სამუშაო დღით. ამრიგად, თუ ჩვენ ამ 30 სამუშაო დღეს გამოვაკლებთ იმ 10 სამუშაო დღეს, რომლითაც გაიზარდა კაპიტალის ის ნაწილი, რაც ხელფასზე დაიხარჯა, გამოვა, რომ მთელი დახარჯული კაპიტალი შემცირდა 10 სამუშაო დღით (= 20 კვარტერს). წინათ იგი შეადგენდა 120 კვარტერს (= 60 სამუშაო დღეს), ახლა იგი შეადგენს სულ მხოლოდ 100 კვარტერს (= 50 სამუშაო დღეს). მაშასადამე, იგი შემცირდა $\frac{1}{3}$ -ით, ე. ი. $16\frac{2}{3}\%$ -ით.

სხვათა შორის, მოგების ნორმის მთელი ეს ცვლილება მხოლოდ მოჩვენებითია; იგი მხოლოდ ჩანაწერთა გადატანაა ერთი საბუღალტრო წიგნიდან მეორეში. №1 კაპიტალისტს ახლა 60 კვარტერი მოგების ნაცვლად აქვს 80, ე. ი. 20 კვარტერი მოგებით მეტი; მაგრამ ეს არის სწორედ

ის მოგება, რომელსაც წინათ მუდმივი კაპიტალის მწარმოებელი იღებდა და რომელიც მან ახლა დაკარგა, რადგან №1 კაპიტალისტი, ნაცვლად იმისა, რომ თავისი მუდმივი კაპიტალი იყიდოს, თვითონ აწარმოებს, მაშასადამე, იმის მაგივრად, რომ [334] მუდმივი კაპიტალის მწარმოებელს გადაუხადოს ის ზედმეტი ღირებულება 20 კვარტერის ოდენობით (10 სამუშაო დღე), რომელსაც იგი მის მიერ დასაქმებული 20 მუშვიდან იღებდა, ამ ზედმეტ ღირებულებას თვითონ იჭიბავს.

უწინდებურად 180 კვარტერ პროდუქტს უწევს 80 კვარტერი მოგება მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წინათ ეს მოგება ორ პირს შორის ნაწილდებოდა. მოგების ნორმა უფრო დიდი გვეჩვენება იმიტომ, რომ №1 კაპიტალისტი წინათ აღნიშნულ 60 კვარტერს განიხილავდა მხოლოდ როგორც მუდმივ კაპიტალს, რაც იგი მისთვის კიდევ იყო, და ამიტომ ყურადღებას არ აქცევდა იმ მოგებას, რასაც მუდმივი კაპიტალის მწარმოებელი იღებდა. მოგების ნორმა ისევე არ შეცვლილა, როგორც ზედმეტი ღირებულება ანდა წარმოების რომელიმე სხვა პირობა, შრომის ნაყოფიერების ჩათვლით. [ასევე] წინათ [მუდმივი კაპიტალის] მწარმოებლის მიერ დახარჯული კაპიტალი უდრიდა 40 კვარტერს (20 სამუშაო დღეს), ხოლო №1 კაპიტალისტი მის მიერ დახარჯული [ცვალებადი კაპიტალი] უდრიდა 60 კვარტერს (30 სამუშაო დღეს); ერთად ისინი შეადგენდნენ 100 კვარტერს (50 სამუშაო დღეს). პირველის მოგებას შეადგენდა 20 კვარტერი, მეორისას — 60 კვარტერი; სულ 80 კვარტერი (40 სამუშაო დღე). მთელი პროდუქტი, რომელიც უდრიდა 90 სამუშაო დღეს (180 კვარტერს), იძლეოდა 80 კვარტერ მოგებას 100 კვარტერზე, რაც დახარჯული იყო ხელფასსა და მუდმივ კაპიტალზე. საზოგადოებისათვის მთლიანად აქ უწინდებურად მოგებიდან გამომდინარე შემოსავალი უცვლელი დარჩა; უცვლელი დარჩა შეფარდებაც ზედმეტ ღირებულებასა და ხელფასს შორის.

განსხვავება წარმოდგება იქიდან, რომ, როცა კაპიტალისტი მყიდველის სახით საქონელთა ბაზარზე გამოდის, იგი უბრალო საქონელმფლობელია; მან უნდა გადაიხადოს საქონლის სრული ღირებულება, მასში მოთავსებული მთელი სამუშაო დრო, იმისდა მიუხედავად, თუ რა პროპორციით მონაწილეობდნენ ან მონაწილეობენ კაპიტალისტი და მუშები ამ სამუშაო დროის ნაყოფის მიღებაში. და როცა იგი მყიდველის სახით გამოდის შრომის ბაზარზე, იგი ფაქტიურად უფრო მეტ შრომას ყიდულობს, ვიდრე ანაზღაურებს. მაშასადამე, როცა იგი, ნაცვლად იმისა, რომ მისთვის საჭირო ნედლეული და მანქანები იყიდოს, ასევე თვითონ აწარმოებს მათ, მაშინ იგი თვით მითვისებს ზედმეტ შრომას, რომელიც მას

სხვა შემთხვევაში ნედლეულისა და მანქანების გამყიდველისათვის უნდა აენაზლაურებინა.

ცალკეული კაპიტალისტიისათვის — არა მოგების ნორმისათვის — რატომ უნდა, არ არის სულ ერთი, იღებს იგი თვითონ ამა თუ იმ მოგებას. თუ უხდის მას სხვას. (ამიტომ მუდმივი კაპიტალის ზრდის შედეგად მოგების ნორმის შემცირების გამოანგარიშებისას ყოველთვის აიღება საშუალო მთელი საზოგადოებისათვის, ე. ი. ღირებულებათა ის ერთობლივი მასა, რასაც მოცემულ მომენტში საზოგადოება იყენებს როგორც მუდმივ კაპიტალს, და ამ ერთობლივი ღირებულების შეფარდება უშუალოდ ხელფასზე დახარჯული კაპიტალის მასასთან.) მაგრამ ცალკეული კაპიტალისტიისათვისაც კი ამ თვალსაზრისს იშვიათად აქვს (და შეიძლება ჰქონდეს) განმსაზღვრელი მნიშვნელობა მის მიერ ისეთი კომბინაციების არჩევისას, როგორსაც ადგილი აქვს. მაგალითად, როცა ერთი და იგივე კაპიტალისტი რთავს და ქსოვს, თვითონ გამოწვავს მისთვის საჭირო აგურს და ა. შ. რასაც აქ განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს — ეს არის წარმოების ხარჯების ფაქტიური ეკონომია ტრანსპორტზე დროის მოგების საშუალებით, შენობის, სათბობის, მამოძრავებელი ძალის და სხვ. ეკონომია. მეტი კონტროლი ნედლეულისა და სხვ. ხარისხისადმი. თუ კაპიტალისტი მოისურვებდა მისთვის საჭირო მანქანები თვითონვე აეშენებინა, მაშინ იგი დაიწყებდა მათ წარმოებას პატარა მასშტაბით, როგორც წვრილი მწარმოებელი, რომელიც თავისი საკუთარი მოთხოვნილებისათვის ანდა რამდენიმე მუდმივი კლიენტის პირადი მოთხოვნილებისათვის მუშაობს, და მანქანა მისთვის მეტი ეღირებოდა, ვიდრე მაშინ, როცა იგი ამ მანქანას ყიდულობს მანქანათმშენებლისაგან, რომელიც ბაზრისთვის მუშაობს. ხოლო თუ იგი მოისურვებდა ერთსა და იმავე დროს რთავს, ქსოვს და მანქანების შენებას არა მარტო თავისთვის, არამედ ბაზრისთვისაც, მაშინ მას დასჭირდებოდა უფრო დიდი კაპიტალი, რომელსაც ის, ალბათ, უფრო ხელსაყრელად (შრომის დანაწილება) გამოიყენებდა თავის საკუთარ საქმეში. ამ თვალსაზრისს შეიძლება განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდეს მხოლოდ იქ, სადაც კაპიტალისტი თავისთვის საკმარის ბაზარს ქმნის, ასე რომ თვითონ შეუძლია თავისი მუდმივი კაპიტალის ისეთი მასშტაბით წარმოება, რომელიც მისთვის უფრო ხელსაყრელია. ამისთვის მისი საკუთარი მოთხოვნა მუდმივი კაპიტალისაკმაოდ დიდი უნდა იყოს. ამ შემთხვევაში, თუნდაც რომ მისი შრომა ნაკლებნაყოფიერი იყოს, ვიდრე იმათი შრომა, ვინც სპეციალურად ამ მუდმივ კაპიტალს აწარმოებს, იგი ისაკუთრებს იმ ზედმეტი ღირებულების ნაწილს, რომელიც მას წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა აენაზლაურებინა სხვა კაპიტალისტიისათვის.

ჩვენ ვხედავთ, რომ ამას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს მოგების ნორმასთან. მაშასადამე, თუ, როგორც მილის მაგალითშია, წინათ გამოყენებული იყო 90 სამუშაო დღე და 80 მუშა, მაშინ წარმოების ხარჯების არავითარ ეკონომიას არ ექნება ადგილი იმის გამო, რომ პროდუქტში მოთავსებულ ზედმეტ შრომას 40 სამუშაო დღის (= 80 კვარტერს) რაოდენობით წინათ ორი კაპიტალისტი ისაკუთრებდა, ახლა კი იგი ერთი კაპიტალისტის ჯიბეში მიდის. 20 კვარტერი მოგება (10 სამუშაო დღე) ერთი საბუღალტრო წიგნიდან ქრება მხოლოდ იმიტომ, რომ კვლავ მოგვევლინოს მეორეში.

წინა მოგებათა გადაუხდელობით მიღებული ეს დანაზოგი, თუ იგი არ ემთხვევა სამუშაო დროის დაზოგვას, მაშასადამე ხელფასის დაზოგვასაც, მხოლოდ ილუზიაა⁸².

[ბ] ზედმეტ ღირებულებასა, მოგებასა და ხელფასზე
მუდმივი კაპიტალის ღირებულების ცვლილების
ბავლენის შესახებ]

[335] მაგრამ, მ ე ო თ ხ ე, ახლა განსახილველი რჩება კიდევ ის შემთხვევა, როცა მუდმივი კაპიტალის ღირებულება, შრომისნაყოფიერების გადიდების გამო, ეცემა; და აქ საჭიროა იმის გამოკვლევა, ეხება თუ არა ეს შემთხვევა ხელფასის წარმოების ნამდვილ ხარჯებს, ანუ შრომის ღირებულებას, და რამდენად ეხება იგი მათ. ამრიგად, საკითხი შემდეგია: რამდენად იწვევს მუდმივი კაპიტალის ნამდვილი ღირებულების ცვლილება ამასთან ერთად მოგებასა და ხელფასს შორის არსებული თანაფარდობის ცვლილებას. მუდმივი კაპიტალის ღირებულება — მისი წარმოების ხარჯები — შეიძლება მუდმივი რჩებოდეს, და მიუხედავად ამისა, პროდუქტში შეიძლება შედიოდეს ამ მუდმივი კაპიტალის ხან მეტი, ხან ნაკლები რაოდენობა. მაშინაც კი, თუ ვიგულისხმებდით, რომ მუდმივი კაპიტალის ღირებულება მუდმივი რჩება, მუდმივი კაპიტალის ერთობლივი მასა გაიზარდება იმისდა მიხედვით, თუ როგორ ეითარდება შრომისნაყოფიერება და წარმოება დიდი მასშტაბით. ამიტომ ცვლილებანი გამოყენებული მუდმივი კაპიტალის შეფარდებითს მასაში ამ კაპიტალის უცვლელი ან თუნდაც მზარდი წარმოების ხარჯების პირობებშიც კი, — ცვლილებანი, რომელნიც მულამ ვაგვენას ახდენენ მოგების ნორმაზე, — იმთავითვე გამოიკვეთილია ამ გამოკვლვიდან.

შემდეგ, ამ საკითხის განხილვიდან გამორიცხულია წარმოების ყველა ის დარგი, რომელთა პროდუქტებიც არც პირდაპირ არც არაპირდაპირ არ შედიან მუშის მოხმარებაში. მაგრამ წარმოების ამ დარგებში მომხდარი ცვლილებანი მოგების ნამდვილი ნორმისა (ე. ი. ცვლილებანი წარმოების ამ დარგებში ნამდვილად წარმოებული ზედმეტი ღირებულების შეფარდებისა დახარჯულ კაპიტალთან) გავლენას ახდენენ მოგების იმ საერთო ნორმაზე, რომელიც მოგებათა ნიველირების შედეგად წარმოიქმნება, სავსებით ისევე, როგორც ამ გავლენას ახდენენ მოგების ნორმის ცვლილებანი წარმოების იმ დარგებში, რომელთა პროდუქტებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მუშების მოხმარებაში შედიან.

შემდეგ, საკითხი დაყვანილ უნდა იქნეს შემდეგზე: როგორ შეუძლია მუდმივი კაპიტალის ღირებულების ცვლილებას უკუგავლენა მოახდინოს თვით ზედმეტ ღირებულებაზე? ვინაიდან რაკი მოცემულია ზედმეტი ღირებულება, მოცემულია ზედმეტი შრომის შეფარდება აუცილებელ შრომასთან, მაშასადამე, ხელფასის ღირებულება, ე. ი. მისი წარმოების ხარჯები. ასეთი ვითარებისას მუდმივი კაპიტალის ღირებულების რაიმე ცვლილება შეიძლება სრულიად არ შეეხოს ხელფასის ღირებულებას და ზედმეტი შრომის შეფარდებას აუცილებელ შრომასთან, თუმცა ამ ცვლილებამ ყველა ვითარებაში გავლენა უნდა მოახდინოს მოგების ნორმაზე, კაპიტალისტიკათვის ზედმეტი ღირებულების წარმოების ხარჯებზე, ხოლო გარკვეულ პირობებში (სახელდობრ, როცა პროდუქტი მუშების მოხმარებაში შედის) იმ სახმარ ღირებულებათა რაოდენობაზეც, რომლებშიც ხელფასი გამოიხატება, თუმცაღა არა მისი ხელფასის საცვლელ ღირებულებაზე.

ვთქვათ, ხელფასი მოცემულია. დავუშვათ, მაგალითად, რომ ბამბის სართავ ფაბრიკაში ხელფასი უდრის 10 სამუშაო საათს, ზედმეტი ღირებულება კი — 2 სამუშაო საათს. ვიგულისხმობთ, რომ კარგი მოსავლის მეოხებით ხამი ბამბა ორჯერ გაიფლა. ბამბის იგივე რაოდენობა, რაც წინათ ფაბრიკანტს 100 გირ. სტერლინგი უღირდა, ახლა მხოლოდ 50 გირ. სტერლინგი უღირს. ბამბის იგივე რაოდენობა ნთქავს რთვასა და ქსოვაზე გაწეული შრომის წინანდელ რაოდენობას. ამრიგად, ბაზარზე 50 გირ. სტერლინგის დახარჯვით კაპიტალისტს შეუძლია ახლა იმდენივე ზედმეტი ღირებულება შთანთქას, რამდენსაც წინათ 100 გირ. სტერლინგის დახარჯვისას ნთქავდა; ანდა, თუ იგი ბამბაზე 100 გირ. სტერლინგის ხარჯვას განაგრძობს, მაშინ ის მიიღებს ახლა იმავე ფასში ბამბის ისეთ რაოდენობას, რომლის საშუალებითაც მას შეუძლია ორჯერ უფრო მეტი ზედმეტი შრომა შთანთქას. ორივე შემთხვევაში ზედმეტი ღირებულების ნორმა, ე. ი. ზედმეტი ღირებულების შეფარდება ხელფასთან,

იგივე დარჩებოდა; მაგრამ მეორე შემთხვევაში ზედმეტი ღირებულების მასა გაიზარდებოდა, რადგან გამოყენებულა ორჯერ უფრო მეტი შრომა ზედმეტი შრომის იმავე ნორმის დროს. ორივე შემთხვევაში მოგების ნორმა გადიდდებოდა, თუმცა აქ არაერთი ცვლილება ხელფასის წარმოების ხარჯებში არ მომხდარა. იგი გადიდდებოდა იმიტომ, რომ მოგების ნორმაში ზედმეტი ღირებულება იანგარიშება კაპიტალისტის მიერ გაწეულ წარმოების ხარჯებზე, მის მიერ დახარჯული კაპიტალის ერთობლივ ღირებულებაზე, და იმიტომ, რომ ეს წარმოების ხარჯები შემცირდა. იმავე ზედმეტი ღირებულების საწარმოებლად კაპიტალისტს ახლა წინანდელთან შედარებით უფრო ნაკლები კაპიტალის დახარჯვა უხდება. მეორე შემთხვევაში გაიზარდებოდა არა მარტო მოგების ნორმა, არამედ მოგების მასაც, რადგან გაიზარდა შრომის უფრო მეტი რაოდენობის გამოყენების გამო, თვით ზედმეტი ღირებულება, მაშინ როდესაც ნელლეულზე გაწეული ხარჯები არ გადიდებულა. ამ შემთხვევაშიც აგრეთვე ადგილი ექნებოდა მოგების ნორმისა და მასის გადიდებას შრომის ღირებულების ყოველგვარი ცვლილების გარეშე.

მეორე მხრივ, ვიკულისხმობთ, რომ მოუსაველიანობის გამო ბამბის ღირებულება ერთიორად გადიდა, ასე რომ ბამბის იგივე რაოდენობა [336], რომელიც უწინ 100 გირ. სტერლინგი ღირდა, ახლა 200 გირ. სტერლინგი ღირს. ამ შემთხვევაში მოგების ნორმა მცირდება ყველა გარემოებაში, ვარკვეულ პირობებში კი შეიძლება შემცირდეს აგრეთვე მოგების მასაც, ანუ მისი აბსოლუტური სიდიდე. თუ კაპიტალისტი მუშების იმავე რაოდენობას იყენებს და ეს მუშები უწინდებურად მუშაობენ სრულიად იმავე პირობებში, როგორც უწინ, მაშინ მისი მოგების ნორმა ეცემა, თუმცა ზედმეტი შრომის შეფარდება აუცილებელ შრომასთან და ამიტომ ზედმეტი ღირებულების ნორმა და მასა იგივე დარჩა. მოგების ნორმა ეცემა იმიტომ, რომ კაპიტალისტისათვის ზედმეტი ღირებულების წარმოების ხარჯები გაიზარდა, ე. ი. მას მოუხდა ნელლეულზე 100 გირვანჯა სტერლინგით მეტის დახარჯვა, რათა იმდენივე სხვისი სამუშაო დრო მიეთვისებინა, რამდენსაც წინათ ითვისებდა. მაგრამ თუ კაპიტალისტი იძულებულია იმ ფულის ნაწილი, რასაც იგი წინათ ხელფასზე ხარჯავდა, ახლა ბამბაზე დახარჯოს, რათა ბამბა იყიდოს 150 გირ. სტერლინგით, რომლიდანაც წინათ 50 გირ. სტერლინგი ხელფასში შედიოდა, მაშინ მცირდება მოგების ნორმაც და ჯამიც, ამასთან უკანასკნელი მცირდება იმიტომ, რომ უფრო ნაკლები შრომა გამოიყენება, თუმცა ზედმეტი ღირებულების იმავე ნორმის დროს. იგივე მდგომარეობა იქნებოდა იმ შემთხვევაში. თუ მოუსაველიანობის გამო ბამბა არასაკმარისი

აღმოჩნდებოდა იმისათვის, რომ უწინდებურად ცოცხალი შრომის იგივე რაოდენობა შთაენთქა. ორივე შემთხვევაში მოგების მასა და ნორმა მცირდება, თუმცა არავითარი ცვლილება არ მომხდარა შრომის ღირებულებაში, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების ნორმაშიც, ანუ ფასგადაუხდელი შრომის იმ რაოდენობაში, რომელსაც კაპიტალისტი იღებს, იმ შრომასთან შედარებით, რომელსაც იგი ანაზღაურებს ხელფასით.

ამრიგად, ზედმეტი ღირებულების უცვლელი ნორმის დროს, მაშასადამე, შრომის უცვლელი ღირებულების დროსაც, მუდმივი კაპიტალის ღირებულების ცვლილებამ უნდა გამოიწვიოს მოგების ნორმის ცვლილება და შეიძლება მას თან ახლდეს მოგების მასის ცვლილება.

ახლა, რაც შეეხება მუშას, აქ შემდეგი მდგომარეობაა:

თუ ეცემა ბამბის ღირებულება, მაშასადამე იმ პროდუქტის ღირებულებაც, რომელშიც ბამბა შედის, მაშინ მუშა უწინდებურად ღებულობს ხელფასს, რომელიც 10 სამუშაო საათს უდრის. მაგრამ ბამბის საქონელთა იმ ნაწილს, რომელსაც იგი თვითონ მოიხმარს, ახლა იგი უფრო იაფ ფასში ღებულობს, და ამიტომ გარკვეული ნაწილი იმისა, რასაც იგი წინათ ბამბის საყიდლად ხარჯავდა, შეიძლება მან ახლა სხვა რამეზე დახარჯოს. მხოლოდ ამის შესაბამისად, ე. ი. იმ ეკონომიის შესაბამისად რასაც იგი ბამბის შემცირებით მიიღებს, იზრდება მისთვის ხელმისაწვდომ საარსებო საშუალებათა რაოდენობა. ვინაიდან სხვა მხრივ იგი ბამბის უფრო მეტი რაოდენობით იმაზე მეტს არ ღებულობს, რასაც ის უწინ ამ საქონელში ღებულობდა უფრო ნაკლები რაოდენობით. ბამბის საქონელთა ღირებულების შემცირების შესაბამისად გადიდდა სხვა საქონელთა შეფარდებითი ღირებულება. მოკლედ რომ ვთქვათ, ბამბის საქონელთა უფრო მეტ რაოდენობას ახლა არა აქვს უფრო მეტი ღირებულება, ვიდრე ის ღირებულებაა, რაც უწინ ამ საქონელთა უფრო ნაკლებ რაოდენობას ჰქონდა. ამ შემთხვევაში, მაშასადამე, ხელფასის ღირებულება იგივე დარჩებოდა, მაგრამ იგი სხვა საქონელთა (სახმარ ღირებულებათა) უფრო მეტ რაოდენობას გამოხატავდა. მიუხედავად ამისა მოგების ნორმა გადიდდებოდა, თუმცა ზედმეტი ღირებულების ნორმა იმავე ვარაუდის დროს გადიდებდას ვერ შეიძლებდა.

საწინააღმდეგო ვითარება იქმნება ბამბის გაძვირების შემთხვევაში. თუ მუშა იმდენივე საათს იმუშავებდა დღეში და უწინდებურად 10 სამუშაო საათის ტოლ ხელფასს მიიღებდა, მაშინ მისი შრომის ღირებულება იგივე იქნებოდა, მაგრამ სახმარი ღირებულება [მისი ხელფასისა]

იმ ზომით, რა ზომითაც იგი თვით მოიხმარს ბამბის საქონელს,—შემცირდებოდა. ამ შემთხვევაში ხელფასის სახმარი ღირებულება შემცირდებოდა, მისი ღირებულება იგივე დარჩებოდა, თუმცა მოგების ნორმა შემცირდებოდა. ამრიგად, მაშინ როდესაც ზედმეტი ღირებულება და [ნამდვილი] ხელფასი ეცემა ან ღიღდება ყოველთვის პირუტყუ შეფარდებით ერთმეორესთან (ვარდა იმ შემთხვევისა, როცა მუშა თავისი სამუშაო დროის აბსოლუტური ვაგრძელების ნაყოფის მიღებაში მონაწილეობს; მაგრამ ამ შემთხვევაში მით უფრო სწრაფად მიმდინარეობს მისი სამუშაო ძალის გაცვეთა), მოგების ნორმა შეიძლება იცვლებოდეს გადიდების ან შემცირების მიმართულებით — პირველ შემთხვევაში მიუხედავად იმისა, რომ ხელფასის ღირებულება იგივე რჩება, მისი სახმარი ღირებულება კი იზრდება, მეორე შემთხვევაში მიუხედავად იმისა, რომ ხელფასის ღირებულება იგივე რჩება, მისი სახმარი ღირებულება კი მცირდება.

ამიტომ მოგების ნორმის გადიდებას ზედმეტი კაპიტალის ღირებულების დაცემის შედეგად არავითარი უშუალო კავშირი არა აქვს ხელფასის (მასში მოთავსებული სამუშაო დროის) ნამდვილი ღირებულების რაიმე ცვლილებასთან.

ამრიგად, როცა, როგორც ზემოთ იყო ნაგულისხმევი, ბამბის ღირებულება 50%-ით ეცემა, მაშინ იმაზე უფრო მცდარი არაფერია, ვიდრე მტკიცება იმისა [როგორც ამას მილი აკეთებს], რომ ამ შემთხვევაში ხელფასის წარმოების ხარჯები შემცირდა, ანდა რომ თუ მუშა, რომელიც ხელფასს ბამბის საქონლით ღებულობს, უწინდებურად იმავე ღირებულებას მიიღებდა, ე. ი. ბამბის საქონელთა უფრო მეტ რაოდენობას მიიღებდა, ვიდრე უწინ ღებულობდა (რადგან 10 სამუშაო საათი უწინდებურად უდრის, ვთქვათ, 10 შილინგს, მაგრამ ამ 10 შილინგით შე შეიძლება უფრო მეტი ბამბის საქონელი ვიყიდო, ვიდრე უწინ ვყიდულობდი, ვინაიდან ხამი ბამბის ღირებულება დაეცა) მაშინ მოგების ნორმა წინანდელი დარჩებოდა. ზედმეტი ღირებულების ნორმა წინანდელი რჩება, მაგრამ [337] მოგების ნორმა იზრდება. პროდუქტის წარმოების ხარჯები შემცირდებოდა, რადგან პროდუქტის ერთი შემადგენელი ნაწილი — მასში მოთავსებული ნედლეული — სამუშაო დროის უფრო ნაკლები რაოდენობა ეღირებოდა, ვიდრე წინათ ღირდა. ხელფასის წარმოების ხარჯები იგივე დარჩებოდა, რაც წინათ იყო, რადგან მუშა უწინდებურად დროის იმავე რაოდენობას ხარჯავს თავის-თვის და დროის იმავე რაოდენობას კაპიტალისთვის. (ხელფასის წარმოების ხარჯები ხომ დამოკიდებულია არა იმ სამუშაო დროზე, რაც ღირს წარმოების საშუალებანი, რომლებითაც მუშა მუშა-

ობს, არამედ იმ სამუშაო ღროზე, რასაც იგი ხარჯავს თავისი ხელფასის ასანაზღაურებლად. ბ-ნ მილის თვალსაზრისით, მუშის ხელფასის წარმოების ხარჯები უფრო ძვირი იქნებოდა იმის გამო, რომ იგი, მაგალითად, ამუშავებს სპილენძს რკინის ნაცვლად ან სელს ბამბის მაგივრად; ანდა ისინი იქნებოდნენ უფრო ძვირი იმ შემთხვევაში, როცა მუშა თესავს სელს თესლს ბამბის თესლის ნაცვლად, ანდა როცა იგი მუშაობს უფრო ძვირი მანქანით, ნაცვლად იმისა, რომ სრულიად უმანქანოდ იმუშაოს. მხოლოდ ხელოსნური ინსტრუმენტით.) მოგებების წარმოების ხარჯები შემცირდებოდა, რადგან იმ კაპიტალის ერთობლივი მასა, ერთობლივი ჯამი, რომელიც ავანსებული იყო ზედმეტი ღირებულების საწარმოებლად, შემცირდებოდა. ზედმეტი ღირებულების ხარჯები არასოდეს არ არის კაპიტალის იმ ნაწილის ხარჯებზე მეტი, რომელიც ხელფასზე იხარჯება. მოგების ხარჯები, პირიქით, იმ კაპიტალის ხარჯების ჯამს უდრის, რომელიც ავანსებული იყო ამ ზედმეტი ღირებულების შესაქმნელად. მაშასადამე, ეს მოგების ხარჯები განისაზღვრება არა მარტო კაპიტალის იმ შემადგენელი ნაწილის ღირებულებით, რომელიც ხელფასზე იხარჯება და ზედმეტ ღირებულებას ქმნის, არამედ აგრეთვე კაპიტალის იმ შემადგენელი ნაწილების ღირებულებით, რომლებიც აუცილებელია კაპიტალის იმ ნაწილის ასამოქმედებლად, რომელიც ცოცხალ შრომაზე უნდა გაიცვალოს. ბ-ნი მილი ერთმანეთში ურევს მოგების წარმოების ხარჯებსა და ზედმეტი ღირებულების წარმოების ხარჯებს, ე. ი. ერთმანეთში ურევს მოგებასა და ზედმეტ ღირებულებას. ყოველივე ზემონათქვამიდან გამომდინარეობს ნედლეულის სიიადის ან სიძვირის მნიშვნელობა ამ ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობისათვის (მანქანების შეფარდებითა გაიაფებაზე რომ აღარა ვთქვათ რა*), — მაშინაც კი, თუ ვივლისხმებდით, რომ საბაზრო ფასი უდრის საქონლის ღირებულებას, ე. ი. რომ საქონლის საბაზრო ფასი ზუსტად იმავე შეფარდებით ეცემა, რა შეფარდებითაც ეცემა ამ საქონელში მოთავსებული ნედლეულის ღირებულება.

ამიტომ პოლკოვნიკი ტორენსი სამართლიანად შენიშნავს ინგლისის შესახებ:

«ისეთი ქვეყნისათვის, როგორც ინგლისია, ამა თუ იმ საგარეო-ბაზრის მნიშვნელობა უნდა იზომებოდეს არა მზა საქონელთა იმ რაოდენობით, რომელსაც ეს ბაზარი მისგან იღებს, არამედ კვლავწარმოების ელემენტთა იმ რაოდენობით, რომელსაც იგი უკან უბრუნებს ამ ქვეყანას» (R. T o r r e n s . A Letter to Sir R. Peel etc. On the Condition of England, etc. 2nd. edition. London, 1849, გვ. 275).

¶1

*მანქანების შეფარდებითი გაიაფება მე მესმის როგორც საქმის ისეთი ვითარება, როცა მანქანათა გამოყენებული მასის აბსოლუტური ღირებულება დიდდება, მაგრამ არა იმდენად, რამდენადაც დიდდება ამ მანქანების მასა და მათი მწარმოებლობა.

{მაგრამ დამტკიცების ის წესი, რომლის მეოხებითაც ტორენსი ამ დებულებას ასაბუთებს, ცუდია. ეს არის ჩვეულებრივი ლაპარაკი მიწოდებასა და მოთხოვნაზე. საქმის არსება ტორენსს დაჰყავს იმაზე, რომ ბამბის ფასი დიდდება, თუ ინგლისის კაპიტალი, რომელიც, მაგალითად, ბამბას გადაამუშავებს, იმ კაპიტალზე უფრო სწრაფად იზრდება, რომელიც ბამბას მოიყვანს, მაგალითად, შვედეთულ შტატებში. და მაშინ, ამბობს ტორენსი,

«ბამბის ნაკეთობათა ღირებულება დაეცემა მათი ხვედრი წარმოების ხარჯების ელემენტებთან შეფარდებით» (იქვე, გვ. 240).

სახელდობრ, მაშინ როდესაც ნედლეულის ფასი, ინგლისის მხრე მზარდი მოთხოვნის შედეგად, იზრდება, ფასი ბამბეულისა, რომელიც ნედლეულის ფასების გადიდების გამო გაძვირდა, დაეცემა, როგორც ამას ჩვენ, მართლაც, ვხედავთ, მაგალითად, ახლა (1862 წლის გაზაფხულზე), როცა ნართი ბევრად უფრო ძვირი არ არის ხამ ბამბაზე, ქსოვილი კი ბევრად უფრო ძვირი არ არის ნართზე. მაგრამ ტორენსი ვარაუდობს ისეთ შემთხვევას, როცა ინგლისის ნაწარმოო მონმარებისათვის საკმარისად არის ბამბა, თუმცა ძვირი. ბამბის ფასი მის ღირებულებაზე უფრო მაღლა იწევს. ამიტომ, თუ ბამბის ნაწარმი თავისი ღირებულების მიხედვით იყიდება, ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ გზით, რომ, რამდენადაც ბამბის მომყვანი მთელი პროდუქტიდან ზედმეტი ღირებულების უფრო მეტ რაოდენობას იღებს, ვიდრე მას ეკუთვნის, იგი ფაქტიურად ისაკუთრებს ბამბეულის ფაბრიკანტის კუთვნილი ზედმეტი ღირებულების ნაწილს. ბამბეულის ფაბრიკანტს არ შეუძლია ზედმეტი ღირებულების ეს ნაწილი აინაზღაუროს ფასის გადიდების საშუალებით, რადგან ფასის გადიდების გამო მოთხოვნა შემცირდებოდა. პირიქით, მოთხოვნის შემცირების შედეგად ბამბეულის ფაბრიკანტის მოგება შეიძლება კიდევ უფრო დაბლა დაეცეს, ვიდრე იგი უნდა დაეცემულიყო ბამბის ღირებულების იმ წანამატის შედეგად, რაც ბამბის მომყვანმა გააკეთა.

ნედლეულის, მაგალითად, ბამბის, მოთხოვნა ყოველწლიურად განისაზღვრება არა მარტო ფაქტიური, მოცემულ მომენტში არსებული მოთხოვნით, არამედ მოცემული წლისათვის საშუალო მოთხოვნითაც, — მაშასადამე, არა მარტო მოქმედებაში მყოფი ფაბრიკების მოთხოვნით, არამედ იმ ფაბრიკებით გადიდებული მოთხოვნითაც, რომლებიც, თუ არსებული გამოცდილების მიხედვით ვიმსჯელებთ, მომავალი წლის განმავლობაში გაიხსნება, ე. ი. წლის განმავლობაში ფაბრიკათა შეფარდებითი ნამატით, ან იმ დამატებითი მოთხოვნით, [338] რომელიც ამ შეფარდებითი ნამატის შესაბამისი იქნება.

პირიქით, თუ ბამბის და ა. შ. ფასი ეცემა (მაგალითად, განსაკუთრებით კარგი მოსავლის შედეგად), მაშინ იგი მეტწილად ბამბის ღირებულებაზე უფრო დაბლა ეცემა — კვლავ მოთხოვნისა და მიწოდების კანონის ძალით. მოგების ნორმა, ზოგჯერ კი, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, მოგების მასაც, იზრდება ამიტომ არა მარტო იმდენად, რამდენადაც ის გაიზრდებოდა, თუ გაიფუტებული ბამბის ფასი მისი ღირებულების თანაბარი იქნებოდა, არამედ იგი იზრდება კიდევ იმითმაც, რომ შხა პროდუქტი გაიფუტდა არა მთელი იმ შეფარდებით, რომელიც გამოხატავდა განსხვავებას ბამბის ღირებულებასა და ბამბის მომყვანისათვის გადახდილ ფასს შორის, ე. ი. იმითმაც კიდევ, რომ ბამბეულის ფაბრიკანტი ღირებულების ნაწილს, რაც ბამბის მომყვანს ეკუთვნის, თვითონ იჩიბავს. ეს არ ამცირებს მისი პროდუქტის მოთხოვნას, რადგან ამ პროდუქტის ფასი სულ ერთია მაინც ეცემა ბამბის ღირებულების დაცემის მეოხებით. მაგრამ მისი ფასი არ ეცემა იმდენად, რამდენადაც ხამი ბამბის ფასი დაეცა თავის საკუთარ ღირებულებაზე უფრო დაბლა.

გარდა ამისა, ასეთ დროს მოთხოვნა იმის გამოც იზრდება, რომ მუშების დასაქმებულობა და მათი ანაზღაურება მაღალ დონეზეა, ასე რომ ისინი თვითონაც მნიშვნელოვანწილად გამოდიან როგორც მომხმარებელნი, როგორც თავიანთი საკუთარი პროდუქტის მომხმარებელნი. იმ შემთხვევებში, როცა ნედლეულის ფასი ეცემა არა იმის გამო, რომ ამ ნედლეულის წარმოების საშუალო ხარჯების დაცემა პერმანენტულია და თავის მოქმედებას განაგრძობს, არამედ განსაკუთრებით კარგი მოსავლის (ბუნების პირობები) მეოხებით, მუშების ხელფასი არ ეცემა; პირიქით, მოთხოვნა მუშებზე იზრდება. ამ მოთხოვნის შედეგი მოქმედებს არა მარტო მისი ზრდის პროპორციულად. პირიქით, პროდუქტის უეცარი გაძვირებისას, ერთი მხრივ, ბევრ მუშას დაითხოვენ, მეორე მხრივ კი, ფაბრიკანტი ცდილობს თავიდან აიცილოს დანაკარგი ხელფასის დაწვეით მის ნორმალურ დონეზე უფრო დაბლა. ამრიგად, ნორმალური მოთხოვნა მუშებზე ეცემა, და ეს კიდევ უფრო აძლიერებს მოთხოვნის უკვე არსებულ საერთო დაცემას და იმ მოქმედებას, რასაც იგი საბაზრო ფასზე ახდენს.)

მილი იმ ფანტაზიამდე, თითქოს მუდმივი კაპიტალის ღირებულების ცვლილება იწვევს შრომის ღირებულების, ანუ შრომის წარმოების ხარჯების, ცვლილებას, ასე რომ, მაგალითად, ავანსებული მუდმივი კაპიტალის ღირებულების დაცემა იწვევს შრომის ღირებულების, მისი წარმოების ხარჯების, მაშასადამე, აკრეთვე ხელფასის დაცემას, — უმთავრესად მიიყვანა მისმა (რეკარდოსეულმა) წარმოდგენამ მუშასა და კაპიტალისტს შორის პროდუქტის გაყოფაზე. ნედლეულის, მაგალითად, ბამ-

ბის, ღირებულების დაცემის შედეგად ეცემა ნართის ღირებულება. ნართის წარმოების ხარჯები მცირდება. მასში მოთავსებული შრომის რაოდენობა შემცირდა. თუ, მაგალითად, გირვანქა ნართი ერთი მუშის (თორმეტსაათიანი) სამუშაო დღის პროდუქტი იქნებოდა და ღირებულება ბამბისა, რასაც გირვანქა ნართი შეიცავს, დაეცემოდა, მაშინ გირვანქა ნართის ღირებულება შემცირდებოდა ზუსტად იმდენად, რამდენადაც ნართზე დახარჯული ბამბის ღირებულება შემცირდა. მაგალითად, 1861 წლის 22 მაისს მეორე ხარისხის №40 გირვანქა წმინდა ნართის ფასი შეადგენდა 12 პენსს (1 შილინგს), 1858 წლის 22 მაისს იგი შეადგენდა 11 პენსს (ფაქტიურად $11\frac{2}{3}$ -ს, რადგან ნართის ფასი არ შემცირებულა მთელი იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შემცირდა ხამი ბამბის ფასი). მაგრამ პირველ შემთხვევაში ნორმალური ხარისხის გირვანქა ხამი ბამბის ფასი შეადგენდა 8 პენსს (ფაქტიურად $8\frac{1}{8}$ -ს), მეორე შემთხვევაში — 7 პენსს (ფაქტიურად $7\frac{1}{8}$ -ს). ამრიგად აქ ნართის ფასი ზუსტად იმდენად შემცირდა, რამდენადაც შემცირდა ხამი ბამბის ღირებულება, ე. ი. მისი ნედლეულის ღირებულება. მაშასადამე, ამბობს მილი, შრომა იგივე რჩება, რაც წინათ იყო; თუ იგი წინათ 12 საათს შეადგენდა, პროდუქტი უწინდებურად იმავე 12 საათის შედეგს წარმოადგენს; მაგრამ მეორე შემთხვევაში ამას ემატებოდა კიდევ ერთი პენსით უფრო ნაკლები წარსული შრომა, ვიდრე პირველში; შრომა იგივეა, მაგრამ შრომის წარმოების ხარჯები შემცირდა (სახელდობრ, ერთი პენსით).

თუმცა გირვანქა ნართი როგორც ნართი, როგორც სახმარი ღირებულება, უწინდებურად თორმეტსაათიანი შრომის პროდუქტია, მაგრამ გირვანქა ნართის ღირებულება არც ახლა, არც წინათ არ ყოფილა მრთველის [მხოლოდ] თორმეტსაათიანი სამუშაო პროდუქტი. პირველ შემთხვევაში 12 პენსის $\frac{2}{3}$, ე. ი. 8 პენსი, უდრიდა ხამი ბამბის ღირებულებას და არ იყო მრთველის პროდუქტი; მეორე შემთხვევაში არ იყო მისი პროდუქტი 11 პენსის $\frac{2}{3}$, ე. ი. 7 პენსი. პირველ შემთხვევაში თორმეტსაათიანი შრომის პროდუქტის სახით რჩება 4 პენსი, და მეორე შემთხვევაში ზუსტად ასევე 4 პენსი. ორივე შემთხვევაში [მრთველის] შრომამ მხოლოდ ერთი შესამედი მიუმატა ნართის ღირებულებას. მაშასადამე, პირველ შემთხვევაში ერთი გირვანქა ნართიდან მხოლოდ $\frac{1}{3}$ გირვანქა შეადგენდა მრთველის პროდუქტს (თუ მანქანას მხედველობის გარეშე დავტოვებთ), და სავსებით ასევეა მეორე შემთხვევაშიც. მუშამ და კაპიტალისტმა უწინდებურად უნდა გაიყონ ერთმანეთს შორის მხოლოდ 4 პენსი, რაც გირვანქა ნართის $\frac{1}{3}$ -ს უდრის. თუ მუშა ნართს ყიდულობს 4 პენსით, მაშინ იგი მეორე შემთხვევაში უფრო მეტ ნართს იღ-

ებს, ვიდრე პირველ შემთხვევაში, მაგრამ ნართის უფრო მეტი რაოდენობა ახლა სწორედ იმდენი ღირს. რამდენიც უწინ მისი ნაკლები რაოდენობა ღირდა. მაგრამ 4 პენსის განაწილება კაპიტალისტსა და მუშას შორის წინანდელი რჩება; თუ ღრო, რომელსაც მუშა ხარჯავს თავისი ხელფასის კვლავწარმოებაზე ანუ წარმოებაზე, 10 საათს უღრის, მაშინ მისი ზედმეტი შრომა უღრის 2 საათს, როგორც ეს უწინ იყო. უწინდებურად მუშა ღებულობს $\frac{5}{6}$ -ს. 4 პენსიდან, ანუ $\frac{1}{3}$ გირვანქა ნართიდან, კაპიტალისტი კი ამ რაოდენობიდან იღებს $\frac{1}{6}$ -ს. ამრიგად, არავითარი ცვლილება [339] პროდუქტის, ნართის განაწილებაში არ მომხდარა. მიუხედავად ამისა, მოგების ნორმა გადიღდა, რადგან ნელღეულის ღირებულება დაეცა და ამიტომ გადიღდა ზედმეტი ღირებულების შეფარდება მთელ ავანსებულ კაპიტალთან, ანუ კაპიტალისტის წარმოების ხარჯებთან.

თუ მაგალითის გამართიეებისათვის მანქანებს და ა. შ. მხედველობის გარეშე დავტოვებთ, ორივე შემთხვევა შეიძლება წარმოვიდგინოთ ასე:

	გირვანქის წარმოების ფასი	მუღმდ მუშის კაპიტალი	ნართის ღირებულება	საათები	კაპიტალისტის ერთობლივი ღირებულება	ზედმეტი ღირებულება	მოგების ნორმა
შემთხვევა I	12 პ.	8 პ.	4 პ.	$3\frac{1}{3}$ პ.	$11\frac{1}{3}$ პ.	$\frac{2}{3}$ პ.	$5\frac{15}{17}\%$
შემთხვევა II	11 პ.	7 პ.	4 პ.	$3\frac{1}{3}$ პ.	$10\frac{2}{3}$ პ.	$\frac{2}{3}$ პ.	$6\frac{14}{31}\%$

მოგების ნორმა აქ, მაშასადამე, გადიღდა, თუმცა შრომის ღირებულება იგივე დარჩა, ნართში გამოხატული ხელფასის სახმარი ღირებულება კი გადიღდა. მოგების ნორმა გადიღდა (იმ სამუშაო დროის რაიმე ცვლილების გარეშე, რომელიც მუშის წილად მოღის) მხოლოდ იმიტომ, რომ ბამბის ღირებულება და ამით კაპიტალისტის წარმოების ხარჯების ერთობლივი ღირებულებაც დაეცა. $\frac{2}{3}$ პენსი დახარჯულ $11\frac{1}{3}$ პენსზე შეადგენს, რა თქმა უნდა, ნაკლებს, ვიდრე $\frac{2}{3}$ პენსი დახარჯულ $10\frac{2}{3}$ პენსზე.

* * *

მთელი ზემონათქვამიდან გამომდინარეობს იმ ღებულებათა მცდარობა, რომლებითაც მილი თავის ილუსტრაციას* ამთავრებს:

* იხ. ეს ტომი, ნაწილი III. გვ. 234. რ ე დ.

«თუ ხელფასის წარმოების ხარჯები წინანდელი დარჩებოდა, მოგება ვერ გადიდებოდა. თითოეული მუშა ღებულობდა წინათ 1 კვარტერი მარცვლეულს; მაგრამ 1 კვარტერი მარცვლეული წინათ ისეთივე წარმოების ხარჯების შედეგი იყო, როგორისაც ახლა 1 $\frac{1}{6}$ კვარტერია. ამიტომ, იმისათვის, რომ ყოველი მუშა წინანდელ წარმოების ხარჯებს ღებულობდეს, თითოეულს უნდა ჰქონდეს 1 კვარტერი მარცვლეული პლუს $\frac{1}{6}$ კვარტერი» (ციტირ. თხზ., გვ. 103).

«ამრიგად, თუ ვიგულისხმებთ, რომ მუშას უხდინან იმავე პროდუქტით, რომელსაც იგი აწარმოებს, მაშინ ცხადია, რომ როცა ადგილი აქვს ამ პროდუქტის საწარმოებლად გაღებული ხარჯების ეკონომიას, მუშა კი უწინდებურად იმავე წარმოების ხარჯებს იღებს, რასაც წინათ იღებდა, მას აუცილებლად ერგება პროდუქტის უფრო მეტი რაოდენობა, ვადიდებელი კაპიტალის მწარმოებლური ძალის ზრდის შესაბამისად. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ კაპიტალისტის დანახარჯი საყსებით იმავე შეფარდებაში იქნება მის მიერ მიღებულ პროდუქტთან, რა შეფარდებაშიც წინათ იყო; და მოგება არ გაიზარდება». (სწორედ ეს არ არის სწორი). «ამიტომ მოგების ნორმის ცვლილებანი და ხელფასის წარმოების ხარჯთა ცვლილებანი ხელიხელჩაკიდებული მიდიან და ერთმეორისაგან განუყრელნი არიან. მაშასადამე, რიკარდოს ღებულება, რომ მოგება შეიძლება დიდდებოდეს მხოლოდ ხელფასის იმაგდროულად დაცემის დროს, საყსებით სწორია, თუ დაბალ ხელფასში ვიგულისხმებთ არა მხოლოდ ისეთ ხელფასს, რომელიც შრომის უფრო ნაკლები რაოდენობის პროდუქტია, არამედ ისეთ ხელფასსაც, რომელიც წარმოებულა უფრო ნაკლები ხარჯებით, ერთად აღებული შრომისა და წინანდელ მოგებათა ჩათვლით» (ციტირ. თხზ., გვ. 104).

ამრიგად, მილის ილუსტრაციის თანახმად, რიკარდოს შეხედულება სწორია იმ შემთხვევაში, თუ დაბალ ხელფასში (ანდა საერთოდ ხელფასის წარმოების ხარჯებში) ვიგულისხმებთ არა მხოლოდ იმის საწინააღმდეგოს, რასაც რიკარდო ლაპარაკობს, არამედ პირდაპირ აბსოლუტურ უაზრობასაც, სახელდობრ: თუ ხელფასის წარმოების ხარჯებში ჩვენ გვთავაზობენ ვიგულისხმობთ სამუშაო დღის არა ის ნაწილი, რომელსაც მუშა თავის ხელფასის ასანაზღაურებლად ხარჯავს, არამედ მის მიერ დამუშავებული ნედლეულისა და მის მიერ გამოყენებული მანქანების წარმოების ხარჯებიც, ე. ი. კიდევ ის სამუშაო დროც, რომლის განმავლობაშიც მას არ უმუშავნია არც თავისთვის, არც კაპიტალისტისთვის.

* * *

მ ე ხ უ თ ე. ახლა ის საკითხი, რომელიც, არსებითად, აქ არის განსახილველი: რა გავლენა შეუძლია მოახდინოს ზედმეტ ღირებულებაზე მუდმივი კაპიტალის ღირებულების ცვლილებას?

როცა ჩვენ ვამბობთ, რომ საშუალო დღიური ხელფასის ღირებულება უდრის 10 საათს, ანუ, რაც იგივეა, რომ მთელი სამუშაო დღიდან, მაგალითად 12 საათიდან, რომლის განმავლობაშიც მუშა მუშაობს, 10 საათი საჭიროა მისი ხელფასის წარმოებისა და ანაზღაურებისათვის, და რომ

მხოლოდ ის დრო, რომლის განმავლობაშიც იგი ამ 10 საათის გადამეტებით მუშაობს, წარმოადგენს ფასგადაუხდელ სამუშაო დროს და ქმნის ისეთ ღირებულებას, რომელსაც კაპიტალისტი [340] დებულობს, მასში საფასურის გადაუხდელად, — ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მუშის მიერ მოხმარებულ საარსებო საშუალებათა საერთო ჯამი შეიცავს 10 საათის სამუშაო დროს. ეს 10 სამუშაო საათი გამოიხატება ფულის ვარკვეულ ჯამში, რომლითაც მუშა ყიდულობს მისთვის აუცილებელ საარსებო საშუალებებს.

მაგრამ საქონელთა ღირებულება განისაზღვრება მათში მოთავსებული სამუშაო დროით, სულ ერთია, მოთავსებულია ეს სამუშაო დრო ნედლეულში, გაცვეთილ მანქანებში თუ იმ შრომაში, რომელიც მუშამ მანქანების დახმარებით ნედლეულს მიუმატა. ამიტომ, თუ მოხდებოდა მოცემულ საქონელში შემავალი ნედლეულისა და მანქანების ღირებულების მუდმივი (და არა მხოლოდ წარმავალი) ცვლილება, — ცვლილება, გამოწვეული ამ ნედლეულისა და მანქანების, მოკლედ, საქონელში მოთავსებული მუდმივი კაპიტალის მწარმოებელი შრომის ნაყოფიერების ცვლილებით, — და თუ ამ ცვლილების შედეგად საქონლის სათანადო შემადგენელი ნაწილის საწარმოებლად ახლა საჭირო იქნებოდა სამუშაო დროის უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე წინათ, ანდა უფრო ნაკლები რაოდენობა მისი, მაშინ ამის გამო საქონელი თვით გახდებოდა უფრო ძვირი ან უფრო იაფი (იმ შრომის უცვლელი ნაყოფიერების დროს, რომელიც ნედლეულს პროდუქტად აქცევს, და სამუშაო დღის უცვლელი სიდიდის დროს). ამის შედეგად სამუშაო ძალის წარმოების ხარჯები, ე. ი. მისი ღირებულება, გადიდდებოდა ან შემცირდებოდა; ასე რომ თუ წინათ მუშა 12 საათიდან თავისთვის 10 საათს მუშაობდა, ახლა მას თავისთვის უნდა ემუშავნა 11 საათი — ანდა, საპირისპირო შემთხვევაში, მხოლოდ 9 საათი. პირველ შემთხვევაში მისი მუშაობა კაპიტალისტისათვის, ე. ი. ზედმეტი ღირებულება, შემცირდებოდა სანახევროდ, 2 საათიდან 1 საათამდე. მეორე შემთხვევაში იგი გადიდდებოდა სანახევროდ, 2 საათიდან 3 საათამდე. უკანასკნელ შემთხვევაში კაპიტალისტის მოგების ნორმა და მოგების მასა გადიდდებოდა: პირველი უკვე იმიტომ, რომ მუდმივი კაპიტალის ღირებულება შემცირდა, ორივე ისინი კი — იმიტომ, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა (და ამ ზედმეტი ღირებულების აბსოლუტური სიდიდე) გადიდდებოდა.

მხოლოდ ამ ერთადერთი გზით შეუძლია მუდმივი კაპიტალის ღირებულების ცვლილებას გავლენა მოახდინოს შრომის ღირებულებაზე, ხელ-

ფასის წარმოების ხარჯებზე, სამუშაო დღის დაყოფაზე კაპიტალისტა- და მუშის შორის, მაშასადამე, ზედმეტ ღირებულებაზეც.

მაგრამ ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ კაპიტალისტისათვის, რომელიც, მაგალითად, ბამბას ართავს, მისი საკუთარი მუშების აუცილებელი სამუშაო დრო განისაზღვრება შრომის ნაყოფიერებით არა მარტო სართავ მრეწველობაში, არამედ აგრეთვე ბამბის, მანქანების და ა. შ. წარმოებაში, და ასევე იგი განისაზღვრება ნაყოფიერებითაც წარმოების ყველა იმ დარგში, რომელთა პროდუქტებიც თუმცა არ შედიან მუდმივი-კაპიტალის სახით—არც როგორც ნედლეული, არც როგორც მანქანები და ა. შ. — კაპიტალისტის პროდუქტში (რომელიც, ნავლისხმევის თანახმად, შედის მუშის მოხმარებაში), ნართში, მაგრამ ქმნიან ხელფასზე დახარჯული საბრუნავი კაპიტალის ნაწილს, მაშასადამე, განისაზღვრება ასევე კვების საგნებისა და ა. შ. მწარმოებელი შრომის ნაყოფიერებითაც. ის, რაც წარმოების ერთ დარგში გვევლინება როგორც პროდუქტი, მეორე დარგში გამოდის როგორც შრომის მასალა ან შრომის საშუალება; ამიტომ წარმოების ერთი დარგის მუდმივი კაპიტალი შედგება წარმოების მეორე დარგის პროდუქტისაგან და წარმოების მეორე დარგში გვევლინება არა როგორც მუდმივი კაპიტალი, არამედ როგორც წარმოების შედეგი ამ დარგის შიგნით. ცალკეული კაპიტალისტისათვის სულ ერთი როდია, შრომის ნაყოფიერების გადიდება (მაშასადამე, სამუშაო ძალის ღირებულების დაცემა) მის საკუთარ წარმოების დარგში ხდება, თუ იმ დარგებში, რომელნიც მის საწარმოს მუდმივ კაპიტალს აწვდიან. კაპიტალისტთა კლასისათვის — კაპიტალისათვის მთლიანად — ეს ერთი და იგივეა.

მაშასადამე, აქ განხილული შემთხვევა (როცა მუდმივი კაპიტალის ღირებულების დაცემა (ან საპირისპირო ცვლილება) იქიდან კი არ გამომდინარეობს, რომ ამ მუდმივი კაპიტალის გამომყენებელ მრეწველობის დარგში წარმოება გაფართოებული მასშტაბით წარიმართება, არამედ იქიდან, რომ თვით მუდმივი კაპიტალის წარმოების ხარჯები შეიცვალა), სავსებით ემთხვევა ზედმეტი ღირებულების შესახებ განვითარებულ კანონებს⁸⁴.

საერთოდ, როცა მოგებაზე და მოგების ნორმაზე ვლაპარაკობთ, ივარაუდება, რომ ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა მ ო ც ე მ უ ლ ი ა დ ა, რომ, მაშასადამე, ყველა იმ ფაქტორმა, რომელიც ზედმეტ ღირებულებაზე ზეგავლენას ახდენს, უკვე თავისი გავლენა მოახდინა. ყოველივე ეს იგულისხმება წანამსღერის სახით.

* * *

მ ე ე ქ ვ ს ე. აქ კიდევ შეიძლება იმის განხილვა, თუ როგორ იცვლება მუდმივი კაპიტალის შეფარდება ცვალებადთან და, მაშასადამე მოგების ნორმაზე ზედმეტი ღირებულების განსაკუთრებული ფორმის შეოხებით, სახელდობრ სამუშაო დროის გაგრძელებით ნორმალური სამუშაო დროის საზღვრებს იქით. [341] ამის შედეგად მცირდება მუდმივი კაპიტალის შეფარდებითი ღირებულება და აგრეთვე ის პროპორციული ნაწილი ღირებულებისა, რასაც მუდმივი კაპიტალი შეადგენს პროდუქტის ერთობლივ ღირებულებაში. მაგრამ დავტოვოთ ეს შესამე თავისათვის⁸⁵, რომელსაც საერთოდ განეკუთვნება მეტი ნაწილი იმისა, რაც განხილული იყო.

* * *

ბ-ნი მილი მის მიერ მოცემულ ბრწყინვალე ილუსტრაციაზე დაყრდნობით აყენებს შემდეგ (რიკარდოსეულ) დებულებას:

«მოგების კანონს ერთადერთი გამოხატულება... არის ის, რომ მოგება დამოკიდებულია ხელფასის წარმოების ხარჯებზე» (ციტირ. თხზ., გვ. 104—105).

უნდა ითქვას სწორედ პირიქით: მოგების ნორმა {და სწორედ მის შესახებ ლაპარაკობს მილი} ერთადერთ შემთხვევაშია დამოკიდებული მართლაც ხელფასის წარმოების ხარჯებზე, და ეს ის შემთხვევაა, როცა ზედმეტი ღირებულების ნორმა და მოგების ნორმა ერთნაირია. მაგრამ ეს შესაძლებელია კაპიტალისტურ წარმოებაში იმ თითქმის შეუძლებელ შემთხვევაში, როცა მთელი ავანსებული კაპიტალი ავანსად გაიცემა უშუალოდ ხელფასად, როცა არავითარი მუდმივი კაპიტალი, არც ნედლეულის სახით, არც მანქანების, შენობებისა და ა. შ. სახით არ შედის პროდუქტში, ანდა როცა ნედლეული და ა. შ., რამდენადაც იგი პროდუქტში შედის, თვითონ არ არის შრომის პროდუქტი, ე. ი. არაფერი არ ღირს. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოგების ნორმის ცვლილებანი ზედმეტი ღირებულების ნორმის ცვლილებათა იდენტურია, ანუ — რაც იგივეა — ხელფასის წარმოების ხარჯების იდენტურია.

საერთოდ კი (და ეს შეიცავს აგრეთვე აქ განხილულ განსაკუთრებულ შემთხვევასაც) მოგების ნორმა უდრის ზედმეტი ღირებულების შეფარდებას მთელი ავანსებული კაპიტალის ღირებულებასთან.

თუ ზედმეტ ღირებულებას აღვნიშნავთ M-ით, ავანსებული კაპიტალის ღირებულებას კი K-თი, მაშინ მოგების ნორმა იქნება $M : K$, ანუ

$\frac{M}{K}$. ეს შეფარდება განისაზღვრება როგორც M სიდიდით (ამასთან M სიდიდის განსაზღვრაში შედის ხელფასის წარმოების ხარჯების განმსაზღვრელი ყველა გარემოება), ისე K სიდიდითაც. მაგრამ K , ავანსებული კაპიტალის ერთობლივი ღირებულება, შედგება მუდმივი კაპიტალისაგან C და (ხელფასზე დახარჯული) ცვალებადი კაპიტალისაგან V . მაშასადამე, მოგების ნორმა უდრის $\frac{M}{v+c}$ -ს, ანუ $\frac{M}{K}$ -ს. მაგრამ თვით M , ზედმეტი ღირებულება, განისაზღვრება არა მარტო თავისი საკუთარი ნორმით, ე. ი. ზედმეტი შრომის შეფარდებით აუცილებელ შრომასთან, ანუ სამუშაო დროის გაყოფით კაპიტალსა და შრომას შორის, მისი დაყოფით ფასგადახდილ და ფასგადაუხდელ სამუშაო დროდ. ზედმეტი ღირებულების მასა, ე. ი. ზედმეტი ღირებულების აბსოლუტური სიდიდე, განისაზღვრება აგრეთვე კაპიტალის მიერ ერთდროულად ექსპლოატირებული სამუშაო დღეების რიცხვითაც. სამუშაო დროის ეს მასა კი, რომელიც გამოყენებულია ფასგადაუხდელი შრომის გარკვეული ნორმის პირობებში, დამოკიდებულია გარკვეული კაპიტალისათვის იმ დროზე, რომლის განმავლობაშიც პროდუქტი ჩერდება საკუთრივ წარმოების პროცესში და არ მოითხოვს შრომას ან შრომის იმავე რაოდენობას, რაც საჭირო იყო წინათ (მაგალითად, ღვინო სარდაფში მისი დავარგისებისას, მარცვალი, ერთხელ რომ მიწაში დაითესა, ტყავი ან სხვა მასალები, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში ქიმიურ ძალთა მოქმედებას განიცდიან, და ა. შ.), და ასევე საქონლის მომოქცევის დროის ხანგრძლივობაზე, საქონლის მეტამორფოზის ხანგრძლივობაზე, ანუ პროდუქტის სახით მის დამთავრებასა და საქონლის სახით მის კვლავწარმოებას შორის ინტერვალის სიდიდეზე. თუ რამდენი სამუშაო დღე უნდა იქნეს გამოყენებული ერთსა და იმავე დროს (თუ მოცემულია ხელფასის ღირებულება, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების ნორმაც), ეს დამოკიდებულია საერთოდ ხელფასზე დახარჯული კაპიტალის სიდიდეზე. და სწორედ ახლახან ხსენებული გარემოებანი იწვევენ ცოცხალი შრომის დროის იმ ერთობლივი მასის ცვლილებას, რომლის გამოყენებაც რომელიმე გარკვეული სიდიდის მქონე კაპიტალს შეუძლია განსაზღვრული პერიოდის მანძილზე, მაგალითად, ერთი წლის განმავლობაში. ეს გარემოებანი განსაზღვრავენ სწორედ სამუშაო დროის აბსოლუტურ რაოდენობას, რომლის გამოყენებაც მოცემულ კაპიტალს შეუძლია. მაგრამ ეს არაფერს ცვლის იმაში, რომ ზედმეტ ღირებულებას განსაზღვრავს მარტოდმარტო მისი საკუთარი ნორმა, გამრავლებული იმავდროულად გამოყენებული სამუშაო დღეების რიცხვზე. ეს გარე-

მოებანი განსაზღვრავენ ამ ორი ფაქტორიდან მხოლოდ უკანასკნელ ფაქტორს — გამოყენებული სამუშაო დროის რაოდენობას.

ზედმეტი ღირებულების ნორმა უდრის ზედმეტი შრომის წილს ერთ სამუშაო დღეში, ე. ი. უდრის ერთ სამუშაო დღეში წარმოებულ ზედმეტი ღირებულებას. მაგალითად, თუ სამუშაო დღე 12 საათს უდრის, ზედმეტი შრომა კი — 2 საათს, მაშინ ეს 2 საათი შეადგენს $\frac{1}{6}$ -ს 12 საათიდან, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ეს ორი საათი ჩვენ უნდა გამოვიანგარიშოთ აუცილებელ შრომაზე (ანუ მასში გადახდილ ხელფასზე, რომელიც სამუშაო დროის ი გ ი ვ ე რაოდენობაა გასაგნობრივებული ფორმით), და მაშინ ზედმეტი შრომის წილი უდრის $\frac{1}{6}$ -ს (10 საათის $\frac{1}{5}$ შეადგენს 2 საათს; $\frac{1}{5} = 20\%$ -ს). აქ ზედმეტი ღირებულების სიდიდე (ერთ სამუშაო დღეზე) მთლიანად განისაზღვრება ზედმეტი ღირებულების ნორმით. თუ ახლაკაპიტალისტი 100 ასეთ [342] სამუშაო დღეს იყენებს, მაშინ ზედმეტი ღირებულება (მისი აბსოლუტური სიდიდე) უდრის 200 სამუშაო საათს. ზედმეტი ღირებულების ნორმა დარჩა უწინდელი: 200 საათი აუცილებელი შრომის 1 000 საათზე, ე. ი. $\frac{1}{5}$, ანუ 20% -ს. თუ მოცემულია ზედმეტი ღირებულების ნორმა, მაშინ მისი სიდიდე სავსებით დამოკიდებულია გამოყენებული მუშების რიცხვზე, ე. ი. ხელფასზე დახარჯული კაპიტალის აბსოლუტურ სიდიდეზე, ცვალებად კაპიტალზე. თუ მოცემულია გამოყენებული მუშების რაოდენობა, ე. ი. ხელფასზე დახარჯული კაპიტალის, ცვალებადი კაპიტალის, ს ი დ ი დ ე, მაშინ ზედმეტი ღირებულების სიდიდე მთლიანად დამოკიდებულია მის ნორმაზე, ე. ი. ზედმეტი შრომის შეფარდებაზე აუცილებელ შრომასთან, ხელფასის წარმოების ხარჯებზე, კაპიტალისტსა და მუშას შორის სამუშაო დღის გაყოფაზე. თუ 100 მუშა (12 საათს რომ მუშაობენ დღეში) მე 200 სამუშაო საათს მძღევს, მაშინ ზედმეტი ღირებულების აბსოლუტური სიდიდე უდრის 200 საათს, ზედმეტი ღირებულების ნორმა კი შეადგენს ერთი [ფასგადახდილი] სამუშაო დღის $\frac{1}{5}$ -ს, ანუ 2 სამუშაო საათს. ზედმეტი ღირებულება უდრის აქ 2 საათს, გამრავლებულს 100-ზე. თუ 50 მუშა მე 200 სამუშაო საათს მძღევს, მაშინ ზედმეტი ღირებულების აბსოლუტური სიდიდე უდრის 200 სამუშაო საათს, ზედმეტი ღირებულების ნორმა კი შეადგენს ერთი (ფასგადახდილი) სამუშაო დღის $\frac{2}{5}$ -ს, ე. ი. 4 სამუშაო საათს. ზედმეტი ღირებულება უდრის აქ 4 საათს, გამრავლებულს 50-ზე. რადგან ზედმეტი ღირებულების აბსოლუტური სიდიდე უდრის მისი ნორმისა და სამუშაო დღეების რიცხვის ნამრავლს, ამიტომ იგი შეიძლება უცვლელი რჩებოდეს მიუხედავად იმისა, რომ მამრავლნი ერთიმეორესთან შებრუნებული შეფარდებით იცვლებიან.

ზედმეტი ღირებულების ნორმა მუდამ გამოიხატება ზედმეტი ღირებულების შეფარდებით ცვალებად კაპიტალთან. ვინაიდან ცვალებადი კაპიტალი უდრის ფასგადახდილი სამუშაო დროის აბსოლუტურ სიდიდეს, ზედმეტი ღირებულება კი უდრის ფასგადაუხდელი სამუშაო დროის აბსოლუტურ სიდიდეს. ამიტომ ზედმეტი ღირებულების შეფარდება ცვალებად კაპიტალთან მუდამ გამოიხატავს სამუშაო დღის ფასგადაუხდელი ნაწილის შეფარდებას ფასგადახდილთან. ვიგულისხმობ, რომ წინა მაგალითში 10 საათის ხელფასი უდრის, ვთქვათ, 1 ტალერს, სადაც 1 ტალერი ვერცხლის ის რაოდენობაა, რომელიც 10 სამუშაო საათს შეიცავს. ასეთ შემთხვევაში 100 სამუშაო დღის საფასურია 100 ტალერი. თუ ახლა ზედმეტი ღირებულება 20 ტალერს უდრის, მაშინ ზედმეტი ღირებულების ნორმა იქნება $\frac{20}{100}$, ე. ი. $\frac{1}{5}$, ანუ 20%. ანდა, რაც იგივეა, 10 სამუ-

შაო საათზე (რაც 1 ტალერს უდრის) კაპიტალისტი იღებს 2 სამუშაო საათს, ხოლო 100 X 10, ანუ 1 000 სამუშაო საათზე იგი იღებს 200 სამუშაო საათს, რაც 20 ტალერს უდრის.

ამგვარად, თუმცა ზედმეტი ღირებულების ნორმა განისაზღვრება მარტოდენ ზედმეტი სამუშაო დროის შეფარდებით აუცილებელ სამუშაო დროსთან, სხვანაირად, სამუშაო დღის შესაბამისი ნაწილით, რაც მუშას მისი ხელფასის საწარმოებლად ესაჭიროება, ანუ ხელფასის წარმოების ხარჯებით, მაგრამ ზედმეტი ღირებულების სიდიდე, გარდა ამისა. განისაზღვრება სამუშაო დღეების რიცხვით, სამუშაო დროის აბსოლუტური რაოდენობით, რომელიც გამოყენებულია ზედმეტი ღირებულების მოცემული განსაზღვრული ნორმის დროს, ე. ი. ხელფასზე დახარჯული კაპიტალის აბსოლუტური სიდიდით (თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა მოცემულია). მაგრამ, რადგან მოგება არის შეფარდება არა ზედმეტი ღირებულების ნორმისა, არამედ ზედმეტი ღირებულების აბსოლუტური სიდიდისა მთელი ავანსებული კაპიტალის ერთობლივ ღირებულებასთან, ამიტომ მოგების ნორმა, ცხადია, განისაზღვრება არა მარტო ზედმეტი ღირებულების ნორმით, არამედ აგრეთვე ზედმეტი ღირებულების აბსოლუტური სიდიდითაც — სიდიდით, რომელიც დამოკიდებულია ზედმეტი ღირებულების ნორმისა და სამუშაო დღეთა რიცხვის ურთიერთ-შეფარდებაზე, ხელფასზე დახარჯული კაპიტალის სიდიდეზე და ხელფასის წარმოების ხარჯებზე.

თუ მოცემულია ზედმეტი ღირებულების ნორმა, მაშინ მისი სიდიდე დამოკიდებულია მარტოდმარტო ავანსებული (ხელფასზე დახარჯული) კაპიტალის სიდიდეზე. საშუალო ხელფასი ყველგან ერთი და იგივეა.

სხვა სიტყვებით, ივარაუდება, რომ წარმოების ყველა დარგში მუშა იღებს ხელფასს, რომელიც უდრის, მაგალითად, 10 საათს. (იმ დარგებში, სადაც ხელფასი საშუალო ხელფასზე უფრო მაღალია, ეს ჩვენი გამოკვლევისათვის და თვით საქმისათვის იგივეა, თითქოს კაპიტალისტი მეტ მარტივი შრომის შემსრულებელ მუშებს იყენებდეს.) ამრიგად, თუ ვიგულისხმებთ, რომ ზედმეტი შრომა ყველგან ერთნაირია, მაშასადამე, ერთნაირია მთელი ნორმალური სამუშაო დღეც (არაერთნაირობათა გათანაბრება ხდება ნაწილობრივ იმით, რომ რთული შრომის ერთი საათი უთანაბრდება, მაგალითად, მარტივი შრომის ორ საათს), [343] მაშინ ზედმეტი ღირებულების სიდიდე დამოკიდებულია მხოლოდ [ხელფასისათვის] ავანსებული კაპიტალის სიდიდეზე. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ზედმეტი ღირებულების მასები ერთიმეორეს შეეფარდებიან როგორც [ხელფასისათვის] ავანსებული კაპიტალების სიდიდენი. მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას მოგებაზე, რადგან მოგება წარმოადგენს ზედმეტი ღირებულების შეფარდებას მთელი ავანსებული კაპიტალის ერთობლივ ღირებულებასთან, თანაბარი სიდიდის კაპიტალებში კი მათი შემადგენელი ნაწილები, ხელფასზე რომ იხარჯება. ანუ ცვალებადი კაპიტალის შეფარდება მთელ კაპიტალთან შეიძლება იყვნენ და სინამდვილეშიც არიან კიდევ მეტად განსხვავებული სიდიდეები. მოგების სიდიდენი დამოკიდებულია აქ ცვალებადი კაპიტალის შეფარდებაზე — სხვადასხვა კაპიტალში — მთელ კაპიტალთან, ე. ი. დამოკიდებულია $\frac{v}{c+v}$ -ზე. მაშასადამე,

თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა მოცემულია, — და იგი ყოველთვის გამოიხატება წილადით $\frac{m}{v}$, ზედმეტი ღირებულების შეფარდებით ცვალებად კაპიტალთან, — მაშინ მოგების ნორმა განისაზღვრება მარტო-ოდენ ცვალებადი კაპიტალის შეფარდებით მთელ კაპიტალთან.

ამრიგად, მოგების ნორმა განისაზღვრება, ჯერ ერთი, ზედმეტი ღირებულების ნორმით, ანუ ფასგადაუხდელი შრომის შეფარდებით ფასგადახდილთან; და იგი იცვლება, დიდდება ან ეცემა (რამდენადაც ეს მოქმედება არ ბათილდება სხვა განმსაზღვრელი მომენტების მოძრაობით), ზედმეტი ღირებულების ნორმის ცვლილებასთან ერთად. ზედმეტი ღირებულების ნორმა კი დიდდება და ეცემა შრომის ნაყოფიერების ცვლილების მიმართ პირდაპირი მიმართულებით, და ხელფასის წარმოების ხარჯების, ანუ აუცილებელი შრომის რაოდენობის, ე. ი. შრომის ღირებულების ცვლილების მიმართ უეზრუ ებუღლი მიმართულებით.

ხოლო მეორე, მოგების ნორმა განისაზღვრება ცვალებადი კაპიტალის შეფარდებით მთელ კაპიტალთან: $\frac{v}{c+v}$. საქმე ისაა, რომ ზედ-

მეტი ღირებულების აბსოლუტური სიდიდე, როცა ზედმეტი ღირებულების ნორმა მოცემულია, დამოკიდებულია მხოლოდ ცვალებადი კაპიტალის სიდიდეზე; ეს უკანასკნელი კი, ჩვენი ვარაუდის თანახმად, განისაზღვრება ერთდროულად გამოყენებული სამუშაო დღეების რაოდენობით, გამოყენებული სამუშაო დროის აბსოლუტური სიდიდით, ანუ მხოლოდ გამოხატავს ამ რაოდენობას, ამ სიდიდეს. მოგების ნორმა დამოკიდებულია ზედმეტი ღირებულების ამ აბსოლუტური სიდიდის, ცვალებად კაპიტალში მოცემული სიდიდის, შეფარდებაზე მთელ კაპიტალთან, ე. ი. დამოკიდებულია ცვალებადი კაპიტალის შეფარდებაზე მთელ კაპიტალთან, $\frac{v}{c+v}$ -ზე. რადგან მოგების ნორმის გამოანგარიშებისას ივარაუდება,

რომ ზედმეტი ღირებულება M მოცემულია, მაშასადამე, ივარაუდება, რომ მოცემულია აგრეთვე v , ამიტომ ყველა ცვლილება $\frac{v}{c+v}$ -ში შე-

იძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ c -ში მომხდარი ცვლილებებიდან, ე. ი. მუდმივი კაპიტალიდან. ვინაიდან თუ მოცემულია v , მაშინ ჯამი $c+v$, ანუ K , შეიძლება იცვლებოდეს მხოლოდ მაშინ, როცა იცვლება c , ამ ჯამის შეცვლასთან ერთად კი იცვლება შეფარდება $\frac{v}{c+v}$,

ანუ $\frac{v}{K}$.

თუ $v=100$ -ს და $c=400$ -ს, მაშინ $v+c=500$ -ს, და $\frac{v}{v+c} = \frac{100}{500} =$

$=\frac{1}{5}=20\%$. ამრიგად, თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა შეადგენდა $\frac{1}{10}$ -ს, ანუ $\frac{1}{2}$ -ს, მაშინ ზედმეტი ღირებულება იქნება 50. მაგრამ რადგან ცვალებადი კაპიტალი შეადგენს მთელი კაპიტალის მხოლოდ $\frac{1}{5}$ -ს, ამიტომ მოგება იქნება $\frac{1}{5}$ -ის $\frac{1}{2}$, ე. ი. მთელი კაპიტალის $\frac{1}{10}$. და მართლაც,

$\frac{1}{10} \cdot 500$ -დან იქნება 50. მოგების ნორმა იქნება 10%. შეფარდება $\frac{v}{v+c}$,

იცვლება c სიდიდის ყოველ ცვლილებასთან ერთად, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა იმავე რიცხობრივი გამოხატულებით. თუ ვიგულისხმებთ, რომ თავდაპირველად როგორც v , ისე c -ც უდრიდა 10-ს, ე. ი. რომ ერთობლივი კაპიტალი შედგებოდა სანახევროდ ცვალებადი და სანახევროდ

მუდმივი კაპიტალისაგან, მაშინ $\frac{v}{v+c} = \frac{10}{10+10} = \frac{10}{20} = 1/2$. ამრიგად,

თუ ზედმეტი ნორმა [die Mehrtrate] უდრიდა $1/2 v$ -ს, ახლა იგი იქნება K -ს $1/4$. ანდა, თუ ზედმეტი ღირებულება შეადგენს 50%-ს, მაშინ განსახილველ შემთხვევაში, სადაც ცვალებადი კაპიტალი შეადგენს $\frac{K}{2}$ -ს,

მოგების ნორმა იქნება 25%. თუ ახლა ვიგულისხმებთ, რომ მუდმივი კაპიტალი ორჯეცდება, 10-დან 20-მდე იზრდება, მაშინ $\frac{v}{c+v} = \frac{10}{20+10} = \frac{10}{30} = 1/3$. (ზედმეტი ნორმა, რომელიც შეადგენს $1/2$ -ს 10-დან, იქნე-

ბოდა ახლა $1/2 \cdot 1/3 K$ -დან, ე. ი. $1/6$ 30-დან, ე. ი. იგი იქნებოდა 5. ნახევარი 10-დან ასევე არის 5. 10-ზე გამოანგარიშებული ეს 5 ერთეული იძლევა 50%-ს. გამოანგარიშებული 30-ზე, იგი იძლევა $16 \frac{2}{3}\%$ -ს. წინათ კი ეს 5 ერთეული გამოანგარიშებოდა 20-ზე და იძლეოდა $1/4$ -ს, ე. ი. 25%-ს). მუდმივი კაპიტალი გაორჯეცდა, ე. ი. გადიდა 10-დან 20-მდე; მაგრამ ჯამი $c+v$ გაიზარდა მხოლოდ სანახევროდ, სახელდობრ 20-დან 30-მდე. მუდმივი კაპიტალი გადიდა 100%-ით, ჯამი $c+v$ მხოლოდ 50%-ით.

შეფარდება $\frac{v}{c+v}$, რომელიც თავდაპირველად $\frac{10}{20}$ -ს უდრიდა, შემცირ-

და სულ მხოლოდ $\frac{10}{30}$ -მდე, $1/2$ -დან $1/3$ -მდე, ანუ $3/6$ -დან $2/6$ -მდე, ე. ი.

შემცირდა მხოლოდ $1/6$ -ით, მაშინ როდესაც მუდმივი კაპიტალი გაორჯეცდა. თუ როგორ ეხება მუდმივი კაპიტალის ზრდა თუ შემცირება პრო-

პორციას $\frac{v}{c+v}$, ეს, ცხადია, დამოკიდებულია იმ პროპორციაზე, რომ-

ლითაც $c+v$ თავდაპირველად შეადგენდნენ $c+v$ -ის ჯამის მიერ შექმნილი მთელი K კაპიტალის ნაწილებს.

[344] მუდმივი კაპიტალი (ე. ი. მისი ღირებულება) შეიძლება იზრდებოდეს (ან ეცემოდეს), ჯერ ერთი, როცა უცვლელი რჩება გამოყენებული ნედლეულის, მანქანებისა და ა. შ. მასა. მაშასადამე, ამ შემთხვევაში მუდმივი კაპიტალის ცვლილებანი არაა გაპირობებული იმ წარმოების პროცესის საწარმოო პირობებით, რომელშიც იგი შედის როგორც მუდმივი კაპიტალი, არამედ ეს ცვლილებანი ხდება მათგან დამოუკიდებლად. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს მუდმივი კაპიტალის ღირებულების ამ ცვლილების გამომწვევი მიზეზები, ისინი მუდამ

გავლენას ახდენენ მოგების ნორმაზე. ამ შემთხვევაში ნედლეულის, მანქანების და ა. შ. იმავე მასას უფრო მეტი ანდა უფრო ნაკლები ღირებულება აქვს, ვიდრე უწინ ჰქონდა, იმიტომ, რომ სათი წარმოებისათვის საჭირო შეიქნა უწინდელთან შედარებით უფრო მეტი ანდა უფრო ნაკლები სამუშაო დრო. აქ ღირებულების ცვლილებანი გაპირობებულია იმ პროცესების საწარმოო პირობებით, რომლებიდანაც მუდმივი კაპიტალის ნაწილები პროდუქტების სახით გამოდიან. ზემოთ* ჩვენ გამოვიკვლიეთ, როგორ მოქმედებს ეს შოგების ნორმაზე.

მაგრამ როცა წარმოების ერთსა და იმავე დარგში მუდმივი კაპიტალის (მაგალითად, ნედლეულის) ღირებულება იზრდება ან ეცემა თვით ამ მუდმივი კაპიტალის წარმოების გაძვირების თუ გაიაფების შედეგად, ეს მოგების ნორმაზე საცესებით იმავე გავლენას ახდენს, როგორსაც ადგილი აქვს იმ შემთხვევებში, როცა წარმოების ერთ-ერთ დარგში (ანდა იმავეშიც კი) ერთი საქონლისათვის უფრო ძვირი ნედლეული გამოიყენება, ვიდრე მეორე საქონლისათვის, — ხელფასზე დანახარჯის ტოლობის პირობებში.

იქ, სადაც ხელფასზე ერთნაირი დანახარჯის პირობებში ერთი კაპიტალის მიერ გადამუშავებული ნედლეული (მაგალითად, ხორბალი) უფრო ძვირია იმ ნედლეულზე (მაგალითად, შვრიასზე), რომელსაც მეორე კაპიტალი გადაამუშავებს (ანდა: ვერცხლი და სპილენძი და ა. შ., მატყლი და ზამბა და ა. შ.), იქ ორივე ამ კაპიტალის მოგების ნორმა შებრუნებულ მიმართებაში უნდა იყოს ნედლეულის სიძვირესთან. ამიტომ, თუ წარმოების ორივე დარგში საშუალოდ ერთნაირი მოგება მიიღება, ეს შესაძლებელია მხოლოდ იმის შედეგად, რომ კაპიტალისტების კლასს შიგნით ზედმეტი ღირებულება ნაწილდება სხვადასხვა კაპიტალისტებს შორის არა იმ ზედმეტი ღირებულების შესაბამისად, რომელსაც ყოველი კაპიტალი აწარმოებს თავის განსაკუთრებულ წარმოების სფეროში, არამედ გამოყენებული კაპიტალების მოცულობის შესაბამისად. ეს შეიძლება ხდებოდეს ორნაირად. A, რომელიც უფრო იაფ მასალას გადაამუშავებს, თავის საქონელს ყიდის მისი ნამდვილი ღირებულების მიხედვით და, მაშასადამე, ფულის ფორმით ღებულობს მის მიერვე წარმოებულ ზედმეტ ღირებულებას. მისი საქონლის ფასი უდრის ამ საქონლის ღირებულებას. B, რომელიც უფრო ძვირ მასალას გადაამუშავებს, თავის საქონელს ყიდის მის ღირებულებაზე უფრო მაღალ ფასად, ფასს აწესებს ისეთ დონეზე, [რომლის დროსაც საქონელი მას იმავე მოგებას აძლევს,] თითქოს იგი უფრო იაფ მასალას ამუშავებდეს. თუ შემდეგ A

* იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 224—232. რ ე დ

და B თავიანთ საქონელს ერთიმეორეს უცვლიან, ეს A-სთვის იგივეა, თითქოს მას თავისი საქონლის ფასში უფრო ნაკლები ზედმეტი ღირებულების კალკულირება მოეხდინოს, ვიდრე სინამდვილეში ამ ღირებულებას საქონელი შეიცავს. ასეთივე მდგომარეობა გვექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ორივენი, A და B, წინასწარ დააწესებდნენ მოგების ნორმას დახარჯული კაპიტალის სიდიდის შესაბამისად, ე. ი. თუ ისინი ერთობლივ ზედმეტ ღირებულებას ერთმანეთს შორის გაიყოფდნენ მათ მიერ დახარჯული კაპიტალების შესაბამისად. და ეს კი სწორედ ის არის, რასაც ჩვენ მოგების საერთო ნორმაში ვგულისხმობთ⁸⁶.

თავისთავად ვასაგებია, რომ ამგვარი გათანაბრება არ ხდება იმ შემთხვევებში, როცა გარკვეული კაპიტალის (მაგალითად, ნედლეული) მუდმივი ნაწილის ღირებულება იზრდება ან ეცემა მოკლე დროით — ცუდი ან კარგი მოსავლის და ა. შ. შედეგად, თუმცა ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ არაჩვეულებრივი მოგება, რასაც ბაზმის სართავი საწარმოები ღებულობენ, მაგალითად, ბაზმის განსაკუთრებულად უხვი მოსავლის წლებში, მიიზიდავს მრეწველობის ამ დარგში უამრავ ახალ კაპიტალს და სტიმულს მისცემს ახალი ფაბრიკებისა და ბაზმის დამამუშავებელი მანქანების მშენებლობას. ამიტომ, თუ ამის შემდეგ ბაზმისათვის ცუდი წელი დგება, ეს კიდევ უფრო ადიდებს დანაკარგს. [ბაზმის ფასების უეცარი გადიდების გამო].

მეორე, მანქანებისა და ნედლეულის, მოკლედ — მუდმივი კაპიტალის წარმოების ხარჯების უცვლელობისას, შეიძლება საჭირო გახდეს ამ მუდმივი კაპიტალის უფრო მეტი მასა და, მაშასადამე, შესაბამისად გაიზარდოს მისი ღირებულება, — იმის გამო, რომ შეიცვალა საწარმოო პირობები იმ პროცესებისა, რომლებშიც მუდმივი კაპიტალის აღნიშნული შემადგენელი ნაწილები შედიან წარმოების საშუალებათა სახით. ამ შემთხვევაში, ისევე როგორც წინა შემთხვევაშიც, მუდმივი კაპიტალის ღირებულების ზრდა, რა თქმა უნდა, მოგების ნორმის დაცემას იწვევს; მაგრამ, მეორე მხრივ, თვით ეს ცვლილებანი საწარმოო პირობებისა მოწმობენ იმას, რომ შრომა გახდა აქ უფრო ნაყოფიერი და რომ, მაშასადამე, მოგების ნორმა გადიდდა. ვინაიდან ცოცხალი შრომის წინანდელი რაოდენობა აქ უფრო მეტ ნედლეულს ხმარობს უწინდელთან შედარებით, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ამ ნედლეულს უფრო მოკლე დროის განმავლობაში გადაამუშავებს, და უფრო მეტი მანქანები გამოიყენება აქ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ მანქანათა ღირებულება უფრო ნაკლებია, ვიდრე იმ შრომის ღირებულება, რომელსაც ეს მანქანები შეცვლიან. აქ, მაშასადამე, მოგების ნორმის დაცემა ცოტად თუ ბევრად

ნაზღაურდება ზედმეტი ღირებულების ნორმის, და ამიტომ აგრეთვე ზედმეტი ღირებულების აბსოლუტური სიდიდის, ზრდით.

ბოლოს, მუდმივი კაპიტალის ღირებულების ცვლილების გამომწვევ-ორივე გარემოებას შეუძლია ერთდროულად იმოქმედოს მეტად განსხვავებული თანაფარდობებით. მაგალითად, (345) ხაში ბამბის საშუალო ღირებულება შემცირდა, მაგრამ იმავდროულად კიდევ უფრო მეტად გაიზარდა დროის გარკვეულ მონაკვეთში გადასამუშავებელი ბამბის მთელი მასის ღირებულება. მეორე მაგალითი: გაიზარდა ერთი გირვანქა მატყლის ღირებულება და მატყლის მთელი მასის ღირებულება, რომლის გადასამუშავება ხდება დროის გარკვეულ მონაკვეთში. მესამე მაგალითი: გამოყენებულ მანქანების მთელი გადიდებული მასა აბსოლუტურად უფრო გაძვირდა, მაგრამ მათს სიმძლავრესთან შედარებით ეს მანქანები უფრო გაიფდა და ა. შ.

აქამდე იგულისხმებოდა, რომ ცვალებადი კაპიტალი უცვლელი რჩება. მაგრამ ცვალებადი კაპიტალი შეიძლება თვითონაც იცვლებოდეს არა მარტო შეფარდებით, მუდმივი კაპიტალის სიდიდესთან შედარებით, არამედ აბსოლუტურადაც — მაგალითად, მიწათმოქმედებაში. ანდა ცვალებადი კაპიტალი შეიძლება აბსოლუტურად იზრდებოდეს. მაგრამ მაშინ იგივე გამოდის, თითქოს იგი უცვლელი დარჩენილიყოს, რამდენადაც მუდმივი კაპიტალი, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, იზრდება ან უფრო დიდი ოდენობით, ანდა იმავე ოდენობით.

თუ მუდმივი კაპიტალი უცვლელი რჩება, მაშინ ყოველი მისი გადიდება თუ შემცირება ცვალებად კაპიტალთან შეფარდებით აიხსნება მხოლოდ იმით, რომ მუდმივი კაპიტალის გადიდება თუ შემცირება ხდება ცვალებადი კაპიტალის აბსოლუტური შემცირების ან გადიდების შედეგად.

თუ ცვალებადი კაპიტალი უცვლელი რჩება, მაშინ მუდმივი კაპიტალის ყოველი გადიდება თუ შემცირება შეიძლება აიხსნას მხოლოდ მისი საკუთარი აბსოლუტური გადიდებით ან შემცირებით.

თუ ადგილი აქვს იმავდროულად ორივე კაპიტალის ცვლილებებს, მაშინ იმ ცვლილების გამოკლების შემდეგ, რომელიც ერთნაირია ორივეში, გამოდის იგივე, თითქოს ერთი კაპიტალი უცვლელი დარჩა, მეორე კი გადიდდა ან შემცირდა.

მაგრამ რაკი მ ო გ ე ბ ის ნ ო რ მ ა უ ე ვ ე მოცემულია, მოგების მასა დამოკიდებულია გამოყენებული კაპიტალების სიდიდეზე. მსხვილი კაპიტალი მოგების დაბალი ნორმით უფრო მეტ მოგებას იძლევა, ვიდრე მცირე კაპიტალი მოგების მაღალი ნორმით.

* * *

აქ შეიძლება დავასრულოთ ეს გადახვევა.

ჯ. სტ. მილის თხზულებაში საჭიროა აღინიშნოს კიდევ მხოლოდ ორი შემდეგი დებულება:

«კაპიტალს, არსებითად, არ გააჩნია მწარმოებლური ძალა. ერთადერთი მწარმოებლური ძალა არის შრომის ძალა, რომელიც, რა თქმა უნდა, სარგებლობს იარაღების დახმარებით და მოქმედებს ამა თუ იმ მასალაზე» (ციტირ. თხზ., გვ. 90).

არსებითად, მილი აქ ერთმანეთში ურევს კაპიტალსა და იმ ნივთობრივ შემადგენელ ნაწილებს, რომელთაგანაც ეს კაპიტალი შედგება. მაგრამ ეს დებულება კარგია იმათთვის, ვინც ამჟვე არევის აკეთებს და მიუხედავად ამისა კაპიტალის მწარმოებლურ ძალაზე ლაპარაკობს. ასევე აქაც, რასაკვირველია, მილის მტკიცება სწორია იმდენად, რამდენადაც ღირებულების წარმოება იგულისხმება. სხვათა შორის ბუნებაც ხომ აწარმოებს, თუ მხოლოდ სახმარ ღირებულებაზე ვილაპარაკებთ.

«კაპიტალის მწარმოებლური ძალა სხვა არაფერია, თუ არა რეალური მწარმოებლური ძალის ის რაოდენობა, რომელიც კაპიტალისტს შეუძლია ჰქონდეს თავის განჯარგულებაში თავისი კაპიტალის მეოხებით» (ციტირ. თხზ., გვ. 91).

აქ კაპიტალი მართებულად არის გაგებული როგორც წარმოებითი ურთიერთობა. [VIII—345]

* * *

[XIV—851] ერთ-ერთ წინა რვეულში⁸⁷ მე დაწვრილებით განვიხილე ის ნაძალადევი ცდები, რომელთაც მილი აკეთებს (თხზულებაში «Some Unsettled Questions» etc. London, 1844), რათა რიკარდოსეული კანონი მოგების ნორმის შესახებ (ხელფასთან მისი უკუპროპორციულობის შესახებ) უშუალოდ ღირებულების თეორიიდან გამოიყვანოს, არ განასხვავებს რა ერთიმეორისაგან ზედმეტ ღირებულებასა და მოგებას.

[8] დ ა ს კ ე ნ ა]

რიკარდოს სკოლის მთელი ზემოაღნიშნული გადმოცემა გვიჩვენებს, თუ როგორ დაიყვანება ამ სკოლის დაშლა ორ პუნქტზე:

1) გაცვლა კაპიტალსა და შრომას შორის ღირებულების კანონის შესაბამისად.

2) მოგების საერთო ნორმის წარმოქმნა. ზედმეტი ღირებულების და მოგების გაიგივება. ღირებულებებსა და ხარჯთფასებს შორის დამოკიდებულების გაუგებლობა.

[თავი ოცდამეერთე]

**ეკონომისტიკის პროლეტარული მოწინააღმდეგენი,
რომლებიც გამოდიოდნენ რიკარდოსაული თეორიიდან**

[852] პოლიტიკური ეკონომიის რიკარდოსდროინდელ პერიოდში ამასთანავე გვევლინებიან [ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის] მოწინააღმდეგენიც — კომუნიზნი (ოუენი) და სოციალიზმი (ფურიე, სენ-სიმონი) (სოციალიზმი თავისი განვითარების ჯერ მხოლოდ ყველაზე დაწყებით სტადიაში). მაგრამ, ჩვენი გეგმის შესაბამისად, აქ უნდა განვიხილოთ მხოლოდ ის მოწინააღმდეგენი, რომლებიც თვითონ გამოდიან ეკონომისტების წანამძღვრებიდან.

ჩვენ მიერ შემდეგში ციტირებული თხზულებებიდან დავინახავთ, რომ ისინი ყველანი, მართლაც, რიკარდოსეულ ფორმას ემყარებიან.

1) პამფლეტი «THE SOURCE AND REMEDY OF THE NATIONAL DIFFICULTIES ETC.»

[ა] ვიხილულეა მოგებაჲ, რენტაჲ და სარბეაღჲო
როგორც მუშების ზადმებ შრომაჲ. თანაფარდობა
კაპიტალის დაჯრომებასა და ებრეთ წოდებულ
«სამუშაო ფონდს შორის»]

The Source and Remedy of the National Difficulties, deduced from Principles of Political Economy, in a Letter to Lord John Russel. London, 1821 (ავტორის შიუთითებლად).

ეს ნაკლებად ცნობილი პამფლეტი (დაახლოებით 40 გვერდის მოცულობით), რომელიც იმ დროს გამოქვეყნდა, როცა «ამ წარმოუდგენელმა მჭლანელმა»⁸⁵ მაკ-კულოხმა პირველად მიიქცია ყურადღება, შეიცავს არსებითად წინგადადგმულ ნაბიჯს რიკარდოსთან შედარებით. ზედმეტ ღირებულებას, ანუ «მოგებას», როგორც მას უწოდებს რიკარდო (იგი ხშირად მას აგრეთვე «ზედმეტ პროდუქტს» უწოდებს), ანუ «ს ა რ გ ე-

ბ ე ლ ს», როგორც მას პამფლეტის ავტორი უწოდებს, ეს ავტორი პირდაპირ ახსიათებს როგორც «ზ ე დ მ ე ტ შ რ ო მ ა ს», შრომას, რომელსაც მუშა უსასყიდლოდ ასრულებს, — ასრულებს შრომის იმ რაოდენობის გადამეტებით, რომლითაც ნაზღაურდება მისი სამუშაო ძალის ღირებულება, ანუ იწარმოება მისი ხელფასის ეკვივალენტი. რამდენადაც მნიშვნელოვანი იყო ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს დაყვანა შრომაზე, იმდენადვე მნიშვნელოვანი იყო ზ ე დ მ ე ტ პ რ ო ლ უ ქ ტ შ ი წარმოდგენილი ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს დაყვანა ზ ე დ მ ე ტ შ რ ო მ ა ზ ე. სინამდვილეში ეს ნათქვამი იყო უკვე ა. სმიტის მიერ* და შეადგენს რიკარდოს მოძღვრების ერთ-ერთ მთავარ მომენტს. მაგრამ რიკარდოს მიერ ეს არსად არ ყოფილა გამოთქმული და ფიქსირებული ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი ფ ო რ მ ი თ.

თუ რიკარდოსა და სხვა ეკონომისტების ინტერესი მხოლოდ ის იყო, რომ გავეოთ კაპიტალისტური წარმოების ურთიერთობანი და გამოეცხადებინათ ეს უკანასკნელი წარმოების აბსოლუტურ ფორმებად, აღნიშნული პამფლეტი და დანარჩენი აქ განსახილველი თხზულებანი იმავე კატეგორიისა ეუფლებიან რიკარდოსა და სხვა ეკონომისტების მიერ გამოქვეყნებულ კაპიტალისტური წარმოების საიდუმლოებებს, რათა სამრეწველო პროლეტარიატის პოზიციებიდან გაილაშქრონ კაპიტალისტური წარმოების წინააღმდეგ.

[პამფლეტის ავტორი ამბობს:]

«რამდენიც არ უნდა გ რ გ ე ბ ო დ ე ს წილად კაპიტალისტს» (კაპიტალის თვალსაზრისით), «მას შეეუძლია მიიღოს მხოლოდ მუშის ზედმეტი შრომა, რადგან მუშამ უნდა ი ა რ ს ე ბ ო ს» (აღნ. თხზ., გვ. 23).

ცხოვრების ეს აუცილებელი პირობები, ეს მინიმუმი, რომლითაც მუშას შეუძლია იარსებოს, და ამიტომ ზედმეტი შრომის ის რაოდენობაც, რომლის გამოწურვაც მისგან შეიძლება, მართლაც, რაღაც მეტად შეფარდებითია.

«თუ კაპიტალის ზრდის შესაბამისად ამ კაპიტალის ღირებულება** არ მცირდება, მაშინ კაპიტალისტები გამოწურავენ მუშებისაგან ყოველი სამუშაო საათის პროდუქტს იმ მინიმუმის გარდა, რომლითაც მუშას შეეუძლია იარსებოს. და რაგინდ საშინელი და საძაგელიც არ გვეჩვენებოდეს ეს, კაპიტალისტს შეუძლია საბოლოოდ ორიენტაცია აღოს ისეთ კვების საგნებზე, რომელთა წარმოებაც შრომის უმცირეს რაოდენობას მოითხოვს, და, ბოლოს, მუშას უთხრას: შენ არ უნდა ჰამო პური, რადგან ქერის ფქვილი უფრო იაფია; შენ არ უნდა ჰამო ხორცი, რადგან ჭარხლით და კარტოფილით არსებობა შეიძლება. და ჩვენ უკვე მივედით აქამდე» (იქვე, გვ. 23—24).

* — იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 59—67 და ნაწილი II, გვ. 542—543. რ ე დ.

«თუ მუშა შეიძლება იქამდე მიიყვანო, რომ იგი პურის ნაცვლად კარტოფილით ისაზრდოებს, მაშინ უდავოდ სწორია, რომ ასეთი მდგომარეობის დროს მისი შრომიდან უფრო მეტის ამოქაჩვა შეიძლება; ე. ი. თუ პურით კვებისას იგი იძულებული იყო საკუთარი თავისა და თავისი ოჯახის შესანახად ორშაბათისა და სამშაბათის შრომა დაეხარჯა, მაშინ კარტოფილით საზრდოობისას მას დასჭირდება ამისთვის მხოლოდ ორშაბათის ნახევარი, ხოლო ორშაბათის მეორე ნახევარი და მთელი სამშაბათი განთავისუფლება სახელმწიფოს სასარგებლოდ ანდა კაპიტალისტისათვის» (იქვე, გვ. 26).

აქ მოგება და ა. შ. პირდაპირ დაყვანილია ისეთი სამუშაო დროის მითვისებაზე, რომელშიც მუშა არავითარ ეკვივალენტს არ იღებს.

«საერთოდ აღიარებულია, რომ სარგებელს, რომელსაც კაპიტალისტებს უხდიან, რენტის ფორმის იწნება ეს, ხესხის სარგებლის თუ მეწარმის მოგების ფორმით, სხეების შრომიდან იხდიან» (იქვე, გვ. 23).

მაშასადამე, რენტა, სესხის სარგებელი, მეწარმის მოგება მხოლოდ სხვადასხვა ფორმაა იმ «კაპიტალისტის სარგებლისა», რომელიც, თავის მხრივ, «მუშის ზედმეტ შრომაზე» დაიყვანება. ეს ზედმეტი შრომა წარმოდგენილია ზედმეტ პროდუქტში. კაპიტალისტი ზედმეტი შრომის ანუ ზედმეტი პროდუქტის მფლობელია. ზედმეტი პროდუქტი არის კაპიტალი.

«დაეუშვათ, რომ ... არ არის არავითარი ზედმეტი შრომა, არ არის, მაშასადამე, არაფერი ისეთი, რაც შეიძლებოდა კაპიტალის სახით დაგროვილიყო...» (იქვე, გვ. 4).

და იქვე ამის შესახებ იგი ამბობს:

«ზედმეტი პროდუქტის, ანუ კაპიტალის მფლობელები...» (იქვე).

სრულიად სხვა აზრით, ვიდრე მოწუწუნე რიკარდოელები, ავტორი ამბობს:

«კაპიტალის გადიდების ბუნებრივი და აუცილებელი შედეგია მისი ღირებულების შემცირება» (გვ. 22).

რიკარდოს შესახებ იგი ამბობს:

«რისთვის იწუხებს თავს იმის დასამტკიცებლად, რომ კაპიტალის ვერაერთარი დაგროვება ვერ შემცირებს მოგებას, რადგან მოგების შემცირება მხოლოდ ხელფასის გადიდებას შეუძლია, — რაკი ირკვევა, რომ თუ მოსახლეობა არ იზრდება კაპიტალის ზრდასთან ერთად, ხელფასი ღიღდება კაპიტალსა და შრომის შორის არსებული შეუსაბამობის გამო, ხოლო თუ მოსახლეობა ამასთან იზრდება, ხელფასი ღიღდება კვების საშუალებათა მოპოვების სიძნელის გამო?» (გვ. 23).

[853] «კაპიტალის ღირებულება», — ე. ი. «კაპიტალის სარგებელი», ე. ი. ის ზედმეტი შრომა, რომელიც კაპიტალის განკარგულებაშია, რომელსაც იგი მიითვისებს, — რომ არ მცირდებოდეს კაპიტალის სიდიდის ზრდის კვალობაზე, მაშინ მოხდებოდა სარგებელთა სარგებლის მატება, ადგილი ექნებოდა გეომეტრიულ პროგრესიას; და მსგავსად იმისა როგორც ეს ფულში გამოანგარიშებული პროგრესია (იხ. პ რ ა ი ს ი) გულისხმობს **შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ** დაგროვებას (დაგროვების შეუძლებელ ნორმას), ასევე მისი დაყვანისას მის ნამდვილ ელემენტზე, შრომაზე, იგი შთანთქამდა არა მარტო ზედმეტ შრომას როგორც «კაპიტალის კუთვნილ წილს», არამედ აუცილებელ შრომასაც. (პრაისის ფანტაზიას დავუბრუნდებით განყოფილებაში შემოსავლისა და მისი წყაროების შესახებ⁹⁰.)

შესაძლებელი რომ იყოს კაპიტალის განუწყვეტლივ გადიდება და იმავე დროს კაპიტალის ღირებულების წინანდელ დონეზე შენარჩუნება, რას მაჩვენებელიც სესხის სარგებლის განაყვითის უცვლლობა იქნებოდა, მაშინ სარგებელი, რასაც კაპიტალით სარგებლობისათვის იხდიან, სულ მალე გადააჭარბებდა შრომის მთელ პროდუქტს. კაპიტალს აქვს ტენდენცია — გააძლიოს კაპიტალი არითმეტიკულ პროგრესიაზე უფრო მეტად. საერთოდ აღიარებულია, რომ **ს ა რ გ ე ბ ე ლ ს**, რომელსაც კაპიტალისტებს უხდიან, რენტის ფორმით **იქნება** ეს, სესხის **ს ა რ გ ე ბ ლ ი ს** თუ შეწარმის **მ ო გ ე ბ ი ს** ფორმით, სხეების შრომიდან იხდიან. ამიტომ, თუ კაპიტალის დაგროვება გრძელდება, და თუ სარგებლის წინანდელი განაყვითი შენარჩუნებულია, ის შრომა, რომელსაც კაპიტალით სარგებლობისათვის იძლევიან. სულ უფრო უნდა იზრდებოდეს, ვიდრე რომელიმე ქვეყნის ყველა მუშის შრომა შთანთქმებოდა კაპიტალისტის მიერ. მაგრამ ეს არასდროს არ შეიძლება მოხდეს; ვინაიდან, რამდენიც არ უნდა ერგებოდეს **წ ი ლ ა დ** კაპიტალისტს, მას შეუძლია მიიღოს **მ ხ ო ლ ო დ** მუშის **ზ ე დ მ ე ტ ი შ რ ო მ ა**, რადგან მუშამ უნდა იარსებოს» (გვ. 23).

მაგრამ თუ როგორ მცირდება «კაპიტალის ღირებულება», პამფლეტის ავტორისათვის არაა ნათელი. იგი თვითონ ამბობს, რომ რიკარდოს აზრით ეს ან იმის მეოხებით ხდება, რომ ხელფასი დიდდება, როცა კაპიტალი უფრო სწრაფად გროვდება, ვიდრე მოსახლეობა იზრდება, ანდა იმის მეოხებით, რომ დიდდება ხელფასის **ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა** (მაგრამ არა მისი რაოდენობა საარსებო საშუალებათა სახით), როცა მოსახლეობა იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე კაპიტალი გროვდება (ანდა თუნდაც მათი [თანაბარი] **ი მ ა ვ დ რ ო უ ლ ი ზ რ დ ი ს** დროსაც კი), მიწათმოქმედების კლებადი ნაყოფიერების შედეგად. მაგრამ როგორ ხსნის ამას ჩვენი ანონიმური ავტორი? უკანასკნელს იგი არ იზიარებს; ხელფასი, მისი აზრით, სულ უფრო მცირდება შესაძლო მინიმუმამდე. იგი ამბობს, რომ [კაპიტალის «სარგებლის» შემცირება] შესაძლებელია მხოლოდ იმის შედეგად, რომ, თუმცა მუშას ექსპლოატაციას უწყევნ უფრო მეტად ან იმდენადვე, კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც ცოცხალ შრომაზე გაცივდება, შეფარდებით მცირდება.

ყოველ შემთხვევაში, ანონიმური ავტორის დამსახურება ისაა, რომ უაზრობა სარგებელთა გეომეტრიული პროგრესიის შესახებ მან დაიყვანა ამ პროგრესიის ნამდვილ აზრამდე, ე. ი. უაზრობამდე*.

ამასთან, ანონიმური ავტორის აზრით, არსებობს ორი ხერხი იმის დასაბრკოლებლად, რომ ზედმეტი პროდუქტის ანუ ზედმეტი შრომის ზრდასთან ერთად კაპიტალი იძულებული არ გახდეს უკანვე აძლიოს მუშებს მის მიერ ძარცვით მითვისებულის სულ უფრო მეტი ნაწილი.

პირველი ხერხია ზედმეტი პროდუქტის გადაქცევა ძირითად კაპიტალად, რაც ხელს უშლის იმას, რომ «სამუშაო ფონდი», ანუ მუშის მიერ მოხმარებული ნაწილი პროდუქტისა აუცილებლად უნდა იზრდებოდეს კაპიტალის დაგროვებასთან ერთად.

მეორე ხერხია საგარეო ვაჭრობა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს კაპიტალისტებს გაცვალონ ზედმეტი პროდუქტი ფუფუნების საზღვარგარეთულ საგნებზე და ამრიგად თვითონ მოიხმარონ იგი. ამის შემდეგობით პროდუქტის ის ნაწილიც კი, რომელიც პირველი საჭიროების საგნების საგანებზე შედგება, სავსებით შეიძლება იზრდებოდეს ისე, რომ ამისათვის აუცილებელი არ იყოს ხელფასის სახით მისი უკუმოდინება მუშებთან, თუნდც რომდენადმე თათვის ზრდის შესაბამისად.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ხერხი, რომელიც მხოლოდ პერიოდულად მოქმედებს, შემდეგ კი თავის მოქმედებას აღუნებს (ყოველ შემთხვევაში იმდენად, რამდენადაც ძირითადი კაპიტალი ისეთი მანქანებისაგან და ა. შ. შედგება, რომელნიც თვითონ შედიან აუცილებელი საჭიროების საგნების წარმოებაში), განაპირობებს ზედმეტი პროდუქტის გადაქცევას კაპიტალად, მაშინ როდესაც მეორე ხერხი განაპირობებს კაპიტალისტების მიერ ზედმეტი პროდუქტის სულ უფრო მზარდი ნაწილის მოხმარებას, ამ კაპიტალისტთა მზარდ მოხმარებას, და არა

*[XV—862a] ზედმეტი ღირებულებისა და ზედმეტი შრომის იდენტურობით დადგენილია თვისებრივი საზღვარი კაპიტალის დაგროვებისათვის — ერთობლივი სამუშაო დღე (დრო, რომლის განმავლობაშიც სამუშაო ძალას 24 საათის ფარგლებში მოქმედება შეუძლია), ყოველ მოცემულ მომენტში არსებული საფეხური მწარმოებლური ძალების განვითარებისა და მოსახლეობა, რომელიც აწესებს იმედროულად საქესპლოატაციო სამუშაო დღეების რიცხვს. პირიქით, თუ ზედმეტ მოგებას განვიხილავთ სარგებლის უაზრო ფორმით, ე. ი. როგორც ურთიერთობას, რომელშიც კაპიტალი რაღაც მისტიური თვალთმაქცობის მეშვეობით მრავლდება, მაშინ საზღვარი აღმოჩნდება მხოლოდ რაოდენობრივი და აბსოლუტურად გაუგებარია, თუ რატომაც, რომ კაპიტალი ყოველ მეორე დღეს სულ ახლად და ახლად არ მოუმატებს თავის თავს სარგებელს ახალი კაპიტალის სახით და ამით არ შექმნის სარგებელთა სარგებლის უსასრულო პროგრესისას. [XV—862a]

ზედმეტი პროდუქტის უკუგარდაქმნას კაპიტალად. თუ მოცემული ზედმეტი პროდუქტი იმ ფორმით დარჩებოდა, რომელშიც ის უშუალოდ არსებობს, მაშინ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ცვალებადი კაპიტალის სახით უნდა გაცვალოს მუშებისათვის. ამის შედეგი იქნებოდა ხელფასის გადიდება და აბსოლუტური ან შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების შემცირება. ეს არის არსებითად საიდუმლოება მალთუსის მიერ რეკლამირებული აუცილებლობის «მდიდართა» მზარდი მოხმარების შესახებ. რათა პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც შრომაზე გაიცვლება, კაპიტალად გადაიქცევა, მალალი ღირებულება ჰქონდეს, დიდ მოგებას იძლეოდეს, ბევრ ზედმეტ შრომას უთანთქავდეს. ოღონდ მალთუსი ამ გაძლიერებულ მოხმარებას აკისრებს არა თვით მრეწველ კაპიტალისტებს, არამედ ამ ფუნქციისათვის იგი გამოყოფს მიწის მესაკუთრეებს, სინეკურათა და ა. შ. მფლობელებს, რადგან სტიმული დაგროვებისა და სტიმული მფლანგველობისა, ერთსა და იმავე პიროვნებაში შეერთებულნი, ერთიმეორეს ოდნეუზამდნენ. აქ მქლავდება აგრეთვე ის, რაც მცდარი იყო ბარტონის, რიკარდოსა და სხვების შეხედულებებში. ხელფასი განისაზღვრება არა პროდუქტის ერთობლივი მასის იმ ნაწილით, რომელიც შეიძლება მოხმარებულ იქნეს როგორც ცვალებადი კაპიტალი, ანდა შეიძლება ასეთ კაპიტალად გადაიქცეს, არამედ ამ მასის იმ ნაწილით, რომელიც ფაქტიურად ცვალებად კაპიტალად გადაიქცევა. ამ პროდუქტების ნაწილი თავისი ნატურალური სახითაც კი შეიძლება მოიხმარონ ყოველი სახის მუქთამკამელებმა, მეორე ნაწილი კი შეიძლება მოხმარებულ იქნეს ფუფუნების საგნების სახით საგარეო ვაჭრობის და ა. შ. შემწეობით.

ჩვენი პამფლეტისტი მხედველობიდან უშვებს ორ რამეს.

მანქანების შემოღების შედეგად უამრავი მუშა მუდამ კარგავს სამუშაოს, რაც ჭარბმოსახლეობას ქმნის; მაშასადამე, ზედმეტი პროდუქტი მზა სახით პოულობს ახალ საშუაო ძალას, რომელზეც იგი შეიძლება გაიცვალოს მაშინაც კი, როცა მოსახლეობის ზრდას ადგილი არა აქვს და არც იმის აუცილებლობაა, რომ აბსოლუტური სამუშაო დრო გაგრძელდეს. გთქვამთ, წინათ დასაქმებული იყო 500 მუშა, ახლა კი დასაქმებულია 300, რომელიც შეფარდებით ზედმეტი პროდუქტის უფრო მეტ რაოდენობას იძლევა. დანარჩენი 200 მუშის დაქირავება შეიძლება ზედმეტი პროდუქტით, როგორც კი ეს უკანასკნელი საკმარისად გაიზრდება. ნაწილი წინანდელი [ცვალებადი] კაპიტალისა გადაიქცევა ძირითად კაპიტალად, მეორე ნაწილი დაასაქმებს მუშების უფრო ნაკლებ რაოდენო-

ზას, მაგრამ მიიღებს მათგან, მათ რიცხვთან შედარებით, ზედმეტი ღირებულების უფრო მეტ რაოდენობას, განსაკუთრებით კი, ზედმეტი პროდუქტის უფრო მეტ რაოდენობას. დანარჩენი 200 მუშა წარმოადგენს მასალას, რომელიც შექმნილია ახალი ზედმეტი პროდუქტის კაპიტალად გადაქცევისათვის.

[853 a] აუცილებელი საჭიროების საგნების გადაქცევა ფუფუნების საგნებად საგარეო ვაჭრობის მეშვეობით, როგორც ეს პამფლეტშია გადმოცემული, მნიშვნელოვანი თავისთვის და თავისთავად:

1) იმიტომ, რომ ბოლოს უღებს იმ უაზრობას, თითქოს ხელფასი დამოკიდებული იყოს წარმოებული პირველი საჭიროების საგნების მასზე, თითქოს ეს საგნები აუცილებლად უნდა მოხმარებულ იქნენ ამ ფორმაში მათი მწარმოებლების მიერ ანდა თუნდაც მთელი მწარმოებელი ხალხის მიერ en masse*, ე. ი. ისინი აუცილებლად უნდა უკუგარდნიქმნან ცვალებად კაპიტალად, ანუ, როგორც ბარტონი და რიკარდო გამოთქვამენ, «საბრუნავ კაპიტალად»;

2) იმიტომ, რომ ამით განისაზღვრება მთელი საზოგადოებრივი ფორმა ისეთი ჩამორჩენილი ქვეყნებისა, როგორიცაა, მაგალითად, მონათმფლობელური შტატები ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში (იხ. კერნსი²¹) ან პოლონეთი და ა. შ., — რომლებიც დაკავშირებული არიან კაპიტალისტურ წარმოებაზე დამყარებულ მსოფლიო ბაზართან (რაც უკვე მოხუც ბიუშს ესმოდა, თუმცა ეს მას სტიუარტისათვის არ მოუპარავს). რაგინდ დიდიც იყოს ის ზედმეტი პროდუქტი, რომელსაც ასეთი ქვეყნები ღებულობენ თავიანთი მონების ზედმეტი შრომიდან მარტივ ფორმაში, ხამი ბაშბის ან მარცვლეულის სახით, მათ შეუძლიათ ამ მარტივი, არადიფერენცირებული შრომის პირობებში დარჩენა იმის შემწეობით, რომ საგარეო ვაჭრობა მათ შესაძლებლობას აძლევს ამ მარტივ პროდუქტს მისცენ სახმარი ღირებულების ყოველგვარი ფორმა.

მტკიცება იმისა, თითქოს «საბრუნავი კაპიტალის» სიდიდეზე იყოს დამოკიდებული წლიური პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც ხელფასის სახით უნდა დაიხარჯოს, ისევე საფუძვლიანი იქნებოდა, როგორც იმის მტკიცება, თითქოს იმ შემთხვევაში, როცა პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილი «შენობებისაგან» შედგება და როცა საცხოვრებელი ბინები შეიღარებით მუშა მოსახლეობასთან დიდი რაოდენობით შენდება, მუშებს ამის შედეგად კარგი და იაფი ბინები უნდა ჰქონდეთ, რადგან ბინების მიწოდება უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მათი მოთხოვნა.

* — მოლიანად. რ ე ღ.

სწორია, პირიქით, შემდეგი: თუ ზედმეტი პროდუქტი დიდია და თუ კაპიტალისტები ფიქრობენ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიყენონ როგორც კაპიტალი, მაშინ (თუ ვიგულისხმებთ, რომ ზედმეტი პროდუქტის ეს მნიშვნელოვანი სიდიდე თვითონ არ არის უკვე მიღებული იმ გზით, რომელმაც უამრავი მუშა საწარმოებიდან გამოდევნა) შრომის მოთხოვნა უნდა იზრდებოდეს, მაშასადამე, უნდა იზრდებოდეს ზედმეტი პროდუქტის ის ნაწილიც, რომელიც გაიცვლება როგორც ხელფასი. ყველა გარემოებაში ზედმეტი პროდუქტის აბსოლუტური სიდიდე როდია ის (რა ფორმითაც არ უნდა არსებობდეს, იგი, თუნდაც აუცილებელი საჭიროების საგნების ფორმით), რაც აიძულებს კაპიტალისტს ეს ზედმეტი პროდუქტი ცვალებადი კაპიტალის ფორმით დახარჯოს და ამიტომ ხელფასის ზრდას იწვევს. საქმის ვითარება სულაც არაა ასეთი, არამედ ისეთია, რომ კაპიტალიზაციით გატარება აიძულებს კაპიტალისტს ზედმეტი პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილი დახარჯოს ცვალებადი კაპიტალის ფორმით და ამიტომ კაპიტალის დაგროვებასთან ერთად იგი გამოიწვევდა ხელფასის ზრდას, თუ მანქანები მუდამ არ შექმნიდნენ ჭარბმოსახლეობას და თუ არ მოხდებოდა ის, რომ კაპიტალის სულ უფრო დიდი ნაწილი (ნაწილობრივ აგრეთვე საგარეო ვაჭრობის მეშვეობითაც) არც კაპიტალზე იცვლება და არც შრომაზე. ზედმეტი პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც უკვე უშუალოდ იწარმოება ისეთი ფორმით, რომლითაც მას შეუძლია მხოლოდ კაპიტალად გამოდგენს, და მისი ის ნაწილი, რომელიც ამ ფორმას საზღვარგარეთთან გაცვლის მეოხებით მიიღებს, იმ ნაწილზე უფრო სწრაფად იზრდება, რომელიც უშუალო შრომაზე უნდა გაიცვალოს.

ფრაზა იმის შესახებ, რომ ხელფასი დამოკიდებულია მოცემულ მომენტში არსებულ კაპიტალზე და რომ კაპიტალის სწრაფი დაგროვება ამიტომ ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც შეუძლია ხელფასის გადიდება გამოიწვიოს, ნიშნავს შემდეგს:

ერთი მხრივ, თუ უყურადღებოდ დავტოვებთ იმ ფორმას, რომლითაც შრომის პირობები კაპიტალად გვევლინებიან, ჩვენ აქ გვაქვს ტავტოლოგია: მუშების გარკვეული რიცხვის მიერ შესრულებული შრომის ნაყოფიერებაზე დამოკიდებული ის, თუ როგორ სწრაფად შეიძლება ეს რიცხვი დიდდებოდეს ამ მუშების ცხოვრების პირობების გაუარესების გარეშე. რაც უფრო მეტ ნედლეულს, მეტ შრომის იარაღებსა და საარსებო საშუალებებს აწარმოებენ ისინი, მით უფრო მეტი საშუალება აქვთ მათ არა მარტო იმისათვის, რომ აღზარ-

დონ თავიანთი შეილები, ვიდრე მათ ჯერ კიდევ არ შეუძლიათ თვითონ მუშაობა, არამედ იმისთვისაც, რომ განახორციელონ ახლად მზარდი თაობის შრომა და ამრიგად მოსახლეობის მატება და წარმოების მატება ერთიმეორის იდენტური გახადონ და განავითარონ კიდევ წარმოება კიდევ უფრო მეტად, ვიდრე მოსახლეობა იზრდება, რადგან მოსახლეობის ზრდასთან ერთად იზრდება მუშის დახელოვნება, იზრდება შრომის დანაწილება, იზრდება მანქანების გამოყენების შესაძლებლობა, იზრდება მუდმივი კაპიტალი, — მოკლედ, იზრდება შრომის ნაყოფიერება.

თუ მოსახლეობის ზრდა შრომისნაყოფიერებაზე დამოკიდებული, მაშინ შრომისნაყოფიერება დამოკიდებულია მოსახლეობის ზრდაზე. აქ ადგილი აქვს ურთიერთმოქმედებას. მაგრამ, კაპიტალისტურად რომ გამოვთქვათ, ეს ნიშნავს, რომ მუშა მოსახლეობის საარსებო საშუალებანი დამოკიდებულია კაპიტალის მწარმოებლობაზე, იმაზე, რომ მუშების პროდუქტის რაც შეიძლება მეტი ნაწილი უპირისპირდება ამ მუშებს როგორც მათი შრომის განმკარგულებელი. რიკარდო ამას სწორად გამოთქვამს — მე სახეში მაქვს ტაქტოლოგია, — როცა იგი ხელფასს ხლას დამოკიდებულს კაპიტალის მწარმოებლობაზე, ამ უკანასკნელს კი — შრომისნაყოფიერებაზე*.

შრომის დამოკიდებულება კაპიტალის ზრდაზე სხვას არაფერს ნიშნავს, მაშასადამე, თუ არა, ერთი მხრივ, იმ ტაქტოლოგიას, რომ [854] მოსახლეობის საარსებო საშუალებათა და ამ მოსახლეობის შრომის გამოყენებისათვის საჭირო საშუალებათა მატება დამოკიდებულია მისი საკუთარი შრომის ნაყოფიერებაზე, და, მეორე მხრივ, თუ ამას კაპიტალისტურად გამოვთქვამთ, — რომ შრომა დამოკიდებულია იმაზე, რომ მისი საკუთარი პროდუქტი უპირისპირდება მას როგორც სხვისი საკუთრება და ამიტომ მისი საკუთარი ნაყოფიერებაც უპირისპირდება მას როგორც ნაყოფიერება იმნივთისა, რომელსაც იგი ქმნის.

პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ მუშამ უნდა მიითვისოს თავისი პროდუქტის რაც შეიძლება ნაკლები ნაწილი, რათა რაც შეიძლება მეტი ნაწილი მისი პროდუქტისა უპირისპირდებოდეს მას როგორც კაპიტალი; იგი რაც შეიძლება მეტს უნდა უთმობდეს უსასყიდლოდ კაპიტალისტს, რათა რაც შეიძლება მეტად იზრდებოდეს ამ უკანასკნელის საშუალებანი მუშის შრომის ხელახლა საყიდლოდ იმით, რაც მუშას უსასყიდლოდ წაერთვა. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ისეთი სიტუაცია, რომ, თუ კაპიტალისტმა მუშა ძალიან ბევრი ამუშავა მექთანად, იგი შემ-

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 726—727, და ნაწილი III, გვ. 134—135 რედ.

დგე, ამ უეკვივალენტოდ მიღებულის სანაცვლოდ, მუშას ამუშავებს მუქთად რამდენადმე უფრო ცოტა ხნით. მაგრამ რადგან ასეთი შედეგი სწორედ იმას უშლის ხელს, რაც მიზნად არის დასახული, ე. ი. კ ა პ ი - ტ ა ლ ის რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა უ ფ რ ო ს წ რ ა ფ დ ა გ რ ო ე ე - ბ ა ს, ამიტომ მუშამ ისეთ პირობებში უნდა იცხოვროს, რომ მისი უსასყიდლო მუშაობის ეს შემცირება კვლავ შეწყდება მუშა მოსახლეობის გადიდების გამო, სულ ერთია — როგორი ხასიათის იქნება ეს გადიდება — შეფარდებითი, მანქანების შემოღების შედეგად, თუ აბსოლუტური, განშირებულ ქორწინებათა შედეგად. (ეს არის იგივე ურთიერთობა, რომელსაც სასაცილოდ იგდებენ რიკარდოელები, როცა მალთუსიანელები მას ქადაგებენ როგორც მიწის მესაკუთრესა და კაპიტალისტებს შორის არსებულ ურთიერთობას.) მუშები უსასყიდლოდ უნდა აძლევდნენ კაპიტალს თავისი პროდუქტის რაც შეიძლება მეტ ნაწილს, რათა უფრო ხელსაყრელ პირობებში უკანვე იყიდონ თავიანთი ახალი შრომით ამ გზით მიცემული პროდუქტის ნაწილი. მაგრამ რადგან ეს ხელსაყრელი შემობრუნება ამასთანავე ხელსაყრელი შემობრუნების პირობას სპობს, ამიტომ იგი შეიძლება იყოს მხოლოდ დროებითი მოვლენა და უნდა ხელახლა გადაიქცეს თავის საკუთარ დაპირისპირებულობად.

მ ე ს ა მ ე. რაც საგარეო ვაჭრობის მეშვეობით აუცილებელი საჭიროების საგნების ფუფუნების საგნებად გადაქცევის შესახებ თქმის, იგივე ითქმის საერთოდ იმ ფუფუნების საგნების წარმოებაზე, რომელთა შეუზღუდველი მრავალნაირობისა და გამრავლებისთვისაც საგარეო ვაჭრობა მნიშვნელოვანი პირობაა. თუმცა ფუფუნების საგნების წარმოებაში დასაქმებული მუშები კაპიტალს აწარმოებენ თავიანთი დამკვირვებლისათვის, მაგრამ შათი პროდუქტი არ შეიძლება *in natura** ხელახლა გადაიქცეს კაპიტალად — არც მუდმივ და არც ცვალებად კაპიტალად.

თუ არ ჩავთვლით ფუფუნების საგანთა ნაწილს, რომელიც საზღვარგარეთ იგზავნება იმ აუცილებელი საჭიროების საგნებზე გასაცვლელად, რომელნიც მთლიანად ან ნაწილობრივ ცვალებად კაპიტალში შედიან, მაშინ ფუფუნების საგნები წარმოადგენენ მხოლოდ ზ ე დ მ ე ტ შ რ ო მ ა ს, თანაც ზედმეტ შრომას უშუალოდ ზ ე დ მ ე ტ ი პ რ ო დ უ ქ ტ ის ი მ ფ ო რ მ ი თ, რა ფორმითაც იგი მოიხმარება, როგორც შემოსავალი, მდიდრების მიერ. მართალია, ფუფუნების საგნები წარმოადგენენ არა მარტო იმ მუშების ზედმეტ შრომას, რომლებიც ამ საგნებს აწარმოებენ. პირიქით, ეს მუშები საშუალოდ იმავე ზედმეტ შრომას ასრულებენ, რასაც წარმოების სხვა დარგებში დასაქმებული მუშებიც.

* — ნატურით, ნატურალური ფორმით. რ ე დ.

მაგრამ მსგავსად იმისა, როგორც იმ პროდუქტის $\frac{1}{3}$, რომელიც ზედმეტი შრომის $\frac{1}{3}$ -ს შეიცავს, მე შემიძლია განვიხილო როგორც განსახიერება ამ ზედმეტი შრომისა, დანარჩენი $\frac{2}{3}$ კი — როგორც კვლავწარმოება ავანსებული კაპიტალისა, ასევე აუცილებელი საჭიროების საგნების მწარმოებელთა ზედმეტი შრომაც, რომელიც ფუფუნების საგნების მწარმოებელთათვის ხელფასს შეადგენს, შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც აუცილებელი შრომა მთლიანად აღებული მუშათა კლასისა. ამ უკანასკნელის ზედმეტი შრომა გამოხატულია: 1) აუცილებელი საჭიროების საგანთა იმ ნაწილით, რომელიც კაპიტალისტებისა და მათი მუქთამკამელების მიერ მოიხმარება; 2) ფუფუნების საგანთა ერთობლიობით. ცალკეული კაპიტალისტის ან წარმოების ცალკეული დარგების მიმართ ეს სხვაგვარად წარმოგვიდგება. ცალკეული კაპიტალისტისათვის მის მიერ წარმოებული ფუფუნების საგნების ნაწილი ავანსებული კაპიტალის ეკვივალენტია მხოლოდ.

თუ ზედმეტი შრომის ძალიან დიდი ნაწილი წარმოდგენილია უშუალოდ ფუფუნების საგნების ფორმით, მაშინ, ცხადია, უნდა მოხდეს დაროვებისა და კვლავწარმოების გაფართოების შეფერხება, რადგან ადგილი აქვს ზედმეტი პროდუქტის მეტად უმნიშვნელო ნაწილის უკუგადაქცევას კაპიტალად. თუ ფუფუნების საგნების ფორმას იღებს ზედმეტი შრომის მეტად უმნიშვნელო ნაწილი, მაშინ კაპიტალის დაგროვება (ე. ი. ზედმეტი პროდუქტის იმ ნაწილისა, რომელსაც შეუძლია *in natura* კვლავ კაპიტალად გამოდგეს) უფრო სწრაფად მოხდება, ვიდრე მოსახლეობის გადიდება, და მოგების ნორმა დაეცემა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს აუცილებელი საჭიროების საგნებისათვის საგარეო ბაზარი.

გ) კაპიტალსა და შემოსავალს შორის გაცვლის უმისახმობ მარტივი კვლავწარმოებისა და კაპიტალის დაგროვების დროს

კაპიტალსა და შემოსავალს შორის გაცვლაზე მსჯელობისას* მე განვიხილავდი აგრეთვე ხელფასს როგორც შემოსავალს და საერთოდ განვიხილავდი მხოლოდ მუდმივი კაპიტალის მიმართებას შემოსავალთან.

ის გარემოება, რომ მუშების შემოსავალი ამასთანავე ცვალებადი კაპიტალის სახით გვევლინება, მნიშვნელოვანია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც დაგროვებისას — ახალი კაპიტალის წარმოქმნისას — საარსებო საშუალებათაგან (აუცილებელი საჭიროების საგანთაგან) შემდგარი

* — იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 259—288.

გადანამეტი კაპიტალისტისა, რომელიც საარსებო საშუალებებს აწარმოებს, შეიძლება უშუალოდ იცვლებოდეს ნედლეულისა და იარაღებისაგან შემდგარი იმ კაპიტალისტის გადანამეტზე, რომელიც მუდმივ კაპიტალს აწარმოებს. აქ შემოსავლის ერთი ფორმა გაიცვლება მეორეზე, [855] და როცა გაცვლა მოხდა, A კაპიტალისტის შემოსავალი გადაიქცევა B კაპიტალისტის მუდმივ კაპიტალად, B კაპიტალისტის შემოსავალი კი — A კაპიტალისტის ცვალებად კაპიტალად.

ამ მიმოქცევის, კვლავწარმოებისა და კაპიტალების ურთიერთანაზღაურების წესის განხილვისას საჭიროა პირველ ხანებში მხედველობის გარეშე დაეტოვოთ საგარეო ვაჭრობა.

მეორე, უნდა განვასხვავოთ ორი მოვლენა:

1) კვლავწარმოება მოცემული მასშტაბით;

2) კვლავწარმოება გაფართოებული მასშტაბით, ანუ დაგროვება — შემოსავლის გადაქცევა კაპიტალად.

1-ლი პუნქტის მიმართ.

მე ცხადყავი:

საარსებო საშუალებათა მწარმოებლებმა უნდა აანაზღაურონ: 1) თავიანთი მუდმივი კაპიტალი, 2) თავიანთი ცვალებადი კაპიტალი. მათი პროდუქტის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც ამ ორივე ნაწილის გადანამეტს წარმოადგენს, შეადგენს ზედმეტ პროდუქტს, ზედმეტი ღირებულების მატერიალურ ყოფიერებას; ზედმეტი ღირებულება კი, თავის მხრივ, ზედმეტი შრომის წარმომადგენელია მხოლოდ.

ცვალებადი კაპიტალი — საარსებო საშუალებების მწარმოებელთა პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც ამ ცვალებად კაპიტალს წარმოადგენს, შეადგენს მუშის ხელფასს, შემოსავალს. ეს ნაწილი არსებობს აქ უკვე იმ ნატურალური ფორმით, რომელშიც იგი კვლავ ცვალებად კაპიტალს წარმოადგენს. ამ ნაწილით, ამ ეკვივალენტით, რომელიც კვლავწარმოებულია მუშის მიერ, ხელახლა ყიდულობენ მუშის შრომას. ეს არის გაცვლა კაპიტალსა და უშუალო შრომას შორის. მუშა ამ ნაწილს ღებულობს ფულის სახით, ფულით უკანვე ყიდულობს თავის საკუთარ პროდუქტს ან იმავე კატეგორიის სხვა პროდუქტებს. ეს არის ცვალებადი კაპიტალის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილის ერთიმეორეზე გაცვლა, მას შემდეგ, რაც მუშამ ფულის სახით მიიღო ჩვეულებრივი პროდუქტის თავის წილზე. ეს არის ახლად მიმატებული შრომის ერთი ნაწილის გაცვლა მეორეზე იმავე კატეგორიის შიგნით (საარსებო საშუალებანი).

ის ნაწილი ზედმეტი პროდუქტისა (ახლად მიმატებული შრომისა), რომელსაც (საარსებო საშუალებათა მწარმოებელი) კაპიტალისტები თვითონ მოიხმარენ, მოიხმარება მათ მიერ ან *in natura*, ანდა მათ შორის ზდება გაცვლა ერთი სახეობის ზედმეტი პროდუქტისა, რომელიც მოხმარებისათვის ვარგისი ფორმით არსებობს, მეორე სახეობის ზედმეტ პროდუქტზე. ეს არის შემოსავლის გაცვლა შემოსავალზე, ამასთან ერთი და მეორეც დაიყვანება ახლად მიმატებულ შრომაზე.

ზემონსენებული ვარიგების შემთხვევაში არც კი შეიძლება, არსებითად, ლაპარაკი შემოსავლის კაპიტალზე გაცვლის შესახებ. კაპიტალი (აუცილებელი საჭიროების საგნები) ვაიცვლება შრომაზე (სამუშაო ძალაზე). მაშასადამე, აქ არ ხდება შემოსავლისა და კაპიტალის ერთმანეთზე გაცვლა. რა თქმა უნდა, როგორც კი მუშა ხელფასს მიიღებს, იგი მას მოიხმარს. მაგრამ კაპიტალზე იგი გაცვლის არა თავის შემოსავალს, არამედ თავის შრომას.

მესამე ნაწილი [საარსებო საშუალებების მწარმოებელთა პროდუქტისა, რომლითაც წარმოდგენილია მათი] მუდმივი კაპიტალი, ვაიცვლება იმ მწარმოებელთა პროდუქტის ნაწილზე, რომლებიც მუდმივ კაპიტალს აწარმოებენ, — სახელდობრ, მათი პროდუქტის იმ ნაწილზე, რომელიც ახლად მიმატებულ შრომას წარმოადგენს. მუდმივი კაპიტალის მწარმოებელთა პროდუქტის ეს ნაწილი კი შედგება ხელფასის ეკვივალენტისაგან (მაშასადამე, [ამ მწარმოებელთა] ცვალებადი კაპიტალისაგან) და ზედმეტი პროდუქტისაგან, ზედმეტი ღირებულებისაგან, კაპიტალისტების შემოსავლისაგან, რომელიც ისეთი ფორმით არსებობს, რაც შესაძლებელს ხდის მის მხოლოდ საწარმოო მოხმარებას და გამორიცხავს მის ინდივიდუალურ მოხმარებას. ამრიგად, ეს, ერთი მხრივ, არის ამ მწარმოებელთა ცვალებადი კაპიტალის გაცვლა საარსებო საშუალებათა იმ ნაწილზე, რომელიც წარმოადგენს [საარსებო საშუალებების მწარმოებელთა] მუდმივ კაპიტალს. მართლაც, მუდმივი კაპიტალის მწარმოებელთა პროდუქტის ნაწილი, რომელიც ამ მწარმოებელთა ცვალებად კაპიტალს წარმოადგენს, მაგრამ მუდმივი კაპიტალის ფორმით არსებობს, ვაიცვლება საარსებო საშუალებების მწარმოებელთა პროდუქტის იმ ნაწილზე, რომელიც მათს მუდმივ კაპიტალს წარმოადგენს, მაგრამ ცვალებადი კაპიტალის ფორმით არსებობს. აქ ადგილი აქვს ახლად მიმატებული შრომის გაცვლას მუდმივ კაპიტალზე.

მეორე მხრივ, მუდმივი კაპიტალის მწარმოებელთა პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც ზედმეტ პროდუქტს წარმოადგენს, მაგრამ მუდმივი კაპიტალის ფორმით არსებობს, ვაიცვლება საარსებო საშუალებების

ბათა ნაწილზე, რომელიც წარმოადგენს მუდმივ კაპიტალს ამ საშუალებათა მწარმოებელთათვის. აქ ადგილი აქვს შემოსავლის გაცვლას კაპიტალზე. მუდმივი კაპიტალის მწარმოებელი კაპიტალისტების შემოსავალი გაცივლება საარსებო საშუალებებზე და ანაზღაურებს საარსებო საშუალებათა მწარმოებელი კაპიტალისტების მუდმივ კაპიტალს.

ბოლოს, მუდმივი კაპიტალის მწარმოებელი კაპიტალისტების პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც თვითონ მუდმივ კაპიტალს წარმოადგენს, ნაზღაურდება ნაწილობრივ *in natura*, ნაწილობრივ (ფულით დაფარული) ნატურალური გაცვლით მუდმივი კაპიტალის მწარმოებელთა შორის.

ყოველივე ამას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ ვიგულისხმებთ, რომ ცვლადწარმოების მასშტაბი უდრის წარმოების თავდაპირველ მასშტაბს.

თუ ახლა ვიკითხავთ, ერთობლივი წლიური პროდუქტის რომელი ნაწილი წარმოადგენს ახლად მიმატებულ შრომას, ანგარიში იქნება მეტად მარტივი:

A) [ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი] მ ო ხ მ ა რ ე ბ ი ს ს ა გ ნ ე ბ ი ს ი ს ი ნ ი დაიყოფა სამ ნაწილად. [ჯერ ერთი], კაპიტალისტების შემოსავალი, რომელიც უდრის წლის განმავლობაში მიმატებულ ზედმეტ შრომას.

მეორე, ხელფასი, ცვალებადი კაპიტალი, რომელიც უდრის იმ ახლად მიმატებულ შრომას, რითაც მუშებმა თავიანთი ხელფასი აკვლავწარმოეს.

დასასრულ, მესამე ნაწილი — ნედლეული, მანქანები და ა. შ. ეს არის მუდმივი კაპიტალი, პროდუქტის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც მხოლოდ შეინახება, არ იწარმოება. მაშასადამე, არ არის წლის განმავლობაში ახლად მიმატებული შრომა.

[856] თუ ჩვენ [ამ კატეგორიის] მუდმივ კაპიტალს აღვნიშნავთ c' -ით, ცვალებად კაპიტალს v' -ით, ხოლო ზედმეტ პროდუქტს, შემოსავალს, r' -ით, მაშინ ეს კატეგორია შედგება c' -სა და $v'+r'$ -გან.

c' არის მხოლოდ შენახული ღირებულება და არა ახლად მიმატებული შრომა (ეს c' წარმოადგენს პროდუქტის ნაწილს); პირიქით, ჯამი $v'+r'$ არის წლის განმავლობაში მიმატებული შრომა.

ერთობლივი პროდუქტი [A კატეგორიისა] (ანუ მისი ღირებულება) P^a c' -ს გამოკლებით წარმოადგენს, მაშასადამე, ახლად მიმატებულ შრომას. ამრიგად, თუ A კატეგორიის პროდუქტს, ე. ი. P^a -ს გამოვავლებთ c' -ს, მივიღებთ წლის განმავლობაში ახლად მიმატებულ შრომას.

B) ს ა წ ა რ მ ო მ ო ხ მ ა რ ე ბ ი ს ს ა გ ნ ე ბ ი ს.

ჯამი $v'+r'$ აგრეთვე აქაც წარმოადგენს ახლად მიმატებულ შრომას. ახლად მიმატებულ შრომას არ წარმოადგენს c' — მუდმივი კაპიტალი, რომელიც ამ სფეროში მოქმედებს.

მაგრამ $v'' + r'' = c'$ -ს, რომელზეც ისინი გაიცვლებიან. c' გადაიქცევა ცვალებად კაპიტალად და შემოსავლად B კატეგორიისათვის. მეორე მხრივ, v'' და r'' გადაიქცევა c' -დ, A კატეგორიის მუდმივ კაპიტალად. თუ B კატეგორიის პროდუქტს, ე. ი. P^b -ს გამოაკლდება c' , ჩვენ მივიღებთ წლის განმავლობაში ახლად მიმატებულ შრომას.

მაგრამ $P^b - c' = c''$ -ს. ვინაიდან მთელი პროდუქტი $P^b c''$ -ს გამოკლებით, ე. ი. ამ B კატეგორიაში გამოყენებული მუდმივი კაპიტალის გამოკლებით, გაიცვლება c'' -ზე.

მას შემდეგ, რაც $v'' + r''$ გაიცვალა c' -ზე, საკმე შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ასე:

P^a შედგება მხოლოდ ახლად მიმატებული შრომისაგან, რომლის პროდუქტიც დაიყოფა მოგებად და ხელფასად, აუცილებელი შრომის ეკვივალენტად და ზედმეტი შრომის ეკვივალენტად. ვინაიდან $v'' + r''$, რომლებიც ახლა c' -ს შემცვლელეებია, უდრის B კატეგორიაში ახლად მიმატებულ შრომას.

მაშასადამე, მთელი პროდუქტი P^a , როგორც მისი ზედმეტი პროდუქტი, ისე მისი ცვალებადი კაპიტალი და მისი მუდმივი კაპიტალი, შედგება წლის განმავლობაში ახლად მიმატებული შრომის პროდუქტებისაგან.

პირიქით, მთელი პროდუქტი P^b შეიძლება განვიხილოთ იმგვარად, რომ იგი არ წარმოადგენს ახლად მიმატებული შრომის არავითარ ნაწილს, არამედ წარმოადგენს მხოლოდ შენახულ წარსულ შრომას. ვინაიდან მისი ნაწილი c'' არ წარმოადგენს არავითარ ახლად მიმატებულ შრომას, სავსებით ისევე როგორც მისი ნაწილიც c' , რომელიც მან მიიღო v'' -სა და r'' -ზე გაცვლის გზით და რომელიც A კატეგორიაში წარმოადგენდა არა ახლად მიმატებულ შრომას, არამედ ავანსებულ მუდმივ კაპიტალს.

ამრიგად, წლიური პროდუქტის მთელი ის ნაწილი, რომელიც როგორც ცვალებადი კაპიტალი ქმნის მუშების შემოსავალს, ხოლო როგორც ზედმეტი პროდუქტი — კაპიტალისტთა მოხმარების ფონდს, დაიყვანება ახლად მიმატებულ შრომაზე, მაშინ როდესაც პროდუქტის მთელი დანარჩენი ნაწილი, რომელიც მუდმივ კაპიტალს წარმოადგენს, დაიყვანება მხოლოდ შენახულ წარსულ შრომაზე და მხოლოდ ანაზღაურებს მუდმივ კაპიტალს.

ამიტომ, რამდენადაც სწორია იმის მტკიცება, რომ მთელი ის ნაწილი წლიური პროდუქტისა, რომელიც მოხმარება როგორც შემოსავალი, როგორც ხელფასი და მოგება (მოგების განშტოებებთან — რენტასთან, სარგებელთან და ა. შ. ერთად, ასევე არამწარმოებელ მომუშავეთა ხელფასთან ერთად), ახლად მიმატებულ შრომაზე დაიყვანება, ამდენადვე მცდარია იმის მტკიცება, რომ მთელი წლიური პროდუქტი დაიყვანება

შემოსავალზე, ხელფასსა და მოგებაზე, და ამიტომ ახლად მიმატებული შრომის ამა თუ იმ ნაწილთა ერთობლიობაზე. ნაწილობრივ იგი დაიყვანება მუდმივ კაპიტალზე, რომელიც ღირებულების მიხედვით არ წარმოადგენს ახლად მიმატებულ შრომას, ხოლო როგორც სახმარი ღირებულება არ შედის არც ხელფასში, არც მოგებაში. თავისი ღირებულების მიხედვით იგი წარმოადგენს დაგროვილ შრომას სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, თავისი სახმარი ღირებულების მიხედვით კი — ამ დაგროვილი წარსული შრომის მოხმარებას.

მეორე მხრივ, ასევე მართებულია, რომ წლის განმავლობაში მიმატებული შრომა მთლიანად როდია წარმოდგენილი პროდუქტის იმ ნაწილით, რომელიც ხელფასსა და მოგებაზე დაიყვანება. ვინაიდან ამ ხელფასითა და მოგებით ყიდულობენ მომსახურებას, ე. ი. შრომას, რომელიც არ შესულა იმ პროდუქტში, რომელშიც წარმოდგენილია ხელფასი და მოგება. ეს არის მომსახურება, ისეთი სახეობანი შრომისა, რომელთაც ადამიანები იყენებენ პროდუქტის მოხმარების პროცესში და რომელნიც არ შედიან ამ პროდუქტის უშუალო წარმოებაში.

[857] მე-2 პუნქტის მიმართ.

სხვაგვარადაა საქმის ვითარება დაგროვების დროს, როდესაც ადგილი აქვს შემოსავლის კაპიტალად გადაქცევას, გაფართოებულ მასშტაბის კვლავ წარმოებას, რამდენადაც ეს უკანასკნელი წარმოიქმნება არა მხოლოდ იქიდან, რომ წინანდელი კაპიტალი უფრო მწარმოებლურად გამოიყენება. აქ მთელი ახალი კაპიტალი შედგება ახლად მიმატებული შრომისაგან, და თანაც ზედმეტი შრომისაგან მოგების და ა. შ. ფორმით. მაგრამ, რადგანაც სწორია ის, რომ აქ ახალი წარმოების მთელი ელემენტი შედგება და წარმოიქმნება ახლად მიმატებული შრომისაგან, — ამდენადვე მცდარია, როგორც ამას კვლავ ვარაუდობენ ეკონომისტები, მტკიცება, თითქოს კაპიტალად მისი გადაქცევისას იგი დაიყვანება მხოლოდ ცვალებად კაპიტალზე, ანუ ხელფასზე. დავუშვათ, მაგალითად, რომ ფერმერის ზედმეტი პროდუქტის ნაწილი გაიცვლება მანქანების ფაბრიკანტის ზედმეტი პროდუქტის ნაწილზე. ამგვარი გაცვლა შესაძლებლობას აძლევს მანქანების ფაბრიკანტს გადააქციოს ხორბალი ცვალებად კაპიტალად და სამუშაო მისცეს მუშების უფრო მეტ რაოდენობას, პირდაპირ ან არაპირდაპირ. ფერმერი, პირიქით, იმავე გაცვლის შედეგად თავისი ზედმეტი პროდუქტის ნაწილს გადააქცევს მუდმივ კაპიტალად, და შესაძლოა, რომ ასეთი გადაქცევის გამო იგი, ახალი მუშების დაჭირავენის ნაცვლად, წინანდელი მუშების ნაწილს დაითხოვს. შემდეგ, ფერმერს შეეძლო მეტი

მიწა მოეთესა ხორბლით. მაშინ ხორბლის ნაწილი გადაიქცევა არა ხელფასად, არამედ მუდმივ კაპიტალად, და ა. შ.

მხოლოდ ამ დაგროვების დროს მელანდება, რომ ყველაფერი, როგორც შემოსავალი, ისე ცვალებადი და მუდმივი კაპიტალიც, მი თ ვ ი ს ე ბ უ ლ ი ს ხ ე ი ს ი შ რ ო მ ა ა და რომ როგორც პირობები შრომისა, რომელთა მეოხებითაც მუშა მუშაობს, ისე ეკვივალენტიც, რომელსაც მუშა თავის შრომაში იღებს, ეს არის მუშის შრომა, რომელიც კაპიტალისტმა უ ე კ ვ ი ვ ა ლ ე ნ ტ ო დ მიიღო.

ასეთია საქმის ვითარება თავდაპირველი დაგროვების დროსაც კი. ვთქვათ, მე დაგზოგე ხ ე ლ ფ ა ს ი დ ა ნ 500 გირ. სტერლინგი. ამრიგად, ეს 500 გირ. სტერლინგი ნამდვილად წარმოადგენს არა მართო და გ რ ო ვ ი ლ შ რ ო მ ა ს , არამედ, კაპიტალისტის «დაგროვილი შრომისაგან» განსხვავებით, ჩ ე მ საკუთარ ჩემ მიერ და ჩემთვის დაგროვილ შრომას. მე ამ თანხას კაპიტალად ვაქცევ, ვყიდულობ ნედლეულს და ა. შ. და ვკვირობ მუშებს. მოგება, ვთქვათ, შეადგენს 20%-ს, ე. ი. 100 გირ. სტერლინგს წელიწადში. 5 წლის განმავლობაში (თუ მუდამ არ ხდება ახალი დაგროვება და ყოველ წელს მიღებული 100 გირ. სტერლინგი პირად მოხმარებაზე იხარჯება) მე შემოსავლად «დაგზარჯე» ჩემი კაპიტალი. მე ექვსე წელს თვით ჩემი კაპიტალი 500 გირ. სტერლინგის რაოდენობით წარმოადგენს უეკვივალენტოდ მითვისებულ სხვის შრომას. ხოლო თუ მე მუდამ ხელახლა დავაგროვებდი ჩემი მოგების ნახევარს, მაშინ [ჩემი თავდაპირველი კაპიტალის შეჭმის] პროცესის მიმდინარეობა უფრო ნელი იქნებოდა, რადგან მე არც ისე ბევრს შევჭამდი, [სხვისი შრომის მითვისების პროცესის] მიმდინარეობა კი — უფრო ჩქარი.

	კაპიტალი	მოგება	შეჭმულია
პირველი წელი	500	100	50
მეორე წელი . . .	550	110	55
მესამე წელი	605	121	60
მეოთხე წელი	665	133	66
მეხუთე წელი	731	146	73
მეექვსე წელი	804	160	80
მეშვიდე წელი	884	176	88
მერვე წელი . .	972	194	97
			<hr/> 569

მერვე წელს ჩემი კაპიტალი თითქმის გაორკეცდა, თუმცა მე თავდაპირველ კაპიტალზე უფრო მეტი შევჭამე. 972 გირ. სტერ. კაპიტალში ფასვალდახდილი შრომის, ანდა ისეთი შრომისა, რომელშიც მე ეკვივალენტი მივეცი, არც ერთი ფარტინგი აღარ არის უკვე წარმოდგენილი.

შემოსავლის ფორმით მე მთელი ჩემი თავდაპირველი კაპიტალი მოვიხმარე. მაშასადამე, მასში მივიღე ეკვივალენტი და ეს ეკვივალენტი მოვიხმარე. ახალი კაპიტალი შედგება მხოლოდ მითვისებული სხვისი შრომი-საგან.

ზედმეტი ღირებულების — როგორც ასეთის — განხილვისას პროდუქტის, მაშასადამე, ასევე ზედმეტი პროდუქტის, ნატურალურ ფორმას მნიშვნელობა არა აქვს. ნამდვილი კვლავწარმოების პროცესის განხილვისას მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაწილობრივ თვით ამ პროცესის ფორმების გასაგებად, ნაწილობრივ იმ გავლენის გასარკვევად, რომელსაც ფუფუნების საგნების წარმოება და ა. შ. ახდენს კვლავწარმოების პროცესზე. აქ ჩვენ კვლავ გვაქვს იმის მაგალითი, თუ როგორ იძენს ს ა ხ მ ა რ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა როგორც ასეთი ეკონომიურ მნიშვნელობას.

[ბ] კამფლებტის ავტორის დამსახურებანი და თემორიული არავ-დარავა მის უხედაულეგებში. მინოვნალოგა მის მიერ დაქენებული საკითხებისა კაპიტალისტურ საზოგადოებაში საბარემო ვაჭრობის როლის უხეხამგ და «თავისუფალი დროის» როგორც ნამდვილი სიმდიდრის უხეხამგ]

[858] დაეუბრუნდეთ ახლა ჩვენს ჰამფლუტისტს.
[ჰამფლუტის ავტორი წერს:]

«დაეუბრუნეთ, რომ რომელიმე ქვეყნის მთელი შრომა საკმარისია სწორედ იმის საწარმოებლად, რაც აუცილებელია მთელი მოსახლეობის შესანახად; ამ შემთხვევაში ცხადია, რომ არ არის არავითარი ზედმეტი შრომა, არ არის, მაშასადამე, არაფერი ისეთი, რაც შეიძლება დაგროვილიყო როგორც კაპიტალი. ვიგულისხმობ, რომ ქვეყნის მთელი შრომა ერთი წლის განმავლობაში აწარმოებს იმდენს, რამდენიც საკმარისი იქნებოდა მისი მოსახლეობის შესანახად ორი წლის განმავლობაში; ასეთ შემთხვევაში ნათელია, რომ ან უნდა დაიღუპოს მოხმარების საშუალებანი, რაც საკმარისია მთელი მოსახლეობის შესანახად ერთი წლის განმავლობაში, ან მოსახლეობამ ერთი წლით უნდა შეწყვიტოს მწარმოებლური შრომა. მაგრამ ზ ე დ მ ე ტ ი პ რ ო დ უ ქ ტ ი ს , ა ნ უ კ ა პ ი ტ ა - ლ ი ს , მ ფ ლ ო ბ ე ლ ე ბ ი არ დაუშვებენ არც იმას, რომ მოსახლეობა ერთი წლის მანძილზე უქმად იყოს, არც იმას, რომ ერთი წლის პროდუქტი გაფუჭდეს. ისინი გამოიყენებენ ადამიანთა შრომას რაიმე ისეთი სამუშაოსათვის, რომელიც პირდაპირ და უშუალოდ მწარმოებლური არ არის — მაგალითად, მანქანებისა და ა. შ. წარმოებისათვის. მაგრამ მესამე წელს მთელ მოსახლეობას შეუძლია კვლავ დაუბრუნდეს უშუალოდ მწარმოებლურ შრომას, და რადგან წინა წელს წარმოებული მანქანები ახლა იწყებენ მოქმედებას, ამიტომ ცხადია, რომ ამ წელს უფრო მეტი პროდუქტი იქნება, ვიდრე პირველ წელს იყო, ვინაიდან დაემატება კიდევ მანქანების პროდუქტი. ეს ზედმეტი პროდუქტი, მაშასადამე, მით უფრო ან უნდა გაფუჭდეს, ან მოხმარებულ იქნეს ისე, როგორც

ზემოთ იყო ნათქვამი ასეთი მოხმარება კი კვლავ ადრედებს საზოგადოების შრომის მწარმოებლურ ძალას იმ მომენტამდე, როცა ადამიანები ი ძ ლ ე ბ უ ლ ი ი ენებიან გარკვეული ვადით შეწყვეტონ მწარმოებლური შრომა, რათა მათი შრომის პროდუქტი არ დაილუპოს. ასეთია აშკარა შედეგი კაპიტალის მწარდი დაგროვებისა საზოგადოების უმარტივესი მდგომარეობის დროს» (გვ. 4—5).

«სხვა ქვეყნების მოთხოვნას ზღუდავს არა მარტო ჩვენი საწარმოო ძალით, არამედ აგრეთვე მათი საწარმოო ძალითაც».

{ეს არის პასუხი სიეის იმ მტკიცებაზე, რომ ჩვენ კი არ ვაწარმოებთ შეტისმეტად ბევრს, არამედ სხვები აწარმოებენ მეტისმეტად ცოტას⁸². მათი საწარმოო ძალა არ უდრის აუცილებლად ჩვენს საწარმოო ძალას.}

«ჩვენ შეგვიძლია ყველაფრის გაყვებას შევეცადოთ, მაგრამ რიგი წლების განმავლობაში მთელ მსოფლიოს არ შეუძლია ჩვენგან უფრო მეტი წაიღოს, ვიდრე ჩვენ მისგან ვიღებთ, ასე რომ ჩვენი ნაქები საგარეო ვაჭრობა, რომელზეც ასე ბევრს ლაპარაკობენ, ვერასოდეს ეერ მიუმატებდა, არ შეეძლო მიემატებინა და არც შეუძლია არსაგზით მიუმართოს არც ერთი შილინგი, არც ერთი გროში ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს, რადგან ყოველი შეკერა აბრეშუმის, ყოველი ყუთი ჩაის, ყოველი კასრი ლენის სანაცვლოდ, რაც კი ოდესმე შემოტანილა, გატანილი იყო რაღაც ისეთი, რასაც მათი თანაბარი ღირებულება ჰქონდა. და მოგებასაც კი, რასაც ჩვენი ვაჭრები საგარეო ვაჭრობიდან მიიღებენ, ანაზღაურებენ იმ საქონელთა ადგილობრივი მომხმარებლები, რომლებიც გატანილთა მაგიერად შემოიტანება» (გვ. 17—18).

«საგარეო ვაჭრობა არის მხოლოდ საქონელგაცვლა, რომელიც ხელსაყრელი და სასიამოვნოა კაპიტალისტისათვის: კაპიტალისტის არ გააჩნია ასობით სხეული და ასობით ფეხები და არ შეუძლია ტანსაცმლისა და წინდების სახით მოიხმაროს მთელი მუღი და ბამბის ტრიკოტაჟი, რაც ქვეყანაში მზადდება; ამიტომ ისინი ვაიცვლებიან ლენისა და აბრეშუმზე. მაგრამ ეს ლეინო და აბრეშუმები ჩვენი საქუთარი მოსახლეობის ზედმეტ შრომას წარმოადგენენ სავსებით ისევე, როგორც ზემოაღნიშნული მუღი და წინდები; და ამ გზით კაპიტალისტის დამანგრეველი ძალა უსაზღვროდ იზრდება; საგარეო ვაჭრობის შემწეობით კაპიტალისტები ახერხებენ მოატყუნონ ბუნება, რომელიც მათს ექსპლუატატორულ მოთხოვნებსა და სურვილებს ათასნაირ ბუნებრივ ზღვარს უდებს; ახლა არ არის არაერთი ზღვარი არც მათი ძლიერებისათვის, არც მათი სურვილებისათვის» (გვ. 18).

ჩვენ ვხედავთ: პამფლეტის ავტორი იზიარებს რიკარდოს მოძღვრებას საგარეო ვაჭრობაზე. რიკარდოს ეს მოძღვრება მიმართულია მხოლოდ იქითკენ, რომ დაამტკიცოს თავისი ღირებულებების თეორია ან გვიჩვენოს, რომ ეს მოძღვრება არ ეწინააღმდეგება მის თეორიას. პამფლეტში კი ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ აგრეთვე საგარეო ვაჭრობის შედეგებშიც განსახიერებულა არა მხოლოდ ეროვნული შრომა, არამედ ეროვნული ზედმეტი შრომაც.

ზედმეტი შრომა და ზედმეტი ღირებულება მხოლოდ ეროვნულ ზედმეტ პროდუქტში რომ იყოს წარმოდგენილი, ღირებულების გულისთვის ღირებულების გადიდება, მაშასადამე, ზედმეტი შრომის გამოწერვაც თავის საზღვარს ნახავდა იმ სახმარ ღირებულებათა შეზღუდულობაში, ვიწრო წრეში, რომლებშიც წარმოდგენილია [ეროვნული] შრომის მიერ შექმნილი ღირებულება. მაგრამ მხოლოდ საგარეო ვაჭრობა წარმოგვიდგენს ზედმეტი პროდუქტის — როგორც ღირებულების — ქეშმარიტ ბუნებას იმით, რომ ამ ზედმეტ პროდუქტში მოთავსებულ შრომას ავითარებს როგორც საზოგადოებრივ შრომას, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა სახმარი ღირებულების შემზღუდავ მწკრივში და მართლაც აბსტრაქტულ სიმდიდრეს აზრს აძლევს.

«მხოლოდ და მხოლოდ უსასრულო ნაირსახეობა მოთხოვნილებებისა და იმ სხვადასხვაგვარ საქონელთა» {მაშასადამე, ასევე უსასრულო ნაირსახეობაც ამ სხვადასხვაგვარ საქონელთა მწარმოებელი კონკრეტული შრომისა} «რომლებიც აუცილებელია ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ხდის სიმდიდრით გატაცებას» {მაშასადამე, სხვა ადამიანთა შრომის მითვისებით გატაცებანაც} «უნაზღვრონ და გაუშაძარს» (უეიკფილდი, შენიშვნა ა. სმიტის წიგნის — «ხალხთა სიმდიდრის» — მისი გამოცემის) I ტომში 64-ე გვერდისადმი, ლონდონი, 1835).

მაგრამ მხოლოდ საგარეო ვაჭრობა, ბაზრის განვითარება მსოფლიო ბაზრად, აქცევს ფულს მსოფლიო ფულად და აბსტრაქტულ შრომას საზოგადოებრივ შრომად. აბსტრაქტული სიმდიდრე, ღირებულება, ფული — მაშასადამე, აბსტრაქტული შრომა — ვითარდება იმ ზომით, რა ზომითაც კონკრეტული შრომა გადაიქცევა შრომის სხვადასხვა სახეობათა ერთობლიობის მომცველ მსოფლიო ბაზრად. კაპიტალისტური წარმოება დამყარებულია ღირებულებაზე, ანუ პროდუქტში მოთავსებული შრომის — როგორც საზოგადოებრივი შრომის — განვითარებაზე. მაგრამ ეს [შესაძლებელია] მხოლოდ საგარეო ვაჭრობისა და მსოფლიო ბაზრის საფუძველზე. ამრიგად, საგარეო ვაჭრობა და მსოფლიო ბაზარი არის კაპიტალისტური წარმოების წინამძღვარიც და შედეგიც.

[1859] პამფლეტი, რომელიც ჩვენი განხილვის საგანია, არ არის თეორიული ნაწარმოები. ეს არის პროტესტი იმ ყალბი მიზეზების წინააღმდეგ, რომელთაც ეკონომისტები მაშინდელ ვაჭირვებასა და «ეროვნულ სიძნელეებს» მიაწერდნენ. ამიტომ პამფლეტს არა აქვს იმის პრეტენზია, და არც შეიძლება მას მოვთხოვოთ, რომ ზედმეტი ღირებულების — როგორც ზედმეტი შრომის — გაგებაში განაპირობოს ეკონომიური კატეგორიების მთელი სისტემის საერთო კრიტიკა. ავტორი, პირ-

იქით, რიკარდოსეული სისტემის ნიადაგზე დგას და მხოლოდ თანამიმდევრულად აკეთებს იმ დასკვნას, რომელსაც თვით ეს სისტემა შეიცავს და იყენებს მას მუშათა კლასის ინტერესებისათვის კაპიტალის წინააღმდეგ.

სხვა მხრივ იგი იმ ეკონომიური კატეგორიების ტყვეობაშია, რომლებიც მან თავის წინამორბედთა ნაშრომებში ნახა. როგორც რიკარდო მიჰყავს ზედმეტი ღირებულებისა და მოგების ერთმანეთში არევის არასასიამოვნო წინააღმდეგობებამდე, ისე ეს ავტორიც ასეთსავე წინააღმდეგობებამდე მიჰყავს იმას, რომ მან ზედმეტი ღირებულება კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ს ა რ გ ე ბ ლ ი ს სახელით მონათლა.

მართალია, ის რიკარდოზე მალა დგას იმ მხრივ, რომ მას, ჯერ ერთი, ყოველი ზედმეტი ღირებულება დაჰყავს ზედმეტ შრომაზე, მეორე კი, თუმცა ზედმეტ ღირებულებას კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ს ა რ გ ე ბ ე ლ ს უწოდებს, ამასთანავე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კაპიტალის სარგებელი მას ესმის როგორც ზედმეტი შრომის საერთო ფორმა განსხვავებით მისი განსაკუთრებული ფორმებისაგან—რენტისა, სესხის სარგებლისა და მწარმის მოგებისაგან:

«კაპიტალისტებისათვის გადახდილი ს ა რ გ ე ბ ე ლ ი, სულ ერთია, რა ბუნებიაა» (უნდა ვთქვა: რა ფორმისაა) ეს სარგებელი «რენტისა, სესხის სარგებლისა თუ მწარმის მოგებისა» (გვ. 23).

ამრიგად, პამფლეტის ავტორი განასხვავებს ზედმეტი შრომის თუ ზედმეტი ღირებულების საერთო ფორმის მათი განსაკუთრებული ფორმებისაგან, რასაც არ აკეთებენ რიკარდო და ა. სმიტი — ყოველ შემთხვევაში არ აკეთებენ შეგნებულად და თანამიმდევრულად. მაგრამ ამ განსაკუთრებული ფორმებიდან ერთის სახელწოდებას, სარგებელს, იგი კვლავ იღებს როგორც საერთო ფორმის სახელწოდებას. ეს კი საკმარისია, რათა კვლავ ეკონომიური აბაღუბდა წარმოშვას.

«კაპიტალის გაძლიერებული ზრდა მტკიცედ დაფუძნებულ საზოგადოებაში აღინიშნებოდა სესხის სარგებლის დაცემით, ანუ, რაც იმავეს ნიშნავს, სხვების შრომის იმ როლდენობის შემცირებით, რაც კაპიტალის სარგებლობისათვის გაიცემოდა» (გვ. 6).

ამ ფრაზას რამდენადმე კერძი შეხედულების ბეჭედი ახის. მაგრამ პამფლეტის ავტორის მიხედვით, მუშა კი არ იყენებს კაპიტალს, არამედ კაპიტალი იყენებს მუშას. რადგან ს ა რ გ ე ბ ე ლ ი მას ესმის როგორც ზედმეტი შრომის ნებისმიერი ფორმა, ამიტომ მთელი საქმე — «ჩვენი ეროვნული სიმწიფეების გადაწყვეტა» — დაყვანილია ხ ე ლ დ ა ს ი ს გადიდებაზე, ვინაიდან სარგებლის შემცირება ნიშნავს ზედმეტი შრომის შემცირებას. მას კი მხედველობაში აქვს ის, რომ სხვისი შრომის მითვით სება კაპიტალზე შრომის გაცვლისას უნდა მცირდებოდეს, ანდა რომ მუ-

შამ თავისი საკუთარი შრომიდან უნდა მიითვისოს მეტი, კაპიტალმა კი — ნაკლები.

ზედმეტი შრომის შემცირების მოთხოვნას შეიძლება ჰქონდეს ორნაირი მნიშვნელობა:

1) მუშები უნდა ასრულებდნენ ნაკლებ შრომას იმ დროის ვადამეტებით, რომელიც აუცილებელია სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის, ხელფასის ეკვივალენტის შექმნისათვის;

2) შრომის ერთობლივი რაოდენობის ნაკლებმნიშვნელოვანი ნაწილი უნდა იღებდეს ზედმეტი შრომის, ე. ი. ისეთი დროის ფორმას, რომლის განმავლობაშიც მუშები მუქთად მუშაობენ კაპიტალისტისათვის; მაშასადამე, ზედმეტი პროდუქტის ფორმა უნდა მიიღოს იმ პროდუქტის ნაკლებმნიშვნელოვანმა ნაწილმა, რომელშიც წარმოდგენილია შრომა, ე. ი. მუშა თავისი საკუთარი პროდუქტიდან უნდა იღებდეს მეტს, კაპიტალისტს კი ამ პროდუქტიდან უნდა უწევდეს ნაკლები.

თვით ავტორს არა აქვს ნათელი წარმოდგენა ამ საკითხზე, როგორც ეს ჩანს აგრეთვე შემდეგი სტრაქონებიდან, რომლებიც არსებითად მისი თხზულების უკანასკნელ სიტყვას შეიცავენ:

«ერი ნამდვილად მდიდარია მხოლოდ მაშინ, როცა კაპიტალის გამოყენებისათვის არავითარ სარგებელს არ იხდის, როცა 12 საათის ნაცვლად მხოლოდ 6 საათს მუშაობენ. სიმდიდრე არის მუშაობის ანუ განთავისუფალი დრო და მეტი არაფერი» (გვ. 6).

რადგან აქ «სარგებლად» იგულისხმება მოგება, რენტა, სესხის სარგებელი — მოკლედ, ყოველგვარი ფორმა ზედმეტი ღირებულებისა — და რადგან, თვით პამფლეტის ავტორის თანახმად, კაპიტალი სხვა არაფერია, თუ არა შრომის პროდუქტი, დაგროვილი შრომა, რომელსაც შეუძლია თავისთავზე გაცვლის წესით მიიღოს არა მარტო თანაბარი რაოდენობა შრომისა, არამედ ზედმეტი შრომაც, ამიტომ, მისი აზრით, გამოთქმა «კაპიტალი სარგებელს არ იძლევაო» ნიშნავს: არ არსებობს არავითარი [860] კაპიტალი. პროდუქტი არ გადაიქცევა კაპიტალად. არ არსებობს არც ზედმეტი პროდუქტი, არც ზედმეტი შრომა. მხოლოდ მაშინ არის ერი ნამდვილად მდიდარი.

მაგრამ ეს შეიძლება ნიშნავდეს [ორიდან ერთ-ერთს ან]: არ არსებობს არც პროდუქტი, არც შრომა იმ პროდუქტისა და იმ შრომის გადამეტებით, რომლებიც საჭიროა მუშების კვლავწარმოებისათვის. ანდა: მუშები თვითონ ისაკუთრებენ ამ გადანამეტს, პროდუქტის გადანამეტი იქნება ეს, თუ შრომისა.

მაგრამ ავტორს რომ მხედველობაში არამხოლოდ ეს უკანასკნელი აქვს, ნათლად ჩანს იქიდან, რომ იგი დებულებას: «არავითარი სარგებელი კაპიტალით სარგებლობისათვის» უპირისპირებს შემდეგ დებულებას: «ერი ნამდვილად მდიდარია მხოლოდ მაშინ, როცა 12 საათის ნაცვლად მხოლოდ 6 საათს მუშაობენ». «სიმდიდრე არის მუშაობის აკანთავისუფალი დრო და მეტი არაფერი».

ეს კი შეიძლება ნიშნავდეს შემდეგს:

თუ ყველამ უნდა იმუშაოს, თუ მოხსნილია დაპირისპირებულობა ვადატარებთი მომუშავეთა და უსაქმურთა შორის, — ეს კი ყოველ შემთხვევაში იმის შედეგი იქნებოდა, რომ კაპიტალმა შეწყვიტა არსებობა, რომ პროლეტეტი ვეღარ მოგვეცემა უკვე უფლებას სხვისი ზედმეტი შრომის მიწართ, — და თუ თანაც მხედველობაში მივიღებთ მწარმოებლური ძალების განვითარებას, როგორც იგი კაპიტალმა შექმნა, მაშინ საზოგადოება 6 საათის განმავლობაში აწარმოებს პროლეტტთა აუცილებელ სიუხვეს, აწარმოებს ამ 6 საათის განმავლობაში უფრო მეტს, ვიდრე ახლა 12 საათის განმავლობაში იწარმოება, და ამასთანავე ყველას ექნება 6 საათი «მუშაობისგან თავისუფალი დრო», ე. ი. ყველას ექნება ნამდვილი სიმდიდრე — ისეთი დრო, რომელიც არ შთაინთქმება უშუალოდ მწარმოებლური შრომის მიერ, არამედ თავისუფალი დარჩება სიამოვნებისათვის, გართობისათვის, რის შედეგადაც თავისუფალ მოქმედებას და განვითარებას ფართო გასაქანი მიეცემა. დრო ფართო გასაქანი ანიჭის და ა. შ. განვითარებისათვის. ცნობილია, რომ თვით ეკონომისტები დაჭირავებული მუშების მონურ შრომას იმით ამართლებენ, რომ ეს შრომა ქმნის გართობის საშუალებას, თავისუფალ დროს სხვეებისათვის, საზოგადოების მეორე ნაწილსათვის, ამით კი — დაჭირავებული მუშების საზოგადოებისათვისაც [მთლიანად].

ანდა ამას შეიძლება ჰქონდეს ასეთი აზრიც:

მუშები ახლა მუშაობენ 6 საათს იმის ვადამეტებით, რაც (ახლა) საჭიროა შთი საკუთარი კვლავწარმოებისათვის. (მაგრამ საეჭვოა, რომ ასეთი იყოს პამფლეტის ავტორის აზრი, რადგან იმას, რასაც ახლა მუშები საჭიროებენ, იგი გვისახავს როგორც არაადამიანურ მინიმუმს.) თუ კაპიტალი არსებობას შეწყვეტს, მუშები იმუშაებენ უკვე მხოლოდ 6 საათს, და უსაქმურებმაც ამდენივე უნდა იმუშაონ. მატერიალური სიმდიდრე ყველასათვის დაყვანილი იქნებოდა ამით მუშების დონემდე. მაგრამ ყველას ექნებოდა თავისუფალი დრო, დრო თავისი განვითარებისათვის.

20. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

თვით პამფლეტის ავტორისათვის ეს, ცხადია, ნათელი არაა. მიუხედავად ამისა ყოველ შემთხვევაში მულამ რჩება ეს ჩინებული თეზისი:

«ერი ნამდვილად მდიდარია მაშინ. როცა 12 საათის ნაცვლად 6 საათს მუშაობენ. სიმდიდრე არის მუშაობისაგან თავისუფალი დრო და მეტი არაფერი».

ასევე რიკარდოც, თავში «ღირებულება და სიმდიდრე მათი განმასხვავებელი თვისებები», ამბობს, რომ ნამდვილი სიმდიდრე ისაა, რომ იქმნება რაც შეიძლება ნაკლები ღირებულების შემცველი რაც შეიძლება მეტი სახმარი ღირებულება, ე. თ. სხვა სიტყვებით, რაც შეიძლება ნაკლები სამუშაო დროის განმავლობაში იქმნება მატერიალური სიმდიდრის რაც შეიძლება მეტი სიუხვე. ასევე: აქაც «მუშაობისაგან თავისუფალი დრო» და სარგებლობა იმით, რაც სხვების სამუშაო დროის განმავლობაშია შექმნილი, წარმოგვიდგება როგორც კუშიარტი სიმდიდრე, მაგრამ, როგორც ყველაფერი კაპიტალისტურ წარმოებაში, და ამიტომ ამ წარმოების ინტერპრეტატორთა ნაწერებშიც, — ანტაგონიზმის ფარგლებში. სიმდიდრისა და ღირებულების დაპირისპირებულობა რიკარდოს მიხედვით იმ ფორმით, რომ წმინდა პროდუქტი უნდა იყოს რაც შეიძლება მეტი მთლიან პროდუქტთან შედარებით, ეს კი — კვლავ ამ ანტაგონისტური ფორმით — ნიშნავს, რომ საზოგადოების ის კლასები, რომელთა დროც მხოლოდ ნაწილობრივ არის შთანთქმული მატერიალური წარმოების მიერ ანდა სულ არ არის მის მიერ შთანთქმული, თუმცა ისინი სარგებლობენ კიდევ ამ მატერიალური წარმოების ნაყოფით, უნდა იყვნენ რაც შეიძლება უფრო მრავალრიცხოვანნი იმ კლასებთან შედარებით, რომელთა დროც მთლიანად შთანთქმულია მატერიალური წარმოების მიერ და რომელთა მოხმარება ამიტომ შეადგენს წარმოების ხარჯების მხოლოდ ერთ მუხლს, ერთ პირობას იმისათვის, რომ ისინი იყვნენ ასეთი სასაპალნე ცხოველები მაღალი კლასებისათვის. ეს მაინც იმის სურვილს ნიშნავს, რომ საზოგადოების რაც შეიძლება მცირე ნაწილი იყოს განწირული მონური შრომისათვის, იძულებითი შრომისათვის. და ეს არის ის ყველაზე მაღალი რამ, რასაც კაპიტალისტურ თვალსაზრისზე მდგომნი აღწევენ.

ამას პამფლეტის ავტორი უარყოფს. სამუშაო დრო, მაშინაც კი, როცა საცვლელი ღირებულება მოისპობა, მულამ დარჩება სიმდიდრის შემქმნელ სუბსტანციად და ამ სიმდიდრის წარმოებისათვის საჭირო ხარჯების საზომად. მაგრამ მუშაობისაგან თავისუფალი დრო თვით არის სიმდიდრე: ნაწილობრივ პროდუქტების მოხმარების, ნაწილობრივ თავისუფალი მოქმედებისათვის, რომე-

ლიც არ განისაზღვრება, შრომის მსგავსად, განსაზოარციელებელა გარე-
განი მიზნის ზეგავლენით, და რომლის განხორციელებაც ბუნებრივი
აუცილებლობაა ან სოციალური მოვალეობა, — რომელიც გენებოთ.

თავისთავად ცხადია, რომ თვით სამუშაო დრო — იმით, რომ იგი
შეზღუდული იქნება ნორმალური საზომით, შემდეგ, რომ იგი დაიხარ-
ჯება უკვე არა სხვისთვის, არამედ თვით ჩემთვის, — მეპატრონეებსა
და მუშებს შორის არსებული სოციალური ანტაგონიზმების და ა. შ. მოს-
პობასთან ერთად მიიღებს, როგორც ნამდვილად სოციალური შრომა და,
ბოლოს, როგორც ბაზისი თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი დ რ ო ი ს ა თ ე ი ს,
სრულიად სხვა, უფრო თავისუფალ ხასიათს და რომ ისეთი ადამიანის
ს ა მ უ შ ა ო დ რ ო ს, რომელიც ამასთან ერთად არის ადამიანი, რო-
მელსაც თავის განკარგულებაში თავისუფალი დრო აქვს, უნდა ექნეს
გაცილებით უფრო მაღალი თვისება, ვიდრე მუშა პირეტყვის სამუშაო
დროს.

**ჲ) რეივენსტონი [უხედავლავა კაპიტალზე როგორც
მუშების ზედმეტ პროდუქტზე. კაპიტალისტური განვითარების
ანტაგონისტური ფორმის შეარება თვით მის უინაარსში.
აქედან გამომდინარე უარყოფითი დასმობიდავლავა
მწარმოებლური ძალების კაპიტალისტური
განვითარების ნაყოფისადმი]**

[861] *Piercy Ravenstone, M. A. Thoughts on the Funding Sys-
tem. and its Effects. London, 1824.*

ეს არის უაღრესად შესანიშნავი თხზულება.

ავტორი პამფლეტისა «The Source and Remedy of the National
Difficulties» ზედმეტ ღირებულებას განიხილავს მის პირველადს ფორ-
მაში, ზ ე დ მ ე ტ ი შ რ ო მ ი ს ფ ო რ მ ა შ ი. ამიტომ მის მთავარ თვალ-
საზრისს შეადგენს სამუშაო დღის ხანგრძლივობა. ამასთან ზ ე დ მ ე ტ
შ რ ო მ ა ს, ანუ ზედმეტ ღირებულებას იგი განიხილავს უმთავრესად
მათს აბსოლუტურ ფორმაში, სამუშაო დროის იმ დროის საზღვრებს იქით
გაგრძელების ფორმაში, რომელიც საჭიროა თვით მუშის კვლავწარმოები-
სათვის, და არა შრომის მწარმოებლურ ძალთა განვითარების მეშვეობით
აუცილებელი შრომის შემოკლების ფორმაში.

ამ აუცილებელი შრომის შემოკლება რეკარდოს ძირითადი თვალ-
საზრისია, მაგრამ იმ სახით, რა სახითაც ეს შემოკლება კაპიტალისტური
წარმოების პრობებში ხდება, როგორც კაპიტალისტის წილხვედრი

სამუშაო დროის გაგრძელების საშუალება. ამის საპირისპიროდ პამფლეტის ავტორი საბოლოო მიზნად აცხადებს სამუშაო დროის შემოკლებას მწარმოებელთათვის და ზედმეტი პროდუქტის მფლობელთათვის მუშაობის შეწყვეტას.

რეიენსტონი, ჩანს, სამუშაო დღეს მოცემულად გულისხმობს. ამიტომ მის მსჯელობაში. — ისევე როგორც პამფლეტში «The Source and Remedy of the National Difficulties», თეორიულ საკითხებზე მხოლოდ ვაკერითაა ლაპარაკი და მსჯელობის მთავარი საგანია შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება, ანუ ის ზედმეტი პროდუქტი, რომელიც წილად ხედება კაპიტალს შრომის მწარმოებლური ძალის განვითარების შედეგად. როგორც საერთოდ ასეთი თვალსაზრისის დროს, ზედმეტი შრომა განიხილება მეტწილად ზედმეტი პროდუქტის ფორმაში, მაშინ როდესაც პამფლეტის ავტორი ზედმეტ პროდუქტს მეტწილად ზედმეტი შრომის ფორმაში განიხილავს.

ასწავლო ის, რომ ერის სიმდიდრე და ძლიერება დამოკიდებულია მის კაპიტალზე, — ეს ნიშნავს გადააქციო შრომა სიმდიდრისადმი დაქვემდებარებულ რაიმედ, გადააქციო ადამიანები საკუთრების მსახურებად» (გვ. 7).

იმ ანტითეზისში, რომელიც რიკარდოსეულმა თეორიამ შექმნა თავის საკუთარ წინამძღვართა ბაზაზე, დამახასიათებელია შემდეგი:

იმ ზომით, რა ზომითაც პოლიტიკური ეკონომია თანდათან ვითარდებოდა, — ამ განვითარებამ კი, რამდენადაც ლაპარაკია ძირითად პრინციპებზე, ყველაზე მკაფიო გამოხატულება რიკარდოსთან მიიღო, — იგი სულ უფრო გარკვევით გვისახავდა შრომას როგორც ღირებულების ერთადერთ ელემენტს და სახმარი ღირებულების ერთადერთ [აქტიურ] შემქმნელს, მწარმოებლური ძალების განვითარებას — როგორც ერთადერთ საშუალებას სიმდიდრის ნამდვილი გადიდებისათვის, ხოლო შრომის მწარმოებლური ძალის რაც შეიძლება მეტ განვითარებას — როგორც საზოგადოების ეკონომიურ ბაზისს. ასეთია სინამდვილეში კაპიტალისტური წარმოების ბაზისი. განსაკუთრებით რიკარდოს თხზულება, როცა ამტკიცებს, ღირებულების კანონი არც მიწის საკუთრებით, არც კაპიტალის დაგროვებით, არც კიდევ სხვა რაიმეთი არ ირღვევარ, არსებითად მხოლოდ იმის ცდაშია, რომ თავიდან მოაშოროს თეორიას ყველა ის მოვლენა, რაც ამ კონცეფციას ეწინააღმდეგება ანდა ჩანს, თითქოს ეწინააღმდეგებოდ. მაგრამ იმდენადვე, რამდენადაც შრომა გაგებულია როგორც ერთადერთი წყარო საცვლელი ღირებულებისა და როგორც აქტიური წყარო სახმარი ღირებულებისა, სწორედ ამდენადვე «კაპიტალს» იგივე ეკონომისტები, განსაკუთრებით დავიდ რიკარდო (მის შემდეგ კი, კიდევ უფრო მეტად,

ტორენსი, მალთუსი, ბეილი და სხვები), განიხილავენ როგორც წარმოების რეგულატორს, სიმდიდრის წყაროს და წარმოების მიზანს, მაშინ როდესაც შრომა გაგებულა მათ მიერ როგორც დაქირავებული შრომა, რომლის მატარებელი და ნამდვილი იარაღი აუცილებლად პაუპერია (თანაც აქ ამას ემატება კიდევ მალთუსის მოსახლეობის თეორია), მხოლოდ ერთ-ერთი მუხლი წარმოების ხარჯებისა და უბრალო ინსტრუმენტი წარმოებისა, რომელიც დამოკიდებულია მარტოოდენ ხელფასის მიწიუმზე და იძულებულია ამ მიწიუმზე დაბლა დაეცეს ყოველთვის, როცა კი მუშები კაპიტალისტთვის «ზედმეტი» რაოდენობით აღმოჩნდებიან ხოლმე. ამ წინააღმდეგობაში პოლიტიკურმა ეკონომიამ გამოთქვა მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების არსი ან, თუ გნებავთ, არსი დაქირავებული შრომისა, თავისი თავისათვის გაუცხოებული შრომისა, რომელსაც მის მიერ შექმნილი სიმდიდრე უპირისპირდება როგორც უცხო სიმდიდრე, მისი საკუთარი მწარმოებლური ძალა — როგორც მისი პროდუქტის მწარმოებლური ძალა, მისი გამდიდრება — როგორც თვითგადარბება, მისი საზოგადოებრივი ძალა — როგორც მასზე გაბატონებული ძალა საზოგადოებისა. მაგრამ საზოგადოებრივი შრომის ამ გარკვეულ სპეციფიკურ, ისტორიულ ფორმას, როგორც იგი კაპიტალისტურ წარმოებაში გვევლინება, ეს ეკონომისტები აცხადებენ საყოველთაო, მარადიულ ფორმად, ბუნებრივ ჭეშმარიტებად, ამ წარმოებით ურთიერთობებს კი საზოგადოებრივი შრომის აბსოლუტურად (და არა ისტორიულად) აუცილებელ, ბუნებრივ და ვინერულ ურთიერთობებად. კაპიტალისტური წარმოების კორიზონტით მთლიანად შეზღუდულნი, ისინი იმ ანტაგონისტურ ფორმას, რომლითაც აქ საზოგადოებრივი შრომა გვევლინება, იმდენადვე აუცილებელ ფორმად აცხადებენ, რამდენადაც აუცილებელია თვით ეს შრომა, განთავისუფლებული აღნიშნული ანტაგონიზმისაგან. ამრიგად, აცხადებენ რა ერთსა და იმავე დროს სიმდიდრის ერთადერთ წყაროდ, ერთი მხრივ, შრომა ამ სიტყვის აბსოლუტური მნიშვნელობით (ვინაიდან მათთვის დაქირავებული შრომა და შრომა იდენტურია), მეორე მხრივ კი, ამავე აბსოლუტური აზრით კაპიტალს, მუშის სიღატაკეს და იმის სიმდიდრეს, ვინც არ მუშაობს, ისინი მუდამ მოძრაობენ აბსოლუტურ წინააღმდეგობებში და ეს მათ ფიქრადაც არ მოსდით. (სიმონ დიმიხედა ამ წინააღმდეგობის არსებობას და ამით მან მთელი ეპოქა შექმნა პოლიტიკურ ეკონომიაში). «შრომა, ანუ კაპიტალი» — რიკარდოს⁸⁸ ამ ფორმულირებაში საოცარი ძალით მჟღავნდება როგორც თვით წინააღმდეგობა, ისე ის გულუმბრყვილობაც, რომლითაც გამოთქმულია აზრი ამ კატეგორიების იდენტურობის შესახებ.

მაგრამ რადგან იგივე რეალური განვითარება, რამაც ბურჟუაზიულ პროლიტიკურ ეკონომიას ეს თეორიულად უღმობელი გამოხატულება მისცა, ავითარებს თვით სინამდვილისთვის დამახასიათებელ რეალურ წინააღმდეგობებს და განსაკუთრებით დაპირისპირებულობას ინგლისში «ერის» მზარდ სიმდიდრესა და მუშების მზარდ სიღატაკეს შორის. რადგან, შემდეგ, ამ წინააღმდეგობებმა მიიღეს თეორიულად მკაფიო, თუმცაღა შეუცნობელი გამოხატულება რიკარდოსა და სხვა ეკონომისტების თეორიაში, ამიტომ საცხებით ბუნებრივი იყო, რომ იმ [8V—862] მოაზროვნეებმა, რომლებიც პროლეტარიატის მხარეზე დადგნენ, ხელი ჩასჭიდეს თეორიულად მათთვის უკვე დამუშავებულ წინააღმდეგობას. შრომა არის საცვლელი ღირებულების ერთადერთი წყარო და სახმარი ღირებულების ერთადერთი აქტიური შემქმნელი. ასე ამბობთ თქვენ. მეორე მხრივ, თქვენ ამბობთ, რომ კაპიტალი ყველაფერია, მუშა კი — არაფერი, ანდა რომ მუშა წარმოადგენს უბრალოდ კაპიტალის წარმოების ხარჯების ერთ-ერთ მუხლს. თქვენ თვითონ უარყავით თქვენი თავი. კაპიტალი არის მუშის თაღლითური მოტყუება — და მეტი არაფერი. შრომა არის ყველაფერი.

ასეთია, მართლაც, უკანასკნელი სიტყვა ყველა იმ თხზულებისა, რომლებიც პროლეტარიატის ინტერესებს რიკარდოს თვალსაზრისით იცავენ, მის საკუთარ წინამძღვრებზე დაყრდნობით. როგორც რიკარდოს არ ესმის მის სისტემაში ჩამოყალიბებული იგივეობა კაპიტალისა და შრომისა, ასევე ამ თხზულებათა ავტორებსაც არ ესმით ის წინააღმდეგობა კაპიტალსა და შრომას შორის, რომელსაც ისინი გვიხატავენ. ამიტომ იმათაც კი მათ შორის, ვინც ყველაზე მნიშვნელოვანია, როგორც მაგალითად ჰოდსკინი, კაპიტალისტური წარმოების ყველა ეკონომიური წინამძღვარი თვითონ მარადიულ ფორმებად მიაჩნიათ და მხოლოდ იმის წადილი აქვთ, რომ წაშალონ კაპიტალი, ამ წინამძღვართა საფუძველი და ამასთანავე აუცილებელი შედეგი.

რეივენსტონის ძირითადი აზრი ასეთია:

შრომის მწარმოებლური ძალების განვითარება ქმნის კაპიტალს, ანუ საკუთრებას, ე. ი. ზედმეტ პროდუქტს «idlers»-ებისათვის* — უსაქმურთათვის, არა — მუშებისათვის, — თანაც შრომა წარმოშობს ამ თავის პარაზიტულ ხორცმეტს, რომელიც მას სულ ერთიანად გამოსწოვს, მით უფრო მეტად, რაც უფრო მეტად ვითარდება ამ შრომის მწარმოებლური ძალა. საქმის ვითარებას არ ცვლის ის გარემოება, თუ როგორ იღებს არა-მუშა იმის უფლებას, რომ მიითვისოს ეს ზედმეტი პროდუქტი

* — «უსაქმური ადამიანებისათვის». რ ე ღ.

ტი სხვისი შრომის პროდუქტი, — იმის მეოხებით, რომ იგი უკვე ფლობს სიმდიდრეს, თუ იმის მეოხებით, რომ მას აქვს მიწა, მიწის საკუთრება. ერთი და მეორეც კაპიტალია, ე. ი. ბატონობა სხვისი შრომის პროდუქტზე. საკუთრება — property — ნიშნავს, რეივინგტონის მიხედვით, მხოლოდ სხვისი შრომის მითვისების უფლებას, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვითარდება მწარმოებელური შრომა, და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ვითარდება. მწარმოებლური შრომა რეივინგტონს ესმის როგორც შრომა, რომელიც აუცილებელ საარსებო საშუალებებს აწარმოებს. კაპიტალის, ანუ საკუთრების, განვითარების ერთ-ერთი შედეგია არამწარმოებლური შრომა, «მოხმარების ინდუსტრია»⁹⁴. პამფლეტის — «The Source and Remedy of the National difficulties» — ავტორის მსგავსად, რეივინგტონი ასკეტის როლში გვევლინება. აქ იგი კვლავ თვითონ ეკონომისტების წარმოდგენათა ტყვეობაშია. უკაპიტალოდ, საკუთრების გარეშე, მუშების მოხმარებაში შემავალი აუცილებელი საარსებო საშუალებანი წარმოებული იქნებოდა ჭარბად, მაგრამ ფუფუნების საგნების წარმოებას ადვილი არ ექნებოდა. ანდა შეიძლება აგრეთვე ითქვას, რომ რეივინგტონს, როგორც ხსენებული პამფლეტის ავტორსაც, იმდენად ესმის ან, ყოველ შემთხვევაში, იგი ფაქტიურად მაინც აღიარებს კაპიტალის ისტორიულ აუცილებლობას, რამდენადაც კაპიტალი, პამფლეტისტი აზრით, აწარმოებს ზედმეტ შრომას იმ შრომის გადამეტებით, რომელიც აუცილებელია მუშის სიცოცხლის შესანარჩუნებლად, და ამასთან ერთად ქმნის მანქანებს (პამფლეტისტი გაგებით — «ძირითად კაპიტალს») და საგარეო ვაჭრობას, მსოფლიო ბაზარს, ნაწილობრივ იმისათვის, რომ ზედმეტი პროდუქტი, რომელიც მუშებს გამოსტაცა, მწარმოებლური ძალის გასადიდებლად გამოიყენოს, ნაწილობრივ კი იმისათვის, რომ ამ ზედმეტ პროდუქტს მისცეს სახმარი ღირებულების უაღრესად სხვადასხვა და იმაზე უფრო მაღლა მდგომი ფორმები, რომლებიც აუცილებლად საჭიროა. ამრიგად, რეივინგტონის თანახმად, კაპიტალისა და საკუთრების გარეშე არ შეიქმნებოდა არც «კეთილმოწყობილობის საგნები», არც მანქანები, არც ფუფუნების საგნები, არ იქნებოდა არც საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარება, არც ის სულიერი პროდუქტებიც, რომლებიც თავიანთ არსებობას უნდა უმაღლოდნენ მოცალეობას ან მდიდართა მისწრაფებას — მიიღონ არა-მუშებისაგან თავიანთი «ზედმეტი პროდუქტის» ეკვივალენტი.

პამფლეტისტი და რეივინგტონი ამბობენ ამას არა კაპიტალის გასამართლებლად, არამედ ამას ხდიან ამოსავალ წერტილად კაპიტალზე თავდა-

სასხმელად, რადგან ყოველივე ეს ხდება მხოლოდ მუშების ინტერესების საწინააღმდეგოდ და არა მუშებისათვის. მაგრამ ამით ისინი ფაქტიურად აღიარებენ, რომ ეს არის კაპიტალისტური წარმოების შედეგი, რომ კაპიტალისტური წარმოება არის, მაშასადამე, საზოგადოებრივი განვითარების რაღაც ისტორიული ფორმა, რომელიც თუმცა წინააღმდეგობაშია მოსახლეობის იმ ნაწილის ინტერესებთან, რომელიც მთელი ამ განვითარების საფუძველს შეადგენს. ამ მხრივ ისინი იზიარებენ, — თუმცა საპირისპირო პოლუსებიდან, — ეკონომისტების შეზღუდულობას, როცა ამ განვითარების წინააღმდეგობრივ ფორმას თვით მისი შინაარსში ურევვენ. ერთნი ცდილობენ უკედაყონ ეს ანტაგონიზმი მისი ნაყოფის გულისთვის. მეორენი მზად არიან, რათა თავი დააღწიონ ანტაგონიზმს, მსხვერპლად გაიღონ ის ნაყოფი, რომელიც ამ ანტაგონისტური ფორმის ფარგლებში აღმოცენდა. ამით განსხვავდება ეს გამოსვლა [ბურჟუაზიული] პოლიტიკური ეკონომიის წინააღმდეგ ისეთი ადამიანების იმავდროული გამოსვლისაგან, როგორც ოუენია, და, მეორე მხრივ, აგრეთვე სისმონდის გამოსვლისაგან, რომელიც ხსნას იმაში ეძებს, რომ უკან უბრუნდება ანტაგონიზმის მოძველებულ ფორმებს, რათა თავი დააღწიოს მის მწვავე ფორმას.

[რეიენსტონი წერს:]

«ღარიბთა ვაჭირებთა ქმნის მის» (მდიდრის) «სიმდიდრეს... ყველანი რომ თანასწორნი იყვნენ, მაშინ არავინ არ იმუშავებდა სხვისთვის. აუცილებელი საჭიროების საგნები გვექნებოდა უხვად, მაშინ როდესაც ფუფუნების საგნები სრულიად არ იქნებოდა» (გვ. 10).

«შრომა, რომელიც პროდუქტებს აწარმოებს, საკუთრების მამაა, შრომა, რომელიც სხვებს პროდუქტთა მოხმარებაში ეხმარება, — საკუთრების შეილია» (გვ. 12).

«საკუთრების გადიდება, უსაქმური ადამიანებისა და არამწარმოებლური შრომის შენახვის შესაძლებლობის გადიდება — აი რას უწოდებს პოლიტიკური ეკონომია კაპიტალს» (გვ. 13).

«რადგან საკუთრების დანიშნულებას ხარჯვა შეადგენს, რადგან ხარჯვის ვარგვე საკუთრება სრულიად უსარგებლო რჩება მისი მფლობელისათვის, ამიტომ მისი არსებობა უადრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული მოხმარების ინდუსტრიის არსებობასთან» (იქვე).

«თუ ყოველი ადამიანის შრომა საკმაარისი იქნებოდა მხოლოდ მისი საკუთარი კვების უზრუნველსაყოფად, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა საკუთრების არსებობა, და ხალხის შრომის ვერცერთი ნაწილი ვერ მოხმარდებოდა წარმოსახვის საჭიროებათა დამყოფილებას» (გვ. 14—15).

«საზოგადოების განვითარების ყოველ საფეხურზე მოსახლეობის ზრდისა და ტექნიკის გაუმჯობესებათა შედეგად ადამიანის მწარმოებლური ძალის გადიდების კვალობაზე თანდათანობით მცირდება მომუშავეთა რიცხვი... საკუთრება წარმოიშობა წარმოების საშუალებათა გაუმჯობესებიდან; მისი ერთადერთი

დანიშნულება ხელი შეუწყოს უსაქმურობას. სანამ თითოეული ადამიანის შრომა მხოლოდ მისი საკუთარი შენახვისათვის ემარა, არ იქნებიან უსაქმური ადამიანები, რადგან საკუთრება ასეთ ვითარებაში შეუძლებელია. პირიქით, თუ ერთი ადამიანის შრომას შეუძლია ხუთი ადამიანის შეინახოს, მაშინ წარმოებული ერთი დასაქმებული ადამიანის პირისპირა ოთხი უსაქმური ადამიანი იქნება. მხოლოდ ამ წესით შეიძლება პროლეტარის მოხმარება... საზოგადოების მისჯარაება იქითკენაა მიმართული, რომ აამაღლოს უსაქმური ადამიანის შრომისმოყვარულის ხარჯზე, შექმნას ძალა სიუხვიდან» (გვ. 11).

ქრენტის შესახებ (ეს არ არის მთლად სწორი, რადგან სწორედ რენტის შესახებ საჭირო იქნებოდა იმის ახსნა, თუ რატომ ხვდება იგი მიწის მესაკუთრეს და არა მოიჯარეს, მწარმოებელ კაპიტალისტს) რეივენსტონი ამბობს იმას, რასაც ძალა აქვს ზედმეტი ღირებულების მიმართ საერთოდ, რამდენადაც იგი ვითარდება შრომის მწარმოებლური ძალის გაღივების შედეგად.

«საზოგადოების განვითარების ადრინდელ საფეხურებზე, როცა ადამიანებს ჯერ კიდევ არ გააჩნიათ მათი შრომის მწარმოებლური ძალების ზრდის ხელშეწყობი ხელოვნური საშუალებანი, მათი მონაგების ის ნაწილი, რომელიც შეიძლება გაცემულ იქნეს რენტის სახით, არაჩვეულებრივად მცირეა; ვინაიდან მიწას არა აქვს ბუნებით მინიჭებული ღირებულება და მთელ თავის პროდუქტს შრომას უნდა უმადლოდეს. მაგრამ შრომაში დახელოვნების უოელი გადიდება აღიღებს პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც შეიძლება გადაიდოს რენტის გადასახდელად. იქ, სადაც ათი კაცის შესაძლად საჭიროა ცხრა კაცის შრომა, რენტის წილად შეიძლება გამოიყოს მთლიანი პროდუქტის მხოლოდ 1/10. სადაც ერთი კაცის შრომა საკმარისია ხუთი კაცის შესაძლად, იქ რენტას ან სახელმწიფოს სხვა მოთხოვნილებებს, რომელთა დაკმაყოფილება მხოლოდ შრომის ზედმეტი პროდუქტიდან შეიძლება, წილად შეხდება პროდუქტის ოთხი მეხუთედი. პირველს, ჩანს, ადგილი ჰქონდა ინგლისში დაპყრობის პერიოდში, უკანასკნელს კი ადგილი აქვს ახლა, როცა მიწათმოქმედებაში მოსახლეობის მხოლოდ ერთი მეხუთედი დასაქმებულია» (გვ. 45—46). «აი რამდენად სწორია ის დებულება, რომ საზოგადოება ყოველ გაუმჯობესებას უსაქმურობის გაღივების საშუალებად აქცევს» (გვ. 48).»

შ ე ნ ი შ ე ნ ა: რეივენსტონის თხზულება ორიგინალურია, მისი უშუალო თემა, როგორც სათაური გვიჩვენებს, არის სახელმწიფო ვალების თანამედროვე სისტემა. სხვათა შორის რეივენსტონი ამბობს:

«მთელ ომს საფრანგეთის რევოლუციის წინააღმდეგ [შემდეგ კი ნაპოლეონის წინააღმდეგ] იმაზე უფრო დიდი არაფერი გაუკეთებია, ვიდრე რამდენიმე ებრაელის ქენტლმენებად გადაქცევა და რამდენიმე რეგენის ეკონომისტებად გადაქცევა იყო» (გვ. 66—67).

«სახელმწიფო ვალების სისტემას კარგი მხარეც აქვს: როცა იგი ქვეყნის ძველ თავდაზნაურობას მისი საკუთრების მნიშვნელოვან ნაწილს ართმევს, რათა ეს საკუთრება ახალგაობიერად ჰიდალგოს ვადასცეს როგორც ჯილდო მოტყუებისა და ზანინის მქურდაობის დახელოვნებაში სიმარჯვისათვის;.. როცა იგი მოტყუებასა და სისაძაღლეს ხელს უწყობს, თაღლითობას და ქედმაღლობას სიბრძნის სამოსელით მოსავს, მთელ ხალხს ბირყის სპეკულანტთა ვრად აქცევს;.. როცა აცამტვერებს ყველა ცრურწმენას წოდებისა და წარმოშობის შესახებ, რათა ფული ადამიანებს შორის ერთადერთ განმასხვავებელ ნიშნად გახადოს;.. — ყოველივე ამით იგი საკუთრების მარადიულობას არღვევს» (გვ. 51—52).

*) ჰოდსკინი

«Labour Defended against the Claims of Capital; or, the Unproductiveness of Capital Proved. With reference to the Present Combinations amongst Journeymen». By a Labourer. London, 1825.

Thomas Hodgskin. Popular Political Economy. Four Lectures delivered at the London Mechanics' Institution. London, 1827.

პირველი, ანონიმური თხზულება დაწერილია აგრეთვე ჰოდსკინის მიერ. თუ ზემოდასახელებულმა პამფლეტებმა და მათმა მსგავსმა სხვა ნაწარმოებებმა კვალი ვერ დატოვეს, სამაგიეროდ ჰოდსკინის ამ თხზულებებმა, განსაკუთრებით პირველმა, ძლიერი სენსაცია მოახდინეს და ისინი ჯერ კიდევ განეკუთვნებიან (შეად. John Lalor. Money and Morals. London, 1852 [(გვ. XXIV და 319—322)] ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის მნიშვნელოვან ნაწარმოებებს. ჩვენ ორივე ამ თხზულებას განვიხილავთ რიგის მიხედვით.

[ა] დიხულება კაპიტალის არამფარმოებლობის შესახებ რომორც აუცილებელი დასკვნა რიკარდოს თეორიიდან]

ბროშურაში «Labour Defended against the Claims of Capital; or, the Unproductiveness of Capital Proved» ავტორს, როგორც ეს უკვე სათაურშია ნათქვამი, სურს დაამტკიცოს «კაპიტალის არამწარმოებლობა».

რიკარდო არსად არ ამტკიცებს, რომ კაპიტალი მწარმოებლურია ღირებულების მწარმოებლის აზრით. კაპიტალი, რიკარდოს მიხედვით, პროდუქტს მიუმატებს მხოლოდ თავის საკუთარ ღირებულებას, მისი საკუთარი ღირებულება კი დამოკიდებულია იმ სამუშაო ღრობზე, რომელიც საჭიროა მისი კლავწარმოებისათვის. ღირებულება მას აქვს მხოლოდ როგორც «დაგროვილ შრომას» (უფრო ზუსტად, როგორც [864] გასაგნობრივებულ შრომას), და მხოლოდამ თავის ღირებულებას უმატებს იგი პროდუქტს, რომელშიც იგი შედის. მართალია, მოგების საერთო ნორმის განხილვისას რიკარდო არათანამდევრობას იჩენს. მაგრამ სწორედ ეს არის ის წინააღმდეგობა, რომელშიც იგი მისმა მოწინააღმდეგეებმა გამოიჭირეს

რაც შეეხება კაპიტალის მწარმოებლობას სახმარი ღირებულების აზრით, სმიტის, რიკარდოსა და ა. შ. — საერთოდ ეკონომისტების—მიხედვით იგი ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ წინანდელ სა-

სარგებლო სამუშაოთა პროდუქტები კვლავ ეწვევიან სამსახურს როგორც წარმოების საშუალებანი: როგორც შრომის საგანი, შრომის იარაღი და საბრუნავი საშუალებანი მუშისა. შრომის ობიექტური პირობები გამოდიან არა ბუნების მარტივი საგნების სახით, როგორც ამას ადვილი აქვს პირველყოფილ მდგომარეობაში (ბუნების მარტივი საგნების სახით ისინი არასოდეს არ წარმოადგენენ კაპიტალს), არამედ ბუნების ისეთი საგნების სახით, რომლებიც გარდაქმნილია უკვე ადამიანის მოქმედებით. მაგრამ ამ აზრით სიტყვა «კაპიტალი» სრულიად ზედმეტია და არაფერს არ გვეუბნება. ხორბალი საკვებია არა იმიტომ, რომ იგი კაპიტალია, არამედ იმიტომ, რომ იგი ხორბალია. მატყლის სახმარი ღირებულება დამახასიათებელია მისთვის როგორც მატყლისათვის და არა როგორც კაპიტალისათვის. ასევე ორთქლის მანქანის მოქმედებასაც არაფერი საერთო არა აქვს მის ყოფიერებასთან კაპიტალის სახით. იგი იმავე სამსახურს შეასრულებდა მაშინაც, თუ იგი «კაპიტალი» არ იქნებოდა და თუ ფაბრიკანტის კი არა, არამედ მუშების კუთვნილება იქნებოდა. ნამდვილ შრომის პროცესში ყველა ეს ნივთი გარკვეულ სამსახურს ეწვევა იმ ურთიერთობის მეოხებით, რომელიც მათ აქვთ როგორც ს ა ხ მ ა რ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ს მათს გამომყენებელ შრომასთან და არა როგორც საცვლელ ღირებულებებს და მით უმეტეს არა როგორც კაპიტალს. ის, რომ ისინი აქ არიან მწარმოებლურნი, ანუ. უფრო ზუსტად, ის, რომ შრომის-ნაყოფიერება ხორციელდება მათში როგორც თავიანთ მატერიაში [Stoff], აიხსნება მათი იმ თვისებით, რომ ისინი არიან ობიექტური პირობები ნამდვილი შრომისა, და არა იმიტომ, რომ მათ აქვთ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე ვ ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა მ უ შ ი ს ა ღ მ ი და მ ო უ კ ი ღ ე ბ ლ ა დ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ უ ლ ი; მისთვის გაუცხოებულნი პირობები ის სახით, ცოცხალი შრომის იმ ბატონის სახით, რომელიც განსახიერებულია კაპიტალისტში. ისინი მოიხმარებიან და გამოიყენებიან აქ როგორც ს ი მ დ ი ღ რ ე, ჰ ო ჰ კ ი ნ ს ი ს⁹⁵ (არა ჩვენი ჰოდსკინის) მართებული შენიშვნის თანახმად, და არა როგორც «წ მ ი ნ დ ა» სიმდიდრე, როგორც პროდუქტი და არა როგორც «წმინდა» პროდუქტი. მართალია, ეკონომისტის თავში გარკვეული საზოგადოებრივი ფორმა ამ ნივთებისა მათს მიმართებაში შრომასთან და მათი როგორც შრომის პროცესის მომენტების რეალური დახასიათება ისე გადახლართულია და ისე განუხრელად შეზრდილია ერთიმეორესთან, როგორც კაპიტალისტის თავშიც. მოუხედავად ამისა, როგორც კი ეკონომისტები შრომის პროცესის ანალიზს იწყებენ, ისინი იძულებული ხდებიან უარი თქვან გამოთქმაზე «კაპიტალი» და ილაპარაკონ შ რ ო მ ი ს მ ა ს ა ლ ა ზ ე, შ რ ო მ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ზ ე და ს ა - ა რ ს ე ბ ო ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ზ ე. მაგრამ ეს დახასიათება პროდუქ-

ტისა როგორც მასლისა, იარალისა და მუშის საარსებო საშუალებებისა სხვას არაფერს გამოხატავს, თუ არა ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ ი პირობების მიმართებას შრომასთან; თვით შრომა გვევლინება აქ როგორც მათზე გაბატონებული მოქმედება. ეს მოვლენა აბსოლუტურად არ ასახავს კაპიტალისა და შრომის ურთიერთობას, არამედ აქ არის მხოლოდ დამოკიდებულება ადამიანის მიზანშეწონილი მოქმედებისა მისი საკუთარი პროდუქტებისადმი კვლავწარმოების პროცესში. ისინი არ შეწყვეტენ არც შრომის პროდუქტებად ყოფნას, არც უბრალოდ ისეთ საგნებად არსებობას, რომელთაც შრომა თავისუფლად განაგებს. ისინი გამოხატავენ მხოლოდ იმ ურთიერთობას, რომლის ფარგლებშიც შრომა ისაკუთრებს თვით მის მიერ შექმნილ — ყოველ შემთხვევაში ამ ფორმით შექმნილ — საგანთა სამყაროს; მაგრამ ისინი არ გამოხატავენ ამ ნ ი ვ თ ე ბ ი ს ა რ ა ვ ი თ ა რ ს ხ ვ ა ბ ა ტ ო ნ ო ბ ა ს. შ რ ო მ ა ზ ე, გარდა იმ გარემოებისა. რომ მოქმედება უნდა შეეფერებოდეს თავის მასალას, — წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ იქნებოდა მზანშეწონილი მოქმედება, შრომა.

კაპიტალის მ წ ა რ მ ო ე ბ ლ ო ბ ა ზ ე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც კაპიტალი განიხილება როგორც გარკვეული საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობის გამოხატულება. და როცა კაპიტალი ასეთი წესით განიხილება, მაშინვე შედგენდება ისტორიულად წარმავალი ხასიათი ამ ურთიერთობისა, რომლის საყოველთაო შემცენებაც შეუთავსებელია მის შემდგომ არსებობასთან და რომელიც თვითონ ქმნის თავისი მოსპობის საშუალებებს.

მაგრამ ეკონომისტები არ განიხილავენ კაპიტალს როგორც ასეთ ურთიერთობას, რადგან ისინი ვერ ბედავენ ამ შე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ხასიათის აღიარებას, არც ესმით ეს უკანასკნელი; პირიქით, ისინი მხოლოდ თეორიულ გამოხატულებას აძლევენ კაპიტალისტური წარმოების ტყვეობაში მყოფი პრაქტიკოსების წარმოდგენის წესს, წარმოებისა, რომელიც ბატონობს ამ პრაქტიკოსებზე და რომლითაც ისინი დაინტერესებული არიან.

თავის პოლემიკაში [ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წინააღმდეგ] პოდსკინი თვითონ ამოდის ეკონომისტების წარმოდგენის შეზღუდული წესიდან. რამდენადაც ეკონომისტები გვიხატავენ კაპიტალს როგორც წარმოების მარადიულ ურთიერთობას, მათ იგი დაჰყავთ შრომის საერთო ურთიერთობაზე იმ მატერიალურ პირობებთან, რომლებიც საერთოა ყოველი წარმოების წესისათვის და არ შეიცავენ არაფერს კაპიტალის სპეციფიკური ხასიათიდან. იმდენად, რამდენადაც ისინი კაპიტალს განიხილავენ როგორც «ღირებულების» შემქმნელს, მათგან საუ-

კეთესონი — და [განსაკუთრებით] რიკარდო — აღიარებენ, რომ კაპიტალი არ ქმნის სხვა ღირებულებას, გარდა იმ ღირებულებისა, რომელიც მან მიიღო წინათ და იღებს მუდამ შრომისაგან, რადგან რომელიმე პროდუქტში მოთავსებული ღირებულება განსაზღვრება მისი კვლავწარმოებისათვის აუცილებელი სამუშაო დროით, ე. ი. იმით, რასაც წარმოადგენს პროდუქტი როგორც შედეგი ცოცხალი, ახლანდელი და არა წარსული შრომისა. და შრომის ნაყოფიერება, როგორც რიკარდო ხაზგასმით აღნიშნავს, თავის ზრდას ავლენს სწორედ წარსული შრომის პროდუქტის მუდმივ გაუფასურებაში. მეორე მხრივ, ეკონომისტები მუდამ ურევენ იმ განსაზღვრულ სპეციფიკურ ფორმას, რომელშიაც ეს ნივთები კაპიტალს წარმოადგენენ, მათს იმ თვისებაში, რაც მათ აქვთ როგორც ნივთებს და როგორც ყოველი შრომის პროცესის მარტივ მომენტებს. იმ მისტიფიკაციას, რომელსაც შეიცავს კაპიტალი როგორც «შრომის გამომყენებელი» [employer of Labour]⁹⁶, ისინი არ განმარტავენ და კმაყოფილებიან მხოლოდ იმით, რომ მუდამ შეუცნობლად გამოთქვამენ მას და ისეთ რამედ თვლიან, რაც განუყრელია მისი, კაპიტალის, ნივთობრივი ხასიათისაგან.

[867]⁹⁷ პირველ პამფლეტს*, რომელიც სწორ დასკვნას აკეთებს რიკარდოს თეორიიდან, ზედმეტი ღირებულება დაჰყავს ზედმეტ შრომაზე. ეს კეთდება რიკარდოს იმ მოწინააღმდეგეთა და მიმდევართა საპირისპიროდ, რომლებიც რიკარდოს მიერ ზედმეტი ღირებულებისა და მოგების ერთმანეთში არეგას ებღაუჭებიან.

მეორე პამფლეტი**, რიკარდოს იმავე მოწინააღმდეგეთა და მიმდევართა საპირისპიროდ, უფრო ზუსტად განსაზღვრავს შეფარდებითს ზედმეტ ღირებულებას, რომელიც დამოკიდებულია შრომის მწარმოებლური ძალის განვითარების დონეზე. რიკარდო იმავეს ამბობს, მაგრამ იგი არ აკეთებს იმ დასკვნას, რომელსაც რეივენსტონი აკეთებს: შრომის მწარმოებლური ძალის გადიდება ადიდება მხოლოდ უცხო, შრომაზე გაბატონებულ სიმდიდრეს, კაპიტალს.

ბოლოს, მესამე პამფლეტი*** აყალიბებს იმ ზოგად დებულებას, რომელიც საკითხის რიკარდოსიული გაშუქების აუცილებელი შედეგია,

* — ანონიმური პამფლეტი «The Source and Remedy of the National Difficulties». რ ე დ.

** — რეივენსტონის პამფლეტი «Thoughts on the Funding System, and its Effects». რ ე დ.

*** — პოდსკინის ანონიმური პამფლეტი «Labour Defended against the Claims of Capital; or, the Unproductiveness of Capital Proved». რ ე დ.

დებულებას კაპიტალის არამწარმოებლობის შესახებ. ეს მიმართულია ტორენსის, მალთუსის და სხვათა წინააღმდეგ, რომლებიც, —ავითარებენ რა შემდგომ რიკარდოს მოძღვრების ერთ მხარეს, — რიკარდოს დებულებას «შრომა არის ღირებულების შემქმნელი» აქცევენ საპირისპირო დებულებად «კაპიტალი არის ღირებულების შემქმნელი». ამასთანავე აქ პოლემიკა მიმართულია იმ დებულების წინააღმდეგ, რომლის თანახმად შრომა აბსოლუტურად დამოკიდებულია კაპიტალის არსებულ მასაზე როგორც შრომის არსებობის პირობებზე, — იმ დებულების წინააღმდეგ, რომელიც წითელ ზოლად გასდევს ეკონომისტების შრომებს სმიტიდან მალთუსამდე და რომელიც განსაკუთრებით მალთუსმა (და ასევე ჯემს მილმა) აბსოლუტურად დამოკიდებულად აღიარეს.

პირველი პამფლეტი საბოლოოდ მიდის შემდეგ დებულებამდე:

«სომღიღრე არის მუშაობისაგან თავისუფალი დრო და მეტი არაფერია».*

[ბ] პოლემიკა კაპიტალის — როგორც დაბრკოვლილი შრომის — რიკარდოსაშუალო განსაზღვრის წინააღმდეგ. თანაარსებული შრომის კონცეფცია. გასაზნობრივებულად წარსული შრომის შემუშავებლობა. არსებული სიმდიდრის დამოკიდებულება წარმოების მოძრაობასთან]

ჰოდსკინის აზრით, «საბრუნავი კაპიტალი» სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოებრივი შრომის სხვადასხვა სახეობის თანაარსებობა («თანაარსებადი შრომა»), დაგროვება კი სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლური ძალის დაგროვება, ასე რომ თვითმუშების დახელოვნებისა და ცოდნის (მეცნიერული ძალის) დაგროვება წარმოადგენს ძირითად დაგროვებას და შეუდარებლად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მასთან ხელახელად მიმავალი და მხოლოდ მისი ამსახველი დაგროვება ამ დასაგროვებელი მოქმედების არსებობის იობიექტური პირობებისა, რომელთა ახლად წარმოებას და ახლად მოხმარებასა და დაგროვებას მუდამ ადგილი აქვს მხოლოდ ნომინალურად.

«მწარმოებლური კაპიტალი და დახელოვნებული შრომა—ეს ერთი და იგივეა... კაპიტალი და მუშა მოსახლეობა ერთი და იგივეა» («Labour Defended against the Claims of Capital», გვ. 33).

* იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. რ ე დ.

ყოველივე ეს გალიანის თეზისის მხოლოდ შემდგომი განვითარებაა:

«ნამდვილი სიმდიდრე... არის *ა დ ა მ ი ა ნ ი ა*» («Della Moneta», კუსტოდის გამოცემა, Parle Moderna, ტომი III, გვ. 229).

მთელი ობიექტური სამყარო, «მატერიალური დოვლათის სამყარო» აქ მეორე პლანზე გადადის როგორც მხოლოდ მომენტი, როგორც მხოლოდ გაუჩინარებადი, სულ ახლად და ახლად შექმნილი გამოვლენა საზოგადოებრივად მწარმოებელი ადამიანების მოქმედებისა. შეადარეთ ეს «იდეალიზმი» იმ უხეშ მატერიალურ ფეტიშიზმს, რადაც რიკარდოს თეორია გადააქცია «ამ წარმოუდგენელმა მჯღაბნელმა»⁹⁹ მაკ-კულოხმა, სადაც ქრება არა მარტო განსხვავება ადამიანსა და ცხოველს შორის, არამედ ცოცხალსა და ნივთს შორის განსხვავებაც კი. და მის შემდეგ ერთი სინჯონ მხოლოდ იმის თქმა, რომ ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ამალღებული სპირიტუალიზმის საპირისპიროდ პროლეტარული ანტითეზა ქადაგებდა უხეშ მატერიალიზმს, რომელსაც მხედველობაში აქვს მარტოდენ ცხოველური მოთხოვნებიანი!

ჰოდსკინის შეცდომა ისაა, რომ თავის გამოკვლევაში კაპიტალის მწარმოებლობის შესახებ იგი არ განასხვავებს, რამდენად საქმე შეეხება სახმარი ღირებულების წარმოებას და რამდენად საცვლელი ღირებულების წარმოებას.

შემდეგ — მაგრამ ისტორიულად ამას თავისი გამართლება აქვს — იგი იღებს კაპიტალს იმ სახით, რა სახითაც იგი ეკონომისტებს აქვთ მოცემული. ერთი მხრივ, კაპიტალს (რამდენადაც იგი ნამდვილ შრომის პროცესში მონაწილეობს) ეკონომისტები გვიხატავენ როგორც შრომის უბრალო ნივთობრივ პირობებს, ანუ მისი — როგორც შრომის ნივთობრივი ელემენტის — მნიშვნელობით, — და (ღირებულების წარმოქმნის პროცესში) როგორც შრომის მხოლოდ გარკვეულ დროით ვანზომილ რაოდენობას, ე. ი. როგორც ისეთ რამეს, რაც თვით ამ შრომის რაოდენობიდან არაფრით არ განსხვავდება. მეორე მხრივ, — თუმცა ამრიგად, რამდენადაც კაპიტალი ნამდვილ წარმოების პროცესში გვევლინება, იგი სინამდვილეში მხოლოდ *ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა ა* თვით შრომისა, სხვა სახელი შრომისა, იგივე ეკონომისტები კაპიტალს გვიხატავენ როგორც შრომაზე გაბატონებულ და შრომის გამაპირობებელ ძალას, როგორც მისი ნაყოფიერების საფუძველს და როგორც მისთვის უცხო სიმდიდრეს. და ეს წარმოდგენილია ყოველგვარი მოსაშუალებ რგოლის გარეშე. აი რას ნახულობს ჰოდსკინი თავის წინამორბედებთან. და იგი უპირისპირებს ეკონომიური განვითარების რეალურ მხარეს განვითარების ამ ბურჟუაზიულ მისტიფიკაციას.

«კაპიტალი არის ერთ-ერთი სახეობა დამმონებელთაგან გამოგონებული კაპიტალი სტიკური სიტყვისა, როგორც ეკლესია ან სახელმწიფო ანდა რომელიმე სხვა ის ზოგადი გამოთქმა, რაც გამოიგონეს კაცობრიობის დანაარჩენი ნაწილის მკრეჭელებმა იმ მიზნით, რომ დაემაღათ ხელი, რომელსაც მკარატელი უჭირავს» («Labour Defended», გვ. 17).

შემდეგ, ჰოდსკინი იმ ტრადიციის შესაბამისად, რომელსაც იგი ეკონომისტებთან პოულობს, განასხვავებს საბრუნავ და ძირითად კაპიტალს, ამასთან საბრუნავი კაპიტალი მას ესმის უმთავრესად როგორც საბრუნავი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც შედგება მუშების საარსებო საშუალებათაგან ანდა გამოიყენება ასეთ საარსებო საშუალებებად.

შრომის დანაწილება, ამტყვიებენ ეკონომისტები, კაპიტალის წინამძველი დაგროვების გარეშე შეუძლებელია... მაგრამ «ის შედეგები, რომლებიც მიეწერება საქონელთა მარაგს, საბრუნავი კაპიტალის სახელწოდებით რომ გამოდის, გაპირობებულია თანაარსებული შრომით» (გვ. 8—9).

ჰოდსკინი ხედავს ეკონომისტების უხეშ გაგებას და მას საფუძველი აქვს თქვას, რომ «საბრუნავი კაპიტალი» არის მხოლოდ «სახელწოდება» განსაკუთრებულ «საქონელთა» «მარაგისათვის». რადგან ეკონომისტებმა ვერ გარკვეეს ის სპეციფიკური საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც წარმოდგენილია საქონელთა მეტამორფოზით, ამიტომ საბრუნავი კაპიტალიც მათ შეუძლიათ გაიგონ მხოლოდ ნივთობრივად. კაპიტალის ყველა განსხვავება, რაც მიმოქცევის პროცესიდან გამომდინარეობს, [868] და, არსებითად, თვით პროცესი კაპიტალის მიმოქცევისა, სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა საქონელთა მეტამორფოზი (ეს საქონლები კაპიტალის ხასიათს ღებულობენ დაჭირავებული შრომისადმი მათი დამოკიდებულების გამო), რაც კვლავწარმოების პროცესის მომენტს შეადგენს.

შრომის დანაწილება გარკვეული აზრით სხვა არაფერია, თუ არა თანაარსებული შრომა, ე. ი. შრომის სხვადასხვა სახეობის თანაარსებობა, გამოხატული პროდუქტთა, უფრო ზუსტად, საქონელთა, სხვადასხვა სახეობით. შრომის დანაწილება, კაპიტალისტური აზრით, როგორც გარკვეული საქონლის მწარმოებელი განსაკუთრებული შრომის დაშლა მარტივ, სხვადასხვა მუშებს შორის განაწილებულ და ურთიერთდაკავშირებულ ოპერაციათა ერთგვარ ჯამად გულისხმობს შრომის დანაწილებას საზოგადოების შიგნით, სახელოსნოს გარეშე, როგორც საქმიანობის სახეობათა გამოყოფას. მეორე მხრივ, შრომის დანაწილება სახელოსნოს შიგნით აღიღებს შრომის დანაწილებას საზოგადოების შიგნით. პროდუქ-

ტი შეიძლება იწარმოებოდეს როგორც საქონელი ამ სიტყვის მით უფრო სრული აზრით, მისი საცვლელი ღირებულება მით უფრო დამოუკიდებელი ხდება მისი — როგორც სახმარი ღირებულების — უშუალო ყოფიერებისაგან, ანდა მისი წარმოება მით უფრო დამოუკიდებელი ხდება მოცემული პროდუქტის მწარმოებელთა მიერ მისი მოხმარებისაგან, მისი — როგორც მოცემული პროდუქტის მწარმოებელთათვის სახმარი ღირებულების — ყოფიერებისაგან, რაც უფრო ცალმხრივია თვით ეს პროდუქტი და რაც უფრო მეტია იმ საქონელთა მრავალსახეობა, რომლებზეც მისი გაცვლა ხდება, რაც უფრო დიდია იმ სახმარ ღირებულებათა მწკრივი, რომლებშიც მისი საცვლელი ღირებულება გამოიხატება, რაც უფრო დიდია მისთვის ბაზარი. რაც უფრო მეტად აქვს ყოველივე ამას ადგილი, მით უფრო მეტად შეიძლება ეს პროდუქტი იწარმოებოდეს როგორც საქონელი, — მაშასადამე, აგრეთვე უფრო მასობრივი იყოს მისი წარმოება. ამ პროდუქტის სახმარი ღირებულების განურჩევლობა მისი მწარმოებლისათვის რაოდენობრივად მისი წარმოების მოცულობით გამოიხატება; ეს მოცულობა კი არავითარ კავშირში არაა მოცემული პროდუქტის მწარმოებლის სამომხმარებლო საქმიანობასთან, მაშინაც კი, როცა იგი ამასთანავე თავისი საკუთარი პროდუქტის მომხმარებელიცაა. მაგრამ ერთ-ერთი მეთოდი ასეთი წარმოებისა en masse* და, მაშასადამე, პროდუქტის [როგორც საქონლის] წარმოებისაც არის შრომის დანაწილება სახელოსნოს შიგნით. ამრიგად, შრომის დანაწილება სახელოსნოს შიგნით დამყარებულია მოსაქმეობის დანაწილებაზე საზოგადოების შიგნით.

ბაზრის სიდიდეს ორნაირი აზრი აქვს: ჯერ ერთი, მომხმარებელთა რაოდენობა, მათი რიცხვი; მეორე კი აგრეთვე ერთიმეორისაგან განცალკევებულ მოსაქმეობათა რაოდენობა. უკანასკნელი რაოდენობის გადიდება შეიძლება პირველის გაუდიდებლადაც. მაგალითად, როცა რთვა და ქსოვა გამოეყოფა შინამრეწველობას და მიწათმოქმედებას, ყველა მიწათმოქმედი ბაზარს ქმნის მრთველთათვის და მქსოველთათვის. ასევე ეს უკანასკნელნიც ერთიმეორისათვის ბაზარს ქმნიან მათი მოსაქმეობის დაყოფის შედეგად. შრომის დანაწილება საზოგადოების შიგნით გულისხმობს უწინარეს ყოვლისა შრომის განსხვავებულ სახეობათა ისეთ განცალკევებას ერთიმეორისაგან, რომ მათი პროდუქტები აუცილებლად უპირისპირდებიან ერთიმეორეს როგორც საქონელი და გაივლიან გაცვლას, შეასრულებენ საქონელთა მეტამორფოზს, ერთიმეორესთან

* — დიდი რაოდენობით, მასობრივი მასშტაბით. რ ე დ.

21. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

მიმართებაში არიან როგორც ს ა ქ ო ნ ე ლ ნ ი. (ამიტომ უკრძალავდნენ შუა საუკუნეების ქალაქები სოფელს რაც შეიძლება დიდი რაოდენობით პროფესიების შესრულებას. არა მარტო იმიტომ, რომ გამოერიცხათ კონკურენცია, — ეს ერთადერთია, რასაც აქ ა. სმიტი ხედავს, — არამედ იმიტომაც, რომ თავისთვის ბაზარი შეექმნათ.) მეორე მხრივ, იმისათვის, რომ შრომის დანაწილების განვითარებამ საზოგადოების შიგნით სათანადო განვითარება შეძლოს, იგი გულისხმობს მოსახლეობის გარკვეულ სიმჭიდროვეს. კიდევ უფრო მეტად გულისხმობს მოსახლეობის ამ სიმჭიდროვეს შრომის დანაწილება სახელოსნოს შიგნით. ეს უკანასკნელი დანაწილება შრომისა, რომლის წანამძღვარიც პირველის განვითარების გარკვეული დონეა, თავის მხრივ, მასთან ურთიერთმოქმედებით, აძლიერებს პირველ დანაწილებას იმით, რომ იგი დაყოფს წინათ ურთიერთდაკავშირებულ საქმიანობის სახეებს ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ სხვადასხვა სახეებად, იწვევს მათთვის საჭირო წინასწარი სამუშაოების გამრავლებას და დიფერენცირებას და წარმოებისა და მოსახლეობის გადიდებით, კაპიტალისა და შრომის გამოთავისუფლებით ქმნის ახალ მოთხოვნილებებს და ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ახალ წესებს.

ამიტომ როცა ჰოდსკინი ამბობს «შრომის დანაწილება» არის არა ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა მ ა რ ა გ ი ს შედეგი, რომელსაც საბრუნავი კაპიტალი ეწოდება, არამედ იგი «თ ა ნ ა ა რ ს ე ბ უ ლ ი შ რ ო მ ი ს» შედეგიაო, ეს ტავტოლოგია იქნებოდა, თუ იგი შრომის დანაწილებაში მოსაქმეობათა განცალკევებას იგულისხმებდა. ეს მხოლოდ იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ შრომის დანაწილება არის შრომის დანაწილების მიზეზი ან შედეგი. მაშასადამე, ჰოდსკინს შეეძლო ეგულისხმებია მხოლოდ შემდეგი: შრომის დანაწილება სახელოსნოს შიგნით გაპირობებულია მოსაქმეობათა განცალკევებით, შრომის საზოგადოებრივი დანაწილებით, და გარკვეული აზრით მისი შედეგია.

«საქონელთა მარაგი» კი არ ქმნის მოსაქმეობათა ამ განცალკევებას და ამით შრომის დანაწილებას თვით სახელოსნოს შიგნით, არამედ მოსაქმეობათა აღნიშნული განცალკევება (და შრომის დანაწილება) გამოიხატება საქონელთა მარაგით, ანუ, უფრო ზუსტად, გამოიხატება იმით, რომ პროდუქტების მარაგი გადაიქცევა ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა მ ა რ ა გ ა დ. {მაგრამ ეკონომისტები ყოველთვის გამოხატავენ აუცილებლად როგორც ნივთის თვისებას იმას, რაც კაპიტალის ტურის წარმოების წესის, ე. ი. თვით კაპიტალის თვისებას, დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს, რამდენადაც:

კაპიტალი გამოხატავს მწარმოებელთა გარკვეულ ურთიერთობას ერთი-მეორესთან და თავიანთ პრდუქტთან. }

[869] მაგრამ თუ ეკონომიური აზრით (იხ. ტიურგო, სმიტი და ა. შ.) ლაპარაკობენ «კაპიტალის წინამავალ დაგროვებაზე» როგორც შრომის დანაწილების პირობაზე, ამაში იგულისხმება ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა მ ა რ ა გ ი ს, როგორც კაპიტალის, წინასწარი კონცენტრაცია შრომის მყიდველის ხელში, ვინაიდან კოპერაციის ის სახეობა, რომელიც დამახასიათებელია შრომის დანაწილებისათვის, გულისხმობს მ უ შ ე ბ ი ს თ ა ვ მ ო ყ რ ა ს და, მაშასადამე, მათთვის საარსებო საშუალებების დაგროვებას მათი მუშაობის დროისათვის, გულისხმობს შრომის გადიდებულ ნაყოფიერებას და, მაშასადამე, იმ ნედლეულის, იარაღებისა და დამხმარე მასალის რაოდენობის გადიდებას, რომლებიც უნდა არსებობდნენ იმისათვის, რომ მუშაობა შეუწყვეტლად სრულდებოდეს, რადგან ამ მუშაობისათვის .განუწყვეტლად საჭიროა ყოველივე ეს დიდი რაოდენობით, — ერთი სიტყვით, გულისხმობს დიდი მასშტაბით წარმართული წარმოების ობიექტური პირობების არსებობას.

კაპიტალის დაგროვება არ შეიძლება აქ ნიშნავდეს «საარსებო საშუალებათა, ნედლეულისა და შრომის იარაღების გადიდებას როგორც შრომის დანაწილების პირობას», რადგან, რამდენადაც კაპიტალის დაგროვებაში საშუალებათა ასეთი სახის დაგროვებას გულისხმობენ, იგი ითვლება შრომის დანაწილების შედეგად და არა მის წინამძღვრად.

კაპიტალის დაგროვება არ შეიძლება ასევე ნიშნავდეს იმას, რომ საარსებო საშუალებანი მუშისათვის საერთოდ მანამდე უნდა არსებობდეს, ვიდრე მათ სანაცვლოდ ახალ საშუალებათა კლავწარმოება მოხდებოდეს, ანდა ნედლეულს და შრომის საშუალებებს ახალი წარმოებისათვის უნდა წარმოადგენდნენ მუშის შრომით უკვე წარმოებული პროდუქტები. ვინაიდან ეს არის შრომის პირობა საერთოდ და ის ამ როლს ნამდვილად ასრულებდა როგორც შრომის დანაწილების გა ნ ე ვ ი თ ა რ ე ბ ა მ დ ე, ისე მის შემდეგაც.

ერთი მხრივ, თუ ნივთობრივი ელემენტის მიხედვით განვიხილავთ, დაგროვება აქ ნიშნავს მხოლოდ შემდეგს: შრომის დანაწილება აუცილებელს ხდის იმ საარსებო საშუალებათა და შრომის საშუალებათა კონცენტრაციას ცალკეულ პუნქტებში, რომლებიც გაფანტული და დაქუცმაცებული იყვნენ, ვიდრე მუშაკი ცალკეულ სარეწავებში, — რომლებიც ამ ვარაუდის პირობებში არ შეიძლება ძლიერ მრავალრიცხოვანი იყვნენ, — თვითონ ასრულებდა ერთიმეორის მიყოლებით ყველა

სხვადასხვა ოპერაციას, რაც საჭიროა ერთი ან რამდენიმე პროდუქტის წარმოებისათვის. აქ იგულისხმება არა აბსოლუტური გადიდება, არამედ კონცენტრაცია: ერთ პუნქტში თავმოყრილია ყველა აღნიშნული საშუალების უფრო მეტი რაოდენობა და თანაც შეფარდებით უფრო მეტი [შრომის საშუალებანი] ერთად თავმოყრილი მუშების რიცხვთან შედარებით. მანუფაქტურაში დასაქმებული მუშებისათვის, მაგალითად, საჭიროა მეტი სელი (მათ რიცხვთან შეფარდებით), ვიდრე იგივე სელი მოიპოვებოდა ყველა იმ გლეხთან — მამაკაცთან და ქალთან — შეფარდებით, რომლებიც დამხმარე მოსაქმეობის წესით სელს ართავდნენ. ამრიგად, ადგილი აქვს მუშების კონგლომერაციას და ნედლეულის, იარაღებისა და საარსებო საშუალებების კონცენტრაციას.

მეორე მხრივ: იმ ისტორიულ საფუძველზე, რომლიდანაც ეს პროცესი ამოდის, — რომლიდანაც ვითარდება მანუფაქტურა, ე. ი. სამრეწველო წარმოების წესი, რომელიც შრომის დანაწილებით ხასიათდება, — ეს კონცენტრაცია შეიძლება ისეთი ფორმით ხდებოდეს, რომ ეს მუშები თავს იყრიან როგორც დაქირავებული მუშები, ე. ი. როგორც ისეთი მუშები, რომლებიც იძულებული არიან თავიანთი სამუშაო ძალა გაყიდონ. იმიტომ რომ მათი შრომის პირობები დამოუკიდებლად უპირისპირდებიან მათ როგორც უცხო საკუთრება, უცხო ძალა, ეს კი იმას გულისხმობს, რომ ეს შრომის პირობები მათ უპირისპირდებიან როგორც კაპიტალი, ე. ი. რომ აღნიშნული საშუალებანი და შრომის საშუალებანი, ანუ, რაც იგივეა, მათზე განკარგულება ფულის მეშვეობით, ფულის ან საქონელთა იმ ცალკეული მფლობელების ხელში იმყოფება, რომლებიც ამის შეოხებით კაპიტალისტები ხდებიან. მუშაკების მიერ შრომის პირობების დაკარგვა წარმოგვიდგება როგორც ამ შრომისპირობების მიერ კაპიტალის სახით მუშაკებისაგან განცალკევებული დამოუკიდებლობის შექმნა, ანდა როგორც ის გარემოება, რომ ეს შრომის პირობები კაპიტალისტების განკარგულებაშია.

ამრიგად, თავდაპირველი დაგროვება, როგორც მე ცხადგყავი⁸⁸, სხვა არაფერია, თუ არა გამოყოფა შრომის პირობებისა დამოუკიდებელი ძალების სახით, რომელნიც შრომასა და მუშებს უპირისპირდებიან. ისტორიულმა პროცესებმა ეს გამოყოფა საზოგადოებრივი განვითარების მომენტად აქციეს. რაკი კაპიტალი უკვე არსებობს, თვით კაპიტალისტური წარმოების წესიდან ვითარდება ამ გამოყოფის შენარჩუნება და კვლავ წარმოება სულ უფრო დიდი მასშტაბებით, ვიდრე ისტორიული გადატრიალება არ მოხდება.

ფულის ფლობა როდი ხდის კაპიტალისტს კაპიტალისტად. ფულის კაპიტალად გადაქცევისათვის საჭიროა არსებობდეს კაპიტალისტური წარმოების წანამძღვრები; პირველი ისტორიული წანამძღვარი კი კაპიტალისტური წარმოებისა არის აღნიშნული გამოყოფა. თვით კაპიტალისტური წარმოების ფარგლებში ეს გამოყოფა, და ამიტომ შრომის პირობების კაპიტალის სახით არსებობაც, მოცემულია; ეს არის თვით წარმოების მულამ კვლავწარმოებადი და გაფართოებადი საფუძველი.

და გ რ ო ვ ე ბ ა მოგების, ანუ ზედმეტი პროდუქტის, კაპიტალად უკუგადაქცევის გზით იქცევა ახლა მუდმივ პროცესად, რის გამოც შრომის რაოდენობრივად გადიდებული პროდუქტები, რომლებიც ამასთანავე მისი ობიექტური პირობებია, პირობები კვლავწარმოებისა, მულამ უპირისპირდებიან შრომას როგორც კ ა პ ი ტ ა ლ ი, როგორც შრომისათვის გაუცხოებული, შრომაზე გაბატონებული და კაპიტალისტში ინდივიდუალიზებული ძალები. მაგრამ ამით კაპიტალისტის სპეციფიკურ ფუნქციად იქცევა სწორედ დაგროვება, ე. ი. ზედმეტი პროდუქტის უკუგადაქცევა შრომის პირობებად. აქედან კი ზერელე ეკონომისტი იმ დასკვნას აკეთებს, რომ ეს ოპერაცია საერთოდ სხვაგვარად ვერ შესრულდებოდა, თუ არა ამ ანტაგონისტური სპეციფიკური ფორმით. კვლავწარმოება გაფართოებული მასშტაბით მას ვერ წარმოუდგენია ამ კვლავწარმოების კაპიტალისტური ფორმისგან — დაგროვებისაგან განცალკევებულად.

[870] დაგროვება გამოხატავს მხოლოდ როგორც უ წ ყ ვ ე ტ ი პროცესი იმას, რაც თავდაპირველ დაგროვებაში გვევლინება როგორც განსაკუთრებული ისტორიული პროცესი, როგორც კაპიტალის წარმოქმნის პროცესი და როგორც გადასვლა ერთი წარმოების წესიდან მეორეზე.

ეკონომისტები იმყოფებიან იმ შეხედულებათა ტყეობაში, რომლებშიც კაპიტალისტური აგენტები მოძრაობენ, ვარდებიან ორნაირ, მაგრამ ურთიერთგამაპირობებელ quidproquo-ში*.

ერთი მხრივ, ისინი კაპიტალს გადააქცევენ ურთიერთობიდან ნივთად, «საქონელთა მარაგად» (ამასთან ისინი იფიქვებენ უკვე, რომ თვით საქონელი არ არის უბრალო ნივთი) და ამ საქონელით, რამდენადაც ისინი ახალი შრომისათვის წარმოების პირობების როლს ასრულებენ, ეწოდებათ კაპიტალი, თავიანთი კვლავწარმოების წესის შესაბამისად კი — საბრუნავი კაპიტალი.

* ცნებათა არევა (სიტყუასიტყვით: ერთის მიღება მეორის ნაცვლად, ერთი მეორის ადგილას). რ ე დ.

მეორე მხრივ, ისინი ნივთებს გადაქცევენ კაპიტალად, ე. ი. იმ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელიც წარმოდგენილია ნივთებში და ნივთების მეშვეობით, ისინი განიხილავენ როგორც ისეთ თვისებას, რომელიც დამახასიათებელია ნივთისათვის როგორც ასეთისათვის, რაკი ეს ნივთი შრომის პროცესში ან ტექნოლოგიურ პროცესში შედის როგორც ელემენტი.

ამრიგად, [ე რ თ ი მ ხ რ ი ვ,] არამომუშავეთა ხელში კონცენტრაცია ნედლეულისა და საარსებო საშუალებათა როგორც შრომაზე გაბატონებული ძალისა, როგორც შრომის დანაწილების წინასწარი პირობისა (შემდგეში ეს შრომის დანაწილება აღიღებს არა მარტო კონცენტრაციას, არამედ ასევე, შრომის მწარმოებლური ძალის გადიდების მეოხებით, კონცენტრაციის ობიექტად ქცეულ მასასაც), ე. ი. კაპიტალის წინასწარი დაგროვება როგორც პირობა შრომის დანაწილებისათვის — ეკონომისტებისათვის ნიშნავს საარსებო საშუალებათა და შრომის საშუალებათა გამრავლებას ან კონცენტრაციას (ისინი ამ უკანასკნელთ არ განასხვავებენ).

მეორე მხრივ, ეს საარსებო საშუალებანი და შრომის საშუალებანი ვერ იმოქმედებდნენ, მათი აზრით, როგორც წარმოების ობიექტური პირობები, ამ ნივთებს რომ არ ჰქონდეთ ის თვისება, რაც მათ კაპიტალად ხდის, შრომის პროდუქტი, რომელიც შრომის პირობას შეადგენს, თვით შრომას რომ არ ხმარობდეს და ეს ნივთები რომ არ ეკუთვნოდნენ არა მუშას, არამედ თვით მათ ანდა per procura* კაპიტალისტს.

თითქოს შრომის დანაწილება სწორედ ასევე შესაძლებელი არ იყოს (თუმცა იგი ისტორიულად თავიდანვე ვერ მოგვევლინებოდა ისეთი ფორმით, როგორითაც მას შეუძლია მოგვევლინოს როგორც მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების შედეგი) იმ შემთხვევაში, თუ შრომის პირობები ასოციირებული მუშების კუთვნილება იქნებოდა და თუ მუშები მოეპყრობოდნენ ამ შრომის პირობებს როგორც ისეთ რამეს, რასაც ისინი წარმოადგენენ natura**, ე. ი. როგორც თავიანთ საკუთარ პროდუქტებს და თავიანთი საკუთარი მოქმედების საგნობრივ ელემენტებს.

რადგან, შემდგე, კაპიტალისტური წარმოების დროს კაპიტალი ისაკუთრებს მუშის ზედმეტ პროდუქტს და რადგან ამის გამო შრომის ის პროდუქტები, რომლებიც კაპიტალმა უკვე მიითვისა, ახლა მუშას კაპიტალის ფორმით უპირისპირდება, ამიტომ ნათელია, რომ ზედმეტი პროდუქტის გადაქცევა შრომის პირობებად შეიძლება მომდინარე-

* — რწმუნებით, მინდობილობით. რ ე დ.

** — თავისი ბუნებით. რ ე დ.

ობდეს მხოლოდ კაპიტალისტიდან და მხოლოდ იმ ფორმით, რომ შრომის პროდუქტს, კაპიტალისტის მიერ უეკევივალენტოდ მითვისებულს, კაპიტალისტი აქცევს წარმოების საშუალებად ახალი უეკევივალენტო შრომისათვის. ამიტომ კვლავ წარმოების გაფართოება გვევლინება როგორც მოგების გადაქცევა კაპიტალად და როგორც და ა ნ ა ზ ო გ ი კაპიტალისტისა, რომელიც, ნაცვლად იმისა, რომ მუქთად მიღებული ზედმეტი პროდუქტი შეჭამოს, მას ხელახლა შრომის ექსპლუატაციის საშუალებად ხდის, მაგრამ ამის შესრულება მხოლოდ იმ გზით შეუძლია, რომ მას ხელახლა მწარმოებლურ კაპიტალად გადააქცევს, რაც ზედმეტი პროდუქტის შრომის საშუალებებად გადაქცევას გულისხმობს. ამიტომ ეკონომისტი იმ დასკვნას აკეთებს, რომ ზედმეტი პროდუქტი ვერ შეასრულებდა ახალი წარმოების ელემენტის როლს, თუ წინასწარ არ გადაიქცეოდა მუშის პროდუქტიდან მისი გამომყენებლის საკუთრებად, რათა შემდეგ ხელახლა გაეწია სამსახური კაპიტალის სახით და გაემეორებინა წინანდელი ექსპლუატაციის პროცესი. ამას ცუდი ეკონომისტები უმატებენ წარმოდგენას მარაგის დაგროვებაზე და განძის შექმნაზე. მაგრამ საუკეთესოებსაც კი, როგორც რიკარდოა, ამქვეყნიური სიამოვნებისგან თვითაკვეთის წარმოდგენა განძის შემგროვებელიდან კაპიტალისტზე გადააქვთ.

ეკონომისტები არ განიხილავენ კაპიტალს როგორც ურთიერთობას. მათ არ შეუძლიათ ადამიანურად განიხილონ კაპიტალი, თუ არ განიხილეს იგი ამასთანავე როგორც ისტორიულად წარმავალი, შეფარდებითი, არა აბსოლუტური ფორმა წარმოებისა. თვით ჰოდსკინსაც კი არა აქვს ასეთი გაგება კაპიტალისა. იმდენად, რამდენადაც ეს შეხედულება კაპიტალს ამართლებს, იგი არ ამართლებს ეკონომისტების მიერ კაპიტალის გამართლებას, არამედ, პირიქით, უარყოფს ამ გამართლებას. ამრიგად, კაპიტალზე ასეთ შეხედულებასთან ჰოდსკინს საერთო არაფერი აქვს.

იმ ურთიერთობის პირობებში, რაც ჰოდსკინსა და ეკონომისტებს შორის არსებობდა, მისი პოლემიკის ხასიათი, თითქოს, წინასწარგანსაზღვრული და მეტად მარტივი იყო. ჰოდსკინი მარტივად უნდა დაყრდნობოდა ეკონომისტების მოძღვრების იმ მხარეს, რასაც ისინი «მეცნიერულად» ავითარებდნენ და უნდა წამოეყენებინა ეს მხარე იმ ფეტიშისტურ შეხედულებათა წინააღმდეგ, რომლებიც მათ sans raison*, შეუფხვებლად და გულუბრყვილოდ გადმოაქვთ კაპიტალისტური წარმოდგენის წესიდან, და ეთქვა დაახლოებით ასე:

* — თავის თავისთვის ანგარიშმოუცემლად. რ ე დ.

წარსული შრომის პროდუქტების, საერთოდ შრომის პროდუქტების, მოხმარება მასალის, იარაღისა და საარსებო საშუალებათა სახით აუცილებელია, თუ მუშას სურს გამოიყენოს თავისი პროდუქტები ახალი წარმოებისათვის. მუშის პროდუქტის მოხმარების ეს განსაზღვრული წესი მწარმოებლურია. მაგრამ რა კავშირი აქვს მუშის პროდუქტის ამ გამოყენებას, მუშის მიერ თავისი პროდუქტის მოხმარების ამ წესს თვით მუშაზე ამ პროდუქტის ბატონობასთან, კაპიტალის სახით ამ პროდუქტის ყოფიერებასთან, ნედლეულსა და საარსებო საშუალებებზე განკარგულების თავმოყრასთან [870a] ცალკეული კაპიტალისტების ხელში და იმასთან, რომ მუშებს წართმეული აქვთ თავიანთი პროდუქტის საკუთრება? რა კავშირი აქვს ამას იმასთან, რომ მუშებმა ჯერ მუქთად უნდა აძლიონ თავიანთი პროდუქტი მესამე პირს, რათა შემდეგ გამოისყიდონ იგი მისგან თავიანთი საკუთარი შრომით, რისთვისაც მათ ამ პროდუქტზე გაცვლის წესით უნდა აძლიონ მას უფრო მეტი შრომა, ვიდრე პროდუქტშია მოთავსებული, და ამ გზით შექმნან კაპიტალისტისთვის ახალი ზედმეტი პროდუქტი?

წარსული შრომა წარმოგვიდგება აქ ორი ფორმით. ჯერ ერთი, — როგორც პროდუქტი, სახმარებელია. წარმოების პროცესი მოითხოვს იმას, რომ ამ პროდუქტის ნაწილი მუშებმა მოიხმარონ [საარსებო საშუალებათა სახით], მეორე ნაწილი კი გამოიყენონ როგორც ნედლეული და შრომის იარაღები. ეს შეეხება ტექნოლოგიურ პროცესს და გვიჩვენებს მხოლოდ იმას, თუ როგორ უნდა ექცეოდნენ მუშები სამრეწველო წარმოებაში თავიანთი საკუთარი შრომის პროდუქტებს, თავიანთ საკუთარ პროდუქტებს, რათა ისინი წარმოების საშუალებებად გახადონ.

მეორე, წარსული შრომა წარმოგვიდგება როგორც ღირებულება. ეს გვიჩვენებს მხოლოდ იმას, რომ მუშების ახალი პროდუქტის ღირებულება წარმოადგენს არა მხოლოდ მათს. ახლანდელ, არამედ აგრეთვე მათს წარსულ შრომას და რომ მუშები აღიღებენ თავიანთი შრომით ძველ ღირებულებას. და ამ გადიდებით ინარჩუნებენ მას.

კაპიტალისტის პრეტენზიას საერთო არაფერი აქვს ამ პროცესთან როგორც ასეთთან. რა თქმა უნდა, რაკი კაპიტალისტმა მიითვისა შრომის პროდუქტები, წარსული შრომისა, მას ამის. შედეგად საშუალება აქვს მიითვისოს ახალი პროდუქტები ცოცხალი შრომისაც. მაგრამ ეს არის სწორედ ის წესი მოქმედებისა, რომლის წინააღმდეგაც პროტესტები გაისმის. შრომის დანაწილებისათვის აუცილებელი წინასწარი კონცენტრაცია და დაგროვება არ უნდა გვევლინებოდნენ სწორედ კაპიტალ-

ლი ს და გ რ ო ე ე ბ ის სახით. იქიდან, რომ ისინი აუცილებელია, სრულიადაც არ გამომდინარეობს იმის აუცილებლობა, რომ ის პირობებში, რომლებიც გუშინდელმა შრომამ შექმნა დღევანდელი შრომისათვის, კაპიტალისტის განკარგულებაში იყოს. თუ კაპიტალის დაგროვება [ეკონომისტების თანახმად] სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა შრომის დაგროვებას, მაშინ ეს სრულიადაც არ გულისხმობს იმას, რომ იგი უნდა იყოს სხვისი შრომის დაგროვება.

მაგრამ ჰოდსკინი — პირველი შეხედვით ეს უცნაურია — არ მიდის ამ მარტივი გზით. თავის პოლემიკაში კაპიტალის, პირველ რიგში — საბრუნავის, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ძირითადის, მწარმოებლობის წინააღმდეგ იგი, ჩანს, სადავოდ ხდის ან უარყოფს კვლავწარმოებისათვის, როგორც ახალი შრომის პირობისათვის, თვით წარსული შრომის ან მისი პროდუქტის მნიშვნელობას, ე. ი. წარსული, პროდუქტებში გასაგნობრივებული შრომის მნიშვნელობას შრომისათვის როგორც ახლანდელი *χρῆσις*-თვის*. რით არის გამოწვეული ასეთი შემობრუნება?

რადგან ეკონომისტები წარსულ შრომას კაპიტალთან აიგივეებენ — წარსული შრომა აღებულია აქ როგორც კონკრეტული, პროდუქტებში გასაგნობრივებული შრომის აზრით, ისე საზოგადოებრივი შრომის, მატერიალიზებული სამუშაო დროის აზრითაც, — ამიტომ გასაგებია, რომ ისინი, როგორც კაპიტალის პინდარები**, წინ წამოსწევენ წარმოების საგნობრივ ელემენტებს და გადაჭარბებულად აფასებენ მის მნიშვნელობას შედარებით სუბიექტურ ელემენტთან, ცოცხალ, უშუალო შრომასთან. მათთვის შრომა ხდება ადეკვატური მხოლოდ მაშინ, როცა იგი კაპიტალად იქცევა, როცა იგი თავის თავს უპირისპირდება, როცა შრომის პასივი მის აქტივს უპირდაპირდება. ამიტომ პროდუქტი ბატონობს მწარმოებელზე, საგანი — სუბიექტზე, განხორციელებული შრომა — განსახორციელებელ შრომაზე, და ა. შ. ყველა ამ კონცეფციაში წარსული შრომა გამოდის არა როგორც ცოცხალი შრომის მარტოოდენ საგნობრივი მომენტი, რომელიც ცოცხალ შრომას ექვემდებარება, არამედ პირიქით; არა როგორც ცოცხალი შრომის ბატონობის ელემენტი, არამედ როგორც ბატონობა ამ შრომაზე. იმისათვის, რომ ტექნოლოგიურადაც გაამართლონ ის სპეციფიკური ისაზოგადოებრივი ფორმა, ე. ი. კაპიტალისტური.

* — მოქმედებისათვის. რ ე დ.

** — ხოტბის შემსხველი მომღერლები (ძველი ბერძენი პოეტის პინდარის სახელის მიხედვით). რ ე დ.

ფორმა, რომელშიც შრომისა და შრომის პირობების ურთიერთობა თავდაყირა დგას, ასე რომ მუშა კი არ იყენებს ამ პირობებს, არამედ შრომის პირობები იყენებენ მუშას, ეკონომისტები შრომის საგნობრივ მომენტს ანიჭებენ რაღაც მცდარ მნიშვნელობას თვით შრომის საპირისპიროდ. და სწორედ ამიტომ ჰოდსკინი, პირიქით, დაჟინებით იცავს იმას, რომ ეს საგნობრივი მომენტი, — მაშასადამე, მთელი განივთებული სიმდიდრე, — არაჩვეულებრივად უმნიშვნელოა შედარებით ცოცხალი წარმოების პროცესთან და სინამდვილეში მნიშვნელობა აქვს მხოლოდ როგორც ცოცხალი წარმოების პროცესის მომენტი, თავისთავად კი მას მნიშვნელობა არა აქვს. ამასთან ჰოდსკინი რამდენადმე ვერ აფასებს სათანადოდ, — მაგრამ ეს ბუნებრივია ეკონომისტების ფეტიშიზმის საპირისპიროდ, — იმ მნიშვნელობას, რაც შრომის წარსულს აქვს შრომის აწმყოსათვის.

კაპიტალისტურ წარმოებაში, — მაშასადამე, მის თეორიულ გამოხატულებაშიც, პოლიტიკურ ეკონომიაში, — წარსული შრომა მხოლოდ შრომისათვის შრომის მიერ შექმნილი კვარცხლბეკის სახით რომ გამოდოდეს, მაშინ ასეთი სადავო საკითხი არ იარსებებდა. სადავო საკითხი იმიტომ არსებობს, რომ კაპიტალისტური წარმოების რეალურ ყოფიერებაში, და ასევე მის თეორიაშიც, განივთებული შრომა გამოდის როგორც ანტაგონისტური დაპირისპირება თვით შრომისადმი, ცოცხალი შრომისადმი. სავსებით ამგვარადვე რელიგიის ტყვეობაში მყოფი აზროვნების პროცესში აზროვნების პროდუქტი არა მარტო თვით აზროვნებაზე ბატონობის პრეტენზიას აცხადებს, არამედ ახორციელებს კიდევ ამ ბატონობას.

[865] ამრიგად, ჰოდსკინის თეზისი იმის შესახებ, რომ

«ის შედეგები, რომლებიც მიეწერება საქონელთა მარაგს, საბრუნავი კაპიტალის სახელწოდებით რომ გამოდის, გაპირობებულია თანაარსებული შრომით» (გვ. 9).

ნიშნავს უწინარეს ყოვლისა შემდეგს:

ცოცხალი შრომის იმედგარეული თანაარსებობა წარმოშობს იმ შედეგების მნიშვნელოვან ნაწილს, რომლებიც მიეწერება საბრუნავი კაპიტალის სახელწოდებით არსებულ წარსული შრომის პროდუქტს.

საბრუნავი კაპიტალის ნაწილი შედეგება, მაგალითად, იმ საარსებო საშუალებათა მარაგისაგან, რომლებიც კაპიტალისტმა, როგორც ეკონომისტები ამტკიცებენ, დააგროვა, რათა მუშეები შეინახოს მათი მუშაობის აღროს.

მ ა რ ა გ ი ს შ ე ქ მ ნ ა საერთოდ არ არის კაპიტალისტური წარმოების თავისებურება, თუმცა, რამდენადაც ამ წარმოების პირობებში წარმოება და მოხმარება ყველაზე დიდია, ამდენად ყველაზე დიდია აგრეთვე საქონელთა მასაც, რომელიც იმყოფება ბაზარზე — იმყოფება მიმოქცევის სფეროში. კაპიტალისტის მიერ საარსებო საშუალებათა მარაგის დაგროვების შესახებ მოცემულ კონცეფციაში ჯერ კიდევ გამოსჭვივის მოგონება და გ რ ო ვ ე ბ ა ზ ე, რ ო მ ე ლ ს ა ც ა ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ს განძის დამგროვებელი, მოგონება იმაზე, რასაც ინგლისელები უწოდებენ hoarding*.

აქ უწინარეს ყოვლისა უყურადღებოდ უნდა დავტოვოთ მოხმარების ფონდი, რადგან აქ ლაპარაკია კაპიტალზე და სამრეწველო წარმოებაზე. ის, რაც ინდივიდუალური მოხმარების სფეროში მოხდება, სულ ერთია, ჩქარა მოიხმარება იგი თუ ნელა, აღარ არის უკვე კაპიტალი {თუმცა ნაწილობრივ იგი შეიძლება უკუგადაიქცეს კაპიტალად, როგორც მაგალითად, სახლები, პარკები, ჭურჭელი და ა. შ.}

«აქვს თუ არა მოცემულ მომენტში ევროპის ყველა კაპიტალისტს საკმარისი კვების საშუალებანი და ტანსაცმელი, რაც საჭირო იქნებოდა თუნდაც ერთი კვირის განმავლობაში თავისი მუშების მოსამარაგებლად? განვიხილოთ პირველყოლისა ეს საკითხი კვების საშუალებების მიმართ. ხალხის კვების ერთ ნაწილს შეადგენს პური, რომელიც შექვამაზე მხოლოდ რამდენიმე საათით ადრე ცხვება... მეფუნთუშის პროდუქტის დაგროვება არ შეიძლება. მასლა, რომლიდანაც პური კეთდება, იქნება იგი ხორბალი თუ ფქვილი, ვერასოდეს ვერ შეინახება მუდმივად მარმის გაოქმე... მრთელი-მუშის რწმენა იმისა. რომ იგი პურს იშოვის, როცა დასჭირდება, და რწმენა მისი პატრონისა, რომ ფული, რომელსაც იგი მუშას უხდის, შესაძლებლობას მისცემს მუშას ეს პური იყიდოს, გამომდინარეობს უბრალოდ იმ ფაქტიდან, რომ პურის შოვნა ყოველთვის შეიძლებოდა, როცა კი იგი საჭირო იყო» (გვ. 10).

მუშების კვების მეორე საგანს წარმოადგენს რძე, ეს უკანასკნელი კი მზადდება დღეში ორჯერ... თუ იტყვიან, რძის მომცემი პირუტყვი უკვე არსებობსო, ამაზე შეიძლება ეუბასუხოთ, რომ იგი საჭიროებს მუდმივ მოვლასა და მუდმივ შრომას და რომ მისი საკვები წლის მეტი ხნის განმავლობაში საკვები მცენარეების ყოველდღიური ზრდის შედეგია. მინდერები, რომლებზეც პირუტყვი ძოვს, მოთხოვენ მუშახელს... ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ხორცის მიწარმოა. მისი დაგროვება შეუძლებელია, რადგან ბაზარზე მიტანისთანავე იგი გაფუჭებას იწყებს.

თვით ტანსაცმელიც კი ჩრჩილის გაბზნოლოდ მცირე რაოდენობით მზადდება მის საერთო მოხმარებასთან შედარებით» (გვ. 11).

«მეილი სამართლიანად ამბობს: «რაც წლის განმავლობაში იწარმოება, წლის განმავლობაშივე მოიხმარება», ასე რომ სინამდვილეში შეუძლებელია საქონელთა ისეთი მარაგის დაგროვება. რომელიც შესაძლებლობას მისცემდა ადამიანებს შეესრულებინათ ყველა ის ოპერაცია, რაც წელიწადზე უფრო მეტ ხანს მოითხოვს. ამიტომ ისინი, ვინც ასეთ ოპერაციებს წამოიწყებენ ხოლმე, იმედს უნდა ამყარებდნენ არა

* — «გაღამალვა მარაგისათვის». რ ე დ.

უკვე წარმოებულ საქონელზე, არამედ იმაზე, რომ სხვა ადამიანები იმუშაებენ და დაამზადებენ იმას, რაც აუცილებელია მათი არსებობისათვის საკუთარი პროდუქტების დამთავრებაზე მათი მუშაობის დროს. ამრიგად, თუნდაც მუშა დათანხმდეს იმას, რომ აუცილებელია საბრუნავი კაპიტალის გარკვეული დაგროვება წლის განმავლობაში დასამთავრებელი ოპერაციებისათვის... ცხადია მაინც, რომ ყველა ოპერაციის დროს, რომელიც ერთ წელზე მეტ ხანს გრძელდება, მუშა არ ვარაუდობს დავერც ივარაუდებს და გროვილ კაპიტალს» (გვ. 12).

«თუ ჩვენ სათანადოდ მხედველობაში მივიღებთ სიმდიდრის შემქმნელ იმ ოპერაციას რიცხვსა და მნიშვნელობას, რომლებიც წლის განმავლობაში არ მთავრდება, ასევე ყოველდღიური შრომის იმ აურაცხელ პროდუქტებს, რომლებიც აუცილებელია ადამიანის არსებობის შესანარჩუნებლად და რომელთა მოხმარებაც სწრაფად ხდება მათი წარმოების დამთავრებისთანავე, მაშინ გავიგებთ, რომ შრომის ყოველი განსაკუთრებული სახეობის წარმატება და მწარმოებელული რიჩად ყოველთვის უფრო მეტად დამოკიდებულია სხვა ადამიანთა თანაარსებულ მწარმოებელურ შრომაზე, ვიდრე საბრუნავი კაპიტალის ნებისმიერი ოდენობით დაგროვებაზე» (გვ. 13).

«იმ გარემოებას, რომ კაპიტალისტს შესაძლებლობა აქვს შეინახოს და, მაშასადამე, გამოიყენოს კიდევ სხვა მუშაკები, იგი უნდა უმადლოდეს იმას, რომ მის განკარგულებაშია ზოგიერთი ადამიანის შრომა, და არა იმას, რომ მას საქონელთა მარაგი აქვს» (გვ. 14).

«ერთადერთი ნივთი, რომლის შესახებაც შეიძლება ითქვას, რომ იგი წინასწარ გროვდება და მზადდება, არის მუშის დახელოვნება» (გვ. 12).

«ყველა ის შედეგი, რასაც ჩვეულებრივ საბრუნავი კაპიტალის დაგროვებას მიაწერენ, გამოწვეულია დახელოვნებული შრომის ჩვევათა და გროვებით, ზოლოდეს უმნიშვნელოვანესი ოპერაცია ზორციელდება, რამდენადაც მუშების ძირითად მასზე ლაპარაკი, ყოველგვარი საბრუნავი კაპიტალის გარეშე» (გვ. 13).

«მუშების რიცხვი მუდამ დამოკიდებულია აუცილებლად საბრუნავი კაპიტალის რაოდენობაზე, ანუ, როგორც მე უფრო სწორად ვიტყვი, თანაარსებულ შრომის პროდუქტთა იმ რაოდენობაზე, რომლის მოხმარების ნებაც მუშებს ეძლევათ» (გვ. 20).

[866] «საბრუნავი კაპიტალი... იქმნება მხოლოდ მოხმარებისათვის, მაშინ როდესაც ძირითადი კაპიტალი... იწარმოება არა მოხმარებისათვის, არამედ იმისათვის, რომ დახმარება გაეწიოს მუშის მოხმარებისათვის განკუთვნილი ნივთების წარმოებისას», (გვ. 19).

ამრიგად, აღვნიშნავთ პირველ რიგში შემდეგს:

«შრომის ყოველი განსაკუთრებული დარგის წარმატება და მწარმოებლური ძალა ყოველთვის დამოკიდებულია უფრო მეტად ადამიანთა თანაარსებულ მწარმოებლურ შრომაზე, ვიდრე საბრუნავი კაპიტალის რაიმე დაგროვებაზე, ე. ი. «უკვე წარმოებულ საქონელზე». ეს «უკვე წარმოებული საქონელი» უპირისპირდება თანაარსებული შრომის პროდუქტებს».

წარმოების ყოველი ცალკეული დარგის შიგნით კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც შრომის იარაღებისა და შრომის მასალისაგან შედგება, ყოველთვის ნაგულისხმევია როგორც «უკვე წარმოებული საქონელი». არ შეიძლება დაართო ბაზმა, რომელიც ჭერ «წარმოებული» არ არის, არ შეიძლება მოძრაობაში მოიყვანო თითისტრები, რომლებიც ჭერ უნდა დაამზადდეს, და არ შეიძლება იმ ნახშირის დაწვა, რომელიც

ჯერ ამოღებული არ არის შახტიდან. მაშასადამე, ისინი ყოველთვის შედიან [წარმოების] პროცესში როგორც წარსული შრომის არსებობის ფორმები. და ამ აზრით არსებული შრომა დამოკიდებულია წინანდელ შრომაზე, და არა მხოლოდ თანაარსებულ შრომაზე, თუმცა ეს წინანდელი შრომა, შრომის საშუალებათა ფორმით იქნება იგი, თუ შრომის მასალათა ფორმით, შეიძლება იყოს რაიმე სარგებლობის (მწარმოებლური სარგებლობის) მქონე მუდამ მხოლოდ ცოცხალ შრომასთან კონტაქტში როგორც მისი საგნობრივი მომენტი, — მხოლოდ როგორც საწარმოო მოხმარების, ე. ი. შრომის პროცესში მოხმარების მომენტი.

მაგრამ მიმოქცევისა და კვლავწარმოების პროცესის განხილვისას ჩვენ ამასთანავე დავინახეთ, რომ მას შემდეგ, რაც საქონელი დამზადებული და ფულად გადაქცეულია, იგი შეიძლება კვლავწარმოებულ იქნეს მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა მისი ელემენტი იმავდროულად იყო წარმოებული და კვლავწარმოებული «თანაარსებული შრომით»¹⁰⁰.

წარმოებაში ადგილი აქვს ორგვარ მოძრაობას. ავიღოთ, მაგალითად, ბამბა. იგი გადადის წარმოების ერთი ფაზიდან მეორეში. პირველად იგი იწარმოება როგორც ხამი ბამბა, შემდეგ უამრავ მანიპულაციას განიცდის. ვიდრე ექსპორტისათვის ვარჯისი გახდებოდეს, ანდა, თუ შემდგომი ვადამუშავება იმავე ქვეყანაში ხდება, უშუალოდ მრთველის ხელში გადავიდოდეს. შემდეგ იგი გადადის მრთველიდან მქსოველთან, მქსოველიდან მათეთრებელთან, მღებართან, გამომყვანთან, მათგან კი — სხვადასხვა სახელოსნოში, რომლებიც გადაანუშავებენ მას სპეციალური მიზნებისათვის, ტანსაცმლად, ლოჯინის თეთრეულად და ა. შ. დასასრულ, უკანასკნელი მწარმოებლის ხელიდან იგი გადადის მომხმარებლის ხელში, ინდივიდუალურ მოხმარებაში, თუ შრომის საშუალების (არა მასალის) სახით საწარმოო მოხმარებაში არ შედის. მაგრამ ამით ბამბამ უკვე მიიღო თავისი საბოლოო ფორმა სახმარი ღირებულებისა, რათა შევიდეს ან საწარმოო, ან ინდივიდუალურ მოხმარებაში. ის, რაც აქ წარმოების ერთი სფეროდან გამოდის როგორც პროდუქტი, წარმოების მეორე სფეროში შედის როგორც წარმოების პირობა, იგი გაივლის ამრიგად თანამიმდევრულ ფაზებს მანამდე, ვიდრე საბოლოოდ არ დამზადდება სახმარი ღირებულების სახით. აქ წარსული შრომა მუდამ გვევლინება როგორც მოცემულ მომენტში შესასრულებელი შრომის პირობა.

მაგრამ იმავე დროულად, როცა პროდუქტი ამგვარად ერთი ფაზიდან მეორეში გადადის, როცა ეს პროდუქტი ამ რეალურ მეტამორფოზს გაივლის, იგი ყოველ ცალკეულ ფაზაში იწარმოება. იმ დროს, როცა მქსოველი ნართის ვადამუშავებაზე მუშაობს, მრთველი ართავს ბამბას, ახალი ხამი ბამბა კი თავისი წარმოების პროცესში იმყოფება.

რადგან უწყვეტი, განახლებული წარმოების პროცესი კვლავწარმოების პროცესია, ამიტომ იგი ამდენადვე გაპირობებულია თ ა ნ ა ა რ ს ე ბ უ ლ ი შ რ ო მ ი თ ა ც, რომელიც ერთსა და იმავე დროს აწარმოებს პროდუქტის სხვადასხვა ფაზას, მაშინ როდესაც პროდუქტი ასრულებს თავის მეტამორფოზებს, გადადის რა ერთი ფაზიდან მეორეში. ბამბა, ნართი და ქსოვილი — ყოველივე ეს იწარმოება არა მარტო ერთიმეორის შემდეგ და ერთიმეორიდან, არამედ ასევე იწარმოება და იკვლავწარმოება ერთსა და იმავე დროს, ერთი მეორის გვერდით. ის, რაც საქონლის წარმოების პროცესის განსაზღვრისას წინანდელი შრომის შედეგად წარმომიდგება, ამასთანავე წარმოგვიდგება თანაარსებული შრომის შედეგად, როცა მისი კ ვ ლ ა ვ წ ა რ მ ო ე ბ ი ს პროცესს განვიხილავ, ე. ი. განვიხილავ მოცემული საქონლის წარმოების პროცესს მის დინებასა და მისი პირობების ერთობლიობაში, და არა მხოლოდ ერთიზოლირებულ აქტში ან შეზღუდულ სივრცეში. ეს არა მარტო წრებრუნვაა, არამედ საქონლის პარალელური წარმოებაცაა მის იმ სხვადასხვა ფაზაში, რომლებიც წარმოების განსაკუთრებულ სფეროებს ეკუთვნიან და შრომის სხვადასხვა დარგს ქმნიან. თუ ერთი და-ეგვი გლეხი ჯერ ამუშავებს სელს, შემდეგ მისგან აკეთებს ნართს, შემდეგ კი ქსოვს, მაშინ ადგილი აქვს ამ ოპერაციათა თანმიმდევრობას, მაგრამ არა მათს ერთდროულობას, როგორც ამას გულისხმობს წარმოების წესი, რომელიც დამყარებულია შრომის დანაწილებაზე საზოგადოების შიგნით.

თუ ცალკეული საქონლის წარმოების პროცესს განვიხილავთ მის რომელიმე ფაზაში, წინანდელ შრომას აზრი ეძლევა, მართალია, მხოლოდ იმ ცოცხალი შრომის წყალობით, რომელსაც იგი წარმოების პირობებს უქმნის. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს წარმოების პირობები, რომელთა გარეშე ცოცხალ შრომას არ შეუძლია განხორციელდეს, ყოველთვის შედიან პროცესში როგორც წინანდელი შრომის შედეგები. მაშასადამე, ხელშემწყობი შრომა შრომის იმ დარგებისა, რომლებიც წარმოების პირობებს ქმნიან, გვევლინება ყოველთვის პასივის ფორმით და ასეთი პასივის სახით იგი წანამძღვარს წარმოადგენს. ამ მომენტს ხაზგასმით აღნიშნავენ ეკონომისტები. პირიქით, კვლავწარმოებაში და მიმოქცევაში ის საზოგადოებრივად მოსაშუალო შრომა, რომელსაც საქონლის წარმოების პროცესი ემყარება ყოველ განსაკუთრებულ სფეროში და რომლითაც იგი გაპირობებულია, გვევლინება როგორც თანაარსებული, იმედროული შრომა, ახლანდელი დროის ფორმით. საქონელი ერთდროულად იწარმოება თავისი დაწყებითი ფორმებით და თავისი მზა ფორმებით ან ერთიმეორის მომდევნო ფორმებით. უამისოდ მას არ შეეძლო, მას შემდეგ, რაც მან თავისი რეალური მეტამორფოზები გაიარა, უკუგადაქცე-

ულიყო ფულიდან თავისი არსებობის პირობებად. [870b] ამრიგად, საქონელი წინანდელი შრომის პროდუქტია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ამასთანავე იმავდროული, ცოცხალი შრომის პროდუქტადაც გვევლინება. ამ აზრით მთელი ნივთობრივი სიმდიდრე, რომლის ფიქსირებასაც კაპიტალისტური აზროვნება ახდენს, წარმოგვიდგება მხოლოდ როგორც სწრაფად წარმავალი მომენტი იმ ერთობლივი წარმოების დინებაში, რომელიც მიმოქცევის პროცესსაც შეიცავს.)

[ბ] იბრემთ ფოდებული დაბრძოება როგორც მარტოოდენ მიმოქცევის მოვლენა (მარაგი და ა. შ. — მიმოქცევის რეჟიმვშარბი)

საბრუნავი კაპიტალის განხილვისას ჰოდსკინი ეხება მხოლოდ ერთ შემაღვენელ ნაწილს. მაგრამ საბრუნავი კაპიტალის ერთი ნაწილი მუდამ გადაიქცევა ძირითად კაპიტალად და დამხმარე მასალად, და მხოლოდ მეორე ნაწილი მისი გადაიქცევა მოხმარების საგნებად. კიდევ მეტი. საბრუნავი კაპიტალის ის ნაწილიც კი, რომელიც საბოლოოდ ინდივიდუალურ მოხმარებაში შემავალ საქონლად გადაიქცევა, ყოველთვის გარდა იმ უკანასკნელი ფორმისა, რომლითაც იგი გამოდის როგორც საბოლოო პროდუქტი დასვენითი ფაზიდან, არსებობს თავისი წარმოების უფრო აღრინდელ სტადიებში ერთსა და იმავე დროს თავის ისეთ დაწყებით ფორმებში, რომლებითაც მას ჯერ კიდევ არ შეუძლია მოხმარებაში შევიდეს, ე. ი. არსებობს ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატის სახით, რომელიც მეტ-ნაკლები ზომით არის დაშორებული პროდუქტის საბოლოო ფორმას.

ჰოდსკინი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ მიმართებაშია ამჟამად შესასრულებელი შრომა, რომელსაც მუშა კაპიტალისტს აძლევს, იმ მოხმარების საგნებში მოთავსებულ შრომასთან, რომლებდაც ხელფასი გადაიქცევა და რომლებიც, მაშასადამე, ნამდვილად წარმოადგენენ სახმარ ღირებულებებს, რომელთაგანაც ცვალებადი კაპიტალი შედგება. აღიარებულია, რომ მუშა ვერ იმუშავებს, თუ ვერ ნახულობს ამ საგნებს მოხმარებისათვის მზა სახით. ამიტომაც ეკონომისტები ლაპარაკობენ, რომ საბრუნავი კაპიტალი — წარსული შრომა, უკვე წარმოებულ საქონელი, კაპიტალისტის მიერ დაგროვილი, — ქმნის შრომის პირობას, კერძოდ აგრეთვე შრომის დანაწილების პირობასაც.

როცა ლაპარაკია წარმოების პირობებზე და სპეციალურად საბრუნავი კაპიტალზე ამ სიტყვის ჰოდსკინისეული აზრით, ჩვეულებრივ ამბობენ,

რომ კაპიტალისტს დაგროვილი უნდა ჰქონდეს მუშის მოხმარებისათვის აუცილებელი საარსებო საშუალებანი მანამდე, სანამ მზად იქნება ამ მუშის მიერ საწარმოებელი ახალი საქონელი, ე. ი. მისი მუშაობის დროს, როცა მის მიერ საწარმოებელი საქონელი იმყოფება მხოლოდ *in statu nascendi**. აქ გამოსჭვივის ის წარმოდგენა, რომ კაპიტალისტი აგროვებს ისე, როგორც განძის დამგროვებელი, ანდა რომ იგი აგროვებს საარსებო საშუალებათა მარაგს ისე, როგორც ფუტკარი აგროვებს თაფლს.

მაგრამ ეს არის მხოლოდ *modus loquendi***.

უწინარეს ყოვლისა, ჩვენ არ ვლაპარაკობთ აქ საარსებო საშუალებებით მოვაჭრე მედღუქნეებზე. მათ, რა თქმა უნდა, მეუბნება უნდა ჰქონდეთ საქონლის სრული მარაგი. მათი მალაზიები, დუქნები და ა. შ. მხოლოდ რეზერვუარია, რომელშიც ნაწილდება საქონელი, მას შემდეგ, რაც იგი მიმოქცევაში შევიდა. ეს დაგროვება არის მხოლოდ შუალედო სტადია, რომელშიც საქონელი იმყოფება მანამდე, ვიდრე იგი მიმოქცევიდან მოხმარებაში არ გადავა. ეს არის მისი არსებობა ბაზარზე საქონლის სახით. როგორც საქონელი იგი არსებითად მხოლოდ ამ ფორმით არსებობს: საქმის ვითარება სრულიად არ იცვლება იმის გამო, რომ საქონელი, ნაცვლად იმისა, რომ პირველი გამყიდველის (მწარმოებლის) ხელში იმყოფებოდეს, იმყოფება მესამე ან მეოთხე გამყიდველის ხელში, რომელმაც იგი ნამდვილ მომხმარებელს უნდა მიჰყიდოს. ეს ეხება მხოლოდ იმას, რომ შუალედურ ეტაპებზე საქონელი წარმოადგენს კაპიტალის გაცვლას კაპიტალზე (არსებითად, კაპიტალისა პლუს მოგება, რადგან საქონლის სახით კაპიტალისტი ყიდის არა მხოლოდ კაპიტალს, არამედ თავის კაპიტალზე მიღებულ მოგებასაც), უკანასკნელ ეტაპზე კი — კაპიტალის გაცვლას შემოსავალზე (იმ შემთხვევაში, თუ საქონელი, როგორც აქ ივარაუდება, იმისთვისაა განკუთვნილი, რომ გადავიდეს არა საწარმოო, არამედ ინდივიდუალურ მოხმარებაში).

საქონელი, რომელიც მზადაა მოხმარებისათვის და გასაყიდად ვარგის მდგომარეობაშია, იმყოფება, როგორც საქონელი, ბაზარზე, მიმოქცევის ფაზაში; ყველა საქონელი ამ ფაზაში იმყოფება, რამდენადაც მათ უნდა გაიარონ პირველი მეტამორფოზი, ფულად გარდაქმნა. თუ ამას «დაგროვება» ეწოდება, მაშინ დაგროვება სხვა არაფერია, თუ არა «მიმოქცევა», ანუ საქონელთა როგორც საქონელთა ყოფიერება. მაშასადამე, ამგვარი «დაგროვება» სწორედ განძის შექმნის სრულიად საწინააღმდეგო

*—წარმოშობის მდგომარეობაში. რ. ე. დ.

**—გამოთქმის ხერხი, სიტყვათწყობა. რ. ე. დ.

იქნებოდა, ვინაიდან განძის შემქმნელი ცდილობს საქონელი მუდამ ამ მიმოქცევისათვის ვარგის მდგომარეობაში შეინახოს და ამას მხოლოდ იმით აღწევს, რომ ეს საქონელი მას მიმოქცევიდან გამოაქვს ფულის სახით. თუ წარმოება და, მაშასადამე, მოხმარებაც მრავალნაირი და მასობრივია, მაშინ უაღრესად განსხვავებულ საქონელთა მნიშვნელოვანი მასა მუდამ იქნება ამ შეიქცევის პუნქტში, ამ შუალედურ ეტაპზე, ერთი სიტყვით — მიმოქცევაში, ანუ ბაზარზე. ამრიგად, თუ ამას რაოდენობრივი თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ დიდი დაგროვება აქ სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა დიდ წარმოებას და დიდ მოხმარებას.

საქონელთა შეიქცევა, მათი ყოფნა პროცესის ამ მომენტში, მათი მყოფობა ბაზარზე იმის მაგივრად, რომ იმყოფებოდნენ ფაბრიკაში ან კერძო სახლში (მოხმარების საგანთა სახით), დუქანში, ვაჭრის მაღაზიაში — ეს მხოლოდ [871] მათი ცხოვრების პროცესის ხანმოკლე მომენტია. ამ «დოვლათთა სამყაროს», «ნიეტთა სამყაროს» ფიქსირებული დამოუკიდებელი მყოფობა მხოლოდ მოჩვენებითია. ფოსტის სადგური მუდამ გაესებულება, მაგრამ ყოველთვის სულ ახალი მგზავრებით. ერთი და იგივე საქონელი (იმავე სახის საქონელი) მუდამ ხელახლა იწარმოებიან წარმოების სფეროში, იმყოფებიან ბაზარზე და შედიან მოხმარებაში. ისინი, არა იგივე საქონელი, მაგრამ საქონელი ერთი და იმავე სახეობისა, მუდამ იმყოფებიან ერთსა და იმავე დროს ამ სამ ეტაპზე. თუ შუალედური სტადია გრძელდება, ასე რომ წარმოების სფეროდან ახლად მოსული საქონელი ჯერ კიდევ ძველი საქონლით დაკავებულ ბაზარს ნახულობს, მაშინ წარმოიქმნება დაბრკოლება, შეფერხება; ბაზარი აღმოჩნდება პირთამდე ავსებული, საქონელი გაუფასურდება; ადგილი ექნება კარბწარმოებას. ამრიგად, იქ, სადაც მიმოქცევის შუალედური სტადია გამოცალკევდება და უკვე აღარ არის ხანმოკლე შეჩერება დინებისა მის მოძრაობაში, სადაც საქონელთა ყოფნა მიმოქცევის ფაზაში გვევლინება როგორც დაგროვება [Aufhäufung], ეს სრულიადაც არ არის მწარმოებლის თავისუფალი აქტი, არ არის წარმოების მიზანი ან იმანენტური სასიცოცხლო მომენტი, ისევე როგორც თავში სისხლის აფარდნა, რაც აპოპლექსიას იწვევს, არ არის სისხლის მიმოქცევის იმანენტური მომენტი. კაპიტალი როგორც საქონელური კაპიტალი (ასე გამოდის იგი მიმოქცევის ამ ფაზაში, ბაზარზე) არ უნდა ჩერდებოდეს ერთ წერტილზე, არამედ მხოლოდ ხანმოკლე შეჩერებას უნდა განიცდიდეს მოძრაობის მსვლელობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ირღვევა კლავწარმოების პროცესი. მთელი მექანიზმი მოიშლება. ამრიგად, ეს საგნობრივი სიმდიდრე, რომელიც

ცალკეულ პუნქტებში კონცენტრირებული სახით გვევლინება, უმნიშვნელოა და შეიძლება იყოს მხოლოდ უმნიშვნელო წარმოებისა და მოხმარების მუდმივ დინებასთან შედარებით. ამიტომ სიმდიდრე სმიტის მიხედვითაც არის «წ ლ ი უ რ ი კვლავწარმოება». მაშასადამე, იგი დათარიღებულია არა შორეული წარსულით, არამედ მხოლოდ გუშინდელი დღით. მეორე მხრივ, თუ კვლავწარმოება რაიმე დაბრკოლებათა გამო ჩერდება, მაშინ ცარიელდება საწყობები და ა. შ., თავს იჩენს ნაკლებობა და მაშინვე შედგება, რომ ის მუდმივობა, რაც ერთი შეხედვით არსებულ სიმდიდრეს ახასიათებს, არის მხოლოდ მუდმივობა მისი შენაცვლებისა, მისი კვლავწარმოებისა, მუდმივი განიეთება საზოგადოებრივი შრომისა.

ვაჭართანაც ადგილი აქვს პროცესს ს—ფ—ს. ჩვენ აქ არ გვინტერესებს საქმის ის მხარე, რომ ვაჭარი ამასთან «მოგებას» იღებს. ის ყიდის. საქონელს და ხელახლა ყიდულობს იმავე საქონელს (იმავე სახის საქონელს). იგი მიჰყიდის მას მომხმარებელს და იყიდის მას ხელახლა მწარმოებლისაგან. ერთი და იგივე საქონელი (იმავე სახეობის საქონელი) მუდამ გადაიქცევა აქ ფულად, ფული კი მუდამ უკუგადაიქცევა იმავე საქონლად. მაგრამ ეს მოძრაობა არის მხოლოდ მუდმივი კვლავწარმოება, მუდმივი წარმოება და მოხმარება; ვინაიდან კვლავწარმოება შეიცავს მოხმარებას. (იმისათვის, რომ საქონლის კვლავწარმოება შესაძლებელი იყოს, საქონელი უნდა გაიყიდოს, უნდა მოხმარებაში შევიდეს.) საქონელმა ნამდვილად უნდა გამოავლინოს თავისი თავი როგორც სახმარი ღირებულება. (ვინაიდან ის, რაც გამყიდველისათვის არის ს—ფ, მყიდველისათვის არის ფ—ს, ე. ი. ფულის გადაქცევა საქონლად როგორც სახმარი ღირებულებად.) კვლავწარმოების პროცესი წარმოადგენს მიმოქცევისა და წარმოების ერთიანობას, შეიცავს მოხმარებას, რომელიც თვით არის მიმოქცევის მომენტი. მოხმარება თვით არის კვლავწარმოების პროცესის მომენტი და პირობა. სინამდვილეში, თუ პროცესს მთლიანად განვიხილავთ, ვაჭარი საქონელში ფასს უხდის მწარმოებელს იმავე ფულით, რითაც მომხმარებელი მისგან საქონელს ყიდულობს. მწარმოებლის მიმართ ვაჭარი წარმოადგენს მომხმარებელს, მომხმარებლის მიმართ კი — მწარმოებელს; ის არის ერთი და იმავე საქონლის მყიდველი და გამყიდველი. ის ფული, რომლითაც იგი ყიდულობს, სინამდვილეში, წმინდა ფორმალური მხრივ, მომხმარებლის საქონლის დასკვნითი მეტამორფოზია. მომხმარებელი თავის ფულს გადაიქცევს საქონლად როგორც სახმარი ღირებულებად. ამრიგად, ფულის გადასვლა ვაჭრის ხელში ნიშნავს საქონლის მოხმარებას ან, თუ ფორმალურად განვიხილავთ, საქონლის გადასვლას მიმოქცევიდან მოხ-

მარებაში. რამდენადაც ვაჭარი ამ ფულით ხელახლა ყიდულობს მწარმოებლისაგან, ეს არის მწარმოებლის საქონლის პირველი. მეტამორფოზი, რომელიც აქ ნიშნავს საქონლის გადასვლას შუალედურ სტადიაში, სადაც ის იმყოფება მიმოქცევაში როგორც საქონელი. პროცესი — ფ — ს, — რამდენადაც იგი არის საქონლის გადაქცევა მომხმარებლის ფულად და უკუგადაქცევა ფულისა, რომლის მფლობელიც ახლა ვაჭარი ხდება, იმავე საქონლად (იმავე სახეობის საქონლად), — სხვას არაფერს არ გამოხატავს, თუ არა საქონლის მუდმივ გადასვლას მომხმარებაში, რადგან ამისათვის ის ადგილი, რომელსაც მომხმარებაში შემავალი საქონელი ათავისუფლებს, უნდა დაიკავოს წარმოების პროცესიდან გამოძვალმა და ახლა ამ შუალედურ სტადიაში შემავალმა საქონელმა.

[872] საქონლის ყოფნა მიმოქცევაში ახალი საქონლით მის შეცვლამდე დამოკიდებულია, რა თქმა უნდა, ამასთანავე იმ დროის ხანგრძლივობაზე, რომლის განმავლობაშიც საქონელი წარმოების სფეროში იმყოფება, მაშასადამე, დამოკიდებულია მისი კვლავწარმოების დროის ხანგრძლივობაზე, და განსხვავდება ამ ხანგრძლივობის განსხვავების შესაბამისად. მაგალითად, ხორბლის კვლავწარმოება საჭიროებს ერთ წელს. მაგალითად, ამ შემოდგომაზე (1862 წ.) მოწეული მარცვლეული, რამდენადაც იგი ხელახლა თესლად არ გამოიყენება, საკმარისი უნდა იყოს მთელი მომდევნო წლის განმავლობაში — 1863 წლის შემოდგომამდე. იგი ერთბაშად შედის მიმოქცევაში (ფერმერთა ბელლებშიც კი უკვე მიმოქცევაშია) და აქ შთაინთქმება მიმოქცევის სხვადასხვა რეზერვუარებში, როგორცაა საწყობები, ხორბლით მოვაჭრენი, მეწისქვილეები და ა. შ. ეს რეზერვუარები წარმოადგენენ წარმოებისათვის გადამცემ არხებს, ხოლო მომხმარებისათვის — მიმწოდებელ არხებს. სანამ საქონელი ამ რეზერვუარშია, იგი წარმოადგენს საქონელს და ამიტომ იმყოფება ბაზარზე, მიმოქცევაში. წლიურ მოხმარებას გამოაქვს იგი მიმოქცევიდან მხოლოდ ნაწილ-ნაწილ, ცოტაოტობით. იმ ახალ საქონელთა ანაზღაურება, მოდინება, რომელნიც დაგროვილ მარაგს საბოლოოდ გამოაძევენ, ხორციელდება მხოლოდ ერთი წლის შემდეგ. ეს რეზერვები ცარიელდება აგრეთვე თანდათანობით, მომხმარებელი საქონლის შემცვლელთა შემოსვლის კვალობაზე. თუ რჩება ნამეტო და თუ ახალი მოსავალი საშუალოზე უფრო მეტია, მაშინ იწყება შეჩერება. ის სივრცე, რომელიც უნდა დაიკავოს ბაზარზე ამ განსაზღვრულმა საქონელმა, პირთამდე ავსებული აღმოჩნდება. იმისათვის, რომ ყველამ თავისი ადგილი მონახოს ბაზარზე, საქონელი ამცირებენ თავიანთ საბაზრო ფასებს, რასაც ისინი კვლავ მოძრაობაში მოჰყავს. თუ საქონელთა—

როგორც სახმარ ღირებულებათა — მასა მეტისმეტად დიდია, მაშინ ისინი შეეგუებიან იმ სიერცეს, რომელიც მათ უნდა დაიკავონ, თავიანთი ფასების შექვევით. თუ ეს მასა მეტად მცირეა, მაშინ ის ფართოდება საქონელთა ფასების გაბერვით.

მეორე მხრივ, იმ საქონლის ყოფნა მიმოქცევის რეზერვუარებში, რომელიც სწრაფად ფუჭდება როგორც სახმარი ღირებულება, მხოლოდ სწრაფწარმავალია. დრო, რომლის განმავლობაშიც საქონელი ფულად უნდა გადაიქცეს, და კვლავწარმოებული უნდა იქნეს, წინასწარ განსაზღვრულია მისი იმ სახმარი ღირებულების ბუნებით, რომელიც ფუჭდება როგორც საქონელი, თუ იგი არ მოიხმარება ყოველდღიურად ან თითქმის ყოველდღიურად. ვინაიდან საცვლელი ღირებულება ქრება მის მატარებელთან, სახმარ ღირებულებასთან, ერთად, თუ სახმარი ღირებულების გაქრობა თვითონ არ არის წარმოების აქტი.

საერთოდ კი ცხადია, რომ, თუმცა მიმოქცევის რეზერვუარებში შეგროვილ საქონელთა აბსოლუტური მასა იზრდება სახალხო მეურნეობის განვითარებასთან ერთად, რადგან იზრდება წარმოება და მოხმარება, მაგრამ ერთობლივ წლიურ წარმოებასთან და მოხმარებასთან შედარებით ეს მასა მცირდება. საქონელთა გადასვლა მიმოქცვიდან მოხმარებაში ჩქარდება და თანაც რიგი მიზეზების გამო კვლავწარმოების სისწრაფე დიდდება შემდეგ შემთხვევებში.

1) როცა საქონელი სწრაფად გაივლის თავის წარმოების სხვადასხვა ფაზას და წარმოების პროცესი წარმოების ყოველ ფაზაში იკვეცება; ეს გაპირობებულია ხოლმე იმით, რომ მცირდება დრო, რომელიც აუცილებელია საქონლის საწარმოებლად ყოველ მის ფორმაში; მაშასადამე, ეს ხდება შრომის დანაწილების, მანქანების, ქიმიური პროცესების გამოყენების და ა. შ. განვითარებასთან ერთად {ქიმიის განვითარებასთან ერთად ხელოვნურად ჩქარდება საქონლის გადაყვანა ერთი აგრეგატული მდგომარეობიდან მეორეში, მისი შეერთება სხვა სხეულებთან, მაგალითად, შეღებვისას, მისი ჩამოშორება სხვა ნივთიერებათაგან, მაგალითად თეთრებისას, — ერთი სიტყვით, ხელოვნურად ჩქარდება როგორც იმავე ნივთიერებათა (მათი აგრეგატული მდგომარეობის) ფორმის ცვლილება, ისე, შესასრულებელი ნივთიერებათა ცვლა; თუ აღარაფერს ვიტყვით, მაგალითად, იმაზე, რომ ვეგეტატიური და ორგანული კვლავწარმოებისათვის მცენარეებსა და ცხოველებს ეძლევათ უფრო იაფი ნივთიერებანი, ე. ი. ისეთი ნივთიერებანი, რომლებიც მცირე სამუშაო დროს მოითხოვენ. }

2) ნაწილობრივ წარმოების სხვადასხვა დარგის კომბინირებით, ე. ი. გარკვეული საწარმოო დარგებისათვის გამაერთიანებელი წარმოების

ცენტრების შექმნით, [ნაწილობრივ კი] იმით, რომ მიმოსვლის საშუალებათა განვითარების მეოხებით საქონელი სწრაფად გადადის წარმოების ერთი ფაზიდან მეორეში; სხვა სიტყვებით, მოკლდება შუალედური პერიოდი, მცირდება დრო, რომლის განმავლობაშიც საქონელი იმყოფება შუალედურ ეტაპზე წარმოების ერთსა და მეორე ფაზებს შორის, ანუ მოკლდება გადასვლა წარმოების ერთი ფაზიდან მეორეში.

3) მთელი ეს განვითარება — როგორც წარმოების ყოველი სხვადასხვა ფაზის შემოკლება, ისე ერთი ფაზიდან მეორეში გადასვლის დაჩქარება — გულისხმობს წარმოებას დიდი მასშტაბით, მასობრივ წარმოებას და ამასთანავე წარმოებას დიდი მუდმივი, განსაკუთრებით ძირითადი კაპიტალის საფუძველზე; ამიტომ წარმოების შეუწყვეტელ ღინებასაც, შეუწყვეტელს არა იმაზრით, რა აზრითაც ჩვენ ეს-ეს არის განვიხილავდით ამ ღინებას, ე. ი. არა იმაზრით, რომ წარმოების ცალკეული ფაზები განუწყვეტლივ უახლოვდებიან და ურთიერთენასკვებიან ერთიმეორეს, არამედ იმაზრით, რომ წარმოებაში არ ხდება წინასწარ განზრახული შეჩერება. ამგვარ შეჩერებას ადგილი აქვს მანამდე, სანამ მუშაობა შეკვეთით მიმდინარეობს, როგორც ეს [873] ხელოსნებში ხდება, და ასევე ჯერ კიდევ მანუფაქტურაშიც ამ სიტყვის ნამდვილი აზრით (თუ მანუფაქტურა თვითონ უკვე გარდაქმნილი არაა მრეწველობის მიერ). ახლა კი წარმოება მიმდინარეობს ისეთი მასშტაბით, რა მასშტაბის შესაძლებლობასაც კაპიტალი იძლევა. ეს პროცესი არ უცდის მოთხოვნას, არამედ კაპიტალის ფუნქციას წარმოადგენს. კაპიტალი შეუწყვეტლად განაგრძობს მუშაობას იმავე მასშტაბით (თუ არაფერს ვიტყვით უკვე დაგროვების ან გაფართოების შესახებ) მწარმოებლური ძალების მუდმივ განვითარებასა და გაფართოებასთან ერთად. ამრიგად, წარმოება არა მარტო სწრაფად მიმდინარეობს, ასე რომ საქონელი სწრაფად იღებს იმ ფორმას, რომლითაც იგი მიმოქცევისათვის ვარგისი ხდება, არამედ ეს წარმოება უწყვეტიცაა. წარმოება გვევლინება აქ მხოლოდ როგორც მუდმივი კვლავწარმოება და ამასთანავე იგი მასობრივი წარმოებაა.

ამრიგად, თუ საქონელი დიდხანს რჩება მიმოქცევის რეზერვუარებში, თუ საქონელი აქ გროვდება, მაშინ ეს რეზერვუარები მალე აივსება პირთამდე იმ სისწრაფის შედეგად, რითაც ერთიმეორეს მისდევენ წარმოების ტალღები და იმ მასალის მასობრიობის შედეგად, რომელსაც ეს ტალღები გამუდმებით მიაგორებენ მიმოქცევის რეზერვუარებში. სწორედ ამ აზრით ამბობს, მაგალითად, კორბეტი: «ბაზარი ყოველთვის პირთამდე სავსეა»¹⁶¹. მაგრამ სწორედ იგივე გარემოებანი, რომლებიც კვლავწარმოების ამ სისწრაფესა და მასობრიობას წარმოშო-

ბენ, ამცირებენ აგრეთვე ამ რეზერვუარებში საქონლის შეგროვების აუცილებლობას. ნაწილობრივ — რამდენადაც ეს საწარმოო მოხმარებას შეეხება — ამას შეიცავს უკვე წარმოების იმ ფაზათა ერთმანეთთან მიახლოება. რომლებიც თვით საქონელმა ან მისმა შემადგენელმა ნაწილებმა უნდა გაიარონ. თუ ნახშირი ყოველდღიურად მასობრივი მასშტაბით იწარმოება და თუ მას ფაბრიკანტს რკინიგზის, გემების და ა. შ. მეშვეობით პირდაპირ ქარხნის კარებთან მიაწვდიან, მაშინ ფაბრიკანტს არ სჭირდება ნახშირის არაერთგვაროვანი მარაგი ან სულ ცოტა მარაგი ესაჭიროება, ანდა, რაც იგივეა, როცა აქ ჩაერთვის ვაჭარი, ეს უკანასკნელი საჭიროებს მხოლოდ ცოტა მარაგს გარდა იმისა, რასაც იგი ყოველდღიურად ყიდის და რაც მასთან ყოველდღიურად ხელახლა მიაქვთ. ასეთივე მდგომარეობაა ნართის, რკინეულის და ა. შ. მიმართაც. მაგრამ თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ ს ა წ ა რ მ ო ო მ ო ხ მ ა რ ე ბ ა ს, რომლის სფეროშიც საქონელთა მ ა რ ა გ ი (ე. ი. საქონელთა შემადგენელი ნაწილების მარაგი) აღნიშნული წესით უნდა შემცირდეს, მაშინ [ინდივიდუალური მოხმარების საგნებით] მოვაჭრის განკარგულებაშია ასევე, ჯერ ერთი, მიმოსვლის საშუალებათა სისწრაფე და, მეორე, მას აქვს განუწყვეტელი სწრაფი კვლავწარმოებისა და მიწოდების მტკიცე რწმენა. ამიტომ, თუმცა მისი საქონელთა მარაგი, შესაძლოა, გაიზარდა კიდევ თავისი ოდენობით, ამ მარაგის ყოველი ელემენტი იმყოფება მის რეზერვუარში, ამ გარდამავალ მდგომარეობაში, უფრო მოკლე დროის განმავლობაში. საქონელთა იმ მთელ მასასთან შედარებით, რომელსაც იგი უდრის, ე. ი. როგორც წარმოების, ისე მოხმარების მოცულობასთან შეფარდებით, მის საწყობში ყოველ მოცემულ მომენტში უ ე ნ ა ხ უ ლ, უ ე გ რ ო ვ ი ლ საქონელთა მარაგი უმნიშვნელოა. სხვაგვარი მდგომარეობაა წარმოების ნაკლებად განვითარებულ საფეხურებზე, სადაც კვლავწარმოება ნელა მიმდინარეობს — მაშასადამე, მიმოქცევის რეზერვუარებში უფრო მეტი საქონელი უნდა შეჩერდეს, — მიმოსვლის საშუალებანი ნელია, კავშირურთიერთობანი გაძნელებულია, რის გამოც მ ა რ ა გ ი ს გ ა ნ ა ხ ლ ე ბ ა ხორციელდება შეწყვეტებით და ამიტომ ბევრი შუალედური დრო გადის რეზერვუარების დაცალიერებასა და მის ხელახლა შევსებას — საქონელთა მარაგის გ ა ნ ა ხ ლ ე ბ ა ს შორის. ამ შემთხვევაში ხდება რაღაც იმის ანალოგიური, რასაც ადგილი აქვს ისეთი პროდუქტების მიმართ, რომელთა კვლავწარმოება, მათი სახმარი ღირებულების ბუნების გამო, ხორციელდება მხოლოდ წლიურ თუ ნახევარწლიურ, ერთი სიტყვით, ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივ ვადებში.

{თუ როგორ გავლენას ახდენენ რეზერვუართა დაცარიელებაზე მიმოსვლის საშუალებანი, ამას გვიჩვენებს, მაგალითად, ბამბა. რადგან ლივერპულსა და შეერთებულ შტატებს შორის გემების მიმოსვლა განუწყვეტლივ წარმოებს, — კომუნიკაციის სისწრაფე ერთი მომენტია, მუდმივობა კი — მეორე, — ამიტომ მთელი ბამბა როდი იგზავნება ერთბაშად. ბაზარზე იგი თანდათანობით გადის. (მწარმოებელს არ უნდა, გარდა ამისა, ერთბაშად გაავსოს ბაზარი.) ლივერპულში საქონელი ინახება საწყობებში, მართალია, უკვე მიმოქცევის რეზერვუარში, მაგრამ არა ისეთი რაოდენობით — შედარებით ამ საქონლის საერთო მოხმარებასთან, — რომელიც აუცილებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ამერიკიდან გემი მოვიდოდა ხოლმე მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ ექვსთვიანი მოგზაურობის შემდეგ. მანჩესტერელი ფაბრიკანტი და ა. შ. თავის საწყობს ავსებს თითქმის თავის უშუალო მოხმარებასთან შეფარდებით, რადგან ელექტროტელეგრაფი და რკინიგზა იმის შესაძლებლობას იძლევიან, რომ ბამბა ყოველ მომენტში იქნეს გადატანილი ლივერპულიდან მანჩესტერში. }

მიმოქცევის რეზერვუართა განსაკუთრებული გავსება — გავსება არა ბაზრის გადატვირთულობის გამო, რაც ამ პირობებში უსასრულოდ უფრო ადვილად იქმნება, ვიდრე წარმოების პატრიარქალურად წელიტეზის დროს, — არის მხოლოდ სპეკულაციური და ხდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ფასების ნამდვილ ან მოსალოდნელ დაცემასთან ან გადიდებასთან დაკავშირებით.

მარჯვის ამ შეფარდებითი შემცირების შესახებ, ე. ი. მიმოქცევაში მყოფ საქონელთა რაოდენობის შეფარდებითი შემცირების შესახებ, შედარებით წარმოებისა და მოხმარების საერთო მასასთან, იხ. ლ. ა. ლ. ო. რ. ა. «Economist»¹⁰², კორბეტის (სათანადო ციტატები მოთავსდეს ჰოდსკინის შემდეგ). [874] სისმონდი შეცდომით ხედავდა ამასი სამწუხარო რამეს (ინახოს აგრეთვე იგივე)¹⁰³.

(მართალია, მეორე მხრივ, ჩვენ გვაქვს ამასთან ბაზრის მუდმივი გაფართოება, და იმდენადვე, რამდენადაც მცირდება დროის ის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც საქონელი ბაზარზე იმყოფება, ბაზარი სულ უფრო მეტ სივრცეს მოიცავს, ანუ ბაზარი ფართოვდება სივრცებრივად, და პერიფერია ცენტრთან შედარებით, ე. ი. საქონლის წარმოების სფეროსთან შეფარდებით, სულ უფრო დიდი რაოდენობით შემოიხაზება.)

ეკლავწარმოების სისწრაფესთან დაკავშირებულია — ანდა ამ სისწრაფის გამოხატულებაა მხოლოდ — ის გარემოება, რომ მოხმარება ხელმძღვანელობს დღიური ულუფის შოვნის პრინციპით, რომ იგი ისევე

სწრაფად იცვლის თავის თეთრეულს და კოსტუმებს, როგორც თავის შეხედულებებსაც, და 10 წელი როდი ატარებს ერთსა და იმავე სერთუქს და ა. შ. მოხმარება ისეთი საგნებისაც კი, სადაც ეს სახმარი ღირებულების ბუნებით არ არის გაპირობებული, სულ უფრო ემთხვევა დროის მიხედვით წარმოებას, მაშასადამე, სულ უფრო დამოკიდებული ხდება მოცემული მომენტის შრომაზე, თანაარსებულ შრომაზე (რადგან ფაქტიურად აქ ადგილი აქვს თანაარსებული შრომის გაცვლას), — და ყოველივე ეს იმავე ზომით, როგორითაც, წარსული შრომა წარმოების სულ უფრო მნიშვნელოვანი მომენტი ხდება, თუმცა ეს წარსული თვითონ სულაც არაა შორეული და მხოლოდ შეფარდებითა.

(თუ რა ძლიერ არის მარაგის შექმნა დაკავშირებული წარმოების განუვითარებლობასთან, ამას გვიჩვენებს შემდეგი მაგალითი. სანამ პირუტყვის გამოზამთრება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, ზამთრობით ახალი ხორცი არ იყო. როგორც კი მესაქონლეობამ ეს სიძნელე გადალახა, თავისთავად შეწყდა იმ მარაგის შექმნაც, რომელიც წარმოდგებოდა დამარილებული ან შებოლილი ხორციით ახალი ხორცის შეცვლიდან.)

მხოლოდ იქ, სადაც პროდუქტი მიმოქცევაში შედის, ხდება იგი საქონელი. პროდუქტის, როგორც საქონლის, წარმოება, მაშასადამე, მიმოქცევაც, არაჩვეულებრივად ფართოვდება კაპიტალისტურ წარმოებასთან ერთად შემდეგი მიზეზების გამო:

1) წარმოება en masse, რაოდენობა, მასობრიობა, ე. ი. ისეთი წარმოება, რომელიც რაოდენობრივად არავითარ შესაბამისობაში არ არის. მწარმოებლის მოთხოვნილებასთან [მის საკუთარ პროდუქტზე]; სინამდვილეში წმინდა შემთხვევითობაა ის ამბავი, ხდება თუ არა იგი თუნდაც ოდნავად მანაც თავისი საკუთარი პროდუქტის მომხმარებელი. იქ, სადაც მწარმოებელი თავის საკუთარ პროდუქტს მასობრივი ოდენობით გამოიყენებს, ეს ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი თავისი საკუთარი კაპიტალის შემადგენელი ელემენტების ნაწილს აწარმოებს. პირიქით, საზოგადოების განვითარების ადრინდელ საფეხურზე საქონლად იქცევა მხოლოდ — ანდა უმთავრესად — პროდუქტის გადანამეტი იმაზე, რაც საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ხმარდება.

2) პროდუქტის თვისებრივი ცალმხრივობა, რომელიც პირუტყუ შეფარდებაშია მოთხოვნილებათა გადიდებულ ნაირსახეობასთან. ამას თან სდევს წინათ ერთმანეთთან დაკავშირებული წარმოების დარგების დიდი დანაწილება და განცალკევება — ერთი სიტყვით, საზოგადოების შიგნით შრომის დანაწილების გადიდება, რასაც ემატება

კიდევ წარმოების ახალი დარგების შექმნა და საქონლის ნაირსახეობათა გადიდება. (ბოლოში, პოდსეინის შემდეგ, მოცემულ უნდა იქნეს აგრეთვე უ ე ი კ ფ ი ლ დ ი ს შეხედულებანი ამ საკითხზე.) საქონელთა ეს ჭრელი დიფერენციაცია ორნაირია. ჯერ ერთი, ერთი და იმავე პროდუქტის სხვადასხვა ფაზა, ასევე შუალედური მუშაობა პროდუქტზე (მაშასადამე, პროდუქტის შემადგენელი ნაწილების მაწარმოებელი შრომა და ა. შ.) იყოფა შრომის სხვადასხვა, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ დარგად; სხვა სიტყვებით, ერთი და იგივე პროდუქტი თავის სხვადასხვა ფაზაში გადაიქცევა საქონელთა სხვადასხვა სახეობად. მეორე, [საქონლის ახალ სახეობათა] გაჩენა დაკავშირებულია შრომისა და კაპიტალის (ანუ შრომისა და ზედმეტი პროდუქტის) გამოთავისუფლებასთან, მეორე მხრივ კი, ერთი და იმავე სახმარი ღირებულების გამოყენების ახალი ხერხების აღმოჩენასთან. იმ ცვლილებათა შედეგად, რომლებზეც ლაპარაკი იყო 1-ლ პუნქტში, წარმოიქმნებიან ახალი მოთხოვნილებანი (მაგალითად, მიმოსვლის სწრაფი და ყოველმხრივი საშუალებების მოთხოვნილება, რაც მრეწველობაში ორთქლის გამოყენებასთან ერთად წარმოიშობა), მაშასადამე, მათი დაკმაყოფილების ახალი საშუალებანიც, — ანდა აღმოაჩენენ ერთი და იმავე სახმარი ღირებულების გამოყენების ახალ წესებს, ან ახალ მასალებს, ან წარმოების ახალ მეთოდებს (როგორც, მაგალითად, გალვანოპლასტიკა), რათა ძველი მასალა სხვაგვარად დამუშავდეს და ა. შ.

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი პროდუქტი თავის ერთიმეორის მომდევნო ფაზებში, ანუ მდგომარეობაში, სხვადასხვა საქონლად გადაიქცევა, ანდა ეს ნიშნავს იმას, რომ იქმნება ახალი პროდუქტები. ანუ ახალი სახმარი ღირებულებანი საქონელთა სახით.

3) დაქირავებულ მუშებად გადაქცევა მოსახლეობის იმ უმრავლესობისა, რომელიც წინათ პროდუქტთა ძირითად მასას ხმარობდა *in naturalibus**.

4) ფერმერის გადაქცევა მრეწველ კაპიტალისტად (და ამასთან ერთად გადაქცევა რენტისა ფულად რენტად, საერთოდ ყველა ნატურალური ჩაბარებისა (გადასახადები და ა. შ., მიწის რენტა) ფულად გადასახდელად). საერთოდ: მიწის სამრეწველო გამოყენება, რის შედეგადაც ნივთიერებათა ცვლას ექვემდებარებიან ამ მიწის როგორც ქიმიური, ისე მექანიკური წარმოების პირობებიც, თვით-

* — ნატურალური სახით. აქ იგულისხმება მოხმარება ნატურალური მეურნეობის პირობებში. რ ე დ.

თესლიც კი: და ა. შ., პირუტყვი და ა. შ., სასუქის შეტანა და ა. შ., — ნაცვლად საკუთარი ნაკელის გამოყენებით შემოფარგვისა, როგორც წინათ იყო.

5) წინათ «გაუსხვისებადი» დოვლათის მთელი მასის მობილიზაცია, რომელიც ამ დოვლათს საქონლად აქცევს, და საკუთრების ისეთი ფორმების შექმნა, რომელნიც მხოლოდ მიმოქცევაში მყოფი ქალაქებისაგან შედგება. ერთი მხრივ — მიწათმფლობელობის ვასხვისება (იმასთან ერთად, რომ მასები მოკლებულნი არიან ყოველგვარ საკუთრებას, მოცემულია ისიც, რომ ეს მასები, მაგალითად, თავიანთ საცხოვრებელს ისე ექცევიან, როგორც საქონელს). მეორე მხრივ — რკინიგზის აქციები და საერთოდ ყოველგვარი აქციები.

[დ] ჰოდსკინის კოლემიკა კაპიტალისტის მიერ მუშის საარსებო საშუალებათა «დაბროვების» კონცეფციის წინააღმდეგ. ჰოდსკინს არ მსმის კაპიტალის ფეტიშურიზაციის ნამდვილი მიზეზები]

[875] დაეუბრუნდეთ ახლა ჰოდსკინს.

კაპიტალისტის მიერ მუშის [საარსებო საშუალებათა] დაღვრვა, ცხადია, არ შეიძლება გავივით ისე, რომ საქონელი წარმოებიდან მოხმარებაში გადასვლისას იმყოფება მიმოქცევის რეზერვუარში, მიმოქცევაში, ბაზარზე. ამ «დაგროვების» ასეთი განმარტება იმის თქმას ნიშნავს, რომ პროდუქტი მიმოქცევა მუშისთვის და საქონლად იქცევა მუშისთვის, საერთოდ — რომ პროდუქტები საქონლად იწარმოება მუშისთვის.

მუშას, ისევე როგორც ყველა სხვა საქონელმფლობელს, ის თვისება ახასიათებს, რომ მან საქონელი, რომელსაც იგი ყიდის ფაქტიურად, თუმცა არა ფორმის მიხედვით, — ე. ი. თავისი შრომა, — ჯერ უნდა გადააქციოს ფულად, რათა შემდეგ ეს ფული უკუგადააქციოს საქონლად მოხმარებისათვის. დღესათვის ნათელია, რომ შრომის დანაწილებას (რამდენადაც იგი საქონლურ წარმოებაზეა დამყარებული), დაქირავებულ შრომას, საერთოდ კაპიტალისტურ წარმოებას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს უიმისოდ, თუ მოხმარების საგნები, ასევე წარმოების საშუალებანიც, არ იქნებოდნენ ბაზარზე საქონელთა სახით, რომ ამგვარი წარმოება შეუძლებელი იქნებოდა საქონელთა მიმოქცევის გარეშე, მიმოქცევის რეზერვუარებში საქონელთა ყოფნის გარეშე. ვინაიდან

საქონელს წარმოადგენს პროდუქტი $\chi\alpha\tau$ $\xi\acute{\nu}\tau\eta\chi\upsilon$ * მხოლოდ მიმოქცევის შიგნით. ის გარემოება, რომ მუშა მისთვის აუცილებელ საარსებო საშუალებებს ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა ფორმით უნდა პოულობდეს, სწორედ ისევე მართებულია მისთვის, როგორც ყოველი სხვა ადამიანისთვისაც.

ამასთან საარსებო საშუალებებით მოვაჭრეს მუშა უპირისპირდება არა როგორც მუშა კაპიტალისტს, არამედ როგორც ფული — საქონელს, როგორც მყიდველი — გამყიდველს. აქ არ არის დაქირავებული შრომისა და კაპიტალის ურთიერთობა, თუ არ ჩავთვლით იმ შემთხვევას, როცა საქმე ეხება ვაჭრის ს ა კ უ თ ა რ მუშებს. მაგრამ ეს უკანასკნელნიც კი, რამდენადაც ისინი ვაჭრისაგან ყიდულობენ, არ უპირისპირდებიან მას როგორც მუშები. ამას ადგილი აქვს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ვაჭარი მათგან ყიდულობს. ამიტომ მხედველობის გარეშე დაეტოვოთ მიმოქცევის ეს ა გ ე ნ ტ ი.

რაც შეეხება სამრეწველო კაპიტალს, მისი მ ა რ ა გ ი — მისი «დაგროვება» — შედგება:

ჭ ე რ ე რ თ ი, მისი ძირითადი კაპიტალისაგან — შენობებისაგან, მანქანებისაგან და ა. შ., რომელთაც მუშა არ ხმარობს, ან, რამდენადაც მათ ხმარობს, ხმარობს შრომის პროცესში, წარმოებაში, კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ი ს ა თ ვ ი ს; თუმცა ისინი შრომის საშუალებებს შეადგენენ მუშებისათვის, მაგრამ არასოდეს არ წარმოადგენენ მათს საარსებო საშუალებებს.

მ ე ო რ ე, მისი ნედლეულისა და დამხმარე მასალისაგან, რომელთა მარაგს, იმ ნაწილში, რომელიც უშუალოდ არ შედის წარმოებაში, როგორც დავინახეთ, შემცირების ტენდენცია აქვს. არც ეს ნივთები წარმოადგენენ საარსებო საშუალებებს მუშისათვის. კაპიტალისტის ეს «დ ა გ რ ო ვ ე ბ ა» მუშისათვის სხვა არაფერია, თუ არა ის სამსახური, რასაც კაპიტალისტი მუშას უწევს იმით, რომ წაართმევს მას მისი შრომის პირობებს როგორც საკუთრებას და გადააქცევს ამ მისი შრომის საშუალებებს (რომლებიც თვით წარმოადგენენ მისი შრომის გარდაქმნილ პროდუქტს) შრომის ექსპლოატაციის საშუალებებად. ყოველ შემთხვევაში, მუშა არ იკვებება იმ მანქანებითა და ნედლეულით, რომელთაც იგი შრომის საშუალებათა სახით ხმარობს.

მ ე ს ა მ ე, საწყობში, საკუჭნაოში, მყოფი მისი საქონლისაგან, ვიდრე ეს უკანასკნელი მიმოქცევაში არ შესულა. ეს საქონელი არის შრომის პროდუქტი და არა საარსებო საშუალებანი, დაგროვილი იმისათვის, რომ შეინახოს თვით იგი, შრომა, წარმოების დროს.

* — უპირატესად, სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. რ ე ღ.

ამრიგად, კაპიტალისტის მიერ საარსებო საშუალებათა «დაგროვება» მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ კაპიტალისტს უნდა ჰქონდეს საკმარის რაოდენობით ფული, რათა ხელფასის გადახდა შეეძლოს, ფული, რომლითაც მუშას მიმოტყევის რეზერვუარებიდან გამოაქვს თავისი მოხმარების საშუალებანი (და თუ განვიხილავთ მთლიანად აღებულ კლასს — მუშა თავისთვის თავისი საკუთარი პროდუქტის მხოლოდ ნაწილს ხელახლა ყიდულობს). მაგრამ ეს ფული მხოლოდ გარდაქმნილი ფორმაა იმ საქონლისა, რომელიც მუშამ გაყიდა და ჩააბარა. ამ აზრით საარსებო საშუალებანი «დაგროვილია» მუშისთვის საცესებით ისევე, როგორც იგი დაგროვილია მისი კაპიტალისტისათვის, რომელიც ასევე ყიდულობს ფულით (იმავე საქონლის გარდაქმნილ ფორმას) მოხმარების საშუალებებს და ა. შ. ეს ფული შეიძლება იყოს ღირებულების უბრალო ნიშანი; მაშასადამე, სრულიადაც არაა აუცილებელი, რომ იგი იყოს წარმომადგენელი «წარსული შრომისა», არამედ ყოველი ადამიანის ხელში იგი გამომხატველია მხოლოდ ამ ადამიანის მიერ რეალიზებული ფასისა— არა წარსული შრომის (ან ადრინდელი საქონლის), არამედ იმ შრომის ან იმ საქონლის ფასისა, რომელსაც მოცემული ადამიანი ყიდის როგორც აწმყო დროის შრომას ან საქონელს. ჩვენ ვვაქვს აქ მხოლოდ ფორმალური მყოფობა¹⁰⁴. ანდა, — რადგან მუშას წინანდელი წარმოების წესების დროსაც უნდა ესაზრდოვა და მოეხმარა საარსებო საშუალებანი წარმოების დროს, იმ დროის ხანგრძლივობის მიუხედავად, რასაც მისი პროდუქტის წარმოება მოითხოვდა, — საარსებო საშუალებათა «დაგროვება» მუშისთვის ნიშნავს, რომ მუშამ თავისი შრომის პროდუქტი ჯერ უნდა გადააქციოს კაპიტალისტის პროდუქტად, კაპიტალად, რათა შემდეგ ამ პროდუქტის ნაწილი ფულის ფორმით ანაზღაურების სახით უკანვე მიიღოს.

[876] ამ პროცესში (ამ პროცესისათვის კი, როგორც ასეთისათვის, არსებითად მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა არის ის, რასაც მუშა იღებს, — თანადროული შრომის პროდუქტია იგი, თუ წარსული შრომისა, პარალელურად შესრულებული შრომის პროდუქტს იღებს იგი თუ თავის საკუთარ წინანდელ პროდუქტს) ჰოდსკინს აინტერესებს შემდეგი:

მნიშვნელოვანი ნაწილი, უდიდესი ნაწილი მუშის მიერ ყოველდღიურად მოხმარებული პროდუქტებისა, — რომლებსაც მუშა უნდა მოიხმარდეს იმისდა მიუხედავად, მზად არის მისი საკუთარი პროდუქტი თუ არა, — სრულიადაც არ არის წინა დროის და გ რ ო ვ ი ლ ი შ რ ო მ ა. პირიქით, ეს არის მნიშვნელოვანწილად შრომის პროდუქტები, წარმოებულნი იმავე დღეს, იმავე კვირაში, როცა მუშა თავის საქონელს აწარმოებს. ასეთები, მაგალითად, პური, ხორცი, ლუდი, რძე, გაზეთები და ა. შ. ჰოდსკინს შეეძლო დაემატებინა, რომ ისინი არიან ნაწილობრივ

მომავალი შრომის პროლეტები, ვინაიდან იმ ხელფასით, რასაც მუშა ექვსი თვის განმავლობაში შემოინახავს, იგი ყიდულობს სერთუქს, რომელიც მხოლოდ ამ ექვსი თვის დასასრულს მზადდება, და ა. შ. (ჩვენ დავინახეთ, რომ მთელი წარმოება გულისხმობს ნედლეულის, ნახევარფაბრიკატის და ა. შ. სხვადასხვა ფორმით მასში შემავალი ნაწილებისა და პროლეტების იმავდროულ კვლავწარმოებას. ყოველი ძირითადი კაპიტალი კი გულისხმობს თავისი კვლავწარმოებისათვის მომავალ შრომას, იგი გულისხმობს მომავალ შრომას აგრეთვე თავისი ეკვივალენტისთვისაც, ურომლისოდაც მისი კვლავწარმოება შეუძლებელია.) წლის განმავლობაში, ამბობს ჰოდსკინი, მუშამ (მარცვლეულის კვლავწარმოების, მცენარეული ნედლეულის და ა. შ. წარმოების ხასიათთან დაკავშირებით) რამდენადმე წარსული შრომის იმედი უნდა იქონიოს (სახლის შესახებ, მაგალითად, ამის თქმა არ შეიძლება. იმ შემთხვევებში, როცა ესათუის სახმარი ღირებულება, მისი ბუნების გამო, მხოლოდ თანდათანობით ცვდება, ერთბაშად არ მოიხმარება, არამედ გამოიყენება მხოლოდ, წარსული შრომის ამგვარი პროლეტების «ბაზარზე» არსებობა სრულიადაც არ არის მუშებისათვის გამოგონილი რალაც განსაკუთრებული აქტის შედეგი. მუშას უწინაც აქონდა საცხორებელი ბინა», მანამდე, ვიდრე კაპიტალისტი «დააგროვებდა» მისთვის მომავლენებელ აუროლებულ ჯურღმულებს. (იხ. ამის შესახებ ლენინი¹⁵⁵.) (თუ არ ვილაპარაკებთ იმ უამრავ ყოველდღიურ მოთხოვნილებებზე, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ განსაკუთრებით მუშისთვის, რომელსაც თითქმის მარტოოდენ დღიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეუძლია,—ჩვენ დავინახეთ, რომ საერთოდ წარმოება და მოხმარება სულ უფრო ემთხვევიან ერთმანეთს დროის მიხედვით, ასე რომ, თუ განვიხილავთ მთელ საზოგადოებას მთლიანად, საზოგადოების ყველა წევრის მოხმარება სულ უფრო და უფრო ეყრდნობა მათს იმავდროულ წარმოებას, ანუ, უფრო ზუსტად, იმავდროულ ი წარმოების პროლეტებს.) მაგრამ როცა შრომითი ოპერაციები რამდენიმე წელზე ვრცელდება, მუშამ «იმედი უნდა იქონიოს» მხოლოდ თავისი საკუთარი წარმოებისა, იმ მუშების ერთდროული და მომავალი შრომისა, რომლებიც სხვა საქონელს აწარმოებენ.

მუშა მუდამ უნდა პოულობდეს მზა სახით საარსებო საშუალებებს როგორც საქონელს ბაზარზე (მის მიერ ნაყიდი «მომსახურება» eo ipso * იქმნება თვით მომსახურების მომენტში), — მაშასადამე, შეფარდებით, როგორც წინანდელი შრომის პროლეტს, სახელდობრ ისეთი შრომისა,

* — სწორედ ამით, იმით, მით. რ ე დ.

რომელიც წინ უძღვის მათს ყოფიერებას პროდუქტების სახით, მაგრამ სრულიადაც არ უძღვის წინ მუშის შრომას, რომლის ფასითაც იგი ამ პროდუქტებს ყიდულობს. ისინი შეიძლება იყვნენ პროდუქტები, რომელნიც ემთხვევიან ამ შრომას დროის მიხედვით, და უპრავლეს შემთხვევაში კიდევ არიან ასეთები იმათთვის, ვინც «დღიური ულუფის შოვნის» პრინციპის თანახმად ცხოვრობს.

თუ ყოველივე ამას მხედველობაში მივიღებთ, კაპიტალისტის მიერ მუშის საარსებო საშუალებათა «დაგროვება» ნიშნავს შემდეგს:

1) საქონელწარმოება გულისხმობს, რომ მოხმარების საგნებს, რომელთაც მომხმარებელი თვითონ არ აწარმოებენ, ისინი მზა სახით პოულობენ როგორც საქონელს ბაზარზე, ანდა რომ ს ა ქ ო ნ ე ლ ი საერთოდ იწარმოება რ ო გ ო რ ც ს ა ქ ო ნ ე ლ ი.

2) იმ საქონელთა უდიდესი ნაწილი, რომელთაც მუშა მათი იმ უკანასკნელი ფორმით მოიხმარს, რომლითაც ისინი საქონელთა სახით უპირისპირდებიან მას, მართლაც პროდუქტებია ი მ ა ვ დ რ ო უ ლ ი შრომისა (მაშასადამე, ისინი არავითარ შემთხვევაში არ არიან კაპიტალისტების მიერ დაგროვილი).

3) კაპიტალისტური წარმოების დროს თვით მუშის მიერ წარმოებული შრომის საშუალებანი და საარსებო საშუალებანი უპირისპირდებიან მას, პირველი — როგორც მუდმივი კაპიტალი, უკანასკნელი — როგორც ცვალებადი კაპიტალი; მთელი ეს მისი წარმოების პირობები გვევლინებიან როგორც კაპიტალისტის საკუთრება; მათ ვადასვლას კი მუშისა და კაპიტალისტის ხელში და მუშასთან მისი პროდუქტის ან ამ პროდუქტის ღირებულების ნაწილობრივ უკუმოდინებას ეწოდება საბრუნავი კაპიტალის «დაგროვება» მუშისათვის. ეს საარსებო საშუალებანი, რომელთაც მუშა უნდა მოიხმარდეს ყოველთვის მანამდე, ვიდრე მისი პროდუქტი დამთავრდება, «საბრუნავ კაპიტალად» იქცევა იმიტომ, რომ მუშამ, ნაცვლად იმისა, რომ იგი უშუალოდ ყ ი დ უ ლ ო ბ დ ე ს ამ საარსებო საშუალებებს, ანუ ფასს იხდიდეს მათში თავისი წარსული პროდუქტის ღირებულებით ან თავისი მომავალი [877] პროდუქტის ხარჯზე, ჯერ კაპიტალისტისაგან უნდა მიიღოს ჩ ე კ ი მათზე — ფული, — ისეთი ჩეკი, რომლის ვაცემაც შესაძლებელი ხდება კაპიტალისტისათვის მხოლოდ მუშის წარსული, მომავალი ან ამჟამად წარმოებაში მყოფი პროდუქტის მეოხებით.

პოდსკინი ცდილობს აქ დაამტკიცოს მუშის დამოკიდებულება სხვა მუშების თანაარსებულ შრომაზე მისი წარსულ შრომაზე დამოკიდებულების საპირისპიროდ, —

1) რათა თავიდან მოიშოროს «ფრაზა დაგროვების შესახებ»..

2) იმიტომ, რომ «ახლანდელი შრომა» უპირისპირდება კაპიტალს, მაშინ როდესაც «წარსული შრომა» უკვე მუდამ განიხილება ეკონომისტების მიერ როგორც *eo ipso* კაპიტალი, როგორც გაუცხოებულ ი, თვით შრომისადმი მტრულად განწყობილი და დამოუცილებელი ფორმა შრომისა.

მაგრამ იმ მნიშვნელობის გაგება, რაც ყველგან იმავდროულ შრომას ენიჭება წარსული შრომის საპირისპიროდ, თავისთავად მეტად მნიშვნელოვანი მომენტია.

ამრიგად, ჰოდსკინი მიდის შემდეგ დასკვნამდე:

კაპიტალი არის ან ცარიელი სიტყვა და თვალისახვევა, ანდა იგი გამოხატავს არა ნივთს, არამედ ურთიერთობას: ერთი ადამიანის შრომის საზოგადოებრივ ურთიერთობას მეორის თანაბარსებულ შრომასთან, ამასთან ამ ურთიერთობის შედეგებს, ეფექტს მაიწერენ იმ ნივთებს, რომელთაგანაც ეგრეთ წოდებული საბრუნავი კაპიტალი შედგება. ფულის სახით საქონლის ყოველგვარი ყოფიერებისას ამ საქონლის რეალიზაცია სახმარ ღირებულებებში დამოკიდებულია თანადროულ შრომაზე. (მთელი წლის [შრომა] თვითონ არის თანადროული [შრომა].) უმუშალო მოხმარებაში შემავალ საქონელთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია ერთ წელზე მეტი ხნის პროდუქტები, ხოლო თუ ისინი ასეთი პროდუქტებია (მაგალითად, პირუტყვი და ა. შ.), მაშინ ისინი ყოველწლიურად ახალ შრომას საჭიროებენ. ყველა შრომითი ოპერაცია, რაც ერთ წელზე უფრო ხანგრძლივ დროს მოითხოვს, დამყარებულია უწყვეტ წლიურ წარმოებაზე.

«იმ გარემოებას, რომ კაპიტალისტს შესაძლებლობა აქვს შეინახოს და, მასადამე, გამოიყენოს კიდევ სხვა მუშაკები, იგი უნდა უმადლოდეს იმას, რომ მის განკარგულებაშია ზოგერთი ადამიანის შრომა, და არა იმას, რომ მას საქონელთა მარაგი აქვს» (გვ. 14).

ნამდვილად კი ფული ყოველ ადამიანს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ თავის «განკარგულებაში» იქონიოს «ზოგიერთი ადამიანის შრომა», მათს საქონელში რეალიზებული შრომა, ასევე ამ შრომის კვლავწარმოებაც — და, მასადამე, ამდენად თვით შრომა.

ჰოდსკინის აზრით, ნამდვილად «გროვდება» შრომა არა როგორც მკვდარი მასა, არამედ როგორც ცოცხალი რამ — მუშის დახელოვნება, შრომის განვითარების ხარისხი, (მართალია (ამას ჰოდსკინი არ აღნიშნავს, რადგან მისთვის მნიშვნელოვანია, ეკონომისტების უხეშო გაგების საპირისპიროდ, ყურადღება გაამახვილოს სუბიექტზე, ასე ვთქვათ, სუბიექტურზე სუბიექტში, ნივთის საწინააღმდეგოდ),

შრომის მწარმოებლური ძალის განვითარების ყოველ მომენტში მოცემული დონე, რომელიც ამოსავალ პუნქტს წარმოადგენს, არსებობს არა მხოლოდ მუშის ჩვევებისა და უნარის სახით, არამედ იმ საგნობრივი ორგანოების სახითაც, რომლებიც ამ შრომამ შექმნა თავისთვის და რომელთაც იგი ყოველდღიურად განაახლებს.) ეს არის ჭეშმარიტი prius*, რომელიც ამოსავალ პუნქტს ქმნის, და ეს prius-ი განვითარების გარკვეული მსვლელობის შედეგია. და გ რ ო ვ ე ბ ა არის აქ ას ი მ ი ლ ა ც ი ა, მუდმივი შენარჩუნება და ამასთანავე ერთად გარდაქმნა უკვე ტრადიციით ვალმოცემულისა, რეალიზებულისა. სწორედ ამ აზრითაა, რომ დარვინი მემკვიდრეობითობით მოცემულ «დაგროვებას» ყველა ორგანიზმსა, მცენარესა და ცხოველში მათი ფორმირების მამოძრავებელ პრინციპად ხდის, ასე რომ სხვადასხვა ორგანიზმი თვითონ ახდენს თავისი თავის ფორმირებას «დაგროვების» მეშვეობით და ეს ორგანიზმები ცოცხალი სუბიექტების «გამოგონებანი», თანდათანობით დაგროვილი გამოგონებანი არიან. მაგრამ ეს არ არის ერთადერთი prius-ი წარმოებისათვის. ცხოველისა და მცენარისათვის ასეთი prius-ი არის გარებუნება, — მაშასადამე, როგორც არაორგანული ბუნება, ისე მათი ურთიერთდამოკიდებულება სხვა ცხოველებთან და მცენარეებთან. ადამიანსა რომელიც საზოგადოებაში აწარმოებს, საქმე აქვს აგრეთვე უკვე სახე-შეცვლილ ბუნებასთან (კერძოდ ბუნების ელემენტებთან, რომლებიც მისი საკუთარი მოქმედების ორგანოებად გადაქცეულან) და მწარმოებელთა გარკვეულ ურთიერთდამოკიდებულებასთან. აღნიშნული დაგროვება ნაწილობრივ ისტორიული პროცესის შედეგია, ნაწილობრივ, ცალკეული მუშისათვის, დახელოვნების გადაცემა თაობიდან თაობაზე. ამ დაგროვებისას, ამბობს პოდსკინი, არავითარი საბრუნავი კაპიტალი მუშების ძირითად მასას არავითარ დახმარებას არ უწყევს.

პოდსკინმა გვიჩვენა, რომ «მზა საქონელთა» (საარსებო საშუალებათა) «მარაგი» მუდამ მცირეა ერთობლივ მოხმარებასა და წარმოებასთან შედარებით. პირიქით, არსებული მოსახლეობის დახელოვნების დონე არის ყოველ მოცემულ მომენტში ერთობლივი წარმოების წინამძღვარი, — მაშასადამე, სიმდიდრის მთავარი დაგროვება, წინანდელი შრომის უმნიშვნელოვანესი შენახული შედეგი, რომელიც თვით ცოცხალ შრომაში არსებობს.

[878] ყველა ის შედეგი, რასაც ჩვეულებრივ საბრუნავი კაპიტალის დაგროვებას მიაწერენ, გამოწვეულია დახელოვნებული შრომის ჩვევათა და დაგროვებით და ათვისებით, ხოლო ეს უმნიშვნელოვანესი თებერაცია ხორკივლდება. რამდენადაც მუშების ძირითად მასაზეა ლაპარაკი, ყოველგვარი საბრუნავი კაპიტალის გარეშე (გვ. 13).

* — პირველადი, წინამავალი, რ ე ღ.

ეკონომისტების ფრაზას იმის შესახებ, რომ მუშების რიცხვი (და ამიტომ არსებული მუშა მოსახლეობის კეთილდღეობა ან სიღატაკე) დამოკიდებულია საბრუნავი კაპიტალის არსებულ მასაზე, ჰოდსკინი მართებულ კომენტარს უკეთებს შემდეგნაირად:

«მუშების რიცხვი მუდამ დამოკიდებულია აუცილებლად საბრუნავი კაპიტალის რაოდენობაზე, ანუ, როგორც შე ვიტყვოდი, თანაარსებული შრომის პროდუქტთა იმ რაოდენობაზე, რომლის მოხმარების ნებაც მუშებს აქვთ (20).

ის, რასაც მიაწერენ «საბრუნავ კაპიტალს», გარკვეულ «საქონელთა მარაგს», «თანაარსებული შრომის» შედეგია.

ამრიგად, ჰოდსკინი ამბობს სხვა სიტყვებით: შრომის გარკვეული საზოგადოებრივი ფორმის მოქმედებას მიაწერენ ნივთს, ამ შრომის პროდუქტებს; თვით ურთიერთობა ფანტასტიკურად წარმოდგინება ნივთობრივი სახით. ჩვენ დავინახეთ, რომ ეს არის საქონელწარმოებაზე, საცვლელ ღირებულებაზე დამყარებული შრომის სპეციფიკური დამახასიათებელი ნიშანი და რომ ეს qui dpro guo* ვლინდება საქონელში, ფულში (რასაც ჰოდსკინი ვერ ხედავს) და კიდევ უფრო მეტად — კაპიტალში¹⁰⁶. მოქმედებანი, რაც აქვთ ნივთებს როგორც შრომის პროცესის საგნობრივ მომენტებს, კაპიტალში მიეწერება ამ ნივთებს როგორც ისეთი მოქმედებანი, რაც ამ ნივთებს გააჩნიათ თავიანთ პერსონიფიკაციაში, თავიანთ დამოუკიდებლობაში, რომელიც შრომას უპირისპირდება. [ეკონომისტების შეხედულებით] მათ აღარ ექნებოდათ ეს მოქმედებანი, თუ აღარ დაუპირისპირდებოდნენ შრომას ამ გაუცხოებული ფორმით. კაპიტალისტი როგორც კაპიტალისტი არის მხოლოდ კაპიტალის პერსონიფიკაცია, — საკუთარი ნებისყოფითა და პიროვნებით დაჯილდოებული ქმნილება შრომისა, მტრულად განწყობილი შრომისადმი. ჰოდსკინს ეს მიაჩნია წმინდა სუბიექტურ ილუზიად, რომლის უკან ექსპლოატატორთა კლასების თაღლითობა და ინტერესები იმალება. იგი ვერ ხედავს, თუ როგორ წარმოშობს ამ წარმოდგენის წესს თვით რეალური ურთიერთობა, ვერ ხედავს, რომ ეს ურთიერთობა კი არ არის პირველის გამოხატულება, არამედ პირიქით. ამავე აზრით ამბობენ ინგლისელი სოციალისტები: «ჩვენ გვესაქიროება კაპიტალი და არა კაპიტალისტი»¹⁰⁷. მაგრამ თუ ისინი თავიდან იშორებენ კაპიტალისტს, მაშინ ისინი შრომის პირობებს ართმევენ კაპიტალის ხასიათს.

* — ცნებათა არევა (სიტყვასიტყვით: ერთის მიღება მეორის ნაცვლად; ერთი მეორის ადგილას, არეულ-ღარეულობა, გაუგებრობა) — ჩ ე დ.

23. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

* * *

ჯეტორი თხზულებისა «Observations on certain Verbal Disputes» ბელი და სხვები შენიშნავენ*, რომ სიტყვები «value, valeur»** გამოხატავენ ნივთების კუთვნილ თვისებას. მართლაც, ისინი თავდაპირველად სხვას არაფერს არ გამოხატავენ, თუ არა ნივთების სახმარ ღირებულებას ადამიანისათვის, მათს ისეთ თვისებებს, რომელნიც ამ ნივთებს ადამიანისთვის და ა. შ. სასარგებლო და სასიამოვნო ნივთებად ხდიან. საქმის არსის მიხედვით სიტყვებს «value, valeur, Wert»** ეტიმოლოგიურად არ შეიძლება სხვა წარმოშობა ჰქონდეთ. სახმარი ღირებულება გამოხატავს ბუნებრივ მიმართებას ნივთებსა და ადამიანებს შორის, ფაქტიურად — ნივთთა ყოფიერებას ადამიანისათვის. ს ა ც ვ ლ ე ლ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა არის სიტყვა Wert-ზე (=სახმარი ღირებულება) დამყნილი მნიშვნელობა, რაც უფრო გვიან წარმოიშვა საზოგადოებრივი განვითარების შედეგად, რამაც ეს საცვლელი ღირებულება წარმოქმნა. ეს არის ნივთის ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ყოფიერება.

ს ა ნ ს კ რ ი ტ უ ლ ი Wer ნიშნავს «დაფარვას, დაცვას», აქედან — «პატივისცემას, თაყვანისცემას» და «სიყვარულს, დაფასებას». ამ სიტყვიდან წარმოებული ზედსართავი Wertas ნიშნავს «ჩინებულს, პატივცემულს»; გ ო თ უ რ ი wairth ძ ე ლ ი ზ ე მ ო გ ე რ მ ა ნ უ ლ ი wert, ა ნ გ ლ ო ს ა ქ ს უ რ ი weorth, vordh, wurth, ი ნ გ ლ ი ს უ რ ი wort, worthy, ჰ ო ლ ა ნ დ ი უ რ ი waard, waardig, გ ე რ მ ა ნ უ ლ ი wert. ლიტერული wertas («პატივისცემა, ძვირფასი, ძვირი, დასაფასებელი»). ს ა ნ ს კ რ ი ტ უ ლ ი Wertis, ლ ა თ ი ნ უ რ ი virtus***, გ ო თ უ რ ი wairthi, გ ე რ მ ა ნ უ ლ ი Wert [C h a v è e. Essai d'étymologie philosophique. Bruxelles, 1644, გვ. 176].

Der Wert**** ნივთისა სინამდვილეში არის ამ ნივთის საკუთარი virtus, მაშინ როდესაც მისი საცვლელი ღირებულება სრულიად არ არის დამოკიდებული მის ნივთობრივ თვისებებზე.

ს ა ნ ს კ რ ი ტ უ ლ ი Wal ნიშნავს «დაფარვას, გამაგრებას»; [ლ ა თ ი ნ უ რ ი] vallo*****.valeo*****.vallus*****—იმას,რაც იფარავს და იცავს;valor—ეს არის თვით ძალი». აქედან [ფ რ ა ნ გ უ ლ ი] valeur, [ი ნ გ ლ ი ს უ რ ი] value. «შეადარე

* იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 153 და 194. რ ე დ.

** ფასი, ღირებულება. რ ე დ.

*** — ძალი, მამაცობა, ღირსება, შესანიშნავი თვისება. რ ე დ.

**** — ფასი, ღირებულება, რ ე დ.

***** — მიწაყრილის შემოვლება, გამაგრება, დაცვა. რ ე დ.

***** — იყო ძლიერი, მაგარი, ჯანმრთელი. რ ე დ.

***** — ურილი, მიწაყრილი. რ ე დ.

Wal-ს გერმანული walle, walte*, ინგლისური wal**, wield***¹⁰⁶ [Chavée. Essai d'étymologie philosophique. Bruxelles, 1844, გვ. 70.]

* * *

შემდეგ პოდსკინი გადადის ძირითად კაპიტალზე. ეს არის წარმოებული მწარმოებლური ძალა და, თავის განვითარებაში— მსხვილ მრეწველობაში, საზოგადოებრივი შრომის მიერ თავისთვის შექმნილი ორგანო.

აი ის ადგილები, სადაც ლაპარაკია ძირითად კაპიტალზე:

ყველა იარაღი და მანქანა შრომის პროდუქტია... ვიდრე ისინი მხოლოდ წარსული შრომის შედეგს წარმოადგენენ და ვიდრე მათ მუშები მიზანშეწონილად არ გამოიყენებენ, ისინი არ ანაზღაურებენ მათი დამზადებისათვის საჭირო ხარჯებს... მეტი წილი მათგან კარგავს ღირებულებას, თუ ისინი დიდხანს რჩებიან გამოუყენებელი... ძირითადი კაპიტალი თავის სარგებლობას იღებს არა წარსული, არამედ ახლანდელი შრომიდან, და მას მოგება მოაქვს თავისი მფლობელი სათვის არა იმიტომ, რომ იგი დაგროვილი იყო, არამედ იმიტომ, რომ «ის არის შრომაზე განკარგულების მოპოვების საშუალება» (გვ. 14—15).

აქ, ბოლოს, სწორად არის მიგნებული კაპიტალის ბუნება.

[879] «რას აწარმოებს ესა თუ ის იარაღი, მას შემდეგ, რაც იგი დამზადებულ იქნა? არაფერს, პირიქით, იგი იწყებს დაეანგვას და ფაფუჭებას, თუ მას შრომა არ იყენებს... უნდა განვიხილავდეთ თუ არა ამა თუ იმ იარაღს როგორც მწარმოებლურ კაპიტალს, ეს საესებით დამოკიდებულია იმაზე, გამოიყენება იგი მწარმოებელი მუშების მიერ თუ არა» (გვ. 15—16).

«ადელი გასაგებია რატომ... უნდა იღებდეს გზის მშენებელი გარკვეულ ნაწილს იმ მოგებიდან, რასაც იღებს გზიდან მხოლოდ ის, ვინც ამ გზას იყენებს; მაგრამ მე არ მესმის, რატომ უნდა ეკუთვნოდეს თვით გზას მთელი ეს მოგება და რატომ უნდა ხდებოდეს მისი მითვისება კაპიტალის მოგების სახელწოდებით მთელ რაგ იმ პირთა მიერ, რომლებიც არც აკეთებენ ამ გზას და არც იყენებენ მას» (გვ. 16).

«ორთქლის მანქანის უდიდესი სარგებლობა დამოკიდებულია არა რკინისა და ზის დაგროვებაზე, არამედ ბუნების ძალთა იმ კრაქტიკულსა და ცოცხალ ცოდნაზე, რომელიც ზოგადამიანს იმის შესაძლებლობას აძლევს, რომ აავსოს მანქანები, ზოგს კი იმისა, რომ მართოს ისინი» (გვ. 17).

* — ებატონობ, ვმბრძანებლობ, ვმართავ. რ ე დ

** — კედელი. რ ე დ.

*** — ფლობა, ხელთ ქონა. რ ე დ.

«ეოდნის გარეშე მათი» (მანქანების) «გამოგონება შეუძლებელი იქნებოდა, მანქანათმშენებელი მუშების სიმარჯვისა და დახელოვნების გარეშე მანქანებს ვერ დამზადდებოდა, ხოლო სხვა მუშების გაწაფულობისა და შრომის გარეშე მათი მწარმოებლურად გამოყენება არ შეიძლებოდა. ცოდნა, დახელოვნება და შრომა ერთადერთი ფაქტორებია, რომლებზედაც კაპიტალისტს შეეძლო დაემყარებინა თავისი პრეტენზია პროდუქტის რაიმე ნაწილის კამპარტის» (გვ. 18).

«ა და მ ი ა ნ ს, რ ო მ ე ლ მ ა ც მ ე მ კ ე ი დ რ ე ო ბ ი თ მ ი ი ლ ო რ ი გ თ ა ო ბ ა თ ა ც ო დ ნ ა და რ ო მ ე ლ ი ც დ ი დ მ ა ს ე ბ თ ა ნ ე რ თ ა დ ც ხ ო ვ რ ო ბ ს, შეუძლია თავისი გონებრივი ნიჭის მეოხებით შეავსოს ის, რაც ბუნებას გაუკეთებია» (გვ. 18).

«ამა თუ იმ ქვეყნის მწარმოებლური შრომა დამოკიდებულია არა ძირითადი კაპიტალის რაოდენობაზე, არამედ მის თვისებაზე» (გვ. 19).

«როგორც ადამიანთა სავრცობისა და შენახვის საშუალება — ძირითადი კაპიტალი თავისი ეფექტიანობის მხრივ მთლიანად დამოკიდებულია მუშის დახელოვნებაზე, და ამიტომ მოცემული ქვეყნის მწარმოებლური შრომა იმდენად, რამდენადაც ეს ძირითადი კაპიტალს შეეხება, ხალხის ცოდნისა და გაწაფულობის დონის პროპორციულია» (გვ. 20).

[D] სარბიზის სარბიზელი; მასზე დამყარებული ახსნა მოგების ნორმის შემცირებისა

«ერთი თვალის გადავლენაც საკმარისია ყოველი ადამიანის იმში დასარწმუნებლად, რომ საზოგადოების განვითარებასთან ერთად მარტივი მოგება კი არ მცირდება, არამედ ღრდება; ე. ი. რომ შრომის ერთი და იგივე რაოდენობა, რომელიც უფრო ადრეულ პერიოდში 100 კვარტერ ხორბალს და 100 ორთქლის მანქანას აწარმოებდა, ახლა მეტს აწარმოებს... მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ამჟამად მოგების ხარჯზე ან მოგების სიუხვის პირობებში ადამიანთა გაცილებით უფრო დიდი რაოდენობა ცხოვრობს, ვიდრე ეს წინათ იყო. მაგრამ ცხადია, რომ არაერთარ შრომას, არაერთარ მწარმოებლურ ძალას, არაერთარ გამჭრიახობას და არაერთარ ხელოვნებას არ ძალუძს დააკმაყოფილოს სარგებელთან სარგებლის ყოვლისშთანმთქმელი მოთხოვნები. მაგრამ ყველა დანაზოგი კეთდება კაპიტალისტის შემოსაველიდან» (მასასადაზე, «მარტივი მოგებიდან», «ასე რომ სინამდვილეში ეს მოთხოვნები მუდამ წამოყენებულია ხოლმე, და ასევე მუდამ შრომის მწარმოებლური ძალა უარს ამბობს მათს დაკმაყოფილებაზე. ამიტომ აქ მუდამ ერთგვარი დაბალანება ხდება»¹⁰⁹ (გვ. 23).

მაგალითად, კაპიტალი 100 10%-ის კვალობაზე მოგვეცემდა 20 წლის შემდეგ, თუ მოგება მუდამ ხელახლა გროვდება, დაახლოებით 673-ს მაგრამ რადგან უმნიშვნელო განსხვავებას აქ მნიშვნელობა არა აქვს, შეგვიძლია ვთქვათ — 700-ს. ამრიგად, 20 წლის განმავლობაში კაპიტალი გადიდდება შეიძლება, ამ მასშტაბის მიხედვით, თუ ჩვენ საქმე გვექნებოდა მხოლოდ მარტივ სარგებელთან, კაპიტალს უნდა მოეცა ყოველწლიურად 30% 10-ის ნაცვლად, ე. ი. სამჯერ უფრო მეტი მოგება,

და რაც უფრო გავადიდებდით წლებს რიცხვს, მით უფრო გაიზრდებოდა მარტივ წლიურ სარგებელზე გადაანგარიშებისას სარგებლის განაკვეთი ან მოგების ნორმა, და ეს ზრდა მუდამ მით უფრო სწრაფად მოხდება, რაც უფრო მეტი გახდება კაპიტალი.

მაგრამ სინამდვილეში კაპიტალისტური დაგროვება სხვა არაფერია, თუ არა უკუგადაქცევა სარგებლისა კაპიტალად (რადგან აქ ჩვენი მიზნებისათვის, ე. ი. ამ ანგარიშის მიზნებისათვის, სარგებელი და მოგება იდენტურია), — მაშასადამე, სარგებლის სარგებელი. დღეს კაპიტალი შეადგენს 100-ს; იგი აწარმოებს 10 მოგებას (ანუ სარგებელს). ეს რომ კაპიტალს მიემატება, გამოვა 110, ეს შეადგენს ახლა კაპიტალს. ამ კაპიტალის სარგებელი შეადგენს არა მხოლოდ კაპიტალ 100-ის სარგებელს, არამედ 100კ+10ს-ის სარგებელს, ე. ი. რთულ სარგებელს. ამრიგად, მეორე წლის ბოლოს ჩვენ გვაქვს $(100კ+10ს) + 10ს + 1ს = (100კ+10ს) + 11ს = 121$. ამას უდრის ახლა კაპიტალი მესამე წლის დამდეგს. მესამე წელს ჩვენ გვაქვს:

$(100კ+10ს) + 11ს + 12,1ს$, ასე რომ მესამე წლის ბოლოსათვის კაპიტალი იქნება 133,1.

[880] თუ სარგებლის სარგებელს შტრიხით აღვნიშნავთ, მივიღებთ ცხრილს:

კაპიტალი	სარგებელი	ჯამი
1-ლი წელი 100	10	110
მე-2 წელი $100+10=110$	$10+1'$	121
მე-3 წელი $100+20+1=121$	$10+2'+0,1'$	133,1
მე-4 წელი $100+30+3,1=133,1$	$10+3,31'$	146,41
მე-5 წელი $100+40+6,41=146,41$	$10+4,641'$	161,051 და ა. შ.

მე-2 წელს კაპიტალი შეიცავს	სარგებელს (მარტივს)	10-ს
მე-3 წელს კაპიტალი შეიცავს	სარგებელს	21-ს
მე-4 წელს კაპიტალი შეიცავს	სარგებელს	33,1-ს
მე-5 წელს კაპიტალი შეიცავს	სარგებელს	46,41-ს
მე-6 წელს კაპიტალი შეიცავს	სარგებელს	61,051-ს
მე-7 წელს კაპიტალი შეიცავს	სარგებელს	77,1561-ს
მე-8 წელს კაპიტალი შეიცავს	სარგებელს	94,87171-ს
მე-9 წელს კაპიტალი შეიცავს	სარგებელს	114,358881-ს

სხვა სიტყვებით, უკვე მე-9 წელს ნახევარზე მეტი კაპიტალისა [რომელიც ამ დროისათვის უდრის 214,358881-ს] შედგება სარგებლისაგან, და ამრიგად კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც სარგებლისაგან შედგება, გეომეტრიული პროგრესიით იზრდება.

ჩვენ დავინახეთ, რომ 20 წლის შემდეგ კაპიტალი გადიდებოდა შვიდჯერ, მაშინ როდესაც მალთუსის «ყველაზე უკიდურესი» ვარაუდების მიხედვითაც კი მოსახლეობა გაორკეცდებოდა მხოლოდ 25 წლის განმავლობაში. მაგრამ დავუშვათ, რომ მოსახლეობა ორკეცდება 20 წელიწადში და, მაშასადამე, რომ ამ პერიოდში ორკეცდება აგრეთვე მუშა მოსახლეობაც. თუ გამოვიანგარიშებთ ყოველი წლის საშუალო შედეგს, მაშინ სარგებელი უნდა ყოფილიყო 30%, სამჯერ მეტი, ვიდრე ის არის. მაგრამ, თუ ექსპლოატაციის ნორმა უცვლელი იქნებოდა, გაორკეცებული მოსახლეობა 20 წლის შემდეგ (ამ 20 წლის მნიშვნელოვანი ნაწილის განმავლობაში კი ახალი თაობა ჯერ კიდევ შრომისუნარმოკლებულია; იგი შრომისუნარიანია, შეიძლება ამ პერიოდის ნახევრის განმავლობაში, მიუხედავად ბავშვების მუშაობისა) შეძლებდა შეესრულებინა მხოლოდ ორჯერ მეტი შრომა, წინანდელთან შედარებით, მაშასადამე, აგრეთვე ორჯერ მეტი — და არა სამჯერ მეტი — ზედმეტი შრომა.

მოგების ნორმა (და ამიტომ აგრეთვე სარგებლის ნორმაც) განისაზღვრება:

1) თუ ვიგულისხმებთ, რომ ექსპლოატაციის ნორმა უცვლელია, — დასაქმებული მუშების რიცხვით, გამოყენებული მუშების აბსოლუტური მასით, მაშასადამე, მოსახლეობის ზრდით. თუმცა გამოყენებული მუშების ეს მასა დიდდება, მაგრამ კაპიტალის დაგროვებასა და სამრეწველო განვითარებასთან ერთად მისი შეფარდება გამოყენებული კაპიტალის მთელ ჯამთან მცირდება (მაშასადამე, ექსპლოატაციის ნორმის უცვლელობის დროს მოგების ნორმა მცირდება). სწორედ ასევე მთელ მოსახლეობასაც არასოდეს არ მოსდის აზრად იმავე გეომეტრიული პროგრესით ზრდა, როგორც სარგებლის სარგებელი იზრდება. სამრეწველო განვითარების გარკვეულ საფეხურზე მოსახლეობის ზრდა გვიხსნის ზედმეტი ღირებულებისა და მოგების მასის გადიდებას, მაგრამ ამასთანვე მოგების ნორმის დაცემასაც.

2) ნორმალური სამუშაო დღის აბსოლუტური სიდიდით, ე. ი. ზედმეტი ღირებულების ნორმის გადიდებით. მოგების ნორმა შეიძლება, მაშასადამე, იზრდებოდეს სამუშაო დროის გაგრძელებით ნორმალური სამუშაო დღის ხანგრძლივობასთან შედარებით. მაგრამ ამას აქვს თავისი ფიზიკური და — გარკვეული მომენტიდან — თავისი საზოგადოებრივი საზღვარი. ექვსგარეშეა, რომ იმ ზომით, რა ზომითაც მუშებს მოძრაობაში მოჰყავთ მეტი კაპიტალი, იმავე კაპიტალის განკარგულებაშია აბსოლუტური სამუშაო დროის უფრო მეტი რაოდენობა — [881].

3) თუ ნორმალური სამუშაო დღე უცვლელი რჩება, ზედმეტი შრომა შეიძლება შეფარდებით გადიდებულ იქნეს აუცილებელი სამუშაო დრო-

ის შემოკლებისა და მუშის მოხმარებაში შემაველ საარსებო საშუალება-თა — შრომის მწარმოებლური ძალის განვითარების შესაბამისად — გაიაფების საშუალებით. მაგრამ შრომის მწარმოებლური ძალის ასეთივე განვითარება ამცირებს ცვალებად კაპიტალს მუდმივ კაპიტალთან შედარებით. ფიზიკურად შეუძლებელია, რომ ზედმეტი სამუშაო დრო, შავალთად, 20 მუშის შემცველი ორი კაცისა უდრიდეს — აბსოლუტური და შეფარდებითი ზედმეტი სამუშაო დროის რაიმე გადიდების მეოხებით — 20 კაცის ზედმეტ სამუშაო დროს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს 20 კაცი ყოველდღიურად მხოლოდ ორ საათ ზედმეტ სამუშაო დროს ასრულებს, ისინი 40 საათ ზედმეტ შრომას იძლევიან, მაშინ როდესაც მთელი სასიცოცხლო დრო ორი ადამიანისა ერთი დღის განმავლობაში მხოლოდ 48 საათს შეადგენს.

სამუშაო ძალის ღირებულება იმავე პროპორციით როდი მცირდება, რითაც დიდდება შრომის ან კაპიტალის მწარმოებლური ძალა. მწარმოებლური ძალის ეს გადიდება აღიღებს აგრეთვე ყველა იმ დარგში, რომლებიც არ აწარმოებენ პირდაპირ თუ არაპირდაპირ აუცილებელი საქიროების საგნებს, მუდმივი კაპიტალის შეფარდებას ცვალებადთან, თუმცა არ იწვევს ამასთან არავითარ ცვლილებას შრომის ღირებულებაში. მწარმოებლური ძალის განვითარება უთანაბრობა. კაპიტალისტური წარმოების ბუნების დამახასიათებელია, რომ ეს წარმოება მრეწველობას უფრო სწრაფად ავითარებს, ვიდრე მიწათმოქმედებას. ამის მიზეზია არა მიწის ბუნება, არამედ ის, რომ მიწას ესაჭიროება სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობანი იმისათვის, რომ მისი ექსპლოატაცია ნამდვილად მისი ბუნების შესაბამისად ხდებოდეს. კაპიტალისტური წარმოება მხოლოდ მას შემდეგ მიაშურებს მიწას, როცა ამ წარმოების გავლენამ უკვე გამოფიტა ეს მიწა და გაალარიბა მისი ბუნებრივი თვისებები. ამას ემატება ისიც, რომ მიწის კერძო საკუთრების გამო მიწათმოქმედების პროდუქტები სხვა საქონელთან შედარებით უფრო ძვირად ნაზღაურდება, რადგან ნაზღაურდება თავისი ღირებულების მიხედვით და მათი ფასის დაწევა ხარჯთფასებამდე არ ხდება. ეს პროდუქტები კი აუცილებელი საქიროების საგანთა მთავარ ნაწილს შეადგენენ. შემდეგ, ამას დაერთვის კიდევ ისიც, რომ კონკურენციის კანონის შედეგად, როცა მიწის $1/10$ -ის დამუშავება უფრო ძვირი ჯდება, დასამუშავებელი მიწის დარჩენილი $9/10$ -იც ასევე «ხელოვნურად» ზიანდება ამ შეფარდებითი დაბალი ნაყოფიერებით.

იმისათვის, რომ კაპიტალის დაგროვებასთან ერთად მოგების ნორმა უცვლელი დარჩეს, სინამდვილეში იგი უნდა გადიდდეს. კაპიტალი რომ ყოველთვის 10% ზედმეტ შრომას იძლეოდეს, მაშინ ერთსა და იმავე მუშას სარგებელზე სარგებლის დაგროვებისას და აქედან

გამომდინარე გამოყენებული კაპიტალის ვადიდებისას უნდა მოეცა სამჯერ, ოთხჯერ, ხუთჯერ უფრო მეტი — იმ პროგრესით, რა პროგრესითაც იზრდება სარგებლის სარგებელი, — ეს კი აბსურდია.

კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მ ა ს ა, რომელიც მუშას მოძრაობაში მოჰყავს და რომლის ღირებულებასაც იგი ინახავს და აკვლავწარმოებს თავისი შრომით. სრულიად განსხვავდება იმ ღირებულებებისაგან, რასაც მუშა დამატებით უმატებს, ე. ი. განსხვავდება ზედმეტი ღირებულებისაგან. თუ კაპიტალის მასა = 1000, დამატებით მიერთებული შრომა კი = 100, მაშინ კვლავწარმოებული კაპიტალი შეადგენს 1100-ს. თუ კაპიტალის მასა = 100, დამატებით მიერთებული შრომა კი = 20, მაშინ კვლავწარმოებული კაპიტალი შეადგენს 120-ს. მოგების ნორმა პირველ შემთხვევაში = 10% -ს, მეორე შემთხვევაში = 20% -ს. მიუხედავად ამისა 100-დან მეტის დაგროვება შეიძლება, ვიდრე 20-დან. და ამიტომ კაპიტალის ნაკადი {თუ უყურადღებოდ დაეტოვებთ კაპიტალის გაუფასურებას მწარმოებლური ძალის ვადიდების გამო} — ან მისი «დაგროვება» — მიედინება სულ უფრო შორს იმ წონის შესაბამისად, რაც კაპიტალს უკვე გააჩნია, და არა მოგების ნორმის სიმალის შესაბამისად. ეს გვიხსნის დაგროვების ვადიდებას — მასის მიხედვით — მიუხედავად მოგების ნორმის დაცემისა, თუ აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ მზარდი მწარმოებლობის პირობებში მოგების ნორმის დაცემის დროსაც კი შესაძლებელია შემოსავლის უფრო მნიშვნელოვანი ნაწილის დაგროვება, ვიდრე მოგების უფრო მაღალი ნორმის დროს ნაკლები მწარმოებლობის პირობებში. მოგების მაღალი ნორმა, — იმდენად, რამდენადაც იგი ზედმეტი ღირებულების მაღალ ნორმას ემყარება, — შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო დღე მეტად ხანგრძლივია, თუმცა შრომა დაბალი ნაყოფიერებისაა. მოგების მაღალი ნორმა შესაძლებელია [აგრეთვე] იმიტომ, რომ, თუმცა შრომა დაბალი ნაყოფიერებისაა, მუშის მოთხოვნილებანი, და ამის გამო ხელფასის მინიმუმიც, მეტად მცირეა. ხელფასის უმნიშვნელო მინიმუმის შესაბამისი იქნება შრომის მეტად მცირე ინტენსივობა. ორივე შემთხვევაში კაპიტალი აგროვებს ნელა, მიუხედავად მოგების მაღალი ნორმისა. მოხაზლობა არ დიდდება, სამუშაო დრო კი, რაც პროდუქტის წარმოებაზე იხარჯება, დიდია, თუმცა მუშისთვის გადახდილი ხელფასი მცირეა.

[882] მოგების ნორმის დაცემა, რასაც ადგილი აქვს მიუხედავად იმისა, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა უცვლელი რჩება და დიდდება კიდევ, მე ავხსენი იმით, რომ ცვალებადი კაპიტალი მცირდება მუდმივ კაპიტალთან შეფარდებით, ე. ი. იმით, რომ მცირდება ცოცხალი ახლანდელი შრომა იმ წარსულ შრომასთან შეფარდებით, რომელიც ამასთან

გამოყენება და იკვლავწარმოება*. პოდსკინი და ავტორი პამფლეტისა «The Source and Remedy of the National Difficulties» მოგების ნორმის დაცემას იმით ხსნიან, რომ მუშას არ შეუძლია დააკმაყოფილოს «ს არ გ ე ლ თ ა ს ა რ გ ე ბ ლ ი ს» მოთხოვნები, ე. ი. კაპიტალის დაგროვების მოთხოვნები:

«არავითარ შრომას, არავითარ მწარმოებლურ ძალას, არავითარ გამჭრიახობას და არავითარ დახელოვნებას არ ძალუძს დააკმაყოფილოს სარკებელთა სარკებლის ყოვლისშთანმთქმელი მოთხოვნები. მაგრამ ყველა დანაშოვი კეთდება კაპიტალისტის შემოსავლიდან» (მაშისადამე, «მარტივი მოგებიდან»), «ასე რომ სინამდვილეში ეს მოთხოვნები მუდამ წამოყენებულია ხოლმე, და ასევე მუდამ შრომის მწარმოებლური ძალა უარს ამბობს მათს დაკმაყოფილებაზე. ამიტომ აქ მუდამ ერთგვარი დაბალანსება ხდება» (ციტირ. თხზ., გვ. 23)**.

ზოგადი აზრით ეს ერთსა და იმავეს ნიშნავს. როცა ვამბობ, რომ მოგების ნორმა კაპიტალის დაგროვებისდა მიხედვით მცირდება, რადგან მუდმივი კაპიტალი დიდდება ცვალებადთან შეფარდებით, ეს ნიშნავს, თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ კაპიტალის ნაწილების განსაზღვრულ ფორმას: გამოყენებული კაპიტალი დიდდება გამოყენებულ შრომასთან შედარებით. მოგება ეცემა არა იმიტომ, რომ მუშას უფრო ნაკლებად უწევს ექსპლოატაციას, არამედ იმიტომ, რომ გამოყენებულ კაპიტალთან შედარებით საერთოდ უფრო ნაკლები შრომა გამოიყენება.

ეთქვათ, ცვალებადი კაპიტალის შეფარდება მუდმივთან არის, მაგალითად, 1 : 1. ამ შემთხვევაში, თუ ერთობლივი კაპიტალი უდრის 1 000-ს, მაშინ $c = 500$ -ს და $v = 500$ -ს; თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა = 50%-ს. მაშინ 50% 500-დან იქნება 50×5 , ე. ი. 250. მაშასადამე, მოგების ნორმა იქნება 250 1 000-ზე, ე. ი. $\frac{250}{1000}$, ანუ $\frac{1}{4}$, ე. ი. 25%.

თუ ერთობლივი კაპიტალი = 1 000-ს და $c = 750$ -ს, ხოლო $v = 250$ -ს, მაშინ, როცა ზედმეტი ღირებულების ნორმა 50% არის, 250 იძლევა 125-ს. მოგების ნორმა კი იქნება $\frac{125}{1000}$, ე. ი. $\frac{1}{8}$, ანუ $12\frac{1}{2}\%$.

თუ მივიღებთ, რომ ერთი მუშის ხელფასი უდრის 25 გირ. სტერლინგს. წელიწადში, მაშინ პირველ შემთხვევაში, როცა ხელფასი 500 გირ. სტერლინგია, გამოყენებულია 20 მუშა, მეორე შემთხვევაში, როცა ხელფასი 250 გირ. სტერლინგია, გამოყენებულია 10 მუშა. ერთი და იგივე კაპიტალი 1 000 გირ. სტერლინგის რაოდენობით იყენებს 20 მუშას ერთ შემ-

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 587—588 და 792. რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 356—357. რ ე დ.

თხვევაში და მხოლოდ 10 მუშას მეორე შემთხვევაში. პირველ შემთხვევაში კაპიტალის მასა ისე შეეფარდება სამუშაო ღირებულების რიცხვს, როგორც 1 000 : 20-ს; მეორე შემთხვევაში როგორც 1 000 : 10-ს. 20 მუშიდან თითოეულზე მოდის პირველ შემთხვევაში გამოყენებული კაპიტალი (მუდმივი და ცვალებადი) 50 გირ. სტერლინგის რაოდენობით (რადგან $20 \times 50 = 500 \times 2 = 1\,000$ -ს). მეორე შემთხვევაში თითოეულ მუშაზე მოდის გამოყენებული კაპიტალი 100 გირ. სტერლინგის რაოდენობით (რადგან $100 \times 10 = 1\,000$ -ს). ამის შესაბამისად კაპიტალის მცირე ნაწილი, რომელიც ერთი მუშის ხელფასს წარმოადგენს, ორივე შემთხვევაში ერთნაირია.

ფორმულა, რომელსაც მე ვიძლევი, შეიცავს იმის ახალ საფუძველს, თუ რატომაა, რომ კაპიტალის ერთსა და იმავე მასაზე მოდის ნაკლები მუშა. ანუ, რაც ერთი და იგივეა, რატომ მოდის კაპიტალის უფრო მეტი მასა ერთსა და იმავე შრომაზე. ვიტყვი მე, რომ გამოყენებულ 50 კაპიტალზე მოდის 1 მუშა ერთ შემთხვევაში და 1 მუშა კაპიტალის 100 ერთეულზე—მეორე შემთხვევაში, ე. ი. მხოლოდ $\frac{1}{2}$ მუშა კაპიტალის 100 ერთეულზე; ვიტყვი, მაშასადამე, რომ ერთ შემთხვევაში 1 მუშა მოდის კაპიტალის 50 ერთეულზე, მეორე შემთხვევაში კი— $\frac{1}{2}$ მუშა კაპიტალის 50 ერთეულზე; ანდა ვიტყვი, რომ ერთ შემთხვევაში კაპიტალის 50 ერთეული მოდის 1 მუშაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში კაპიტალის 50×2 ერთეული — 1 მუშაზე, — ეს ერთი და იგივეა.

სწორედ ამ უკანასკნელ ფორმულას იყენებენ ჰოდსკინი და სხვები. დააგროვო — ნიშნავს საერთოდ, მათი აზრით, მოითხოვო სარგებლის სარგებელი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთსა და იმავე მუშაზე მოდის მეტი კაპიტალი და რომ კაპიტალის იმ სიდიდის შესაბამისად, რაც ერთ მუშას უწევს, მუშა ახლა მეტ ზედმეტ შრომას უნდა იძლეოდეს. რადგან კაპიტალი, რომელიც ერთ მუშას ერგება, სარგებელთა სარგებლის შესაბამისად ღირდება, მუშის სამუშაო დროს კი, პირიქით, სრულიად ვარკვეული საზღვარი აქვს და მისი აუცილებელი სამუშაო «რავითარი მწარმოებლური ძალით» არ შეიძლება შემოკლებულ იქნეს ისეთი ოდენობით, რომელიც ამ სარგებელთა სარგებლის შესაბამისი იქნებოდა, ამიტომ აქ «მუდამ ერთგვარი დაბალანსება ხდება». «მარტივი მოგება» ამასთან აუცილებელი რჩება ანდა იზრდება კიდევ (ეს მარტივი მოგება სინამდვილეში არის ზედმეტი შრომა ან ზედმეტი ღირებულება). მაგრამ კაპიტალის დაგროვებასთან ერთად მარტივი სარგებლის უკან იმალება სარგებლის სარგებელი.

[883] შემდეგ ცხადია: თუ სარგებლის სარგებელი = დაგროვებას, მაშინ — თუ მხედველობაში არ მივიღებთ დაგროვების აბსოლუტურ საზღვარს—ეს სარგებლის წარმოქმნა დამოკიდებულია თვით დაგროვების

პროცესის მოცულობაზე, ინტენსივობაზე, ე. ი. წარმოების წესზე. წინააღმდეგ შემთხვევაში სარგებლის სარგებელი სხვა არაფერია, თუ არა სხვისი კაპიტალის (სხვისი საკუთრების) მითვისება სარგებლის ფორმით, როგორც ეს იყო რომში და საერთოდ მევახშეობის დროს.

პოდსკინს საქმის ვითარება წარმოუდგენია ასე. თავდაპირველად ერთ მუშაზე მოდის, მაგალითად, 50 გირ. სტერ. კაპიტალი, ამასთან მუშა, ვთქვათ, ამაზე იძლევა 25 გირ. სტერ. მოგებას. ერთი წლის შემდეგ, სარგებლის ნაწილის კაპიტალად გადაქცევისა და ამის ყოველწლიურად განმეორების გამო, ერთ მუშას მოუწევს უკვე 200 გირ. სტერ. კაპიტალი. თუ ყოველწლიური სარგებელი — 50% — მთლიანად იქნებოდა კაპიტალიზებული, მაშინ ეს პროცესი ოთხ წელზე უფრო ნაკლებ დროში შესრულდებოდა. როგორც წინათ მუშა 50 გირ. სტერ. კაპიტალზე 25 გირ. სტერ. მოგებას იძლეოდა, ასევე ახლა მან უნდა მოგვეცეს 200 გირ. სტერ. კაპიტალზე 100 გირ. სტერ. მოგება, ანუ ოთხჯერ მეტი წინანდელთან შედარებით. მაგრამ ეს შეუძლებელია. ამისთვის მას უნდა ემუშავნა ან ოთხჯერ უფრო მეტი დრო, ე. ი. დღეღამეში 48 საათი თუ წინათ 12 საათს მუშაობდა, ანდა შრომის მწარმოებლური ძალის განვითარების გამო შრომის ღირებულება უნდა შემცირებულიყო ოთხჯერ.

თუ სამუშაო დღე 12 საათს უდრის, 25 გირ. სტერლინგი წლიურ ხელფასს შეადგენს და მუშა 25 გირ. სტერ. მოგებას იძლევა წელიწადში, მაშინ მან უნდა იმუშაოს კაპიტალისტისათვის იმდენივე, რამდენსაც თავისთვის მუშაობს, ე. ი. 6 საათი, ანუ სამუშაო დღის ნახევარი. თუ მუშამ 100 გირ. სტერ. მოგება უნდა მოგვეცეს, მაშინ მან კაპიტალისტისათვის უნდა იმუშაოს 4×6 საათი 12 საათის განმავლობაში, ეს კი უაზრობაა. ვთქვათ, სამუშაო დღე გაგრძელებულია 15 საათამდე. ამ შემთხვევაშიც კი მუშას არ შეუძლია 24 საათის მოცემა 15 სამუშაო საათში. მით უფრო მას არ შეუძლია 15 საათიან სამუშაო დღეში 30 საათის მოცემა, რაც აუცილებელი იქნებოდა იმის გამო, რომ მას უნდა ემუშავნა 24 საათი კაპიტალისტისათვის და 6 საათი თავისთვის. თუ მუშა მთელ თავის სამუშაო დროს კაპიტალისტისთვის იმუშავებდა, მას შეეძლო მოეცა მხოლოდ 50 გირ. სტერლინგი, ე. ი. გაეორჯვებინა «სარგებელი» — 200 გირ. სტერ. კაპიტალზე მოეცა 50 გირ. სტერ. მოგება, მაშინ როდესაც წინათ 50 გირ. სტერლინგზე იგი იძლეოდა 25 გირ. სტერ. მოგებას. უწინ მოგების ნორმა შეადგენდა 50%-ს, ახლა შეადგენს 25%-ს. მაგრამ ამ 25%-ის მიღებაც შეუძლებელია, როცა კაპიტალი 200 გირ. სტერლინგია, რადგან მუშამ უნდა იარსებოს. როგორც არ უნდა იზრდებოდეს მწარმოებლური ძალა, მაინც, თუ 12 საათში შექმნილი ღირებულება

უდრის, როგორც ზემოდასახელებულ მაგალითში, 75 გირ. სტერლინგს, მაშინ 24 საათში ეს ღირებულება იქნება 2×75 , ე. ი. 150 გირ. სტერლინგი. და რადგან მუშამ უნდა იარსებოს, ამიტომ მას არასგზით არ შეუძლია მოგვეცეს 150 გირ. სტერ. მოგება, მით უმეტეს 200. მუშის ზედმეტი შრომა ყოველთვის მისი სამუშაო დღის ნაწილია მხოლოდ, საიდანაც, სხვათა შორის, სულაც არ გამომდინარეობს, რომ, როგორც ამას ბ-ნი როდბერტუსი ფიქრობს*, მოგება არასოდეს არ შეიძლება უდრიდეს 100%-ს. იგი არასდროს არ შეიძლება უდრიდეს 100%-ს იმ შემთხვევაში, თუ მას ვიანგარიშებთ მთელ სამუშაო დღეზე (რადგან ამ უკანასკნელში მოგება თ ვ ი თ ო ნ უკვე შეტანილია), მაგრამ იგი შეიძლება სავსებით 100%-ს უდრიდეს სამუშაო დღის ფასგადახდილი ნაწილის მიმართ. ამრიგად, ზემომოცემულ მაგალითში მოგება შეადგენს 50%-ს:

მუდმივი	კაპიტალი: ცვალებადი	ზედმეტი ღირებულება	ზედმეტი ღირებულებების ნორმა	მოგების ნორმა
25	25	25	100%	50%

აქ მოგება, რომელიც სამუშაო დღის ნახევარს შეადგენს, უდრის მთელი პროდუქტის $\frac{1}{2}$ -ს.

[884] თუ მუშა კაპიტალისტს სამუშაო დღის $\frac{3}{4}$ -ს მისცემდა, მაშინ ჩვენ გვექნებოდა შემდეგი:

მუდმივი	კაპიტალი: ცვალებადი	ზედმეტი ღირებულება	ზედმეტი ღირებულების ნორმა	მოგების ნორმა
25	$12 \frac{1}{2}$			
ერთობლივი	კაპიტალი			
	$37 \frac{1}{2}$	$37 \frac{1}{2}$	300%	100%

100-ზე გადაანგარიშებისას ჩვენ გვაქვს:

მუდმივი	კაპიტალი: ცვალებადი	ზედმეტი ღირებულება	ზედმეტი ღირებულებების ნორმა	მოგების ნორმა
$66 \frac{2}{3}$	$33 \frac{1}{3}$			
ერთობლივი	კაპიტალი			
	100	100	300%	100%

განვიხილოთ ახლა უფრო დაწვრილებით, რა შეიძლება იმალებოდეს ამ კონცეფციის უკან, რომლის თანახმადაც მოგება ეცემია იმით, რომ დაგროვების მსვლელობაში იგი წარმოადგენს არა «მარ-

*იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 105—107. რ ე დ.

ტივმოგებას» (მაშასადამე, მუშის ექსპლოატაციის ნორმა არ კლებულობს, არამედ, როგორც ჰოდსკინი ამტკიცებს, მატულობს), არამედ «რთულმოგებას», მაშინ როდესაც შრომას არავითარ პირობებში არ შეუძლია დააკმაყოფილოს სარგებელთა სარგებლის მოთხოვნები.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ეს საჭიროებს შემდგომ განსაზღვრებებს, რათა საერთოდ რაიმე აზრი ჰქონდეს. თუ განვიხილავთ როგორც დავროვების (ე. ი. ზედმეტი შრომის მითვისების) პროდუქტს — ასეთი განხილვა კი აუცილებელია მთლიანად აღებული კვლავწარმოების მიმართ — ყოველი კაპიტალი შედგენილია მოგებისაგან («სარგებლისაგან», თუ ამ სიტყვას გავიგვივებთ მოგებასთან და არა «სასესხოსარგებელთან»). მაშასადამე, თუ მოგების ნორმა = 10%-ს, ეს არის «სარგებელი სარგებელზე», მოგება მოგებაზე. და სრულიად გაუგებარი იქნებოდა, ეკონომიურად რით უნდა განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან 10:100-ზე და 11:110-ზე. ამრიგად, გამოვიდა, რომ «მარტივი მოგებაც» შეუძლებელია, ანუ, ყოველ შემთხვევაში, რომ მარტივი მოგებაც უნდა ეცემოდეს, ვინაიდან ეს მარტივი მოგება სინამდვილეში ისევე რთულია, როგორც რთული მოგება. მაგრამ თუ საქმეს უფრო ვიწროდ გავივებთ, ე. ი. თუ მხედველობაში ვიქონიებთ მხოლოდ სარგებელმომტან კაპიტალს, მაშინ სარგებლის სარგებელი შთანთქამდა მოგებას და მოგებაზე მეტსაც; და ის ვარემოება, რომ მწარმოებელმა (კაპიტალისტმა ან არა-კაპიტალისტმა) გამსესხებელს უნდა უხადოს სარგებელი სარგებელზე, ემთხვევა იმას, რომ მან, გარდა მოგებისა, გამსესხებელს თანდათანობით უნდა უხადოს თავისი კაპიტალის ნაწილიც.

ამრიგად, პირველ ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს, რომ ჰოდსკინისეულ კონცეფციას აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ივარაუდება, რომ კაპიტალი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მოსახლეობა, ე. ი. ვიდრე მუშა მოსახლეობა. (ეს უკანასკნელი ზრდაც კი შეფარდებითია. კაპიტალის ბუნებას სჩვევია მუშა მოსახლეობის ერთი ნაწილი დააუძღუროს მეტისმეტი შრომით, მეორე ნაწილი კი პაუპერებად გადააქციოს.) თუ მოსახლეობა იმდენადვე იზრდება, რამდენადაც კაპიტალი, მაშინ არ არსებობს არავითარი საფუძველი, თუ რატომ ვერ უნდა შევქლო ის ზედმეტი შრომა, რომელიც მე ძალმიძს მივიღო 100 გირ. სტერლინგის მეოხებით x მუშებიდან, გამოვადებინო 800 გირ. სტერლინგით $8x$ მუშას. [885] 8-ჯერ 100 კ არ უყენებს უფრო მეტ მოთხოვნას 8-ჯერ x მუშებს, ვიდრე 100 კ უყენებს x მუშებს. მაშასადამე, ჰოდსკინის მიერ წამოყენებული საფუძველი აქ მოხსნილია. (სინამდვილეში საქმე სხვაგვარადაა. მაშინაც კი, თუ მოსახლეობა იმდენადვე იზრდება, რამ-

დენადაც კაპიტალი, კაპიტალისტური განვითარება იწვევს იმას, რომ მოსახლეობის ნაწილი ჭარბმოსახლეობად იქცევა იმის შედეგად, რომ მუდმივი კაპიტალი ვითარდება ცვალებადი კაპიტალის ხარჯზე.)

(«შრომის მიმართ უარესად არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, ვანაწილებთ თუ არა მათ» (ს ა ქ ო ნ ე ლ თ) «ისე, რომ ამან გამოიწვიოს შრომის უფრო დიდი ან უფრო მცირე მიწოდება, ვანაწილებთ თუ არა მათ იქ, სადაც ისინი შრომის პირობებზედ იქცევიან, ანდა იქ, სადაც ისინი მუქთახორობას წახალისებენ» («An Inquiry into those Principles, respecting the Nature of Demand» etc. London, 1821, გვ. 57).

«შრომის მიწოდების ამ გადიდებას ხელს უწყობს მოსახლეობის რიცხვის გადიდება» (იქვე, გვ. 58).

«თუ საქონელთ არ შესწევთ იმის უნარი, რომ თავიანთ განკარგულებაში ჰქონდეთ შრომის იმდენვე რაოდენობა, რამდენიც წინათ იყო მათს განკარგულებაში. ამას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მაშინ, როცა ეს შრომა იმაზე მეტს არ აწარმოებს, რასაც უწინ აწარმოებდა. თუ შრომა უფრო ნაყოფიერი გახდა, წარმოება არ შეიფერებება მიუხედავად იმისა, რომ საქონელთა არსებული მასის განკარგულებაში ახლა შრომის უფრო ნაკლები რაოდენობაა, ვიდრე უწინ იყო» (იქვე, გვ. 60).

ეს მალთუსის წინააღმდეგაა. სწორია, წარმოება არ შეიკვეცება, მაგრამ მოგების ნორმა შემცირდება. ეს ცინიკური გამოთქმანი, რომელთა მიხედვით «საქონელთა მასის განკარგულებაშია შრომა», შეიცავენ იმავე ცინიზმს, რომელიც მალთუსის მიერ მოცემულ ღირებულების განსაზღვრაში მოიპოვება*. გამოთქმა «საქონლის განკარგულებაშია შრომა» მშვენიერი და სავსებით დამახასიათებელია კაპიტალის ბუნებისათვის.

იგივე ავტორი სწორად შენიშნავს უესტის წინააღმდეგ:

«ავტორი თხზულებისა «Essay on the Application of Capital to Land» ამბობს, რომ შრომა უფრო მეტად ნაზღაურდება იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალი რაც შეიძლება სწრაფად დიდდება, ამას კი... ადგილი ექნება მაშინ, როცა კაპიტალის მოგება უარესად მაღალია. რაც უფრო დიდია კაპიტალის მოგება, დასძენს იგი, «მით უფრო დიდი იქნება ხელფასი». ამ მტკიცების მცდარობა ისაა, რომ აქ გამოტოვებულია ერთი ან ორი სიტყვა: «რაც უფრო მეტი იყო კაპიტალის მოგება, ... მით უფრო დიდი იქნება ხელფასი»... დიდი მოგება და დიდი ხელფასი არ ემთხვევიან ერთმანეთს დროის მიხედვით; მათ არა აქვთ ადგილი ერთსა და იმავე გარეგებაში; ერთი წინააღმდეგობას უწევს მეორეს და დაბლა სწევს მის დონეს. ასევე კარგად შეიძლება გვესჩქალოს ასე: «საქონლის მიწოდება ყველაზე სწრაფად იზრდება მაშინ, როცა ფასი ყველაზე დიდია, ამიტომ დიდი მიწოდება და მაღალი ფასი ხელისუფლებადმი მიდიან». ეს არის მიზეზისა და შედეგის ერთმანეთში აჩვენა» (იქვე, გვ. 100—101).)

ამრიგად, ჰოდსკინის დებულებას აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა — დაგროვების პროცესის შედეგად — ერთმა და იმავე მუ-

* იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 12—13 და 30. რ ე ფ.

შამ მოძრაობაში უნდა მოიყვანოს მეტი კაპიტალი, ანდა როცა კაპიტალი შრომასთან შედარებით იზრდება, — მაშასადამე, როცა, მაგალითად, კაპიტალი, რომელიც წინათ 100-ს შეადგენდა, დაკრძების შედეგად გადაიქცევა 110-ად და როცა იმავე მუშამ, რომელიც 10 ზედმეტ ღირებულებას იძლეოდა, უნდა მოგვეცეს, კაპიტალის ზრდის შესაბამისად, 11 ზედმეტი ღირებულება, ე. ი. სარგებლის სარგებელი. ამრიგად, არა მარტო წინანდელმა კაპიტალმა, რომელიც მუშას მოძრაობაში მოჰყავდა წინათ, უნდა მოგვეცეს — მას შემდეგ რაც იგი კვლავწარმოებულა — იგივე მოგება («მარტივი მოგება»), არამედ ასეთი მოგება უნდა მოგვეცეს ამ კაპიტალმა, გადიდებულმა მისი, მუშის, ზედმეტი შრომით, ასე რომ მუშამ უნდა მოგვეცეს ახლა ზედმეტი შრომა, ჯერ ერთი, თავდაპირველ კაპიტალზე (ან მის ღირებულებაზე), მეორე კი, კიდევ თავის საკუთარ დაგროვილ, ე. ი. კაპიტალიზებულ, ზედმეტ შრომაზეც. და რადგან ეს კაპიტალი ყოველწლიურად იზრდება, ამიტომ იმავე მუშას გამუდმებით უნდა მოეცა სულ უფრო მეტი შრომა.

საერთოდ, ერთსა და იმავე მუშაზე წინანდელთან შედარებით მეტი კაპიტალი რომ მოდიოდეს, — ეს შეიძლება მხოლოდ [ორ შემთხვევაში].

შეშევა №1. როცა შრომის მწარმოებლური ძალა უცვლელი რჩება, მაშინ ერთ მუშაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოდიოდეს მეტი კაპიტალი, უწინდელთან შედარებით, თუ მუშა ახანგრძლივებს თავის აბსოლუტურ სამუშაო დროს, — მაგალითად, მუშაობს 15 საათს 12-ის ნაცვლად, — ანდა თუ იგი მუშაობს უფრო ინტენსიურად, ვიდრე წინათ, 12 სამუშაო საათში ასრულებს 15 საათის სამუშაოს, 4 საათში 5 საათის სამუშაოს ან $\frac{4}{5}$ საათში $\frac{5}{5}$ საათის სამუშაოს. რადგან გარკვეული საათების განმავლობაში მუშა თავის საარსებო საშუალებებს აკვლავწარმოებს, ამიტომ მოცემულ შემთხვევაში კაპიტალისტის სასარგებლოდ ამგვარადვე მოგებულნი გამოდის 3 საათი, თითქოს შრომის მწარმოებლური ძალა გადიდებულიყოს, მაშინ როდესაც სინამდვილეში აქ გადიდდა შრომა და არა მისი მწარმოებლური ძალა. თუ შრომის ეს ინტენსიფიკაცია შრომის ყველა დარგში გავრცელდებოდა, მაშინ საქონლის ღირებულება აუცილებლად შემცირდებოდა იმ სამუშაო დროის შემცირების შესაბამისად, რაც ეს საქონელი ღირს. ინტენსივობის ეს ხარისხი გახდებოდა შრომის საშუალო ინტენსივობად, შრომის ბუნებრივ თვისებად. თუკი ამ ინტენსივობას ადგილი აქვს [886] მხოლოდ განსაზღვრულ დარგებში, მაშინ ეს უდრის რთულ შრომას, ე. ი. ხარისხში აყვანილ მარტივ შრომას. უფრო ინტენსიური შრომის ერთი საათის ესა თუ ის ნაწილი მაშინ იმდენივე იქნებოდა, რამდენიც უფრო ექსტენსიური შრომის ერთი საათია, და ზუსტად იმავე ღირებულებას ქმნის. ასე, მაგა-

ლითად, ზემოდასახელებულ შემთხვევაში $\frac{4}{6}$ საათი უფრო ინტენსიური შრომისა იმდენსავე ღირებულებას ქმნის, რამდენსაც $\frac{5}{6}$, ანუ ერთი საათი, უფრო ექსტენსიური შრომისა.

ერთსაც და მეორესაც, სამუშაო დროის გახანგრძლივებას და შრომის გადიდებას მისი უფრო მეტი ინტენსივობის მეშვეობით, ასე ვთქვათ შრომის პორების შეკუმშვის მეშვეობით, თავისი საზღვარი აქვს (თუმცა, მაგალითად, მეფუნთუშენი ლონდონში, როგორც წესი, 17 საათს, ზოგჯერ კი მეტხანსაც მუშაობენ), სავსებით გარკვეული ფიზიკური საზღვარი, და როცა ეს საზღვარი მიღწეულია, შეწყდება სარგებლის სარგებელი. «რთული მოგება».

ამ საზღვრის ფარგლებში ძალაშია შემდეგი:

თუ კაპიტალისტი არაფერს არ იხდის შრომის გახანგრძლივებისათვის ან ინტენსიფიკაციისათვის, მაშინ მისი ზედმეტი ღირებულება (ასევე მოგებაც, თუ ცვლილებები არ ხდება მუდმივი კაპიტალის ღირებულებაში, რადგან ჩვენ ვგულისხმობთ, რომ წარმოების წესი იგივე რჩება) — მისი მოგება (აღნიშნულ პირობებში) — უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მისი კაპიტალი გადიდდა. კაპიტალის მატებისათვის იგი არავითარ აუცილებელ შრომას არ ანაზღაურებს.

თუ იგი დამატებითს შრომაში ფასს იხდის იმავე პროპორციით, როგორც უწინ, მაშინ ზედმეტი ღირებულება იზრდება კაპიტალის გადიდების პროპორციულად. მოგება იზრდება უფრო სწრაფად. ეს იმიტომ, რომ აქ ადგილი აქვს ძირითადი კაპიტალის უფრო სწრაფ ბრუნვას; ამასთან მანქანების გაცვეთა არ ხდება იმ სიჩქარით, რა სიჩქარითაც მათი გამოყენება წარმოებს. მცირდება ძირითად კაპიტალზე გაწეული ხარჯები, რადგან ერთდროულად მომუშავე 200 მუშისათვის საჭიროა უფრო მეტი მანქანა, შენობა და ა. შ., ვიდრე 100 მუშისათვის, რომლებიც უფრო ხანგრძლივად მუშაობენ. სწორედ ასევე უკანასკნელ შემთხვევაში საჭიროა ნაკლები ზედამხედველები და ა. შ. (კაპიტალისტისათვის ეს ქმნის უალრესად სასიამოვნო ვითარებას იმ მხრივ, რომ მას შეუძლია ყოველგვარი სიმწიფის გარეშე გააფართოოს ან შეკვეცოს თავისი წარმოება ბაზრის პირობების შესაბამისად. გარდა ამისა, ეს ადიდებს მის ძალაუფლებას იმით, რომ მუშების იმ ნაწილს, რომელიც ზედმეტად დასაქმებულია შრომით, შეესაბამება დაუსაქმებელი ან ნახევრად დასაქმებული სარეზერვო არმია, რის შედეგადაც ძლიერდება კონკურენცია მუშებს შორის.)

თუმცა ამ შემთხვევაში წმინდა არითმეტიკული შეფარდება აუცილებელ შრომასა და ზედმეტ შრომას შორის არ ირღვევა და ჩვენ აქ გვაქვს ერთადერთი შემთხვევა, როცა ორივე შეიძლება ერთნაირად დიდდებოდეს.

დეს, მიუხედავად ამისა, შრომის ექსპლოატაცია იზრდება — როგორც სამუშაო დღის გახანგრძლივებისას, ისე მისი ინტენსიფიკაციის (შემჭიდროების) დროსაც, თუკი ამავე დროს ამ ინტენსიფიკაციასთან ერთად სამუშაო დღე არ მოკლდება. (როგორც ეს ათსაათიანი სამუშაო დღის კანონის შემოღებისას იყო). მუშა ამოკლებს თავისი სამუშაო ძალის არსებობის ხანგრძლივობას, აუძღურებს მას გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე მისი ხელფასი იზრდება, და კიდევ უფრო მეტად გადაიქცევა მარტოოდენ სამუშაო მანქანად. მაგრამ ამ უკანასკნელ გარემოებაზეც რომ არაფერი ვთქვათ, თუ მუშა ნორმალური სამუშაო დღის პირობებში ცოცხლობს, ვთქვათ, 20 წელი, ხოლო გახანგრძლივებული ან შემჭიდროებული სამუშაო დღის პირობებში მხოლოდ 15 წელი, მაშინ ერთ შემთხვევაში იგი ყიდის თავისი სამუშაო ძალის ღირებულებას 15 წლის განმავლობაში, მეორე შემთხვევაში კი — 20 წლის განმავლობაში. ერთ შემთხვევაში ეს სამუშაო ძალა უნდა ანაზღაურდეს 15 წლის განმავლობაში, მეორე შემთხვევაში — 20 წლის განმავლობაში.

ღირებულება 100, რომელიც 20 წლის მანძილზე არსებობს, ანაზღაურდება, თუ ყოველწლიურად იხდინა 5%-ს, რადგან $5 \times 20 = 100$ -ს. ღირებულება 100, რომელიც 15 წლის მანძილზე არსებობს, ანაზღაურდება, თუ ყოველწლიური გადახდა $6\frac{2}{3}\%$ -ს შეადგენს. მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მუშა 3 დამატებითი საათიდან იღებს მხოლოდ იმას, რაც შეეფერება მისი სამუშაო ძალის ყოველდღიურ ღირებულებას, გამოანგარიშებულს 20 წელზე. ვთქვათ, მუშა მუშაობს აუცილებელი შრომის 8 საათს და ზედმეტი შრომის 4 საათს; ამ შემთხვევაში ყოველი საათიდან იგი იღებს $\frac{2}{3}$ საათს, რადგან $\frac{12 \times 2}{3} = 8$ -ს. ამის შესაბამისად 3 ზეგანაკვეთური დროიდან იგი მიიღებს ორ საათს, ანუ ყოველი ზეგანაკვეთური საათიდან — $\frac{2}{3}$ -ს. მაგრამ ეს არის მხოლოდ მისი სამუშაო ძალის ღირებულება საათში, თუ ვიგულისხმებთ, რომ მისი სამუშაო ძალა არსებობს 20 წლის განმავლობაში. თუ მუშა თავის სამუშაო ძალას მხოლოდ 15 წლის განმავლობაში ყიდის, მაშინ ამ სამუშაო ძალის ღირებულება სათანადოდ იზრდება.

მომავლის ანტიციპაცია — ნამდვილ ანტიციპაციას — საერთოდ ადგილი აქვს სიმდიდრის წარმოებისას მხოლოდ მუშისა და მიწის მიმართ. ორივეს მიმართ, შესაძლებელია — ნაადრევი მეტისმეტი დაცხვისა და გამოფიტვის მეოხებით, გასავალსა და შემოსავალს შორის წონასწორობის დარღვევის მეოხებით, — მომავლისათვის განკუთვნილ ძალთა realiter* ანტიციპაცია და მოშლა. ორივეს მოსდის ეს კიდევ კა-

* — რეალურად, ნამდვილად: რ ე დ.

პიტალისტური წარმოების დროს. რაც შეეხება ევრეთ წოდებულ ანტიციპაციას, მაგალითად, სახელმწიფო ვალების მიმართ, მომავლის ამგვარი ანტიციპაციის შესახებ რეიენსტონი სამართლიანად შენიშნავს:

[887] «როცა ისინი [სახელმწიფო ვალების სისტემის დამცველნი] აცხადებენ, რომ დღევანდელი დღის ხარჯები მათ მომავალში გადააქვთ, და გვარწმუნებენ, რომ შთამომავლობა შეიძლება დაიტვირთოს ახლანდელი თაობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით, ამით ამტკიცებენ უზარობას, თითქოს შეიძლება მოიხმაროს ის, რაც ჯერ კიდევ არ არსებობს, თითქოს შეიძლება ისაზრდოო პურით ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მისი თესლი მიწაში დაითესება» (Ravenstone. Thoughts on the Funding System, გვ. 8). ჩვენი სახელმწიფო მესვეურთა მთელი სიბრძნე ნიშნავს დიდი მოცულობით საკუთრების გადატანას ადამიანთა ერთი ჯგუფის ხელიდან მეორის ხელში, უზარმაზარი ფონდის შექმნას სპეკულაციისა და ხაზინის მქურდაობისთვის საჩუქრების დასარიგებლად» (იქვე, გვ. 9).

სხვაგვარადაა საქმე მუშებისა და მიწის მიმართ. ის, რაც აქ იხარჯება, არსებობს როგორც ნაზარაჟი*, ამ ნაზარაჟის დაჩქარებული ხარჯვის შედეგად კი მოკლდება მისი არსებობის ხანგრძლივობა.

დასასრულ, თუ კაპიტალისტი იძულებულია ზეგანაკვეთური დროისათვის უფრო მეტი იხადოს, ვიდრე ნორმალური სამუშაო დროისათვის, მაშინ, ზემონათქვამის თანახმად, ეს სრულიადაც არ არის ხელფასის გადიდება, არამედ მხოლოდ კომპენსაციაა ზეგანაკვეთური დროის გადიდებული ღირებულებისათვის, ამასთან დამატებითი ანაზღაურება იშვიათად აღწევს ამისათვის აუცილებელ სიმაღლეს. სინამდვილეში, როცა მუშა ზეგანაკვეთურ საათებში მუშაობს, უკეთესად უნდა ნაზღაურდებოდეს, არა მარტო ზეგანაკვეთური დრო, არამედ საერთოდ ყოფილი სამუშაოსათი, რათა ანაზღაურდეს თუნდაც მხოლოდ უფრო სწრაფი გაცვეთა-სამუშაო ძალისა.

ამრიგად, ყველა გარემოებაში ჩვენ აქ ვვაქვს შრომის უფრო მეტი ექსპლოატაცია. ამასთანავე აქ ყველა გარემოებაში მოცემულია [შეფარდებითი] შემცირება ზედმეტი ღირებულებისა კაპიტალის დაგროვებისა მიხედვით, ასევე მოგების ნორმის შემცირებაც, რამდენადაც ეს არ ბათილდება მუდმივი კაპიტალის ეკონომიით. [887]

[887] ასეთია, მაშასადამე, ერთი იმ შემთხვევათაგანი, როცა კაპიტალის დაგროვებასთან — «როტული მოგების» გამოჩენასთან — ერთად მოგების ნორმა უნდა შემცირდეს. თუ მოგების ნორმა კაპიტალ 300-თვის (პირველი დოზა) უდრიდა 10%-ს (და მოგება შეადგენდა, მაშასადამე, 30-ს), ხოლო დამატებითი, ე. ი. 100 კაპიტალისათვის იგი უდრის 6%-ს,

* — ძალა, უნარი, რ ე დ.

მაშინ 400-სათვის მთელი მოგება იქნება 36. მაშასადამე, საერთოდ 100-ზე მოგება შეადგენს 9-ს. მოგების ნორმამ დაიწია 10%-დან 9%-მდე.

მაგრამ, როგორც ნათქვამი იყო, ამ საფუძველზე (როცა შრომისნაყოფიერება უცვლელია), გარკვეული წერტილის მიღწევის შემდეგ, დამატებითი კაპიტალის მოგება არა მარტო უნდა შემცირდეს, არამედ მთლიანად უნდა გაქრეს, ასე რომ ამ «რთულ მოგებაზე» დამყარებული მთელი დაგროვება უნდა შეჩერდეს. მოცემულ შემთხვევაში მოგების შემცირება დაკავშირებულია შრომის ექსპლოატაციის ვადიდებასთან, და გარკვეულ პუნქტზე იგი ქრება არა იმიტომ, რომ მუშა ან ვინმე სხვა მთელ თავის პროდუქტს იღებს, არამედ იმიტომ, რომ ფიზიკურად შეუძლებელია სამუშაო დროის გარკვეული რაოდენობის გადამეტებით მუშაობა და გარკვეული დონის გადამეტებით შრომის ინტენსივობის ვადიდება.

შ ე მ ხ ე ე ვ ა №2. ერთადერთი სხვა შემთხვევა, როცა მუშების რიცხვის უცვლელობისას თითოეულ მუშაზე შეიძლება უფრო მეტი კაპიტალი მოდიოდეს წინანდელთან შედარებით და ამიტომ დამატებითი კაპიტალი შეიძლება გამოყენებულ, დახარჯულ იქნეს მუშათა იმავე რაოდენობის გაძლიერებული ექსპლოატაციისათვის, [888] არის შ რ ო მ ის ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ის ვ ა დ ი დ ე ბ ა, წ ა რ მ ო ე ბ ის წ ე ს ის შ ე ე ც ლ ა. ეს განაპირობებს ცვლილებას მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის ორგანულ თანფარდობაში. სხვა სიტუაცებით, კაპიტალის ვადიდება შრომასთან შეფარდებით აქ იგივეა, რაც მუდმივი კაპიტალის ვადიდება ცვალებადთან შეფარდებით და საერთოდ მის მიერ გამოყენებული ცოცხალი შრომის მასასთან შედარებით.

აქ, მაშასადამე, პოდსკინის კონცეფცია დაყვანილია ჩემ მიერ ფორმულირებულ ზოგად კანონზე.

ზედმეტი ღირებულება, მუშის ექსპლოატაცია ღიღდება, მაგრამ ამასთან ერთად ეცემა მოგების ნორმა, რადგან ცვალებადი კაპიტალი მუდმივთან შედარებით მცირდება და ცოცხალი შრომის მასა საერთოდ მცირდება იმ კაპიტალთან შედარებით, რომელსაც იგი მოძრაობაში მოჰყავს. შრომის წლიური პროდუქტის უფრო მნიშვნელოვან ნაწილს ისაკუთრებს კაპიტალისტი კაპიტალის სახელწოდებით და ნაკლებმნიშვნელოვან ნაწილს მოგების სახელწოდებით.

{აქედან წარმოდგება ხ უ ე ე ს ჩ ა ლ მ ე რ ს ის ფანტაზია, თითქოს წლიური პროდუქტის რაც უფრო ნაკლებ რაოდენობას ხარკავენ კაპიტალისტები კაპიტალის სახით, მით უფრო მეტ მოგებას იჭიბავენ ¹¹⁰ ისინი; ამასთან ამ საქმეში მათ დახმარებას უწევს «დაწესებული ეკლესია» («Established Church»)¹¹¹, რათა ზედმეტი პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილის მოხმარებაზე იზრუნონ და არა მის კაპიტალიზაციაზე. წყველი

ხუცესი მიზეზსა და შედეგს ერთმანეთში ურევს. ამასთან მოგების მასა მოგების ნორმის შემცირებისას იზრდება დახარჯული კაპიტალის გადიდებასთან ერთად. გარდა ამისა, იზრდება სახმარ ღირებულებათა რაოდენობა, რომლითაც წარმოდგენილია პროდუქტის ეს შემცირებული. პროცენტული ნაწილი. მაგრამ ეს განაპირობებს ამასთანავე კაპიტალის ცენტრალიზაციას. რადგან ახლა წარმოების პირობები მოითხოვენ კაპიტალის დიდი რაოდენობით გამოყენებას. ეს იწვევს უფრო წვრილი კაპიტალისტების შთანქმას მსხვილი კაპიტალისტების მიერ და პირველთა «დეკაპიტალიზაციას». აქ ჩვენ კვლავ გვაქვს, მხოლოდ სხვა ფორმით, შრომის პირობების გათიშვა თვით შრომისაგან (ვინაიდან წვრილი კაპიტალისტები ცოტად თუ ბევრად კიდევ მონაწილეობენ წარმოებაში საკუთარი შრომით. საერთოდ კაპიტალისტის შრომა შებრუნებულ შეფარდებაშია კაპიტალის სიდიდესთან, ე. ი. იმ პოტენციასთან, რომლითაც ის კაპიტალისტს წარმოადგენს. ეს პროცესი მალე მიიყვანდა კაპიტალისტურ წარმოებას დასასრულამდე, რომ ცენტრიდანულ ძალასთან ერთად მუდმივად არ მოქმედებდნენ მისი გამბათილებელი ტენდენციები დეცენტრალიზაციის, ტენდენციები, რომლებიც, განუწყვეტლივ იწვევენ დეცენტრალიზაციის ძალების მოქმედებას ცენტრიდანული ძალების საპირისპიროდ, და რომლებიც აქ განსახილველი არაა, რადგან ეს განეკუთვნება თავს კაპიტალისტების კონკურენციის შესახებ), — ის გათიშვა შრომის პირობებისა თვით შრომისაგან, რომელიც ქმნის კაპიტალისა და თავდაპირველი დაგროვების ცნებას და რომელიც შემდეგ გვევლინება როგორც მუდმივი პროცესი კაპიტალის დაგროვებაში, აქ კი, ბოლოს, გამოიხატება როგორც ცენტრალიზაცია უკვე არსებული კაპიტალებისა ცოტაოდენთა ხელში და როგორც ბევრის დეკაპიტალიზაცია. }

ის გარემოება, რომ შრომის რაოდენობას (შეფარდებითი) შემცირება არ ნაზღაურდება მთლიანად მისი ნაყოფიერების გადიდებით, ანდა რომ ზედმეტი შრომის შეფარდება დახარჯულ კაპიტალთან არ იზრდება იმავე პროპორციით, რითაც გამოყენებული შრომის შეფარდებითი მასა მცირდება, გამოწვეულია იმით, რომ შრომის ღირებულება, ანუ აუცილებელი შრომის რაოდენობა, მცირდება მხოლოდ მაშინ, როცა შრომისნაყოფიერების განვითარებას ადგილი აქვს კაპიტალის გამოყენების გარკვეულ სფეროებში, და რომ ამ სფეროებშიც კი შრომისნაყოფიერება უთანაბროდ ვითარდება და მას თან ახლავს მომადუნებელი ფაქტორების მოქმედება; ასე, მაგალითად, თვით მუშები, თუმცა მათ არ შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ ხელფასის შემცირებას (ღირებულების მიხედვით), არ დაუშვებენ იმას, რომ ეს ხელფასი აბსოლუტურად მინიმუმამდე შემცირდეს, არამედ, პირიქით, იძულებითი

წესით იმას აღწევენ, რომ რაოდენობრივად გარკვეული მონაწილეობა მიიღონ საერთო სიმდიდრის ზრდაში.

მაგრამ ზედმეტი შრომის ეს ზრდაც შეფარდებითია და შესაძლებელია მხოლოდ გარკვეულ საზღვრებში. იმისათვის, რომ იგი შეესაბამებოდეს სარგებელთა სარგებლის მოთხოვნებს, აუცილებელი სამუშაო დრო უნდა დაყვანილიყო ამ შემთხვევაში ნულამდე სავსებით ისევე, როგორც წინათ განხილულ შემთხვევაში [ზედმეტი სამუშაო დრო] უნდა გაგვრძელებულიყო უსასრულობამდე.

მოგების ნორმის გადიდებას ან დაცემას, რამდენადაც ეს გამოწვეულია ხელფასის გადიდებით ან დაცემით [შრომის] მოთხოვნისა და მიწოდების შედეგად ან აუცილებელი საჭიროების საგანთა ფასის (ფუფუნების საგნებთან შედარებით) დროებითი გადიდების თუ შემცირების შედეგად, მოთხოვნისა და მიწოდების ამ ცვლილებისა და ამით გაპირობებული ხელფასის გადიდებისა თუ დაცემის შედეგად — ისევე არავითარი კავშირი არა აქვს მოგების ნორმის გადიდებისა თუ დაცემის ზოგად კანონთან [889], როგორც საქონელთა საბაზრო ფასების გადიდებას ან შემცირებას საერთოდ არავითარი კავშირი არა აქვს ამ საქონელთა ღირებულების განსაზღვრასთან. ეს განსახილველია თავში ხელფასის რეალური მოძრაობის შესახებ. თუ მოთხოვნისა და მიწოდების შეფარდება ხელსაყრელია მუშებისათვის და მათი ხელფასი დიდდება, მაშინ შეესაბამება (მაგრამ სრულიადაც არა აუცილებელი), რომ ამასთან ერთად დროებით გაიზარდოს ზოგიერთ აუცილებელი საჭიროების საგანთა, განსაკუთრებით კვების პროდუქტების, ფასებიც. მართებულად შენიშნავს ამის შესახებ ანონიმური ავტორი თხზულებისა «Inquiry into those Principles» etc.:

ამ შემთხვევაში მოხდება აუცილებელი საჭიროების საგანთა მოთხოვნის გადიდება ისეთი საგნების მოთხოვნასთან შედარებით, რომელთა უქონლადაც იოლად წასვლა შეიძლება, ასე რომ თანაფარდობა მოთხოვნის ამ ორ სახეობას შორის სრულიად სხვა იქნება, ვიდრე ის თანაფარდობა, რომელიც იარსებებდა, თუ იგი განახორციელებდა ამ განჯარვულებას (კაპიტალისტი თავის განჯარვულებას საქონელზე), «რათა თავისი საქუთარი მონხმარებისათვის ნივთები იშოვოს: ამით აუცილებელი საჭიროების საგნები გაიყვლება საერთოდ ნივთების შერაოდენობაზე... და სულ ცოტა ამ აუცილებელი საჭიროების საგანთა ნაწილი მაინც კვების პროდუქტები იქნება» (გვ. 21—22).

შემდეგ ანონიმური ავტორი სწორად ავითარებს რიკარდოს კონცეფციას:

«მაშასადამე, ყოველ შემთხვევაში, ხორბლის გადიდებული ფასი არ ყოფილა თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ი მიზეზი ხელფასის იმ გადიდებისა, რამაც მოგების შემცირება გამოიწვია, არამედ, პირაქით, ქერ ხელფასის გადიდება იყო ზორბლის ფასის გადიდებას მიზეზი, შემდეგ კი მიწის იმ თავისებურებამ, რომლის მეოხებითაც გაძლიერებული

დამუშავება შეფარდებით სულ უფრო მცირე მოსავალს იძლევა, ფასის ამ გადიდების ნაწილი მ უ ღ მ ი ვ ი ვახადა და ხელი შეუშალა იმას, რომ მოსახლეობის კანონს სრული წინააღმდეგობა გაეწია ხელფასის მომხდარი გადიდებისათვის» (გვ. 23).

ჰოდსკინი და ავტორი პამფლეტისა «The Source and Remedy of the National Difficulties», რომლებიც მოგების დაცემას იმით ხსნიან, რომ ცოცხალ შრომას არ შეუძლია დააკმაყოფილოს «სარგებელთა სარგებელის» მოთხოვნები, თუმცა მათ ეს საკითხი შემდგომ არ გაუანალიზებიათ, გაცილებით უფრო ახლოს არიან ჭეშმარიტებასთან, ვიდრე სმიტი და რიკარდო. რომლებიც მოგების დაცემას ხსნიან ხელფასის ზრდით: ერთი ხსნის რეალური და ნომინალური ხელფასის ზრდით; მეორე — ნომინალური ხელფასის ზრდით, რასაც რეალური ხელფასის შემცირება უფრო შეეფერება, ჰოდსკინი და [ეკონომისტების] ყველა ეს პროლეტარული მოწინააღმდეგე საღი გონების მიხედვით აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ კაპიტალის განვითარებასთან ერთად შეფარდებით გაიზარდა მოგებით მცხოვრებ პირთა რიცხვი.

[3] ჰოდსკინი შრომის საზოგადოებრივი ხასიათის შესახებ და კაპიტალისა და შრომის ურთიერთობის შესახებ

განვიხილოთ კიდევ რამდენიმე დასკვნითი დებულება ჰოდსკინის ბროშურიდან «Labour Defended against the Claims of Capital».

პროლეტარის საცვლელი ღირებულების განვითარება და ამით საქონელში მოთავსებულ შრომის როგორც საზოგადოებრივი შრომის განვითარება:

«დახელოვნებისა და მოხერხებულობის თითქმის ყოველი პროლეტი შეერთებული და კომბინირებული შრომის შედეგია».

(ეს არის კაპიტალისტური წარმოების შედეგი).

«აღამიანი იმდენად არის დამოკიდებული ადამიანზე და ეს დამოკიდებულება ისე ძალიან იზრდება საზოგადოების წინსვლის კვალობაზე, რომ საეჭვოა რომელიმე ცალკეული ინდივიდუუმის რაიმე შრომას... ჰქონდეს სულ მცირე ღირებულება, თუ იგი არ შეადგენს დიდი საზოგადოებრივი შრომის ნაწილს».

{ ეს ადგილი უნდა ციტირებულ იქნეს, როცა გადმოცემული იქნება დებულება იმის შესახებ, რომ მხოლოდ კაპიტალის საფუძველზე საქონელში წარმოება, ანუ წარმოება პროლეტარისა როგორც საქონლისა, იღებს ყოვლისმომცველ ხასიათს და სწვდება თვით პროლეტარის არსს. }

«... იქ, სადაც შრომის დანაწილება შემოღებულია, ვიდრე მუშა მის მიერ შექმნილის არეალიზაციის შედეგად, ჩნდება ისე ადამიანები ამა თუ იმ სამუშაოთა თავიანთი შეფასებებით, და უკვე აღარაფერი რჩება ისეთი, რისთვისაც შეიძლებოდა გვეწოდებინა ბუნებრივი გასამრჩალო ინდივიდუუმის შრომისათვის. თითოეული მუშა აწარმოებდა მთელის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს, და რადგან ყოველი ნაწილი თავისთავად მოკლებულია ყოველგვარ ღირებულებას ან სარგებლობას, ამიტომ აქ არ არის არაფერი ისეთი, რასაც მუშა მოეჭიდებოდა და რაზეც მას შეეძლო ეთქვა: «ეს ჩემი პროდუქტია, ამას მე ჩემთვის დაეიტოვებ». რაიმე კომბინირებული ოპერაციის, მაგალითად, მუდის დამზადების ოპერაციის, დაწყებასა და იმ მონაწილე პირთათვის საბოლოო პროდუქტის განაწილებას შორის, რომელთა გაერთიანებულმა ძალმან ეს პროდუქტი დამზადა, შეიჭრება ხოლმე არაერთგზის ადამიანთა მიერ მოცემული შეფასება ამა თუ იმ სამუშაოსი, და წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, თუ ამ საერთო პროდუქტიდან რამდენი შეხედება წილად თითოეულს იმ ინდივიდუუმებიდან, რომელთა შეერთებულმა შრომამ აღნიშნული პროდუქტი აწარმოვა.

მე არ ეციე ამ საკითხის გადაწყვეტის სხვა წესი, [890] თუ არა ის, რომ გადაეცეს იგი ათეით მუშებს თავისუფალი განხილვისათვის» (გვ. 25).

«მე უნდა დაეუმატო, რომ საეჭეოა შრომის ერთ სახეობას უფრო მეტი ფასი ჰქონდეს, ვიდრე მეორეს... უეჭველია ის, რომ ისინი ერთნაირად აუცილებელია» (გვ. 26).

დასასრულ ჰოდსკინი კაპიტალისა და შრომის ურთიერთობის შესახებ ამბობს შემდეგ:

«მეწარმენი ისეთივე მუშაეები არიან, როგორც მათი დაქირავებული მუშები. ამ მხრივ მათი ინტერესები ზუსტად ემთხვევა მათი მუშების ინტერესებს. მაგრამ ამავე დროს ისინი არიან აგრეთვე ან კაპიტალისტები, ან კაპიტალისტების აგენტები, და ამ მხრივ მათი ინტერესები სრულიად უპირისპირდება მათი მუშების ინტერესებს» (გვ. 30).

«განათლების ფართო გავრცელება ჩვენი ქვეყნის დაქირავებულ მუშებს შორის ყოველდღიურად ამცირებს თითქმის ყველა მეწარმისა და მეპატრონის შრომისა და დახელოვნების მნიშვნელობას, რადგან იგი აღიღებს იმ ადამიანთა რიცხვს, რომელნიც დაუფლებული არიან მათს სპეციალურ ცოდნას» (გვ. 33).

«კაპიტალისტი არის მჩაგვრელი მუშაშემავალი სხვადასხვა მუშებს შორის. თუ გამოერიცხავთ მას, «ნათელი გახდება, რომ კაპიტალი, ანუ შრომის გამოყენების უნარი, და თანაბარებული შრომა — ეს ერთი და იგივეა; და რომ მწარმოებლური კაპიტალი და დახელოვნებული შრომა ასევე ერთი და იგივეა. მაშასადამე, კაპიტალი და მუშა მოსახლეობა საკვებით თანაბარნიშვნელოვანია. ბუნების სისტემაში პირი შეერთებულია ხელმან და ვინებასთან» (გვ. 33).

კაპიტალისტური წარმოების წესი ქრება გაუცხოების იმ ფორმასთან ერთად, რაც საზოგადოებრივი შრომის სხვადასხვა მომენტებს ერთმეორის მიმართ აქვთ და რაც წარმოდგენილია კაპიტალში. ასეთია ჰოდსკინის მსჯელობათა შედეგი.

* * *

კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება. შეიცავს შრომის პირობების ცენტრალიზაციას. იგი შრომის პირობების განცალკევებაა მუშისაგან და თვით შრომისაგან. მისი ისტორიული აქტი არის კაპიტალის წარმოქმნის აქტი — გამოყოფის ისტორიული პროცესი, რომელიც შრომის პირობებს კაპიტალად აქცევს, შრომას კი — დაქირავებულ შრომად. ამით კი მოცემულია კაპიტალისტური წარმოების საფუძველი.

კაპიტალის დაგროვება თვით კაპიტალის საფუძველზე, — მაშასადამე, ასევე კაპიტალისა და დაქირავებული შრომის ურთიერთობის საფუძველზეც. ეს დაგროვება აკვლავწარმოებს სულ უფრო ფართო მოცულობით საგნობრივი სიმდიდრის გამოყოფას და განცალკევებას შრომისაგან.

კაპიტალის კონცენტრაცია. მსხვილი კაპიტალების დაგროვება წვრილი კაპიტალების მოსპობის გზით. მიზიდულობა. კაპიტალისა და შრომის შეუღლებურ შეხამებათა დეკაპიტალიზაცია. ეს ყველაფერი არის მხოლოდ უკანასკნელი პოტენცია და ფორმა იმ პროცესისა, რომელიც შრომის პირობებს გადააქცევს კაპიტალად, შემდეგ აკვლავწარმოებს კაპიტალსა და ცალკეულ კაპიტალებს უფრო ფართო მასშტაბებით, ბოლოს გამოყოფს საზოგადოების მრავალ პუნქტში წარმოქმნილ კაპიტალებს მათი მფლობელებისაგან და ახდენს მათს ცენტრალიზაციას მსხვილი კაპიტალისტების ხელში. იქნეს რა დაპირისპირებულობისა და წინააღმდეგობის ამ უკიდურეს ფორმას, წარმოება, თუმცაღა გაუცხოებული ფორმით, გადაიქცევა საზოგადოებრივ წარმოებად. ჩვენ აქ გვაქვს საზოგადოებრივი შრომა და წარმოების იარაღთა ერთობა ნამდვილი შრომის პროცესში. კაპიტალისტები როგორც ფუნქციონირებენ ამ პროცესისა, რომელიც ამასთანავე აჩქარებს ამ საზოგადოებრივ (გაერთიანებულ) წარმოებას და ამით მწარმოებლური ძალების განვითარებასაც, ზედმეტნი ხდებიან იმდენადვე, რამდენადაც ისინი საზოგადოების [per]procura* იხვეჭენ შემოსავალს. და განდიდებულნი ხდებიან როგორც ამ საზოგადოებრივი სიმდიდრის მესაკუთრენი და საზოგადოებრივი შრომის განმკარგულელებელნი. მათ იგივე ემართებათ, რაც დემართა ფეოდალებს, რომელთა პრეტენზიები, ისევე როგორც მათი მომსახურება, ბურჟუაზიული საზოგადოების წარმოქმნასთან ერთად ზედმეტი გახდნენ და გადაიქცნენ უბრალოდ მოძველებულ და მიზნისათვის შეუფერებელ პრივილეგიებად და ამით თავიანთ დაღუპვას სწრაფად მიუახლოვდნენ. [XV.—890]

* — რწმუნებით, მინდობილობით. რ ე დ.

ქ) ჰოდსკინის ძირითად ღებულებათა ფორმულირება
მის წიგნში «POPULAR POLITICAL ECONOMY»

[XVIII—1084] Th. Hodgskin. Popular Political Economy, Four Lectures delivered at the London Mechanics' Institution. London, 1827.

ადვილად შესასრულებელი შრომა არის მხოლოდ მე მკვიდრებით მიღებული დახელოვნება» (გვ. 48).

«რადგან მთელი ხელსაყრლობა, რაც შრომის დანაწილებიდან გამომდინარეობს, ზუნებრივია, თავს იყრის მუშებში და მუშებს ეკუთვნის, ამიტომ იმ შემთხვევაში, თუ მუშებს წაართმევენ ამ ხელსაყრლობას და თუ საზოგადოების განვითარების მსუელლობაში მუშების გადიდებული დახელოვნების მეოხებით მხოლოდ ისინი მდიდრდებიან, ვინც არასდროს არ მუშაობს, — ამის მიზეზი უნდა იყოს უსამართლო მითვისება, უზურპაცია და ძარცვა იმათი მხრივ, ვინც მდიდრდება, და უსიტყუო მორჩილება გალატაკებულთა მხრივ» (გვ. 108—109).

[1085] «მუშები, მართლაც, სწრაფად მრავლდებიან, თუ ამ გამრავლებას შეედარებთ მხოლოდ კაპიტალისტების მხრივ მუშების მომსახურების მოთხოვნას» (გვ. 120).

«მაღალსი აღნიშნავს იმ გავლენას, რასაც მუშების რიცხვის გადიდება ახდენს ყოველი ცალკეული მუშის მიერ წლიური პროდუქტიდან მისაღებ ნაწილზე, თუ ვიგულისხმებთ, რომ ამ პროდუქტის ის ნაწილი, რაც მუშებს შორის ნაწილდება, გარკვეული და ფიქსირებული ოდენობაა, რომელზეც არაერთარ ზეგავლენას არ ახდენს მუშების მიერ წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქტის ოდენობა» (გვ. 126).

«შრომა არის ღირებულების ერთადერთი საზომი, მაგრამ შრომა, ყოველი სიმდიდრის შემქმნელი, არ არის საქონელი» (გვ. 186).

სიმდიდრის გადიდებაზე ფულის გავლენის შესახებ ჰოდსკინი სამართლიანად შენიშნავს:

«თუ აღამიანს შეუძლია ფუტეხადი პროდუქტების მცირე რაოდენობით არაფუტეხადი პროდუქტები მიიღოს, მაშინ მას არ ექნება პირველთა გადაყრის მცდარი მსწრაფება, ასე ამრავლებს ფულის ხმარება სიმდიდრეს, რაჟი იგი თავიდან გვაცილებს მფლანგველობას» (გვ. 197).

«საეალო ვაჭრობის მთავარი ხელსაყრლობა გაპირობებულთა იმ გარემოებით, რომ რაოდენობა, რომლითაც საქონელი ყველაზე უკეთ იწარმოება, არ არის ის რაოდენობა, რომლითაც ეს საქონელი საუკეთესოდ ნაწილდება [ინდივიდუალური მოხმარებისათვის]» (გვ. 146).

«როგორც თეორია კაპიტალისა, ისე მისი პრაქტიკაც, რაც იმაში მდგომარეობს, რომ შრომის ხანგრძლივობა დიდდება იმ წერტილამდე, რომელზეც შრომას, გარდა მუშის შესანაზად საჭირო ხარჯებისა, შეუძლია კიდევ მოგებაე აწარმოოს კაპიტალისტისათვის, ეწინააღმდეგება, როგორც ჩანს, წარმოების მარგულირებელ ბუნებრივ კანონებს» (გვ. 238).

კაპიტალის დაგროვების შესახებ ჰოდსკინი დაახლოებით იმავეს ლაპარაკობს, რასაც თავის პირველ თხზულებაში ამბობდა. მაგრამ სისრულისათვის მაინც მოვიყვანთ აქ მთავარ ადგილებს:

განვიხილოთ, მაგალითად, ძირითადი კაპიტალი— ყველაზე ხელსაყრელი პოზიცია იმპათიის, ვინც ამტკიცებს, კაპიტალი წარმოებას ეხმარებაო. უნდა განვასხვაოთ სამ-გვარი გარემოება, რომელთა მიხედვითაც კაპიტალის დაგროვების შედეგები მეტად ხანსხვაებულა.

1) როცა კაპიტალს აწარმოებს და გამოიყენებს ერთი და იგივე პირი, თავისთავად გასაგებია, რომ ყოველი დაგროვება მის მფლობელობაში იარაღებისა, რომელთაც იგი აწარმოებს და იყენებს, ამსუბუქებს მის შრომას. ა ს ე თ ი და გ რ ო ე ე ბ ი ს ს ა ზ-
ლ ე ა რ ი ა მ უ შ ი ს უ ნ ა რ ი — ა წ ა რ მ ო ს და გ ა მ ო ი ყ ე ნ ო ს ა მ გ ე ა-
რ ი ი ა რ ა ღ ე ბ ი.

2) როცა კაპიტალს აწარმოებს და გამოიყენებს სხვადასხვა პირი, რომლებიც ერთ-მანეთს შორის ინაწილებენ სამართლიანი პროპორციით თავიანთი ერთობლივი შრომის პროდუქტს. კაპიტალს აწარმოებს ერთი მუშა, მეორე კი იყენებს ამ კაპიტალს; ისინი იყოფენ საქონელს იმ შრომის პროპორციულად, რომელიც თითოეულმა მათგანმა საქონლის წარმოებაზე დახარჯა... მაგრამ მე ვამჯობინებდი ამ ფაქტის იმგვარად გამოხატვას, რომ ვიტყვოდი: საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც იარაღების წარმოებით არის დასაქმებული, მაშინ როდესაც საზოგადოების მეორე ნაწილი ამ იარაღებს იყენებს, ქმნის შ რ ო მ ი ს და ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს გარკვეულ დ ა რ გ ს, რომელიც ადიდებს წარმოებულ რაოდენობას და ხელს უწყობს საყოველთაო სიმდიდრეს. ეიდრე მუშების ამ ორი კატეგორიის ერთობლივი პროდუქტი მათ შორის ნაწილდება, დაგროვება და გამ-რავლება მათ მიერ წარმოებული და გამოყენებული იარაღებისა. ისევე ხელსაყრელია, როგორც იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოებული და გამოყენებული იქნებოდა ერთი ზარის მიერ.

3) როცა კაპიტალი ისეთ პირთა კატეგორიის საკუთრებაა, რომელნიც მას არც აწარ-მოებენ და არც იყენებენ... კაპიტალისტი მხოლოდ მესაკუთრეა იარაღებისა, არ არის, როგორც ასეთი, მუშაყი. იგი არასგზით არ უწყობს ხელს წარმოებას.

{სხვა სიტყვებით, წარმოებას ხელს უწყობს ი ა რ ა ღ ი და ა რ ა ის ტიტული მესაკუთრისა, რომელიც A-ს აქვს ამ იარაღის მიმართ, არა ის გარემოება, რომ იარაღი ეკუთვნის არამუშას.}

კაპიტალისტი ე უ ფ ლ ე ბ ა ერთი მუშის პროდუქტს და გადასცემს მას მეორე მუშას — ან განსაზღვრული დროით, როგორც ეს ხდება 'ხოლომე ძირითადი კაპიტალის სახეობათა მეტი წილის მიმართ, ანდა სამუდამოდ, როგორც ეს ხელფასის შემთხვევაშია,—გადასცემს იმ მოსაზრებით, რომ ეს პროდუქტი შეიძლება გამოყენებულ ან მოხმარებულ იქნეს მისთვის ხელსაყრელად. კაპიტალისტი არასოდეს არ დაუშვებს იმას, რომ ერთი მუშის პროდუქტი, რომელიც მის ხელში მოხვდება, გამოყენებულ და მოხმარებულ იქნეს მეორე მუშის მიერ სხვანაირად, თუ არა მის, კაპიტალისტის, სასარგებლოდ. კაპიტალისტი გამოიყენებს ან გაასესხებს თავის საკუთრებას, რათა მუშების პროდუქტის, ანუ ბუნებრივი შემოსავლის, ნაწილი მიიღოს; და ყოველი დაგროვება ასეთი საკუთრებისა მის ხელში ნიშნავს მხოლოდ შრომის პროდუქტის მიმართ მისი ძალა-უფლების გაფართოებას და აფერხებს ეროვნული სიმდიდრის ზრდას. ასეთი მდგომარეობაა აშკარად... რადგან კაპიტალისტი, როგორც მთელი პროდუქტის მესაკუთრე, მუშებს არ აძლევს იმის ნებას, რომ იარაღი აწარმოონ ან გამოიყენონ, თუ იგი არ მიიღებს მოგებას იმის გადამეტებით, რაც მუშების შენახვა ღირებად მიტომცხადია, — რომ მწარმოებულ შრომას აქ დადებული აქვს ვაცილებით უფრო ეიწრო საზღვარი,

ვიდრე ბუნების მიერ დაწესებული საზღვარია. იმისდა მიხედვით, თუ როგორ გროვდება კაპიტალი მესამე პირთა ხელში, იზრდება მთელი ის ჯამი მოგებისა, რომელსაც თავისთვის მოითხოვს კაპიტალისტი, და ამით იქმნება ხელოვნური დაბრკოლება წარმოებისა და მოსახლეობის ზრდისათვის... საზოგადოების ახლანდელ მდგომარეობაში, როცა მუშები არასოდეს არ არიან კაპიტალის მესაკუთრენი, კაპიტალის ყოველი დაგროვება ადიდებს მოგების იმ ჯამს, რომელსაც მათთან მოითხოვენ, და შეუძლებელს ხდის ყოველ ისეთ შრომას, რომელიც უზრუნველყოფდა მხოლოდ იმას, რაც აუცილებელია მუშის წესიერი არსებობისათვის... თუ ვაღიარებთ იმას, რომ შრომა აწარმოებს ყველაფერს, კაპიტალსაც კი, მაშინ უაზრობა იქნება მწარმოებელური ძალა შეეაწეროთ იარაღებს, რომელთაც შრომა აწარმოებს და იყენებს» (გვ. 243—247).

(«ხელფასი არ აადვილებს წარმოებას, როგორც მას იარაღი აადვილებს). ყოველ ხელფასს ანაზღაურებს შრომა და არა კაპიტალი» (გვ. 247).

[1086] «კაპიტალისტების ავანთა უმეტესი ნაწილი გადახდის დაპირებებში მდგომარეობს...

ქალაღის ფულის გამოგონებამ და გამოყენებამ გამოაქლანა ის ფაქტი, რომ კაპიტალი სრულიადაც არ არის დაზოგვის შედეგი. ვიდრე კაპიტალისტს ნამდვილად დაგროვილი ძვირფასი ლითონი და საქონელი უნდა ჰქონოდა, რათა თავისი სიმდიდრის რეალიზება მოეხდინა, ანდა სხვა ადამიანთა შრომის განმკარგულებელი ყოფილიყო. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ დაგროვება არის ნამდვილი დაზოგვის შედეგი და რომ საზოგადოების პროგრესი ამ დაგროვებაზე დამოკიდებულია. მაგრამ როცა გამოგონებულ იქნა ქალაღის ფული და პერგამენტზე დაბეჭდილი ფასიანი ქაღალდები და როცა ასეთი პერგამენტის მარტო ერთი ნაგლეჯი მფლობელმა წლიური შემოსავლის მიღება იწყო ქაღალდების კუპონების სახით, რომლებითაც იგი ყველაფერს იღებდა, რაც მისთვის საჭირო იყო თავისი სარგებლობისა და მოხმარებისათვის, ხოლო თუ იგი არ ხარჯავდა ყველა ამ ნახევრ ქალაღის კუპონს, წლის ბოლოსათვის უფრო მდიდარი ხდებოდა, ვიდრე წლის დასაწყისში იყო, ანდა უფლებს ჰქონდა შემდგომ წელს ქაღალდების კიდევ უფრო მეტი რაოდენობა მიეღო, რაც მას შრომის პროდუქტებზე განკარგულების კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევდა, — მაშინ საყვირით ნათელი გახდა, რომ კაპიტალი არ არის დაზოგვის შედეგი და რომ ინდივიდუალური კაპიტალისტი მიდიდრდება არა ნამდვილი და მატერიალური დაზოგვის მეოხებით, არამედ იმის საშუალებით, რომ იგი აკეთებს ისეთ რამეს, რაც მას შესაძლებლობას აძლევს... უფრო მეტი მიიღოს სხვა ადამიანთა შრომის პროდუქტიდან...

მაულის ფაბრიკანტს აქვს ან მონეტა, ან ქალაღი, რომელთა მეშვეობით იგი იხდის ხელფასს. ამ ხელფასს მისი მუშები გადაცვილიან სხვა მუშების პროდუქტზე, რომლებიც არ ინახავენ პირველთა ხელფასს, სულ ერთია, ლითონის ფულია ეს ხელფასი თუ ქალაღისა, და იგი უკანვე უბრუნდება ფაბრიკანტს, რომელიც გაცვილის წესით მასში იძლევა მისი საკუთარი მუშების მიერ დამზადებულ მაუდს. ამ უკანდაბრუნებული მონეტებითა და ქალაღის ფულით ფაბრიკანტი კვლავ იხდის ხელფასს და ეს მონეტა ან ქალაღის ფული კვლავ გაივლის იმავე წრებრუნვას...

მის» (კაპიტალისტის) «საკუთრებას, — სულ ერთია, ხელფასის გადახდის საშუალებას წარმოადგენს იგი თუ სასარგებლო იარაღებს, — მიეწერება მთელი ის უდიდესი დახმარება, რასაც შრომას უწევს მანქანების განსახიერებელი ცოდნა და დახელოვნება... მღაროელის, მდნობელის, მჭედლის, მექანიკოსის, მეცეცხლურისა და მრავალი სხვა ადამიანის შეერთებული შრომა, და არა მკედარი მანქანები, ასრულებს იმას, რასაც ორთქლის მანქანები აკეთებენ... ჩვეულებრივი სიტყვახმარების მიხედვით მუშების ამ დახელოვნების მწარმოებლური ძალა მიეწერება მის თვალხილულ პროდუქტს, შრომის იარაღებს, ამასთან იმათ, ვინც ამ შრომის იარაღების მხოლოდ მესაკუთრენი არიან, რომელნიც არ აწარმოებენ და არც იყენებენ ამ იარაღებს, თავიანთი თავი დიდად მწარმოებელად ამიანებდა წარმოუდგენიათ» (გვ. 248—251).

პოდსკინის პოლემიკა «ქვეყნიდან კაპიტალის გამიჩრების საშისშრომების» წინააღმდეგ, იმ შეხედულებების წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც კაპიტალის სარგებელი აუცილებელი სტიმულია წარმოების განვითარებისათვის, ანდა დაზოგვის თეორიის შესახებ — იხ. რვეული IX, გვ. 47¹¹², ეს განსახილველია შემდგომ თავში ვულგარული ეკონომისტების შესახებ.

«მოსახლეობის ზრდის კვალობაზე დიდდება როგორც წარმოება, ისე მოხმარება, და ეს არის ყველაფერი, რაც ეროვნული სიმდიდრის დაგროვების ან გადიდების ცნებებში იგულისხმება» (გვ. 257).

(თ) ჰოდსკინი კაპიტალის ძალაუფლების შესახებ და საკუთრების უფლებაში გომხმარებელ ბაღატრიკალების შესახებ

[XIII—670a] [H o d g s k i n.] The Natural and Artificial Right of Property Contrasted. London, 1832.

«ამჟამად საზოგადოების მთელი სიმდიდრე თავს იყრის პირველად კაპიტალისტის ხელში, და მიწის უმეტეს ნაწილსაც კი იგი ყიდულობს. იგი უხდის რენტას მიწის მესაკუთრეს, ხელფასს — მუშას, გადასახადსა და სამეათედოს ხარკის შემკრებთ და თავისთვის იტოვებს შრომის წლიური პროდუქტის მნიშვნელოვან, სინამდვილეში უდიდეს და განუწყვეტლად მზარდ ნაწილს. კაპიტალისტი შეიძლება ახლა მიჩნეულ იქნეს მთელი საზოგადოებრივი სიმდიდრის პირველ მესაკუთრედ, თუმცა არ არის ისეთი კანონი, რომელიც მას ამ საკუთრების უფლებას ანიჭებდეს» (გვ. 98).

«ეს გადატრიალება საკუთრების სფეროში მოხდა კაპიტალის სარგებლის აღებისა და სარგებელთა სარგებლოს მატების შედეგად, და მეტად ღირსშესანიშნავია, რომ ვეროპის ყველა კანონმდებელი ცდილობდა ამისთვის ხელი შეეშალა მევანშეობის წინააღმდეგ გამოკეცილი კანონებით» (გვ. 99, შენიშვნა).

კაპიტალისტის ძალაუფლება ქვეყნის მთელ სიმდიდრეზე არის ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს უ ფ ლ ე ბ ა შ ი მომხდარი სრული რევოლუციის შედეგი, და რომელი კანონის ან რომელი რიგი კანონების საფუძველზე მოხდა ეს რევოლუცია?» (გვ. 99).

[4] **ბრეი როგორც ეკონომისტების მოწინააღმდეგე**¹¹³

[X—441] **Bray I. F. Labour's Wrongs and Labour's Remedy, etc. Leeds, 1839.**

რადგან ადამიანის არსებობა გაპირობებულია შრომით, შრომა კი შრომის საშუალებებს გულისხმობს, ამიტომ «მიწა — ეს ყოველი საქმიანობის დიდი საბრძოლო და ყოველი სიმდიდრის ნ ე დ ლ ი მ ა ს ა ლ ა — ყველა მისი მაცხოვრებლის საერთო საკუთრება უნდა იყოს» (გვ. 28).

«სიცოცხლე დამოკიდებულია საჭმელზე, საჭმელი კი შრომაზე. ეს დამოკიდებულება აბსოლუტური ხასიათისაა. ამიტომ თუ რომელიმე ინდივიდუუმი თავს არიდებს შრომას, ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ ადამიანების დანარჩენი მასის შრომა დიდდება» (გვ. 31).

«მთელი უსამართლობა და მთელი ტანჯვა, რაც ადამიანებს მიუყენებიათ ან განუცლიათ, საბოლოო ანგარიშით იქიდან გამომდინარეობს, რომ გარკვეულმა ინდივიდუუმებმა და კლასებმა მიწის უფლების უზურპაცია მოახდინეს და ეს უფლება სხვა ინდივიდუუმებმა და სხვა კლასებს წაართვეს... მას შემდეგ, რაც ადამიანებმა მიწის საკუთრების უფლება მიითვისეს, მათი შემდგომი ნაბიჯი იყო თითო ადამიანებზე საკუთრების უფლების მიითვისება» (გვ. 34).

ბრეი თავის მიზნად აცხადებს

«ბრძოლას ეკონომისტების წინააღმდეგ მათს საკუთარ ნიადაგზე და მათი საკუთარი იარაღით» (იმის დასამტკიცებლად, რომ ყოველი სოციალური სისტემის პირობებში როდეს უნდა იყოს სილატაკე მუშის ხვედრი). «ვიდრე ასეთი მეთოდით მიღებული დასკვნების უარყოფის შესაძლებლობას მიიღებენ, ეკონომისტებმა უნდა უკუაგლონ ან გააბათილონ ის დადგენილი ქეშპარიტებანი და პრინციპები, რომლებზეც დამყარებულია მათი საკუთარი არგუმენტები» (გვ. 41).

«თვით ეკონომისტების აზრით, სიმდიდრის საწარმოებლად აუცილებელია: 1) შრომა, 2) წარსული შრომის დაგროვება, ანუ კაპიტალი, და 3) გაცელა...» ასეთია, თვით მათი მიხედვით, წ ა რ მ ო ე ბ ი ს ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო პ ი რ ო ბ ე ბ ი. «ამ წარმოების პირობებს ძალა აქვთ მთლიანად აღებული საზოგადოებისათვის, და მათი ბუნება ისეთია, რომ მათი მოქმედებიდან არ შეიძლება გამოირიცხო არც ცალკეული ინდივიდები, არც ცალკეული კლასები» (გვ. 42).

«მცნება: იშრომე! — ერთნაირად სავალდებულო რჩება ყველა შექმნილი არსებისათვის... მხოლოდ ადამიანს შეუძლია გვერდი აუაროს ამ კანონს; ამ კანონის ბუნება კი ისეთია, რომ მისი გვერდის აელა შეუძლია ერთ ადამიანს მხოლოდ მეორის ხარჯზე» (გვ. 43).

«შრომისა და გაცელის ქეშპარიტი ბუნების თანახმად, მკაცრი სამართლიანობა მოითხოვს» (ბრეი აქ იმოწმებს ეკონომისტების მიერ მოკეზულ საქონელთა საცვლელი ღირებულების განსაზღვრას), «რომ ყველას, ვინც გაცელაში მონაწილეობს, უნდა ჰქონ-

დეს არა მარტო უ რ თ ი ე რ თ ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ ა, არამედ აგრეთვე თ ა ნ ა ბ ა - რ ი სარგებლობაც... თუ განხორციელდებოდა გაცვლის სამართლიანი სისტემა, მაშინ ყველა საქონლის ღირებულება განისაზღვრებოდა მათი წარმოებისათვის საჭირო ხარჯების ერთობლიობით და თანაბარი ღირებულება ყოველთვის თანაბარ ღირებულებაზე გაიცვლიდა... დღემდე მუშები აძლევდნენ და აძლევენ კაპიტალისტს მთელი წლის შრომას ნახევარი წლის შრომის ღირებულებაზე გაცვლის წესით და აქედან წარმოიშვა ძლიერების და სიმდიდრის ის უთანასწორობა, რომელიც ახლა ჩვენს ირგვლივ არსებობს. გარდუვალი შედეგი გაცვლის უთანასწორობისა — ყიდვისა ერთ ფასში და გაყიდვისა მეორე ფასში — ის არის, რომ კაპიტალისტები განაგრძობენ კაპიტალისტებად ყოფნას, მუშები კი მუშებად ყოფნას, ერთნი წარმოადგენენ ტირანთა კლასს, მეორენი — მონათა კლასს» (გვ. 47—49).

ახლანდელი სისტემის პირობებში გაცვლა არათუ არ აძლევს ურთიერთსარგებლობას გაცვლაში მონაწილე თითოეულ მხარეს, როგორც ამას ეკონომისტები ამტკიცებენ, არამედ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მეტწილ გარიგებებში კაპიტალისტსა და მწარმოებელს შორის არაერთად გაცვლას არა აქვს ადგილი... რას იძლევა ფაბრიკანტი ან მიწის მესაკუთრე მუშების შრომასი? შრომას? არა, რადგან კაპიტალისტი არ მუშაობს. კაპიტალს? არა, რადგან მისი სიმდიდრის მარაგი მუდამ იზრდება... ამიტომ კაპიტალისტი ისეთს ვ ე რ ა ფ ე რ ს გაცვლის, რაც თეთ მას ეკუთვნის. მაშასადამე, მთელი ეს გარიგება ნათლად გვიჩვენებს, რომ კაპიტალისტები და მიწის მესაკუთრენი მხოლოდ იმას აკეთებენ, რომ მუშაზრ მიზ შრომასი ერთი კვირის განმავლობაში აძლევენ იმ სიმდიდრის ნაწილს, რომელიც მათ მისგან, მუშისაგან, წინა კვირის განმავლობაში მიიღეს; ეს კი სწორედ იმას ნიშნავს, რომ ისინი მუშისაგან იღებენ რაღაცეს, რაშიც მას არაფერს არ აძლევენ... სიმდიდრე, რომელსაც კაპიტალისტი, როგორც ეს გვიჩვენება, მუშის შრომაზე გაცვლის წესით იძლევა, არ შეუქმნია არც კაპიტალისტის შრომას, არც მის სიმდიდრეს, არამედ იგი თავდაპირველად მიღებულ იქნა მუშის შრომის შედეგად და ყოველდღიურად ისევ წაართმევენ მას მუშას უთანაბრო გაცვლის თაღლითური სისტემის მეშვეობით. მთელი გარიგება მწარმოებელსა და კაპიტალისტს შორის აშკარა შორეულება, ნამდვილი ფარსია» (გვ. 49—50).

ყანონი, რომელიც გვეუბნება: «დაე იყოს დაგროვება!» მხოლოდ სანახევროდ სრულდება და ერთი განსაკუთრებული კლასის ინტერესებს ემსახურება მთელი დანარჩენი საზოგადოების საზიანოდ» (გვ. 50).

ახლანდელი სოციალური სისტემის პირობებში მთელი მუშათა კლასი შრომის საშუალებათა მხრივ დამოკიდებულია კაპიტალისტებზე, ანუ დამპყრობებლებზე; მაგრამ იქ, სადაც ერთი კლასი თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო დამოკიდებულია მეორე კლასზე შ რ ო მ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა მხრივ, ასევე დამოკიდებულია იგი მასზე ს ა ა რ ს ე ბ ო ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა მხრივაც. საქმის ეს ვითარება კი იმდენად ეწინააღმდეგება საზოგადოების ნამდვილ მიზანდასახულობას და იმდენად აღმშფოთებელია გონიერების თვალსაზრისით, რომ ერთი წუთითაც არ შეიძლება მისი არც გამოტოვება, არც დაცვა. იგი ანიჭებს ცალკეულ ადამიანს ისეთ ძალაუფლებას, როგორც თუ იქ უნდა იყოს აღჭურვილი არც ერთი მოყვანილი» (გვ. 52).

ჩვენნი ყოველდღიური გამოცდილება გეასწავლის, რომ როცა ჩვენ მთელ პურს ნაჭერს ჩამოვაჭრით, ამ ნაჭერს არ შეუძლია ხელახლა გაზრდა. მთელი პური ნაჭრების ერთობლიობაა მხოლოდ, და რაც უფრო მეტს შეეჭმით ამ ნაჭრებიდან, მით უფრო ნაკლები დარჩება შესაკმელად. ასეთივე მდგომარეობაა [442] მუშის პურის კვერის მიმართაც, მაგრამ კაპიტალისტის პურის კვერი ამ წესს როდი მისდევს. შემცირების ნაცვლად პურის კვერი გამუდმებით იზრდება, კაპიტალისტი განუწყვეტლივ აჭრის მას, მაგრამ

იგი მუდამ ხელახლა იზრდება... გაცვლა რომ თანაბარი იყოს, ახლანდელი კაპიტალისტების სიმდიდრე მათი ხელიდან მუშათა კლასების ხელში გადავიდოდა. ყოველი შილინგი, რომელსაც მდიდარი დახარჯავდა, მას ერთი შილინგით ნაკლებმდიდარს გახდიდა» (გვ. 54—55).

ბრეი იქვე გვიჩვენებს, რომ

«თითქმის სრულიად შეუძლებელია, რომ რომელიმე კაპიტალისტს შეეძლოს. თუნდაც ერთი ათასი გირანქა სტერლინგის შემკვიდრებით მიღება იმ თავისი წინაპრების, ნამდვილად დაგროვილი შრომიდან, რომლებიც მუშათა კლასს ეკუთვნოდნენ» (გვ. 55).

«თეით ეკონომისტების მოძღვრებიდან გამომდინარეობს, რომ შეუძლებელია, გაცვლა დაგროვების გარეშე და დაგროვება შრომის გარეშე» (გვ. 55).

«ახლანდელი სისტემის პირობებში, როცა ყოველი მუშა დაქირავებულს სულ ცოტა ექვსი დღის შრომას აძლევს იმ ეკვივალენტში, რაც მხოლოდ ოთხი ან ხუთი დღის შრომა ღირს, დაქირავებულის მოგება აუცილებლად დანაკარგია მუშისთვის» (გვ. 56).

«ამრიგად, რა თვალსაზრისითაც უნდა განვიხილოთ სიმდიდრის წარმოშობა — როგორც ნაჩუქარი, ინდივიდუალური დაგროვება, გაცვლა თუ შემკვიდრებით მიღება, — ჩვენ ვხედავთ ერთიმეორის მიყოლებით იმის დამადასტურებელ საბუთს, რომ მდიდარი კაცის საკუთრების უფლებაში არის გარკვეული ხარვეზი, რომელიც ერთაშად უკარგავს ამ უფლებას მოჩვენებითს სამართლიანობას და თავის მნაშენლობას... მთელი ეს სიმდიდრე მუშათა კლასების ძვლებიდან და კუნთებოდანაა მიღებული და საუკუნეების მანძილზე და მუშებს წარმოუვა იგი უთანაბრო გაცვლის თაღლითური და კაბალური სისტემის მეშვეობით» (გვ. 56—57).

«თუ მუშას სურს ახლანდელი სისტემის პირობებში მდიდარი გახდეს, მაშინ, ნაცვლად იმისა, რომ თავისი საკუთარი პროდუქტი გაცვალოს, იგი უნდა გახდეს კაპიტალისტი, ან ის პირი, რომელიც სხვა ადამიანთა შრომის გაცვლას ახორციელებს, და მაშინ, გაძარცვავს რა სხვებს იმავე წესით, რა წესითაც თეით მას ძარცვავენ, ე. ი. უთანაბრო გაცვლის მეშვეობით, მას შესაძლებლობა მიეცემა სხვა ადამიანთა მცირე დანაკარგიდან დიდი მოგება შეიძინოს» (გვ. 57).

«ეკონომისტებმა და კაპიტალისტებმა ბევრი წიგნი დაწერეს და დაბეჭდეს იმ მიზნით, რომ მუშებს ჩაუწერონ მცდარი წარმოდგენა, თითქმის კაპიტალისტის მოგება არ შეეადგენს დანაკარგს მწარმოებლისათვის». ჩვენ გვეუბნებიან, რომ შრომა ნაბიჯსაც ვერ გადადგამს უკაპიტალოდ, რომ კაპიტალი ბარია იმ ადამიანისთვის, რომელიც მიწას თხრის, რომ კაპიტალი ისევე აუცილებელია წარმოებისათვის, როგორც თვით შრომა... კაპიტალისა და შრომის ამ ურთიერთდამოკიდებულებას საერთო არაფერი აქვს კაპიტალისტსა და მუშას შორის არსებულ ურთიერთობასთან და არ ამტკიცებს, რომ პირველი უნდა ცხოვრობდეს უკანასკნელის ხარჯზე... არა კაპიტალისტს, არამედ კაპიტალს აქვს არსებითი მნიშვნელობა მწარმოებელთა ოპერაციებისათვის. კაპიტალსა და კაპიტალისტს შორის ისეთივე დიდი განსხვავება არსებობს, როგორც გემის ტვირთსა და ამ ტვირთის თანმხლებ ზედნადებს შორის» (გვ. 59).

«კაპიტალსა და შრომას შორის არსებული ურთიერთკავშირიდან ნათლად ჩანს, რომ რაც უფრო მეტი კაპიტალი, ანუ დაგროვილი შრომა, არსებობს რომელიმე ქვეყანაში, მით უფრო ადვილი იქნება წარმოება და მით უფრო ნაკლები შრომა იქნება საჭირო მოცემული (გარკვეული) შედეგის მისაღწევად. ასე, მაგალითად, ბრიტანეთის ხალხს კაპიტალის თავისი ახლანდელი დიდი დაგროვების საშუალებით — თავისი შენობების, მანქანების, გემების, არხებისა და რკინიგზების დახმარებით — შეუძლია ერთი კვირის

განმავლობაში აწარმოოს უფრო მეტი სამრეწველო სიმდიდრე, ვიდრე მათ წინაპრებს 1000 წლის წინათ შეეძლოთ ეწარმოებინათ ნახევარი საუკუნის განმავლობაში. ამს ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ არა ჩვენი ფიზიკური ძალების უპირატესობას, არამედ ჩვენს კაპიტალს. ეს იმიტომ, რომ იქ, სადაც კაპიტალის ნაკლებობაა, წარმოება ნელა და მძიმედ ვითარდება და პირიქით. აქედან ცხადია, რომ ყოველი მოგება კაპიტალისათვის ასევე მოგებაა შრომისთვისაც. რომ კაპიტალის ყოველი გადიდება იწვევს შრომის სიმძიმის შემსუბუქებას და რომ ამიტომ ყოველი დანაკარგი კაპიტალისათვის უნდა იყოს დანაკარგი აგრეთვე შრომისთვისაც. თუმცა ეს კვამარტება დიდიხანა შემჩნეული იყო ეკონომისტების მიერ, მაგრამ მათ იგი წესიერად არ გამოუთქვამთ.

{მართლაც, ეს ვაყბატონები მსჯელობენ ასე:

შრომის დაგროვილი პროდუქტები — ე. ი. მოუხმარებელი პროდუქტები — ამსუბუქებენ შრომას და უფრო ნაყოფიერს ხდიან მას. ამიტომ ამ შემსუბუქების ნაყოფმა და ა. შ. სარგებლობა უნდა მოუტანოს არა თვით შრომას, არამედ დაგროვებას. მაშასადამე, დაგროვება კი არ უნდა იყოს შრომის საკუთრება, არამედ შრომა უნდა იყოს დაგროვების საკუთრება — თავისი საკუთარი პროდუქტების საკუთრება. ამიტომ მუშა უნდა აგროვებდეს არა თავისთვის, არამედ სხვისთვის, და დაგროვება უნდა უპირისპირდებოდეს მას როგორც კაპიტალი.

ეკონომისტების გონებაში კაპიტალის ნივთობრივი ელემენტი ისე შეეზარდა მისი ფორმის — როგორც კაპიტალის — სოციალურ განსაზღვრულობას, მისი — როგორც შრომაზე ვაბატონებული შრომის პროდუქტის — ანტაგონისტურ ხასიათს, — რომ მათ არც ერთი დებულების გამოთქმა არ შეუძლიათ თავის თავთან წინააღმდეგობაში ჩავარდნის გარეშე. }

«ეკონომისტები მუდამ აიგოვებდნენ კაპიტალს საზოგადოების ერთ კლასთან, შრომას კი — მეორე კლასთან, თუმცა ორივე ამ ძალას არა აქვს ასეთი კავშირი ბუნებით და არც უნდა ჰქონდეთ მათ იგი აგრეთვე ხელოვნურად. ეკონომისტები მუდამ ცდილობენ ისე წარმოვიდგინონ საქმის ვითარება. თითქოს მუშის კეთილდღეობა და თვით არსებობაც კი შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი თავისი შრომით კაპიტალისტს ფუფუნებასა და უსაქმურობაში ინახავს. მათ არ უნდათ ნახონ, რომ მუშა სადილობდეს მანამ, სანამ მას არ უწარმოებია ორი სადილი — ერთი თავისთვის, მეორე კი თავისი ბატონისათვის, ამასთან ეს უკანასკნელი თავის პორციას ღებულობს არაპირდაპირ, უთანაბრო გაცვლის მეშვეობით» (გვ. 59—60).

«როცა მუშამ რაიმე ნივთი აწარმოვა, ეს ნივთი ეკუთვნის უკვე არა მას, არამედ კაპიტალისტს, იგი ერთიდან მეორესთან გადავიდა უთანაბრო გაცვლის უხილავი მაგიის წყალობით» (გვ. 61).

«ახლანდელი სისტემის პირობებში კაპიტალი და შრომა, ბარი და მიწის მოხრეული ორი განცალკევებულ და ანტაგონისტურ ძალას წარმოადგენენ» (გვ. 60).

[443] «მაგრიმ მშინაც კი, თუ მთელი მიწა, ყველა სახლი და მთელი მანქანები კაპიტალისტების კუთვნილება იქნებოდა [სამართლიანად] და მუშათა კლასი არ იარსებებდა;

კაპიტალისტებს არ შეეძლოთ უკვე გვერდის ავლა დიდი პირობისათვის და იყოს შრომა. მიუხედავად მთელი მათი სიმდიდრისა, მათ დარჩებოდათ მხოლოდ არჩევანი შრომისა და შიმშილით სიკვდილის შორის. მათ არ შეეძლოთ მიწით ან სახლებით საზრდოობა; მიწა არ აწარმოებს საჭმელს, ვერც მანქანა დაამზადებს ტანსაცმელს ადამიანის შრომის გამოყენებულად. ამიტომ რაცა კაპიტალისტები და შესაყოფიერი ლაპარაკობენ, რომ მუშათა კლასი ვალდებულია ისინი აჩრინოს, ამით ისინი ფაქტობრივად იმაპატიებენ, რომ მწარმოებელნი ეკუთვნის მათ საცხებით ისევე, როგორც მიწა და სახლები, და რომ მუშა შექმნილია მხოლოდ მდიდრის საჭიროებისათვის» (გვ. 68).

მწარმოებელი იმის სანაცვლოდ, რასაც იგი კაპიტალისტს აძლევს, ღებულობს არა კაპიტალისტის შრომას და არა კაპიტალისტის შრომის პროდუქტს, არამედ—სამუშაოს. ფულის მეოხებით მუშათა კლასები იძულებული არიან არა მარტო იმ შრომას ასრულებდნენ, რასაც მათ ბუნებრივი არსებობის შენარჩუნება აყისრებს, არამედ ასევე მძიმე შრომას ეწეოდნენ სხვა კლასებისათვის. არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ღებულობენ მწარმოებლები არამწარმოებელი კლასისაგან ოქროს, ვერცხლს თუ სხვა საქონელს; მთელი საქმე იმაშია, რომ მუშათა კლასი ასრულებს თავის საყოფარ შრომას და ინახავს თავის თავს, და გარდა ამისა ასრულებს კიდევ კაპიტალისტის შრომასაც და ინახავს მას. როგორც არ უნდა იყოს ნო მინალური გასამრჩელო, რასაც მწარმოებლები კაპიტალისტებისაგან ღებულობენ, მათი ნამდვილი გასამრჩელო ისაა, რომ მათ დაკისრებული აქვთ ის შრომა, რომელიც უნდა შეესრულებინათ კაპიტალისტებს» (გვ. 153—154).

ათვე ვეარაღობთ, რომ შეერთებული სამეფოს მოსახლეობა შეადგენს 25 მილიონ კაცს. ეთქვით, მათი შენახვა ჯდება საშუალოდ სულ მცირე 15 გირ. სტერლინგი თითოეულ კაცზე წელიწადში. ეს შეადგენს 375 მილ გირ. სტერ. წლიურ ღირებულებას შეერთებული სამეფოს მთელი მოსახლეობის შესანახად. მაგრამ ჩვენ მარტო საარსებო საშუალებებს როდი ვაწარმოებთ, რადგან ჩვენი შრომა ქმნის აგრეთვე ბევრ ისეთ საგანს, რომელიც არ არის განუყოფელი პირადი მოხმარებისათვის. ჩვენ ყოველწლიურად ვაღივებთ ჩვენი დაგროვების მარაგს, ანუ კაპიტალს, იმით, რომ ვაღივებთ ჩვენი სახლების, გემების, იარაღის, მანქანების, გზების და სხვა მოწყობილობათა რიცხვს შემდგომი წარმოებისათვის და, გარდა ამისა, ვაწარმოებთ ყოველივე გაცეითლის შეკეთებას. ამრიგად, თუმცა ჩვენი შენახვა ჯდება, როგორც ითქვა, მხოლოდ 375 მილ. გირ. სტერლინგი წელიწადში, მაგრამ ხალხის მიერ შექმნილი სიმდიდრის ერთობლივი წლიური ღირებულება იქნება არანაკლები 500 მილ. გირ. სტერლინგისა...

ნამდვილ მწარმოებლებად ჩვენ შეგვიძლია ვიანგარიშოთ მოსახლეობის მხოლოდ 1/4, ანუ დაახლოებით 6 მილიონი მამაკაცი 14-დან 50 წლამდე ასაკისა. შეიძლება ითქვას, რომ ამ რიცხვიდან არსებულ პირობებში საკეცა 5 მილიონი მონაწილეობდა მწარმოებაში (შემდეგ ბრეი ამბობს, უშუალოდ მატერიალურ წარმოებაში მხოლოდ 4 მილიონი მონაწილეობს); „უნიანიდან ათასობით შრომისუნარიანი მამაკაცი იძულებულია უსაქმოდ იყოს. მაშინ როდესაც იმ სამუშაოს, რაც მათ უნდა შეესრულებინათ, ქალები და ბავშვები ასრულებენ; ასიათასობით მამაკაცი კი ირლანდიაში სრულიად ვერ პოულობს სამუშაოს. ამრიგად, 5 მილიონზე ნაკლებმა მამაკაცმა რამდენიმე ათასეულ ბავშვთან და ქალთან ერთად უნდა აწარმოოს 25 მილიონისათვის...“

ამეამად არსებულ მუშათა რიცხვს არ შეეძლო მანქანების გამოყენებულად შეენახა თავისი თავი და უსაქმურთა და არამწარმოებელ მუშათა არსებული რიცხვი. მიწათმოქმედებასა და მრეწველობაში ამხანად გამოყენებული ყოველგვარი მანქანები ასრულებენ, გამოანგარიშებათა თანახმად, დაახლოებით 100 მილიონი შრომისუნარიანი

25. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

მაშკაციის შრომას... ამ მანქანებმა და მათმა გამოყენებამ ახლანდელი სისტემის პირობებში წარმოშვეს ის ასიათასობით უსაქმური და მოგების მქაველნი, რომლებიც ახლა მუშებს ჩაგრავენ...

ახლანდელი საზოგადოებრივი წყობილება განყოფიერებული იყო მანქანებით და მანქანებითვე დაინგრევა იგი... თვით მანქანები კარგია, უმართოდ არ შეიძლება იოლად წასვლა; მაგრამ ცუდია მათი გამოყენება, ის გარემოება, რომ მათ ფლობენ ცალკეული პირები და არა მთელი ერი...

ამჟამად წარმოებაში მონაწილე 5 მილიონი მაშკაციდან ერთნი მუშაობენ მხოლოდ 5 საათს დღეში, მეორენი კი — 15 საათს; თუ ამასთან მხედველობაში მივიღებთ დროის დანაკარგს საქმეების შეფერხების პერიოდებში მუშების დიდი მასის იძულებითი უსაქმურობის გამო, აღმოჩნდება, რომ ჩვენი წლიური პროდუქცია იქმნება და ნაწილდება საზოგადოების ერთ მეზუთედზე უფრო ნაკლები ნაწილის მიერ, რომელიც დღეში საშუალოდ 10 საათი მუშაობს.

თუ ვივარაუდებთ, რომ ყოველი სახის მდიდარი არამწარმოებელნი, მათი ოჯახებითა და შინამშახურებით, მხოლოდ 2 მილიონ კაცს შეადგენენ და რომ მათი შენახვა საშუალოდ იმდენივე ღირს, რამდენიც მუშების შენახვა, ე. ი. 15 გირ. სტერლინგი თითოეულ კაცზე, მაშინ უკვე ეს მასა 2 მილიონი კაცის რაოდენობით მუშათა კლასს დაუჭრდება 30 მილიონი გირ. სტერლინგი წელიწადში... მაგრამ ყველაზე ზომიერი შეფასებით თითოეული მათგანის შენახვა ღირს არანაკლებ 50 გირვანჯა სტერლინგისა. ეს შეადგენს საერთო გამს 100 მლნ. გირ. სტერლინგის ოდენობით, რაც წლიურად იხარჯება საზოგადოების აშკარა მუქათახორათა, სრულიად არამწარმოებელთა შესანახად...

ამას ემატება გაორჯეცებული და გაორჯეცებული შემოსავალი, რასაც წეროდ მესაქუთარი, მრეწველთა და ვაჭართა სხვადასხვა კლასები დებულობენ მოგებისა და სარგებლის ფორმით [444]. ყველაზე ზომიერი შეფასებით სიმდიდრის ის ნაწილი, რომელსაც საზოგადოების ეს მრავალრიცხოვანი ფენა მოიხმარს, წელიწადში არანაკლებ 140 მლნ. გირ. სტერლინგით აღემატება საუკეთესოდ ანაზღაურებულ მუშათა თანაბარი რიცხვის საშუალო მოხმარებას. ამრიგად, მუქათახორათა და მოგებით მაცხოვრებელთა ორი კლასი, რაც შესაძლოა, მთელი მოსახლეობის 1/4-ს შეადგენს, ნთქავს თავის მთავრობასთან ერთად, დაახლოებით 300 მილიონ გირ. სტერლინგს, ანუ მთელი წარმოებული სიმდიდრის ნახევარზე მეტს. იმპერიის თითოეულ მუშაზე ეს შეადგენს საშუალოდ 50 გირ. სტერლინგზე მეტ დანაკარგს წელიწადში... რჩება საშუალოდ დაახლოებით არამეტეცს 11 გირ. სტერლინგისა კაცზე წელიწადში ერის დანარჩენ 3/4-ს შორის გასანაწილებლად. 1815 წელს ჩატარებული გამანგარიშებით, გამოდის, რომ შეერთებული სამეფოს მთელი ხალხის წლიური შემოსავალი შეადგენდა დაახლოებით 430 მლნ. გირ. სტერლინგს, საიდანაც მუშათა კლასმა მიიღო 99 742 547 გირ. სტერლინგი, ხოლო რენტით, პენსიით და მოგებით მაცხოვრებლებმა მიიღეს 330 778 825 გირ. სტერლინგი, ქვეყნის მთელი საკუთრების ღირებულება იმხანად გამანგარიშებული იყო დაახლოებით 3 მილიარდი გირ. სტერლინგის ოდენობით» (გვ. 81—85).

შეადარე კინგის ცხრილი ¹¹⁴ და ა. შ.

1844 წელს ინგლისის მოსახლეობა შეადგენდა: მაღალი და დაბალი თავდაზნაურობა — 1 181 000 კაცს, ვაჭრები, მრეწველები, ფერმერები და ა. შ. — 4 221 000 კაცს (ორივე ეს კატეგორია ერთად — 5 402 000 კაცს), მუშები, პაუპერები და ა. შ. — 9 567 000 კაცს [Banfield, T. C. The Organization of Industry. 2nd edition. London, 1848 [გვ. 22—23]: [X—444]

საქართველოს
 სახელმწიფო
 ბიბლიოთეკის
 კოლექცია
 № 10000
 ქ. თბილისი

[თავი ოცდამეორე]

რ ა მ ს ე ი

[1] მუდმივსა და ცვალებად კაპიტალს შორის
 განსხვავების დადგენის ცდა. შეხედულება კაპიტალზე
 როგორც არაარსებით სოციალურ ფორმაზე]

[XVIII—1 086] Ramsay, George (of Trinity College).
 An Essay on the Distribution of Wealth. Edinburgh, 1836.

ვადედევართ რამსეიზე და ამასთან დაკავშირებით ჩვენ კვლავ ვუბ-
 რუნდებით ეკონომისტებს.

{იმისათვის, რომ სავაჭრო კაპიტალი წარმოების დარგს მიაკუთვნოს,
 რამსეი უწოდებს მას «საქონელთა ტრანსპორტირებას ერთი ადგილიდან
 მეორეზე». (რ ა მ ს ე ი, დასახელ. თხზ., გვ. 19). მაშასადამე, რამსეი
 ვაჭრობას ურევს სატრანსპორტო მრეწველობაში.}

რამსეის მთავარი დამსახურება შემდეგია:

უ წ ი ნ ა რ ე ს ყ ო ვ ლ ი ს ა, რომ იგი ფაქტიურად განასხვავებს
 ერთმანეთისაგან მ უ დ მ ი ვ ს ა და ც ვ ა ლ ე ბ ა დ კ ა პ ი ტ ა ლ ს.
 მართალია, ეს ისეთი ფორმით კეთდება, რომ მიმოქცევიდან აღებული
 განსხვავებანი ძირითადად და საბრუნავ კაპიტალს შორის ნ ო მ ი ნ ა -
 ლ უ რ ა დ ძალაში რჩება როგორც ერთადერთი განსხვავებანი, მაგრამ
 ძირითად კაპიტალს იგი იმგვარად განსაზღვრავს, რომ ეს კაპიტალი მუდ-
 მივი კაპიტალის ყველა ელემენტს შეიცავს. ამიტომ ძ ი რ ი თ ა დ კ ა -
 პ ი ტ ა ლ შ ი რამსეი გულისხმობს არა მარტო მანქანებს და იარაღებს, შე-
 ნობებს, სადაც მუშაობენ ან ინახავენ შრომის შედეგს, მუშა და საჭიშე
 პირუტყვის, არამედ ასევე ყოველგვარ ნედლეულს (ნახევარფაბრიკატე-
 ბისა და სხვათა ჩათვლით), «მიწათმოქმედის თესლს და მრეწველის
 ნედლეულს» (გვ. 22—23). გარდა ამისა, რამსეი ძირითად კაპიტალს მია-

კუთნებს «ყოველწლიურ სასუქს, სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მესერს და მრეწველობაში მოხმარებულ სათბობს» (გვ. 23).

«ს ა ბ რ უ ნ ა ე ი კ ა პ ი ტ ა ლ ი შედგება მარტოდენ კვების პროდუქტებისაგან და სხვა აუცილებელი საჭიროების საგნებისაგან, რომლებიც აყენსად ეძლევა მუშას მისი შრომის პროდუქტის დამთავრებამდე» (იქვე).

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ «საბრუნავ კაპიტალში» რამსეი გულისხმობს [1087] კაპიტალის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც წარმოადგენს ხელფასს, ძირითად კაპიტალში კი — კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც წარმოადგენს შრომის ობიექტურ პირობებს, — შრომის საშუალებებს და შრომის მასალას.

რა თქმა უნდა; რამსეის შეცდომა ისაა, რომ უშუალო წარმოების პროცესიდან აღებული ეს დაყოფა კაპიტალისა მას გაივიწყებული აქვს მიმოქცევის პროცესიდან გამომდინარე განსხვავებასთან. ეს იმის შედეგია, რომ იგი მტკიცედ იცავს ეკონომისტების ტრადიციას.

მეორე მხრივ, რამსეი აღნიშნული წესით განსაზღვრული ძირითადი კაპიტალის წმინდა ნივთობრივ შედგენილობას ურევს მის — როგორც «კაპიტალის» — ყოფიერებაში. ნამდვილი შრომის პროცესში «საბრუნავი კაპიტალი» (ე. ი. ცვალებადი კაპიტალი) არ შედის; მასში შედის ის, რაც იყიდეს საბრუნავი კაპიტალით, რაზეც გაიცვალა ეს საბრუნავი კაპიტალი — ცოცხალი შრომა. ის, რაც ამის გარდა შრომის პროცესში შედის, მუდმივი კაპიტალია, ე. ი. შრომა, გასაგნობრივებული შრომის ობიექტურ პირობებში — შრომის მასალა და შრომის საშუალებები. ამიტომ რამსეი ამბობს:

«აჩვენებთად ეროვნული სიმდიდრის წყაროს წარმოადგენს «მხოლოდ ძირითადი კაპიტალი, და არა საბრუნავი» (გვ. 23). «შრომა და ძირითადი კაპიტალი წარმოების ხარჯების ერთადერთი ელემენტებია» (გვ. 28).

ის, რაც ნამდვილად იხარჯება საქონლის წარმოებისას, არის ნედლეული, მანქანები და ა. შ. და ცოცხალი შრომა, რომელსაც ისინი მოძრაობაში მოჰყავს.

«საბრუნავი» კაპიტალი ზედმეტია, წარმოების პროცესის გარეშეა.

«თუ ვიგულისხმებთ, რომ მუშებს არ ეძლევათ ხელფასი მათი შრომის პროდუქტის დამთავრებამდე, მაშინ საბრუნავი კაპიტალი სრულიადაც არ იქნებოდა საჭირო. წარმოება იმავე მოცულობის იქნებოდა. ეს ამტკიცებს, რომ საბრუნავი კაპიტალი არ არის წარმოებაში უშუალოდ მოქმედი ძალა და მას საერთოდ არც კი აქვს ამ წარმოებისათვის არსებული მნიშვნელობა, არამედ მხოლოდ სიძნელის დაძლევის ხერხია, რომელიც აუცილებელი გახდება ხალხის ძირითადი მასის სავალალო სიღარიბის გამოსაღწევად» (გვ. 24). «ერის თვალსაზრისით მარტოდენ ძირითადი კაპიტალი შეადგენს წარმოების ხარჯების ელემენტს» (გვ. 26).

სხვა სიტყვებით: შრომის პირობებში — შრომის მასალასა და საშუალებებში — გასაგნობრივებული შრომა, რომელსაც რამსეი «ძირითად კაპიტალს» უწოდებს, და ცოცხალი შრომა, ანუ, მოკლედ, გობიექტივებული, გასაგნობრივებული შრომა და ცოცხალი შრომა, შეადგენენ წარმოების აუცილებელ პირობებს, ეროვნული სიმდიდრის ელემენტებს. პირიქით, მხოლოდ «ხალხის ძირითადი მასის სავალალო სიღარიბით» გამოწვეული სიძნელის დაძლევის «ხერხია» მხოლოდ [რამსეის მიხედვით] ის, რომ მუშის საარსებო საშუალებანი ღებულობენ საერთოდ «საბრუნავი კაპიტალის» ფორმას. წარმოების პირობა არის შრომა, მაგრამ არა დაქირავებული შრომა; მაშასადამე, წარმოების პირობა არ არის აგრეთვე ისიც, რომ მუშის საარსებო საშუალებანი უპირისპირდებიან მას როგორც «კაპიტალი», როგორც «კაპიტალისტის ავანსი». რამსეი მხედველობიდან უშვებს იმ გარემოებას, რომ თუ საარსებო საშუალებანი არ უპირისპირდებიან მუშას «კაპიტალის» სახით («საბრუნავი კაპიტალის» სახით, როგორც იგი მას უწოდებს), მაშინ შრომის ობიექტური პირობებიც ასევე არ უპირისპირდება მას «კაპიტალის» სახით («ძირითადი კაპიტალის» სახით, როგორც იგი მას უწოდებს). რამსეის სურს სერიოზულად, და არა მხოლოდ სიტყვით, როგორც ამას სხვა ეკონომისტები აკეთებენ, კაპიტალი დაიყვანოს «ეროვნული სიმდიდრის» იმ «ნაწილზე, რომელიც გამოიყენება კლავწარმოების გაადვილებისათვის ანდა განკუთვნილია ასეთი გამოყენებისათვის» [გვ. 21]. ამიტომ დაქირავებულ შრომას, მაშასადამე, კაპიტალსაც — იმ სოციალურ ფორმას, რომელსაც კვლავ წარმოების საშუალებანი ღებულობენ დაქირავებულ შრომის საფუძველზე — იგი აცხადებს ისეთ რამედ, რაც არაარსებითია და გამოწვეული მხოლოდ ხალხის ძირითადი მასის სიღარიბით.

ამრიგად, აქ ჩვენ მივადექით იმ პუნქტს, სადაც პოლიტიკური ეკონომია, თავისი ანალიზის საფუძველზე, აცხადებს, რომ წარმოების კაპიტალისტური ფორმა, მაშასადამე, კაპიტალიც, არის წარმოების არა აბსოლუტური, არამედ მხოლოდ «შემთხვევითი», ისტორიული პირობა.

მაგრამ რამსეი თავის ანალიზში ვერ წავიდა საქმად შორს იმისათვის, რომ სწორი დასკვნები გაეკეთებინა თავისი წინამძღვრებიდან, იმ ახალი განსაზღვრიდან, რომელიც მან მისცა კაპიტალს უშუალო წარმოების პროცესში.

[2] რაშსეის უახლოვლებანი ზედმეტ ღირებულეებასა და ღირებულეებაზე, ზედმეტი ღირებულეების დაყვანა მოგებაზე, მოგების ნორმასა და მასაზე მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის ღირებულეების ცვლილების გავლენის არაღამაქმბა-ყოფილებელი ახსნა-განმარტება. კაპიტალის ორგანული უდგენილობა, დაგროვება და მუშათა კლასის მდგომარეობა]

რაშსეი უახლოვდება ზედმეტი ღირებულეების სწორ გაგებას:

«საბრუნავი კაპიტალი ყოველთვის გამოიყენებს უფრო მეტ შრომას, ვიდრე წინათ თვით მასზე იყო დახარჯული. ვინაიდან, თუ იგი ვერ გამოიყენებდა უფრო მეტ შრომას, ვიდრე წინათ თვით მასზე დაიხარჯა, მაშინ რა სარგებლობას მიიღებდა მისი მფლობელი ამ კაპიტალის — როგორც ასეთის — გამოყენებით?» (გვ. 49). «ანდა დაიწყებენ იმის მტყიცებას, რომ შრომის ის რაოდენობა, რომლის გამოყენებაც ამა თუ იმ საბრუნავ კაპიტალს შეუძლია, უდრის მხოლოდ იმ შრომას, რაც უწინ მის წარმოებაზე დაიხარჯა? ეს ნიშნავს იმის მტყიცებას, რომ დახარჯული კაპიტალის ღირებულეება უდრის პროდუქტის ღირებულეებას» (გვ. 52).

ეს ნიშნავს, მაშასადამე, რომ კაპიტალისტი გასაგნობრივებული შრომის უფრო ნაკლებ რაოდენობას ცვლის ცოცხალი შრომის უფრო მეტ რაოდენობაზე და რომ ფსგადაუხდელი შრომის ეს გადანამეტი ქმნის პროდუქტის ღირებულეების გადანამეტს მისი წარმოების დროს მოხმარებული კაპიტალის ღირებულეებაზე, ქმნის, სხვა სიტყვებით, ზედმეტ ღირებულეებას (მოგებას და ა. შ.). თუკი შრომის რაოდენობა, რომელსაც კაპიტალისტი ხელფასის სახით ანაზღაურებს, შრომის იმ რაოდენობის ტოლი იქნებოდა, რომელსაც იგი პროდუქტის სახით უკან ღებულობს მუშისაგან, მაშინ პროდუქტის ღირებულეება არ იქნებოდა კაპიტალის ღირებულეებაზე მეტი და მოგებაც არ იარსებებდა. თუმცა რაშსეი ახლოსაა აქ ზედმეტი ღირებულეების ნამდვილი წარმოშობის გაგებასთან, მაგრამ მაინც იგი იმდენად შეპყრობილია ეკონომისტების ტრადიციით, რომ მას მაშინვე კვლავ ებნევა გზა. უწინარეს ყოვლისა თვით ის ხერხი, რომლითაც იგი ცვალებად კაპიტალსა [1088] და შრომას შორის ამ გაცვლას განმარტავს, ორაზროვანია. ეს გაცვლა რომ სავსებით ნათელი იყოს რაშსეისათვის, მაშინ შემდგომი გაუგებრობა შეუძლებელი იქნებოდა. რაშსეი ამბობს:

«საბრუნავი კაპიტალი, შექმნილი, მაგალითად, 100 მუშის შრომით, მოძრაობაში მოიყვანს 150 მუშას. მაშასადამე, პროდუქტი წლის ბოლოს ამ შემთხვევაში იქნება 150 მუშის შრომის შედეგი» (გვ. 50).

რა პირობებში შეუძლია 100 მუშის შრომის პროდუქტს იყიდოს 150 მუშის შრომა?

თუ ხელფასი, რასაც ერთი მუშა ღებულობს 12 სამუშაო საათში, იმ ღირებულების ტოლი იქნებოდა, რომელიც 12 სამუშაო საათში იქმნება, მაშინ მისი შრომის პროდუქტით შეიძლება ხელახლა მხოლოდ ერთი სამუშაო დღის ყიდვა, 100 მუშის პროდუქტით კი — მხოლოდ 100 სამუშაო დღისა. მაგრამ თუ მუშის შრომის ერთი დღის პროდუქტის ღირებულება 12 სამუშაო საათს უდრის, ხოლო ღირებულება ერთი დღის ხელფასისა, რომელსაც მუშა ღებულობს, 8 სამუშაო საათს უდრის, მაშინ მისი ერთი დღის პროდუქტის ღირებულებით შეიძლება ანაზღაურდეს (კვლავ ვიყიდოთ ამ ხელფასით) $1\frac{1}{2}$ სამუშაო დღე ან $1\frac{1}{2}$ მუშა. 100 სამუშაო დღის პროდუქტით კი შეიძლება დავიჭიროთ $100(1+\frac{1}{2})$ მუშა ან სამუშაო დღე) $= 100+50=150$ მუშას. მაშასადამე, იმისათვის, რომ 100 მუშის შრომის პროდუქტმა შეძლოს 150 მუშის ამოქმედება, აუცილებლად საჭიროა, რომ თითოეულმა ამ 100 მუშიდან, და საერთოდ ყოველმა მუშამ მექთან იმუშაოს კაპიტალისტისათვის თავისთვის ნამუშევარი დროის ნახევარი, ანუ სამუშაო დღის მესამედი. რამსეის ეს არა იქნეს ნათლად გამოთქმული. ორაზროვნობას იგი ამჟღავნებს დასკვნით ფრაზაში: «მაშასადამე, პროდუქტი წლის ბოლოს ამ შემთხვევაში იქნება 150 მუშის შრომის შედეგი». რა თქმა უნდა, ის იქნება 150 მუშის შრომის შედეგი, საესებით ისევე, როგორც 100 მუშის შრომის პროდუქტი 100 მუშის შრომის შედეგი იყო. ორაზროვნობა (და, უეჭველია, ბუნდოვანობა, რითაც ცოტად თუ ბევრად რამსეი მალთუსს უახლოვდება) შემდეგია: გვეჩვენება, თითქოს მოგება მხოლოდ იმიტომ მიიღება, რომ 100 მუშის ნაცვლად ახლა გამოიყენება 150 მუშა. საესებით ისე, თითქოს მოგებას 150 მუშიდან მხოლოდ იმიტომ ვღებულობდეთ, რომ ახლა 150 მუშის შრომის პროდუქტის მეოხებით ამოქმედებულა 225 მუშა (შემდეგი პროპორციის მიხედვით $100 : 150 = 150 : 225$, ან $20 : 30 = 30 : 45$, ანდა $4 : 6 = 6 : 9$). მაგრამ ეს არ არის მთავარი.

თუ 100 მუშის ერთობლივ სამუშაო დღეს აღვნიშნავთ x -ით, მაშინ x არის შრომის ის რაოდენობა, რომელსაც ეს 100 მუშა იძლევა. ხელფასი კი, რასაც ისინი ღებულობენ, შეადგენს $\frac{2}{3}x$ -ს. მაშასადამე, ამ მუშების შრომის პროდუქტის ღირებულება უდრის x -ს, მათი ხელფასის ღირებულება უდრის $x - \frac{1}{3}x$ -ს, მათ მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულება კი შეადგენს $\frac{1}{3}x$ -ს.

თუ 100 მუშის შრომის მთელი პროდუქტი კვლავ ხელფასზე იხარჯება, ამ პროდუქტით შეიძლება 150 მუშის დაჭირავეს, რომელთა შრომის პროდუქტი უდრის 225 მუშის ხელფასს. 100 მუშის სამუშაო დრო 100 მუშის

სამუშაო დროა. მაგრამ მათი ფასგადახდილი შრომა არის $66 \frac{2}{3}$ მუშის შრომის პროდუქტი, ე. ი. იგი შეადგენს მხოლოდ 100 მუშის შრომის პროდუქტში მოთავსებული ღირებულების ორმესამედს. ორაზროვნობა იქიდან გამომდინარეობს, რომ გვეჩვენება, თითქოს 100 მუშა, ანუ 100 სამუშაო დღე (სულ ერთი სამუშაო დღის ხანგრძლივობად ერთ წელს ვიგულისხმებთ, თუ ერთ დღეს) იძლევა 150 სამუშაო დღეს — ისეთ პროდუქტს, რომელიც შეიცავს 150 სამუშაო დღის განმავლობაში შექმნილ ღირებულებას; მაშინ როდესაც, პირიქით, 100 სამუშაო დღის განმავლობაში შექმნილი ღირებულება საკმარისია 150 სამუშაო დღის ასანაზღაურებლად. თუ კაპიტალისტი უწინდებურად 100 მუშის გამოყენებას განაგრძობდა, მაშინ მისი მოგება უცვლელი დარჩებოდა. იგი უწინდებურად 100 მუშას გადაუხდიდა პროდუქტს, რომელიც უდრის $66 \frac{2}{3}$ მუშის სამუშაო დროს, სხვაობას კი ჯიბეში ჩაიდებდა. ხოლო თუ კაპიტალისტი 100 მუშის მთელ პროდუქტს ისევ ხელფასზე ხარჯავს, მაშინ ის ახორციელებს დაგროვებას და მიითვისებს ახლა ზედმეტ შრომას, რომელიც 50 სამუშაო დღეს უდრის, მაშინ როდესაც უწინ იგი მხოლოდ $33 \frac{1}{3}$ სამუშაო დღეს ითვისებდა.

ამ საკითხზე რამსეის ნათელი წარმოდგენა რომ არა აქვს, ეს მაშინვე მტკიცედ იმაში, რომ იგი სამუშაო დროით ღირებულების განსაზღვრის საწინააღმდეგო არგუმენტად კვლავ ასახელებს სხვანაირად «გაუგებარ» მოვლენას, რომ მოგებ.ის.ნორმა ერთნაირია მათი კაპიტალებისათვის, რომლებიც შრომის სხვადასხვა რაოდენობას უწევენ ექსპლოატაციას:

«ძირითადი კაპიტალის გამოყენება დიდად უცვლელს სახეს იმ პრინციპს, რომ ღირებულება დამოკიდებულია შრომის რაოდენობაზე. ეს იმიტომ, რომ ცალკეული საქონელი, რომლებზეც შრომის ერთნაირი რაოდენობა იხარჯება, სხვადასხვა დროს მოითხოვენ იმისათვის, რომ ისინი მოხმარებისათვის მზად იყვნენ. მაგრამ რადგან ამ დროის განმავლობაში კაპიტალი შემოსავალს არ იძლევა, ამიტომ იმისათვის, რომ კაპიტალის მოცემული გამოყენება არ იყოს ნაკლებ მომგებოანი, ეიღრე სხვა მისი გამოყენებანი, როცა პროდუქტი უფრო ადრე მზადდება მოსახმარად, დირებულედა საქონლისა, როცა ის ბოლოს და ბოლოს ბაზარზე გადის, უნდა გაიზარდოს იმდენით, რა თანხაც დააკლდა მოგებას. ეს გვიჩვენებს, თუ როგორ შეუძლია კაპიტალს ღირებულების რეგულირება შრომისაგან დამოუკიდებლად» (გვ. 43).

ეს გვიჩვენებს, პირიქით, იმას, თუ როგორ არეგულირებს კაპიტალი საშუალო ფასებს¹¹⁸ ამა თუ იმ პროდუქტის დირებულეების და მიუხედავად, როგორ ახორციელებს კაპიტალი საქონელთა გაცვლას არა მათი ღირებულების მიხედვით, არამედ იმგვარად, რომ «კაპიტალის ერთი

გამოყენება არ იყოს [1089] ნაკლებმომგებიანი, ვიდრე სხვა მისი გამოყენებანი». რამსეიმ არ დააყოვნა აგრეთვე კვლავ გაემეორებინა ჭერ კიდევ [ჭემს] მილის დროიდან ყბადაღებული მაგალითი «სარდაფში ღვივნის» * შესახებ, ვინაიდან პოლიტიკურ ეკონომიაში გაუაზრებელი ტრადიცია უფრო ძლიერია, ვიდრე, რომელიმე სხვა მეცნიერებაში. და რამსეი დასკვნის: «მაშასადამე, კაპიტალი არის ღირებულების წყარო, რომელიც არ არის შრომაზე დამოკიდებული» (გვ. 55), მაშინ როდესაც სულიდიდი-დიდი მას უფლება ჰქონდა გამოეტანა ასეთი დასკვნა: ის ზედმეტი ღირებულება, რომლის რეალიზებასაც კაპიტალი ახდენს ამა თუ იმ განსაკუთრებულ დარგში, არ არის დამოკიდებული ამ კაპიტალის მიერ გამოყენებული შრომის რაოდენობაზე. [1089].

[1090] რამსეის მცდარი კონცეფცია აქ მით უფრო უცნაურია, რომ მას, ერთი მხრივ ესმის, ასე ვთქვათ, ზედმეტი ღირებულების ბუნებრივი ეფექტი, მეორე მხრივ კი იგი ადასტურებს ერთ შემთხვევაში, რომ ზედმეტი ღირებულებიდან აწილებათ — მისი გათანაბრება მოგების საერთო ნორმად — არ აღიღებს. თვით ზედმეტი ღირებულებას.

[ჭერ ერთი, რამსეი ამბობს:]

«მოგების არსებობა გაპრობებულია მატერიალური სამყაროს იმ კანონით, რომლის ძალითაც ბუნების სიუხვე, თუ მას ხელს უწყობენ და მას მართავენ ადამიანის შრომა და დახელოვნება, ერის შრომის ისე მდიდარი შედეგებით აჩილდობს, რომ ეს შრომა იძლევა პროდუქტის გადაწმეტს იმაზე ზევით, რაც აბსოლუტურად აუცილებელია გამოყენებული ძირითადი კაპიტალის ნატურალური ფორმით ანაზღაურებისათვის და წარმოებამი დასაქმებულ მუშათა მოდგმის გაგრძელებიანათვის...» [გვ. 205].

{ი კიდევ [1091] კაპიტალისტური წარმოების შესანიშნავი შედეგი: «მუშათა მოდგმის გაგრძელებიანათვის!» რა თქმა უნდა, თუ შრომის ნაყოფიერება საკმარისი იქნებოდა მხოლოდ შრომის პირობების კვლავწარმოებისათვის და მუშების სიცოცხლის შენარჩუნებისათვის, მაშინ არავითარი გადაწმეტი არ იქნებოდა შესაძლებელი, მაშასადამე არ იქნებოდა არც მოგება, არც კაპიტალი. მაგრამ ის ვარემოება, რომ ბუნებას არავითარი კავშირი არა აქვს იმასთან, რომ, მიუხედავად ამ გადაწმეტის არსებობისა, მუშების მოდგმა მრავლდება, გადაწმეტი კი მოგების ფორმას იღებს. და ამ საფუძველზე «კაპიტალისტების მოდგმა მრავლდება», — ეს ვარემოება აღიარა თვით რამსეიმ, როცა განაცხადა, რომ «საბრუნავი კაპიტალი» (ასე უწოდებს.

* — იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 96—101, 212, 273. რ ე დ:

იგი ხელფასს, დაჭირავებულ შრომას) არ არის წარმოების არსებითი პირობა, არამედ თავის არსებობას იგი უნდა უმაღლოდეს მხოლოდ «ხალხის ძირითადი მასის სავალალო სიღარიბეს». რამსეის არ გაუქვთე-ბია ის დასკვნა, რომ კაპიტალისტური წარმოება «აგრძელებს» ამ «სავალალო სიღარიბეს», თუმცა იგი, მეორე მხრივ, აღიარებს ამას, როცა ამბობს, რომ კაპიტალისტური წარმოება «აგრძელებს მუშათა მოდგმას» და მათ სწორედ იმდენს უტოვებს, რამდენიც აუცილებელია ამ აგრძელებისათვის. ზემოაღნიშნული აზრით შეიძლება ითქვას, რომ ზედმეტი ღირებულება და ა. შ. ემყარება გარკვეულ ბუნების კანონს, ადამიანის შრომისნაყოფიერებას მის ურთიერთქმედებაში ბუნებასთან. მაგრამ თვითონ რამსეი აღნიშნავს სამუშაო დროის აბსოლუტურ აგრძელებას როგორც ზედმეტი ღირებულების წყაროს (გვ. 102); იგი აღნიშნავს აგრეთვე მრეწველობის პროგრესის შედეგად გადიდებული შრომის ნაყოფიერებას.)

«... საქმარისა, რომ მთლიანმა პროდუქტმა თუნდაც ოდნავ გადაამეტოს იმას, რაც უქვევლად აუცილებელია ზემოაღნიშნული მიზნებისათვის, და უკვე შესაძლებელი ხდება პროდუქტის საერთო მასიდან მოგების სახელწოდებით გამოყოფა განსაკუთრებული შემოსავლისა, რომელიც ადამიანთა სხვა კლასს ეკუთვნის» (გვ. 205). «თვით არსებობა კაპიტალისტური მეწარმეებისა როგორც განსაკუთრებული კლასისა დამოკიდებულია შრომის ნაყოფიერებაზე» (გვ. 206).

მეორე, როცა ლაპარაკობს მოგების ნორმის გათანაბრებაზე ზოგიერთ დარგში ფასების გადიდების გამო, რაც გამოწვეულია ხელფასის [საერთო] გადიდებით, რამსეი შენიშნავს:

«ხელფასის საერთო გადიდების შედეგად წარმოების ზოგიერთ დარგში ფასების გადიდება სრულიადაც ეერ იხსნა კაპიტალისტური მეწარმენი მათი მოგების შემცირებისაგან, ამ გადიდება სრულიადაც ეერ შეამცირა მათი ერთობლივი დანაკარგი, არამედ ხელი შეუწყო ამ დანაკარგის მართოდენ უფრო თანაბარ განაწილებას ამ კლასის შემადგენელ სხვადასხვა ჯგუფებს შორის» (გვ. 163).

და თუ კაპიტალისტი, რომლის ღვინო 100 მუშის პროდუქტია (რამსეის მაგალითი), ამ ღვინოს ისევე ძვირად ყიდის, როგორც სხვა კაპიტალისტი, რომლის საქონელიც 150 მუშის პროდუქტია, რათა «კაპიტალის მოცემული გამოყენება არ იყოს ნაკლებმომგებოანი, ვიდრე მისი სხვა გამოყენებანი», მაშინ ცხადია, რომ ღვინოში და სხვა საქონელში მოთავსებული ზედმეტი ღირებულება ამის გამო არ დიდდება, არამედ თანაბრად ნაწილდება კაპიტალისტების სხვადასხვა ჯგუფებს შორის. [1091]

[1089] რამსეი კვლავ ასახელებს აგრეთვე რიკარდოსეულ «გამონაკლისებს» [სამუშაო დროით ღირებულების განსაზღვრიდან]. ამ «გამონაკლისების» განხილვა ჩვენ დაგვიკვირდება ჩვენს ტექსტში იქ, სადაც ლაპარაკი გვექნება ღირებულების გადაქცევაზე წარმოების ფასად [price of production]¹¹⁶. სახელდობრ, ამის შესახებ საჭირო იქნება მოკლედ ვთქვათ შემდეგი. თუ ვიგულისხმებთ, რომ სამუშაო ღირებულება წარმოების სხვადასხვა დარგში (რამდენადაც ადგილი არა აქვს მის კომპენსაციას შრომის ინტენსივობით, შრომის უსიამოვნებით და ა. შ.) ერთნაირია, ანუ, უფრო ზუსტად, თუ ვიგულისხმებთ, რომ ერთნაირია ზედმეტი შრომა, ერთნაირია ექსპლოატაციის ნორმა, — მაშინ ზედმეტი ღირებულების ნორმის ცვლილება შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელფასი იზრდება ან ეცემა. ზედმეტი ღირებულების ნორმის ამგვარი ცვლილება, რომელიც ხელფასის ზრდას ან დაცემას შეესაბამება, სხვადასხვანაირად იმოქმედებდა საქონელთა წარმოების ფასებზე [Produktionspreise] კაპიტალის ორგანული შედგენილობისდა მიხედვით. ის კაპიტალი, რომლის ცვალებადი შემადგენელი ნაწილი დიდია მუდმივ ნაწილთან შედარებით, ხელფასის დაცემის გამო მიიღებდა ზედმეტი შრომის უფრო მეტ რაოდენობას, ხელფასის გადიდების გამო კი მიითვისებდა ნაკლებ ზედმეტ შრომას, ვიდრე ის კაპიტალები, რომელთა მუდმივი შემადგენელი ნაწილი უფრო დიდია ცვალებად ნაწილთან შედარებით. ამრიგად, ხელფასის გადიდება თუ დაცემა მოგების ნორმაზე იმოქმედებდა ორივე დარგში პირუკუ მიმართულებით, ე. ი. გამოიწვევდა საპირისპირო გადახრებს მოგების საერთო ნორმიდან. ამიტომ იმისათვის, რომ მოგების საერთო ნორმა შენარჩუნებული იყოს, პირველი სახის საქონელთა ფასი ხელფასის გადიდებისას გადიდდება, მეორე სახის საქონელთა ფასი შემცირდება. (ყოველი სახის კაპიტალს, რასაკვირველია, მხოლოდ იმდენად შეეხება უ შ უ ა ლ ო დ ხელფასის რყევა, რამდენადაც ეს კაპიტალი ბევრ თუ ცოტა ცოცხალ შრომას იყენებს შედარებით მთელი დაბანდებული კაპიტალის ოდენობასთან.) პირიქით, როცა ხელფასი ეცემა, პირველი სახის საქონელთა ფასი შემცირდება, მეორე სახის საქონელთა ფასი კი გადიდდება.

კაცმა რომ თქვას, ყოველივე ეს საეჭუთა განეკუთვნებოდეს საკითხს ღირებულებათა წარმოების ფასებად თავდაპირველი გადაქცევისა და მოგების საერთო ნორმის თავდაპირველი დამყარების შესახებ, რადგან ეს უფრო იმ საკითხს შეეხება, თუ როგორ გავლენას მოახდენდა მოგების საერთო ნორმით რეგულირებულ წარმოების ფასებზე ხ ე ლ ფ ა ს ი ს ს ა ე რ თ ო გ ა დ ი დ ე ბ ა ა ნ დ ა ც ე მ ა .

კიდევ უფრო ნაკლები კავშირი აქვს ამ შემთხვევას ძირითადად და საბრუნავ კაპიტალს შორის არსებულ განსხვავებასთან. ბანკირი და ვაჭარი თითქმის მარტოდენ საბრუნავ კაპიტალს იყენებენ, მაგრამ ძალიან ცოტა ცვალებად კაპიტალს იყენებენ, ე. ი. ისინი შეფარდებით ცოტა კაპიტალს ხარჯავენ ცოცხალ შრომაზე. მაღაროს მფლობელი, პირიქით, შეუდარებლად უფრო მეტ ძირითად კაპიტალს იყენებს, ვიდრე მკერავი-კაპიტალისტი. მაგრამ იყენებს თუ არა იგი ასეთივე ოდენობით ცოცხალ შრომას — ეს დიდი საკითხია. მხოლოდ იმიტომ, რომ რიკარდომ წამოაყენა ეს სპეციალური, შედარებით უმნიშვნელო შემთხვევა როგორც ერთადერთი განსხვავება წარმოების ფასსა და ღირებულებას შორის (ანუ, როგორც იგი შეცდომით ამბობს: როგორც გამო-ნაკლისი სამუშაო ღრით ღირებულების განსაზღვრიდან) და წარმოგვიდგინა იგი ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის განსხვავების ფორმით, მოხდა ის, რომ ეს შეცდომა გადავიდა როგორც მნიშვნელოვანი დოგმა — თანაც უმართებულო ფორმით — მთელ შემდგომ პოლიტიკურ ეკონომიაში. (მაღაროს მფლობელი უნდა დაეუპირისპიროთ არა მკერავს, არამედ ბანკირს და ვაჭარს.)

რამსეი ამბობს:]

«ხელფასის გაღდება ზღვარდებულია შრომის ნაყოფიერებით. სხვა სიტყვებით, — მუშას არასოდეს არ შეუძლია მიიღოს ერთი დღის ან ერთი წლის შრომაში იმაზე მეტი, რაც მას სიმდიდრის ყველა სხვა წყაროს შემწვობით შეუძლია აწარმოოს ამავე დროის განმავლობაში... მისი ხელფასი უნდა იყოს აუცილებლად ამაზე ნაკლები, რადგან მთლიანი პროდუქტის ნაწილი მუდამ ხმარდება ძირითადი კაპიტალის» (ე. ი., როგორც ეს რამსეის მიხედვით გამოდის, მულმივი კაპიტალის: ნედლეულის, მანქანების და ა. შ.) «ანაზღაურებას მისი მოვებითურთ» (გვ. 119).

რამსეის აქ ერთმანეთში არეული აქვს ორი რამ. ერთი დღის პროდუქტში მოთავსებული «ძირითადი კაპიტალის» რაოდენობა არ არის მუშის ერთი დღის შრომის პროდუქტი, ე. ი. პროდუქტის ღირებულებების ეს ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია პროდუქტის გარკვეულ ნაწილში *in natura**, არ არის ერთი დღის შრომის პროდუქტი. მოგება კი, პირიქით, ნამდვილად არის გამონაკლები მუშის ამ ერთი დღის პროდუქტიდან ან ამ ერთი დღის პროდუქტის ღირებულებიდან.

თუ რამსეიმ ვერ შეიმუშავა ნათელი წარმოდგენა ზედმეტი ღირებულების ბუნებაზე, თუ იგი, კერძოდ, ღირებულებასა და წარმოების ფასს შორის ურთიერთობისა და ზედმეტი ღირებულების საშუალო მოგებად გადაქცევის შესახებ მთლიანად ძველი აზნეულობის ტყვეობაშია, სამა-

* — ნატურით, ნატურალური ფორმით. რ ე დ.

გიეროდ, პირიქით, ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის თავისი გაგებიდან მან გააკეთა სხვა, სწორი, [1090] დასკვნა.

წინასწარ მოვიყვანთ კიდევ რამსესის ერთ დებულებას «ღირებულება»-ის შესახებ:

«ღირებულება უნდა შეუფარდდეს არა მარტო ნამდვილად მოხმარებულ კაპიტალს, არამედ იმ კაპიტალსაც, რომელიც უცვლელი რჩება; ე. ი. უნდა შეუფარდდეს გამოყენებულ ერთობლივ კაპიტალს» (გვ. 74).

სინამდვილეში ეს უნდა ნიშნავდეს შემდეგს: მ რ გ ე ბ ა, მაშასადამე, წ ა რ მ ო ე ბ ის ფ ა ს ი ც, უნდა შეუფარდდეს მთელ გამოყენებულ კაპიტალს, მაშინ როდესაც ღირებულების სიდიდე აშკარად ვერ განიცდის კაპიტალის იმ ნაწილის გავლენას, რომელიც პროდუქტის ღირებულებაში არ შედის.

[ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის თავისი გაგებიდან რამსესიმ გააკეთა შემდეგი დასკვნა:]

საზოგადოების (ე. ი. კაპიტალისტური წარმოების) პროგრესთან ერთად კაპიტალის ძირითადი ნაწილი დიდდება მისი საბრუნავი ნაწილის ხარჯზე, ე. ი. იმ ნაწილის ხარჯზე, რომელიც შრომასზე იხარჯება. ამიტომ შრომის მოთხოვნა სიმდიდრის ზრდასთან ერთად, ანუ კაპიტალის დაგროვებასთან ერთად, უ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ მცირდება. მრეწველობაში «გასაქირს», რასაც მუშებისათვის მწარმოებლური ძალის განვითარება წარმოშობს, დროებითი ხასიათი აქვს, მაგრამ იგი მუდამ განახლდება ხოლმე. მიწათმოქმედებაში, განსაკუთრებით სახნავი მიწების საძოვრებად გადაქცევისას, ამ გასაქირს მუდმივი ხასიათი აქვს. საერთო შედეგი ასეთია: საზოგადოების პროგრესთან, ე. ი. კაპიტალის განვითარებასთან ერთად (მაშასადამე, ეროვნული სიმდიდრის განვითარებასთან ერთად), სიმდიდრის ეს განვითარება სულ უფრო ნაკლებ გავლენას ახდენს მუშის მდგომარეობაზე, alias* მუშის მდგომარეობა შეფარდებით უ ა რ ე ს დ ე ბ ა იმავე პროპორციით, რა პროპორციითაც იზრდება საზოგადოებრივი სიმდიდრე, ე. ი. ადვილი აქვს კაპიტალის დაგროვებას; ანუ, რაც იგივეა, იმავე პროპორციით, რომლითაც დიდდება კვლავწარმოების მასშტაბი. როგორც ვხედავთ, ეს შედეგები მეტად შორსაა ა. სმიტის გულუბრყვილო კონცეფციიდან ან ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის აპოლოგეტიკური კონცეფციიდან. ა. სმიტის კონცეფციის თანახმად კაპიტალის დაგროვება იგივეა, რაც შრომის მოთხოვნის ზრდა, ხელფასის განუწყვეტელი გადიდება და ა მ ი ტ ო მ — მოგების დაცემა. ა. სმიტის

* — სხვანაირად რომ ეთქვათ. რ ე დ.

დროს შრომის მოთხოვნა მართლაც იზრდებოდა სულ ცოტა იმდენადვე მაინც, რამდენადაც კაპიტალის დაგროვება ხდებოდა, რადგან მაშინ ჯერ კიდევ მანუფაქტურა ბატონობდა, მსხვილი მრეწველობა კი ჯერ კიდევ ჩვილი იყო და აკვანში იმყოფებოდა.

[რამსეი ამბობს]:

«შრომის მოთხოვნა დამოკიდებულია (პირდაპირ, უშუალოდ) მხოლოდ საბრუნავი კაპიტალის სიდიდეზე» (გვ. 87). (აქ რამსეის გამოუღის ტაქტოლოგია, რადგან საბრუნავი კაპიტალი — მისი მიხედვით — უღრის ხელფასზე დახარჯულ კაპიტალს.) «ცივილიზაციის პროგრესთან ერთად ქვეყნის ძირითადი კაპიტალი იზრდება საბრუნავი კაპიტალის ხარჯზე» (გვ. 89) «ამიტომ შრომის მოთხოვნა ყოველთვის არ იზრდება კაპიტალის გადიდებასთან ერთად, ყოველ შემთხვევაში იგი იმდენადვე როდი იზრდება» (გვ. 88). «მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ახალ გამოგონებათა გამო საბრუნავი კაპიტალი დიდდება თავის წინანდელ მოცულობასთან შედარებით»

აქ კვლავ გამოსჭვივის მცდარი შეხედულება, თითქოს საარსებო საშუალებათა საერთო რაოდენობის გადიდება და მუშებისათვის განკუთვნილ საარსებო საშუალებათა ნაწილის გადიდება ერთი და იგივე იყოს),

«წარმოიქმნება შრომის დიდი მოთხოვნა. ეს მოთხოვნა გიზრდება მაშინ, მაგრამ არა მთელი კაპიტალის დაგროვების პროპორციულად. იმ ქვეყნებში, სადაც მრეწველობამ მნიშვნელოვან განვითარებას მიაღწია, ძირითადი კაპიტალის შეფარდება ცვალებადთან თანდათანობით სულ უფრო დიდი ხდება. ამიტომ კვლავ წარმოებებისათვის განკუთვნილი ერთეული ფონდის ყოველი გადიდება საზოგადოების პროგრესთან ერთად სულ უფრო ნაკლებ გავლენას ახდენს მუშის მდგომარეობაზე» (გვ. 90—91) «ძირითადი კაპიტალის ყოველი გადიდება ხდება საბრუნავი კაპიტალის ხარჯზე, ე. ი. შრომის მოთხოვნის ხარჯზე» (გვ. 91).

«გასაჭირს, რასაც მრეწველობაში დასაქმებული მუშა მოსახლეობისთვის მანქანების გამოგონება წარმოშობს, ალბათ, მხოლოდ დროებითი ხასიათი აქვს, მაგრამ იგი შეიძლება განახლდეს ხოლმე, რადგან ახალი გაუმჯობესებანი მუდამ ხელს უწყობენ შრომის დაზოგვას» (გვ. 91).

მრეწველობაში ამ გასაჭირს, რამსეის მიხედვით, (გვ. 91—92) დროებითი ხასიათი აქვს შემდეგი მიზეზების გამო. [ჯერ ერთი:] ახალი მანქანების გამოყენებელი კაპიტალისტები დამატებითს მოგებას ღებულობენ; მაშასადამე, მათ შეუძლიათ გააკეთონ დანაზოგი და გაადიდონ თავიანთი კაპიტალი. ამ დანაზოგთა ნაწილი გამოიყენება აგრეთვე საბრუნავი კაპიტალის სახითაც. მეორე: სამრეწველო საქონლის ფასი: ეცემა წარმოების დანახარჯთა შემცირების შესაბამისად; მაშასადამე, მომხმარებლები აკეთებენ დანაზოგს, რის შედეგადაც ადიდდება კაპიტალის დაგროვება, რომლის ნაწილს შეუძლია მრეწველობის იმ დარგში მოხვედეს, სადაც საქონლის წარმოების ხარჯები მცირდება. მეესამე: ამ პროდუქტთა ფასების დაცემა ადიდებს მათზე მოთხოვნას.

«ამრიგად, თუმცა მანქანების შემოღებას შეუძლია ადამიანთა მნიშვნელოვანი ნაწილი უმუშევარი გახადოს, მაგრამ მაინც, ალბათ, ისინი ყველანი ანდა მუშების კიდევ უფრო დიდი რიცხვით კი დროის მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი მონაკვეთის გავლის შემდეგ კვლავ მიიღებენ სამუშაოს» (გვ. 92—93).

«მწიფი მოქმედებაში საქმის ვითარება სრულიად სხვაგვარადაა. ნერლეულის მოთხოვნა არ იზრდება ისე სწრაფად, როგორც სამრეწველო საქონლის მოთხოვნა... სოფლის მოსახლეობისათვის ყველაზე დამლუპველია სახნავი მიწის საძოვრად გადაქცევა... თითქმის მთელი ის ფონდები, რომლებიც წინათ მუშებს ინახავდნენ, ახლა იხარკები. მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე, ცხვრებზე და ძირითადი კაპიტალის სხვა ელემენტებზე» (გვ. 93). [1090]

[1091] რამსეი მართებულად შენიშნავს:

«ხ ე ლ ფ ა ს ი, საესებით ისევე როგორც მოგება, უნდა განვიხილოთ როგორც მ ზ ა პ რ ო დ უ ქ ტ ი ს ნამდვილი ნ ა წ ი ლ ი, რომელიც ერის თვალსაზრისით სრულიად განსხვავდება ამ პროდუქტის წარმოების ხარჯებისაგან» (გვ. 142).

«ძირითადი კაპიტალი... ისი გამოყენების შედეგების მიუხედავად... წმინდა დანა-კარგია... მხოლოდ შრომა, თუ მხედველობის გარეშე დაეტოვებთ ამ შრომისთვის გადახდილ ხელფასს, წარმოადგენს, მოხმარებულ ძირითად კაპიტალთან ერთად, წარმოების ხარჯების ელემენტს. შრომა არის მსხვერპლი. რაც უფრო ბევრი იხარჯება იგი მეურნეობის ერთ დარგში, მით უფრო ნაკლები რჩება იგი მეორე დარგისათვის. ამიტომ, თუ შრომა გამოიყენება დაბალმოგებიან საწარმოებში, მაშინ ერი ზარალდება სიმდიდრის მთავარი წყაროს გაფლანგვის გამო... შ რ ო მ ი ს ა ნ ა ზ ლ ა უ რ ე ბ ა არ შეადგენს ხარჯების ელემენტს» (გვ. 142—143).

(ეს საესებით სწორია, რომ ღირებულების ელემენტად, რამსეის თანახმად, გვევლინება შ რ ო მ ა და არა ფასგადახდილი შრომა, არა ხელფასი).

რამსეი სწორად აგვიწერს კვლავწარმოების რ ე ა ლ უ რ პროცესს:

«როგორ შეიძლება პროდუქტის შედარება მისზე დახარჯულ კაპიტალთან?... თუ მხედველობაში გვექნება მთლიანად აღებული ერი... მაშინ საესებით ნათელია, რომ და ხ ა რ ჯ უ ლ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ყ ვ ე ლ ა ს ს ვ ა დ ა ს ხ ე ა ე ლ ე მ ე ნ ტ ი კ ე ლ ა ვ წ ა რ მ ო ე ბ უ ლ უ ნდა იქნეს მეურნეობის ამა თუ იმ დარგში, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა ქვეყნის წარმოების წარმართვა წინანდელი მასშტაბით. მრეწველობის ნედლი მასალა, მასში და აგრეთვე სოფლის მეურნეობაში მოხმარებული იარაღები, მრავალრიცხოვანი და რთული მანქანები მრეწველობაში, პროდუქტების წარმოების ან შენახვისათვის აუცილებელი შენობები, — ყოველივე ეს, შეზადგენელი ნაწილების სახით, უნდა შედიოდეს როგორც ქვეყნის ერთობლივ პროდუქტში, ისე მის კაპიტალისტურ მეწარმეთა ყველა აგანსშიც. ამიტომ ერთობლივი პროდუქტის რაოდენობა შეიძლება შედარდეს ავანსების რაოდენობას — იმის მეოხებით, რომ ყოველი სავანი შეიძლება წარმოიდგინოთ როგორც, ასე ვთქვათ, მსგავსი სახეობის მეორე სავანის გვერდით მდგომი (გვ. 137—139). «რაც შეეხება ყოველ ცალკეულ კაპიტალისტს».

{ეს მცდარი აბსტრაქციაა. ერი არსებობს მხოლოდ როგორც კაპიტალისტთა კლასი, და მთლიანად აღებული ეს კლასი საზღვრებით ისევე მოქმედებს, როგორც ყოველი ცალკეული კაპიტალისტი. განხილვის ეს ორი წესი ერთიმეორისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ერთი ახდენს სახმარო ღირებულებებს, მეორე კი—საცვლელი ღირებულებების ფიქსაციას და იზოლაციას}.

« — იმ გარემოების გამო, რომ იგი არ ანაზღაურებს თავის დანახარჯს ნატურით, არამედ მისი მეტი ნაწილი მან უნდა მიიღოს გაცვლის მეშვეობით, რისთვისაც აუცილებლად საჭიროა პროდუქტის გარკვეული ნაწილი; — ამის გამო ყოველი ცალკეული კაპიტალისტი მეწარმე იძულებულია გაცილებით მეტი ყურადღება მიაქციოს თავისი პროდუქტის საცვლელ ღირებულებას, ვიდრე ამ პროდუქტის რაოდენობას» (გვ. 145—146).

[1092] «რაც უფრო მეტად აღემატება მისი პროდუქტის ღირებულებას აენახებული კაპიტალის ღირებულებას, მით უფრო მეტი იქნება მისი მოგება. ამრიგად, კაპიტალისტი გამოიანგარიშებს მოგებას იმით, რომ მოახდენს ღირებულების შედარებას ღირებულებასთან და არა რაოდენობის შედარებას რაოდენობასთან. ეს არის პირველი სხვაობა, რომელიც უნდა აღინიშნოს ერებსა და ცალკეულ კაპიტალისტებს შორის მოგებათა გამოანგარიშების წესში».

{საივვე ერსაც მთლიანად, თუ ვიგულისხმებთ, რომ იგი კაპიტალისტთა ერთობლიობისაგან განსხვავებული რამ არის, შეუძლია გარკვეული აზრით ღირებულების შედარება ღირებულებასთან შემდეგნაირად: მას შეუძლია გამოიანგარიშოს მთელი ის სამუშაო დრო, რაც მას უჭდება მისი მუდმივი კაპიტალის მოხმარებული ნაწილისა და პროდუქტის იმ ნაწილის ანაზღაურება, რომელიც ინდივიდუალურ მოხმარებაში შევიდა, — და ის სამუშაო დრო, რაც დაიხარჯა კვლავწარმოების მასშტაბის გაფართოებისათვის განკუთვნილი ნამეტის შექმნაზე.}

«მეორე სხვაობა ისაა, რომ რადგან კაპიტალისტი მეწარმე აენახად აძლევს მუშას ხელფასს ნაცელად იმისა, რომ ეს ხელფასი მას შუა საქონლიდან უხადოს, ამიტომ მას ეს აენახი, ისევე როგორც მოხმარებული ძირითადი კაპიტალიც, თავისი ხარჯების ნაწილად მაინა, თუმცა ხელფასი, ერის თვალსაზრისით, არ წარმოადგენს ხარჯების ელემენტს».

{კვლავწარმოების ერთობლივი პროცესისათვის ფაქტიურად ეს განსხვავებაც მოხსნილია. კაპიტალისტი მუდამ იხდის ხელფასს მზა პროდუქტიდან; ე. ი. საქონლიდან, რომელიც მუშამ გუშინ აწარმოვა, კაპიტალისტი უხდის მას მეორე დღეს მის ხელფასს; სხვა სიტყვებით, ხელფასის ფორმით კაპიტალისტი ფაქტიურად მუშას აძლევს მხოლოდ ჩეკს მომავალში დასამზადებელი პროდუქ-

ტის მისაღებად, ან იმ თითქმის მზა პროდუქტის მისაღებად, რომლის წარმოებაც იმ მომენტისათვის მთავრდება, როცა მას ყიდულობენ. ავანსის მიცემა ქრება როგორც მარტოოდენ მოჩვენებითობა, როგორც კი ჩვენ განვიხილავთ კვლავწარმოებას, ე. ი. წარმოების პროცესს მის უწყვეტობაში.}

«კაპიტალისტური მეწარმის მოგების ნორმა დამოკიდებული იქნება, მაშასადამე, იმაზე, თუ რამდენით აღემატება მისი პროდუქტის ღირებულება ავანსებული კაპიტალის, როგორც ძირითადი, ისე საბრუნავი კაპიტალის, ღირებულებას» (გვ. 146).

{იგივე მდგომარეობაა აგრეთვე «ეროვნული თვალსაზრისითაც» კაპიტალისტური მეწარმის მოგება მუდამ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა უჭდება თვით მას პროდუქტის წარმოება, სულ ერთია, მზად არის თუ არა ეს პროდუქტი ხელფასის გადახდის მომენტისათვის.}

რამსეის დამსახურება არის, ჯერ ერთი, ის, რომ იგი უარყოფს ა. სმიტის დროიდან საყოველთაოდ გავრცელებულ მცდარ შეხედულებას, თითქოს ერთობლივი პროდუქტის ღირებულება იშლება სხვადასხვა სახელწოდების შემოსავლად; მეორე, ის, რომ იგი მოგების ნორმას განსაზღვრავს ორნაირად: ხელფასის ნორმით, ე. ი. ზედმეტი ღირებულების ნორმით, და მუდმივი კაპიტალის ღირებულებით. მაგრამ რამსეი სჩადის საპირისპირო ცოდვას რიკარდოსთან შედარებით. რიკარდოს სურს ნაძალადევად გაუთანაბროს ზედმეტი ღირებულების ნორმა მოგების ნორმას. რამსეი, პირიქით, აყენებს მოგების ნორმის ორგვარ განსაზღვრას: 1) განსაზღვრა მისი ზედმეტი ღირებულების ნორმით (მაშასადამე, ხელფასის ნორმით) და 2) განსაზღვრა მისი ამ ზედმეტი ღირებულების შეფარდებით მთელ ავანსებულ კაპიტალთან (მაშასადამე, რამსეი აქ ფაქტიურად მოგების ნორმას განსაზღვრავს იმ ნაწილით, რომელსაც მუდმივი კაპიტალი შეადგენს მთელს კაპიტალში), — და ამ ორ განსაზღვრას იგი მოუსაზრებლად წარმოგვიდგენს როგორც მოგების ნორმის განსაზღვრელ ორ პარალელურ გარემოებას. რამსეი ვერ ხედავს იმ გარდაქმნას, რასაც ზედმეტი ღირებულება განიცდის, ვიდრე იგი მოგებად გადაიქცევა. ამიტომ, თუ რიკარდო ღირებულების თეორიის გატარების მიზნით ცდილობს მოგების ნორმა ნაძალადევად დაიყვანოს ზედმეტი ღირებულების ნორმაზე, სამაგიეროდ რამსეი ცდილობს ზედმეტი ღირებულება დაიყვანოს მოგებაზე. შემდეგში ჩვენ დავინახავთ, რომ ის წესი, რომლითაც იგი წარმოგვიდგენს მუდმივი კაპიტალის ღირებულების გავლენას მოგების ნორმაზე, ან ძალზე არასაკმარისია, ანდა მცდარია.

[რამსეი ამბობს:]

26. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

«მოგება უნდა დიდებოდეს და მცირებოდეს ზუსტად იმდენადვე, რამდენადაც მცირდება ან დიდდება მთლიანი პროდუქტის ან მისი ღირებულების ნაწილი, რომელიც საჭიროა აუცილებელი ავანსების ასანაზღაურებლად... ამიტომ მოგების ნორმა დამოკიდებულია ორ ფარემოებაზე: ჯერ ერთი, მთელი პროდუქტის იმ ნაწილზე, რომელიც მუშებს წილად ხედება; მეორე, იმ ნაწილზე, რომელიც უნდა გადაიდოს ძირითადი კაპიტალის ასანაზღაურებლად ნატურით ან გაცვლის მეშვეობით» (გვ. 147—148).

მაშასადამე, სხვა სიტყვებით, მოგების ნორმა დამოკიდებულია იმ ნამეტზე, რომლითაც პროდუქტის ღირებულება აღემატება საბრუნავი და ძირითადი კაპიტალის ჯამს; მაშასადამე, იგი დამოკიდებულია იმ ნაწილზე, რომელსაც, ჯერ ერთი, საბრუნავი კაპიტალი და, მეორე, ძირითადი კაპიტალი შეადგენენ მთელი პროდუქტის ღირებულებაში. თუ ვიცით, საიდან მიიღება ეს გადანამეტი, მაშინ საქმის ვითარება მარტივია. მაგრამ თუ ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ მოგება დამოკიდებულია გადანამეტის შეფარდებაზე ამ დანახარჯთან, მაშინ ჩვენ შეგვიძლია გვეკონდეს ყველაზე მცდარი წარმოდგენა ამ გადანამეტის წარმოშობაზე, შეგვიძლია, მაგალითად, რამსეის მსგავსად, წარმოვიდგინოთ, თითქოს ეს გადანამეტი ნაწილობრივ ძირითადი (მუდმივი) კაპიტალიდან არმოდებოდეს:

[1 093] «უეჭველია, რომ ძირითადი კაპიტალის შედგენილობაში შემავალი სხვადასხვა ნივთის წარმოების გადიდებული სიადვილე ხელს უწყობს, ამ ნაწილის* შემცირების მეშვეობით, მოგების ნორმის გადიდებას, მსგავსად იმისა, როგორც წინა შემთხვევაში ეს გამოწვეული იყო შრომის შენახვისათვის განუთვნილი საბრუნავი კაპიტალის ელემენტების კლავწარმოების გაიფებით» (გვ. 164).

მაგალითად, ფერმერის მეურნეობაში:

«როგორც არ უნდა იცვლებოდეს მთლიანი პროდუქტის სიდიდე, მისი რაოდენობა, რომელიც საჭიროა ყოველივე იმის ასანაზღაურებლად, რაც სხვადასხვა ფორმით მოხმარებულ იქნა წარმოების პროცესში, არავითარ ცვლილებას არ განიცდის. ეს რაოდენობა უნდა განიხილებოდეს როგორც მუდმივი, სანამ წარმოება წინანდელი მოცულობით წარიმართება. მაშასადამე, რაც უფრო დიდია მთლიანი პროდუქტი, მით უფრო მცირე უნდა იყოს მისი ის ნაწილი, რომელიც ფერმერმა უნდა გადადოს ხოლმე აღნიშნული მიზნებისათვის» (გვ. 166).

«რაც უფრო ადვილად შეუძლია ფერმერს, რომელიც აწარმოებს კვების საგნებს და ისეთ ნედლეულს, როგორიცაა სელი, კანაფი, ხე-ტყე და ა. შ., აველავწარმოოს ისინი, მით უფრო მეტად გადიდება მოგება. ფერმერის მოგება დიდდება მისი პროდუქტის რაოდენობის ზრდის მეოხებით; პროდუქტის ერთობლივი

* — ე. ი. მთლიანი პროდუქტის ნაწილისა, რომელიც საჭიროა «ძირითადი კაპიტალის» ასანაზღაურებლად. რ. ე. დ.

ლირებულება უცვლელი რჩება, მაგრამ ფერმერს ძირითადი კაპიტალის იმ სხვადასხვა ელემენტების ასანაზღაურებლად, რომლებითაც მას შეუძლია თავისი თავი თვითონ მოამარაგოს, სჭირდება ახლა, წინანდელთან შედარებით, მთელი პროდუქტის უფრო მცირე ნაწილი, მაშასადამე. აგრეთვე მისი ღირებულების უფრო მცირე ნაწილიც. რაც შეეხება მრეწველ კაპიტალისტს, იგი მოგებული დარჩება თავისი პროდუქტის ვალიდებული ყიდვლობითი ძალის გამო» (გვ. 166—167).

ვთქვათ, მოსავალი უდრის 100 კვარტერს, თესლისთვის კი საჭიროა 20 კვარტერი, ე. ი. მოსავლის $\frac{1}{5}$. ვთქვათ შემდეგ, რომ მომდევნო წელს მოსავალი ორკეცდება (შრომის იმავე რაოდენობის დახარჯვისას); იგი უდრის ახლა 200 კვარტერს. თუ წარმოების მასშტაბი წინანდელი რჩება, მაშინ თესლისთვის საჭიროა, როგორც უწინ, 20 კვარტერი, მაგრამ ახლა ეს შეადგენს მხოლოდ მოსავლის $\frac{1}{10}$ -ს. ამასთან მხედველობაში მისაღებია, რომ წინანდელი 100 კვარტერის ღირებულება უდრის ახლანდელი 200 კვარტერის ღირებულებას; მაშასადამე, პირველი მოსავლის ერთი კვარტერი უდრის [ღირებულების მიხედვით] მეორე მოსავლის ორ კვარტერს. პირველ შემთხვევაში რჩებოდა 80 კვარტერი, მეორე შემთხვევაში რჩება 180 კვარტერი. რადგან ხელფასის სიდიდეს საერთო არაფერი აქვს აქ განსახილველ საკითხთან მოგების ნორმაზე მუდმივი კაპიტალის ღირებულების ცვლილების გავლენის შესახებ, ამიტომ დავუშვათ, რომ ხელფასი ღირებულების მიხედვით უცვლელი რჩება. მაშასადამე, თუ პირველ შემთხვევაში იგი შეადგენს 20 კვარტერს, მეორე შემთხვევაში იგი უდრის 40 კვარტერს. დავუშვათ, ბოლოს, რომ მუდმივი კაპიტალის სხვა შემადგენელი ნაწილები, რომელთაც ფერმერი არ აყვლაფწარმოებს in natura უდრის 20 კვარტერის ღირებულებას პირველ შემთხვევაში და, მაშასადამე, 40 კვარტერის ღირებულებას მეორე შემთხვევაში.

ამრიგად, ჩვენ გვაქვს შემდეგი გაანგარიშება:

1) პროდუქტი უდრის 100 კვარტერს. თესლი უდრის 20 კვარტერს. დანარჩენი მუდმივი კაპიტალი უდრის 20 კვარტერს. ხელფასი უდრის 20 კვარტერს. მოგება უდრის 40 კვარტერს.

2) პროდუქტი უდრის 200 კვარტერს. თესლი უდრის 20 კვარტერს. დანარჩენი მუდმივი კაპიტალი უდრის 40 კვარტერს. ხელფასი უდრის 40 კვარტერს. მოგება უდრის 100 კვარტერს; ეს უკანასკნელი ღირებულების მიხედვით უდრის №1 პროდუქტის 50 კვარტერს. მაშასადამე, მეორე შემთხვევაში გვექნებოდა 10 კვარტერი დამატებითი მოგება.

ამრიგად, აქ მუდმივი კაპიტალის ღირებულების ცვლილების გამო გადიდებოდა არა [მარტო] მოგების ნორმა, არამედ თვით მოგებაც. თუმცა ხელფასი პირველ და მეორე შემთხვევაში ერთი და იგივე დარჩა, მაგრამ გაიზარდა მოგების შეფარდება ხელფასთან, ე. ი. გადიდებოდა ზედმეტი ღირებულების ნორმა. მაგრამ, ეს მხოლოდ მოჩვენებითობაა. მოგება მეორე შემთხვევაში იქნებოდა, ჯერ ერთი, 80 კვარტერი, რაც [ღირებულების მიხედვით] უდრის №1 პროდუქტის 40 კვარტერს და იძლევა იმავე შეფარდებას ხელფასთან, როგორც პირველ შემთხვევაში იყო; მეორე, მოგება იქნებოდა 20 კვარტერი, რაც უდრის მხოლოდ №1 პროდუქტის 10 კვარტერს, რომელიც მუდმივი კაპიტალიდან შემოსავლად გადაიქცეოდა.

მაგრამ სწორია თუ არა ეს გამოანგარიშება? ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ მეორე შემთხვევაში შედეგი [მოსავლის გაორკეცება] მიიღება მომდევნო წლის შემოდგომაზე მიუხედავად იმისა, რომ მუშაობა წარმოებდა წინანდელ პირობებში. უფრო მეტი სიცხადისათვის ვიგულისხმობთ, რომ კვარტერი პირველ შემთხვევაში ღირს 2 გირ. სტერლინგი. მაშინ მეორე შემთხვევაში ფერმერმა მოსავლის მოყვანაზე, რომელმაც მას შემოდგომაზე 200 კვარტერი მისცა, დახარჯა 20 კვარტერი თესლი (40 გირ. სტერლინგი), 20 კვარტერი დანარჩენ მუდმივ კაპიტალზე (40 გირ. სტერლინგი), 20 კვარტერი ხელფასზე (40 გირ. სტერლინგი). სულ 120 გირ. სტერლინგი, პროდუქტი კი უდრის 200 კვარტერს. პირველ შემთხვევაში მან დახარჯა აგრეთვე მხოლოდ 120 გირ. სტერლინგი (60 კვარტერი), პროდუქტი კი უდრიდა 100 კვარტერს (200 გირ. სტერლინგი). მოგებისათვის რჩებოდა 80 გირ. სტერლინგი, ანუ 40 კვარტერი. რადგან 200 კვარტერი მეორე შემთხვევაში შრომის იმავე რაოდენობის შედეგია [როგორც 100 კვარტერი პირველ შემთხვევაში იყო], ამიტომ ეს 200 კვარტერიც მხოლოდ 200 გირ. სტერლინგი ღირს. მაშასადამე, მეორე შემთხვევაში მოგებისათვის რჩება აგრეთვე მხოლოდ 80 გირ. სტერლინგი, რაც ახლა, თუმცა, 140 კვარტერს უდრის¹¹⁷. ამრიგად, ერთი კვარტერი [ფერმერს] უჭდება მხოლოდ $\frac{4}{7}$ გირ. სტერლინგი და არა 1 გირ. სტერლინგი. სხვა სიტყვებით, კვარტერის ღირებულება შემცირდებოდა 2-დან $\frac{4}{7}$ გირ. სტერლინგამდე, ე. ი. $1\frac{3}{7}$ გირ. სტერლინგით და არა 2-დან 1 გირ. სტერლინგამდე, ანდა შემცირდებოდა სანახევროდ, როგორც ეს ნაგულისხმევი იყო მეორე შემთხვევისათვის პირველის საპირისპიროდ.

ფერმერის მთელი პროდუქტი მეორე შემთხვევაში უდრის 200 კვარტერს, რომლის ღირებულებაც შეადგენს 200 გირ. სტერლინგს. მაგრამ აქედან 120 გირ. სტერლინგი ანაზღაურებს იმ 60 კვარტერს, რომელიც

ფერმერმა წარმოებაზე დახარჯა და რომელთაგანაც თითოეული მას 2 გირ. სტერლინგი უღირდა. მაშასადამე, რჩება 80 გირ. სტერ. მოგება, რაც დარჩენილ 140 კვარტერს შეესაბამება. როგორ ხდება ეს? კვარტერი მეორე შემთხვევაში ღირს 1 გირ. სტერლინგი, მაგრამ წარმოებაზე დახარჯული 60 კვარტერი ღირდა 2 გირ. სტერლინგი თითო. ეს 60 კვარტერი ფერმერს უღირდა იმდენი, თითქოსდა მას 120 კვარტერი დაეხარჯოს ახალი მოსავლიდან. ამრიგად, დარჩენილი 140 კვარტერი ღირს 80 გირ. სტერლინგი, ანუ მას არა აქვს უფრო მეტი ღირებულება, ვიდრე პირველ შემთხვევაში დარჩენილ 40 კვარტერს ჰქონდა. მართალია, ფერმერი 200 კვარტერიდან თითოს ყიდის 1 გირ. სტერლინგად (თუ იგი მთელ თავის პროდუქტს ყიდის) და ამრიგად 200 გირ. სტერლ. მოგებას ღებულობს. მაგრამ 200 კვარტერიდან 60 კვარტერი მას დაუჯდა 2 გირ. სტერლინგი თითო; დარჩენილი კვარტერებიდან თითოეული მას აძლევს ამიტომ მხოლოდ $\frac{1}{7}$ გირ. სტერლინგს [ანუ დაახლოებით $\frac{1}{2}$ გირ. სტერლინგს].

თუ ახლა ფერმერი კვლავ ხარჯავს 20 კვარტერს [თესლზე] (10 გირ. სტერლინგს [თუ ვიანგარიშებთ კვარტერზე $\frac{1}{2}$ გირ. სტერლინგს]), 40 კვარტერს ხელფასზე (20 გირ. სტერლინგს) და 40 კვარტერს დანარჩენ მუდმივ კაპიტალზე (20 გირ. სტერლინგს), თუ იგი, მაშასადამე, სულ ხარჯავს 100 კვარტერს წინანდელი 60 კვარტერის ნაცვლად და მოსავალს ღებულობს 180 კვარტერს, მაშინ ამ 180 კვარტერს არა აქვს ის ღირებულება, რაც უწინ 100 კვარტერს ჰქონდა [თუ ვიანგარიშებთ 1 გირ. სტერლინგს კვარტერზე]. მართალია, ფერმერმა იმდენივე ცოცხალი შრომა გამოიყენა, რამდენსაც უწინ იყენებდა, და ამიტომ [1 094] ცვალებადი კაპიტალის ღირებულება, ისევე როგორც ზედმეტი პროდუქტის ღირებულებაც, იგივე დარჩა, რაც წინათ იყო. მაგრამ მან ნაყლები განიფთხებული შრომა დახარჯა, რადგან თესლის იგივე რაოდენობა — 20 კვარტერი, — რომელიც წინათ 20 გირ. სტერლინგი ღირდა, ახლა ღირს სულ მხოლოდ 10 გირ. სტერლინგი.

ანგარიში მაშასადამე გამოდის ასე:

მუდმივი კაპიტალი	ცვალებადი კაპიტალი	ზედმეტი ღირებულება
1) 20 კვარტ. (20 გირ. სტერ.) თესლი 20 კვარტ. (20 გირ. სტერ.) შრომის იარაღები და ა. შ.	20 კვარტ. (20 გირ. სტერ.)	40 კვარტ. (40 გირ. სტერ.)
2) 20 კვარტ. (10 გირ. სტერ.) თესლი 40 კვარტ. (20 გირ. სტერ.) შრომის იარაღები და ა. შ.	40 კვარტ. (20 გირ. სტერ.)	80 კვარტ. (40 გირ. სტერ.)

პროდუქტი პირველ შემთხვევაში უდრის 100 კვარტერს (100 გირ. სტერ.).

პროდუქტი მეორე შემთხვევაში უდრის 180 კვარტერს (90 გირ. სტერლ.).

მაინც [მიუხედავად პროდუქტის ღირებულების დაცემისა] მოგების ნორმა მეორე შემთხვევაში გადიდდებოდა; ვინაიდან წინათ 40 გირ. სტერ. მოგება მიიღებოდა 60 გირ. სტერლინგის დახარჯვისას, ახლა კი 40 გირ. სტერ. მოგება მიიღება, როცა 50 გირ. სტერლინგი იხარჯება. პირველ შემთხვევაშია $66 \frac{2}{3} \%$, მეორეში — 80%.

ყოველ შემთხვევაში, მოგების ნორმის გადიდება იქიდან როდი მიიღება, რომ ღირებულება უცვლელი რჩება, როგორც ამას რამსეი ვარაუდობს. რადგან პროდუქტის წარმოებაზე დახარჯული შრომის ნაწილი შემცირდა, სახელდობრ, შემცირდა მისი ის ნაწილი, რომელსაც შეიცავს მუდმივი კაპიტალი (მოცემულ შემთხვევაში — თესლი), ამიტომ პროდუქტის ღირებულება ეცემა, თუ წარმოება წინანდელი მასშტაბით გრძელდება, მსგავსად იმისა, როგორც 100 გირვანჯა ნართის ღირებულება ეცემა, როცა მათში მოთავსებული ბამბა იაფდება. მაგრამ ცვალებადი კაპიტალის შეფარდება მუდმივთან დიდდება (თუმცა ცვალებადი კაპიტალის ღირებულება ამასთან არ დიდდება). სხვა სიტყვებით, მცირდება დახარჯული კაპიტალის ერთობლივი ჯამის შეფარდება ზედმეტ ღირებულებასთან. აქედან წარმოდგება მოგების ნორმის გადიდება.

მართალი რომ იყოს ის, რასაც რამსეი ამბობს, ე. ი. ღირებულება რომ უცვლელი რჩებოდეს, მაშინ გაიზრდებოდა მოგება, მოგების ჯამი და — როგორც ამის შედეგი — მოგების ნორმა. მარტოოდენ ნორმის გადიდებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

მაგრამ საკითხი [მოგების ნორმაზე მუდმივი კაპიტალის ღირებულების ცვლილების გავლენის შესახებ] სპეციალური შემთხვევისათვის [როცა მუდმივი კაპიტალის ნაწილი ნატურალური ფორმით ნაზღაურდება] ჯერ კიდევ არ არის ამოწურული. მიწათმოქმედებაში ეს სპეციალური შემთხვევა შემდეგ გამოხატულებას ღებულობს:

თესლის გარკვეული რაოდენობა პროდუქტის წინანდელი ფასით არსებობს მოსავალში და ეს ნაწილი მოსავალში შევიდა in natura. დანარჩენი დანახარჯი დაფარულ იქნა ხორბლის გაყიდვით მისი წინანდელი ფასის მიხედვით. ამ წინანდელ დანახარჯთა პირობებში პროდუქტის რაოდენობა ორკეცდება. ასე, მაგალითად, ზემოდასახელებულ შემთხვევაში თესლზე 20 კვარტერის (40 გირ. სტერლინგის) დახარჯვისას და 40 კვარტერის (80 გირ. სტერლ.) სხვა დანახარჯის დროს მოსავალი, ნაცვლად უწინდელი 100 კვარტერისა (200 გირ. სტერ.), საიდანაც 40 კვარტერი (80 გირ. სტერ.) მოგება ერთობლივი დანახარჯის

60 კვარტერზე მოდიოდა (120 გირ. სტერ.) შეადგენს ახლა 200 კვარტერს. დანახარჯი ამ მოსავლის დროს აბსოლუტური სიდიდის მიხედვით იგივეა, რაც უწინ იყო; ეს დანახარჯი შეადგენს 60 კვარტერს, რომლის ღირებულებაც უდრიდა 120 გირ. სტერლინგს, მაგრამ 40 კვარტერი გადანამეტის ნაცვლად ახლა გვაქვს 140 კვარტერი გადანამეტი. გადანამეტი *in natura* ახლა მნიშვნელოვნად გადიდა. მაგრამ რადგან დახარჯული შრომა ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა, ამიტომ 200 კვარტერს არა აქვს ახლა უფრო მეტი ღირებულება, ვიდრე წინათ 100 კვარტერს ჰქონდა. მაშასადამე, მათი ღირებულებაა 200 გირ. სტერლინგი, ე. ი. ერთი კვარტერის ღირებულება დაეცა 2 გირ. სტერლინგიდან გირ. სტერლინგამდე. მაგრამ რადგან გადანამეტი 140 კვარტერს უდრის, ამიტომ იგი, თითქოს, 140 გირ. სტერლინგს უნდა შეადგენდეს, რადგან ამ კვარტერებიდან ერთი სწორედ იმდენივე ღირს, რამდენიც მეორე.

საქმის ვითარება წარმოგვიდგება ყველაზე მარტივი სახით, თუ ჩვენ მას კვლავწარმოების პროცესის მხედველობაში მიუღებლად განვიხილავთ და ვიგულისხმებთ, რომ ფერმერი თავისი მეურნეობის ლიკვიდაციას ახდენს და მთელ თავის პროდუქტს ყიდის. ამ შემთხვევაში თავისი დანახარჯის — 120 გირ. სტერლინგის — დასაფარავად (თავისი ხარჯების ასანაზღაურებლად) მან სინამდვილეში უნდა გაყიდოს 120 კვარტერი. ამით დაიფარება ავანსებული კაპიტალი. მაშასადამე რჩება გადანამეტი 80 კვარტერი და არა 140 კვარტერი, და რადგან ეს 80 კვარტერი 80 გირ. სტერლინგს უდრის, ამიტომ მათი ღირებულება აბსოლუტურად იმდენივეა, რამდენიც გადანამეტის ღირებულება იყო პირველ შემთხვევაში.

მაგრამ კ ვ ლ ა ვ წ ა რ მ ო ე ბ ი ს პროცესი რამდენიმედ ცვლის საქმის ვითარებას. სახელდობრ, ფერმერი ანაზღაურებს თავისი საკუთარი პროდუქტიდან 20 კვარტერ თესლს *in natura*. [ღირებულების მიხედვით] ეს კვარტერები უნაზღაურდება მას პროდუქტში 40 კვარტერით. მაგრამ კვლავწარმოების პროცესში მან უწინდებურად უნდა აანაზღაუროს ისინი მხოლოდ 20 კვარტერით *in natura*. ფერმერის დანარჩენი დანახარჯი [კვარტერებით გამოხატული] იზრდება კვარტერის ღირებულების შემცირების შესაბამისად (თუ ხელფასი ამასთან არ მცირდება). მუდმივი კაპიტალის დანარჩენი ნაწილის ასანაზღაურებლად მას ახლა ესაჭიროება 40 კვარტერი წინანდელი 20 კვარტერის ნაცვლად, ხელფასის ასანაზღაურებლად კი—ასევე 40 კვარტერი 20-ის ნაცვლად. სულ ფერმერმა უნდა დახარჯოს 100 კვარტერი იქ, სადაც წინათ 60 კვარტერს ხარჯავდა; მაგრამ მან არ უნდა დახარჯოს 120 კვარტერი, როგორც ამას ხორბლის გათავება მოითხოვდა, რადგან იმ 20 კვარტერს [თესლისთვის], რომელიც წინათ 40 გირ. სტერლინგი ღირდა, იგი ანაზღაურებს ახლა 20

კვარტერით, რომლის ღირებულებაც 20 გირ. სტერლინგია (რადგან აქ მნიშვნელობა აქვს ამ 20 კვარტერის მხოლოდ სახმარ ღირებულებას). ამრიგად, ფერმერმა, აშკარაა, მოიგო [1 095] ეს 20 კვარტერი, რაც ახლა 20 გირ. სტერლინგი ღირს. და მისი გადანამეტი უდრის ახლა არა 80 გირ. სტერლინგს, არამედ 100 გირ. სტერლინგს, არა 80 კვარტერს, არამედ 100 კვარტერს (თუ ამ გადანამეტს გამოვხატავთ კვარტერებით მათი წინანდელი ღირებულების მიხედვით, მაშინ იგი უდრის ახლა არა 40 კვარტერს, არამედ 50-ს.). ეს უეჭველი ფაქტია, და თუ ხორბლის საბაზრო ფასი ამ ხორბლის სიუხვის გამო არ შემცირდება, მაშინ ფერმერს შეუძლია ახალი ღირებულების მიხედვით გაყიდოს 20 კვარტერით მეტი, ვიდრე უწინ ყიდდა, და მოიგოს 20 გირ. სტერლინგი..

კ ვ ლ ა ვ წ ა რ მ ო ე ბ ა ს თ ა ნ დაკავშირებით ფერმერმა მიიღო ეს 20 გირ. სტერ. გადანამეტი იმავე დანახარჯით იმიტომ, რომ შრომა უფრო ნაყოფიერი გახდა, თუმცა ზედმეტი ღირებულების ნორმა აქ არ გადიდებულა, ე. ი. მუშას არ მოუცია ზედმეტი შრომის უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე უწინ იძლეოდა, ანუ არ მიუღია უწინდელთან შედარებით უფრო ნაკლები წილი პროდუქტის კ ვ ლ ა ვ წ ა რ მ ო ე ბ უ ლ ი ნ ა წ ი ლ ი დ ა ნ (რომელიც ცოცხალ შრომას გამოხატავს). პირიქით, იგულისხმება, რომ კვლავწარმოების დროს მუშა. ღებულობს 40 კვარტერს, მაშინ როდესაც წინათ იგი მხოლოდ 20 კვარტერს ღებულობდა. მაშასადამე, ეს არის თავისებური მოვლენა. მას არა აქვს ადგილი კვლავწარმოების გარეშე, მაგრამ იგი ხდება ამ კვლავწარმოებასთან დაკავშირებით და ხდება იმიტომ, რომ ფერმერი თავისი დანახარჯის ნაწილს ანაზღაურებს *in natura*. ამ შემთხვევაში გაიზრდებოდა არა მარტო მოგების ნორმა, არამედ მოგებაც. (რაც შეეხება თვით კვლავწარმოების პროცესს, ფერმერს ან შეუძლია განაგრძოს. იგი ახლა წინანდელი მასშტაბით, და მაშინ, თუ მოსავალი კვლავ ასევე ხელსაყრელია, პროდუქტის ფასი მცირდება, — რადგან მუდმივი კაპიტალის ნაწილი ნაკლები ღირდა, — მაგრამ მოგების ნორმა დიდდება; ანდა ფერმერს შეუძლია გაადიდოს თავისი წარმოების მასშტაბი, შეუძლია მეტი დათესოს იმავე დანახარჯით, და მაშინ დიდდება მოგებაც და მოგების ნორმაც.)

ავიღოთ ახლა ფაბრიკანტი. დავუშვათ, რომ მან დახარჯა 100 გირ. სტერლინგი ბამბის ნართის წარმოებაზე და რომ მოგება შეადგენს 20 გირ. სტერლინგს. მაშასადამე, პროდუქტი უდრის 120 გირ. სტერლინგს. ვთქვათ, 100 გირ. სტერლინგიდან ბამბაზე დახარჯულია 80 გირ. სტერლინგი. თუ ახლა ბამბის ღირებულება სანახევროდ ეცემა, მაშინ საჭირო იქნება ფაბრიკანტმა დახარჯოს ბამბაზე მხოლოდ 40 გირ. სტერლინგი და 20 გირ. სტერლინგი — ყოველივე დანარჩენზე, მაშასადამე, სულ

საჭირო იქნება დახარჯოს 60 გირ. სტერლინგი 100 გირ. სტერლინგის ნაცვლად. მოგება უწინდებურად უდრის 20 გირ. სტერლინგს. ერთობლივი პროდუქტი უდრის ახლა 80 გირ. სტერლინგს (თუ ფაბრიკანტი არ აფართოებს თავისი წარმოების მასშტაბს). ამრიგად, 40 გირ. სტერლინგი ფაბრიკანტს რჩება ჯიბეში; მას შეუძლია იგი დახარჯოს თავისი საჭიროებისათვის ანდა საქმეში დააბანდოს დამატებითი კაპიტალის სახით. მაშინ წარმოების ახალი მასშტაბის შესაბამისად ფაბრიკანტი [დამატებით] დახარჯავდა $26 \frac{2}{3}$ გირ. სტერლინგს ბამბაზე და $13 \frac{1}{3}$ გირ. სტერლინგს შრომაზე და ა. შ. მოგება [40 გირ. სტერ. დამატებით დანახარჯზე] იქნებოდა $13 \frac{1}{3}$ გირ. სტერლინგი. ერთობლივი პროდუქტი შეადგენდა ახლა $60 + 40 + 33 \frac{1}{3} = 133 \frac{1}{3}$ გირ. სტერლინგს.

საქმის არსი აქ, მაშასადამე, ის კი არაა, რომ ფერმერი ანაზღაურებს თავის თესლს *in natura*, ხოლო ფაბრიკანტი ყიდულობს თავის ბამბას, და არ ანაზღაურებს მას თავისი საკუთარი პროდუქტიდან. მოვლენა, რომელსაც აქ განვიხილავთ, დაიყვანება, მაშასადამე, შემდეგზე: აქ ადგილი აქვს გარკვეული ნაწილის გამოთავისუფლებას კაპიტალის იმ ნაწილიდან, რომელიც წინათ შებოჭილი იყო მუდმივი კაპიტალის სახით, ანდა კაპიტალის ნაწილის გადაქცევას შემოსავლად. თუ ამასთან კვლავ წარმოების პროცესში სწორედ იმდენივე კაპიტალი იხარჯება, რაც უწინ იხარჯებოდა, მაშინ იგივე შედეგი მიიღება, რაც მიიღებოდა, თუ წარმოების წინანდელ საფეხურზე გამოყენებული იქნებოდა დამატებითი კაპიტალი. მაშასადამე, ეს არის თავისებური დაგროვება, გამომდინარე წარმოების იმ დარგთა გაზრდილი მწარმოებლობიდან, რომლებიც იძლევიან მწარმოებლურად მოსახმარ კაპიტალის შემადგენელ ნაწილებს. მაგრამ ნედლეულის ღირებულების ასეთი დაცემა, თუ იგი გამოწვეულია ხელსაყრელი მოსავლით, არარად იქცევა ცუდი მოსავლის გამო, რომლის შედეგადაც ნედლეული ძვირდება. ერთი ან რამდენიმე კარგი მოსავლის დროს აღნიშნული წესით გამოთავისუფლებული კაპიტალი წარმოადგენს ამიტომ გარკვეული ზომით სათადარიგო კაპიტალს ცუდი მოსავლის შემთხვევისათვის. მაგალითად, ფაბრიკანტმა, რომელთანაც [ძირითადი კაპიტალის] ბრუნვის პერიოდი 12 წელიწადს შეადგენს, ისე უნდა წარმართოს საქმე, რომ მას ამ 12 წლის განმავლობაში შეეძლოს წარმოების სულ ცოტა იმავე მასშტაბით მინც განგრძობა. ამიტომ საჭირო ხდება იმის გათვალისწინება, რომ ის ფასები, რომელთა მიხედვითაც [ნედლეული] ანაზღაურდება, მერყეობს და რომ ეს ფასები მეტ-ნაკლები წლებისაგან შემდგარ პერიოდში თანაბრდება.

საპირისპირო გავლენას, კაპიტალის შემადგენელი ნაწილების გაიაფებასთან შედარებით, ახდენს ამ ნაწილთა ფასების გადიდება (ცვალებად კაპიტალს ჩვენ აქ მხედველობის გარეშე ვტოვებთ, თუმცა როცა ხელფასი ეცემა, საჭიროა უფრო ნაკლები, ღირებულების მიხედვით, ცვალებადი კაპიტალის დახარჯვა; როცა ხელფასი დიდდება, საჭიროა უფრო მეტი ცვალებადი კაპიტალის დახარჯვა). იმისათვის, რომ წარმოება წინანდელი მასშტაბით გაგრძელდეს, ახლა აუცილებელია უფრო მეტი კაპიტალის დახარჯვა. მაშასადამე, მოგების ნორმის დაცემაზე რომ არაფერი ვთქვათ, აქ გამოყენებულ უნდა იქნეს სათადარიგო კაპიტალი, ანდა შემოსავლის ნაწილი უნდა გადაიქცეს კაპიტალად, თუმცა ეს ნაწილი ამასთან არ მოქმედებს როგორც დამატებითი კაპიტალი.

ერთ შემთხვევაში [ფასების შემცირებისას] ხდება და გ რ ო ვ ე ბ ა, თუმცა აენსებელი კაპიტალის ღირებულება იგივე დარჩა (მაგრამ მისი ნივთობრივი შემადგენელი ნაწილები გადიდდა). კაპიტალის ღირებულების ნორმა და მოგების აბსოლუტური ოდენობა იზრდება, რადგან ჩვენ აქ იგივე მდგომარეობა გვაქვს, რაც გვექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ წარმოების წინანდელ საფეხურზე დაბანდებული იქნებოდა დამატებითი კაპიტალი. მეორე შემთხვევაში [ფასების გადიდებისას] და გ რ ო ვ ე ბ ა ს ადგილი აქვს იმ აზრით, რომ გაიზარდა აენსებელი კაპიტალის ღირებულება, გაიზარდა ერთობლივი პროდუქტის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც კაპიტალის სახით მოქმედებს. მაგრამ კაპიტალის ნივთობრივი შემადგენელი ნაწილები არ გადიდებულა. მოგების ნორმა ეცემა. (მოგების მასა მცირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახლა დასაქმებული არაა მუშების იმდენივე რაოდენობა, რამდენიც უწინ მუშაობდა, ანდა თუ მუშების ხელფასიც გადიდდა.)

ხსენებული მოვლენა კაპიტალის შემოსავლად გადაქცევისა აღსანიშნავია იმიტომ, რომ იგი ქმნის მცდარ შთაბეჭდილებას, თითქოს ზედმეტი ღირებულების მასაზე არ არის დამოკიდებული მოგების მასის გადიდება (ანდა, საპირისპირო შემთხვევაში, შემცირება). ჩვენ დავინახეთ*, თუ როგორ აიხსნება [1096] გარკვეულ პირობებში ამ მოვლენით რენტის ნაწილი.

ზემოვანხილულ შემთხვევაში (თუ 20 ვადანამეტი კვარტერი, რაც 20 ვირ. სტერლინგს უდრის მაშინვე ხელახლა არ მოიხმარება წარმოების მასშტაბის გასაფართოებლად, ე. ი. თუ ეს კვარტერები არ გამოიყენება დაგროვებისათვის) გამოთავისუფლდება ფულადი კაპიტალი 20 ვირ. სტერლინგის რაოდენობით. და აქ ჩვენ გვაქვს იმის მაგალითი, თუ

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 609—615. რ ე დ.

როგორ შეიძლება კვლავწარმოებიდან ილექებოდეს ქ ა რ ბ ი ფ უ ლ ა დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი მიუხედავად იმისა, რომ საქონელთა ღირებულების ჯამი იგივე დარჩა. ეს ხდება იმ ვხით, რომ ნაწილი იმ კაპიტალისა, რომელიც წინათ ძირითადი (მუდმივი) კაპიტალის ფორმით არსებობდა, ფულად კაპიტალად გადაიქცევა.

თუ რა ცოტა საერთო აქვს ზემოაღნიშნულ მოვლენას [კაპიტალის ნაწილის შემოსავლად გადაქცევას] მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ი ს [რამსეისეულ] განსაზღვრასთან, ნათელი ხდება, თუ წარმოიდგენთ ფერმერს (ან ფაბრიკანტს), რომელიც თავის საქმეს წარმოების ახალ პირობებში იწყებს. წინათ საქმის დაწყებისათვის საჭირო იყო 120 გირ. სტერლ. კაპიტალი: 40 გირ. სტერლინგი — 20 კვარტერი თესლის საყიდლად, 40 გირ. სტერლინგი — მუდმივი კაპიტალის სხვა ელემენტების შესაძენად და 40 გირ. სტერლინგი — ხელფასის გადასახდელად. მოგება კი ასეთი ფერმერისა იქნებოდა 80 გირ. სტერლინგი, 80 გირ. სტერლინგი 120 გირ. სტერლ. დანახარჯზე, ანუ ორი სამზე, ე. ი. $66 \frac{2}{3} \%$.

ახლა ფერმერმა ავანსად უნდა გაიღოს 20 კვარტერი თესლის საყიდლად, 40 გირ. სტერლინგი, როგორც უწინ, — დანარჩენ მუდმივ კაპიტალზე, 40 გირ. სტერლინგი — ხელფასზე, ასე რომ მის მიერ დახარჯული კაპიტალი უდრის 100 გირ. სტერლინგს. მოგება კი 80 გირ. სტერლინგი 100 გირ. სტერლინგ დანახარჯზე შეადგენს 80% -ს. მოგების მასა ი გ ი ე ე დარჩა, მაგრამ მისი ნ ო რ მ ა გაიზარდა 20% -ით. ჩვენ ვხედავთ, მაშასადამე, რომ თესლის ღირებულების დაცემას (ან იმ ფასის დაცემას, რომლის მიხედვითაც თესლი ნ ა ხ ლ ა უ რ დ ე ბ ა) თავისთავად არავითარი კავშირი არა აქვს მოგების გადიდებასთან, არამედ იგი მხოლოდ მოგების ნორმის გადიდებას შეიცავს.

ამასთან თვითონ ფერმერიც (ან, სხვა შემთხვევაში, ფაბრიკანტი) ამ საქმეს განიხილავს არა როგორც თავისი მოგების გადიდებას, არამედ როგორც იმ თავის კაპიტალის ნაწილის გამოთავისუფლებას, რომელიც წინათ წარმოებაში იყო დაკავებული. თანაც იგი ასე განიხილავს საქმეს შემდეგი მარტივი გაანგარიშების გამო. წინათ წარმოებაში ავანსებული კაპიტალი უდრიდა 120 გირ. სტერლინგს, ახლა იგი უდრის 100 გირ. სტერლინგს, და 20 გირ. სტერლინგი ფერმერის ჯიბეშია თავისუფალი კაპიტალის სახით, ფულის სახით, რომლის გამოყენებაც ყოველნაირად შეიძლება. მაგრამ ორივე შემთხვევაში მთელი მისი კაპიტალი უდრის მხოლოდ 120 გირ. სტერლინგს, ე. ი. მისი კაპიტალის ოდენობა არ გაზარდილა. მართალია, გამოთავისუფლება კაპიტალის $\frac{1}{6}$ ნაწილისა მისი იმ ფორმიდან, რომელიც მიჭაჭვულია კვლავწარმოების პროცესზე, ისეთ-სავე გავლენას ახდენს, როგორსაც დამატებითი კაპიტალი.

რამსეიმ ვერ მიავნო ამ საკითხის დედაარსს იმიტომ, რომ მან საერთოდ ვერ გაარკვია ნათლად ღირებულების, ზედმეტი ღირებულებისა და მოგების ურთიერთდამოკიდებულება.

* * *

რამსეი სწორად განმარტავს, თუ როგორ გავლენას ახდენენ მანქანები და ა. შ. — რამდენადაც ზემოქმედებენ ცვალებად კაპიტალზე — მოგებაზე და მოგების ნორმაზე. სახელდობრ, ისინი ამ ზემოქმედებას ახდენენ სამუშაო ძალის გაიაფებით, შეფარდებითი ზედმეტი შრომის გადიდებით, ანდა, თუ კვლავწარმოების ერთობლივ პროცესს განვიხილავთ, მთლიანი პროდუქტის იმ ნაწილის შემცირებით, რომელიც ხელფასის ანაზღაურებას ხმარდება.

«ისეთი საქონლის წარმოებაში გამოყენებული შრომისნაყოფიერების გადიდება თუ შემცირებას, რომელიც ძირითადი კაპიტალის შედგენილობაში არ შედის, არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე გავლენა მოგების ნორმაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ გადიდებით თუ შემცირებით იცვლება მთლიანი პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც შრომის შენახვას ხმარდება» (ციტირ. თხზ., გვ. 168).

«როცა ფაბრიკანტი ვაუმჯობესებულ მანქანათა შემოღების შემწეობით მის მიერ წარმოებულ პროდუქტთა რაოდენობას აორკეცებს, მაშინ მისი საქონლის ღირებულება საბოლოოდ უნდა შემცირდეს ამ საქონლის რაოდენობის გადიდების პროპორციულად».

{აქ იგულისხმება, რომ სინამდვილეში, აგრეთვე მანქანების გაცვეთის ჩათვლით, პროდუქტის გარაკეცებული რაოდენობა არ ღირს იმაზე მეტი, რაც წინათ ორჯერ ნაკლები რაოდენობა ღირდა. თუ იგი ამაზე მეტი ღირს, მაშინ ერთეული პროდუქტის ღირებულება ეცემა, მაგრამ არა პროდუქტის რაოდენობის გადიდების პროპორციულად. ეს რაოდენობა შეიძლება გარაკეცდეს, მაშინ როდესაც ერთეული საქონლის ღირებულება (იმ შემთხვევაში, თუ ერთობლივი პროდუქტის ღირებულება ვიზარდა) შეიძლება შემცირდეს არა 2-დან 1-მდე, არამედ მხოლოდ 2-დან 1 1/4-მდე და ა. შ.}

«... ფაბრიკანტს მოგება აქვს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მას შესაძლებლობა ეძლევა უფრო იაფად ჩააცვას მუშას, რის შედეგადაც ხელფასზე მიღს ერთობლივ პროდუქტის უფრო მცირე ნაწილი, ვიდრე წინათ... ფერმერს მოგება აქვს» {ფაბრიკანტის წარმოებაში შრომისნაყოფიერების გადიდების შედეგად} «ასევე მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მისი დანახარჯის ნაწილი შედგება მუშების ტანსაცმლისაგან და მას, ისევე როგორც ფაბრიკანტს, შეუძლია ახლა ამ ტანსაცმლისათვის ნაკლები გადაიხადოს» (გვ. 166—169).

მუდმივი კაპიტალის შემადგენელი ნაწილების ღირებულების შემცირება [ან გადიდება] იმიტომ ახდენს გავლენას მოგების ნორმაზე, რომ

იგი მოქმედებს ზედმეტი ღირებულების შეფარდებაზე დაზიანებული კაპიტალის მთელ ჯამთან. რაც შეეხება ხელფასის შემცირებას (ან, პირიქით, გადიდებას), იგი იმიტომ ახდენს გავლენას მოგების ნორმაზე, რომ უშუალოდ მოქმედებს ზედმეტი ღირებულების ნორმაზე.

დავუშვათ, მაგალითად, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში (ვთქვათ, ფერმერი არის მესელი) თესლის ფასი, რომელიც უდრის 40 გირ. სტერლინგს (20 კვარტერს), წინანდელი დარჩა, რომ იგივე 40 გირ. სტერლინგი (20 კვარტერი) იხარჯება დანარჩენ მუდმივ კაპიტალზე, ხელფასი კი — ე. ი. მუშათა იმავე რაოდენობის ხელფასი — შემცირდა 40-დან 20 გირ. სტერლინგამდე (20-დან 10 კვარტერამდე). ამ შემთხვევაში [ახლად შექმნილი] ღირებულების ჯამი, რომელიც უდრის ხელფასს პლუს ზედმეტი ღირებულება, წინანდელი რჩება. რადგან მუშების რიცხვი იგივე რჩება, ამიტომ მათი შრომა უწინდებურად ხორციელდება ღირებულებაში, რომელიც უდრის 40 გირ. სტერ. + 80 გირ. სტერ. = 120 გირ. სტერლინგს. მაგრამ ამ 120 გირ. სტერლინგიდან მუშებზე მოდის ახლა 20 გირ. სტერლინგი, 100 გირ. სტერლინგი კი — ზედმეტი ღირებულებაზე. {სხვა სიტყვებით, აქ ივარაუდება, რომ არ მომხდარა არავითარი გაუმჯობესება, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა წარმოების მოცემულ დარგში დასაქმებული მუშების რიცხვზე.}

ავანსებული კაპიტალი შეადგენს ახლა 100 გირ. სტერლინგს ნაცვლად 120 გირ. სტერლინგისა, როგორც იმ შემთხვევაშიც, როცა თესლის ღირებულება სანახევროდ შემცირდა. მაგრამ მოგება შეადგენს ახლა 100 გირ. სტერლინგს, ე. ი. მოგების ნორმა შეადგენს 100%-ს, მაშინ როდესაც მეორე შემთხვევაში [თესლის ღირებულების შემცირებისას], როცა დაზარებული კაპიტალიც ასევე 120-დან 100 გირ. სტერლინგამდე შემცირდა, იგი შეადგენდა 80%-ს. როგორც იმ შემთხვევაშიც, ახლა [1097] გამოთავისუფლდება 20 გირ. სტერლინგი, ანუ კაპიტალის $\frac{1}{6}$. მაგრამ იმ შემთხვევაში ზედმეტი ღირებულება უცვლელი რჩებოდა; იგი უდრიდა 80 გირ. სტერლინგს (მაშასადამე, მისი ნორმა შეადგენდა 200%-ს. რადგან ხელფასს უწევდა 40 გირ. სტერლინგი). ახლა ზედმეტი ღირებულების ოდენობა 100 გირ. სტერლინგამდე დიდდება (მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების ნორმა დიდდება 500%-მდე, რადგან ხელფასზე მოდის 20 გირ. სტერლინგი.

აქ გადიდდა არა მარტო მოგების ნორმა, არამედ თვით მოგებაც, რადგან გადიდდა ზედმეტი ღირებულების ნორმა, მაშასადამე, თვით ზედმეტი ღირებულებაც. ეს განასხვავებს მოცემულ შემთხვევას მეორე შემთხვევისაგან, რასაც რამსეი ვერ ხედავდა. მოგების ასეთ

ზრდას მუდამ უნდა ჰქონდეს ადგილი, თუკი ეს ზრდა არ გაბათილდება მოგების ნორმის შესაბამისი შემცირებით მუდმივი კაპიტალის ღირებულების იმავდროული ცვლილების გამო. მაგალითად, ზემოდასახელებულ შემთხვევაში დახარჯული კაპიტალი შეადგენს 120 გირ. სტერლინგს, მოგება — 80 გირ. სტერლინგს, ე. ი. 66 $\frac{2}{3}$ %-ს. ჩვენს შემთხვევაში დახარჯული კაპიტალი უდრის 100 გირ. სტერლინგს, მოგება შეადგენს 100 გირ. სტერლინგს, ე. ი. 100%-ს. მაგრამ თუ მუდმივი კაპიტალის ფასში მრმხდარი ცვლილების გამო დანახარჯი 100-დან 150 გირ. სტერლინგამდე გადიდდებოდა, მაშინ 80-დან 100 გირ. სტერლინგამდე გადიდებული მოგება უწინდებურად მხოლოდ 66 $\frac{2}{3}$ % მოგების ნორმით გამოიხატებოდა.

[რამსეი, შემდეგ, ამბობს:

«ის საქონელი, რომელიც არ შედის არც ძირითად და არც საბრუნავ კაპიტალში, არ შეიძლება გავლენას ახდენდეს მოგებაზე ამ საქონლის წარმოებაში გამოყენებული შრომისნაყოფიერების რაიმე ცვლილების გზით. ასეთ საქონელს წარმოადგენენ ფუფუნების ყოველგვარი საგნები» (გვ. 169—170). «კაპიტალისტური მეწარმენი მოგებას: ღებულობენ ფუფუნების საგნების სიუხვის გამო, ვინაიდან ასეთი სიუხვისას მათი მოგების განკარგულებაში იქნება ასეთი საგნების უფრო მეტი რაოდენობა მეწარმეთა პირადი მოხმარებისათვის; მაგრამ ამ მოგების ნორმაზე არავითარ გავლენას არ ახდენს ფუფუნების საგანთა არც სიუხვე, არც ნაკლებობა» (გვ. 171).

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ფუფუნების საგანთა ნაწილი შეიძლება შედიოდეს წარმოების პროცესში როგორც მუდმივი კაპიტალის ელემენტი. მაგალითად, ყურძენი შედის ღვინის წარმოებაში, ოქრო — ფუფუნების საგანთა წარმოებაში, ალმასი გამოიყენება მინების ხეხისას და ა. შ. მაგრამ რამსეი გამოიციხავს ამ შემთხვევას, რაკი იგი ამბობს: «საქონელი, რომელიც არ შედის ძირითად კაპიტალში». დამაშინ მცდარი გამოდის მისი დებულება: «ასეთ საქონელს წარმოადგენენ ფუფუნების ყოველგვარი საგნები».

მაგრამ რაც შეეხება შრომის ნაყოფიერებას მრეწველობის იმ დარგებში, რომლებიც ფუფუნების საგნებს ამზადებენ, იგი შეიძლება იზრდებოდეს მხოლოდ იმავე მიზეზების გამო, რა მიზეზებიც წარმოების ყველა სხვა დარგშია: ან იმის გამო, რომ იზრდება ნაყოფიერება ბუნების ისეთი სიმდიდრეებისა, როგორცაა მალაროები, მიწა, საიდანაც მიიღება ნედლი მასალა ფუფუნების საგნების საწარმოებლად, ან აღმოჩენილი იქნება ამაღვარი უფრო ნაყოფიერი სიმდიდრეები, ან იმის გამო, რომ გამოიყენება შრომის დანაწილება ანდა განსაკუთრებით გამოიყენება მანქანები (აგრეთვე გაუმჯობესებული ინსტრუმენტები) და ბუნების ძალები. {ისეთი გაუმჯობესებანი, როგორიც არის ინსტრუმენ-

ტების დიფერენცირება, განეკუთვნება შრომის დანაწილებას.) (არ უნდა დაგვავიწყდეს ქიმიური პროცესებიც).

ვთქვათ ახლა, რომ მანქანების (ან ქიმიური პროცესების) გამოყენების გამო მოკლდება ფუფუნების საგნების წარმოების დრო; ამ საგნების საწარმოებლად საჭიროა ნაკლები შრომა. ხელფასზე, სამუშაო ძალის ღირებულებაზე ეს ვერაერთად გავლენას ვერ მოახდენს, რადგან ფუფუნების საგნები არ შედიან მუშების მოხმარებაში (ყოველ შემთხვევაში, არასოდეს არ შედიან მათი მოხმარების იმ ნაწილში, რომელიც განსაზღვრავს მათი სამუშაო ძალის ღირებულებას). (ფუფუნების საგანთა წარმოებისათვის საჭირო დროის შემოკლებას შეუძლია გავლენა იქონიოს მუშების საბაზრო ფასზე, თუ მუშები ამის შედეგად ქუჩაში გავდებულნი აღმოჩნდებიან, რის გამოც იზრდება მიწოდება შრომის ბაზარზე.) მაშასადამე, ფუფუნების საგანთა წარმოების დროის შემოკლება არ ახდენს გავლენას ზედმეტი ღირებულების ნორმაზე, მაშასადამე, მოგების ნორმაზეც, რამდენადაც იგი განისაზღვრება ზედმეტი ღირებულების ნორმით. პირიქით, მას შეუძლია, რა თქმა უნდა, გავლენა მოახდინოს მოგების ნორმაზე, რაკი იგი ზეგავლენას ახდენს ან ზედმეტი ღირებულების მასაზე, ან ცვალებადი კაპიტალის შეფარდებაზე მუდმივ კაპიტალთან და ერთობლივ კაპიტალთან.

თუ, მაგალითად, [ფუფუნების რაიმე საგნების წარმოებაში] მანქანები 10 მუშის გამოყენების შესაძლებლობას იძლევიან იქ, სადაც წინათ 20 მუშა გამოიყენებოდა, მაშინ ზედმეტი ღირებულების ნორმა ნამდვილად არავითარ ცვლილებას არ განიცდის. ფუფუნების საგანთა ვაიფება არ აძლევს მუშას უფრო იაფად ცხოვრების შესაძლებლობას. თავისი სამუშაო ძალის კლავწარმოებისათვის მას იგივე სამუშაო დრო სჭირდება, რაც წინათ სჭირდებოდა.

{ამიტომ პრაქტიკულად ფუფუნების საგნების მწარმოებელი კაპიტალისტი ცდილობს ხელფასი დასწიოს სამუშაო ძალის ღირებულებაზე უფრო დაბლა, მის მინიმუმზე დაბლა, რაც მისთვის შესაძლებელი ხდება შეფარდებითი კარბმოსახლეობის არსებობის გამო, რომელსაც წარმოშობს შრომის მზარდი ნაყოფიერება წარმოების სხვა დარგებში (მაგალითად მქარგავ ქალებთან). ანდა, რასაც ადგილი აქვს აგრეთვე სხვა დარგებშიც, ფუფუნების საგნების მწარმოებელი კაპიტალისტი ცდილობს გააგრძელოს აბსოლუტური სამუშაო დრო; ამ შემთხვევაში კაპიტალისტი ნამდვილად ქმნის აბსოლუტურ ზედმეტ ღირებულებას. სწორია მხოლოდ ის, რომ შრომის მზარდ ნაყოფიერებას ფუფუნების საგნების დამამზადებელ მრეწველობაში არ შეუძლია შეამციროს სამუშაო და-

ლის ღირებულება, არ შეუძლია შექმნას შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება, საერთოდ არ შეუძლია შექმნას ზედმეტი ღირებულების ის ფორმა, რომელიც გაპირობებულია შრომის მზარდი ნაყოფიერებით როგორც ასეთით.)

მაგრამ ზედმეტი ღირებულების მასა განისაზღვრება ორი ფაქტორით: [ჯერ ერთი] ზედმეტი ღირებულების ნორმით, ე. ი. ცალკეული მუშის ზედმეტი შრომით (აბსოლუტური ან შეფარდებითი ზედმეტი შრომით); მეორე, იმავდროულად გამოყენებული მუშების რაოდენობით. მაშასადამე, რამდენადაც ფუფუნების დამამზადებელ მრეწველობაში შრომის მზარდი ნაყოფიერება ამცირებს კაპიტალის გარკვეული ჯამით დასაქმებული მუშების რიცხვს, იგი ამცირებს ზედმეტი ღირებულების მასას; მაშასადამე, სხვა თანაბარ პირობებში, იგი ამცირებს მოგების ნორმასაც. მოგების ნორმა მცირდება აგრეთვე იმ შემთხვევებშიც, როცა მუშების რიცხვი მცირდება ან უცვლელი რჩება, მანქანებსა და ნედლეულზე დახარჯული კაპიტალი კი დიდდება, ე. ი. ცვალებადი კაპიტალის ყოველი შემცირება ერთობლივ კაპიტალთან შედარებით, როცა ეს შემცირება აქ [ვარაუდის მიხედვით] არ წონასწორდება ან არ ბათილდება ამა თუ იმ ზომით ხელფასის შემცირებით. მაგრამ რადგან ამ დარგის მოგების ნორმა სავსებით [1098] ისევე მონაწილეობს მოგების საერთო ნორმის გათანაბრებაში, როგორც ყოველი სხვა დარგის მოგების ნორმაც, ამიტომ შრომისნაყოფიერების გადიდება ფუფუნების საგანთა დამამზადებელ მრეწველობაში უნდა გამოეწვივა მოცემულ შემთხვევაში მოგების საერთო ნორმის შემცირება.

პირიქით, თუ შრომისნაყოფიერება გაიზრდებოდა არა იმ მრეწველობაში, რომელიც ფუფუნების საგნებს აწარმოებს, არამედ იმ დარგებში, რომლებიც ამ მრეწველობას მუდმივ კაპიტალს აწვდიან, მაშინ ფუფუნების საგნების წარმოებაში მოგების ნორმა გაიზრდებოდა.

{ ზედმეტი ღირებულება (ე. ი. მისი სიდიდე, მასა, მისი ერთობლივი ჯამი) განისაზღვრება ზედმეტი ღირებულების ნორმით. გამრავლებული დასაქმებული მუშების რიცხვზე. ამა თუ იმ გარემოებას შეუძლიათ გავლენა მოახდინონ იმავდროულად ორივე ფაქტორზე ერთი და იმავე მიმართულებით ან საპირისპირო მიმართულებით, ანდა მათ შეუძლიათ გავლენის მოხდენა მხოლოდ ერთ-ერთ ფაქტორზე. თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამუშაო დღის აბსოლუტურ გაგრძელებას, შრომისნაყოფიერების გადიდება ფუფუნების საგნების წარმოებაში გავლენას ახდენს მხოლოდ დასაქმებული მუშების რიცხვზე. ამრიგად, ამის აუცილებელი შედეგია შემცირება ზედმეტი ღირებულების მასისა

და ამიტომ — მოგების ნორმისაც, იმ შემთხვევაშიც კი, როცა მულმივი კაპიტალი არ იზრდება. თუკი მულმივი კაპიტალი იზრდება, მაშინ შემცირებული ზედმეტი ღირებულება იანგარაშება გადიდებულ ერთობლივ კაპიტალზე).

* * *

რამსეი სხვებზე უფრო მეტად მიუახლოვდა მოგების ნორმის გაგებას. ამიტომ ნაკლოვანებანიც [ტრადიციული კონცეფციისა] მასთან უფრო ნათლად ვლინდება, ვიდრე სხვებთან. იგი აღნიშნავს ყველა ძირითად მომენტს, მაგრამ აკეთებს ამას ცალმხრივად და ამიტომ არასწორად.

თავის შეხედულებას მოგებაზე რამსეი რეზიუმეს უკეთებს შემდეგნაირად:

«ამრიგად, ცალკეული კაპიტალისტის მოგების ნორმას განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები: 1) ისეთი აუცილებელი საჭიროების საგნების მოქმენელი შრომის ნაყოფიერება, რომლებიც საჭიროა მუშისათვის, რათა მან ისაზრდოს, ჩაიღვას და ა. შ.; 2) ნაყოფიერება შრომისა, რომელიც ქმნის ძირითად კაპიტალში შემაჯალ საგნებს; 3) რ ე ა ლ უ რ ი ხ ე ლ ფ ა ს ი ს ნ ო რ მ ა, (რომელიც აქ უნდა ნიშნავდეს აუცილებელი საჭიროების საგნებს და ა. შ., რომელთაც მუშა ღებულობს, სულ ერთია, როგორც უნდა იყოს ამ საგნების წრეში შემაჯალ საქონელთა ფასი). «ამ ფაქტორებიდან პირველისა და მესამის ცვლილება გავლენას ახდენს მოგებაზე მთლიანი პროდუქტის იმ ნაწილის შეცვლით, რომელიც მუშას ერგება; მეორე ფაქტორის ცვლილება გავლენას ახდენს მოგებაზე იმ ნაწილის შეცვლით, რომელიც საჭიროა წარმოებაში მოხმარებული ძირითადი კაპიტალის — ან უ შ უ ა ლ ო დ, ან გა ც ე ლ ი ს მ ე შ ე ვ ო ბ ი თ — ანაზღაურებისათვის, ვინაიდან მოგება, არსებითად, ეს არის საკითხი შეფარდებითი წილისა» (ეიტორ. თხზ., გვ. 172).

რამსეი სამართლიანად უსაყვედურებს რიკარდოს (თუმცა საკითხის მისი საკუთარი გაშუქებაც არაღამაკმაყოფილებელია):

«რ ი კ ა რ დ ო ს ა ე ი წ ყ დ ე ბ ა, რომ მთელი პროდუქტი არა მარტო მოგებასა და ხელფასს შორის ნაწილდება, არამედ ერთი ნაწილი აუცილებელია აგრეთვე ძირითადი კაპიტალის ასანაზღაურებლად» (გვ. 174, შენიშვნა).

* * *

{დაგროვების, ე. ი. ზედმეტი ღირებულების კაპიტალად გადაქცევის, პირველი განხილვისთანავე შეიძლება აღინიშნოს, რომ მთელი ზედმეტი პროდუქტი წარმოგვიდგება (მულმივი და ცვალებადი) კ ა პ ი ტ ა ლ ი ს სახით და ზ ე დ მ ე ტ ი შ რ ო მ ი ს სახით, რომელიც ქმნის მოგებას, სარგებელს, რენტას. ვინაიდან ზედმეტი ღირებულების კაპიტალად ამ გადაქცევაში მელავნდება, რომ თვით ზედმეტი შრომა ღებულობს კაპიტალის ფორმას და რომ მუშის ფასგადაუხდელი შრომა უპირისპირდება მუშას როგორც შ რ ო მ ი ს ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი პ ი რ ო ბ ე - 27. კმარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

ბ ი ს ე რ თ ო ბ ლ ი ო ბ ა . ამ ფორმით შრომის ობიექტური პირობების ერთობლიობა უპირისპირდება მუშას როგორც უცხო საკუთრება, ასე რომ კაპიტალი, რომელიც წანამძღვარს ქმნის მუშის შრომისათვის, გვევლინება როგორც ამ შრომისაგან დაწოუკიდებელი რალაც, როგორც მზა ღირებულების ჯამი, რომელიც მუშამ უნდა გაადიდოს მხოლოდ. როცა ლაპარაკია ექსპლოატაციასზე, იველისხმება არა მუშის წარსული შრომის პროდუქტი (და არა რაიმე გარემოებანი, რომელიც შეეხებიან, ადიდებენ წარსული შრომის [პროდუქტის] ღირებულებას მ ი უ ხ ე - დ ა ვ ა დ შ რ ო მ ი ს ი მ გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი პ რ ო ც ე ს ი - ს ა , რომელშიც მუშის ეს წარსული შრომა შედის) და არა ამ პროდუქტის ანაზღაურება, არამედ მუდამ მხოლოდ მუშის ახლანდელი შრომის ექსპლოატაციის წესი და ხარისხი. როცა ცალკეული კაპიტალისტი თავის წარმოებას იმავე (ან გაფართოებულ) მასშტაბით განაგრძობს, კაპიტალის ანაზღაურება ისეთ ოპერაციად წარმოგვიდგება, რომელიც არ ეხება მუშას, რადგან თვით მუშასაც, თუკი შრომის პირობები მისი კუთვნილება იქნებოდა, აგრეთვე უნდა აენაზღაურებინა ისინი მთლიანი პროდუქტიდან, რათა განეგრძო კვლავწარმოება იმავე მასშტაბით ანდა გაეფართოებინა იგი (და ეს უკანასკნელიც აუცილებელია მოსახლეობის ბუნებრივ ზრდასთან დაკავშირებით); მაგრამ კაპიტალის ეს ანაზღაურება სამნაირი მიმართებით ეხება მუშას: 1) განუწყვეტელი განახლება შრომის პირობებისა როგორც მუშისთვის უცხო საკუთრებისა, როგორც კაპიტალისა, იწვევს მისი — როგორც დაქირავებული მუშის — მდგომარეობის განუწყვეტელ განახლებას, მაშასადამე, იგი მუდამ განახლებს მუშის იმ ხვედრსაც, რომ მან თავისი სამუშაო დროის ნაწილი მუდამ მუქთად უნდა იმუშაოს გარეშე პირისათვის. 2) წარმოების ამ პირობების გაფართოება, *alias* კაპიტალის დაგროვება, ადიდებს იმ კლასების რაოდენობას, რომლებიც მუშის ზედმეტი შრომით ცხოვრობენ. კაპიტალის დაგროვება აუარესებს მუშის მდგომარეობას *შ ე ფ ა რ ე ბ ი თ*, ადიდებს რა კაპიტალისტისა და მის პარტნიორთა შეფარდებითს სიმდიდრეს; შემდეგ, იგი აუარესებს მუშის მდგომარეობას იმით, რომ ადიდებს (შრომის დანაწილებისა და სხვ. მეოხებით) მუშის შეფარდებითი ზედმეტი შრომის რაოდენობას და ამცირებს მთლიანი პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც დაიყვანება ხელფასზე. 3) ბოლოს, იმით, რომ შრომის პირობები სულ უფრო გიგანტურ გროვათა სახით აღიმართებიან ცალკეული მუშის წინააღმდეგ, გამოდიან რა სულ უფრო მეტად როგორც სოციალური ძალები, მუშისთვის გამორიცხულია იმის შესაძლებლობა, რომ იგი თვითონ დაეუფლოს ამ ძალებს, როგორც ეს ზოგჯერ წვრილი წარმოების დროს იყო ხოლმე}.

[8] რამსეი «მთლიანი მოგების» «წმინდა მოგებად» (სარგებლად) და «მეწარმის მოგებად» დაყოფის შესახებ. აკოლოგატიკური ელემენტები მის შეხედულებაზე «წმინდა მთლიანობის შრომაზე», «რისკის დამფარავ დაზღვევაზე» და «წმინდა მოგებაზე»]

[1099] რამსეი მთლიან მოგებას უწოდებს იმას, რასაც მე უბრალოდ მოგებას ვუწოდებ. იგი ყოფს ამ მთლიან მოგებას წმინდა მოგებად (სარგებლად) და მეწარმის მოგებად (მეწარმის შემოსავლად, სამრეწველო მოგებად).*

მოგების საერთო ნორმის დატყევის საკითხზე რამსეი, ისევე როგორც რიკარდო, ეკამათება ა. სმიტს. იგი ა. სმიტის წინააღმდეგ ამბობს:

კონკურენციას კაპიტალისტურ მეწარმეთა შორის შეუძლია, მართალია, გაათანაბროს მოგება, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება ჩვეულებრივ დონეს? ჯამგვარი გათანაბრება სრულიად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ აეხსნათ მოგების საერთო ნორმის წარმოქმნა, მაგრამ სწორი არ არის, რომ კონკურენცია ამ ციურებს თვით ამ ჩვეულებრივ მოგებას (გვ. 179—180).

შესაძლებელი რომ ყოფილიყო ყოველი საქონლის, როგორც ნედლეულის, ისე აგრეთვე ფაბრიკატის, ფასის დატყევა მწარმოებლებს შორის კონკურენციის გამო, ეს სრულიადც ვერ მოახდენდა გველენას მოგებაზე. ყოველი კაპიტალისტური მეწარმე თავის პროდუქტს გაყიდდა ფულის ნაკლებ თანხაში, მაგრამ, მეორე მხრივ, შესაბამისად შემცირდებოდა მის დანახარჯთა ყოველი მუხლიც, სულ ერთია ძირითად კაპიტალს განუყოფენება იგი თუ საბრუნავ კაპიტალს (გვ. 180—181).

რამსეი გამოდის აგრეთვე მალთუხის წინააღმდეგაც:

«აზრი იმის შესახებ, რომ მოგებას მომხმარებლები იხდიან, უეჭველია, სავსებით აბსურდულია. ვინ არიან ეს მომხმარებლები? ესენი უნდა იყვნენ ან მიწის მესაკუთრენი, კაპიტალის მესაკუთრენი, მეწარმენი, მუშები — ანდა დამიანები. რომლებიც ჯამგირს ლებულობენ მომსახურებისათვის» (გვ. 183).

«ერთადერთი კონკურენციაა, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს მთლიანი მოგების საერთო ნორმაზე, ეს არის კონკურენცია კაპიტალისტურ მეწარმეებსა და მუშებს შორის» (გვ. 206).

* [1130] {თუ რატომ, რომ ბ-ნმა სენიორმა, რომლის «Outline» დაახლოებით იმ პერიოდში გამოვიდა, როცა გამოქვეყნდა რამსეის «Essay on the Distribution of Wealth», სადაც [მეორე ნაწილის] IV თავში დაწვრილებით არის განხილული მოგების დაყოფა «მეწარმის მოგებად» და «კაპიტალის წმინდა მოგებად», ანუ «სარგებლად», თითქმის პირველმა აღმოაჩინა მრგვების უკვე 1821 და 1822 წლებში ცნობილი ეს დაყოფა, — ეს შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, რომ სენიორი, როგორც აკოლოგეტი არსებულყოფილებისა და ამიტომ ეულტარული ეკონომისტი, მეტად ახლოსაა ბ-ნ რამსეის სულთან და გულთან II.} [1130]

ამ უკანასკნელ ფრაზაში რიკარდოს დებულება დაყვანილია იმაზე, რაც მასში სწორია. მოგების ნორმა შეიძლება ეცემოდეს კაპიტალსა და შრომას შორის კონკურენციის მიუხედავად, მაგრამ ერთადერთი კონკურენცია, რომლის შედეგადაც მოგების ნორმა შეიძლება ეცემოდეს, არის ეს კონკურენცია. მაგრამ თვით რამსეი არ მიგვითითებს იმ მიზეზზე, რომლის გამოც მოგების საერთო ნორმას დაცემის ტენდენცია აქვს. ერთადერთი, რასაც იგი ამბობს — და ეს სწორია, — ისაა, რომ სარგებლის ნორმა შეიძლება ეცემოდეს მოცემულ ქვეყანაში არსებული მთლიანი მოგების ნორმისაგან სრულიად დამოუკიდებლად. სახელდობრ, რამსეი ამბობს:

«იმ შემთხვევაშიც კი, თუ წარმოვიდგენთ, რომ კაპიტალს არასოდეს არ სესხულობენ სხვანიარად, თუ არა მწარმოებლური გამოყენებისათვის, მაინც შესაძლებელია, რომ სარგებლის განაყვეთი შეიცვალოს მთლიანი მოგების ნორმის უოველგვარი ცვლილების გარეშე. ვინაიდან, იმდენად, რამდენადაც ერთი წინ მიდის სიმდიდრის ზრდის გზაზე, წარმოიქმნება და სულ უფრო იზრდება კლასი ისეთი ადამიანებისა, რომელთაც თავიანთი წინაპრების შრომის» [ქეისპლატაციის, ძარცვის] «მეობებით ისეთი ფონდები აქვთ, რომელთა მარტოოდენ სარგებლით შეუძლიათ იცხოვრონ. ასევე ბევრი იმათგან, ვინც ახალგაზრდობისა და მოწიფულობის ასაკში აქტიურად ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას, თავს ანებებს ამ საქმეს. რათა სიბერეში მშვიდად იცხოვროს იმ თანხების სარგებლით, რაც თვითონ დააგროვა. ორივე ამ კლასს ის ტენდენცია ახასიათებს, რომ ქვეყნის სიმდიდრის ზრდასთან ერთად ეს კლასებიც მრავლდება, იმიტომ რომ მათ, ვინც საქმეს ცოტად თუ ბევრად მწინველოვანი კაპიტალით იწყებს, იმის შანსი აქვთ, რომ უფრო ადრე მოაგროვონ ქონება, ვიდრე მათ, ვინც საქმეს მცირე კაპიტალით იწყებს. იმიტომ ძველ და მდლიად ქვეყნებში შეფარდება ერთნეული კაპიტალის იმ ნაწილისა, რომლის შესაქუთრებებსაც არ სურთ თვითონ ამ კაპიტალის გამოყენება, საზოგადოების მთელ მწარმოებლურ კაპიტალთან უფრო დიდია, ვიდრე ეს შეფარდება ახლახან დასახლებულ და ღარიბ ქვეყნებშია. როგორი მრავალრიცხოვანია რანტიეთა კლასი ინგლისში! რანტიეთა კლასის ზრდის კვალდაკვალ იზრდება აგრეთვე კაპიტალის გამსესხებულ ადამიანთა კლასიც, რადგან ესენი ერთი და იგივე ადამიანები არიან. უკვე მარტო ამ მიზეზით სარგებლის განაკვეთს ძველ ქვეყნებში უნდა ჰქონოდა შემცირების ტენდენცია» (გვ. 201—202).

წმინდა მოგების ნორმის (სარგებლის განაკვეთის) შესახებ რამსეი ამბობს, რომ

«იგი დამოკიდებულია ნაწილობრივ მთლიანი მოგების ნორმაზე, ნაწილობრივ იმ პროპორციაზე, რომლითაც მოგება ნაწილდება სარგებლად და მეწარმის მოგებად. ეს პროპორცია დამოკიდებულია კონკურენციაზე კაპიტალის გამსესხებელთა და მსესხებულთა შორის. მთლიანი მოგების საფარული ნორმა გავლენას ახდენს ამ კონკურენციაზე. მაგრამ არ არის ამ კონკურენციის ერთადერთი — მარგულირებელი. და კონკურენცია იმიტომ არ რეგულირდება მარტოოდენ მთლიანი მოგების ნორმით, რომ, ერთი მხრივ, ბევრნი ღებულობენ სესხს, მაგრამ არ ფაქრობენ ამ სესხის მწარმოებლურად გამოყენებას, ხოლო, მეორე მხრივ, მთელი ერთნეული კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც სესხად გაიცემა, იცვლება ქვეყნის

სი მდიდრესთან ერთად მთლიანი მოგების ყოველგვარი ცვლილების მიუხედავად» (გვ. 206—207). «მეწარმის მოგება დამოკიდებულია კაპიტალის წმინდა მოგებაზე და არა უკანასკნელი პირველზე» (გვ. 214).

[1100] გარდა ზემოაღნიშნული გარემოებისა, რამსეი სამართლიანად აღნიშნავს კიდევ შემდეგს:

«სესხის სარგებელი არის წმინდა მოგების საზომი მხოლოდ იქ, სადაც ცივილიზაციამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ გასესხებული ფულის უკუგადახდა არაერთარ ექვეს არ იწვევს... ინგლისში, მაგალითად, ჩვენ ამჟამად არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ იმ ფონდებიდან მისაღებ სარგებელში, რომლებიც გაცემულია სესხად ეგრეთ წოდებულ საიმედო უზრუნველყოფით, შედის გასამრჩელო რისკისათვის» (გვ. 199, შენიშვნა).

კაპიტალისტური მეწარმის შესახებ, რომელსაც იგი master-capitalist-ს უწოდებს, რამსეი შენიშნავს:

«კაპიტალისტური მეწარმე არის სიმდიდრის საყოველთაო გამანაწილებელი: იგი უხდის მუშებს ხელფასს, [ფულის მქონე] კაპიტალისტს — სარგებელს, მიწის მესაკუთრეს — რენტას. ერთ მხარეზე არიან მეწარმენი, მეორეზე — მუშები. [ფულის მქონე] კაპიტალისტები და მიწის მესაკუთრენი. ამ ორი დიდი კლასის ინტერესები დამეტრალურად საწინააღმდეგაა. სწორედ მეწარმე ქირობს შრომას, კაპიტალსა და მიწას, და, რასაკვირველია, იგი ცდილობს მიიღოს ისინი თავის სარგებლობაში რაც შეიძლება მცირე საფასურით, მაშინ როდესაც სიმდიდრის ამ წყაროთა მფლობელები ყოველ დონეს ხმარობენ, რათა გააქირონ ისინი რაც შეიძლება ძვირად» (გვ. 218—219).

სამრეწველო მოგება (ზედამხედველობის შრომა).

საერთოდ ის, რასაც რამსეი ლაპარაკობს სამრეწველო მოგებაზე (კერძოდ, აგრეთვე ზედამხედველობის შრომაზეც), ყველაზე გონივრულია იქიდან, რაც ამის შესახებ ითქვა, თუმცა მის მტკიცებათა ნაწილი ნასესხებია შტორხიდან¹¹⁹.

შრომის ექსპლოატაცია შრომა ღირს. რამდენადაც კაპიტალისტური მეწარმის მიერ შესრულებული შრომა გაპირობებულია მხოლოდ კაპიტალსა და შრომას შორის დაპირისპირებულობით, იგი შედის მისი ზედამხედველობისათვის (მრეწველობის უნტერ-ოფიცერებისათვის) საქირო ხარჯებში და უკვე გათვალისწინებულია ხელფასის რუბრიკით, საესებით ისევე, როგორც მონების ზედამხედველობისა და მათი მათრახისათვის გაწეული ხარჯები გათვალისწინებულია მონათმფლობელის წარმოების ხარჯებში. ეს ხარჯები საესებით ისევე როგორც უმეტესი წილი სავაჭრო ხარჯებისა, განეკუთვნება კაპიტალისტური წარმოების faux frais-ს^{*}. იქ,

* — თანხარჯები, რომლებიც არ მონაწილეობენ უშუალოდ წარმოების პროცესში, მაგრამ მოკუმულ პირობებში აუცილებელი ხარჯებია. რ ე დ.

სადაც ლაპარაკია მოგების საერთო ნორმაზე, სათვალავში არ მიიღება აგრეთვე ის საზრუნავი, რასაც კაპიტალისტებს უქმნის მათი საკუთარი კონკურენცია ერთმანეთთან და მათი ერთიმეორის მოტყუების ცდები; ასევე ანგარიშში არ მიიღება ის მეტი თუ ნაკლები მოხერხებულობა, რითაც ერთ კაპიტალისტურ მეწარმეს მეორისაგან განსხვავებით შეუძლია უმცირესი ხარჯების გაღებით გამოსწოვოს თავის მუშებს ზედმეტი შრომის ყველაზე მეტი რაოდენობა და ამ გამოწოვილი ზედმეტი შრომის რეალიზება მოახდინოს მიმოქცევის პროცესში. ყოველივე ამის განხილვა ეკუთვნის კაპიტალისტების კონკურენციის გამოკვლევას. ამ გამოკვლევას საქმე აქვს საერთოდ კაპიტალისტებს შორის ბრძოლასთან და მათს ცდებთან — წაგლიჯონ ერთიმეორეს ზედმეტი შრომის რაც შეიძლება მეტი რაოდენობა, და იგი შეეხება მხოლოდ ზედმეტი შრომის განაწილებას სხვადასხვა ცალკეულ კაპიტალისტებს შორის, მაგრამ არ ეხება არც მის წარმოშობას, არც მის საერთო სიდიდეს.

ზედამხედველობის წილად რჩება მხოლოდ შრომის დანაწილებისა და ვარკვეული ინდივიდების კოოპერირების საერთო ფუნქცია. ეს შრომა მთლიანად წარმოდგენილია მმართველის ხელფასით უფრო მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოებში. იქიდან, რაც შეიძლებოდა მოგების საერთო ნორმის წარმოქმნას მოხმარებოდა, აღნიშნული შრომა უკვე გამოკლებულია. ამის საუკეთესო პრაქტიკულ დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენენ მუშების კოოპერაციული ფაბრიკები ინგლისში¹²⁰, რადგან, მიუხედავად მათ მიერ გადახდილი უფრო მაღალი სარგებლისა, ისინი საშუალოზე მეტ მოგებას იძლევიან, მმართველის ხელფასის გამოკლების შემდეგაც კი, რომელ ხელფასსაც, ბუნებრივია, ამგვარი შრომის საბაზრო ფასი განსაზღვრავს. ის კაპიტალისტური მეწარმენი, რომელნიც თავისი საკუთარი მმართველები არიან, ზოგავენ წარმოების ხარჯების ერთ-ერთ მუხლს, თვითონ უხდიან თავიანთ თავს ხელფასს და ამიტომ საშუალოზე მეტ მოგების ნორმას ლებულობენ. თუ ხვალ აპოლოგეტების ეს ფრაზა [იმის შესახებ, რომ მეწარმის მოგება ზედამხედველობის საფასურია] სერიოზულად განხორციელდებოდა სინამდვილეში და კაპიტალისტური მეწარმის მოგება მართვის და ხელმძღვანელობისათვის გადასახდელი ხელფასით შემოისაზღვრებოდა, მაშინ ზეგბოლო მოვლემოდა კაპიტალისტურ წარმოებას, სხვისი ზედმეტი შრომის მითვისებას და ამ ზედმეტი შრომის კაპიტალად გადაქცევას.

მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ [გასამრჩველს] ზედამხედველობის შრომისათვის განვიხილავთ როგორც ხელფასს, რომელიც მოგების საერთო ნორმაში იმალება, აქ ძალა აქვს იმ კანონს, რომელსაც, სხვა ეკონომისტებთან ერთად, ვადმოგვცემს რამსეი [ცი-

ტირ. თხზ., გვ. 227—231]: მაშინ როდესაც მოგება (როგორც მეწარმის მოგება, ისე მთლიანი მოგებაც [სარგებელს რომ შეიცავს]) დახარჯული კაპიტალის სიდიდის პროპორციულია, ნაწილი მოგებისა, რომელიც ზედამხედველობის შრომის ანაზღაურებას ხმარდება, კაპიტალის სიდიდის უკუპროპორციულია, — მეტად მცირეა დიდი კაპიტალის დროს და მეტად დიდია მცირე კაპიტალის დროს, ე. ი. იქ, სადაც კაპიტალისტური წარმოება მხოლოდ ნომინალურად არსებობს. როცა წვრილი კაპიტალისტი თითქმის თვითონ ასრულებს მთლიანად მის საწარმოში საჭირო შრომას, ისე გვეჩვენება, რომ მოგების მეტად მაღალ ნორმას ღებულობს მის კაპიტალთან შედარებით. ფაქტური მდგომარეობა ისეთია, რომ სინამდვილეში, რამდენადაც იგი არ ქირაობს რამდენიმე მუშას, რომელთა ზედმეტ შრომასაც იგი მიითვისებდა, იგი არ ღებულობს არავითარ მოგებას და მხოლოდ ნომინალურად არის კაპიტალისტი (სულ ერთია — მრეწველი კაპიტალისტი იქნება იგი თუ ვაჭარი კაპიტალისტი). ასეთი «კაპიტალისტი» განსხვავდება დაქირავებული მუშისაგან იმით, რომ თავისი ნომინალური კაპიტალის მეოხებით იგი ნამდვილად თავისი საკუთარი შრომის პირობების ბატონი და მესაკუთრეა, მაშასადამე, მას არა ჰყავს თავის თავზე მაღლა მდგომი ბატონი [1101] და თვითონ ითვისებს მთელ თავის სამუშაო დროს, ნაცვლად იმისა, რომ ამ დროს გარეშე პირი ითვისებდეს. ის, რაც აქ მოგებად წარმოგვიდგება, არის მხოლოდ ჩვეულებრივი ხელფასის გადანამეტი, რომელიც სწორედ იმით მიიღება, რომ [ეს წვრილი მესაკუთრე] თავის საკუთარ ზედმეტ შრომას ითვისებს. მაგრამ ეს ფორმა დამახასიათებელია მხოლოდ იმ სფეროთათვის, რომელთაც კაპიტალისტური წარმოების წესი ჯერ კიდევ *realiter** არ დაუფლებია.

[რამსეი ამბობს:

«მეწარმის მოგება შეიძლება დაიშალოს 1) მეწარმის ხელფასად, 2) მისი რისკის დამფარავ დაზღვევად, 3) მის ზემოგებად» (ციტირ. თხზ., გვ. 226).

რაც შეეხება *ჩე2* პუნქტს, იგი აქ აბსოლუტურად მოსატანი არაა კორექტმა (და თვით რამსეიმაც [ციტირ. თხზ., გვ. 222—225]) გვიჩვენა¹²¹, რომ დაზღვევა, რომელიც რისკს ფარავს, მხოლოდ თანაბრად ანაწილებს კაპიტალისტების ზარალს, ანუ ანაწილებს მას უფრო ფართოდ, კაპიტალისტების მთელ კლასს შორის. ამ თანაბრად განაწილებულ ზარალს უნდა გამოაკლდეს დამზღვევ ამხანაგობათა მოგება, იმ კაპიტალების მოგება, რომლებიც დაბანდებულია სადაზღვევო საქ-

* — რეალურად, ნამდვილად. რ ე დ.

მეში და ზარალის ამ თანაბარ განაწილებას ახორციელებენ. ეს ამხანაგობანი, საყვებით იმგვარადვე, როგორც მოვაჭრე და ფულის მქონე კაპიტალისტები, ზედმეტ ღირებულებას ღებულობენ ისე, რომ უშუალოდ მის წარმოებაში არ მონაწილეობენ. ეს ეკუთვნის კაპიტალისტების სხვადასხვა ჯგუფებს შორის ზედმეტი ღირებულების განაწილებისა და იმ გამონაკლებთა საკითხს, რაც ასეთი განაწილების შედეგად ცალკეულ კაპიტალს უწევს. ამას არავითარი კავშირი არა აქვს ზედმეტი ღირებულების არც ბუნებასთან, არც სიდიდესთან. მუშას არ შეუძლია, რა თქმა უნდა, მისცეს კაპიტალისტს იმაზე მეტი, რაც მისი ზედმეტი შრომაა. მას არ შეუძლია კაპიტალისტს კიდევ განსაკუთრებით უხადოს საფასური იმისათვის, რომ კაპიტალისტი თავს იზღვევს. როგორც ზედმეტი შრომის ნაყოფის მფლობელი, სულ დიდი-დიდი შეიძლება იმის თქმა, რომ კაპიტალისტური წარმოების გარეშეც კი მწარმოებლებს ექნებოდათ გარკვეული ხარჯები, მაშასადამე, მათ თავიანთი შრომის ან თავიანთი შრომის პროდუქტთა ნაწილი უნდა დაეხარჯათ თავიანთი პროდუქტების, თავიანთი სიმდიდრის ან მისი ელემენტების ყოველგვარი შემთხვევითობისაგან და ა.შ. დაზღვევაზე. ნაცვლად იმისა, რომ ყოველი კაპიტალისტი თვითონ იზღვევდეს თავის თავს, იგი იმავე შედეგს აღწევს. უფრო საიმედოდ და უფრო იოლი გზით, ავალებს რა ამ საქმეს. [ერთობლივი] კაპიტალის გარკვეულ ნაწილს. დაზღვევა ნაზღაურდება ზედმეტი ღირებულების ნაწილით; ამ უკანასკნელის განაწილებას კაპიტალისტებს შორის და მის უზრუნველყოფას [უბედური შემთხვევებისაგან] არავითარი კავშირი არა აქვს არც მის წარმოშობასთან, არც მის სიდიდესთან.

მაშასადამე, განსახილველი რჩება: ჯერ ერთი, მეწარმის «ხელფასი» და, მეორე, «ზემოგება», როგორც რამსეი უწოდებს აქ ზედმეტი ღირებულების იმ ნაწილს, რომელიც წილად ხვდება მრეწველ კაპიტალისტს. განსხვავებით სარგებლით მაცხოვრებელი კაპიტალისტისაგან და რომელიც ამიტომ თავისი აბსოლუტური სიდიდითაც აგრეთვე განისაზღვრება. თანაფარდობით სარგებელსა და სამრეწველო მოგებას შორის. — იმ ორ ნაწილს შორის, რა ნაწილებადაც იყოფა ზედმეტი ღირებულების ნაწილი, რომელიც წილად ხვდება კაპიტალს (განსხვავებით მიწის საკუთრებისაგან).

რაც შეეხება მეწარმის «ხელფასს», უწინარეს ყოვლისა თავისთავად ცხადია, რომ კაპიტალისტური წარმოების პირობებში კაპიტალისტს ან მოსამსახურეს — მის წარმომადგენელს, რომელსაც იგი საფასურს აძლევს, წილად ხვდება კაპიტალის — როგორც შრომის მბრძანებლის ფუნქციები. კაპიტალისტურ წარმოებასთან ერთად გაქრებოდა აგრეთვე ეს ფუნქცია იმდენად, რამდენადაც იგი გამომდინარეობს. არა კოოპერა-

ციული შრომის ბუნებიდან, არამედ თვით შრომაზე შრომის პირობების ბატონობიდან. მაგრამ თვით რამსეი უკუაგდება. [მეწარმის მოგების] ამ შემადგენელ ნაწილს ანდა ეს უკანასკნელი იმდენად უმნიშვნელო-ოდენობამდე დაჰყავს, რომ მასზე ლაპარაკიც კი არ ღირს:

«მეწარმის ხელფასი, ისევე როგორც ზედამხედველობის შრომაც, თითქმის იგივე რჩება, იმისდა მიუხედავად, უფრო დიდი იქნება საწარმო თუ უფრო პატარა» (ციტირ. თხზ., გვ. 227—229). «მუშა ვერასოდეს ვერ შეძლებს იმის თქმას, რომ მას ძალუძს იმდენივე სამუშაოს შესრულება, რამდენსაც ასრულებს ორი, სამი და ა. შ. მისი მსგავსი ადამიანი. მაგრამ მრეწველ კაპიტალისტს ან ფერმერს შეუძლია შეეცალოს ათი ან კიდევ მეტი მისი მსგავსი ადამიანი» (გვ. 255).

მეწარმის მოგების მესამე ნაწილი არის «ზ ე მ ო გ ე ბ ა». (იგი შეიცავს [კომპენსაციას] ისეთი რისკისათვის, რომელიც მხოლოდ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა მოგების და კაპიტალის შესაძლო დაკარგვა, მაგრამ ფაქტიურად წარმოგვიდგება როგორც დაზღვევა და ამიტომ თავის მხრივ — როგორც განსაკუთრებული დარგის გარკვეული კაპიტალების წილი ერთობლივ ზედმეტ ღირებულებაში).

«ეს ზემოგება», — ამბობს რამსეი, — «სინამდვილეში წარმოადგენს იმ შემოსავალს, რომელიც გამოიძინა რეობის კაპიტალის მოხმარებაზე ბატონობის შესაძლებლობიდან» (ე. ი. სხვა ადამიანთა შრომაზე ბატონობის შესაძლებლობიდან). დიმიდა მიუხედავად, ეს კაპიტალი მოცემულ კაპიტალისტს ეკუთვნის თუ მას ნახესხები აქვს იგი სხვისაგან... წმინდა მოგება» (სარგებელი) იცვლება ზუსტად კაპიტალის სიდიდის შესაბამისად; პირიქით, ზემოგების შეფარდება გამოყენებულ კაპიტალთან მით უფრო დიდია, რაც უფრო დიდია კაპიტალი» (გვ. 230).

სხვა სიტყვებით, ეს სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა შემდეგს: «მეწარმის ხელფასი» პირუკუ შეფარდებაშია კაპიტალის სიდიდესთან. რაც უფრო დიდი მასშტაბით მოქმედებს კაპიტალი, რაც უფრო კაპიტალისტურია წარმოების წესი, მით უფრო უმნიშვნელოა სამრეწველო მოგების ის შემადგენელი ნაწილი, რომელიც შეიძლება დაყვანილ იქნეს «ხელფასზე», და მით უფრო წმინდა სახით ვლინდება სამრეწველო მოგების ნამდვილი ხასიათი, — ვლინდება ის ფაქტი, რომ სამრეწველო მოგება არის «ზემოგების», ე. ი. ზედმეტი ღირებულების, ე. ი. ფასდაუხდელი, ზედმეტი შრომის ნაწილი.

სამრეწველო მოგებისა და სარგებლის მთელი დაპირისპირებულობა თავის აზრს პოულობს მხოლოდ დაპირისპირებულობაში რანტიესა და მრეწველ კაპიტალისტს შორის, მაგრამ ეს დაპირისპირებულობა სრულიად არ ეხება არც მუშის დამოკიდებულებას კაპიტალთან, არც კაპიტალის ბუნებას, არც მისი მოგების და ა. შ. წარმოშობას.

იმ მიწების რენტის შესახებ, რომლებიც გამ.ო-
იყენება არა ხორბლის, არამედ სოფლის მეურ-
ნეობის სხვა პროდუქტების საწარმოებლად,
რამსეი ამბობს შემდეგს:

«ამრიგად, რენტა, რომელსაც ერთი სახის პროდუქტებისათვის იხდიან, სხვა პრო-
დუქტების მაღალი ღირებულების მიზეზი ხდება» (ციტირ. თხზ., გვ.
279).

დასკვნითს თავში [«ეროვნული შემოსავლის შესახებ»] რამსეი ამბობს:

«მე მოსაჯელი განსხვავდება წლიური მთლიანი პროდუქტისაგან უბრალოდ
იმით, რომ მასში არ არის ყველა ის საგანი, რომლებიც განუთენილია ძირითადი
კაპიტალის შესანახად (ეს ძირითადი კაპიტალი, რამსეის მიხედვით, არის
მუდმივი კაპიტალი: ნედლეული პროდუქტის წარმოების ყველა ფაზაში
დამხმარე მასალა, მანქანები და ა. შ.) (გვ. 471).

[1102] რამსეიმ უკვე თქვა წინათ* და კვლავ იმეორებს უკანასკნელ
თავში, რომ

«საბრუნავი კაპიტალი» (ე. ი., მისი გაგებით, ხელფასზე დახარჯული კაპიტალი)
. მრსებითად ზედმეტია, «იგი არა მარტო არ არის წარმოების უშუალო ფაქტორი,
არამედ მას არც კი აქვს საერთოდ არსებითი მნიშვნელობა წარმოებისა-
თვის» (გვ. 468).

ოლონდ რამსეი არ აკეთებს აქედან თავისთავად გასაგებ დასკვნას,
რომ დაჭირავებულ შრომასა და ხელფასზე დახარჯულ კაპიტალთან
ერთად უარყოფილია აუცილებლობა კაპიტალისტური წარმო-
ებისა საერთოდ და რომ შრომის პირობები ამით აღარ უპირისპირდებიან
უკვე მუშებს როგორც «კაპიტალი», ანუ, რამსეის ტერმინოლოგიით,
როგორც «ძირითადი კაპიტალი». შრომის პირობების ერთი ნაწილი მხო-
ლოდ იმიტომ წარმოგვიდგება როგორც ძირითადი კაპიტალი,
რომ მეორე ნაწილი წარმოგვიდგება საბრუნავ კაპიტალად. მაგრამ რაკი
კაპიტალისტური წარმოება ნაგულისხმევია როგორც ფაქტი, რამსეი
ხელფასს და კაპიტალის მთლიან მოგებას (სამ-
რეწველო მოგების, ანუ, როგორც იგი მას უწოდებს, მეწარმის მოგების
ჩათვლით) შემოსავლის აუცილებელ ფორმებად აცხადებს (გვ. 478,
475).

რასაკვირველია, შემოსავლის ორივე ეს ფორმა ნამდვილად ერთობ-
ლივად გამოხატავენ ყველაზე მარტივი და საყოველთაო სახით კაპიტალის-
ტური წარმოებისა და იმ ორი კლასის დედაარსს, რომელთაც ეს წარმოება

* — იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 388. რ ე დ.

ემყარება. პირიქით, რ ე ნ ტ ა ს, ე. ი. მიწის საკუთრებას, რამსეი აცხადებს კაპიტალისტური წარმოებისათვის ზედმეტ ფორმად (გვ. 472), მაგრამ მას ავიწყდება, რომ ეს რენტა არის ამ წარმოების წესის აუცილებელი პროდუქტი. იგივე ითქმის მის განცხადებაზეც, რომ «კაპიტალის წმინდა მოგება», ანუ სარგებელი, არ წარმოადგენს აუცილებელ ფორმას:

«რანტიები უნდა გადაქცეულიყვნენ მხოლოდ [მთლიანი მოგების მკვეთრი შემცირების შემთხვევაში] მრეწველ კაპიტალისტებად, ეს კი სულ ერთია ერის სიმდიდრისათვის... მთლიანი მოგებისათვის უდავოდ არ არის აუცილებელი ისე მაღალი იყოს, რომ იგი აძლევდეს ცალკე შემოსავალს კაპიტალის მესაკუთრეს და ცალკე შემოსავალს იმას. ენც ამ კაპიტალს იყენებს» (გვ. 476—477).

რამსეი აქ კვლავ ივიწყებს თვით მის მიერ გამოთქმულ დებულებას, რომ კაპიტალის განვითარებასთან ერთად აუცილებლად წარმოიქმნება რანტიეთა მზარდი კლასი*.

[რ ა მ ს ე ი ა მ ბ ო ბ ს:]

«კაპიტალის მთლიანი მოგება და მეწარმის მოგება ... აუცილებელია წარმოების პროცესისათვის» (გვ. 475).

რა თქმა უნდა მოგების გარეშე არ არის კაპიტალი, კაპიტალის გარეშე კი არ არის კაპიტალისტური წარმოება.

* * *

ამრიგად, საბოლოო ანგარიშით რამსეის გამოუდის, ჯერ ერთი, ის, რომ დაქირავებულ შრომაზე დამყარებული კაპიტალისტური წარმოების წესი არ არის საზოგადოებრივი წარმოების აუცილებელი, ე. ი. აბსოლუტური ფორმა. (თვითონ რამსეი გამოთქვამს ამას მხოლოდ იმ შეზღუდული ფორმულირებით, რომ «საბრუნავი კაპიტალი», და «ხელფასი» ზედმეტი იქნებოდა, ხალხის ძირითადი მასა რომ არ იყოს ასე ღარიბი და არ იყოს იძულებული თავისი წილი პროდუქტში ავნასად მიიღოს ამ პროდუქტის დამზადებამდე.) მეორე, რამსეის გამოუდის ისე, რომ სარგებელი სამრეწველო მოგებისაგან განსხვავებით, ისევე როგორც მიწის რენტაც (ე. ი. თვით კაპიტალისტური წარმოების მიერ შექმნილი ფორმა მიწის საკუთრებისა) ისეთი ხორცმეტებია, რომელნიც კაპიტალისტური წარმოებისათვის არ არიან არსებითნი და რომელთა უკუგდებაც ამ წარმოებას შეეძლო. ამ ბურჟუაზიული იდეალის ნამდვილად განხორციელება შესაძლებელი რომ იყოს, მაშინ ამის შედეგი მხოლოდ ის იქნებოდა, რომ მთელი ზედმეტი ღირებულება უშუალოდ მრეწველ კაპიტალისტებს

* იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 420. რ ე დ.

მოუწყვედა და საზოგადოება (ეკონომიურად) დაყვანილი იქნებოდა კაპიტალისა და დაქირავებული შრომის მარტივ დაპირისპირებულობამდე, — ეს ისეთი გამარტივებაა, რაც, უეჭველია, დააჩქარებდა ამ წარმოების წესის დაღუპვას. [1102]

* * *

[1102] {«1862 წლის 1 დეკემბრის გაზეთში «Morning Star»¹²² ერთი ფაბრიკანტი ჩივის:

«თუ მთლიან პროდუქტს გამოაკლდება ხელფასი, მიწის რენტა, კაპიტალის სარგებელი, ნედლეულის ხარჯები და აგენტის, სოვდაგრის ან ვაჭრის მოგება, მაშინ დარჩენილი ნაწილი იქნებოდა ფაბრიკანტის, ლანკაშირის მცხოვრების მოგება, — მფლობელისა. რომელსაც ტვირთად აწევს მთლიანი პროდუქტის განაწილების ესოდენ მრავალრიცხოვან მონაწილეთათვის მუშების შენახვა».

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ღირებულებას და მთლიან პროდუქტს განვიხილავთ *in natura*, მაშინ ცხადია, რომ მუდმივი კაპიტალისა და ხელფასზე დახარჯული კაპიტალის ანაზღაურების შემდეგ რჩება პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც ზედმეტ ღირებულებას წარმოადგენს. მაგრამ ამ ნაშთიდან ნაწილი მოიხსნება რენტის სახით, მოიხსნება აგრეთვე მოგებაც აგენტებისა, სოვდაგრებისა თუ ვაჭრებისა, სულ ერთია, საკუთარ კაპიტალს იყენებენ ისინი თუ არა, — ყოველივე ეს აიღება მთლიანი პროდუქტის იმ ნაწილიდან, რომელიც ზედმეტ ღირებულებას წარმოადგენს. მაშასადამე, ფაბრიკანტისათვის ყოველივე ეს არის გამოწაკლება. თვითონ ფაბრიკანტის მოგება, თუ მან კაპიტალი ისესხა, იყოფა თავის მხრივ სამრეწველო მოგებად და სარგებლად.}

{დიფერენციული რენტის შესახებ. უფრო ნაყოფიერ მიწაზე მომუშავე მუშის შრომა უფრო ნაყოფიერია იმ მუშის შრომაზე, რომელიც ნაკლებნაყოფიერ მიწაზე მუშაობს. მაშასადამე, თუ პირველი მუშა ხელფასს მიიღებდა *in natura*, მაშინ მას მთლიანი პროდუქტის უფრო ნაკლები ნაწილი ერგებოდა, ვიდრე ნაკლებნაყოფიერ მიწაზე მომუშავე მუშას. ანდა, რაც ერთი და იგივეა, მისი შეფარდებითი ზედმეტი შრომა, თუმცა იგი დღეში იმდენსავე საათს მუშაობს, უფრო მეტი იქნებოდა, ვიდრე მეორე მუშის შეფარდებითი ზედმეტი შრომა. მაგრამ მისი ხელფასი იმდენივე ღირს, რამდენიც მეორე მუშის ხელფასი. ამიტომ მოგებაც კაპიტალისთვისა, რომელიც მას იყენებს, არ არის იმ კაპიტალისთვის მოგებაზე მეტი, რომელიც მეორე მუშას იყენებს. ზედმეტ ღირებულებას, რომელსაც მისი პროდუქტის გადანამეტი შეიცავს, მისი შრომის უფრო მეტ შეფარდებითს ნაყოფიერებას, ანუ მის დიფერენციულ ზედმეტ შრომას, ჩაიჯიბავს მიწის მესაკუთრე.} [1102]

[თავი ოცდამესამე]

შერბულიე

[1102] (Cherbuliez. Riche ou pauvre. Paris, 1841 (გადანაბეჭდი ენევის გამოცემიდან).

(ჯერ კიდევ დიდი საკითხია, საჭიროა თუ არა ამ ვაუბატონის სპეციალურად შეტანა [ეკონომისტების] ამ რიგში, რამდენადაც მისი ნათქვამის მეტი ნაწილი სისმონდის ყაიდისაა, ანდა ის, რაც შერბულიეს შეხედულებებში მართებულია, უმჯობესია მოცემულ იქნეს სათანადო შემთხვევებში ციტატების სახით ¹²³.) [1102]

[1] კაპიტალის ორი ნაწილის განსხვავება: ნაწილისა, რომელიც მანქანებისა და ნედლეულისაგან შედგება, და ნაწილისა, რომელიც მუშების «საარსებო საშუალებათა ფონდისაგან» შედგება]

[1103] «კაპიტალი», — ამბობს შერბულიე, — «ეს არის ნედლეული, იარაღები, საარსებო საშუალებათა ფონდი [approvisionnement]» (გვ. 16). «არ არის არავითარი განსხვავება კაპიტალსა და სიმდიდრის რომელიმე სხვა ნაწილს შორის. მხოლოდ გამოყენების შეზღუდვით იქცევა ნივთი კაპიტალად, ე. ი. იგი იქცევა კაპიტალად მაშინ, როცა წარმოების აქტში გამოიყენება როგორც ნედლეული, იარაღი ან საარსებო საშუალებათა ფონდი» (გვ. 18).

ეს არის, მაშასადამე, ჩვეულებრივი მანერა კაპიტალის დაყენისა იმ ნივთობრივ ელემენტებზე, რომელთა სახითაც იგი გამოდის შრომის პროცესში, ე. ი. დაყვანა მისი შრომის საშუალებებსა და საარსებო საშუალებებზე. ამასთან უკანასკნელი არაა ზუსტი იმდენად, რამდენადაც საარსებო საშუალებანი, თუმცაღა ისინი წარმოების დროს მწარმოებელთა პირობას, წანამძღვარს წარმოადგენენ, არ შედიან თვით შრომის პრო-

ცესში; მასში არ შედის არაფერი, გარდა შრომის საგნისა, შრომის საშუალებისა და თვით შრომისა. აქ, მაშასადამე, კაპიტალი ეწოდება შრომის პროცესის ობიექტურ პირობებს, რომლებიც საერთოა წარმოების ყველა ფორმისათვის, თუმცა ცნება «საარსებოსაშუალებათა ფონდი» (რომელშიც უკვე იგულისხმება ხელფასი) მდუნარედ გულისხმობს ამ შრომის პირობების კაპიტალისტურ ფორმას.

შერბულიეს, სავსებით ისევე როგორც რამსეის, მიაჩნია, რომ «საარსებოსაშუალებათა ფონდი», — ანუ ის, რასაც რამსეი საბრუნავ კაპიტალს უწოდებს, — მცირდება (ყოველ შემთხვევაში შეფარდებით, მთელ კაპიტალთან შედარებით, და აბსოლუტურად, რამდენადაც მანქანები გამუდმებით გამოაძევებენ წარმოებიდან მუშებს). მაგრამ იგი, როგორც რამსეიც, ჩანს, ფიქრობს, რომ აქ აუცილებლად მცირდება იმ საარსებო საშუალებათა, იმ აუცილებელი საჭიროების საგანთა მასა, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნენ როგორც მწარმოებლური კაპიტალი. საქმის ვითარება სრულიადაც არ არის ამგვარად. აქ მუდამ არეულია ერთმანეთში მთლიანი პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც ანაზღაურებს კაპიტალს და გამოიყენება კაპიტალის სახით, და ის ნაწილი, რომელიც ზედმეტ პროდუქტს წარმოადგენს. «საარსებოსაშუალებათა ფონდი» მცირდება იმიტომ, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი კაპიტალისა, ე. ი. კაპიტალის სახით გამოყენებული მთლიანი პროდუქტის ნაწილისა, იკვლავწარმოება უკვე არა ცვალებადი, არამედ მუდმივი კაპიტალის სახით. [მეორე მხრივ] უფრო დიდ ნაწილს ზედმეტი პროდუქტისას, რომელიც საარსებო საშუალებათაგან შედგება, ჰამენ არამწარმოებელი მუშაკები და ისინი, ვინც სრულიად არ მუშაობს, ანდა ცვლიან ფუფუნების საგნებზე. *Voilà tout**.

რა თქმა უნდა, ის ფაქტი, რომ ცვალებად კაპიტალად იქცევა ერთობლივი კაპიტალის სულ უფრო ნაკლები ნაწილი, შეიძლება აგრეთვე სხვა-ნაირადაც გამოიხატოს. კაპიტალის ნაწილი, რომელიც ცვალებადი კაპიტალისაგან შედგება, უდრის ერთობლივი პროდუქტის იმ ნაწილს, რომელსაც მუშა თავისთვის მიითვისებს, თავისთვის აწარმოებს. მაშასადამე, რაც უფრო ნაკლებია ეს ნაწილი, მით უფრო ნაკლებია მუშების ის რიცხვიც, რომელიც — მათი ერთობლივი რაოდენობიდან — საკმარისია ამ ნაწილის კვლავწარმოებისათვის (სავსებით ისევე როგორც ამ შემთხვევაში ცალკეული მუშა მით უფრო ნაკლები სამუშაო დროის განმავლობაში მუშაობს თავისი თავისთვის). როგორც ერთობლივი შრომა, ისე

* — აი ყველაფერი. რ ე დ.

ერთობლივი პროდუქტიც მუშებისა ორ ნაწილად დაიშლება. ერთ ნაწილს თავისთვის აწარმოებენ მუშები, მეორე ნაწილს კაპიტალისტისთვის. როგორც ცალკეული მუშის სამუშაო დრო შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს, ასევე შეიძლება დაიყოს მთელი მუშათა კლასის სამუშაო დროც. თუ ზედმეტი შრომა სამუშაო დღის ნახევარს უდრის, ეს იგივეა, მუშათა კლასის ნახევარს რომ ეწარმოებინა საარსებო საშუალებანი მუშათა კლასისთვის, მეორე ნახევარს კი — ნედლეული, მანქანები და შუა პროდუქტები კაპიტალისტისთვის, ნაწილობრივ როგორც მწარმოებლისათვის, ნაწილობრივ კი როგორც მომხმარებლისათვის.

სსაჯილოა, რომ შერბულიე და რამსეი ფიქრობენ, თითქოს მთლიანი პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც შეიძლება მუშებმა მოიხმარონ, შეიძლება მათს მოხმარებაში *in natura** შევიდეს, აუცილებლად უნდა შემცირებულყო და რომ იგი საერთოდ შემცირდა. შემცირდა მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მოიხმარება ამ ფორმით, ე. ი. ც ვ ა ლ ე ბ ა დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ის სახით. მით უფრო დიდ ნაწილს, პირიქით, ჭამენ მსახურები, ჯარისკაცები და სხვ. ანდა გაიტანენ საზღვარგარეთ და გაცვლიან უფრო ნატიფ საარსებო საშუალებებზე.

როგორც რამსეისათვის, ისე შერბულიესთვისაც მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ ისინი ფაქტურად ერთიმეორეს უპირისპირებენ ც ვ ა ლ ე ბ ა დ ა მ უ დ მ ი ე კ ა პ ი ტ ა ლ ს და არ ჩერდებიან მიმოქცევიდან აღებულ განსხვავებაზე ძირითადად და საბრუნავ კაპიტალს შორის. ვინაიდან შერბულიე კაპიტალის ნაწილს, რომელიც დაიყვანება «საარსებო საშუალებათა ფონდზე», უპირისპირებს კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც შედგება ნედლეულისაგან, დამხმარე მასალისა და შრომის საშუალებებისაგან — იარაღებისა და მანქანებისაგან. ნამდვილად კი მუდმივი კაპიტალის ამ შემადგენელი ნაწილებიდან ორი — ნედლეული და დამხმარე მასალა — თავისი მიმოქცევის ფორმის მიხედვით საბრუნავ კაპიტალს ეკუთვნის.

კაპიტალის შემადგენელი ნაწილების ცვლილებისას მნიშვნელოვანია არა ის, რომ შედარებით მეტი მუშაა დასაქმებული ნედლეულისა და მანქანების წარმოებით, ვიდრე საარსებო საშუალებათა უშუალო წარმოებით, — ეს ეხება მხოლოდ შრომის დანაწილებას, — არამედ მნიშვნელოვანია ის შეფარდება, რომლითაც პროდუქტი გამოიყენება წარსული შრომის (ე. ი. მუდმივი კაპიტალის) ანაზღაურებისათვის და ცოცხალი შრომის გადასახდელად. რაც უფრო დიდ მასშტაბებს ღებულობს კაპი-

* — ნატურით, ნატურალური ფორმით. ჩ ე დ

ტალისტური წარმოება, — მაშასადამე, რაც უფრო მეტია დაგროვილი კაპიტალი, — მით უფრო მეტი ნაწილი [ერთობლივი] პროდუქტის ღირებულებისა უწევს იმ მანქანებსა და იმ ნედლეულს, რომლებდაც გადაიქცევა მანქანებისა და ნედლეულის წარმოებაში გამოყენებული კაპიტალი. მით უფრო მეტი ნაწილი პროდუქტისა, მაშასადამე, უნდა დაუბრუნდეს წარმოებას *in natura* ანდა მუდმივი კაპიტალის სხვადასხვა ნაწილის მწარმოებელთა შორის გაცვლის გზით. პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც წარმოებას ეკუთვნის, მით უფრო მეტი ხდება, და შედარებით მით უფრო მცირდება ის ნაწილი, რომელიც ცოცხალ, ახლად მიმატებულ შრომას წარმოადგენს. რა თქმა უნდა, საქონელში, სახმარ ღირებულებებში გამოხატული ეს უკანასკნელი ნაწილი იზრდება, რადგან აღნიშნული ფაქტი შრომისნაყოფიერების გადიდების თანაბარმნიშვნელოვანია. მაგრამ მით უფრო მცირდება კიდევ შეფარდებით ამ ნაწილის ის ნაწილი, რომელიც მუშის კუთვნილებაა. და იგივე პროცესი იწვევს მუშა მოსახლეობის მუდმივ შეფარდებითს სიჭარბეს.

2) მუდმივი კაპიტალის სიდიდესთან შედარებით მუშავის რაოდენობის განუხრავი შემცირების შესახებ

[1104] {უდავო ფაქტია ის, რომ კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან ერთად იზრდება კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც იხარჯება მანქანებისა და ნედლეულის შესაძენად, და მცირდება ის ნაწილი, რომელიც ხელფასზე იხარჯება. ეს არის ერთადერთი საკითხი, რომელიც რამსეისა და შერბულიეს აინტერესებს. ჩვენთვის კი მთავარია შემდეგი: გვიხსნის თუ არა ეს ფაქტი მოგების ნორმის შემცირებას (რომელიც სხვათა შორის სულაც არაა ისე დიდი, როგორც ამაზე ლაპარაკობენ)? ამასთან საქმე ეხება არა მარტო რაოდენობრივ თანაფარდობას, არამედ დ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი თ ს თ ა ნ ა ფ ა რ დ ო ბ ა ს ა ც.

თუ ერთ მუშას შეუძლია გადაამუშაოს ნართად იმდენი ბამბა, რამდენსაც წინათ 100 მუშა გადაამუშავებდა, მაშინ ნედლეული უნდა გაიზარდოს 100-ჯერ და, გარდა ამისა, პროცესი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ისეთი საართავი მანქანის დახმარებით, რომელიც ერთ მუშას 100 თითისტრის მართვის შესაძლებლობას აძლევს. მაგრამ თუ ამავე დროს სოფლის მეურნეობის ერთი მუშა ახლა იმდენსავე ბამბას აწარმოებს, რამდენსაც წინათ 100 მუშა აწარმოებდა, ხოლო ერთი მუშა მანქანათმშენებლობაში ახლა ერთი თითისტრის ნაცვლად მთელ საართავ მანქანას აწარმოებს, მაშინ რთვასა, ბამბასა და საართავი წარმოების იარაღებზე

დახარჯულ შრომას შორის ღირებულებითი შეფარდება საესეებით იგივე, დარჩება, რაც წინათ იყო.

რაც შეეხება მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ს, ისინი არ ღირან იმდენი, რამდენიც ღირს შრომა, რომელიც მათ შეცვალეს, თუმცა სართავი მანქანა გაცილებით უფრო ძვირია, ვიდრე თითისტარი. ცალკეულ კაპიტალისტს, რომელსაც სართავი მანქანა აქვს, თავის განკარგულებაში უნდა ჰქონდეს უფრო მეტი კაპიტალი, ვიდრე ცალკეულ მრთველს, რომელიც თვით-სართავს ყიდულობს. მაგრამ სართავ მანქანაზე სამუშაოდ საქირო მუშების რიცხვთან შეფარდებით ამ მანქანის გამოყენება უფრო იაფი ჯდება, ვიდრე თვითსართავთა გამოყენება. სხვაგვარად სართავი მანქანა ვერ გააძეგებდა თვითსართავს. მრთველის ადგილს იკავებს კაპიტალისტი მაგრამ ის კაპიტალი, რომელსაც მრთველი თვითსართავზე ხარჯავდა, პროდუქტის სიდიდესთან შეფარდებით, უფრო დ ი დ ი ა, ვიდრე კაპიტალი, რომელსაც კაპიტალისტი სართავ მანქანაზე ხარჯავს. }

შრომისნაყოფიერების გადიდება (რამდენადაც იგი დაკავშირებულია მანქანებთან) იგივეა, რაც მუშების რაოდენობის შემცირება გამოყენებული მანქანების რიცხვთან და სიმძლავრესთან შედარებით. მარტივი და იაფი იარაღის ნაცვლად ჩვენ გვაქვს ასეთი იარაღების (თუმცაღა სახე-შეცვლილთა) მთელი კომპლექტი და, გარდა ამისა, კიდევ ყველა ის იარაღი, რომლებიც წარმოადგენენ მამოძრავებელ და გადაძეგმ მოწყობილობებს, შემდეგ გვაქვს აგრეთვე მასალა (როგორც, მაგალითად, ნახშირი და ა. შ.), რომელიც გამოიყენება მამოძრავებელი ძალის (როგორიცაა, მაგალითად, ორთქლი) შესაქმნელად, და, ბოლოს, სათანადო შენობები. თუ ერთი მუშა 1 800 თითისტარს მეთვალყურეობს, მაშინ უაზრო იქნებოდა გვეკითხა, რატომ არ არის ეს 1 800 თითისტარი ისევე იაფი, როგორც ერთი თვითსართავია. მაღალი მწარმოებლობა აქ გაპირობებულია სწორედ მანქანების სახით გამოყენებული კაპიტალის მასით. მანქანების გაცვეთის პროპორცია ეხება მხოლოდ საქონელს; მუშა უპირისპირდება მანქანათა მთელ ერთობლიობას, და საესებით ასევე შრომაზე დახარჯული კაპიტალის ღირებულება მანქანებზე დახარჯული კაპიტალის ღირებულებას.

ექვს გარეშეა, რომ მანქანები იაფდება ორი მიზეზის გამო: მანქანების გამოყენებით ისეთი ნედლეულის წარმოებაში, რომლიდანაც მანქანები კეთდება და მანქანების გამოყენებით ამ ნედლეულის მანქანებად გადაქცევისას. მაგრამ ეს გულისხმობს ორ რამეს: *ჯ ე რ ე რ თ ი*, რომ ამ ორ დარგშიც, თუ იქ შემოღებულ მანქანებს შეეადარებთ იმ იარაღებს, რომლებიც მანუფაქტურულ წარმოებაში გამოიყენებოდა, მანქანებზე დახარჯული კაპიტალი იზრდება თავისი ღირებულების მიხედვით შრო-
28. კ. პარკი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

მაზე დახარჯულ კაპიტალთან შედარებით; მ ე ო რ ე, რომ თუ იაფდება ცალკეული მანქანა და მისი შემადგენელი ნაწილები, ამასთან ერთად იმავდროულად ვითარდება მანქანათა მთელი სისტემა: იარაღის ნაცვლად გამოდის არა მარტო ცალკეული მანქანა, რომელიც უწინ, შესაძლოა, მთავარ როლს ასრულებდა, როგორც, მაგალითად, საქსოვი ნემსი, თავს იყრის ანლა ერთ ადგილას უამრავი ათასობით (წინდის მქსოველ ან მის მსგავს მანქანაში). ყოველი ცალკეული მანქანა, რომელიც მუშას უპირისპირდება, წარმოადგენს უკვე ისეთი იარაღების კომპლექტს, რომელთაც მუშა წინათ განცალკევებულად ხმარობდა, როგორც, მაგალითად, 1800 თითისტარს ნაცვლად ერთისა. მაგრამ მანქანა შეიცავს, გარდა ამისა, ისეთ ელემენტებსაც, რომლებიც არ იყო ძველ იარაღში, და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული ელემენტები იაფდება, მანქანათა მთელი მასის ფასი უზომოდ იზრდება, მწარმოებლობის ზრდა კი ამ მასის მუდმივ გადიდებაში მდგომარეობს.

შემდეგ, მანქანების გაიაფების ერთ-ერთ მიზეზს, გარდა იმისა, რომ იაფდება მათი შემადგენელი ნაწილები, წარმოადგენს მამოძრავებელი ძალის წყაროს (მაგალითად, ორთქლის ქვაბის) და გადამცემ მოწყობილობათა გაიაფება, მამოძრავებელი ძალის ეკონომია. მაგრამ ეს ეკონომია მიიღება სწორედ იმით, რომ სულ უფრო მზარდი ზომით იმავე ძრავას მოძრაობაში მოჰყავს მანქანათა უფრო დიდი სისტემა. ეს ძრავა შეფარდებით იაფდება, ანდა მისი ხარჯები არ იზრდება მანქანათა იმ სისტემის გადიდების პროპორციულად, რომლის მიმართაც იგი გამოიყენება; თვითონ იგი ძვირდება თავისი მოცულობის გადიდებისდა მიხედვით, მაგრამ მისი ფასის ეს გადიდება არ არის მისი მოცულობის გადიდების პროპორციული, — მაშინაც კი, როცა მისი ხარჯები აბსოლუტურად იზრდება, შეფარდებით ეს ხარჯები მცირდება. ეს არის, მაშასადამე, ახალი მნიშვნელოვანი მოტივი იმისათვის, რომ—ცალკეული მანქანის ფასის მიუხედავად — გადიდდეს მანქანებზე დასახარჯავი კაპიტალი, რომელიც მუშას უპირისპირდება. ისეთი ფაქტორი, როგორიცაა მანქანათა მუშაობის მზარდი სისწრაფე, არაჩვეულებრივად ადიდებს მათს მწარმოებლურ ძალას, მაგრამ მას საერთო არაფერი აქვს თვით ამ მანქანების ღირებულებასთან.

მაშასადამე, თავისთავად გასაგები ან ტავტოლოგიურია ის დებულება, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდას, რაც მანქანების მეშვეობით ხდება, შეესაბამება მანქანების ღირებულების ზრდა გამოყენებული შრომის მასასთან შედარებით (და ამიტომ ამ შრომის ღირებულებასთან, ცვალებად კაპიტალთან შედარებითაც).

[1105] ყველა ის გარემოება, რომელთა გამოც მანქანათა გამოყენება აიაფებს საქონელთა ფასს, დაიყვანება, ჯერ ერთი, ცალკეული საქონლის მიერ შთანთქმული შრომის რაოდენობის შემცირებაზე, მეორე კი, იმ მანქანათა გაცვეთის შემცირებაზე, რომელთა ღირებულებაც ცალკეულ საქონელში შედის. რაც უფრო ნელა ხდება მანქანების გაცვეთა, მით უფრო ნაკლები შრომა არის საჭირო მათი კვლავწარმოებისათვის. ეს აღიღებს, მაშასადამე, იმ კაპიტალის რაოდენობას და ღირებულებას, რომელიც მანქანებისაგან შედგება, შედარებით იმ კაპიტალთან, რომელიც შრომის სახით არსებობს.

ამრიგად, რჩება მხოლოდ ნედლეულის საკითხი. ნედლეულის რაოდენობა რომ უნდა იზრდებოდეს შრომისნაყოფიერების ზრდის შესაბამისად, — ეს ცხადია. ლაპარაკია ნედლეულის მასაზე შრომის მასასთან შეფარდებით. ეს შეფარდება უფრო დიდია, ვიდრე იგი გვეჩვენება.

ვთქვათ, მაგალითად, რომ ყოველკვირეულად მოიხმარება 10 000 გირვანქა ბამბა. თუ წელიწადში 50 კვირას ვიანგარიშებთ, ეს შეადგენს $10\,000 \times 50 = 500\,000$ გირვანქას წელიწადში. ვთქვათ, ხელფასი შეადგენს წელიწადში 5 000 გირ. სტერლინგს. გირვანქა ბამბა ღირს, ვთქვათ 6 პენსი, რაც შეადგენს 250 000 შილინგს, ანუ 12 500 გირ. სტერლინგს წელიწადში. დაფუშვით, რომ კაპიტალი ხუთჯერ გადაბრუნდება წლის განმავლობაში. მაშინ წლის ერთ მეხუთედში მოიხმარება 100 000 გირ. ბამბა, რომელიც ღირს 2 500 გირ. სტერლინგი. და წლის ამავე ერთ მეხუთედში ხელფასზე იხარჯება 1 000 გირ. სტერლინგი, ე. ი. იმ კაპიტალის ღირებულების ერთ მესამედზე მეტი, რომელიც დაბანდებულია ბამბის წარმოებაში. გამოდის, რომ ეს სრულიად არ ცვლის შეფარდებას ნედლეულის მასასა და შრომის მასას შორის. თუ ახლა ბამბის ღირებულება წლის ყოველ მეხუთედ ნაწილში შეადგენს 10 000 გირ. სტერლინგს, შრომის ღირებულება კი — 1 000 გირ. სტერლინგს, მაშინ შეფარდება მათ შორის იქნება 1 : 10. (ეს შეფარდება იქნება 1 : 10 იმ შემთხვევაშიც, თუ განვიხილავთ მთელი წლის პროდუქტს: 50 000 გირ. სტერლინგს ერთ მხარეზე და 5 000 გირ. სტერლინგს მეორე მხარეზე.)

{საქონლის ღირებულება იმდენად, რამდენადაც იგი მანქანებზეა დამოკიდებული, განისაზღვრება ამ მანქანების გაცვეთით, რომელიც საქონელში შედის; მაშასადამე, იგი განისაზღვრება მანქანების ღირებულებით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მანქანათა ღირებულება თვითონ შედის ღირებულების წარმოქმნის პროცესში, ე. ი. რამდენადაც მანქანათა ღირებულება მოიხმარება შრომის პროცესში. პირიქით, მოგება განისაზღვრება (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნედლეულს) შრომის პროცესში შემავალი ყველა მანქანის ღირებულებით, მიუხედავად ამ

ღირებულების მოხმარებისა. ამიტომ მოგება უნდა ეცემოდეს იმის შესაბამისად, თუ როგორ მცირდება [ცოცხალი] შრომის ერთობლივი რაოდენობა კაპიტალის იმ ნაწილთან შედარებით, რომელიც მანქანებზე იხარჯება. [მაგრამ] მოგება არ ეცემა ზუსტად იმავე პროპორციით, რადგან დიდდება ზედმეტი შრომა.}

ნედლეულთან დაკავშირებით შეიძლება წამოიჭრას შემდეგი საკითხი: თუ, მაგალითად, სართავ წარმოებაში მწარმოებლური ძალა ათჯერ დიდდება, ე. ი. თუ ერთ მუშას შეუძლია გამოიმუშაოს იმდენი ნართი, რამდენსაც წინათ ათი მუშა გამოიმუშაებდა, მაშინ რატომ არ უნდა აწარმოოს ერთმა ზანგმა იმდენივე ბამბა, რამდენსაც წინათ ათი ზანგი აწარმოებდა, სხვანაირად რომ ვთქვათ, რატომ არ უნდა დარჩეს მოცემულ შემთხვევაში ღირებულებითი თანაფარობა წინანდელი? მრთველი იმავე დროის განმავლობაში ათჯერ მეტ ბამბას ხმარობს, მაგრამ ზანგი იმავე დროის განმავლობაში ათჯერ მეტ ბამბას აწარმოებს. მაშასადამე, ათჯერ უფრო მეტი რაოდენობა ბამბისა არ აღმოჩნდებოდა უფრო ძვირი, ვიდრე წინათ მისი ათჯერ უფრო ნაკლები რაოდენობა იყო. ამრიგად, მიუხედავად ნედლეულის რაოდენობის გადიდებისა, მისი ღირებულებითი შეფარდება ცვალებად კაპიტალთან უწინდელი დარჩებოდა. მართლაც, ბამბის მხოლოდ მნიშვნელოვანი გაიაფების მეოხებით შეეძლო მრეწველობის ამ დარგს ასე განვითარებულიყო*. რაც უფრო ძვირია მასალა (მაგალითად, ოქრო და ვერცხლი), მით უფრო ნაკლებად გამოიყენება მისგან ფუფუნების საგნების დამზადებისას მანქანები და შრომის დანაწილება. ეს იმიტომ ხდება, რომ ნედლეულისათვის საჭირო კაპიტალის დანახარჯი მეტად დიდია, ამ საგნების მოთხოვნა კი მათთვის საჭირო ნედლეულის სიძვირის გამო, შეზღუდულია.

ზემოთ დასმულ საკითხზე შეიძლება მარტივად ვუპასუხოთ, რომ ნედლეულის ნაწილი, — მაგალითად, მატყლი, აბრეშუმში, ტყავი, — იწარმოება ცხოველურ-ორგანული პროცესების მეშვეობით, ხოლო ბამბა, აქელი და ა. შ. — მცენარეულ-ორგანული პროცესების მეშვეობით; კაპიტალისტურმა წარმოებამ დღემდე ვერ მოახერხა და ვერც მოახერხებს ვერასოდეს ამ პროცესების ისე წარმართვას, როგორც იგი წარმართავს წმინდა მექანიკურ პროცესებს ან არაორგანულ ქიმიურ პროცესებს. ისეთი ნედლეული, როგორიცაა ტყავი და ა. შ., და ცხოველთა სხვა შემადგენელი ნაწილები ძვირდება ნაწილობრივ უკვე იმიტომ, რომ მიწის რენტის უკვანო კანონი ცივილიზაციის პროგრესთან

* [1105] (თუ ხვალ ბამბა ათჯერ გაიაფდებოდა, მაშინ ზევ სართავი მრეწველობა კიდევ უფრო სწრაფად გადაღამდა ნაბიჯს წინ, და ა. შ.) [1105]

ერთად აღიღებს ამ პროდუქტების ღირებულებას. რაც შეეხება ქვანახ- შირს და ლითონებს (ასევე ხე-ტყეს), ისინი ძლიერ გაიაფდნენ წარმოების პროგრესთან ერთად, მაგრამ მალაროების გამოფიტვის პირობებში ლი- თონის ამოღების საქმეც უფრო ძნელდება, და ა. შ.

{თუ ხორბლის რენტისა და მალაროთა რენტის მიმართ შეიძლება ითქვას, რომ იგი არ აძვირებს პროდუქტის ღირებულებას (აძვირებს მხოლოდ მის საბაზრო ფასს), ვინაიდან იგი წარმოადგენს უფრო მეტად მისი ღირებულების გამოხატულებას (პროდუქტის ღირებულების გადა- ნამეტს მის წარმოების ფასზე), მაშინ, პირიქით, ექვს გარეშეა, რომ პირუტყვის რენტა, სახლების რენტა და ა. შ. ამ პროდუქტთა ღირებულე- ბის ზრდის შედეგი კი არ არის, არამედ ამ ზრდის მიზეზია. }

ნედლეულის, დამხმარე მასალის და ა. შ. გაიაფება ანელებს კაპიტა- ლის ამ ნაწილის ღირებულების ზრდას, მაგრამ არ აუქმებს მას. იგი რამ- დენადმე აფერხებს მოგების ნორმის დაცემას.

ამით ამოიწურება მთელი ეს აბდაუბდა. [1105]

[1105] {მოგების განხილვისას იგულისხმება, რომ ღირებულება მოცემულია. განიხილება მხოლოდ მუდმივი კაპიტალის ცვლილებათა გავლენა მოგების ნორმაზე. არის მხოლოდ ერთი ვითარება, რომლითაც ზედმეტი ღირებულება უშუალოდ ახდენს გავლენას მუდმივ კაპიტალზე, სახელდობრ — ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი ზ ე დ მ ე ტ ი შ რ ო მ ი ს მ ე- შვეობით, სამუშაო დღის გახანგრძლივებით, რაც იწვევს [პროდუქტის] ღირებულებაში მუდმივი კაპიტალის წილის შემცირებას. შეფარდებითი ზედმეტი შრომა, — იქ, სადაც სამუშაო დღე უცვლელი რჩება(მხედვე- ლობის გარეშე ვტოვებთ შრომის ინტენსივობას), — აღიღებს ღირებუ- ლეობის შეფარდებას ერთობლივ კაპიტალთან [მხოლოდ] თვით ზედმეტი ღირებულების ზრდის შედეგად. აბსოლუტური ზედმეტი სამუშაო დრო შეფარდებით ამცირებს მუდმივი კაპიტალის ხარჯებს. }

[3] შერბულიეს აქვს იმის მიხვედრა, რომ მოგების ნორმისათვის გადაწყვეტია კაპიტალის ორგანული შედგენილობა. მისი დაბნეულობა ამ საკითხში. შერბულიე «მითვისების კანონის» შესახებ კაპიტალიზმის დროს

[1106] დავუბრუნდეთ შერბულიეს.

ფორმულები, რომელთაც იგი იძლევა მოგების ნორმისათვის, ან მოგების მათემატიკური გამოსახულებანია მისი ჩვეულებრივი გავებით და არაერთარ კანონს არ შეიცავენ, ანდა პირდაპირ მცდარი ფორმულებია;

თუმცა შერბულიეს აქვს გარკვეული ბუნდოვანი წარმოდგენა საგანზე, ამ საგნის გაგებას უახლოვდება.

«კომერციული მოგება»¹²⁴ განისაზღვრება პროდუქტის ღირებულებით შედარებით მწარმოებლური კაპიტალის სხვადასხვა ელემენტებთან» [ციტირ. თხზ. გვ. 70].

სინამდვილეში მოგება არის პროდუქტის ზედმეტი ღირებულების შეფარდება ერთობლივი. ავანსებული კაპიტალის ღირებულებასთან, მისი ელემენტების სხვაობის მიუხედავად. მაგრამ თვით ზედმეტი ღირებულება განისაზღვრება ცვალებადი კაპიტალის ნორმით და მისი ღირებულების გადიდების ნორმით, შეფარდება კი ამ ზედმეტი ღირებულებისა ერთობლივ კაპიტალთან თავის მხრივ განისაზღვრება ცვალებადი და მუდმივი კაპიტალის შეფარდებით; ასევე მუდმივი კაპიტალის ღირებულების ცვლილებით.)

ამ განსაზღვრის ორი მთავარი ელემენტი არის, ცხადია, ნედლეულის ფასი და საარსებო საშუალებათა ფონდის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ამ ნედლეულის გადასამუშავებლად. საზოგადოების ეკონომიური პროგრესი მოქმედებს ამ ორ ელემენტზე სპირიტისპირი მიმართულებით. მას აქვს ნედლეულის გაძვირების ტენდენცია, ვინაიდან იგი ადიდებს წარმოების მომპოვებელ დარგთა¹²⁵ ყველა პროდუქტის ღირებულებას, ისეთი ფონდების საფუძველზე მოქმედი დარგებისა, რომელნიც კერძო საკუთრებას წარმოადგენენ და სიერცებრივად შეზღუდულნი არიან. პირიქით, საარსებო საშუალებათა ფონდი საზოგადოების პროგრესთან ერთად მცირდება» (შეფარდებით) რასაც ჩვენ შემდეგში დაუბრუნდებით.

«პროდუქტების საერთო ჯამი მიწის მათ მისაღებად მოხმარებული კაპიტალის საერთო ჯამი იძლევა მოგების საერთო ჯამს გარკვეული დროის განმავლობაში. პროდუქტების საერთო ჯამი იზრდება გამოყენებული კაპიტალის პროპორციულად და არა მოხმარებული კაპიტალის პროპორციულად. მოგების ნორმა. ანუ მოგების შეფარდება კაპიტალთან არის ამიტომ შედეგი ორი სხვა შეფარდების კომბინაციისა, სახელდობრ: შეფარდებისა გამოყენებულ და მოხმარებულ კაპიტალს შორის და შეფარდებისა მოხმარებულ კაპიტალსა და პროდუქტს შორის» (ციტირ. თხზ., გვ. 70).

შერბულიე პირველად სწორად ამბობს, რომ მოგება განისაზღვრება პროდუქტის ღირებულების შეფარდებით მწარმოებლური კაპიტალის «სხვადასხვა ელემენტებთან», შემდეგ კი იგი უეცრად გადის თვით პროდუქტზე, პროდუქტთა მასაზე. მაგრამ, ჭერ ერთი, პროდუქტების მასა შეიძლება დიდდებოდეს ამ მასის ღირებულების გაუდიდებლად. მეორე, მზა პროდუქტის შედარება იმ პროდუქტების მასასთან, რომლებისგანაც შედგებოდა მოხმარებული და მოუხმარებელი კაპიტალი, შეიძლება საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ ისე, როგორც ამას აკეთებს რამსეი, სახელდობრ — როცა ერთობლივი ეროვნული პროდუქტი შეპირისპირებულია მის in natura დახარჯულ შემადგენელ

ელემენტებთან*. მაგრამ კაპიტალს აქვს წარმოების ყოველ ცალკეულ სფეროში პროდუქტის ფორმა, განსხვავებული მისი შემადგენელი ელემენტებისაგან (წარმოების ისეთ დარგებშიც კი, როგორც არის მიწათმოქმედება და ა. შ., სადაც პროდუქტის ნაწილი შეადგენს *in natura* ამ პროდუქტის წარმოების ელემენტს). რატომ მიმართავს შერბულიე ამ ფანდს? იმიტომ, რომ მიუხედავად თავისი მიხედვისა, რომ მოგების ნორმისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კაპიტალის ორგანულ შედგენილობას, მან მის მიერ მიგნებული დაპირისპირებულობა ცვალებად კაპიტალსა და კაპიტალის მეორე შემადგენელ ნაწილს შორის სრულიად არ გამოიყენა იმისათვის, რომ აეხსნა ზედმეტი ღირებულება, რომელსაც იგი საერთოდ არ გვიხსნის, ისევე როგორც არ გვიხსნის თვით ღირებულებასაც. მან ვერ გვიჩვენა, საიდან მიიღება ზედმეტი ღირებულება, და ამიტომ მიმართავს **ზ ე დ მ ე ტ პ რ ო დ უ ქ ტ ს, ე. ი. ს ა ხ მ ა რ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს.**

თუმცა ყოველი ზედმეტი ღირებულება წარმოდგენილია რომელიმე ზედმეტ პროდუქტში, მაგრამ თვით ზედმეტი პროდუქტი, პირიქით, არ წარმოადგენს ზედმეტ ღირებულებას. (დავეუშვათ, რომ პროდუქტი საერთოდ არ შეიცავს ზედმეტ ღირებულებას, მაგალითად, როცა გლეხს აქვს თავისი საკუთარი იარაღები (და, გარდა ამისა, თავისი საკუთარი მიწა) და მუშაობს ზუსტად იმდენ ხანს, რამდენსაც ყოველი დაქირავებული მუშა მუშაობს თავისი ხელფასის ასანაზღაურებლად, — ვთქვათ, 6 საათს. თუ წელიწადი მოსავლიანი იქნებოდა, გლეხი ორჯერ მეტ პროდუქტს აწარმოებდა, მაგრამ მთელი მისი პროდუქტის ღირებულება წინანდელი დარჩებოდა. ამ შემთხვევაში არ იქნებოდა ზედმეტი ღირებულება, თუმცა გვექნებოდა ზედმეტი პროდუქტი).

თავისთავად მცდარი იყო უკვე ის, რომ შერბულიემ ცვალებადი კაპიტალი წარმოგვიდგინა «საარსებო საშუალებათა ფონდის» «პასიური» და მხოლოდ ნივთობრივი ფორმით, ე. ი. იმ სახმარო ღირებულების ფორმით, რომელსაც ეს ცვალებადი კაპიტალი მუშის ხელში ღებულობს. შერბულიეს რომ, პირიქით, ცვალებადი კაპიტალი იმ ფორმით აედო, რა ფორმითაც იგი ნამდვილად წარმოდგენილია, სახელდობრ როგორც ფული (ყოფიერება საცვლელი ღირებულებისა, ე. ი. საზოგადოებრივი სამუშაო დროის — როგორც ასეთის — გარკვეული რაოდენობისა), მაშინ კაპიტალის ტიპისათვის ცვალებადი კაპიტალი გადაიქცეოდა იმ შრომად, რომელსაც კაპიტალისტი ღებულობს თავის ცვალებად კაპიტალზე გაცვლის წესით (ცოცხალ შრომაზე გასაგნობრივებული შრო-

* — იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 399—400 . რ ე დ.

მის ამ გაცვლისას კი ცვალებად კაპიტალში მოხდებოდა მოძრაობა და ეს კაპიტალი გაიზრდებოდა); ცვალებადი კაპიტალი მწარმოებლური კაპიტალის ელემენტად იქცევა როგორც შრომა და არა როგორც «საარსებო საშუალებათა ფონდი». «საარსებო საშუალებათა ფონდი», პირიქით, არის სახმარი ღირებულება, ამ უკანასკნელის ის ნივთობრივი ყოფიერება, რომელშიც ცვალებადი კაპიტალი რეალიზებული ხდება მუშისათვის როგორც მისი შემოსავალი. ამრიგად, «ს ა ა რ ს ე ბ ო ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა ფ ო ნ დ ი ს» სახით ცვალებადი კაპიტალი არის სავესებით ისეთივე «პ ა ს ი უ რ ი» ელემენტი, როგორც კაპიტალის ის ორი ნაწილიც, რომელთაც შერბულიე «პ ა ს ი უ რ »* ნაწილებს უწოდებს.

იგივე მცდარი შეხედულება ხელს უშლის შერბულიეს ამ აქტიური ელემენტის შეფარდებიდან პასიურ ელემენტთან გამოიყვანოს მოგების ნორმისა და მისი დაცემის ახსნა საზოგადოების განვითარების მსვლელობაში. არსებითად იგი არავითარ სხვა დასკვნამდე არ მიდის, გარდა იმ დასკვნისა, რომ «საარსებო საშუალებათა ფონდი» [1107] მცირდება მწარმოებლური ძალის განვითარების გამო, მაშინ როცა მუშა მოსახლეობა იზრდება, და რომ, მაშასადამე, მოსახლეობის სიჭარბის შედეგად ხელფასი თავის ღირებულებაზე დაბლა ეცემა. შერბულიე ვერაფერს ვერ გვიხსნის ღირებულებათა გაცვლის საფუძველზე, მაშასადამე, სამუშაო ძალის მისი ღირებულების მიხედვით ანაზღაურების საფუძველზეც, და ამით მოგება მის კონცეფციაში არსებობის დროს წარმოგვიდგება (თუმცა იგი ამას არ ამბობს) როგორც გამონაკლებობას ხელფასიდან, რომელსაც ფაქტიურად მოგება ზოგჯერ, რა თქმა უნდა, შეიძლება შეიცავდეს, მაგრამ რომელიც არასოდეს არ შეიძლება მოგების კატეგორიის დასაბუთებად გამოდგეს.

დავიყვანოთ, უწინარეს ყოვლისა, შერბულიეს პირველი დებულება მის სწორ გამოხატულებაზე.

პროდუქტების საერთო ჯამის ღირებულება მინუს მათ მისაღებად (საწარმოებლად) მოხმარებული კაპიტალის საერთო ჯამის ღირებულება იძლევა მოგების საერთო ჯამს გარკვეული დროის განმავლობაში.

ეს არის ის პირველი (ჩვეულებრივი) ფორმა, რომლითაც მოგება ვლინდება, რომლითაც იგი აგრეთვე კაპიტალისტურ ცნობიერებას წარმოუდგება. Alias*: მოგება არის გარკვეული დროის განმავლობაში მიღე-

* [1110] 59 გვერდზე შერბულიე ნედლეულსა და მანქანებს უწოდებს «კაპიტალის ორ პასიურ ელემენტს» «საარსებო საშუალებათა ფონდის» საპირისპიროდ. [1110]

** — სხვანაირად რომ ვთქვათ. რ ე დ.

ბული პროდუქტის ღირებულების გადანამეტი მოხმარებული კაპიტალის ღირებულებაზე. ანდა: პროდუქტის ღირებულების გადანამეტი პროდუქტის ხარჯთფასზე. გამოთქმაც კი «გარკვეული დროის განმავლობაში» მოულოდნელად უჩნდება შერბულიეს, რადგან მან ვერ ნათელყო კაპიტალის მიმოქცევის პროცესი. მაშასადამე, პირველი მისი დებულება სხვა არაფერია, თუ არა მოგების ჩვეულებრივი განსაზღვრა, ის უშუალო ფორმა, რომლითაც მოგება თავს იჩენს.

შერბულიეს მეორე დებულება არის:

«პროდუქტების საერთო ჯამი იზრდება გამოყენებული კაპიტალის პროპორციულად და არა მოხმარებული კაპიტალის პროპორციულად».

სხვა სიტყვებით, ეს კვლავ ნიშნავს:

«პროდუქტის საერთო ჯამის ღირებულება იზრდება ავანსებული კაპიტალის პროპორციულად» (სულ ერთია, მოხმარებულია ეს კაპიტალი თუ არა).

აქ მიზანი ისაა მხოლოდ, რომ ეშმაკობით მიღებულ იქნეს სრულიად დაუმტკიცებელი და თავისი უშუალო ფორმულირებით მცდარი დებულება (ვინაიდან იგი უკვე გულისხმობს [ინდივიდუალურ მოგებათა] გათანაბრებას მოგების საერთო ნორმად) იმის შესახებ, რომ მოგების სიდიდე დამოკიდებულია გამოყენებული კაპიტალის სიდიდეზე. მიზეზობრივი კავშირის გარეგნული მოჩვენება კი უნდა იქმნებოდეს იმით, რომ პროდუქტების საერთო ჯამი იზრდება გამოყენებული კაპიტალის პროპორციულად და არა მოხმარებული კაპიტალის პროპორციულად».

ავილთ განსახილველი დებულება მისი ორივე ფორმულირებით — იმ სახით, როგორც იგი მოცემული აქვს შერბულიეს, და იმ ფორმულირებით, როგორც იგი მოცემული უნდა ყოფილიყო. იმ კონტექსტში, რომელშიც იგი მოცემულია, და იმ დასკვნის თანახმად, რომლისთვისაც იგი უნდა იყოს განკუთვნილი როგორც *medius-terminus**, ეს დებულება უნდა ყოფილიყო ასეთი:

«პროდუქტების საერთო ჯამის ღირებულება იზრდება გამოყენებული კაპიტალის პროპორციულად და არა მოხმარებული კაპიტალის პროპორციულად».

აქ, აშკარაა, ადგილი აქვს ზედმეტი ღირებულების იმით ახსნის ეშმაკურ ცდას, რომ თითქოს პროდუქტის ღირებულების გადანამეტი ქმნის გამოყენებული კაპიტალის გადანამეტი მოხმარე-

* — საშუალო ტერმინი (დასკვნისა). აქ მეორე წანამდღრის აზრით. რ ე დ:

ბულ კაპიტალზე. მაგრამ მოუხმარებელი კაპიტალი (მანქანები და ა. შ.) ინარჩუნებს თავის ღირებულებას (რადგან «მოუხმარებელი» სწორედ იმას ნიშნავს, რომ მისი ღირებულება არ არის მოხმარებული), იგი ინარჩუნებს წარმოების პროცესის დამთავრების შემდეგ იმავე ღირებულებას, როგორც მას წარმოების დაწყებამდე ჰქონდა. თუ ღირებულებების ცვლილება მოხდა, იგი შეიძლება მომხდარიყო კაპიტალის მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც მოხმარებულ იქნა და ამიტომ შევიდა ღირებულების წარმოქმნის პროცესში. შერბულიეს მიდგომა მოგების ახსნისადმი უმართებულოა სინამდვილეში აგრეთვე იმ აზრითაც, რომ, მაგალითად, კაპიტალი, რომლის ერთი მესამედი არ არის მოხმარებული, ორი მესამედი კი მოხმარებულია წარმოებაში, უეჭველად იძლევა შრომის ექსპლუატაციის თანაბარი ნორმის პირობებში (და თუ უყურადღებოდ დავტოვებთ მოგების ნორმის გათანაბრებას) უფრო დიდ მოგებას, ვიდრე ის კაპიტალი, რომლის ორი მესამედი არ არის მოხმარებული, ერთი მესამედი კი მოხმარებულია. ეს იმიტომ, რომ მეორე კაპიტალი შეიცავს, ცხადია, მეტ მანქანებს და ა. შ. და სხვა მუდმივ კაპიტალს, მაშინ როდესაც პირველი ამ ელემენტიდან უფრო ნაკლებს შეიცავს და მას მოძრაობაში მოჰყავს ცოცხალი შრომის უფრო მეტი რაოდენობა, მაშასადამე, ასევე ზედმეტი შრომის უფრო მეტი რაოდენობაც.

მაგრამ თუ ავიღებთ იმ ფორმულირებას, რომელსაც შერბულიე თავის დებულებას თვითონვე აძლევს, მაშინ უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ეს ფორმულირება მას არავითარ სარგებლობას არ აძლევს, რადგან პროდუქტთა მასა, ანუ სახმარ ღირებულებათა მასა როგორც ასეთი, საერთოდ არ განსაზღვრავს არც ღირებულებას, არც ზედმეტ ღირებულებას, არც მოგებას. მაგრამ რა იმალემა ყოველივე ამის უკან? მუდმივი კაპიტალის ნაწილი, რომელიც შედგება მანქანებისაგან და ა. შ., შედის შრომის პროცესში ღირებულების წარმოქმნის პროცესში შეუსვლელად, და ამით ხელს უწყობს პროდუქტთა მასის გადიდებას, არ მიუმატებს რა არაფერს ამ პროდუქტთა ღირებულებას. (ვინაიდან იმდენად, რამდენადაც კაპიტალის ეს ნაწილი თავის გაცვეთით პროდუქტს მიუმატებს ღირებულებას, თვითონაც ხომ განეკუთვნება მოხმარებულ კაპიტალს და არა გამოყენებულ კაპიტალს მოხმარებულისაგან მისი განსხვავებით.) მაგრამ მუდმივი კაპიტალის ეს მოუხმარებელი ნაწილი თავისთავად არ ქმნის პროდუქტთა მასის ზრდას. იგი ხელს უწყობს მოცემულ სამუშაო დროში პროდუქტის უფრო მეტი რაოდენობის შექმნას. ამიტომ, თუ მუშაობა იწარმოებდა მხოლოდ ისეთი სამუშაო დროის განმავლობაში, როგორსაც «საარსებოსა» შეუ-

ლ ე ბ ა თ ა ფ ო ნ დ ი » შეიცავს: მაშინ პროდუქტების მასა ვერ გადიდდებოდა. მაშასადამე, პროდუქტის გადანამეტი იქმნება არა იმით, რომ გამოყენებული კაპიტალი აღემატება მოხმარებულს, არამედ იმ ცვლილებით, რომელიც ხდება მოხმარებულ კაპიტალის ამ ნაწილში (თუ ვიგულისხმებთ, რომ ლაპარაკია არა წარმოების იმ დარგებზე, სადაც, როგორც მიწათმოქმედებაშია, პროდუქტის მასა არ არის დამოკიდებული ანდა შეიძლება არც იყოს დამოკიდებული დახარჯული კაპიტალის მასაზე და სადაც შრომისნაყოფიერება ნაწილობრივ დამოკიდებულია ისეთ ბუნებრივ პირობებზე, რომლებიც კონტროლს არ ექვემდებარებიან).

თუკი შერბულიე მუდმივ კაპიტალს — მოხმარებულს ან მოუხმარებელს — განიხილავს როგორც კაპიტალს, რომელიც არ არის დამოკიდებული სამუშაო დროის [ხანგრძლივობაზე], ცვლილებაზე, რომელსაც ცვალებადი კაპიტალი ღირებულების გადიდების პროცესში განიცდის, მაშინ მას ასევე კარგად შეეძლო ეთქვა:

«პროდუქტების საერთო ჯამი [1108] იზრდება» (ყოველ შემთხვევაში, დამუშავებულ მრეწველობაში) «მოხმარებული კაპიტალის იმ ნაწილის ზრდის პროპორციულად, რომელიც ნელაულისაგან შედგება».

ვინაიდან პროდუქტის ზრდა ფიზიკურად კაპიტალის ამ ნაწილის იდენტურია. მეორე მხრივ, მიწათმოქმედებაში (ასევე მომპოვებელ მრეწველობაში), როცა მოცემულია უფრო ნაყოფიერი ნიადაგი, იქ, სადაც გამოიყენება ცოტა მოუხმარებელი კაპიტალი (ე. ი. მუდმივი კაპიტალი) და ბევრი მოხმარებული კაპიტალი (მაგალითად, ხელფასი), პროდუქტების მასა შეიძლება გაცილებით მეტი იყოს, ვიდრე უფრო განვითარებულ ქვეყანაში, სადაც გამოყენებული კაპიტალის შეფარდება მოხმარებულ კაპიტალთან გაცილებით უფრო მაღალია.

ამრიგად, შერბულიეს მეორე დებულება დაიყვანება იმის ცდაზე, რომ ზედმეტი ღირებულება (მოგების აუცილებელი საფუძველი) მიღებულ იქნეს ეშმაკური ხერხით.

[შერბულიეს მესამე დებულება:]

«მ ო გ ე ბ ის ნ ო რ მ ა, ანუ მოგების შეფარდება კაპიტალთან არის ამიტომ შედევრიანი სხვადასხვა შეფარდების კომბინაციისა, სახელდობრ: შეფარდებისა გამოყენებულ და მოხმარებულ კაპიტალს შორის და შეფარდებისა მოხმარებულ კაპიტალსა და პროდუქტს შორის» (გვ. 70).

ჯერ საჭირო იყო მოგების ახსნა-განმარტება. მაგრამ ამ ახსნა-განმარტების ნაცვლად მივიღეთ მოგების ისეთი განსაზღვრება, რომელიც

გამოხატავს ამ მოგების მხოლოდ გამოვლენის წესს, გამოხატავს მხოლოდ იმ ფაქტს, რომ მოგება არის ერთობლივი პროდუქტის ღირებულების გადანამეტი პროდუქტის ხარჯთფასებზე, ანუ მოხმარებული კაპიტალის ღირებულებაზე, ე. ი. მივიღეთ მოგების ვულგარული განსაზღვრა.

ახლა საჭიროა მოგების ნორმის გაგება. მაგრამ კვლავ ეღებულობთ მხოლოდ ვულგარულ განსაზღვრას: მოგების ნორმა არის მოგების შეფარდება ერთობლივ კაპიტალთან, ანუ, რაც იგივეა, შეფარდება პროდუქტის ღირებულების გადანამეტისა ამ პროდუქტის ხარჯთფასზე წარმოებისთვის ავანსებულ ერთობლივ კაპიტალთან. კაპიტალის ელემენტების მიახლოებით სწორი ვარჩევის პარალელურად მათი დამახინჯებული გაგება და უხეში გამოყენება, იმის შეუწყნობელი მიხედვით, რომ მოგება და მოგების ნორმა პირდაპირ დაკავშირებულია ამ ელემენტების თანაფარდობასთან, საბოლოოდ მხოლოდ იმ შედეგს განაპირობებს, რომ უფრო დოქტრინერული ფორმით მეორდება საყოველთაოდ ცნობილი ფრაზები, რომლებშიც ნამდვილად მხოლოდ დადასტურებულია მოგებისა და მოგების ნორმის არსებობა, მაგრამ არაფერია ნათქვამი მათი არსის შესახებ.

საქმე არ უმჯობესდება იმით, რომ შერბულიე დოქტრინერულ ფორმულებს ალგებრულად გამოსახავს:

დაღნიშნით ვარკვეული პერიოდის ერთობლივი კაპიტალი α ასოთი, გამოყენებული კაპიტალი — κ ასოთი, მოგება — m ასოთი, მოგების შეფარდება კაპიტალთან (მოგების ნორმა) n -თი, მოხმარებული კაპიტალი κ -თი. მაშინ $\kappa - \mu = m - s$; $n = \frac{m}{\kappa}$; მაშასადამე,

$\kappa n = m - s$. მაშასადამე, $\kappa - \mu = \kappa n - s$; მაშასადამე, $n = \frac{\kappa - \mu}{\kappa} = s$ (გვ. 70, შენიშვნა).

ყოველივე ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მოგების ნორმა უდრის მოგების შეფარდებას კაპიტალთან, მოგება კი უდრის პროდუქტის ღირებულების გადანამეტს ამ პროდუქტის ხარჯთფასზე.

საერთოდ ის, რაც შერბულიეს თვალწინ უდგას, როცა იგი მოხმარებულ და მოუხმარებელ კაპიტალზე ლაპარაკობს, არის განსხვავება ძირითადსა და საბრუნავ კაპიტალს შორის: იგი აქ არ იცავს თვით მის მიერვე, ამისაგან განსხვავებით, დადასტურებულ იმ განსხვავებას კაპიტალში, რომელიც წარმოების პროცესიდან გამომდინარეობს. ზედმეტი ღირებულება უკვე წამძღვარებული აქვს მიმოქცევის, და რავინდ ძლიერ გავლენასაც არ უნდა ახდენდნენ მოგების ნორმაზე მიმოქცევიდან გამომდინარე განსხვავებანი, მოგების წარმოშობასთან მათ საერთო არაფერი აქვთ.

«მწარმოებლური კაპიტალი შედგება მოსახმარი ნაწილისაგან [საარსებო საშუალებათა ფონდი, ნედლეული, დამხმარე მასალა] და არამოსახმარი ნაწილისაგან [იარაღები, ინსტრუმენტები, მანქანები]. სიმდიდრისა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად მოსახმარ ნაწილს აქვს გაღივების ტენდენცია, რადგან წარმოების მომპოვებელი დარგები შრომის სულ უფრო მნიშვნელოვან რაოდენობას მოითხოვენ. მეორე მხრივ, იგივე პროგრესი აღიღებს გამოყენებული კაპიტალის მასასაც გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე მთლიან კაპიტალის მასა. ამიტომ, თუმცა მოხმარებული კაპიტალის მთელ მასას ზრდის ტენდენცია აქვს, მაგრამ ამ პროცესის მოქმედება ნეიტრალიზებული აღმოჩნდება ხოლმე, რადგან პროდუქტის მასა კიდევ უფრო სწრაფი პროგრესით იზრდება, და უნდა მივიღოთ, რომ მოგებთათა საერთო ჯამი სულ ცოტა ისეთივე ძლიერი პროპორციით იზრდება, როგორც გამოყენებული კაპიტალის საერთო ჯამი» (გვ. 71).

«იზრდება მოგებათა მასა, მაგრამ არა მოგების ნორმა, რომელიც წარმოადგენს ამ მასის შეფარდებას გამოყენებულ კაპიტალთან, $n = \frac{3-k}{k}$. ცხადია, რომ $3-k$, ანუ მოგება (რადგან $3-k = n-k$), შეიძლება იზრდებოდეს n -ს შემცირების შემთხვევაშიც, თუ კ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე $3-k$ » (გვ. 71, შენიშვნა).

აქ შერბულიე კიდევ რამდენადმე ეხება იმ მიზეზს, რომელიც იწვევს მოგების ნორმის დაცემას; მაგრამ წინა დამახინჯებათა შემდეგ ამას შეუძლია შექმნას მხოლოდ აბნეულობა და თავისი თავის უარმყოფელი წინააღმდეგობანი. ჯერ იზრდება მოხმარებული კაპიტალის მასა, მაგრამ პროდუქტთა მასა კიდევ უფრო სწრაფად იზრდება (ე. ი. აქ კიდევ უფრო სწრაფად იზრდება პროდუქტთა ლირებულების გადანამეტი მათს ხარჯთფასზე), ვინაიდან პროდუქტების მასა იზრდება გამოყენებული კაპიტალის პროპორციულად, გამოყენებული კაპიტალი კი იზრდება მოხმარებულ კაპიტალზე უფრო სწრაფად. თუ რატომ იზრდება ძირითადი კაპიტალი უფრო სწრაფად, ვიდრე, მაგალითად, ნედლეულის მასა, ამაზე არსად არ არის ნათქვამი. მაგრამ, ვთქვათ, ასეა. მოგების მასა იზრდება გამოყენებული კაპიტალის, ერთობლივი კაპიტალის პროპორციულად, და, მიუხედავად ამისა, [1109] მოგების ნორმა უნდა ეცემოდეს იმიტომ, რომ ერთობლივი კაპიტალი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე პროდუქტთა მასა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, უფრო სწრაფად, ვიდრე მოგების მასა.

ჯერ შერბულიე ლაპარაკობს, რომ მოგების მასა იზრდება სულ ცოტა იმავე პროპორციით, რითაც «გამოყენებული კაპიტალის საერთო ჯამი» იზრდება, შემდეგ კი ამტკიცებს, რომ მოგების ნორმა ეცემა, რადგან გამოყენებული კაპიტალის საერთო ჯამი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მოგების მასა. ჯერ $3-k$ იზრდება «სულ ცოტა» კ სიდიდის პროპორციულად, შემდეგ კი ეცემა $\frac{3-k}{k}$, რადგან k კიდევ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე $3-k$, რომელიც სულ ცოტა ისევე

ძლიერად იზრდება, როგორც კ». თუ უკუვაგდებთ მთელ ამ არეგ-დარე-
ვას, დარჩება მხოლოდ ტავტოლოგია, რომ $\frac{3}{j} - \frac{1}{j}$ შეიძლება ეცემოდეს
იმ შემთხვევაშიც კი, როცა იზრდება $3 - j$, ე. ი. რომ მოგების ნორ-
მა შეიძლება ეცემოდეს, თუმცა მოგება იზრდება, როცა სახელდობრ
აღნიშნული ნორმა ეცემა. ნორმა ნიშნავს მხოლოდ $3 - j$ -ს შეფარდებას
 $3 - სთან$ [და ეს შეფარდება მცირდება იმ შემთხვევაში,] როცა კაპიტალი-
უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მოგების მასა.

ამრიგად, საბოლოო ანგარიშით გამოდის შემდეგი სიბრძნე: მოგების
ნორმა შეიძლება ეცემოდეს, ე. ი. მოგების მზარდი მასის შეფარდება
კაპიტალთან შეიძლება ეცემოდეს, თუ კაპიტალი მოგების მასაზე უფრო
სწრაფად იზრდება, ანუ თუ მოგების მასა, მიუხედავად მისი აბსოლუ-
ტური ზრდისა, შეფარდებით, კაპიტალთან შედარებით, მცირდება. ეს
სხვა არაფერია, თუ არა მოგების ნორმის დაცემის სხვაგვარი გამოხატუ-
ლება. ამ მოვლენის შესაძლებლობას კი—მისი არსებობის ფაქტსაც კი—
არასოდეს ეჭვი არ გამოუწვევია. ერთადერთი, რაზეც აქ ლაპარაკი
იყო, ეს არის სწორედ ის, თუ როგორ ავხსნათ ამ მოვლენის მიზეზი, —
შერბულიე კი მოგების ნორმის დაცემას, მოგების მასის დაცემას ერთობ-
ლივ კაპიტალთან შეფარდებით ხსნის მოგების მასის ისეთი ზრდით, რო-
მელიც სულ მცირე კაპიტალის ზრდას ფეხდაფეხ მოჰყვება! შერბულიეს,
ცხადია, ჰქონდა ბუნდოვანი მიხვედრა იმისა, რომ გამოყენებული ცო-
ცხალი შრომის მასა შეფარდებით მცირდება წარსულ შრომასთან შედა-
რებით, თუმცა აბსოლუტურად იგი იზრდება, და რომ ამიტომ მო-
გების ნორმა უნდა მცირდებოდეს. მაგრამ ეს მიხვედრა დარჩა შეუცნო-
ბელ მიხვედრად. რაც უფრო ახლოა ზღურბლი, რომელსაც უნდა გადა-
აბიჯო, მით უფრო არაუხსტია ფორმულირებანი, თუ ამ ზღურბლის
გადაბიჯება ნამდვილად არ ხორციელდება, მით უფრო ძლიერია იმის
ილუზია, რომ ზღურბლი უკვე უკან დარჩა.

ბირიქით, მეტად საფუძვლიანია ის, რასაც შერბულიე ამბობს მო-
გების საერთო ნორმის გათანაბრებაზე¹²⁶. [1109].

[1109] «მიწის რენტის გამოკლების შემდეგ მოგებათა ჯამის ნაშთი, ე. ი.
მომხარებულ კაპიტალზე პროდუქტების გადანაშენის ნაშთი, იყოფა კაპიტალისტურ
მწარმოებლებს შორის თითოეული მათგანის მიერ გამოყენე-
ბული კაპიტალის პროპორციულად, მაშინ როდესაც პროდუქტების
ის ნაწილი, რომელიც მოხმარებულ კაპიტალს შეეფერება და განუყოფელია მის ასა-
ნაზღაურებლად, იყოფა იმ კაპიტალის პროპორციულად, რომელიც ამ კაპიტალისტებმა
ნამდვილად მოიხმარეს. გაყოფის ეს ორმაგი კანონი ხორციელდება კონ-
კურენტების მოქმედების მეოხებით, რომელიც იმას ესწრაფვის.

რომ კაპიტალის ყველა გამოყენების სარფიანობა გაათანაბროს. გაყოფის ეს ორმაგი კანონი, საბოლოო ანგარიშით, განსაზღვრავს სხვადასხვა სახეობის პროდუქტთათვის მათ შესაბამის ღირებულებებსა და ფასებს» (გვ. 71—72).

ეს ძალიან კარგია. მხოლოდ დასკვნითი სიტყვებია მცდარი, სახელდობრ ის, რომ მოგების საერთო ნორმის ეს წარმოქმნა განსაზღვრავს საქონელთა ღირებულებებსა და ფასებს (უნდა ეთქვას: წარმოების ფასებს). ღირებულების განსაზღვრა, პირიქით, არის prius*, რომელიც მოგების ნორმისათვის და წარმოების ფასების წარმოქმნისათვის წანამძღვარს წარმოადგენს. რანაირად შეიძლება, რომ ესა თუ ის განაწილებას «მოგებათა ჯამისა», ე. ი. ზედმეტი ღირებულებისა, [1110] რომელიც თვით არის მხოლოდ ნაწილი საქონელთა ერთობლივი ღირებულებისა, განსაზღვრავდეს ამ «მოგებათა ჯამს», მაშასადამე, ზედმეტ ღირებულებას, მაშასადამე, თვით საქონელთა ღირებულებას? შერბულიეს ფორმულირება სწორია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საქონელთა შეფარდებითს ღირებულებებში იგულისხმება ამ საქონელთა წარმოების ფასები. შერბულიეს ყველა შეცდომა იქიდან გამომდინარეობს, რომ იგი არ განიხილავს დამოუკიდებლად ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების წარმოშობასა და კანონებს.

სხვათა შორის, ურთიერთობა დაქირავებულ შრომასა და კაპიტალს შორის მას რამდენადმე სწორად ესმის:

«იმ პირთ, რომელნიც არაფერს არ ღებულობენ devolution-ის (ქონების გადაცემა კანონით, მეგვიდრეობით მიღება) ჯგზით და რომელთაც არაფერი არა აქვთ გაცვლისათვის, მათთვის საჭირო საგნებია მიღება შეუძლიათ მხოლოდ იმით, რომ ისინი თავინთ შრომას კაპიტალისტებს მიაწოდებენ. ისინი ღებულობენ უფლებას მხოლოდ იმ ნივთების მიმართ, რომლებიც მათ ეძლევათ შრომის ფასის სახით, მაგრამ მათ არა აქვთ უფლება არც ამ შრომის პროდუქტის მიმართ, არც იმ ღირებულებების მიმართ, რასაც ისინი ამ პროდუქტს მიუმატებენ» (გვ. 55—56). «როცა პროდუქტარი თავის შრომას საარსებო საშუალებათა გარკვეულ ფონდზე გაცვლის წესით ყიდის, იგი მთლიანად ხელს იღებს კაპიტალის სხვა ნაწილების მიმართ ყოველგვარ უფლებაზე. ამ პროდუქტების მითვისება იგივე რჩება, რაც წინათ იყო; აღნიშნული გარიგება [პროდუქტარსა და კაპიტალისტს შორის] მას სრულიად არ უცვლის სახეს. პროდუქტები უწინდებურად ეკუთვნის მხოლოდ კაპიტალისტს, რომელიც ნედლეულისა და საარსებო საშუალებათა მიმწოდებელია. ასეთია აუცილებელი შედეგი მითვისების კანონისა, რომლის ძირითადი პრინციპი იყო, პირიქით, ყოველი მუშაკის განსაკუთრებული უფლება თავისი შრომის პროდუქტის მიმართ» (გვ. 58).

ეს ძირითადი პრინციპი, შერბულიეს თანახმად, შემდეგია:

* — პირველადი, წინამეალი. რ ე დ.

მეუშაქს აქვს განსაკუთრებული უფლება იმ ღირებულების მიმართ, რომელიც მისი შრომის შედეგია» (გვ. 48).

თუ როგორ ხდება, რომ საქონელთა კანონი, რომლის ძალით საქონელნი ეკვივალენტებს ქმნიან და მათი გაცვლა ხდება მათი ღირებულების შესაბამისად, ე. ი. მათში მოთავსებული სამუშაო დროის შესაბამისად, ისე შეტრიალდება, რომ კაპიტალისტური წარმოება (და მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე პროდუქტისათვის არსებითია ის, რომ იგი იწარმოება როგორც საქონელი) დამყარებულია, პირიქით, იმაზე, რომ ადგილი აქვს შრომის ნაწილის მითვისებას, გაცვლის გარეშე — ეს შერბულებს არ ესმის და იგი ამის ახსნას არც იძლევა. იგი გრძნობს მხოლოდ, რომ აქ რაღაც გადატრიალება ხდება.

შერბულებს ეს «ძირითადი პრინციპი» ნამდვილი ფიქციაა. მას წარმოშობს საქონელმომოქცევის მიერ შექმნილი მოჩვენებითი გარეგნობა. საქონელთა გაცვლა ხდება მათი ღირებულების შესაბამისად, ე. ი. მათში მოთავსებული შრომის შესაბამისად. ინდივიდები აქ ერთიმეორეს უპირისპირდებიან მხოლოდ როგორც საქონელმფლობელნი და ამიტომ ერთმანეთისაგან საქონლის შექენა მათ შეუძლიათ მხოლოდ თავიანთი საკუთარი შრომის გასხვისებით. ამიტომ გარეგნულად ისე გვეჩვენება, თითქოს მათ მხოლოდ თავიანთი საკუთარი შრომის გაცვლა შეეძლოთ, რადგან სხვისი შრომის შემცველ საქონელთა გაცვლა, თუ თვით ამ საქონელთა მიღება კვლავ საკუთარი საქონლის გაცვლის გზით არ ხდება, გულისხმობს ადამიანთა შორის სულ სხვა ურთიერთობას, ვიდრე [უბრალო] საქონელმფლობელთა — მყიდველთა და გამყიდველთა — ურთიერთობაა. კაპიტალისტურ წარმოებაში ქრება ეს მოჩვენებითი გარეგნობა, რომელსაც ადამიანებს კაპიტალისტური წარმოების საკუთარი ზედაპირი უჩვენებს. მაგრამ არ ქრება ილუზია, თითქოს თავდაპირველად ადამიანები ერთმანეთს უპირისპირდებიან მხოლოდ როგორც საქონელმფლობელნი და ამიტომ თითოეული მესაკუთრეა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი მუშაქია. ეს «თავდაპირველი», როგორც ითქვა, არის კაპიტალისტური წარმოების მიერ შექმნილი მოჩვენებითი გარეგნობით წარმოშობილი მაცთუნებელი ილუზია, რომელიც ისტორიულად არასდროს არ არსებულა. საერთოდ ადამიანი (იზოლირებულად ან საზოგადოებაში) მესაკუთრის სახით ყოველთვის მანამდე გამოდის, ვიდრე მუშაქის სახით გამოვიდოდეს, თუნდაც ეს საკუთრება იყოს მხოლოდ ის, რაც მას თავისად მიაჩნია მისი გარემომცველი ბუნებიდან (ანდა რასაც იგი, ოჯახის, გვარის, თემის წევრის სახით, თავისად თვლის ნაწილობრივ მისი გარემომცველი ბუნებიდან, ნაწილობრივ კი

წარმოების საერთო, უკვე წარმოებულ საშუალებათაგან). და როგორც კი თავდაპირველი ცხოველური მდგომარეობა შეწყდება, ადამიანის საკუთრება მისი გარემომცველი ბუნებისა ყოველთვის წინასწარ გაშუალებულია მისი — როგორც თემის, ოჯახის, გვარის და ა. შ. წევრის — ყოფიერებით, მისი დამოკიდებულებით სხვა ადამიანებისადმი, რაც განპირობებს მის დამოკიდებულებასაც ბუნებისადმი. «საკუთრებას მოკლებული მუშაკი» როგორც «ძირითადი პრინციპი» არის, პირიქით, მხოლოდ ცივილიზაციის ნაშეიერი და თანაც გარკვეულ ისტორიულ საფეხურზე — «კაპიტალისტური წარმოების» საფეხურზე. აქ ჩვენ გვაქვს კანონი «ექსპროპრიაციისა» და არა «მითვისებისა» [«appropriation»], ყოველ შემთხვევაში არა მითვისებისა საერთოდ, როგორც ეს შერბულიეს წარმოუდგენია, არამედ ისეთი მითვისებისა, რომელიც შეესაბამება გარკვეულ, სპეციფიკურ წარმოების წესს. [1110]

[1111] შერბულიე ამბობს:

«პროდუქტების მითვისება მანამდე ხდება, ვიდრე ისინი კაპიტალად გადაიქცეოდნენ. ეს გადაქცევა კაპიტალად არ ათავისუფლებს მათ მომხდარი მითვისებისაგან» (გვ. 54).

ეს ითქმის არა მარტო პროდუქტებზე, არამედ შრომაზეც. ნედლეული და ა. შ. და შრომის საშუალებანი ეკუთვნის კაპიტალისტს; ისინი წარმოადგენენ მისი ფულის გარდაქმნილ ფორმას. მეორე მხრივ, თუ კაპიტალისტმა იყიდა სამუშაო ძალა, ანუ ყოველდღიური [მაგალითად, თორმეტსაათიანი] მოხმარება სამუშაო ძალისა, ფულის ისეთი თანხით, რომელიც უდრის 6 სამუშაო საათის პროდუქტს, მაშინ მას ეკუთვნის 12 საათის შრომა; ეს შრომა მითვისებულია კაპიტალისტის მიერ ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე იგი განხორციელდებოდა. თვით წარმოების პროცესის მეშვეობით შრომა კაპიტალად იქცევა. მაგრამ ეს მისი გადაქცევა კაპიტალად უფრო გვიანი აქტია, ვიდრე მისი მითვისება.

«პროდუქტები» გადაიქცევა კაპიტალად: ნივთობრივად, რამდენადაც ისინი შრომის პროცესში მოქმედებენ როგორც შრომის პირობები, წარმოების პირობები—შრომის საგანი და შრომის საშუალებანი, ფორმის მიხედვით, რამდენადაც არა მარტო მათი ღირებულება შეინახება პროდუქტში, არამედ თვით ისინიც შრომის სადაზღვევითი შრომის საშუალებანი ხდებიან, ე. ი. რამდენადაც ისინი ფაქტიურად შრომის შთანთქმელების სახით მოქმედებენ. [1112] მეორე მხრივ, წარმოების პროცესამდე მითვისებული სამუშაო ძალა თვით წარმოების პროცესში გადა-

29. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

იქცევა უშუალოდ კაპიტალად იმით, რომ გადაიქცევა შრომის პირობებად და ზედმეტ ღირებულებად, იმით, რომ ამ სამუშაო ძალის განივთება პროდუქტში შეინახავს მუდმივ კაპიტალს, ანაზღაურებს ცვალებად კაპიტალს და მიუმატებს ზედმეტ ღირებულებას. [1112]

[4] დაბროვების — როგორც გაფართოებული კვლავწარმოების — საპითხის შესახებ

[შერბულიე ამბობს:]

[1110] «სიმღღირა ყოველი დაბროვება იძლევა საშუალებებს შემდგომი დაბროვების დაჩქარებისათვის» (ციტირ. თხზ., გვ. 29).

{რიკარდოს შეხედულება (სმიტიდან გადმოსული), რომ ყოველი დაბროვება დაიყვანება ხელფასის ხარჯებზე, მცდარი იქნებოდა იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაბროვების არც ერთი ნაწილი არ განხორციელდებოდა in natura, როგორც ეს ხდება ხოლმე, მაგალითად, მაშინ, როცა ფერმერი მეთ თესლს თესავს, ვიდრე უწინ თესავდა, როცა მესაქონლე აღიდეგს საჯიშე ან საკლავად გასასუქებელი პირუტყვის სულადობას, როცა მანქანათმშენებელი ფლობს ზედმეტი ღირებულების ნაწილს მანქანათმშენებელ მანქანაში. ეს შეხედულება მცდარი იქნებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ ადგილი არ ექნებოდა იმ მოვლენას, რომ ყველა მწარმოებელი, რომელიც კაპიტალის ამა თუ იმ ნაწილის შემადგენელ ელემენტებს აწარმოებს, მუდმივ ჭარბწარმოებას ქმნის, ვარაუდობს რა ყოველწლიური დაბროვების, ე. ი. წარმოების საერთო მასშტაბის გადიდების ფაქტს. გარდა ამისა, მიწათმოქმედს შეუძლია თავისი ზედმეტი ხორბლის ნაწილი გაუცვალოს მესაქონლეს, რომელსაც შეუძლია ეს ხორბალი ცვალებად კაპიტალად აქციოს, მაშინ როდესაც მიწათმოქმედმა [ასეთი გაცვლის გზით] თავისი ხორბალი მუდმივ კაპიტალად გადააქცია. მესელე [1111] თავისი ზედმეტი პროდუქტის ნაწილს მიჰყიდის მრთველს, რომელიც მას მუდმივ კაპიტალად აქცევს; ამავე ფულით მესელეს შეუძლია იყიდოს იარაღები, იარაღის მწარმოებელს კი, თავის მხრივ, შეუძლია იყიდოს რკინა და ა. შ., — ასე რომ ყველა ეს ელემენტი უშუალოდ ხდება მუდმივი კაპიტალი. მაგრამ დავანებოთ ამას თავი.

დავუშვათ, რომ მანქანების ფაბრიკანტს სურს დამატებითი კაპიტალი 1000 გირ. სტერლინგის რაოდენობით წარმოების ელემენტებად გადააქციოს. ასეთ შემთხვევაში იგი, მართალია, ამ დამატებითი კაპიტალის ნაწილს დახარჯავს ხელფასზე, — ვთქვათ, 200 გირ. სტერლინგს. მაგრამ დარჩენილი 800 გირ. სტერლინგით იგი ყიდულობს რკინას, ნახშირს და

ა. შ. დავუშვათ, რომ ეს რკინა, ნახშირი და ა. შ. ჯერ კიდევ წარმოებულ უნდა იქნეს. თუ რკინის მრეწველს ან ქვანახშირის მრეწველს ამ დროისათვის არა აქვთ თავიანთი საქონლის ქარბი (დაგროვილი) მარაგი და მათ არ შეუძლიათ პირდაპირ საქონლის ყიდვა (რადგან ამ შემთხვევაში კვლავ ადგილი ექნებოდა მუდმივი კაპიტალის მუდმივ კაპიტალზე გაცვლას), მაშინ რკინის მრეწველსა და ქვანახშირის მრეწველს შეუძლიათ რკინისა და ქვანახშირის დამატებითი რაოდენობა აწარმოონ მანქანათა ფაბრიკანტისათვის მხოლოდ იმ გზით, რომ თავიანთი ძველი მანქანები უფრო მეტხანს ამუშაონ. მაშინ ეს მანქანები უფრო მალე იქნებოდა ასანაზღაურებელი, მაგრამ მათი ღირებულების ნაწილი ახალ პროდუქტში შევიდოდა. მაგრამ დავანებოთ ამასაც თავი. რკინის მრეწველს ყოველ შემთხვევაში მეტი ნახშირი დასჭირდება; მაშასადამე, აქ მან გარკვეული ნაწილი იმისა, რაც მას 800 გირ. სტერლინგიდან წილად უწევს, უშუალოდ უნდა გადააქციოს მუდმივ კაპიტალად. მაგრამ ორივენი, ქვანახშირის მრეწველი და რკინის მრეწველი, თავიანთ ნახშირსა და რკინას ყიდიან ისე, რომ მათში მოთავსებულია ფასგადაუხდელი ზედმეტი შრომა. და თუ იგი ერთ მეოთხედს შეადგენს, მაშინ 800 გირ. სტერლინგიდან 200 გირ. სტერლინგი უკვე არ დაიყვანება ხელფასზე, თუ აღარაფერს ვიტყვით მათი პროდუქტების ღირებულების იმ ნაწილზე, რომელიც ძველი მანქანების გაცვეთაზე დაიყვანება.

ზედმეტ პროდუქტს ყოველთვის შეადგენენ ის საგნები თავიანთი ნატურალური ფორმით, რომელთაც აწარმოებს ცალკეული კაპიტალი, — ნახშირი, რკინა და ა. შ. თუ პროდუქტების გაცვლა ხდება ისეთ მწარმოებლებს შორის, რომელთა პროდუქტები ერთიმეორისათვის წარმოების ელემენტებს წარმოადგენენ, მაშინ ზედმეტი პროდუქტის ნაწილი პირდაპირ გადაიქცევა მუდმივ კაპიტალად. ის ნაწილი კი, რომელიც საარსებო საშუალებათა მწარმოებლების მიერ წარმოებულ პროდუქტებზე უნდა გაიცვალოს და რომელიც ამ მწარმოებელთა მუდმივ კაპიტალს ანაზღაურებს, ქმნის საჭირო ცვალებად კაპიტალს. ისეთ საარსებო საშუალებათა მწარმოებლები, რომელთა პროდუქტებს უკვე აღარ შეუძლიათ წარმოებაში შესვლა ელემენტების სახით (სხვაგვარად, თუ არა ცვალებადი კაპიტალის სახით), ლებულობენ დამატებითს მუდმივ კაპიტალს სწორედ იმავე პროცესის მეშვეობით, რომლის მეშვეობითაც სხვა მწარმოებლები დამატებითს ცვალებად კაპიტალს ლებულობენ.

კვლავ წარმოებას — რამდენადაც იგი დაგროვებაა — მარტივი კვლავ წარმოებისაგან განასხვავებს შემდეგი თავისებურებანი.

ქ ე რ თ ი. წარმოების დაგროვილი ელემენტები — როგორც მათი ის ნაწილი, რომელიც ცვალებად კაპიტალს განეკუთვნება, ისე ის

ნაწილიც, რომელიც მუდმივ კაპიტალს ეკუთვნის, — შედგება ახლად მიმატებული შრომისაგან; ეს ელემენტები მთლიანად როდი გადაიქცევა შემოსავლად, თუმცა ისინი მოგებიდან გამომდინარეობენ; მოგება, ანუ ზედმეტი შრომა, გადაიქცევა წარმოების ყველა ამ ელემენტად, მაშინ როდესაც მარტივი კვლავწარმოებისას პროდუქტის ნაწილი წარმოადგენს წარსულ შრომას (ე. ი. მოცემულ შემთხვევაში შრომას, რომელიც მიმდინარე წელს არ შესრულებულა).

მეორე. თავისთავად იგულისხმება, რომ თუ წარმოების გარკვეულ დარგებში სამუშაო დრო ხანგრძლივდება, ე.ი. თუ იქ არავითარი დამატებითი იარაღები თუ მანქანები არ გამოიყენება, მაშინ ახალი პროდუქტი ნაწილობრივ ანაზღაურებს ძველი იარაღების ან მანქანების სწრაფ ვაცვეთას, და ძველი მუდმივი კაპიტალის ეს დაჩქარებული მოხმარებაც დაგროვების მომენტია.

მესამე. დამატებითი ფულადი კაპიტალის მეოხებით, რომელიც [გაფართოებული] კვლავწარმოების პროცესში წარმოიქმნება, — ნაწილობრივ კაპიტალის გამოთავისუფლების შედეგად, ნაწილობრივ პროდუქტის ნაწილის ფულად გადაქცევის შედეგად, ნაწილობრივ კი უბრალოდ იმის შედეგად, რომ მწარმოებელი, რომელმაც [თავის დამატებითს საქონელში] ფული ამოიგო, ამცირებს ამით მოთხოვნას სხვების საქონელზე, მაგალითად, ფუფუნების საგანთა გამყიდველის საქონელზე, — სრულიად არ არის საჭირო, ისევე როგორც მარტივი კვლავწარმოებისას, წარმოების ელემენტების სისტემატური ანაზღაურება.

ნაჭარბი ფულთი თითოეულს შეუძლია იყიდოს პროდუქტები ან თავის განკარგულებაში იქონიოს პროდუქტები, მაშინაც კი, თუ მწარმოებელი, რომლისგანაც იგი პროდუქტებს ყიდულობს, არ ხარჯავს თავის შემოსავალს პირველის პროდუქტზე და არ ანაზღაურებს ამ პროდუქტით თავის კაპიტალს.} {ყოველთვის, როცა ესა თუ ის დამატებითი კაპიტალი (ცვალებადი თუ მუდმივი) არ შეივსება შესაბამისი კაპიტალით მეორე მხარეზე, იგი ერთ მხარეზე უნდა დაილექოს როგორც ფულადი კაპიტალი, თუნდაც ეს ფულადი კაპიტალი მხოლოდ სავალო მოთხოვნათა ფორმით არსებობდეს.}

ქ) სისმონდის ელემენტები შერბულიეს კონცეფციაში. კაპიტალის ორგანული შედგენილობის შესახებ. ცვალეზადი კაპიტალის აბსოლუტური შემცირება კაპიტალისტური წარმოების უფრო განვითარებულ დარგებში. მუდმივ და ცვალეზად კაპიტალს შორის ღირებულებითი შეფარდების ცვლილებანი კაპიტალის ორგანული შედგენილობის უცვლელობის დროს. კაპიტალის ორგანული შედგენილობა და სხვადასხვა შეფარდებანი ძირითადად და საბრუნავ კაპიტალს შორის. კაპიტალის გადაზრუნების რიცხვის განსხვავებანი და მათი გავლენა მოგებაზე]

დნარჩენში შერბულიეს შეხედულებანი სისმონდისა და რიკარდოს ურთიერთგამომრიცხველ კონცეფციათა უცნაური შეხამებაა. [1111] [1112] სისმონდის ყაიდისაა შემდეგი ადგილები:

«პირობეა კაპიტალის სხვადასხვა ელემენტებს შორის უცვლელი თანაფარდობის შესახებ არ ხორციელდება საზოგადოების ეკონომიური განვითარების არც ერთ საფეხურზე. თანაფარდობა მათ შორის არსებითად ცვალეზადია. სხელდობრ ორი მიზეზის გამო: 1) შრომის დანაწილება და 2) ადამიანის ძალის შენაცვლება ბუნების ძალებით. ეს ორივე მიზეზი ამცირებს საარსებო საშუალებათა ფონდის კაპიტალის ორ სხვა ელემენტთან შეფარდებას» (გვ. 61—62).

«საქმის ასეთი ვითარებისას მწარმოებელი კაპიტალის გადიდება არ მოსდევს აუცილებლად გადიდება საარსებო საშუალებათა ფონდისა, რომელიც განუთენილია შრომის ფასის შესაქმნელად; მას შეიძლება, ყოველ შემთხვევაში დროებით, თან ახლდეს კაპიტალის ამ ელემენტის აბსოლუტური შემცირება და, მაშასადამე, შრომის ფასის შემცირება» (გვ. 63).

{ეს, სისმონდის ყაიდაზე, [გაგებულია როგორც] [საარსებო საშუალებათა ფონდის შემცირების] გავლენა ხელფასის სიმალღეზე—შერბულიეს ერთადერთი ამოსავალი თვალსაზრისია. ეს საფეხებით მოხსნილია ისეთ გამოკვლევაში, რომელიც იმ წინამძღვრიდან ამოდის, რომ შრომა ნაზღაურდება მისი ღირებულების მიხედვით, და რომელშიც შრომის საბაზრო ფასის მერყეობა ამ პუნქტზე უფრო მაღლა თუ დაბლა (შრომის ღირებულებაზე უფრო მაღლა თუ დაბლა) მხედველობაში არ მიიღება.}

«მწარმოებელი, რომელსაც სურს თავის საწარმოში შრომის ახალი დანაწილება შემოიღოს და მამოძრავებელი ძალის ბუნებრივი წყარო გამოიყენოს, არ დაელოდება, საკმაო კაპიტალის დაგროვებას, რათა ამ პირობებშიც ყველა ის მუშა გამოიყენოს, რომლებიც მას წინათ სჭირდებოდნენ. შრომის დანაწილების შემთხვევაში იგი დაკმაყოფილდება, შესაძლოა, ხუთი მუშით, რათა აწარმოოს ის, რასაც წინათ ათი მუშით აწარმოებდა; მამოძრავებელი ძალის ბუნებრივი წყაროს გამოყენების შემთხვევაში იგი გამოიყენებს, შესაძლოა, მხოლოდ ერთ მანქანას და ორ მუშას. საარსებო საშუალებათა ფონდი [წინათ რომ 3 000-ს შეადგენდა] შემცირდება ამის გამო პირველ შემთხვევაში 1 500-

მდე, მეორეში კი 600-მდე. მაგრამ რადგან მუშათა რიცხვი უცვლელი რჩება, მათი კონკურენტია მალე გამოიწვევს შრომის ფასის დაცემას მის თავდაპირველ დონეზე დაბლა. ასეთა შითხეების კანონის ერთ-ერთი გასაოცარი შედეგი. სიმდიდრის, ე. ი. შრომის პროდუქტთა, აბსოლუტური გადიდება არ იწვევს მუშების საარსებო საშუალებათა ფონდის შესაბამის გადიდებას და მას შეუძლია გამოიწვიოს ამ ფონდის შემცირებაც კი, შემცირება იმ ნაწილისა, რაც ყველა სახეობის პროდუქტებიდან წილად უწევს მუშებს» (გვ. 63—64). «შრომის ფასის» (აქ ყოველთვის ლაპარაკია მხოლოდ შრომის საბაზრო ფასზე) «განსაზღვრელი მიზეზებია მწარმოებლური კაპიტალის აბსოლუტური რაოდენობა და თანაფარდობა კაპიტალის სხვადასხვა ელემენტებს შორის — ორი სოციალური ფაქტი, რომლებზეც მუშის ნება-სურვილს არაუთარაი გავლენის მოხდენა არ შეუძლია» (გვ. 64). «მუშის შანსები თითქმის მუდამ არახელსაყრელია» (იქვე).

თანაფარდობა მწარმოებლური კაპიტალის ხვადასხვა ელემენტებს შორის განსაზღვრება ორნაირად.

ჩერეთი, ლაპარაკია აქ მწარმოებლური კაპიტალის ორგანულ შედგენილობაზე. ჩვენ ვგულისხმობთ ამაში ტექნოლოგიურ შედგენილობას. როცა მოცემულია შრომის მწარმოებლური ძალა, რომელიც შეიძლება მუდმივად ჩაითვალოს, ვიდრე რაიმე ცვლილება არ მოხდება, — წარმოების ყოველ სფეროში გარკვეულ სიდიდეს წარმოადგენს ნელელეულისა და შრომის საშუალებათა ის რაოდენობა, ე. ი. ის რაოდენობა მუდმივი კაპიტალისა, მისი ნივთობრივი ელემენტების მიხედვით, რომელიც უწევს ცოცხალი შრომის (ფასგადახდილის და ფასგადაუხდელის) გარკვეულ რაოდენობას, ე. ი. ცვალებადი კაპიტალის ნივთობრივი ელემენტების გარკვეულ რაოდენობას.

თუ გასაგნობრივებულ შრომა მცირეა გამოყენებულ ცოცხალ შრომასთან შედარებით, მაშინ პროდუქტის ნაწილი, რომელიც ცოცხალ შრომას წარმოადგენს, დიდია, იმისდა მიუხედავად, თუ როგორ იყოფა ეს ნაწილი კაპიტალისტსა და მუშას შორის. და პირიქით. ამიტომ ზედმეტი შრომაც, როცა შრომის ექსპლუატაციის ნორმა მოცემულია, ერთ შემთხვევაში დიდია, მეორეში მცირე. ცვლილებანი აქ შეიძლება მოხდეს წარმოების წესში ისეთი ცვლილების შედეგად, რომელიც კაპიტალის ორივე ნაწილის ტექნოლოგიურ თანაფარდობას შეცვლის. ამ შემთხვევაშიც კი გამოყენებული ცოცხალი შრომის აბსოლუტური რაოდენობა შეიძლება იყოს, კაპიტალების სხვადასხვა სიდიდის დროს, თანაბარი ანდა მეტიც კი იმ კაპიტალისათვის, რომელიც მეტ მუდმივ კაპიტალს იყენებს. მაგრამ შეფარდებით იგი უფრო ნაკლები უნდა იყოს. ერთი და იმავე სიდიდის კაპიტალებისათვის, ანუ, თუ ერთობლივი კაპიტალის გარკვეულ შესაბამის ნაწილზე, მაგალითად, 100-ზე ვიანგარი-

შებთ, იგი უნდა იყოს აბსოლუტურად და შეფარდებით უფრო ნაკლები. ყველა ცვლილება, რაც შრომის მწარმოებლური ძალის განვითარების (და არა დაცემის) შედეგია, ამცირებს პროდუქტის იმ ნაწილს, რომლითაც წარმოდგენილია ცოცხალი შრომა, ამცირებს ცვალებად კაპიტალს. რადგან იგულისხმება, რომ ხელფასი ყველგან ერთნაირია, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, თუ კაპიტალებს [1113] წარმოების სხვადასხვა დარგში განვიხილავთ, რომ აღნიშნული ცვლილებანი აბსოლუტურად ამცირებენ ცვალეზად კაპიტალს იმ დარგებში, რომლებიც წარმოების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე დგანან.

ეს — იმ ცვლილებათა შესახებ, რომელნიც გამომდინარეობენ წარმოების წესში მომხდარი ცვლილებიდან.

მეორე, თუ ვიგულისხმებთ, რომ კაპიტალების ორგანული შედგენილობა და ამ ორგანულ შედგენილობათაგან გამომდინარე განსხვავება მათ შორის მოცემულია, მაშინ ღირებულებითი თანაფარდობა [მუდმივსა და ცვალებად კაპიტალს შორის] შეიძლება იცვლებოდეს მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიური შედგენილობა იგივე რჩება. აქ შეიძლება მოხდეს შემდეგი: ა) ცვლილება მუდმივი კაპიტალის ღირებულებაში, ბ) ცვლილება ცვალებადი კაპიტალის ღირებულებაში, ც) ცვლილება ორივეში, თანაბარი ან არათანაბარი თანაფარდობით.

ა) თუ ტექნოლოგიური შედგენილობა იგივე რჩება და ცვლილება ხდება მუდმივი კაპიტალის ღირებულებაში, მაშინ ეს ღირებულება ან მცირდება, ან ღიღდება. თუ იგი მცირდება და ცოცხალი შრომის მხოლოდ წინანდელი რაოდენობა გამოიყენება, ე. ი. თუ წარმოების საფეხური, ანუ მასშტაბი, უცვლელი რჩება, თუ, მაშასადამე, გამოიყენება, მაგალითად, უწინდებურად 100 მუშა, მაშინ ნიუთობრივად საჭიროა უწინდებურად ნეღლეულისა და შრომის საშუალებათა იგივე რაოდენობა. მაგრამ ზედმეტი შრომის შეფარდება მთელ ავანსებულ კაპიტალთან უფრო ღიღი იქნება, ვიდრე წინათ იყო. მოგების ნორმა იზრდება. შერბუნიებულ შემთხვევაში იგი ეცემა. პირველ შემთხვევაში წარმოების მოცემულ სფეროში უკვე გამოყენებული კაპიტალები-სათვის (და არა იმ კაპიტალებისათვის, რომელნიც ხელახლა დაბანდებული ამ სფეროში. მას შემდეგ, რაც ადგილი ჰქონდა მუდმივი კაპიტალის ელემენტების ღირებულების ცვლილებას) გამოიყენებული კაპიტალის საერთო ჯამი მცირდება, ანუ ამ კაპიტალის გარკვეული ნაწილი გამოთავისუფლდება, თუმცა წარმოება იმავე მასშტაბით გრძელდება; ანდა ამ გზით გამოთავისუფლებული კაპიტალი დამატებით ბანდდება წარმოებაში და მოქმედებს როგორც კაპიტალის დაგროვება. წარმოების მასშტა-

ბი დიდდება, და ამის პროპორციულად იზრდება ზედმეტი შრომის აბსოლუტური რაოდენობა. მოცემული წარმოების წესის პირობებში კაპიტალის ყოველი დაგროვება, როგორც უნდა იყოს ზედმეტი ღირებულების ნორმა, ზედმეტი ღირებულების საერთო რაოდენობის გადიდებას იწვევს.

პირიქით, თუ მუდმივი კაპიტალის ელემენტების ღირებულება იზრდება, მაშინ ან წარმოების მასშტაბი (მაშასადამე, მთელი ავანსებული კაპიტალის მასა) უნდა გადიდდეს, რათა შრომის იმავე რაოდენობის (იმავვე ცვალებადი კაპიტალის, რომლის ღირებულებაც არ შეცვლილა) გამოყენება შეიძლებოდეს, რაც წინათ იყო გამოყენებული, და მაშინ, თუმცა ზედმეტი ღირებულების აბსოლუტური სიდიდე და მისი ნორმა უცვლელი რჩება, შეფარდება ზედმეტი ღირებულებისა მთელ ავანსებულ კაპიტალთან მცირდება, და, მაშასადამე, მოგების ნორმა ეცემა. ან და წარმოების მასშტაბი და ავანსებული კაპიტალის საერთო ჯამი არ დიდდება. ამ შემთხვევაში ცვალებადი კაპიტალი ყველა გარემოებაში უნდა შემცირდეს.

თუ [გაძვირებულ] მუდმივ კაპიტალზე იგივე თანხა იხარჯება, რაც წინათ იხარჯებოდა, მაშინ ეს თანხა წარმოადგენს ამ კაპიტალის ნივთობრივი ელემენტების უფრო ნაკლებ რაოდენობას და რადგან ტექნოლოგიური თანაფარდობა წინანდელი დარჩა, გამოიყენება ნაკლები შრომა. მთელი ავანსებული კაპიტალი მაშინ მცირდება გამოთავისუფლებული შრომის ოდენობის შესაბამისად; ავანსებული კაპიტალის საერთო ღირებულება მცირდება, მაგრამ ამ შემცირებულ კაპიტალში მუდმივი კაპიტალი შეადგენს (ღირებულების მიხედვით) მეტ წილს, ვიდრე წინათ შეადგენდა. ზედმეტი ღირებულება შემცირდა აბსოლუტურად, იმიტომ, რომ ნაკლები შრომა გამოიყენება, და დარჩენილი ზედმეტი ღირებულების შეფარდება მთელ ავანსებულ კაპიტალთან შემცირდა, იმიტომ, რომ ცვალებადი კაპიტალი შემცირდა მუდმივ კაპიტალთან შედარებით.

მეორე მხრივ, თუ ერთობლივი კაპიტალი წინანდელი მოცულობით გამოიყენება, მაშინ, — რამდენადაც ცვალებადი კაპიტალის ნაკლები ღირებულება (რომელიც მთელი გამოყენებული ცოცხალი შრომის შემცირებულ რაოდენობას წარმოადგენს) შთაინთქმება მუდმივი კაპიტალის მეტი რაოდენობით (პირველი მცირდება იმავე პროპორციით, როგორითაც დიდდება მეორე), — ზედმეტი ღირებულების აბსოლუტური რაოდენობა მცირდება, რადგან ნაკლები შრომა გამოიყენება, და იმავე დროს მცირდება ამ ზედმეტი ღირებულების შეფარდება მთელ ავანსებულ კაპიტალთან. ამრიგად, მოგების ნორმა ეცემა აქ ორი მიზეზის

გამო: ზედმეტი შრომის რაოდენობის შემცირების გამო და იმ შეფარდების შემცირების გამო, რომელშიც ეს ზედმეტი შრომა იმყოფება მთელ ავანსებულ კაპიტალთან.

პირველ შემთხვევაში (როცა მუდმივი კაპიტალის ელემენტების ღირებულება მცირდება), სადაც მოგების ნორმა ყველა ვითარებაში დიდდება, მოგების ჯამის გადიდებისათვის აუცილებელია წარმოების მასშტაბის გაფართოება. ვთქვათ, კაპიტალი უდრის 600-ს, აქედან ნახევარი მუდმივი კაპიტალია, ნახევარი — ცვალებადი. თუ მუდმივი ნაწილი თავისი ღირებულების მიხედვით სანახევროდ შემცირდებოდა, მაშინ ცვალებადი კაპიტალი უწინდებურად იქნებოდა 300, მუდმივი კი — მხოლოდ 150. ერთობლივი გამოყენებული კაპიტალი შეადგენდა მხოლოდ 450-ს, 150 კი გამოთავისუფლდებოდა. თუ ეს 150 კაპიტალს უკანვე შეუერთდებოდა, მთვან 100 ახლა დაიხარჯებოდა როგორც ცვალებადი [1114] კაპიტალი. აქ, მაშასადამე, თუ წარმოებაში გრძელდება იმავე კაპიტალის გამოყენება, რაც წინათ გამოიყენებოდა, ფართოვდება წარმოების მასშტაბი და დიდდება გამოყენებული შრომის მასა.

პირუკუ შემთხვევაში (როცა მუდმივი კაპიტალის ელემენტების ღირებულება იზრდება), როცა მოგების ნორმა აგრეთვე ყველა ვითარებაში ეცემა, იმისათვის, რომ მოგების ნორმა არ შემცირდეს და გამოყენებული შრომის მასა (მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების მასაც) უცვლელი დარჩეს, აუცილებელია წარმოების მასშტაბის გაფართოება, ე. ი. ავანსებული კაპიტალის გადიდება. თუკი ეს არ ხდება, თუ ავანსად ვაიცემა მხოლოდ იმდენივე კაპიტალი, რამდენიც წინათ ვაიცემოდა ანდა წინანდელზე ნაკლებიც კი, მაშინ მცირდება არა მარტო მოგების ნორმა, არამედ მოგების მასაც.

ორივე შემთხვევაში უცვლელი რჩება ზედმეტი ღირებულების ნორმა, რომელიც კაპიტალის ტექნოლოგიური შედგენილობის ცვლილებისას, პირიქით, იცვლება: იზრდება, როცა მუდმივი კაპიტალი დიდდება (იმიტომ, რომ შრომა მაშინ უფრო ნაყოფიერია), და ეცემა, როცა იგი მცირდება (იმიტომ, რომ შრომა მაშინ ნაკლებნაყოფიერია).

b) თუ ცვალებადი კაპიტალის ღირებულება იცვლება ორგანული შედგენილობის ან დამოუკიდებლად, ეს შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ დაეცა ან გაიზარდა იმ საარსებო საშუალებათა ფასი, რომლებიც წარმოების ამ სფეროში კარ იწარმოებიან, არამედ გარედან შედიან მასში საქონელთა სიხით.

თუ ცვალებადი კაპიტალის ღირებულება ეცემა, ეს კაპიტალი უწინდებურად ცოცხალი შრომის იმავე რაოდენობას წარმოადგენს, თონდ ცოცხალი შრომის ეს რაოდენობა ახლა ნაკლები ღირს.

მასადაამე, თუ წარმოების მასშტაბი წინანდელი რჩება (რადგან მუდმივი კაპიტალის ღირებულება არ შეცვლილა), მაშინ მცირდება ერთობლივი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც ავანსად გაიცემოდა შრომის საყიდლად. ახლა ნაკლები კაპიტალი უნდა დაიხარჯოს მუშათა იმავე რაოდენობის ასანაზღაურებლად. ამრიგად, აქ წარმოების მასშტაბის უცვლელი მისას დახარჯული კაპიტალის ჯამი მცირდება. მოგების ნორმა დიდდება, და ეს ხდება ორი მიზეზის გამო. გადიდება ზედმეტი ღირებულება; ცოცხალი შრომის შეფარდება გასაგნობრივებულ შრომასთან წინანდელი დარჩა, მაგრამ მეტი ზედმეტი ღირებულება მოდის ნაკლებ ერთობლივ კაპიტალზე. თუ გამოთავისუფლებული ნაწილი კაპიტალს უერთდება, ეს დაგროვების ტოლმნიშვნელოვანია.

თუ ცვალებადი კაპიტალის ღირებულება დიდდება, მაშინ მუშების წინანდელი რაოდენობის გამოყენებისათვის აუცილებლად უნდა დაიხარჯოს მეტი ერთობლივი კაპიტალი, იმიტომ რომ მუდმივი კაპიტალის ღირებულება უცვლელი რჩება, ცვალებადი კაპიტალის ღირებულება კი გადიდება. გამოყენებული შრომის მასა უცვლელი რჩება, მაგრამ ზედმეტი შრომა შეადგენს წინანდელთან შედარებით გამოყენებული შრომის მთელი მასის უფრო ნაკლებ ნაწილს, და ეს, წინანდელთან შედარებით, ნაკლები ნაწილი მოდის წინანდელთან შედარებით უფრო მეტ კაპიტალზე. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოების მასშტაბი უცვლელი რჩება, მაშინ როდესაც მთელი კაპიტალის ღირებულება გადიდება. თუ ეს ღირებულება არ დიდდება, წარმოების მასშტაბი უნდა შემცირდეს. გამოყენებული შრომის მასა მცირდება და ახლა ზედმეტი შრომა წარმოადგენს ამ შემცირებული მასის უფრო ნაკლებ ნაწილს, ვიდრე წინათ; თავის მხრივ ზედმეტი შრომის შეფარდებაც მთელ ავანსებულ კაპიტალთან მცირდება.

ორგანულ ცვლილებებს და ღირებულების შეცვლით გამოწვეულ ცვლილებებს შეუძლიათ გარკვეულ ვითარებაში ერთნაირი ზეგავლენა მოახდინონ მოგების ნორმაზე. მაგრამ მათ შორის არსებობს შემდეგი განსხვავება: თუ ღირებულების ცვლილებანი გამოწვეულია არა უბრალოდ საბაზრო ფასების მერყეობით, ე. ი. თუ ისინი დროებითი ხასიათის არ არიან, მაშინ მათი მიზეზი მუდამ უნდა იყოს ორგანული ცვლილება იმ სფეროებში, რომელნიც მუდმივი თუ ცვალებადი კაპიტალის ელემენტებს აწვდიან აქ განხილულ წარმოების სფეროს.

ე) მესამე შემთხვევა აქ შემდგომ განხილვას არ მოითხოვს.

წარმოების სხვადასხვა სფეროში კაპიტალთა ტოლობის პირობებში — ანუ ერთობლივი კაპიტალის თანაბარ წილზე, მაგალითად ყოველ 100-ზე გაანგარიშებისას — ორგანული შედგენილობა შეიძლება ერთნაირი იყოს, თუმცა მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის ღირებულებითი თანაფარდობა სხვადასხვა იქნება გამოყენებული დამხმარე მასალისა და ნედლეულის მასის სხვადასხვა ღირებულების შესაბამისად. მაგალითად, სპილენძი რკინის ნაცვლად, რკინა ტყვიის ნაცვლად, მატყლი ბამბის ნაცვლად და ა. შ.

მეორე მხრივ, როცა ღირებულებითი თანაფარდობა ერთნაირია, შეიძლება თუ არა სხვადასხვა იყოს ორგანული შედგენილობა?

წარმოების სხვადასხვა სფეროში [ორი კაპიტალის] ერთნაირი ორგანული შედგენილობისას მუდმივი კაპიტალისა და ცოცხალი შრომის შეფარდებითი მასები, კაპიტალის 100 ერთეულზე გაანგარიშებით, ერთნაირია — რაოდენობრივი თანაფარდობანი მათ შორის ერთი და იგივეა. შესაძლოა, რომ მუდმივი კაპიტალის ღირებულება ერთნაირია, თუმცა მოძრაობაში მოყვანილი შრომის შეფარდებითი რაოდენობანი სხვადასხვაა. თუ მანქანები ან ნედლეული ერთ შემთხვევაში უფრო ძვირია, ვიდრე მეორეში (ანდა პირიქით), მაშინ მათთვის შეიძლება საჭირო იქნეს, მაგალითად, ნაკლები შრომა, მაგრამ ამ შემთხვევაში ცვალებადი კაპიტალის ღირებულებაც შედარებით ნაკლები იქნება (ანდა პირიქით).

[1115] ავიღოთ კაპიტალები A და B. ვთქვათ, c' და v' კაპიტალი A-ს შემადგენელი ნაწილებია (ღირებულების მიხედვით), c და v კი — კაპიტალ B-ს შემადგენელი ნაწილები (ღირებულების მიხედვით). თუ $c' : v' = c : v$, მაშინ $c'v = v'c$ -ს. მაშასადამე, აგრეთვე $\frac{c'}{c} = \frac{v'}{v}$.

მუდმივსა და ცვალებად კაპიტალს შორის ღირებულებითი შეფარდებების ტოლობისას შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი. თუ წარმოების ერთ სფეროში უფრო მეტი ხედმეტი შრომა სრულდება, ვიდრე მეორეში (მაგალითად, ღამით შრომა შეუძლებელია მიწათმოქმედებაში, და თუმცა სოფლის მეურნეობის ცალკეულ მუშას შეიძლება გადაშეტებული შრომა შეასრულებინო, მაგრამ შრომის ერთობლივი რაოდენობა, რომელიც შეიძლება მიწის ნაკვეთის მოცემული სიდიდის დროს და ა. შ. გამოყენებულ იქნეს, შეზღუდულია იმ საგნით (ხორბლით), რომლის წარმოებაც საჭიროა, მაშინ როდესაც ფაბრიკის მოცემული სიდიდის პირობებში წარმოებულ პროდუქტთა მასა დამოკი-

დებულია (ზუაჩეი*) იმ საათების რაოდენობაზე, რომელთა განმავლობაში მუშაობა წარმოებს, — ე. ი. წარმოების წესში არსებული განსხვავებით გაპირობებულია ის, რომ ერთ სფეროში, როცა წარმოების მასშტაბი მოცემულია, შეიძლება მეტი ზედმეტი შრომა იქნეს გამოყენებული, ვიდრე მეორეში}. მაშინ ღირებულებითი თანაფარდობა მუდმივსა და ცვალებად კაპიტალს შორის შეიძლება ერთნაირი იყოს, მაგრამ მიუხედავად ამისა გამოყენებული შრომის მასის შეფარდება ერთობლივ კაპიტალთან სხვადასხვა იქნება.

ანდა ვიგულისხმობთ, რომ მასალა და შრომა (იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი უფრო მაღალი ს ა ხ ის შრომას ეკუთვნის) უფრო ძვირია ერთნაირი შეფარდებით. ამ შემთხვევაში კაპიტალისტი A იყენებს 5 მუშას იქ, სადაც კაპიტალისტი B იყენებს 25-ს, და ეს 5 მუშა ღირს 100 გირ. სტერლინგი, ისევე როგორც 25 მუშაც, რადგან მათი შრომა უფრო ძვირია (მაშასადამე, მათი ზედმეტი შრომაც უფრო ძვირი ღირს). ამასთანავე ეს 5 მუშა გადაამუშავენს 500 გირ. სტერლინგად ღირებულ 100 გირვანქა y ნედლეულს, B კაპიტალისტის მუშები კი გადაამუშავენ 500 გირ. სტერლინგად ღირებულ 1 000 გირვანქა x ნედლეულს, იმიტომ, რომ A კაპიტალისტის მასალა უფრო ძვირია და შრომის მწარმოებლური ძალა ნაკლებადაა განვითარებული. აქ ორივე შემთხვევაში — ღირებულებითი შეფარდება ცვალებადი კაპიტალისა მუდმივთან იქნება 100 გირ. სტერ. 500 გირ. სტერლინგთან, მაგრამ ორგანული შედგენილობა A და B კაპიტალებისა სხვადასხვაა.

ღირებულებითი შეფარდება ერთი და იგივეა: A კაპიტალისტის მუდმივი კაპიტალის ღირებულება უდრის B კაპიტალისტის მუდმივი კაპიტალის ღირებულებას, და A ხელფასზე ხარჯავს იმდენსავე კაპიტალს, რამდენსაც B. მაგრამ მისი პროდუქტების მასა ნაკლებია. თუმცა აბსოლუტურად მას შრომის იმდენივე მასა სჭირდება, რამდენიც B კაპიტალისტს, მაგრამ შეფარდებით მას მეტი სჭირდება, რადგან მისი მუდმივი კაპიტალი უფრო ძვირია. ერთი და იმავე დროის განმავლობაში A გადაამუშავენს ნაკლებ ნედლეულს და ა. შ., მაგრამ ეს ნაკლები რაოდენობა იმდენივე ღირს, რამდენიც B-ს ნედლეულის მეტი რაოდენობა. ამ შემთხვევაში ღირებულებითი შეფარდება ერთი და იგივეა, ორგანული შედგენილობა — სხვადასხვაა. მეორე შემთხვევაში ეს, ერთნაირი ღირებულებითი შეფარდებისას, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ზედმეტი შრომის რაოდენობა სხვადასხვა ანდა შრომის სხვადასხვა სახეობათა ღირებულებანი სხვადასხვაა.

კაპიტალის ორგანული შედგენილობა შეიძლება გავიგოთ ასე: ეს არის სხვადასხვა თანაფარდობა წარმოების სხვადასხვა სფეროში დასახარ-

* — პოტენციურად. რ ე დ.

ჯი მუდმივი კაპიტალისა, რაც საჭიროა შრომის ერთი და იმავე მასის შთანთქმისათვის. შ რ ო მ ი ს ე რ თ ი და ი მ ა ე ე მ ა ს ი ს შ ე ე რ თ ე ბ ა შ რ ო მ ი ს საგანთან მოითხოვს ერთ შემთხვევაში ან უფრო მეტ ნედლეულსა და მანქანურ მოწყობილობას, ანდა მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს, ვიდრე მეორე შემთხვევაში.

{ძირითადას და საბრუნავ კაპიტალს შორის მეტად სხვადასხვა თანაფარდობის შემთხვევაში თანაფარდობა მ უ ლ დ მ ი ე ს ა და ც ვ ა ლ ე ბ ა დ კაპიტალს შორის შეიძლება იყოს ერთნაირი, მაშასადამე, შეიძლება ერთნაირი იყოს ზედმეტი ღირებულება, თუმცა წლის განმავლობაში წარმოებული ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი თავისი სიდიდით განსხვავებულნი უნდა იყვნენ. დავუშვათ, რომ ქვანახშირის მრეწველობაში, სადაც არავითარი ნედლეული არ გამოიყენება (თუ მხედველობაში არ მივიღებთ დამხმარე მასალას), ძირითადი კაპიტალი შეადგენს მთელი კაპიტალის ნახევარს, ცვალებადი — მეორე ნახევარს. ვთქვათ, სამკერვალო მრეწველობაში ძირითადი კაპიტალი უდრის ნულს (როგორც წინა შემთხვევაშიც, ჩვენ მხედველობის გარეშე ვტოვებთ დამხმარე მასალას), მაგრამ ნედლეული უდრის მთელი კაპიტალის ნახევარს და ცვალებადი კაპიტალიც ასევე, როგორც პირველ შემთხვევაშიც, უდრის მთელი კაპიტალის ნახევარს. მაშინ ორივე კაპიტალი (შრომის ერთნაირი ექსპლოატაციის პირობებში) თანაბარი ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს რეალიზაციას მოახდენს, რადგან კაპიტალთან შეფარდებით, კაპიტალის ყოველ 100 ერთეულზე, ისინი იყენებენ შრომის თანაბარ მასას. მაგრამ დავუშვათ, რომ ძირითადი კაპიტალი ქვანახშირის მრეწველობაში 10 წელიწადში ერთხელ გადაბრუნდება, მაშინ როდესაც ორივე შემთხვევაში არავითარი განსხვავება არ არის საბრუნავი კაპიტალის გადაბრუნებაში. თუ ზედმეტი ღირებულება უდრის 50-ს, მაშინ მთელი ღირებულება, წარმოებული სამკერვალო მრეწველობის საწარმოში წლის ბოლოსათვის (იგულისხმება, რომ ცვალებადი კაპიტალი ორივე შემთხვევაში ერთხელ გადაბრუნდება წელიწადში), იქნება 150. პირიქით, ქვანახშირის მრეწველობის მიერ პირველი წლის ბოლოსათვის წარმოებული ღირებულება უდრის 105-ს (სახელდობრ, 5 უწევს ძირითად კაპიტალს, 50 ცვალებადს, 50 ზედმეტ შრომას). მისი პროდუქტის მთელი ღირებულება პლუს ძირითადი კაპიტალი შეადგენს 150-ს (სახელდობრ, პროდუქტი უდრის 105-ს, დარჩენილი ძირითადი კაპიტალი უდრის 45-ს,) როგორც ეს სამკერვალო მრეწველობის კაპიტალისტთან არის. ღირებულების სხვადასხვა სიდიდეთა წარმოება არ გამოორიცხავს, მაშასადამე, თ ა ნ ა ბ ა რ ზ ე დ მ ე ტ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა თ ა წ ა რ მ ო ე ბ ა ს .

მეორე წელს ქვანახშირის მრეწველის ძირითადი კაპიტალი იქნებოდა 45, ცვალებადი კაპიტალი — 50, ზედმეტი ღირებულება — 50. მაშასადამე, ავანსებული კაპიტალი შეადგენდა 95-ს, მოგება კი — 50-ს. მოგების ნორმა გადიდებოდა, რადგან ძირითადი კაპიტალის ღირებულება [1116] შემცირდება მისი ერთი მეათედი ნაწილის გაცვეთის გამო პირველ წელიწადს. ამრიგად, ყოველ ექვსს გარეშეა, რომ ყველა კაპიტალისათვის, სადაც ბევრი ძირითადი კაპიტალი გამოიყენება, — წარმოების მასშტაბის უცვლელობისას, — მოგების ნორმა უნდა დიდდება იმ ზომით, რა ზომითაც ყოველწლიურად მცირდება მანქანების, ძირითადი კაპიტალის, ღირებულება, უკვე ანაზღაურებული გაცვეთის გამო. თუ ქვანახშირის მრეწველი ათი წლის განმავლობაში თავის პროდუქტს მუდამ ერთსა და იმავე ფასად ყიდის, მან მეორე წელს უნდა მიიღოს უფრო მაღალი მოგება, ვიდრე პირველ წელიწადს, და ა. შ. ანდა უნდა გვეგულისხმება, რომ სარემონტო სამუშაოები და ა. შ. პირდაპირ შეფარდებაშია გაცვეთასთან, ასე რომ კაპიტალის იმ ნაწილის საერთო ჯამი, რომლის ავანსად გადაცემაც ძირითადი კაპიტალის რუბრიკით ყოველწლიურად ხდება, უცვლელი რჩება. აღნიშნული ზემოგების კომპენსირება შეიძლებოდა აგრეთვე იმითაც, რომ დროთა განმავლობაში ძირითადი კაპიტალის ღირებულება ეცემა გაცვეთის მიუხედავადაც, რამდენადაც ძველმა მანქანებმა კონკურენცია უნდა გაუწიონ უფრო გაუმჯობესებულ, შემდგომ გამოგონებულ ახალ მანქანებს. მაგრამ, მეორე მხრივ, მოგების ეს გადიდებული ნორმა, რასაც, ბუნებრივია, წარმოშობს გაცვეთა, ძირითადი კაპიტალის ღირებულების შემცირება, შესაძლებლობას აძლევს ძველ მანქანებს კონკურენცია გაუწიონ უფრო გაუმჯობესებულ ახალ მანქანებს, რომლებიც ჯერ კიდევ სრული ღირებულებით მიიღება ანგარიშში. ბოლოს, თუ ქვანახშირის მრეწველი [მეორე წლის ბოლოს] უფრო იაფად გაყიდდა ასეთი ვარაუდით: 50 100 ავანსებულ კაპიტალზე შეადგენდა 50% მოგებას, 50% 95-ზე იძლევა 47 1/2-ს, — ე. ი. თუ იგი პროდუქტის იმავე რაოდენობას გაყიდდა [არა 105-ად, არამედ] 102 1/2-ად, მაშინ იგი უფრო იაფად გაყიდდა იმასთან შედარებით, რომლის მანქანებიც ჯერ მხოლოდ პირველი წელია მუშაობენ. ძირითადი კაპიტალის დიდი დაბანდებანი გულისხმობენ მსხვილი კაპიტალების მფლობელთა არსებობას. და რადგან მსხვილი კაპიტალის ეს მფლობელები ბატონობენ ბაზარზე, ისე გვეჩვენება, რომ დამატებით მოგებას (რენტას) ისინი მხოლოდ ხსენებული გარემოების შედეგად ღებულობენ. მიწათმოქმედებაში ეს რენტა მიიღება იმიტომ, რომ მუშაობა შედარებით უფრო ნაყოფიერ მიწაზე წარმოებს, აქ კი იმიტომ, რომ შრომა შედარებით უფრო იაფი მანქანების დანაშარებით ხორციელდება. !

{ბევრი რამ იქიდან, რასაც ძირითადად და საბრუნავ კაპიტალს შორის არსებულ თანაფარდობას მიაწერენ, სინამდვილეში მიეკუთვნება ცვალებადი და მუდმივი კაპიტალის განსხვავებას. ჯერ ერთი, თანაფარდობა მუდმივსა და ცვალებად კაპიტალს შორის [წარმოების ამა თუ იმ დარგებში] შეიძლება იყოს ერთნაირი, მიუხედავად იმისა, რომ თანაფარდობა ძირითადად და საბრუნავ კაპიტალს შორის სხვადასხვაა. მეორეც, როცა ჩვენ მუდმივსა და ცვალებად კაპიტალზე ვლაპარაკობთ, საქმე შეეხება კაპიტალის პირველადს დაყოფას ცოცხალ შრომად და გასაგნობრივებულ შრომად და არა ამ თანაფარდობის მოდიფიკაციას, რაც გამოწვეულია მიმოქცევის პროცესის შედეგად ანდა კლავწარმოებაზე მიმოქცევის პროცესის გავლენის შედეგად.

უწინარეს ყოვლისა ცხადია, რომ ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის სხვაობას მხოლოდ იმდენად შეუძლია გავლენა მოახდინოს ზედმეტ ღირებულებაზე (მხედველობის გარეშე ვტოვებთ იმ განსხვავებებს გამოყენებული ცოცხალი შრომის მასაში, რომლებიც დაკავშირებულია ცვალებადი და მუდმივი კაპიტალის თანაფარდობასთან), რამდენადაც იგი გავლენას ახდენს ერთობლივი კაპიტალის გადაბრუნებაზე. მაშასადამე, უნდა გამოვიკვლიოთ, როგორ გავლენას ახდენს კაპიტალის გადაბრუნება ზედმეტ ღირებულებაზე. ამასთან, ცხადია, მჭიდროდაა დაკავშირებული ორი გარემოება: 1) ზედმეტი ღირებულება არ შეიძლება ისე სწრაფად (ისე ხშირად) დაგროვდეს, უკუგადაიქცეს კაპიტალად; 2) ავანსებულ კაპიტალი უნდა იზრდებოდეს, როგორც იმისათვის, რომ მოქმედებაში მოიყვანოს მუშების იგივე რაოდენობა და ა. შ., ისე იმ ავანსების ვადის გაგრძელების გამოც, რომელთაც კაპიტალისტი უნდა აძლევდეს თავის თავს საკუთარი მოხმარებისათვის. ეს გარემოებანი მნიშვნელოვანია მოგების განხილვისას. აქ საჭიროა უწინარეს ყოვლისა იმ საკითხის განხილვა, თუ რა გავლენას ახდენენ ეს გარემოებანი ზედმეტ ღირებულებაზე. და ორივე ეს გარემოება ერთიმეორისაგან მუდამ მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს.}

{ყველაფერი, რაც ავანსებს აღიღებს, მაგრამ შესაბამისად არ აღიღებს ზედმეტ ღირებულებას, ამცირებს მოგების ნორმას მაშინაც კი, როცა ზედმეტი ღირებულება იგივე რჩება; ყველაფერი, რაც ავანსებს ამცირებს, საპირისპირო გავლენას ახდენს. მაშასადამე, რამდენადაც ძირითადი კაპიტალის სიდიდე საბრუნავ კაპიტალთან შეფარდებით — ან კაპიტალის სხვადასხვა გადაბრუნება — გავლენას ახდენს ავანსების სიდიდეზე, იმდენად იგი გავლენას ახდენს მოგების ნორმაზე, თუნდაც, რომ ეს საერთოდ ზედმეტ ღირებულებაზე არ მოქმედებდეს.}

მოგების ნორმა არ არის უბრალოდ ავანსებულ კაპიტალზე გამოანგარიშებული ზედმეტი ღირებულება, არამედ ეს არის იმ ზედმეტი ღირებულების მასა, რომელიც რეალიზებულაა მოცემული პერიოდის განმავლობაში, ე. ი. მიმოქცევის გარკვეული დროის მონაკვეთში. მაშასადამე, რამდენადაც ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის განსხვავება გავლენას ახდენს მოცემული პერიოდის განმავლობაში გარკვეული კაპიტალის მიერ რეალიზებული ზედმეტი ღირებულების მასაზე, იმდენად იგი გავლენას ახდენს მოგების ნორმაზე. აქ შედის ორი მომენტი: განსხვავება ავანსების სიდიდეში (რეალიზებულ ზედმეტ ღირებულებასთან შეფარდებით) და, მეორე, განსხვავება იმ დროის ხანგრძლივობაში, რა დროისთვისაც საჭიროა ამ ავანსების გაღება, ვიდრე მოხდებოდეს მათი უკან დაბრუნება ამა თუ იმ ზედმეტი ღირებულებითურთ.}

[1 117] [კვლავწარმოების დროზე, ანუ, უფრო ზუსტად, დროის გარკვეულ მონაკვეთში შესრულებულ კვლავწარმოების ციკლთა რიცხვზე არსებით გავლენას ახდენს ორი გარემოება:

1) პროდუქტის უფრო გახანგრძლივებული ყოფნა საკუთრივ წარმოების სფეროში.

ჯერ ერთი, შესაძლებელია, რომ ერთი პროდუქტი თავისი წარმოებისათვის უფრო მეტ დროს საჭიროებს, ვიდრე მეორე, სულ ერთია, იქნება ეს უფრო ხანგრძლივი მონაკვეთი ერთი წლისა, თუ მთელი წელი, ანდა ერთ წელზე მეტი. (უკანასკნელი, მაგალითად, მშენებლობაში, მესაქონლეობაში და ზოგიერთ ფუფუნების საგანთა წარმოებაში). ამ შემთხვევაში, მწარმოებლური კაპიტალის შედგენილობის მიხედვით, მუდმივ ცვალებად კაპიტალად მისი დაყოფის მიხედვით, პროდუქტი განუწყვეტლივ შთანთქავს შრომას, ხშირად (მაგალითად, ფუფუნების საგანთა წარმოებაში, მშენებლობაში) ძლიერ ბევრ შრომას მუდმივ კაპიტალთან შედარებით. მაშასადამე, იმისდა მიხედვით, თუ როგორ ხანგრძლივდება პროდუქტის წარმოების დრო, მაგრამ ისეთი წარმოებისა, რომელიც ამასთანავე თანაბარზომიერი გაგრძელებააა შრომის პროცესისა, ადგილი აქვს შრომისა და ზედმეტი შრომის გახანგრძლივებულ შთანთქმას. მაგალითად, ასეა მესაქონლეობაში ან მშენებლობაში, თუ უკანასკნელი მოითხოვს, ვთქვათ, ერთ წელზე მეტს. პროდუქტი შეიძლება შევიდეს მიმოქცევაში, ე. ი. გაიყიდოს, ბაზარზე გავიდეს, მხოლოდ მაშინ, როცა ის მზადაა. პირველი წლის ზედმეტი პროდუქტი დანარჩენ შრომასთან ერთად გაობიექტივებულია პირველი წლის დაუშთავრებელ პროდუქტში. იგი არც მეტია, არც ნაკლებია იმაზე, რაც წარმოების სხვა დარგებშია, სადაც გაბატონებულია იგივე თანაფარდობა

მულმივსა და ცვალებად კაპიტალს შორის. მაგრამ ამ პროდუქტის ღირებულება არ შეიძლება რეალური იქნეს, მისი ფულად გადაქცევის აზრით, მაშასადამე, არ შეიძლება რეალიზებულ იქნეს ზედმეტი ღირებულება. ამიტომ ეს ზედმეტი ღირებულება ვერც დაგროვდება კაპიტალის სახით და ვერც გამოიყენება მოხმარებისათვის. ავანსებული კაპიტალიც და ზედმეტი ღირებულებაც წარმოადგენენ, ასე ვთქვათ ფუნდამენტს შემდგომი წარმოებისათვის. ისინი ამ წარმოების წანამძღვრება და ამა თუ იმ წესით როგორც ნახევარფაბრიკატები, როგორც თავისებური ნედლეული, მეორე წლის წარმოებაში შედიან.

ვთქვათ, ავანსებული კაპიტალი უდრის 500-ს, შრომა — 100-ს, ზედმეტი ღირებულება — 50-ს, ასე რომ მეორე წელს წარმოებისათვის ავანსებული კაპიტალი უდრის 550 პლუს ის 500, რომელიც დამატებით იქნება ავანსებული მეორე წელს. ზედმეტი ღირებულება კვლავ 50-ს უდრის. ამრიგად, მეორე წლის ბოლოსათვის პროდუქტის ღირებულება იქნება 1 100 გირ. სტერლინგი; აქედან ზედმეტი ღირებულება შეადგენს 100-ს. ამ შემთხვევაში ზედმეტი ღირებულება ისეთივეა, როგორც უნდა ყოფილიყო მაშინ, თუ კაპიტალი კვლავწარმოებული იქნებოდა მთლიანად პირველ წელიწადს, მეორე წელიწადს კი ხელახლა დაბანდებოდა 500 გირ. სტერლინგი. როგორც პირველ, ისე მეორე წელსაც ცვალებადი კაპიტალი არის 100, ზედმეტი ღირებულება კი 50. მაგრამ მოგების ნორმა სხვადასხვაა. პირველ წელიწადს იგი შეადგენს $\frac{50}{500}$, ე. ი.

10%-ს. მეორე წელიწადს კი ავანსებულია $550 + 500 = 1\ 050$, და ამ წამის ერთი მეათედი უდრის 105-ს. მაშასადამე, თუ ჩავთვლით, რომ მოგების ნორმა ერთნაირია, მაშინ ღირებულება იქნება: პირველ წელიწადს 550, მეორე წელიწადს $550 + 500 + 55 + 50 = 1\ 155$ -ს. პროდუქტის ღირებულებაც მეორე წლის ბოლოს უდრის 1 155-ს. სხვა შემთხვევაში იგი იქნებოდა მხოლოდ 1 100. მოგება აქ მეტია, ვიდრე შექმნილი ზედმეტი ღირებულება, რომელიც შეადგენს მხოლოდ 100-ს. თუ ანგარიშში შევიტანთ კიდევ კაპიტალისტი ხარჯებსაც თავისი საკუთარი მოხმარებისათვის, რაც მან ავანსად უნდა მისცეს თავის თავს ორი წლის განმავლობაში, მაშინ დახარჯული კაპიტალი კიდევ უფრო მეტი იქნება ზედმეტ ღირებულებასთან შეფარდებით. მართალია, მაგრამ სამაგიეროდ პირველი წლის მთელი ზედმეტი ღირებულება კაპიტალად გადაიქცევა მეორე წელს. შემდეგ, ხელფასზე დახარჯული კაპიტალი გადიდება, რადგან პირველ წელს ავანსებული 100 გირ. სტერლინგი არ იკვლავწარმოება პირველი წლის ბოლოსათვის და ამიტომ მეორე წელს საჭირო ხდება 200 გირ. სტერლინგის ავანსად გაღება იმავე შრომისათვის, რომლისთვის-

30. კ. პარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

საც სხვა შემთხვევაში საკმარისი იქნებოდა პირველ წელს კვლავწარმოებული 100 გირ. სტერლინგი.

მეორე, შრომის პროცესის დამთავრების შემდეგ პროდუქტიკიდე უნდა დარჩეს წარმოების სფეროში, რათა ისეთი ბუნებრივი პროცესების ზეგავლენა განიცადოს, რომელნიც არავითარ შრომას არ მოითხოვენ ანდა შეფარდებით მხოლოდ სავსებით უმნიშვნელო შრომას მოითხოვენ — მაგალითად, ღვინო სარდაფში. და მხოლოდ ამ ვადის გასვლის შემდეგ შეიძლება კაპიტალი კვლავწარმოებულ იქნეს. ცხადია, რომ აქ, როგორც უნდა იყოს ცვალებადი და მუდმივი კაპიტალის თანაფარდობა, იგივე გამოდის, თითქოს დახარჯული ყოფილიყოს მეტი მუდმივი და ნაკლები ცვალებადი კაპიტალი. ნაკლები სიდიდისაა ზედმეტი შრომა, როგორც საერთოდ შრომაც, რომელიც აქ გარკვეული პერიოდის განმავლობაში იქნა გამოყენებული. თუ მოგებ ის ნორმა ერთნაირია, ეს აიხსნება მისი გათანაბრებით და არა მოცემულ სფეროში წარმოებული ზედმეტი ღირებულებით. იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნეს კვლავწარმოების პროცესი — უწყვეტობა წარმოებისა, — აუცილებელია მეტი კაპიტალის წინასწარ ავანსად გაცემა. და კვლავ ამ მიზეზით აქ მცირდება ზედმეტი ღირებულების შეფარდება ავანსებულ კაპიტალთან.

მესამე. შესაძლებელია შრომის პროცესის შეწყვეტები იმ დროს, როცა პროდუქტი წარმოების პროცესში იმყოფება, როგორც ეს ხდება, მაგალითად, მიწათმოქმედებაში, ასევე ისეთ პროცესებში, როგორცაა ტყავის თრიმვლა და ა. შ., სადაც ქიმიური პროცესები ქმნიან ინტერვალს შრომის პროცესში მანამდე, სანამ პროდუქტი შეძლებდეს წარმოების ერთი ფაზიდან შემდგომ, უფრო მაღალ ფაზაში გადასვლას. თუ ასეთ შემთხვევებში ქიმიის დარგში რაიმე აღმოჩენათა შემწეობით მოკლდება ამ ინტერვალის ხანგრძლივობა, მაშინ შრომის ნაყოფიერება იზრდება, ზედმეტი ღირებულება დიდდება, გასაგნობრივებული შრომა კი ავანსად ეძლევა წარმოების პროცესს უფრო მოკლე ვადით. ყველა იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვთ ინტერვალებს შრომის პროცესში, ზედმეტი ღირებულება ნაკლებია, ავანსებული კაპიტალი მეტი.

2) ასევე ხდება მაშინაც, როცა ესა თუ ის საბრუნავი კაპიტალი, ბაზრის სიშორის გამო, საშუალოზე უფრო ნელა გადაბრუნდება. აგრეთვე ამ შემთხვევაშიც ავანსებული კაპიტალი მეტია, ზედმეტი ღირებულება ნაკლები, და ნაკლებია მისი შეფარდებაც ავანსებულ კაპიტალთან. }
{უკანასკნელ შემთხვევაში კაპიტალი უფრო დიდხანს შეჩერდება მიმოქ-

ცევის სფეროში, ზემოაღნიშნულ შემთხვევებში — წარმოების სფეროში.)

[1 118] {დავუშვათ, რომ სატრანსპორტო მრეწველობის რომელიმე დარგში ავანსებული კაპიტალი უდრის 1000-ს, ძირითადი კაპიტალი უდრის 500-ს და ცვთება ხუთ წელიწადში; ცვალებადი კაპიტალი უდრის 500-ს და ოთხჯერ გადაბრუნდება წელიწადში. მაშინ წლიური პროდუქტის ღირებულება შეადგენს $100+2\ 000+100$ (თუ ზედმეტი ღირებულების [წლიური] ნორმა უდრის 20%-ს), სულ — 2 200-ს. მეორე მხრივ, ვთქვათ სამკერვალო მრეწველობის რომელიმე დარგში მულმივი საბრუნავი კაპიტალი უდრის 500-ს (ძირითადი უდრის 0-ს), ცვალებადი უდრის 500-ს, ზედმეტი ღირებულება უდრის 100-ს. გადაბრუნდება იგი, დავუშვათ, ოთხჯერ წელიწადში. მაშინ წლიური პროდუქტის ღირებულება შეადგენს $4(500+500)+100=4\ 100$ -ს. ზედმეტი ღირებულება ორივე შემთხვევაში ერთნაირია. უკანასკნელი კაპიტალი მთლიანად გადაბრუნდება ოთხჯერ წელიწადში, ან ერთხელ წლის მეოთხედში. პირველი კაპიტალიდან წლის განმავლობაში გადაბრუნდება 600 [აქედან 500 გადაბრუნდება ოთხჯერ წელიწადში]. მაშასადამე, წლის მეოთხედში გადაბრუნდება $500+\frac{100}{4}$, ე. ი. 525. მაშასადამე, 175 — ერთ თვეში, 350 — 2 თვეში

და 1 400 — 8 თვეში. მთელ კაპიტალს (1 000) სრული გადაბრუნებისათვის დასჭირდება $5\frac{5}{8}$, თვე. ერთ წელიწადში გადაბრუნდება მისი მხოლოდ $2\frac{1}{10}$.

შეიძლება გვითხრან, პირველი კაპიტალი 10% მოგების მისაღებად 1000 ღირებულებას წლის მეოთხედში უფრო ნაკლებს წაუმატებს, ვიდრე მეორეო. მაგრამ აქ წამატებაზე როდია ლაპარაკი. პირველი კაპიტალისტი ღებულობს უფრო მეტ ზედმეტ ღირებულებას [ვიდრე მეორე] თავის მოხმარებულ კაპიტალზე, მაგრამ არა თავის გამოყენებულ კაპიტალზე. განსხვავება გამომდინარეობს აქ ზედმეტი ღირებულების [შეფარდებითი სიდიდიდან] და არა მოგების წამატებიდან. განსხვავებას აქ საფუძვლად უდევს ღირებულება და არა ზედმეტი ღირებულება. ორივე კაპიტალის ცვალებადი ნაწილი 500 ოთხჯერ გადაბრუნდება წელიწადში. ორივენი ღებულობენ წელიწადში ზედმეტ ღირებულებას, რომელიც უდრის 100-ს, და ზედმეტი ღირებულების [წლიური] ნორმა ორივესთვის შეადგენს 20%-ს. მაგრამ წლის მეოთხედში ზედმეტი ღირებულება შეადგენს 25 გირ. სტერლინგს, — მაშასადამე, უფრო დიდ პროცენტს? 25 500-ზე წლის ყოველ მეოთხედში შეადგენს 5%-ს წლის მეოთხედში და, მაშასადამე, 20%-ს წელიწადში.

პირველი კაპიტალისტის კაპიტალის ნახევარი გადაბრუნდება წელიწადში ოთხჯერ, მეორე ნახევრიდან კი წელიწადში გადაბრუნდება მხოლოდ ერთი მეხუთედი ნაწილი. ნახევარი ოთხჯერ უდრის მთელს ორჯერ. მაშასადამე, მისი კაპიტალი გადაბრუნდება წელიწადში $2\frac{1}{10}$ -ჯერ. მეორე კაპიტალისტის მთელი კაპიტალი გადაბრუნდება ოთხჯერ წელიწადში. მაგრამ ეს აბსოლუტურად არაფერს ცვლის ზედმეტ ღირებულებაში. თუ მეორე კაპიტალის მფლობელი უწყვეტად განაგრძობს კვლავწარმოების პროცესს, მან გამუდმებით უნდა გადააქციოს 500 ნედლეულად და ა. შ. და მას ყოველთვის აქვს შრომის ასანაზღაურებლად მხოლოდ 500, მაშინ როდესაც პირველ კაპიტალისტსაც შრომის ასანაზღაურებლად ასევე 500 აქვს, მაგრამ დანარჩენი 500 მას ერთხელ და სამუდამოდ (ე. ი. 5 წლისათვის) ისეთ ფორმაში აქვს, რომელ ფორმადაც მას არ სჭირდება მისი სულ ახლად და ახლად გადაქცევა. მაგრამ ამ [ზედმეტ ღირებულებათა] ტოლობას ადგილი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოუხედავად ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის სიდიდეში მოცემული განსხვავებისა თანაფარდობა ცვალებადსა და მუდმივ კაპიტალს შორის [ორივე კაპიტალისათვის] ერთნაირია.

თუ ორივე კაპიტალის შედგენილობა ისეთია, რომ ნახევარი წარმოადგენს მუდმივ კაპიტალს. ნახევარი კი — ცვალებადს, მაშინ [პირველი კაპიტალის] ნახევარი შეიძლება წარმოადგენდეს ძირითად კაპიტალს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბრუნავი მუდმივი კაპიტალი უდრის ნულს, ხოლო [მეორე კაპიტალის] ნახევარი შეიძლება წარმოადგენდეს საბრუნავ მუდმივ კაპიტალს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი კაპიტალი უდრის ნულს. უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა საბრუნავი მუდმივი კაპიტალი შეიძლება ნულს უდრიდეს, როგორც, მაგალითად, მომპოვებელ მრეწველობასა და სატრანსპორტო მრეწველობაშია, სადაც მაინც დამხმარე მასალა ნედლეულის ნაცვლად საბრუნავ მუდმივ კაპიტალს შეადგენს, მაგრამ ძირითადი კაპიტალი (გარდა ბანკირებისა და სხვ. შემთხვევაში) არასოდეს არ უდრის ნულს. სხვათა შორის საქმის ვითარება არ იცვლება, თუ მუდმივი კაპიტალი ორივე შემთხვევაში ერთსა და იმავე შეფარდებაშია ცვალებად კაპიტალთან, თუნდაც რომ იგი ერთ შემთხვევაში შეიცავდეს მეტ ძირითად და ნაკლებ საბრუნავ მუდმივ კაპიტალს, მეორე შემთხვევაში კი, პირიქით, ნაკლებ ძირითადს და მეტ საბრუნავ მუდმივ კაპიტალს. აქ ადგილი აქვს მხოლოდ განსხვავებას კაპიტალის ერთი ნახევრის კვლავწარმოების დროში და ერთობლივი კაპიტალის კვლავწარმოების დროში. ერთმა კაპიტალისტმა ავანსად უნდა გაიღოს 500 გირ. სტერლინგი 5 წლით, ვიდრე იგი მას დაუბრუნდება, მეორემ — მეოთხედი წლით ან წლით. სხვადასხვა კაპიტალის რეზერვების განკარ-

გულებს შესაძლებლობა. სხვადასხვაა არა ავანსები, არამედ დრო, რა დროითაც მათი ავანსად გაღება ხდება. ეს განსხვავება ჩვენ აქ არ გვინტერესებს. ზედმეტი ღირებულება და მოგება, თუ მთელ ავანსებულ კაპიტალს განვიხილავთ, აქ ერთნაირია: 100 გირ. სტერლინგი პირველ წელიწადს ავანსებულ 1 000 გირ. სტერლინგზე. მეორე წელიწადს მოგების უფრო მაღალი ნორმა აღმოჩნდება, როგორც ჩანს, ძირითადი კაპიტალის მხარეზე, იმიტომ რომ ცვალებადი კაპიტალი დარჩა წინანდელი, ძირითადი კაპიტალის ღირებულება კი შემცირდა. პირველი კაპიტალისტი ავანსად გაიღებს მხოლოდ 400 ძირითად კაპიტალს და 500 ცვალებადს და უწინდებურად ღებულობს 100 გირ.სტერ. მოგებას. მაგრამ 100 900-ზე შეადგენს $11 \frac{1}{9}\%$ -ს, მაშინ როდესაც მეორე კაპიტალისტი, განაგრძობს კვლავწარმოებას და უწინდებურად ავანსად გაიღებს 100-ს და ღებულობს 100 გირ. სტერლ. მოგებას, რაც 10% -ს შეადგენს.

საქმის ვითარება, რა თქმა უნდა, იცვლება, თუ ძირითად კაპიტალთან ერთად იზრდება ცვალებად კაპიტალთან შეფარდებით მუდმივი კაპიტალი მთლიანად, ანდა თუ საერთოდ შრომის იმავე რაოდენობის მოძრაობაში მოსაყვანად საჭირო ხდება მეტი კაპიტალის ავანსად გაღება. ზემოდასახელებულ მაგალითში საკითხი ის კი არაა, თუ როგორ ხშირად გადაბრუნდება ერთობლივი კაპიტალი ან რამდენად დიდია ავანსი, არამედ ის, თუ როგორ ხშირად გადაბრუნდება კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც საკმარისია იმისათვის, რათა მოძრაობაში იქნეს მოყვანილი მწარმოებლური შრომის ისეთივე მასა, როგორიც მეორე შემთხვევაში იყო, რათა განახლებულ იქნეს წარმოების პროცესი. მაგრამ თუ ზემოდასახელებულ მაგალითში ძირითადი კაპიტალი იქნებოდა [არა 500, არამედ] 1 000, საბრუნავი კი [უწინდებურად] მხოლოდ 500, მაშინ საქმის ვითარება შეიცვლებოდა. მაგრამ ეს ცვლილება მოხდებოდა არა იმიტომ, რომ ლაპარაკია ძირითად კაპიტალზე. თუ საბრუნავი მუდმივი კაპიტალი მეორე შემთხვევაში [მაგალითად, მასალის სიძვირის გამო] ეღირებოდა 1 000 [500-ის ნაცვლად], მაშინ საქმე შეიცვლებოდა სავსებით იმგვარადვე. რადგან პირველ შემთხვევაში [ორივე მაგალითისა] რაც უფრო მეტია ძირითადი კაპიტალი, მით უფრო მეტია მთელი ავანსებული კაპიტალის შეფარდებითი სიდიდე ცვალებად კაპიტალთან შეფარდებით, ამიტომ ეს წარმოშობს კიდევ არევე-დარევას. საერთოდ კი მთელი ეს ისტორია კაპიტალის გადაბრუნების შესახებ, არსებითად, გადმოტანილია თავდაპირველად სავაჭრო კაპიტალის დარგიდან, სადაც იგი გაპირობებულია სხვა კანონებით: სავაჭრო კაპიტალში, როგორც მე ცხადდევავი¹²⁷, მოგების ნორმა ნამდვილად განისაზღვრება გადაბრუნებათა საშუალო რიცხვით იმისდა მიუხედავად, თუ როგორია შედგენილობა ამ კაპიტალი-

სა, რომელიც, სხვათა შორის, უმთავრესად საბრუნავი კაპიტალისაგან შედგება. ვინაიდან საეკრო კაპიტალის მოგება განისაზღვრება მოგების საერთო ნორმით.)

[1119] {მთელი საქმე აქ შემდეგშია.

ვთქვათ, ძირითადი კაპიტალი უდრის X-ს. თუ იგი მხოლოდ ერთხელ გადაბრუნდება 15 წელიწადში, წელიწადში გადაბრუნდება მისი $\frac{1}{15}$ ნაწილი. მაგრამ მაშინ ასანაზღაურებელია ყოველწლიურად ამ კაპიტალის მხოლოდ $\frac{1}{15}$ ნაწილი. თუ იგი ანაზღაურდებოდა 15-ჯერ წელიწადში, საქმე ამით სრულიად არ შეიცვლებოდა. მისი მასა უცვლელი დარჩებოდა. მაგრამ პროდუქტი ამის გამო უფრო გაძვირდებოდა, რასაკვირველია, კაპიტალის გამგებლობის შესაძლებლობა ნაკლებია, გაუფასურების რისკი კი მეტი, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალის იგივე რაოდენობა ავანსებული იქნებოდა საბრუნავი კაპიტალის ფორმით. მაგრამ ეს სრულიად არ მოქმედებს ზ ე ღ მ ე ტ ლ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ზ ე, თუმცა ეს შედის მოგების ნორმის გამოანგარიშებაში ბატონ კაპიტალისტების მიერ, რადგან გაცვეთის გამოანგარიშებისას გაუფასურების ეს რისკი მხედველობაში მიიღება.

რაც შეეხება კაპიტალის მეორე ნაწილს, ვიგულისხმობთ, რომ მუდმივი კაპიტალის საბრუნავი ნაწილი (ნედლეული და დამხმარე მასალა) უდრის 25 000 გირ. სტერლინგს წელიწადში, ხელფასი კი შეადგენს 5 000 გირ. სტერლინგს. ამ შემთხვევაში, თუ ეს კაპიტალი მხოლოდ ერთხელ გადაბრუნდება წელიწადში, მთელი წლისათვის საჭირო იქნებოდა 30 000 გირ. სტერლინგის ავანსად გაღება, და თუ ზედმეტი ღირებულება უდრის 100% -ს, ე. ი. 5 000 გირ. სტერლინგს შეადგენს, მაშინ მოგება წლის ბოლოს იქნებოდა 5 000 გირ. სტერლინგი 30 000-ზე, ე. ი. $\frac{1}{6}$, ანუ 16 $\frac{2}{3}$ %.

მაგრამ თუ ეს კაპიტალი გადაბრუნდებოდა წლის ყოველ მეხუთედში, მაშინ საჭირო იქნებოდა მხოლოდ 5 000 გირ. სტერლ. კაპიტალის ავანსი მუდმივი საბრუნავი კაპიტალისათვის და 1 000 გირ. სტერლინგი ხელფასისათვის. მოგება იქნებოდა 1 000 გირ. სტერლინგი, წლის $\frac{5}{6}$ -ში კი — 5 000 გირ. სტერლინგი. მაგრამ ეს ზედმეტი ღირებულება მიიღება 6 000 გირ. სტერლინგ კაპიტალზე, რადგან ამ თანხაზე მეტი არასოდეს არც გაიღება ავანსად. მაშასადამე, მოგება იქნებოდა 5 000 6 000-ზე, ანუ $\frac{5}{6}$, ე. ი. 5-ჯერ მეტი, ვიდრე პირველ შემთხვევაში: 83 $\frac{1}{3}$ % (მხედველობაში არ ვიღებთ ძირითად კაპიტალს). ამრიგად, აქ ადგილი აქვს მეტად მნიშვნელოვან განსხვავებას მოგების ნორმაში, იმიტომ რომ სინამდვილეში 5000 გირ. სტერლინგის შრომას ყიდულობს 1 000 გირ. სტერ. კაპიტალი, ხოლო 25 000 გირ. სტერლინგის ნედლ მასალას და ა.შ.

ყიდულობს 5 000 გირ. სტერ. კაპიტალი. თუ გადაბრუნების ამ განსხვავებული ნორმის დროს კაპიტალები თავიანთი სიდიდით ერთნაირი იქნებოდნენ, მაშინ პირველ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ 6 000 გირ. სტერლინგის ავანსად გაღება. ანდა ყოველთვიურად ავანსებული იქნებოდა მხოლოდ 500 გირ. სტერლინგი, რომლიდანაც $\frac{5}{8}$ იქნებოდა მუდმივი კაპიტალი, $\frac{1}{8}$ კი — ცვალებადი კაპიტალი. ეს $\frac{1}{8}$ უდრის 83 $\frac{1}{3}$ გირ. სტერლინგს, რომელზეც 100% ზედმეტ ღირებულებას მოგვეცემა 83 $\frac{1}{3}$ გირ. სტერლინგი, და ეს შეადგენდა წელიწადში $(83 + \frac{1}{3}) \cdot 12 = \frac{12}{3} (ანუ 4) + 996 = 1 000$. მაგრამ 1000 6000-ზე შეადგენს $16\frac{2}{3}\%$.

[6] შერბულიე ეკლექტიკურად აერთებს რიკარდოსა და სისმონდის ურთიერთგამომრიცხველ კონცეფციებს

და ვ უ ბ რ უ ნ დ ე თ შ ე რ ბ უ ლ ი ე ს .

ს ის მ ო ნ დ ის ე ბ უ რ ი ა შემდეგი მსჯელობა:

საზოგადოების ეკონომიური პროგრესი, რამდენადაც იგი ხასიათდება შწარმოებულური კაპიტალის აბსოლუტური ზრდით და ამ კაპიტალის სხვადასხვა ელემენტებს შორის თანაფარდობის ცვლილებით, ერთგვარად ხელსაყრელია მუშებისათვის: 1) შრომისაყოფიერების გადიდება, განსაკუთრებით მანქანების გამოყენების მეოხებით, შწარმოებულური კაპიტალის იმდენად სწრაფ ზრდას იწვევს, რომ მიუხედავად საარსებო საშუალებებისა ფონდისა და კაპიტალის დანარჩენი ელემენტებს შორის არსებულ თანაფარდობაში მომხდარი ცვლილებისა, ეს ფონდი მაინც იზრდება აბსოლუტურად, რაც იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ არა მარტო გამოყენებულ იქნეს მუშების წინანდელი რაოდენობა, არამედ დასაქმებულთ იყოს კიდევ მუშების დამატებითი რიცხვი, ასე რომ პროგრესის შემდეგ, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ დროებითი ხასიათის დარღვევას, მუშებისათვის წარმოადგენს შწარმოებულური კაპიტალის გადიდებას და შრომის მოთხოვნის ზრდას. 2) კაპიტალის შწარმოებლობის ზრდას აქვს ტენდენცია მნიშვნელოვნად შეამციროს რიგი პროდუქტების ღირებულება და, მაშასადამე, ეს პროდუქტები მისაწვდომი გახადოს მუშისათვის, რომლის დასაქმავილებელ მოთხოვნილებათა წრეც ამის მეოხებით, ფართოვდება...

პირიქით:

1) შრომის ფასის შემადგენელ საარსებო საშუალებათა ფონდის შემცირება, რაც დროგამოშვებით ხდება ხოლმე, თუნდაც ეს შემცირება ხანმოკლე და ნაწილობრივ იყოს, მეტად სავალალო შედეგს იძლევა მუშისათვის. 2) გარემოებანი, რომელნიც ხელს უწყობენ მოცემული საზოგადოების ეკონომიური პროგრესის, მნიშვნელოვანწილად შემთხვევითია, ისინი არ არიან დამოკიდებული შწარმოებულ-კაპიტალისტთა ნება-სურვილზე. ამიტომ ამ მიზეზების მოქმედება არ არის მუდმივი და ა. შ. ა) არამდენად აბსოლუტური მოხმარება მუშისა, რამდენადაც მისი შეფარდება მოხმარება ხდის მუშის მდგომარეობას ბედნიერს ან უბედურს. რა მნიშვნელობა აქვს მუშისათვის,

რომ მას შეუძლია იშოვოს თავისთვის ზოგიერთი პროდუქტი, რაც წინათ მიუწვდომელი იყო მისი წრის ადამიანებისთვის, თუკი იმ პროდუქტების რაოდენობა, რომლებიც მისთვის მიუწვდომელია, კიდევ უფრო მეტი პროპორციით გაიზარდა, თუკი მანძილი, რომელიც მას კაპიტალისტისაგან აშორებს, გაიზარდა მხოლოდ, თუკი მისი სოციალური მდგომარეობა კიდევ უფრო დადაბლა და კიდევ უფრო არახელსაყრელი გახდა? ძალღონის შესანარჩუნებლად სრულად აუცილებელი მოხმარების საგნების გამოკლებით, ჩვენი მოხმარების საგანთა ფასი მეტად შეფარდებითია.

იფიქვებენ, რომ დაქირავებული მუშა ისეთივე მოაზროვნე ადამიანია, იგი იმავე ნიჭით აღჭურვილია და მას იგივე ზრახვები ამოძრავებენ, რაც მუშაკ-კაპიტალისტს (გვ. 65—67).

[1120] როგორ ხელსაყრელიც არ უნდა იყოს დაქირავებული მუშებისათვის საზოგადოებრივი სიმდიდრის სწრაფი ზრდა, იგივე რ სპობს მუშების სიღატაკის მიზეზს... ისინი რჩებიან კაპიტალისტის მიმართ ყოველგვარ უფლებას მოკლებულნი, მაშასადამე, იძულებულნი გაყიდონ თავიანთი შრომა და ხელი აიღონ აშრომის პროდუქტების მიმართ ყოველგვარ პრეტენზიებზე» (გვ. 68). «ესა სწორედ მითვისების კანონის ძირითადი მანიერება... უბედურება ისაა, რომ არ არსებობს აბსოლუტურად არავითარი დამაკავშირებელი რგოლი დაქირავებულ მუშასა და იმ კაპიტალისტ შორის, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს მის შრომას» (გვ. 68—69).

ეს უკანასკნელი ფრაზა «დამაკავშირებელი რგოლის» შესახებ საგნებით სისმონდისებური და საერთოდ უზაროა.

ნორმალური ადამიანის შესახებ, რომელიც გაიგივებულია კაპიტალისტთან, და ა. შ. — იხ. იქვე გვ. 74—76.

კაპიტალისტის კონცენტრაციისა და წერილი კაპიტალისტების გამოძევების შესახებ — გვ. 85—88.

თუ საქმის ახლანდელი ვითარებისას ნამდვილი მოგება წარმოდგება კაპიტალისტების დანაზოგიდან, მაშინ [განაწილების სხვა სისტემის პირობებში] ეს მოგება სწორედ ასევე კარგად შეიძლება წარმოდგარიყო დაქირავებული მუშების დანაზოგიდანაც (გვ. 88—89).

[მეორე მხრივ.] შერბულიე

1) იზიარებს [ჯემს] მილის შეხედულებას, რომ ყველა გადასახადი მიწის რენტიდან უნდა აიღებოდეს¹²⁸ (გვ. 128), მაგრამ, რადგან შეუძლებელია «გადასახადის იმგვარად დადება, რომ იგი ნამდვილად მიიღებოდეს მიწის რენტიდან და მხოლოდ რენტას ეხებოდეს», ვინაიდან ძნელია მოგება განასხვაო რენტისაგან, — ეს სრულიად შეუძლებელია იმ შემთხვევაში, როცა მიწის მესაკუთრე მიწას თვითონ ამუშავებს, — ამიტომ შერბულიე

2) უფრო შორს მიდის და რიკარდოს მოძღვრებიდან გამომდინარე, სწორ დასკვნას აკეთებს:

«რატომ არ გადადგამენ შემდგომ ნაბიჯს და არ ვააუქმებენ მიწის-კერძოსაკუთრებას?» (გვ. 129). «მიწის მესაკუთრე უსაქმური ადამიანები არიან, რომელთაც საზოგადოებრივ ხარჯზე ინახავენ წარმოებისათვის და საზოგადოების საერთო კეთილდღეობისათვის ყოველგვარი სარგებლობის გარეშე». «მიწას მწარმოებლობას ანიჭებს მიწათმოქმედებაში გამოყენებული კაპიტალი. მიწის მესაკუთრე ამას არაფრით არ უწყობს ხელს. იგი არსებობს მხოლოდ იმისთვის, რომ მიიღოს რენტა, რომელიც არ შეადგენს მისი კაპიტალების მოგების ნაწილს და არ წარმოადგენს არც შრომის პროდუქტს, არც მიწის მწარმოებლური ძალების პროდუქტს, არამედ შედეგია იმ ფასის, რა ფასადღაც კონველტენციას მომხმარებელთა შორის აჰყავს მიწათმოქმედების პროდუქტები» და ა. შ. (გვ. 129). «რადგან მიწის კერძო საკუთრების გაუქმება არაფერს არ შეეცლიდა იმ მიზეზებში, რომლებიც რენტას წარმოშობენ, ამიტომ რენტის არსებობა გაგრძელდებოდა; მაგრამ ამ რენტას აიღებდა სახელმწიფო. რომლის კეთენილებაც იქნებოდა მთელი მიწა და რომელიც იჯარით გადასცემდა დამუშავებისათვის ვარგის ნაყეთებს კერძო პირებს, რომელთაც საკმაო კაპიტალი ექნებოდათ ამ ნაყეთების ექსპლოატაციისათვის» (გვ. 130). რენტა შეეცლიდა ყველა სახელმწიფო შემოსავალს. «ყოველივე ამის შედეგად ყოველგვარი ბორჯილისაგან განთავისუფლებული მრეწველობა არაჩვეულებრივად განვითარდებოდა» და ა. შ. (გვ. 130).

მაგრამ როგორ შეუთანხმდება ეს რიკარდოსეული დასკვნა სისმონდისებურ საოცნებო სურვილს: «ბორჯილი» დაედოს კაპიტალს, კაპიტალი-სტურ წარმოებას? როგორ შეეგუება იგი შემდეგ გოლებას:

«კაპიტალი საბოლოოდ მსოფლიოს მბრძანებელი გახდება, თუ რაიმე გადატრიალება არ შეაჩერებს განვითარების იმ პროცესს, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში ხორციელდება მითვისების კანონის [დღევანდელი] ბატონობის დროს» (გვ. 152). «კაპიტალი ეელგან მოსპობს ყველა ძველ სოციალურ განსხვავებას, რათა მათ ნაცელად დაამყაროს ეს მარტივი დაყოფა ადამიანებისა მდიდრებად და ღარიბებად: მდიდრებად, რომლებიც განცხრომაში არიან და მართვენ, და ღარიბებად, რომლებიც მუშაობენ და მორჩილდებიან» (გვ. 153). მწარმოებლური ფონდებისა და პროდუქტების საყოველთაო მითვისებას ყველა დროში დაჰყავდა პროლეტარების მრავალრიცხოვანი კლასი და მორჩილებისა და პოლიტიკური უფლებების მდგომარეობაზე; მაგრამ ეს მითვისება შეხამებული იყო ოდესღაც იმ შემზღვეველი კანონების სისტემასთან, რომლებიც ბორკავენენ მრეწველობის განვითარებას და კაპიტალიზმის დაგროვებას, [1121] დაბრკოლებას უქმნიდნენ დაბეჩავებულთა კლასის ზრდას, ვიწრო ჩარჩოებით ზღუდვდნენ მის საშუალო თავისუფლებებს და ამ გზით ყოველნაირად უწყობდნენ ხელს იმას, რომ უვნებელი გაეხადათ ეს კლასი. ამჟამად კაპიტალი დაამსხვრია ამ ბორჯილების ნაწილი. იგი ეშაღდება ყველა მათ დასამსხვრევად» (გვ. 155—156).

«პროლეტარების დემოალიზაცია — ასეთია სიმდიდრეთა [ახლანდელი] განაწილების მეორე შედეგი» 129 (გვ. 156).

[თავი ოცდამოთხე]

რიჩარდ ჯონსი

1) R. JONES. AN ESSAY ON THE DISTRIBUTION OF
WEALTH, AND ON THE SOURCES OF TAXATION. PART I:
RENT. LONDON, 1831

[მიწის რენტის ისტორიული გაგების ელემენტები.
ჯონსი სჯონის რიჩარდოს მიწის რენტის თეორიის
ცალკეული საკითხების გაშუქებაში. ჯონსის შეცდომაში
ამ დარგში]

ჯონსის უკვე ამ პირველ თხზულებას რენტის შესახებ ახსიათებს ის, რაც აქლია ყველა ინგლისელ ეკონომისტს სერ ჯემს სტიუარტის შემდეგ, სახელდობრ: წარმოების წესების ისტორიული განსხვავების გაგების ელემენტები: (ისტორიული ფორმების ასეთ საერთოდ და მთლიანად სწორ განსხვავებას არ ეწინააღმდეგება ის მეტად არსებითი არქეოლოგიური, ფილოლოგიური და ისტორიული შეცდომები, რომლებზეც ჯონსს მიუთითებდნენ. იხ., მაგალითად, «Edinburgh Review», ტომი LIV, სტატია IV¹⁸⁰.)

რიჩარდოს მომდევნო უახლესი ეკონომისტების ნაწერებში ჯონსმა ნახა განსაზღვრა რენტისა როგორც დამატებითი მოგებისა, განსაზღვრა, რომელიც გულისხმობს, რომ ფერმერი არის კაპიტალისტი (ანდრომ მიწის ექსპლოატაციას ეწევა სოფლის მეურნეობის კაპიტალისტი), რომელიც კაპიტალის ამ განსაკუთრებული გამოყენებით საშუალო მოგებას მოელის, და გულისხმობს აგრეთვე, რომ თვით მიწათმოქმედება კაპიტალისტური წარმოების წესს ექვემდებარება. მოკლედ, მიწის საკუთრება განიხილება აქ იმ გარდაქმნილი ფორმით, რომელიც მას

მისცა კაპიტალმა როგორც საზოგადოების გაბატონებულმა წარმომადგენელმა ურთიერთობამ, მისი თანამედროვე ბურჟუაზიული ფორმით. ჯონსი სრულიად არ იზიარებს იმ ილუზიას, რომ კაპიტალი სამყაროს დასაწყისიდანვე არსებობს.

ჯონსის შეხედულებანი რენტის წარმოშობაზე საერთოდ რეზიუმეს სახით მოცემულია შემდეგ დებულებებში:

«მიწის უნარი ადამიანის ყველაზე პრიმიტიული შრომის დროსაც კი იმაზე მეტი დოვლათი მოგვცეს, რაც საჭიროა მიწათმოქმედის არსებობისათვის, და ამრიგად მისცეს მიწათმოქმედს მიწის მესაყურისათვის ხარკის გადახდის შესაძლებლობა, — ასეთია რენტის წარმოშობა» (გვ. 4).

«ამრიგად, რენტის წარმოშობი წყაროა მიწის მითვისება ისეთ ვითარებაში, როცა მოსახლეობის ძირითადი მასა იძულებულა ან დაამუშაოს მიწა ყოველგვარ პირობებში, ანდა შიმშილით მოყვედეს და როცა ამ ადამიანთა მცირე კაპიტალი, რომელიც შედგება იარაღებისაგან, თესლისაგან და ა. შ. გარდუვალი აუცილებლობით მათთან ერთად მიჰაქვეულება მიწაზე, რადგან ეს კაპიტალი სრულიად არა ემარა იმისათვის, რომ ამ ადამიანებმა შეძლონ არსებობა მიწათმოქმედების გარდა რომელიმე სხვა დარგში მოსაქმეობით» [გვ. 11].

ჯონსი იველევს რენტის ყველა სახესხვაობას: დაწყებული საბატონო შრომის ყველაზე პრიმიტიული ფორმით და გათავებული თანამედროვე ფერმერის რენტით. იგი ყოველთვის იმ დასკვნამდე მიდის, რომ შრომისა და შრომის პირობების გარკვეულ ფორმას შეესაბამება რენტის, ე. ი. მიწის საკუთრების გარკვეული ფორმა. ასე, მაგალითად, მას განხილული აქვს ერთიმეორეზე მიყოლებით შრომაშიგვებითი რენტა, ანუ რენტა ყმა გლეხების საბატონო შრომის სახით, გადასულა შრომაშიგვებითი რენტიდან რენტაზე პროდუქტებით, საზიარო რენტა, რაიიატის¹³¹ რენტა და ა. შ., — გამოკვლევა, რომლის დეტალები ჩვენ აქ არ გვინტერესებს. რენტის ყველა აღრინდელი ფორმისთვის დამახასიათებელია, რომ სხვისი ზედმეტი შრომის უშუალო მიმთვისებელი არის არა კაპიტალისტი, არამედ მიწის მესაყურთ. რენტა (როგორც იგი [ფეოდალურ] მოგონებათა საფუძველზე ფიზიოკრატებს ესმით) გვევლინება ისტორიულად (რასაც ჩერკიდევ ყველაზე ფართო მასშტაბით ადგილი აქვს აზიის ხალხებში) როგორც საყოველთაო ფორმა ზედმეტი შრომისა, უსასყიდლოდ შესარტლებელი შრომისა. კაპიტალისტურ ურთიერთობათაგან განსხვავებით, აქ ამ ზედმეტი შრომის მითვისება არ არის გაშუალებული გაცვლით. არამედ მისი საფუძველია საზოგადოების ერთი ნაწილის ძალდატანებითი ბატონობა მის მეორე ნაწილზე. (აქედან წარმოდგება პირდაპირი მონობა, ბატონყმობა ან პოლიტიკური დამოკიდებულებით გაპირობებული ურთიერთობა.)

რადგან ჩვენ აქ მიწის საკუთრება მხოლოდ იმდენად უნდა განვიხილოთ, რამდენადაც მისი გავება კაპიტალის გავებას განაპირობებს, ამიტომ ჩვენ არ შევჩერდებით ჯონსის არგუმენტაციაზე, არამედ ერთბაშად გადავალთ იმ შედეგზე, რომელიც მას დადებითად განასხვავებს წინამორბედთაგან.

მაგრამ წინასწარ კიდევ რამდენიმე დამატებითი შენიშვნა.

როცა საბატონო შრომაზე — და ბატონყმობის (ასევე მონობის) იმ ფორმებზე ლაპარაკობს, რომლებიც ამ საბატონო შრომას ცოტად თუ ბევრად შეესაბამება, — [1122] ჯონსი შეუცნობლად გამოყოფს იმ ორ ფორმას, რომლებზეც დიფერენციალური ზედმეტი ღირებულება (ყოველი ზედმეტი შრომა). საერთოდ დამახასიათებელია ის, რომ საკუთრივ საბატონო შრომა მისი ყველაზე უხეშო ფორმით ყველაზე ნათლად გვიჩვენებს. დაქირავებულ შრომის არსებით ნიშნებს.

«რენტა» (იქ, სადაც ადგილი აქვს საბატონო შრომას) «შეიძლება ვადიდებულ იქნეს ამ პირობებში მხოლოდ ორი გზით: ან ყმა გლეხების შრომის უფრო მოხერხებული და უფრო ეფექტური გამოყენების გზით» (შეფარდებითი ზედმეტი შრომა), «მაგრამ ამას ხელს უშლის მიწის მესაკუთრეთა — როგორც კლასის — უუნარობა განვიითარონ აგრარონომული მეცნიერება, ან და ყმებისაგან გამოძალული შრომის რაოდენობის ვადიდების გზით, და მაშინ, თუ მესაკუთრეთა მიწის დამუშავება უცუფესი იქნება მით უფრო ცუდი იქნება იმ ყმების მიწის დამუშავება, რომელთაც ამ შემთხვევაში შრომას ართმევენ» (იქვე, თავი II [გვ. 61]).

ჯონსის ამ წიგნს რენტის შესახებ განასხვავებს მისი თხზულებისაგან «Syllabus», რომელიც განხილული იქნება ქვემოთ, მე-2 ნაწილში, შემდეგი: პირველ თხზულებაში ჯონსი ამოსავალ პუნქტად იღებს მიწის საკუთრების სხვადასხვა ფორმებს როგორც წინასწარ მოცემულ რაიმეს, მეორეში კი — შრომის სხვადასხვა ფორმებს, რომელთაც მიწის საკუთრების ფორმები შეესაბამება.

ჯონსი იმასაც გვიჩვენებს აგრეთვე, თუ როგორ შეესაბამება ამ სხვადასხვა წარმოებით ურთიერთობას შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალის განვითარების სხვადასხვა დონე.

საბატონო შრომას (ისევე როგორც მონების შრომასაც) ის საერთო აქვს დაქირავებულ შრომასთან, რამდენადაც საქმე ეხება რენტას, რომ ამ რენტას იხდიან შრომით და არა პაროდუქტებით, და მით შემეტეს არა ფულით.

საზიარო რენტის დროს კაპიტალის ავანსად გაცემა მიწის მესაკუთრის მიერ და უშუალო მუშაკებისათვის დამოუკიდებლად

ბის მიცემა მიწის დამუშავების საქმეში მიგვითითებს ჯერ კიდევ იმ მდგომარეობის გავრცელებაზე, რომაქ არ არსებობს ორივე კლასს შუა მდგომარეობის კაპიტალისტთა კლასი» (გვ. 74).

რაიიატის რენტა არის ის რენტა პროდუქტებით, რომელსაც მუშაკი, რომელიც თავის ხელფასს მიწიდანღებულობს, უხდის სუვერენს როგორც ამ მიწის მესაკუთრეს (თავი IV [გვ. 109]). (ეს რენტა დამახასიათებელია განსაკუთრებით აზიისათვის.) რაიიატის რენტა ხშირად შეხამებულია შრომამიგვითის რენტასთან და საზიარო რენტასთან (გვ. 136 და შემდგომი). მთავარ მიწის მესაკუთრეს აქ წარმოადგენს სუვერენი.

«ზიაში ქალაქების აყვავება ან, უფრო სწორად, მათი არსებობა მთლიანად დამოკიდებულია მთავრობის ადგილობრივ ხარჯებზე» (გვ. 138). «კოტერის¹³ რენტა... არის ყველა ის რენტა, რომელიც ხელშეკრულებით უნდა იხადონ ფულადი ფორმით მოიჭარბე-გლეხებმა, რომლებიც თავიანთ საარსებო საშუალებებს მიწიდანღებულობენ» (გვ. 143). (ი რ ლ ა ნ დ ი ა.) «დედამიწის ზედაპირის მეტ ნაწილში არ არსებობს ფულადი რენტა» [იქვე].

«ყველა ეს ფორმა» (შრომამიგვითი, რაიიატის საზიარო, კოტერის რენტა და ა. შ. — მოკლედ, გლეხურ რენტათა ყველა ფორმა) «ხელს უშლის მიწის მწარმოებლური ძალების განვითარებას» [გვ. 157].

აღამიანთა შრომის ნაყოფიერების განსხვავებანი დამოკიდებულია ჯერ ერთი, იმ მოწყობილობათა რაოდენობაზე, რომელთაც მრეწველობა ხმარობს ხელშრომის გამოსაყენებლად, და, მეორე, იმაზე, თუ რა ზომით უწყვეტ დახმარებას აღამიანთა წმინდა ფიზიკურ საქმიანობას წარსული შრომის დაგროვილი შედეგები, ე. ი. დამოკიდებულია წარმოებაში გამოყენებული დახლოვნების, ცოდნისა და კაპიტალის განსხვავებაზე» [გვ. 157—158].

«რამიწათმოქმედი კლასების მცირერიცხოვნობა. ცხადია, რომ იმ აღამიანთა შვეჟარდებით რიცხოვნობა, რომელთაც შეუძლიათ იარსებონ არასამიწათმოქმედო საქმიანობით, მთლიანად განისაზღვრება მიწათმოქმედთა შრომის მწარმოებლური ძალით» (თავი VI [გვ. 159—160]).

«როცა ინგლისში ყმების შრომა ხმარებიდან გამოვიდა, მოიჭარენი, რომელთაც მიწის მესაკუთრეთა მამულების დამუშავება იყისრეს, თვით სოფლად აღმოჩნდნენ. ესენი იყვნენ იომენები (თავისუფალი გლეხები)» [იქვე, [გვ. 166].

ბოლოს, ჩვენ მივადექით იმ პუნქტს, რომელიც აქ ყველაზე უფრო გვანტერესებს, ფერმერის რენტას. სწორედ აქ ვლინდება დამაჯერებლად ჯონსის უპირატესობა: იგი ამტკიცებს, რომ ის, რასაც რიკარდო და სხვები განიხილავენ როგორც მიწის საკუთრების მარადიულ ფორმას, არის ამ მიწის საკუთრების ბურჟუაზიული ფორმა, რომელიც საერთოდ მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა, ჯერ ერთი, მიწის საკუთრება უკვე აღარ არის წარმოებაში — და ამიტომ საზოგადოებაში — გაბატონებული ურთიერთობა, მეორე კი, თვით მიწათმოქმედება წარმართება კაპიტალისტურად, რაც გულისხმობს მსხვილი მრეწველობის (ყოველ შემთხვევაში, მანუფაქტურის) განვითარებას. ჯონსი გვიჩვენებს, რომ რენტა

რიკარდოს შეხედულებით არსებობს მხოლოდ ისეთ [1123] საზოგადოება-ში, რომლის ბაზისიც კაპიტალისტური წარმოების წესია. მიწის რენტის დამატებით მოგებად გადაქცევისთანავე უნდა შეწყდეს აგრეთვე მიწის საკუთრების პირდაპირი გავლენა ხელფასზე, ეს კი ნიშნავს, სხვა სიტყვებით, იმას, რომ ამიერიდან ზედმეტი შრომის უშუალო მიმთვისებელი ხდება არა მიწის მესაკუთრე, არამედ კაპიტალისტი. რენტის შეფარდებითი სიდიდე დამოკიდებულია უკვე მხოლოდ კაპიტალისტსა და მიწის მესაკუთრეს შორის ზედმეტი ღირებულებების განაწილებაზე და არა თვით ამ ზედმეტი შრომის მიღებაზე. ეს მომენტი არსებითად გამოსკვივის ჯონსის თხზულებებიდან, თუმცა ეს მას ნათლად არ გამოუთქვამს.

ჯონსის მიერ წინადადებული ნაბიჯი რიკარდოსთან შედარებით არსებითი ხასიათისაა როგორც მოვლენათა ახსნისადმი ისტორიული მიდგომის აზრით, ისე ეკონომიური დეტალების მხრივაც. მივყვით მის თეორიას კვალდაკვალ. მასში, რა თქმა უნდა, გვხვდება გაუგებრობებიც.

ქვემოციტირებულ დებულებებში ჯონსი მართებულად არკვევს იმ ისტორიულ და ეკონომიურ პირობებს, რომლებშიც რენტა დამატებით მოგებას უღრის, სხვანაირად რომ ვთქვათ, რენტა თანამედროვე მიწის საკუთრების გამოხატულებაა.

ფერმერის რენტა შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იქ, სადაც საზოგადოების სხვადასხვა კლასის ყველაზე მნიშვნელოვანი ურთიერთობანი უკვე აღარ გამომდინარეობენ მიწის საკუთრებიდან და მიწის მფლობელობიდან» (გვ. 185).

კაპიტალისტური წარმოების წესი იწყება მრეწველობაში და მიწათმოქმედებას იგი მხოლოდ მოგვიანებით იქვემდებარებს.

«კაპიტალისტების ძალაუფლებას პირველად ოსტატები და ხელოსნები დაექვემდებარენ» (გვ. 187).

«ამგვარი სისტემის უშუალო შედეგია მიწათმოქმედებაში გამოყენებული შრომისა და კაპიტალის ნებისმიერად სხვა დარგში გადატანის შესაძლებლობა».

{და მხოლოდ ამ შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში შეიძლება ლაბარაკი მიწათმოქმედებასა და მრეწველობაში მოგებათა გათანაბრებაზე.}

«სანამ მოიქარე თვითონ იყო მომუშავე გლეხი, რომელიც იძულებული იყო სხვა საარსებო საშუალებათა უქონლობის გამო ეს საშუალებანი მიწიდან მიეღო, იგი ამ გასაპირით მიჩაქვული იყო მიწაზე. ის მცირე კაპიტალი, რაც მას, შესაძლოა, გააჩნდა, ფაქტურად თავის მფლობელთან ერთად მიჩაქვული იყო მიწაზე, რადგან ეს კაპიტალი არ ემაროდა მისი არსებობის უზრუნველსაყოფად, თუ იგი მოხმარებული არ იქნებოდა

მხოლოდ და მხოლოდ მიწის დასამუშაებლად. კაპიტალისტური მეწარმის გარეხასთან ერთად ეს დამოყიდებულება მიწაზე ქრება, და თუ მიწათმოქმედებამ იმუშებთის გამოყენებით შეუძლებელი ხდება იმდენივე მოგების მიღება, რამდენიც შეიძლება მივიღოთ მათი. სრომიდან არასამიწათმოქმედო სხვადასხვა დარგებში, რომლებიც საზოგადოების ასეთი მდგომარეობის დროს მრავლად არსებობენ, მაშინ მიწათმოქმედებაში მოსაქმეობას თავს დაანებებენ. საქმის ასეთი ვითარებისას რენტას აუცილებლად შეადგენს მხოლოდ დამატებითი მოგება» (გვ. 188). «რენტის გაუღენა ხელფასზე შეწყდება». [იქვე]. «როცა მუშაყის გამოყენება კაპიტალისტის ხელში გადადის, იგი აღარ არის დამოკიდებული მიწის მესაკუთრეზე» (გვ. 189).

თუ როგორ წარმოიქმნება დამატებითი მოგება, ჯონსი ამას, როგორც შემდგომ დაგინახავთ, არსებითად, არ გვიხსნის, ანდა, უფრო სწორად, გვიხსნის რიკარდოსებურად, ე. ი. სხვადასხვა მიწების ბუნებრივი ნაყოფიერების ხარისხის სხვაობით.

«როცა რენტა დამატებითი მოგების საგან შედგება, გარკვეული მიწის ნაკვეთის რენტა შეიძლება იზრდებოდეს სამი მიზეზის გამო:

1) პროდუქტის გადიდება მისი წარმოების დროს დაგროვილი კაპიტალის უფრო მეტი რაოდენობით გამოყენების მეშვეობით;

2) უკვე დაბანდებული კაპიტალის უფრო ეფექტური გამოყენება;

3) კაპიტალისა და პროდუქტის უცვლელიობისას ამ პროდუქტში მწარმოებელი კლასების წილის შემცირება და შესაბამისად მიწის მესაკუთრის წილის გადიდება.

ეს მიზეზები შეიძლება აგრეთვე ერთად მოქმედებდნენ სხვადასხვა თანაფარდობით» (გვ. 189).

ენახთ, როგორია საქმის ვითარება ამ სხვადასხვა მიზეზის მიმართ, უწინარეს ყოვლისა, ყველა ეს მიზეზი გულისხმობს, რომ რენტას წარმოშობს დამატებითი მოგება. შემდეგ კი ეჭვს გარეშეა, რომ პირველი ამ მიზეზთაგან, რომელსაც რიკარდო ერთხელ მხოლოდ გაკვრით იხსენიებს*, სასვებით მართებულადაა აღნიშნული. თუ დიდდება მიწათმოქმედებაში გამოყენებული კაპიტალი, დიდდება რენტის მასაც, თუმცა მარცვლეულის და ა. შ. ფასები არ დიდდება და საერთოდ არავითარი სხვა ცვლილება არ ხდება. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში დიდდება აგრეთვე მიწის ფასი, თუმცა მარცვლეულის ფასი არ დიდდება და მასში საერთოდ არავითარი ცვლილება არ ხდება.

რენტას უცუდე სი მიწიდან ჯონსი ხსნის მონოპოლიური ფასით. რენტის ნამდვილი ფასი, მისი შეხედულებით, დაიყვანება, მამასადამე, შემდეგზე: ან მონოპოლიური ფასი.

* — იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 134—135, 164—165 და 419—420. რ ე დ.

(როგორც ეს მოცემული აქვთ ბიუქენენს, სისმონდის, პოპკინს და სხვებს), როცა არსებობს ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი რ ე ნ ტ ა (რომელიც სხვადასხვა სახის ნიადაგის ნაყოფიერების სხვაობიდან არ გამომდინარეობს), ანდა დ ი ფ ე რ ე ნ ც ი უ ლ ი რ ე ნ ტ ა (როგორც ეს რიკარდოსთან არის).

ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი რ ე ნ ტ ი ს ad vocem*, ავიღოთ ოქროს შემცველი მადანი. ვთქვათ, გამოყენებული კაპიტალი უდრის 100 გირ. სტერლინგს, საშუალო მოგება უდრის 10 გირ. სტერლინგს, რენტა უდრის 10 გირ. სტერლინგს. დავუშვათ, რომ კაპიტალი შედგება სანახევროდ მუდმივი კაპიტალისაგან (ამ შემთხვევაში — მანქანებისა და დამხმარე მასალისაგან) და სანახევროდ ცვალებადი კაპიტალისაგან. 50 გირ. სტერ. მუდმივი კაპიტალი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ეს კაპიტალი იმდენსავე შრომას შეიცავს, რამდენსაც [1124] 50 გირ. სტერ. ოქრო. ამიტომ პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც 50 გირ. სტერლინგს უდრის, ანაზღაურებს მოხმარებულ მუდმივ კაპიტალს. თუ პროდუქტის ნაწილი უდრის 70 გირ. სტერლინგს და 50 გირ. სტერ. ცვალებად კაპიტალს მოძრაობაში მოჰყავს 50 მუშა, მაშინ 50 მუშის [შრომა] (ვიგულისხმობთ, რომ სამუშაო დღე უდრის 12 საათს) უნდა განსახიერდეს 70 გირ. სტერ. ოქროში, რომლიდანაც 50 გირ. სტერლინგი იხდის ხელფასს, 20 გირ. სტერლინგი კი წარმოადგენს ფასგადაუხდელ შრომას. ასეთი ორგანული შედგენილობის ყველა კაპიტალის პროდუქტის ღირებულება უდრის მაშინ 120 გირ. სტერლინგს. პროდუქტი ამ შემთხვევაში შეადგენს 50r + +70, ეს უკანასკნელი 70 გირ. სტერლინგი კი წარმოადგენს 50 სამუშაო დღეს და უდრის 50v + 20m. 100 გირ. სტერ. კაპიტალი, რომელიც გამოიყენება მეტ მუდმივ კაპიტალს და მუშების ნაკლებ რიცხეს, ნაკლები ღირებულების პროდუქტს შექმნიდა. მაგრამ ჩვეულებრივი სამრეწველო კაპიტალები ყველანი, თუმცა მათი პროდუქტის ღირებულება ასეთ პირობებში 120 გირ. სტერლინგი იქნებოდა, გაყიდდნენ ამ პროდუქტს მხოლოდ მისი წარმოების ფასის მიხედვით, ე. ი. 110 გირ. სტერლინგად. მაგრამ ოქროს შემცველი მადნის შემთხვევაში, მიწის საკუთრების მიუხედავადაც კი, ეს შეუძლებელია, რადგან ღირებულება აქ გამოიხატება პროდუქტის ნატურალური ფორმით. მაშასადამე, აქ აუცილებლად უნდა მიგვეღო 10 გირ. სტერ. რენტა}

მარცვლეულის გაყიდვა შეიძლება ხდებოდეს მონოპოლიურ ფასში (ე. ი. ფასში, რომელიც აღემატება იმათ ხარჯებსა და მოგებას, ვინც მას ყველაზე ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში აწარ-

* გამო (შესახებ). რედ.

შ ო ე ბ ს). ანდა ისეთ ფასში, რომელიც მხოლოდ ჩ ე ე უ ლ ე ბ რ ი ე მ ო გ ე ბ ა ს ა ნ ა ზ ლ ა უ რ ე ბ ს. თუ ავიღებთ პირველ შემთხვევას, და მხედველობის გარეშე დაეტოვებოდა ყოველგვარ განსხვავებას და მუშავებული მიწის ნაყეთების ნაყოფიერებაში, მაშინ პ რ ო ლ უ ქ ტ ო ს გ ა დ ი ღ ე ბ ა ს, რომელიც კაპიტალის გადიდების მ ე ო ხ ე ბ ი თ ა რ ი ს მ ი ღ ე ბ უ ლ ი (წინანდელი ფასების პირობებში), შეუძლია გააღიდაოს რენტა დახარჯული კაპიტალის გადიდების პროპორციულად. დავუშვათ, მაგალითად, რომ 10% შეადგენს მოგების ჩვეულებრივ ნორმას. თუ მარცვლეული, რომლის წარმოებაზეც 100 გირ. სტერლინგი დაიხარჯა, 115 გირ. სტერლინგად შეიძლება გაიყიდოს, მაშინ რენტა იქნება 5 გირ. სტერლინგი. თუ მიწათმოქმედების კულტურის ამალაების შედეგად იმავე მიწაზე გამოყენებული კაპიტალი და ასევე პროდუქტი ორჯერ გადიდება, მაშინ 200 გირ. სტერლ. კაპიტალი მოგვცემს 230 გირ. სტერლინგის პროდუქტს, რენტა კი იქნება 10 გირ. სტერლინგი, ე. ი. აგრეთვე ორჯერ გადიდება» (გვ. 191).

{ეს შეეხება როგორც აბსოლუტურ, ისე დიფერენციულ რენტასაც.}

მეტიერიცხოვან საზოგადოებაში მარცვლეული ყოველთვის შეიძლება მ ო ნ ო პ ო ლ ი უ რ ი ფ ა ს - ი ს კვალობაზე იყიდებოდეს... ეს შეიძლება უფრო ღირსეულად იქნებოდეს, თუ მოსახლეობა მუდამ იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე მიწათმოქმედების პროდუქტია ღირსეულად. მაგრამ მარცვლეულის მონოპოლიური ფასი მეტად უჩვეულო მოვლენა ისეთი ქვეყნებისათვის, რომელნიც მნიშვნელოვანი მოცულობითა და ნიადაგის დიდი რაოდენობით ვანიჩიან. თუ ადგილი აქვს მარცვლეულის ფასების მნიშვნელოვან გადიდებას, დამუშავებაში შედის მეტი მიწა ანდა მეტი კაპიტალი ბანდდება წინანდელ მიწაზე, ვიდრე არ დადგინდება ისეთი ფასი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს გაწეული ხარჯებისა და ჩვეულებრივი მოგების ჯამს. მაშინ მიწათმოქმედების შემდგომი ზრდა შეჩერდება, და ასეთ ქვეყნებში მარცვლეული ჩვეულებრივ გაიყიდება ისეთ ფასში, რომელიც არ აღემატება იმ ფასს, რაც საკმარისია ნაკლებად ზედასაყრდელ პირობებში გამოყენებული კაპიტალის ასანაზღაურებლად და ამ კაპიტალის ჩვეულებრივი მოგების ნორმის მისაღებად. რენტა კი, რასაც უფრო ნაყოფიერი მიწებიდან იხდიან, განიზოტება ამ მიწების პროდუქტის გადასამეტით იმ უცუდესი ნიადაგის პროდუქტზე, რომლის ღამუშავებაზეც იმდენივე კაპიტალია დახარჯული» (გვ. 192).

ყველაფერი, რაც საჭიროა რენტის გადიდებისათვის იმ ქვეყნის მთელი მიწის ფართობზე, რომელსაც სხვადასხვა ხარისხის მიწები აქვს, უნდა გამოიხატებოდეს იმაში, რომ უკეთესი მიწები იძლეოდნენ რამდენადმე მეტ პროდუქტს, ვიდრე უეჭველად უფრო ცუდი ხარისხის მიწები იძლევიან. იმ დამატებით კაპიტალზე, რაც ამ მიწებში ბანდდება მიწათმოქმედების განვითარების კვალობაზე; ეინიდან ამ შემთხვევაში, სანამ შესაძლებელია საშუალებათა გამოანახვა ჩვეულებრივი მოგების ნორმის მომცემა ახალი კაპიტალის გამოსაყენებლად A და Z-ს შორის მდებარე ყოველ მიწაზე, რენტა გაიზრდება ყველა მიწაზე, რომლის ხარისხიც ამ განსაკუთრებული მიწის ხარისხზე უფრო მაღალია» (გვ. 195).

თუ მიწა A, რომლის დამუშავებაზეც 100 გირ. სტერლინგი იხარჯება, ყოველწლიურად იძლევა 110 გირ. სტერლინგს, — ამასთან 10 გირ. სტერლინგი ჩვეულებრივ მოგებას იძლევა, — მიწა B 100 გირ. სტერლინგის დახარჯვისას იძლევა 115 გირ. სტერლინგს, მიწა C 100 გირ. სტერლინგის დახარჯვისას იძლევა 120 გირ. სტერლინგს და ა. შ. Z მი-

* A და Z — ლათინური ანბანის პირველი და უკანასკნელი ასოები — აღნიშნავენ აქ მოცემული ქვეყნის უცუდეს და საუკეთესო მიწას. რ ე ლ.

31. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

წამდე, მაშინ B იძლევა 5 გირ. სტერ. რენტას, C კი — 10 გირ. სტერ. რენტას. დაუშვათ ახლა, რომ ამ მიწებიდან თითოეულის დამუშავებაზე იხარჯება 200 გირ. სტერლინგი. ამ შეძენისთვის A მოგვცემს 220 გირ. სტერლინგს. B — 230 გირ. სტერლინგს, C — 240 გირ. სტერლინგს და ა. შ., ასე რომ რენტა B მიწაზე იქნება 10 გირ. სტერლინგი, C მიწაზე — 20 გირ. სტერლინგი და ა. შ.» (გვ. 193).

«მიწათმოქმედებაში გამოყენებული კაპიტალის საერთო დაგროვებამ, რომელიც ამრავლებს ყველა სახის ნიადაგის პროდუქტს ცოტად თუ ბევრად მათი თავდაპირველი ხარისხის შესაბამისად, თავისდათვალ უნდა გააადიდოს რენტა მიუხედავად გამოყენებული შრომისა და კაპიტალის ამონაგების მზარდი შემცირებისა და საერთოდ ყოველგვარი სხვა მიზეზის მიუხედავად» (გვ. 195).

ჯონსის დამსახურებაა პირველად ხაზგასმით აღნიშვნა იმისა, რომ რაკი ჩვენ უკვე ვიკულისხმეთ რენტის არსებობა, მისი ზრდა (თუ მულამ ივარაუდებთ, რომ არავითარი გადატრიალება წარმოების წესში არ ხდება) — საერთოდ გამოწვეული იქნება სასოფლო-სამეურნეო კაპიტალის, მიწათმოქმედებაში გამოყენებული კაპიტალის, გადიდებით. ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს არა მხოლოდ მაშინ, როცა ფასები უცვლელი რჩება, არამედ მაშინაც, როცა ეს ფასები მათს წინანდელ დონეზე დაბლა ეცემა.

[1125] [მიწათმოქმედების] კლებადი მწარმოებლობის შესახებ ჯონსი შენიშნავს:

«ოდესღაც მარცვლეულის საშუალო მოსავალი ინგლისში არ აღემატებოდა 12 ბუშელს აკრზე. ახლა იგი დაახლოებით ორჯერ მეტია» (გვ. 199).

«კაპიტალისა და შრომის ყოველი შემდგომი დანახარჯი, რაც მიწას ხმარდება, შეიძლება უფრო ეკონომიურად და ეფექტიანად იქნეს გამოყენებული, ვიდრე წინა დანახარჯი» (გვ. 199—200).

«რენტა დიდდება ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ და ა. შ., როცა კაპიტალი, იმავე მიწაში დაბანდებული, რომელშიაც წინათ ბანდდებოდა, დიდდება ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ მოგების შემცირებლად და დამუშავებული მიწების შეფარდებითი ნაყოფიერების შეუცვლელად» (გვ. 204).

ამრიგად, ეს არის პირველი პუნქტი, სადაც ჯონსი რიკარდოზე წინდგას. რაკი რენტა უკვე არსებობს, იგი შეიძლება იზრდებოდეს მიწაში დაბანდებული კაპიტალის უბრალო გადიდებით, მიუხედავად სხვადასხვა მიწების ნაყოფიერებისა და კაპიტალის თანმიმდევრულად გამოყენებული დონებიდან მიღებული ამონაგების ყოველგვარი ცვლილებისა და ასევე მიუხედავად მიწათმოქმედების პროდუქტთა ფასის ყოველნაირი ცვლილებებისა.

ჯონსის შემდგომი პუნქტი ასეთია:

«რენტის ზრდისათვის არ არის არსებითად აუცილებელი, რომ შეფარდება სხვადასხვა მიწების ნაყოფიერებას შორის ზუსტად უცვლელი რჩებოდეს» (გვ. 205).

{ჯონსი აქ მხედველობიდან უშვებს, რომ, პირიქით, მიწების ნაყოფიერების სხვაობათა გადიდება, მაშინაც კი, როცა მთელი სამიწათმოქმედო კაპიტალი უფრო მწარმოებლურად გამოიყენება, უნდა გააღიღოს და, მართლაც, გააღიღებს დიფერენციული რენტის მასას. მიწების ნაყოფიერების სხვაობათა შემცირებამ კი, პირიქით, უნდა შეამციროს დიფერენციული რენტა, ე. ი. ამ სხვაობათა განგამომდინარე რენტა. მიზეზის მოსპობასთან ერთად ისობა შედეგიც. და მიუხედავად ამისა რენტა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ აბსოლუტურ რენტას) შეიძლება იზრდებოდეს, მაგრამ მაშინ ეს მოხდება უკვე მხოლოდ მიწათმოქმედებაში გამოყენებული კაპიტალის გადიდების გამო. }

«რიჩარდოს მხედველობიდან გამორჩა. რომ დამატებითი კაპიტალი აუცილებლად იძლევა არაერთნაირ შედეგებს არაერთნაირი ნაყოფიერების მიწებზე» (იქვე).

(ეს მხოლოდ იმის მომასწავებელი იქნებოდა, მაშასადამე, რომ დამატებითი კაპიტალის გამოყენება აღიღებს მიწების შეფარდებითი ნაყოფიერების სხვაობას და ამით ზრდის დიფერენციულ რენტას.)

«თუ რიცხვებს, რომლებიც გარკვეულ შეფარდებაში არიან ერთიმეორესთან, ვაძრავლებთ ერთსა და იმავე რიცხვზე, შეფარდება მწკრივის წევრებს შორის იგივე დარჩება, რაც თავდაპირველ რიცხვებს შორის იყო, მაგრამ სხვაობა ცალკეულ ნაშრომთა სიდიდეებს შორის ყოველთვის გაიზრდება. თუ 10, 15, 20-ს ვაძრავლებთ 2-ზე ან 4-ზე და ისინი გახდებიან 20, 30, 40 ან 40, 60, 80, მაშინ მათი შეფარდებანი ერთიმეორესთან არ დაირღვევა; 80 და 60 ისეთ შეფარდებაშია 40-თან, როგორც 20 და 15 10-თან, მაგრამ სხვაობა ამ ნაშრომთა სიდიდეებს შორის ყოველთვის გაიზრდება: დასაწყისში გეჰონდა სხვაობანი 5 და 10, შემდეგ — სხვაობანი 10 და 20 და, ბოლოს — სხვაობანი 20 და 40» (გვ. 205—207).

ეს კანონი მარტივად შემდეგია:

- 1) 10, 5 15, 10 20. სხვაობა 5 [და 10]. სხვაობათა ჯამი 15.
- 2) 20, 10 30, 20 40. სხვაობა 10 [და 20]. სხვაობათა ჯამი 30.
- 3) 40, 20 60, 40 80. სხვაობა 20 [და 40]. სხვაობათა ჯამი 60.
- 4) 80, [40] 120, [80] 160. [სხვაობა 40 და 80. სხვაობათა ჯამი 120].

სხვაობა წევრებს შორის გადიღდა ერთიორად მე-2 მწკრივში, ერთიორხად მე-3 მწკრივში. სხვაობათა ჯამიც დიდდება ერთიორად მე-2 მწკრივში, ერთიორხად მე-3 მწკრივში, და ა. შ.

ასეთია, მაშასადამე, მეორე კანონი.

პირველი კანონი: (ჯონსი მიაკუთვნებს ამას მხოლოდ დიფერენციულ რენტას): რენტის მასა იზრდება გამოყენებული კაპიტალის მასასთან ერთად. თუ 100 გირ. სტერ. კაპიტალისათვის რენტის მასა უდრის 5-ს, 200 გირ. სტერ. კაპიტალისათვის იგი იქნება 10.

[1126] მეორე კანონი: თუ ყველა სხვა გარემოება უცვლელი რჩება და სხვადასხვა მიწაზე გამოყენებული კაპიტალის [მოგების] სხვაობათა შეფარდება არ იცვლება, მაშინ ამ სხვაობათა საერთო მასა და, მაშასადამე, ერთობლივი რენტის სიდიდე, ანუ ამ სხვაობათა ჯამი, იზრდება ამ სხვაობათა აბსოლუტური სიდიდის იმ ზრდასთან ერთად, რომელსაც იწვევს გამოყენებული კაპიტალის გადიდება. მაშასადამე, მეორე კანონი ამტკიცებს: დიფერენციული რენტის მასა იზრდება იმ პროდუქტის სხვაობის გადიდების პროპორციულად, რომელიც მიიღება სხვადასხვა მიწიდან, როცა ამ მიწების ნაყოფიერების თანაფარდობა უცვლელია, მაგრამ მათზე გამოყენებული კაპიტალის ზრდა თანაბარზომიერია.

შემდეგ: თუ A, B, C თანრიგის მიწებზე გამოყენება 100 გირ. სტერლინგი და აქედან მიიღება 100, 115 და 120 გირ. სტერლინგის პროდუქტი, შემდგომში კი გამოყენებულ იქნება 200 გირ. სტერლინგი და მიღებული 220, 228 და 235 გირ. სტერ. მთლიანი შემოსავალი. მაშინ გამოდის, რომ შეფარდებით პროდუქტის სიდიდის სხვაობანი შემცირდა და ეს მიწები თავიანთი ნაყოფიერების მიხედვით ერთი მეორეს მიუახლოვდებიან. მიუხედავად ამისა, მათი პროდუქტების სიდიდეთა სხვაობანი გადიდა 5-დან და 10-დან 8 და 15-მდე, და ამიტომ რენტა იზრდება. ამრიგად, გაუმჯობესებებს, რომელთაც ტენდენცია აქვთ ერთმანეთს მიუახლოვდნენ და მუშაობის მიწების ნაყოფიერების ხარისხი, საესებით შეუძლიათ რენტის გადიდება რაიმე სხვა მიზეზის დაუხმარებლადაც კი» (გვ. 208).

თალგანის მოყვანა და მეცხვარეობა და ამისათვის გამოყენებულმა ახალმა კაპიტალებმა უფრო მეტად გაუმჯობესეს უცუდეში მიწების ნაყოფიერება, ვიდრე უკეთესი მიწებისა. მიუხედავად ამისა, ამან გადიდა თითოეული მათგანის აბსოლუტური პროდუქტი და ამიტომ გაიზარდა მათი რენტა, შეამცირა რა იმედროულად დაუმუშავებელი მიწების ნაყოფიერების სხვაობანი» (იქვე).

«რაც შეეხება რიყარდოს აზრს, რომ გაუმჯობესებებს შეუძლიათ გამოიწვიონ რენტის დაცემა, აქ უნდა ვაეცხენოთ ის, თუ როგორ ნელა ხდება ფაქტიურად მიწათმოქმედებაში შესატან გაუმჯობესებათა აღმოჩენა, სრულყოფა და გაგრძელება» (გვ. 211).

{ამ უკანასკნელ დებულებას მხოლოდ პრაქტიკული ინტერესი აქვს, იგი არ ეხება თვით საქმის დედაარსს; მასში აღნიშნულია მხოლოდ ის, რომ ეს გაუმჯობესებანი არ ხდება საკმაოდ სწრაფად იმისათვის, რათა მნიშვნელოვნად გააღიღოს მიწოდება მოთხოვნასთან შედარებით და ამ გზით შეამციროს საბაზრო ფასები.}

დასაწყისში იხეივ გვექონდა:

- 1) A B C
10, 15, 20.

ყოველ თანრიგში გამოყენებული კაპიტალი უდრის 100-ს. პროდუქტი უდრის 110-ს, 115-ს, 120-ს. ს ხ ე ა ო ბ ა შეადგენს $5+10=15$.

შემოღებულ გაუმჯობესებათა შედეგად აქ ახლა გამოიყენება ორჯერ უფრო დიდი კაპიტალი, 200 100-ს ნაცვლად A, B, C თანრიგებიდან თითოეულში, მაგრამ ეს კაპიტალი მოქმედებს სხვადასხვა თანრიგზე სხვადასხვანაირად, და ჩვენ გვაქვს პროდუქტები, რომლებიც უდრის 220 (ე. ი. A თანრიგის პროდუქტი გაორკეცდა), 228 და 235.

ამრიგად:

$$\begin{array}{ccc} 2) & A & B & C \\ & 20, & 28, & 35. \end{array}$$

თითოეულ თანრიგში გამოყენებული კაპიტალი ახლა უდრის 200-ს. პროდუქტი უდრის 220-ს, 228 და 235-ს. ს ხ ე ა ო ბ ა შეადგენს $8+15=23$. მაგრამ ამ სხვაობის ნორმა შემცირდა. $5:10$ (ე. ი. შეფარდება სხვაობისა B—A-სი A-სთან 1-ლ შემთხვევაში) $=\frac{1}{2}$ -ს და $10:10=1$ -ს, მაშინ როდესაც შეფარდება $8:20$ უდრის მხოლოდ $\frac{2}{5}$ -ს და $15:20=\frac{3}{4}$ -ს. სხვაობის ნორმა შემცირდა, მაგრამ თავისი მასის მიხედვით თვით სხვაობა გადიდდა. მაგრამ ეს არავითარ ახალ კანონს არ შეადგენს, არამედ ადასტურებს მხოლოდ რენტის ზრდას გამოყენებული კაპიტალის ზრდასთან ერთად, როგორც ეს პირველ კანონშია, თუმცა პროდუქტის ზრდა მიწებზე A, B, C არ ხდება იმ სხვაობათა პროპორციულად, რომლებიც გამოხატავენ ამ მიწების ნაყოფიერების თავდაპირველ სხვაობას. თუ ნაყოფიერების ამ გადიდების გამო (რაც, თუმცა, B-სა და C-თვის ნაყოფიერების [შეფარდებითი] შემცირებაა, იმიტომ რომ სხვანაირად მათი პროდუქტი იქნებოდა 230 და 240) ფასები დაეცემა, მაშინ სრულიად არ არის აუცილებელი, რომ რენტა გადიდდეს ანდა თუნდაც მხოლოდ უცვლელი დარჩეს.

[1127] როგორც დასკვნა მეორე კანონიდან, როგორც მისი შემდგომი გამოყენება, გამომდინარეობს

მ ე ს ა მ ე კ ა ნ ო ნ ი: თუ გაუმჯობესებანი, «გაუმჯობესებანი, რომლებიც მიწათმოქმედებაში გამოყენებული კაპიტალის ეფექტიანობას ადიდებენ», ადიდებენ ამა თუ იმ მიწის ნაკვეთებზე მისაღებ და მ ა ტ ე ბ ი თ ს მ ო გ ე ბ ა ს, მაშინ ისინი ადიდებენ რენტას.

ამასთან დაკავშირებულა (წინა დებულებებთან ერთად) ჯონსის შემდეგი დებულებანი:

«ამრიგად, ფერმერის რენტის გადიდების პირველი წყაროა მ ზ ა რ დ ი და გ რ ო ე ბ ა და ა რ ა ე რ თ ნ ა ი რ ი შედეგები, რომელთაც კაპიტალი იძლევა სხვადასხვა მიწაზე» (გვ. 234).

{მაგრამ ეს შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ ისეთ გაუმჯობესებებს, რომლებიც უშუალოდ ახდენენ გავლენას მიწის ნაყოფიერებაზე, მაგალითად, სასუქის გამოყენება, თესლბრუნვა და ა. შ.}

«გაუმჯობესებანი, რომლებიც აღიღებენ მიწათმოქმედებაში გამოყენებული კაპიტალის ეფექტიანობას, იწვევენ რენტის გადიდებას იმით, რომ იმავე ან სხვა მიწის ნაკვეთებზე რეალურად დამატებითს მოგებას აღიღებენ. ისინი მუდამ ქმნიან დამატებითი მოგების ამ გადიდებას, თუკი მხოლოდ მიწის პროდუქტების მასას არ აღიღებენ ისე სწრაფად, რომ იგი უსწრებდეს მოთხოვნის ზრდას. ასეთი გაუმჯობესებანი, გამოყენებული კაპიტალის ეფექტიანობას რომ აღიღებენ, ჩვეულებრივ გაჩნდებიან ხოლმე მიწათმოქმედებაში დახელოვნების განვითარებასთან ერთად და დამხმარე კაპიტალის» (მუდმივი კაპიტალის) «უფრო მნიშვნელოვანი მასის დაგროვებასთან ერთად. ამ მიზეზით გამოწვეულ რენტის გადიდებას მოსდევს ჩვეულებრივ უარესი მიწების დამუშავებაზე გადასვლა იმ სამიწათმოქმედო კაპიტალის მოგების ყოველგვარი შემცირების გარეშე, რომელიც გამოყენებულია დამუშავებაში მყოფი მიწის ნაკვეთებიდან ყველაზე ცუდ ნაკვეთებზე» (გვ. 244).

{ჯონსი სრულიად მართებულად შენიშნავს, მოგების დაცემა არ ამტკიცებს სამიწათმოქმედო შრომის ნაყოფიერების შემცირებასო. მაგრამ თვით იგი მოგების დაცემის შესაძლებლობას მეტად არასრულყოფილად გვიხსნის. ამის მიზეზად მას ის მიაჩნია, რომ შეიძლება შეიცვალოს ან პროდუქტის რაოდენობა, ანდა მისი განაწილება მუშებსა და კაპიტალისტებს შორის. აქ ჯერ კიდევ არ ჩანს არავითარი წარმოდგენა მოგების წარმოების დაცემის ნამდვილ კანონზე.

«მოგების დაცემა არ არის სამიწათმოქმედო შრომის კლებადი ნაყოფიერების დამატებითი საბუთი» (გვ. 257).

«მოგება დამოკიდებულია ნაწილობრივ შრომის პროდუქტის მასაზე, ნაწილობრივ მუშებსა და კაპიტალისტებს შორის ამ პროდუქტის განაწილებაზე; ამიტომ მისი მასა შეიძლება იცვლებოდეს რომელიმე ამ ფაქტორის ცვლილების შედეგად» (გვ. 260).

აქედან კი მის მიერ ფორმირებული მცდარი კანონი:

«როცა, თუ მხედველობის გარეშე დაეტოვებთ საგადასახადო დაბეგვრას, ადგილი აქვს ერთად აღებული მწარმოებელი კლასების შემოსავლის აშკარა შემცირებას» (აქ არ არის ნათქვამი, თუ როგორ გავიგოთ შემოსავალი — როგორც სახმარო ღირებულება თუ როგორც საცვლელი, ივლისხმება მოგების მასა თუ მისი ნორმა), «და შეიმჩნევა მოგების წარმოების დაცემა, რომელიც არ ნაზღაურდება ხელფასის გადიდებით, ანდა პირიქით» (სწორედ ეს არის მცდარი რიკარდოსიული კანონი), «მაშინ შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ მოხდა შრომისა და კაპიტალის მწარმოებლური ძალის ერთგვარი შემცირება» (გვ. 273).

ჯონსს სწორად ესმის ის გარემოება, რომ საზოგადოების განვითარებასთან ერთად შეიძლება ადგილი ჰქონდეს მიწათმოქმედების პროდუქტთა ღირებულების შეფარდებით სრდას სამრეწველო პროდუქტებთან შედარებით, თუმცა აბსოლუტურად მიწათმოქმედება სინამდვილეში წინ მიდის:

ქვეყნის განვითარების პროცესში ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, რომ მრეწველობის ძალა და დახელოვნება უფრო მეტად იზრდება, ვიდრე ის ზრდაა, რომელსაც შეიძლება მოელოდეთ მიწათმოქმედებისაგან მზარდი მოსახლეობის პირობებში. ეს უდავო და ცნობილი ჭეშმარიტებაა. ამიტომ ქვეყნის განვითარების მსვლელობაში შესაძლებელია მიწათმოქმედების პროდუქტთა ღირებულების შეფარდებითი ზრდა მიწათმოქმედების მწარმოებლობის რაიმე ფაქტიური შემცირების გარეშე (გვ. 265).

მაგრამ ეს როდი გვიხსნის მიწათმოქმედების პროდუქტთა ფულადი ფასების დადებით სრდას — გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადგილი აქვს ოქროს ღირებულების ისეთ დაცემას, რომელიც მრეწველობაში გაწონასწორებულია და გადაძლეული სამრეწველო საქონელთა ფასების კიდევ უფრო მეტი დაცემით, მაშინ როდესაც მიწათმოქმედებაში ასეთი გაწონასწორება არ ხდება. ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს [1128] მაშინაც კი, როცა ოქროს (ფულის) ღირებულების საყოველთაო დაცემა არ ხდება, მაგრამ მაგალითად, როცა რომელიმე ქვეყანა თავისი ერთი დღის შრომის შედეგით უფრო მეტ ფულს იძენს, ვიდრე მისი მეტოქე ქვეყნები.

ჯონსი გვიხსნის მიზეზებს, თუ რატომ არ სწამს მას რიკარდოსეული კანონის მოქმედება ინგლისში, თუმცა ამ კანონის აბსტრაქტულ შესაძლებლობას იგი უშვებს:

«თუ რენტა იზრდება რიკარდოს მიერ დასახელებული მიზეზით, სახელობრიმის გამო, რომ გამოყენებულია შრომის დამატებითი რაოდენობა, რომელიც შეფარდებით უფრო მცირე მოგებას იძლევა» და ამიტომ უკეთეს მიზეზზე მიღებული პროდუქტის ნაწილი მიწის მესაყუთრის ხელში გადადის, მაშინაუცლებლად უნდა გაიზარდოს ერთობლივი პროდუქტის ის ნაწილი, რომელსაც მიწის მესაყუთრე თავისთვის იღებს საშუალოდ რენტის სახით. მეორე, ამ შემთხვევაში მიწათმოქმედებაში უნდა გამოყენებულ იქნეს მოსახლეობის უფრო მნიშვნელოვანი ნაწილის შრომა, ვიდრე ეს აქამდე იყო» (გვ. 280—281).

(უკანასკნელი ზუსტი არაა. შესაძლებელია, რომ მეტი არაპირდაპირი [secondary] შრომა გამოიყენებოდეს, მრეწველობისა და ვაჭრობის მიერ მოწოდებული მეტი საქონელი შედიოდეს მიწათმოქმედების პროცესში ერთობლივი პროდუქტის სათანადო გადიდებისა და უშუალო [სამიწათმოქმედო] შრომის უფრო მეტი რაოდენობის გამოყენების გარეშე. ეს შრომა შეიძლება ნაკლებიც კი იქნეს გამოყენებული.)

ინგლისის სტატისტიკაში ჩვენ გვაქვს სამი ფაქტი: დამუშავებული მიწის ფართობის გადიდება, რასაც თან ახლავს მთელი ქვეყნის რენტის საერთო ჯამის გადიდება; მიწათმოქმედებაში დასაქმებულთა წილის შემცირება; შემცირება მიწის მესაკუთრის წილის პროდუქტში» (გვ. 282).

(უკანასკნელი აიხსნება სავსებით ისევე, როგორც მოგების ნორმის დაცემა: პროდუქტის იმ ნაწილის გადიდებით, რომელიც მუდმივ კაპიტალს ანაზღაურებს. ამასთან რენტა შეიძლება იზრდებოდეს თავისი მასისა და ღირებულების მიხედვით.)

ა. სმიტი ამბობს: «მიწათმოქმედებაში ჯამჯობიერებათა განვითარების მსვლელობაში რენტა დიდდება დამუშავებულ ფართობთან შედარებით და მცირდება მიწის პროდუქტთან შეფარდებით»¹³² (გვ. 284).

ჯონსი მუდმივ კაპიტალს უწოდებს «დამხმარე [auxiliary] კაპიტალს».

მიწათმოქმედების სამინისტროსათვის სხვადასხვა დროის წარდგენილი ანგარიშებიდან გამომდინარეობს, რომ ინგლისის მიწათმოქმედებაში გამოყენებული მთელი კაპიტალი ისე შეეფარდება მუშების შესანახად და ხარჯულ კაპიტალს, როგორც 5 : 1, ე. ი. დამხმარე კაპიტალი მოხმარება ოთხჯერ უფრო მეტი, ვიდრე იმ შრომის შესანახად განკუთვნილი კაპიტალი, რომელიც უშუალოდ გამოიყენება მიწათმოქმედებაში. საფრანგეთში ეს შეფარდება არის 2:1» (გვ. 223).

«როცა დამატებითი კაპიტალის განსაზღვრული რაოდენობა გამოიყენება წ ა რ ს უ ლ ი შ რ ო მ ი ს შ ე დ ე გ ი ს ფ ო რ მ ი თ, რათა ხელი შეუწყოს ფაქტიურად დასაქმებული მუშების შრომას, მაშინ იმისათვის, რომ ასეთი კაპიტალის გამოყენება მომგებიანი და ამიტომ მუდამ შესაძლებელი იყოს, საკმარისია ნაკლები წლიური მოგება, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ახალი კაპიტალის ისეთივე რაოდენობა დაიხარჯებოდა მუშების დამატებითი რაოდენობის შესანახად» (გვ. 224).

დაეუშვათ, რომ 100 გირ. სტერლინგი იხარჯება მიწათმოქმედებაში იმ სამი მუშის შესანახად, რომლებიც აწარმოებენ თაიანთ საკუთარ ხელფასს და 10% მოგებას, მაშასადამე, სულ 110 გირ. სტერლინგს. ვთქვათ, რომ დახარჯული კაპიტალი გაორკვედა, ამასთან ჭერ გამოიყენება სამი ახალი მუშა. პროდუქტის მატება უნდა უდრიდეს 110 გირ. სტერლინგს, ე. ი. სამი დამატებითი მუშის ხელფასს პლუს 10 გირ. სტერ. მოგება. დაეუშვათ ახლა, რომ დამატებითი 100 გირ. სტერლ. გამოყენებულია იარაღების, სასუქის ან წარსული შრომის რომელიმე სხვა შედეგის ფორმით, მაშინ როდესაც დასაქმებული მუშების რიცხვი წინანდელი დარჩა. ვთქვათ, ეს დამხმარე კაპიტალი საკმარისია უშუალოდ ხუთი წლისათვის. ამ შემთხვევაში კაპიტალისტი წლიური მოგება ისეთი ოდენობის უნდა იყოს, რომ მას შეეძლოს [დამატებითი კაპიტალის] 10% მოგების და ამ კაპიტალის ყოველწლიურად გაცევის დასაფარაოდ 20 გირ. სტერლინგის გადახდა; მაშასადამე, რათა მომგებიანი გახდეს მუდმივი გამოყენება მეორე 100 გირ. სტერლინგისა, აუცილებელია 30 გირ. სტერ. წლიური მოგება, ნაცვლად 110 გირ. სტერლინგისა, რომელიც საჭიროა უშუალო შრომის მომგებიანი გამოყენებისათვის. ამიტომ ცხადია, რომ დამხმარე კაპიტალის დაგროვება მიწათმოქმედებაში შესაძლებელია მაშინაც, როცა უკვე შეუძლებელი გახდა კაპიტალის იმავე რაოდენობის გამოყენება დამატებითი შრომის შესანახად, და რომ ასეთი კაპიტალის დაგროვება მიწათმოქმედებაში შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში» (გვ. 224—225).

«ამრიგად, დამხმარე კაპიტალის ზრდა, ერთი მხრივ, აღიძვებს ადამიანის ბატონობას მიწის ძალებზე შრომის იმ რაოდენობასთან [1129] შეფარდებით, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ იხარჯება ამ მიწის დამუშავებაზე, მეორე მხრივ კი, ამცირებს წლიურ მოგების მინიმუმს, აუცილებელს იმისათვის, რომ მომგებიანი გახდეს ახალი კაპიტალის განსაზღვრულ რაოდენობათა მზარდი გამოყენება» (გვ. 227).

«დაეუშვათ, მაგალითად, რომ 100 გირ. სტერლინგი კაპიტალი მთლიანად იხარჯება ხელფასის გადასახდელად და 10% მოგებას იძლევა, ასე რომ ფერმერის შემოსავალი მუშის შემოსავლის ერთ მეათედს შეადგენს. თუ ასეთი კაპიტალი ვაღიძვრებოდა ორჯერ, სამჯერ და ა.შ., მაშინ ფერმერის შემოსავალი დარჩება წინანდელ შეფარდებაში მუშების შემოსავალთან. მაგრამ თუ მუშების რიცხვი წინანდელი დარჩება, კაპიტალის მსაოკრატერ ვაღიძვრება, მაშინ მოგება იქნება 20 გირ. სტერლინგი, ანუ მუშების შემოსავლის ერთი მეხუთედი. თუ კაპიტალი ვაღიძვრებოდა ოთხჯერ, მოგება იქნება 40 გირ. სტერლინგი, ანუ მუშების შემოსავლის ორი მეხუთედი. თუ კაპიტალი 500 გირ. სტერლინგამდე ვაიზრდება, მოგება იქნება 50 გირ. სტერლინგი, ანუ მუშების შემოსავლის ნახევარი. ამის შესაბამისად ვაიზრდება სიმდიდრეც. ვაღიძვრება და, ალბათ. ასევე, რამდენადმე, კაპიტალისტების რიცხვი საზოგადოებაში... კაპიტალის ზრდასთან ერთად აუცილებელი ხდება აგრეთვე დამატებითი უშუალო შრომის გარკვეული რაოდენობის გამოყენებაც. მაგრამ ეს გარემოება არ უშლის ხელს დამხმარე კაპიტალის განუხრეკელ შეფარდებითს ზრდას» (გვ. 231—232).

ამ ნაწყვეტში უწინარეს ყოვლისა მნიშვნელოვანია შენიშვნა, რომ კაპიტალის ზრდასთან ერთად «დამხმარე კაპიტალი» იზრდება შედარებით ცვალებადთან, სხვანაირად, რომ ცვალებადი კაპიტალი შეფარდებით მცირდება მუდმივ კაპიტალთან შედარებით.

წლიური მოგების შემცირებას ავანსებულ კაპიტალთან შედარებით, როცა იზრდება «დამხმარე კაპიტალის» ის ნაწილი, რომელიც ძირითადი კაპიტალისაგან შედგება, ე. ი. მუდმივი კაპიტალის ის ნაწილი, რომლის გადაბრუნება რამდენიმე წელი გრძელდება და რომლის ღირებულება ყოველწლიურად შედის პროდუქტში მხოლოდ გაცვეთის ფორმით, — ადგილი აქვს ყველგან, და არა მარტო მიწათმოქმედებაში. მართალია, მრეწველობაში წლის მანძილზე გადაამუშავებული ნედლეულის რაოდენობა კიდევ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ძირითადი კაპიტალის სიდიდე მატულობს (შეადარე, მაგალითად, ბამბის რაოდენობა, რომელსაც მოიხმარს მიულ-მანქანა ყოველკვირეულად, მაშასადამე, ყოველწლიურად, ბამბის იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა თვითსართავისათვის). მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ, მაგალითად, სამკერვალო წარმოება (დიდი მასშტაბისა) გადაამუშავებს იმდენივე ერთობლივი ღირებულებების ნედლეულს, რამდენსაც რთვა გადაამუშავებს (ნედლეული აქ რაოდენობით ნაკლებია, მაგრამ იგი უფრო ძვირია, ვიდრე რთვაში), მაშინ წლიური ამონაგები სამკერვალო წარმოებაში მნიშვნელოვნად უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე რთვაში, რადგან რთვის საქმეში დახარ-

ჭული (ძირითადი) კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი პროდუქტში შედის მხოლოდ წლიური დანარიცხის სახით.

წლიური ამონაგების ღირებულება მიწათმოქმედებაში (სადაც ის, რაც შეიძლება განვიხილოთ როგორც ნედლეული, — თესლი, — დიდდება არა იმდენად, რამდენადაც მუდმივი კაპიტალის სხვა ნაწილები, განსაკუთრებით ძირითადი კაპიტალი), რა თქმა უნდა, ნაკლებია მაშინ, როცა კაპიტალის ზრდა ისეთია, რომ ცვალებადის ნაცვლად იზრდება მხოლოდ მუდმივი კაპიტალი. ვინაიდან ცვალებადი კაპიტალი უნდა ანაზღაურდეს პროდუქტში მთლიანად, ძირითადი კი — წლიური დანარიცხის სახით, იმ ზომით, რა ზომითაც იგი ყოველწლიურად მოიხმარება. თუ ვიგულისხმებთ, რომ მარცვლეულის ფასი მოცემულია, თუ კვარტერი უდრის $1\frac{1}{2}$ გირ. სტერლინგს, მაშინ საჭიროა 220 კვარტერი, რათა ანაზღაურდეს, 10% მოგებისას, 100 გირ. სტერ. ცვალებადი კაპიტალი, მაშინ როდესაც 20 გირ. სტერ. შესატყვისი გაცვეთისა და 10 გირ. სტერ. მოგების ასანაზღაურებლად საჭიროა მხოლოდ 60 კვარტერი (= 30 გირ. სტერლინგს). ნაკლები აბსოლუტური ამოგების თანხა (აქ, როგორც სხვა მსგავს პირობებშიც მრეწველობაში) წინანდელის ტოლ მოგებას იძლევა. მაინც ჯონსს აქ სხვადასხვა სახის შეცდომები აქვს.

უწინარეს ყოვლისა, არ შეიძლება ითქვას (და შევებულო ვარაუდების დროს), რომ მიწის მწარმოებლური ძალები გაიზარდა. ეს ძალები გაიზარდა შედარებით უშუალოდ გამოყენებულ შრომასთან, მაგრამ არა შედარებით მთელ გამოყენებულ კაპიტალთან. შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ წინანდელი წმინდა პროდუქტის, ე. ი. წინანდელი მოგების მისაღებად აუცილებელია ნაკლები მთლიანი პროდუქტი.

[1130] შემდეგ, ფერმერის შემოსავლის ზრდა მუშების შემოსავალთან შედარებით ამ განსაკუთრებულ სფეროში მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც აქ ერთობლივი პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც მოგებად გადაიქცევა, ყოველთვის დიდდება იმ ნაწილთან შედარებით, რომელიც წილად ხვდება მუშებს. ამით განუხრელად იზრდება და ფართოვდება ფერმერი-კაპიტალისტის «სიმდიდრე და გავლენა» მისი მუშების «სიმდიდრესა და გავლენასთან» შედარებით. მაგრამ ჯონსი, ეტყობა, ასე ანგარიშობს: 10 100-ზე შეადგენს $1\frac{1}{10}$ -ს; 20 გირ. სტერლინგი 120-ზე (სახელდობრ, 100, დახარჯული შრომაზე, და 20, რომელიც გაცვეთას გამოხატავს) შეადგენს $1\frac{1}{6}$ -ს, და ეს 20 გირ. სტერლინგი შეადგენს მუშებისათვის გადახდილი ხელფასის $1\frac{1}{6}$ -ს, და ა. შ. მაგრამ არაფერია იმ მტკიცებაზე უფრო მცდარი, თითქოს, ზოგადად

რომ ვთქვათ, მოგების ნორმა შეიძლება იზრდებოდეს შრომაზე დახარჯული კაპიტალის შემცირებისას. სწორედ პირიქითაა. ამ შემთხვევაში მოხდება პროპორციულად ნაკლები ზედმეტი ღირებულების რეალიზაცია და მოგების ნორმა დაეცემა. რაც შეეხება სპეციალურად ცალკეულ ფერმერს (როგორც ყოველ ცალკეულ საწარმოსაც), მოგების ნორმა შეიძლება დარჩეს ერთნაირი, იმის მიუხედავად, 200 გირ. სტერ. კაპიტალი სამი მუშის შრომას გამოიყენებს, თუ ექვსი მუშისას.

იმისათვის, რომ რენტა წარმოადგენდეს დამატებით მოგებას, ე. ი. საშუალო მოგების გადანამეტს, იგულისხმება, რომ მიწათმოქმედება არა მარტო ფორმალურად ექვემდებარება კაპიტალისტურ წარმოებას, არამედ ადგილი აქვს მოგების ნორმის გათანაბრებას წარმოების სხვადასხვა დარგში და, კერძოდ, მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის. სხვა შემთხვევებში რენტა შეიძლება შეადგენდეს ხელფასის გადაანამეტს (რაც არის კიდევ მოგება). იგი შეიძლება წარმოადგენდეს აგრეთვე მოგების ნაწილს ანდა ხელფასიდან გამოჩაღებულსაც კი.

2) R. JONES. An INTRODUCTORY LECTURE ON POLITICAL ECONOMY, DELIVERED AT KING'S COLLEGE, LONDON, 27th FEBRUARY 1883. TO WHICH IS ADDED A SYLLABUS OF COURSE. OF LECTURES ON THE WAGES OF LABOR. LONDON, 1888

„ერის ეკონომიური სტრუქტურის» ცნება და მიწის დანებარებით საზოგადოებრივი წარმოების სხვადასხვა ტიპების დახასიათების ცდა. ჯონსის დაბნეულობა «სამუშაო ფონდის» შესახებ

[თხზულებაში «Introductory Lecture» ჯონსი წერს:]

«თითქმის ყველგან, ამა თუ იმ ხალხის განვითარების გარკვეულ პერიოდში, მიწის საკუთრება ან მთავრობის ხელშია. ანდა იმ პირთა ხელში, რომლებიც თავიანთ უფლებას მთავრობისაგანღებულენ» (გვ. 14).

ერის ეკონომიური სტრუქტურა მე მესმის როგორც ის ურთიერთობა სხვადასხვა კლასებს შორის, რომელიც დამყარდა თავდაპირველად მიწის კერძო საკუთრების შემდეგ და მიწის ზედმეტი პროდუქტის განაწილების შედეგად, ურთიერთობისა, რომელმაც შემდგომ განიცადა მოდიფიკაცია და ცვლილება (მეტად თუ ნაკლებად) იმის გამო, რომ გაჩნდნენ კაპიტალისტები როგორც აგენტები, რომელნიც სიმდიდრის წარმოებასა და გაცვლას ახორციელებენ და მუშა მოსახლეობას საზრდოსა და სამუშაოს აძლევენ» (გვ. 21--22). [1130, 131.

[1130] ჯონსის ესმის «სამუშაო ფონდი» [«Labor Fund»]

როგორც «იმ შემოსავალთა ერთობლივი მასა, რომელთაც მოხმარენ მუშაკები, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ამ შემოსავალთა წყარო» (Syllabus, (გვ. 44).

ჯონსისათვის მთავარია (ტერმინი «სამუშაო ფონდი» უნდა ვიფიქროთ ეკუთვნის მალთუსს⁷⁾185 შემდეგი: საზოგადოების მთელი ეკონომიური სტრუქტურა ტრიალებს შ რ ო მ ი ს ფ ო რ მ ი ს ი რ გ ვ ლ ი ვ, ე. ი. იმ ფორმის ირგვლივ, რა ფორმითაც მუშაკი მიითვისებს საარსებო საშუალებებს, ანუ თავისი პროდუქტის იმ ნაწილს, რომლითაც იგი არსებობს; ამ «სამუშაო ფონდს» აქვს სხვადასხვა ფორმა, და კაპიტალი მისი ერთ-ერთი ფორმაა მხოლოდ, ისტორიულად უფრო გვიან წარმოქმნილი ფორმა. მხოლოდ ჯონსის კონცეფციაში აღწევს თავის სრულ იმანენტურად შესაძლო განვითარებას ა. სმიტის მიერ დადგენილი არსებითი განსხვავება—ნაზღაურდება თუ არა შრომა კაპიტალით ანდა უშუალოდ შემოსავლიდან,—და ეს განსხვავება ხდება გადამწვევტი გასაღები საზოგადოების განსხვავებულ ეკონომიურ სტრუქტურათა გასაგებად. ამით იმავდროულად ქრება უაზრო წარმოდგენა, თითქოს, რადგან კაპიტალში მუშის შემოსავალი რაღაც კაპიტალისტის მიერ მითვისებულის alias* რაღაც მისი დანაზოგის ფორმით წარმოგვიდგება, ამიტომ ეს სხვაობა არ დაიყვანებოდეს მარტოოდენ ფორმის განსხვავებაზე.

«დასავლეთ ევროპის ერებშიც კი ჩვენ ჰქვრ კიდევ ეპოქობით იმ საზოგადოებრივი წყობილების შედეგებს, რომელიც მათი მიწისა და შრომის პროდუქტის განაწილების განსაკუთრებული წესიდან გამომდინარეობს, წესიდან, რომელიც [1131] მათი — როგორც მიწათმოქმედი ერების — არსებობის ადრინდელ პერიოდში ჩამოყალიბდა» (სახელდობრ, ეს არის განაწილება 1) მიწათმოქმედთა კლასსა, 2) მიწის მესაკუთრეთა კლასსა და 3) მათ მსახურთა, შინაყმათა და ხელოსანთა შორის, რომლებიც უშუალოდ ან არაპირდაპირ მონაწილეობენ მიწის მესაკუთრეთა შემოსავლის მოხმარებაში) (Introductory Lecture», გვ. 16).

ძირითადი ფაქტორი, ამომრჩეველი ძალა იმ ც ვ ლ ი ლ ე ბ ე ბ ი ს ა, რომელთაც განიცდის საზოგადოების ეს ეკონომიური წყობილება, არის კ ა პ ი ტ ა ლ ი, ე. ი. დ ა გ რ ო ვ ი ლ ი ს ი მ დ ი დ რ ე, რომელიც მოგვების მიღების მიზნით მოიხმარება... ყველა ერში აქ აღნიშნული განსაკუთრებული ნაწილი სიმდიდრისა უნიშვნელოაენარს როს ასრულებს საზოგადოების სხვადასხვა კლასებს შორის არსებული კავშირთაერთობის შეცვლაში და განმსაზღვრელ გავლენას ახდენს ამ კლასების მწარმოებელურ ძალაზე... აზიამ და ევროპის ნაწილში (წინათ ამას ადგილი ჰქონდა მთელ ევროპაში) ა რ ა მ ი ვ ა თ მ ო ქ მ ე დ კლასებს ინახავს თითქმის მთლიანად სხვა კლასების შემოსავალი, უმთავრესად მიწათმოქმედთა შემოსავალი. თუ თქვენ ხელოსნის შრომა გჭირდებათ, თქვენ ამარაგებთ მას მასალით; ის მოდის თქვენთან სახლში, თქვენ

* სხვანაირად რომ ვთქვათ. რ ე დ.

არჩენთ მას და უხდით ხელფასს. რამდენიმე ხნის შემდეგ გამოდის კაპიტალისტი; ი გ ი შ ო უ ლ ო ბ ს მ ა ს ა ლ ა ს, ა ვ ა ნ ს ა დ ა ძ ლ ე ე ს მ უ შ ა ს ხ ე ლ ფ ა ს ი, ხ დ ე ბ ა მ ი ს ი დ ა მ ქ ი რ ა ვ ე ბ ე ლ ი; ა ხ ლ ა ი ს ა რ ი ს მ ე ს ა კ უ თ რ ე წ ა რ მ ო ე ბ უ ლ ი პ რ ო დ უ ქ ტ ი ს ა, რომელსაც თქვენ გიცელოთ ფულზე... ამრიგად, ჩნდება შუალედური კლასი მიწის მესაკუთრეთა და არამიწათმოქმედთა ნაწილს შორის, და ამ არამიწათმოქმედთა მიერ სამუშაოსა და საარსებო საშუალებათა მიღება დამოკიდებულია ახლა ამ შუალედურ კლასზე. საზოგადოების შემკვრელი აღრიზდელი კავშირები სუსტდება და ირღვევა: სხვა კავშირი, ურთიერთდამოკიდებულების სხვა პრინციპები აერთიანებენ ახლა საზოგადოების სხვადასხვა კლასებს, — წარმოიქმნება ა ხ ა ლ ი ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა ნ ი » და ა. შ. ... «აქ, ინგლისში, არამიწათმოქმედი მოსახლეობის არა მარტო ძირითადი მასა არის თითქმის მთლიანად დამოკიდებული იმაზე, რასაც მას კაპიტალისტები უხდიან, არამედ მშრომელი მიწათმოქმედნიც ამ კაპიტალისტთა მსახურნი არიან» (იქვე, გვ. 16 და შემდგომი)

ჯონსის «Syllabus of a Course of Lectures on the Wages of Labor» განსხვავდება მისი წიგნისაგან რ ე ნ ტ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ შემდგევით. ამ უკანასკნელში განხილულია მიწის საკუთრების სხვადასხვა ფორმები, რომელთაც შეესაბამება შრომის სხვადასხვა ფორმა. პირველ წიგნში კი ჯონსი ამოდის შრომის ამ სხვადასხვა ფორმებიდან და მიწის საკუთრების სხვადასხვა ფორმას და კაპიტალს განიხილავს როგორც შრომის სხვადასხვა ფორმის წარმონაქმნს. იმ ფორმას, რომლითაც მუშაკს უპირისპირდება შრომის პირობები, — მაშასადამე, განსაკუთრებით მიწა, ბუნება, რადგან ეს ურთიერთობა ყველა დანარჩენს შეიცავს, — შეესაბამება მისი შრომის სოციალური განსაზღვრულობა. მაგრამ ნამდვილად მისი შრომის ეს სოციალური განსაზღვრულობა მხოლოდ აღნიშნულ ფორმაში პოულობს თავის ობიექტურ გამოხატულებას.

ჩვენ დავინახავთ ამიტომ, რომ «სამუშაო ფონდის» სხვადასხვა ფორმა შეესაბამება მუშაკის განსხვავებულ დამოკიდებულებას თავის საკუთარ წარმოების პირობებთან. მუშაკის მიერ თავისი პროდუქტის (ან მისი ნაწილის) მითვისების წესი დამოკიდებულია მის მიმართებაზე წარმოების პირობებთან.

«სამუშაო ფონდი», — ამბობს ჯონსი, — «შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად:

1) შემოსავალი, რომელსაც აწარმოებენ ისეთი მუშაკები, რომლებიც თვითონ მოახზარენ მას და რომელიც არასდროს არ ეკუთვნის სხვა პირებს». (ამ შემთხვევაში მუშაკი, მისი შემოსავლის განსაკუთრებული ფორმისაგან დამოუკიდებლად თავისი წარმოების იარაღების ფაქტური მფლობელი უნდა იყოს.

2) შემოსავალი, რომელიც მუშაკისაგან განსხვავებულ კლასებს ეკუთვნის, და რომელსაც ხარჯავენ ეს კლასები შრომის უშუალო შენახვისათვის.

3) კ ა პ ი ტ ა ლ ი საკუთარი აზრით:

სამუშაო ფონდის ყველა ეს განსხვავებული სახეობა შეიმჩნევა ჩვენს საკუთარ ქვეყანაში. მაგრამ თუ გადაეხედავთ სხვა ქვეყნებს, დავინახავთ, რომ ამ ფონდის ის ნა-

წილები, რომლებიც ჩვენში ყველაზე მეტად ზღვარდებულა, ზოგიერთ სხვა ქვეყანაში მოსახლეობის არსებობის მთავარ წყაროებს შეადგენენ და ხალხის უმრავლესობის ხასიათსა და მდგომარეობას განსაზღვრავენ» და ა. შ. «Syllabus», გვ. 45—46).

1-ლი პუნქტის შესახებ. «მშრომელ მიწათმოქმედთა, ანუ სანადელო მიწების მქონე გლეხების ხელფასი... ესენი არიან შრომელი მიწათმოქმედნი, ანუ გლეხები, ან მე მკვიდრეობითი მფლობელები ნადელისა, ან მესაკუთრენი, ანდა მოიჯარენი. მოიჯარენი არიან ყმები, მოზიარენი კოტერები. უკანასკნელნი დამახასიათებელი ირანდიისთვის. რენტის ან მოგების მსგავსი რაღაც ზმირად შედის ყველა ამ კატეგორიის მიწათმოქმედი გლეხების შემოსავალში, მაგრამ თუ მათი არსებობა დამოკიდებულია უმთავრესად მათი ფიზიკური შრომის ანაზღაურებაზე, მაშინ ისინი უნდა განვიხილოთ როგორც ხელფასის [wages—labourers] მიმღებნი.

ამრიგად, შრომელი გლეხების რიცხვი შედის:

a) ნადელის მე მკვიდრეობითი მფლობელები, რომლებიც მშრომელი მიწათმოქმედნი არიან [1132]. ძველი საბერძნეთი. თანამედროვე აზია, განსაკუთრებით ინდოეთი.

b) მესაკუთრე-გლეხები. საფრანგეთი, გერმანია, ამერიკა, ავსტრალია, ძველი პალესტინა.

v) «კოტერები» (გვ. 46—48).

აქ დამახასიათებელია ის, რომ მუშაკი აკვლავწარმოებს «სამუშაო ფონდს» თავისთვის. ეს «სამუშაო ფონდი» არ გადაიქცევა კაპიტალად. ისევე როგორც მუშაკი უშუალოდ აწარმოებს თავის «სამუშაო ფონდს», ასევე უშუალოდ მიითვისებს მას იგი, თუმცა მუშაკის ზედმეტ შრომას, იმისდა მიხედვით, თუ როგორია წარმოების პირობებთან მუშაკის დამოკიდებულების ფორმა, ან თვითონ მიითვისებს მთლიანად ან ნაწილობრივ, ანდა სხვა კლასები მიითვისებენ მთლიანად. ის, რომ ჯონსი მუშაკების ამ კატეგორიას «ხელფასის მიმღებთ» [wages labourers] უწოდებს, მხოლოდ ეკონომიური ცრურწმენაა. მათ არაფერი არა აქვთ ისეთი, რაც ახასიათებს ხელფასის მიმღებს, დაქირავებულ მუშას. ეს არის ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის საუცხოო წამოდგენა: რაკი კაპიტალის ბატონობისას პროდუქტის ის ნაწილი, რომელსაც მუშა თავისთვის მიითვისებს, ხელფასს წარმოადგენს, ამიტომ ყოველი მუშაკის პროდუქტის ის ნაწილიც, რომელსაც თვითონ მოიხმარს, აუცილებლად ხელფასს უნდა წარმოადგენდეს.

მე-2 პუნქტის შესახებ. [მოსახლეობას, რომელსაც ამ სახის სამუშაო ფონდი ინახავს] ღინგლისში შეადგენენ შინამოსამახურენი, ჭარისკაცები, მატროსები და ცოტათოდენი ხელოსნები, რომლებიც მუშაობენ საკუთარ ხარჯზე და საზღაურს ღებულობენ მათთვის სამუშაოს მიმცემთა შემოსავლიდან. დედამიწის მნიშვნელოვანი ნაწილის თითქმის ყველა არამიწათმოქმედი მუშაკს ამ სახის სამუშაო ფონდი ინახავს. წი-

ნათ ინგლისში ეს ფონდი სქარბობდა. ვარეცი — მეფეთა მეფეებელი 136. ინგლისის. თავდაზნაურობა. დღეს ეს ფონდი სქარბობს აღმოსავლეთში. ხელოსნები, მსახურები. დიდი არმიები, რომელთაც ეს ფონდი ინახავს. მთელს აზიაში სუვერენის ხელში ამ ფონდის თავმოყრის შედეგები. ამა თუ იმ ქალაქების უეცარი აყვავება. უეცარი დაჭეუთება. სამარყანდი, კანდაგარი და სხვები» (გვ. 48—49).

ჯონსს მხედველობიდან გამორჩა ორი ძირითადი ფორმა: ჯერ ერთი, აზიის თემი მისთვის დამახასიათებელი მიწათმოქმედებისა და მრეწველობის ერთიანობით; მეორე, ამქრული წყობილება შუა საუკუნეების ქალაქებისა, ნაწილობრივ აგრეთვე ძველ ქვეყნებშიც.

მე-3 პუნქტის შესახებ. «კაპიტალი არასდროს არ უნდა იფერიოთ მთელ მსოფლიოში არსებულ სამუშაო ფონდში საერთოდ, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილიც შემოსავლისაგან შედგება. ერის ყველა სახის შემოსავალი... მონაწილეობს დაგროვებაში, რის მეოხებითაც წარმოიქმნება კაპიტალი. სხვადასხვა ქვეყანაში და საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ეს ყველა სახის შემოსავალი სხვადასხვა ზომით მონაწილეობს ამ დაგროვებაში. ასეთი შემთხვევების მაგალითებია, როცა დაგროვება უმთავრესად ხელფასისა და რენტის ხარჯზე ხდება» (გვ. 50).

ის გარემოება, რომ ზედმეტი შრომა კაპიტალად გადაიქცევა (ნაცვლად იმისა, რომ შემოსავლის სახით უშუალოდ გაიცვალოს შრომაზე), ქმნის შთაბეჭდილებას, რომ კაპიტალი შემოსავლის დაზოგვიდან წარმოდგა, ასეთია ჯონსის ამოსავალი თვალსაზრისი. და მართლაც, საზოგადოების განვითარების პროცესში აღმოჩნდება ხოლმე, რომ კაპიტალის მასას შეადგენს კაპიტალად უკუგადაქცეული შემოსავალი. მაგრამ კაპიტალისტური წარმოების დროს აგრეთვე თავდაპირველი «სამუშაო ფონდიც» თვით წარმოგვიდგება როგორც კაპიტალისტის დანაზოგი. თვით კვლავწარმოებული «სამუშაო ფონდი», ნაცვლად იმისა, რომ მუშაის მფლობელობაში დარჩეს, როგორც ეს 1-ლ შემთხვევაში იყო, წარმოგვიდგება როგორც კაპიტალისტის საკუთრება, როგორც მუშისთვის უცხო საკუთრება. ეს მომენტი კი ჯონსს არ განუვითარებია.

ის, რასაც ჯონსი ლექციათა კურსის ამ კონსპექტში ლაპარაკობს. მოგების ნორმისა და დაგროვებაზე მისი გავლენის შესახებ, მოისუსტებს:

«სხვა თანაბარ პირობებში ერის უნარი იმისა, რომ დანაზოგი თავისი მოგებიდან გაეკეთოს, იცლება მოგების ნორმის ცვლილებასთან ერთად: ეს უნარი იზრდება, როცა მოგების ნორმა მაღალია, მცირდება, როცა იგი დაბალია; მაგრამ როცა მოგების ნორმა ეცემა, ყველა დანარჩენი პირობა არ რჩება უცვლელი. გამოყენებული კაპიტალის რაოდენობა შეიძლება დიდდებოდეს მოსახლეობის რიცხვთან შედარებით».

{ჯონსი ვერ ხედავს, რომ გამოყენებული კაპიტალის გადიდების «შე-საძლებლობიდან» გამომდინარეობს სწორედ «მოსახლეობის რი-

ცხვთან შედარებით გამოყენებული კაპიტალის რაოდენობის გადიდების» შედეგად მოგების ნორმის დაცემა. მაგრამ იგი უახლოვდება სწორ შეხედულებას.)

«დაგროვების სტიმული და მისი შესაძლებლობანი შეიძლება იზრდებოდეს... მოგების დაბალ ნორმას ჩვეულებრივ თან ახლავს დაგროვების სწრაფი ტემპი მოსახლეობა რიცხვთან შედარებით, როგორც ინგლისშია, მოგების მაღალ ნორმას კი — დაგროვების უფრო ნელი ტემპი მოსახლეობის რიცხვთან შეფარდებით, როგორც ამას ვხედავთ პოლონეთში, რუსეთში, ინდოეთში და ა. შ.» (გვ. 50—51).

იქ, სადაც მოგების ნორმა მაღალია (თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ ისეთ შემთხვევებს, როგორიც ჩრდილოეთ ამერიკაშია, სადაც, ერთი მხრივ, კაპიტალისტური წარმოება ბატონობს, მეორე მხრივ კი მიწათმოქმედების ყველა პროდუქტის ღირებულება დაბალია), იქ ეს ჩვეულებრივ გამოწვეულია იმით, რომ კაპიტალი შედგება უმთავრესად ცვალებადი კაპიტალისაგან, ე. ი. სჭარბობს უშუალო შრომა. ავიღოთ კაპიტალი 100-ის ოდენობით, სადაც მეხუთედი ნაწილი ცვალებადი კაპიტალია, და ვივლისხმობთ, რომ ზედმეტი შრომა შეადგენს სამუშაო ღირს ერთ მესამედს. ამ შემთხვევაში მოგება უდრის 10%-ს. დაეუშვათ ახლა, კაპიტალის ოთხი მეხუთედი შედგება ცვალებადი კაპიტალისაგან, ზედმეტი შრომა კი შეადგენს სამუშაო ღირს მეექვსედ ნაწილს. ამ შემთხვევაში მოგება უდრის 16%-ს.

«მცდარია ის თეორია, თითქოს იქ, სადაც ერის პროგრესთან ერთად მოგების ნორმა ეცემა, შხარდი მოსახლეობისათვის საჭირო საარსებო საშუალებანი უნდა იზრდებოდეს. ამ შეცდომას საფუძვლად უდევს: 1) მცდარი წარმოდგენა, თითქოს დაგროვება მოგებიდან უნდა ხდებოდეს ნელა იქ, სადაც მოგების ნორმა დაბალია, და სწრაფად იქ, სადაც იგი მაღალია; 2) მცდარი ვარაუდი იმისა, რომ მოგება დაგროვების ერთადერთი წყაროა; 3) მცდარი ვარაუდი, რომ ყველა მუშაკი დედამიწაზე ცხოვრობს დაგროვებით და შემოსავლიდან გაკეთებული დანახოებით და არასოდეს არ ცხოვრობს თვით შემოსავლით» (გვ. 51).

[ჯონსი აღნიშნავს]

«ცელილებს, რომლებიც ერთა ეკონომიურ სტრუქტურაში ხდება, როცა კაპიტალი ხელფასის ავანსად გაცემის ამოცანას კისრულობს».
[1133]

[1157] შემდგომ დებულებაში რ. ჯონსი აკეთებს სწორ განზოგადებას: [1 157]

[1133] «შრომის შესანახად განკუთვნილი კაპიტალის რაოდენობა შეიძლება იცვლებოდეს ერთობლივი კაპიტალის სიდიდის ყოველგვარი ცვლილების მიუხედავად»

(ეს მნიშვნელოვანი დებულება)... ზოგჯერ შეიძლება იმის შემჩნევა, თუ როგორ ხშირად აქვს ადგილი დასაქმებული მუშების რიცხვის დიდ მერყეობას და ამასთან დაკავშირებით დიდ ვაჭირვებას, მაშინ როდესაც თვითონ კაპიტალი უფრო უხვი ხდება» (გვ. 52)¹⁸⁷. [1133]

[1157] ერთობლივი კაპიტალი შეიძლება იგივე დაჩრჩეს და ამასთან შეიძლება მოხდეს ცვალებადი კაპიტალის სიდიდის ცვლილება (განსაკუთრებით შემცირება). კაპიტალის ორავე შემადგენელ ნაწილს შორის თანაფარდობის ცვლილება არ ნიშნავს უეჭველად ერთობლივი კაპიტალის სიდიდის ცვლილებას.

მეორე მხრივ, ერთობლივი კაპიტალის სრულად შეიძლება დაკავშირებული იყოს ცვალებადი კაპიტალის არა მხოლოდ შეფარდებითს, არამედ აგრეთვე აბსოლუტურ შემცირებასთანაც; იგი ყოველთვის დაკავშირებულია ამ ცვალებადი კაპიტალის ძლიერ მერყეობასთან და, მაშასადამე, «დასაქმებული მუშების რიცხვის მერყეობასთან». [1157].

[შემდეგ ლექციათა კურსის იმავე პროსპექტში ჟონსი ხელფასის შესახებ წერს:]

[1133] «ვერიოდები მუშაკების თანდათანობითი გადასვლისა ერთ ფონდზე მათი დამოკიდებულებიდან მეორე ფონდზე დამოკიდებულებაზე... მშრომელ მიწათმოქმედონა გადაყვანა კაპიტალის ტების მიერ ანაზღაურებაზე... არამიწათმოქმედი კლასების გადაყვანა კაპიტალის ტების მიერ დაკირავებაზე» (52—53).

რასაც ჟონსი აქ «გადაყვანას» უწოდებს, ეს არის ის, რასაც მე «თავდაპირველ დაგროვებას» ვუწოდებ. განსხვავება მხოლოდ ფორმაშია. ესეც «დანაზოგზე» უხამსი შეხედულების ანტიპოლია.

* * *

«მონობა. მონები შეიძლება დაიყოს ანუ: მწვემავი, მიწათმოქმედი მონები, შინამონები, ბოლოს, შერეული ტიპის მონები, რომელთაც შუალედური ადგილი უკავიათ მიწათმოქმედ მონებსა და შინამონებს შორის. ჩვენ ვხვდებით მონებს გლეხების სახით, რომლებიც მიწას ამუშავენ, მსახურთა და ხელოსანთა სახით, რომელთაც ინახავს მდიდართა შემოსავალი, მუშების სახით, რომელთაც ინახავს კაპიტალი» (გვ. 58—59).

მაგრამ ვიდრე მონათმფლობელობა ბატონობს, კაპიტალისტური ურთიერთობანი შეიძლება გვეკლინებოდეს მხოლოდ სპორადულად, როგორც დაქვემდებარებული ურთიერთობანი, და ისინი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წარმოადგენდნენ გაბატონებულ ურთიერთობებს.

32. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

3) R. JONES. TEXT-BOOK OF LECTURES ON THE POLITICAL ECONOMY OF NATIONS. HERTFORD, 1852.

(ა) ჩანასახი კაპიტალისტური წარმოების წესის ისტორიული გაგებისა კაპიტალზე როგორც მხოლოდ «დაგროვილ მხარაზე» ბურჟუაზიულ ფატივისტურ შეხედულებასთან დაკავშირებით. მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის პრობლემა]

[წიგნში «Text-book of Lectures on the Political Economy of Nations» ჯონსი წერს:]

«ხალხთა შრომის ნაყოფიერება დამოკიდებულია სინამდვილეში ორ გარემოებაზე. ჯერ ერთი, მათ მიერ წარმოებული სიმდიდრის პირველადი წყაროების (მიწა და წყალი) წაყვანილობასა და სიმწირეზე. მეორე, შრომის ეფექტიანობაზე, რომელსაც ისინი იყენებენ ამ წყაროებით სარგებლობისას ანდა ამ წყაროებიდან მისაღებ საქონელთა დამზადებისას» (გვ. 4).

«აღამიანის შრომის ეფექტიანობა დამოკიდებულია:

1) უწყვეტობაზე, რომლითაც ეს შრომა სრულდება;

2) ცოდნასა და დახელოვნებაზე, რომლებითაც იგი გამოიყენება მწარმოებლის მიზნის განსახორციელებლად;

3) მექანიკურ ძალაზე, რომელიც მას ეხმარება» (გვ. 6).

«ძალა, რომელსაც მუშაკები იყენებენ სიმდიდრის წარმოებისას... შეიძლება გაძლიერდეს:

1) იმით, რომ ისინი თავიანთ სამსახურში აყენებენ ისეთ მამოძრავებელ ძალებს, რომლებიც აღემატება მათს საკუთარ ძალებს...;

2) იმით, რომ ისინი მათს განკარგულებაში მყოფი მამოძრავებელი ძალის [1134] მოცემულ რაოდენობას ან მოცემულ სახეობას ისეთი წესით იყენებენ, რომელიც მექანიკურად უფრო ხელსაყრელია. ასე, მაგალითად, 40 ცხენისძალიანი ორთქლის მანქანა რკინიგზაზე სხვაგვარად მოქმედებს, ვიდრე გზატყეცილზე» (გვ. 8).

«საუკეთესო ტიპის გუთანის ორი ცხენით ასრულებს იმდენსავე და ისეთივე ხარისხის სამუშაოს, რასაც ცელი ნიმუშის გუთანის ასრულებს ოთხი ცხენით» (გვ. 9).

«ორთქლის მანქანა არ არის მხოლოდ იარაღი; იგი იძლევა დამატებით მამოძრავებელ ძალას და არა მხოლოდ საშუალებებს იმ ძალების მექანიკურად უფრო ხელსაყრელი გამოყენებისათვის, რომლებიც უკვე მუშის განკარგულებაშია» (გვ. 10, შენიშვნა).

ასეთია, მაშასადამე, ჯონსის აზრით, განსხვავება იარაღსა და მანქანას შორის. იარაღი მუშას აძლევს საშუალებას იმისათვის, რომ მექანიკური წესით უფრო ხელსაყრელად გამოიყენოს ის ძალები, რომლებიც უკვე მის განკარგულებაშია; მანქანა კი იძლევა მამოძრავებელი ძალის ნამატს.(?)

«კაპიტალს... შეადგენს შემოსავლიდან დაზოგილი დამოგების მიღების მიზნით მოხმარებული სიმდიდრე» (გვ. 16).

«კაპიტალის შესაძლებელი წყაროები... არის, ცხადია, ყველა ის შემოსავალი საზოგადოების შემადგენელი ინდივიდებისა, საიდანაც რაიმე დანაშაულის გაყვება შეიძლება. შემოსავლის ცალკეული სახეობანი, რომლებიც ყველაზე მეტად უწყობენ ხელს ეროვნული კაპიტალის ზრდას, იცვლებიან ხალხთა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე და ამიტომ ისინი სავსებით განსხვავებული იანამ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი ხალხებისათვის» (იქვე). ამრიგად მოგება სრულიად არ არის კაპიტალის წარმოქმნისა და გადიდების ერთადერთი წყარო, საზოგადოებრივი განვითარების ადრინდელ საფეხურებზე კი იგი დაგროვების უმნიშვნელო წყაროსაც კი წარმოადგენს ხელფასთან და მოგებასთან შედარებით» (გვ. 20). «მას შემდეგ, რაც ადგილი ჰქონდა ეროვნული წყაროების ძალების მნიშვნელოვან ზრდას, შეფარდებით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოგებას როგორც დაგროვების წყაროს» (გვ. 21).

კაპიტალი, ამის შესაბამისად, ნაწილია იმ სიმდიდრისა, რომელიც შემოსავალს შეადგენს, ნაწილი, რომელიც იხარჯება არა როგორც შემოსავალი, არამედ მოგების საწარმოებლად. მოგება უკვე ზედმეტი ღირებულების ისეთი ფორმაა, რომელიც სპეციალურად კაპიტალს გულისხმობს. თუკი კაპიტალისტური წარმოების წესის არსებობა, ე.ი. კაპიტალის არსებობა, ნაგულისხმევია, ჯონსის ახსნა-განმარტება სწორია. სხვანაირად, იგი სწორია მაშინ, როცა სწორედ ის იგულისხმება, რაც ასახსნელია. მაგრამ ჯონსს აქ მხედველობაში აქვს საერთოდ ყველა ის შემოსავალი, რომელიც იხარჯება არა როგორც შემოსავალი, არამედ გამდიდრების მიზნით, ე.ი. იხარჯება მწარმოებლურად.

მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ორი რამ:

ჯერ ერთი. სიმდიდრის გარკვეულ დაგროვებას ადგილი აქვს ეკონომიური განვითარების ყველა საფეხურზე, სახელდობრ ნაწილობრივ წარმოების მასშტაბის გაფართოების სახით, ნაწილობრივ განძის შექმნის სახით და ა. შ. სანამ საზოგადოებაში გაბატონებულია «ხელფასი» და რენტა, ე.ი. წინათ ნათქვამის თანახმად, სანამ მეტი ნაწილი იმ ზედმეტი შრომისა და იმ ზედმეტი პროდუქტისა, რომლებიც საერთოდ თვით მუშაჯ არ ხვდება წილად, მიწის შესაყურეს (აზიაში — სახელმწიფოს) ეკუთვნის, მეორე მხრივ კი, მუშაკი თვით აკლავ წარმოებს თავის «სამუშაო ფონდს», არა მარტო თვითონ აწარმოებს თავის «ხელფასს», არამედ უხდის კიდევ მას თავის თავს, თანაც უმრავლეს შემთხვევებში (საზოგადოების ამ მდგომარეობაში — თითქმის ყოველთვის) მას შესაძლებლობა აქვს მიითვისოს თავისი ზედმეტი შრომისა და თავისი ზედმეტი პროდუქტის ყოველ შემთხვევაში გარკვეული ნაწილი, — საზოგადოების ასეთ მდგომარეობაში «ხელფასი» და რენტა აგრეთვე დაგროვების მთავარი წყაროებიცაა. (მოგება აქ შემოფარგლულია ვაჭრების მოგებით და ა. შ.) მხოლოდ მაშინ, როცა კაპიტალისტური წარმოება გაბატონე-

ბული ვახდა, როცა იგი არსებობს არა მხოლოდ სპორადულად, არამედ ისე, რომ საზოგადოების წარმოების წესს იქვემდებარებს; როცა კაპიტალისტი ნამდვილად მთელ ზედმეტ შრომას და მთელ ზედმეტ პროდუქტს უშუალოდ თვითონ ისაკუთრებს პირველ რიგში, თუმცა იგი იძულებულია ნაწილი აქედან უხადოს მიწათმოქმედს და ა. შ., — მხოლოდ ამ მომენტიდან ხდება მოგება მთავარი წყარო კაპიტალისა, დაგროვებისა, იმ სიმდიდრისა, რომელიც შემოსავლიდან გროვდება და მოგების მიღების მიზნით მოიხმარება. ეს ამასთანავე ვულისხმობს (რაც თავისთავად იგულისხმება, რამდენადაც ლაპარაკია კაპიტალისტური წარმოების წესის ბატონობაზე), რომ «ადგილი ჰქონდა ეროვნული წარმოების ძალთა მნიშვნელოვან ზრდას».

ამრიგად, იმ რეკვენებს, რომელთაც წარმოუდგენიათ, რომ კაპიტალის მოგების გარეშე არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა დაგროვებას, ანდა რომლებიც მოგებას იმით ამართლებენ, რომ კაპიტალისტი მსხვერპლს გაიღებს ხოლმე, როცა თავისი შემოსავლიდან მწარმოებლური მიზნებისათვის და ან აზოგს აკეთებსო, ჯონსი უპასუხებს, რომ «დაგროვების» ეს ფუნქცია უპირატესად წილად ხვდება კაპიტალისტს სწორედ ამ წარმოების სპეციფიკური წესის (კაპიტალისტური წესის) დროს, რომ წინანდელი წარმოების წესების დროს მთავარი მოქმედი პირები ამ პროცესში იყვნენ თვით მუშაკი და ნაწილობრივ მიწის მესაკუთრე და რომ მოგება იქ თითქმის არავითარ როლს არ ასრულებდა.

დაგროვების ფუნქცია, ბუნებრივია, მუდამ იმათ ხვდება წილად, ვინც 1) ზედმეტ ღირებულებას ითვისებს, და 2) მათ შორის კი, განსაკუთრებით იმათ, ვინც ამ ზედმეტ ღირებულებას ითვისებს და ამავე დროს აგენტია თვით წარმოებაში. ამიტომ, როცა ლაპარაკობენ, [1135] მოგება გამართლებულია იმით, რომ კაპიტალისტი თავს უყრის თავის კაპიტალს მოგებიდან გაკეთებული «დანაზოგით» და რომ იგი დაგროვების ფუნქციას ასრულებსო, ამით მხოლოდ იმას ამბობენ, რომ კაპიტალისტური წარმოების წესი გამართლებულია თვით თავისი არსებობის ფაქტით, — რაც ასევე შეიძლება ითქვას აგრეთვე წინანდელ და მერმინდელ წარმოების წესებზეც. როცა ამბობენ, სხვა გზით დაგროვება შეუძლებელიაო, იფიქრებენ, რომ ეს გარკვეული წესი დაგროვების — კაპიტალისტის მეშვეობით — თავისი წარმოშობის მიხედვით გარკვეული ისტორიული თარიღის მქონეა და თავისი დასასრულის (ასევე ისტორიული) თარიღისაკენ მიემართება.

მეორე. რაკი კაპიტალისტების ხელში *per fas et nefas** იმდენი დაგროვილი სიმდიდრე გადავიდა, რომ მათ შეუძლიათ წარმოებას დაეუფლონ, არსებული კაპიტალის ძირითადი მასა — გარკვეული დროის გავლის შემდეგ — შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ და მხოლოდ მოგები-

* — ყოველგვარი სამართლიანი თუ უსამართლო გზით. რ ე დ.

დან (შემოსავლიდან), ე. ი. კაპიტალიზებული ზედმეტი ღირებულებიდან წარმოქმნილად.

ჯონსი სათანადოდ არ გამოყოფს ერთ პუნქტს, რომელსაც იგი, არსებითად, მხოლოდ უსიტყვოდ გულისხმობს, სახელდობრ: თუ მომუშავე მწარმოებელი თვითონ უხდის თავის თავს «ხელფასს» და მისი პროდუქტი არ იღებს სხვა ადამიანთა შემოსავლიდან «დანაშოვის» ფორმას, რაც შემდეგ უკანვე ეძლევა მუშაკს შრომის ანაზღაურების სახით, მაშინ აუცილებელია, რომ მუშაკი ფლობდეს თავის წარმოების პირობებს (იქნება ეს მესაკუთრის, მოიჯარის თუ ნადელის მემკვიდრეობითი მფლობელის და სხვ. სახით). იმისათვის, რომ მისი «ხელფასი» (და ამასთან ერთად «სამუშაო ფონდი») დაუპირისპირდეს მას როგორც სხვისი კაპიტალი, ეს წარმოების პირობები მან წინასწარ უნდა დაკარგოს, მათ უნდა მიიღონ სხვისი საკუთრების ფორმა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც წარმოების პირობებთან ერთად მუშაკს გამოეთიშა მისი «სამუშაო ფონდი» და ყოველივე ეს განცალკევდა მუშისადმი დაპირისპირებული კაპიტალის სახით, მხოლოდ ამის შემდეგ იწყება შემდგომი პროცესი, რომელიც მდგომარეობს არა მარტივად ამ თავდაპირველი პირობების კვლავწარმოებაში, არამედ მათს შემდგომ განვითარებაში, ასე რომ როგორც წარმოების პირობები, ისე აგრეთვე «სამუშაო ფონდი» მუშას წარმოუდგება როგორც «დანაშოვი» სხვა ადამიანთა შემოსავლიდან, გაკეთებული იმისათვის, რომ კაპიტალად გადაიქცეს. თავისი წარმოების პირობების და ამით თავისი «სამუშაო ფონდის» დაკარგვასთან ერთად მუშამ დაკარგა აგრეთვე დაგროვების ფუნქციაც, ყველაფერი ის, რასაც იგი სიმდიდრეს მიუმატებს, გვევლინება როგორც სხვა ადამიანთა შემოსავალი, რომელიც ამ ადამიანებმა წინასწარ უნდა «დაშოვონ», ე. ი. არ უნდა დაიხარჯოს შემოსავლის სახით, — რათა მან მუშისათვის კაპიტალისა და «სამუშაო ფონდის» ფუნქციები შეასრულოს.

რადგან თვით ჯონსი საზოგადოების ისეთ მდგომარეობას აგვიწერს, რომელშიც უკვე არ არსებობს ერთიანობა [მუშასა და შრომის პირობებს შორის], ამიტომ მას, ბუნებრივია, უნდა წარმოედგინა აღნიშნული «გათიშვა» როგორც კაპიტალის წარმოქმნის ნამდვილი პროცესი. რაკი ეს «გამოყოფა», არსებობს, კაპიტალის წარმოქმნის პროცესი, რა თქმა უნდა, იწყება, — იგი გრძელდება და ფართოვდება, — ვინაიდან მუშის ზედმეტი შრომა ახლა მულამ უპირისპირდება მუშას როგორც სხვისი შემოსავალი, რომლის «დაშოვვაც» აუცილებელია იმისათვის, რომ განხორციელდეს სიმდიდრის დაგროვება და წარმოების მასშტაბის გაფართოება.

შემოსავლის უკუგადაქცევა კაპიტალად. თუ კ ა პ ი ტ ა ლ ი (ე. ი. წარმოების პირობების გათიშვა მუშისაგან) მოგების წყაროა (ე. ი. წყარო იმისა, რომ ზედმეტი შრომა წარმოგვიღებდა როგორც შემოსავალი კაპიტალისა და არა შრომისა), მაშინ ახლა მოგება ხდება კაპიტალის წყარო, ახალი კაპიტალის წარმოქმნის წყარო, ე. ი. წყარო იმისა, რომ წარმოების დამატებითი პირობები უპირისპირდება მუშას როგორც კაპიტალი, როგორც საშუალებანი იმისათვის, რომ მუშა მუდამ რჩებოდეს მუშად და სულ ახლად და ახლად ხდებოდეს მისი ზედმეტი შრომის მითვისება. თავდაპირველ ერთიანობას მუშაკსა და შრომის პირობებს შორის (ჩვენ არ ვლანარაკობთ მონობის ურთიერთობაზე, როცა თვით მუშაკი შრომის ობიექტურ პირობებს ეკუთვნის») აქვს ორი ძირითადი ფორმა: აზიური თემი (პირველყოფილი კომუნისმი) და ამა თუ იმ ტიპის წვრილი საოჯახო მიწათმოქმედება (რომელთანაც დაკავშირებულია შინამრეწველობა). ორივე ეს ფორმა ბევრეფერი ფორმებია, ერთნაირად ნაკლებგამოსაღები იმისათვის, რომ განავითარონ შრომა როგორც ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი შრომა და გააღიღონ საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლური ძალა. აქედან გამომდინარეობს აუცილებლობა განცალკევებისა, გათიშვისა, დაპირისპირებულობისა შრომასა და საკუთრებას შორის (უკანასკნელი უნდა გვესმოდეს როგორც წარმოების პირობების საკუთრება). ამ გათიშვის ყველაზე უკიდურეს ფორმას, რომლის დროსაც ამასთანავე საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლური ძალები ყველაზე მძლავრ განვითარებას აღწევენ, წარმოადგენს კაპიტალის ფორმა. თავდაპირველი ერთიანობა შეიძლება აღდგენილ იქნეს მხოლოდ იმ მატერიალურ საფუძველზე, რომელსაც კმნის კაპიტალი, და მხოლოდ იმ რევოლუციითა მეშვეობით, რომელთაც ამ შექმნის პროცესში განიცდიან მუშათა კლასი და მთელი საზოგადოება.

ჯონსს არასაკმარისად აქვს აღნიშნული აგრეთვე შემდეგი პუნქტიც:

ის შემოსავალი, რომელიც უშუალოდ როგორც ასეთი შრომაზე გაცივდება, თუ მხოლოდ ეს არ არის შემოსავალი საკუთარი მეურნეობის მქონე მუშაკისა, რომელიც თავისთვის მეორე მუშაკს ქირაობს, არის მიწათმოქმედის შემოსავალი, გამომდინარე იმ რენტტიდან, რომელსაც საკუთარი მეურნეობის მქონე მუშაკი მიწათმოქმედს უხდის და რომელსაც ეს უკანასკნელი თავის მსახურებთან და შინაყმებთან ერთად არ მოიხმარს მთლიანად *in natura**, არამედ ნაწილობრივ იმისათვის გამოაყენებს, რომ იყიდოს პროდუქტები და მეორადი მუშაკების მომსახურებანი. შემოსავლის ეს გაცვლა შრომაზე ყოველთვის გულისხმობს, მაშა-

* — ნატურით, ნატურალური ფორმით. რ ე დ.

სადამე, პირველადს ურთიერთობას [ურთიერთობას მიწათმოქმედსა და თავისი საკუთარი მეურნეობის მქონე იმ მუშაკს შორის, რომელიც რენტას უხდის მიწათმოქმედს].

[1136] {მსგავსად იმისა როგორც მოგების ნაწილი იმ შემთხვევაშიც კი, როცა მრეწველი კაპიტალისტი თავის საკუთარ კაპიტალს იყენებს, სარგებლად ითვლება მხოლოდ იმით, რომ შემოსავლის ამ სახეობას არსებობის განცალკევებული ფორმა აქვს, ასევე კაპიტალისტური წარმოების წესის საფუძველზე, მაშინაც კი, როცა მუშაკი თავის წარმოების საშუალებებს ფლობს და არავითარ სხვა მუშაკს არ ქირაობს, ეს წარმოების საშუალებანი განიხილება როგორც კაპიტალი, ხოლო მუშაკის საკუთარი შრომის ის ნაწილი, რომლის რეალიზებასაც იგი ახდენს იმის გადამეტებით, რაც ჩვეულებრივ ხელფასს შეადგენს, გვევლინება როგორც მოგება, რომელიც თავის არსებობას კაპიტალს უნდა უმადლოდეს. თვით მუშაკი ამასთან სხვადასხვა ეკონომიურ ტიპებად დაშლილი სახით წარმოგვიდგება. თავისი საკუთარი მუშის სახით იგი ღებულობს თავის ხელფასს, კაპიტალისტის სახით კი — თავის მოგებას. ეს შენიშვნა განეკუთვნება თავს «შემოსავალი და მისი წყაროები»¹³⁸. }

«ხალხთა მწარმოებლურ ძალებზე გაელენის თვალსაზრისით არსებობს განსხვავება იმ სიმდიდრესა, რომელიც დაზოგილი იქნა და იხარჯება ხელფასის სახით მოგების მისაღებად, და იმ სიმდიდრეს შორის, რომელიც შემოსავლიდან იხარჯება შრომის შესანახად. ამ განსხვავების მხედველობაში მიღებით მე ვხმარობ სიტყვას კაპიტალი მხოლოდ სიმდიდრის იმ ნაწილის აღსანიშნავად, რომელიც დაზოგილი იქნა შემოსავლიდან და მოგების მიღების მიზნით მოიხმარება» (გვ. 36—37).

«ჩვენ შეგვეძლოს... გავგვეო კაპიტალი როგორც ყოველი სიმდიდრე, ჯანსჯითენილი შრომის შესანახად, სულ ერთია, ვანელო მან დაზოგვის წინასწარი პროცესი თუ არა... ასეთ შემთხვევაში, თუ დაუკვირდებით სხვადასხვა ზალხებში და სხვადასხვა პირობებში მშრომელი კლასებისა და იმათ მდგომარეობას, ვინც ამ კლასებს ხელფასს უხდის, ჩვენ შეგვეძლოს გავგეტარებინა განსხვავება დაზოგილი კაპიტალსა და ისეთ კაპიტალს შორის, რომელიც სავარაუდოა დაგროვების პროცესი; მოკლედ, კაპიტალსა, რომელიც შემოსავალს წარმოადგენს, და იმ კაპიტალს შორის, რომელიც შემოსავალს არ წარმოადგენს» (გვ. 36).

«ძველი სამყაროს ყველა ქვეყანაში, ინგლისისა და პოლანდიის გამოკლებით, მიწათმოქმედთა ხელფასი გაიციემა აქანსად არა იმ ფონდებიდან, რომლებიც დაზოგილი და დაგროვილია შემოსავლიდან, არამედ იმ ფონდებიდან, რომლებიც წარმოებულა თვით მუშაკების მიერ, და იგი არასოდეს არ არსებობს სხვა ფორმით, თუ არა მათი საკუთარი უშუალო მოხმარებისათვის განუთენილი მარაგის ფორმით» (გვ. 37).

სხვა ეკონომისტებისაგან (ალბათ, სისმონდის გამოკლებით) ჯონსს ის განასხვავებს, რომ იგი ხაზგასმით აღნიშნავს კაპიტალის სოციალურ

ფორმაგანსაზღვრულობას როგორც არსებითი ხასიათის მომენტს და ამ ფორმაგანსაზღვრულობაზე დაჰყავს მთელი განსხვავება კაპიტალისტური წარმოების წესსა და სხვა წარმოების წესებს შორის. კაპიტალის ეს ფორმაგანსაზღვრულობა იმაში მდგომარეობს, რომ შრომა უშუალოდ გადაიქცევა კაპიტალად და რომ, მეორე მხრივ, ეს კაპიტალი შრომას ყიდულობს არა მისი სახმარი ღირებულების გულისათვის, არამედ თავისი საკუთარი ღირებულების გასაღიდეზღად, ზედმეტი ღირებულების (უფრო მაღალი საცვლელი ღირებულების) შესაქმნელად, «მოგების მიღების მიზნით».

მაგრამ ამასთანავე აქ მელაენდება, რომ თვით «შემოსავლის დაზოგვა» მისი კაპიტალად გადაქცევის მიზნით და თვით «დაგროვება» მხოლოდ ფორმით განსხვავდება სხვა პირობებისაგან, რომლებშიც «სიმდიდრე განკუთვნილია შრომის შესანახად». მიწათმოქმედი მუშები ინგლისსა და ჰოლანდიაში, რომლებიც თავიანთ ხელფასს «ავანსად» ღებულობენ კაპიტალისაგან, სავსებით ისევე «აწარმოებენ თავიანთ ხელფასს თვითონ», როგორც ამას აწარმოებს ფრანგი გლეხი ანდა თავისი საკუთარი მეურნეობის მქონე რუსი ყმა. თუ წარმოების პროცესს მის უწყვეტობაში განვიხილავთ, მაშინ კაპიტალისტი დღეს ავანსად აძლევს მუშას «ხელფასის» სახით ამ მუშის მიერ გუშინ «წარმოებულ» პროდუქტის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს. განსხვავება [კაპიტალისტური წარმოების წესსა და სხვა წარმოების წესებს შორის], მაშასადამე, ის არ არის, რომ ერთ შემთხვევაში მუშა თავის საკუთარ ხელფასს აწარმოებს, მეორეში კი არ აწარმოებს. განსხვავება ისაა, რომ ეს მისი პროდუქტი [ერთ შემთხვევაში] გვევლინება როგორც ხ ე ლ ფ ა ს ი; რომ ერთ შემთხვევაში [კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში] მუშის პროდუქტი (მუშის პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც «სამუშაო ფონდს» ქმნის), ჯერ ერთი, გვევლინება როგორც ს ხ ვ ი ს ი შემოსავალი; მაგრამ შემდეგ, მეორე, იხარჯება არა როგორც შემოსავალი, აგრეთვე არც ისეთ შრომაზე, რომლის სახითაც შემოსავალი მოიხმარება უშუალოდ როგორც შემოსავალი, და, მესამე, უპირისპირდება მუშას როგორც კ ა პ ი ტ ა ლ ი, რომელიც მუშას უკან უბრუნებს პროდუქტის ამ ნაწილის გაცვლის წესით, მაგრამ არა უბრალოდ ეკვივალენტზე, არამედ მუშისათვის გადასაცემ პროდუქტში გასაგნობრივებული შრომის უფრო მეტ რაოდენობაზე გაცვლის გზით. ამრიგად, მუშის პროდუქტი გვევლინება, ჯერ ერთი, როგორც სხვისი შემოსავალი, მეორე, როგორც «დანაზოგი» შემოსავლიდან შრომის საყიდლად მოგების მიღების მიზნით, . . . იგი გვევლინება კ ა პ ი ტ ა ლ ი ს სახით.

სწორედ ეს პროცესი, რომელშიც მუშის საკუთარი პროდუქტი მუშას უპირისპირდება როგორც კაპიტალი, აქვს მხედველობაში ჯონსს, როცა იგი ამბობს, რომ «სამუშაო ფონდმა» «განვლო-დაზოგვის წინასწარი პროცესი», «განიცადა დაგროვების პროცესი», რომ ეს ფონდი, ვიდრე იგი უქუგადაიქცეოდეს მუშის საარსებო საშუალებებად, «არსებობს სხვა ფორმით» (აქ ჯონსი პირდაპირ ლაპარაკობს მარტოოდენ ფორმის ცვლილებაზე), არა «მუშაების უშუალო მოხმარებისათვის განკუთვნილი მარაგის ფორმით». მთელი განსხვავება იმ ფორმაგარდაქმნაშია, რომელსაც მუშის მიერ წარმოებული «სამუშაო ფონდი» განიცდის, ვიდრე იგი ხელახლა დაუბრუნდებოდეს მუშას ხელფასის სახით. ამიტომ დამოუკიდებელი გლეხების ან დამოუკიდებელი ხელოსნების შემთხვევაში «სამუშაო ფონდი» არც ლებულობს არასდროს «ხელფასის» ფორმას.

[1137] «დაზოგვა» და «დაგროვება» აქ, — რამდენადაც ლაპარაკია «სამუშაო ფონდზე», — მარტოოდენ სახელწოდება ან ფორმის იმ გარდაქმნებისათვის, რომელთაც მუშაკის პროდუქტი განიცდის. მუშაკი, რომელიც თავის საკუთარ მეურნეობას ეწევა, ისევე მოიხმარს თავის პროდუქტს, როგორც დაჭირავებული მუშაც, ანდა, უფრო სწორად, უკანასკნელი ისევე მოიხმარს თავის პროდუქტს, როგორც პირველიც. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ დაჭირავებულ მუშას მისი პროდუქტი ისეთ რამედ წარმოუდგება, რაც დაზოგვილია, ანუ დაგროვილია, სხვა პირის — კაპიტალისტის — შემოსავლიდან. სინამდვილეში კი, პირიქით, საქმის ვითარება ისეთია, რომ ეს პროცესი შესაძლებლობას აძლევს კაპიტალისტს «დაზოგოს», ანუ «დააგროვოს», თავისთვის მუშის ზედმეტი შრომა; ჯონსიც სწორედ ამიტომ უსვამს ხაზს ასე ძალიან იმ გარემოებას, რომ არაკაპიტალისტური წარმოების წესის დროს დაგროვება გამომდინარეობს არა მოგებიდან, არამედ «ხელფასიდან», ე. ი. დამოუკიდებელი მიწათმოქმედის ან ისეთი ხელოსნის შემოსავლიდან, რომელიც თავის შრომას უშუალოდ ცვლის შემოსავალზე (და სხვანაირად როგორ შეიძლებოდა ამ დამოუკიდებელ მიწათმოქმედთა და ხელოსანთა წრიდან გამოსულიყვნენ ბურჟუები?). და რენტიდან, რომელსაც მიწის მესაკუთრენი ლებულობენ. მაგრამ იმისათვის, რომ «სამუშაო ფონდმა» განიცადოს ეს გარდაქმნები, აუცილებელია აგრეთვე, რომ წარმოების პირობებიც დაუპირისპირდნენ მუშაკს როგორც კაპიტალი, რაც სხვა ფორმების დროს არ ხდება. სიმდიდრის ვადიდება ამ უკანასკნელ შემთხვევაში წარმოგვიდგება ისეთ რამედ, რაც არ გამომდინარეობს მუშიდან, არამედ მიიღება მოგებიდან დაზოგვის მეშვეობით, ზედმეტი ღირებულების კაპიტალად უქუგადაქცევის მეშვეობით, — მსგავსად

იმისა როგორც თვით «სამუშაო ფონდი» (ვიდრე ახალი დაგროვების მეშვეობით გადიდებოდეს) უპირისპირდება მუშას კაპიტალის სახით.

«დაზოგვას», ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, აზრი აქვს მხოლოდ იმ კაპიტალისტისათვის, რომელიც თავისი შემოსავლის კაპიტალიზაციას ახდენს, იმ კაპიტალისტის საპირისპიროდ, რომელიც თავის შემოსავალს ჭამს, ხარჯავს შემოსავლის სახით, მაგრამ მას არავითარი აზრი არა აქვს კაპიტალისტსა და მუშას შორის ურთიერთობის დახასიათებისათვის.

ორი ძირითადი ფაქტი ახასიათებს კაპიტალისტურ წარმოებას:

ჯერ ერთი, წარმოების საშუალებათა კონცენტრაცია მცირეოდენთა ხელში, რის გამოც ეს წარმოების საშუალებანი უკვე აღარ გამოდიან ცალკეული მუშაკის უშუალო საკუთრების სახით, არამედ გამოდიან როგორც საზოგადოებრივი წარმოების ძალები, თუმცა დასაწყისში ჯერ კიდევ როგორც საკუთრება კაპიტალისტებისა, რომლებიც არ მუშაობენ. ეს უკანასკნელნი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მათი მეურვეები არიან და ამ მეურვეობის ყველა ნაყოფით სარგებლობენ.

მეორე, ორგანიზაცია თვით შრომისა როგორც საზოგადოებრივი შრომისა კოოპერაციის, შრომის დანაწილებისა და ბუნების ძალებზე საზოგადოების ბატონობის შედეგებთან შრომის შეერთების მეშვეობით.

როგორც ერთი, ისე მეორე გზით კაპიტალისტური წარმოება სპობს კერძო საკუთრებას და კერძო შრომას, თუმცა ჯერ კიდევ მხოლოდ ანტი-ვონისტურ ფორმებში.

აზრი იმისა, რაც ა. სმიტის კონცეფციაში მთავარ განსხვავებას შეადგენს მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომას შორის, სახელდობრ, რომ პირველი უშუალოდ გაიცვლება კაპიტალზე, მეორე კი უშუალოდ შემოსავალზე, — ამ განსხვავების აზრი მთლიანად ირკვევა მხოლოდ ჯონსის კონცეფციაში. აქ მკლავდება, რომ პირველი სახის შრომა ახასიათებს კაპიტალისტური წარმოების წესს; მეორე კი — იქ, სადაც იგი ბატონობს, — ეკუთვნის წინანდელი წარმოების წესებს, ხოლო იქ, სადაც იგი მხოლოდ იშვიათად გვხვდება, იგი შემოიფარგლება (ანდა უნდა შემოიფარგლულიყო) ისეთი სფეროებით, სადაც სიმდიდრის უშუალო წარმოება არ არის.

«კაპიტალი არის ის ინსტრუმენტი, რომლის დახმარებითაც ამოქმედებული ყველა ფაქტორი, რომლებიც აღიღებენ ადამიანის შრომის ეფექტიანობას და ხალხთა მწარმოებლურ ძალებს... კაპიტალი არის წარსული შრომის დაგროვილი შედეგი, რომელიც იმისთვის მოიხმარება, რომ მიღწეულ იქნეს გარკვეული ეფექტი სიმდიდრის წარმოების სამუშაოთა გარკვეულ უბანზე» (გვ. 35).

(შენიშვნაში ამ ადგილის შესახებ ჯონსი ამბობს:

«მართებული და გონივრული იქნება წარმოების აქტი ჩაითვალოს დაუშთავრებლად მანამდე, ვიდრე წარმოებული საქონელი არ მისულა იმ ადამიანის ხელში, რომელმაც იგი უნდა მოიხმაროს; ყველაფერს, რაც მანამდე ხდება, ეს მშანი აქვს მხედველობაში. ცხენი და მელუქნის ოთხთვალა, რომელთაც ჩაი მოაქვთ ჩვენთვის პარტფორდიდან ჩვენს კოლეჯში, ისევე აუცილებელია, თუ ჩვენ გვინდა ჩაი გვეზინდეს, როგორც იმ ჩინელის შრომა, რომელმაც ჩაის ფთოლი მოკრიფა და გაახშო»)

«მაგრამ... ეს კაპიტალი... ყველა საზოგადოებაში როდი ასრულებს ყველა იმ ამოცანას, რომელთა შესრულებაც მას შეუძლია. ყოველ შემთხვევაში ამ ამოცანების შესრულებას იგი იწყებს თანდათანობით და გარკვეული თანამიმდევრობით, და აღსანიშნავი და უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ის განსაკუთრებული ფუნქცია, რომლის შესრულებაც აუცილებელია კაპიტალის სიძლიერის მნიშვნელოვანი განვითარებისათვის ყველა მის სხვა ფუნქციაში, სწორედ ის ფუნქციაა, რომელიც კაპიტალის დედამიწის მუშაეთა მეტი ნაწილის მიმართ საერთოდ ქერკიდევ არასდროს არ შეუსრულებია» (გვ. 35—36).

«მე მხედველობაში მაქვს ხელფასის ავანსად გაცემა» (გვ. 36).

«კაპიტალისტები ხელფასს აძლევენ ავანსის სახით დედამიწის მუშაეთა ერთ მეოთხედ ნაწილზე უფრო ნაკლებ რაოდენობას... ამ გარემოებას... უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხალხთა შეფარდებითი პროგრესის ახსნისას» (იქვე).

[1138] «კაპიტალი, ანუ დაგროვილი მარაგი, მხოლოდ მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც მან უკვე შეასრულა მრავალჯეროვანი სხვა ფუნქცია სიმდიდრის წარმოებისას, თავის თავზე იღებს მუშისათვის მისი ხელფასის ავანსად გაცემის ფუნქციას» (გვ. 79).

ჯონსის უკანასკნელ ფრაზაში (79 გვერდიდან) კაპიტალი არსებითად დახასიათებულია როგორც «ურთიერთობა», არა მხოლოდ როგორც «დაგროვილი მარაგი», არამედ როგორც სავესებით გარკვეული წარმოებითი ურთიერთობა. «მარაგს» არ შეუძლია «ხელფასის ავანსად გაცემის ფუნქცია თავის თავზე აიღოს». და ჯონსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კაპიტალის ძირითადი ფორმა, — ის ფორმა, რომლითაც იგი განმსხვავებულ ხასიათს ანიჭებს საზოგადოებრივი წარმოების მთელ პროცესს, ბატონობს მასზე და საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლური ძალების სრულიად ახალ განვითარებას იწვევს, ყველა სოციალურ და პოლიტიკურ ურთიერთობას არეოლუციურებს, — ის ფორმაა, რომლითაც კაპიტალი უპირისპირდება დაჭირავებულ შრომას, იხდის ხელფასს. ჯონსი აღნიშნავს, რომ ამ გადაწყვეტი მნიშვნელობის მქონე ფუნქციის შემსრულებლის როლში გამოსვლამდე კაპიტალი ასრულებს სხვა ფუნქციებს, გველინება სხვა, დაქვემდებარებულ, ისტორიულად უფრო ადრინდელ, ფორმებში, მაგრამ მისი სიძლიერე ყველა მის ფუნქციაში თავის სრულ განვითარებას მხოლოდ მაშინ აღწევს, როცა

იგი სამრეწველო კაპიტალის სახით გამოდის. მეორე მხრივ, თავის მესამე ლექციაში: «იმ წესის შესახებ, რომლითაც კაპიტალი ან კაპიტალისტები» (აქ, ამ «ან»-ში, მარხია სწორედ ძალის თავი: მხოლოდ ამ პერსონიფიკაციის შედეგად იქცევა დაგროვილი მარაგი კაპიტალად.) «ერთიმეორის მიყოლებით ღებულობენ თავის თავზე თანმიმდევრულ ფუნქციებს სიმდიდრის წარმოებაში», — ჯონსი არ გვეუბნება, თუ როგორია ეს უფრო ადრინდელი ფუნქციები. სინამდვილეში ეს შეიძლება იყოს მხოლოდ სავაჭრო კაპიტალის ანდა ფულით ვაჭრობაში დაკავებული კაპიტალის ფუნქციები. თუმცა ჯონსი ასე ძალიან უახლოვდება სწორ შეხედულებას და გარკვეული აზრით თვითონ გამოთქვამს მას, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი, როგორც ეკონომისტი, მაინც იმდენადაა ბურჟუაზიული ფეტიშიზმით შეპყრობილი, რომ არავის არ შეუძლია იმის თავდები იყოს, რომ ჯონსს აქ მხედველობაში არა აქვს ის სხვადასხვა ფუნქცია, რომელთაც შეიძლება ემსახურებოდეს უბრალოდ «დაგროვილი მარაგი» როგორც ასეთი:

ჯონსის ღებულება:

«კაპიტალი, ანუ დაგროვილი მარაგი, მხოლოდ გვიან მას შემდეგ, რაც მან უკვე შეასრულა მრავალგვარი სხვა ფუნქცია სიმდიდრის წარმოებისას, თავის თავზე იღებს მუშაყისათვის მისი ხელფასის ავანსად გაცემის ფუნქციას» (გვ. 79)

სრული გამონატულებაა იმ წინააღმდეგობისა, რომ, ერთი მხრივ, ჯონსი იძლევა კაპიტალის სწორ ისტორიულ განხილვას, მეორე მხრივ კი, ეს განხილვა გაბუნდოვნებულია ეკონომისტებისათვის ჩვეული შეზღუდული წარმოდგენით, თითქოს «მარაგი» როგორც ასეთი «კაპიტალი» იყოს. ამიტომ «დაგროვილი მარაგი» — ჯონსის მიხედვით — ხდება პიროვნება, რომელიც მუშაყებისათვის «ხელფასის ავანსად გაცემის ფუნქციას თავის თავზე იღებს». ჯონსი არღვევს ეკონომისტებისათვის დამახასიათებელ შეზღუდულობას, თუმცა თვითონ ჯერ კიდევ მის ტყვეობაში იმყოფება — და ამ შეზღუდულობის დარღვევა აუცილებელი ხდება, როგორც კი კაპიტალისტური წარმოების წესი განიხილება ისტორიულად განსაზღვრულ წარმოების წესად და უკვე აღარ წარმოგვიდგება წარმოების მარადიულ ბუნებრივ ურთიერთობად.

ჩვენ ვხედავთ, როგორი დიდი ნახტომია გაკეთებული რამსეიდან ჯონსამდე. სწორედ კაპიტალის იმ ფუნქციას, რომელიც მას კაპიტალად ხდის, — ხელფასის ავანსად გაცემას, — რამსეი აცხადებს შემთხვევითი ხასიათის ფუნქციად, რომელიც გამოწვეულია მხოლოდ ხალხის ძირითადი მასის სილატაკით და უმნიშვნელოა წარმოების პროცესისათვის როგორც ასეთისათვის. ამ შეზღუდული ფორმით რამსეი უარყოფს

კაპიტალისტური წარმოების წესის აუცილებლობას. ჯონსი კი (საოცარია, რომ ისინი ორივენი ინგლისის სახელმწიფო ეკლესიის¹³⁹ ხუცეები იყვნენ. ინგლისელი ხუცეები მაინც, ეტყობა, უფრო მეტს ფიქრობენ, ვიდრე კონტინენტის ხუცეები) გვიჩვენებს, რომ სწორედ ეს ფუნქცია ხდის კაპიტალს კაპიტალად და განაპირობებს კაპიტალისტური წარმოების წესის დამახასიათებელ თავისებურებებს. ჯონსი გვიჩვენებს, თუ როგორ წარმოიქმნება ეს ფორმა მწარმოებლური ძალების განვითარების მხოლოდ ვარკვეულ საფეხურზე და ქმნის მაშინ სრულიად ახალ მატერიალურ ბაზისს. მაგრამ ამიტომაც ჯონსს გაცილებით უფრო ღრმად, ვიდრე რამსეის, ესმის აგრეთვე ამ ფორმის «გაუქმების შესაძლებლობაც», მისი მხოლოდ ისტორიულად წარმატალი აუცილებლობა. ჯონსს სრულიადაც არ მიანინა კაპიტალისტური ურთიერთობა მარადიულ ურთიერთობად:

«ოდესმე მომავალში შეიძლება შეიქმნას ისეთი საზოგადოებრივი ვითარება, — და მსოფლიოს ცალკეული ნაწილები, შესაძლოა, უახლოვდებიან მას, — როდესაც მუშაკები და დაგროვილი მარაგის მფლობელები ერთი და იგივენი იქნებიან; მაგრამ ხალხთა განვითარებაში... დღემდე ეს ქერკიდე აჩასოდეს არ ყოფილა, და იმისათვის, რომ ევლდაეკლ მიეყვეთ ამ განვითარებას და გაეიგოთ იგი, ჩვენ უნდა დავაკვირდეთ, თუ მუშაკები როგორ თანდათანობით აღწევენ თავს შემკვეთთა ბატონობის, რომლებიც მათ თავიანი შემოსავლიდან უხდიან, და ექვემდებარებიან მეწარმეთა ბატონობას, რომელნიც მათ უხდიან კაპიტალის ავანსად მიცემით, რომლის მთლიანი პროდუქტიდანაც მისი მფლობელნი თავისთვის განსაკუთრებული შემოსავლის რელიზებას ესწრაფვიან. ეს, შესაძლოა, არც იყოს ისეთივე სასურველი მდგომარეობა, როგორც ის, რომელიც მუშაკები და კაპიტალისტები იღებენ ერთი არიან; მაგრამ ჩვენ მაინც იგი უნდა მივიჩნიოთ ისეთ სტადიად წარმოების განვითარების მსვლელობაში, რომელიც დღემდე დამახასიათებელი იყო მოწინავე ხალხების განვითარებისათვის. ამ სტადიამდე აზიის მცხოვრებნი ჯერ კიდევ არ მისულან» (გვ. 73).

[1139] აქ ჯონსი პირდაპირ აცხადებს, რომ მას «მიაჩნია» კაპიტალი და კაპიტალისტური წარმოების წესი მხოლოდ ვარდამავალ ფაზად საზოგადოებრივი წარმოების განვითარებაში, ისეთ ფაზად, რომელიც, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლური ძალების განვითარების თვალსაზრისით, უდიდეს პროგრესს მოასწავებს ყველა წინამავალ ფორმასთან შედარებით, მაგრამ რომელიც სრულიადაც არ არის საბოლოო შედეგი, არამედ, პირიქით, მისთვის დამახასიათებელი «დაგროვილი სიმდიდრის მფლობელებსა» და «ფაქტიურ მუშაკებს» შორის არსებული ანტაგონიზმის ფორმით, თავისი დაღუპვის აუცილებლობას შეიცავს.

ჯონსი იყო ბოლიტიკური ეკონომიის პროფესორი ჰელიბერში, მალთუსის მიმდევარი. აქ ჩვენ ვხედავთ, როგორ ამთავრებს

პოლიტიკური ეკონომიის ნამდვილი მეცნიერება იმით, რომ ბურჟუაზიულ წარმოებით ურთიერთობებს განიხილავს როგორც მხოლოდ ისტორიულ ურთიერთობებს, რომელთაც მივეყვართ უფრო მაღალ ურთიერთობამდე, სადაც ქრება ის ანტაგონიზმი, რომელზეც დამყარებულია ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობანი. თავისი ანალიზით პოლიტიკური ეკონომია ამსხვრევს ვითომდა ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ ფორმებს, რომლებშიც სიმდიდრე გვევლინება. მისი ანალიზი (უკვე რიკარდოს სისტემაშიც კი) იმდენად შორს მიდის, რომ

1) ქრება სიმდიდრის დამოუკიდებელი ნივთობრივი ფორმა, და სიმდიდრე გვევლინება უფრო როგორც ადამიანთა საქმიანობა. ყველაფერი, რაც არ არის ადამიანის საქმიანობის შედეგი, შრომის შედეგი, არის ბუნება და როგორც ასეთი არ წარმოადგენს სოციალურ სიმდიდრეს. საქონელთა სამყაროს აჩრდილი ქრება და ეს სამყარო წარმოგვიდგება მხოლოდ როგორც მუდამ გაქრობადი და მუდამ განახლებადი გაობიექტივება ადამიანის შრომისა. ყოველი ნივთობრივად მყარი სიმდიდრე არის მხოლოდ წარმავლა განივთება ამ საზოგადოებრივი შრომისა, კრისტალიზაცია წარმოების პროცესისა, რომლის საზომიც არის დრო — საზომი თვით მოძრაობისა.

2) ის მრავალგვარი ფორმები, რომლებითაც სიმდიდრის შემადგენელი ნაწილები მიედინება საზოგადოების სხვადასხვა ნაწილებთან, კარგვენ თავიანთ მოჩვენებით დამოუკიდებლობას. სარგებელი არის მხოლოდ მოგების ნაწილი, რენტა — მხოლოდ დამატებითი მოგება. ამიტომ სარგებელიც და რენტაც შეერთებულია მოგებასთან, თვით მოგება კი დაიყვანება ზედმეტ ღირებულებაზე, ე. ი. ფასგადაუხდედ შრომაზე. მაგრამ საქონლის ღირებულება თვით არის დაყვანილი მხოლოდ სამუშაო დროზე. რიკარდოს სკოლა ისე შორს მიდის, რომ ამ ზედმეტი ღირებულების მითვისების ერთ-ერთ ფორმას — მიწის საკუთრებას (რენტას) — იგი უარყოფს როგორც უსარგებლოს, რამდენადაც მას ღებულობენ კერძო პირები [და არა სახელმწიფო]. რიკარდოს სკოლა უარყოფს მიწის მესაკუთრეს როგორც კაპიტალისტური წარმოების ფუნქციონერს. ამრიგად, ანტაგონიზმი დაყვანილია კაპიტალისტისა და დაქირავებული მუშის ანტაგონიზმამდე. მაგრამ ამ ურთიერთობას კაპიტალისტსა და დაქირავებულ მუშას შორის რიკარდოსეული პოლიტიკური ეკონომია განიხილავს როგორც რაღაც მოცემულს, როგორც ბუნების კანონს, რომელსაც თვით წარმოების პროცესი ემყარება. მომდევნო ეკონომისტები — ისეთები, როგორც ჯონსია — ამაზე უფრო შორს მიდიან და აღიარებენ უკვე ამ ურთიერთობის მხოლოდ ისტორიულ მართლზომიერებას. მაგრამ იმ მომენტიდან, როცა ბურჟუაზიული წარ-

მოების წესი და მისი შესაბამისი წარმოების და განაწილების ურთიერთობანი აღიარებულია ი ს ტ ო რ ი უ ლ მოვლენებად, ისპობა ის ილუზია, რომელიც ბურჟუაზიული წარმოების წესს განიხილავს როგორც წარმოების ბუნებრივ კანონს, და გადაიშლება პერსპექტივა ახალი საზოგადოებისა, ახალი ეკონომიური საზოგადოებრივი ფორმაციისა, ბურჟუაზიული წარმოების წესი კი წარმოადგენს მხოლოდ გადასავალს ამ ახალი ფორმაციისკენ¹⁴⁰. [1139]

[1139] ჯონსის კონცეფციიდან განსახილველი გვრჩება კიდევ სხვადასხვა საკითხი:

1) როგორ ცვლის სწორედ კაპიტალისტური წარმოების წესი — კაპიტალის მიერ ხელფასის ავანსად გაცემა — წარმოების ფორმას და მწარმოებლურ ძალებს. 2) ჯონსის მსჯელობანი დაგროვებისა და მოგების ნორმის შესახებ.

მაგრამ პირველ ყოვლისა აქ აღსანიშნავია კიდევ შემდეგი პუნქტი:

[1140] «კაპიტალისტი იყო მხოლოდ შუამავალი, რომელიც შესაძლებობას აძლევდა მუშაკებს სარგებლობა მიეღოთ მათ გარშემო მყოფ მყიდველთა მიერ შემოსავლის ხარკიდან ახალ ფორმასა და ახალ ვითარებაში» (გვ. 79).

ეს შეეხება იმ არამიწათმოქმედ მუშაკებს, რომლებიც წინათ ცხოვრობდნენ უშუალოდ მიწათმოქმედთა და ა. შ. შემოსავლით. ნაცვლად იმისა, რომ ამ მუშაკებს უშუალოდ გაეცვალათ თავიანთი პროდუქტი (ანუ თავიანთი შრომის პროდუქტი) აღნიშნულ შემოსავალზე, ახლა კაპიტალისტი მათი შრომის პროდუქტს — მის ხელში შეგროვილსა და თავმოყრილს — ცვლის ამ შემოსავალზე, ანუ ეს უკანასკნელი გადაიქცევა კაპიტალად, გაიცვლება კაპიტალზე და კაპიტალის მოგებას ქმნის. ნაცვლად იმისა, რომ შრომის უშუალო მოგება იყოს, იგი უშუალო მოგებაა კაპიტალისა, რომელიც მუშებს იყენებს¹⁴¹. [1140]

[1144] მას შემდეგ, რაც ჯონსმა ახსნა კ ა პ ი ტ ა ლ ი როგორც სპეციფიკური წარმოებითი ურთიერთობა, რომლის არსებითი თავისებურება ისაა, რომ დაგროვილი სიმდიდრე წარმოგვიდგება როგორც ხელფასის ავანსად გაცემა, ხოლო თვით «სამუშაო ფონდი» — როგორც «შემოსავლიდან დაზოგვილი და მოგების მიღების მიზნით მოხმარებული სიმდიდრე», იგი განიხილავს ამ წარმოების წესისათვის დამახასიათებელ ცვლილებებს მწარმოებლური ძალების განვითარებაში. ძალიან კარგად ლაპარაკობს ჯონსი იმაზე, თუ როგორ იცვლება მატერიალური მწარმოებლური ძალების ც ვ ლ ი ლ ე ბ ა ს თ ა ნ ერთად ეკონომიური ურთიერთობანი და ამით კი ხალხთა სოციალური, მორალური და პოლიტიკური მდგომარეობა:

«იმისდა მიხედვით, თუ როგორ შეცვლიან საზოგადოებანი თავიანთ მწარმოებლურ ძალებს, აუცილებლად იცვლენ»

ბ ა ა გ რ ე თ ე ე მ ა თ ი ზ ნ ე-ჩ ე უ ლ ე ბ ა ნ ი ც. თავიანთი განვითარების მსვლელობაში საზოგადოების სხვადასხვა კლასებში ყველანი იმას ამეღანებენ, რომ ისინი დაკავშირებული არიან სხვა კლასებთან ა.ხ.ა ლ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი თ, უ ქ ი რ ა ე თ ა ხ ა ლ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა და გარემოცული არიან ახალი მორალური და სოციალური საშიშროებებით, და სოციალური და პოლიტიკური პრაგმატიკის ახალი პირობებებით» (გვ. 48).

ვიდრე იმას განვიხილავდეთ, თუ როგორ გვიხატავს ჯონსი კაპიტალისტური წარმოების ფორმის გავლენას მწარმოებლური ძალების განვითარებაზე, აღვნიშნავთ კიდევ ზემონათქვამთან დაკავშირებულ რამდენიმე ადგილს.

«ეკლილებებს საზოგადოებათა ეკონომიურ ორგანიზაციაში და იმ ფაქტორებსა და იმ უხე ან არასაკმარის საშუალებებში, რომელთა შემწეობითაც წარმოების ამოცანები ხორციელდება, თან ახლავს დიდი პოლიტიკური, სოციალური, მორალური და ინტელექტუალური ცვლილებანი. ეს ცვლილებანი კიდრებლად გადამწყვეტ გავლენას ახდენენ იმ მოსახლეობის სხვადასხვა პოლიტიკურ და სოციალურ ელემენტებზე, რომლის წიადშიც ისინი მიმდინარეობენ; ეს გავლენა ვრცელდება ხალხთა ინტელექტუალურ იერზე, ჩეეებზე, ზნე-ჩეეულებზე და ბე-ნიერებაზე» (გვ. 45).

ინგლისი ერთადერთი დიდი ქვეყანაა, რომელმაც გადადგა... პირველი ნაბიჯი სრულყოფისაკენ მიმართულ წინსვლაში მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ი ს თ ე ა ლ - ს ა ზ რ ი ს ი თ, ერთადერთი ქვეყანა, სადაც მოსახლეობა — როგორც მიწათმოქმედი, ისე არამიწათმოქმედი — კაპიტალისტების ხელმძღვანელობას ექვემდებარება და სადაც ზეგავლენა კაპიტალისტების კუთვნილ საშუალებათა იმ განსაკუთრებული ფუნქციებისა, რომელთა შესრულებაც მხოლოდ კაპიტალისტებს შეუძლიათ, ყველგან იგრძნობა არა მარტო ქვეყნის სიმდიდრის უდიდეს ზრდაში, არამედ ასევე ამ ქვეყნის მოსახლეობის ყველა ურთიერთობასა და მდგომარეობაში. მაგრამ ინგლისი — ამას ვამბობ სინანულის გრძნობით, მაგრამ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე — არ შეიძლება ჩაითვალოს [1145] ისეთი ქვეყნის ბედისწერის მისაბამ მაგალითად, რომელიც ამგვარი წესით აერთარებს თავის მწარმოებლურ ძალებს» (გვ. 48—49).

ერთობლივი სამუშაო ფონდის შემადგენელი ნაწილებია: 1) ხელფასი, რომელსაც წარმოებენ თვით მუშაკები; 2) სხვა კლასების შემოსავალი, რომელიც შრომის შენახვაზე იხარჯება; 3) კაპიტალი, ანუ სიმდიდრე, დაზოგვილი შემოსავლიდან და გამოყენებული ხელფასის ავანსირებისათვის მოგების მიღების მიზნით. იმათ, ვისაც სამუშაო ფონდის პირველი ნაწილი ინახავს, ვუწოდოთ ა რ ა დ ა ქ ი რ ა ე ე ბ უ ლ ი მ უ შ ა კ ე ბ ი; იმათ, ვისაც მეორე ნაწილი ინახავს — ა ნ ა ზ ლ ა უ რ ე ბ უ ლ ი მ ო მ ს ა ხ უ რ ე პ ი რ ე ბ ი; იმათ, ვისაც მესამე ნაწილი ინახავს — დ ა ქ ი რ ა ე ე ბ უ ლ ი მ უ შ ე ბ ი. ხელფასის მიღება სამუშაო ფონდის ამ რომელიმე სამი ნაწილიდან განსაზღვრავს მ უ შ ა კ ი ს უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა ს სა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ს ხ ე ა კ ლ ა ს ე ბ თ ა ნ და ამით განსაზღვრავს — ზოგჯერ უშუალოდ, ზოგჯერ კი ცოტად თუ ბევრად არაპირდაპირ — უწყვეტობის, დახელოვნებისა და ძალის იმ ხარისხს, რომლითაც წარმოების ამოცანები სრულდება» (გვ. 51—52).

სამუშაო ფონდის პირველი ნაწილი, თვით მუშაკების მიერ წარმოებულ იხელფასს, ინახავს მსოფლიოს მწარმოელი მოსახლეობის ნახევარზე

მეტს — ალბათ, ორმესამედზე მეტსაც კი. ეს მუშაკები არიან ყველგან გლეხები, რომელნიც მიწას ფლობენ და ამუშავებენ... სამუშაო ფონდის მეორე ნაწილი, — შ რ ო მ ი ს შ ე ნ ა ხ ე ა ზ ე და ხ ა რ ჭ უ ლ ი შ ე მ ო ს ა ე ა ლ ი, — ინახავს აღმოსავლეთის მწარმოებელი არამწვანოკმედი მუშაკების მნიშვნელოვან უმრავლესობას. გარკვეული მნიშვნელობა აქვს სამუშაო ფონდის ამ ნაწილს ევროპის კონტინენტზე; ინგლისში კი, პირიქით, იგი მოიცავს მხოლოდ მცირერიცხოვან ხელოსნებს, რომლებიც შემთხვევითი ხასიათის სამუშაოებს ასრულებენ და უ ფ რ ო მ რ ა ე ა ლ რ ი ც ხ ო ვ ა ნ ი კ ლ ა ს ი ს ნ ა შ თ ე ბ ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ე ნ... სამუშაო ფონდის მესამე ნაწილი, კ ა პ ი ტ ა ლ ი, სამუშაოს აძლევს ინგლისში მისი მუშაკების მნიშვნელოვან უმრავლესობას, მაშინ როდესაც აზიაში იგი ინახავს ინდივიდთა მცირე რიცხვს, კონტინენტურ ევროპაში კი ეს ნაწილი ინახავს მხოლოდ არამწვანოკმედ მუშაკებს, რომლებიც, ალბათ, მთელი მწარმოებელი მოსახლეობის მეოთხედსაც არ შეადგენენ» (გვ. 52).

«მე არ გამოეყავი განსაკუთრებულად შ ო ნ უ რ ი შ რ ო მ ა... მუშაკთა ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო უ ფ ლ ე ბ ა ნ ი არ ახდენენ გავლენას მათს ე კ ო ნ ო მ ი უ რ მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ზ ე. შეიძლება დააკვირდეთ და შეამჩნიოთ, თუ როგორ ინახავს მონებს, ისევე როგორც თავისუფალ ადამიანებს, სამუშაო ფონდის ნებისმიერი სახეობა» (გვ. 53).

მაგრამ თუ მუშაკთა «სამოქალაქო უფლებები» არ ახდენენ გავლენას მათს «ეკონომიურ მდგომარეობაზე», სამაგიეროდ მათი ეკონომიური მდგომარეობა ახდენს გავლენას მათს სამოქალაქო უფლებებზე. დაქირავებული შრომა ეროვნული მასშტაბით, და ამიტომ აგრეთვე კაპიტალისტური წარმოების წესიც, შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც მუშა პირადად თავისუფალია. იგი დამყარებულია მუშების პიროვნულ თავისუფლებაზე.

მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის სმიტიესული განსხვავება სწორად დაჰყავს ჯონსს მის არსამდე, კაპიტალისტურ და არაკაპიტალისტურ შრომამდე, რაგან იგი სწორად განასხვავებს ერთმანეთისაგან მუშაკებს, რომელთაც საფასურს აძლევს კაპიტალი, და მუშაკებს, რომელთაც შემოსავლიდან უხდიან საფასურს. მაგრამ თვით ჯონსს მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი და ა რ ა მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი შ რ ო მ ის დაპირისპირება ესმის როგორც დაპირისპირება ისეთი შრომისა, რომელიც შედის მატერიალური [სიმდიდრის] წარმოებაში, და ისეთისა, რომელიც მასში არ შედის. ეს ჩანს იმ [ზემოციტირებული] ადგილიდან [52-ე გვერდიდან], სადაც ჯონსი ლაპარაკობს მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ მ უ შ ა კ ე ბ ზ ე, რომლებიც დამოკიდებული არიან მათზე დახარჯულ შემოსავალზე. შემდეგ, ეს ჩანს შემდეგი ადგილებიდან:

«საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ა რ ა მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი ა მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი ს ი მ დ ი დ რ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა ზ რ ი თ, შეაქვება იყოს ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო და უ ს ა რ გ ე ბ ლ ო» (გვ. 42).

«გონიერულია წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა ქ ო ი ჩ ი თ ვ ა ლ ო ს და უ მ თ ა ვ რ ე ბ ლ ა დ მ ა ნ მ დ ე, ე ი დ რ ე წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი ს ა ქ ო ნ ე ლ ი არ მ ის უ ლ ი მ ა დ მ ა ი ნ ის ხ ე ლ შ ი, რომელმაც იგი უნდა მოიხმაროს» (გვ. 35, შენიშვნა).

33. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

განსხვავება კაპიტალის ხარჯზე მაცხოვრებელ მუშაკებსა და იმ მუშაკებს შორის, რომლებიც შემოსავლის ხარჯზე ცხოვრობენ, ეხება შრომის ფორმას. ესაა მთელი განსხვავება კაპიტალისტურ და არაკაპიტალისტურ წარმოების წესებს შორის. პირიქით, თუ მწარმოებელი და არამწარმოებელი მუშაკების ცნებას უფრო ვიწრო აზრით ავიღებთ, მაშინ მწარმოებლური შრომა იქნება ყოველი ისეთი შრომა, რომელიც შედის საქონლის წარმოებაში (წარმოება აქ მოიცავს ყველა აქტს, რომელიც საქონელმა უნდა გაიაროს პირველადი მწარმოებელიდან მომხმარებელამდე), სულ ერთია როგორიც უნდა იყოს ეს შრომა — ფიზიკური თუ არაფიზიკური (მეცნიერული), — არამწარმოებლური შრომა კი იქნება ისეთი შრომა, რომელიც არ შედის საქონლის წარმოებაში და რომლის მიზანიც არ არის საქონლის წარმოება. ეს განსხვავება არ შეიძლება მხედველობიდან გაეუშვათ, და ის გარემოება, რომ ყველა სხვა სახეობის საქმიანობა თავის მხრივ ზემოქმედებას ახდენს მატერიალურ წარმოებაზე, და *vice versa**, აბსოლუტურად არაფერს ცვლის ასეთი განსხვავების აუცილებლობაში.

**ბ) ჯონსი მწარმოებლური ძალების განვითარებაზე
კაპიტალისტური წარმოების გავლენის შესახებ.
ღამათებითი ძირითადი კაპიტალის გამოყენების
პირობების საკითხი]**

[1146] გადავდივართ კაპიტალისტური წარმოების წესის ზეგავლენით-
მწარმოებლური ძალების განვითარების საკითხ-
ზე.

[ჯონსი ამბობს:]

«ქ, ვფიქრობ, უადვილო არ იქნება იმის აღნიშვნა, თუ ეს ფაქტი» [კაპიტალის მიერ ხელფასის ავანსად გაცემა] «როგორ გავლენას ახდენს მუშაკების მწარმოებლური ძალებზე, ანუ უწყვეტობასა, ცოდნასა და ძალაზე, რომელთა მეოხებითაც შრომა ხორციელდება... კაპიტალისტს, რომელიც მუშას ხელფასს აძლევს, შეუძლია ხელი შეუწყოს მისი შრომის უწყვეტობას ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იგი ასეთ უწყვეტობას შესაძლებელს ხდის, მეორე, იმიტომ, რომ იგი ზედამხედველობას უწყევს და იძულებით ახორციელებს უწყვეტობას. მრავალი სხვადასხვა მუშაკი მთელ მსოფლიოში დაეხეტება ქუჩებში და ეძებს მუშტარს, მათი ხელფასი დამოკიდებულია იმ ადამიანთა შემთხვევის მთხოვნილებზე, რომელნიც სწორედ ამ მომენტში საჭიროებენ».

* პირიქით. რ. ე. დ.

მათს მომსახურებას ანდა იმ საგნებს, რომელთაც ეს მუშაკები ამზადებენ. ასეთი მდგომარეობა ნახეს ჩინეთში პირველმა მისიონერებმა: «აქ ხელოსნები დილიდან საღამომდე, დარბიან ქუჩებში შეგვეთთა ძებნაში. ჩინელი მუშების მეტი ნაწილი მუშაობს კერძო სახლებში. თქვენ გვირდებათ, მაგალითად, ტანსაცმელი. მეყრავე მოდის თქვენთან დილით და საღამოთი შინ ბრუნდება. ასეთივე მდგომარეობა აქეთ სხვა ხელოსნებსაც. ისინი გამუდმებით დარბიან ქუჩებში და ეძებენ სამუშაოს, მჭედლებიც კი, რომლებიც თან ეზიდებიან თავიანთ უროსა და ქურას ჩვეულებრივ სამუშაოებისათვის. ასევე დალაქებები... ქუჩებში დაეხეტებიან მხვებზე საფარპლით, ხელში კი ტაშტითა და ქვაბით თბილი წყლისათვის»¹⁴; ეს დღემდე ჩვეულებრივ მოვლენად რჩება მთელს აღმოსავლეთში და ნაწილობრივ აგრეთვე დასავლეთშიც.

და აი, ასეთ მუშაკებს არ შეუძლიათ უწყვეტად იმ მუშაონ რამდენამდე ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ისინი მეეტლებსავით უნდა მიმოდიოდნენ ქუჩებში მუშტართა ძებნაში და, როცა მათ ვერ ნახულობენ. იძულებული არიან უქმად იყვნენ. თუ დროთა ვითარებაში მათს მდგომარეობაში რაიმე ცვლილება ხდება და ისინი ხდებიან მუშები კაპიტალისტისა, რომელიც მათ აევანსად აძლევს ხელფასს, მაშინ ადგილი აქვს ორნაირ შედეგს: ჯერ ერთი, მათ ახლა შეუძლიათ იმუშაონ უწყვეტად; მეორე, აქ არის უვეე ადამიანი, რომლის ფუნქციას დაინტერესის მუშად გენს, რომ აიძულოს მუშები მართლაც უწყვეტად იმუშაონ... კაპიტალისტს... გააჩნია რესურსები, რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ მას დაელოდოს მუშტარს... ამ წესით მყარდება უფრო დიდი უწყვეტობა ამ კატეგორიის ადამიანთა შრომაში. ისინი ყოველდღიურად მუშაობენ დილიდან საღამომდე და მათი მუშაობა არ წყდება იმით, რომ ისინი ელოდებიან ან ეძებენ მუშტარს, რომელმაც უნდა მოიხმაროს მათ მიერ დამზადებული საგანი.

მაგვამ მუშების შრომას უწყვეტობა, რომელიც ამგვარად შეესაძლებელი ხდება, უზრუნველყოფილი და გადიდება კაპიტალისტის ზედამხედველობით. კაპიტალისტმა აევანსად მათი ან ხელფასი. მან უნდა მიიღოს მათი შრომის პროდუქტი, მისი ინტერესი და პრივილეგიაა — იზრუნოს იმისათვის, რომ მათ შეწყვეტებით ან წელა არ იმუშაონ.

თუ შრომის უწყვეტობა უზრუნველყოფილია ამგვარად, მაშინ ზემოქმედება თუნდაც მარტო ამ ცვლილებისა შრომის მწარმოებლურ ძალაზე მეტად დიდა... მწარმოებლური ძალა ორკედება. მთელი წლის განმავლობაში დილიდან საღამომდე უწყვეტად მომუშავე ორი მუშა აწარმოებს, ალბათ, უფრო მეტს, ვიდრე ოთხი მუშა, რომელთაც არა აქვთ მუდმივი სამუშაო და ბევრ დროს კარგავენ მუშტართა ძებნაში და შეწყვეტილ სამუშაოთა განახლებაზე» (გვ. 37—38).

[ჯონსის მიერ აქ ნათქვამის შესახებ უნდა შეენიშნოთ:]

ჯერ ერთი. გადასვლა იმ მუშაკებიდან, რომლებიც შემთხვევითს მომსახურებას ეწევიან, კერავენ სერთუქს ან შარვალს მიწის მესაკუთრის სახლში და ა. შ., იმ მუშაკებზე, რომლებსაც სამუშაოს აძლევს კაპიტალისტი, ძალიან კარგად აქვს გადმოცემული უკვე ტიურგოს.

მეორე. შრომის ეს უწყვეტობა განასხვავებს კაპიტალისტურ შრომას შრომის იმ ფორმისაგან, რომელსაც აგვიწერს ჯონსი, მაგვამ არა მონურ შრომაზე დამყარებული მსხვილი წარმოებისაგან.

მ ე ს ა მ ე . სწორი არ იქნება ვუწოდოთ შრომის მწარმოებლური ძალის გადიდება თვით შრომის გადიდებას მისი ხანგრძლივობის გადიდებისა და მუშაობაში უწყვეტათა თავიდან აცილების შედეგად. შრომის მწარმოებლური ძალის გადიდებას აქ ადგილი აქვს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შრომის უწყვეტობა მუშის პირად დახლოვნებას აღიძვებს. შრომის მწარმოებლური ძალის [გადიდება] ჩვენ გვესმის როგორც უფრო დიდი ეფექტიანობა, რომლითაც შრომის მოცემული რაოდენობა გამოიყენება, და არა რაიმე ცვლილება გამოყენებული შრომის რაოდენობაში. ის, რაზეც ჯონსი ლაპარაკობს, შეეხება უფრო შრომის ფორმალურ დაქვემდებარებას კაპიტალისადმი და თავის სრულ განვითარებას აღწევს მხოლოდ ძირითადი კაპიტალის განვითარებასთან ერთად. (ამის შესახებ— ახლავე.)

ჯონსი სწორად აღნიშნავს ხაზგასმით იმ გარემოებას, რომ კაპიტალისტი განიხილავს შრომას როგორც თავის საკუთრებას, რომლიდანაც არაფერი არ უნდა დაიკარგოს. თუკი ჩვენ გვაქვს შრომა, რომელიც დამოკიდებულია უშუალოდ 'შემოსავალზე, მაშინ ლაპარაკია მხოლოდ შრომის სახმარ დირებულებაზე.

[1147] შემდეგ, ჯონსი საესებით მართებულად აღნიშნავს, რომ არამიწათმოქმედი მუშების თავაუღებელი შრომა, დილიდან საღამომდე რომ გრძელდება, სრულიადაც არ არის ბუნების მიერ მოცემული რამ, არამედ თვითონ წარმოადგენს ეკონომიური განვითარების პ რ ო დ უ ქ ტ ს. შრომის აზიური ფორმისა და სამიწათმოქმედო შრომის დასავლური ფორმისაგან (რომელიც წინათ ბატონობდა და ნაწილობრივ ახლაც შეიმჩნევა კიდევ) განსხვავებით, შუა საუკუნეების ქალაქური შრომა წარმოადგენს წინ გადადგმულ დიდ ნაბიჯს და მოსამზადებელი სკოლაა კაპიტალისტური წარმოების წესისათვის, შრომის უწყვეტობისა და მუდმივობისათვის.

{ შ რ ო მ ი ს ა მ უ წ ყ ვ ე ტ ო ბ ი ს ა თ ე ი ს შესახებ ანონიმურ ბროშურაში «An Inquiry into those Principles, respecting the Nature of Demand and the Necessity of Consumption» etc., London, 1821 ნათქვამია შემდეგი:

«კაპიტალისტის ხელთ არის აგრეთვე, ასე ვთქვათ, შ რ ო მ ი ს მ ო თ ხ ო ვ ნ ი ს გამგებლობა: იგი გ ა რ ა ნ ტ ი ა ს ა ძ ლ ე ვ ს მათ, ვინც დარწმუნებული არ არის შრომისათვის გასაღების პოვნის შესაძლებლობაში. კაპიტალისტი რომ არ ყოფილიყო, ეს დაურწმუნებლობა ხშირად ხელს შეუშლიდა ამა თუ იმ შრომის დაწყებას. მისი კაპიტალის მეშვეობით ზრუნვა მყიდველის მონახვისა და ბაზარზე ვისვლისათვის შედარებით უმნიშვნელო ხდება» (გვ. 102).

იმავე ბროშურაში ვკითხულობთ:

«იქ, სადაც კაპიტალი მნიშვნელოვანწილად ძირითადი კაპიტალისაგან შედგება, ანდა იქ, სადაც კაპიტალი მიწაშია დაბანდებული, ... მეწარმე გაცილებით უფრო მეტად არის (ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა ნაკლები ძირითადი კაპიტალი გამოიყენება) იძულებული განაგრძოს საბრუნავი კაპიტალის დაახლოებით იმდენვე რაოდენობის გამოყენება, რამდენსაც წინათ იყენებდა, რათა არ დაეარგოს რაიმე მოგება იმ ნაწილიდან, რომელიც ძირითად კაპიტალს წარმოადგენს» (გვ. 73).

{[ჯონსი ლაბარაკობს შემდეგ:]

«იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც ჩინეთში შეიქმნა იმის შედეგად, რომ მუშაკები დამოკიდებული არიან თავიანთი მუშტრების შემოსავალზე, ყველაზე ცოცხალი სურათი შეიძლება დაეინახოთ ჩინეთის გამოფენაზე, რომელიც ასე დიდხანს ჰქონდა ღია ლონდონში მის ამერიკელ მფლობელს. გამოფენა საესეა იმ ხელოსანთა გამოსახულებებით, რომელთაც ხელთა აქვთ ინსტრუმენტების პატარა კომპლექტები; ისინი დაემტკიცებენ მუშტრებს და უსაქმოდ არიან, თუ მუშტრები არ გამოჩნდებიან. აქ ნათლად ჩანს ასეთ შემთხვევაში აუცილებელი არარსებობა შრომის იმ უწყვეტობისა, რომელიც ამ შრომისნაყოფიერების სამი ძირითადი ელემენტიდან ერთ-ერთი ელემენტია. უოველი მცოდნე და მკვირვებლისათვის საკმაოდ შესამჩნევია აგრეთვე ისიც, რომ აქ არ არის ძირითადი კაპიტალი და მანქანები, რომლებიც შრომისნაყოფიერების ნაკლებმნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენდნენ» (გვ. 73).

«ასეთივე სურათი შეიმჩნევა ინდოეთის ქალაქებში, იქ, სადაც ევროპელთა გამოჩენამ ჯერ კიდევ შერეულია მდგომარეობა. მაგრამ ინდოეთის სოფლის ადგილებში ხელოსნები უზრუნველყოფილი არიან განსაკუთრებული წესით... ის ხელოსნები და სხვა არამიწათომკმედი მუშაკები, რომლებიც ნამდვილად აუცილებელი იყვნენ მოკეპული სოფლისათვის, ამ უკანასკნელის მცხოვრებთა საერთო შემოსავლის ნაწილით ცხოვრობდნენ. ამ ფონდის ხარჯზე ცხოვრობდნენ მთელ ქვეყანაში მრავალრიცხოვანი ჯგუფები შთამომავლობითი ხელოსნებისა, რომელთა შრომაც აკმაყოფილებდა მარტივ მოთხოვნილებებსა და გემოვნებს, რის დაკმაყოფილებაც მიწათმოქმედთ არ შეეძლოთ თავიანთი საკუთარი შრომით. ამ სოფლის ხელოსანთა მდგომარეობა და უფლებები მალე გახდა მეკვიდრეობითი, ისევე როგორც ყველა უფლება აღმოსავლეთში. ხელოსნები თავიანთ მუშტრებს პოულობდნენ სხვა სოფლის მცხოვრებლებს შორის. სოფლის მცხოვრებნი იყვნენ ზინადარნი და ინერტულნი, ასეთები იყვნენ აგრეთვე მათი მომსახურე ხელოსნები...»

ქალაქის ხელოსნები იმყოფებოდნენ და იმოყვებოდნენ სრულად სხვა მდგომარეობაში. თავიანთ ხელფასს ისინი არსებითად ღებულობდნენ იმ ფონდიდან რომელიც არსებითად იგივე იყო — მიწის ზედმეტი შემოსავალი. — მაგრამ ამ ფონდის განაწილების როგორც წესი, ისე მისი გამანაწილებელი პირნიც აქ სხვები იყვნენ, რის შედეგადაც ხელოსნებმა დაკარგეს მულმივი ბინადრობა და იძულებული იყვნენ ხშირად გადასახლებულიყვნენ ხოლმე, რაც ჩვეულებრივ მათთვის დამღუპველი იყო... ასეთი ხელოსნები არ არიან გარკვეულად გილზე მიჯაჭვულნი იმით, რომ დამოკიდებული არიან ძირითადი კაპიტალის მასაზე. (როგორც, მაგალითად, ევროპაში, სადაც ბამბეულისა და სხვა საწარმოში მიჯაჭვული არიან ორთქლის წარმოებათვის საჭირო წყლის ძალითა და სათბობით მდიდარ ადგილებზე და სადაც მნიშვნელოვანი ოდენობის სიმდიდრე შენობების, მანქანებისა და სხვ. სახით არსებობს)... სხვაგვარადაა საქმის ვითარება მაშინ, როცა მუშაკი მთლიანად [1148] დამოკიდებულია იმ ადამიანთა შემოსავლის ნაწილის უშუალო მიღებაზე, რომ-

ლებიც მის მიერ წარმოებულ საქონელს ხმარობენ... ასეთისა ხის მუშაკებში არ არიან მიჯაჭვულნი მოცემულ ადგილზე რაიმე ძირითადი კაპიტალით. თუ მათი მუშტრები მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი დროით, ხოლო ზოგჯერ მოკლე დროითაც კი, თავიანთ საცხოვრებელ ადგილს იცვლიან. არამიწათმოქმედი მუშაკები იძულებული არიან გაჰყვენ მათ ანდა შიშხილით დიხხონ» (გვ. 73—74).

ხელოსნებისათვის განუთვნილი ამ ფონდის უმეტეს ნაწილს აზიაში ანაწილებდნენ სახელმწიფო და მისი მოხელეები. განაწილების მთავარ ცენტრს, ბუნებრივია, წარმოადგენდა დედაქალაქი» (გვ. 75).

სამარყანდიდან საშრეთით ბიჯაპურასა და სერინგაპატამამდე შეიძლება თვალი გაეყოლოთ და შეეაზნოთ იმ დედაქალაქების ნანგრევები, რომელთა მოსახლეობამ მიატოვა ისინი უცრად (და არა თანდათანობითი დაქვეითების შედეგად, როგორც ეს სხვა ქვეყნებში იყო), როგორც კი დაარსდა ახალი ცენტრები, სამეფო შემოსავალთა, ე. ი. მიწის მთელი ზედმეტი შემოსავლის გასანაწილებლად» (გვ. 76).

იხილეთ დ-რი ბერნიე¹⁴⁸, რომელიც ინდოეთის ქალაქებს სამხედრო ბანაკებს აღარებს. ყოველივე ეს, მაშასადამე, დამყარებულია აზიაში გაბატონებულ მიწის საკუთრების ფორმაზე.}

* * *

შრომის უწყვეტობიდან ჩვენ გადავიდვართ ახლა შრომის დანაწილებაზე, ცოდნის განვითარებაზე, მანქანების და ა. შ. გამოყენებაზე.

[ქონსი წერს:]

«ნათქვამით სრულიად არ ამოიწურება ის გავლენა, რასაც შრომის უწყვეტობაზე ახდენს იმ მეპატრონეთა გამოცვლა, რომელიც მუშაკებს ხელფასს აძლევენ. სხვადასხვა სახის სამუშაოებმა შეიძლება ახლა შემდგომი დანაწილება განიცადონ... თუ იგი (კაპიტალისტი) სამუშაოს აძლევს არა ერთ ადამიანს, არამედ რამდენიმეს, მას შეუძლია ეს სამუშაო მათ შორის გაანაწილოს. მას შეუძლია ცალკეული მუშა მუდამ გამოიყენოს საერთო სამუშაოს გარკვეული ნაწილის შესასრულებლად. იმ ნაწილისა, რომელსაც ეს მუშა საუცეთესოდ ასრულებს... თუ კაპიტალისტი მიღარა და მუშების საკმაო რაოდენობას ჰქირაობს, მაშინ სამუშაო შეიძლება დანაწილდეს მანამდე, სანამ მისი შემდგომი დანაწილება საერთოდ შესაძლებელია. და მაშინ მიღწეული იქნება შრომის სრული უწყვეტობა... როცა ხელფასის აენსირების ამოცანა თავის თავზე აიღო, კაპიტალმა შრომის უწყვეტობა თანდათან სრულყოფილი გახადა. იმედროულად კაპიტალი ამრავლებს იმ ცოდნასა და დახელოვნებას, რითაც ეს შრომა გამოიყენება. საჭირო შედეგის მისაღწევად.

კაპიტალისტთა კლასი ჯერ ნაწილობრივ, საბოლოოდ კი მთლიანად თავის უფლებება ფიზიკური შრომის აუცილებლობისაგან, კაპიტალისტების ინტერესები მოითხოვს, რომ მათ მიერ გამოყენებული მუშე-

ბის ამჟამად უკლებლური ძალა რაც შეიძლება დიდი იყოს. ამიტომ მათი
ხუროდლებმა მიმართულია, თანაც თითქმის მარტოდენ, ამ ძალის
გადიდებოს აკეთებენ. აზრიც სულ უფრო იმას ესწრაფვის, რომ გამოახოს საუკე-
თის საშუალებანიადამიანის შრომის ყველა მიზნის მისაღწევად; ფართოდება ცოდ-
ნა, იზრდება მისი გამოყენების სფერო და აუცილებლად უწყობს შრომის წარმოების თითქმის
ყველა დარგში...

მაგრამ იზრდება აგრეთვე მექანიკური ძალაც. კაპიტალს, რომელიც
გამოიყენება არა შრომის ასანაზღაურებლად, არამედ შრომის ხელშეწყო-
ბისათვის, ჩვენ ვეწოდებთ დამხმარე კაპიტალს.

‘«დამხმარე კაპიტალად» ჯონსი, იმაშასადამე, გულისხმობს მუდმივი
კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც არ შედგება ნედლი მასალისაგან. }

«ერის დამხმარე კაპიტალის მასა, თუ გარკვეული პირო-
ბები შეესრულებულია. შეიძლება უსაზღვროდ იზრდე-
ბოდეს, მაშინაც კი, როცა მუშების რიცხვი უცვლელი
არჩება. ამ მიმართულებით გადადგმულ ყოველ ნაბიჯთან ერთად იზრდება ადამიანის
შრომის ეფექტიანობის შესაბამისად ელემენტი, სახელდობრ — შრომის მექანიკური
ძალა... ამრიგად, დამხმარე კაპიტალის მასა დიდდება
მოსახლეობასთან შეფარდებით... რა პირობების შესრულებასა საჭირო
იმისთვის, რომ მას დამხმარე კაპიტალისა, რომელიც (კაპიტალისტის მიერ დაქირავე-
ბული მუშებისათვის) ხელშეწყობის მიზნით გამოიყენება, იზრდებოდეს? ამისათვის
უნდა არსებობდეს ერთდროულად სამი პირობა:

- 1) საშუალებანი დამატებითი კაპიტალის დაზოგვისათვის;
- 2) სურვილი მისი დაზოგვისა;

3) რაიმე გამოგონება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა დამხმარე კაპიტალის
გამოყენების მეშვეობით გააღწიოს შრომის წარმოებულური ძალა, თანაც გააღწიოს
იგი იმდენად, რომ შრომა, მის მიერ წინათ წარმოებულ სიმ-
დიდრის გადამეტებით, აკლავს წარმოებდეს კიდევ გა-
მოყენებულ დამატებით დამხმარე კაპიტალს, მისი მოხ-
მარების და მიხედვით, და ამასთან გარკვეულ მოგებასაც
იძლეოდეს...

თუ დამხმარე კაპიტალის მთელი ის მასა, რომელიც
შეიძლება მომგებნიანად იქნეს გამოყენებულ იქნის
არსებულ დონის პირობებში, უკვე მოცემულია, მაშინ
მხოლოდ ცოდნის გაზრდილ დონეს შეუძლია გვიჩვენოს უფრო მეტი კა-
პიტალის გამოყენების საშუალებანი და გზები. შემდეგ ასეთი გამოყენება შეიძლება
პრაქტიკულად განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გამოგონებული საშუა-
ლებანი იმდენად ადიდებენ შრომის ძალას, რომ მას შეუძ-
ლია აკლავს წარმოების დამატებითი კაპიტალი იმ დონის
განმავლობაში, რომელშიც ეს კაპიტალი მოიხმარება.
თუ ასე არ არის, მაშინ კაპიტალისტი დაკარგავს თავის სიმდიდრეს. მაგრამ, გარდა ამისა,
მუშების შრომის ვაზრდილმა ეფექტიანობამ უნდა აწარმოოს კიდევ გარ-
კვეთელი მოგება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში კაპიტალისტს აღარ ექნე-
ბოდა თავისი კაპიტალის წარმოებაში გამოყენების სტიმული... ეიდრე დამხმარე

კაპიტალის ახალ ოდენობათა გამოყენების მეშვეობით შესაძლებელია ორივე აღნიშნული მიზნის მიღწევა, არ არსებობს მტკიცე და საბოლოო საზღვარი კაპიტალის ასეთ ახალ ოდენობათა სულ უფრო მზარდი გამოყენებისათვის. კაპიტალის ზრდა შეიძლება ხელიხელჩაყიდებული მიდიოდეს ცოდნის ზრდასთან ერთად. მაგრამ ცოდნა არასოდეს არ არის ერთ ადგილზე გაჩერებული; და რადგან იგი მუდამ იზრდება ყველა მიმართულებით, ასევე მუდამ შეიძლება ჩნდებოდნენ ახალი იარაღები, ახალი მანქანები, ახალი მამოძრავებელი ძალები, რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ ერს გადიდოს თავის სასარგებლოდ დამხმარე კაპიტალის რაოდენობა, რომელიც ხელს უწყობს მის შრომას, და ამ გზით გადიდოს განსხვავება მის შრომის ნაყოფიერებასა და უფრო ღარიბთა და ნაკლებდახელოვნებული ერების შრომის ნაყოფიერებას შორის» (ციტირ. თხზ. [გვ. 38—41]).

[1149] უწინარეს ყოვლისა, აღვნიშნავთ ჯონსის შენიშვნას, რომ ახალ გამოგონებებს, ხელსაწყოებსა და მოწყობილობებს უნდა შეეძლოთ «შრომის მწარმოებლური ძალის გადიდება» იმდენად, რომ შრომა, მის მიერ წინათ წარმოებულ სიმდიდრის გადამეტებით, აკვლავწარმოებდეს კიდევ გამოყენებულ დამატებითს დამხმარე კაპიტალს. ამ უკანასკნელის მოხმარების კვალობაზე, ანდა რომ შრომა «აკვლავწარმოებდეს დამატებითს კაპიტალს იმ დროის განმავლობაში, რომელშიც ეს კაპიტალი ცვეთება». ეს ნიშნავს, მაშასადამე, მხოლოდ იმას, რომ გაცვეთა ნაზღაურდება იმ ზომით, რა ზომითაც მას ადგილი აქვს, ან რომ დამატებითი კაპიტალი ნაზღაურდება საშუალოდ იმავე დროში, რომლის განმავლობაშიც იგი მოიხმარება. პროდუქტის ღირებულების ნაწილმა — ანუ, რაც იმავეს ნიშნავს, პროდუქტის ნაწილმა — უნდა აანაზღაუროს მოხმარებული «დამხმარე კაპიტალი». თანაც ისეთ დროის მონაკვეთში, რომ იმ მომენტისათვის, როცა ეს კაპიტალი მთლიანად მოხმარებული იქნება, შესაძლებელი იყოს მისი მთლიანად კვლავწარმოება, ანდა რომ იმავე სახის ახალ კაპიტალს შეეძლოს მოხმარებული კაპიტალის ადგილის დაკავება. მაგრამ რა არის ამის პირობა? დამატებითი «დამხმარე კაპიტალის» გამოყენების შედეგად შრომის ნაყოფიერება უნდა გაიზარდოს იმდენად, რომ შესაძლებელი იყოს პროდუქტის ნაწილის გამოყოფა ამ შემადგენელი ნაწილის ასანაზღაურებლად ან *in natura*, ან გაცვლის გზით.

თუ შრომის ნაყოფიერება იმდენად გადიდდა, ე. ი. თუ ერთნაირი სამუშაო დღის განმავლობაში წარმოებულ პროდუქტების რაოდენობა იმდენად გაიზარდა, რომ ცალკეული საქონელი ახლა უფრო იაფია წინანდელ წარმოების პროცესში დამზადებულ ცალკეულ საქონელზე, თუმცა ამასთან საქონელთა ჯამით თავისი ერთობლივი ფასით მანქანათა (მაგალითად) წლიურ გაცვეთას ფარავს, ასე, რომ გაცვეთის,

სათანადო ნაწილი, რაც ცალკეულ საქონელს უწევს, უადრესად მცირეა, მაშინ «დამხმარე კაპიტალი» იკვლავწარმოება. თუ ერთობლივ პროდუქტს გამოვაკლებთ, ჯერ ერთი, გაცვეთის ამნაზღაურებელ ნაწილს და მეორე, ნედლეულის ამნაზღაურებელ ნაწილს, დარჩება ხელფასის ამნაზღაურებელი ნაწილი და ის ნაწილი, რომელიც ფარავს მოგებას და ცალკეული საქონლის წინანდელი ფასის კვალობაზე უფრო მეტ ზედმეტ ღირებულებასაც კი იძლევა [ვიდრე დამატებითი «დამხმარე კაპიტალის» გამოყენებამდე იძლეოდა].

პროდუქტის გადიდებას შეიძლება ადგილი ჰქონოდა ამ პირობის შესრულების გარეშეც. თუ, მაგალითად, ნართის გირვანქების რაოდენობა გადიდდებოდა [მხოლოდ] 10-ჯერ (და არა 100-ჯერ და ა. შ.), ხოლო ცალკეული პროდუქტის ღირებულების კუთვნილი წილი იმ დანამატისა, რომელიც მანქანათა გაცვეთის ანაზღაურებაზე მიდის, $1/6$ -დან $1/10$ -მდე შემცირდებოდა, მაშინ მანქანების შემწეობით წარმოებული ნართი თითისტრის შემწეობით წარმოებულ ნართზე უფრო ძვირი იქნებოდა¹⁴⁴. თუ დამატებითი 100 გირ. სტერლ. კაპიტალი მიწათმოქმედებაში გუანოზე დაიხარჯებოდა და თუ ეს გუანო ერთ წელიწადში უნდა ანაზღაურებულყო, ხოლო ერთი კვარტერი პროდუქტის ღირებულება (წარმოების წინანდელი მეთოდების პირობებში) 2 გირ. სტერლინგი იქნებოდა, მაშინ საჭირო გახდებოდა 50 დამატებითი კვარტერის წარმოება მარტო გაცვეთის ასანაზღაურებლად¹⁴⁵. სხვანაირად არ შეიძლებოდა ამ დამატებითი კაპიტალის გამოყენება (მოგებას ჩვენ აქ უუფრადღებოდ ვტოვებთ).

ჯონსის შენიშვნა, რომ დამატებითი კაპიტალი უნდა «კვლავწარმოებულ» იქნეს (რა თქმა უნდა, პროდუქტის გაყიდვის გზით ანდა *in natura*) «იმ დროში, რომლის განმავლობაშიც ეს კაპიტალი ცვდება», მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ საქონელმა უნდა აანაზღაუროს მასში მოთავსებული გაცვეთა. კვლავწარმოების ხელახლა დასაწყებად ღირებულების ყველა ელემენტი, რომელთაც საქონელი შეიცავს, საჭიროა ანაზღაურებული იყოს იმ დროისათვის, როცა საქონლის კვლავწარმოება უნდა დაიწყოს. მიწათმოქმედებაში კვლავწარმოების ეს დრო მოცემულია ბუნების პირობებით, და ის დროც, რომლის განმავლობაში გაცვეთა ანაზღაურებულ უნდა იქნეს, აქ მოცემულია სავსებით ისევე, როგორც ის დროც, რომლის განმავლობაში ანაზღაურებული უნდა იყოს ყველა სხვა ელემენტი, მაგალითად, ხორბლეულის ღირებულებისა.

იმისათვის, რომ კვლავწარმოების პროცესი დაიწყოს, ე. ი. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს წარმოების პროცესის განახლება ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით; უნდა განვლილი იყოს მიმოქცევის პროცესი, ე. ი. საქონელი უნდა იყოს გაყიდული (თუ მხოლოდ იგი თავის თავს არ ანაზღაურებს *in natura*, როგორც, მაგალითად, თესლი), და ფული,

რომელზეც საქონელი გაიყიდა, ხელახლა უნდა გადაიქცეს წარმოების ელემენტებად. ზორბლელისათვის და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტებისათვის არსებობს გარკვეული, წლის დროთა ცვლით დაწესებული ვადები ასეთი კვლავწარმოებისა, არსებობს, მაშასადამე, უკანასკნელი ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი, დადებითი საზღვრები მიმოქცევის პროცესის ხანგრძლივობისათვის. [ეს — პირველი.]

მეორე: მიმოქცევის პროცესის ასეთი დადებითი საზღვრები გამოდინარეობენ საერთოდ საქონელთა — როგორც სახმარ ღირებულებათა — ბუნებიდან. ყველა საქონელი გარკვეული დროის განმავლობაში ფუჭდება, თუმცა მათი არსებობის ultima Thule* სხვადასხვაა. თუ მათ აღამიანები არ მოიხმარენ (წარმოების მიზნებისათვის ან ინდივიდუალური მოხმარების წესით), მაშინ მათ მოიხმარენ ბუნების სტიქიური ძალები. ისინი უფრო ცუდი ხდებიან, საბოლოოდ კი ფუჭდებიან. თუ საქონელთა სახმარი ღირებულება ქრება, მაშინ აარაობად იქცევა მათი საცვლელი ღირებულებაც, და შეწყდება მათი კვლავწარმოებაც. მაშასადამე, საქონელთა მიმოქცევის დროის უკანასკნელი ფარგლები ზღვარდებულა კვლავწარმოების პერიოდთა ვადებით, რომლებიც დამახასიათებელია საქონელთათვის როგორც სახმარ ღირებულებათათვის.

მესამე: იმისათვის, რომ საქონელთა წარმოების პროცესი უწყვეტი იყოს, ე. ი. იმისათვის, რომ კაპიტალის ერთი [1150] ნაწილი მუდამ იმყოფებოდეს წარმოების პროცესში, მეორე ნაწილი კი მუდამ — მიმოქცევის პროცესში, ადგილი უნდა ჰქონდეს კაპიტალის მეტად სხვადასხვა დაყოფას ამ ნაწილებად — კვლავწარმოების პერიოდთა ბუნებრივი საზღვრების მიხედვით, სხვადასხვა სახმარ ღირებულებათა არსებობის საზღვრების მიხედვით და იმ სფეროთა განსხვავების მიხედვით, რომლებშიც კაპიტალი მოქმედებს.

მეოთხე: ყოველივე ზემონათქვამი შეეხება იმედროულად საქონლის ღირებულების ყველა ელემენტს. მაგრამ იმ საქონელთათვის, რომელთა წარმოებაში ბევრი ძირითადი კაპიტალი მონაწილეობს, გარდა იმ საზღვრებისა, რომლებიც დაწესებული აქვს მიმოქცევის პერიოდს მათი საკუთარი სახმარი ღირებულებების მიერ, განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ძირითადი კაპიტალის სახმარ ღირებულებასაც. კაპიტალი ცვთება დროის გარკვეულ პერიოდში და, მაშასადამე, იგი დროის გარკვეულ პერიოდში უნდა იქნეს კვლავწარმოებული. ვთქვათ, მაგალითად,

* — რაღაც უკანასკნელი, კიდური წერტილი, უკანასკნელი საზღვარი, საბოლოო მიზანი (სიტყვისიტყვი კიდური ფულა — კუნძულის ქვეყანა, რომელიც იმყოფებოდა, ძველი ხალხების წარმოდგენით, ევროპის უკიდურეს ჩრდილოეთში). რ ე დ.

ვემი ცვთება 10 წლის განმავლობაში ანდა სართავი მანქანა — 12 წლის განმავლობაში. 10 წელიწადში მიღებული ფრაქტი ანდა 12 წელიწადში გაყიდული ნართი უნდა საქმარისი იყოს იმისათვის, რომ ახალმა გემმა 10 წლის შემდეგ შეცვალოს ძველი გემი და ახალმა სართავმა მანქანამ 12 წლის შემდეგ შეცვალოს ძველი სართავი მანქანა. თუ ძირითადი კაპიტალი ნახევარი წლის განმავლობაში მოიხმარება, მაშინ პროდუქტი ნახევარი წლის განმავლობაში უნდა დაბრუნდეს მიმოქცევიდან.

ამრიგად, საქონელთა — როგორც სახმარ ღირებულებათა — მოკვდაობის ბუნებრივი ვადების გარდა, ვადებისა, რომლებიც მეტად სხვადასხვაა სხვადასხვა სახმარი ღირებულებისათვის, გარდა წარმოების პროცესების უწყვეტობის მოთხოვნებისა, რის შედეგადაც დადებული აქვს სხვადასხვა საბოლოო საზღვარი მიმოქცევის დროს, იმისდა მიხედვით, უფრო მეტი თუ უფრო ნაკლები დრო უნდა რჩებოდეს საქონელი წარმოების სფეროში და უფრო მეტი თუ უფრო ნაკლები დრო შეუძლია მას მიმოქცევის სფეროში დარჩეს; გარდა ყოველივე ამისა აქ მოქმედებს კიდევ მესამე გარემოება: საქონლის წარმოებაში შემაველი «დამხმარე კაპიტალის» მოკვდაობის — და ამიტომ აგრეთვე კვლავწარმოების აუცილებლობის — სხვადასხვა ვადები.

[შრომის მწარმოებლური ძალის გამადიდებელი «დამხმარე კაპიტალის» გამოყენების] მეორე პირობად ჯონსი თვლის «მოგებას», რომელსაც უნდა «აწარმოებდეს» «დამხმარე კაპიტალი» და რომლის მიღებაც, მართლაც, არის ყოველი კაპიტალისტური წარმოების *conditio sine qua non**, სულ ერთია, როგორიც უნდა იყოს გამოყენებული კაპიტალის ფორმაგანსაზღვრულობა. ჯონსს არსად არ აუხსნია ჩვენთვის, თუ როგორ წარმოუდგენია თვით მას ამ მოგების გენეზისი. მაგრამ რადგან მას იგი მხოლოდ «შრომიდან» გამოჰყავს, ხოლო ის მოგება, რომელსაც «დამხმარე კაპიტალი» იძლევა, მხოლოდ მუშების შრომის გაზრდილი ეფექტიანობიდან გამოჰყავს, ამიტომ ყოველი მოგება მას დაჰყავს აბსოლუტურ ან შეფარდებითს ზედმეტ შრომაზე. მოგება ხომ საერთოდ იმაშია, რომ კაპიტალისტი, — პროდუქტის იმ ნაწილის გამოკლების შემდეგ, რომელიც *in natura* ან გაცვლის გზით კაპიტალის იმ შემადგენელ ნაწილებს ანაზღაურებს, რომელთაც ნედლეული და შრომის საშუალებანი შეადგენენ, — ჯერ ერთი, პროდუქტის დარჩენილი ნაწილიდან იხდის ხელფასს, მეორე კი, პროდუქტის ნაწილს ისაკუთრებს ზ ე დ მ ე ტ ი პროდუქტის სახით, რომელსაც იგი ყიდის ან მოიხმარს *in natura*. (ეს უკანასკნელი კაპიტალისტური წარმოების პირობებში

* — აუცილებელი, სავალდებულო პირობა. რ ე დ.

არ უნდა იქნეს სათვალავში მიღებული, გარდა იმ კაპიტალისტების მცირე რიცხვისა, რომელნიც უშუალოდ აწარმოებენ აუცილებელ საარსებო საშუალებებს.) მაგრამ ეს ზედმეტი პროდუქტი საესებით ისევე, როგორც პროდუქტების სხვა ნაწილებიც, წარმოდგენს მუშის გასაგნობრივებულ შრომას, მაგრამ მხოლოდ ფასგადაუხდელ შრომას, შრომის პროდუქტს, რომელიც კაპიტალისტმა უექვივალენტოდ მიითვისა.

ჯონსის მიერ საკითხის განხილვაში ახალი იმაზე მითითება, რომ «დამხმარე კაპიტალის» გადიდება გარკვეულ ფარგლებს იქით დამოკიდებულია ცოდნის ზრდაზე. ჯონსი ამბობს, რომ «დამხმარე კაპიტალის» გადიდებისათვის აუცილებელია: 1) საშუალებანი დამატებითი კაპიტალის დასაზოგავად, 2) კაპიტალის დაზოგვის სურვილი, 3) რაიმე გამოგონება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა იმდენად გავადიდოთ შრომის მწარმოებლური ძალა, რომ შეიძლებოდეს დამატებითი კაპიტალის კვლავწარმოება და ამით მოგების მიღება.

აქ პირველ რიგში აუცილებელი ისაა, რომ არსებობდეს ზედმეტი პროდუქტი, ან ნატურალური ფორმით, ანდა ფულად გადაქცეული.

თუ ავიღებთ, მაგალითად, ბამბის წარმოებას, იყო დრო, როცა პლანტატორებს ამერიკაში (ისევე როგორც ახლა ინდოეთში) შეეძლოთ დიდი ფართობების დათესვა ბამბით, მაგრამ მათ არ ჰქონდათ სახსრები იმისათვის, რომ დროულად გადაექციათ ხამი ბამბა ბამბის ბოჭკოდ. მოყვანილი ბამბის ნაწილი ლპებოდა მინდვრად. ამას ბოლო მოეღო ბამბასაწმენდი მანქანის გამოგონებით. პროდუქტის ნაწილი ამჟამად ბამბასაწმენდ მანქანად იქცევა, მაგრამ ეს ბამბასაწმენდი მანქანა არა მარტო ანაზღაურებს თავის ხარჯებს, არამედ ადიდებს კიდევ ზედმეტ პროდუქტს. ასეთ-სავე გავლენას ახდენს ახალი ბაზრის გაჩენა, რაც ხელს უწყობს, მაგალითად, ტყავის გადაქცევას ფულად. (ამგვარადვე მოქმედებს ტრანსპორტის საშუალებათა გაუმჯობესებაც.)

ყოველი ახალი მანქანა, რომელიც ნახშირის ხმარობს, ამასთანავე არის ნახშირის სახით არსებული ზედმეტი პროდუქტის კაპიტალად გადაქცევის საშუალება. ზედმეტი პროდუქტის ნაწილის გადაქცევა «დამხმარე კაპიტალად» შეიძლება ხდებოდეს ორგვარი წესით. [ჯერ ერთი,] არსებული «დამხმარე კაპიტალის» გადიდების, გაფართოებული მასშტაბით მისი კვლავწარმოების გზით; [მეორე,] ახალ სახმარ ღირებულებათა აღმოჩენით ან ძველ სახმარ ღირებულებათა ახალი გამოყენებით და აგრეთვე ახალ მანქანათა თუ ძრავათა გამოგონებით, რის შედეგადაც «დამხმარე კაპიტალის» ახალი სახეობანი იქმნება. ცოდნის გაფართოება, რა თქმა უნდა, აქ «დამხმარე კაპიტალის» გადიდების ერთ-ერთი პირობაა.

ერთ-ერთი პირობა იმისა, რომ ზედმეტი პროდუქტი ანუ ზედმეტი ფული (ამასთან დიდი მნიშვნელობა აქვს საგარეო ვაჭრობას) გადაიქცეს დამატებით «დამხმარე კაპიტალად». ასე, მაგალითად, ტელეგრაფის აღმოჩენამ სრულიად ახალი ასპარეზი შექმნა «დამხმარე კაპიტალის» დაბანდებისათვის, ასევე რკინიგზებმაც და ა. შ., ასევე გუტაპერჩის ან ინდური კაუჩუკის მთელმა წარმოებამაც.

[1151] ეს პუნქტი ცოდნის გაფართოების შესახებ მნიშვნელოვანია.

დაგროვებისათვის სრულიადაც არაა აუცილებელი, რომ მას უშუალოდ მოძრაობაში მოჰყავდეს ახალი შრომა; იგი შეიძლება იმით კმაყოფილდებოდეს, რომ ძველ შრომას ახალი მიმართულება ეძლევა. მაგალითად, იგივე მექანიკური სახელოსნო, რომელიც წინათ [სელის] საქსოვ დაზგებს აწარმოებდა, ახლა აწარმოებს მექანიკურ დაზგებს, და ნაწილი [ხელით მომუშავე] მქსოველებისა გადადის ამ შეცვლილ წარმოებაში, მაშინ როდესაც დანარჩენ ნაწილს ქუჩაში ერეკებიან.

როცა რომელიმე მანქანა შრომის შემცველად გამოდის, იგი ყოველ შემთხვევაში (თავისი საკუთარი წარმოებისათვის) უფრო ნაკლებახალ შრომას მოითხოვს, ვიდრე მის მიერ შენაცვლებული შრომაა. შესაძლებელია, რომ ძველ შრომას ამასთან მხოლოდ ახალი მიმართულება ეძლევა. ყოველ შემთხვევაში გამოთავისუფლდება შრომა, რომელიც მეტი თუ ნაკლები ვაივაგლახისა და ხეტილის შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა მიმართულებით. ასე ღებულობს ადამიანის მასალას წარმოების ესა თუ ის ახალი სფერო. რაც შეეხება კაპიტალის უშუალო განთავისუფლებას, აქ თავისუფლება არა ის კაპიტალი, რომელიც მანქანას ყიდულობს, რადგან ის ხომ მასშია დაბანდებული. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვიგულისხმებდით, რომ მანქანა უფრო იაფია მის მიერ გაძევებული მუშების ხელფასზე, საჭიროა უფრო მეტი ნედლეული და ა. შ. თუ დათხოვნილი მუშების შენახვა 500 გირ. სტერლინგი ჯდება წელიწადში, ახალი მანქანა კი ასევე 500 გირ. სტერლინგი ღირს, მაშინ კაპიტალისტს წინათ უნდა დაეხარჯა ყოველწლიურად 500 გირ. სტერლინგი, მაშინ როდესაც ახლა მანქანა არსებობს, შესაძლოა, 10 წელი, და კაპიტალისტი სინამდვილეში ყოველწლიურად მხოლოდ 50 გირ. სტერლინგს ხარჯავს. რაც აქ ყოველ შემთხვევაში გამოთავისუფლება (მას შემდეგ, რაც ჩვენ გამოვაკლებთ ხარჯებს იმ დამატებითი მუშებისათვის, რომლებიც დასაქმებული არიან მანქანისა და ისეთი დამხარე მასალის წარმოებაში, როგორცაა, მაგალითად, ნახშირი), ეს არის ის კაპიტალი, რომელიც შეადგენდა დათხოვნილი მუშების შემოსავალს, ანდა ის კაპიტალი, რომელზეც გაცვლის წესით მუშები თავიანთ ხელფასს ხარჯავდნენ. ეს კაპიტალი უწინდებურად არსებობს. თუ მუშები გაძევებულნი ხდებიან უბრალოდ

როგორც მამოძრავებელი ძალა, თუ, მაგალითად, ახლა მანქანა მოძრაობაში მოჰყავს წყალს ან ქარს, უწინ კი იგი მოძრაობაში მოჰყავდა მუშებს, მაშინ გამოთავისუფლდება ორმაგი კაპიტალი; კაპიტალი, რომელიც წინათ მუშების ხელფასის გადახდისათვის გამოიყენებოდა, და ის კაპიტალი, რომელზეც მუშები თავიანთ ხელფასს ცვლიდნენ. ამგვარ მაგალითს ასახელებს რიკარდო*.

მაგრამ პროდუქტის გარკვეული ნაწილი, რომელიც წინათ გადაიქცეოდა ხოლმე ხელფასად, ახლა აუცილებლად «დამხმარე კაპიტალის» სახით იკვლავწარმოება.

შრომის მნიშვნელოვანი ნაწილი, წინათ რომ უშუალოდ საარსებო საშუალებათა საწარმოებლად გამოიყენებოდა, ახლა «დამხმარე კაპიტალის» საწარმოებლად გამოიყენება. ეს კი კვლავ ეწინააღმდეგება ა. სმიტის შეხედულებას, რომლის მიხედვით კაპიტალის დაგროვება მწარმოებლური შრომის უფრო მეტი რაოდენობის გამოყენების მომასწავებელია. გარდა იმისა, რაზეც ზემოთ იყო ლაპარაკი, აქ შეიძლება ადგილი ჰქონდეს უბრალოდ ცვლილებას შრომის გამოყენებაში და შრომის გადაადგილებას საარსებო საშუალებათა უშუალო წარმოებიდან წარმოების საშუალებათა, რკინიგზების, ხიდების, მანქანების, არხების და ა. შ. წარმოებაში.

* * *

{თუ რამდენად მნიშვნელოვანია დაგროებისათვის წარმოების საშუალებათა არსებული მასა და წარმოების არსებული მასშტაბი, ეს ჩანს შემდეგი ნაწყვეტიდან:

«გასაოცარი სისწრაფე, რითაც ლანკაშირში შეიძლება აგებულ იქნეს ბამბის ფაბრიკა, რომელიც სართავ და საქსოვ განყოფილებებს შეიცავს, იმის შედეგია, რომ ინიერებს, კონსტრუქტორებსა და მანქანათმშენებლებს აქვთ ყოველგვარი ნიშნუბის უდიდესი კოლექციები, დაწყებული გიგანტური ორთქლის მანქანებით, წყლის ბორბლებით, რკინის კოჭებით და დგარებით და გათავებული ვატერმანქანის ან საქსოვი დაზვის უწყრილესი დეტალებით. უკანასკნელი წლის განმავლობაში ბნმა ფერბერნმა მარტო ერთ-ერთ თავის მექანიკურ სახელოსნოში (წისქვილებისა და ორთქლის ქვაბების ასაგებ მის საწარმოსგან დამოუკიდებლად) ააგო 700 ცხენისძალიანი სიმძლავრის წყლის ბორბალი და 400 ცხენისძალიანი სიმძლავრის ორთქლის მანქანები. ყოველთვის, როცა საქონლის გაზრდილი მოთხოვნა ახალ კაპიტალს მოიზიდავს, ამ კაპიტალის ხელსაყრელი გამოყენებისათვის საჭირო საშუალებანი ისეთი სისწრაფით იქმნება, რომ ახალ კაპიტალს შეუძლია მიიღოს საკუთარი ღირებულების ტოლი მოგება მანამდე,

* — იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 740—743. რ ე დ .

სანამ ანალოგიური ფაბრიკა ამოქმედებას შეძლებდეს საფრანგეთში, ბელგიასა თუ გერმანიაში» (A. Ure. Philosophie des Manufactures etc. Tome 1. Paris, 1836, გვ. 61—62).

[1152] მრეწველობის განვითარება იწვევს მანქანების გაიფხვებას, ნაწილობრივ შეფარდებითს — მანქანების სიმძლავრესთან შედარებით, ნაწილობრივ — აბსოლუტურს; მაგრამ ამავე დროს ამასთან დაკავშირებულია მანქანების დიდი რაოდენობით თავმოყრა: ფაბრიკაში, ასე რომ გამოყენებულ ცოცხალ შრომასთან შეფარდებით მანქანური მოწყობილობის ღირებულება იზრდება, თუმცა მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილების ღირებულება მცირდება.

მამოძრავებელი ძალა — მამოძრავებელი ძალის მწარმოებელი მანქანა — იაფდება იმ ზომით, რა ზომითაც უმჯობესდება მამოძრავებელი ძალის გადამცემი მექანიზმი და სამუშაო მანქანა, ე. ი. იმ ზომით, რა ზომითაც მცირდება ხახუნის და ა. შ.

«თვითმოქმედი იარაღებიდან გამომდინარე უპირატესობებმა არა მარტო გააუმჯობესეს ფაბრიკის მანქანური მოწყობილობის სიზუსტე, არამედ მნიშვნელოვნადაც შეამცირეს მისი ფაქტო და გაადიდეს მისი მოძრაობის უნარი. ამჟამად ჩინებული ვატერმანქანა შეიძლება ვიყიდოთ თითოიხტარზე 9 შილინგისა და 6 პენსის ანგარიშით, სელფაქტორი კი — თითოიხტარზე 8 შილინგის ანგარიშით, სელფაქტორის საპატენტო გადასახადის ჩათვლით. თითოიხტარზე ბამბის ფაბრიკაში ისეთი უმნიშვნელო ხახუნით მოძრაობენ, რომ ერთ ცხენის ძალას მოძრაობაში მოჰყავს 500 თითოიხტარი წმინდად სართავ მანქანაზე, 300 თითოიხტარი სელფაქტორზე და 180 თითოიხტარი ვატერმანქანაზე; მარტო ეს ერთი ცხენის ძალა მომსახურებას უწყევს აგრეთვე ყველა მოსამზადებელ მანქანასაც, სახელდობრ — საჩეჩ მანქანას, საფთილავ მანქანას და ა. შ. სამი ცხენის ძალა საკმარისია იმისათვის, რომ აამოძრაოს 30 დიდი საქსოვი დაზგა მათი სახამებელი მანქანიურით» (A. Ure. Philosophie des Manufactures. Tome 1, Paris, 1836, გვ. 62—63.)

* * *

[ჯონსი შემდეგ აღნიშნავს:]

«დღეღამისის უდიდეს ნაწილში მშრომელი კლასების დიდი უმრავლესობა საერთოდ არც კი ღებულობს კაპიტალისტებისაგან თავის ხელფასს; ისინი ან თვითონ აწარმოებენ მას, ან ღებულობენ მას თავიანთ მუშტარათა შემოსავლიდან. აქ ჯერ კიდევ არაა ვადაღმებული პირველი დიდი ნაბიჯი, რომელიც უზრუნველყოფს მათი შრომის უწყვეტობას. მათ ეხმარება შრომაში მხოლოდ ის ცოდნა და მექანიკური ძალის ის რაოდენობა, რომელიც შეიძლება იმყოფებოდეს იმ ადამიანთა განკარგულებაში, რომლებიც საკუთარი ხელუების დახმარებით მუშაობენ თავიანთი საარსებო საშუალებებისათვის. დახელოვნება და მეცნიერება უფრო განვითარებული ხალხებისა, გიგანტური მამოძრავებელი ძალები,

დაგროვილი იარაღები და მანქანები, რომელთა მოძრაობაში მოყვანაც ამ ძალებს შეუძლიათ, — ყოველივე ეს არ არის შრომის იმ სახეობებში, რომელთაც მხოლოდ ასეთი მუშაკები ასრულებენ» (გვ. 43).

{თვით ინგლისში:

«ავილათ მიწათმოქმედება... სოფლის მეურნეობის კარგი წარმართვისათვის საჭირო ცოდნა ცოტათი გავრცელებული ამ ქვეყანაში და თანაც არა ყველგან. მიწათმოქმედი მოსახლეობის მეტად უმნიშვნელო ნაწილი სარგებლობს მთელი იმ კაპიტალით, რომლის... გამოყენებაც ეროვნული შრომის ამ დარგში შეიძლება. მსხვილ ფაბრიკებში მუშაობით დასაქმებულია ჩვენი არამიწათმოქმედი მუშაკების მხოლოდ მცირე ნაწილი. სოფლის ადგილებში ხელოსნებსა და ფაბრიკა-ქარხნის მუშებში, რომლებიც პატარა კოლექტივებით ასრულებენ თავიანთ ცალკეულ სამუშაოს, შრომის დანაწილება არ არის სრული და ამიტომ შრომის უწყვეტობაც არასრულყოფილია... თუ ვასცილებთ დიდი ქალაქების ფარგლებს და ქვეყნის ფართო სივრცეებს გადახედავთ, დაინახავთ, ეროვნული შრომის რა მნიშვნელოვანი ნაწილი როგორ შორსაა სრულყოფილობისგან როგორც შრომის უწყვეტობის მხრივ, ისე მისი დახვლოვნებისა და ძალის მხრივაც». (გვ. 44).

კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან დაკავშირებულია მეცნიერების გამოყოფა შრომისაგან და იმავე დროს — გამოყენება მეცნიერებისა როგორც ასეთისა მატერიალურ წარმოებაში.

* * *

მ ი წ ი ს რ ე ნ ტ ი ს შესახებ ჯონსი სწორად შენიშნავს შემდეგს: რენტა თანამედროვე აზრით, მთლიანად დამოკიდებული მოგებაზე, გულისხმობს

«წარმოების ერთი დარგიდან მეორეში კაპიტალისა და შრომის გადაადგილების შესაძლებლობას... კაპიტალისა და შრომის მოძრაობას, და იმ ქვეყნებში, სადაც სამიწათმოქმედო კაპიტალსა და სამიწათმოქმედო შრომას ასეთი მოძრაობა არ გააჩნიათ, ... ჩვენ არ შეგვიძლია მოველოდეთ არც ერთს იმ შედეგებიდან, რომლებიც ინგლისში მართოდენ ამ მოძრაობიდან გამომდინარეობენ» (გვ. 59).

ეს «მოძრაობა კაპიტალისა და შრომისა» საზოგადოდ მოგების საერთო ნორმის წარმოქმნის რეალური წინამძღვარია. იგი გულისხმობს განურჩეველ დამოკიდებულებას შრომის გარკვეული სახეობისადმი. აქ სინამდვილეში ადგილი აქვს (მუშათა კლასის ხარჯზე) კონფლიქტს იმ ცალმხრივ ხასიათსა, რომელსაც, ერთი მხრივ, შრომის დანაწილება და მანქანები ანიჭებენ სამუშაო ძალას, და იმ გარემოებას შორის, რომ ეს სამუშაო ძალა, მეორე მხრივ, უპირისპირდება კაპიტალს (რომელიც ამით განსხვავდება მისი განუვითარებელი

ფორმისაგან ამქრულ მრეწველობაში» მხოლოდ როგორც რეალური შესაძლებლობა ყოველი შრომისა საერთოდ, რომელსაც, იმისდა მიხედვით, თუ როგორი მოგების მიღება შეიძლება წარმოების ამა თუ იმ სფეროში, ეძლევა ესა თუ ის მიმართულება, ასე რომ შრომის სხვადასხვა მასა შეიძლება გადასროლილ იქნეს ერთი სფეროდან მეორეში.

აზიაში და ა. შ. «მოსახლეობის ძირითადი მასა მშრომელი გლეხებისაგან შედგება. მათ მიერ მიწის დასამუშავე ბლად გამოყენებული ჩამორჩენილი სისტემები შეიცავენ თავისუფალი დროის გრძელ შუალედებს. და მსგავსად იმისა როგორც გლეხი თავის საკუთარ საზრდოს აწარმოებს, ასევე ამზადებს იგი პირველი საჭიროების იმ საგანთა უმეტეს ნაწილს, რომელთაც თვითონ მოიხმარს — თავის ტანსაცმელს, თავის იარაღს, თავის ავეჯს, თავის შენობებსაც კი: ვინაიდან მის კლასში მოსაქმობათა მხოლოდ უმნიშვნელო დანაწილება არსებობს. ასეთ ადამიანთა ალათი და ზნე-ჩვეულებები არ იცვლება; ეს ზნე-ჩვეულებანი მშობლებიდან შეიღებზე გადადის; არ არსებობს არაფერი ისეთი, რასაც მათი შეცვლა ან დარღვევა შეეძლოს» (გვ. 97).

პირიქით, კაპიტალისტური წარმოებისათვის დამახასიათებელ კაპიტალისა და შრომის მოძრაობასთან და იმ მუდმივ რეველუციებთან ერთად, რომელთაც ადგილი აქვთ წარმოების წესში, მამასადამე, წარმოებით ურთიერთობებშიც, გაცვლის ურთიერთობებსა და ცხოვრების წესში, თავს იჩენს აგრეთვე დიდი მოძრაობა ხალხის ზნე-ჩვეულებებში. აზროვნებაში და ა. შ.

შეეადაროთ «მიწის დამუშავების ჩამორჩენილ სისტემათა» პირობებში «თავისუფალი დროის შუალედების» შესახებ ახლახან ციტირებულ ადგილს შემდეგი ორი გამონათქვამი:

1) «თუ ფერმაში გამოყენებულია ორთქლის მანქანა, იგი ქმნის ისეთი სისტემის შემაღლენელ ნაწილს, რომელიც სამუშაოს აძლევს მეშების ყველაზე დიდ რიცხვს მიწათმოქმედებაში, და ეს ყველა შემთხვევაში დაკავშირებულია გამოყენებული ცხენების რიცხვის შემცირებასთან» (On the Forces used in Agriculture. ბნ. ქონსი. შორტონის მოხსენება, წაკითხული ხელოვნებისა და ხელოსნობის საზოგადოებაში¹⁴⁶ 1859 წლის 7 დეკემბერს).

2) «განსხვავება დროში, რომელიც საჭიროა მიწათმოქმედების პროდუქტთა საწარმოებლად და შრომის სხვა სახეობათა პროდუქტების დასამზადებლად, მთავარი მიზეზია იმისა, რომ მიწათმოქმედნი დიდად დამოკიდებულნი არიან. მათ არ შეუძლიათ თავიანთი საკონელი ერთ წელზე უფრო ადრე ბაზარზე გაიტანონ. მთელი ამ დროის განმავლობაში ისინი იძულებული არიან ნისიად იყიდონ მეწაღისაგან, მკერავისაგან, მჭედლისაგან, ბორბლების ხელოსნისაგან და სხვა მუსაყებისაგან, რომელთა პროდუქტებსაც ისინი საჭიროებენ, ეს პროდუქტები კი რამდენიმე დღეში ან კვირაში მზადდება. ბუნებისაგან გაპირობებული ამ გარემოების გამო და არასამიწათმოქმედო შრომის დარგებში სიმდიდრის უფრო სწრაფი ზრდის გამო სახელმწიფოს მთელი მიწის მონოპოლიურ მფლობელებს, თუმცა მათ აგრეთვე კანონმდებლობის მონოპოლიზაცია

34. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

მოახდინეს, არ შეუძლიათ იხსნან თავისი თავი და თავიანთი მსახურნი, ფერმერები, საზოგადოების მთელი კლასებიდან ყველაზე დამოკიდებულ კლასად გადაქცევისაგან» (H o d g s k i n. Popular Political Economy. London, 1827, გვ. 147, შენიშვნა).

კაპიტალისტი იმით განსხვავდება კაპიტალისაგან, რომ მან უნდა იცხოვროს, ე. ი. იგი ყოველდღიურად და ყოველ საათში უნდა ხმარობდეს. ზედმეტი ღირებულების ნაწილს შემოსავლის სახით. მაშასადამე, რაც უფრო ხანგრძლივია წარმოების პერიოდი იმ მომენტამდე, როცა კაპიტალისტს შეუძლია თავისი საქონელი ბაზარზე გაიტანოს, ან რაც უფრო მეტი დრო სჭირდება მის გაყიდულ საქონელში ბაზრიდან მოგების მიღებას, მით უფრო მეტად არის კაპიტალისტი იძულებული შუალედურ დროში სესხით იცხოვროს (ეს აქ არ შეადგენს ჩვენი განხილვის საგანს) ანდა მას უნდა ჰქონდეს ფულის მით უფრო მეტი მარაგი, რომელსაც იგი ხარჯავს როგორც შემოსავალს. მით უფრო ხანგრძლივად არის კაპიტალისტი იძულებული ა ვ ა ნ ს ა დ ა ძ ლ ი ო ს თავის თავს საკუთარი შემოსავალი. მით უფრო მეტი უნდა იყოს მისი კაპიტალი. კაპიტალისტი იძულებულია თავისი კაპიტალის ნაწილი მუდამ გამოუყენებელი ჰქონდეს, რათა ეს ნაწილი მოხმარების ფონდს წარმოადგენდეს.

{ამიტომ წვირლ მიწათმოქმედებაში შინამრეწველობა შეერთებულია მიწათმოქმედებასთან. მარაგი წლისათვის და ა. შ.}

[3] ჯონსი დაგროვებისა და მოგების ნორმის შემახებ. ზედმეტი ღირებულების წყაროს საპითხი]

გადავიფაროთ ახლა ჯონსის მოძღვრებაზე და გ რ ო ვ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ. აქამდე აღნიშნული იყო მხოლოდ ორი თავისებური მომენტი დაგროვებაზე ჯონსის შეხედულებებში: ჯერ ერთი, რომ სრულიადაც არაა აუცილებელი დაგროვების წყარო იყოს მოგება; მეორე, რომ «და მ ხ მ ა რ ე კ ა პ ი ტ ა ლ ი ს» და გ რ ო ვ ე ბ ა დამოკიდებულია ც ო დ ნ ი ს პ რ ო გ რ ე ს ე. ჯონსი ამ პროგრესს შემოსაზღვრავს ახალი მექანიკური ხელსაწყოების, ძრავათა და ა. შ. გამოგონებით. მაგრამ ამ დებულებას საერთო მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, როცა მარცვლეული ნედლეულის სახით მოიხმარება არაყის დასამზადებლად, წარმოიქმნება დაგროვების ახალი წყარო, რადგან ამ შემთხვევაში ზედმეტი პროდუქტი შეიძლება გადაიქცეს ახალ ფორმებად, შეიძლება ემსახურებოდეს ახალ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და შეიძლება წარმოების ელემენტის სახით შევიდეს წარმოების ახალ სფეროში. ასევე ხდება მარცვლეულიდან სახამებლის და ა. შ. დამზადებისას. ამით ამ და საერ-

თოდ ყველა საქონლის გაცვლის სფერო ფართოვდება. ასე ხდება აგრეთვე, როცა ნახშირი განათებისა და ა. შ. მიზნებისათვის გამოიყენება.

რა თქმა უნდა, საგარეო ვაჭრობაც — სახმარ ღირებულებათა და საქონელთა მასის მრავალფეროვნების გადიდების მეშვეობით — აგრეთვე მნიშვნელოვანი ფაქტორია დაგროვების პროცესში.

და აი, ის, რასაც ჯონსი პირველ რიგში დაგროვებაზე ლაპარაკობს, შეეხება კავშირს დაგროვებასა და მოგების ნორმას შორის (უკანასკნელის გენეზისი მისთვის სულაც არაა ნათელი):

«რომელმე ერის უნარი მოგებიდან კაპიტალის დაგროვებისა არ იცვლება მოგების ნორმის ცვლილების პროპორციულად... პირიქით, მოგებიდან კაპიტალის დაგროვების უნარი ჩვეულებრივ მოგების ნორმის ცვლილებების საპირისპირო მიმართულებით იცვლება, ე. ი. იგი დღია იქ, სადაც მოგების ნორმა დაბალია, და მცირეა იქ, სადაც მოგების ნორმა მაღალია. ასე, მაგალითად, ა. სმიტი ამბობს: [1154] «მოსახლეობის შემოსავლის ის ნაწილი, რომლის წყაროც კაპიტალის მოგებაა, მდიდარ ქვეყნებში ყოველთვის გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ღარიბ ქვეყნებში, მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ კაპიტალი იქ მნიშვნელოვნად უფრო დიდია; კაპიტალთან შეფარდებით კი მოგება მდიდარ ქვეყნებში ჩვეულებრივ ბევრად უფრო მცირეა» (Wealth of Nations» წიგნი II, თავი მე-3).

ინგლისსა და პოლანდიაში მოგების ნორმა უფრო დაბალია, ვიდრე ევროპის ყოველ სხვა ნაწილში» (გვ. 21).

«იმ პერიოდის განმავლობაში, როცა მისი» (ინგლისის) «სიმდიდრე და კაპიტალი ყველაზე სწრაფად იზრდებოდა, მოგების ნორმა თანდათანობით მცირდებოდა» (გვ. 21—22).

«წარმოებული მოგების შეფარდებითი მასა... დამოკიდებულია არამატროოდენ მოგების ნორმაზე... არამედ მოგების ნორმაზე გამოყენებული კაპიტალის შეფარდებითს სიდიდესთან დაკავშირებით» (გვ. 22).

«უფრო მდიდარი ერის კაპიტალის რაოდენობის ზრდას... ჩვეულებრივ თან ახლავს აგრეთვე მოგების ნორმის დაცემა, ანუ გამოყენებული კაპიტალიდან მიღებული წლიური შემოსავლისა და ამ კაპიტალის ერთობლივი სიდიდის შეფარდების შემცირება» (იქვე).

«თუ ვინმე იტყვის, სხვა თანაბარ პირობებში მოგებიდან დაგროვების შესაძლებლობა მოგების ნორმით განისაზღვრება, ამაზე შეიძლება ვუპასუხოთ, რომ ეს შემთხვევა, თუკი ის საერთოდ პრაქტიკულად შესაძლებელია, ისე იშვიათია, რომ ყურადღებას არ იმსახურებს. დაკვირვებებთან ვიცი, რომ მოგების ნორმის შემცირება ისეთი მოვლენაა, რომელიც ჩვეულებრივ თან ახლავს სხვადასხვა ერის მიერ გამოყენებული კაპიტალის მასის სხვაობათა ზრდას, და იმიტომ, როცა უფრო მდიდარი ერების მოგების ნორმა მცირდება, ყველა დანარჩენი პირობა თანაბარი რაოდირებაა».

«თუ ვინმე იმის მტკიცებას დაიწყებს, მოგება შეიძლება ისე დაბლა დაეცეს, რომ მოგებიდან დაგროვება საერთოდ შეუძლებელი გახდება, ამაზე შეიძლება ვუპასუხოთ, რომ სასაიკლო იქნებოდა მოგების მსგავსი დაცემის ვარაუდის შესახებ კამათი, ვინაიდან უკვე დიდი ხნით აღრე მანამდე, სანამ მოგების ნორმა ასეთ დონეს მიადწევდა, კაპიტალი

გავიდოდა საზღვარგარეთ, რათა უფრო დიდი მოგება მიეღო რომელიმე სხვა ქვეყანაში, და კაპიტალის ექსპორტის შესაძლებლობა ყოველთვის დააწესებს გარკვეულ საზღვარს, რომლის დაბლა მოგება მოცემულ ქვეყანაში არასდროს არ დაეცემა, ვიდრე არსებობენ სხვა ქვეყნები. სადაც მოგების ნორმა უფრო მაღალია» (გვ. 22—23).

«დაგროვების პირველი წყაროების გარდა... არსებობს კიდევ მეორე დიდი წყაროები, როგორცაა, მაგალითად, სახელმწიფო პროცენტის ქაღალდების შეღობვითა. მოხელეთა და ა. შ. შემოსავალი» (გვ. 23).

ყოველივე ეს *bel et bon**. საესებით სწორია, რომ [მოგების] დავროვილი მასა სრულიადაც არაა დამოკიდებული მარტოდმარტო მოგების ნორმაზე, არამედ დამოკიდებულია გამოყენებულ კაპიტალზე გამრავლებულ მოგების ნორმაზე; მაშასადამე, იგი ამდენადვეა დამოკიდებული გამოყენებული კაპიტალის სიდიდეზეც. თუ გამოყენებული კაპიტალი უდრის კ-ს, მოგების ნორმა კი ნ-ს, მაშინ [მაქსიმალური] დაგროვება უდრის კნ-ს, და ცხადია, რომ ეს ნამრავლი შეიძლება დიდდებოდეს, როცა მამრავლი კ უფრო სწრაფად დიდდება, ვიდრე მამრავლი ნ მცირდება. და ასეთია, მართლაც, დაკვირვებით დადგენილი ფაქტი. მაგრამ ეს ჭერ კიდევ არაფერს არ გვეუბნება ჩვენ *raison d'être*-ს შესახებ, ამ ფაქტის მიზეზის შესახებ. თვით ჯონსი ერთობ ახლოს მივიდა ამ მიზეზთან, რაკი შეამჩნია, რომ «დამხმარე კაპიტალი» უწყვეტად იზრდება იმ მუშა მოსახლეობასთან შედარებით, რომელსაც ეს კაპიტალი მოძრაობაში მოჰყავს.

რამდენადაც მოგების დაცემა რიკარდოსეული მიზეზიდან, ე. ი. რენტის გადიდებიდან გამომდინარეობს, ერთობლივი ზედმეტი ღირებულების შეფარდება გამოყენებულ კაპიტალთან უცვლელი რჩება. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მისი ერთი ნაწილი—რენტა—მეორე ნაწილის—მოგების—ხარჯზე იზრდება, ეს კი უცვლელად ტოვებს ერთობლივი ზედმეტი ღირებულების შეფარდებას [ერთობლივ] კაპიტალთან, რადგან მოგება, სარგებელი და რენტა ზედმეტი ღირებულების მხოლოდ ცალკეულ კატეგორიებს შეადგენენ. ამრიგად, რიკარდო არსებითად თვით მოვლენას უარყოფს.

მეორე მხრივ, მარტოდენ სარგებლის განაკვეთის შემცირება არაფერს არ ამტკიცებს, ისევე როგორც არაფერს არ ამტკიცებს მისი გადიდებაც, თუმცა სარგებლის განაკვეთი, რა თქმა უნდა, მუდამ მაჩვენებელია იმ მინიმალური ნორმისა, რომელზე დაბლაც მოგება არ შეიძლება დაეცეს. ვინაიდან მოგება ყოველთვის უნდა იყოს სარგებლის საშუალო ნორმაზე მეტი.

* — ძალიან კარგია. რ ე დ.

[1155] მოგების ნორმის დაცემის კანონის უმნიშვნელოვანესი შედეგი, გარდა იმ შიშისა, რასაც იგი ეკონომისტებს აღუძრავს, ისაა, რომ ეს კანონი გულისხმობს კაპიტალის მუდმივად მზარდ კონცენტრაციას და, მასასადამე, უფრო წვრილი კაპიტალისტების მუდმივად მზარდ დეკაპიტალიზაციას. ასეთია საერთოდ კაპიტალისტური წარმოების ყველა კანონის შედეგი. და თუ ჩვენ ამ ფაქტს ჩამოვაშორებთ იმ ანტაგონისტურ ხასიათს, რომელიც მას მოსდგამს კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე, მაშინ რაღას გამოხატავს ეს ფაქტი, მზარდი ცენტრალიზაციის ეს პროცესი? მხოლოდ იმას, რომ წარმოება კარგავს თავის კერძო ხასიათს და იქცევა საზოგადოებრივ პროცესად, თანაც რეალურად და არა მხოლოდ ფორმალურად, როგორც ყოველი ისეთი ვაცვლისას, რომლის დროსაც წარმოება საზოგადოებრივია იმის გამო, რომ მწარმოებლები აბსოლუტურად დამოკიდებულნი არიან ერთიმეორეზე და რომ მათთვის აუცილებელია თავიანთი შრომა წარმოვიდგინონ როგორც აბსტრაქტულად საზოგადოებრივი შრომა (როგორც ფული). ვინაიდან წარმოების საშუალებანი გამოიყენება ახლა როგორც წარმოების საერთო საშუალებანი და ამიტომ — არა იმის გამო, რომ ისინი ცალკეულ პირთა საკუთრებას წარმოადგენენ, არამედ წარმოებისადმი მათი დამოკიდებულების გამო — როგორც საზოგადოებრივი წარმოების საშუალებანი; ასევე შრომაც ცალკეულ საწარმოებში ახლა საზოგადოებრივი მასშტაბით წარიმართება.

ქონსს აქვს განსაკუთრებული ნაწილი შემდეგი სათაურით: « მ ი ზ ე ზ ე ბ ი, რ ო მ ლ ე ბ ი ც გ ა ნ ს ა ზ ღ ე რ ა ე ე ნ დ ა გ რ ო ე ე ბ ი ს ა დ მ ი მ ი დ რ ე კ ი ლ ე ბ ა ს » [ეს მიზეზები ქონსს დაჰყავს შემდეგ ხუთ პუნქტზე:]

1) განსხვავებანი ხალხთა ტემპერამენტსა და მიდრეკილებებში;

2) განსხვავებანი ერის შემოსავალთა განაწილებაში მოსახლეობის სხვადასხვა კლასებს შორის;

3) დაზოგილი კაპიტალით საიმედო სარგებლობის მეტ-ნაკლები გარანტირება;

4) თანამიმდევრული დანაზოგის მომგებიანად და საიმედოდ დაბანდების შესაძლებლობის სხვადასხვა ხარისხი;

5) განსხვავებანი მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის დანაზოგით თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობაში» (გვ. 24).

ყველა ეს ხუთი მიზეზი არსებითად დაიყვანება იმაზე, რომ დაგროვება დამოკიდებულია კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს წ ე ს ი ს განვითარების იმ საფეხურზე, რომელსაც ამა თუ იმ გარკვეულმა ერმა მაღლწია.

ავილოთ, უწინარეს ყოვლისა, პუნქტი 2. იქ, სადაც კაპიტალისტური წარმოება განვითარებულა, დაგროვების მთავარ წყაროს წარმოადგენს მოგება, ე. ი. კაპიტალისტები თავს უყრიან თავიანთ ხელში ეროვნული შემოსავლის მეტ ნაწილს, და მიწის მესაკუთრეთა ნაწილიც კი იმას ცდილობს, რომ თავისი შემოსავლის კაპიტალიზაცია მოახდინოს.

პუნქტი 3. იურიდიული და პოლიციური გარანტიები იზრდება იმისა და მანვდვით, თუ როგორ იღებენ თავიანთ ხელში კაპიტალისტები სახელმწიფოს მართვა-გამგეობას.

პუნქტი 4. კაპიტალის განვითარებასთან ერთად იზრდება და მრავლდება, ერთი მხრივ, წარმოების სფეროები, მეორე მხრივ კი, ვითარდება კრედიტის ორგანიზაცია, რომელიც გამსესხებელთ (ბანკირებს) შესაძლებლობას აძლევს თავი მოუყარონ თავიანთ ხელში ყოველ დაზოგვილ გროშს.

პუნქტი 5. კაპიტალისტური წარმოების პირობებში ადამიანის მდგომარეობის გაუმჯობესება საზოგადოებაში დამოკიდებულია მხოლოდ ფულზე, და ყოველ ადამიანს შეუძლია წარმოიდგინოს, რომ ოდესღაც როტშილდი გახდება.

რჩება პუნქტი 1. ყველა ხალხს როდი აქვს ერთნაირი მონაცემები კაპიტალისტური წარმოებისათვის. ზოგიერთ ძველ ხალხს, როგორც, მაგალითად, თურქებს, არა აქვს ამისათვის არც ტემპერამენტი, არც მიდრეკილება. მაგრამ ეს გამონაკლისებია. კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან ერთად იქმნება ბურჟუაზიული საზოგადოების საშუალო დონე და ამასთან ერთად ტემპერამენტთა და მიდრეკილებათა საშუალო დონე სრულიად განსხვავებულ ხალხებში. კაპიტალისტური წარმოება, ქრისტიანობის მსგავსად, თავისი არსებით კოსმოპოლიტურია. ამიტომაცაა, რომ ქრისტიანობა არის კაპიტალის სპეციფიკური რელიგია. აქაც და იქაც მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ადამიანს. თავისთავად ერთი ადამიანი მეორეზე არც მეტი ღირს, არც ნაკლები. ქრისტიანობისათვის ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, აქვს თუ არა ადამიანს რწმენა, კაპიტალისთვის კი — აქვს თუ არა მას კრედიტი. გარდა ამისა პირველისათვის აქ ემატება კიდევ, რა თქმა უნდა, ღვთაებრივი ვანგება, მეორისათვის კი — შემთხვევა, აქვს ადამიანს ფული დაბადებიდანვე თუ არა.

* * *

შედმეტი ღირებულების წყარო და თავდაპირველი რენტა:

მას შემდეგ, რაც მიწა კერძო საკუთრება გახდა და დამუშავდა, იგი თითქმის მუდამ უბრუნებს მასზე დახარჯულ შრომას იმაზე მეტს, რაც აუცილებელია წინანდელი წესით მისი დამუშავების განსაგრძობად. იმას, რასაც მიწა [1 156]

ამის გადამეტებით აწარმოებს, ჩვენ ეუწოდებთ მის ზედმეტ პროდუქტს. ეს ზედმეტი პროდუქტი არის თავდაპირველი რენტის წყარო, და აგა განსაზღვრავს იმ შემოსავალთა სიდიდეს, რომელთა მიღება მიწიდან მუდამ შეუძლიათ მიწის მესაკუთრეებს განსხვავებით იმათგან, ვინც ამ მიწას იჭარბით იღებს» (გვ. 19).

ეს თავდაპირველი რენტა არის ის საზოგადოებრივი ფორმა, რომლითაც პირველად გვევლინება ზედმეტი ღირებულება, და ეს შეხედულება, ფარული სახით, საფუძვლად უდევს ფიზიოკრატების მოძღვრებას.

აბსოლუტურ და შეფარდებითს ზედმეტ ღირებულებას საერთო აქვთ ის, რომ ორივენი გულისხმობენ შრომის მწარმოებლური ძალის განვითარების გარკვეულ დონეს, თუ ადამიანის (ყოველი ადამიანის) მთელი სამუშაო დღე (მთელი სამუშაო დრო, რომელიც მის განკარგულებაშია) საკმარისი იქნებოდა მხოლოდ თვით მის (ანდა, საუკეთესო შემთხვევაში, აგრეთვე მისი ოჯახის) გამოსაკვებად, მაშინ აღარ იარსებებდა ზედმეტი შრომა, ზედმეტი პროდუქტი და ზედმეტი ღირებულება. შრომის მწარმოებლური ძალის განვითარების გარკვეული დონის ეს წანამძღვარი დამყარებულია სიმდიდრის წყაროების — მიწისა და წყლის — ბუნებრივ ნაყოფიერებაზე; ეს ნაყოფიერება კი სხვადასხვა ქვეყანაში და ა.შ. სხვადასხვაა. თავდაპირველად მოთხოვნილებანი მარტივი და პრიმიტიულია, მაშასადამე, მცირეა პროდუქტთა ის მინიმუმიც, რომელიც საჭიროა თვით მწარმოებელთა არსებობის შესანარჩუნებლად. ასევე მცირეა აქ ზედმეტი პროდუქტიც. მეორე მხრივ, ამ პირობებში ზედმეტი პროდუქტის ხარჯზე მცხოვრებთა რიცხვიც მეტად მცირეა, ასე რომ ზედმეტი პროდუქტი აქ წარმოადგენს მწარმოებელთა შედარებით დიდი რიცხვის მცირე ზედმეტი პროდუქტების ჯამს.

აბსოლუტური ზედმეტი ღირებულების საფუძველი — ე. ი. მისი არსებობის რეალური პირობა — არის მიწის, ბუნების ბუნებრივი ნაყოფიერება, მაშინ როდესაც შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება დამყარებულია საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალების განვითარებაზე.

ამით დავამთავრეთ ჯონსის განხილვა. [XVIII—1156]

**შემოსავალი და მისი წყაროები.
ვულგარული კოლიტიკური ეკონომია¹⁴⁷**

[1] სარგებელმომგებიანი კაპიტალის განვითარება
კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე [კაპიტალისტური
წარმოების წარმოების ურთიერთობათა ფატიზიზაცია.
სარგებელმომგებიანი კაპიტალი როგორც ამ ფატიზიზმის
შველაზე სრული გამოხატულება. ვულგარული ეკონომისტები
და ვულგარული სოციალისტები კაპიტალის
სარგებლის შესახებ]

[XV—891] შემოსავლის ფორმა და შემოსავლის წყაროები კაპიტალისტური წარმოების ურთიერთობებს ყველაზე ფეტიშისტური ფორმით გამოხატავენ. ეს არის ამ ურთიერთობათა ყოფიერება იმ სახით, რა სახითაც იგი ვლინდება ზედაპირზე, მასში დაფარული კავშირისა და გამაშუალებელი შუალედური რგოლებისაგან მოწყვეტილი. ასე ხდება შიშა შიშის რენტის წყარო, კაპიტალი — მოგების წყარო, შრომა კი — ხელფასის წყარო. ის დამახინჯებული ფორმა, რომლითაც ნამდვილად არსებული სიმახინჯე გამოიხატება, ბუნებრივად კვლავ აისახება ამ წარმოების წესის აგენტთა წარმოდგენებში. ეს არის განსაკუთრებული სახის ფიქცია უფანტაზიოდ, ეულგარული ობიექტელის რელიგია. ეულგარულ ეკონომისტებს — ისინი მკაცრად უნდა განეასხვოთ მკვლევარ-ეკონომისტებისაგან, რომლებიც ჩვენი კრიტიკის საგანს წარმოადგენენ, — ფაქტიურად პოლიტიკური ეკონომიის ენაზე გამოთქვამენ კაპიტალისტური წარმოების ტყვეობაში მყოფ პირთა და ამავე წარმოების მატარებელთა ისეთ წარმოდგენებს, მოტივებსა და ა.შ., რომლებშიც კაპიტალისტური წარმოება მხოლოდ თავისი ზერელე გარეგნული სახით აირეკლება. ისინი გამოთქვამენ მათ დოქტრინერულ ენაზე, მაგრამ [საზოგადოების] გაბატონებული ნაწილის, კაპიტალისტების, თვალსაზრისით, მასასადამე, არა გულუბრყვი-

ლოდ და ობიექტურად, არამედ აპოლოგეტურად. იმ ვულგარულ წარმოდგენათა შეზღუდული და პედანტური ასახვა, რომლებიც ამ წარმოების წესის მატარებელთა აზროვნებაში აუცილებლად წარმოიქმნება, დიდად განსხვავდება მოვლენათა შინაგანი კავშირის გაგებისადმი ისეთი ეკონომისტების მისწრაფებისაგან, როგორიც არიან ფიზიოკრატები, ა. სმიტი, რიკარდო.

მაგრამ ყველა ამ ფორმიდან ყველაზე დასრულებულ ფეტიშს წარმოადგენს ს ა რ გ ე ბ ე ლ მ ო მ ტ ა ნ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი. ჩვენ აქ გვაქვს კაპიტალის თავდაპირველი ამოსავალი პუნქტი, ფული, და ფორმულა: ფ—ს—ფ¹, დაყვანილი მის ორ კიდურ წვერზე, ფ—ფ¹. ფული, რომელიც ქმნის ფულის უფრო მეტ რაოდენობას. ეს არის კაპიტალის თავდაპირველი და საყოველთაო ფორმულა, შემოკლებული უაზრო რეზიუმემდე.

მ ი წ ა, ანუ ბ უ ნ ე ბ ა, როგორც წყარო მ ი წ ი ს რ ე ნ ტ ი ს ა, ე. ი. მიწის საკუთრებისა, — საკმაოდ ფეტიშისტურია. მაგრამ სახმარო ღირებულებებისა და საცვლელი ღირებულების ერთმანეთში არევის აჩემებული ხერხის მეშვეობით აქ ჩვეულებრივ წარმოდგენას კიდევ აქვს შესაძლებლობა [რენტის ასახსნელად] მიმართოს თვით ბუნების მწარმოებლურ ძალას, რომელიც რაღაც ფოკუსის მეშვეობით მიწის მესაკუთრეში პერსონიფიცირებულად წარმოისახება.

შ რ ო მ ა როგორც წყარო ხ ე ლ ფ ა ს ი ს ა, ე. ი. მუშის იმ წილისა მის პროდუქტში, რომელსაც განსაზღვრავს შრომის სპეციფიკური საზოგადოებრივი ფორმა; შრომა როგორც წყარო იმისა, რომ მუშა თავისი შრომით პროდუქტისაგან (ნივთობრივად განხილული კაპიტალისაგან) წარმოების ნებართვას ყიდულობს და შრომის სახით ისეთ წყაროს ფლობს, რომლის მეოხებითაც მას უკან უბრუნდება მისი პროდუქტის ნაწილი შრომის ანაზღაურების სახით ამ პროდუქტისაგან როგორც სამუშაოს მიმცემისაგან, — ესეც აგრეთვე საკმაოდ კარგი რამაა. მაგრამ ჩვეულებრივი წარმოდგენა აქ მაინც იმდენად ეთანხმება საქმის ნამდვილ მდგომარეობას, რომ თუმცა ის ერთიმეორეში ურევს შრომას და დაქირავებულ შრომას, და, მაშასადამე, დაქირავებულ შრომას და პროდუქტს, ხელფასს და შრომის პროდუქტს, მიუხედავად ამისა, მაინც ადამიანის სალი გონებისათვის ნათელი რჩება ერთი, სახელდობრ — რომ შრომა თვითონ ქმნის თავის ხელფასს.

რაც შეეხება კ ა პ ი ტ ა ლ ს, რამდენადაც იგი წ ა რ მ ო ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს შ ი განიხილება, მის შესახებ მეტად თუ ნაკლებად მუდამ რჩება ის წარმოდგენა, რომ ეს არის სხვისი შრომის დასაჭერი იარაღი. იმისდა მიუხედავად «სამართლიანია» ეს თუ «უსამართლო», დასაბუთე-

ბულია თუ დაუსაბუთებელი, — აქ მუდამ იგულისხმება და ივარაუდება კაპიტალისტის ურთიერთობა მუშასთან.

რამდენადაც კაპიტალი მიმოქცევის პროცესში გვევლინება, რაც ჩვეულებრივი შეხედულების მატარებელთა განსაკუთრებით თვალში ეცემა სავაჭრო კაპიტალში, როგორც კაპიტალის ისეთ სახეობაში, რომელიც მხოლოდ ამ ოპერაციას ეწევა, მოგების ახსნას აქ საფუძვლად უდევს ნაწილობრივ გაურკვეველი წარმოდგენა საყოველთაო მოტყუებაზე, ნაწილობრივ კი უფრო გარკვეული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ვაჭარი ატყუებს მრეწველ კაპიტალისტს ისე, როგორც მრეწველი კაპიტალისტი ატყუებს მუშას, ანდა ვაჭარი ატყუებს მომხმარებელს ისე, როგორც მწარმოებელი ატყუებენ ერთიმეორეს. ყველა შემთხვევაში მოგება მაინც გამოიყვანება გაცვლიდან, მაშასადამე, საზოგადოებრივი ურთიერთობიდან და არა ნივთიდან.

პირიქით, სარგებელმომტან კაპიტალში ფეტიში თავის დამთავრებას ღებულობს. აქ ჩვენ გვაქვს კაპიტალი მზა სახით, — მაშასადამე, წარმოების პროცესის და მიმოქცევის პროცესის ერთიანობა, — და ამიტომ დროის გარკვეულ პერიოდში იგი იძლევა გარკვეულ მოგებას. სარგებელმომტან კაპიტალში რჩება მხოლოდ ეს უკანასკნელი განსაზღვრა წარმოების პროცესით და მიმოქცევის პროცესით გაშუალების გარეშე. კაპიტალსა და მოგებაში ჯერ კიდევ არსებობს მოგონება იმისა, რაც აქამდე იყო, თუმცა მოგებასა და ზედმეტ ღირებულებას შორის განსხვავების გამო, ყველა კაპიტალის თანაბარი ნოვების — მოგების საერთო ნორმის — გამო, კაპიტალი უკვე [892] მეტად ბუნდოვანი, რალაც ბნელი და მისტიკური ხდება.

სარგებელმომტან კაპიტალში თავის დასრულებას ღებულობს ეს ავტომატიური ფეტიშიზმი, თვითმზარდი ღირებულება, ფული, რომელიც ფულს ქმნის, და ამ ფორმაში მას უკვე აღარ ეტყობა თავისი წარმოშობის არავითარი ნიშანკვალი. საზოგადოებრივი ურთიერთობის გადაქცევა ნივთის (ფულის, საქონლის) ურთიერთობად თვით თავის თავთან აქ დამთავრებულია.

სარგებლის და მოგებასთან მისი დამოკიდებულების შემდგომი გამოკვლევა აქ არ წარმოებს, ისევე როგორც არ წარმოებს გამოკვლევა იმისა, თუ რა პროპორციით იყოფა მოგება სამრეწველო მოგებად და სარგებლად. ცხადია ერთი, სახელდობრ: კაპიტალში და სარგებელში ღებულობს თავის დასრულებას კაპიტალი როგორც იდუმალი და თვითშემოქმედი წყარო სარგებლისა, ე. ი. თავისი გადიდების წყარო. აი რატომა, რომ [ჩვეულებრივი] წარმოდგენისათვის კაპიტალი უპირატესად სწო-

რედ ამ ფორმით არსებობს. ეს არის კაპიტალი *par excellence**.

რადგან კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე ღირებულების გარკვეული ჯამი, წარმოდგენილი ფულში ან საქონელში, — არსებითად, ფულში, საქონლის გარდაქმნილ ფორმაში, — იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ მუშებისაგან მივიღოთ *gratis*** შრომის გარკვეული რაოდენობა, მივითვისოთ გარკვეული ზედმეტი ღირებულება, ზედმეტი შრომა, ზედმეტი პროდუქტი, ამიტომ ცხადია, რომ თვით ფული შეიძლება გაიყიდოს როგორც კაპიტალი, როგორც საქონელი *sui generis****, ანდა რომ კაპიტალი შეიძლება ვიყიდოთ საქონლის ან ფულის სახით.

კაპიტალი შეიძლება გაიყიდოს როგორც მოგების წყარო. ფულის და ა. შ. მეშვეობით მე სხვა ადამიანს შესაძლებლობას ვაძლევ მიითვისოს ზედმეტი ღირებულება. ამიტომ ბუნებრივია, რომ მე ამ ზედმეტი ღირებულების ნაწილს ვღებულობ. როგორც მიწას აქვს ღირებულება იმის გამო, რომ იგი შესაძლებლობას მაძლევს ხელთ ვიგდო ზედმეტი ღირებულების ნაწილი, და ამიტომ მიწაში მხოლოდ მისი შემწეობით ხელში ჩაგდება ზედმეტ ღირებულებას ვანაზლაურებ, — ასევე კაპიტალშიც მე ვანაზლაურებ მისი შემწეობით შექმნილ ზედმეტ ღირებულებას. რადგან კაპიტალისტური წარმოების პროცესში ზედმეტი ღირებულების რეალიზაციასთან ერთად თვით კაპიტალის ღირებულება მარად შეინახება, იკვლავწარმოება, ამიტომ ბუნებრივია, რომ ფული ან საქონელი, როცა ისინი კაპიტალის სახით გაიყიდება, გარკვეული პერიოდის შემდეგ, გამყიდველს უბრუნდება და რომ ფულის გამყიდველი არასოდეს არ გაასხვისებს მას როგორც საქონელს, არამედ იგი ინარჩუნებს მათზე საკუთრებას. ფული ან საქონელი გაიყიდება ამ შემთხვევაში არა როგორც ფული ან საქონელი, არამედ როგორც მეორე ხარისხში აყვანილი, როგორც კაპიტალი, როგორც თვითშზარდი ფული ან საქონელი ღირებულება ერთობლივი წარმოების პროცესში მათი ღირებულება არა მარტო დიდდება, არამედ აგრეთვე შეინახება. ამიტომ ისინი რჩებიან კაპიტალად მყიდველისათვის, უკან უბრუნდებიან მას. გაყიდვა აქ იმით გამოიხატება, რომ მესამე პირი, რომელიც იყენებს მათ როგორც მწარმოებელურ კაპიტალს, ვალდებულია თავისი მოგების გარკვეული ნაწილი, რომელსაც იგი მხოლოდ ამ კაპიტალის წყალობით ღებულობს, გადაუხადოს კაპიტალის მფლობელს. ფული, მიწის მსგავსად, იჯარით ვაიციემა როგორც:

* — უპირატესად, სიტყვის ქვეშარტი მნიშვნელობით. რ ე დ.

** — მუქთად, უსასყიდლოდ. რ ე დ.

*** — თავისებური სახის, განსაკუთრებული სახის. რ ე დ.

ღირებულების შემქმნელი ნივთი, რომელიც შეინახება ამ ღირებულების შემქმნის პროცესში, მუდამ ახლად და ახლად უკან ბრუნდება და ამიტომ შეიძლება უკან დაუბრუნდეს თავდაპირველ გამყიდველს. მხოლოდ იმით, რომ თავდაპირველ გამყიდველს უკან უბრუნდება, ფული წარმოადგენს კაპიტალს. თუ ფულის ეს უკუდაბრუნება არ იქნებოდა, გამყიდველი გაყიდდა მას როგორც საქონელს, ან იყიდდა იმით როგორც ფულით.

მაგრამ ყოველ შემთხვევაში ფორმა, თავისთავად განხილული (სინამდვილეში ფულს პერიოდულად გაასხვისებენ ხოლმე როგორც შრომის ექსპლოატაციის საშუალებას, ზედმეტი ღირებულების მიღების საშუალებას), აქ ისეთია, რომ ნივთი წარმოგვიდგება ახლა როგორც კაპიტალი, კაპიტალი კი მხოლოდ როგორც ნივთი, კაპიტალისტური წარმოების პროცესის და მიმოქცევის მთელი შედეგი კი — როგორც თვით ნივთის დამახასიათებელი რაღაც თვისება; და ფულის მფლობელზე, ე. ი. ისეთი ფორმის მქონე საქონლის მფლობელზე, რომელსაც მუდამ გაცვლის უნარი შესწევს, არის დამოკიდებული, დახარჯავს იგი ამ ფულს ფულის სახით თუ გაასესხებს მას კაპიტალის სახით.

აქ ჩვენ გვაქვს მიმართება ფულისა როგორც ძირითადი თანხისა თავის თავისადმი როგორც ნაყოფისადმი, და მისი საკუთარი ღირებულება განსაზღვრავს იმ მოგების ოდენობას, რომელსაც იგი იძლევა, ამასთან თვით იგი ამ პროცესის შედეგად არ ქრება (როგორც ეს კაპიტალის ბუნებას შეეფერება).

ამიტომ გასაგებია, თუ რატომაა, რომ ზერელი კრიტიკა, მსგავსად იმისა როგორც იგი საქონლის არსებობას ემხრობა და ფულის წინააღმდეგ იბრძვის, ახლა მთელი თავისი რეფორმატორული სიბრძნით სარგებელმომტანი კაპიტალის წინააღმდეგ ილაშქრებს, არ ეხება რა ამასთან ნამდვილ კაპიტალისტურ წარმოებას, და თავს ესხმის ამ წარმოების მხოლოდ ერთ-ერთ შედეგს. კაპიტალისტური წარმოების პოზიციებიდან წარმოებული და სარგებელმომტანი კაპიტალის წინააღმდეგ მიმართული ეს პოლემიკა, რომელიც ამჟამად თავის თავს «სოციალიზმს» უწოდებს, გვხვდება ამასთან როგორც თვით კაპიტალის განვითარების მომენტი, მაგალითად, XVII საუკუნეში, როცა მრეწველ კაპიტალისტს ჯერ კიდევ ძალით უნდა მოეპოვებინა თავისი მღვომარეობა იმ ძველი მოღის შევახშესთან ბრძოლაში, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ მასზე უფრო ძლიერი იყო.

[893] ყველაზე სრული განიხილება [Versachlichung], ს ი მ ა ხ ი ნ ჯ ე და უ გ უ ნ უ რ ო ბ ა კაპიტალისა როგორც სარგებელმომტანი კაპიტალისა, — რაშიაც, თუმცაღა, მხოლოდ ყველაზე თვალსაჩინო ფორმით ვლინდება კაპიტალისტური წარმოების შინაგანი ბუნება, მისი უგუნური ხასიათი, — ის კაპიტალია, რომელსაც მოაქვს «სარგებლის სარგებელი»

25 კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

[Zinseszins], სადაც კაპიტალი წარმოგვიდგება როგორც ერთგვარი მოლოხი, რომელიც მოითხოვს მთელ სამყაროს როგორც მის კუთვნილ მსხვერპლს, მაგრამ, რაღაც იღუმალი განგების მეოხებით ვერასდროს ვერ აკმაყოფილებს თავის კანონიერ, თვით თავისი ბუნებიდან გამომდინარე მოთხოვნებს, მუდამ დაბრკოლებებს ხვდება მათი დაკმაყოფილების გზაზე.

კაპიტალის დამახასიათებელი მოძრაობა — როგორც წარმოების პროცესში, ისე მიმოქცევის პროცესშიც — არის ფულის ან საქონელთა უკან დაბრუნება მათს ამოსავალ პუნქტთან, კაპიტალისტთან. ეს გამოხატავს, ერთი მხრივ, რეალურ მეტამორფოზს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საქონელი გადაიქცევა თავის წარმოების პირობებად, წარმოების პირობები კი კვლავ გადაიქცევა საქონლის ფორმად: კვლავწარმოება; მეორე მხრივ — ფორმალურ მეტამორფოზს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საქონელი გადაიქცევა ფულად, ფული კი კვლავ საქონლად გადაიქცევა. ბოლოს, ეს უკან დაბრუნება ამოსავალ პუნქტთან გამოხატავს აქ ღირებულების ზრდას, ფ—ს—ფ'. თავდაპირველი ღირებულება კი, რომელიც პროცესის მსვლელობაში იზრდება, მუდამ იმავე კაპიტალისტის ხელში რჩება. იცვლება მხოლოდ ის ფორმები, რომლებშიც კაპიტალისტი ამ თავდაპირველ ღირებულებას ფლობს, — სულ ერთია — ფლობს მას იგი ფულის ფორმით, საქონლის ფორმით თუ თვით წარმოების პროცესის ფორმით.

სარგებელმომტან კაპიტალში კაპიტალის ეს უკან დაბრუნება თავის ამოსავალ პუნქტთან ღებულობს სრულიად გარეგნულ ფორმას, მოწყვეტილს იმ ნამდვილი მოძრაობისაგან, რომლის ფორმასაც იგი წარმოადგენს. A ხარჯავს თავის ფულს არა როგორც ფულს, არამედ როგორც კაპიტალს. აქ არ ხდება ფულის არავითარი ვარდაქმნა. იგი მხოლოდ ერთი ხელიდან მეორეში გადადის. მათი ნამდვილი გადაქცევა კაპიტალად მხოლოდ B-ს ხელში ხდება. მაგრამ A-სთვის იგი კაპიტალი ხდება თავისი გადასვლით A-ს ხელიდან B-ს ხელში. კაპიტალის ნამდვილ უკან დაბრუნებას წარმოების პროცესიდან მიმოქცევაში ადგილი აქვს B-სთვის. A-სთვის კი ფულის უკან დაბრუნება ხორციელდება იმავე წესით, როგორც მათი გასხვისებაც. B-ს ხელიდან ფული უკან გადადის A-ს ხელში. ეს უკანასკნელი ფულს კი არ ხარჯავს, არამედ გააასესებს.

ფულის ყოველი ადგილგადასაცვლება ნამდვილ წარმოების პროცესში გამოხატავს კვლავწარმოების რომელიმე მომენტს, იქნება ეს ფულის გადაქცევა შრომად, მზა საქონლის გადაქცევა ფულად (წარმოების აქტის დასრულება), თუ ფულის უკუგადაქცევა საქონლად (წარმოების პროცე-

სის განახლება, კვლავწარმოების ხელახლა დაწყება). ფულის ადგილგადა-
 ნაცვლება, როცა ეს ფული გ ა ს ე ს ხ ე ბ უ ლ ი ა როგორც კ ა პ ი ტ ა -
 ლ ი, ე. ი. როცა იგი არ გადაიქცევა კაპიტალად, არამედ მიმოქცევაში
 შედის როგორც კაპიტალი, გამოხატავს მხოლოდ იმავე ფულის გადატა-
 ნას ერთი ხელიდან მეორეში. საკუთრების ტიტული რჩება გამსესხებლის
 ხელში, ფულის მფლობელობა კი გადადის მრეწველი კაპიტალისტის
 ხელში. მაგრამ გამსესხებლისთვის ფულის გადაქცევა კაპიტალად იმ
 მომენტიდან იწყება, როცა იგი ამ ფულს ხარჯავს არა როგორც ფულს,
 არამედ როგორც კაპიტალს, ე. ი. როცა მას მრეწველ კაპიტალისტს გადა-
 სცემს. (ფული მისთვის კაპიტალი რჩება იმ შემთხვევაშიც, როცა იგი
 მას სესხად აძლევს არა მრეწველს, არამედ მფლანგველს, ანდა როცა
 მას სესხად აძლევს მუშას, რომელსაც ბინის ქირის გადახდა არ შეუძლია.
 ამაზე და მყარებული ლომბარდის მთელი საქმიანობა.) მართალია, სხვა
 პირი ნამდვილად აქცევს ფულს კაპიტალად, მაგრამ ეს ოპერაცია ხორ-
 ციელდება იმ ოპერაციის ფარგლებს იქით, რომელსაც ადგილი აქვს გა-
 მსესხებელსა და მსესხებელს შორის. უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ო პ ე რ ა -
 ც ი ა შ ი ეს უშუაღედი რგოლი გამჭრალია, უხილავია, უშუალოდ არ
 შედის მასში. კაპიტალად ფულის ნამდვილი გადაქცევის ნაცვლად აქ
 არის მხოლოდ კაპიტალად ფულის ამ გადაქცევის უშინაარსო ფორმა.
 როგორც ეს სამუშაო ძალის მიმართ არის, ფ უ ლ ი ს ს ა ხ მ ა რ ი
 დ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ხ დ ე ბ ა ა ქ ი ს, რომ ფული ქმნის საცვლელ
 ღირებულებას, უ ფ რ ო დ ი დ ს ა ც ვ ე ლ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს.
 ვ ი დ რ ე თ ვ ი თ მ ა ს შ ი მ ო თ ა ვ ს ე ბ უ ლ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე -
 ბ ა ა. ფული ს ე ს ხ ა დ გ ა ი ც ე მ ა რ ო გ ო რ ც თ ვ ი თ მ ზ ა რ -
 დ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, როგორც საქონელი. მაგრამ ისეთი საქონე-
 ლი, რომელიც სწორედ ამ თავისი თვისებით განსხვავდება საქონლისაგან
 როგორც ასეთისაგან და რომელსაც ამიტომ სწორედ გ ა ს ხ ე ი ს ე ბ ი ს
 გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ფ ო რ მ ა ა ქ ე ს.

კაპიტალის ამოსავალი პუნქტია საქონელმფლობელი, ფულის მფლო-
 ბელი, ერთი სიტყვით — კაპიტალისტი. რადგან კაპიტალის ამოსავალი
 და ბოლო პუნქტი ერთიმეორეს ემთხვევა, კაპიტალი უბრუნდება კაპი-
 ტალისტს. მაგრამ აქ კაპიტალისტი არსებობს ორნაირად: როგორც კაპი-
 ტალის მესაკუთრე და როგორც მრეწველი კაპიტალისტი, რომელიც ფულს
 ნამდვილად აქცევს კაპიტალად. ფაქტიურად [894] კაპიტალი მოედინება
 მეორე კაპიტალისტიდან და უბრუნდება მასვე, მაგრამ მხოლოდ როგორც
 დროებით მფლობელს. კაპიტალისტი აქ არსებობს ორნაირად: იურიდიუ-
 ლად და ეკონომიურად. როგორც საკუთრება, კაპიტალი უბრუნდება კიდევ
 ამიტომ იურიდიულ კაპიტალისტს, ასე ვთქვათ, უკანონო მეუღლეს.

მაგრამ კაპიტალის დაბრუნება, რომელიც შეიცავს მისი ღირებულების შენახვას და ხდის მას შენახულ და უკვდავყოფილ ღირებულებად, გაშუალებულია №2 კაპიტალისტიკისათვის, მაგრამ სრულადაც არა №1 კაპიტალისტიკისათვის. ამიტომაც კაპიტალის უკან დაბრუნება წარმოგვიდგება აქ არა როგორც შედეგი რიგი ეკონომიური პროცესებისა, არამედ როგორც შედეგი განსაკუთრებული იურიდიული გარიგებისა მყიდველსა და გამყიდველს შორის, როგორც შედეგი იმისა, რომ კაპიტალი ამ შემთხვევაში გასესხებულა და არა გაყიდული, ე. ი. რომ იგი გასესხებულა მხოლოდ დროებით. სინამდვილეში გაყიდულია მხოლოდ მისი სახმარი ღირებულება, რომელმაც უნდა აწარმოოს საცვლელი ღირებულება, მოიტანოს მოგება, შექმნას უფრო მეტი ღირებულება, ვიდრე თვითონ შეიცავს. როგორც ფული, კაპიტალი არ იცვლება ხმარების გამო. მაგრამ როგორც ფული იგი ეძლევა სხვა პირს და როგორც ფული უკუმოედინება.

ის ფორმა, რომლითაც კაპიტალი უკუმოედინება, დამოკიდებულია მოცემული კაპიტალის კლავწარმოების წესზე. თუ კაპიტალი გასესხებულია როგორც ფული, იგი უკან ბრუნდება საბრუნავი კაპიტალის ფორმით, — უკან ბრუნდება მთელი მისი ღირებულება პლუს ზედმეტი ღირებულება, მოცემულ შემთხვევაში ზედმეტი ღირებულების ან მოგების ის ნაწილი, რომელიც დაიყვანება სარგებელზე; ფულის გასესხებული თანა პლუს აქედან წარმოქმნილი ნამატი.

თუ კაპიტალი გასესხებულია მანქანების, შენობებისა და ა. შ. ფორმით, მოკლედ, იმ ნივთობრივი ფორმით, რომლითაც იგი წარმოების პროცესში უნდა მოქმედებდეს როგორც ძირითადი კაპიტალი, მაშინ იგი უკან ბრუნდება ძირითადი კაპიტალის ფორმით, ანუ იტიტის სახით, ე. ი., მაგალითად, ყოველწლიური გადასახდელის სახით, რაც უდრის გაცვეთისათვის ანაზღაურებას, რომელიც შეესაბამება ძირითადი კაპიტალის ღირებულების იმ ნაწილს, რომელიც მიმოქცევაში შევიდა, — პლუს ზედმეტი ღირებულების ის ნაწილი, რომელიც დაერიცხება როგორც მოგება (აქ: როგორც მოგების ნაწილი, როგორც სარგებელი) ძირითად კაპიტალს (არა რამდენადაც ეს ძირითადი კაპიტალია, არამედ რამდენადაც ეს საერთოდ გარკვეული ოდენობის კაპიტალია).

უკვე მოგებაში როგორც ასეთში ზედმეტი ღირებულება — და ამიტომ მისი, მოგების, ნამდვილი წყარო გაბუნდოვანებული და მისტიფიცირებულია:

1) იმით, რომ მოგება, ფორმალურად განხილული, არის ზედმეტი ღირებულება, გამოანგარიშებული მთელ ავანსებულ კაპიტალზე.

ტალზე, ასე რომ კაპიტალის, როგორც ძირითადის, ისე საბრუნავის, ყოველი ნაწილი, ნედლეულსა, მანქანებსა და შრომაზე დახარჯული, თანაბარი სიდიდის მოგებას იძლევა;

2) იმით, რომ როგორც ცალკეული მოცემული კაპიტალის, მაგალითად, 500-ის, ყოველი მეხუთედი ნაწილი, მაგალითად, 10%-ს იძლევა, როცა ზედმეტი ღირებულება 50-ს შეადგენს, — ასევე ახლა მოგებების საერთო ნორმის დამყარების გამო ყოველი კაპიტალი, 500 იქნება თუ 100, რომელ სფეროშიც არ უნდა მოქმედებდეს იგი, როგორც არ უნდა იყოს მასში გადაბრუნების დრო და ა. შ., დროის ერთსა და იმავე პერიოდში იძლევა ისეთსავე საშუალო მოგებას, მაგალითად, 10%-ს, როგორსაც სრულიად განსხვავებულ ორგანულ პირობებში მოქმედი ყოველი სხვა კაპიტალიც. მაშასადამე, იმით, რომ იზოლირებულად განხილული ცალკეული კაპიტალების მოგება და თვით მათ მიერ მათს საკუთარ წარმოების სფეროებში შექმნილი ზედმეტი ღირებულება რეალურად განსხვავებული სიდიდეებია.

მეორე პუნქტში, სხვათა შორის, შემდგომ განვითარებას ლებულობს ის, რასაც უკვე პირველი შეიცავდა.

მაგრამ სარგებელი სწორედ ზედმეტი ღირებულების ამ უკვე სრულიად გარეგნულ ფორმაზეა დამყარებული, ფორმაზე, რომელიც განსხვავდება მისი იმ პირველი უბრალო სახისგან, რომელშიც იგი ჯერ კიდევ ატარებს თავისი წარმოშობის ნიშანკვალს და რომელიც ერთი შეხედვით როდი გამოიკნობა; სარგებელი ემყარება ზედმეტი ღირებულების — როგორც მოგების — ყოფიერებას. სარგებელი უშუალოდ ფულისხმობს არა ზედმეტ ღირებულებას, არამედ მოგებას; იგი წარმოადგენს მხოლოდ მოგების განსაკუთრებულ კატეგორიას, განსაკუთრებულ რუბრიკად მიჩნეულ ნაწილს. ამრიგად, სარგებელში ზედმეტი ღირებულების გამოცნობა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე მოგებაში, რადგან მოგება უშუალო მიმართებაშია ზედმეტ ღირებულებასთან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი მოგების ფორმით გამოდის.

კაპიტალის უკან დაბრუნების დრო დამოკიდებულია ნამდვილ წარმოების პროცესზე; სარგებელმოტანი კაპიტალის შემთხვევაში მისი უკან დაბრუნება ისე გვეჩვენება, თითქოს იგი დამოკიდებული იყოს მხოლოდ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის შეთანხმებაზე. ამიტომ ამ გარიგების თვალსაზრისით კაპიტალის დაბრუნება წარმოგვიდება უკვე არა როგორც ისეთი შედეგი, რომელიც წარმოების პროცესით არის განსაზღვრული, არამედ იმგვარად, თითქოს კაპიტალს ფულის ფორმა ერთი წუთითაც არ დაეკარგოს. რა თქმა უნდა, ფაქტიურად ეს

გარიგებანი განსაზღვრულია კაპიტალის ნამდვილი დაბრუნებით, მაგრამ თვით გარიგებაში ეს არ ვლინდება.

[895] სარგებელი, მოგებისაგან განსხვავებით, წარმოადგენს მართოდ ენ კაპიტალის საკუთრების ძალას, ე. ი. იგი გადააქცევს ფულის (ლირებულების თანხის, საქონლის ყოველგვარი ფორმით) საკუთრებას პოტენციურად კაპიტალის საკუთრებად, მაშასადამე, საქონელს ან ფულს, თავისთავად აღებულს, გადააქცევს თვითმზარდ ღირებულებად. რასაკვირველია, შრომის პირობები კაპიტალია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი მუშის მიმართ მოქმედებენ როგორც მისი არასაკუთრება [Nichteigentum], და ამიტომ როგორც სხვისი საკუთრება. მაგრამ როგორც მუშისთვის უცხო საკუთრება ისინი მოქმედებენ მხოლოდ ანტაგონისტური მიმართებით შრომისადმი. შრომის ამ პირობების ანტაგონისტური ყოფიერება შრომის მიმართ ხდის მათს მესაკუთრეს კაპიტალისტად. ხოლო ამ მის კუთვნილ შრომის პირობებს — კაპიტალად. მაგრამ ფულის მქონე კაპიტალისტის — A-ს — ხელში კაპიტალს არა აქვს ეს ანტაგონისტური ხასიათი, რომელიც მას კაპიტალად ხდის და, მაშასადამე, იმასაც იწვევს აგრეთვე, რომ ფულის საკუთრება წარმოვიდგება როგორც კაპიტალისტური საკუთრება. ის რეალური ფორმა განსაზღვრულობა, რომლის მეოხებითაც ფული ან საქონელი კაპიტალი ხდება, აქ გამჭრალია. ფულის მქონე კაპიტალისტი A არასგზით არ უპირისპირდება მუშას, ის უპირისპირდება მხოლოდ მეორე კაპიტალისტ B-ს. იგი მიჰყიდის სინამდვილეში ამ B-ს მხოლოდ ფულის «მომარებას», იმ შედეგებს, რომელთაც ეს ფული გამოიწვევს, როცა იგი მწარმოებლურ კაპიტალად გადაიქცევა. მაგრამ სინამდვილეში მომარება როდია ის, რასაც იგი აქ უშუალოდ ყიდის. როცა საქონელს ვყიდი, მე ვყიდი გარკვეულ სახმარ ღირებულებას. როცა მე საქონლით ფულს ვყიდულობ, მე ვყიდულობ იმ ფუნქციონალურ სახმარ ღირებულებას, რომელიც აქვს ფულს როგორც საქონლის გარდაქმნილ ფორმას. საქონლის სახმარ ღირებულებას მე არ ვყიდი მის საცვლელ ღირებულებასთან ერთად, ისევე როგორც მე არ ვყიდულობ ფულის განსაკუთრებულ სახმარ ღირებულებას თვით ფულთან ერთად. მაგრამ კაპიტალად თავის გადაქცევამდე და კაპიტალის სახით ამოქმედებამდე, რასაც ფული არ აკეთებს გამსესხებლის ხელში, — ფულს როგორც ფულს არ გააჩნია სხვა სახმარი ღირებულება, გარდა იმისა, რაც მას აქვს როგორც საქონელს (ოქრო, ვერცხლი — მისი, ფულის, ნივთობრივი სუბსტანცია) ან როგორც ფულს, როგორც საქონლის გარდაქმნილ ფორმას. სინამდვილეში ის, რასაც გამსესხებელი მრეწველ

კაპიტალისტს მიჰყიდის, ის, რაც ამ გარიგებაში ხდება, მხოლოდ შემდეგია: გამსესხებელი უთმობს მრეწველ კაპიტალისტს გარკვეული დროით ფულის საკუთრებას. იგი გაასხვისებს თავის საკუთრების ტიტულს გარკვეული ვადით, და ამით მრეწველი კაპიტალისტი გარკვეული ვადით ყიდულობს ამ საკუთრებას. ამიტომ გამსესხებლის ფული გვევლინება როგორც კაპიტალი ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მისი გასხვისება მოხდებოდეს: ფულის ან საქონლის მართოდენ საკუთრება, კაპიტალისტური წარმოების პროცესს ჩამოშორებული, გვევლინება როგორც კაპიტალი.

საქმის ვითარება სრულიადაც არ იცვლება იმით, რომ ფული ავლენს თავის თავს როგორც კაპიტალს მხოლოდ მისი გასხვისების შემდეგ, ისევე როგორც ბამბის სახმარი ღირებულება სრულებით არ იცვლება იმის გამო, რომ იგი ნამდვილად თავის თავს ავლენს მხოლოდ მრთველისათვის მიყიდვის შემდეგ, ანდა ხორცის სახმარი ღირებულება სრულიად არ იცვლება იმით, რომ იგი თავს ავლენს ნამდვილად მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხორცი მეხორცის დუქნიდან მომხმარებლის სუფრაზე გადავიდა.

ფული, თუკი იგი მოხმარებაზე არ იხარჯება, საქონელი, თუკი იგი არ ემსახურება კვლავ ამ საქონლის მესაკუთრის მოხმარებას, — თავის მესაკუთრეს ხდის კაპიტალისტად და თავისთავად — კაპიტალისტური წარმოების პროცესისგან დამოუკიდებლად და «მწარმოებლურ» კაპიტალად გადაქცევამდე — გვევლინება როგორც კაპიტალი, ე. ი. როგორც თვითმზარდი ღირებულება, რომელიც თავის თავს ინახავს და დიდდება. ღირებულების შექმნა, სარგებლის მოტანა, სავსებით ისეთივე იმანენტური თვისებაა ფულისა, როგორც მსხლის ხის თვისებაა ის, რომ მსხალი წაყოფად მოჰქონდეს. და სწორედ ასეთი სარგებელმომტანი ნივთის სახით მიჰყიდის გამსესხებელი თავის ფულს მრეწველ კაპიტალისტს. რადგან ეს ფული შეინახება, თავისი თავის შემნახველი ღირებულებაა, ამიტომ მრეწველ კაპიტალისტს შეუძლია მისი უკან დაბრუნება ნებისმიერ დათქმულ ვადაში. რადგან ფული ყოველწლიურად ქმნის გარკვეულ ღირებულებას, გარკვეულ სარგებელს, უფრო ზუსტად, რადგან დროის ყოველ მოწაკვეთში ფულს ემატება ღირებულება, ამიტომ მსესხებელს შეუძლია უხადოს გამსესხებელს ეს ზედმეტი ღირებულება ყოველწლიურად ანდა სხვა, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ვინაიდან კაპიტალის სახით ფული ყოველწლიურად იძლევა ზედმეტ ღირებულებას სავსებით ისევე, როგორც ამას დაქირავებული შრომა აკეთებს. თუმცა სარგებელი მხოლოდ მოგების განსაკუთრებული სახელწოდებით ფიქსირებული ნაწილია, აქ იგი გამოდის როგორც ზედმეტი ღირებულების, ისეთი შექმნა, რომელიც დამახასიათებელია კაპიტალისათვის როგორც

ასეთისათვის, წარმოების პროცესისაგან მოწყვეტით, და ამიტომ დამახსიათებელია კაპიტალის საკუთრებისათვის, ფულის და საქონლის საკუთრებისათვის, იმ ურთიერთობათაგან მოწყვეტით, რომელნიც წარმოშობენ ანტაგონიზმს ამ საკუთრებასა და შრომას შორის და რომელნიც ამიტომ ამ საკუთრებას კაპიტალისტური საკუთრების ხასიათს აძლევენ, — დამახსიათებელია მარტოოდენ კაპიტალის საკუთრებისათვის და, მაშასადამე, კაპიტალისათვის ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. პირიქით, **ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო მ ო გ ე ბ ა** გვევლინება აქ როგორც მხოლოდ სარგებლის წანამატი, რომელსაც მსესხებელი შოულობს სესხად მიღებული კაპიტალის მწარმოებლური გამოყენების გზით, ე. ი. ამ კაპიტალის მეოხებით მუშების ექსპლოატაციის გზით (ანდა როგორც ეს აგრეთვე ასეც შეიძლება გამოიხატოს: თავისი შრომის — როგორც კაპიტალისტის შრომის — გამოყენებით, ასე რომ კაპიტალისტის ფუნქცია აქ უთანაბრდება შრომას, კიდევ მეტი — გაიგივებულია დაქირავებულ შრომასთან, რამდენადაც [896] მრეწველი კაპიტალისტი, ნამდვილად რომ მოქმედებს წარმოების პროცესში, მართლა გამოდის როგორც წარმოების მოქმედი აგენტი, როგორც მუშაკი, განსხვავებით ზარმაცი, უმოქმედო გამსესხებლისაგან, რომელიც ასრულებს მესაკუთრის ფუნქციებს წარმოების პროცესისაგან მოწყვეტით და ამ პროცესის გარეშე).

ამრიგად, არა მ ო გ ე ბ ა, არამედ ს ა რ გ ე ბ ე ლ ი წარმოგვიდგება როგორც კაპიტალის მიერ **ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს შ ე ქ მ ნ ა**, რომელიც გამომდინარეობს კაპიტალიდან როგორც ასეთიდან, მაშასადამე, — მარტოოდენ კაპიტალის საკუთრებიდან; სარგებელი წარმოგვიდგება ამიტომ როგორც ისეთი შემოსავალი, რომლის შექმნაც კაპიტალისთვის დამახსიათებელია. ამიტომაც ასეთი ფორმით ღებულობენ მას ვულგარული ეკონომისტები. ამ ფორმაში წაშლილია ყოველგვარი შუალედური პროცესი და დამთავრებულია კაპიტალის **ფ ე ტ ი შ ი ს ტ უ რ ი ს ა ხ ე**, ისევე როგორც დამთავრებულია წარმოდგენაც **კ ა პ ი ტ ა ლ - ფ ე ტ ი შ - ზ ე**. ეს ფეტისისტური სახე აუცილებლად წარმოიქმნება იმის შედეგად, რომ კაპიტალის იურიდიული საკუთრება ითიშება მისი ეკონომიური საკუთრებისგან და მოგების ნაწილის მითვისება, სარგებლის სახელწოდებით, ხორციელდება ისეთი **პ ო ტ ე ნ ც ი უ რ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მ ი ე რ** — ანდა **კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ი ს ე თ ი მ ე ს ა კ უ თ რ ი ს მ ი ე რ**, — რომელიც სრულიად ჩამოშორებულია წარმოების პროცესს.

ვულგარული ეკონომისტისათვის, რომელსაც სურს წარმოგვიდგინოს კაპიტალი როგორც ღირებულების დამოუკიდებელი წყარო, როგორც ღირებულების შექმნის დამოუკიდებელი წყარო, ეს ფორმა, ბუნებრივია, ნამდვილი მონაპოვარია, ისეთი ფორმაა, რომელშიც უკვე შეუძლებელია

მოგების წყაროს გამოცნობა და რომელშიც კაპიტალისტური წარმოების პროცესის შედეგი, მოწვევითი თვით პროცესისაგან, რაღაც დამოუკიდებელ ყოფიერებას იძენს. ფორმულა ფ—ს—ფ¹ ჯერ კიდევ შეიცავს შუალედურ პროცესებს. ფ—ფ¹—ში ჩვენ გვაქვს კაპიტალის ირაციონალური ფორმა, წარმოებითი ურთიერთობის უკიდურესი დამახინჯება და განივთება [Versachlichung].

მოგების საერთო ნორმას შეესაბამება, ბუნებრივია, სარგებლის საერთო ნორმა, ანუ სარგებლის საერთო განაკვეთი. ჩვენს განზრახვას აქ არ შეადგენს ამ საკითხის შემდგომი განხილვა, რადგან სარგებელმომტანი კაპიტალის ანალიზი განეკუთვნება არა ამ საერთო განყოფილებას, არამედ კრედიტის განყოფილებას¹⁴⁸. მაგრამ კაპიტალის გამოვლენის ამ ფორმის სრული გარკვევისათვის მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ მოგების საერთო ნორმა გაცილებით უფრო ნაკლებად გვევლინება როგორც ხელშესახები მტკიცე ფაქტი, ვიდრე სარგებლის ნორმა, ანუ სარგებლის განაკვეთი. მართალია, სარგებლის განაკვეთი მუდამ მერყეობს. დღეს (ფულის ბაზარზე მრეწველი კაპიტალისტისათვის, და ჩვენც მხოლოდ ამაზე გვაქვს ლაპარაკი) იგი შეადგენს 2, ხეალ—3, ზეგ—5%-ს. მაგრამ ეს განაკვეთი უდრის 2, 3, 5%-ს ყველა მსესხებლისათვის. ეს არის საერთო ვითარება, რომ ყოველი ფულადი ჯამი 100 ვირ. სტერლინგის ოდენობით უნდა იძლეოდეს 2, 3, 5%-ს, მაშინ როდესაც ღირებულების ასეთივე ჯამი, რომელიც ნამდვილად მოქმედებს კაპიტალის სახით, წარმოების სხვადასხვა სფეროში იძლევა მეტად სხვადასხვა სიდიდის რეალურ მოგებას, რომელთა გადახრებიც მოგების იდეალური საშუალო დონიდან იმას იწვევენ, რომ მოგების ეს საშუალო დონე მყარდება აღნიშნული გადახრებიდან მხოლოდ გარკვეული პროცენტის, გარკვეული რეაქციის მეშვეობით, და ეს ხდება მუდამ მხოლოდ კაპიტალის მიმოქცევის მეტ-ნაკლებად ხანგრძლივ პერიოდებში. გარკვეული წლების მანძილზე მოგების ნორმა წარმოების გარკვეულ სფეროებში უფრო მაღალ დონეზეა, შემდგომი წლების მანძილზე კი — უფრო დაბალ დონეზე. საშუალო მოგება მიიღება როგორც საშუალო ამ პერიოდების ანდა მთელი რიგი ასეთი ევოლუციების ერთობლივი შეერთების დროს. მაგრამ ამის გამო საშუალო მოგება არასოდეს არ წარმოგვიდგება როგორც რაღაც უშუალოდ მოცემული, არამედ იგი წარმოგვიდგება მხოლოდ როგორც წინააღმდეგობრივ რყევათა საშუალო შედეგი. სხვაგვარი ვითარებაა სარგებლის განაკვეთის მიმართ. თავის საყოველთაობაში ეს განაკვეთი ყოველდღიურად ფიქსირებული ფაქტია, ისეთი ფაქტი, რომელიც მრეწველი კაპიტალისტისათვის წარმოადგენს მისი მიყ-

რაციებში წანამძღვარსაც კი და კალკულაციების დროს ერთ-ერთ მუხლს. მოგების საერთო ნორმა სინამდვილეში არსებობს მხოლოდ როგორც იდეალური საშუალო რიცხვი, რამდენადაც ეს ნორმა ნამდვილ მოგებათა შეფასებას ემსახურება; იგი არსებობს მხოლოდ როგორც საშუალო რიცხვი, როგორც აბსტრაქცია, რამდენადაც იგი ფიქსირდება როგორც რაღაც თავისთავად მზამზარეული, გარკვეული, მოცემული სიდიდე, რეალურ სინამდვილეში კი იგი არსებობს მხოლოდ ისეთი ტენდენციის ფორმით, რომელიც განსაზღვრავს რეალურად განსხვავებულ მოგების ნორმათა გათანაბრების მოძრაობას, იქნება ეს მოგების ნორმები ცალკეული კაპიტალებისა წარმოების ერთსა და იმავე სფეროში თუ სხვადასხვა კაპიტალისა წარმოების სხვადასხვა სფეროში.

[897] ის, რასაც კაპიტალისტიან განსესხებელი მოითხოვს მოგების (საშუალო) საერთო ნორმის ვარაუდიდან გამომდინარეობს და არა ამ ნორმიდან ცალკეული კაპიტალისტების მოგებათა ინდივიდუალური გადახრიდან. საშუალო აქხდება წანამძღვარი. თვით სარგებლის განაკვეთი იცვლება, მაგრამ ყველა გამსესხებლისათვის.

სარგებლის გარკვეული, ერთიანი განაკვეთი, პირიქით, არსებობს არა მხოლოდ საშუალოდ, არამედ ფაქტიურადაც (თუმცა ვარიაციებით მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის, იმისდა მიხედვით, ითვლება თუ არა მოცემული მსესხებელი პირველხარისხოვან დებიტორად), და გადახრანი ამ განაკვეთიდან გვევლინებიან უფრო როგორც განსაკუთრებული გარემოებებით გამოწვეული გამონაკლისები. მეტეოროლოგიური ბიულეტენები ვერ აღნიშნავენ ბარომეტრის მდგომარეობას უფრო მეტი სიზუსტით, ვიდრე ბირჟის ბიულეტენი გვიჩვენებს სარგებლის განაკვეთის მდგომარეობას — არა ამა თუ იმ ცალკეული კაპიტალისათვის, არამედ მთელი ფული ბაზარზე მყოფი, ე. ი. სასესხო კაპიტალისათვის.

აქ არ არის ადგილი იმის გამოსარკვევად, თუ საიდან გამომდინარეობს სასესხო კაპიტალის სარგებლის განაკვეთის ეს უფრო მეტი ფიქსირებულობა და თანაბრობა განსხვავებით მოგების საერთო ნორმის უფრო ნაკლებად ხელშეშახები ფორმისაგან და მის საპირისპიროდ. ასეთი შედარებითი გამოკვლევა ჩასატარებელია განყოფილებაში კრედიტის შესახებ. მაგრამ ცხადია ერთი რამ: მოგების ნორმის რყევა, — თუ სრულიად უყურადღებოდ დავტოვებთ იმ განსაკუთრებულ უპირატესობებს, რაც ცალკეულ კაპიტალისტებს გააჩნიათ წარმოების ერთი და იმავე სფეროს ფარგლებში, — დამოკიდებულია ყოველი სფეროს შიგნით საბაზრო ფასების დონეზე ყოველ მოცემულ მომენტში და ხარჯთაღსავ-

ბის ირგვლივ მათს რყევაზე. მოგების ნორმათა სხვაობა სხვადასხვა სფეროში შეიძლება დადგენილ იქნეს მხოლოდ სხვადასხვა სფეროში საბაზრო ფასების — ე. ი. სხვადასხვა საქონლის საბაზრო ფასების — ამ საქონელთა ხარჯთფასებთან შედარების მეშვეობით. რომელიმე ცალკეულ სფეროში მოგების ნორმის დადგენა იდეალურ საშუალო დონეზე უფრო დაბლა საკმარისია, თუ იგი მეტწილად ხანგრძლივი დროის განმავლობაში გრძელდება, იმისათვის, რომ ჩამოშორდეს კაპიტალი ამ სფეროს და გამოირიცხოს ამ სფეროსათვის ახალი კაპიტალის მოდინება საშუალო ოდენობით. ეს იმიტომ, რომ კაპიტალის განაწილება წარმოების ცალკეული სფეროების მიხედვით წონასწორდება არა იმდენად უკვე დაბანდებული კაპიტალის გადანაწილების გზით, რამდენადაც ახალი, დამატებითი კაპიტალის მოდინების გზით. პირიქით, ზემოგების არსებობა ცალკეულ სფეროებში შეიძლება დადგენილ იქნეს [აგრეთვე] მხოლოდ ხარჯთფასებთან საბაზრო ფასების შედარებით. როგორც კი განსხვავება ასე თუ ისე მყლავნდება, იწყება კაპიტალების მიქცევა წარმოების გარკვეული სფეროებიდან და მათი მოდინება წარმოების გარკვეულ სფეროებში. ვარდა იმისა, რომ ეს გათანაბრების ისეთი აქტია, რომელიც დროს მოითხოვს, თვით საშუალო მოგება ყოველ ცალკეულ სფეროში გვევლინება მხოლოდ როგორც ერთგვარი საშუალო ოდენობა მოგების იმ ნორმათაგან, რომელთა რეალიზებაც ხდება გარკვეული დროის, მაგალითად, 7-წლიანი ციკლის და ა. შ. განმავლობაში, იმისდა მიხედვით, თუ როგორია მოცემული კაპიტალის ბუნება. მაშასადამე, უბრალო რყევა ზევით და ქვევით, თუ ეს რყევა არ აღემატება საშუალო ზომას, არღებულობს არაჩვეულებრივ ფორმას, საკმარისი არაა იმისათვის, რომ გამოიწვიოს კაპიტალის გადაადგილება, მით უმეტეს, რომ აქ კაპიტალის გადაადგილებასთან დაკავშირებით თავს იჩენენ კიდევ ძირითადი კაპიტალის თავისებურებათაგან გამომდინარე სიმძლევნი. ხანმოკლე კონიუნქტურებს შეუძლიათ იმოქმედონ მხოლოდ შეზღუდული ზომით და თანაც უფრო მეტად დამატებითი კაპიტალის მოდინებაზე ან მიქცევაზე, ვიდრე უკვე სხვადასხვა სფეროში დაბანდებული კაპიტალის გადანაწილებაზე.

ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველივე ეს მთლიანად მეტად რთული მოძრაობაა, ამასთან აქ გარკვეულ როლს ასრულებენ, ერთი მხრივ, საბაზრო ფასები ყოველ ცალკეულ სფეროში, სხვადასხვა საქონლის შედარებითი ხარჯთფასები, მოთხოვნისა და მიწოდების მდგომარეობა ყოველი სფეროს ფარგლებში, მეორე მხრივ კი, სხვადასხვა სფეროთა კაპიტალისტების კონკურენცია; ვარდა ამისა, უფრო სწრაფი თუ უფრო ნელი გათანაბრება დამოკიდებულია აქ კაპიტალების ორგანული შედგენილობის თავისე-

ბურჟუაზიებზე (მაგალითად, მეტი ძირითადი თუ საბრუნავი კაპიტალი) და მათს საქონელთა ბუნების თავისებურებებზე, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ამ საქონელთა—როგორც სახმარ ღირებულებათა — ბუნება უფრო ადვილად იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ უფრო სწრაფად მოიხსნან ისინი ბაზრიდან, შემცირდეს ან გადიდდეს მათი მიწოდება, საბაზრო ფასების მდგომარეობის შესაბამისად.

სრულად სხვა მდგომარეობაა ფულადი კაპიტალის მიმართ. ფულის ბაზარზე ერთიმეორეს უპირისპირდება მხოლოდ ორი კატეგორია: მყიდველი და გამყიდველი, მოთხოვნა და მიწოდება. ერთ მხარეზეა სესხის ამღები კაპიტალისტების კლასი, მეორეზე — სესხის მიმცემი კაპიტალისტების კლასი. საქონელს აქ ერთი და იგივე ფორმა აქვს—ფულის ფორმა. აქ წაშლილია ყველა ის განსაკუთრებული ფორმა, რომელთაც კაპიტალი ღებულობს იმისდა მიხედვით, თუ წარმოების ან მიმოქცევის რომელ განსაკუთრებულ სფეროშია იგი დაბანდებული. კაპიტალი არსებობს აქ დამოუკიდებელი, განსხვავებას მოკლებული თავისთავთან ერთგვაროვანი საცვლელი ღირებულების ფორმით — ფულის ფორმით. აქ გამორიცხულია ცალკეულ სფეროთა კონკურენცია. ისინი ყველანი, როგორც ფულის მსესხებელნი, ერთად თავმოყრილი არიან, და კაპიტალი უპირისპირდება ყველას ასევე განუსხვავებლად ისეთი ფორმით, რომელიც გულგრილია თავისი გამოყენების ფორმების მიმართ. წარმოების პროცესში მოქმედი კაპიტალი [898] მხოლოდ ცალკეულ სფეროებს შორის კონკურენციის მოძრაობაში ავლენს თავის თავს როგორც მთელი კლასის საერთო კაპიტალი, აქ კი იგი მთელი კლასის კაპიტალად სრული ძალით წარმოგვიდგება ნამდვილად კაპიტალის მოთხოვნის ხაზით. მეორე მხრივ, ფულად კაპიტალს (კაპიტალს ფულის ბაზარზე) ნამდვილად აქვს ის ფორმა, რომელშიც იგი, როგორც ყველასთვის საერთო ელემენტი, ინდიფერენტული მისი ამა თუ იმ განსაკუთრებული გამოყენების მიმართ, ნაწილდება სხვადასხვა სფეროებს შორის, კაპიტალისტთა მთელ კლასს შორის, ყოველი ცალკეული სფეროს წარმოების მოთხოვნილებათა შესაბამისად. ამას ემატება კიდევ ის, რომ მსხვილი მრეწველობის განვითარებასთან ერთად ფულად კაპიტალს, რამდენადაც იგი ბაზარზე გამოდის, სულ უფრო მეტად წარმოადგენენ არა ცალკეული კაპიტალისტები, ბაზარზე მყოფი კაპიტალის ამა თუ იმ ნაწილის მესაკუთრენი, არამედ ბანკირები, რომლებიც კაპიტალის კონცენტრაციას, ორგანიზებას და თავისი კონტროლისადმი დაქვემდებარებას ახორციელებენ სრულად სხვაგვარად, ვიდრე ამას ადგილი აქვს რეალურ წარმოებაში. ამრიგად, მოთხოვნის მხრივ ფულად

კაპიტალს უპირისპირდება მთლიანად აღებული კლასი, მიწოდების მხრივ კი იგი გამოდის როგორც სასესხო კაპიტალი en masse*, როგორც მთელი საზოგადოების სასესხო კაპიტალი, კონცენტრირებული რამდენიმე რე-
ზერვუარში.

ასეთია ზოგიერთი იმ მიზეზთაგანი, რომელთა საფუძველზე მოგებობის სარგებლობა ვეჩვენება გაფანტულ მირაჟად შედარებით სარგებლის ფიქსირებულ განაკვეთთან, რომლის სიდიდე, მართალია, მერყეობს, მაგრამ ისე, რომ ეს სრულიად არ უშლის ხელს იმას, რომ იგი მერყეობდეს თანაბრად ყველა მსესხებლისათვის და ამიტომ მუდამ უპირისპირდება მას როგორც ფიქსირებული მოცემული სიდიდე, მსგავსად იმისა, როგორც ფულის ღირებულების ცვლილება ხელს არ უშლის იმას, რომ ფულს ჰქონდეს ერთნაირი ღირებულება ყველა საქონლის მიმართ. მსგავსად იმისა როგორც საქონელთა საბაზრო ფასები ყოველდღიურად მერყეობს, რაც ხელს არ უშლის მათი ყოველდღიური სიდიდის დადგენას, ასევე მერყეობს სარგებლის განაკვეთიც, რომელიც აგრეთვე რეგულარულად დგინდება ფულის ფასის სახით. ეს ხდება იმიტომ, რომ თვით კაპიტალი აქ მიწოდებულია როგორც განსაკუთრებული სახის საქონელი — ფული. ამიტომ მისი ფასის ფიქსაცია, ისევე როგორც ყველა სხვა საქონლის ფიქსაცია, არის მისი საბაზრო ფასის ფიქსაცია. ამიტომ სარგებლის ნორმა მუდამ გვევლინება როგორც სარგებლის სარგებლობა, როგორც ფულის გარკვეული რაოდენობა ფულის განსაზღვრული რაოდენობისათვის. პირიქით, მოგების ნორმა ერთი და იმავე სფეროს შიგნითაც კი შეიძლება იყოს განსხვავებული საქონელთა ერთნაირი საბაზრო ფასების დროს (იმ პირობებისდა მიხედვით, რომლებშიც ცალკეული კაპიტალები ერთსა და იმავე საქონელს აწარმოებენ; ვინაიდან მოგების განსაკუთრებული ნორმა დამოკიდებულია არა საქონლის საბაზრო ფასზე, არამედ საბაზრო ფასსა და ხარჯთფასებს შორის არსებულ სხვაობაზე), და მისი გათანაბრება სხვადასხვა სფეროებს შიგნით წარმოადგენს პროცესს, რომელიც მხოლოდ მუდმივ რყევათა მეშვეობით ხორციელდება. ერთი სიტყვით: მხოლოდ ფულად კაპიტალში, სასესხო ფულად კაპიტალში კაპიტალი გახდა საქონელი, რომლის თვითზრდის თვისებას აქვს ყოველ მოცემულ მომენტში არსებულ სარგებელში ფიქსირებულობა.

როგორც სარგებელმომტანმა კაპიტალმა, სახელდობრ მის უშუალო ფორმაში როგორც სარგებელმომტანმა ფუ-

* — მთლიანად. რ ე დ.

ლ ა დ მ ა კ ა პ ი ტ ა ლ მ ა (სარგებელმომტანი კაპიტალის სხვა ფორმები, რომლებიც აქ ჩვენ არ გვინტერესებს, ამ ფორმიდან წარმოებული ფორმებია და მას გულისხმობენ), მიიღო თავისი წმინდა ფეტიშისტური ფორმა. ჭერ ერთი, ფულის ფორმაში მისი მუდმივი ყოფნის გამო, ე. ი. ისეთ ფორმაში, რომელშიც წაშლილია მისი ყოველგვარი განსაზღვრულობა და არ ჩანან მისი რეალური ელემენტები, იგი არსებობს მხოლოდ როგორც ყოფიერება თავისთავადი საცვლელი ღირებულებისა, როგორც ღირებულება, რომელმაც თავისთავადი ყოფიერება მიიღო. კაპიტალის რეალურ პროცესში ფულადი ფორმა წარმავალია ფულის ბაზარზე კაპიტალი მუდამ ამ ფორმით არსებობს. მეორე, კაპიტალის მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულება, კვლავ ფულის ფორმაში, წარმოგვიდგება აქ ისეთ რამედ, რაც ეკუთვნის კაპიტალს როგორც ასეთს, მაშასადამე, ეკუთვნის მხოლოდ ფულადი კაპიტალის მესაკუთრეს, კაპიტალისა, რომელიც მოწყვეტილია მის მიერ შესასრულებელი პროცესისგან. ფ—ს—ფ¹ გადაიქცევა აქ ფ—ფ¹-ად, და მსგავსად იმისა, როგორც კაპიტალის ფორმას აქ წარმოადგენს განსხვავებას მოკლებული ფულადი ფორმა — ფული ხომ სწორედ ის ფორმაა, რომელშიც გამჭრალია საქონელთა — როგორც სახმარ ღირებულებათა — განსხვავება, და ამიტომ გამჭრალია აგრეთვე განსხვავება მწარმოებლური კაპიტალები სსა, რომლებიც ამ საქონელთა საარსებო პირობებისაგან შედგებიან, განსხვავება თვით მწარმოებლური კაპიტალები სსაკუთრებულ ფორმებისა, — ასევე ის ზედმეტი ღირებულებაც, რომელსაც ფულადი კაპიტალი ქმნის, ის გადიდებული ფული, რადაც იგი გადაიქცევა ან რასაც იგი წარმოადგენს, გვევლინება გარკვეული ნორმის სახით, რომლის მასშტაბსაც წარმოადგენს თვით ფულადი თანხის ოდენობა. როცა განაკვეთი 5%-ია, 100 გირ. სტერლ. კაპიტალი უდრის 105 გირ. სტერლინგს. ასე მიიღება ხელშესახები ფორმა თვითმზარდი ღირებულებისა, ანუ ფულის შემქმნელი ფულისა, და ამასთან ერთად — სავსებით ირაციონალური, გაუგებარი, მისტიფიცირებული ფორმა. კაპიტალის ანალიზისას ჩვენ ამოვდიოდით ფ—ს—ფ-დან, სადაც ფ—ფ¹ მხროდ შედეგი იყო ¹⁴⁹. ახლა ჩვენ გვაქვს ფ—ფ¹ სუბიექტის სახით. როგორც ხეს სჩვევია ზრდა, ისე კაპიტალს სჩვევია მის ამ წმინდა ფულად ფორმაში ფულის წარმოშობა (თუც^{*}). იმ გაუგებარ ფორმას, რომელიც ჩვენ წარმოგვიდგება მოვლენათა ზედაპირზე და რომლიდანაც ჩვენ ამიტომ ამოვდიოდით ჩვენს ანალიზში, ჩვენ კვლავ;

* — შმობიარობა, წარმოშობა; წარმონაშობი; სარგებელი. რ ე ლ .

ვპოულობთ როგორც ისეთი პროცესის შედეგს, რომელშიც კაპიტალის ფორმა სულ უფრო გაუცხოებულნი და სულ უფრო ნაკლებად დაკავშირებულია მის შინაგან არსებასთან.

[899] ჩვენ ამოვდიოდით ფულიდან როგორც საქონლის გარდაქმნილი ფორმიდან. ჩვენ მივდივართ ფულით ან როგორც კაპიტალის გარდაქმნილ ფორმასთან; სავსებით ასევე ჩვენი გამოკვლევის შედეგად ჩვენ შევიცანით საქონელი როგორც კაპიტალის წარმოების პროცესის წინამძღვარი და შედეგი.

ამ თავის ფორმაში, რომელიც ყველაზე უცნაურია და ამასთანავე ყველაზე უფრო ახლოსაა ჩვეულებრივ წარმოდგენებთან, კაპიტალი არის «ძირითადი ფორმა» როგორც ვულგარული ეკონომისტებისათვის, ისე ყველაზე ახლო მდებარე პუნქტი ზერეულ კრიტიკოსთა თავდასხმისათვის; პირველი — ნაწილობრივ იმიტომ, რომ აქ ყველაზე ნაკლებად ვლინდება შინაგანი კავშირი და კაპიტალი წარმოგვიდგება ისეთი ფორმით, რომელშიც იგი გვეჩვენება ღირებულების თვითმყოფად წყაროდ; ნაწილობრივ იმიტომ, რომ ამ ფორმაში სრულიად მიჩქმალული და გამჭრალა მისი ანტაგონისტური ხასიათი, არ ჩანს დაპირისპირებულობა კაპიტალსა და შრომას შორის. მეორე მხრივ, ამ ფორმაში კაპიტალი განიცდის თავდასხმებს იმიტომ, რომ აქ იგი ყველაზე უფრო ირაციონალური სახით გამოდის და წარმოადგენს ყველაზე უფრო იოლ თავდასხმელ პუნქტს ვულგარული სოციალისტებისათვის.

XVII საუკუნის ბურჟუაზიული ეკონომისტების პოლემიკა (ჩაილდი, კალპეპერი და ა. შ.) სარგებლის — როგორც ზედმეტი ღირებულების თავისთავადი ფორმის — წინააღმდეგ არის მხოლოდ ბრძოლა ამომავალი სამრეწველო ბურჟუაზიისა ძველი მოდის მეფახშეების, იმ დროის ფულადი სიმდიდრის მონოპოლისტების წინააღმდეგ. სარგებელმოძიანი კაპიტალი აქ ჯერ კიდევ კაპიტალის ძველისძველი ფორმაა, რომელიც მომავალში უნდა დაექვემდებაროს სამრეწველო კაპიტალს და ჩაყენებულ იქნეს მასზე დამოკიდებულ ისეთ მდგომარეობაში, როგორი მდგომარეობაც მას თეორიულად და პრაქტიკულად უნდა ეკავოს კაპიტალისტური წარმოების ბაზისზე. ბურჟუაზიამ არ დააყვნა მიემართა აქ სახელმწიფოსათვის დახმარების აღმოსაჩენად, ისე როგორც იგი ამას აკეთებდა სხვა შემთხვევებშიც, როცა საჭირო იყო არსებული, ძველი დროიდან გადმოსული წარმოებითი ურთიერთობანი თავის საკუთარ საჭიროებათა და მოთხოვნილებათა შესატყვისი გაეხადა.

ცხადია, რომ მოგების რაიმე სხვაგვარი განაწილება სხვადასხვა კატეგორიის კაპიტალისტებს შორის, ე. ი. სამრეწველო მოგების გაღილება სარგებლის განაკვეთის ხარჯზე და პირიქით, არასგზით არ ცვლის კაპიტა-

ლისტური წარმოების არსებას. ამიტომ ის სოციალიზმი, რომელიც მიმართულია სარგებელმომტანი კაპიტალის, როგორც კაპიტალის «ძირითადი ფორმის», წინააღმდეგ, არა მარტო თვითონ იმყოფება ბურჟუაზიული ჰორიზონტისათვის დამახასიათებელ წარმოდგენათა ტყვეობაში. კიდევ მეტი, იმდენად, რამდენადაც მისი პოლემიკა არ არის ისეთი გაღაშქრება და ისეთი კრიტიკა, რომლებიც, თუმცა ბრმად, მიმართულია თვით კაპიტალის (რომელიც გაიგივებულია ერთ-ერთ მის მეორად ფორმასთან) წინააღმდეგ, იგი, ეს სოციალიზმი, არის მხოლოდ სოციალისტურად გადაცმული მისწრაფება ბურჟუაზიული კრედიტის განვითარებისადმი და, მაშასადამე, გამოხატავს მხოლოდ ურთიერთობათა განუვითარებლობას იმ ქვეყანაში, სადაც ეს პოლემიკა სოციალისტური ტანსაცმლით იმოსება. ამგვარი სოციალიზმი თვითონ არის კაპიტალისტური განვითარების მხოლოდ ერთ-ერთი თეორიული სიმპტომი, თუმცა ამ ბურჟუაზიულ მისწრაფებას შეუძლია მიიღოს უაღრესად განმაცვიფრებელი ფორმები, როგორცაა მაგალითად, «უსასყიდლო კრედიტის»¹⁵⁰ მოთხოვნა. ასევეა სენ-სიმონიზმი, ბანკრობის თავისი ქება-დიდებათა (Credit Mobilier¹⁵¹ შეიქმნა მოგვიანებით).

[2] სარგებელმომტანი კაპიტალის და სავაჭრო კაპიტალის დამოკიდებულება სავაჭრო კაპიტალთან. უფრო ძველი ფორმები, მეორადი ფორმები

სავაჭრო და სარგებლის ფორმები უფრო ძველია, ვიდრე კაპიტალისტური წარმოების ფორმა, სამრეწველო კაპიტალი, რომელიც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გაბატონებულ ურთიერთობათა ძირითადი ფორმაა, ასე რომ ყველა სხვა ფორმა არის მხოლოდ ამ ძირითადი ფორმიდან ნაწარმოები ანდა მეორადი მის მიმართ, — ნაწარმოებია სარგებელმომტანი კაპიტალი; მეორადი, ე. ი. ერთგვარი განსაკუთრებული ფუნქციის შესრულების აზრით (ეს ფუნქცია განეკუთვნება მის მიმოქცევის პროცესს), არის სავაჭრო კაპიტალი. ამიტომ სამრეწველო კაპიტალმა თავისი წარმოქმნის პროცესში ჯერ უნდა დაიმორჩილოს ეს ფორმები და გადააქციოს ისინი თავის საკუთარ ნაწარმოებ ანდა განსაკუთრებულ ფუნქციებად. ამ უფრო ძველ ფორმებს სამრეწველო კაპიტალი ნახულობს თავისი წარმოქმნისა და წარმოშობის ეპოქაში. იგი ნახულობს მათ როგორც წ ა ნ ა მ ძ ღ ვ რ ე ბ ს, მაგრამ არა როგორც თვით მის მიერ დაწესებულ წანამძღვრებს, არა როგორც თავისი საკუთარი სასიცოცხლო პროცესის ფორმებს. სავსებით ასევე იგი თავდაპირველად ნახულობს საქონელს, მაგრამ არა როგორც თავის საკუთარ პრო-

დუქტს, და ფულად მიმოქცევას, მაგრამ არა როგორც თავისი საკუთარი კვლავწარმოების მომენტს. როცა კაპიტალისტური წარმოება უკვე ყველა თავისი ფორმით განვითარდა და გაბატონებულ წარმოების წესად იქცა, აღმოჩნდა, რომ სარგებელმომტანი კაპიტალი უქვემდებარდება სამრეწველო კაპიტალს, სავაჭრო კაპიტალი კი არის მხოლოდ მიმოქცევის პროცესიდან გამომდინარე ფორმა თვით სამრეწველო კაპიტალისა. მაგრამ ჯერ უნდა მომხდარიყო სარგებელმომტანი კაპიტალისა და სავაჭრო კაპიტალის — როგორც თავისთავადი ფორმების [900] — გადალახვა და სამრეწველო კაპიტალისადმი მათი დაქვემდებარება. სარგებელმომტანი კაპიტალის მიმართ იყენებენ ადმინისტრაციულ ძალაუფლებას (სახელმწიფო), ხორციელდება სარგებლის განაკვეთის ძალდატანებითი შემცირება, ასე რომ მას უკვე აღარ შეუძლია უკარნახოს პირობები სამრეწველო კაპიტალს. მაგრამ ეს არის ფორმა, რომელიც დამახასიათებელია კაპიტალისტური წარმოების განვითარების დაბალი საფეხურებისათვის. ნამდვილი ხერხი, რომელსაც სამრეწველო კაპიტალი იყენებს სარგებელმომტანი კაპიტალის დასამორჩილებლად, ეს არის სამრეწველო კაპიტალისათვის დამახასიათებელი ფორმის — ს ა კ რ ე დ ი ტ ო ს ი ს ტ ე მ ი ს შექმნა. სარგებლის განაკვეთის ძალდატანებითი შემცირება ისეთი ფორმაა, რომელსაც სამრეწველო კაპიტალი ჯერ კიდევ თვითონ სესხულობს უფრო ადრინდელი წარმოების წესის მეთოდებიდან და რომელსაც იგი უკუაგდებს როგორც უსარგებლო და მიზნისათვის შეუფერებელ ფორმას, როგორც კი იგი ძლიერი ხდება და სარბიელს იპყრობს. ს ა კ რ ე დ ი ტ ო ს ი ს ტ ე მ ა არის მისი საკუთარი ქმნილება, იგი თვით არის სამრეწველო კაპიტალის ფორმა, რომელიც იწყება მანუფაქტურით და ვითარდება შემდგომ მსხვილ მრეწველობასთან ერთად. საკრედიტო სისტემა თავდაპირველად არის პ ო ლ ე მ ი ე უ რ ი ფ ო რ მ ა ძველი მოდის მეფავშეთა წინააღმდეგ (ოქრომჭედლები ინგლისში, ებრაელები, ლომბარდლები და ა. შ.). თხზულებანი, სადაც XVII საუკუნეში გამოქვეყნებულია საკრედიტო სისტემის პირველი საიდუმლოებანი, ყველანი დაწერილია ამ პოლემიკური ფორმით.

რაც შეეხება ს ა ვ ა ჯ რ ო კ ა პ ი ტ ა ლ ს, იგი სხვადასხვა ფორმით უქვემდებარდება სამრეწველო კაპიტალს, ანუ, რაც იგივეა, იქცევა მის ფუნქციად, სამრეწველო კაპიტალად ერთგვარ განსაკუთრებულ ფუნქციასში ვ ა ჯ ა რ ი, ნაცვლად იმისა, რომ საქონელი იყიდოს, ყიდულობს დაქირავებულ შრომას, რომლის დახმარებითაც აწარმოებს გასაყიდად ვაჭრობისათვის განკუთვნილ საქონელს. მაგრამ ამის შედეგად თვით სავაჭრო კაპიტალი კარგავს იმ მტკიცედ განსაზღვრულ ფორმას, რომელიც მას ჰქონდა წარმოების მიმართ. საქონელმწარმოებლად ვაჭრის ამ გადაზნ. კ. მაჩხი — ზედმეტი ღირებულების თეორიება.

ქცევით მანუფაქტურა ებრძოდა შუა საუკუნეების ამქართა კავშირებს. და ამის შედეგად ხელოსნობა უფრო ვიწრო ჩარჩოებში ექცეოდა. შუა საუკუნეებში ვ ა ქ ა რ ი (გარდა ცალკეული პუნქტებისა, სადაც მანუფაქტურა განვითარდა, — იტალიაში, ესპანეთში და ა. შ.) მარტოოდენ ქალაქის ამქრების ან გლეხების მიერ წარმოებულ ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა გადაცემას ახორციელებს¹⁵².

ვაჭრის აღნიშნული გადაქცევა მრეწველ კაპიტალისტად ამასთანავე არის სავაჭრო კაპიტალის გადაქცევა მარტოოდენ სამრეწველო კაპიტალის ფორმად. მეორე მხრივ, ს ა ქ ო ნ ე ლ მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი იქცევა ვაჭრად. მაგალითად, მაუდის მწარმოებელი, ნაცვლად იმისა, რომ მისთვის საჭირო მასალას ლებულობდეს თანდათან, მცირე პარტიებად, ვაჭრისაგან და მისთვის მუშაობდეს, თვითონ ყიდულობს თავისი კაპიტალის შესაბამისად მასალას და ა. შ. წარმოების პირობები წარმოების პროცესში შედის როგორც მის მიერ ნაყიდი საქონელი. და, იმის ნაცვლად, რომ ცალკეული ვაჭრისთვის ან გარკვეულ დამკვეთთათვის აწარმოებდეს, მაუდის მწარმოებელი აწარმოებს ახლა მთელი სავაჭრო სამყაროსათვის.

პირველ ფორმაში ვაჭარი ბატონობს წარმოებაზე და სავაჭრო კაპიტალი ბატონობს მის მიერ მოძრაობაში მოყვანილ ქალაქის ხელოსანთა შრომაზე და გლეხურ შინამრეწველობაზე. ხელოსნობა და სარეწაო საქმიანობა მას ემორჩილება. მეორე ფორმაში წარმოება გადაიქცევა კაპიტალისტურ წარმოებად. მწარმოებელი თვითონ ვაჭარია; სავაჭრო კაპიტალი ემსახურება აქ მხოლოდ მიმოქცევის პროცესს, გარკვეულ ფუნქციას ასრულებს კაპიტალის კვლავწარმოების პროცესში. აქ ჩვენ გვაქვს ორი ფორმა. ვაჭარი იქცევა ვაჭრის სახით საქონელთა მწარმოებლად, მრეწველად. მრეწველი, საქონელმწარმოებელი, იქცევა იმავდროულად ვაჭრად.

თავდაპირველად ვ ა ქ რ ო ბ ა იყო ამქრული, სოფლურ-საშინაო და ფეოდალური სასოფლო-სამეურნეო წარმოების კაპიტალისტურ წარმოებად გადაქცევის წინამძღვარი. იგი ავითარებს პროდუქტს საქონლად. ნაწილობრივ იმით, რომ მისთვის ქმნის ბაზარს, ნაწილობრივ იმით, რომ ახალ საქონლურ ეკვივალენტებს იძლევა, წარმოებას კი აწვდის ახალ მასალას, და ამით წარმოქმნის წარმოების ახალ დარგებს, რომლებიც, იმთავითვე დამყარებულია ვაჭრობაზე: წარმოებაზე ბაზრისათვის და მსოფლიო ბაზრის მიერ მიწოდებულ წარმოების ელემენტებზე.

როგორც კი მანუფაქტურა რამდენიმედ მომაგრდა, იგი, — და კიდევ უფრო მეტად მსხვილი მრეწველობა, — თვითონ ქმნის თავისთვის ბაზარს, იპყრობს მას, ნაწილობრივ ძალდატანებით აღმოაჩენს თავისთვის ბაზრებს, რომელთაც იგი თავისი ს ა ქ ო ნ ე ლ ი თ განიმტკიცებს. შემ-

დევში ვაჭრობა უკვე მხოლოდ მსახურია სამრეწველო წარმოებისა, რომლისთვისაც სულ უფრო გაფართოებული ბაზარი სასიცოცხლო პირობად იქცა, რადგან განუწყვეტლივ მზარდი მასობრივი წარმოება, რომელიც შემოიფარგლება არა ვაჭრობის არსებული საზღვრებით (იმდენად, რამდენადაც ვაჭრობა მხოლოდ არსებულ მოთხოვნას გამოხატავს), არამედ მხოლოდ არსებული კაპიტალის ოდენობით და შრომის მწარმოებლური ძალის განვითარების დონით, გამუდმებით პირთამდე ავსებს არსებულ ბაზარს და ამიტომ გამუდმებით ხელს უწყობს მისი საზღვრების გაფართოებასა და გადალახვას. აქ ვაჭრობა სამრეწველო კაპიტალის მსახურია: იგი ასრულებს მისი წარმოების პირობებიდან გამომდინარე ფუნქციას.

კოლონიური სისტემის მეშვეობით (აკრძალვის სისტემასთან ერთად) სამრეწველო კაპიტალი, თავისი განვითარების პირველ წლებში, ცდილობს თავისი თავი უზრუნველყოს ბაზრით და ბაზრებით. მრეწველ კაპიტალისტს საქმე აქვს მსოფლიო 'ბაზართან; ამიტომ იგი აღარებს [901] და მუდამ უნდა აღარებდეს თავის საკუთარ ხარჯთფასებს საბაზრო ფასთან არა მხოლოდ თავის ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიო ბაზარზეც. იგი აწარმოებს მუდამ მსოფლიო ბაზრის საბაზრო ფასების გათვალისწინებით. უფრო ადრინდელ პერიოდში ამ შედარებას ახდენენ მხოლოდ ვაჭრები და ამით უზრუნველყოფენ სავაჭრო კაპიტალის ბატონობას მწარმოებლურ კაპიტალზე. [901]

* * *

[902] ამრიგად, სარგებელი სხვა არაფერია, თუ არა ნაწილი მოგებისა (რომელიც, თავის მხრივ, სხვა არაფერია, თუ არა ზედმეტი ღირებულება, ფასგადაუხდელი შრომა), რომელსაც მრეწველი კაპიტალისტი უხდის იმ სხვისი კაპიტალის მესაკუთრეს, რომლის დახმარებითაც იგი «მუშაობს» მთლიანად ან ნაწილობრივ. სარგებელი არის მოგების—ზედმეტი ღირებულების—ის ნაწილი, რომელიც ფიქსირებულია როგორც რაღაც განსაკუთრებული კატეგორია, გამოყოფილია ერთობლივი მოგებიდან განსაკუთრებული სახელწოდებით. სარგებლის ეს გამოყოფა მოგებიდან სრულიად არ ეხება მის წარმოშობას, არამედ ეხება მხოლოდ მისი გადახდის ან მითვისების წესს. ნაცვლად იმისა, რომ მოგების ეს ნაწილი მიითვისოს მრეწველმა კაპიტალისტმა — თუმცა იგი ის პირია, რომლის ხელშიც უშუალოდ იმყოფება მთელი ზედმეტი ღირებულება, როგორც არ უნდა ნაწილდებოდეს ეს უკანასკნელი მასა

და სხვა პირებს: შორის რენტის, სამრეწველო მოგების და სარგებლის სახელწოდებით, — იგი ამ ნაწილს გამოაკლებს თავისი საკუთარი შემოსავლიდან და უხდის კაპიტალის მესაკუთრეს.

თუ მოგების ნორმა მოცემულია, სარგებლის ნორმის შეფარდებითი სიმაღლე დამოკიდებულია იმ პროპორციაზე, რომლითაც მოგება იყოფა სარგებლად და სამრეწველო მოგებად; თუ მოცემულია ამ დაყოფის პროპორცია, მაშინ სარგებლის ნორმის აბსოლუტური სიმაღლე (ე.ი. სარგებლის შეფარდება კაპიტალთან) დამოკიდებულია მოგების ნორმაზე. თუ როგორ განისაზღვრება დაყოფის ეს პროპორცია, აქ არ განიხილება. ეს მიეკუთვნება კაპიტალის, ე. ი. კაპიტალების, რეალური მოძრაობის განხილვას, აქ კი ჩვენ საქმე გვაქვს კაპიტალის საერთო ფორმებთან.

სარგებელმომტანი კაპიტალის წარმოქმნა, მისი გამოყოფა სამრეწველო კაპიტალისაგან, თვით სამრეწველო კაპიტალის, თვით კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარების ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი პროდუქტია ფულს (ლირებულების ჯამს, რომელსაც მუდამ შეუძლია წარმოების პირობებზე გადაიქცეს) — ან წარმოების იმ პირობებს, რომლებდაც ფულს ყოველ წამს შეუძლია გარდაიქმნას და რომელთა გარდაქმნილ ფორმასაც იგი წარმოადგენს, — თუ იგი კაპიტალად გამოიყენება, თავის განკარგულებაში აქვს სხვისი შრომის გარკვეული რაოდენობა, შრომის უფრო დიდი რაოდენობა, ვიდრე თვითონ შეიცავს. შრომაზე გაცვლისას ფული არა მარტო ინარჩუნებს თავის ღირებულებას, არამედ ადიდებს მას. წარმოშობს ზედმეტ ღირებულებას. ღირებულება ფულისა ან საქონლისა როგორც კ ა პ ი ტ ა ლ ის ა განისაზღვრება არა იმ ღირებულებით, რომელიც მათ აქვთ როგორც ფულს ან როგორც საქონელს, არამედ ზედმეტი ღირებულების იმ რაოდენობით, რომელსაც ფული «წარმოებს» თავისი მფლობელისათვის. კაპიტალის პროდუქტი არის მოგება. კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე მხოლოდ ფულის სხვადასხვა გ ა მ ი ყ ე ნ ე ბ ა ა ის, იხარჯება ფული როგორც ფული, თუ როგორც კაპიტალი. ფული (საქონელი) კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე არის კაპიტალი an sich* (საესებით ისევე როგორც ს ა მ უ შ ა ო ძ ა ლ ა არის შრომა an sich); ვინაიდან, ჯერ ერთი, ფული შეიძლება გადაიქცეს წარმოების პირობებად და ფაქტიურად არის მხოლოდ აბსტრაქტული გამოხატულება ამ წარმოების პირობებისა, მათი ყოფიერება ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ის სახით, მეორე კი, სიმდიდრის საგნობრივ ელემენტებს აქვთ an sich თვისება კაპიტალად ყოფნისა, იმიტომ რომ მათი დაპირისპირებულობა — დაქირავებული შრომა, ის, რაც მათ კაპი-

* — «თავისთავად» შესაძლებლობაში, ფარული სახით, პოტენციურად. — რ ე ლ.

ტალად ხდის, — არსებობს როგორც საზოგადოებრივი წარმოების ბაზისი.

რ ე ნ ტ ა ც ასევე მხოლოდ სახელწოდება ზედმეტი ღირებულების ერთი ნაწილისა, რომელიც მრეწველმა კაპიტალისტმა უნდა უხადოს მეორე პირს, საესებით ისევე როგორც ს ა რ გ ე ბ ე ლ ი არის ზედმეტი ღირებულების მეორე ნაწილი, რომელსაც იგი, მართალია, (რენტასავით) თავდაპირველად მიიღებს, მაგრამ უნდა გადაუხადოს მესამე პირს. მაგრამ აქ არის დიდი განსხვავება. იმის გამო, რომ მიწის საკუთრება არსებობს, მიწის მესაკუთრე ხ ე ლ ს უ შ ლ ი ს კაპიტალს გაათანაბროს სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ღირებულებანი მათს ხარჯთფასებთან. მიწის საკუთრების მონოპოლია აძლევს მიწის მესაკუთრეს შესაძლებლობას, რომ ასე მოიქცეს. იგი აძლევს მას შესაძლებლობას მიითვისოს განსხვავება ღირებულებასა და ხარჯთფასს შორის. მეორე მხრივ — რამდენადაც ლაპარაკია დიფერენციულ რენტაზე — ეს მონოპოლია აძლევს მას შესაძლებლობას მიისაკუთროს პროდუქტის საბაზრო ღირებულების გადანამეტი გარკვეული მიწის პროდუქტის ინდივიდუალურ ღირებულებაზე, ნაცვლად იმისა, რომ ეს განსხვავება, როგორც სხვა დარგებში ხდება, მიდიოდეს, დამატებითი მოგების სახით, იმ კაპიტალისტების ჯიბეში, უფრო ხელსაყრელ პირობებში რომ მუშაობენ, ვიდრე ის საშუალო პირობებია, რომლებიც აკმაყოფილებენ მოთხოვნის ძირითად მასას, განსაზღვრავენ პროდუქციის მთავარ მასას და ამიტომ არეგულირებენ საბაზრო ღირებულებას წარმოების ყოველ განსაკუთრებულ სფეროში.

მიწის საკუთრება სამრეწველო კაპიტალის მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულების ნაწილის ხელში ჩაგდების ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ა . პირიქით, გასესხებული კ ა პ ი ტ ა ლ ი , რამდენადაც კაპიტალისტი ნაესესხები კაპიტალის შემწეობით მუშაობს, — მ თ ლ ი ა ნ ა დ [903] თვით ზედმეტი ღირებულების წარმოების საშუალებაა. ის გარემოება, რომ ფული (საქონელი) შეიძლება გასესხებულ იქნეს როგორც კაპიტალი, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იგი an sich კაპიტალია. მიწის საკუთრების გაუქმება რიკარდოსეული გაგებით, ე . ი . მისი გადაქცევა სახელმწიფო საკუთრებად, რომლის დროსაც რენტას უხდიან არა ლენდლორდს, არამედ სახელმწიფოს, არის იდეალი, კაპიტალის იდეალი წადილი, რომელიც მისი უღრმესი არსიდან აღმოცენდება. კაპიტალს არ შეუძლია პირდაპირ გააუქმოს მიწის საკუთრება. მაგრამ მისი რენტად სახელმწიფოს რომ უხდიან! გადაქცევის გზით იგი როგორც კ ლ ა ს ი მიითვისებს მას თავისი სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად, ე . ი . მიითვისებს შემოვლითი გზით იმას, რის შენარჩუნებაც უშუალოდ თავისთვის მას არ შეუძლია. სარგებლისა და სარგებელმოპოვანი კაპიტალის გაუქმება კი არის

თვით კაპიტალისა და კაპიტალისტური წარმოების გაუქმება. ვიდრე ფულს (საქონელს) შეუძლია კაპიტალის როლი შეასრულოს, იგი შეიძლება გაიყიდოს როგორც კაპიტალი. ამიტომ წვრილბურჟუაზიულ უტოპისტებს სავსებით შეეფერება ის, რომ მათთვის, რომელთაც მისაღებად მიაჩნიათ საქონელი, მაგრამ არა ფული, მისაღება სამრეწველო კაპიტალი, მაგრამ არა სარგებელმომტანი კაპიტალი, მისაღება მოგება, მაგრამ არა სარგებელი.

არ არსებობს ორი სხვადასხვა კაპიტალი — სარგებელმომტანი და მოგებამომტანი, — არამედ არსებობს ერთი და იგივე კაპიტალი, რომელიც წარმოების პროცესში მოქმედებს როგორც კაპიტალი, იძლევა მოგებას. რაც ორ სხვადასხვა კაპიტალისტს შორის ნაწილდება: ერთია წარმოების პროცესის გარეშე მყოფი კაპიტალისტი, რომელიც მესაკუთრის სახით წარმოადგენს კაპიტალს an sich {მაგრამ ამ კაპიტალის არსებითი პირობა ისაა, რომ იგი წამოდგენილია კერძო მესაკუთრის მიერ; უამისოდ იგი ვერ გახდება დაქირავებული შრომისადმი დაპირისპირებული კაპიტალი}, მეორეა ის კაპიტალისტი, რომელიც წარმოადგენს მოქმედ კაპიტალს, წარმოების პროცესში მყოფ კაპიტალს.

[3] ზედმეტი ღირებულების ცალკეული ნაწილების განცალკევება სხვადასხვა შემოსავლად. თანაფარდობა სარგებელსა და სამრეწველო მოგებას შორის. შემოსავლის გაზიარებული ფორმების ირაციონალობა]

მოგების დაყოფის შემდგომი «დამაგრება» ან განცალკევება ისეთნაირად წარმოგვიდგება, რომ ყოველი კაპიტალის მოგება, — მაშასადამე, კაპიტალების ურთიერთგათანაბრებაზე დამყარებული საშუალო მოგებაც, — დაიყოფა ან დაიშლება ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ, ანუ ერთიმეორის მიმართ თავისთავად, შემადგენელ ნაწილებად: სარგებლად და სამრეწველო მოგებად, რომელსაც ახლა ზოგჯერ ეწოდება აგრეთვე უბრალოდ მოგება ანდა, რომელიც ისეთ ახალ სახელწოდებას ღებულობს, როგორცაა «ხელფასი ზედამხედველობის შრომისათვის». თუ მოგების ნორმა (საშუალო მოგება) უდრის 15%-ს, სარგებლის ნორმა კი (რომელიც, როგორც დავინახეთ, მუდამ ფიქსირებულია საერთო ფორმით) — 5%-ს (სარგებლის საერთო ნორმა ფულის ბაზარზე მუდამ აღინიშნება როგორც ფულის «ღირებულება» ან «ფასი»), მაშინ კაპიტალისტი, იმ შემთხვევაშიც კი, როცა იგი კაპიტალის მესაკუთრეა და არ

უ ს ე ს ხ ე ბ ი ა ამ კაპიტალის არც ერთი ნაწილი, ასე რომ მოგება არ უნდა დაიყოს ორ კაპიტალისტს შორის, საქმეს განიხილავს ისე, რომ ამ 15%-დან ხუთი პროცენტი წარმოადგენს მისი კაპიტალის ს ა რ გ ე - ბ ე ლ ს და მხოლოდ 10% არის ის მოგება, რომელიც მან მიიღო კაპიტალის მწარმოებლური გამოყენების შედეგით. ეს 5% მას როგორც «მრეწველ კაპიტალისტს» ევალდება გადაუხადოს თავის თავს როგორც კაპიტალის «მესაკუთრეს»; იგი ერგება მის კ ა პ ი ტ ა ლ ს ა n s i c h , მასასადამე, მასაც აგრეთვე როგორც მესაკუთრეს კ ა პ ი ტ ა ლ ს ა . a n s i c h (რაც ამასთანავე არის თავისთვის ყოფიერება კაპიტალისა, ანდა ყოფიერება კაპიტალისა როგორც კაპიტალისტისა, როგორც ისეთი საკუთრებისა, რომელიც გამოირიცხავს თავისთავიდან სხვებს), წარმოების პროცესისგან განრიდებული კაპიტალისა, განსხვავებით მოქმედი კაპიტალისაგან, წარმოების პროცესში მყოფი კაპიტალისაგან, და «მრეწველი კაპიტალისტისაგან» როგორც ამ მოქმედი, «მომუშავე» კაპიტალის წარმომადგენლისაგან. «სარგებელი» არის ნაყოფი კაპიტალისა, რამდენადაც ეს უკანასკნელი არ «მუშაობს», არ მოქმედებს, მოგება კი «მომუშავე», მოქმედი კაპიტალის ნაყოფია. ეს ანალოგიურია იმ შემთხვევისა, როცა ფერმერი-კაპიტალისტი, რომელიც იმედროულად მიწის მესაკუთრეა, — მესაკუთრე მიწისა, რომელსაც იგი კაპიტალისტურად უწევს ექსპლოატაციას, — თავისი მოგების ნაწილს, რ ე ნ ტ ა ს რომ შეადგენს, ამ დამატებითს მოგებას, მიაწერს არა თავის თავს როგორც კაპიტალისტს, არამედ თავის თავს როგორც მიწის მესაკუთრეს, არა კაპიტალს, არამედ მიწის საკუთრებას, ასე რომ იგი როგორც კაპიტალისტი ვალდებულია «რენტა» გადაუხადოს თავის თავს როგორც მიწის მესაკუთრეს. ამრიგად, კაპიტალი ერთი თავისი თვისებით [როგორც სარგებელმომტანი] უპირისპირდება იმავე კაპიტალს მისი მეორე თვისებით [როგორც სამრეწველო მოგების მომტანს] ისეთსავე ვანცალკეევებულად ფიქსირებულ ფორმებში, როგორც ერთმეორეს უპირისპირდებიან მიწის საკუთრება და კაპიტალი, რომლებიც სინამდვილეში შეადგენენ ორ არსებითად სხვადასხვა წარმოების საშუალებაზე დაფუძნებულ უფლებრივ საფუძველს სხვისი შრომის მისათვისებლად.

თუ ერთ შემთხვევაში ხუთი პარტნიორი ფლობს ბამბის ფაბრიკას, რომელიც წარმოადგენს 100.000 გირ. სტერ. კაპიტალს და იძლევა 10% მოგებას, ე. ი. 10 000 გირ. სტერლინგს, მაშინ თითოეული პარტნიორი ღებულობს ამ მოგების 1/5-ს, ე. ი. 2000 გირ. სტერლინგს. თუ მეორე შემთხვევაში ერთ კაპიტალისტს ასეთივე კაპიტალი აქვს დაბანდებული ფაბრიკაში და ეს კაპიტალი იმავე მოგებას, ე. ი. 10 000 გირ. სტერლინგს იძლევა, მაშინ კაპიტალისტი ისე როდი ანგარიშობს, რომ იგი

ღებულობს 2 000 გირ. სტერ. მოგებას როგორც პარტნიორი და 8000 გირ. სტერ. საკომპანიო მოგებას არარსებული ოთხი პარტნიორისათვის. თავისთავად მოგების მართოდ ენგანაწილება სხვადასხვა [904] კაპიტალისტებს შორის, რომელთაც სხვადასხვა იურიდიული ტიტულები აქვთ ერთი და იმავე კაპიტალის მიმართ და რომელნიც ამ თუ იმ ფორმით ერთი და იმავე კაპიტალის თანამფლობელები არიან, სრულიადაც არ ქმნის, მაშასადამე, სხვადასხვა კატეგორიებს მოგების ამ გზით მისაღები ნაწილებისათვის. და რატომ ქმნის ასეთ კატეგორიებს მოგების შემთხვევითი განაწილება კაპიტალის გამსესხებელ პირსა და იმ პირს შორის, რომელიც ამ კაპიტალს სესხულობს?

*Prima facie** აქ ლაპარაკია მხოლოდ მოგების ისეთ დაყოფაზე, რომლის დროსაც არსებობს კაპიტალის ორი მესაკუთრე, — მესაკუთრენი სხვადასხვა ტიტულით, — ეს *prima facie* კი არის იურიდიული და არა ეკონომიური მომენტი. თავისთავად საცებით სულ ერთია, აწარმოებს კაპიტალისტი თავისი საკუთარი თუ სხვისი კაპიტალის მეშვეობით, ანდა როგორი პროპორციით აწარმოებს იგი საკუთარი კაპიტალით და სხვისი კაპიტალით. როგორღა ხდება, მაშასადამე, რომ მოგების ეს დაყოფა [სამრეწველო] მოგებად და სარგებლად არ არის შემთხვევითი დაყოფა, დამოკიდებული იმ შემთხვევითს გარემოებაზე, უხდება კაპიტალისტს ნამდვილად მოგების გაზიარება სხვებისათვის თუ არა, საკუთარი კაპიტალით მოქმედებს იგი მოცემულ შემთხვევაში თუ სხვისი კაპიტალით? რატომღა, პირიქით, რომ მაშინაც კი, როცა კაპიტალისტი მხოლოდ საკუთარი კაპიტალით აწარმოებს, იგი მაინც ყველა გარემოებაში გაორდება უბრალოდ კაპიტალის მესაკუთრედ და იმად, ვინც ამ კაპიტალს იყენებს, — წარმოების გარეშე მყოფ კაპიტალად და წარმოების პროცესში მყოფ კაპიტალად, კაპიტალად, რომელსაც თავისთავად მოაქვს სარგებელი, და კაპიტალად, რომელსაც მოგება მოაქვს როგორც [წარმოების] პროცესში მყოფს?

ამას საფუძვლად უდევს ერთი რეალური მომენტი. ფული (როგორც გამოხატულება საერთოდ საქონლის ღირებულებისა) მხოლოდ იმტომ ითვისებს წარმოების პროცესში ზედმეტ ღირებულებას — მიუხედავად იმისა, თუ რა ეწოდება მას და რა ნაწილებად იშლება იგი, — რომ წარმოების პროცესის დაწყებამდე იგი იგულისხმება როგორც კაპიტალი. წარმოების პროცესში ხდება ფულის — როგორც კაპიტალის — შენარჩუნება, წარმოება და კვლავწარმოება, და თანაც მუდამ მზარდი მასშტაბით. მაგრამ, როცა კაპიტალისტური წარმოების

* — პირველი შეხედვით. რ. ე. დ.

წესი უკვე არსებობს, როცა წარმოება მის საფუძველზე და მის შესაბამის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფარგლებში ხორციელდება, როცა, მაშასადამე, ლაპარაკი არ არის მხოლოდ კაპიტალის წარმოქმნის პროცესზე, — ამ პირობებში უკვე წარმოების პროცესის და წყება მღე ფული არსებობს როგორც კაპიტალი an sich, თავისი ხასიათის მიხედვით, თუმცა ეს ხასიათი მხოლოდ პროცესში ხორციელდება და საერთოდ სინამდვილეს მხოლოდ თვითონ პროცესში იძენს. ფული რომ წარმოების პროცესში კაპიტალის სახით არ შედიოდეს, იგი ვეღარც გამოვიდოდა ამ პროცესიდან როგორც კაპიტალი, ე. ი. როგორც მოგების მომტანი ფული, როგორც თვითმზარდი ღირებულება, როგორც ზედმეტი ღირებულების შემქმნელი ღირებულება.

აქ იგივე გარემოებაა, რაც ფულის [როგორც ასეთის] მიმართ. აი. ეს მონეტა, მაგალითად, სხვა არაფერია, თუ არა ლითონის ნატეხი. ფულს წარმოადგენს იგი მხოლოდ მიმოქცევის პროცესში თავისი ფუნქციის მეოხებით. მაგრამ თუ საქონელთა მიმოქცევის პროცესის არსებობა უკვე ნაგულისხმევია, მაშინ მონეტა არა მარტო მოქმედებს ფულის სახით, არამედ იგი ფულის სახით წანამდღვარიცაა მიმოქცევის პროცესისათვის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ჭერ კიდევ მანამდე, ვიდრე იგი ამ პროცესში შევიდოდეს.

კაპიტალი არის კაპიტალისტური წარმოების არა მარტო შედეგი, არამედ წანამდღვარიც. ამიტომ ფული და საქონელი an sich ფარული კაპიტალია, კაპიტალი შესაძლებლობაში: ყველა საქონელი კაპიტალია იმდენად, რამდენადაც იგი შეიძლება ფულად იქცეს, ფული კი — იმდენად, რამდენადაც იგი შეიძლება გადაიქცეს ისეთ საქონლად, რომელიც კაპიტალისტური წარმოების პროცესის ელემენტს შეადგენს. მაშასადამე, ფული, — როგორც საქონელთა ღირებულებისა და შრომის პირობების წმინდა გამოხატულება, — an sich არის როგორც კაპიტალი კაპიტალისტური წარმოების წანამდღვარი. რა არის კაპიტალი, განხილული არა როგორც შედეგი, არამედ როგორც წანამდღვარი პროცესისა? რა ხდის მას კაპიტალად ჭერ კიდევ მანამდე, ვიდრე იგი პროცესში შევიდოდეს, ასე რომ ეს პროცესი მხოლოდ იმის იმანენტურ ხასიათს ავითარებს? ის საზოგადოებრივი განსაზღვრულობა, რომლითაც იგი არსებობს: ცოცხალ შრომას უპირისპირდება წარსული შრომა, საქმიანობას — პროდუქტი, ადამიანს — ნივთი, შრომას უპირისპირდება მისი საკუთარი საგნობრივი პირობები, უპირისპირდება როგორც უცხო, თავისთავადი, მტკიცედ განცალკევებული სუბიექტები ან პერსონიფიკაციები, უპირისპირდება მოკლედ რომ ვთქვათ, როგორც სხვისი საქუთრება და ამ ფორმით — როგორც «გამომყენებელნი» თვით შრომისა და «განმკარგულებელნი» თვით შრომისა, რომელსაც ისინი ითვისებენ.

იმის მაგივრად, რომ თვით შრომა ითვისებდეს მათ. ის გარემოება, რომ ღირებულება (სულ ერთია ფულის სახით არსებობს იგი თუ საქონლის სახით), შემდეგ კი, შემდგომ განვითარებაში, შრომის პირობები — უპირისპირდება მუშას როგორც სხვისი საქუთრება, როგორც ისეთი რამ, რაც თავის თავს ეკუთვნის, იმას ნიშნავს მხოლოდ, რომ ისინი უპირისპირდებიან მას როგორც საქუთრება არა — მუშისა, ანდა, ყოველ შემთხვევაში, რომ იმდენად, რამდენადაც შრომის პირობების შესაქუთრე კაპიტალისტია, იგი უპირისპირდება ამ შრომის პირობებს არა როგორც მუშაკი, არამედ როგორც ღირებულების მესაქუთრე და ა. შ., როგორც ის უბიექტი, რომელშიც ამ ნივთებს გააჩნიათ საკუთარი ნებისყოფა, თვითონ ეკუთვნიან თავიანთ თავს და პერსონიფიცირებული არიან დამოუკიდებელი ძალების სახით. კაპიტალი როგორც წარმოების წანამძღვარი, კაპიტალი არა იმ სახით, რომლითაც იგი წარმოების პროცესიდან გამოდის, არამედ იმ სახით, როგორიც ის არის წარმოების პროცესში შესვლამდე, წარმოადგენს იმ ანტაგონიზმს, რომელშიც შრომა უპირისპირდება კაპიტალს როგორც სხვისი შრომა, კაპიტალი კი უპირისპირდება შრომას როგორც სხვისი საკუთრება. ამით გამოიხატება ის ანტაგონისტური საზოგადოებრივი განსაზღვრულობა, რომელიც, თვით პროცესისაგან გამოყოფილი, გამოიხატება კაპიტალისტური საქუთრებით როგორც ასეთით.

[905] და აი სწორედ ეს მომენტი, განცალკევებით თვით კაპიტალისტური წარმოების პროცესისაგან, რომლის შედეგი — და ამიტომ მისი მულდმივი წანამძღვარიც — ის არის, იმით გამოიხატება, რომ ფული და საქონელი an sich ფარული სახით, კაპიტალია, რომ ისინი შეიძლება გაიყიდონ როგორც კაპიტალი და რომ ამ ფორმით ისინი წარმოადგენენ კაპიტალის მარტოოდენ საქუთრებას, კაპიტალისტს როგორც უბრალო მესაქუთრეს მისი კაპიტალისტური ფუნქციისაგან დამოუკიდებლად, ასე რომ, თავისთავად განხილულნი, ისინი წარმოადგენენ განკარგულებას სხვის შრომაზე, მათსადამე, თვითმზარდ ღირებულებას, და სხვისი შრომის მითვისების უფლებას იძლევიან.

აქაც ნათლად მქლავნდება, რომ სწორედ ეს ურთიერთობა, და არა კაპიტალისტის მიერ გაცემული რაიმე შრომა ან ღირებულებითი ეკვივალენტი, არის სხვისი შრომის მითვისების საფუძველი და საშუალება.

აი რატომ წარმოადგება სარგებელი როგორც ზედმეტი ღირებულება, რომელიც წარმოშვა კაპიტალმა როგორც

კაპიტალმა, მარტოდენ კაპიტალის საკუთრებამ, როგორც ისეთი ზედმეტი ღირებულება, რომელსაც კაპიტალი იმიტომ ღებულობს წარმოების პროცესიდან, რომ მასში შედის როგორც კაპიტალი, რომელიც, მასთანა-მე, ეკუთვნის კაპიტალს როგორც ასეთს, წარმოების პროცესისაგან დამოუკიდებლად, თუმცა ნამდვილად იგი ჩნდება მხოლოდ წარმოების პროცესში, — და რომელსაც იგი ამიტომ, როგორც კაპიტალი, უკვე შეიცავს ფარული სახით. პირიქით, სამრეწველო მოგება წარმოგვიდგება როგორც ზედმეტი ღირებულების ისეთი ნაწილი, რომელიც ერგება კაპიტალისტს არა როგორც კაპიტალის მესაკუთრეს, არამედ როგორც მოქმედ მესაკუთრეს, მოქმედ კაპიტალს. მსგავსად იმისა როგორც ამ წარმოების წესში ყველაფერი დამახინჯებული სახით წარმოგვიდგება, ასევე წარმოგვიდგება საბოლოოდ ეს უკანასკნელი დამახინჯებაც სარგებლისა და მოგების თანაფარდობაში, ასე რომ განსაკუთრებულ რუბრიკად გამოყოფილი მოგების ნაწილი [სარგებელი], წარმოგვიდგება, პირიქით, სპეციალურად კაპიტალის კუთვნილ პროდუქტად, სამრეწველო მოგება კი წარმოგვიდგება მხოლოდ ამ ნაწილზე წამოზრდილ დამატებად.

რადგან ფულის მქონე კაპიტალისტი თავის წილს ზედმეტი ღირებულებიდან ღებულობს ნამდვილად როგორც კაპიტალის მესაკუთრე, თვითონ კი წარმოების პროცესის გარეშე რჩება; რადგან ფასი კაპიტალისა, ე. ი. კაპიტალის საკუთრების მარტოდენ ტიტულისა აღინიშნება სარგებლის ნორმით ფულის ბაზარზე, მსგავსად იმისა როგორც ბაზარზე აღინიშნება ყოველი სხვა საქონლის საბაზრო ფასი; რადგან ის წილი ზედმეტ ღირებულებაში, რომელსაც განსაზღვრავს კაპიტალი an sich, ე. ი. მარტოდენ კაპიტალის საკუთრება, ამის გამო სრულიად გარკვეული ოდენობაა, მაშინ როდესაც მოგების ნორმა მერყეობს, ყოველ მოცემულ მომენტში სხვადასხვაა წარმოების სხვადასხვა სფეროში, ყოველი სფეროს შიგნით კი არათანაბარია ცალკეული კაპიტალისტებისათვის, რამდენადაც ისინი ნაწილობრივ არაერთნაირად ხელსაყრელ პირობებში აწარმოებენ, ნაწილობრივ შრომის კაპიტალისტურ ექსპლოატაციას ახორციელებენ ცოდნისა და ენერჯის სხვადასხვა ხარისხით, ნაწილობრივ კი სხვადასხვა წარმატებათა და მოხერხებით ატყუებენ საქონელთა მყიდველთ თუ გამყიდველთ (profit upon expropriation, alienation *), — ამიტომ მოქმედ კაპიტალისტებს, ბუნებრივია, ისე ეჩვენებათ, რომ იმისდა მიუხედავად პროცესში მყოფი კაპიტალის მესაკუთრენი არიან ისინი თუ არ არიან,

* გასხვისებით მიღებული მოგება. რ ე დ.

ს ა რ გ ე ბ ე ლ ს წარმოშობს კაპიტალი როგორც ასეთი, კაპიტალის საკუთრება, კაპიტალის მესაკუთრე — განურჩევლად იმისა, კაპიტალის მესაკუთრენი თვითონ ისინი არიან თუ მესამე პირნი; სამრეწველო მოგება კი, პირიქით, მათ ეჩვენება მათი შრომის, მათი მუშაობის პროდუქტად. მოქმედი კაპიტალისტების — კაპიტალისტური წარმოების ნამდვილი აგენტების — სახით ისინი უპირისპირდებიან თავიანთ თავს ან მესამე პირებს როგორც კაპიტალის უბრალო, უმოქმედო ყოფიერებას, ამიტომ უპირისპირდებიან როგორც მ უ შ ა კ ე ბ ი თავიანთ თავს ან სხვებს როგორც მ ე ს ა კ უ თ რ ე ე ბ ს. და რაკი ისინი უკვე მუშა-კები არიან, არსებითად ისინი, ამ თვალსაზრისით, დაქირავებული მუშე-ბი არიან და, თავიანთი განსაკუთრებული უპირატესობის გამო, მხოლოდ უკეთესი ხელფასის მქონე დაქირავებული მუშეები, რასაც ისინი იმ გარე-მოებასაც უნდა უმაღლოდნენ, რომ თვითონ უხდიან ხელფასს თავიანთ თავს.

ამრიგად, მაშინ როდესაც ს ა რ გ ე ბ ე ლ ი და კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ა რ გ ე ბ ე ლ მ ო მ ტ ა ნ ი კაპიტალის სახით გამოხატავენ ნივთიერი სიმდიდრის აშკარა დაპირისპირებას შრომისადმი და ამიტომ ნივთიერი სიმდიდრის — როგორც კ ა პ ი ტ ა ლ ი ს — ყოფიერებას, ჩვეულებრივ წარმოდგენაში ეს, პირიქით, უკუშებრუნებული სახით აირეკლება, ვინაიდან მოვლენათა ზედაპირზე ფულის მქონე კაპიტალისტი წარმოგვიდგება *prima facie* დაქირავებული შრომისადმი ყოველგვარი მიმართების გარეშე, იგი იმყოფება მიმართებაში მხოლოდ სხვა კაპიტალისტთან. ეს სხვა კაპიტალისტი კი, ნაცვლად იმისა, რომ დაქირავებულ შრომას უპირისპირდებოდეს, თვითონ მ უ შ ა კ ი ს სახით უპირისპირდება თავის თავს ან სხვა კაპიტალისტს როგორც მარტოოდენ კაპიტალის ყოფიერებას, უბრალოდ როგორც კაპიტალის მესაკუთრეს. ამას ერთვის კიდევ ის გარემოება, რომ ცალკეულ კაპიტალისტს შეუძლია ან გაასესხოს თავისი ფული რ ო გ ო რ ც კ ა პ ი ტ ა ლ ი, ანდა თ ვ ი თ ო ნ გამოიყენოს იგი კაპიტალის სახით. რამდენადაც იგი თავისი ფულიდან ს ა რ გ ე ბ ე ლ ს ლებულობს, იგი ლებულობს ამ ფულში მხოლოდ იმ ფასს, რომელსაც მიიღებდა იმ შემთხვევაშიც, თუ არ «იმოქმედებდა» როგორც კაპიტალისტი, არ «იმუშავებდა». ამიტომ ცხადია, რომ რამდენადაც ის წარმოების პროცესიდან მარტოოდენ სარგებელს ღებულობს, ამას იგი უნდა უმაღლოდეს მხოლოდ კაპიტალს და არა თვით წარმოების პროცესს და [906] არა თავის თავს როგორც მოქმედი კაპიტალის წარმომადგენელს.

აქედან გამომდინარეობს აგრეთვე ზოგიერთი ვულგარული ეკონომისტის აჩემებული ფრაზა: მრეწველი კაპიტალისტი რომ გარდა სარგებ-

ლისა სხვა მოგებას არ იღებდეს, იგი თავის კაპიტალს სარგებელზე გაასესხებდა და იცხოვრებდა როგორც რანტიე. ამრიგად, ყველა კაპიტალისტი შეწყვეტდა წარმოებას და მთელი კაპიტალი აღარ იმოქმედებდა როგორც კაპიტალი, მაგრამ მიუხედავად ამისა შესაძლებელი იქნებოდა კაპიტალის სარგებლით ცხოვრება! უკვე ტიურგო მსჯელობდა ანალოგიურად: კაპიტალისტი რომ სარგებელს არ იღებდეს, იგი იყიდდა მიწას (კაპიტალიზებულ რენტას) და მიწის რენტით იცხოვრებდა¹⁶⁸. მაგრამ რადგან ფიზიოკრატებისათვის მიწის რენტა ნამდვილ ზედმეტ ღირებულებას წარმოადგენს, ამიტომ აქ მაინც სარგებელი ზედმეტი ღირებულებიდან გამოიყვანება, მაშინ როდესაც აღნიშნულ ვულგარულ კონცეფციაში რეალური ვითარება თავდაყირა დგას.

აღსანიშნავია კიდევ მეორე გარემოება. მრეწველი კაპიტალისტისათვის, რომელმაც ფული ისესხა, სარგებელი შედის ხარჯებში, ამასთან ხარჯები აღებულია აქ იმ აზრით, რომ ისინი აღნიშნავენ კაპიტალისტის მიერ აფანსებულ ღირებულებას. 1 000 გირ. სტერლ. კაპიტალი, მაგალითად, შედის მის წარმოებაში არა როგორც საქონელი 1000 გირ. სტერლ. ღირებულებისა, არამედ როგორც კაპიტალი. მაშასადამე, თუ 1 000 გირ. სტერლ. კაპიტალი ყოველწლიურად 10%-ს იძლევა, მაშინ წლიურ პროდუქტში ის შედის როგორც 1 100 გირ. სტერლ. ღირებულება. აქ, მაშასადამე, ნათლად მკლავნდება, რომ ესა თუ ის ჯამი ღირებულებებისა (და საქონელი, რომელშიც ის არის წარმოდგენილი) არ ხდება კაპიტალი მხოლოდ წარმოების პროცესში, არამედ როგორც კაპიტალი წარმოების პროცესის წანამძღვარს შეადგენს და ამიტომ უკვე შეიცავს ზედმეტ ღირებულებას, რომელიც ერგება მას უბრალოდ როგორც კაპიტალს. თუ მრეწველი სესხად აღებული კაპიტალით მუშაობს, მაშინ მის ხარჯებში შედის სარგებელი, ანუ კაპიტალი როგორც კაპიტალი, ასეთი კი კაპიტალი არის მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ქმნის ზედმეტ ღირებულებას (ასე რომ თუ იგი როგორც საქონელი ღირს, მაგალითად, 1 000, როგორც კაპიტალი იგი უდრის 1 100-ს, ე. ი. $1\ 000 + \frac{1000}{10}$, $x + \frac{x}{10}$). თუ პროდუქტში მიღებული იქნებოდა მხოლოდ

სარგებელი, ეს იქნებოდა, მართალია, გადანამეტი იმ აფანსებული კაპიტალის ღირებულებაზე, რომელიც გაანგარიშებულია როგორც უბრალო საქონელი, და არა კაპიტალის სახით გაანგარიშებული საქონლის ღირებულებაზე; მრეწველი უნდა აძლევდეს ამ ზედმეტ ღირებულებას სხვას, იგი ეკუთვნის მის აფანსებს, იმ ხარჯებს, რაც მან გასწია საქონლის საწარმოებლად.

რაც შეეხება საკუთარი კაპიტალით მომუშავე მრეწველს, მან თავის- თავს უნდა უხადოს კაპიტალის სარგებელი და მას განიხილავს როგორც ავანსს. მართლაც, მან ხომ ავანსად გაიღო არა მარტო კაპიტალი, მაგალითად, 1 000 გირ. სტერ. ღირებულებისა, არამედ 1 000 გირ. სტერ. ღირებულება როგორც კაპიტალი, ეს ღირებულება შეადგენს 1 050 გირ. სტერლინგს, თუ სარგებელი უდრის 5-ს. და ეს მისთვის სულაც არაა უქმითვითანალოზი. ეს 1 000 გირ. სტერლინგი კაპიტალის სახით მას მოუტანდა 1 050 გირ. სტერლინგს, თუ იგი მას, ნაცვლად მწარმოებლურად გამოყენებისა, გაასესხებდა. მაშასადამე, რამდენადაც იგი 1 000 გირ. სტერლინგს ავანსად აძლევს თავის თავს როგორც კაპიტალს, იგი ავანსად აძლევს თავის თავს 1 050 გირ. სტერლინგს. და ასეთ ვითარებაში აუცილებელია დანაკარგის ანაზღაურება ვინმესაგან, თუნდაც თავისი თავისაგან!

1 000 გირ. სტერლინგის ღირებულების საქონელს აქვს როგორც კაპიტალს 1 050 გირ. სტერ. ღირებულება. ეს ნიშნავს, რომ კაპიტალი არ არის მარტივი რაოდენობა: იგი არ არის უბრალო საქონელი, არამედ ხარისხში აყვანილი საქონელია, არ არის უბრალო სიდიდე, არამედ სიდიდეთა შეფარდებაა. კაპიტალი არის შეფარდება მისი როგორც ძირითადი თანხისა, როგორც მოცემული ღირებულებისა თავის თავთან როგორც [ისეთ ძირითად თანხასთან, რომელმაც აწარმოვა] ზედმეტი ღირებულება. კაპიტალ k -ს ღირებულება (ერთი წლისათვის) უდრის $k \left(1 + \frac{1}{x}\right)^1$ -ს.

ანუ $k + \frac{k}{x}$ -ს. ისევე როგორც შეუძლებელია უმარტივესი არითმეტიკული ოპერაციების მეშვეობით გავიგოთ ან გამოვთვალოთ x განტოლებაში $a^x = n$, ასევე შეუძლებელია ელემენტარული წარმოდგენებიდან გამოვიყვანოთ ახარისხებული საქონელი, ახარისხებული ფული, კაპიტალი.

საესებით ისევე როგორც სარგებელში მოგების ნაწილი, კაპიტალის მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულების ნაწილი, წარმოგვიდგება როგორც კაპიტალისტის მიერ ავანსებულ ი, ასევე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეორე ნაწილი — მიწის რენტა — წარმოგვიდგება როგორც კაპიტალისტის მიერ ავანსებული. ასეთი წარმოდგენის ირაციონალობა უფრო ნაკლებად გვეცემა თვალში იმიტომ, რომ რენტა გამოდის აქ როგორც წლიური ფასი მიწისა, რომელიც შედის წარმოებაში როგორც საქონელი. «მიწის ფასი» კიდევ უფრო მეტ ირაციონალობას შეიცავს, ვიდრე კაპიტალის ფასი, მაგრამ ამას არ შეიცავს თვითფორმა გამოხატვისა. ვინაიდან მიწა გამოდის აქ როგორც სახმარი ღირებულება რომელიმე საქონლისა, მიწის რენტა კი — როგორც ფასი ამ.

საქონლისა. (ირაციონალობა აქ იმაშია, რომ ისეთ რამეს, რაც შრომის პროდუქტს არ წარმოადგენს — მიწას — უნდა ჰქონდეს ფასი, ე. ი. ფულში გამოხატული ღირებულება, მაშასადამე, უნდა განიხილებოდეს როგორც განიფთებული საზოგადოებრივი შრომა). ამიტომ გარეგანი ფორმის მიხედვით ჩვენ გვაქვს აქ, ისე როგორც ყოველ საქონელსაც, ორგვარი გამოხატულება: გამოხატულება საქონლისა როგორც სახმარი ღირებულებისა და როგორც საცვლელი ღირებულებისა, და საცვლელი ღირებულება გამოიხატება იდეალურად როგორც ფასი, როგორც ისეთი რამ, რასაც საქონელი როგორც სახმარი ღირებულება აბსოლუტურად არ წარმოადგენს. პირიქით, გამოხატულებაში «1 000 გირ. სტერლინგი = 1 050 გირ. სტერლინგს», ანუ «50 გირ. სტერლინგი შეადგენს 1 000 გირ. სტერლინგის წლიურ ფასს», მყარდება მიმართება ერთნაირ საგნებს შორის, საცვლელ ღირებულებას და საცვლელ ღირებულებას შორის, და საცვლელი ღირებულება უნდა იყოს, როგორც თავის თავისაგან განსხვავებული, თავისი საკუთარი ფასი, ე. ი. თვით საცვლელი ღირებულება, ფულში გამოხატული.

[907] ამრიგად, აქ ზედმეტი ღირებულების ორი ფორმა — სარგებელი და რენტა, კაპიტალისტური წარმოების შედეგები, — შედის ამ წარმოებაში როგორც წანამძღვარი, როგორც ა ვ ა ნ ს ი, რასაც კაპიტალისტი გაიღებს და რაც ამიტომ სრულიადაც არ წარმოადგენს მისთვის ზედმეტ ღირებულებას, მისგან გაღებული ავანსის ღირებულების გადანამეტს. ზედმეტი ღირებულების ეს ფორმები თ ვ ა ლ ს ა ჩ ი ნ ო დ ა რ წ მ უ ე ნ ე ბ ს თვით ცალკეულ კაპიტალისტს იმაში, რომ ზედმეტი ღირებულების წარმოება ეკუთვნის კაპიტალისტური წარმოების წ ა რ მ ო ე ბ ი ს ხ ა რ ჯ ე ბ ს, რომ მითვისება სხვისი შრომისა და გადანამეტისა პროცესში მოხმარებულ საქონელთა (სულ ერთია — ეს საქონელი მუდმივ კაპიტალში შედის თუ ცვალებად კაპიტალში) ღირებულებაზე ამ წარმოების წესის აუცილებელი პირობაა. მართალია, ეს იმაშიც გვლინდება, რომ საშუალო მოგება არის საქონლის ხარკთფასის ერთ-ერთი ელემენტი, მაშასადამე, საქონლის მიწოდების პირობა, თვით საქონლის წარმოების პირობა. მაგრამ მიუხედავად ამისა მრეწველი კაპიტალისტი სამართლიანად განიხილავს ამ გადანამეტს, ზედმეტი ღირებულების ამ ნაწილს, — თუმცა იგი თვით წარმოების ერთ-ერთ ელემენტს შეადგენს, — თავის თავის მიმართ როგორც თ ა ვ ი ს ი ხარკების გადანამეტს და ამ უკანასკნელს არ მიაკუთვნებს, სარგებლისა და რენტის მსგავსად, თ ა ვ ი ს ავანსებს. კრიტიკულ მომენტებში მოგებაც ფაქტიურად უპირისპირდება თვით მას როგორც წარმოების პირობა, რამდენადაც ფასის დაცემის შედეგად, რაც ნთქაჲს ან მკვეთრად ამცირებს,

სამრეწველო მოგებას, წარმოება იკვეცება ან ჩერდება. აქედან ჩანს იმათი გონების სიჩლუნგე, ვისაც ზედმეტი ღირებულების განსხვავებული ფორმები მხოლოდ განაწილების ფორმებად მიაჩნია. ისინი ამდენადვე წარმოების ფორმებია. [907]

* * *

[937] შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სამერთიან ფორმულაში «მიწა—რენტა. კაპიტალი — მოგება (სარგებელი), შრომა — ხელფასი» უკანასკნელი წევრი ჭერ კიდევ ყველაზე რაციონალურია: აქ ხომ ყოველ შემთხვევაში დასახელებულია ის წყარო, საიდანაც ხელფასი გამომდინარეობს. მაგრამ სინამდვილეში უკანასკნელი ფორმა, პირიქით, ყველაზე ირაციონალურია და დანარჩენი ორი ფორმის საფუძველს წარმოადგენს, ისევე როგორც საერთოდ დაქირავებული შრომის წანამძღვარია მიწა მიწის საკუთრების სახით და პროდუქტი კაპიტალის სახით. მხოლოდ მაშინ, როცა შრომის პირობები უპირისპირდება შრომას ამ ფორმით, შრომა არის დაქირავებული შრომა. მაგრამ ფორმულაში «შრომა — ხელფასი» შრომა გამოხატულია სწორედ როგორც დაქირავებული შრომა. რადგან ხელფასი აქ გამოდის როგორც შრომის სპეციფიკური პროდუქტი, როგორც შრომის ერთადერთი პროდუქტი (და იგი მართლაც შრომის ერთადერთი პროდუქტია დაქირავებული მუშისათვის), ამიტომ ღირებულების სხვა ნაწილები — რენტა, მოგება (სარგებელი) — ასეთივე აუცილებლობით გამოდის როგორც სხვა სპეციფიკური წყაროებიდან გამომდინარე, და სავსებით ისევე როგორც პროდუქტის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც ხელფასზეა დაყვანილი, შრომის სპეციფიკურ პროდუქტად ითვლება, ასევე ღირებულების ის ნაწილებიც, რომლებიც დაყვანილია რენტასა და მოგებაზე, უნდა ითვლებოდნენ იმ ფაქტორების სპეციფიკურ შედეგებად, რომლებიც ისეთ ვისაც ისინი არსებობენ და რომელთა ხვედრიც ისინი არიან, ე. ი. ისინი უნდა გვეჩვენებოდნენ ნაყოფად, რომელიც წარმოშობილია, შესაბამისად, მიწის და კაპიტალის მიერ. [937].

**[4] ზედმეტი ღირებულების გარდაქმნილი ფორმების
დამაბრუნების პროცესი და ამ ფორმების სულ უფრო გზარდი
ბანცალკეობა თაზიანთი შინაგანი არსისაგან — ზედმეტი
შრომისაგან. სარგებელმოგებანი კაპიტალი როგორც ამ
პროცესის უპელაზე უკიდურესი საფეხური. აკოლოგატიკური
შესეღულეა სარგებელმოგებანი როგორც
«კაპიტალისტის ხელფასზე»]**

[910] განვიხილოთ ის გზა, რომელსაც კაპიტალი ვაივლის, სანამ იგი სარგებელმოგებანი კაპიტალის ფორმით მოგვევლინება.

უშუალო წარმოების პროცესში საქმის ვითარება ჯერ კიდევ მარტივია. ზედმეტ ღირებულებას ჯერ კიდევ არ მიუღია განსაკუთრებული ფორმა, გარდა თვით ზედმეტი ღირებულების იმ ფორმისა, რომელიც განახლებებს მას პროდუქტის იმ ნაწილის ღირებულებისაგან, რომელიც ამ პროდუქტში კვლავწარმოებული ღირებულების ეკვივალენტს შეადგენს. მსგავსად იმისა როგორც ღირებულება საერთოდ დაიყვანება შრომაზე, ასევე ზედმეტი ღირებულებაც დაიყვანება ზედმეტ შრომაზე, ფასგადაუხდელ შრომაზე. ამიტომაც ზედმეტი ღირებულება იზომება კაპიტალის მხოლოდ იმ ნაწილით, რომელიც ნამდვილად იცვლის თავის ღირებულებას — ცვალებადი კაპიტალით, კაპიტალის იმ ნაწილით, რომელიც ხელფასზეა დახარჯული. მუდმივი კაპიტალი გამოდის მხოლოდ როგორც პირობა იმისათვის, რომ კაპიტალის ცვალებადმა ნაწილმა მოქმედება შეძლოს. მეტად მარტივია ის ვითარება, რომ თუ 100 გირ. სტერლინგით, რომელიც 10 კაცის შრომას უდრის, ყიდულობენ 20 კაცის შრომას (ე. ი. ისეთ საქონელს იძენენ, რომელიც 20 კაცის შრომას შეიცავს), მაშინ პროდუქტის ღირებულება უდრის 200 გირ. სტერლინგს, 100 გირ. სტერლ. ზედმეტი ღირებულება კი წარმოადგენს 10 კაცის ფასგადაუხდელ შრომას. ანდა, თუ მუშაობს 20 კაცი, თითოეული მუშაობს თავისათვის მხოლოდ ნახევარ დღეს, დღის მეორე ნახევარს კი მუშაობს კაპიტალისტისათვის. 20-ნახევარი დღე შეადგენს 10 დღეს. ეს იგივეა, თუ, მაგალითად, გადახდილი იქნებოდა 10 კაცის შრომა, 10 კაცი კი მუქთად იმუშაებდა კაპიტალისტისათვის.

აქ, ამ ემბრიონულ მდგომარეობაში, საქმის ვითარება ჯერ კიდევ სასებით გასაგებია ან, უფრო სწორად, მისი უარყოფა არ შეიძლება. სიძნელე აქ მხოლოდ იმის გარკვევაშია, თუ როგორ გამოდინარეობს შრომის ეს მითვისება უეკვივალენტოდ საქონელგაცვლის კანონიდან, — იქიდან, რომ საქონელთა გაცვლა წარმოებს მათში მოთავსებული სამუშაო დროის შესაბამისად, — როგორაა, უწინარეს ყოვლისა, რომ ეს მითვისება არ ეწინააღმდეგება ამ კანონს.

37. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

[911] მიმოქცევის პროცესი უკვე შლის, უკვე ჩქმალავს სინამდვილე-ში არსებულ კავშირს. რადგან ზედმეტი ღირებულების მასა აქ აგრეთვე კაპიტალის მიმოქცევის დროითაც განისაზღვრება, ამიტომ ისე გვეჩვენება, რომ აქ მოქმედებს სამუშაო დროისათვის უცხო შემთხვევითი ელემენტი.

თუ ავიღებთ, დასასრულ, მზა კაპიტალს, რომელიც გვევლინება როგორც მთლიანობა, როგორც ერთიანობა მიმოქცევის პროცესისა და წარმოების პროცესისა, როგორც გამოხატულება კვლავწარმოების პროცესისა, — როგორც ღირებულების გარკვეული ჯამი, რომელიც დროის გარკვეულ მონაკვეთში, მიმოქცევის გარკვეულ მონაკვეთში გარკვეულ მოგებას (ზედმეტ ღირებულებას) აწარმოებს, — მაშინ აქ წარმოების პროცესი და მიმოქცევის პროცესი არსებობენ ჯერ კიდევ მხოლოდ როგორც მოგონება და როგორც ისეთი მომენტები, რომლებიც თანაბრად განსაზღვრავენ ზედმეტ ღირებულებას, რის შედეგადაც მისი მარტივი ბუნება ბუნდოვანი ხდება. ზედმეტი ღირებულება გვევლინება ახლა როგორც მოგება. და აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი. 1) ეს მოგება მიმართებაშია კაპიტალის მიმოქცევის გარკვეულ მონაკვეთთან, რომელიც განსხვავდება სამუშაო დროისაგან. 2) ზედმეტი ღირებულება მისი გამომანგარიშებისას შედარდება არა კაპიტალის იმ ნაწილს, რომლიდანაც იგი უშუალოდ წარმოიქმნება, არამედ ერთობლივ კაპიტალს, მისი შემადგენელი ნაწილების განუსხვავებლად. ამით მისი წყარო მთლიანად იფარება თვალთახედვიდან. 3) თუმცა მოგების ამ პირველ ფორმაში მოგების მასა რაოდენობრივად ცალკეული კაპიტალისთვის მიერ წარმოებულ ზედმეტი ღირებულების მასის იდენტურია, მაგრამ მოგების ნორმა თავიდანვე განსხვავებულია ზედმეტი ღირებულების ნორმისაგან, რადგან ზედმეტი ღირებულების ნორმა უდრის $\frac{m}{v}$ -ს, მოგების ნორმა კი

უდრის $\frac{m}{c+v}$ -ს. 4) როცა ზედმეტი ღირებულების ნორმა მოცემულია,

მოგების ნორმა შეიძლება დიდდობოდეს ან ეცემოდეს; მოგების ნორმა შეიძლება იცვლებოდეს ზედმეტი ღირებულების ნორმის ცვლილებათა საპირისპირო მიმართულებითაც კი.

ამრიგად, უკვე მოგების სახით ზედმეტ ღირებულებას ისეთი ფორმა აქვს, რომელიც არათუ არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ უშუალოდ შევიცნოთ მისი იგივეობა ზედმეტ ღირებულებასთან, ზედმეტ შრომასთან, არამედ ისე გვეჩვენება, რომ იგი უშუალოდ ეწინააღმდეგება ამ იგივეობას.

შემდეგ, იმის შედეგად, რომ მოგება გადაიქცევა ს ა შ უ ა ლ ო მოგებად, წარმოიქმნება მოგების საერთო ნორმა და ამასთან დაკავშირებით ან ამის შედეგად ღირებულება გადაიქცევა ხარჯთფასებად, ცალკეული კაპიტალის მოგება არა მარტო თავისი გამოხატულებით, რომელიც გვიჩვენებს მოგების ნორმის განსხვავებას ზედმეტი ღირებულების ნორმისაგან, არამედ სუბსტანციითაც, ე. ი. აქ რაოდენობრივად, განსხვავებული ხდება თვით ზედმეტი ღირებულებისაგან, რომელიც ცალკეულმა კაპიტალმა აწარმოვა თავის განსაკუთრებულ წარმოების სფეროში. თუ განვიხილავთ ცალკეულ კაპიტალს, ასევე ერთობლივ კაპიტალს წარმოების რომელიმე განსაკუთრებულ სფეროში, დავინახავთ, რომ მოგება ახლა არა მარტო გარეგნულად განსხვავდება ზედმეტი ღირებულებისაგან, არამედ ფაქტიურადაც. თანაბარი სიდიდის კაპიტალები იძლევიან თანაბარ მოგებას, ანუ მოგება კაპიტალების სიდიდის პროპორციულია. ანდა: მოგება განისაზღვრება ავანსებული კაპიტალის ღირებულებით. ყველა ამ გამოხატულებაში სრულიად მიჩქმალულია მოგების კეშირი კაპიტალის ორგანულ შედგენილობასთან; მისი გამოცნობა აქ უკვე შეუძლებელია. პირიქით, უშუალოდ გეცემთ თვალში ის, რომ ტოლდონი კაპიტალები, რომელთაც მოძრაობაში მოჰყავთ შრომის მეტად განსხვავებული რაოდენობანი, რომელთა განკარგულებაშიც არის, მაშასადამე, ზედმეტი შრომის მეტად განსხვავებული რაოდენობა და რომელნიც ზედმეტი ღირებულების მეტად განსხვავებულ რაოდენობებს ქმნიან, თანაბარი სიდიდის მოგებას იძლევიან. ხარჯთფასებად ღირებულებათა გადაქცევის შედეგად გაუქმებულად გვეჩვენება თვით საფუძველიც — საქონელთა ღირებულების განსაზღვრა მათში მოთავსებული სამუშაო დროით.

მოგების სწორედ ამ სრულიად გაუცხოებული ფორმით და იმდენად, რამდენადაც მოგების ფორმა მალავს თავის შინაგან არსებას, კაპიტალი სულ უფრო მეტად დებულობს ნივთობრივ სახეს, სულ უფრო მეტად გადაიქცევა ურთიერთობიდან ნივთად, მაგრამ ისეთ ნივთად, რომელსაც თავის თავში მოუთავსებია, თავისში ჩაუყლაპავს საზოგადოებრივი ურთიერთობა, — ნივთად, რომელსაც გააჩნია ფიქციური სიცოცხლე და თვითმყოფობა, რომელიც მიმართებაშია თავის თავთან და გრძნობად-ზეგრძნობად არსებად არის ქცეული. და კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ა და მოგების ამ ფორმით კაპიტალი გვევლინება მოვლენათა ზედაპირზე როგორც მზა წანამძღვარი. ეს არის ფორმა მისი სინამდვილისა, ანუ, უფრო ზუსტად, ფორმა მისი ნამდვილი არსებობისა. და სწორედ ამ ფორმით ცოცხლობს იგი მის მატარებელთა, კაპიტალისტთა ცნობიერებაში, აისახება მათს წარმოდგენებში.

ეს ფიქსირებული და გამაგრებული (სრულიად სახეშეცვლილი) ფორმა მოგებისა (და ამით კაპიტალისა როგორც მისი შემქმნელისა, ვინაიდან კაპიტალი არის საფუძველი, მოგება — შედეგი, კაპიტალი — მიწეზი, მოგება — მოქმედება, კაპიტალი — სუბსტანცია, მოგება — აქციდენცია; კაპიტალი კაპიტალია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი აწარმოებს მოგებას. რამდენადაც იგი მოგების, დამატებითი ღირებულების შემქმნელი ღირებულებაა), — და ამით აგრეთვე ფორმა კაპიტალისა როგორც მისი საფუძველისა, კაპიტალისა, რომელიც ინარჩუნებს თავის თავს როგორც კაპიტალი და დიდდება მის მიერ მოტანილი მოგების მეშვეობით; — კიდევ უფრო განამტკიცებს თავის წმინდა გარეგნულ ხასიათს იმით, რომ იგივე პროცესი კაპიტალის გათანაბრებისა, რომელიც მოგებას აძლევს საშუალო მოგების ამ ფორმას, გამოყოფს მისგან ნაწილს რენტის ფორმით, რომელიც ღებულობს დამოუკიდებელ არსებობას და რომელიც, ასე ვთქვათ, წარმოქმნილია სხვა ნიადაგზე, მიწაზე. მართალია, თავდაპირველად რენტა გამოდის როგორც მოგების ნაწილი. რომელსაც ფერმერი უხდის მიწის მესაკუთრეს. მაგრამ რადგან არც იგი. ფერმერი, არ იღებს ჯიბეში ამ დამატებითს მოგებას, არც კაპიტალი, რომელსაც ის იყენებს, არაფრით არ განსხვავდება, როგორც კაპიტალი, ყოველი სხვა კაპიტალისაგან (ფერმერი ხომ იმიტომ აძლევს დამატებითს მოგებას მიწის მესაკუთრეს, რომ მას არ მიაჩნია მის წყაროდ კაპიტალი როგორც კაპიტალი), იმიტომ თვით მიწა გვევლინება როგორც წყარო საქონლის ღირებულების ამ ნაწილისა (მისი ზედმეტი ღირებულების ამ ნაწილისა), მიწის მესაკუთრე კი მხოლოდ [912] მიწის იურიდიულ პერსონიფიკაციას წარმოადგენს.

როცა რენტა ავანსებულ კაპიტალზე იანგარიშება, მაინც რჩება კიდევ ძაფი, რომელიც მოგვაგონებს იმას, რომ იგი წარმოიშვა როგორც გარკვეული გაცალკევებული ნაწილი მოგებისა, ე. ი. ზედმეტი ღირებულებისა საერთოდ. (რა თქმა უნდა, სხვაგვარია საქმის ვითარება ისეთი საზოგადოებრივი წყობილების დროს, როცა მიწის საკუთრება უშუალოდ ეწევა შრომის ექსპლოატაციას. იქ არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს ზედმეტი სიმდიდრის წყაროს გამოცნობა.) მაგრამ რენტას იხდიან მიწის გარკვეული რაოდენობისათვის; მისი კაპიტალიზაცია ხდება მიწის ღირებულებაში; ეს ღირებულება დიდდება და მცირდება რენტის გადიდების ან შემცირების შესაბამისად; რენტა დიდდება ან მცირდება მიწის ღირებულებაში უცვლელ ფართობთან შედარებით (მაშინ როდესაც ამ ფართობზე მოქმედი კაპიტალი იცვლის თავის სიდიდეს); მიწების ხარისხის სხვაობა ვლინდება ფართობის გარკვეული ერთეულისათვის გადასახდელი რენტის სიდიდეში; რენტის საერთო ჯამი იანგარიშება მთელ ფართობზე,

რათა შესაძლებელი იყოს, მაგალითად, კვადრატული ფუტიდან მისაღები საშუალო რენტის განსაზღვრა. ისევე როგორც კაპიტალისტური წარმოების მიერ შექმნილი ყველა ფორმა-ამ წარმოებისა, რენტა გვევლინება ამასთანავე როგორც ფიქსირებული, წინასწარ მოცემული წანამძღვარი, ყოველ მოცემულ მომენტში არსებული და, მაშასადამე, ცალკეული ინდივიდისათვის იმის ნებისაგან დამოუკიდებლად არსებული. ფერმერი უნდა იხდიდეს რენტას, სახელდობრ გარკვეულ თანხას მიწის ფართობის ერთეულისათვის, მიწის ხარისხის შესაბამისად. თუ მიწის ხარისხი მაღლდება ან ეცემა, მაშინ დიდდება ან მცირდება ის რენტა, რომელიც მან უნდა იხადოს ამდენი და ამდენი აკრისათვის, — მიწისათვის, იმ კაპიტალის მიუხედავად, რომელსაც იგი იყენებს ამ მიწაზე. სავსებით ამგვარადვე უნდა იხადოს მან სარგებელი იმ მოგების მიუხედავად, რომელსაც იგი ღებულობს.

რენტის გამოანგარიშება წარმოებაში მოქმედ კაპიტალზე ჯერ კიდევ პოლიტიკური ეკონომიის ის კრიტიკული ფორმულაა, რომელიც ინარჩუნებს რენტის კავშირს მოგებასთან როგორც იმ ნიადაგთან, რომელზეც ეს რენტა წარმოიშობა. მაგრამ რეალურ სინამდვილეში ეს კავშირი არ მუდგანდება; პირიქით, რენტა აქ იზომება ნამდვილი ნიადაგით, — და ამის შედეგად გამორიცხულია ყოველგვარი შუალედური მოძრაობა და დამთავრებულია მისი წმინდა გარეგანი დამოუკიდებელი სახე. დამოუკიდებელ ფორმას იგი წარმოადგენს მხოლოდ ამ გარეგნულობაში, შუალედური მოძრაობისაგან სრულ გამოთიშულობაში. მიწის (ნიადაგის) კვადრატული ფუტი იძლევა ამდენ და ამდენ რენტას. ამ გამოთქმაში, სადაც ზედმეტი ღირებულების ნაწილი — რენტა — წარმოადგენილია მის მიმართებაში ბუნების რომელიმე განსაკუთრებულ ელემენტთან ადამიანის შრომის მიუხედავად, არა მარტო სავსებით დაჩრდილულია ზედმეტი ღირებულების ბუნება, იმიტომ რომ გამჭარალა თვით ღირებულების ბუნება, არამედ თვითონ მოგებაც ისეთ რამედ წარმოგვიდგება, რაც თავის არსებობას უნდა უმადლოდეს კაპიტალს როგორც წარმოების განსაკუთრებულ ნივთობრივ ელემენტს, მსგავსად იმისა როგორც წარმოგვიდგება რენტა, რომელიც თავის არსებობას უნდა უმადლოდეს მიწას. მიწა არსებობს როგორც ბუნების ნაწილი და იძლევა რენტას. კაპიტალი შედგება ადამიანების მიერ წარმოებული პროდუქტებისაგან, და ეს პროდუქტები იძლევიან მოგებას. ის, რომ ერთი სახმარი ღირებულება, რომელიც წარმოებულია ადამიანების მიერ, იძლევა მოგებას, მეორე კი, რომელიც არ არის ადამიანების მიერ წარმოებული, იძლევა რენტას, — ეს მხოლოდ ორი სხვადასხვა

ფორმაა, რომელშიც ნივთები ქმნიან ღირებულებას, და ამ ორი ფორმიდან ერთი ისევე გასაგები და გაუგებარია, როგორც მეორეც.

ცხადია, რომ, როგორც კი ზედმეტი ღირებულება დაიყოფა სხვადასხვა განსაკუთრებულ ნაწილებად, რომლებიც მიეკუთვნება წარმოების მხოლოდ ნივთობრივად განსხვავებულ ელემენტებს — ბუნებას, შრომის პროდუქტებს, შრომას, — როგორც კი იგი საერთოდ ღებულობს განსაკუთრებულ, ერთიმეორის მიმართ განურჩეველ. ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ, სხვადასხვა კანონებით რეგულირებულ ფორმებს, მისი ყველა ამ ფორმისათვის საერთო ერთიანი საწყისი, — ე. ი. თვით ზედმეტი ღირებულება, — და ამიტომ ბუნებაც ამ ერთიანი საწყისისა სულ უფრო გამოუცნობი ხდება და არ ჩანან მოვლენების სახით, არამედ ჯერ კიდევ გამოსაცნობია როგორც რაღაც იღუმალი საიდუმლოება. ზედმეტი ღირებულების ცალკეული ნაწილების ამ ფორმათა განცალკევება და მათი დაპირისპირება ერთიმეორისადმი როგორც თავისთავადი ფორმებისა თავიანთ დასრულებას პოულობენ იმით, რომ თითოეული ამ ნაწილთაგანი დაიყვანება გარკვეულ განსაკუთრებულ ელემენტზე როგორც თავის საზომზე და თავის განსაკუთრებულ წყაროზე, ანდა იმით, რომ ზედმეტი ღირებულების ყოველი ნაწილი წარმოგვიდგება როგორც მოქმედება რაღაც განსაკუთრებული მიზეზისა, როგორც აქციდენცია რაიმე განსაკუთრებული სუბსტანციისა. სახელდობრ: მოგება — კაპიტალი, რენტა — მიწა, ხელფასი — შრომა.

და აი ეს მზა ურთიერთობანი და ფორმები გვევლინებიან სწორედ ნამდვილი წარმოების წანამძღვრებად, რადგან კაპიტალისტური წარმოების წესი მის მიერვე შექმნილ ფორმებში მოძრაობს და ეს ფორმები, მისი შედეგი, კვლავწარმოების პროცესში ამდენადვე უპირისპირდებიან მას როგორც მზა წანამძღვრები. როგორც ასეთები ისინი პრაქტიკულად განსაზღვრავენ ცალკეული კაპიტალისტების მოქმედებას, წარმოადგენენ მათთვის მოტივებს და ა. შ. და ასეთ მოტივებად აისახებიან მათ ცხოვრებაში. ვულგარული პოლიტიკური ეკონომია მხოლოდ დოქტრინერული ფორმით გამოხატავს ამ ცნობიერებას, რომელიც თავისი მოტივებისა და წარმოდგენების მიხედვით კაპიტალისტური წარმოების წესის გარეგნულ გამოვლენათა ტყვეობაში იმყოფება. და რაც უფრო ზერელედ ებლაუჭება ვულგარული პოლიტიკური ეკონომია მოვლენათა ამ ზედაპირს, ვადაიღებს მარტოოდენ მის ასლს გარკვეული რიგის მიხედვით, მით უფრო შეიცნობს იმას, რომ იგი «შეთანხმებულადაა ბუნების კანონებთან» და შორსაა ყოველგვარი აბსტრაქტული ბრძენობისაგან.

[913] ზემოთ, სადაც მიმოქცევის პროცესზე* ვლასპარაკობდით, აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მიმოქცევის პროცესიდან გამომდინარე განსაზღვრანი ყალიბდებიან როგორც კაპიტალის — ძირითადის, საბრუნავის და ა. შ. — გარკვეულ სახეობათა ნიშანთვისებანი და ამგვარად გვევლინებიან როგორც წინასწარ მოცემული, გარკვეულ საქონელთათვის ნივთობრივად დამახასიათებელი ნიშანთვისებები.

თუ იმ საბოლოო ფორმაში, რომლითაც მოგება გვევლინება კაპიტალისტურ წარმოებაში როგორც წინასწარ მოცემული რაღაც, როგორც წანამძღვარი, წაშლილი და გამოუცნობია ის მრავალი გარდაქმნანი და შუალედური მოძრაობანი, რომელთაც ეს მოგება გაივლის, მაშასადამე, წაშლილი და გამოუცნობია აგრეთვე კაპიტალის ბუნებაც; თუ ეს ფორმა კიდევ უფრო ფიქსირებული ხდება იმით, რომ იგივე პროცესი, რომელშიც ის თავის დასრულებას პოულობს, მას უპირისპირებს მოგების ნაწილს როგორც რ ე ნ ტ ა ს, ხდის მას, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების ისეთ განსაკუთრებულ ფორმად, რომელიც სავსებით იმავე კავშირშია კაპიტალთან როგორც ნივთობრივად განცალკევებულ წარმოების იარაღთან, რა კავშირშიაც რენტა არის მიწასთან, — მაშინ ეს ფორმა, მოწყვეტილი თავის შინაგან არსს მრავალი უხილავი შუალედური რგოლით, კიდევ უფრო გარეგნულ ხდება, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, აბსოლუტურად გარეგნულ სახეს იძენს სარგებელმომტან კაპიტალში, მოგებისა და სარგებლის გათიშვაში, სარგებელმომტან კაპიტალში როგორც კაპიტალის მარტივ ფორმაში, იმ ფორმაში, რომლითაც კაპიტალი თავისი საკუთარი კვლავწარმოების პროცესის წანამძღვარს წარმოადგენს. ერთი მხრივ, ამაში გამოიხატება აბსოლუტური ფორმა კაპიტალისა: ფ—ფ', თვითმზარდი ღირებულება. მეორე მხრივ, აქ გამოირიცხულია საშუალო რგოლი, რომელიც ჭერ კიდევ წმინდა სავაჭრო კაპიტალისთვისაც კი არსებობს: რგოლი ს ფორმულაში ფ—ს—ფ'. ფორმულაში ფ—ფ' არსებობს მხოლოდ მიმართება ფ—ს თავის თავისადმი, გაზომილი თავის თავით. ეს ისეთი კაპიტალია, რომელიც კატეგორიულად ამოდებულია პროცესიდან, ჩამოშორებულია მას, იმყოფება მის გარეშე — როგორც წანამძღვარი იმ პროცესისა, რომლის შედეგიც ის არის და რომელშიც და რომლის მეოხებითაც იგი სწორედ კაპიტალად იქცევა.

ჩემ მხედველობაში არ მიიღება ის გარემოება, რომ სარგებელი შეიძლება იყოს ქონების უბრალო გადაცემა და აუცილებელი არაა გამოხატავდეს ნამდვილ ზედმეტ ღირებულებას. ასე, მაგალითად, იგი არ

* იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 579. რ ე ლ.

გამოხატავს ნამდვილ ზედმეტ ღირებულებას იმ შემთხვევაში, როცა ფული ეძლევა «მფლანგველს» სესხად, ე. ი. მოხმარებისათვის. მაგრამ ამასვე შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაშიც, როცა ფულს სესხულობენ გადახდის მიზნით. ორივე შემთხვევაში ფული გაიცემა სესხად როგორც ფული და არა როგორც კაპიტალი, მაგრამ ფულის მესაკუთრისათვის ფული კაპიტალად იქცევა მარტოდენ სესხად გაცემის აქტის მეოხებით. მეორე შემთხვევაში, თამასუქის დისკონტირების დროს ან იმ საქონელთა გირავნობით სესხებისას, რომელთა გაყიდვაც მოცემულ მომენტში შეუძლებელია, გადახდის მიზნით აღებული ფული შეიძლება ეკუთვნოდეს კაპიტალის მიმოქცევის პროცესს, საქონლური კაპიტალის აუცილებელ გადაქცევას ფულად კაპიტალად. რამდენადაც ამ გადაქცევის პროცესის აჩქარება, — როგორც საერთოდ კრედიტის დროს, მისი საერთო ბუნების შესაბამისად, — აჩქარებს კვლავწარმოებას, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების წარმოებასაც, იმდენად ნასესხები ფული კაპიტალია. ხოლო რამდენადაც ფული ვალების გადახდას ემსახურება, იგი არ აჩქარებს კვლავწარმოების პროცესს და, შეიძლება, შეუძლებელსაც კი ხდიდეს მას ანდა ავიწროებდეს მის მასშტაბს, ამდენად ის არის მხოლოდ გადახდის საშუალება, მხოლოდ ფული მსესხებლისათვის, გამსესხებლისათვის კი — ნამდვილად კაპიტალის პროცესის აგანდამოუკიდებელი კაპიტალია. ამ შემთხვევაში სარგებელი, როგორც «გასხვისებით მიღებული მოგებაც» ფაქტია, რომელიც არ არის დამოკიდებული კაპიტალისტურ წარმოებაზე როგორც ასეთზე — ზედმეტი ღირებულების შექმნაზე. ფულის ამ ორ ფორმაში — ფულში როგორც ყიდვის საშუალებაში საქონლის შესაძენად მისი მოხმარების მიზნით და ფულში როგორც გადახდის საშუალებაში ვალების გადასახდელად — სარგებელი გვევლინება ისეთი ფორმით, რომელიც, «გასხვისებით მიღებული მოგების» მსგავსად, თუმცა იკვლავწარმოება კაპიტალისტურ წარმოებაში, მაგრამ არ არის მასზე დამოკიდებული და უფრო ადრინდელ წარმოების წესებს ეკუთვნის. მაგრამ კაპიტალისტური წარმოების ბუნებას მოსდგამს ის, რომ ფული (ან საქონელი) შეიძლება იყოს კაპიტალი და გაიყიდოს როგორც კაპიტალი წარმოების პროცესის გარეშე, მსგავსად იმისა როგორც ეს შეიძლება ხდებოდეს უფრო ძველ ფორმებში, რომლებშიც ფული არ გადაიქცევა კაპიტალად, არამედ მხოლოდ ფულის სამსახურს ეწევა.

სარგებელმოძიანი კაპიტალის მესამე უფრო ძველი ფორმა დამყარებულია იმაზე, რომ კაპიტალისტური წარმოება ჯერ კიდევ არ არსებობს, მოგების მითვისება კი ხდება ჯერ ისევ სარგებლის ფორ-

მით და კაპიტალისტი გვევლინება უბრალოდ როგორც მევახშე. ეს გულისხმობს: 1) რომ მწარმოებელი ჯერ კიდევ დამოუკიდებლად მუშაობს თავის წარმოების საშუალებათა დახმარებით, წარმოების საშუალებანი კი ჯერ კიდევ არ მუშაობენ მისი დახმარებით (იმ შემთხვევაშიც კი, როცა ამ წარმოების საშუალებებს ეკუთვნიან მონები, რომლებიც, თუმცა, აქ ისევ ნაკლებად წარმოადგენენ განსაკუთრებულ ეკონომიურ კატეგორიას, როგორც მუშა-პირუტყვიც, ანდა, სულ დიდი-დიდი, [შრომის უსულო იარაღებსა, ცხოველებსა და მონებს შორის არსებობს აქ მხოლოდ] ნივთობრივი განსხვავება: მუნჯი იარაღი, მგრძნობიარე, მოლაპარაკე); 2) რომ წარმოების საშუალებანი მწარმოებელს ეკუთვნის მხოლოდ ნომინალურად, ე. ი. რომ ამა თუ იმ შემთხვევითი ვარემოების გამო მას არ შეუძლია მათი კვლავწარმოება თავისი საქონლის გაყიდვით მიღებული ამონაგებიდან. ამიტომ სარგებელმომტანი კაპიტალის ეს ფორმები გვხვდება საზოგადოების ყველა ისეთ ფორმაში, რომლებშიც ადგილი აქვს საქონლისა და ფულის მიმოქცევას, იმისდა მიუხედავად, თუ რომელი შრომა მათში გაბატონებული: მონური, ბატონყმური თუ თავისუფალი შრომა. ზემომოხსენიებული ფორმებიდან უკანასკნელში მწარმოებელი უხდის კაპიტალისტს თავის ზედმეტ ღირებულებას სარგებლის ფორმით, რომელიც ამიტომ მოგებას შეიცავს. აქ არსებობს მთელი [914] კაპიტალისტური წარმოება მის ისეთ უპირატესობათა გარეშე, როგორიცაა: შრომის საზოგადოებრივი ფორმების განვითარება და ამ ფორმებიდან წარმოქმნილი მწარმოებლური ძალები შრომისა. ეს ფორმა ძლიერ გაბატონებულია ისეთ გლეხურ ხალხებში, რომლებიც უკვე იძულებული არიან თავიანთ საარსებო საშუალებათა და წარმოების იარაღთა ნაწილი იყიდონ საქონლის სახით, რომელთა გვერდითაც, მაშასადამე, უკვე არსებობს განცალკევებული საქალაქო მრეწველობა და რომლებიც, გარდა ამისა, უნდა იხდიდნენ ფულით გადასახადს, რენტას და ა. შ.]

სარგებელმომტანი კაპიტალი სინამდვილეში კაპიტალს წარმოადგენს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც გასესხებული ფული ნამდვილად დაიქცევა კაპიტალად და აწარმოებს ზედმეტ ღირებულებას, რომლის ნაწილიც სარგებელია. მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ პროცესისაგან დამოუკიდებლად, მისთვის დამახასიათებელია სარგებელი და სარგებლის მოტანა, როგორც მისი თვისება. ასევე სახმარი ღირებულება ბამბისა როგორც ბამბისა არ უქმდება იმით, რომ თავის სასარგებლო თვისებათა ნამდვილად დამტკიცებისათვის მან უნდა განიცადოს დართვა ანდა სხვა რაიმე ვალდებულება. კაპიტალიც ასე ამტკიცებს ნამდვილად თავის სარგებელმოტანის უნარს მხოლოდ იმით, რომ იგი წარმოების

პროცესში გადადის. მაგრამ სამუშაო ძალაც ხომ ამტკიცებს აგრეთვე თავის უნარს — შექმნას ღირებულება მხოლოდ მაშინ, როცა იგი მოქმედებს და ხორციელდება პროცესში როგორც შრომა. ეს არ გამოირიცხავს იმას, რომ სამუშაო ძალა an sich, როგორც უნარი, არის ღირებულების შემქმნელი მოქმედება. იგი არ ხდება ასეთი მხოლოდ პროცესის მეოხებით, არამედ, პირიქით, მისი წანამძღვარია. როგორც ასეთი იგი ხდება ყიდვის საგანი. ვინმეს შეუძლია იგი იყიდოს აგრეთვე არა იმისათვის, რომ ამუშაოს (მაგალითად, თეატრის ღირებულებითი ციფრულს ზოგჯერ მსახიობს არა იმისათვის, რომ როლში ათამაშოს იგი, არამედ იმისათვის, რომ თავისი კონკურენტის თეატრის მისი თამაში წაართვას). არც გაყიდვებს, არც გაყიდულ საქონელს არ ეხება ის, სარგებლობს თუ არა სამუშაო ძალის მყიდველი ამ უკანასკნელის იმ თვისებით, რისთვისაც იგი ფასს იხდის, ე. ი. ღირებულების შექმნის თვისებით, ისევე როგორც მათ არ ეხებათ ის, სარგებლობს თუ არა კაპიტალის მყიდველი ამ კაპიტალით როგორც კაპიტალით, ე. ი. ამოქმედებს თუ არა იგი წარმოების პროცესში ამ კაპიტალის იმ იმანენტურ თვისებას, რომ მას ღირებულების შექმნის უნარი შესწევს. ორივე შემთხვევაში კაპიტალის მყიდველი ანაზღაურებს იმ ზედმეტ ღირებულებას, რომელიც an sich, შესაძლებლობის მიხედვით, ნაყიდი საქონლის—ერთ შემთხვევაში სამუშაო ძალის, მეორე შემთხვევაში კაპიტალის — ბუნების შესაბამისად მოთავსებულია ამ სამუშაო ძალასა და კაპიტალში, და თავისი საკუთარი ღირებულების შენახვის იმ უნარს, რაც ამ საქონელთ გააჩნიათ. ამიტომ კაპიტალისტიც აგრეთვე, რომელიც საკუთარი კაპიტალით მუშაობს, ზედმეტი ღირებულების ერთ ნაწილს განიხილავს როგორც სარგებელს, ე. ი. როგორც ისეთ ზედმეტ ღირებულებას, რომელიც იმიტომ გამომდინარეობს წარმოების პროცესიდან, რომ კაპიტალმა, ამ პროცესისაგან დამოუკიდებლად, იგი წარმოების პროცესში შეიტანა.

მიწის რენტა და მიმართება «მიწა — რენტა» შეიძლება კიდევ უფრო იდუმალ ფორმებად მოგვეჩვენოს, ვიდრე სარგებლის ფორმა და მიმართება «კაპიტალი—სარგებელი». მაგრამ მიწის რენტის ფორმაშიც კი ირაციონალობა იმაში როდია, რომ თვით კაპიტალის მიმართება გამონატოს რადგან მიწა თვითონ მწარმოებლურია (სახმარი ღირებულების აზრით) და თვით არის ცოცხალი მწარმოებლური ძალა (შეიცავს სახმარ ღირებულებას ან გამოიყენება სახმარ ღირებულებათა საწარმოებლად), ამიტომ აქ ჯერ კიდევ შესაძლებელია ორი კონცეფცია: ან ცრურწმენითი არევა სახმარი ღირებულებისა საცვლელ ღირებულებაში, ნივთისა იმ სპეციფიკურ საზოგადოებრივ ფორმაში, რაც პროდუქტში მოთავსებულ შრომას გააჩნია (ირაციონალობა თავის საფუძველს პოულობს მაშინ თავის-

ში, რადგან აქ რენტას როგორც რაღაც *sui generis** არავითარი კავშირი არა აქვს კაპიტალისტურ პროცესთან როგორც ასეთთან), ანდა კონცეფცია «განათლებული» პოლიტიკური ეკონომიისა, რომელიც ამტკიცებს, რომ რადგან რენტა არ შეიძლება მიეკუთვნოს არც შრომას, არც კაპიტალს, ამიტომ იგი საერთოდ არ არის ზედმეტი ღირებულების ფორმა და უბრალოდ ფასის წანამატი, წანამატი, რომლის მიღების შესაძლებლობასაც მიწის მესაკუთრეს აძლევს მიწის მფლობელობის მონოპოლია.

სხვაგვარადაა საქმე სარგებელმომტანი კაპიტალის მიმართ. აქ ლაპარაკია არა კაპიტალისათვის უცხო სხვა რაიმე ურთიერთობაზე, არამედ თვით კაპიტალისტურ ურთიერთობაზე, კაპიტალისტური წარმოებიდან გამომდინარე და სპეციფიკურად მის დამახასიათებელ, თვით კაპიტალის არსის გამომხატველ ურთიერთობაზე, კაპიტალის ისეთ ფორმაზე, რომლითაც იგი გვევლინება როგორც კაპიტალი. მოგება ჯერ კიდევ შეიცავს ურთიერთობას პროცესში მყოფ კაპიტალთან, იმ პროცესთან, რომელშიც იწარმოება ზედმეტი ღირებულება, იწარმოება თვით მოგება. სარგებელმომტანი კაპიტალში საქმის ვითარება ისეთი როდია, როგორც მოგებაში, სადაც ზედმეტი ღირებულების ფორმა ისეთ გაუცხოებულ, თავისებურ რამედ იქცა, რაც არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ უშუალოდ შევიცნოთ ზედმეტი ღირებულების მარტივი სახე და ამით მისი სუბსტანცია და მისი წარმოშობის მიზეზი; სარგებელში, პირიქით, ეს გაუცხოებული ფორმა მოცემულია აშკარად, არსებობს თვალსაჩინოდ და გამოხატულია როგორც არსებითი რამ. მან შეიძინა თავისთავადი ყოფიერება და ფიქსირებულია როგორც ზედმეტი ღირებულების ნამდვილი ბუნებისადმი დაპირისპირებული რამ. სარგებელმომტანი კაპიტალში კაპიტალის მიმართება შრომისადმი ჩამქრალა, წაშლილია. სინამდვილეში სარგებელი გულისხმობს მოგებას, თვითონ კი ამ მოგების მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს, და სინამდვილეში დაქირავებული მუშისთვის საესვებით სულ ერთია, თუ როგორ ნაწილდება ზედმეტი ღირებულება [915] სარგებელსა და მოგებას შორის, სხვადასხვა კატეგორიის კაპიტალისტებს შორის.

სარგებელი პირდაპირ და გარკვევით გვევლინება როგორც კაპიტალის ნაყოფი, ჩამოშორებული კაპიტალისტურ პროცესს, მისგან დამოუკიდებელი და მის გარეშე მყოფი. იგი ეკუთვნის კაპიტალს როგორც კაპიტალს. იგი შედის წარმოების პროცესში და ამიტომ გამოდის კიდევ ამ პროცესიდან. კაპიტალი მას თავის მუცელში ატარებს. იგი არ ღებულობს სარგებელს წარმოების პროცესიდან; არა-

* — განსაკუთრებულს, თავისებურს. რ ე დ.

მედ შეაქვს ის ამ უკანასკნელში. ამიტომ მოგების გადანამეტი სარგებელზე, ის რაოდენობა ზედმეტი ღირებულებისა, რომელსაც კაპიტალი მხოლოდ წარმოების პროცესს უნდა უმაღლოდეს და რომელსაც იგი აწარმოებს მხოლოდ როგორც მოქმედი კაპიტალი, ღებულობს, — განსხვავებით სარგებლისაგან როგორც ღირებულების შექმნისაგან, რაც ახასიათებს კაპიტალს an sich, კაპიტალს თავის თავად, კაპიტალს როგორც კაპიტალს, განსაკუთრებულ ფორმას როგორც სამრეწველო მოგება (მეწარმის მოგება, სულ ერთია, სამრეწველო მოგება იქნება ეს თუ სავაჭრო მოგება, იმისდა მიხედვით წარმოების პროცესს გაესმება ხაზი თუ მიმოქცევის პროცესს). ამით აგრეთვე ზედმეტი ღირებულების უკანასკნელი ფორმაც, რომელიც რამდენადმე ამ ზედმეტი ღირებულების წარმოშობას მოგვაგონებს, განცალკევდება და შეიცნობა არა მხოლოდ გაუცხოებულ ფორმაში, არამედ ისეთ ფორმაშიც, რომელიც გამოდის როგორც პირდაპირი დაპირისპირებულობა თვით ზედმეტი ღირებულების მიმართ და ამის შედეგად, საბოლოოდ, საეცებით იღუმალებით მოცული ხდება ბუნება კაპიტალისა და ზედმეტი ღირებულებისა, ისევე როგორც კაპიტალისტური წარმოებისა საერთოდ.

სამრეწველო მოგება, სარგებლის საწინააღმდეგოდ, წარმოადგენს კაპიტალს პროცესში წინააღმდეგ კაპიტალისა პროცესის გარეშე, კაპიტალს როგორც პროცესს წინააღმდეგ კაპიტალისა როგორც საკუთრებისა — და ამიტომ წარმოადგენს კაპიტალისტს როგორც მოქმედ კაპიტალისტს, როგორც მომუშავე კაპიტალის წარმომადგენელს წინააღმდეგ კაპიტალისტისა როგორც მხოლოდ კაპიტალის პერსონიფიკაციისა, როგორც მხოლოდ კაპიტალის მესაკუთრისა, ამრიგად, იგი გვევლინება როგორც მომუშავე კაპიტალისტი თავის თავის — როგორც კაპიტალისტი — წინააღმდეგ და ამიტომ, შემდეგ, როგორც მუშაკი თავის თავის — როგორც მხოლოდ მესაკუთრის — წინააღმდეგ. ამიტომ იმდენად, რამდენადაც აქ ჯერ კიდევ შენარჩუნებულია მიმართება ზედმეტი ღირებულებისა პროცესისადმი, ეს გვევლინება სწორედ ისეთ ფორმაში, რომელშიც უარყოფილია ნამდვილი ცნება ზედმეტი ღირებულებისა. სამრეწველო მოგება დაყვანილია შრომაზე, მაგრამ არა სხვის, ფასგადაუხდელ შრომაზე, არამედ დაქირავებულ შრომაზე, კაპიტალისტის კუთვნილ ხელფასზე, კაპიტალისტისა, რომელიც ამით დაქირავებულ მუშებთან ერთად ერთ კატეგორიაში ხვდება და მხოლოდ უკეთ ანაზღაურებული

სახეობა დაჭირავებული მუშებისა, ხელფასი საერთოდ ხომ მეტად სხვადასხვაა.

ნამდვილად ფული კაპიტალად გადაიქცევა არა იმის გამო, რომ იგი გაიცვლება საქონლის წარმოების ნივთობრივ პირობებზე და რომ წარმოების ეს პირობები—შრომის მასალა, შრომის საშუალებანი, შრომა—შრომის პროცესში დუღილის მდგომარეობაში არიან, ერთიმეორეზე მოქმედებენ, უერთდებიან ერთიმეორეს, გარკვეულ ქიმიურ პროცესში შედიან და დალექავენ საქონელს როგორც ამ პროცესის კრისტალს. საქმე მართო ამაში რომ იყოს, მაშინ არ იქნებოდა არც კაპიტალი, არც ზედმეტი ღირებულება. შრომის პროცესის ეს აბსტრაქტული ფორმა საერთოა ყველა წარმოების წესისათვის, სულ ერთია — როგორც უნდა იყოს მათი საზოგადოებრივი ფორმა, მათი ისტორიული განსაზღვრულობა. ეს პროცესი კაპიტალისტურ პროცესად იქცევა, ფული კაპიტალად გადაიქცევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 1) საქონელწარმოება, წარმოება პროდუქტისა როგორც საქონლისა წარმოების საყოველთაო ფორმა; 2) თუ საქონელი (ფული) გაიცვლება სამუშაო ძალაზე (ე. ი. ფაქტიურად შრომაზე) როგორც საქონელზე, თუ, მაშასადამე, შრომა არის დაჭირავებული შრომა; 3) მაგრამ ამ უკანასკნელს ადგილი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური პირობები, ე. ი. (თუ მთლიანად აღებულ წარმოების პროცესს განვიხილავთ) პროდუქტები, უპირისპირდებიან თვით შრომას როგორც დამოუკიდებელი ძალები, როგორც არა შრომის საკუთრება, როგორც სხვისი საკუთრება და ამრიგად ფორმის მიხედვით — როგორც კაპიტალი.

შრომა როგორც დაჭირავებული შრომა და შრომის პირობები როგორც კაპიტალი — და ამიტომ კაპიტალისტის საკუთრება: ისინი არიან თვითმესაკუთრენი კაპიტალისტში, საკუთრებაში ხდება კაპიტალის პერსონიფიკაცია, შრომის პირობები წარმოადგენენ კაპიტალისტთა საკუთრებას, ხოლო მუშების საკუთრებაა პროდუქტის ნაწილი, რასაც ისინი ქმნიან შრომით თავისთვის, — ეს არის გამოხატულება ერთი და იმავე ურთიერთობისა, მხოლოდ მისი სხვადასხვა პოლუსიდან. კაპიტალისტური წარმოების ეს პირობა ამ წარმოების მუდმივი შედეგია. ეს არის მისი წანამძღვარი, მის მიერვე დადგენილი: კაპიტალისტური წარმოება თვით არის თავისი საკუთარი წანამძღვარი, ე. ი. თავის პირობებთან ერთად დადგენილი, როგორც კი იგი განვითარდა და მის შესაბამის ურთიერთობათა ფარგლებში მოქმედებს. მაგრამ კაპიტალისტური წარმოების ის პროცესი არ არის პროცესი წარმოებისა საერთოდ; მისი ელემენტების აღნიშნული ანტაგონისტური საზოგადოებრივი განსაზღვრულობა ვითარდება და რეალიზებული ხდება მხოლოდ თვით იმ

პროცესში, რომლის ყოველსიმომცველ დახასიათებასაც იგი წარმოადგენს და რომელსაც ის სწორედ ამ საზოგადოებრივად განსაზღვრულ წარმოების წესად, კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ წ ა რ მ ო ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს ა დ ხდის.

[916] როცა კაპიტალი — არა რომელიმე გარკვეული კაპიტალი, არამედ კაპიტალი საერთოდ — ჯერ მხოლოდ წარმოიშობა, მისი წ ა რ მ ო ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს ი არის და შ ლ ი ს პ რ ო ც ე ს ი, და მისი წინამავალი საზოგადოებრივი წარმოების წესის რღვევის პროდუქტი. მაშასადამე, ეს არის ისტორიული პ რ ო ც ე ს ი და პროცესი, რომელიც გარკვეულ ისტორიულ პერიოდს ეკუთვნის. ეს არის მისი ისტორიული გ ე ნ ე ზ ი ს ი ს პერიოდი. (ასე, მაგალითად, ადამიანთა ყოფიერება არის შედეგი იმ წინამავალი პროცესისა, რომელიც ორგანულმა სიცოცხლემ განვლო. ამ პროცესის მხოლოდ გარკვეულ საფეხურზე იქცევა ადამიანი ადამიანად. მაგრამ რაკი ადამიანი უკვე არსებობს, იგი, როგორც მუდმივი წანამძღვარი ადამიანთა ისტორიისა, არის აგრეთვე ამ ისტორიის პროდუქტი და შედეგი, და წ ა ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ს წარმოადგენს ადამიანი მხოლოდ როგორც თავისუფალი საკუთარი პროდუქტი და შედეგი.) აქ, ამ ისტორიული პროცესის მსვლელობაში, შრომა ჯერ კიდევ უნდა გამოეყოს შრომის პირობებს მათს წინანდელ ფორმაში, როცა შრომა და შრომის პირობები ერთიან მთელს შეადგენდნენ. მხოლოდ ამგვარად იქცევა შრომა თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ შრომად, და მხოლოდ ამგვარად გადაიქცევა შრომის პირობები შრომისადმი დაპირესპირებულ კ ა პ ი ტ ა ლ ა დ. პროცესი კაპიტალის კაპიტალად გადაქცევისა, ანუ მისი განვითარებისა თვით კაპიტალისტური წარმოების პროცესის წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა მ დ ე, და რეალიზაცია კაპიტალისა წარმოების პროცესში განეკუთვნება აქ ორ ისტორიულად სხვადასხვა პერიოდს. უკანასკნელში კაპიტალი წარმოადგენს წ ა ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ს, იგულისხმება როგორც ისეთი არსებული რამ, რაც თვითონ ამოქმედებს თავის თავს. პირველში ის არის ნალექი რომელიმე სხვა საზოგადოებრივი ფორმის დაშლის პროცესისა. აქ იგი პ რ ო დ უ ქ ტ ი ა რომელიმე სხვა ფორმისა და არა პროდუქტი თავისი საკუთარი კვლავწარმოებისა, როგორც ამას ადგილი აქვს მოგვიანებით. კაპიტალისტური წარმოება მუშაობს დაქირავებულ შრომის საფუძველზე როგორც თავის არსებულ, მაგრამ ამასთანავე მუდმივად მის მიერ კვლავწარმოებულ საფუძველზე. ამიტომ კაპიტალისტური წარმოება მუშაობს აგრეთვე კ ა პ ი ტ ა ლ ი ს საფუძველზე როგორც შრომის პირობების ისეთი ფორმის საფუძველზე, რომელიც მას მიეცემული აქვს როგორც წანამძღვარი, თუმცა ეს წანამძღვარი, ისევე

როგორც დაქირავებული შრომა, მისი მუდმივი ქმნილებაა, მისი მუდმივი პროდუქტია.

ამ საფუძველზე ფ უ ლ ი, მაგალითად, an sich კაპიტალია, იმიტომ რომ an sich წარმოების პირობებს აქვთ შრომის მიმართ გაუცხოებული ფორმა, გვევლინებიან ამ შრომის მიმართ როგორც უცხო საკუთრება და როგორც ასეთი ბატონობენ მასზე. კაპიტალი შეიძლება მაშინ აგრეთვე გაიყიდოს როგორც ს ა ქ ო ნ ე ლ ი, რომელსაც ეს თვისება აქვს, ე. ი. კაპიტალი შეიძლება გაიყიდოს როგორც კაპიტალი, რაც ხდება კიდევაც სარგებელზე კაპიტალის გასესხებისას.

მაგრამ რადგან აქ ამით ფ ი ქ ს ა ც ი ა ხ ლ ე ბ ა კაპიტალისა და კაპიტალისტური წარმოების სპეციფიკური საზოგადოებრივი განსაზღვრულობის მომენტისა — სპეციფიკური საზოგადოებრივი განსაზღვრულობისა, რომელიც იურიდიულად გამოიხატება კაპიტალში როგორც საკუთრებაში, კაპიტალის საკუთრებაში როგორც საკუთრების განსაკუთრებულ ფორმაში, — და, მაშასადამე ს ა რ გ ე ბ ე ლ ი წარმოგვიდგება როგორც ის ნ ა წ ი ლ ი ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა, რომელსაც კაპიტალი ქმნის ისე, რომ იგი არაა დაკავშირებული ამ განსაზღვრულობასთან როგორც საერთოდ წარმოების პროცესს განსაზღვრულობასთან, ამიტომ ზედმეტი ღირებულების მეორე ნაწილი, მოგების გადანაწილზე ს ა მ რ ე წ ე ე ლ ო მ ო გ ე ბ ა, აშკარაა, უნდა წარმოგვიდგეს ისეთი ღირებულების სახით, რომელიც გამომდინარეობს არა კაპიტალიდან როგორც კაპიტალიდან, არამედ წარმოების პროცესიდან, რომელიც მოკლებულია მის საზოგადოებრივ განსაზღვრულობას და რომელმაც უკვე მიიღო თავისი განსაკუთრებული წესი არსებობისა გამოთქმაში «კაპიტალი — სარგებელი». მაგრამ კაპიტალს ჩამოცილებული წარმოების პროცესი არის შ რ ო მ ი ს პ რ ო ც ე ს ი საერთოდ. ამიტომ მრეწველი კაპიტალისტი განსხვავებით თავის თავისაგან როგორც კაპიტალისტისაგან, მრეწველი განსხვავებით თავის თავისაგან როგორც კაპიტალისტისაგან, კაპიტალის მესაკუთრისაგან — არის ჯერ მხოლოდ უბრალო მოქმედი შრომის პროცესში, არა მოქმედი კაპიტალი, არამედ მოქმედი, კაპიტალისგან დამოუკიდებლად, ე. ი. განსაკუთრებული მატარებელი შრომის პროცესისა საერთოდ, მ უ შ ა კ ი. ამით სამრეწველო მოგება მშვიდობიანად გადაიქცევა მაშინ ხ ე ლ ფ ა ს ა დ და ერთ კატეგორიაში მოხვდება ჩვეულებრივ ხელფასთან ერთად, რომლისგანაც იგი განსხვავდება ჯერ კიდევ მხოლოდ რაოდენობრივად და გადახდის განსაკუთრებული ფორმით, იმით, რომ კაპიტალისტი თავის თავს უხდის მას, ნაცვლად იმისა, რომ ამ ხელფასს მას სხვები უხდიდნენ.

მოგების ამ უკანასკნელი გათიშვით ს ა რ გ ე ბ ლ ა დ და ს ა მ რ ე წ ე ე ლ ო მ ო გ ე ბ ა დ ზედმეტი ღირებულების ბუნება (და ამი-

ტომ კაპიტალის ბუნებაც) არა მარტო სავსებით წაშლილია, არამედ აშკარად სულ სხვა რამედ არის წარმოდგენილი.

ს ა რ გ ე ლ ი გამოხატავს ზედმეტი ღირებულების ნაწილს, მხოლოდ განსაკუთრებული სახელწოდებით გამოყოფილ მოგების ნაწილს—იმ ნაწილს, რომელიც ხვდება კაპიტალის უბრალო მესაკუთრეს, რომელსაც ხელთ ივსებს ეს მესაკუთრე. მაგრამ ეს მარტოდენ რ ა ო დ ე ნ ო ბ რ ი ვ ი დაყოფა გადაიქცევა თ ვ ი ს ე ბ რ ი ვ დ ა ყ ო ფ ა დ, რაც ორივე ნაწილს ისეთ გარდაქმნილ ფორმას აძლევს, რომელშიც უკვე მათი თავდაპირველი რაობის ნიშანვალცი აღარ ჩანს. [917] ამას განმტკიცებს უწინარეს ყოვლისა ის, რომ ს ა რ გ ე ლ ი გამოდის არა როგორც წარმოებისათვის მნიშვნელობას მოკლებული დაყოფა, რომელსაც «შემთხვევით» აქვს ადგილი მხოლოდ მაშინ, როცა მრეწველი სხვისი კაპიტალის მეოხებით მუშაობს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა იგი საკუთარი კაპიტალით მუშაობს, მისი მოგება დაყოფა ს ა რ გ ე ბ ლ ა დ ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო მ ო გ ე ბ ა დ, რის გამოც, მაშასადამე, მხოლოდ რაოდენობრივი დაყოფა უკვე ფიქსირებული ხდება როგორც თ ვ ი ს ე ბ რ ი ვ ი დაყოფა, რომელიც არ არის დამოკიდებული იმ შემთხვევითს გარემოებაზე, წარმოადგენს მოცემული მრეწველი თავისი კაპიტალის მესაკუთრეს თუ არამესაკუთრეს, — ფიქსირებული ხდება როგორც თვით კაპიტალის და თვით კაპიტალისტური წარმოების: ბუნებიდან გამოდინარე თვისებრივი დაყოფა. ეს არის არა უბრალოდ მოგების ორი ნაწილი, სხვადასხვა პირებს შორის რომ ნაწილდება, არამედ ეს არის მისი ორი განსაკუთრებული კ ა ტ ე გ ო რ ი ა, რომლებიც სხვადასხვა მიმართებაშია კაპიტალთან, ე. ი. მიმართებაში კაპიტალის სხვადასხვა განსაზღვრულობასთან. ეს განცალკევება მოგების ნაწილებისა თავისთავადი კატეგორიების სახით, თუ არაფერს ვიტყვით წინათ განვითარებულ მიზეზებზე, მით უფრო ადვილად განმტკიცდება, რომ ს ა რ გ ე ლ მ ო მ ტ ა ნ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი როგორც ისტორიული ფორმა ჩნდება სამრეწველო კაპიტალამდე და არსებობას განაგრძობს მის გვერდით თავისი ძველი ფორმით და მხოლოდ სამრეწველო კაპიტალის განვითარების მსვლელობაში უქვემდებარებს ეს კაპიტალი მას — როგორც თვით სამრეწველო კაპიტალის გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ფ ო რ მ ა ს — კაპიტალისტურ წარმოებას.

ამრიგად, მარტოდენ რაოდენობრივი დაყოფიდან მიიღება თვისებრივი დაყოფა. თვით კაპიტალი იყოფა. რამდენადაც იგი კაპიტალისტური წარმოების წ ა ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი ა, რამდენადაც იგი, მაშასადამე, გამოხატავს შრომის პირობების გ ა უ ც ხ ო ე ბ უ ლ ფ ო რ მ ა ს, გარკვეულ ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ უ რ თ ი ე რ თ ო

ბას, იგი რეალიზებული ხდება სარგებელში. თავის ხასიათს როგორც კაპიტალი იგი ახორციელებს სარგებელში. მეორე მხრივ, რამდენადაც იგი მოქმედებს პროცესში, ეს პროცესი გვევლინება როგორც ჩამოცილებული თავის სპეციფიკურად კაპიტალისტურ ხასიათს, თავის სპეციფიკურ საზოგადოებრივ განსაზღვრულობას — როგორც მარტოოდენ შრომის პროცესი საერთოდ. მაშასადამე, რამდენადაც კაპიტალისტი მასში მონაწილეობს, იგი მონაწილეობს მასში არა როგორც კაპიტალისტი — ვინაიდან ეს მისი ხასიათი გამოსახულია სარგებელში, — არამედ როგორც ფუნქციონერი შრომის პროცესისა საერთოდ, როგორც მუშაკი, და მისი ხელფასი წარმოდგენილია სამრეწველო მოგებად. ეს არის განსაკუთრებული სახეობა შრომისა — მმართველობის შრომა, — მაგრამ შრომის სახეობანი ხომ საერთოდ განსხვავდებიან ერთმეორისაგან.

ამგვარად, ზედმეტი ღირებულების ამ ორ ფორმაში მისი ბუნება, კაპიტალის რაობა და კაპიტალისტური წარმოების ხასიათი არა მარტო საესებით წაშლილია, არამედ დამახინჯებულია იმდენად, რომ გადაქცეულია თავის დაპირისპირებულობად. მაგრამ კაპიტალის ხასიათი და სახე ამდენადვე ღებულობენ თავიანთ დასრულებას, რამდენადაც აქ უაზროდ და ყოველგვარი შუალედური პროცესების გარეშე წარმოდგენილი და გამოხატულია გასუბიექტება ნივთებისა, ვანივთება [Versachlichung] სუბიექტებისა, სინამდვილის დამახინჯებელი არევა მიზეზისა და შედეგისა, რელიგიური quidproquo*, კაპიტალის წმინდა ფორმა ფ—ფ¹. საესებით ასევე ურთიერთობათა დამოუკიდებელ ფორმებად განმტკიცებამ და ამ ურთიერთობათა — როგორც გარკვეული სოციალური ხასიათის მქონე ნივთებთან ადამიანების ურთიერთობათა — გაგებამ აქ მიიღო სრულიად სხვაგვარი შემდგომი ვანვითარება, ვიდრე საქონლის მარტივ მისტიფიკაციაში და ფულის უკვე უფრო რთულ მისტიფიკაციაში. არსებითი გარდაქმნები და ფეტიშიზმი აქ მთლიანად დამთავრებულია.

სარგებელი გამოხატავს an sich სწორედ შრომის პირობების — როგორც კაპიტალის — ყოფიერებას მათს საზოგადოებრივ ანტაგონიზმში შრომის მიმართ და შრომის პირობების ძალებს, რომლებიც წარმოდგენილია პერსონიფიცირებული ფორმით და შრომაზე მძლავრ დგანან. იგი შეჯამებულად წარმოგვიდგენს შრომის პირობების გაუცხოებულ ხასიათს სუბიექტის საქმიანობის მიმართ. სარგებელი წარმოდგენს კაპიტალის საკუთრებას, ანუ კაპიტალის საკუთრებას როგორც

* ცნებათა არევა (სიტყვისიტყვითა ერთის მიღება მეორის ნაცვლად, ერთი მეორის ადგილას). რ ე ლ.

35. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

სხვისი შრომის პროდუქტების მითვისების საშუალებას, როგორც სხვის შრომაზე ბატონობას. მაგრამ იგი წარმოადგენს კაპიტალის ამ ხასიათს როგორც ისეთ რამეს, რაც დამახასიათებელია კაპიტალისათვის თვით წარმოების პროცესის გარეშე და სულაც არ არის თვით ამ წარმოების პროცესის სპეციფიკური განსაზღვრულობის შედეგი. სარგებელი გამოხატავს კაპიტალის გაუცხოებულ ხასიათს არა ანტაგონიზმში შრომის მიმართ, არამედ, პირიქით, შრომასთან ყოველგვარი მიმართების გარეშე და როგორც მხოლოდ ერთი კაპიტალისტის ურთიერთობას მეორე კაპიტალისტთან, — მაშასადამე, როგორც ისეთ განსაზღვრას, რომელიც გარეგნული და ინდიფერენტულია თვით შრომისადმი კაპიტალის დამოკიდებულებისათვის. მოგების განაწილებას კაპიტალისტებს შორის მუშისთვის როგორც ასეთისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ამრიგად, სარგებელი, მოგების იმ ფორმაში, რომელშიც კაპიტალის ანტიგონისტური ხასიათი განსაკუთრებულ გამოხატულებას იღებს, გამოხატულებას, რომელშიც ეს ანტაგონიზმი მთლად მიჩქმალულია და სავსებით აბსტრაქტირებულია. სარგებელი გამოხატავს იმას, რომ ფულს, საქონელს და ა. შ. შესწევს უნარი გაადიდოს თავისი საკუთარი ღირებულება, იგი წარმოადგენს ზედმეტ ღირებულებას როგორც ფულიდან და საქონელთაგან წარმოქმნილს, როგორც მათს ბუნებრივ ნაყოფს, ე. ი. სარგებელი არის მარტოოდენ გამოხატულება კაპიტალის მისტიფიკაციისა მისა უკიდურესი ფორმით. და რამდენადაც, გარდა ამისა, სარგებელი გამოხატავს საერთოდ საზოგადოებრივ ურთიერთობას როგორც ასეთს, იგი გამოხატავს [918] მხოლოდ ურთიერთობას კაპიტალისტებს შორის და არა ურთიერთობას კაპიტალსა და შრომას შორის.

მეორე მხრივ, სარგებლის ეს ფორმა მოგების მეორე ნაწილს ანიჭებს სამრეწველო მოგების თვისებრივ ფორმას, მრეწველი კაპიტალისტის — არა როგორც კაპიტალისტის, არამედ როგორც მუშაკი (მრეწველის) — შრომის ხელფასის ფორმას. ის განსაკუთრებული ფუნქციები, რომელთაც უნდა ასრულებდეს შრომის პროცესში კაპიტალისტი როგორც ასეთი და რომლებიც სწორედ დამახასიათებელია მისთვის მუშისაგან განსხვავებით, წარმოგვიდგება მხოლოდ და მხოლოდ როგორც შრომითი ფუნქციები. კაპიტალისტი ზედმეტ ღირებულებას ქმნის არა იმიტომ, რომ იგი მუშაობს როგორც კაპიტალისტი, არამედ იმიტომ, რომ იგი, კაპიტალისტი, თვითონაც მუშაობს. ეს იგივეა, თუ, მაგალითად, იმ მეფეზე, რომელიც როგორც მეფე ნომინალურად არმიას მეთაურობს, ვიტყვით, რომ იგი მეთაურობს მას არა იმიტომ, რომ მას, როგორც მეფის წოდების მატარებელს, ეკუთვნის მთავარსარდლის როლი, არამედ რომ იგი მეფეა იმიტომ, რომ

იგი ს ა რ ლ ო ბ ს, მთავარსარდლის როლს ასრულებს. თუ, ამრიგად, ზედმეტი ღირებულების ერთი ნაწილი სარგებლის სახით სრულიად ვთიშება ექსპლოატაციის პროცესს, სამაგიეროდ მეორე ნაწილი სამრეწველო მოგების სახით წარმოგვიდგება როგორც პირდაპირი დაპირისპირებულიობა ექსპლოატაციის პროცესისა — არა როგორც მითვისება სხვისი შრომისა, არამედ როგორც შექმნა ღირებულებისა თავისი საკუთარი შრომით. მასასადამე, ზედმეტი ღირებულების ეს ნაწილი უკვე სრულიად აღარ წარმოადგენს ზედმეტ ღირებულებას, არამედ მისი დაპირისპირებულიობაა — შესრულებული შრომის ეკვივალენტია, რადგან [სარგებელმომტან კაპიტალში] კაპიტალის გაუცხოებულობა ხასიათი, მისი დაპირისპირებულიობა შრომისადმი ექსპლოატაციის საზღვრებს მიღმა, ამ გაუცხოების ნამდვილი გამოვლენის საზღვრებს მიღმა არის, ამიტომ თვით ამ პროცესისგან გამოთიშულია ყოველგვარი ანტაგონისტური ხასიათი. ამიტომ ნამდვილი ექსპლოატაცია, ის, რაშიც ხორციელდება და რეალურად ვლინდება [კაპიტალისტური წარმოების] ანტაგონისტური ხასიათი, გვევლინება როგორც მისი პირდაპირი დაპირისპირებულიობა, როგორც გარკვეული ნივთობრივად განცალკევებული სახეობა შრომისა, მაგრამ სახეობა, რომელიც ეკუთვნის შრომის იმავე საზოგადოებრივ განსაზღვრულობას, დაქირავებულ შრომას, შრომის იმავე კატეგორიას. ექსპლოატაციის მიზნით გაწეული შრომა აქ გაიგივებულია იმ შრომასთან, რომელიც თვითონ არის ექსპლოატაციის საგანი.

მოგების ერთი ნაწილის ეს გადაქცევა სამრეწველო მოგებებად გამომდინარეობს, როგორც ვხედავთ, მისი მეორე ნაწილის სარგებლად გადაქცევიდან. ერთ ნაწილს შეესაბამება კაპიტალის საზოგადოებრივი ფორმა — ის, რომ იგი საკუთრებაა; მეორეს — კაპიტალის ეკონომიური ფუნქცია, მისი ფუნქცია შრომის პროცესში, მაგრამ განთავისუფლებული, აბსტრაქტირებული ამ საზოგადოებრივი ფორმიდან, იმ ანტაგონისტური ფორმიდან, რომელშიც იგი, კაპიტალი, ამ ფუნქციას ასრულებს. თუ როგორ ხდება შემდეგ ამის გამართლება ფრიად ბრძნული არგუმენტებით, ეს უფრო დაწვრილებით განიხილება მაშინ, როცა გაანალიზებული იქნება აპოლოგეტიკური განმარტება მოგებისა როგორც «ზედამხედველობის შრომის» ანაზღაურებისა. კაპიტალისტი აქ გაიგივებულია მისივე საწარმოს მმართველთან, როგორც ეს უკვე სმიტმა შენიშნა¹⁶⁴.

სამრეწველო მოგებაში, მართლაც, შედის გარკვეული ნაწილი, რომელიც ხელფასს წარმოადგენს (იქ, სადაც არ არის მმართველი, რომელიც ამ ხელფასს ღებულობს). კაპიტალი წარმოების პროცესში გვევლინება

როგორც შრომის ხელმძღვანელი, მისი მეთაური (captain of industry) და ამ აზრით ქმედით როლს ასრულებს თვით შრომის პროცესში. მაგრამ რამდენადაც ეს ფუნქციები გამომდინარეობს კაპიტალისტური წარმოების სპეციფიკური ფორმიდან, ე. ი. იქიდან, რომ კაპიტალი ბატონობს შრომაზე როგორც თ ა ე ი ს შრომაზე და ამიტომ მუშებზე როგორც თავის იარაღებზე, გამომდინარეობს კაპიტალის ბუნებიდან, კაპიტალისა, რომელიც გვევლინება როგორც ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ე რ თ ი ა ნ ი ს ა წ ყ ი ს ი, როგორც სუბიექტი შრომის საზოგადოებრივი ფორმისა, რომელიც პერსონიფიცირებულია მასში შრომაზე გაბატონებული ძალის სახით, — ამდენად ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ეს შრომა (რომელიც შეიძლება მმართველსაც გადაეცეს) ისეთი შრომაა, რომელიც, რა თქმა უნდა, ისევე შედის პროდუქტის ღირებულებაში, როგორც დაქირავებული მუშის შრომაც, მსგავსად იმისა როგორც მ ო ნ ბ ი ს დ რ ო ს მ ო ნ ე ბ ი ს ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი ს შ რ ო მ ა ი ა ე ვ ე უ ნ და ნ ა ზ ლ ა უ რ დ ე ბ ო დ ე ს, როგორც თვით მუშაკის შრომაც. ფუადამიანმა თავისი დამოკიდებულება თავისი საკუთარი ბუნებისადმი, გარე ბუნებისადმი და სხვა ადამიანებისადმი წარმოიდგინა რ ე ლ ი გ ი უ რ ყ ა ი დ ა ზ ე რ ა დ ა ც დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ არ ს ე ბ უ ლ ი ძ ა ლ ე ბ ი ს სა ხ ი თ, ასე რომ ამ წარმოდგენებმა მოიპოვეს მასზე ბატონობა, მაშინ იგი საჭიროებს ქ უ რ უ მ ე ბ ს ა და მ ა თ ს შ რ ო მ ა ს. მაგრამ ცნობიერების რელიგიური ფორმის და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა გაქრობასთან ერთად ქურუმის ეს შრომაც აგრეთვე შეწყვეტს საზოგადოებრივ წარმოების პროცესში შესვლას. ქ უ რ უ მ თ ა ნ ერთად ქრება ქურუმის შრომაც, კაპიტალისტთან ერთად კი ანალოგიური წესით ქრება ის შრომა, რომელსაც იგი ასრულებს როგორც კაპიტალისტი ანდა რომლის შესრულებასაც იგი მესამე პირს მიანდობს. (საჭიროა მონობასთან დაკავშირებული მაგალითის ილუსტრირება ციტატებით ¹⁶⁶.)

სხვათა შორის, ეს აპოლოგია, რომელსაც მოგება დაჰყავს ხელფასზე როგორც ზედამხედველობის შრომის ანაზღაურებაზე, თვითონ შებრუნდება აპოლოგეტების წინააღმდეგ, რამდენადაც ინგლისელი [919] სოციალისტები ამაზე სამართლიანად უპასუხებდნენ: ძალიან კარგი, ამიერიდან თქვენ მიიღებთ მხოლოდ ჩვეულებრივი მმართველების ხელფასს; თქვენი სამრეწველო მოგება არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმით უნდა იქნეს დაყვანილი შრომის ზედამხედველობის ან ხელმძღვანელობის ხელფასზე.

ჩრასაკვირველია, აქ შეუძლებელია დაწვრილებით განხილვა აპოლოგეტთა ამ სულელური ლაყბობისა მთელი მისი წინააღმდეგობებით. მაგალითად, სამრეწველო მოგება დიდდება და მცირდება შებრუნებული შე-

ფარდებით როგორც სარგებელთან, ისე მიწის რენტასთან. მაგრამ შრომის ხელფასი, შრომის იმ გარკვეულ რაოდენობას, რასაც კაპიტალისტი ნამდვილად ასრულებს, არავითარი კავშირი არა აქვს არც ამასთან და არც ხელფასის დაცემასთან. ამ სახის ხელფასი განსხვავდება სწორედ იმ თავისებურებებით, რომ იგი მცირდება და ღირდება შებრუნებული შეფარდებით ნამდვილ ხელფასთან (რამდენადაც მოგების ნორმა გაპირობებულია ზედმეტი ღირებულების ნორმით; ხოლო თუ წარმოების ყველა პირობა უცვლელი რჩება, მაშინ იგი გაპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ ზედმეტი ღირებულების ნორმით). მაგრამ ამგვარი «პატარა წინააღმდეგობანი» ვერ სობენ იგივეობას აპოლოგეტიკური ვულგარული ეკონომისტის თავში. კაპიტალისტის მიერ შესრულებული შრომა აბსოლუტურად იგივე რჩება, იმისდა მიუხედავად, ბევრ ხელფასს იხდის კაპიტალისტი თუ ცოტას, უფრო მაღალ ხელფასს იღებენ მუშები თუ უფრო დაბალ ხელფასს (სავსებით ასევე ხელფასიც, რომელსაც ერთი სამუშაო დღისათვის იხდის, არაფერს არ ცვლის თვით შრომის რაოდენობაში.) კიდევ მეტი. მუშა უკეთესი ანაზღაურებისას უფრო ინტენსიურად მუშაობს. პირიქით, კაპიტალისტის შრომა არის გარკვეული მატერია: იგი თვისებრივად და რაოდენობრივად განისაზღვრება შრომის იმ რაოდენობით, რომელსაც კაპიტალისტი უნდა ხელმძღვანელობდეს, და არა შრომის ამ რაოდენობისათვის გაღებული საფასურით. კაპიტალისტს ისევე არ შეუძლია თავისი შრომის გაინტენსიურება, როგორც მუშას არ შეუძლია გადაამუშაოს იმაზე მეტი ბამბა, რასაც იგი ფაბრიკაში პოულობს.}

და შემდეგ ინგლისელი სოციალისტები ამბობენ: მმართველობისა და ზედამხედველობის შრომა ახლა შეიძლება ისევე ვიყიდოთ ბაზარზე და იგი შეიძლება შედარებით ისევე იაფად ვაწარმოოთ, მაშასადამე, ვიყიდოთ, როგორც ყოველი სხვა სამუშაო ძალაც. თვით კაპიტალისტურმა წარმოებამ გამოიწვია ის, რომ მმართველობის შრომა, სრულიად გამოყოფილი კაპიტალის მფლობელობისაგან (განურჩევლად იმისა, თავისი იქნება კაპიტალი თუ სხვისი), უხვად მოიპოვება. სულაც არაა აუცილებელი, რომ ამ მმართველობის შრომას ასრულებდნენ კაპიტალისტები. იგი realiter* არსებობს კაპიტალისაგან განცალკევებით — არა მრეწველი კაპიტალისტების ბუტაფორულ გამოყოფაში ფულის მქონე კაპიტალისტებისაგან, არამედ მრეწველი მმართველების და ა. შ. განცალკევებაში ყველა კატეგორიის კაპიტალისტებისაგან. ამის საუკეთესო

* — რეალურად, ნამდვილად. რ. ვ. დ.

დამამტკიცებელია შემდეგი. **ჩ ე რ ე რ თ ი**, თვით მუშების მიერ დარსებული კოოპერაციული ფაბრიკები*. ისინი ადასტურებენ იმას, რომ წარმოების ფუნქციონერის სახით კაპიტალისტი ისევე ზედმეტი გახდა მუშებისათვის, როგორც თვით კაპიტალისტს ზედმეტად მიაჩნია ბურჟუაზიული წარმოებისათვის მიწის მესაკუთრეთა ფუნქცია. **მ ე ო რ ე**, რამდენადაც კაპიტალისტის შრომა არ წარმოადგენს იმას, რაც [წარმოების] პროცესიდან — როგორც კაპიტალისტური პროცესიდან — გამოდინარეობს და, მაშასადამე, თავისთავად ქრება კაპიტალის ვაჭრობასთან ერთად, რამდენადაც იგი არ არის სახელწოდება სხვისი შრომის ექსპლოატაციის ფუნქციისათვის, **ე. ი.** რამდენადაც იგი შრომის საზოგადოებრივი ფორმიდან (კოოპერაციიდან, შრომის დანაწილებიდან და ა. შ.) გამომდინარეობს, — იგი ისევე არაა დამოკიდებული კაპიტალზე, როგორც მასზე დამოკიდებული არაა შრომის თვით ეს საზოგადოებრივი ფორმა მას შემდეგ, რაც მან თავიდან მოძმორა კაპიტალისტური გარსი. თქმა იმისა, რომ შრომის ხელმძღვანელობის ეს შრომა როგორც **კ ა პ ი ტ ა ლ ის ტ უ რ ი შ რ ო მ ა**, როგორც კაპიტალისტის ფუნქცია აუცილებელიაო, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ვულგარულ ეკონომისტს არ შეუძლია წარმოიდგინოს კაპიტალის წიაღში განვითარებული საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალა და საზოგადოებრივი ხასიათი შრომისა მათი ამ კაპიტალისტური ფორმისაგან, მათი მომენტების გაუცხოების, ანტაგონიზმისა და წინააღმდეგობის ფორმისაგან გამოყოფილად, მათი დამახინჯებისა და მათი **quidproquo**-საგან გამოთიშულად და ეს არის სწორედ ის, რასაც ჩვენ ვამტკიცებთ. [XV—919]

* * *

[XVIII—1142] {კაპიტალისტის ნამდვილი მოგება მეტწილად წარმოადგენს «გასხვისებით მიღებულ მოგებას» და კაპიტალის «ინდივიდუალურ შრომას» განსაკუთრებით დიდი გასაქანი აქვს იმ სარბიელზე, სადაც საქმე ეხება არა ზედმეტი ღირებულების შექმნას, არამედ კაპიტალისტთან მთელი კლასის ერთობლივი მოგების დანაწილებას მის ცალკეულ წევრებს შორის ვაჭრობის სფეროში. აქ ჩვენ ამას არ განვიხილავთ. მოგების გარკვეული სახეობანი — მაგალითად, სპეკულაციაზე დამყარებული მოგება, — მხოლოდ ამ სარბიელზე მიიღება. მათი განხილვა აქ, მაშასადამე, სრულიად გამოორიცხულია. ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის პირუტყვეულ უგუნურებას გვიჩვენებს ის, რომ იგი, — გან-

* იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 422. რ ე დ.

საკუთრებით იმისათვის, რომ წარმოიდგინოს მოგება როგორც «ხელ-ფასი», — ამ «გასხვისებით მიღებულ მოგებას» ურევს იმ მოგებაში, რომელიც ზედმეტი ღირებულების შექმნიდან გამომდინარეობს. იხილე, მაგალითად, ღირსეული როშერი. ამიტომ ამგვარი რეგვენებისათვის სავსებით ბუნებრივია, რომ მათ დომხალივით აქვთ არეული ერთმანეთში, ერთი მხრივ, კაპიტალისტების კალკულაციური მოსაზრებანი წარმოების სხვადასხვა სფეროში და სხვადასხვა საფუძველი ამ კაპიტალისტთა კომპენსაციისათვის კაპიტალისტთა მთელი კლასის ერთობლივი მოგების განაწილებისას და, მეორე მხრივ, საფუძველი კაპიტალისტების მიერ მუშების ექსპლოატაციისათვის, მიზეზები, ასე ვთქვათ, მოგების — როგორც ასეთის — წარმოშობისა.} [XVIII—1 142]

[5] არსებითი განსხვავება კლასიკურ კოლიტიკურ ეკონომიკას და ვულგარულ კოლიტიკურ ეკონომიკას შორის. სარგებელი და რენტა როგორც საქონლის საბაზრო ფასის წარმომადგენელი ელემენტები. ვულგარული ეკონომისტების ცდები — მივსათ რაციონალური ბარამგოზა სარგებლისა და რენტის ირაციონალური ფორმებისათვის]

[XV—919] ს ა რ გ ე ლ მ მ ტ ა ნ კ ა პ ი ტ ა ლ შ ი, — მოგების დაყოფაში სარგებლად და [სამრეწველო] მოგებად — კაპიტალმა მიიღო თავისი ყველაზე უფრო ნივთობრივი ფორმა, თავისი წმინდა ფეტიშისტური ფორმა, და ზედმეტი ღირებულება წარმოდგენილია ისეთ რამედ, რასაც სრულიად დაუკარგავს თავისი თავი. კაპიტალი — როგორც ნივთი — გვეჩვენება აქ ღირებულების დამოუკიდებელ წყაროდ, ღირებულების შემქმნელად, მსგავსად იმისა როგორც მიწა გვეჩვენება რენტის წყაროდ, შრომა კი — ხელფასის (ნაწილობრივ ხელფასის — სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ნაწილობრივ—სამრეწველო მოგების) წყაროდ. მართალია, ამ თვალსაზრისის წარმომადგენელთ მაჩინათ, რომ ხელფასს, სარგებელს და რენტას უნდა ანაზღაურებდეს საქონლის ფასი, მაგრამ იგი მათ იმიტომ ანაზღაურებსო, რომ მიწა, რომელიც საქონელში შედის, ქმნის რენტას, მასში შემავალი კაპიტალი კი ქმნის სარგებელს, ხოლო შრომა, მასში რომ შედის, ქმნის ხელფასს; იმიტომ, რომ ისინი ქმნიანო ღირებულების ამ ნაწილებს, რომლებიც ერგებათ მათს სათანადო მესაკუთრებს ან წარმომადგენლებს [920] — მიწის მესაკუთრეს, კაპიტალისტს და მუშაკს (დაქირავებულ მუშას და მრეწველს). ამრიგად, თუ აქ ისე გამოდის, რომ, ერთი მხრივ, საქონელთა ფასი განსაზღვრავს ხელფასს, რენტას და სარგებელს, ხოლო, მეორე მხრივ, სარგებლის,

რენტის და ხელფასის ფასი განსაზღვრავს საქონელთა ფასს, მაშინ ამ თვალსაზრისით არ არსებობს არავითარი წინააღმდეგობა თეორიისათვის, ანდა, თუ ასეთი არსებობს, ეს არის ამასთანავე წინააღმდეგობა, ანუ მანკიერი წრე, ფასების ნამდვილი მოძრაობისა.

სარგებლის განაკვეთი, მართალია, მერყეობს, მაგრამ იგი მერყეობს მხოლოდ ისე, როგორც მერყეობს ყოველი სხვა საქონლის საბაზრო ფასი — მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული თანაფარდობის მიხედვით. ეს ისევე ვერ სპობს სარგებელს როგორც კაპიტალის რაღაც შინაგანად დამახასიათებელს, როგორც საქონელთა ფასის რყევა ვერ სპობს ფასს როგორც საქონლისათვის დამახასიათებელ განსაზღვრას.

ასე წარმოგვიდგება მიწა, კაპიტალი და შრომა, რადგანაც ისინი აღიარებულია რენტის, სარგებლის და ხელფასის წყაროებად, ხოლო ეს უკანასკნელნი — საქონელთა ფასების წარმოქმნელ ელემენტებად: ერთი მხრივ, როგორც ღირებულების შემქმნელი ელემენტები; მეორე მხრივ, რამდენადაც ისინი წილად ზედება ღირებულების მაწარმოებელი თითოეული ამ იარაღის მფლობელს და აძლევენ ამ უკანასკნელს მათი მეშვეობით შექმნილი პროდუქტის ღირებულების ნაწილს, ისინი წარმოგვიდგებიან შემოსავლის წყაროებად, რენტის, სარგებლისა და ხელფასის ფორმები კი წარმოგვიდგება განაწილების ფორმებად. (როცა ვულგარული ეკონომისტები განმარტავენ განაწილების ფორმებს ფაქტიურად როგორც მხოლოდ წარმოების ფორმებს *sub alia specie**, მაშინ როდესაც კრიტიკული ეკონომისტები მათ განაცალკეებენ ერთმეორისაგან და ვერ ამჩნევენ მათს იგივეობას, ამაში, როგორც შემდეგში დავინახავთ, ვლინდება, სისულელის თანამიმდევრულობა კრიტიკულ პოლიტიკურ ეკონომიასთან შედარებით.)

სარგებელმოძრან კაპიტალში კაპიტალი წარმოგვიდგება როგორც თავის თავადი წყარო ღირებულებისა ან ზედმეტი ღირებულებისა, რომლებიც მას აქვს როგორც ფულს ან როგორც საქონელს. და თანაც იგი წარმოადგენს ასეთ წყაროს თავისთავად, თავის ნივთობრივ ფორმაში. მართალია, იმისათვის, რომ მან ამ თავისი თვისების რეალიზება მოახდინოს, იგი უნდა შედიოდეს წარმოების პროცესში, მაგრამ ეს აუცილებელია აგრეთვე მიწისა და შრომისთვისაც.

ამიტომ გასაგებია, თუ რატომ ურჩევნია ვულგარულ პოლიტიკურ ეკონომიას ფორმულა: «მიწა — რენტა, კაპიტალი — სარგებელი, შრომა — ხელფასი» — იმ ფორმულას, რომელიც ფასის ელემენტებისათვის (უფრო ზუსტად, იმ ნაწილებისათვის, რა ნაწილებადაც ფასი იწლე-

* — სხვა თვალთახედვით. რ ე დ.

ბა) მოეპოვება სმიტსა და სხვებს და რომელშიც მოცემულია თანაფარდობა «კ ა პ ი ტ ა ლ ი — მ ო გ ე ბ ა», რასაც ყველა ეკონომისტი — კლასიკოსი იყენებს კაპიტალისტური ურთიერთობის — როგორც ასეთის — გამოსახატავად. მოგება ჯერ კიდევ შეიცავს [ვულგარული პოლიტიკური ეკონომისისათვის] სიმშვიდის დამარღვეველ კავშირს [წარმოების] პროცესთან და მასში ცოტად თუ ბევრად ჯერ კიდევ გამოიხილება ზედმეტი ღირებულებისა და კაპიტალისტური წარმოების ქემშარიტი ბუნება მათი გ ა რ ე გ ნ უ ლ ი გ ა მ ო . ვ ლ ი ნ ე ბ ი ს ა გ ა ნ განსხვავებითა. ეს [უსიამოვნება ვულგარული ეკონომისისათვის] შეწყდება, როცა სარგებელი გამოიხატება როგორც კაპიტალის ნამდვილი პროდუქტი და ამით ზედმეტი ღირებულების მეორე ნაწილი, სამრეწველო მოგება, სავსებით გაქრება და ხელფასის კატეგორიაში მოხვდება.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომია ცდილობს ანალიზის მეშვეობით სიმდიდრის სხვადასხვა ფიქსირებული და ერთიმეორისათვის უცხო ფორმები დაიყვანოს მათს შინაგან ერთიანობაზე და მოაშოროს მათ ის ფორმა, რომელშიც ისინი ინდიფერენტულად დგანან ერთიმეორის გვერდით; მას სურს გაიგოს შინაგანი კავშირი მთელისა განსხვავებით გამოვლენის ფორმათა მრავალსახეობისაგან. ამიტომ რენტა დაჰყავს მას დამატებითს მოგებაზე, რის გამოც რენტა ქრება როგორც განსაკუთრებული, თ ა ვ ი ს - თ ა ვ ა დ ი ფორმა და აღმოჩნდება მისი მოჩვენებითი წყაროსგან, მიწისგან განცალკევებული. სწორედ ასევე ჩამოაცლის იგი სარგებელს მის დამოუკიდებელ ფორმას და გვიჩვენებს, რომ სარგებელი არის მოგების ნაწილი. ასე დაიყვანა კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ მოგების ერთ ფორმაზე შემოსავლის ყველა ის ფორმა, ყველა ის თავისთავადი ფორმა, ანუ ტიტული, რითაც არამუშა საქონლის ღირებულების ნაწილს ღებულობს. მაგრამ მოგება დაყვანილია ზედმეტ ღირებულებაზე, რადგან მთელი საქონლის ღირებულება დაიყვანება შრომაზე; მასში მოთავსებული შრომის ფასგადახდილი რაოდენობა დაიყვანება ხელფასზე; მაშასადამე, ამ რაოდენობის გადანამეტი დაიყვანება სხვადასხვა ტიტულით უსასყიდლოდ მითვისებულ ფასგადაუხდელ შრომაზე, მაგრამ კაპიტალის მიერ შექმნილ ზედმეტ ღირებულებაზე. კლასიკური პოლიტიკური ეკონომია ზოგჯერ წინააღმდეგობაში ვარდება ამ ანალიზის დროს; ხშირად იგი ცდილობს მოახდინოს ეს დაყვანა და დამტკიცოს სხვადასხვა ფორმათა წყაროს ერთიანობა უშუალოდ, ყოველგვარი შუალედური რგოლის გარეშე. მაგრამ ეს აუცილებლად გამოძინარეობს. მისი ანალიზური მეთოდიდან, [921] რომლითაც უნდა იწყებოდეს კლასიკური ეკონომიის კრიტიკა და გავება. იგი დაინტერესებულია არა იმით, რომ გენეტიკურად გამოიყვანოს სხვადასხვა ფორმა, არამედ იმით, რომ დაიყვანოს ისინი-

ანალიზის მეშვეობით მათს ერთიანობაზე, რადგან იგი გამოდის მათგან როგორც მისთვის მიცემულ წანამძღვართაგან. მაგრამ ანალიზი აუცილებელი წანამძღვარია გენეტიკური გააზრებისა, იმისა, რომ გაგებულ იქნეს ფორმაწარმოქმნის პროცესი მის სხვადასხვა ფაზაში. დასასრულს, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ნაკლი და შეცდომა ის არის, რომ მას კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ძ ი რ ი თ ა დ ი ფ ო რ მ ა, სხვისი შრომის მითვისებისაკენ მიმართული წარმოება გაგებული აქვს არა როგორც საზოგადოებრივი წარმოების ისტორიული ფორმა, არამედ როგორც მისი ბუნებრივი ფორმა, — კონცეფცია, რომლის დაძლევის გზას იგი, მაინც, თვითონ იცვალავს თავისი ანალიზით.

სრულიად სხვაგვარადაა საქმის ვითარება ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის მიმართ, რომელიც განსაკუთრებულად ყოყოჩობს სწორედ იმ მომენტიდან, როცა პოლიტიკურმა ეკონომიამ თვითონ დაარღვია, შეარყია თავისი ანალიზით თავისი საკუთარი წანამძღვრები, როცა, მაშასადამე, უკვე არსებობს აგრეთვე პოლიტიკური ეკონომიის ანტითეზად ცოტად თუ ბევრად ეკონომიური, უტოპიური, კრიტიკული და რევოლუციური ფორმით. პოლიტიკური ეკონომიისა და თვით მის მიერ წარმოშობილი ანტითეზის განვითარება ხომ ფეხდაფეხ მიჰყვება კაპიტალისტური წარმოებისათვის დამახასიათებელ საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა და კლასობრივი ბრძოლების რეალურ განვითარებას. მხოლოდ მას შემდეგ, რაც პოლიტიკურმა ეკონომიამ განვითარების გარკვეულ საფეხურს მიაღწია და მტკიცე ფორმები მიიღო, — ე. ი. ა. სმიტის შემდეგ, — მას სცილდება, როგორც პოლიტიკური ეკონომიის განსაკუთრებული სახეობა, მისი ის ელემენტი, რომელიც შეიცავს მხოლოდ მოვლენათა ზედაპირული აღწერა — განმეორებით მიღებულ წარმოდგენებს, — სცილდება მისი ვულგარული ელემენტი-ასე, მაგალითად, სეის კონცეფციაში ჩვენ ვხედავთ იმ ვულგარულ წარმოდგენათა გამოყოფას, რომლებიც აქა-იქ ა. სმიტსაც მოეპოვება, გამოყოფას, რომელიც დაღეჭილია თავისებური კრიტიკული-ზაციის სახით, ა. სმიტის გვერდით რომ არსებობს. რიკარდოს გამოჩენასთან ერთად და მისი მეოხებით პოლიტიკური ეკონომიის შემდგომ განვითარებასთან ერთად ახალ საზრდოს პოულობს აგრეთვე ვულგარული ეკონომისტიც (თვით იგი ხომ არაფერს არ აწარმოებს), და რაც უფრო მეტად აღწევს პოლიტიკური ეკონომია თავის დასრულებას, რაც უფრო, მაშასადამე, ღრმად მიდის იგი და ვითარდება როგორც სისტემა ანტაგონიზმისა, მით უფრო დამოუკიდებლად უპირისპირდება მას მისივე საკუთარი ვულგარული ელემენტები, გამდიდრებული იმ მასალით, რომელსაც ეს ვულგარული ელემენტი თავის ყაიდაზე ამუშავებს მანამდე, სანამ,

ბოლოს, ეს ვულგარული ელემენტი არ ნახულობს თავის საუკეთესო გამოხატულებას სწავლულ-სინკრეტული და უპრინციპო-ეკლექტიკური კომპილაციის სახით.

იმისდა მიხედვით, თუ როგორ ღრმად მიდის პოლიტიკური ეკონომია, იგი არა მხოლოდ თვითონ არის წინააღმდეგობათა და დაპირისპირებულობათა გამომხატველი, არამედ მის წინააღმდეგ გამოდის მისი საკუთარი დაპირისპირებულობა, და ეს ხდება ერთდროულად საზოგადოების ეკონომიურ ცხოვრებაში რეალურ წინააღმდეგობათა განვითარებასთან ერთად. ამის შესაბამისად ვულგარული პოლიტიკური ეკონომია შეგნებულად ხდება სულ უფრო ა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი და ყოველნაირად ცდილობს თავიდან მოიშოროს ყბედობის გზით ის აზრები, რომლებშიც გამოხატულია წინააღმდეგობანი. ამიტომ ს ე ი, რომელიც სმიტის კონცეფტიაში წინააღმდეგობებს ნახულობს ჭერ კიდევ შეფარდებით განუვითარებელი სახით, წარმოგვიდგება ჭერ კიდევ კრიტიკოსად და მიუდგომლობის ნიმუშად შედარებით, მაგალითად, ბ ა ს ტ ი ა ს თ ა ნ, ამ ჰარმონიის მქადაგებელთან და პროფესიით აპოლოგეტთან, რომელსაც უკვე ნამდვილად წინ დახვდა წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, დამუშავებული თვით პოლიტიკური ეკონომიის შიგნით რიკარდოს მიერ, მეორე მხრივ კი, დამუშავებას რომ განიცდიდა სოციალიზმში და იმ დროის ყოველდღიურ კლასობრივ ბრძოლაში. ამას ემატება კიდევ ისიც, რომ ვულგარული პოლიტიკური ეკონომია თავის განვითარების უფრო ადრინდელ საფეხურებზე ნახულობს ჭერ კიდევ არა მთლიანად დამუშავებულ მასალას და ამიტომ თვითონაც მეტ-ნაკლებად მონაწილეობს ეკონომიური პრობლემების გადაწყვეტაში პოლიტიკური ეკონომიის თვალსაზრისით, როგორც ჩვენ ამას ვხედავთ, მაგალითად, ს ე ი ს თ ა ნ, მაშინ როდესაც ვინმე ბასტიას ისლა დარჩენია, რომ პლაგიატობას მიჰყოს ხელი და შეეცადოს თავისი მსჯელობით თავიდან მოიშოროს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ა რ ა ს ა ს ი ა მ ო ვ ნ ო მ ხარე.

მაგრამ ბასტია არ წარმოადგენს ჭერ კიდევ უკანასკნელ საფეხურს. მას ჭერ კიდევ ახასიათებს სწავლულობის ნაკლებობა და სრულიად ზერეულე ცოდნა. იმ მეცნიერებისა, რომელსაც იგი ალამაზებს გაბატონებული კლასის ინტერესების სასარგებლოდ. მისი აპოლოგეტიკა ჭერ კიდევ გამოირჩევა მუწუნებარებით და შეადგენს იმას, რაც ნამდვილად მისი სამუშაოა, რადგან პოლიტიკური ეკონომიის შინაარსს იგი სხვებისაგან ღებულობს იმ სახით, რომლითაც იგი მისთვის ყველაზე შესაფერია. ყველაზე უკანასკნელი ფორმა არის პ რ ო ფ ე ს ო რ უ ლ ი ფ ო რ მ ა, რომელიც საქმეს ხელს ჰკიდებს «ისტორიულად» და ბრძნული ზომიერებით გამოძების ყველგან «საუკეთესოს», თანაც მისთვის მნიშვნელობა არა აქვს,

თუ ამის შედეგად მიიღება წინააღმდეგობანი, არამედ მნიშვნელოვანია მხოლოდ შერჩეულის სისრულე. ეს არის არსის გამოცლა [922] ყველა: სისტემისათვის, რომელთაც ჩამოამტვრევენ თავიანთ მახვილ კუთხეებს და რომელნიც მშვიდობიანად ეგუებიან ერთიმეორეს ამონაწერების საერთო რეველში. აპოლოგეტიკის გზება შეზავებულია აქ სწავლულობით, რომელიც კეთილგანწყობით გადმოჰყურებს ზემოდან ქვემოთ ეკონომიურ მოაზროვნეთა გაზვიადებებს და მხოლოდ კურობების სახით შეაქვს ისინი თავის უბადრუკ ნათიხნში. რადგან ამგვარი შრომები მხოლოდ მაშინ გამოდის, როცა პოლიტიკურ ეკონომიას როგორც მეცნიერებას უკვე დამთავრებული აქვს თავისი გზა, ამიტომ ისინი ამასთანავე ამ მეცნიერების ს ა მ ა რ ე ს წარმოადგენენ. (ისინი რომ სწორედ ასევე სოციალისტების ფანტაზიებზე უფრო მალა დგანან, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია.) ნამდვილად ღრმა აზრებიც კი სმიტისა, რიკარდოსი და სხვებისა — არა მხოლოდ მათი საკუთარი ვულგარული ელემენტი — წარმოგვიდგება აქ აზროვლებულ რაიმედ და გადაიქცევა ვულგარულობად. ამგვარი ოსტატია ბატონი პროფესორი რ ო შ ე რ ი, რომელმაც თავისი თავი მორიდებულად პოლიტიკური ეკონომიის ფუკიდიდედ გამოაცხადა¹⁵⁸. ფუკიდიდესთან მისი იგივეობის გამოცხადება, შესაძლოა, იმ წარმოდგენას ემყარება, რომელიც მას ფუკიდიდეზე აქვს, სახელდობრ, რომ ფუკიდიდე თითქოს მუდამ ერთმანეთში ურევდა მიზეზსა და შედეგს.

მართალია, ს ა რ გ ე ბ ე ლ მ ო მ ტ ა ნ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ფ ო რ მ ა შ ი მეტად საგრძნობლად იჩენს თავს ის გარემოება, რომ კაპიტალი ისაკუთრებს სხვისი შრომის ნაყოფს საკუთარი შრომის გამოყენების გ ა რ ე შ ე: კაპიტალი ხომ აქ ისეთი ფორმით გვევლინება, რომელშიც იგი ჩამოშორებულია წარმოების პროცესს როგორც პროცესს. მაგრამ ამ ფორმაში კაპიტალი მხოლოდ იმიტომ მოქმედებს აღნიშნული წესით, რომ იგი ნამდვილად შედის შრომის პროცესში თავისთავად ყოველგვარი შრომის გამოყენების გარეშე, — როგორც ისეთი ელემენტი, რომელიც თავისთავად ქმნის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს, წარმოადგენს ღირებულების წყაროს. თუ სარგებელმომტანი კაპიტალი პროდუქტის ღირებულების ნაწილს შრომის გამოყენების გარეშე ისაკუთრებს, მანვე შექმნა ხომ ეს ნაწილი ღირებულებისა თავის მხრივ ყოველგვარი შრომის გამოყენების გარეშე, შექმნა იგი თავის თავიდან, ex proprio sinu*.

მაშინ როდესაც კლასიკურ და ამიტომ კრიტიკულ ეკონომისტებს გაუცხოების ფორმები სიძნელეებს უქმნის და ისინი ცდილობენ ანალიზის

* — საკუთარი წალიდან. რ ე დ.

საშუალებით მოხსნან ეს ფორმები, ვულგარული პოლიტიკური ეკონომია, პირიქით, სწორედ იმ გაუცხოებულობაში, რომელშიც პროლეტარატის ღირებულების სხვადასხვა ნაწილები ერთიმეორეს უპირისპირდებიან, პირველად გრძნობს თავს სრულად თავისუფლად: როგორც სქოლასტიკოსი თავის სტიქიაში გრძნობს თავს, როცა საქმე აქვს ფორმულასთან «მანდემრთი, ძელმერთი და სულიწმიდა ღმერთი», ასევე ვულგარული ეკონომისტიც თავის სტიქიაში გრძნობს თავს როცა საქმე აქვს ფორმულასთან «მიწა — რენტა, კაპიტალი — სარგებელი, შრომა — ხელფასი». ეს ზომის ფორმაა, რომელშიც მოვლენათა ზედპირზე ეს ნივთები ერთმანეთთან უშუალოდ დაკავშირებული გვეჩვენება, მაშასადამე, ის ფორმაც, რომელშიც ისინი ცოცხლობენ კაპიტალისტური წარმოების აგენტთა წარმოდგენებსა და ცნობიერებაში, აგენტებისა, რომელნიც ამ წარმოების წესის ტყვეობაში იმყოფებიან. ვულგარულ პოლიტიკურ ეკონომიას მიაჩნია, რომ იგი მით უფრო მარტივია, უფრო ბუნებრივია და უფრო ყველასათვის სასარგებლო, მით უფრო დაშორებული ყოველგვარ თეორიულ მზაკვრობას, რაც უფრო მეტად იგი ნამდვილად მხოლოდ იმითაა დასაქმებული, რომ ყოველდღიური წარმოდგენანი დოქტრინერულ ენაზე თარგმნოს. ამიტომ, რაც უფრო გაუცხოებული სახით აღიქვამს იგი კაპიტალისტური წარმოების ფორმებს, მით უფრო ახლოსაა იგი ყოველდღიურ წარმოდგენათა სტიქიასთან, ე. ი. მით უფრო მეტად დაცურავს იგი თავის საკუთარ ბუნებრივ სტიქიაში.

გარდა ამისა, ეს მეტად დიდ სამსახურს უწევს აპოლოგეტიკას. ვინაიდან, მაგალითად, ფორმულაში «მიწა — რენტა, კაპიტალი — სარგებელი, შრომა — ხელფასი» ზედმეტი ღირებულების სხვადასხვა ფორმები და სხვადასხვა პერსონაჟები [Gestalten] ერთმანეთს უპირისპირდებიან არა გაუცხოებულად, არამედ როგორც ერთიმეორისათვის გარეშენი და ინდიფერენტულნი, როგორც მარტოოდენ განსხვავებულნი, ანტაგონიზმის გარეშე. სხვადასხვა შემოსავალი სრულად სხვადასხვა წყაროდან გამომდინარეობს, ერთი — მიწიდან, მეორე — კაპიტალიდან, მესამე — შრომიდან. მაშასადამე, ისინი არ იმყოფებიან ერთმანეთთან მტრულ კავშირში, ვინაიდან საერთოდ არ იმყოფებიან არავითარ შინაგან კავშირში. და თუ მიუხედავად ამისა ისინი წარმოებაში ერთად მოქმედებენ, ეს არის ჰარმონიული მოქმედება, ჰარმონიის გამოხატულება; ასე, მაგალითად, გლეხი, ხარები, გუთანი, მიწა, მიუხედავად მთელი მათი განსხვავებისა, ჰარმონიულად მუშაობენ ერთად მიწათმოქმედებაში, ნამდვილ შრომითს პროცესში. თუ მათ შორის ადგილი აქვს ანტაგონიზმს, ამ უკანასკნელს წარმოშობს მხოლოდ კონკრ-

რენცია იმის გამო, თუ წარმოების აგენტებიდან ვინ უფრო მეტი უნდა მიითვისოს პროდუქტიდან, იმ ზედმეტი ღირებულებიდან, რომელიც მათ ერთად შექმნეს. და თუ ზოგჯერ ამასთან საქმე მუშტი-კრივამდე მიდის, მაინც საბოლოოდ მიწასა, კაპიტალსა და შრომას შორის ამ კონკურენციის საბოლოო შედეგის სახით ის მიიღება, რომ გაყოფის შესახებ თავიანთი დავის (923) მსვლელობაში მათ იმდენად გაადიდეს ურთიერთ-მეტოქეობით პროდუქტის ღირებულება, რომ თითოეულს წილად ხვდება უფრო დიდი ნაწილი, ასე რომ თვით მათი კონკურენცია გვევლინება წარმოების ყველა აგენტთა პარმონიის მხოლოდ ბიძგის მიმცემ გამოხატულებად.

მაგალითად, ბ-ნი არნდი აცხადებს, როცა რაუს აკრიტიკებს:

ავტორს ზოგიერთი მისი წინამორბედის ზეგავლენით ეროვნული სიმდიდრის სამ ელემენტთან [ხელფასთან, კაპიტალის რენტასთან და მიწის რენტასთან] ერთად შემოაქვს მეოთხე ელემენტი მეწარმის შემოსავლის სახით; ამით ინგრევა ჩ ვ ე ნ ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს ყოველი შემდგომი განვითარების მთელი საფუძველი» (!) «ესოდენ დიდი წინდახედულობით აგებული ა. სმიტის მიერ, რის გამოც ჩვენი ავტორის ნაწარმოებში ასეთ განვითარებაზე ფიქრიც ზედმეტია» (K. A. R. N. D. Die naturgemässe Volkswirtschaft, gegenüber dem Monopoliengeste und dem Communismus, mit einem Rückblicke auf die einschlagende Literatur. Hanau, 1845, გვ. 477).

«კაპიტალის რენტაში» ბ-ნი არნდი გულისხმობს ს ა რ გ ე ბ ე ლ ს (იქვე, გვ. 123). და თუ ვინმე არ დაიჯერებდა იმას, რომ ა. სმიტს ეროვნული სიმდიდრე დაჰყავს კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ს ა რ გ ე ბ ე ლ ზ ე, მიწის რენტაზე და ხელფასზე? (სმიტი ზომ სწორედ, პირიქით, ამკარად მიგვითითებს მ ო გ ე ბ ა ზ ე როგორც კაპიტალის კაპიტალისტური გამოყენების შედეგზე და არაერთხელ აღნიშნავს გარკვევით, რომ ს ა რ გ ე ბ ე ლ ი — იმდენად, რამდენადაც იგი საერთოდ ზედმეტ ღირებულებას წარმოადგენს — მუდამ არის მხოლოდ მოგებიდან წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი ფორმა.) ასეთ შემთხვევაში ვულგარული ეკონომისტი, როცა მის მიერ მოხსენიებულ წყაროებს კითხულობს, ან წყაროებიდან ამოიკითხავს ხოლმე რაღაც იმის სრულიად საწინააღმდეგოს, რასაც ისინი შეიცავენ. იქ, სადაც სმიტი წერს «მოგება», არნდი კითხულობს «სარგებელი». რას გულისხმობს იგი ა. სმიტის «სარგებელში»?

«ჩ ვ ე ნ ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს» იგივე «წინდახედული განმავითარებელი» შემდეგ აღმოჩენას აკეთებს:

მატერიალური დოვლათის შექმნის ბუნებრივ მსვლელობაში არის მხოლოდ ერთი მოვლენა, რომელიც — საესებით ცივილიზებულ ქვეყნებში — რამდენადაც, ასე ეთქვამთ, მოწოდებულია იმისათვის, რომ არეგულირებდეს სარგებლის განაყევას; ეს არის ის შეფარდება, რომლითაც ევროპის ტყეების ხის მასები დიდდება ყოველწლიური

ნამატის გამო. ეს მატება ხდება, სრულიად დამოუკიდებლად მათი საცვლელი ღირებულებებისაგან (კომიკურია ხეებზე ვილაპარაკოთ, რომ ისინი არეგულირებენ თავიანთ მატებას. «საცვლელი ღირებულებისაგან დამოუკიდებლად»), «პროპორციით 3-დან 4-მდე ასზე. ამიტომ» (ე. ი. იმიტომ, რომ, რაჟღერნდაც არ უნდა იყოს ხეების საცვლელი ღირებულება დამოკიდებული მათს წატებაზე, ეს მატება ხდება «მათი საცვლელი ღირებულებისაგან დამოუკიდებლად») «არ შეიძლება ველოდეთ იმ დღონებზე დაბალ დაცემას, რომელზეც იგი» (სარგებლის განაკვეთი) «იშეოფება ამჟამად ფულით ყველაზე მდიდარ ქვეყნებში» (ციტირ. თხზ., გვ. 124—125).

ეს იმსახურებს სახელწოდებას: «სარგებლის განაკვეთი, რომელიც ტყეში იზრდება», მისმა გამომგონებელმა კი ციტირებულ თხზულებაში ყურადღება მიიქცია «ჩვენი მეცნიერების» დარგში აგრეთვე როგორც «ძალის გადასახადის» ფილოსოფოსმა¹⁵⁷.

* * *

{მოგება (აგრეთვე სამრეწველო მოგებაც) ავანსებული კაპიტალის სიდიდის პროპორციულია; პირიქით, ის «ხელფასია», რომელსაც მრეწველი კაპიტალისტი ღებულობს, შებრუნებულ შეფარდებაში კაპიტალის სიდიდესთან: იგი მნიშვნელოვანია მცირე კაპიტალის დროს (რადგან აქ კაპიტალისტი რაღაც საშუალოა სხვისი შრომის ექსპლოატორსა და მუშას შორის, რომელიც თავისი შრომით ცხოვრობს), სულ მცირეა დიდი კაპიტალის დროს ან სრულიად გამოყოფილია მოგებისაგან, როგორც იმ შემთხვევაში, როცა მმართველი არის. მმართველობის შრომის ნაწილი გამოწვეულია მხოლოდ მტრული დაპირისპირებულობით კაპიტალსა და შრომას შორის, კაპიტალისტური წარმოების ანტაგონისტური ხასიათით, ეკუთვნის ამ წარმოების *faux frais de production* *—ს, სასეგებით ისევე როგორც მიმოქცევის პროცესით გამოწვეული «შრომის» ^{1/10}. ღირიფორი-კაპელმაისტერი სულაც არაა აუცილებელი ორკესტრის ინსტრუმენტების მესაკუთრე იყოს, და მის — როგორც ღირიფორის — ფუნქციაში არ შედის ორკესტრის წევრთა შესანახი ხარჯების სასპეკულაციოდ გამოყენება, საერთოდ მას არავითარი კავშირი არა აქვს მათს «ხელფასთან». მეტად უცნაურია, რომ ისეთი ეკონომისტები, როგორც ჯონ სტიუარტ მილია, რომლებიც მტკიცედ მისდევენ ფორმას «სარგებელი», «სამრეწველო მოგება», რათა «სამრეწველო მოგება» გადააქციონ შრომის ზედამხედველობის ხელფასად, — აღიარებენ სმიტთან,

* თანხარჯები, რომლებიც არ მონაწილეობენ უშუალოდ წარმოების პროცესში, მაგრამ მოცემულ ბირობებში აუცილებელნი არიან. რ ე დ.

რიკარდოსთან და მოხსენიების ღირს ყველა ეკონომისტთან ერთად, რომ სარგებლის საშუალო განაკვეთი, სარგებლის საშუალო ნორმა განისაზღვრება მოგების საშუალო ნორმით, რომელიც, მილის მიხედვით, შებრუნებულ შეფარდებაშია ხელფასის ნორმასთან და, მაშასადამე, სხვა არაფერია, თუ არა ფასგადაუხდელი შრომა, ზედმეტი შრომა.

ზედამხედველობის ქირა რომ საერთოდ სრულიად არ შედის მოგების საშუალო ნორმაში, ამას ყველაზე უკეთ ამტკიცებს ორი ფაქტი:

[924] 1) ის ფაქტი, რომ კოოპერაციულ ფაბრიკებში*, სადაც მმართველი საფასურს ღებულობს, როგორც ყოველ სხვა ფაბრიკაში, და მმართველობის მთელ შრომას ასრულებს და სადაც ზედამხედველები თვითონ მხოლოდ მუშაეები არიან, — მოგების ნორმა მოგების საშუალო ნორმაზე დაბალი კი არ არის, არამედ უფრო მაღალია;

2) თუ მოსაქმეობის ზოგიერთ განსაკუთრებულ, არამონოპოლიზებულ დარგებში, მაგალითად წვრილი მეღუჭნის, ფერმერის და ა. შ., მოგება მუდამ უფრო მაღალია მოგების საშუალო ნორმაზე, ეკონომისტები ამას სამართლიანად ხსნიან იმით, რომ ეს ადამიანები თავის თავს უხდიან ხელფასს. თუ ასეთი ადამიანი მარტოკა მუშაობს, მის მოგებას შეადგენენ: 1) მისი მცირე კაპიტალის სარგებელი, 2) მისი ხელფასი, 3) ის ნაწილი ზედმეტი ღრისა, რომლის განმავლობაშიც კაპიტალის მფლობელობა მას შესაძლებლობას აძლევს იმუშაოს არა სხვებისთვის, არამედ თავისთვის; — ის ნაწილი, რომელიც არ არის უკვე გამოხატული სარგებელში. ხოლო თუ მას მუშეები ჰყავს, მაშინ მათი ზედმეტი ღროც აქ შედის.

პატივცემული ს ე ნ ი ო რ ი ც (ნასაუ), რასაკვირველია, გადააქცევს ასევე ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო მ ო გ ე ბ ა ს ზედამხედველობის ქირად. მაგრამ მას ავიწყდება ეს ხრიკები, როგორც კი ლაპარაკი ჩამოვარდება არა დოქტრინერულ ფრაზებზე, არამედ პრაქტიკულ ბრძოლაზე მუშებსა და ფაბრიკანტებს შორის. მაშინ იგი გამოდის, მაგალითად, სამუშაო ღროის შეზღუდვის წინააღმდეგ, რადგან, მაგალითად, თუ სამუშაო დღე 11 1/2 საათი იქნებოდა, მუშეები, მისი სიტყვებით, კაპიტალისტისთვის იმუშაებდნენ მხოლოდ ერთ საათს და მარტო ამ ერთი საათის პროდუქტი იქნებოდა კაპიტალისტის მოგება (თუ არ ჩათვლით სარგებელს, რომლის ასანაზღაურებლადაც ისინი, სენიორის გაანგარიშების თანახმად, ასევე ერთი საათი მუშაობენ). ამრიგად, აქ სამრეწველო მოგება უცბად უთანატოლდება არა იმ ღირებულებას, რომელსაც კაპიტალისტს შრომა საქონელს მოუმატებს წარმოების პროცესში, არამედ იმ ღირებულებას, რომელსაც მიუმატებს საქონელს მუშეების ფასგადაუხდელი

* შეად. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 422 და 597. რ ე დ.

სამუშაო დრო. სამრეწველო მოგება რომ კაპიტალისტის საკუთარი შრომის პროდუქტი ყოფილიყო, სენიორს წუწუნი უნდა დაეწყო არა იმის გამო, რომ მუშები მუქთად მუშაობენ მხოლოდ ერთი საათი და არა ორი. და მით უმეტეს მას არ შეეძლო ეთქვა, რომ თუ მუშები 11 1/2 საათის ნაცვლად მხოლოდ 10 1/2 საათი იმუშაებდნენ, მაშინ ს რ უ ლ ი ა დ ა რ ი ა რ ს ე ბ ე ბ და მ ო გ ე ბ ა; მას უნდა ეთქვა, რომ თუ მუშები 11 1/2 საათის ნაცვლად მხოლოდ 10 1/2 საათი მუშაობენ, მაშინ კაპიტალისტი ზედამხედველობის ქირას ლებულობს არა 11 1/2 საათისათვის, არამედ მხოლოდ 10 1/2 საათისათვის და, მაშასადამე, კარგავს ზედამხედველობის ქირას ერთი საათისათვის, რაზეც მუშებს შეეძლოთ მისთვის ეპასუხნათ, რომ თუ მათ ჰყოფნით ჩვეულებრივი ხელფასი 10 1/2 საათისათვის, მაშინ კაპიტალისტს უნდა ეყოს უ ფ რ ო მ ა დ ა ლ ი ხ ე ლ ფ ა ს ი 10 1/2 საათისათვის.

გაუგებარია, როგორ ხდება, რომ ისეთი ეკონომისტები, როგორც ჯონ სტიუარტ მილია, რომლებიც რიკარდოს მიმდევარნი არიან და რომლებიც იმ დებულებას, რომ მოგება უბრალოდ ზედმეტი ღირებულების ტოლია, ზედმეტ შრომას უდრის, ისეთი ფორმითაც კი გამოთქვამენ, რომ მოგების ნორმა და ხელფასი შებრუნებულ შეფარდებაში არიან ერთიმეორესთან და რომ ხელფასის ნორმა განსაზღვრავს მოგების ნორმას (რაც ამ ფორმით არაა სწორი), — როგორ ხდება, რომ ეს ეკონომისტები უეცრად სამრეწველო მოგებას გადააქცევენ არა მუშების ზედმეტ შრომად, არამედ კაპიტალისტის საკუთარ შრომად, — თუ არა იმ აზრით, რომ სხვისი შრომის ექსპლოატაციის ფუნქციას ისინი უწოდებენ შრომას, ასე რომ მაშინ მართლაც გამოდის, რომ ამ შრომის ქირა ზუსტად უდრის მითვისებული სხვისი შრომის რაოდენობას, ანუ უშუალოდ დამოკიდებულია ექსპლოატაციის ხარისხზე და არა იმ დამბულობის ხარისხზე, როგორითაც კაპიტალისტი ამ ექსპლოატაციისათვის საჭირო შრომას ხარჯავს. (რამდენადაც კაპიტალისტური წარმოების დროს შრომის ექსპლოატაციის ეს ფუნქცია ნამდვილ შრომას მოითხოვს, იგი გამოიხატება მმართველის ხელფასით.) ვიმეორებ, გაუგებარია, თუ როგორ ხდება, რომ ეს ეკონომისტები, მას შემდეგ, რაც მათ (როგორც რიკარდოელებმა) მოგება მის ნამდვილ ელემენტზე დაიყვანეს, შემდეგ შეცდომას ეშვებენ იმის გამო, რომ სარგებელს უპირისპირდება სამრეწველო მოცუბა, რომელიც მხოლოდ გა დ ა ც მ უ ლ ი ფ ო რ მ ა ა მოგებისა და რომლის გააზრებაც რაღაც თავისთავადი ფორმის სახით დამყარებულია მოგების რაობის უცოდინარობაზე. მოგების ერთი ნაწილი ხომ მხოლოდ იმიტომ გვევლინება როგორც ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო მოგება, წარმოქმნილი წარმოების პროცესში მიმდინარე საქმიანობიდან (საკუთრივ ან. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

მოქმედი პროცესიდან, რაც ამასთანავე მოქმედი კაპიტალისტის საქმიანობასაც შეიცავს) და ამის გამო როგორც კაპიტალისტის შრომის კუთვნილი ნაწილი, — რომ მეორე ნაწილი, სარგებელი, გვევლინება იმ ნაწილის სახით, რომელიც კუთვნიან კაპიტალს როგორც ნივთს, თვითმოქმედ, თვითშემოქმედ ნივთს, პროცესისაგან დამოუკიდებლად. მაშასადამე, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ კაპიტალი და მისგან გამომდინარე ზედმეტი ღირებულება, სარგებლის სახელწოდებით, გამოცხადებულია რაღაც მისტიკურ მოვლენად. ეს კონცეფცია, რომელიც მართოდენ წარმოდგენებიდან გამომდინარეობს და გვიჩვენებს კაპიტალის ყველაზე გარეგნულ სახეს, როგორც იგი მოვლენათა ზედაპირზე მოჩანს, აშკარად უპირისპირდება რიკარდოს კონცეფციას და მთლიანდენწინააღმდეგება ღირებულების რიკარდოსეულ გაგებას. რამდენადაც კაპიტალი არის ღირებულება, მისი ღირებულება განსაზღვრულია მასში მოთავსებული შრომით ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ეს კაპიტალი წარმოების პროცესში შევიდოდეს. რამდენადაც იგი პროცესში შედის როგორც ნივთი, იგი შედის მასში როგორც სახმარი ღირებულება, სახმარი ღირებულების სახით კი, როგორც არ უნდა იყოს მისი სარგებლობა, მას არასდროს არ შეუძლია შექმნას საცვლელი ღირებულება. აქედან ჩვენ ვხედავთ, თუ რა შესანიშნავად გაიგეს რიკარდოელებმა თავიანთი საკუთარი მასწავლებელი. ფულის მქონე კაპიტალისტის მიმართ მრეწველი, რასაკვირველია, სავსებით მართალია იმაში, რომ იგი, წარმოდგენს რა მოქმედ კაპიტალისტს და, მაშასადამე, ნამდვილად გამოწოვს რა მუშას ზედმეტ შრომას, ჯიბეში იღებს ამ ზედმეტი შრომის ნაწილს. ფულის მქონე კაპიტალისტის მიმართ ის არის მუშაკი, მაგრამ მუშაკი კაპიტალისტის, ე. ი. სხვისი შრომის ექსპლოატატორის სახით. [925] მუშების მიმართ კი, პირიქით, სასაცილოა ის არგუმენტი, რომ მათი შრომის ექსპლოატაცია კაპიტალისტის შრომა უღირს და რომ მუშებმა ამიტომ მას ქირა უნდა უხადონ ამ ექსპლოატაციისათვის. ეს არის მონების ზედამხედველის არგუმენტი, წამოყენებული მონის მიმართ. }

* * *

საზოგადოებრივი წარმოებითი პროცესის ყოველი წანამძღვარი არის ამასთანავე მისი შედეგიც, ხოლო ყოველი მისი შედეგი გვევლინება ამასთანავე როგორც წანამძღვარიც. ამიტომ ყველა ის წარმოებითი ურთიერთობა, რომელშიც წარმოების პროცესი მოძრაობს, ერთნაირად არის მისი პროდუქტიც და მისი პირობებიც. რაც უფრო მეტად განვიხილავთ ამ პროცესს მის ნამდვილ გარეგან გამოვლენაში, მით

უფრო განმტკიცდება მისი სახე პირობების ფორმით, ასე რომ ეს პირობები გვეჩვენება რალაც ამ პროცესის განმსაზღვრელად თვით მისგან დამოუკიდებლად, პროცესის მონაწილეთა საკუთარი ურთიერთობანი კი ამ მონაწილეთ წარმოდგება როგორც ნივთობრივი პირობები, როგორც ნივთობრივი ძალები, როგორც ნივთთა განსაზღვრულობანი, მით უმეტეს, რომ კაპიტალისტურ პროცესში ყოველი ელემენტი, ყველაზე მარტივიც კი, მაგალითად, საქონელი, უკვე გარკვეული დამახინჯება და უკვე ადამიანთა ურთიერთობებს წარმოგვიდგენს როგორც ნივთთა თვისებებს და როგორც ადამიანთა დამოკიდებულებას ამ ნივთთა სოციალური თვისებებისადმი.

{«სარგებელი არის გასამრჩელო დანაზოგთა მწარმოებლური გამოყენებისათვის; მოგება ამ სიტყვის ნამდვილი აზრით არის გასამრჩელო ამ მწარმოებლური გამოყენების დროს გაწეული საქმიანობისათვის, ზედამხედველოებისათვის, («Westminster Review»¹⁸⁸, იანუარი 1826 წ., გვ. 107—108).

აქ, მაშასადამე, სარგებელი არის გასამრჩელო იმისათვის, რომ ფული და ა. შ. გამოიყენება როგორც კაპიტალი; იგი გამომდინარეობს, მაშასადამე, კაპიტალიდან როგორც ასეთიდან, რომელსაც გასამრჩელო ეძლევა მისი იმ თვისებისათვის, რომ ის კაპიტალია. სამრეწველო მოგება კი არის გასამრჩელო იმ ფუნქციისათვის, რომელსაც კაპიტალი თუ კაპიტალისტი ასრულებს «ამ მწარმოებლური გამოყენების დროს», ე. ი. თვით წარმოების პროცესში.} [925]

[925] სარგებელი არის მხოლოდ ის ნაწილი მოგებისა, რომელსაც კაპიტალის მესაკუთრეს უხდის მრეწველი, მოქმედი კაპიტალისტი. რადგან ამ უკანასკნელს შეუძლია ზედმეტი შრომა მითთვისოს მხოლოდ კაპიტალის (ფული, საქონელი) მეოხებით და ა. შ., ამიტომ იგი უხდის ნაწილს იმას. ვინც მას ამ საშუალებას აძლევს. და თუ კაპიტალის მესაკუთრეს სურს გამოიყენოს თავისი ფული როგორც კაპიტალი, მისი კაპიტალად ამოქმედების გარეშე, მას შეუძლია ამის გაკეთება მხოლოდ იმ პირობით, რომ იგი დაკმაყოფილდება მოგების ნაწილით. ისინი ფაქტიურად პარტნიორები არიან. ერთი იურიდიული, მეორე ეკონომიური მესაკუთრე კაპიტალისა, ვიდრე იგი ამ კაპიტალს იყენებს. მაგრამ რადგან მოგება მხოლოდ წარმოების პროცესიდან გამომდინარეობს, მხოლოდ მისი შედეგია და ჯერ კიდევ წარმოებულ უნდა იქნეს, ამიტომ სარგებელი არის მხოლოდ პრეტენზია ჯერ კიდევ მხოლოდ შესასრულებელი შრომის ნაწილის მიმართ, ტიტული მომავალი შრომისა, პრეტენზია ჯერ კიდევ არასრულებული საქონლის ღირებულების ნაწილის მიმართ, მაშასადამე — ჯერ მხოლოდ შედეგი

დროის იმ გარკვეულ მონაკვეთში მიმდინარე წარმოების პროცესისა, რომლის ბოლოსაც ამ სარგებელს გადაიხდიან.

[926] კაპიტალს ყიდულობენ (ე. ი. სესხულობენ სარგებელზე) მანამდე, ვიდრე მას გადაიხდიან. ფული მოქმედებს აქ გადახდის საშუალების სახით, როგორც ეს არის სამუშაო ძალის ყიდვისას და ა. შ. ამიტომ კაპიტალის ფასი — სარგებელი — ისევე შედის მრეწველის ავანსებში (ავანსში, რომელსაც თავის თავს აძლევს მრეწველი, თუ იგი საკუთარი კაპიტალით მუშაობს), როგორც ფასი ბამბისა, რომელსაც, მაგალითად, აგრეთვე დღეს ყიდულობენ და გადასახდელია, ვთქვათ, ექვსი კვირის შემდეგ. სარგებლის განაკვეთის — ფულის საბაზრო ფასის — მერყეობა ისევე ვერ ცვლის აქ საქმის ვითარებას, როგორც ვერ ცვლის მას სხვა საქონელთა საბაზრო ფასების მერყეობა. პირიქით, საქონლის საბაზრო ფასი — ასეთია სახელწოდება სარგებელმომტანი კაპიტალისა როგორც ფულადი კაპიტალისა — განისაზღვრება ფულის ბაზარზე, მსგავსად ყოველი სხვა საქონლის საბაზრო ფასისა, მყიდველთა და გამყიდველთა კონკურენციით, მოთხოვნითა და მიწოდებით. ეს ბრძოლა ფულის მქონე კაპიტალისტებსა და მრეწველ კაპიტალისტებს შორის არის მარტოდენ ბრძოლა მოგების განაწილებისათვის, იმ ნაწილისათვის, რომელიც უნდა ერგოს თითოეულს ამ მხარეთაგან გაყოფის დროს. თვით შეფარდება (მოთხოვნა და მიწოდება), როგორც თითოეულიც მისი ორი პოლუსიდან, თავის მხრივ, წარმოების პროცესის შედეგია, ანუ ჩვეულებრივი ენით რომ ვთქვათ. [განისაზღვრება] საქმის მდგომარეობით ყოველ მოცემულ მომენტში, იმ მდგომარეობით, რომელშიც ყოველ მოცემულ მომენტში იმყოფება კვლავწარმოების პროცესი და მისი ელემენტები. მაგრამ ფორმითა და გარეგანი გამოვლენით ეს ბრძოლა განსაზღვრავს კაპიტალის ფასს (სარგებელს) ჯერ კიდევ კაპიტალის კვლავწარმოებაში შესვლამდე. და ამასთან ამ განსაზღვრას ადგილი აქვს საკუთრივ წარმოების პროცესის გარეშე და ამ პროცესისაგან დამოუკიდებელი გარემოებებით რეგულირდება, — კიდევ მეტი, ეს განსაზღვრა ფასისა გვევლინება როგორც ერთ-ერთი იმ პირობათაგან, რომელთა ფარგლებშიც წარმოების პროცესი უნდა ხორციელდებოდეს. ამიტომ ისე გვეჩვენება, რომ ეს ბრძოლა არა მარტო განამტკიცებს მომავალი მოგების გარკვეული ნაწილის საკუთრების ტიტულს, არამედ რომ იგი აიძულებს თვით ამ ნაწილს — არ გამოდიოდეს შედეგის სახით წარმოების პროცესიდან, არამედ, პირიქით, შედიოდეს მასში წანამძღვის სახით, კაპიტალის ფასის სახით, სავსებით ისევე როგორც საქონლის ფასი ან ხელფასი შედის მასში როგორც წანამძღვარი, თუმცა იგი სინამდვილეში მუდამ — კვლავწარმოების პროცესში — იქიდან გამოდის. საქონლის ფასის ყოველი ელემენტი,

რომელიც გვევლინება როგორც აენსი და შედის როგორც უკვე არსებულ ფასი საქონლისა წარმოების ფასში (Produktionspreis), მრეწველ კაპიტალისტს აღარ წარმოუდგება უკვე როგორც ზედმეტი ღირებულება, surplus value. ამიტომ მოგების ის ნაწილი, რომელიც შედის პროცესში როგორც კაპიტალის ფასი, განეკუთვნება აენსად გაღებულ ხარჯებს, აღარ გვევლინება უკვე როგორც ზედმეტი ღირებულება და პროცესის პროდუქტიდან გადაიქცევა მის ერთ-ერთ წინასწარ მოცემულ წანამძღვრად, წარმოების პირობად, რომელიც როგორც ასეთი წარმოების პროცესში დამოუკიდებელი ფორმით შედის და მის შედეგს განსაზღვრავს.

(თუ, მაგალითად, სარგებლის განაკვეთი ეცემა, ბაზრის პირობები კი მოითხოვენ საქონელთა ფასების დაცემას მათს ხარჯთფასებზე დაბლა, მაშინ მრეწველს შეუძლია შეამციროს საქონელთა ფასი, სამრეწველო მოგების ნორმის შეუმცირებლად; მას შეუძლია თავისი საქონლის ფასიც კი შეამციროს და უფრო მაღალი სამრეწველო მოგება მიიღოს, რაც, მართალია, იმას, ვინც მხოლოდ თავისი საკუთარი კაპიტალით მუშაობს, წარმოუდგება როგორც მოგების ნორმის, მთლიანი მოგების დაცემა. ყოველივე ის, რაც წარმოგვიდგება როგორც წინასწარ მოცემული პირობა წარმოებისა, — სახელდობრ, ფასი საქონლისა, ხელფასისა, კაპიტალისა და ა. შ. ე. ი. საბაზრო ფასები ამ ელემენტებისა — განსაზღვრულ უკუგავლენას ახდენს საქონლის საბაზრო ფასზე, რომელიც ყოველ მოცემულ მომენტში არსებობს; ცალკეული საქონლის ნამდვილი ხარჯთფასი კი გზას იკაფავს მხოლოდ საბაზრო ფასების რყევაში, არის მხოლოდ ამ საბაზრო ფასების თვითგათანაბრება, საესებით ისევე როგორც საქონელთა ღირებულებებიანი გზას იკაფავენ მხოლოდ ყველა სხვადასხვაგვარი საქონლის ხარჯთფასების გათანაბრებაში. ამიტომ ის მანკიერი წრე, რომელშიც ვულგარულ შეხედულებათა მატარებელი ტრიალებს, იქნება იგი კაპიტალისტური ცნობიერების თეორეტიკოსი თუ პრაქტიკული კაპიტალისტი, და რომელშიც გვექნება: საქონელთა ფასები განსაზღვრავენ ხელფასს, სარგებელს, მოგებას და რენტას, და პირიქით, შრომის, სარგებლის, მოგებისა და რენტის ფასები განსაზღვრავენ საქონელთა ფასებს, — მხოლოდ გამოხატულ ება იმ წრიულ მოძრაობისა, რომელშიც საყოველთაო კანონები წინააღმდეგობრივად ხორციელდება ნამდვილ მოძრაობაში და მოვლენათა ზედაპირზე.)

ამრიგად, ზედმეტი ღირებულების ნაწილი, სარგებელი, გვევლინება როგორც წარმოების პროცესში შემავალი კაპიტალის საბაზრო ფასი, მაშასადამე, იგი გვევლინება არა როგორც ზედმეტი ღირე-

ბულება. არამედ როგორც წარმოების პირობა. ამგვარად, ის გარემოება, რომ ზედმეტი ღირებულებას ერთმანეთში იყოფენ ორი კატეგორიის კაპიტალისტები — პროცესის გარეშე მყოფნი და პროცესის მონაწილენი — ისე წარმოგიდგება. რომ ზედმეტი ღირებულების ნაწილი ეკუთვნის კაპიტალს პროცესის გარეშე, მეორე კი — კაპიტალს პროცესში. წინასწარი დადგენა დანაწილების პროპორციისა წარმოგიდგება როგორც დამოუკიდებლობა ერთი ნაწილისა მეორისაგან; როგორც დამოუკიდებლობა ერთი ნაწილისა თვით პროცესისაგან; ბოლოს, როგორც იმანენტური თვისება რალაც ნივთისა, ფ უ ლ ი ს ა, ს ა ქ ო ნ ლ ი ს ა, მაგრამ — ამ ნივთებისა როგორც კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ა, რაც კვლავ გვევლინება არა როგორც გამონატულება ვარკვეული ურთიერთობისა, არამედ ისე, რომ ეს ფული, ეს საქონელი ტ ე ქ ნ ო ლ ო გ ი უ რ ა დ განკუთვნილია შრომის პროცესისათვის; ამ განკუთვნების მეოხებით ისინი იქცევიან კაპიტალად; ამგვარად განკუთვნილნი, ისინი თავის შრომითი პროცესის მარტივი ელემენტებია, [927] რომელნიც, მაშასადამე, მარტივად როგორც შ რ ო მ ი თ ი პ რ ო ც ე ს ი ს ა ს ე თ ი ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი კ ა პ ი ტ ა ლ ს წარმოადგენენ.

არაფერი მისტიკური არ არის იმაში, რომ საქონლის ღირებულება დაიშლება ნაწილობრივ მასში მოთავსებულ საქონელთა ღირებულებად, ნაწილობრივ შრომის ღირებულებად. ე. ი. ფასგადახდილ შრომად, ნაწილობრივ ფასგადაუხდელ, მაგრამ მიუხედავად იმისა ისეთ შრომად, რომელიც შეიძლება გაყიდულ იქნეს, და რომ საქონლის ის ნაწილი, რომელიც ფასგადაუხდელი შრომისაგან შედგება, ე. ი. საქონელში მოთავსებული ზედმეტი ღირებულება დაიშლება სარგებლად, სამრეწველო მოგებად და რენტად, ე. ი. რომ ამ ერთობლივი ზედმეტი ღირებულების უშუალო მიმთვისებელი და «მწარმოებელი» იძულებულია აძლიოს ამ ზედმეტი ღირებულების ერთი ნაწილი მიწის მესაკუთრეს, მეორე ნაწილი კაპიტალის მესაკუთრეს, ასე რომ ერთობლივი ზედმეტი ღირებულების მესამე ნაწილი, რომელსაც იგი თავისთვის იტოვებს, მას რჩება სამრეწველო მოგების სახელწოდებით, რაც მას განახსივავებს სარგებლისაგან და რენტისაგან, ასევე თვით ზედმეტი ღირებულებისაგან და თვით მოგებისაგან. ზედმეტი ღირებულების, ე. ი. საქონელთა ღირებულების გარკვეული ნაწილის, ეს დაშლა ამ განსაკუთრებულ რუბრიკებად, ანუ კატეგორიებად, სავსებით გასაგებია და არასგზით არ ეწინააღმდეგება თვითონ ღირებულების კანონს. მაგრამ ყოველივე ეს მისტიფიცირებული ხდება იმ თავისთავადი ფორმის გამო, რომელსაც ზედმეტი ღირებულების ეს სხვადასხვა ნაწილები ღებულობენ იმის შედეგად, რომ ისინი მიედინებიან სხვადასხვა პირებთან, იმ ელემენტების გამო, რომლებზეც დამყარებუ-

ლია მათი ტიტული, ბოლოს, იმ დამოუკიდებლობის გამო, რომლითაც ზედმეტი ღირებულების ეს სხვადასხვა ნაწილები უპირისპირდებიან წარმოების პროცესს როგორც მისი პირობები. ნაწილებიდან, რომლებაც ღირებულება შეიძლება დაიშალოს, ისინი გადაიქცევიან დამოუკიდებელ ელემენტებად, რომლებიც ამ ღირებულების წარმომქმნელი ელემენტებია, გადაიქცევიან ფასის და მ ა მ ყ ა რ ე ბ ე ლ ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ა დ. ასეთები არიან ისინი საბაზრო ფასისათვის. ისინი ნამდვილად წარმოადგენენ საბაზრო ფასის წარმომქმნელ ელემენტებს. თუ როგორ ხდება, რომ ეს მოჩვენებითი დამოუკიდებლობა მათი როგორც წარმოების პროცესის პირობებისა თავის მხრივ შინაგანი კანონით რეგულირდება, ასე რომ ისინი მხოლოდ გ ვ ე ჩ ვ ე ნ ე ბ ი ა ნ დამოუკიდებელ რამედ, — ეს წარმოების პროცესის არც ერთ მომენტში არ შელანდება მოვლენათა ზედაპირზე და არ მოქმედებს როგორც განმსაზღვრელი, ცნობიერი მომენტი. სწორედ პირიქით. ეს მოჩვენებითი სახე, რომლის მეოხებითაც წარმოების პროცესის შედეგი ამ პროცესის დამოუკიდებელ პირობად გვეჩვენება, ყველაზე დიდ სიმტიცეს მაშინ პოულობს, როცა ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ნ ა წ ი ლ ე ბ ი — წარმოების პირობათა ფასების სახით — საქონლის ფასში შედიან.

და სწორედ ასეთია საქმის ვითარება სარგებლისა და რენტის შემთხვევაში. ისინი ეკუთვნიან მრეწველი კაპიტალისტისა და ფერმერის ავანსებს. ისინი აქ წარმოგვიდგებიან უკვე არა როგორც გამოხატულება ფასგადაუხდელი ზედმეტი შრომისა, არამედ როგორც გამოხატულება ფასგადახდილი ზედმეტი შრომისა, ე. ი. ისეთი ზედმეტი შრომისა, რომლის ეკვივალენტი წარმოების პროცესში გადაუხადეს, მართალია, არა მუშას, რომლის ზედმეტი შრომაც ის არის, არამედ სხვა პირებს — კაპიტალისა და მიწის მესაკუთრეებს. სარგებელი და რენტა ზედმეტი შრომა მათს მიმართებაში მუშასთან, მაგრამ ისინი ეკვივალენტებია მათს მიმართებაში [ფულის მქონე] კაპიტალისტთან და მიწის მესაკუთრესთან, რომელთაც ისინი უნდა გადაუხადონ. ამიტომ ისინი გვევლინებიან არა როგორც ზედმეტი ღირებულება და მით უმეტეს არა როგორც ზედმეტი შრომა, არამედ როგორც ფ ა ს ე ბ ი საქონლისა «კაპიტალი» და საქონლისა «მიწა», ვინაიდან მათ უხდინან [ფულის მქონე] კაპიტალისტს და მიწის მესაკუთრეს მხოლოდ როგორც საქონელმფლობელთ, მხოლოდ როგორც ამ საქონელთა მფლობელებს და გამყიდველთ. ამიტომ საქონლის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც სარგებელზე დაიყვანება, გვევლინება როგორც კ ე ლ ა ვ წ ა რ მ ე ბ ა კაპიტალისტთვის გადახდილი ფ ა ს ი ს ა, ის ნაწილი კი, რომელიც რენტაზე დაიყვანება, — როგორც კ ე ლ ა ვ წ ა რ მ ე ბ ა მიწისთვის გადახდილი ფასისა. ეს ფასები

შეადგენენ, მაშასადამე, საქონლის ერთობლივი ფასის წარმომქმნელ ნაწილებს. ეს არა მარტო ასე ე ჩ ე ე ნ ე ბ ა მრეწველ კაპიტალისტს: მისთვის სარგებელი და რენტა ნამდვილად წარმოქმნიან მისი ავანსების ნაწილს, და თუ ისინი, ერთი მხრივ, განისაზღვრებიან მისი საქონლის ს ა ბ ა ზ რ ო ფ ა ს ი თ; — საბაზრო ფასით, რომელშიც სოციალური პროცესი ან მისი შედეგი გვევლინება როგორც საქონლისათვის დამახასიათებელი განსაზღვრულობა, ამ პროცესის მერყეობა კი, მისი მოძრაობა — როგორც საქონლის ფასისათვის დამახასიათებელი მერყეობა, — მეორე მხრივ, საბაზრო ფასს განსაზღვრავენ ისინი, სავსებით ისევე როგორც ბამბის საბაზრო ფასი განსაზღვრავს ნართის საბაზრო ფასს. თავის მხრივ კი, ნართის საბაზრო ფასი განსაზღვრავს ბამბის მოთხოვნას. და, მაშასადამე, ბამბის საბაზრო ფასს.

იმის შედეგად, რომ ზედმეტი ღირებულების ნაწილები, სარგებელი და რენტა. წარმოების პროცესში შედიან როგორც ფ ა ს ე ბ ი საქონელთა — საქონლისა «მიწა» და საქონლისა «კაპიტალი», — ისინი არსებობენ ისეთი ფორმით, რომელიც არა მარტო ჩქმალავს მათს ნამდვილ წარმოშობას. არამედ პირდაპირ უარყოფს მას.

ის გარემოება, რომ ზედმეტი შრომა, ფ ა ს გ ა დ ა უ ხ დ ე ლ ი შრომა, ისევე არსებითად შედის კაპიტალისტური წარმოების პროცესში, როგორც ფ ა ს გ ა დ ა ხ დ ი ლ ი შრომაც, წარმოგვიდგება აქ ისე, რომ შრომისაგან განსხვავებული წარმოების ელემენტებისათვის — მიწისა და კაპიტალისათვის — უნდა გადაიხადონ ფასი, ანდა რომ საქონლის ფასში შედის ავანსებულ საქონელთა ფასისაგან და ხელფასისაგან განსხვავებული ხ ა რ ჯ ე ბ ი. ზედმეტი ღირებულების ნაწილები — სარგებელი და რენტა — წარმოგვიდგება აქ როგორც ხარჯები, ექსპლოატატორი კაპიტალისტის ავანსები.

ს ა შ უ ა ლ ო მ ო გ ე ბ ა განმსაზღვრელი ელემენტის სახით შედის საქონელთა წარმოების ფასებში და, მაშასადამე, უკვე აქ ზედმეტი ღირებულება გვევლინება არა როგორც შედეგი, არამედ როგორც პირობა; არა როგორც ერთ-ერთი იმ ნაწილებთაგან, რომლებდაც საქონლის ღირებულება დაიშლება, არამედ როგორც მისი ფ ა ს ი ს წარმომქმნელი ნაწილი. მაგრამ ს ა შ უ ა ლ ო მ ო გ ე ბ ა, როგორც თვით წ ა რ მ ო ე ბ ი ს ფ ა ს ი ც, განმსაზღვრელია უფრო იდეალურად და გვევლინება ამასთან როგორც ავანსების გ ა დ ა ნ ა მ ე ტ ი [928] და როგორც საკუთრივ ხარჯთაგან განსხვავებული ფასი. მიიღება საშუალო მოგება თუ არ მიიღება, მიიღება საშუალოზე მეტი თუ ნაკლები მოგება, — არ ს ე ბ უ ლ ი ს ა ბ ა ზ რ ო ფ ა ს ი ს პ ი რ ო ბ ე ბ შ ი, ე. ი. პროცესის უშუალო შედეგის დროს, — ამით განისაზღვრება კვლავ-

წარმოება, ანუ, უფრო სწორად, კვლავწარმოების მასშტაბი; განისაზღვრება ის, თუ რა რაოდენობით მოედინება არსებული კაპიტალი წარმოების ამა თუ იმ სფეროში ანდა, პირიქით, ამოიღება ამა თუ იმ სფეროდან, აგრეთვე განისაზღვრება ის, თუ რა პროპორციით მიეშურება წარმოების ამა თუ იმ სფეროში ახლად დაგროვილი კაპიტალი, და, ბოლოს, ის, თუ რამდენად გამოდის ფულის ბაზარზე წარმოების ესა თუ ის სფერო მყიდველის სახით. პირიქით, ს ა რ გ ე ბ ე ლ ს ა და რ ე ნ ტ ა შ ი ზედმეტი ღირებულების ნაწილები გამოდიან განცალკევებულად სრულად ფიქსირებული ფორმით როგორც ცალკეული წარმოების ფასის წანამდვარი და ანტიციპირებული არიან ავანსების ფორმით.

* * *

{ ხ ა რ ჯ ე ბ ი [Kosten] შეიძლება ეწოდოს იმას, რაც ა ვ ა ნ ს ი ა, ე. ი. იმას, რაც გადახდილია კაპიტალისტის მიერ. ამ სიტყვახმარების თანახმად მოგება გვევლინება როგორც ამ ხარჯების გადანამეტი. ეს შეეხება ცალკეულ წარმოების ფასებს. ავანსების მიერ განსაზღვრულ ფასებს კი მაშინ შეიძლება ეწოდოს ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ე ბ ი¹⁵⁹.

წ ა რ მ ო ე ბ ი ს ხ ა რ ჯ ე ბ ი [Produktionskosten] შეიძლება ეწოდოს იმ ფასებს, რომლებსაც განსაზღვრავს საშუალო მოგება, ე. ი. ავანსებული კაპიტალის ფასი პლუს საშუალო მოგება, რადგან ეს მოგება არის კვლავწარმოების პირობა, პირობა, რომელიც არეგულირებს საქონელთა მიწოდებას და კაპიტალების განაწილებას წარმოების სხვადასხვა სფეროებში. ეს ფასები არის წ ა რ მ ო ე ბ ი ს ფ ა ს ე ბ ი [Produktionspreise].

ბოლოს, ნამდვილი რაოდენობა შრომისა (ვასაგნობრივებული და უშუალო შრომისა), რაც საქონლის წარმოებაზე იხარჯება, არის ამ საქონლის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა. იგი შეადგენს რეალურ წარმოების ხარჯებს თვით საქონლისათვის. ის ფასი, რომელიც ამ ღირებულებას შეესაბამება, არის მხოლოდ ფულში გამოხატული ღირებულება.

ტერმინში «წარმოების ხარჯები» [«Produktionskosten»] შენაცვლებით იგულისხმება ხან ერთი, ხან მეორე, ხან კი მესამე.)

* * *

ზედმეტი ღირებულების კვლავწარმოებას რომ ადგილი არ ჰქონდეს, მაშინ ზედმეტი ღირებულებასთან ერთად გაქრებოდა მისი ის ნაწილიც, რომელსაც სარგებელი ეწოდება, და ის ნაწილიც, რომელსაც რენტა ეწოდება, და გაქრებოდა ამასთანავე ერთად ამ ზედმეტი ღირებულების ანტიციპაცია, ანუ ის, რომ იგი საქონელთა ფ ა ს ე ბ ი ს სახით წარმოების

ხარჯებში შედის. წარმოებაში შემავალი არსებული ღირებულება მაშინ საერთოდ ვერ გამოვიდოდა ამ წარმოებიდან როგორც კ ა პ ი ტ ა ლ ი, მაშასადამე. ვერც შევიდოდა როგორც კაპიტალი კვლავწარმოების პროცესში ანდა ვერც გასესხებული იქნებოდა როგორც კ ა პ ი ტ ა ლ ი. მაშასადამე, სწორედ ერთი და იმავე ურთიერთობათა — კაპიტალისტური წარმოების გამაპირობებელ ურთიერთობათა — მუდმივი კვლავწარმოება იწვევს იმას, რომ ეს ურთიერთობანი გვევლინება არა მარტო როგორც საზოგადოებრივი ფორმები და შედეგები ამ პროცესისა, არამედ ამასთანავე როგორც მისი მუდმივი წ ა ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ე ბ ი ც. მაგრამ ასეთები არიან ისინი მხოლოდ როგორც თვით მის მიერ მუდმივად და დ გ ე ნ ი ლ ი, შექმნილი, წ ა რ მ ი ე ბ უ ლ ი წ ა ნ ა მ ძ ღ ვ რ ე ბ ი. მაშასადამე, ეს კვლავწარმოება სრულიადაც არ არის ცნობიერი და იგი ვლინდება, პირიქით, მხოლოდ იმაში, რომ ეს ურთიერთობანი როგორც წ ა ნ ა მ ძ ღ ვ რ ე ბ ი და როგორც წარმოების პროცესზე გაბატონებული პ ი რ ო ბ ე ბ ი მუდმივად არსებობენ. ასე, მაგალითად, იმ ნაწილებიდან, რომლებიდანაც საქონლის ღირებულება შეიძლება დაიშალოს, მიიღებინ ამ ღირებულების წარმომქმნელი ნაწილები, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან როგორც თავისთავადნი ერთიმეორის მიმართ და ამიტომ აგრეთვე თავისთავადნი თავიანთი ერთიანობის მიმართაც, ერთიანობისა, რომელიც, პირიქით, გვევლინება როგორც მათი კ ო მ ბ ი ნ ა ც ი ა. ბურჟუა ხედავს, რომ პროდუქტი მუდამ წარმოების პირობა ხდება. მაგრამ იგი ვერ ხედავს იმას, რომ თვით წარმოებითი ურთიერთობანი, ის საზოგადოებრივი ფორმები, რომლებშიც იგი აწარმოებს და რომლებიც მას ეჩვენება წინასწარ მოცემულ, ბუნებრივ ურთიერთობებად, მუდმივი პროდუქტია — და მხოლოდ ამის გამო მუდმივი წანამძღვარი — ამ სპეციფიკური საზოგადოებრივი წარმოების წესისა. სხვადასხვა ურთიერთობანი და მომენტები არა მარტო განცალკევდებიან დამოუკიდებელი სახით, იძენენ რა არსებობის ისეთ უცნაურ წესს, რომლის დროსაც გვეჩვენებიან როგორც ერთიმეორისაგან დამოუკიდებელნი, არამედ ისინი წარმოგვიდგებიან როგორც უშუალო თვისებანი ნივთებისა, ლებულობენ ნივთობრივ სახეს.

ამრიგად, კაპიტალისტური წარმოების აგენტები ცხოვრობენ რაღაც მოჯადოებულ სამყაროში, და მათი საკუთარი ურთიერთობანი მათ წარმოუდგება როგორც თვისებანი ნივთებისა, წარმოების ნივთობრივი ელემენტებისა. მაგრამ ყველაზე უკანასკნელ, ყველაზე შუალედური რგოლებით მიღებულ ფორმებში, ფორმებში, რომლებშიაც ამასთანავე შუალედური პროცესები არა მარტო უხილავი გახდა, არამედ თავის პირდაპირ დაპირისპირებულობადაც კი გადაიქცა, კაპიტალის სხვადასხვა სახეები

წარმოგვიდგებიან როგორც წარმოების ნამდვილი ფაქტორები და უშუალო მატარებელნი. ხორციელდება სარგებელმომტანი კაპიტალის პერსონიფიკაცია ფულის მქონე კაპიტალისტში, სამრეწველო კაპიტალისა — მრეწველ კაპიტალისტში, რენტამომტანი კაპიტალისა — ლენდლორდში როგორც მიწის მესაკუთრეში, ბოლოს, შრომისა — დაქირავებულ მუშაში. როგორც ასეთი ფიქსირებული სახეები, პერსონიფიცირებულნი დამოუკიდებელ პიროვნებებში, რომლებიც ამასთანავე გვევლინებიან მარტოდენ როგორც პერსონიფიცირებულ ნივთთა წარმომადგენელნი, ისინი შედიან კონკურენციაში და ნამდვილ წარმოების პროცესში. კონკურენცია გულისხმობს ამ შინაგანი კავშირის გადაქცევას რაღაც გარეგნულ რამედ. კაპიტალის აღნიშნული ფიქსირებული სახეები კონკურენციისათვის არსებობენ როგორც ბუნების მიერ, ბუნებრივი ისტორიულად მოცემული ფორმები, და თავის გამოვლენაში [929] ზედაპირზე თვით კონკურენცია არის მხოლოდ მოძრაობა ამ დამახინჯებული სამყაროსი. იმდენად, რამდენადაც ამ მოძრაობაში გზას იკვლევს შინაგანი კავშირი, იგი რაღაც მისტიკურ კანონად გვევლინება. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია თვით პოლიტიკური ეკონომია, მეცნიერება, რომელიც იმაზე მუშაობს, რომ კავშირი, რომელიც ფარული გახდა, კვლავ აღმოაჩინოს. კონკურენციაში ყველაფერი ვლინდება ამ ყველაზე გარეგნული, ყველაზე უკანასკნელი ფორმით. ასე, მაგალითად, საბაზრო ფასი აქ გვევლინება როგორც გაბატონებული რამ, სარგებლის განაკვეთი, რენტა, ხელფასი, სამრეწველო მოგება — როგორც ღირებულების წარმომქმნელი ელემენტები, მიწის ფასი და კაპიტალის ფასი კი — როგორც წინასწარ მოცემული მუხლები იმ ხარჯებისა, რომელთა გარეშე შეუძლებელია მეურნეობის წარმართვა.

ჩვენ დავინახეთ, რომ სმიტი ჯერ ღირებულებას დაშლის ხელფასად, მოგებად (სარგებლად) და რენტად, შემდეგ კი, პირიქით, წარმოგვიდგენს მათ როგორც საქონელთა ფასების წარმომქმნელ დამოუკიდებელ ელემენტებს*. პირველ კონცეფციაში მას ნაჩვენები აქვს ფარული კავშირი, მეორეში — მისი გარეგანი გამოვლენა.

თუ კიდევ უფრო მეტად ჩავჭიდებთ ხელს მოვლენათა ზედაპირს, მაშინ, გარდა მოგების საშუალო ნორმისა, შეიძლება სარგებელი და რენტაც კი გამოიხატოს როგორც საქონელთა ფასების (სახელდობრ, საბაზრო ფასების) წარმომქმნელი ნაწილები. სარგებელი შეიძლება გამოიხატოს ასეთ წარმომქმნელ ნაწილად უშუალოდ, რადგან იგი ხარჯთფასში შედის. რენტა — როგორც მიწის ფასი, — თუმცა მას არ

* იხ. ეს ტომი, ნაწილი 1. გვ. 79—84. რ ე დ.

შეუძლია უშუალოდ განსაზღვროს პროდუქტის ფასი, მაგრამ იგი განსაზღვრავს ამა თუ იმ წარმოების წესს: ხდება დიდი კაპიტალის კონცენტრაცია მიწის პატარა ნაკვეთზე თუ მცირე კაპიტალი ნაწილდება ვრცელ ნაკვეთზე, იწარმოება თუ არა პროდუქტის ესა თუ ის სახეობა — პირუტყვი ან მარცვლეული, — რომლის საბაზრო ფასიც ყველაზე უკეთ ფარავს რენტის ფასს, ვინაიდან რენტა გადახდილ უნდა იქნეს საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლამდე. მაშასადამე, იმისათვის, რომ რენტა არ შეადგენდეს გამონაკლებს სამრეწველო მოგებიდან, საძოვარს გადააქცევენ სახნავად, ნახნავს — საძოვრად და ა. შ. ამრიგად, რენტა არ განსაზღვრავს ცალკეული პროდუქტის საბაზრო ფასს უშუალოდ, მაგრამ ამას აკეთებს იგი არაპირდაპირი გზით, ამყარებს ისეთ თანაფარდობას პროდუქტის ცალკეულ სახეობათა შორის, რომ მოთხოვნა და მიწოდება უზრუნველყოფენ საუკეთესო ფასს თითოეული მათგანისათვის, ასე რომ მას შეუძლია რენტის გადახდა. და თუ ამ გავებით რენტა არ განსაზღვრავს უშუალოდ, მაგალითად, მარცვლეულის საბაზრო ფასს, სამაგიეროდ იგი უშუალოდ განსაზღვრავს პირუტყვის და ა. შ., მოკლედ — იმ სფეროთა პროდუქტების საბაზრო ფასს, სადაც რენტა არ განსაზღვრება საკუთარი პროდუქტის საბაზრო ფასით, არამედ პროდუქტის საბაზრო ფასი განისაზღვრება იმ რენტის ნორმით, რომელსაც იძლევა მარცვლეულით ნათესი მიწა. ასე, მაგალითად, მრეწველობის მხრივ განვითარებულ ქვეყნებში ხორცის ფასი ძალიან ძვირია, ე. ი. გაცილებით უფრო დიდია არა მარტო თავის წარმოების ფასზე, არამედ თავის ღირებულებაზეც. ეს იმიტომ, რომ ხორცის ფასი უნდა ანაზღაურებდეს არა მარტო მის წარმოების ხარჯებს, არამედ იმ რენტასაც, რომელსაც მოიტანდა მიწა, თუ იგი დათესილი იქნებოდა მარცვლეულით. წინააღმდეგ შემთხვევაში ხორცი მსხვილი მესაქონლეობისას, როცა კაპიტალის ორგანული შედგენილობა გაცილებით უფრო ახლოა კაპიტალის შედგენილობასთან მრეწველობაში ანდა განსხვავდება კიდევ იმით, რომ მუდმივი კაპიტალი ბევრად სჭარბობს ცვალებად კაპიტალს, შეძლებდა მხოლოდ უმნიშვნელო აბსოლუტური რენტის გადახდას ანდა სრულიად ვერ მოგვემდა აბსოლუტური რენტას. მაგრამ ის რენტა, რომელსაც იძლევა ხორცი და რომელიც უშუალოდ შედის მის ფასში, განისაზღვრება აბსოლუტური და იმ დიფერენციული რენტის ჯამით, რომელსაც მოგვემდა იგივე მიწა, თუ იგი გამოყენებული იქნებოდა ხენა-თესვისათვის. ეს დიფერენციული რენტაც აქ მეტწილად არ არსებობს. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ის, რომ ხორცი იძლევა რენტას ისეთ მიწაზე, რომელზეც მარცვლეული არ იძლევა ამ რენტას.

ამრიგად, თუ მოგება განმსაზღვრელი წესით შედის წარმოების ფასში, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ხელფასი, სარგებელი და, რამდენადმე, რენტა განმსაზღვრელი წესით შედიან საბაზრო ფასში და, რა თქმა უნდა, ასევე განმსაზღვრელი წესით შედიან წარმოების ფასშიც. რასაკვირველია, რადგან მთლიანად სარგებლის მოძრაობა განისაზღვრება მოგებით, რადგან მარცვლეულის რენტა განისაზღვრება ნაწილობრივ მოგების ნორმით, ნაწილობრივ მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულებით და სხვადასხვა მიწების სხვადასხვა ღირებულებათა საბაზრო ღირებულებად გათანაბრებით, მოგების ნორმა კი — ნაწილობრივ ხელფასით, ნაწილობრივ შრომის ნაყოფიერებით წარმოების იმ სფეროებში, რომელნიც მუდმივ კაპიტალს აწარმოებენ, მაშასადამე, განისაზღვრება ხელფასის დონით და შრომის ნაყოფიერებით, ხელფასი კი დაყვანილია საქონლის გარკვეული ნაწილის ეკვივალენტზე (ე. ი. ხელფასი უდრის საქონელში მოთავსებულ ფასგადახდილ შრომას, მოგება კი — მასში მოთავსებულ ფასგადაუხდელ შრომას) და, ბოლოს, რადგან შრომის ნაყოფიერების ზრდას შეუძლია გავლენა მოახდინოს საქონელთა ფასზე მხოლოდ ორნაირად — მათს ღირებულებაზე ამ უკანასკნელის შემცირებით, და მათს ზედმეტ ღირებულებაზე მისი გადიდებით, — ამიტომ მთელი საქმე საბოლოოდ დაიყვანება ღირებულებაზე, რომელიც განისაზღვრება სამუშაო დროით. ხარჯთფასი სხვა არაფერია, თუ არა ავანსებული კაპიტალების ღირებულება პლუს მათ მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულება, განაწილებული ცალკეულ სფეროებს შორის იმ წილის შესაბამისად, რომელსაც ისინი შეადგენენ ერთობლივ კაპიტალში. ასე დაიყვანება ხარჯთფასი ღირებულებაზე, თუ განვიხილავთ არა ცალკეულ სფეროს, არამედ ერთობლივ კაპიტალს. მეორე მხრივ, ყოველი სფეროს საბაზრო ფასები, სხვადასხვა სფეროთა კაპიტალების კონკურენციის შედეგად, მუდამ დაიყვანება ხარჯთფასზე. კაპიტალისტების კონკურენცია ყოველ ცალკეულ სფეროში ცდილობს საქონლის საბაზრო ფასი დაიყვანოს მის საბაზრო ღირებულებაზე. სხვადასხვა სფეროთა კაპიტალისტების კონკურენციას საბაზრო ღირებულებანი დაჰყავს ყველა სფეროსათვის საერთო ხარჯთფასებზე.

რიკარდო წინააღმდეგია სმიტის შეხედულებისა, რომ ღირებულების წარმომქმნელია მისი ნაწილები, რომელთაც თვით ღირებულება განსაზღვრავს. მაგრამ რიკარდო აქ არ არის თანამიმდევრული. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ შეეძლო ეკამათა სმიტთან იმის თაობაზე, შედის თუ არა ფასში, ე. ი. შედიან თუ არა მასში წარმოქმნილი ელემენტის სახით, მოგება, ხელფასი და რენტა, ანდა, როგორც იგი ამბობს, მხოლოდ მოგება და ხელფასი. ანალიზურად ისინი შედიან,

მათი გადახდისთანავე. მას, პირიქით, ასე უნდა ეთქვა: ყოველი საქონლის ფასი შეიძლება დაიშალოს მოგებად და ხელფასად, ზოგიერთი საქონლის (და ძალიან ბევრის არაპირდაპირ) ფასი შეიძლება დაიშალოს მოგებად, რენტად და ხელფასად; მაგრამ ვერც ერთ საქონლის ფასს ისინი ვერ წარმოქმნიან, [930] რადგან საქონელთა ღირებულების შედგენა არ ხდება ამ კომპონენტთა როგორც დამოუკიდებელი და *de propriis fontibus** მოქმედი ფაქტორების გარკვეულ სიდიდეთა შეკრების გზით, ხოლო, თუ ღირებულება მოცემულია, იგი შეიძლება დაიშალოს აღნიშნულ ნაწილებად უაღრესად სხვადასხვა პროპორციით. საქმის ვითარებაა არა ისეთი, რომ წინასწარ მოცემული ფაქტორები — მოგება, ხელფასი და რენტა — მათი შეკრების ან კომბინირების გზით განსაზღვრავენ ღირებულების სიდიდეს, არამედ ისეთი, რომ ერთი და იგივე ღირებულებითი სიდიდე, წინასწარ მოცემული სიდიდე ღირებულებისა დაიშლება ხელფასად, მოგებად და რენტად და სხვადასხვა გარემოებათა მიხედვით მეტად სხვადასხვანაირად ნაწილდება ამ სამ კატეგორიად.

ვთქვათ, წარმოების პროცესი მეორდება მუდამ უცვლელ პირობებში, ე. ი. კვლავწარმოება ხდება იმავე პირობებში, რა პირობებშიც წარმოება მიმდინარეობს. ეს გულისხმობს შრომის უცვლელ ნაყოფიერებას ანდა ყოველ შემთხვევაში გულისხმობს იმას, რომ ამ ნაყოფიერების ცვლილებანი არ ცვლიან ურთიერთობას წარმოების აგენტებს შორის, ასე რომ თუ მაინც ვაღიღებოდა ან შემცირებოდა საქონელთა ღირებულებანი მწარმოებლური ძალის ცვლილებათა გამო, განაწილება საქონელთა ღირებულებისა წარმოების აგენტებს შორის წინანდელი დარჩებოდა. ამ შემთხვევაში, თუმცა თეორიულად არ იქნებოდა ზუსტი იმის თქმა, რომ ღირებულების სხვადასხვა ნაწილები განსაზღვრავენ ღირებულებას, მაგრამ პრაქტიკულად მართებული იქნებოდა გვეთქვა, რომ ეს ნაწილები წარმოქმნიან ღირებულებას, რამდენადაც წარმოქმნა გვესმის როგორც შექმნა მთელისა ნაწილების შეკრების მეშვეობით. საქონლის ღირებულება უწინდებურად თანაბრად დაიყოფოდა [ავანსებული კაპიტალის] ღირებულებად და ზედმეტ ღირებულებად, [ახლად შექმნილი] ღირებულება თანაბრად დაიშლებოდა ხელფასად და მოგებად, მოგება კი თანაბრად დანაწილდებოდა სარგებლად, სამეწველო მოგებად და რენტად. ამიტომ შეიძლებოდა გვეთქვა: ფ, ფასი საქონლისა, იშლება ხელფასად, მოგებად (სარგებლად) და რენტად, მეორე მხრივ კი, ხელფა-

* — საკუთარი წყაროებიდან. რ. 1 დ.

სი, მოგება (სარგებელი) და რენტა წარმოქმნიან ღირებულებას, ანუ, უფრო სწორად ფასს.

მაგრამ ასეთი თანაბრობა, ანუ ერთიანობა კვლავწარმოებისა — წარმოების განმეორებისა იმავე პირობებში — სინამდვილეში არ ხდება ხოლმე. ნაყოფიერება იცვლება და ცვლის წარმოების პირობებს. პირობები, თავის მხრივ, ცვლიან ნაყოფიერებას. ამის შედეგად მიღებული განსხვავებანი ელინდება ნაწილობრივ ზედაპირულ რყევებში, რომლებიც გათანაბრებას განიცდიან მოკლე ვადაში, ნაწილობრივ იმ გადახრათა (divergences) მუდმივ დაგროვებაში, რომლებიც იწვევენ ან კრიზისებს, წინანდელ ურთიერთობათა ნაძალადევ, მოჩვენებითს დაბრუნებას, ანდა ეს განსხვავებანი ნელა, თანდათანობით იკვლევენ გზას და აღწევენ იმას, რომ აღიარებულნი ხდებიან წარმოების პირობების ცვლილების სახით.

სარგებლისა და რენტის ფორმაში, რომელშიც ზედმეტი ღირებულების ანტიციპაცია ხდება, იგულისხმება, რომ კვლავწარმოების საერთო ხასიათი უცვლელი რჩება. და ეს ასეც არის, ვიდრე კაპიტალისტური წარმოების წესი არსებობას განაგრძობს. მეორე, იგულისხმება ისიც კი, — რასაც მეტნაკლებად აგრეთვე ადგილი აქვს, — რომ გარკვეული დროისათვის ამ წარმოების წესის გარკვეული ურთიერთობანი უცვლელი რჩება. ამრიგად, წარმოების შედეგი ფიქსირებული ხდება როგორც ამ წარმოების მტკიცე და ამიტომ წანამძღვრის სახით მოცემული პირობა, თანაც როგორც მტკიცე თვისება წარმოების ნივთობრივი პირობებისა. ამ სხვადასხვა ელემენტების მოჩვენებითს დამოუკიდებლობას, რაზეც მუდამ დაიყვანება წარმოების პროცესი და რასაც ეს წარმოების პროცესი მუდამ კვლავ წარმოქმნის, ბოლოს უღებენ კრიზისებს.

{რასაც ღირებულება წარმოადგენს ნამდვილი ეკონომისტისათვის, ის პრაქტიკული კაპიტალისტისათვის საბაზრო ფასია — მუდმივი prius-ი* მთელი მოძრაობისა.}

სარგებელმომტანი კაპიტალი კაპიტალისტური წარმოებისათვის სპეციფიკურ და ამ წარმოების შესაბამის ფორმას კრედიტში ღებულობს. კრედიტი არის თვით კაპიტალისტური წარმოების წესის მიერ შექმნილი ფორმა. (სავაჭრო კაპიტალის დაქვემდებარება. [კაპიტალისტური წარმოების წესისადმი] ფაქტიურად არ მოითხოვს ასეთ ახალწარმოქმნას, რადგან საქონელი და ფული, საქონლისა და ფულის მიმოქცევა კაპიტალისტური წარმოების ელემენტარულ წანამძღვრებად.

* — პირველადი, წინამავალი. რ ე დ.

რჩებიან და მხოლოდ აბსოლუტურ წანამძღვრებად გადაიქცევიან. ამრიგად, სავაჭრო კაპიტალი არის, ერთი მხრივ, საერთო ფორმა კაპიტალისა, მეორე მხრივ კი, რამდენადაც იგი წარმოადგენს კაპიტალს მის გარკვეულ ფუნქციაში, კაპიტალს, რომელიც მარტოოდენ მიმოქცევის პროცესში მოქმედებს, მისი განსაზღვრა მწარმოებლური კაპიტალის მიერ არაფერს არ ცვლის მის ფორმაში.)

ღირებულებათა გათანაბრება ხარჯთფასებად ისეთი გზით ხდება, რომ ცალკეული კაპიტალი მოქმედებს როგორც ნაწილი მთელი კლასის ერთობლივი კაპიტალისა, მეორე მხრივ კი, მთელი კლასის ერთობლივი კაპიტალი ნაწილდება სხვადასხვა განსაკუთრებული სფეროების მიხედვით წარმოების მოთხოვნილებათა შესაბამისად. ეს ხდება კრედიტის მეშვეობით. კრედიტის მეოხებით არა მარტო შესაძლებელი ხდება და გადვილებულია ეს გათანაბრება, არამედ კაპიტალის ერთი ნაწილი — ფულადი კაპიტალის ფორმით — ნამდვილად გვევლინება როგორც ის საერთო მასალა, რომლითაც მთელი კლასი მუშაობს. ეს არის კრედიტის ერთი მნიშვნელობა. მეორე მნიშვნელობა მისი — ეს არის კაპიტალის მუდმივი მისწრაფება. შეამოკლოს ის მეტამორფოზები, რომელნიც მან უნდა განელოს მიმოქცევის პროცესში, წინასწარ განჭვრიტოს მიმოქცევის დრო, თავისი გადაქცევა ფულად და ა. შ. და [931] ამ გზით შეებრძოლოს თავის საკუთარ შეზღუდულობას. ბოლოს, და გ რ ო ვ ე ბ ი ს ფუნქცია, იმდენად, რამდენადაც ეს ფუნქცია არის არა გადაქცევა [შემოსავლისა] კაპიტალად, არამედ მიწოდება ზედმეტი ღირებულებისა კაპიტალის ფორმით, ნაწილობრივ ეკისრება ამგვარად განსაკუთრებულ კლასს, ნაწილობრივ საზოგადოების მთელი და გ რ ო ვ ე ბ ა ხდება ამ აზრით კაპიტალის დაგროვება და მრეწველი კაპიტალისტების განკარგულებაში გადადის. ეს ოპერაცია საზოგადოების უთვალავ პუნქტებში განცალკევებულად მიმდინარეობს, მისი კონცენტრაცია და გაერთიანება ხორციელდება გარკვეულ რეზერვუარებში. ამ გზით ფული, რომელიც საქონლის მეტამორფოზის შეფერხების შედეგად უქმად დევს, კაპიტალად გადაიქცევა.

* * *

«მიწა — რენტა», «კაპიტალი — სარგებელი» ირაციონალური გამოხატულებანია, რამდენადაც ფიქსაცია ხდება რენტისა როგორც მიწის ფ ა ს ი ს ა, სარგებლისა როგორც კაპიტალის ფ ა ს ი ს ა. სარგებელმომტანი კაპიტალის, რენტამომტანი კაპიტალის, მოგებამომტანი კაპიტალის ფორმაში ჭერ კიდევ შეიძლება. [ყველა ამ სხვადასხვა შემოსავლის] საერთო წარმოშობის გამოცნობა, რამდენადაც კ ა პ ი ტ ა ლ ი საერთოდ

შეიცავს ზედმეტი ღირებულების მითვისებას, ასე რომ ეს სხვადასხვა ფორმები გამოხატავენ მხოლოდ იმას, რომ კაპიტალის მიერ წარმოებულ-ლი ეს ზედმეტი შრომა საერთოდ კაპიტალის არსებობისას ნაწილდება კაპიტალისტების ორ კატეგორიას შორის, სამიწათმოქმედო კაპიტალის ბირობებში კი კაპიტალისტსა და მიწის მესაყუთრეს შორის.

რენტა როგორც მიწის ფასი (წლიური) და სარგებელი როგორც კაპიტალის ფასი ისევე ირაციონალურია, როგორც $\sqrt{-3}$. ეს უკანასკნელი ფორმა ეწინააღმდეგება რიცხვს მის მარტივ ელემენტარულ ფორმებში სავსებით ისევე, როგორც ის ფორმები ეწინააღმდეგება კაპიტალს მის მარტივ ფორმაში — საქონლისა და ფულის ფორმაში. რენტა და სარგებელი ირაციონალურნი არიან ერთიმეორისადმი საპირისპირო აზრით. «მიწა — რენტა», რენტა როგორც მიწის ფასი გამოხატავს მიწას როგორც საქონელს, როგორც სახმარ ღირებულებას, რომელსაც აქვს ღირებულება, რომლის ფულადი გამოხატულება უდრის მის ფასს. მაგრამ ისეთ სახმარ ღირებულებას, რომელიც შრომის პროდუქტი არ არის, არ შეუძლია ჰქონდეს ღირებულება, ე. ი. იგი არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივი შრომის გარკვეული რაოდენობის გასაგნობრივებად, შრომის გარკვეული რაოდენობის საზოგადოებრივ გამოხატულებად. იმისათვის, რომ სახმარი ღირებულება წარმოადგენდეს საცვლელ ღირებულებას, იყოს საქონელი, ის უნდა იყოს კონკრეტული შრომის პროდუქტი. მხოლოდ ასეთი წანამძღვრის არსებობისას ეს კონკრეტული შრომა თავის მხრივ შეიძლება გამოიხატოს როგორც საზოგადოებრივი შრომა, როგორც ღირებულება. მიწა და ფასი — არათანაზომადი სიდიდეებია, რომელთაც მიუხედავად ამისა ერთიმეორესთან დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ. აქ ფასი აქვს ნივთს, რომელსაც არა აქვს ღირებულება.

მეორე მხრივ, სარგებელი როგორც კაპიტალის ფასი გამოხატავს შებრუნებულ ირაციონალობას. აქ საქონელს, რომელსაც სახმარ ღირებულება არა აქვს, აქვს ორმაგი ღირებულება: ერთხელ ღირებულება, შემდეგ კი ამ ღირებულებისაგან განსხვავებული ფასი. ვინაიდან კაპიტალი უწინარეს ყოვლისა სხვა არაფერია, თუ არა საქონლის ფულადი თანხა ან გარკვეული რაოდენობა, რომელიც გარკვეულ ფულად თანხას უდრის. თუ საქონელი სესხად გაიცემა როგორც კაპიტალი, ის არის მხოლოდ შენიღბული ფორმა ფულადი თანხისა. ვინაიდან ის, რაც სესხად გაიცემა როგორც კაპიტალი, არის არა ამდენი და ამდენი გირვანქა ბამბა, არამედ ამდენი და ამდენი ფული, რომლის ღირებულებაც ბამბაში არსებობს. ამიტომ კაპიტალის ფასიც მიმართებაშია მასთან მხოლოდ

როგორც ფულადი თანხის ყოფიერებასთან, ე. ი. როგორც ღირებულების ისეთ თანხასთან, რომელიც წარმოდგენილია ფულში და საცვლელი ღირებულების ფორმით არსებობს. როგორ შეიძლება ღირებულების თანხას ჰქონდეს რაიმე ფასი გარდა იმ ფასისა, რომელიც გამოხატულია მის საკუთარ ფულად ფორმაში? ფასი ხომ საქონლის ღირებულებაა მისი სახმარი ღირებულებისაგან **გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ი თ**. ფასი როგორც რაღაც განსხვავებული საქონლის ღირებულებისაგან, ფასი როგორც ღირებულება ფულადი თანხისა (რადგან ფასი მხოლოდ ღირებულების გამოხატულებაა ფულში) არის, მაშასადამე, *contradictio in terminis**.

გამოხატულების ამ ირაციონალობას — (თვით საგნის ირაციონალობა იქიდან წარმოდგება, რომ სარგებელში კაპიტალი გამოდის როგორც წინამძღვარი განცალკევებით თავისი საკუთარი პროცესისაგან, რომელშიც იგი ხდება კაპიტალი, ე. ი. თვითმზარდი ღირებულება, და რომ, მეორე მხრივ, რენტამომტანი კაპიტალს რენტა მოაქვს მხოლოდ როგორც სამიწათმოქმედო კაპიტალს, მხოლოდ როგორც კაპიტალს განსაკუთრებულ სფეროში, ე. ი. რენტამომტანი კაპიტალი გამოდის ისეთი ფორმით, რომელიც მისგან **გ ა დ ა ი ტ ა ნ ე ბ ა ი მ ე ლ ე მ ე ნ ტ ზ ე**, რომელიც **გ ა ნ ა ს ხ ვ ა ვ ე ბ ს მ ა ს ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ა გ ა ნ ს ა ე რ თ ო დ**), — ამ ირაციონალობას იმდენად გრძნობს ვულგარული ეკონომისტი, რომ იგი აყალბებს ორივე გამოხატულებას, რათა ისინი რაციონალურნი გახადოს. იგი ამტკიცებს, რომ სარგებელს იხდიან კაპიტალისათვის, რამდენადაც ეს უკანასკნელი არის სახმარი ღირებულება, და ლაპარაკობს ამიტომ იმ სარგებლიანობაზე, რაც კვლავ წარმოებისათვის აქვთ პროდუქტებს ან წარმოების საშუალებებს როგორც ასეთებს, იმ სარგებლიანობაზე, რაც კაპიტალს აქვს ნივთობრივად როგორც შრომითი პროცესის ელემენტს.

მაგრამ კაპიტალის სარგებლიანობა, მისი სახმარი ღირებულება ხომ უკვე არსებობს მის — როგორც საქონლის — ფორმაში, და ამ სარგებლიანობის გარეშე იგი არ იქნებოდა საქონელი და მას არ ექნებოდა ღირებულება. ფულის ფორმაში კაპიტალი არის საქონელთა ღირებულების გამოხატულება და [932] შეიძლება გადაიქცეს საქონლად ამ უკანასკნელის საკუთარი ღირებულების შესაბამისად. მაგრამ თუ მე ფულს გადავაქცევ მანქანად, ბამბად და ა. შ., მაშინ მე გადავაქცევ მას ი მ ა ვ ე ღირებულების სახმარ. ღირებულებებად. გადაქცევა ეხება მხოლოდ **ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ფ ო რ მ ა ს**. ფულის ფორმაში კაპიტალს აქვს ის სახმარი ღირებულება, რომ მას შეუძლია გადაიქცეს ყოველი საქონ-

* — წინააღმდეგობა ტერმინებში. რ ე დ.

ლის ფორმად, მაგრამ იმავე ღირებულების საქონლის ფორმად. მაგრამ ფორმის ამ ცვლილების შედეგად ფულის ღირებულება ისევე არ იცვლება, როგორც არ იცვლება საქონლის ღირებულება, როცა იგი ფულად გადაიქცევა. იმ საქონელთა სახმარი ღირებულება, რომლებმაც მე შემიძლია გადავაქციო ფული, არ ანიჭებს ფულს გარდა მისი ღირებულებისა არავითარ სხვა ამ ღირებულებისაგან განსხვავებულ ფასს. მაგრამ თუ წინასწარ ვგულისხმობ აღნიშნულ გადაქცევას და ვამბობ, რომ ფასს იხდიან საქონლის სახმარი ღირებულებისათვის, მაშინ საქონელთა სახმარი ღირებულების გადახდა საერთოდ არ ხდება ანდა ხდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათი საცვლელი ღირებულება გადაიხდება. თუ როგორ გამოიყენება ნაყიდი საქონლის სახმარი ღირებულება, შედის თუ არა იგი ინდივიდუალურ ან საწარმოო მოხმარებაში, ეს აბსოლუტურად არაფერს ცვლის მის საცვლელ ღირებულებაში. ამით იცვლება მხოლოდ ის, თუ ვინ ყიდულობს მას: მრეწველი კაპიტალისტი თუ უშუალო მომხმარებელი. ამიტომ საქონლის მწარმოებელურ სარგებლიანობას შეუძლია აგვიხსნას ის, რომ ამ საქონელს საერთოდ აქვს საცვლელი ღირებულება, რადგან, იმისათვის, რომ საქონელში მოთავსებული შრომის ანაზღაურება ხდებოდეს, მას უნდა ჰქონდეს სახმარი ღირებულება, — წინააღმდეგ შემთხვევაში საქონელი არ არის საქონელი, ვინაიდან იგი საქონელს წარმოადგენს მხოლოდ როგორც სახმარი ღირებულებისა და საცვლელი ღირებულების ერთიანობა. მაგრამ ამ სახმარ ღირებულებას სრულიადაც არ შეუძლია ახსნას ის, რომ საქონელს როგორც საცვლელ ღირებულებას ან როგორც ფასს კიდევ აქვს ამ ფასისაგან განსხვავებული სხვა ფასიც.

ჩვენ ვხედავთ, რომ ვულგარულ ეკონომისტს სურს აქ თავიდან მოიშოროს სიძნელე იმით, რომ ცდილობს გადააქციოს კ ა პ ი ტ ა ლ ი, ე. ი. ფული ან საქონელი, რამდენადაც მათ აქვთ ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ ი განსაზღვრულობა, რაც მათ გა ნ ა ს ხ ვ ა ვ ე ბ ს ფულისაგან და საქონლისაგან, უბრალო ს ა ქ ო ნ ლ ა დ, ე. ი. რომ იგი მხედველობის გარეშე ტოვებს სწორედ იმ სპეციფიკურ განსხვავებას, რომელიც ახსნილ უნდა იქნეს. მას არ სურს თქვას, რომ კაპიტალი შეიცავს ზედმეტი შრომის ექსპლოატაციის ამ საშუალებას და რომ სწორედ ამიტომაც კაპიტალს უფრო მეტი ღირებულება აქვს, ვიდრე მისი ღირებულებაა. ამის მაგივრად იგი ამბობს: კაპიტალს იმიტომ აქვს თავის ღირებულებაზე მეტი ღირებულება, რომ ის არის ჩვეულებრივი საქონელი, როგორც ყოველი სხვა საქონელი, ე. ი. იმიტომ, რომ მას აქვს სახმარი ღირებულება. აქ კაპიტალი გაიგივებულა საქონელთან, მაშინ როდესაც საჭირო იყო სწო-

რედ იმის ახსნა, თუ როგორ შეუძლია საქონელს კაპიტალის სახით გამოვიდეს.

მიწის შესახებ ვულგარული ეკონომისტი პირიქით იქცევა, თუკი იგი, თუთიყუშოვით, არ იმეორებს ფიზიოკრატებს. იქ, სარგებლის განზილვისას, კაპიტალს იგი გადააქცევს საქონლად, რათა ახსნას განსხვავება კაპიტალსა და საქონელს შორის და საქონლის გადაქცევა კაპიტალად. აქ იგი მიწას გადააქცევს კაპიტალად, რადგან კაპიტალისტური ურთიერთობა თავისთავად უფრო ადვილად თავსდება მის წარმოდგენაში, ვიდრე მიწის ფასი. რენტა შეიძლება გაიზროს როგორც კაპიტალის სარგებელი. მაგალითად, თუ რენტა შეადგენს 20-ს, სარგებლის განაკვეთი კი უდრის 5-ს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ეს 20 არის კაპიტალის 400 ერთეულის სარგებელი. და მართლაც, მიწა გაიყიდება მაშინ 400-ად, რაც მხოლოდ რენტის გაყიდვაა 20 წლით. ეს გადახდა ანტიციპირებული ოცვლიანი რენტისა წარმოადგენს მაშინ მიწის ფასს. ამით თვით მიწა გადაიქცევა კაპიტალად. ყოველწლიური 20 ღირებულებითი ერთეული ხდება მაშინ უკვე მხოლოდ 5 პროცენტი კაპიტალისა, რომელიც გადახდილია მიწისათვის. და ამ გზით ფორმულა «მიწა-რენტა» გადაიქცევა ფორმულად «კაპიტალი — სარგებელი», რაც თავის მხრივ ფანტასტიკურად გარდაიქმნება გადასახდელად საქონელთა სახმარი ღირებულებისათვის, ე. ი. მიმართებად «სახმარი ღირებულება — საცვლელი ღირებულება».

იმ ვულგარულ ეკონომისტებს, რომელთაც მეტი ანალიზის უნარი შესწევთ, ესმით, რომ მიწის ფასი სხვა არაფერია, თუ არა გამოხატულება რენტის კაპიტალიზაციისათვის, რომ ფაქტიურად ეს არის საყიდელი ფასი რენტისა რიგი წლებისათვის, რომელიც განისაზღვრება მოცემულ მომენტში არსებული სარგებლის განაკვეთის შესაბამისად. მათ ესმით, რომ რენტის ეს კაპიტალიზაცია თავის წანამძღვრად გულისხმობს რენტას, რომ რენტა, მასხადაძე, არ შეიძლება, პირიქით, აიხსნას თავისი საკუთარი კაპიტალიზაციით. ამიტომ ისინი უარყოფენ თვით რენტას, აცხადებენ რა მას მიწაში დაბანდებული კაპიტალის სარგებლად, რაც ხელს არ უშლის მათ აღიარონ, რომ ის მიწაც, რომელშიც კაპიტალი არ არის დაბანდებული, იძლევა რენტას, რომ აგრეთვე კაპიტალის თანაბარი რაოდენობანი სხვადასხვა ნაყოფიერების მქონე მიწებზე სხვადასხვა რენტას იძლევიან, ანდა რომ კაპიტალის არათანაბარი რაოდენობანი არათანაბარი ნაყოფიერების მქონე მიწებზე თანაბარ რენტას იძლევიან. სავსებით ასევე მათი შეხედულება რენტაზე როგორც მიწაში დაბანდებული კაპიტალის სარგებელზე არ უშლის მათ ხელს აღიარონ ისიც, რომ მიწაში დაბანდებული კაპიტალი, — თუ ამ

კაპიტალით ნამდვილად უნდა აიხსნებოდეს მიწისათვის გადასახდელი რენტა, — იძლევა, შეიძლება, ხუთჯერ უფრო მეტ «სარგებელს», ე. ი. ხუთჯერ უფრო მეტ რენტას, ვიდრე ის ს ა რ გ ე ბ ე ლ ი ა, რომელსაც იძლევა ტოლდონი კაპიტალი, დაბანდებული მრეწველობაში ძირითადი კაპიტალის ფორმით.

ჩვენ ვხედავთ, რომ სიმწელეს აქ თავიდან იცილებენ იმით, რომ განერიდებიან მას და, პირიქით, იმ სპეციფიკურ განსხვავებას, რაც ასახსნელია, შეცვლიან ხოლმე რაღაც სხვა ურთიერთობით, რომელიც ამ განსხვავების საწინააღმდეგო რაიმეს გამოხატავს და, მაშასადამე, არ გამოხატავს ყოველ შემთხვევაში იმას, რაც ასახსნელია. [932]

[6] ვულგარული სოციალიზმის ბრძოლა სარგებლის წინააღმდეგ (პრუდონი), სარგებელსა და დაქირავებულ შრომის სისტემას შორის არსებული შინაგანი კავშირის გაუმჯობესება]

[935] პრუდონის პოლემიკა ბასტიასთან სარგებლის თაობაზე დამახასიათებელია როგორც იმ წესისათვის, რომლითაც ვულგარული ეკონომისტი პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიებს იცავს, ისე იმისთვისაც, თუ როგორ ილაშქრებს ამ კატეგორიების წინააღმდეგ ზერელე სოციალიზმი (პრუდონის პოლემიკა, საეჭვოა, რომ ამ სახელწოდებას იმსახურებდეს). ჩვენ დავუბრუნდებით ამას განყოფილებაში ვულგარული ეკონომისტების შესახებ¹⁴⁰. აქ მხოლოდ რამდენიმე შენიშვნა.

პრუდონი არ უნდა გაეოცებინა [ფულის] უკუმოძრაობას როგორც [სარგებელმომტანი კაპიტალისათვის] რაღაც სპეციფიკურად დამახასიათებელ თავისებურებას, მას რომ საერთოდ კაპიტალის მოძრაობის რაიმე გაეგებოდეს. საესებით ასევე უკან დაბრუნებული თანხის ღირებულების გადანამეტიც. ეს არის ის, რაც საერთოდ კაპიტალისტურ წარმოებას ახასიათებს.

მაგრამ პრუდონისათვის, როგორც დავინახეთ, გადანამეტი არის წანამატი. საერთოდ თავის კრიტიკაში იგი მოწაფისებურად იქცევა, და ის არასოდეს არ ყოფილა დაუფლებული იმ მეცნიერების პირველ ელემენტებსაც კი, რომელიც მას სურს გააკრიტიკოს. ასე, მაგალითად, მას არასოდეს არ ესმოდა ფული როგორც აუცილებელი ფორმა საქონლისა. (იხ. პირველი ნაწილი ¹⁴¹.) აქ იგი ერთმანეთშიც კი ურევს ფულსა და კაპიტალს, — იმ საფუძვლით, რომ გასასესხებელი კაპიტალი გვევლინება როგორც ფულადი კაპიტალი, ფულის ფორმით.)

სარგებელმომტან კაპიტალში პრუდონი არ უნდა გაეოცებინა იმ გადანამეტის არსებობას, რომელშიც არავითარი ეკვივალენტი არ იყო გადახდილი, რადგან ზედმეტი ღირებულება, — და მასზეა სწორედ დამყარებული კაპიტალისტური წარმოება, — არის ღირებულება, რომელიც არავითარი ეკვივალენტი არ ღირდა. ამაში არავითარი დამახასიათებელი რამ სარგებელმომტანი კაპიტალისათვის არ არის. სარგებელმომტანი კაპიტალისათვის დამახასიათებელია, — რამდენადაც ჩვენ მოძრაობის ფორმას განვიხილავთ, — მხოლოდ პირველი მომენტი, რომელიც სწორედ იმის საწინააღმდეგოს წარმოადგენს, რასაც პრუდონი ფიქრობს, სახელდობრ, დამახასიათებელია ის, რომ გამსესხებელი იძლევა ფულს, არ ღებულობს რა ამ ფულში თავიდანვე ეკვივალენტს, და რომ, მაშასადამე, კაპიტალის უკან დაბრუნებას სარგებლით. რამდენადაც გარიგება ხდება გამსესხებელსა და მსესხებელს შორის, [არაფერი საერთო აქვს] იმ მეტამორფოზებთან. რომლებსაც გაივლას კაპიტალი და რომლებიც, რამდენადაც ისინი მხოლოდ ეკონომიური ფორმის მეტამორფოზებია, გვევლინებიან როგორც მთელი რიგი გაცვლითი აქტები, როგორც გადაქცევა საქონლისა ფულად და გადაქცევა ფულისა საქონლად, ხოლო რამდენადაც ისინი გვევლინებიან რეალურ მეტამორფოზებად, ანუ წარმოების პროცესად, თანაემთხვევიან საწარმოო მოხმარებას. (თვით მოხმარება შეადგენს აქ ეკონომიური ფორმის მოძრაობას.)

მაგრამ რასაც ფულა გამსესხებლის ხელში ვერ აკეთებს, მას იგი აკეთებს მსესხებლის ხელში, რომელიც ნამდვილად იყენებს ფულს როგორც კაპიტალს. თავის რეალურ მოძრაობას კაპიტალის სახით ფული ასრულებს მსესხებლის ხელში. მსესხებელს ფული უბრუნდება როგორც ფული პლუს მოგება, როგორც ფული + $\frac{1}{x}$ ფული. მოძრაობა გამსეს-

ხებელსა და მსესხებელს შორის გამოხატავს კაპიტალის მხოლოდ დაწყებითსა და ბოლო პუნქტს. ფულის ფორმით კაპიტალი გადადის A-ს ხელიდან B-ს ხელში. B-ს ხელში ფული ხდება კაპიტალი და კაპიტალის სახით იგი, ვარკვეული წრებრუნვის შესრულების შემდეგ, უკან ბრუნდება მოგებით. ეს შუალედური აქტი, ნამდვილი პროცესი, რომელიც შეიცავს როგორც მიმოქცევის პროცესს, ისე წარმოების პროცესსაც, სრულიად არ ეხება გარიგებას მსესხებელსა და გამსესხებელს შორის. ეს გარიგება განახლდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფული უკვე რეალიზებულია კაპიტალის სახით. ახლა ფული გადადის უკან გამსესხებლის ხელში ვარკვეული გადანამეტით, რომელიც მსესხებლის მიერ რეალიზებული გადანამეტის მხოლოდ ნაწილს შეადგენს. ამ გადანამეტის ის ნაწილი, რომელიც მსესხებელს რჩება, ის ეკვივალენტი, რომელსაც ის ღებულობს, არის სამრეწველო მოგება, მითვისებული მის მიერ მხო

ლოდ ნასესხები ფულის მეოხებით. ყოველივე ეს უხილავი ხდება მსესხებელსა და გამსესხებელს შორის გარიგებაში. ეს გარიგება შემოისაზღვრება ორი აქტით. ფულის გადასვლა A-ს ხელიდან B-ს ხელში. პაუზა, რომლის განმავლობაში ფული B-ს ხელშია. ფულის უკან დაბრუნება სარგებლით პაუზის შემდეგ A-ს ხელში.

ამრიგად, თუ განვიხილავთ მხოლოდ ამ ფორმას — ამ გარიგებას A-სა და B-ს შორის, — მაშინ გამოდის კაპიტალის უბრალო ფორმა შუალედური მოძრაობის გარეშე: ფული ვაიცემა სესხად როგორც თანხა a და უკან ბრუნდება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ როგორც თანხა $a + \frac{1}{x} a$ ისე, რომ არავითარ შუალედურ პროცენტებს მათ შორის ადგილი არა აქვს გარდა დროის იმ პერიოდისა, რომელმაც უნდა განვლოს a თანხის მიქცევასა და $a + \frac{1}{x} a$ თანხის სახით მის უკუმოდინებას შორის.

და აი ამ ირაციონალურ ფორმაში, — იმ ფორმაში, რომელსაც, რასაკვირველია, ადგილი აქვს როგორც დამოუკიდებელ მოძრაობას კაპიტალის ნამდვილ მოძრაობასთან ერთად, რომელიც იწყებს და ასრულებს ამ მოძრაობას, — ბ-ნი პრუდონი განიხილავს მთელ ამ ვითარებას, ასეთი განხილვისას კი მისთვის ყველაფერი აუცილებლად გაუგებარი რჩება. თუ გასესხების ეს ფორმა ვაქრებოდა — ფორმა, განსხვავებული ყიდვისა და გაყიდვისაგან, — მაშინ, ფიქრობს იგი, მოიხსნებოდა გადანამეტის ნამდვილად კი ამ შემთხვევაში მოიხსნებოდა გადანამეტის გაყოფა ორი სახის კაპიტალის ტებს შორის. მაგრამ ასეთი გაყოფა სულ ახლად და ახლად შეიძლება და უნდა წარმოიქმნებოდეს, თუკი საქონელს ან ფულს კაპიტალად გადაქცევა შეუძლია, ეს კი დაჭირავებული შრომის საფუძველზე მუდამ შესაძლებელია. თუ საქონელი და ფული ვერ გახდებოდნენ კაპიტალი, — მაშასადამე, თუ ისინი ვერ ვაიცემოდნენ სესხადაც როგორც კაპიტალი in posse*, — მაშინ ისინი ვერ დაუპირისპირდებოდნენ დაჭირავებულ შრომას. თუ ისინი, ამრიგად, როგორც საქონელი და ფული ვერ დაუპირისპირდებოდნენ დაჭირავებულ შრომას და, მაშასადამე, თვით შრომა ვერ გახდებოდა საქონელი, მაშინ ეს იქნებოდა მხოლოდ ის, რომ უკან დაეუბრუნებოდით [936] კაპიტალისტური წარმოების წინამავალ წარმოების წესებს, სადაც შრომა არ გადაიქცევა საქონლად, შრომის მასა კი ჭერ კიდევ ბატონყმური ან მონური შრომის სახით გვევლინება. თავისუფალი შრომის — როგორც საფუძვლის — პირობებში ეს შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მუშები თა-

* — შესაძლებლობის მიხედვით. რ ე დ.

ვიანთი წარმოების პირობების მესაკუთრენი არიან. თავისუფალი შრომა ვითარდება კაპიტალისტური წარმოების ჩარჩოებში როგორც ს ა ზ ო - გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი შრომა. მაშასადამე, ის, რომ მუშები წარმოების პირობების მესაკუთრენი არიან, ნიშნავს, რომ ეს უკანასკნელნი ეკუთვნის ს ა ზ ო ვ ა დ ო ე ბ რ ი ვ ა დ გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ უ ლ მუშებს, რომ მუშები აწარმოებენ ს ა ზ ო ვ ა დ ო ე ბ რ ი ვ ა დ გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ უ ლ მუშების სახით და თავიანთ თავს უმორჩილებენ თავიანთ საკუთარ წარმოებას როგორც განსაზოვადობულს. მაგრამ, მონდომო, როგორც ეს პრუდონს სურს, დაქირავებული შრომის და ამით კაპიტალის საფუძვლების შენარჩუნება, და ამავე დროს მოითხოვო ყველა «უბედურების» აღმოფხვრა კაპიტალის ერთ-ერთი წარმოებული ფორმის მეშვეობით, ეს არის ბავშვობა.

«*Gratuité du Crédit*». Discussion entre M. Fr. Bastiat et M. Proudhon. Paris, 1850.

გასესხება იმიტომ ეჩვენება პრუდონს ბოროტებად, რომ იგი არ წარმოადგენს გაყიდვას.

სარგებელზე გასესხება «ნიშნავს იმის უნარს, რომ სულ ახლად და ახლად ყიდვ ერთსა და იმავე საგანს და სულ ახლად და ახლად იღებდე მასში ფასს, არასოდეს არ ამბობდე უარს იმ საგანზე, რომელსაც აქ ყიდდიან» «*Gratuité du Crédit*», წერილი პირველი, რომელიც დაწერა შიენემ, ვაჭეთ «*Voix du Peuple*»-სა ერთ-ერთმა რედაქტორმა (გვ. 9).

ამ წერილის ავტორს თავგზას უბნევს ის გარემოება, რომ სესხად გასაცემი «საგანი» (მაგალითად, ფული ან სახლი) არ იცვლის მესაკუთრეს, როგორც ეს ყიდვა-გაყიდვის დროს ხდება. მაგრამ იგი ვერ ამჩნევს, რომ ფულის გასესხებისას გამსესხებელი არ ღებულობს სანაცვლოდ არავითარ ეკვივალენტს, მაშინ როდესაც ნამდვილ პროცესში გაცვლის აქტების ფორმით და მათს საფუძველზე მიიღება არა მარტო ეკვივალენტი, არამედ ვადანამეტიც. რამდენადაც საგნების გაცვლა ხდება, ღირებულების ცვლილებას ადგილი არა აქვს და ერთი და იგივე ინდივიდუალში უწინდებულად იმავე ღირებულების «მესაკუთრეა». ხოლო რამდენადაც ზედმეტი ღირებულება წამოიქმნება, არავითარი გაცვლა არ ხდება. როგორც კი საქონლისა და ფულის გაცვლა კვლავ იწყება, საქონელი უკვე შეიცავს ზედმეტ ღირებულებას. პრუდონს ვერ გაუგია, თუ როგორ გამომდინარეობს ღირებულებათა გაცვლის კანონიდან მოგება და, მაშასადამე, სარგებელიც. იმიტომ «სახლი», «ფული» და ა. შ. უნდა გაიცვალოს. მისი აზრით, არა როგორც «კაპიტალი», არამედ როგორც «საქონელი... თვითღირებულების მიხედვით» («*Gratuité du Crédit*», გვ. 43—44).

«მართლაც მეტადე, რომელიც ქედებს ყიდის... მთ მავიერ ღებულობს ღირებულებას, არც მეტს და არც ნაკლებს. მაგრამ ფულის გამსესხებელი კაპიტალისტი... არა

მართო უკან ღებულობს თავის კაპიტალს შეუქცევებლად, — იგი ღებულობს თავის კაპიტალზე მეტს, იმაზე მეტს, რაც მან გაცვლაში გადაისროლა, იგი ღებულობს გარდა კაპიტალისა კიდევ სარგებელსაც...» (იქვე, გვ. 69).

ბ-ნ პრუდონის მექუღდეები წარმოადგენენ, როგორც ჩანს, არა კ ა -
პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ს, არამედ შინამრეწველებს, ხელოსნებს.

«რადგან ვაჭრობაში კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ს ა რ გ ე ბ ე ლ ი ე მ ა ტ ე ბ ა ხ ე ლ ფ ა ს ს, რათა ამ უკანასკნელთან ერთად შე ა დ გ ი ნ ო ს ს ა ქ ო ნ ლ ი ს ფ ა ს ი. ამიტომ მუშას არ შეუძლია გამოისყიდოს თავისი საკუთარი შრომის პროდუქტი. ცხოვრება სა-კუთარი შრომით—ეს ისეთი პრინციპია, რომელიც სარგებლის ბატონობის პირობებში წინააღმდეგობას შეიცავს» (გვ. 105).

IX წერილში (გვ. 144—152) რიხიანი პრუდონი ერთმანეთში ურევს ფულს როგორც მიმოქცევის საშუალებას და ფულს როგორც კაპიტალს და ამის შედეგად იმ დასკვნამდე მიდის, რომ საფრანგეთში არსებული «კაპიტალი» იძლევა 160%-ს (სახელდობრ, 1 600 მილიონ ფრანკ წლიურ სარგებელს სახელმწიფო სესხებში, იპოთეკებში და ა. შ. ერთ მილიარდ ფრანკ კაპიტალზე — იმ «ნაღდი ფულის თანხაზე, რომელიც მიმოქცე-ვაშია საფრანგეთში»).

შემდეგ:

«რადგან სარგებლის დაგროვების შედეგად ფულადი კაპიტალი ერთი გაცვლიდან მეორემდე მუდამ ახლად და ახლად თავის წყაროს უბრუნდება, ამიტომ აქედან ის გამომდინარეობს, რომ ამ ფულის ყოველი ახალი ვასესება, ერთი და იმავე ხე-ლის მიერ შესრულებული, მოგებას აძლევს ყოველთვის ერთსა და იმავე პირს» (გვ. 154).

რადგან კაპიტალი სესხად გაიცემა ფულის ფორმით, ამიტომ პრუდონი ფიქრობს, რომ ეს სპეციფიკური თვისება გააჩნია ფულად კაპიტალს, ე. ი. ნაღდ ფულს. პრუდონის მიხედვით, ყველაფერი უნდა გ ა ი ც ე ს ე ს ხ ა დ. მაგრამ არაფერი არ უნდა გ ა ი ც ე ს ე ს ხ ა დ. სხვა სიტყვებ-ით: მსგავსად იმისა, როგორც პრუდონს უნდოდა შეენახა საქონელი, მაგ-რამ არ უნდოდა; რომ საქონელი გამხდარიყო «ფული», ისევე აქაუ მას სურს შეინახოს საქონელი და ფული, მაგრამ ისინი არ უნდა გადაიქცეონ კაპიტალად. თუ უკუვაგდებთ გამოთქმის ყველა ფანტასტიკურ ფორმას, ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ საჭირო არაა გადავიდეთ წვრილი მეშჩა-ნურ-გლეხური და ხელოსნური წარმოებიდან მსხვილ მრეწველობაზე.

რადგან ღირებულება სხვა არაფერია, თუ არა უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა, და რადგან ყველა პროდუქტი აუცილებლად გარკვეულ უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა შ ი ა ე რ თ ი ე რ ე ს თ ა ნ, ამიტომ აქედან გამომდინარეობს, რომ საზოგადოებრივი თვალსაზრისით პროდუქტები მუდამ ღირებულებები და დამყარებული ღირებულებანი. საზოგადოე-ბისათვის განსხვავება კაპიტალსა და პროდუქტს შორის არ არსებობს. ეს განსხვავება-საესებოთ სუბიექტურია, იგი არსებობს მხოლოდ ინდივიდებისათვის» (გვ. 250).

რა დიდი უბედურებაა, როცა ისეთი გერმანულ-ფილოსოფიური ფრაზები, როგორიც არის «სუბიექტური» ვინმე პრუდონის ხელში მოხვდება. საზოგადოებრივი, ბურჟუაზიული ფორმები მისთვის არიან «სუბიექტურნი». და სუბიექტური, თანაც მცდარი, აბსტრაქცია, რომელსაც პრუდონი იმის მტკიცებამდე მიჰყავს, რომ, რადგან საქონლის საცვლელი ღირებულება გამოხატავს შეფარდებას საქონელთა შორის, ამიტომ იგი გამოხატავს ყოველგვარ შეფარდებას საქონელთა შორის და არა რაღაც მესამეს, რომელთანაც საქონელი ამა თუ იმ შეფარდებაში იმყოფებიან, — ეს მცდარი «სუბიექტური» აბსტრაქცია არის სწორედ ის [937] «საზოგადოებრივი თვალსაზრისი», რომლის მიხედვითაც იდენტურნი არიან არა მარტო საქონელი და ფული, არამედ ასევე საქონელი, ფული და კაპიტალი. მართლაცდა ისე გამოდის, რომ ამ «საზოგადოებრივი თვალსაზრისით» ყველა კატა რუნია.

დასასრულ ზედმეტი ღირებულება გვევლინება კიდევ მორალის ფორმით.

«ყოველი შრომა უნდა იძლეოდეს ნ ა მ ე ტ ს» (გვ. 202).

ეს მორალური მცნება წარმოადგენს, რა თქმა უნდა, ზედმეტი ღირებულების საუცხოო დეფინიციას. [937].

[7] სარგებლის პრობლემის ისტორიისათვის. ლუთერის უპირატესობა პრუდონთან შედარებით სარგებლის წინააღმდეგ კოლექტივში. სარგებელზე არსებულ შეხედულებათა ცვლილება კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებასთან დაკავშირებით]

[937] ლუთერი, რომელიც შუა საუკუნეების სამოქალაქო საზოგადოების თანამედროვე საზოგადოების ელემენტებად დაშლის ეპოქაში ცხოვრობდა — პროცესი, რომელიც დააჩქარა მსოფლიო ვაჭრობამ და ოქროს ახალი საბადოების აღმოჩენამ, — იცნობს კაპიტალს, ბუნებრივად, მხოლოდ ორი მისი უძველესი [ფორმით]: სარგებელმომტანი კაპიტალის ფორმით, და სავაჭრო კაპიტალის ფორმით. თუ უკვე მტკიცედ ფიქზე დამდგარი კაპიტალისტური წარმოება თავის ბავშვურ ფაზაში ცდილობს ძალდატანებით დაუქვემდებაროს სარგებელმომტანი კაპიტალი სამრეწველო კაპიტალს — ეს ფაქტიურად გაკეთდა პირველად პოლანდიაში (სადაც კაპიტალისტური წარმოება მანუფაქტურისა და მსხვილი ვაჭრობის ფორმით უფრო ადრე გაიფურჩქნა, ვიდრე სხვა ქვეყნებში), ინგლისში კი XVII საუკუნეში გამოცხადებულ იქნა (ნაწილობრივ მეტად გულუბრყვილო ფორმებში) როგორც კაპიტალისტური წარმოების პირველი

პირობა, — სამაგიეროდ მანამდე, კაპიტალისტური წარმოების წესზე გადასვლისას, ა ღ ი ა რ ე ბ ა «მევახშეობისა», სარგებელმომტანი კაპიტალის ამ ძველი ყაიდის ფორმისა, წარმოების პირობად, აუცილებელ წარმოებით ურთიერთობად, წარმოადგენს, პირიქით, პირველ ნაბიჯს; მსგავსად იმისა როგორც შემდეგში, როცა სამრეწველო კაპიტალმა დაიმორჩილა სარგებელმომტანი კაპიტალი (XVIII საუკუნე, ბ ე ნ ტ ა მ I⁸⁸) იგი თვით აღიარებს მის მართლზომიერებას, აღიარებს იმას, რომ სარგებელმომტანი კაპიტალი მისი ხორცი ხორცთაგანია.

ლუთერი პრუდონზე უფრო მაღლა დგას. მას თავგზას არ უბნევს განსხვავება ს ე ს ხ ს ა და ყ ი დ ვ ა ს შორის: ერთშიც და მეორეშიც იგი თანაბრად ხედავს მევახშეობას. საერთოდ მის პოლემიკაში ყველაზე ძლიერი მომენტი ის, რომ თავდასხმის მთავარ პუნქტად მან აირჩია ს ა რ გ ე ბ ლ ის შ ე რ და კ ა პ ი ტ ა ლ შ ი.

1) «Von Kaufshandlung und Wucher» (1524). ლუთერის თხზულებათა VI ნაწილში, ვიტენბერგი, 1589.

(ეს თხზულება დაწერილია გლეხთა ომის წინა დღეებში.)

ვ ა კ რ ო ბ ის შ ე ს ა ხ ე ბ (ს ა ვ ა კ რ ო კ ა პ ი ტ ა ლ ზ ე):

«ამჟამად ვაჭრები ძალიან უჩივიან აზნაურებს ან ყაჩაღებს» (აქედან ჩანს, თუ რატომ გამოდიან ვაჭრები თავადებთან ერთად გლეხებისა და რაინდების წინააღმდეგ), უჩივიან იმას, რომ მათ დიდი შიშით უნდა ივაჭრონ და, გარდა ამისა, მათ იჭერენ, სცემენ, დიდ გადასახადს ადებენ, ძარცვავენ და ა.შ. ვაჭრები რომ ამას სამართლიანობის გულისათვის განიციდნენ, მაშინ, რასაკვირველია, ისინი წმინდა ადამიანები იქნებოდნენ... მაგრამ ვინაიდან თვით ვაჭრები სჩადიან ესოდენ დიდ უკანონობას და ქრისტიანობის საწინააღმდეგო ქურდობას და ყაჩაღობას მთელ მსოფლიოში და ერთიმეორის მიმართაც კი, ამიტომ არაფერი საკვირველი არაა იმაში, რომ ღმერთს აკეთებს ისე, რომ ესოდენ დიდი ქონება, უსამართლოდ შეძენილი, კელაე იყარება ან დატაცებული ხდება, თვით მათ კი გარდა ამისა კიდევ სცემენ ან ატყვევებენ... თავადებს კი მართებთ სათანადო ძალით დათრგუნონ ესოდენ უსამართლო ვაჭრობა და მიიღონ ზომები. რათა ვაჭრები ასე უსინდისოდ არ ატყავებდნენ მათს ქვეშეურდომთ. მაგრამ რადგან თავადები ამას არ აკეთებენ, ამიტომ ღმერთი იყენებს რაინდებსა და ყაჩაღებს და მათი მშვეობით დასჯილი ჰყავს ვაჭრები უკანონობისათვის, და ისინი უნდა იყენენ მისი ეშმაკები, ისევე როგორც იგი ეშმაკებით აწამებს ან ანადგურებს მტრებით ეგვიპტის მიწა-წყალს და მთელ მსოფლიოს. ასე ამარცხებს იგი ერთ არამზადას მეორით და ამით გვაგვიბნებს, რომ ვაჭრები არა ნაკლები ავაზაკები არიან, ვიდრე რაინდები, ვინაიდან ვაჭრები ყოველდღიურად ძარცვავენ მთელ მსოფლიოს, მაშინ როდესაც რაინდი წლის განმავლობაში ძარცვავენ ერთხელ ან ორჯერ, ერთს ან ორს» (გვ. 296).

«... სრულდება ესაიას წინასწარმეტყველება: შენი თავადები გახდნენ ქურდების თანამზრახველნი. ეინაიდან ისინი ახრჩობენ ქურდებს, რომლებმაც მოიპოვეს გულდენი ან ნახევარი გულდენი, და ამფსონობენ იმათ, ეინც მთელ მსოფლიოს ძარცვაეს და უფრო მეტი უშიშროებით ქურდობს, ვიდრე ყველა დანარჩენი, თითქოს იმისათვის, რათა სწორი დარჩეს ანდაზური თქმა: დიდი ქურდები ახრჩობენ [938] ქურდბაცაცებს, და, რო-

გორც რომელი სენატორი კატონი ამბობდა: უბრალო ქურდები სხედან ციხეებში და ბორკილდადებული არიან, საჯარო ქურდები კი თავისუფლად დადიან ოქროსა და აბრე-შუშეებში გამოწყობილნი. რას იტყვის ბოლოს და ბოლოს ამაზე ლმერთი? იგი გააკეთებს ისე, როგორც ის ეზეკიელის პირით ამბობს: თავადებსა და ვაჭრებს, ერთ ქურდს მეორესთან, იგი შეადნობს ერთად, როგორც ტყეოსა და სპილენძს, როგორც ეს ხდება ზოლმე, როცა ქალაქი მთლად გადაიწვის, რათა აღარ არსებობდნენ არც თავადები, არც ვაჭრები. მე ეწვიობ, რომ ეს დრო უკვე კარს მოგვადგა» (297).

მ ე ვ ა ხ შ ე ო ბ ი ს ა და ს ა რ გ ე ბ ე ლ მ ო ტ ა ნ ი კ ა პ ი -
ტ ა ლ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ :

«მეუბნებინ. რომ ამჟამად ყოველწლიურად ლაიფციგის ყოველ ბაზრობაზე ახდენი-
ნებენ 10 გულდენს, რაც შეადგენს 30-ს ასზე¹⁸⁴; ზოგიერთი ამას უმატებს კიდევ
ნოიშტრატის ბაზრობას, ასე რომ გამოდის 40 ასზე; ახდენიებენ თუ არა სადმე კიდევ
ამაზე მეტს, ეს მე არ ვიცი. რა სამარცხვინო რამაა, სად უმაკებთან მიგვიყვანს, ბოლოს,
ეს!...ვისაც ახლა ლაიფციგში 100 ფლორინი აქვს, ის ყოველწლიურად ახდენიებს 40-ს,—
ეს კი ნიშნავს ერთ წელიწადში შესანსლოს გლეხი ან მოქალაქე. თუ მას 1 000 ფლო-
რინი აქვს, მაშინ ყოველწლიურად გადაახდენიებს 400-ს, რაც ნიშნავს — ერთ წელი-
წადში შეჭამო რაინდი ან მდიდარი აზნაური. თუ მას 10 000 ფლორინი აქვს, მაშინ ყო-
ველწლიურად გადაახდენიებს 4 000-ს, — ეს კი ნიშნავს ერთ წელიწადში შეჭამო მდი-
დარი გრაფი. თუ მას 100 000 აქვს, როგორც ეს მსხვილ ვაჭრებს უნდა ჰქონდეთ კიდევ,
მაშინ იგი ყოველწლიურად გადაახდენიებს 40 000-ს, — ეს ნიშნავს ერთ წელიწადში
შეჭამო მდიდარი თავადი. თუ მას 1 000 000 აქვს, მაშინ ყოველწლიურად აიღებს
400 000-ს, რაც ნიშნავს — ერთ წელიწადში შეჭამო დიდი მეფე. და ამისათვის მას არა-
ვითარი საშინაოება არ მოეღოს, არც მის სიცოცხლეს, არც მის ავლადიდებას. იგი არა-
ვითარ საშუაოს არ ასრულებს, ზის ღუმელთან და ეაშობს წყავს. და ამ აუზაყს საუარ-
ძელში, შინ რომ ზის თავისთვის, შეუძლია 10 წელიწადში შესანსლოს მთელი მსოფლიო»
(გვ. 312—313)¹⁸⁶.

{II} «Eyn Sermon auf das Evangelion von dem reichen Mann und
armen Lazaro», Wittenberg, 1555.

«მდიდარ ადამიანზე არ უნდა ვიმსჯელოთ მისი გარეგნული ყოფაქცევის მიხედვით,
რადგან იგი ვახვეულია ცხვრის ქურჭში, მისი ცხოვრება ბრწყინავს, ლამაზი გვეჩვენება
და ოსტატურად ფარავს მგელს. ვინიდან სახარება ლანდლას მას არა იმისათვის, რომ
ზიდიან მრუშობა, მეველობა, ძარცვა, ღვთისგმობა ან რაიმე ისეთი, რის გაცეცხვა
შეეძლო მსოფლიოს ან გონებას. იგი ხომ ისეთსავე წესიერ ცხოვრებას ეწეოდა, როგორც
ის ფარისეველი, რომელიც კვირაში ორჯერ მარტულობდა და არ იყო ისეთი, როგორც
სხვა ადამიანები იყვნენ.»}

ლუთერი აქ გვეუბნება, თუ რა გზით წარმოიქმნება სავაზო კაპიტა-
ლი; იგი წარმოიქმნება მოქალაქეთა (მეშჩანებისა და გლეხების), რაინ-
დების, აზნაურების, თავადების განადგურებით. ერთი მხრივ, მევახშე-
ებთან მოედინება ზედმეტი შრომა, ა გ რ ე თ ვ ე შ რ ო მ ი ს პ ი რ ო -
ბ ე ბ ი რ აბათის მეშჩანებისა, გლეხებისა, ამქრული ოსტატებისა, ერთი
სიტყვით, წერილი საქონელმწარმოებლებისა, რომელნიც საქირებენ

ფულს, მაგალითად, გადასახდელთა დასაფარავად მანამდე, სანამ ისინი თავიანთ საქონელს ფულად გადააქცევენ, და რომელიც თავიანთ შრომის პირობების ნაწილს უკვე თვითვე ყიდულობენ, და ა. შ. მეორე მხრივ, მევახშეებთან მიედინება სახსრები იმ რენტის მფლობელთაგან, რომელსაც ახლა მევახშეები ისაკუთრებენ — ე. ი. მიედინება მფლანგველი და მოქიფვე მდიდრებიდან. რამდენადაც მევახშეობას მოსდევს ორი შედეგი: ჯერ ერთი ის, რომ იგი საერთოდ ხელს უწყობს დამოუკიდებელი ფულადი ქონების შექმნას, მეორე კი ის, რომ იგი მიითვისებს შრომის პირობებს, ე. ი. აჩანაგებს შრომის ძველი პირობების მფლობელებს, — ამდენად ეს მევახშეობა არის მძლავრი საშუალება სამრეწველო კაპიტალისათვის წანამძღვართა შექმნის საქმეში, მძლავრი ფაქტორი მწარმოებლისაგან წარმოების პირობების გამოყოფის პროცესში. სავსებით ასეთივე მდგომარეობა აქვს ვაჭარსაც. და ორთავეს ის საერთო აქვს, რომ ისინი ქმნიან დამოუკიდებელ ფულად მოძრაობას, ე. ი. თავს უყრიან თავიანთ ხელში ფულადი მოთხოვნების ფორმით, ჯერ ერთი, წლიური ზედმეტი შრომის ნაწილს, მეორე, შრომის პირობების ნაწილს და, მესამე, წლიური შრომის დაგროვების ნაწილს. ის ფული, რომელიც წამდვილად იმყოფება მათ ხელში, მხოლოდ პატარა ნაწილია ნაწილობრივ წლიური და ყოველწლიურად დაგროვილი განძისა, ნაწილობრივ საბრუნავი კაპიტალისა. მაგრამ მათ მიერ ფულადი ქონების შექმნა იმას ნიშნავს, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი ნაწილობრივ წლიური პროდუქციისა, ნაწილობრივ კი წლიური შემოსავლისა მათ ერგებათ, ამასთან ყოველივე ეს გადასახდელია არა *in natura* *, არამედ ფულის გარდაქმნილი ფორმით. ამიტომ, რამდენადაც ფული არ მიმოიქცევა აქტიურად როგორც მიმოქცევის საშუალება, არ იმყოფება მოძრაობაში, იგი გროვდება მათ ხელში; ნაწილობრივ მათ ხელში აღმოჩნდება აგრეთვე მიმოქცევაში მყოფი ფულის რეზერვუარები, და კიდევ უფრო მეტად იმყოფება და გროვდება მათ ხელში წარმოების პროდუქტთა ტიტულები, მაგრამ როგორც ფულად გადაქცეული საქონლის ტიტულები, როგორც ფულადი ტიტულები. [939] მევახშეობა მოქმედებს, ერთი მხრივ, როგორც ფეოდალური სიმდიდრისა და ფეოდალური საკუთრების გამანადგურებელი, მეორე მხრივ — როგორც წვრილბურჟუაზიული, წვრილგლეხური წარმოების გამანადგურებელი, ერთი სიტყვით, ყველა იმ ფორმის გამანადგურებელი, რომელთა დროსაც მწარმოებელი ჯერ კიდევ ვეველინება როგორც თავის წარმოების საშუალებათა მესაკუთრე.

* — ნატურით, ნატურალური ფორმით. რ ე დ.

კაპიტალისტური წარმოების დროს მუშა მოკლებულია წარმოების პირობების საკუთრებას: ის არ არის მესაკუთრე არც იმ მიწისა, რომელსაც ამუშავებს, არც იმ იარაღისა, რომლითაც იგი მუშაობს. მაგრამ წარმოების პირობების ამ გაუცხოებას აქ შეესაბამება ნამდვილი ცვლილება თვით წარმოების წესში. იარაღი იქცევა მანქანად; მუშა მუშაობს ფაბრიკაში და ა. შ. თვით წარმოების წესი აღარ ითმენს უკვე წვრილ საკუთრებასთან დაკავშირებულ წარმოების იარაღთა გაფანტვას, ისევე როგორც თვით მუშების გაფანტვასაც. კაპიტალისტური წარმოების დროს მევენახეობას უკვე აღარ შეუძლია გამოყოფის წარმოების პირობები მუშისაგან, მწარმოებლისაგან, იმიტომ რომ ისინი უკვე გამოყოფილია.

მევენახეობა ქონების ცენტრალიზაციას ახდენს, განსაკუთრებით ფულადი ქონების ფორმით, მხოლოდ იქ, სადაც წარმოების საშუალებანი გაფანტულია, სადაც, მაშასადამე, მუშაკი მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად აწარმოებს, როგორც წვრილი გლეხი, ამქრული ხელოსანი (წერილი ვაჭარი) და ა. შ., — როგორც გლეხი ან ხელოსანი, ამასთან სულ ერთია — არის ეს გლეხი ყმა თუ არა და ეკუთვნის ეს ხელოსანი სამქროს, თუ არა. მევენახე ითვისებს აქ ზედმეტი შრომის არა მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც თვით ყმის განკარგულებაშია, — ანდა არა მხოლოდ მთელ ზედმეტ შრომას, თუ მევენახეს საქმე აქვს თავისუფალ გლეხებთან და ა. შ., — არამედ იგი ითვისებს აგრეთვე წარმოების იარაღებსაც, რომელთა ნომინალურ მესაკუთრედ რჩება გლეხი და ა. შ. და ამ იარაღებს თვით წარმოებაში გლეხი ეპყრობა როგორც მესაკუთრე. ეს მევენახეობა დამყარებულია მოცემულ საფუძველზე, მოცემულ წარმოების წესზე, რომელსაც ის ვერ შეცვლის; ის მხოლოდ მიეყვება მას როგორც პარაზიტი და ბეჩავ მდგომარეობამდე დაჰყავს იგი. ის გამოსწოვს მას, გამოფიტავს და იმას იწვევს, რომ კვლავწარმოება სულ უფრო ცუდ პირობებში ხორციელდება. აქედან ხალხის სიძულვილი მევენახეობისადმი, განსაკუთრებით ანტიკურ ურთიერთობათა პერიოდში, როცა წარმოების ეს ხასიათი — ის, რომ მწარმოებელი თავის წარმოების საშუალებათა მესაკუთრე იყო — წარმოადგენდა ამასთანავე პოლიტიკურ ურთიერთობათა საფუძველს, მოქალაქის დამოუკიდებლობის საფუძველს. ეს მდგომარეობა შეწყდება, როგორც კი მუშაკი შეწყვეტს წარმოების პირობების მფლობელად ყოფნას. ამასთანავე ბოლო ედება მევენახეობის სიძლიერესაც. მეორე მხრივ, როცა მონობა ბატონობს ან როცა ზედმეტ შრომას ანიავებენ ფეოდალები და მათი ამაღლა, მონათმფლობელები ანდა ფეოდალები მევენახეთა ვავლენის ქვეშ ექცევიან, წარმოების წესიც აგრეთვე წინანდელი რჩება, მაგრამ უფრო მკაცრი ხდება. ვალებით დამ-

ძიმებული მონათმფლობელი თუ ფეოდალი უფრო მეტს გამოსწოვს, რადგან თვით მასაც გამოსწოვენ; ანდა საბოლოოდ იგი ადგილს უთმობს. მევახშეს, რომელიც თვით ხდება მესაკუთრე და ა. შ., როგორც მხედარი და ა. შ. ძველ რომში. ძველი ექსპლოატატორის ადგილს, რომლისთვისაც ექსპლოატაცია მეტ-ნაკლებად პოლიტიკური ძალაუფლების იარაღი იყო, იკავებს უხეში, ფულს დახარბებული ვიგინდარა. მაგრამ თვით წარმოების წესი არ იცვლება.

ყველა კაპიტალიზმამდელი წარმოების წესის დროს მევახშე რევოლუციურად მოქმედებს მხოლოდ პოლიტიკურ სფეროში, ძირს უთხრის და ანადგურებს რა საკუთრების იმ ფორმებს, რომელთა მტკიცე საფუძველზეც — ე. ი. მათს მუდმივ კვლავწარმოებაზე იმავე სახით — დამყარებულია საზოგადოების პოლიტიკური სტრუქტურა. მევახშეობა. მოქმედებს აგრეთვე მაცენტრალიზებული წესითაც, მაგრამ მხოლოდ ძველი წარმოების წესის საფუძველზე, რის შედეგადაც საზოგადოება, გარდა მონებისა, ყმებისა და ა. შ. და მათი ახალი ბატონებისა, გადაიქცევა ბრბოდ. [საზოგადოების] აზიური ფორმების დროს მევახშეობას შეუძლია დიდხანს განაგრძოს თავისი არსებობა, იწვევს რა მხოლოდ ეკონომიურ დაქვეითებას და პოლიტიკურ დემორალიზაციას, მაგრამ მას არ მიეცა ვართ [არსებული წარმოების წესის] რეალურ დაშლამდე. მხოლოდ ისეთ ეპოქაში, როცა არსებობს კაპიტალისტური წარმოების დანარჩენი პირობები — თავისუფალი შრომა, მსოფლიო ბაზარი, დაშლა ძველი საზოგადოებრივი კავშირთა ერთობისა, შრომის განვითარების გარკვეული საფეხური, განვითარება მეცნიერებისა და ა. შ., — მხოლოდ ასეთ ეპოქაში გვევლინება მევახშეობა როგორც ერთ-ერთი საშუალება ახალი წარმოების წესის წარმოქმნისა, ამასთანავე ფეოდალების—ანტიბურჟუაზიული ელემენტის ბურჟუების — განადგურებისა და წვრილი მრეწველობის, წვრილი მიწათმოქმედების და ა. შ. განადგურებისა, მოკლედ, როგორც საშუალება კაპიტალის სახით შრომის პირობების ცენტრალიზაციისა.

ის გარემოება, რომ მევახშეებს, ვაჭრებს და ა. შ. «ფულადი ქონება» აქვთ, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ერის ქონება, რამდენადაც ეს ქონება გვევლინება როგორც საქონელი და ფული, თავს იყრის მათს ხელში.

კაპიტალისტურ წარმოებას თავდაპირველად ბრძოლა უხდება მევახშეობასთან იმდენად; რამდენადაც თვით მევახშე არ ხდება მწარმოებელი. იმ დროისათვის, როცა კაპიტალისტური წარმოება საბოლოოდ დამყარდა, მევახშეთა ბატონობა ზედმეტ შრომაზე, რაც დაკავშირებული იყო ძველი წარმოების წესის არსებობის გაგრძელებასთან, უკვე შეწყდა. მრეწველი კაპიტალისტი უშუალოდ ლებულობს ზედმეტ ღირებულებას.

მოგების სახით; ნაწილობრივ იგი უკვე დაეუფლა წარმოების პირობებს და ყოველწლიური დაგროვების ნაწილს იგი უშუალოდ ისაკუთრებს. ამ მომენტიდან, განსაკუთრებით სამრეწველო და სავაჭრო ქონების განვითარებასთან ერთად, მევახშე, ე. ი. სარგებელზე ფულის გამსესხებელი ისეთ პირად გადაიქცევა, რომელიც გამოყოფილია მრეწველი კაპიტალის-ტისაგან შრომის დანაწილების გამო, მაგრამ სამრეწველო კაპიტალს ექვემდებარება.

[940] III) «An die Pfarrherrn wider den Wucher zu predigen. Vermanung», Wittenberg, 1540 (გვერდების დაუნომრავად).

ვ ა ჯ რ ო ბ ა (ყ ი დ ვ ა, გ ა ყ ი დ ვ ა) და ს ე ს ხ ი (ლუთერის ვერაბნეეს, როგორც პრუდონს, ეს ფორმასხვაობა).

«თხუთმეტი წლის წინათ მე ვწერდი მევახშეობის წინააღმდეგ, რადგან უკვე მაშინ მოიკრიბა მან ისეთი ძალა, რომ მე გაუშვებების იმედს ვერ ვხედავდი. მას შემდეგ მევახშეობა იმდენად ამაღლდა, რომ იგი უკვე აღარ ითვლება მანკიერებად, ცოდვად და სირცხვილად. არამედ სათნობისა და პატივის შარავენდელით არის მოსილი, თითქოს იგი ადამიანებს ღირსიყვარულსა და ქრისტიანულ სასახურს უწყევდეს. საღა ვეძიოთ ხსნა, რაკი სირცხვილი იქცა პატივად და მანკიერება სათნობად? სენეკა ამბობს ბუნებრივი გონიერებით: Deest remedii locus, ubi, quae vilia fuerunt, mores fiunt*. გერმანია ვახდა ისეთი, როგორც იგი უნდა გამხდარიყო; საზოგადოება სიხარბემ და მევახშეობამ სრულად გახრწნა იგი...»

უწინარეს ყოვლისა ს ე ს ხ ი ს ა და ვ ა ლ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ. როცა ფულს გაასესხებენ და ამაში მოითხოვენ ან იღებენ რაღაც მეტს ან უკეთესს, ეს არის მევახშეობა, დაგმობილი ყველა კანონით. და ამიტომ ყველა ისინი, ვინც ახდევინებს ხუთს, ექვსს ან მეტს ააიდან სესხად გაეცეულ ფულში, — ისინი ყველანი მევახშეები არიან, და ამის შესაბამისად იქცევიან ისინი და მათ ეწოდებათ სიხარბის ან მამონას კერპთაყვანისმცემლური მსახურნი... იგეგე უნდა ითქვას მარცვლეულზეც, ქერზეც და სხვა საქონელზეც, რომ თუ მათში მოითხოვენ რაღაც მეტს ან უკეთესს, მაშინ ეს არის მევახშეობა, მოპარული და ძარცვა-გლეჯით შექმნილი დოვლათი. ვინაიდან სესხება იმას ნიშნავს, რომ მე ვაძლევ ვინმეს ჩემს ფულს, ქონებას ანდა ჰურქელს, რათა მან ისარგებლოს ამით, ვიდრე ეს მისთვის საჭიროა ანდა ვიდრე მე ეს შემიძლია და ამის თანახმა ვარ, შემდეგ კი თავის დროზე იგი მიბრუნებს ყოველივე ამას იმ სახით, რა სახითაც მე მას ვისესხე*.

ვ ა ჯ რ ო ბ ი დ ა ნ ა ც ა გ რ ე თ ვ ე ე წვეიან მ ე ვ ა ხ შ ე ო ბ ა ს. მაგრამ ერთი მონაკვეთისთვის ეს ახლა უკვე ძლიერ ბევრია. ახლა ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ მხოლოდ ერთ რამეზე — მევახშეობაზე სესხების დროს. მას შემდეგ, რაც ჩვენ მევახშეობას გავუსწორდებით (მისი განკითხვის დღის შესაბამისად), ჩვენ დამსახურებისამებრ მივეზღავდ აგრეთვე ვ ა ჯ რ ო ბ ა ს ა ც ა.

«მთი კეთილშობილება მევახშე ლაპარაკობს ასე: ჩემო კარგო, ახლანდელ ვითარებაში ჩემს მოყვასს მე ღირს სასახურს ვუწეე იმით, რომ სესხად ვაძლევ ხუთს, ექვსს ან ათს კვალობაზე ყოველ ასზე. და იგი მაღლობას მიხდის ასეთი სესხისათვის როგორც

* — ადგილი არა აქვს წამალს იქ, სადაც ის, რაც მანკიერებად ითვლებოდა, ჩვეულებად იქცევა. რ ე ლ.

განსაკუთრებული სიკეთისათვის. იგი მოხოსს ამას, თვითონ თავის ნებით და იძულების გარეშე მთავაზობს მე საჩუქრად ხუთ, ექვს, ათ ვულდენს ასზე. განა მე არ შეჰმძლია, მევახშეობის გარეშე, ავიღო ეს დამწვიდებული სინდისით?..

აქებინე შენი თავი, მორათვევინე, მოაკაზმინე... მაგრამ ვინც იღებს იმაზე მეტს ან უკეთესს (რაც თვით მიუტია), იგი მევახშეა, და ეს ს ა მ ს ა ხ რ ი ს გავეასკი არ ნიშნავს მოყვასისათვის, არამედ — ენების მიყენებას, როგორც ეს წარმოდგება ქურდობითა და ავაზაკობით. მოყვასისადმი სამსახური და სიკეთე არ არის ყველაფერი ის, რასაც ამ სახელს უწოდებენ. მრუში დედაკაცი და მრუში მამაკაცი ერთმანეთს დიდ სამსახურს უწევენ და ასიამოვნებენ. რეიტარი დიდ რეიტარულ სამსახურს უწევს კაცისმკვლელს და ცეცხლისწამკიდებელს, როდესაც მას ეხმარება ძარცვა-გლეჯაში შარავზეზე და ქვეყნისა და ხალხის აწიოყებაში. პაპისტები დიდ სამსახურს უწევენ ჩვენებს იმით, რომ ყველას წყალში არ ახრჩობენ, არ სწევენ, არ ხოცავენ, ციხეებში არ ალპობენ, არამედ ზოგს ცოცხალს ტოვებენ და აძეებენ, ანდა მთელ ქონებას ათმევენ. თვით ეშმაკიც კი განუზომლად დიდ სამსახურს უწევს თავის მსახურთ... ერთი სიტყვით, ქვეყანა საესეა დიადი, საუცხოო ყოველდღიური მომსახურებითა და სიკეთით... პოეტებმ წერენ ციკლოპ პოლიფემოსზე, რომელიც შეპირდა ულისს, რომ მას გაუწევდა მეგობრობას — ჯერ მის თანამგზავრებს შესანსლავდა და მხოლოდ შემდეგ უკანსენლად მას. დიახ, ესეც სამსახური და დიდი სიკეთე იყო.

ასეთ სამსახურს და სიკეთეს გულმოდგინედ ეწვივან ამჟამად კეთილშობილნი და არაყეთილშობილნი, გლეხები და ქალაქელები; ისინი შეისყიდან საქონელს, ინახავენ თავისთვის საწყობებში, კმნიან სიძვირეს, [941], აღიღებენ მარცვლეულის, ქერის და ყოველივე იმის ფასს, რაც აუცილებელია ადამიანებისათვის, შემდეგ კი ცხვირბირს იწმენდენ და ამბობენ: დიახ, რაც აუცილებელია, ის აუცილებელია, მე ვაძლევ ამას ადამიანებს და სამსახურს ეუწევ ამით, თუმცა მე შემქმნელი და უფლებად მქონდა ეს ჩემთვის დამეტოვებინა. აი როგორ მოხერხებულად ატყაუებენ და ასულულებენ ისინი ღმერთს!.. საესებით წმინდანები ვახდენენ ამჟამად ადამიანები. ამრიგად, არაეის არ შეუძლია ამჟამად უკვე მევახშეობას მისდღოს, არაეინ არ შეიძლება იყოს ხარბი და ბოროტი, მთელი მსოფლიო წმინდანებად იქცა... ყოველი ადამიანი ე მ ს ა ხ რ ე ბ ა ს ხ ე ა ს, არაეინ ზიანს არ აყენებს სხვას...

თუ მევახშე ამით სამსახურს ეწევა, ამ სამსახურს უწევს იგი მხოლოდ ეშმაკს, თუმცა ღარიბ, გაჭირვებულ ადამიანს ეს მომსახურება ესაჭიროება და მას, მართლაც, მომსახურებად და სიკეთედ უნდა მიაჩნდეს ის, რომ იგი ჯერ კიდევ მთლად არ შეუხანსლავთ...

იგი* გიწევს შენ**, და იძულებულია გაგიწიოს შენ, ასეთი მომსახურება» (ჩხადოს მევახშური სარგებელი), თუ სურს ფულ მიღოს».

{ზემონათქვამიდან ჩანს, რომ ლუთერის დროს მევახშეობა ძალიან გაძლიერებული და ამასთანავე უკვე აპოლოგეტიკურად გამართლებული იყო როგორც «მომსახურება». (სეი — ბასტია***). ჩვენ წინ არის უკვე თანამშრომლობის ან ჰარმონიის კონცეფცია: «ყოველი ადამიანი ემსახურება სხვას».

* — ადამიანი, რომელიც ფულს საჭიროებს. რ ე დ.

** — მევახშეს. რ ე დ.

*** იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 494—495. რ ე დ.

41. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თვორიები.

ანტიკური ქვეყნის საუკეთესო ხანაში მევახშეობა აკრძალული იყო (ე. ი. სარგებლის გადახდევინება არ იყო ნებადართული). შემდეგში იგი დაკანონდა და ფართოდ გავრცელდა. თეორიის დარგში მუდამ (როგორც ამას არისტოტელე აკეთებდა¹⁶⁶) ის აზრი იყო ხოლმე გამოთქმული, რომ თავისდათავად მევახშეობა ცუდია.

ქრისტიანულ შუასაუკუნეებში მევახშეობა «ცოდვად» ითვლებოდა და აკრძალული იყო «კანონებით».

ახალი დრო. ლუთერი. ჯერ კიდევ ცოცხალია კათოლიკურ-წარმართული შეხედულება მევახშეობაზე. მევახშეობა ფართოდ ვრცელდება (ნაწილობრივ იმის გამო, რომ მთავრობას ფული ესაჭიროება, ნაწილობრივ ვაჭრობისა და მანუფაქტურის განვითარების გამო, ნაწილობრივ კი პროლეტის ფულად გადაქცევის აუცილებლობის გამო). მაგრამ უკვე მკვიდრდება მისი სამოქალაქო მართლზომიერება.

ჰოლანდია. მევახშეობის პირველი აპოლოგია. აქაც იგი აგრეთვე მოდერნიზებულია, ექვემდებარება მწარმოებლურ ან სავაჭრო კაპიტალს.

ინგლისი. XVII საუკუნე. პოლემიკა წარმოებს უკვე არა თავისთავად მევახშეობის წინააღმდეგ, არამედ მხოლოდ სარგებლის ოდენობის წინააღმდეგ. მევახშეობა სჭარბობს კრედიტს. მისწრაფება კრედიტის ფორმის შექმნისადმი. ძალდატანებითი საკანონმდებლო ღონისძიებანი.

XVIII საუკუნე. ბენტამი. თავისუფალი მევახშეობა აღიარებულია როგორც კაპიტალისტური წარმოების ელემენტი.

[მოვიყვანთ კიდევ რამდენიმე ამონაწერს ლუთერის თხზულებიდან «An die Pfarrherrn wider den Wucher zu predigern»].

სარგებელი როგორც ზარალი სანაზღაურებია:

[«შეიძლება მოხდეს და ხშირად ხდება ისე, რომ მე, ჰანსი, სესხად გაძლეე შენ. ბალთაზარს, ას გულდენს, რომელიც მე უკან უნდა მივიღო წმიდა მიხეილის დღისათვის. მაგრამ თუ შენ დაავიანე, ამით მე დავზარალდები. მიხეილის დღე დგება. შენ არ მიბრუნებ მე ამ ას გულდენს. მაშინ მოსამართლე ყელში მწელება ან მათაყეს კოშკში ან ციხეში, ანდა თავს დამატყდება რაიმე სხვა უბედურება, ეიღრე მე არ გადავიხდი. მე უზივარ ციხეში, ჩემი კვება ძალზე მცირეა, ჩემი ჯანმრთელობა ძალიან ზიანდება. აქამდე მიგყავარ შენი დავიანებით და ასე მიხდი მე ბოროტებით ჩემი სიყვითისათვის. რა უნდა ექნა მაშინ? მე განვაგრობ ტანჯვას, ეინიდან შენ აყოვნებ და გძინავს. და ყოველ დღეს, სანამ შენ აყოვნებ და გძინავს, ზარალი და ენება მოაქვს ჩემთვის. ვინ უნდა დარჩეს აქ დაზარალებული ან ვის უნდა დაუჯდეს ეს ძვირად? საბოლოოდ ზომ ზარალი ვახდება. აუტანელი სტუმარი ჩემს სახლში, ვიღრე მე სულ არ დავიღუპები.]

ჰოლა, აქ საჭიროა საქმეს მიუვადეთ საერო და იურიდიული მხრივ (თეოლოგიას ჯერჯერობით თავი უნდა დაეანებოთ). მოცემულ შემთხვევაში შენ, ბალთაზარ, იძულებული იქნები ამინაზღაურო მე, გარდა ასი გულდენისა, მთელი ჩემი ზარალი და დაფარვა ამასთან დაკავშირებული მთელი იძულებითი ხარჯები» {იძულებითი ხარჯები ლუთერს

ესმის როგორც სასამართლო ხარჯები და ა. შ., რომლებიც გაიღო გამსესხებელმა იმის გამო, რომ მას არ ჰქონდა შესაძლებლობა თავისი ვალები გადაეხადა... ამიტომ სამართლიანია, გონებისა და ბუნებითი სამართლის თვალსაზრისითაც. კი, რომ ამინაზლაურთ მე ყველაფერი: თავ და პირველი თანხა იმ ზარალთან ერთად, რაც მე მომივიღე... ასეთ ზარალს იურიდიული წიგნები უწოდებენ ლათინურად *interesse**.

გარდა ამ ზარალისა შეიძლება განვიცადო კიდევ სხვა: თუ შენ, ბალთაზარ, არ დამბრუნებ მე წმიდა! მიხეილის დღისათვის ამ ას გულდენს, მე კი შემთხვევა მეძლევა ვიყიდო ბაღი, მინდორი, სახლიან საერთოდ სხვა რაიმე, რომლიდანაც მე დიდ სარგებელს მივიღებდი ანდა საზრდო შექნებოდა ჩემთვის და ჩემი ბავშვებისათვის, მაშინვე იძულებული ვარ ეს შემთხვევა ხელიდან გავუშვა, და შენ მაყენებ მე ზარალს და დაბრკოლებას მიქმნი შენი დაგვიანებით და ძილით, ასე რომ მე უკვირ ვერასოდეს ვერ შევძლებ ასეთი რამის ყიდვას და ა. შ. ამაკრამ მე გასესხე შენ ფული და შენ მაყენებ მე ორმაგ ზარალს — აქ მე არ შემიძლია გადაეხადო, იქ კი არ შემიძლია ვიყიდო და, მასადაამე, იძულებული ვარ ზარალი განვიცადო ორივე მიმართებით. ამას ეწოდება *duplex interesse, damni emergentis et lucrī cessantis***....

მას შემდეგ, რაც მათ*** გაიგონეს, რომ ჰანსმა ზარალი ნახა ასი გულდენის გასესხებით და სამართლიანად მოითხოვეს თავისი ზარალის ანაზლაურებას, ისინი ჩქარობენ გამოიყენონ ეს შემთხვევა და ყოველ ას გულდენს დაარიცხავენ ანაზლაურებას ორმაგი ზარალისათვის, სახელდობრ იმ ზარალისათვის, რაც ჰანსმა ნახა, და იმისათვის, რომ მან ხელიდან გაუშვა ბაღის ყიდვის შესაძლებლობა, თითქოს ორივე ეს ზარალი ბუნებით ჰქონდეს მინიჭებულ იმ ას გულდენს; ამიტომ ყველა შემთხვევაში, როცა ასი გულდენი გვაქვს და მათ სესხად იძლევიან, მათ დაარიცხავენ ამ ორმაგ ზარალს, რომელიც, თუ მეცადა, ამ გამსესხებელთ სულაც არ უნახავთ.

ამიტომ შენ ზარ მევახშე, ვინაიდან შენ ანაზლაურებ შენი მოყვასის ფულით შენსავე გამოგონილ ზარალსაც კი, რომელიც შენთვის არავის არ მოუყენებია და რომლის არც დამტკიცება და არც გამოანგარიშება შენ არ შეგიძლია. ასეთ ზარალს იურისტები უწოდებენ *non verum, sed phantasticum interesse*****. ეს ისეთი ზარალია, რომელიც ადამიანმა თავისთვის გამოიგონა...

შეუძლებელია, მასადაამე, [942] ითქვას, რომ შეიძლებოდა განმეცადა ისეთი ზარალი, რომ მე ვერ შევძლებდი ვერც გადახდას და ვერც ყიდვას. თუ ასე ვიტყვით, ამას ეწოდება *ex contingente necessarium******: იქიდან, რაც არ არის, გააკეთოს, რაც აუცილებლად უნდა იყოს; იქიდან, რაც საეჭვოა, გააკეთო საესებით უტყუარი. მაგრამ ხომ არ შენასწავს ასეთი მევახშეობა რამდენიმე წლის განმავლობაში მთელ მსოფლიოს?..

* სიტყვისიტყვით: რაიმე ზარალის მიყენებამდე და მისი მიყენების შემდეგ პიროვნების ყოფიერებაში, მის ქონებრივ მდგომარეობაში წარმოქმნილი განსხვავება. რ ე დ.

** — ორმაგი ზარალი: მიყენებული ზარალი და ხელიდან გაშვებული სარგებლობა. რ ე დ.

*** — ფულს დახარბებულმა ადამიანებმა. რ ე დ.

**** — არა სამდიელი, არამედ ფანტასტიკური ზარალი. რ ე დ.

***** — შემთხვევითიდან აუცილებელის გაკეთება. რ ე დ.

ის უბედურება, რომლის შემდეგაც გამსესხებელი წელში უნდა გაიმართოს, მოხდა შემთხვევით, მისი სურვილის გარეშე. რაღაც სრულიად სხვას და საწინააღმდეგოსაკი აღგილი აქვს შევანშურ გარიგებებში: აქ ეძებენ და იგონებენ ზარალს, რათა აზღვევინონ იგი ვაჭირვებულ მოყვასს, უნდათ ამით ისაზრდონ და გამდიდრდნენ, სიზარმაცესა და უსაქმურობაში იქეიფონ და მოიკაზმონ სხვა ადამიანთა შრომის ხარჯზე, მათი საზრუნავის, საშიშროებისა და ზარალის ხარჯზე. მე კი ამ დროს ღუმელს ვუზივარ და ჩემს ასგულდენს სამუშაოს ვასრულებინებ ჩემთვის, და მაინც, რადგან ეს ნასესხები ფულია, მე მას უეჭველად შევინახავ ქისაში, ყოველგვარი შიშისა და საზრუნავის გარეშე. ჩემო კეთილო, ვინ არ მოსურვებდა ამას?

და ის, რაც გასესხებულ ფულზე ითქვა, უნდა შეეხებოდეს აგრეთვე სესხად გაემულ პურს, ღვინოს და ამგვარ საქონელს, სახელდობრ ის, რომ ამასთან შესაძლებელია ამგვარი ორმაგი ზარალი. მაგრამ ეს ზარალი ბუნებით როდი აქვს მინიჭებული საქონელს, არამედ იგი შეიძლება შემთხვევით მოხდეს, და ამიტომ ზარალად იგი შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, როცა ის ნამდვილად მოხდა და ეს დამტკიცებულა* და ა. შ.

მეგვანშეობა გარდუვალა, მაგრამ ვაი მეგვანშეობებს...

ყველა ზრდენი, გონიერი წარმართნიც ასევე მეტად მკვეთრად გმობდნენ მეგანშეობას. ასე, მაგალითად, არისტოტელე ლაპარაკობს «პოლიტიკაში», რომ მეგანშეობა ეწინააღმდეგება ბუნებას იმის გამო, რომ იგი მუდამ მეტს ღებულობს, ვიდრე იძლევა. ამით ისაბა ყოველგვარი სიყეთის საფუძველი და საზომი, რომელიც მოითხოვს: ტოლი ტოლისათვის, *aequalitas arithmetica*** და ა. შ.

მაგრამ ეს ნიშნავს სამარცხვინოდ გამდიდრებას, როცა სხვა ადამიანებს ართმევენ, ქურდავენ ან ძარცვებენ მათ; ასეთ ადამიანებს უწოდებენ, უკაცრაული პასუხია, ქურდებს და ყაჩაღებს, რომელთაც ჩვეულებრივ სახრჩობელაზე ახრჩობენ, მაშინ როდესაც მეგანშეობითლობილი ქურდი და ყაჩაღი და სავარძელში ზის; ამიტომაცაა, რომ მათ უწოდებენ ყაჩაღებს სავარძელში...

წარმართებს შეეძლოთ თავიანთი ჭეუთი დაესვენათ, რომ მეგანშეობითობა და კაცისმკვლელობა. ჩვენ კი, ქრისტიანები, მათ ისეთ პატივს ვცემთ, რომ თითქმის ვლოცულობთ მათზე მათი ფულის გულსათვის... ის, ვინც სხვას საზრდოს გამოსწოვს, ძარცვავს და ჰპარავს, ისეთივე საზიზღარი მკვლელობის ჩამდენია (რამდენადაც ეს დამოკიდებულია მასზე), როგორც ის, ვინც სხვას შიმშილით კლავს და ღუპავს. მეგანშეობა ყოველივე ამას სჩადის და შვიიდად ზის თავის სავარძელში, მაშინ როდესაც იგი სახრჩობელაზე უნდა ეყდოს, აქ მას იმდენი ყვაე-ყორანი უნდა ჰყორტნიდეს, რამდენი გულდენიც მას მოუპარავს, და იმდენი ხორცი უნდა ჰკონდეს მის სხეულს, რომ ყველა ყვაე-ყორანს ყვოს საწიწნად და გასაყოფად.

მეჭრთამეგები და მეგანშეობი ყვირილს მორთავენ, საჭიროა წერილობითი ვალდებულებანი და ის, რაც ბეჭედდასმულია, შესრულდესო. ამაზე იურისტები მაშინვე იძლეოდნენ კარგ პასუხს: *in malis promissis***[•]. თეოლოგებიც ასევე ამბობენ, რომ წერილობით ვალდებულებას, რასაც ზოგიერთები ეშვამს აძლევენ, არა აქვს ძალა, თუნდაც იგი

* — არითმეტული ტოლობა. რ ე დ.

** «უფიციური დავის შემთხვევაში». იგულისხმება *nulla obligatio*—ფალდებულება ძალდაკარგულია. რ ე დ.

ბეჭედდასმული და სისხლით დაწერილი იყოს. ვინაიდან ის, რაც ღმერთის, სამართლისა და ზუნების საწინააღმდეგოა, უღრის ნულს. ამიტომ ყოველი ხელშეწიფე, რომელსაც კი ამის გაკეთება შეუძლია, დაუყოვნებლივ უნდა ჩაერთოს ამ საქმეში, დახიოს ბეჭედდასმული ვალდებულება, არ მაქციოს ყურადღება იმას, რომ ...» და ა. შ.

«მაშასადამე, მთელ ღელამიწაზე არ მოიპოვება ისეთი დიდი მტერი ადამიანისა (ემპაიის შემდეგ), როგორც ძუნწი და მევახშე, რადგან მას სურს ყველა ადამიანი ღმერთად გადაიქცეს. თურქები, მიმტაცებელი, ტირანები—ესენი ყველანი აგრეთვე ბოროტნი არიან, მაგრამ ხალხს არსებობას მაინც ვერ უსპობენ და თვითვე აღიარებენ, რომ ბოროტნი და მტერნი არიან. მათ შეუძლიათ და კიდევ უნდა ჰქონდეთ ზანდაზან ზოგიერთის შებრალება. მევახშე და ძუნწი კი ყოველწინადად იმას ცდილობს, რომ მთელი ქვეყანა შიმშილით და წყურვილით, მწუხარებითა და გაჭირვებით აავსოს, რათა ყველაფერი მხოლოდ მას ჰქონდეს, რათა ყველა მთავისი ხედრი მიიღოს მისგან, როგორც ღმერთისაგან. [943] და მისსაუკუნო ყმადა გადაიქცეს. მაშინ გული მისი ხარბს, ეს განუახლებს მას სისხლს. ამასთან იგი დადის კეერნის ბეჭეის მანტიში გამოწყობილი. ატარებს ოქროს ძეწეკს, ბეჭედს, ძვირფას ტანსაცმელს, ცხვირ-პირს იშვინებს და სურს, რომ მას უყურობდნენ და აღიდებდნენ როგორც სათნო, ღეთისნიერ ადამიანს, რომელიც თვით ღმერთზე გაცილებით უფრო კეთილმოწყალეა, გაცილებით უფრო გულისხმიერია. ვიდრე დედა ღეთისა და ყველა წმინდანი...

წარმართნი წერენ ჰერკულესის დიდ საგმირო საქმეებზე, თუ როგორ სძლეეს იგი ესოდენ ბერს ურჩხულსა და საშინელ საფრთხობელს. დაისნის რა მათგან ქვეყანასა და ხალხს, მევახშე ხომ უზარმაზარი და საშინელი ცხოველია, იგი ურჩხულა, სავსებით ისევე როგორც მაქია, რომელიც ყველაფერს ანადგურებს, კაქუსზე, გერიონზე ან ანტეოზზე უარესად. მაგრამ იგი თავს ილამაზებს და ღეთისნიერ გამომეტყველებას იღებს, რომ ვერაინ შენიშნოს. თუ სად მიდიან ის ხარება, რომლებსაც იგი პირუკულმა თავის ბუნაგში მიათრევს.

{უაღრესად თვალწარმტაცი პორტრეტია კაპიტალისტისა საერთოდ, რომელიც თავს გვაჩვენებს, თითქოს მისგან გამოდირდეს ის, რასაც იგი სხვებისაგან თავის გამოქვაბულში ეზიდება, აძიულებს რა ყოველივე ამას პირუკულმა იმოდრაოსს, რათა მოგვაჩვენოს, რომ ეს გამოსულთა მისი გამოქვაბულიდან.]

«მაგრამ ჰერკულესმა უნდა გაიგონოს ხარების ბლაილი და ტყვეების ყვირილი და მოძებნოს კაქუსი კლდეებსა და ღრეებში, რათა გაათავისუფლოს ხარება ბოროტმოქმედისაგან. ვინაიდან კაქუსი ეწოდება ბოროტმოქმედს, ღმერთნიერ მევახშეს, რომელიც ყველაფერს იპარავს, იტაცებს და სანსლავს. და თითქოს მას არაფერი ცული არ ჩაუდენია; და ფიქრობს, რომ არც კი შეუძლია ვინმეს მისი მხილება, რადგან იგი ხარებს პირუკულმა ითრევს თავის ბუნაგში და ხარები ისეთ კვალს ტოვებენ, თითქოს ისინი იქიდან იქნენ გამოშვებულნი. მევახშე ანუ ატყუებს მთელ ქვეყანას და ცდილობს მოაჩვენოს ყველას, ეთომც მას სარგებლობა მოაქვს და ქვეყანას ხარებს აძლევს, ნამდვილად კი იგი იტაცებს და თვითონვე სანსლავს მათ...»

ამიტომ მევახზე ან ძუნწი მართლაც არ არის ნამდვილი ადამიანი; იგი სცოდნის კიდევ არა ადამიანურად; იგი უნდა იყოს მაქცია, ყველა ტირანსა, მკელელსა და ყაჩაღზე უარესი. იგი თითქმის ისეთივე ბოროტია, როგორც თვით ეშმაკი. მაგრამ იგი ცხოვრობს არა როგორც მტერი, არამედ როგორც მეგობარი და მოქალაქე, სარგებლობს რა საერთო უშიშროებით და მშვიდობით. ნამდვილად კი იგი ძარცვავს და კლავს ყოველ მტერზე, მკელელზე და ცეცხლის წამკიდებელზე უფრო საზარლად. და თუ შარავნაზე მძარცველებს და კაცის მკვლელებს ბორბალზე აკრავენ და თავებს ჰკვეთენ, რამდენად უფრო მეტად უნდა დაისაჯოს ყველა მევახზე ბორბალზე გაკვრით, სხეულიდან ძარღვების ამოღებით და ყველა ძუნწი განდევნით, წყველა-კრულით და თავის მოკვებით...»

ყოველივე ეს უალრესად თვალწარმტაცია, და ამასთანავე აქ ზუსტად არის გაგებული ხასიათი, ერთი მხრივ, ძველმოდური მევახშეობისა, მეორე მხრივ კი, კაპიტალისა საერთოდ—«*interesse phantasticum*»*-ით, ფულისა და საკონლისათვის «ბუნებით მინიჭებული ზარალის ანაზღაურებით», ზოგადი ფრაზით იმის შესახებ, რომ მევახშეს სარგებლობა მოაქვს, მევახშის ამ «ღვთისნიერი» შესახებადობით, მევახშისა, რომელიც არა ჰკავს «სხვა ადამიანებს» და ქმნის მოჩვენებითს გარეგნობას, თითქოს ის იძლევა, მაშინ როდესაც ნამდვილად იგი იღებს, თითქოს ის უშვებს, მაშინ როდესაც ნამდვილად იგი თავისკენ ეწევა და ა. შ.!

* * *

«დიდმა უბირატესობამ, რაც დაკავშირებულია ოქროსა და ვერცხლის ფლობასთან იმის გამო, რომ იგი იძლევა ყიდვისათვის ხელსაყრელი მომენტების შერჩევის შესაძლებლობას, თანდათანობით გამოიწვია ბ ა ნ კ ი რ ი ს ხ ე ლ ო ბ ი ს წ ა რ მ ო შ ო ბ ა. ბ ა ნ კ ი რ ი განსხვავდება ძველი მევახშისაგან იმით, რომ იგი სესხს აძლევს მდიდრებს და ი შ ვ ი ა თ ა დ ა ნ დ ა ა რ ა ს ო დ ე ს — ლ ა რ ი ბ ე ბ ს. ამიტომ იგი ფულის გასხვებისას უფრო ნაკლებ რისკს ეწევა და ამის გაკეთება მის უფრო ნაკლები სარგებლის მიღების პირობით შეუძლია; ორივე ამ მიზეზის გამო იგი არ იწვევს ხალხის სიძულელს, რაც თან სდევს მევახშეს» (N e w m a n, F. W. Lectures on Political Economy. London. 1851, გვ. 44).

მევახშეობისა და ფულის განვითარებასთან ერთად ვითარდება ფეოდალური მიწის საკუთრების იძულებითი გასხვისება.

შემოდება ფულისა, რომელიც ყველაფერს ყიდულობს, და, როგორც ამის შედეგი, დაცვა კრედიტორის ინტერესებისა, რომელმაც მიწის მესაკუთრეს ფული ასესხა, აუცილებელს ხდის მიწის საკუთრების გასხვისებას ვალის გადახდევინებისათვის»

* — «ფანტასტიკური ზარალით». რ ე დ.

(John Dalrymple. An Essay towards a general history of Feudal Property in Great Britain. 4th edition. London, 1759, გვ. 124).

[944] «თომას კალპერის (1641 წ.), ჯონაი ჩაილდის (1670 წ.), პატერსონის (1694 წ.) აზრით, სიმდიდრე დამოყიდებულა ოქროსა და ვერცხლის სარგებლის განაკვეთის თუნდაც იძულებით შემცირებაზეც კი. ეს აზრი გაბატონებული იყო ინგლისში თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში» (G a n i l h [Des systèmes d'économie politique. Seconde édition. Tome premier. Paris, 1821, გვ. 58—59]).

როცა ი უ მ ი, ლოკის საწინააღმდეგოდ, ამტკიცებდა, სარგებლის განაკვეთი მოგების ნორმით განისაზღვრება*, მას უკვე თვალწინ ჰქონდა კაპიტალის გაცილებით უფრო მაღალი განვითარება. ეს კიდევ უფრო მეტად შეეხება ბენტამის, როცა იგი XVIII საუკუნის დასასრულს მევახშეობის დასაცავად თავის თხზულებას წერდა¹⁶⁷.

ქენრიხ VIII-დან დაწყებული დედოფალ ანამდე ადგილი ჰქონდა სარგებლის განაკვეთის შემცირებას კანონმდებლობითი წესით.

«შუა საუკუნეებში არც ერთ ქვეყანაში არ იყო საერთო სარგებლის განაკვეთი. უწინარეს ყოვლისა ხუცების სიმაკრე. არასამეღობა სასამართლო გარანტიებისა სესხის დაბრუნების მხრივ. მით უფრო მაღალია განაკვეთი სარგებლისა ცალკეულ შემთხვევებში. ფულას მიმოქცევის სიმცირე, გადასახდელთა უფრო მეტი ნაწილის ნაღდი ფულით გადახდის აუცილებლობა, რადგან საბანკო საქმე ჯერ კიდევ არ განვითარებულა. ამიტომ დიდი სხვადასხვაობა როგორც სარგებლის ოდენობის, ისე თვით მევახშეობის ცნების მხრივ. კარლოს დიდის დროს მევახშეობად ითვლებოდა, თუ 100%-ს იღებდნენ. ლინდაუში ბოდენის ტბაზე 1344 წელს ადგილობრივი ბიურგერები 216²/₃%-ს იღებდნენ. ციურიხში საბჭომ კანონიერი სარგებლის სახით განსაზღვრა 43¹/₃%, იტალიაში ზოგჯერ უნდა ეხადათ 40%, თუმცა XII—XIV საუკუნეებში ჩვეულებრივი განაკვეთი არ აღემატებოდა 20%-ს. ვერონამ დააწესა როგორც კანონიერი სარგებელი 12¹/₂%. იმპერატორმა ფრიდრიხ II-ემ თავის დადგენილებაში განსაზღვრა 10%, მაგრამ ეს მხოლოდ ებრაელებისათვის; ქრისტიანებზე მას არ უნდოდა ლაპარაკი. რაინის გერმანიაში 10% უკვე XIII საუკუნეში სარგებლის ჩვეულებრივი განაკვეთი იყო» (H ü l l m a n n. Städtewesen des Mittelalters. Zweiter Theil. Bonn, 1827, გვ. 55—57).

არანორმალურად დიდი სარგებელი შუა საუკუნეებში (რამდენადაც ამ სარგებელს ფეოდალურ თავადაზნაურობას და ა. შ. არ ახდევინებდნენ) დამყარებული იყო ქალაქებში მნიშვნელოვანწილად დიდ «გასხვისებით მიღებულ მოგებაზე», რასაც ვაჭრები და ქალაქელი ხელოსნები იღებდნენ სოფლიდან, რომელსაც ისინი ატყუებდნენ.

რომში, ისევე როგორც მთელ ძველ ქვეყანაში, მრეწველობისა და ვაჭრობის მხრივ განსაკუთრებულად განვითარებული ისეთი საჯარო ქალაქების გამოკლებით, როგორც იყო, მაგალითად, ათენი და ა. შ.,

* იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 454—458. რ ე ღ.

მევახშეობა მსხვილ მიწის მესაკუთრეთათვის ისეთ საშუალებას წარმოადგენდა, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა მათ არა მარტო წერილი-მესაკუთრეებისა და პლებეების ექსპროპრიაცია მოეხდინათ, არამედ თვით მათს პიროვნებასაც დაუფლებოდნენ.

როში მევახშეობა თავდაპირველად თავისუფალი იყო. თორმეტი ცხრილის კანონმა (რომის დაარსებიდან 303-ე წელი) დააწესა ფულის სარგებელი 1% წელიწადში (ნიბურის მიხედვით — 10% წელიწადში)... ეს კანონი მალე დაირღვა... დილილიუსმა (რომის დაარსებიდან 398 წელს) ხელახლა შემოფარგლა სარგებლის განაკვეთი ერთო პროცენტით წელიწადში (*unciarium foenus*). 408 წელს ეს განაკვეთი შემცირებულ იქნა $1\frac{1}{2}\%$ -მდე. 413 წელს ფულის გასესხება სარგებელზე საერთოდ აიკრძალა პლებს-ციტით, რომელიც ტრიბუნმა გენუციუსმა ჩაატარა. საკვირველი არაფერია იმაში, რომ ისეთ რესპუბლიკაში, სადაც აკრძალული იყო მრეწველობა, ასევე საბითუმო და საცალო ვაჭრობა, აკრძალული იქნა აგრეთვე ფულით ვაჭრობაც. ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა სამასი წლის განმავლობაში, კართაგენის აღებამდე. [შემდეგ ნებადართულ იქნა გადახდებიანება არა უმეტეს] 12%-სა წელიწადში. წლიური სარგებლის ჩვეულებრივი განაკვეთი შეადგენდა 6%-ს... იუსტინიანემ დააწესა სარგებლის განაკვეთი 4%-ის ოდენობით. *Usura quincunx* ** ტრაიანეს მიხედვით ნიშნავს კანონიერ სარგებელს 5%-ის ოდენობით... ეგვიპტეში 146 წელს ქრისტეს დაბადებამდე კანონიერ კომერციული სარგებელი შეადგენდა 12%-ს» (*Dureau de La Malle. Economie politique des Romains. Tome second. Paris, 1840, გვ. 259—263*). [944]

* * *

[950a] სარგებლის შესახებ ჯ. ვ. გილბარტი თავის წიგნში «*The History and Principles of Banking*» (*London, 1834*) ლაბარაკობს შემდეგს:

«ეს გარემოება, რომ ადამიანმა, რომელიც ფულს სესხულობს მოგების მიღების მიზნით, თავისი მოგების ნაწილი კრედიტორს უნდა მისცეს, თავისთავად გასაგები პრინციპია ბუნებრივი სამართლიანობისა. ადამიანი მოგებას ღებულობს ჩვეულებრივ ვაჭრობის მეშვეობით. მაგრამ შუა საუკუნეებში მოსახლეობა წმინდა მიწათმოქმედი იყო. ასეთი მოსახლეობისა და ფეოდალური რეჟიმის პირობებში კი შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მხოლოდ მცირე ვაჭრობას და, მაშასადამე, მცირე მოგებასაც. ამიტომ შუა საუკუნეებში კანონებს მევახშეობის შესახებ თავისი გამაროლება ჰქონდათ. თანაც მიწათმოქმედ ქვეყანაში ადამიანი იშვიათად ცდილობს ფულის სესხებას, თუ არ გალარობდა და ხიფათში არ გაება რაიმე უბედურების გამო» (გვ. 163).

ჰენრი VIII-მ განსაზღვრა სარგებელი 10%-ით, იაკობ I-მა — 8%-ით, კარლოს II-მ — 6%-ით, ანამ — 5%-ით» (გვ. 164—165). «იმ დროს გამსესხებულნი, თუ იურიდიულად არა, ფაქტურად მონოპოლისტები იყვნენ, და ამიტომ აუცილებელი იყო მათი შეზღუდვა, ისევე როგორც სხვა მონოპოლისტებისაც. ჩვენს დროში მოგების ნორმა

* — სიტყვისიტყვით: ნაზრდი ერთი უნციის ოდენობით. რ ე დ.

** — სიტყვისიტყვით: სარგებელი ხუთი უნციის ოდენობით. რ ე დ..

არეგულირებს სარგებლის ნორმას, მაშინ როდესაც იმხანად სარგებლის ნორმა არეგულირებდა მოგების ნორმას. თუ კრედიტორი ეაჭარს სარგებლის მაღალი ნორმით დაამძიმებდა, ეაჭარი იძულებული ხდებოდა თავის საქონელზე დაემატებინა მოგების უფრო მაღალი ნორმა. ამით მყიდველთა ჯიბიდან ამოიღებოდა მოგების დიდი თანხა და ჩაიდებოდა კრედიტორის ჯიბეში, რომელმაც ეაჭარს ფული ასესხა. ეს დამატებითი ფასი, საქონელზე წამატებული, იწვევდა იმას, რომ საზოგადოება ხდებოდა ნაკლებად უნარიანი და ნაკლებად განწყობილი იმისათვის, რომ ასეთი საქონელი ეყიდა» (გვ. 165).

XVII საუკუნეში ჯოზაია ჩაილდი 1669 წელს დაწერილ წიგნში: «Traité sur le commerce et sur les avantages qui résultent de la réduction de l'interest de l'argent» (traduits de l'anglois, Amsterdam et Berlin, 1754. ამ წიგნში შედის აგრეთვე 1621 წელს დაწერილი «Traité contre l'usure» თომას კალპეპერიის) გამოდის. თომას მანლის წინააღმდეგ (წინააღმდეგ მისი ტრაქტატისა «Interest of Money Mistaken»¹⁶⁸), რომელსაც იგი «მეფაწმეთა ინტერესების დამცველს» უწოდებს. როგორც XVII საუკუნის ინგლისელი ეკონომისტების ყველა მსჯელობაში, ჩაილდის მსჯელობაშიც ამოსავალ წერტილს წარმოადგენს, ბუნებრივია, პოლანდიის სიმდიდრე, სადაც სარგებლის ნორმა დაბალი იყო. სარგებლის ეს დაბალი ნორმა ჩაილდს მიაჩნია სიმდიდრის მიზეზად, მანლი კი ამტკიცებს, სარგებლის დაბალი ნორმა ქვეყნის სიმდიდრის მხოლოდ შედეგიაო.

«იმისათვის, რომ ეიცოდეთ, ღარიბია რომელიმე ქვეყანა თუ მდიდარი, საჭიროა მხოლოდ ეივთხოთ: როგორია იქ ფულადი სარგებლის ფასი?» (გვ. 74).

«მეფაწმეთა ეშმაკი და შშიშარა ბანდის ინტერესების დასაცავად იგი იყენებს თავის მთავარ ბატარეას იმ პუნქტის წინააღმდეგ, რომელიც თვით მე მიეჩინე ყველაზე სუსტ. პუნქტად... იგი პირდაპირ უარყოფს, რომ სარგებლის დაბალი დონე სიმდიდრის მიზეზია, და გეარწმუნებს, იგი სიმდიდრის მხოლოდ შედეგიაო» (გვ. 120).

«როცა სარგებლის განაკვეთი მცირდება, ისინი, ვისაც უცან უბრუნდება მათ მიერ გაცემული სესხი, იძულებული არიან იყიდონ მიწები (რომელთა ფასიც მატულობს მყიდველთა რიცხვის ზრდის გამო) ანდა ფული მოათავსონ ეაჭრობაში» (გვ. 133).

«სანამ სარგებლის განაკვეთი 6%-ს უდრის, არაეინ არ ვასწეეს საზღვაო ეაჭრობასთან დაკავშირებულ რისკს, რათა აქედან მიიღოს მხოლოდ 8—9%-ი მოგება, რითაც სასეხებით კმაყოფილი არიან პოლანდიელები, რომლებიც ფულს 4 და 3%-ის კეალობაზე იღებენ» (გვ. 134).

«სარგებლის დაბალი განაკვეთი და მიწის მაღალი ფასი აიძულებს ეაჭარს მულამ ეაჭრობას ეწეოდეს» (გვ. 140).

«სარგებლის განაკვეთის შემცირება აჩვენებს ერს მომჭირნოვას» (გვ. 144).

«თუ ეაჭრობა არის საშუალება, რომელიც ქვეყანას ამდიდრებს, და თუ სარგებლის განაკვეთის შემცირება აფართოებს ეაჭრობას, მაშინ სარგებლის შემცირება, ანუ მეფაწმეთის შეზღუდვა, არის, უეჭველად, ერის სიმდიდრის პირველადი და მთავარი მიზეზი. საერთოდ არაფერია აბსურდული იმის მტკიცებაში, რომ ერთა და იგივე რამ ერთსა და

იმავე [950b] დროს შეიძლება იყოს, გარკვეულ პირობებში მიზეზი, სხვა პირობებში კი — შედეგი» (გვ. 155).

«კვერცი არის მიზეზი ქათმისა, ქათამი კი მიზეზი კვერცხისა. ამრიგად, სარგებლის შემცირებას შეუძლია გამოიწვიოს სიმდიდრის გადიდება, სიმდიდრის გადიდება კი შეიძლება გაზდეს სარგებლის კიდევ უფრო დიდი შემცირების მიზეზი. სარგებლის შემცირება შეიძლება განხორციელდეს საკანონმდებლო გზით» (გვ. 156).

«მე ვარ შრომისმოყვარეობის დამცველი, ჩემი მოწინააღმდეგე კი იცავს სიზარმაცეს და უსაქმურობას» (გვ. 179).

აქ ჩაილდი პირდაპირ გამოდის სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალის ინტერესების დამცველად. [XV—950 b].

შ ე ნ ი შ ვ ნ ი
ს ე ძ ი ე ბ ლ ე ბ ი

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი

- 7) თავში მალთუსის შესახებ მარქსი განიხილავს იმ შრომებს, რომლებიც მალთუსმა დაწერა რიკარდოს „Principles“ გამოცემის (1817 წ.) შემდეგ. რიკარდოს შრომითი ღირებულების თეორიისათვის. მწარმოებლური ძალების ყოველნაირი განვითარების მისი მოთხოვნისათვის, რომელსაც, რიკარდოს მიხედვით, მსხვერპლად უნდა შეეწიროს ცალკეული ადამიანების და მთელი კლასების ინტერესებიც კი, მალთუსი ედილობდა დაეპირისპირებინა ამ თხზულებებში ექვსგარულ-აპოლოგეტიკური თეორია, რომელიც მიზნად ისახავდა ექსპლოატაციის გამართლებას და საერთოდ გაბატონებული კლასების ყველაზე რეაქციული ფენების ინტერესების დაცვას.
- მალთუსზე როგორც „მოსახლეობის თეორიის“ მქადაგებელზე ამ თავში მხოლოდ გაკერით არის ლაპარაკი. მოსახლეობის შესახებ მალთუსის თხზულების ზოგადი დახასიათება მარქსს მოცემული აქვს „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ მეორე ნაწილში, თავში „შენიშვნები ეგრეთ წოდებული რიკარდოსეული მიწის რენტის კანონის აღმოჩენის ისტორიის შესახებ“ (იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 144, 147, 149—153, 186—187).—5.
- 2) შემდეგში დადგენილ იქნა, რომ ამ ანონიმური თხზულების ავტორი იყო ჯონ კეიზნოვი.—5.
- 3) კრიტიკა იმ შეხედულებისა შრომის ღირებულებაზე როგორც ღირებულების სტანდარტულ საზომზე, რომელსაც სმიტი იცავდა, და დასაბუთება იმისა, რომ ეს შეხედულება ეწინააღმდეგება სმიტის სხვა, უფრო ღრმა შეხედულებებს ღირებულებაზე, მოცემული აქვს მარქსს თავისი შრომის წინა თავებში. იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 56—57 და 153, და ნაწილი II, გვ. 536—540.—6.
- 4) იგულისხმება რიკარდოს მთავარი ნაწარმოები „On the Principles of Political Economy, and Taxation“, London, 1817.—6.
- 5) ის გარემოება, რომ რიკარდო არ იძლევა ზედმეტი ღირებულების წარმოშობის ანალიზს და კაპიტალზე შრომის გაცვლის პრობლემის გადაუწყვეტლობა იმ სახით, როგორც მას რიკარდო აყენებს, მარქსს აღნიშნული აქვს „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ მეორე ნაწილში (იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 528—534 და 540—558).—6.

6 ტერმის „ხარჯთფასი“ („Kostenpreis“ ანუ „Kostpreis“, „kost price“) მარქსი ხმარობს სამი სხვადასხვა აზრით: 1) კაპიტალისტის მიერ ვაჭურული წარმოების ხარჯების $(c+v)$ აზრით, [2] საქონლის „იმანენტური წარმოების ხარჯების“ აზრით $(c+v+m)$, რაც ემთხვევა საქონლის ღირებულებას და 3) წარმოების ფასის აზრით $(c+v+საშუალო მოგება)$. ტექსტის მოცემულ ადგილას ეს ტერმინი აღებულია მისი მესამე აზრით, ე. ი. წარმოების ფასის აზრით.

თუ „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ II ნაწილში ტერმინი „Kostenpreis“ იგბათან „საშუალო ფასი“ და „წარმოების ფასი“ ერთად იხმარება მუდამ წარმოების აზრით, „თეორიების“ III ნაწილში იგი ზოგჯერ იხმარება აგრეთვე კაპიტალისტის მიერ ვაჭურული წარმოების ხარჯების $(c+v)$ აზრითაც, და ამ შემთხვევებში იგი თთარგმნება ამ ტომის III ნაწილის ტექსტში სიტყვებით „წარმოების ხარჯები“ (იხ., მაგალითად, ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 43, 44, 45, 441, 558).

სამნაირი ხმარება ტერმინის „Kostenpreis“ იმით აიხსნება, რომ სიტყვა „Kosten“ („ხარჯები“, „წარმოების ხარჯები“) ეკონომიურ მეცნიერებაში იხმარება სამი სხვადასხვა მნიშვნელობით, როგორც ამას სპეციალურად აღნიშნავს მარქსი „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ III ნაწილში (იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 89—96 და 618—619): 1) იმის აზრით, რაც კაპიტალისტმა აენსად გაიღო, 2) იმ აზრით, რასაც ვულისხმობს აენსად ვაღებული კაპიტალის ფასი პლუს საშუალო მოგება და 3) თვით საქონლის რეალური (ანუ იმანენტური) წარმოების ხარჯების აზრით.

გარდა ამ სამი მნიშვნელობისა, რაც ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსებთან გვხვდება, ირწუნობენ კიდევ მეოთხე, ვულგარული მნიშვნელობა ტერმინისა „წარმოების ხარჯები“; ამ მნიშვნელობით ხმარობს მას ე. ბ. სეი, რომელიც „წარმოების ხარჯებად“ თვლის „იმას, რასაც იხდიან შრომის, კაპიტალისა და მიწის მომუშაობისათვის“ (J. B. Say. „Traité d'économie politique“. Seconde édition, Tome II, Paris, 1814, p. 453). „წარმოების ხარჯების“ ამ ვულგარულ გაგებას მარქსი ვაღატურით უარყოფს (იხ., მაგალითად, ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 169, 281—282 და 629—630). — 6.

7 „Profit upon expropriation“ ანუ „profit upon alienation“ („გახსივებით მიღებული მოგება“) — ჯემს სტიუარტის ფორმულირება, რომელიც მარქსს მოჰყავს და გაანალიზებული აქვს „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ პირველ ნაწილში (იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 8—9). — 11.

8 იგულისხმება მალთუსის ცნობილი თხზულება, რომლის პირველი გამოცემა ანონიმურად გამოვიდა ლონდონში 1798 წელს: „An Essay on the Principle of Population“. ამ თხზულებაში მალთუსი ამტკიცებდა, რომ შრომელი მასების სიღატაკე თითქოს იქიდან გამომდინარეობს, რომ ადამიანთა გამრავლებას აქვს გეომეტრიული პროგრესიით ზრდის ტენდენცია, მაშინ როდესაც მოხმარების საგნების რაოდენობა შეიძლება იზრდებოდეს, სულ დიდი, მხოლოდ არითმეტიკული პროგრესიით. — 13.

9 „შრომის ღირებულებისა“ და „შრომის რაოდენობის“ ცნებათა შესახებ რიყარდოს შეხედულებათა სისტემაში იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 528—540. — 22.

10 ღირებულების ამ განსაზღვრის ფორმულირება შედგენილია კეიზნოვის მიერ მალთუსისა და ადამ სმიტის გამოთქეპათა საფუძველზე; მალთუსმა ა. სმიტისაგან ვაღმოიღო საქონლის ღირებულების განსაზღვრა ცოცხალი შრომის იმ რაოდენობით, რომელსაც ამ საქონელზე ვაეცლის წესით ყიდულობენ. — 29.

- 11 „შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ხ ე ლ ფ ა ს ი ს“ რიკარდოსეული კონცეფციის შესახებ იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 558—568. — 32.
- 12 „ნ ა მ დ ვ ი ლ ი ხ ე ლ ფ ა ს ი ს“ („real wages“) ცნებაზე რიკარდოს შეხედულების შესახებ იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 536, 540, 558, 566—568, 586 და 747—748. — 32.
- 13 ეს ციტატა მალთუსის თხზულებიდან თითქმის სიტყვისიტყვით ასახავს ადამ სმიტის მსჯელობას, რომელიც მოცემულია „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ პირველ ნაწილში (იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 158—159): „... მანუფაქტურის მუშის შრომა მის მიერ გადამუშავებული მასალის ღირებულებას ჩვეულებრივ მ ი უ მ ა ტ ე ბ ს. თ ა ე ი ს ი ს ა კ უ თ ა რ ი შ ე ნ ა ხ ე ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს და თ ა ე ი ს ი მ ე პ ა ტ რ თ ნ ი ს მ ო ვ ე ბ ა ს. შინამოსამსახურის შრომა, პირიქით, ღირებულების არავითარ გადიდებას არ იძლევა... ადამიანი მ დ ი დ რ დ ე ბ ა, როცა ბევრ მანუფაქტურის მუშას ქირაობს, იგი ღარიბდება, თუ ბევრ შინამოსამსახურეს ინახავს“. როცა ამ განყოფილების სათაურს აყალიბებს სმიტისათვის დამახასიათებელი ტერმინებით „მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი და ა რ ა მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ი შ რ ო მ ა“, მარქსი გადაკვრით ამბობს იმას, რომ მალთუსის ეს შეხედულება ნასესხებია სმიტიდან. — 33—34.
- 14 ლ ო რ დ-დ ე ნ დ რ ი ე რ ი ზ მ ი (ან დ ე ნ დ რ ი ე რ ი ზ მ ი). — მედიდური ქაღალდშუტობა. ლორდი დენდრიერი — პერსონაჟი ინგლისელი მწერლის ტომ ტეილორის კომედიიდან „Our American Cousin“ („ჩვენი ამერიკელი ნათესავი“), რომელიც პირველად დაიდგა სცენაზე 1858 წელს. — 36.
- 15 მერმე ხელნაწერში შემდეგი სამი ფრაზა: „Aber 600 : 400 = 66²/₉ p.c., Der Wert des Gesamtprodukts = 1000 und der in Arbeitslohn ausgelegte Teil desselben = ¹/₁₀. Was aber die Rechnung des Herrn Malthus?“ უკანასკნელი ფრაზა შეადგენს გადასვლას შემდგომ ტექსტზე, მაგრამრის თქმა უნდოდა მარქსს ორი პირველი ფრაზით, ეს გაურკვეველი არება. — 37.
- 16 მარქსს მხედველობაში აქვს პირველი ნაკვეთი წიგნისა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“. იხ. კ. მარქსი, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, თბილისი, 1953, გვ. 76—77. — 40.
- 17 ანონიმური თხზულების — „Observations on certain Verbal Disputes in Political Economy“ — ავტორს ციტატები მოჰყავს მალთუსის წიგნის პირველი გამოცემიდან „Principles of Political Economy“ (London, 1820), p. 121. — 40.
- 18 მარქსი ხმარობს აქ, აგრეთვე ზოგჯერ შემდეგშიც, ტერმინს „cost price“ („Kostpreis“, „Kostenpreis“) კაპიტალისტის მიერ გაწეული წარმოების ხარჯების (c+v) აზრით. — 43.
- 19 ხელნაწერში აქ არის სიტყვა „Surplus produkt“ („ზედმეტი პროდუქტი“), ნახშირი იმ განსაკუთრებული აზრით, რომელსაც მარქსი სპეციალურად აღნიშნავს თავისი ხელნაწერის 703 გვერდზე („ზედმეტი პროდუქტი, ე. ი. მოცემულ შემთხვევაში პროდუქტის ნამეტი ამ პროდუქტის იმ ნაწილთან შედარებით, რომელიც მუდმივი კაპიტალის ტოლია“, იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 657—658), — ე. ი. ა ხ ლ ა დ

მიმატებული შრომის პროდუქტის ($v+m$) აზრით. თუ მუდმივი კაპიტალი უდრის ნულს, მაშინ „ახლად მიმატებული შრომის პროდუქტი“ უმთხვევა პროდუქტის ღირებულებას. — 50—51

20 აზრამასანტაკლარასსახელით ცნობილია აესტრიელი მქადაგებელი და ლიტერატორი ულრიხ მეგერლე (1644—1709), რომელიც ცდილობდა კაპიტალიზმში ექადაგნა ფართო საზოგადოებისათვის ადგილად გასაგები ფორმით და გამოდიოდა „სულის საცხონებელი“ ქადაგებით და ვითომ ზალხური სტილით შედგენილი ზნეობრივი მოძღვრების თხზულებებით. — 57.

21 ბევრგან სხვა ადგილას რიკარდო ხმარობს სიტყვას „მწარმოებელი“ („producer“) „მწარმე-კაპიტალისტის“ აზრით, როგორც ამას აღნიშნავს მარქსი თავში „სხვადასხვა რიკარდოსთან. ჯონ ბარტონი“ (იხ. ამ ტომის მეორე ნაწილი, გვ. 736—737). შეად. იქვე ციტატები რიკარდოს წიგნიდან „Principles“, მოყვანილი მარქსის მიერ 565 და 573—574 გვერდებზე. იმ გარემოებას, რომ რიკარდო აიგივებს ცნებებს „მწარმოებელი“ და „მუშა“, მარქსი აღნიშნავს ამ ტომის მეორე ნაწილის 563 და 620—621 გვერდებზე. ამავე აზრით ხმარობს რიკარდო სიტყვას „მწარმოებელი“ მარქსის მიერ ამ ტომის მეორე ნაწილის 619—620 და 730—731 გვერდებზე მოყვანილ ციტატებში. — 60.

22 როცა სოციალურ გარდაქმნათ თავის უტოპიურ პროექტს აეთხარებდა, ოუენი ამტკიცებდა, რომ ეკონომიურად და ასევე საოჯახო ყოფაცხოვრების მოწყობის თვალსაზრისით ყველაზე მიზანშეწონილია მშენებლობა შრომითი კომუნის დასახლების პარალელურად ან კვადრატის ფორმით. ეს იდეები ოუენმა განავითარა რიგ გამოსვლებში, რომლებიც 1817—1821 წლებში გამოქვეყნდა. — 60.

23 „დაწესებული ეკლესია“ („Established Church“) ინგლისში ეწოდება ინგლისის სახელმწიფო ეკლესიას, „ანგლიკანურ“ ეკლესიას. — 62.

24 განყოფილება კაპიტალისა და დაქირავებული შრომის ურთიერთობის აპოლოგეტიკური განხილვის შესახებ მარქსს დაუწერელი დარჩა. — 65.

25 „Essay on Rent“-ში („ნარკვევი რენტის შესახებ“) ანონიმური რიკარდოელი გულისხმობს მალთუსის ბროშურას „An Inquiry into the Nature and Progress of Rent, and the Principles by which it is regulated“, London, 1815. — 67.

26 „სპენსის გეგმაში“ იგულისხმება მიწის ნაციონალიზაციის გეგმა, რომლითაც 1775 წლიდან დაწყებული გამოდიოდა ინგლისელი სოციალისტ-უტოპისტი ტომას სპენსი, რომელიც მოითხოვდა მიწის კერძო საკუთრების გაუქმებას და მიწის რენტის თანაბრად განაწილებას (თემის ყველა გადასახდისა და საზოგადოებრივი ხარკების დაფარვის შედეგ) თემის ყველა მცხოვრებს შორის. — 67.

27 რუსოს თხზულებებში ამ გამონათქვამის მონახვა არ მოხერხდა. — 69.

28 ავტორი ანონიმური თხზულებისა „Outlines of Political Economy“ (კეიზნოე) აღმოგვეცნა აქ მაკ-კულოხის მსჯელობას, მოთავსებულს წიგნში: J. R. Mac Culloch. „The Principles of Political Economy“. Edinburgh, 1825, p. 161—182. შეად. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 201. — 75.

- 29 ეს ადგილი ადამ სმიტის წიგნიდან „Wealth of Nations“ მარქსს ციტირებული და განხილული აქვს „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ პირველ ნაწილში (იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 75—77). — 77—78.
- 30 იმ განსხვავებაზე წარმოების დროსა და სამუშაო დროს შორის, რომელსაც ადგილი აქვს, კერძოდ, მიწათმოქმედებაში, და ამასთან დაკავშირებულ მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებებზე მარქსი წერდა თავის 1857—1858 წლების ხელნაწერში (იხ. K. Marx. „Grundrisse der Kritik der politischen Oekonomie“. Moskau, 1939, S. 560—562). ცნება წარმოების პერიოდისა (იმ პერიოდის აზრით, რომელიც მოიცავს, გარდა სამუშაო დროისა, აგრეთვე იმ დროსაც, რომლის განმავლობაშიც შრომის საგანი მხოლოდ ბუნებრივი პროცესების ზეგავლენას განიცდის) დაწერილებით აქვს მარქსს განხილული „კაპიტალის“ მეორე ტომში, განყოფილება მეორე, თავი მე-13. იხ. აგრეთვე ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 23—24. — 80.
- 31 მარქსს მხედველობაში აქვს პირველი ნაკვეთი თავისი თხზულებისა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“. იხ. კ. მარქსი, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, თბილისი, 1953, გვ. 64—66. — 83.
- 32 მარქსს ციტატები მოჰყავს ჯემს მილს წიგნიდან „Elements of Political Economy“. მილს წიგნის პირველ გამოცემაში ეს ადგილი მოთავსებულია 74-ე გვერდზე, მეორე გამოცემაში — 94-ე გვერდზე. მარქსს ციტირებული აქვს ეს ადგილი, ალბათ, სამუშაო ბეილის წიგნის „A. Critical Dissertation on the Nature, Measures, and Causes of Value“ (გვ. 202) მიხედვით, სადაც იგი განიხილება აგრეთვე როგორც ტორენსის წინააღმდეგ მიმართული. — 85.
- 33 მარქსის ამოსავალი პუნქტია აქ იმის ვარაუდი, რომ მარცვლეულის წარმოების მთელი ხარჯები, რასაც ტორენსი 100 კვარტერის რაოდენობით ანგარიშობს, დაყვანილია თესლის დანახარჯზე. სინამდვილეში კი 120 კვარტერი მარცვლეულის წარმოებაზე იხარჯება თესლის გაცილებით ნაკლები რაოდენობა— ვთქვათ, 20 ან 30 კვარტერი. დანარჩენი 70 ან 80 კვარტერი ხმარდება შრომის იარაღების, სასუქის ფასის გადახდას, მუშების ხელფასის გასტუმრებას და ა. შ. მაგრამ მარქსის არგუმენტაციისათვის ამ გარემოებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. — 88.
- 34 კაპიტალისტების — როგორც „თანამომგებების“ — ამ დახასიათებამ თავისი დასაბუთება პოვა მარქსის „კაპიტალის“ III ტომში. გამოიყვლია რა მოგვების ნორმის განთავსების პროცესი, რომლის დროსაც „ყოველი ცალკეული კაპიტალისტი, ისევე როგორც წარმოების ყოველი ცალკეული სფეროს ყველა კაპიტალისტთა ერთობლიობაც, მონაწილეობს მთელი კაპიტალის მიერ მთელი მუშათა კლასის ექსპლუატაციაში და ამ ექსპლუატაციის ხარისხში“ (იხ. „კაპიტალი“, ტომი III, ნაწ. 1, თბილისი, 1959, გვ. 250), მარქსი წერს: „...აქ ჩვენ გვაქვს მათემატიკურად ზუსტი და მტკიცება იმისა, თუ რატომაა, რომ კაპიტალისტები, რომლებიც ორგული მტრები არიან ერთმანეთისთვის ურთიერთშორის კონკურენციის დროს, ჰემშარიტად მასონურ კავშირს შეადგენენ მთელი მუშათა კლასის წინააღმდეგ“ (იქვე, გვ. 252). იხ. აგრეთვე ეს ტომი. ნაწილი II, გვ. 26. — 93.
42. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

- 35 ეს ციტატა ჯემს მილის წიგნიდან მარქსს მოჰყავს ზეილის წიგნის „A Critical Dissertation“ (გვ. 217) მიხედვით, როგორც ამას გვიჩვენებენ მცირე გადახვევები მილის წიგნის ტექსტიდან. — 99.
- 36 გადაკერით მითითებულია ანონიმურ პოლემიკურ თხზულებაზე, რომელიც მიმართულია „სიტყვების გარშემო კამათის“ წინააღმდეგ: „Observations on certain Verbal Disputes in Political Economy, particularly relating to Value, and to Demand and Supply“. London, 1821. შემდეგში (ამ თავის მე-3 პარაგრაფში) მარქსი ამ ანონიმური თხზულების დეტალურ შეფასებას იძლევა. — 100—101.
- 37 მარქსს მხედველობაში აქვს პირველი ნაკვეთი წიგნისა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“. იხ. კ. მარქსი, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, თბილისი, 1953, გვ. 120—122. — 101.
- 38 იქვე, გვ. 242—247. — 101.
- 39 T. R. Malthus. „The Measure of Value Stated and Illustrated“. London, 1823, p. 17—18. — 107.
- 40 „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ მეორე ნაწილში (იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 532 და 538) მარქსი, როცა იგი ლაპარაკობს სეის „ღვარძლიანობაზე“ იმის გამო, რომ რიკარდო იმოწმებს მიწოდებისა და მოთხოვნის კანონს მუშის შენახვისათვის აუცილებელი საარსებო საშუალებებით „შრომის ღირებულების“ განსაზღვრისას, მიუთითებს რიკარდოს წიგნის ფრანგულ თარგმანზე, რომელიც კონსტანსიომ შეასრულა და რომელსაც შენიშვნები დაურთო სეიმ. მარქსი აქ არაზუსტია. სეი თავის შენიშვნებში რიკარდოს ტექსტის შესახებ „ღვარძლიანობს“ იმის გამო, რომ მიწოდებისა და მოთხოვნის მეოხებით რიკარდო ფულის ღირებულებას განსაზღვრავს. შესაბამისი ადგილი სეის შენიშვნებიდან მარქსს ციტირებული აქვს „ფილოსოფიის სილატაქეში“ (იხ. ქართ. გამოც., თბილისი, 1938, გვ. 81—82). იგი ადგილობრივად წიგნიდან: D. Ricardo. „Des principes de l'économie politique et de l'impôt“. Traduit de l'anglais par Constancio, avec des notes explicatives et critiques par J. B. Say. Tome II, Paris, 1835, p. 206—207. — 109.
- 41 ზეძლივითი შეცდომების სიაში, რომელიც მაკკულოხის წიგნს დაურთო პრეფომ, ეს ადგილი შესწორებულია ასე: „Le fermier de ce dernier acre ne pourrait point élever son fermage“ („ამ უკანასკნელი აკრის მოიჯარე ვერ შეძლებდა სათანადო რენტის გადახდის თავიდან აცილებას“). — 122.
- 42 მარქსს მხედველობაში აქვს სეის ის შენიშვნა რიკარდოს „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლების“ მე-7 თავის მიმართ (თავი „სავარაუდო ვაჭრობის შესახებ“), რომელშიც სეის მოჰყავს შაქრის მავალითი; ეს შაქარი შემოაქვთ საფრანგეთში ანტილის კუნძულებიდან და საფრანგეთში იგი უფრო იაფი ღირს, ვიდრე თვით საფრანგეთში წარმოებული შაქარი ეღირებოდა. — 122.
- 43 თავისი „Essays on some Unsettled Questions of Political Economy“-ის (London, 1844) პირველ ნაკვეთში ჯ. სტ. მილი განიხილავს „ხალხებს შორის ურთიერთდაცვლის კანონებს და სავაჭრო სამყაროს ქვეყნებს შორის ვაჭრობით მიღებული მოგების განაწილებას“ და აღნიშნავს: „ხშირად უცხოელებთან ვაჭრობის გზით ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ მათი საქონელი შრომისა და კაპიტალის უფრო ნაკლები დანახარჯით, ვიდრე ეს საქონელი თვით უცხოელებს უჭდებათ. და მოუხდევად ამისა ასეთი ვაჭრობა ხელსაყრელია უცხოელებისათვის, იმიტომ რომ ის საქონელი, რომელსაც ისინი-

ჩვენგან სანაცვლოდ ღებულობენ, თუმცა ჩვენ იგი უფრო ნაკლებიც გვიღირდა უფრო ძვირი დაუქდებოდა მათ, თუ ისინი მას თვითონ აწარმოებდნენ“. (გვ. 2—3). — 123.

- 44 ფიქციური კაპიტალი მარქსს ესმის აქ როგორც სახელმწიფო ვალის კაპიტალი; მას მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ სახელმწიფო (ბურჟუაზიული თუ ბურჟუაზიულ-მემუღურრი) სესხად მიღებულ ფულს ხარკავს არა როგორც კაპიტალს და ამ ფულში იხდის სარგებელს მოსახლეობიდან აკრეფილი გადასახადიდან. შუად. კ. მარქსი. „კაპიტალი“, ტომი III, თავი 29-ე. — 129.
- 45 მარქსს მხედველობაში აქვს აქ პირველი ნაყევითი წიგნისა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“. იხ. კ. მარქსი, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, თბილისი, 1953, გვ. 186—188. — 133.
- 46 სეის (J. B. Say, „Traité d'économie politique“. Seconde édition. Tome II, Paris, 1814, p. 382) ნათქვამია: „საქონელს მხოლოდ საქონლით ყიდულობენ“. სეის ამ ღებულებების კრიტიკა იხ. ამ ტომის მეორე ნაწილში; გვ. 661—663 და 669—674. — 139.
- 47 მე-19 თავი რიკარდოს თხზულებაში „Principles“ დასათურებულა: „ვაჭრობის მსვლელობაში უცვარი ცვლილებების შესახებ“ („On sudden changes in the channels of trade“); ამასთან „ვაჭრობაში“ აქ იგულისხმება არა მარტო სავაჭრო, არამედ საწარმოო საქმიანობაც ამა თუ იმ ქვეყანაში. შუად. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 667. — 143.
- 48 მარქსს მხედველობაში აქვს ერთ-ერთი იმ სამი რვეულიდან, რომლებშიც მას შეპქონდა ამონაწერები პოლიტიკური ეკონომიის შესახებ. მარქსის მიერ აქ მოხსენიებულნი VII რვეულის პირველი 63 გვერდი შეიცავს 1857—1858 წლების ეკონომიური ხელნაწერის დამთავრებას (იხ. K. Marx. „Grundrisse der Kritik der politischen Oekonomie“. Moskau, 1939, S. 586—764). 63-ე გვერდიდან დაწყებული (იმ გვერდს დართული აქვს მარქსის შენიშვნა: „დაწყებულია 1859 წლის 28 თებერვალს“) VII რვეული შეიცავს ამონაწერებს ლუთერის, ლენგეს, ვალიანის, ვერის, პაოლეტის, მალთუსის, რიჩარდ ჯონსის და სხვა ავტორების შრომებიდან. VII რვეულის 134-ე გვერდზე მარქსს ამოწერილი აქვს ნაშრომიდან „Inquiry into those Principles...“ (110 და 112 გვერდებიდან) რიკე ადგილები, სადაც ანონიმური ავტორი აკრიტიკებს და ამსხარავებს სეისს. — 144.
- 49 მარქსს მხედველობაში აქვს ამონაწერთა თავისი XII რვეული, რომლის გარეკანზე მისი ხელით არის დაწერილი: „ლონდონი, 1851 წ., ივლისი“. ამ რვეულის მე-13 გვერდზე მოცემულია ამონაწერები ანონიმური „Inquiry“-ის 97, 99, 103—104, 106—108 და 111 გვერდებიდან. მიწის მესაკუთრეებზე, რომელთა რენტაც კაპიტალისტების მოგებას ამცირებს, ლაპარაკია „Inquiry“-ის 54—55 გვერდებიდან აღებულ ამონაწერში, რომელიც მოთავსებულია მარქსის XII რვეულის მე-12 გვერდზე. — 144.
- 50 ამონაწერთა თავისი XII რვეულის მე-12 გვერდის დასაწყისში მარქსს ამოწერილი აქვს ნაწარმოებიდან „Inquiry into those Principles“ (გვ. 15) ანონიმური ავტორის

- კრიტიკული შენიშვნა სეის მსჯელობის წინააღმდეგ იმის თაობაზე, რომ ჭარბწარმოებას ინგლისში თავის მიზეზად აქვს ნაყლწარმოება იტალიაში. შუად. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 263—264, ნაწილი II, გვ. 713—714, და ნაწილი III, გვ. 301. — 145.
- 51 ამის წინ ანონიმურმა ავტორმა მოაყვანა ციტატა სეის წიგნიდან („Lettres à M. Malthus“, Paris, 1820, p. 46), რომელიც შეიცავს სეის დებულებას იმის შესახებ, რომ „საქონელს მხოლოდ საქონლით ყიდულობენ“. ამავე დებულებას გეთაჯობის სეი ასეთი ფორმითაც: „წარმოებული პროდუქცია ყოველთვის პოულობს თავისთვის ბაზარს“ („An Inquiry into those Principles...“, London, 1821, p. 13, 110). — 145.
- 52 დაღვენილი (das Gesetztze) — ჰეგელისეული ფილოსოფიის ტერმინი, რომელიც აღნიშნავს რაღაც გაპირობებულს განსხვავებით უპირობისაგან, თავდაპირველისაგან, პირველადისაგან, — ისეთ რამეს, რასაც თავისი საფუძველი აქვს არა თავის თავში, არამედ რაღაც სხვაში. — 152.
- 53 იგულისხმება პირველი ნაკვეთი წიგნისა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“. იხ. ე. მარქსი, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, თბილისი, 1953, გვ. 26 — 28 და 48—50. — 153.
- 54 იგულისხმება პირველი ნაკვეთი წიგნისა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“. იხ. ე. მარქსი, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, თბილისი, 1953, გვ. 73—77. — 158.
- 55 [S. Bailey.] „A Critical Dissertation on the Nature, Measures, and Causes of Value“, London, 1826, p. 71—93. შუად. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 664—665 და ნაწილი III, გვ. 183—184 და 193. — 180.
- 56 მთელ ამ მსჯელობაში პროდუქტის „პორციად“, რომელიც ხვდება მუშებს (შესაბამისად: კაპიტალისტს). ნაგულისხმევია იმ პროდუქტის ნატურალური ერთეულების რაოდენობა, რომელშიც განიეთებულა ახლად მიმატებული შრომა, „პროპორცია“ კი — ამ პროდუქტის პროცენტული წილი, რომელიც ამა თუ იმ მხარეს ხვდება. თუ, მაგალითად, მუშების ახლად მიმატებული შრომა განიეთებული იყო პროდუქტზე 100 ნატურალური ერთეულში, ამასთან მუშების წილი შეადგენდა 60%-ს, კაპიტალისტის წილი კი — 40%-ს, მაშინ პროდუქტის რაოდენობის ორმაგად გადიდებისას (შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად) და მუშებსა და კაპიტალისტს შორის პროდუქტის წინანდელი განაწილების შენარჩუნებისას მუშების „პორცია“ გადიდდება 60 ნატურალური ერთეულით, კაპიტალისტის „პორცია“ კი — მხოლოდ 40 ნატურალური ერთეულით. მაგრამ თუ ამასთან კაპიტალისტის წილი 40%-დან 48%-მდე გადიდდება, მაშინ მუშების წილი შემცირდება 60%-დან 52%-მდე, თუმცა მათი „პორცია“ მაინც გადიდება 44 ნატურალური ერთეულით (კაპიტალისტის „პორცია“ 56 ნატურალური ერთეულით იმავდროული გადიდებისას). — 182.
- 57 თუ ნებისმიერად აღებული ციფრების, ე. ი. „ერთ მუშაზე 50, 60 ან 70 კვარტერის“ ნაცვლად შევარჩევთ ციფრებს, რომლებიც შეესაბამება ბეილის ზემომოყვანილ მაგალითს (იხ. გვ. 181—182), მაშინ მივიღებთ: „12¹/₂, 25 ან 37¹/₂ კვარტერს ერთ მუშაზე“. — 186.

- 58 D. Ricardo. „On the Principles of Political Economy, and Taxation“. Third edition, London, 1821, p. 13—15. — 197.
- 59 ხელნაწერის გვერდების ნუმერაციაში აქ მარქსს მექანიკური შეცდომა აქვს: „838“-ის ნაცვლად წერია „839“. — 198.
- 60 J. R. MacCulloch. „The Principles of Political Economy“. Edinburgh, 1825. p. 181—182. მარქსს ეს ციტატა მოჰყავს კეიზნოვის წიგნის — „Outlines of Political Economy“, London, 1832 — მიხედვით. იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 75—76. — 201.
- 61 D. Ricardo. „On the Principles of Political Economy, and Taxation“. Third edition, London, 1821, p. 1—12. — 203.
- 62 ვადაკვრით ნათქვამი ვალენშტაინის ერთ-ერთი ჩარისყავის სიტყვებზე შილერის დრამაში „ვალენტაინის ბანაკი“ (გამოსვლა VI):
- „უყურებთ ჰერცოგს ვით ახელებს და წამსვე ჰბადავთ:
თქვენც ახელებთ და ცხვირს იხოკავთ ჰერცოგის მსგავსად.
მაგრამ გენიას, მისი სულის ძალას კეთილსა
პარადების დროს მის სახეზე ვერ წაიციტხავთ“ *. — 205.
- 63 მარქსს, ალბათ, მხედველობაში აქვს მაკ-კულოხის წიგნის „Principles of Political Economy“ მეორე გამოცემა, 1830 წელს გამოსული, რადგან ამ წიგნის პირველი გამოცემა, საიდანაც მარქსს ციტატები მოჰყავს, გამოქვეყნდა 1825 წელს, ე. ი. მანამდე, ვიდრე გამოვიდოდა სმიტის „Wealth of Nations“ მაკ-კულოხის „შენიშვნებითა და მსჯელობებით“. — 206.
- 64 „ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა ლ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ს ა ფ უ ძ ე ე ლ ს“ („the foundation of the value of commodities“) რიკარდო უწოდებს შრომას თავისი წიგნის „Principles“ სხვადასხვა ადგილას (მაგალითად, მესამე გამოცემის 80-ე გვერდზე). „ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ს ა ზ ო მ ი ს“ სახით („measure of value“) შრომას ახასიათებს რიკარდო „Principles“ მესამე გამოცემის 333—334 გვერდებზე. იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 164—165, სადაც მარქსს სათანადო ადგილები მოჰყავს რიკარდოს ნაშრომიდან „Principles“. — 211.
- 65 ფაუსტის გამოთქმა გოეთეს „ფაუსტის“ პირველი ნაწილიდან, მეთექვსმეტე სცენა („მართას ბალი“). შესაბამისი ადგილი ჯემს მილის წიგნიდან მარქსს დასახელებული აქვს ზემოთ, 99-ე გვერდზე. — 212.
- 66 ეს არის ციტატა სუის წიგნიდან „Traité d'économie politique“. Seconde édition. Tome I, Paris, 1814, p. LI—LII. — 216.
- 67 W. Roscher. „System der Volkswirtschaft“. Erster Band: „Die Grundlagen der Nationalökonomie“. Dritte Auflage. Stuttgart und Augsburg, 1858, S. 82, 191.— 218.

* ფრიდრიხ შილერი, რჩეული თბზულებანი სამ ტომად, ტომი II, თბილისი, 1962, გვ. 294. რედ.

- 6მ განყოფილება მაკ-კულოზზე, ისევე როგორც თავი „რიკარდოს სკოლის დაშლა“ (გარდა 1862 წლის ვაზფხელზე დაწერილი განყოფილებისა ჯ. სტ. მილის შესახებ) მარქსმა დაწერა 1862 წლის ოქტომბერში (ეს აღნიშნული აქვს თვით მარქსს XIV რვეულის გარეკანზე, რომელშიც მოცემული თავი შედის). — 222.
- 69 W. Roscher. „System der Volkswirtschaft“. Band I: „Die Grundlagen der Nationalökonomie“. Dritte, vermehrte und verbesserte Auflage. Stuttgart und Augsburg, 1858, S. 353.
- მარქსი რომერს უწოდებს უდიდესი ძველი ბერძენი ისტორიკოსის თუციდიდეს სახელს იმასთან დაკავშირებით, რომ „ბატონმა პროფესორმა რომერმა მორიდებულად თავისი თავი პოლიტიკური ეკონომიის თუციდიდელ გამოცხადა“, როგორც ამას წერს მარქსი შემდეგში (იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 605). სახელწოდებას „თუციდიდე რომერი“ უაღრესად ირონიული ხასიათი აქვს: ბევრად გილას მარქსი ცხადყოფს, რომ რომერი უხეშად ამახინჯებდა როგორც ეკონომიურ ურთიერთობათა ისტორიას, ისე ეკონომიურ თეორიას ისტორიასაც. შეად. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 155—158. — 222.
- 70 ამ ბროშურის ნამდვილი ავტორი იყო ინგლისელი პუბლიცისტი ჯონ უილსონი, რომელიც თავის ნაწერებს სხვადასხვა ფსევდონიმით აქვეყნებდა. — 222.
- 71 „The Edinburgh Review, or Critical Journal“ („ედინბურგის მიმოხილვა, ანუ კრიტიკული ჟურნალი“) — ინგლისური ბურჟუაზიული ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი, გამოდიოდა 1802 წლიდან 1929 წლამდე. XIX საუკუნის 20 — 30 წლებში გამოდიოდა 3 თვეში ერთხელ და ვიგების პარტიის ორგანო იყო. ამ პერიოდში ეკონომიურ საკითხებზე ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიების უმრავლესობა მაკ-კულოზს ეკუთვნოდა. — 222.
- 72 „The Scotsman; or Edinburgh Political and Literary Journal“ („შოტლანდიელი, ანუ ედინბურგის პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი“) — ინგლისური ბურჟუაზიული გაზეთი, გამოდის 1817 წლიდან. XIX საუკუნის პირველ ნახევარში — ვიგების პარტიის ორგანო. გაზეთის დაარსების მომენტიდან და 1827 წლამდე მასში იბეჭდებოდა მაკ-კულოზის სტატიები, მიძღვნილი ეკონომიური საკითხებისადმი. 1818—1820 წლებში გაზეთის რედაქტორი იყო მაკ-კულოზი. — 222.
- 73 „Encyclopaedia Britannica“ („ბრიტანეთის ენციკლოპედია“) — მრავალტომიანი ინგლისური (ამჟამად ინგლისურ-ამერიკული) ენციკლოპედიური ლექსიკონი. გამოდის 1768 წლიდან მუდამ განახლებული გამოცემებით. XIX საუკუნის დასასრულამდე გამოდიოდა ედინბურგში. — 222.
- 74 მარქსს მხედველობაში აქვს ვრცელი გადახვევა ჯ. სტიუარტ მილის შესახებ, რომელსაც შეიცავენ 1861—1863 წლების ხელნაწერის VII და VIII რვეულები (გვ. 319—345). „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ სარჩევის შესაბამისად, რომელიც მარქსმა შეადგინა თავისი რვეულების გარეკანზე, და ხელნაწერის VII რვეულის ტექსტში მარქსის მიერ მოცემული მითითების (იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. XXVIII) თანახმად განყოფილება ჯ. სტ. მილის შესახებ გადატანილია ამ ტომის მესამე ნაწილში, სადაც იგი დაბეჭდილია 227—282 გვერდებზე.
- „მ ც დ ა რ ხ ე რ ხ ე უ“, რომლითაც „ი ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ა ხ ე ლ ფ ა ს ი რ ო გ ო რ ც წ ი ლ ი პ რ ო ლ უ ქ ტ შ ი“, მარქსი ლაპარაკობს ქვემოთ 267 — 269 გვერდებზე. — 224.

75 როცა მარქსმა 1862 წლის დასაწყისში თავისი „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ წერა დაიწყო, მას გააზრებული ჰქონდა ეს თეორიები როგორც მეზუთე, დასვენითი, განყოფილება გამოკვლევისა კაპიტალის წარმოების პროცესის შესახებ; ამ განყოფილებას უშუალოდ უნდა მოყოლოდა განყოფილება აბსოლუტური და შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების შეხამების შესახებ (იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. VI). მაგრამ „თეორიებზე“ მუშაობის მსვლელობაში მარქსი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შეეთხე განყოფილებასა („აბსოლუტური და შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების შეხამება“) და „ზედმეტი ღირებულების თეორიებს“ შორის აუცილებლად უნდა ჩართოდა კიდევ ორი განყოფილება: „ზედმეტი ღირებულების უკუგადაქცევა კაპიტალად“ და „წარმოების პროცესის შედეგი“ (იხ. იქვე, გვ. 508). ეს გასაგებს ხდის სწორედ მითითებას 1862 წლის ოქტომბერში ჭერ კიდევ დაუწერელ (იხ. შენიშვნა 68-ე) განყოფილებაზე „ზედმეტი ღირებულების კაპიტალად გადაქცევის“ შესახებ, სადაც გაშუქებული უნდა ყოფილიყო, კერძოდ, უეიფილდის ზოგიერთი შეხედულებაც. ლაპარაკია პირველ რიგში უეიფილდის დებულებაზე „შრომა ქმნის კაპიტალს, სანამ კაპიტალი შრომას გამოიყენებდეს“; ეს დებულება მარქსს მოჰყავს 22-ე შენიშვნაში „კაპიტალის“ I ტომის 22-ე თავის მიმართ, რომელსაც იგივე სათაური აქვს „ზედმეტი ღირებულების გადაქცევა კაპიტალად“. — 224.

76 „ზედმეტი პროდუქტი“ („surplus produce“) უეიფილდს ესმის როგორც პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც აღემატება იმას, რაც ანაზღაურებს „კაპიტალს“ ჩვეულებრივი მოგებით (უეიფილდი, კომენტარები მის მიერ გამოცემული „Wealth of Nations“-ის II ტომის მიმართ, გვ. 215 და 217). — 225.

77 ლაპარაკია ჯონ სტიუარტ მილის წიგნაკზე „Essays on some Unsettled Questions of Political Economy“, London, 1844, საიდანაც მარქსს ციტატები მოჰყავდა თავში „წარმოებულრი და არაწარმოებულრი შრომის თეორიები“ (იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 193—194). — 227.

78 მარქსს მხედველობაში აქვს ჯონ სტიუარტ მილის „Principles of Political Economy with some of their Applications to Social Philosophy“. In two volumes. London, 1848. — 227.

79 ეს განსხვავება მარქსმა ჩამოაყალიბა 1861—1863 წლების ხელნაწერის II რვეულში, განყოფილებაში „ფულის გადაქცევა კაპიტალად“ (ხელნაწერის 88-ე გვერდი), სადაც ნათქვამია: „წარმოების ხარკები კაპიტალისტისათვის არის მხოლოდ მის მიერ აწარსებულ ღირებულებათა ჯამი, ასე რომ პროდუქტის ღირებულება, როგორც ირკვევა, უდრის აწარსებული კაპიტალის ღირებულებას. მეორე მხრივ, პროდუქტის წარმოების ნამდვილი ხარკები უდრის პროდუქტში მოთავსებული სამუშაო დროის ჯამს. მაგრამ პროდუქტში მოთავსებული სამუშაო დროის ჯამი აღემატება იმ სამუშაო დროის ჯამს, რომელიც კაპიტალისტმა აწარსადა და იმ ანაზღაურებად, და პროდუქტის ღირებულების ეს გადაწამეტი პროდუქტის იმ ღირებულებაზე, რომელიც კაპიტალისტმა გადაიხადა ან აწარსადა და ილო, შეადგენს სწორედ ზედმეტ ღირებულებას.

ამავე საკითხს მარქსი დაუბრუნდა XIV რვეულში, განყოფილებაში ტორენსის შესახებ (იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 90—95) და XV რვეულში, განყოფილებაში ეულგარული პოლიტიკური ეკონომიის შესახებ (იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 618—619). — 231.

- 80 მარქსს მხედველობაში აქვს ჯონ სტიუარტ მილის წიგნი „A system of Logic, Ratiocinative and Inductive, being a connected view of the Principles of Evidence, and the Methods of Scientific Investigation“. In two volumes: London, 1843. — 233.
- 81 თანახმად მილის მკდარი მსჯელობისა, რაც მოყვანილია ზემოთ 200 გვერდზე, №1 კაპიტალისტი, რომელიც იყენებდა მუდმივ კაპიტალს და 60 მუშას, ერთი კვარტერი ხორბლის (რაც ერთი მუშის ხელფასს წარმოადგენს) საწარმოებლად ხარჯავდა $\frac{9}{6}$ კვარტერ ხორბალს $\left(\frac{120}{180} = \frac{2}{3} = \frac{6}{9} \right)$, №2 კაპიტალისტი კი, რომელიც იოლად მიღის მუდმივი კაპიტალის უქონლად და 100 მუშას იყენებს, ერთ კვარტერ ხორბალზე ხარჯავს მხოლოდ $\frac{5}{9}$ კვარტერს $\left(\frac{100}{180} = \frac{5}{9} \right)$, ე. ი. №2 კაპიტალისტისათვის ერთი მუშის „ხელფასის წარმოების ხარჯები“ შეეძლება $\frac{1}{9}$ კვარტერით, ანუ, სხვა სიტყვებით, №1 კაპიტალისტისათვის „ხელფასის წარმოების ხარჯები“ ერთი მეხუთედით (20%-ით) უფრო მეტია, ვიდრე №2 კაპიტალისტისათვის. — 244.
- 82 საკითხს იმის შესახებ, ახდენს თუ არა გავლენას მოგების ნორმაზე ერთი კაპიტალისტი ხელში მზა პროდუქტის წარმოების შეერთება ამ პროდუქტისათვის მუდმივი კაპიტალის წარმოებასთან, მარქსი უბრუნდება იმავე VIII რვეულში, რომელშიც მთავრდება განყოფილება ქ. სტ. მილის შესახებ, — ხელნაწერის 368-ე გვერდზე (იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 245—246) — და X რვეულის შუა ადგილას, თავში როდბერტუსის შესახებ, ხელნაწერის 461—464 გვერდებზე (იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 49—61). — 259.
- 83 იხ. შენიშვნა 12. — 262.
- 84 მარქსს მხედველობაში აქვს 1861—1863 წლების თავისი ხელნაწერის I—V რვეულები, რომლებშიც მან განავითარა ზედმეტი ღირებულების თავისი თეორია (განყოფილებებში: „ფულის გადაქცევა კაპიტალად“, „აბსოლუტური ზედმეტი ღირებულება“, „შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება“). — 271.
- 85 მარქსს მხედველობაში აქვს თავისი გამოკვლევის ის ნაწილი, რომელიც შემდეგში „კაპიტალის“ შესამე ტომად იქცა. — 272.
- 86 აქ პირველად არის მარქსის მიერ ფორმულირებული ძირითადი ოდენობის მოძღვრებისა ზედმეტი ღირებულების საშუალო მოგებად გადაქცევის შესახებ, გადაქცევის, რომელიც იწვევს საქონელთა ღირებულებების გარდაქმნას მათგან განსხვავებულ წარმოების ფასებად. ხელნაწერის ეს ადგილი დაწერილია 1862 წლის გაზაფხულზე (იხ. ტექსტში გვ. 265) შეად. აგრეთვე ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 81—82, სადაც პირველად ჩნდება ტერმინი „საშუალო ფასი“ ღირებულებისაგან განსხვავებული წარმოების ფასის აღსანიშნავად. უფრო დაწერილებით მოძღვრება საშუალო მოგებისა და წარმოების ფასების შესახებ მარქსმა განავითარა 1862 წლის ივნისში (თავში როდბერტუსის შესახებ — იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 23—27, 31, 76—83) და 1862 წლის ივლის-აგვისტოში (რეკონსტრუქციის ნომიურ შეხედულებათა სისტემის კრიტიკულ ანალიზთან დაკავშირებით — იხ. იქვე გვ. 224—282). — 280.

- 87 ლაპარაკი VII რევულის უკანასკნელი 13 გვერდისა და VIII რევულის პირველი 14 გვერდის შესახებ, რომლებზეც დაწერილია ვრცელი გადახვევა ჯ. სტ. მილის შესახებ. იხ. შენიშვნა 74. — 282.
- 88 „ეს ყველაზე წარმოუდგენელი მჭაღანელი“ („this most incredible cobbler“) — ასე უწოდებს მაკ-კულოხს ავტორი ბროშურისა „Some Illustrations of Mr. M. Culloch's Principles of Political Economy“: იხ. ზემოთ-ტექსტი, გვ. 223.—283.
- 89 როგორც მარქსის შემდგომი განმარტებებიდან ჩანს, „კაპიტალის ღირებულებაში“ („the value of capital“) ავტორი პამფლეტისა „The Source and Remedy of the National Difficulties“ გულისხმობს „კაპიტალის სარგებლის“ სიმაღლეს, ე. ი. ზედმეტი შრომის იმ რაოდენობის შეფარდებას, რომელსაც კაპიტალის მფლობელი მითვისებს, მის მიერ გამოყენებული კაპიტალის სიდიდესთან („კაპიტალის სარგებელში“ პამფლეტის ავტორი გულისხმობს იმას, რასაც მარქსი ზედმეტ ღირებულებას უწოდებს, მაგრამ პამფლეტის ავტორი აქ ზედმეტი ღირებულების ნორმას ურევს მოგების ნორმას: მუშებისაგან გამოწოვილ ზედმეტ შრომას იგი უშუალოდ უფარდება მთლიანად აღებულ აფანსებულ კაპიტალს). — 284.
- 90 განყოფილება „შემოსავალი და მისი წყაროები“ მარქსს უკვე 1863 წლის იანვარში ჰქონდა დაგეგმილი „კაპიტალის“ მესამე ნაწილისათვის (იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 509). მაგრამ 1862 წლის ოქტომბერში დაწერილი XIV რევულის გარეკანზე ეს განყოფილება მოცემულია „ეპიზოდის“ სახით, რომელიც უერთდება „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ უკანასკნელ თავს (იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 3). და მართლაც, 1862 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში დაწერილ XV რევულში არის დიდი განყოფილება, მიძღვნილი შემოსავლისა და მისი წყაროების პრობლემისადმი, რომელიც განხილულია ეულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკასთან დაკავშირებით. მაგრამ „პრაისის ფანტაზიის“ შესახებ იქ არაფერია არ არის. ამ ფანტაზიის კრიტიკული ანალიზი მარქსს მოცემული აქვს „კაპიტალის“ III ტომის 24-ე თავში (იხ. „კაპიტალი“, ტ. III, ნაწილი I-ლი, თბილისი, 1959, გვ. 498—501, 503). — 286.
- 91 მარქსს მხედველობაში აქვს სწორედ იმხანად გამოხული წიგნი კერნისისა „The Slave-Power: its Character, Career, and Probable Designs: being An Attempt to Explain the Real Issues involved in the American Contest“ (London, 1862): ამ წიგნიდან მას არაერთხელ მოჰყავს ციტატები „კაპიტალის“ I და III ტომებში. — 289.
- 92 მარქსს მხედველობაში აქვს სეის მსჯელობანი (მის წიგნში „Lettres à M. Malthus“, Paris, 1820, p. 15) იმის შესახებ, რომ თუ- მაგალითად, იტალიაში შეიმჩნევა ინგლისური საქონლით ბაზრის პირთამდე ავსება, ამის მიზეზად უნდა ჩათვალოს არასაკმარისი წარმოება იმ იტალიური საქონლისა, რომელიც: შეიძლება და გაეცლოდოთ ინგლისურ საქონელზე. სეის ეს მსჯელობანი ციტატების სახით მოყვანილია ანონიმურ ტრაქტატში „An Inquiry into those Principles...“ (London, 1821, p. 15): და იხინი-გვხვდება მარქსის მიერ „An Inquiry into those Principles...“-დან ამოღებულ ამონაწერებში, რომლებიც მას შეტანილი აქვს თავის ჩანაწერთა XII რევულში, გვ. 12. შეად. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 263—264, ნაწილი II, გვ. 712—713, და ნაწილი III, გვ. 145. — 301.

- 93 „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ მეორე ნაწილში მარქსს მოყვანილი და განხილული აქვს ამ ფორმულირების შემცველი ციტატები რიკარდოს წიგნიდან (იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 235, 237—238 და 535). — 309—310.
- 94 „მ ო ხ მ ა რ ე ბ ი ს ი ნ დ უ ს ტ რ ი ა“ („industry of consumption“) რევენსტონს ესმის როგორც ფუფუნების საგნების წარმოება და ყოველგვარი მომსახურების შესრულება საკუთრების მფლობელთათვის. — 311.
- 95 შესაბამისი ადგილი ჰოპკინსის წიგნიდან „On Rent of Land, and its Influence on Subsistence and Population“ (London, 1828, p. 126) მარქსს მოცემული აქვს თავში „შენიშვნები რიკარდოსეული მიწის რენტის კანონის აღმოჩენის ისტორიის შესახებ“ (იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 177—178). — 315.
- 96 მარქსს მხედველობაში აქვს მორალური ინგლისური გამოთქმა „capital employs labour“ („კაპიტალი იყენებს შრომას“), რომელშიც ასახულია თვით დედაარსი კაპიტალისა და დაქირავებული შრომის ურთიერთობისა. 1861—1863 წლების თავისი ზელნაწერის XXI რვეულში „კაპიტალის მწარმოებლობის“ აზრის ახსნასა მარქსი წერს: „... წ ა რ მ ო ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ნ ი, შრომის ნიეთობრივი პირობები — შრომის მასალა, შრომის საშუალებანი (აგრეთვე საარსებო საშუალებანიც) — გვევლინებიან [კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში] არა როგორც მუშისადმი დაქვემდებარებულნი; პირიქით, მუშა ექვემდებარება მათ. მუშა კი არ იყენებს მათ, არამედ ისინი იყენებენ მუშას. სწორედ ამის გამო წარმოადგენენ ისინი კაპიტალს“ (იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 475; შუად. ასევე ნაწილი I, გვ. 79, ნაწილი II, გვ. 562—564 და ნაწილი III, გვ. 133—135). — 317.
- 97 ზელნაწერის ამ ადგილას გვერდების ნუმერაცია არაეულია: 864-ე გვერდის შემდეგ ტექსტი გადადის 867-ე გვერდზე, შემდეგ გრძელდება 868, 869, 870, 870 a გვერდებზე, მერმე 865, 866 გვერდებზე და, ბოლოს, 870 b, 871, 872 გვერდებზე და ა. შ. გადასვლები ერთი არამომიჯნავე გვერდიდან მეორეზე მითითებულია თვით მარქსის მიერ. — 317.
- 98 იხ. შენიშვნა 88. — 319.
- 99 მარქსი მიუთითებს ჯერ კიდევ მის მიერ იმხანად (1862 წლის ოქტომბერი) დაწერილ განყოფილებაზე თავდაპირველი დაგროვების შესახებ, რომელიც, მარქსის გეგმის თანახმად (იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 508—509), უნდა წაშლდარებოდა „ზედმეტი ღირებულების თეორიებს“. ამ განყოფილების წინასწარ მონახაზს შეიცავს 1857—1858 წლების ეკონომიური ზელნაწერი (იხ. კ. მარქსი. „Grundrisse der Kritik der politikalen Oekonomie“. Moskau, 1939, S. 363—374). — 324.
- 100 კლავფარმოების პროცესის ძირითად მომენტებზე მარქსი ლაპარაკობდა „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ წინა თავებში ა. სპიტსისა და დ. რიკარდოს შეხედულებათა კრიტიკულ ანალიზთან დაკავშირებით. კერძოდ, ამა თუ იმ საკონლის ყველა ელემენტის ერთდროული წარმოების და კლავფარმოების აუცილებლობაზე ლაპარაკი იყო ამ ტომის პირველი ნაწილის 104—106 და 148—149 გვერდებზე და მეორე ნაწილის 632—633, 649—650 გვერდებზე. — 333.

- 101 კობეტის მოსაზრებანი ბაზრის მუდმივ პირთამდე ავსებისა და იმის შესახებ, რომ მიწოდება მუდამ აღემატება მოთხოვნას, გადმოცემულია მისი წიგნის — „An Inquiry into the Causes and Modes of the Wealth of Individuals; or the Principles of Trade and Speculation Explained“, London, 1841—115—117 გვერდებზე. — 341.
- 102 „The Economist“ („ეკონომისტი“) — ინგლისური ყოველკვირეული ჟურნალი ეკონომიკისა და პოლიტიკის საკითხებზე; გამოდის ლონდონში 1843 წლიდან. მსხვილი სამრეწველო ბურჟუაზიის ორგანო. — 343.
- 103 ვაქრობისა და მიმოსვლის საშუალებათა განვითარების კვალობაზე ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა რ ს ე ბ უ ლ ი მ ა რ ა გ ი ს შემცირების შესახებ სისმონდი ლაპარაკობს თავისი წიგნის „Etudes sur l'économie politique“, Bruxelles, 1837, I ტომში, გვ. 49 და შემდგომი. — 343.
- 104 მარქსი ახასიათებს აქ ფულს როგორც „მხოლოდ ფორმალურ მყოფობას“ (blosses Formdasein) იმ აზრით, რომ ფულის სახმარი ღირებულება, „თუმცა იგი რეალურად კია, თვით [გაცელს] პროცესში გვევლინება როგორც უბრალო ფორმალური მყოფობა, რომელიც ჯერ კიდევ ნამდვილ სახმარ ღირებულებად გარდაქმნის გზით უნდა განხორციელდეს“ (იხ. კ. მარქსი, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, თბილისი, 1953, გვ. 48). — 348.
- 105 მარქსს მხედველობაში აქვს სამუელ ლენგის (უმეროსის) წიგნი „National Distress; its Causes and Remedies“, London, 1844, p. 149—154. 115-ე შენიშვნაში „კაპიტალის“ I ტომის 23-ე თავის მიმართ მარქსს მოჰყავს ამ წიგნიდან ციტატა, რომელიც ახასიათებს მუშების უაღრესად მძიმე საბინაო პირობებს დიდ კაპიტალისტურ ქალაქებში. — 348.
- 106 საქონლის, ფულის და კაპიტალის ფ ე ტ ი შ ი ს ტ უ რ ხასიათზე მარქსი ლაპარაკობს თავისი წიგნის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ პირველ ნაკვეთში (იხ. კ. მარქსი, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, თბილისი, 1953, გვ. 20—23, 35—36 და 136—137). — 353.
- 107 პოდსკინზე ამ მსჯელობათა დაახლოებით ნახევარი წლით ადრე დაწერილ დაუმთავრებელ განყოფილებაში ინგლისელი სოციალისტის ბრეის შესახებ მარქსს მოჰყავს, სხვათა შორის, ბრეის ასეთი სიტყვები: „არა კაპიტალისტს, არამედ კაპიტალს აქვს არსებითი მნიშვნელობა შწარმოებელთა ოპერაციებისათვის. კაპიტალსა და კაპიტალისტს შორის ისეთივე დიდი განსხვავება არსებობს, როგორც გემის ტვირთსა და ამ ტვირთის თანმხლებ ზღვანდებს შორის“ (იხ. ეს ტომი, ნაწილი III, 383). — 353.
- 108 სხვადასხვა ინდოევროპული ენების სიტყვათა ეს შეპირისპირებანი მარქსმა აიღო „ერთი ბელგიელი ეტიმოლოგისაგან“, როგორც იგი ამას ატყობინებს ენგელსს 1864 წლის 16 ივნისით დათარიღებულ წერილში; ამასთან თვით მარქსი, როგორც ამავე წერილიდან ჩანს, არ იყო იმაში დარწმუნებული, რომ ყველა ეს შეპირისპირება დასაბუთებულა. „ეს ბელგიელი ეტიმოლოგი“ იყო ონორე! ეოზეფ შავე, ავტორი წიგნისა „Essai d'étymologie philosophique“ (Bruxelles, 1844). მითთებანი ფრანგულ

სიტყვაზე „valeur“ და ინგლისურ სიტყვაზე „value“, ჩართულნი მეორე ციტატაში შავეს წიგნიდან, და მატებულია თვით მარქსის მიერ. შავეს წიგნში გერმანულ სიტყვას „walle“ (მეორე ციტატაში რომ არის) დართული აქვს შენიშვნა იმის შესახებ, რომ ეს არის მოძველებული, ხმარებიდან გამოსული ფორმა. — 355.

109 ამ ადგილის უშუალოდ მომდევნო ფრაზა ჰოდსკინის ბროშურაში განმარტავს, რას გულისხმობს ჰოდსკინი აქ სიტყვეებში „ერთგვარი დაბალანსება ხდება“: „კაპიტალისტები შესაძლებლობას აძლევენ მუშებს ჰქონდეთ არსებობის საშუალებანი, რადგან მათ არ შეუძლიათ იოლად წასვლა მუშების შრომის გარეშე, და მეტად სულგრაძელად კმაყოფილდებიან იმით, რომ თავისთვის მიაქვთ პროდუქტის ყოველი ნაწილი, რომელიც არ არის აუცილებელი ამ მიზნისათვის“, ე. ი. ხელფასის ფიზიკური მინიმუმის უზრუნველსაყოფად. — 356.

110 იგულისხმება ჩალმერსის წიგნი „On Political Economy in connexion with the Moral State and Moral Prospects of Society“, 2nd edition, Glasgow, Edinburgh, Dublin und London, 1832, გვ. 88—89 და სხვ. — 371.

111 იხ. შენიშვნა 23. — 371—372.

112 მარქსი მიუთითებს 1851 წლის ამონაწერთა IX რეველზე. ამ რეველის 47-ე გვერდზე მოცემულია ამონაწერები ჰოდსკინის წიგნის — „Popular Political Economy“ — 252—256 გვერდებიდან. — 380.

113 განყოფილება ბრეის შესახებ მარქსს დაუმთავრებელი დარჩა. ფაქტურად მარქსი იმით დაკმაყოფილდა, რომ შეაგროვა ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევები ბრეისა როგორც „ეკონომისტების მოწინააღმდეგისა“. ბრეის უტოპიური მოძღვრება „თანაბარ ვაეცლაზე“ როგორც საშუალებაზე იმ უსამართლობათა აღმოსაფხვრელად, რომელთა მსხვერპლიც მუშათა კლასია, მარქსმა კრიტიკულად გააანალიზა ჯერ კიდევ „ფილოსოფიის სილატაქეში“ (1847 წ.), პირველი თავის § II-ში, რომელიც დასათურებულია „ჩამოყალიბებული, ანუ სინთეზური, ღირებულება“ (იხ. „ფილოსოფიის სილატაქე“, სახელგამი, 1938, გვ. 63—73). ფულის არსსა და როლზე ბრეის შეხედულებათა შესახებ იხ. მარქსის 1847 წლის ხელნაწერი „ხელფასი“ (ე. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, მე-2 გამოც. რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1957, ტ. 6, გვ. 584); „Grundrisse der Kritik der politischen Oekonomie“ (Moskau, 1939), S. 55, 690, 754; მარქსის წერილი ენგელსისადმი 1858 წლის 2 აპრილის თარიღით (იხ. ე. მარქსი, ფ. ენგელსი, წერილები „კაპიტალის“ შესახებ, თბილისი, 1952, გვ. 77—82). —

114 მარქსს მხედველობაში აქვს „ინგლისის სხვადასხვა ოჯახის შემოსავალ-გასავლის ცხრილი 1688 წელს“. ეს ცხრილი შეადგინა ერთ-ერთმა პირველმა ინგლისელმა სტატისტიკოსმა გრეგორი კინგმა და ჩარლზ დავენანტმა იგი შეიტანა თავის წიგნში „An Essay upon the Probable Methods of making a People Gainers in the Balance of Trade“ (London, 1699). ამ „ცხრილზე“ მარქსი ლაპარაკობს „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ პირველ ნაწილში (იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 188—189). — 386.

115 ტერმინში „საშუალო ფასი“ („average price“, Durchschnittspreis) მარქსი გულისხმობს აქ იმავეს, რასაც ტერმინში „წარმოების ფასი“, ე. ი. წარმოების ხარჯებს (c+v) პლუს საშუალო მოგება. თვით ტერმინი „საშუალო ფასი“ აღნიშნავს

იმას, რომ აქ იგულისხმება „საშუალო საბაზრო ფასი ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ანუ ეს ცენტრალური წერტილი, რომლისკენაც საბაზრო ფასი ბისწრაფვის“, როგორც მარქსი განმარტავს ამ ტომის მეორე ნაწილის 421 გვერდზე. პირველად ამ ტერმინს მარქსთან ვხვდებით ამ ტომის პირველი ნაწილის 81-ე გვერდზე. ტომის მეორე ნაწილში იგი ბევრჯერ ვხვდებით თავებში როდებერტუსისა და რიკარდოს შესახებ ტერმინებთან „ხარკთფასი“ და „წარმოების ფასი“ ერთად. — 392.

116 მარქსს მხედველობაში აქვს განყოფილება „კაპიტალი და მოგება“, რომელიც მან დაიწყო 1861—1863 წლების ხელნაწერის XVI რეველში (ეს XVI რეველი დათარიღებულია 1862 წლის დეკემბრით, მაშინ როდესაც XVIII რეველი, რომელიც შეიცავს თავებს რამსეის, შერბულეის და ჯონსის შესახებ, დათარიღებულია 1863 წლის იანვრით). მარქსს განზრახვა ჰქონდა საკითხი წარმოების ფასებად ღირებულებათა გადაქცევის შესახებ განეხილა განყოფილების „კაპიტალი და მოგება“ მეორე თავში, როგორც ეს ამ თავის გვერდის მონახზიდან ჩანს; ეს მონახზი დაიწერა მალე რამსეის შესახებ დაწერილი თავის შემდეგ (იხ. ეს ტომი, ნაწილი I გვ. 509—510). განყოფილება „კაპიტალი და მოგება“ გადაიქცა შემდეგში „კაპიტალის III ტომად.

საშუალო დროით ღირებულების განსაზღვრიდან დაიღ რიკარდოს მიერ ფორმულირებული გამოთვლის შესახებ მარქსი დაწერილებით ლაპარაკობს „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ მეორე ნაწილში (იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 224—265; იხ. აგრეთვე ნაწილი III, გვ. 80). — 395.

117 თუ თავდაპირველ გაანგარიშებაში იგულისხმებოდა, რომ მეორე შემთხვევაში შრომის იარაღებისა და საშუალო ძალისათვის წარმოების ხარჯები ინვარიანება ერთი კვარტერი ხორბლის უკვე იმ ორჯერ უფრო ნაკლები ღირებულების მიხედვით, რომელიც გარკვეულ მოსავლის შედეგად ჩამოყალიბდა, ახლა მარქსი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ერთი კვარტერი ხორბლის ღირებულების ეს შემცირება მოხდა მეორე წლის მხოლოდ შემოღობაზე. ამიტომ თუ თავდაპირველ გაანგარიშებაში წარმოების ხარჯებს მეორე შემთხვევაში გამოხატავს ჯამი $20c+40c+40v=100$ კვარტერს, ახლა ირკვევა, რომ მათ გამოხატავს იგივე ჯამი, რაც პირველ შემთხვევაშია, ე. ი. ჯამი $20c+20c+20v=60$ კვარტერს. რადგან მოსავალი მეორე შემთხვევაში 200 კვარტერს უდრის, ამიტომ მოგების წილად რჩება 140 კვარტერი. — 404.

118 მარქსს მხედველობაში აქვს ვულგარული ვერმანელი ეკონომისტის რთმერის წიგნი „Die Grundlagen der Nationalökonomie“, 1858, S. 385, სადაც რომერი, როცა იგი ლაპარაკობს მოგების დაყოფაზე მეწარმის მოგებად და სარგებლად, იმწმებს სენიორის „Outline“-ს. როცა მარქსი აღნიშნავს, მოგების დაყოფა „მეწარმის მოგებად“ და „კაპიტალის წმინდა მოგებად“ უკვე 1821 და 1822 წლებში ცნობილი იყო, მას ალბათ, მხედველობაში აქვს ანონიმური თხზულება „An Inquiry into those Principles, respecting the Nature of Demand and the Necessity of Consumption“ (London, 1821), p. 52—53, და წიგნი ჰოპკინსისა „Economical Enquiries relative to the Laws which regulate Rent, Profit, Wages, and the Value of Money“ (London, 1822), p. 43—44. — 419.

119 მარქსს მხედველობაში აქვს შტორხის შრომა „Cours d'économie politique“, Paris, 1823, ტომი I, წიგნი III, თავი XIII. — 421.

- 120 მუშების კოპერაციული ფაბრიკების შესახებ ინგლისში იხ. კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. III, ნაწილი I, თბილისი, 1959, გვ. 108—109, 488—492 და 554—555. შეად. აგრეთვე ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 599—600. — 422.
- 121 მარქსს მხედველობაში აქვს კორბეტის წიგნი „An Inquiry into the Causes and Modes of the Wealth of Individuals; or the Principles of Trade and Speculation Explained“, London, 1841, p. 100—102. — 423.
- 122 „The Morning Star“ („ცისკრის ვარსკვლავი“) — ინგლისური ყოველ-დღიური გაზეთი, მანჩესტერელი ფრიტრედერების კობდენისა და ბრაიტის ორგანო; გამოდიოდა ლიონდონში 1856 წლიდან 1869 წლამდე. — 428.
- 123 აქლაბარაკია „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ გეგმაზე. „თეორიების“ უკანასკნელი თავების გეგმა, რომელიც მარქსს ჩაწერილი აქვს XIV რვეულის გარეკანზე. შეიცავს პუნქტს „n“ შერბულივ“ (იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 3). რომლის შესაბამისადც დაწერილია ეს თავი. რაც შეეხება სისმონდის, მარქსს განზრახული ჰქონდა მისი შეხედულებების განხილვა არა „ზედმეტი ღირებულების თეორიებში“, არამედ თავისი შრომის იმ შემდგომ ნაწილში, რომელსაც უნდა გაეშუქებინა „კაპიტალების კონკურენცია და კრედიტი“ (იხ. ამის შესახებ ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 58). — 429.
- 124 „კომერციულ მოგებას“ („profit mercantile“) შერბულივ უწოდებს ცალკეული კაპიტალისტის მოგებას, განსხვავებით მიწელი საზოგადოების მოგებისაგან. — 438.
- 125 „წარმოების მომპოვებელ დარგებში“ („industries extractives“) შერბულივ გულისხმობს არა მარტო მთამადნეულს, ხე-ტყის დამზადებას, მე-თევზეობას, ნადირობას, არამედ აგრეთვე სოფლის მეურნეობის ყველა სახეობასაც, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს აწარმოებენ. — 438.
- 126 ხელნაწერში შემდეგ, კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული გადახვევის სახით, მოხაზულია „კაპიტალის“ III ნაწილის მე-2 თავის გეგმა, სადაც მარქსს განზრახვა ჰქონდა გამოეყვლია საკითხი მოგების საერთო ნორმის წარმოქმნის შესახებ. ამ გამოცემაში ეს გეგმა დაბეჭდილია 26-ე ტომის პირველი ნაწილის „დამატებებში“ (იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 509). — 446.
- 127 მარქსს მხედველობაში აქვს სავაჭრო კაპიტალის გამოყვლევა, რომელსაც შეიცავენ 1861—1863 წლების XV და XVII რვეულები, განსაკუთრებით გვ. 964 (XV რვეული) და გვ. 1030 (XVII რვეული). — 469.
- 128 მარქსს მხედველობაში აქვს ჯემს მილის მსჯელობანი მის წიგნში „Elements of Political Economy“, London, 1821 (თავი მე-4, განყოფილება მე-5: „მიწის რენტის გადასახადი“), სადაც მილი იმტყიცებს, რომ მიზანშეწონილია სახელმწიფოს ყველა ხარჯის გადახდა მთელა მიწის რენტის ხარჯზე იმ შემთხვევებში, როცა მიწი ჯერ კიდევ არ წარმოადგენს კერძო საკუთრებას, და მიწის რენტის ნაშთის ხარჯზე იმ შემთხვევებში, როცა მიწა უკვე კერძო საკუთრებაა და როცა ადგილი აქვს მიწის რენტის ზრდას მის წინანდელ დონესთან შედარებით. — 472.

- 129 „სიმდიდრეთა ახლანდელი განაწილების პირველ შედეგს“ შერბულიე უწოდებს უთანასწორობას მდიდრებსა და მათზე დამოკიდებულ ღარიბებს შორის. — 473.
- 130 მარქსს მხედველობაში აქვს ამ ტურნალის LIV ტომში (1831 წლის აგვისტო-დეკემბერი) ხელმოწერლად მოთავსებული რეცენზია ჯონსის იმხანად გამოსულ წიგნზე „An Essay on the Distribution of Wealth“. — 474.
- 131 რაიატი — ინდოელი გლეხი. ჯონსი ხმარობს ამ ტერმინს ინდოეთისა და სხვა აზიური ქვეყნების ისეთი გლეხების მიმართ, რომლებიც უხდიდნენ რენტა-გადასახადს პროდუქტებით სუვერენს, რომელიც მთელი მიწის უმაღლეს შესაქუთრედ ითვლებოდა. — 475.
- 132 ტერმინში „კოტიერი“ („cottier“) ჯონსი გულისხმობს ირლანდიელ უმიწაწყო გლეხს, რომელიც იჯარით იღებს ლენდლორდისაგან სახნავი მიწის ნაკვეთს გარკვეულ ფულად საფასურში. — 477.
- 133 ა. სმიტის ეს ფორმულირება მოცემულია მისი „Wealth of Nations“-ის II წიგნის მე-3 თავში. — 488.
- 134 შემდეგ ხელნაწერში მოდის პატარა ჩანართი, რომელიც განეკუთვნება თავს რამსეის შესახებ და მოთავსებულია ამ ტომის მესამე ნაწილში, სტრიკონქევეს სკოლის სახით, 419-ე გვერდზე. — 491—492.
- 135 ის, რასაც ჯონსი „სამუშაო ფონდს“ („Labor Fund“) უწოდებს, მალთუსის ნაწერებში გვევლინება სახელწოდებით „შრომის შესანახი ფონდები“ („funds for the maintenance of labour“). ეს ტერმინი ხშირად გვხვდება უკვე მალთუსის „Essay on the Principle of Population“-ის პირველ გამოცემაში (London, 1798, გვ. 303, 305, 306, 307, 312, 313 და სხვ.). მეხუთე გამოცემაში (London, 1817) იგი გვხვდება უშთაბრასად III წიგნის მე-5 და მე-8 თავებში. გვხვდება იგი ასევე მალთუსის „Principles of Political Economy“-შიც, მაგალითად იმ ადგილას, რომელიც ციტირებულია ამ ტომის მესამე ნაწილში 34-ე გვერდზე. — 492.
- 136 „ლექციებში შრომისა და კაპიტალის შესახებ“ ჯონსი ვარეიზე ლაბარაკობს შემდეგს: „სახელგანთქმულ გრაფ ვარეის, „მეფთა მკეთებელს“, უხდებოდა, როგორც მოგითხრობენ, თავის ციხე-დარბაზებსა და სასლებში ყოველწლიურად 40 ათასი კაცის გამოკვება“ (Р. Джонс: „Экономические сочинения“. Ленинград, 1937, стр. 260). — 495.
- 137 ეს ციტატა მარქსს მოჰყავს ხელახლა. XVIII რვეულის უკანასკნელ გვერდზე (ხელნაწერის 1157-ე გვერდი), სადაც მას დართული აქვს მარქსის აქ მოყვანილი დამატებითი შენიშვნები. — 497.
- 138 „შემოსავალთა და მათი წყაროების შესახებ“ მარქსი მსჯელობს 1861 — 1863 წლების ხელნაწერის XV ტექსტის მეორე ნახევარში; აქ იგი ამკლავნებს ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კლასობრივ და გნოსეოლოგიურ ფესვებს (იხ. ეს ტომი, ნაწილი III, გვ. 539 — 650). ეს „ეპიზოდი“, როგორც მას მარქსი XIV რვეულის გარეკანზე უწოდებს, ე. ი. ექსკურსია ანუ „ზედმეტი ღირებულების თეორიების“.

- ძირითადი ტექსტის დამატება, შემდეგში განკუთვნილი იყო მარქსის მიერ „კაპიტალის“ მესამე ნაწილისათვის, როგორც ეს ჩანს ამ ნაწილის იმ გეგმიდან, რომელიც მარქსმა 1863 წლის იანვარში შეადგინა; ამ გეგმის თანახმად მეცხრე თავის სათაური უნდა ყოფილიყო „შემოსავალი და მისი წყაროები“ (იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 509). — 503.
- 139 მარქსის ცნობა აქ არაა ზუსტი: ორი ინგლისელი ეკონომისტიდან, რომლებზეც აქ ლაპარაკია, მხოლოდ ჯონსი იყო ხუცესი. — 509.
- 140 ხელნაწერში შემდეგ, კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული გადახვევის სახით, მოხაზულია „კაპიტალის“ III ნაწილის, ანუ III განყოფილების, გეგმა — „კაპიტალი და მოგება“. ამ ტომში ეს გეგმა მოთავსებული პირველი ნაწილის „დამატებებში“ (იხ. ამ ტომის I ნაწილი, გვ. 509). — 511.
- 141 ხელნაწერში შემდეგ (გვ. 1140—1144) მოთავსებულია: „კაპიტალის“ I ნაწილის, ანუ I განყოფილების, გეგმის მონახაზი — „კაპიტალის წარმოების პროცესი“, — დაბეჭდილი ამ ტომის პირველი ნაწილის „დამატებებში“ (იხ. ამ ტომის I ნაწილი, გვ. 508), შემდეგ კი ამონაწერები ვაზეთებიდან, ჟურნალებიდან და წიგნებიდან ისეთ საკითხებზე, რომლებიც ეხება სარგებლის განაცვეთის სიმაღლეს, კაპიტალისტების მიერ მუშათა კლასის ექსპლუატაციას, სხვადასხვა თანაფარდობას მუდმივსა და ცვალებად კაპიტალს შორის. ზოგიერთი მათგანი მარქსს მოჰყავს „კაპიტალის“ I და II ტომებში. პატარა ნაწყვეტი 1142 გვერდიდან, რომელიც ეხება ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის აპოლოგეტურ შეხედულებას მოგებაზე როგორც კაპიტალისტის „ხელფასზე“, დაბეჭდილია ამ ტომის მესამე ნაწილის „დამატებებში“, გვ. 1599—600. — 511.
- 142 ჯონსს აქ ციტატები მოჰყავს ფიზიოკრატული ყოველთვიური ჟურნალიდან „Ephémérides du Citoyen“ („მოქალაქის კალენდარი“), 1767; ნაწილი III, გვ. 56. — 515.
- 143 მარქსს მხედველობაში აქვს ფრანგი ექიმისა და მოგზაურის ფრანსუა ბერნიეს წიგნი „Voyages contenant la description des Etats du Grand Morol“, რომელიც პირველად 1670—1671 წლებში გამოვიდა პარიზში და შემდეგ არაერთხელ ხელახლა გამოიცა. 1853 წლის 2 ივნისის თარიღით ენგელსისთვის მიწერილ წერილში მარქსს მოჰყავს ბერნიეს ამ ნაშრომიდან ციტატები, მათ რიცხვში ის ადგილიც, სადაც მოცემულია ინდოეთის ქალაქების შედარება სამხედრო ბანაკებთან (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, მე-2 რუს. გამოც., ტომი 28, გვ. 214—215). — 518.
- 144 მარქსი განიხილავს აქ ახალი ძირითადი კაპიტალის გამოყენების რენტაბელობის საკითხს. კაპიტალისტი გამოიყენებს დამატებით ძირითად კაპიტალს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაცვეთის ასანაზღაურებელი დამატებითი ხარკების კომპენსაციო ხდება ერთეული პროდუქტის თვითღირებულების შემცირებით მისი რაოდენობის გადიდების შედეგად. მარქსის აზრის ილუსტრირება შეიძლება შემდეგი მაგალითით.
- ეთქვამთ, ხელთ რთვის დროს იწარმოება 10 გირვანქა ნართი, რომლის საერთო ღირებულება უდრის 10 გირ. სტერლინგს, საიდანაც 8 გირ. სტერლინგი იხარკება ნელ-

ლეულზე და 2 გირ. სტერლინგი—სამუშაო ძალაზე (მოგებას მარქსი აქ მხედველობის გარეშე ტოვებს). მაშასადამე, გირვანქა ნართის ღირებულება ხელით რთვის დროს უდრის 1 გირ. სტერლინგს. ვთქვათ, შემდეგ, მანქანების შემოღების შედეგად წარმოებულ ნართის რაოდენობა გადიოდა 100-ჯერ (1000 გირვანქა ნართი 10-ის ნაცვლად). ამასთან ნედლეულზე დანახარციც ასევე გაიზარდა 100-ჯერ, სამუშაო ძალაზე გაწეული ხარჯებიც გაიზარდა უფრო ნაკლები ოდენობით, მაგალითად, 10-ჯერ. ასეთ შემთხვევაში 100 გირვანქა ნართის ღირებულება უდრის 800 გირ. სტერლინგს (დანახარჯი ნედლეულზე) + 20 გირ. სტერ. (დანახარჯი სამუშაო ძალაზე) + 164 გირ. სტერლინგი (ძირითადი კაპიტალის გაცემა ამ შემთხვევაში შეადგენს, მარქსის ვარაუდით, ნართის ღირებულების $\frac{1}{8}$ —ს), ე. ი. უდრის 984 გირ. სტერლინგს. 1 გირვანქა ნართის ფასი შეადგენს ამ შემთხვევაში დაახლოებით 9/10-გირ. სტერლინგს, ე. ი. ნართი გაიფხვრა ხელით რთვასთან შედარებით. ეს ნიშნავს, რომ მანქანების გამოყენება აქ რენტაბელური აღმოჩნდა.

თუკი ნართის რაოდენობა მხოლოდ 10-ჯერ გადიოდა (100 გირვანქა ნაცვლად 10-ისა), მაშინ ნართის ღირებულება ახლა უდრის 80 გირ. სტერლინგს (ნედლეულზე გაწეული ხარჯი) + 12 გირ. სტერლინგი (სამუშაო ძალაზე გაწეული ხარჯი, რაც, ვთქვათ, 6-ჯერ გაიზარდა) + $10\frac{2}{8}$ გირ. სტერლინგი (ძირითადი კაპიტალის გაცემის ოდენობა, მარქსის ვარაუდის თანახმად, შემცირდა ახლა ნართის ღირებულების $\frac{1}{10}$ -მდე), ე. ი. უდრის $102\frac{2}{8}$ გირ. სტერლინგს. ერთი გირვანქა ნართის ღირებულება ახლა აღემატება 1 გირ. სტერლინგს. ეს ნიშნავს, რომ მიუხედავად ძირითადი კაპიტალის გაცემის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების შეფარდებითი შემცირებისა ($\frac{1}{8}$ -დან $\frac{1}{10}$ -მდე), მანქანების შემწეობით წარმოებული ნართი ამ შემთხვევაში უფრო ძვირი იქნებოდა ხელით წარმოებულ ნართზე. მაშასადამე, მანქანების გამოყენება აქ კაპიტალისტისთვის აღმოჩნდებოდა არარენტაბელური. — 521.

145 „კაპიტალის“ II ტომში მარქსი აღნიშნავს, რომ იმ ნეთიერებათა ნაწილი, რომლებიც შეტანილია ნიადაგში მისი ვუმეჭობესების მიზნით. ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი დროს განმავლობაში „განაგრძობს არსებობას წარმოების საშუალებათა სახით და ამიტომ ძირითადი კაპიტალის ფორმას ინარჩუნებს“ (იხ. „კაპიტალი“, ტ. II, თბილისი, 1957, გვ. 196). სწორედ ამ აზრით ლაპარაკობს მარქსი ტექსტში ნიადაგში შეტანილი გუანოს „გაცევის ანაზღაურების“ შესახებ. — 521.

146 ხ ე ლ ო ე ნ ე ბ ის ა და ხ ე ლ ო ს ნ ო ბ ის სა ზ ო გა დ ო ე ბ ა (Society of Arts) — ბურჟუაზიულ-საგანმანათლებლო და ფილანთროპიული საზოგადოება, დაარსებული ლონდონში 1754 წელს. მორტონის მოხსენება დაიბეჭდა საზოგადოების ყოველწევრიტულ ჟურნალში „Journal of the Society of Arts“ („ხელოვნებისა და ხელოვნობის საზოგადოების ჟურნალი“), 1859 წლის 9 დეკემბრის ნომერში. მარქსის მიერ ციტირებული ადგილი მოთავსებულია ჟურნალის ამ ნომრის 56-ე გვერდზე. — 529.

147 „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ დასკვნითი თავების გეგმაში, რომელიც მოხაზულია XIV რეველის გარეკანზე, „რიჩარდ ჯონსის“ შესახებ დაწერილი თავის შემდეგ, რომელსაც დართული აქვს ფრჩხილებში მოთავსებული ჩანაწერი „ამ მე-5 ნაწილის დასასრული“, მარქსი წერდა: „ე კ ი ხ ო დ ი: შ ე მ ო ს ა ე ა ლ ი და მ ი ს ი წ ყ ა რ ო ე ბ ი“ (იხ. ამ ტომის I ნაწილი, გვ. 3), XV რეველის გარეკანზე

43. კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების თეორიები.

მოხაზულ ამ რვეულის შინაარსის ნუსხაში კი არის პუნქტი „ვ უ ლ გ ა რ უ ლ ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ა“ (იქვე, გვ. 3). ამ ორივე თემისადმი — „შემოსავლისა და მისი წყაროებისადმი“ და „ეულგარული პოლიტიკური ეკონომიისადმი“ — არის მიძღვნილი ხელნაწერის XV რვეულის მნიშვნელოვანი ნაწილი, ამასთან მათი განხილვა წარმოებს მკიდრო კავშირში ერთიმეორესთან. ამ რვეულში (იგი დაწერილია 1862 წლის ოქტომბერ-ნოემბერში) მარქსმა ხელნაწერის 890-ე გვერდზე შეწყვიტა პოდსკინის შეხედულებათა ანალიზი, რათა მოეცა „ეპიზოდი“ (ე. ი. ექსკურსი) შემოსავლისა და მისი წყაროების შესახებ და ეულგარული პოლიტიკური ეკონომიის შესახებ, რომელიც შემოსავლისა და მისი წყაროების გაფერტიშებული ფორმების ზედაპირულ მოჩვენებითს გარეგნობას ებღაუჭება და ამაზე აშენებს თავის აპოლოგეტიკურ თეორიებს. ამ ეპიზოდზე მუშაობის შემდგომ მსვლელობაში (იმავე XV რვეულში) მარქსი გადაიდა სასესხო კაპიტალის ანალიზზე, რაც მკიდროდა დაკავშირებული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკასთან, შემდეგ კი სავაჭრო კაპიტალის ანალიზზე როგორც კაპიტალისტური მეურნეობის ერთ-ერთი ისეთი სფეროს ანალიზზე, სადაც ზედმეტი ღირებულება არ იქმნება, არამედ ნაწილდება. ამით მარქსი თანდათანობით გასცილდა „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ — როგორც თავისი შრომის ისტორიულ-კულტურული ნაწილის — უშუალო საგნის ფარგლებს.

სავაჭრო კაპიტალის გამოკვლევას მარქსი განაგრძობდა XV რვეულის ბოლომდე, მაგრამ მისი ხელნაწერის (1862 წლის დეკემბერი) შემდგომი, XVI რვეული იხსნება სათაურით: „თავი მესამე. კაპიტალი და მოგება“. ამ რვეულის ძირითად შინაარსს შეადგენს ის გამოკვლევა, რომელიც 1865 წელს ფართოდ გამოიყენა მარქსმა „კაპიტალის“ III ტომის პირველ და მეორე განყოფილებათა დაწერისას; ეს განყოფილებანი მიძღვნილია ზედმეტი ღირებულების მოგებად და ზედმეტი ღირებულების ნორმის მოგების ნორმად გადაქცევისადმი და აგრეთვე მოგების საშუალო მოგებად გადაქცევისადმი. XVI რვეულის დასასრულს მარქსი გადაიდა „უმნიშვნელოვანზე, — როგორც იგი ამბობს, — საკითხზე ამ განყოფილებაში“, იმ მიზეზების ანალიზზე, რომლებიც იწვევენ მოგების ნორმის დაცემას კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარების მსვლელობაში. ეს გადმოცემა, რომელიც შემდეგში მარქსმა გადაამუშავა „კაპიტალის“ III ტომის მესამე განყოფილებისათვის („მოგების ნორმის დაცემის ტენდენციის კანონი“ და მთავრებულ იქნა მარქსის ხელნაწერის მხოლოდ შემდგომი — XVII რვეულის დასაწყისში (1862 წლის დეკემბერი — 1863 წლის იანვრის დასაწყისი).

